

თოფანს შანი

დოქტორი ფაუსტუსი

გერმანელ კომპოზიტორ ადრიან ლევერკიუნის ცხოვრება,
მოყოლილი მეგობრის მიერ

გერმანულიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო
პარლო ჯორჯანელმა



თბილისი მერანი 2002

Lo giorno se n'andava, e l'aere bruno
toglieva gli animai che sono in terra
dalle fatiche loro, ed io sol uno
m'apparecchiava a sostener la guerra
si del cammino e si della pietate,
che ritrarrà la mente che non erra.
O Mùse, o alto ingegno, or m'aiutate,
o mente che scrivesti ciò ch'io vidi,
qui si parrà la tua nobilitate.

დღე მიიწურა; დღდამიწა საღამოს მწუხრმა
ბინდით შემოსა და დაღლილნი მუშაენი მიწის
განსასვენებლად განამზადა: მე მარტოოდენ
მელოდა შრომა დაქანცველი: საელი მძიმე
და შებრძოლება სიბრალულის გრძნობასთან ჩემში.
ჟელაფერს ამას ხსონა ჩემი გაუწყობთ სწორი.
შველას გენუკვით ო, მუზებო, გენიაც დილო/
ხოლო შენ, სწორო მატიანევ, ჩემგან ხილულის,
მეხსიერებაე, ახლა უნდა იჩინო თავი/

დანტე, ჯოჯოხეთი, ქება მეორე
(თარგმანი კ. ჭიჭინაძისა)

†

მინდა დაბეჯითებით მოგახსენოთ, თავის გამოჩენა როდი მსურს, რაკილა ჩემი ვინაობისა და ავ-კარგის მჭუნყებელი ორიოდე სიტყვით ვინყებ ცხონებული ადრიან ლევერკიუნის ამბავს — ფასდაუდებელი ადამიანისა და გენიალური მუსიკოსის ამ პირველსა და, რაღა თქმა უნდა, არცთუ საბოლოო ბიოგრაფიას, ვისაც ბეღმა ასე საშინლად უმუხთლა, ვერ ზე აიტაცა და მერმე კი უფსკრულში გადაჩეხა. მხოლოდ და მხოლოდ ის მაიძულებს ასე მოვიქცე, რომ შკითხველი, ან უმჯობესია ვთქვა: მყოზადი მკითხველი-მეთქი, რადგან ამჟამად ხომ ჩემი ხელნაწერის გამოქვეყნების იოტის ოდენა იმედიც არა ჭიატებს, თუ სასწაული არ მოხდა და იგი აღყამემორტყმული „ევროპის ციხე-სიმაგრის“ მიღმა არ აღმოჩნდა, რათა გარეთ მყოფთ სიოს ოდნავი მონაბერივით მაინც აგრძნობინოს ჩვენი მარტოობის

გამოცანები... მაგრამ ნება მიბოძეთ ისევ თავიდან დავინყო: მხოლოდ იმიტომ, რომ მგონია, გაკვერთ მაინც იკითხავენ: ნეტავი ვინა წერსო, მის ბიოგრაფიას წინ ზოგ რამეს ჩემს შესახებაც ვურთავ, თუმცა ამასთანავე იმასაც ვხვდები, რომ სწორედ ამით შეიძლება მკითხველი დავაეჭვო, საიმედო მთხრობელის ხელში მოხვდა თუ არა, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვა, შესწევს თუ არა ჩემი ყაიდის კაცს ამ ამოცანის დაძლევის უნარი, რაც ალბათ უფრო იმიტომ მოვიწინადინე, რომ გული მერჩოდა, ვიდრე სულიერი ნათესაობით ვიყავი უფლებამოსილი.

მე გადავიკითხე წინა სტრიქონები და არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ ისეთი მოუსვენრობა და შეჭირვება აღმოვაჩინე, თითქოს სუნთქვა მეკვროდეს, რაც ესოდენ ნიშანდობლივია იმ სულიერი განწყობისათვის, რომელშიც დღეს ვიმყოფები, 1943 წლის 23 მაისს, ლევერკიუნის სიკვდილიდან ორი წლის შემდგომ, როდესაც საწერ მაგიდას ვუზივარ ჩემს ძველისძველ და პატარა კაბინეტში, იზარის ფრაიზინგში, რათა უფლის ნიაღსა შინა განსვენებული — ო, ნეტავი მართლაც ასე იყოს! — უფლის ნიაღსა შინა განსვენებული ჩემი უბედური მეგობრის ყამთა აღწერას შევუდგე: ნიშანდობლივია-მეთქი, მოგახსენეთ, ისეთი სულიერი განწყობისათვის, რომელშიაც მსახვრალად არის ერთმანეთში აღრეული გულის ფანცქალით რაიმეს გაზიარების წყურვილი და შეუფერებელი რამის გამხელის შიში. მე ბუნებით დიხსაც თავდაჭერილი კაცი გახლავართ და, ალბათ შეიძლება ითქვას, სალი, ჰუმანურად განონასწორებელი, ჰარმონიულისა და გონივრულისადმი კეთილად განწყობილი ხასიათი მაქვს; სწავლული ვარ და „ლათინური ლაშქრის“ *conjuratus**-ი, თუმცა არც ხელოვნება ჩემთვის მთლად უცხო (*viola d'amore*-ზე ვუკრავ), ოღონდ მუზეუმის პირმშო უფრო ამ სიტყვის აკადემიური გაგებითა ვარ და თავს სიამოვნებით ვრაცხ „ბნელ კაცთა წერილებს“ დროინდელ გერმანელ ჰუმანისტთა მემკვიდრედ — როიჰლინის, კროტუს დორნჰაიმელის, მუციანუსისა და ეობან ჰესეს შთამომავლად. დემონურ საწყისს, თუმცა სრულიად არ უარვყოფ მის ზეგავლენას ადამიანის ცხოვრებაზე, ყოველთვის აღვიქვამდი როგორც ჩემთვის უცხო, ინსტინქტურად გამოვრიცხავდი მას ჩემი მსოფლადქმდიდან და სულაც არ მეპრიანებოდა, გაბედულად შევხმიაწებოდი ქვესკნელის ძალებს, მე თვითონ კადნიერად მეხმო ისინი, ხოლო როდესაც თვითონ მომადგებოდნენ მაცდურად, ნეკსაც არ ვანებებდი საკბე-

*ნაფიცი წერი (ლათ.).

ნად. ამგვარი სულისკვეთების გამო მსხვერპლის გაღება მიხდებოდა, იდეალურის სფეროშიც და გარეგნული კეთილდღეობის თვალსაზრისითაც. ასე, მაგალითად, ვადაძე ადრე გავანებე თავი ჩემს საყვარელ პედაგოგიურ მოღვაწეობას, როგორც კი დავრწმუნდი, რომ იგი აღარ შეესაბამებოდა ჩვენი ისტორიული განვითარების არსსა და მოთხოვნებს. ამ მხრივ ჩემი თავით კმაყოფილი ვარ. მაგრამ ასეთი სიმტკიცე ან, თუ გნებავთ, შეზღუდულობა ჩემი, როგორც ზნეობრივი პიროვნებისა, კიდევ უფრო მიღვივებს ეჭვს, ძალმიძს თუ არა იმ ამოცანის დაძლევა, რომელსაც შევეჭყიდე.

ეს-ეს არის კალამი მოვიმარჯვე და უკვე ისეთი სიტყვა ჩამოიღვე-ნთა ქალაქზე, რომ გულში დაბნეულობა ვიგრძენი – სიტყვა „გენიალური“: ჩემი ცხონებული მეგობრის გენიალურ მუსიკოსობაზე ვლაპარაკობდი. ისე კი, სიტყვა „გენია“ თუმცა ზომიერების ფარგლებს მიღმა დგას, მაგრამ მაინც უთუოდ კეთილშობილი, ჰარმონიული, ჰუმანური და სალი ჟღერადობისაა, იერისაა და ჩემნაირ კაცს, რაკი მას არავითარი პრეტენზია არა აქვს: ჩემს არსებასაც წილი უდევს ამ რეგიონებში და *divinis influxibus ex alto** დაჯილდოებული გახლავართო – რაიმე გონივრული საბაბი არ უნდა გააჩნდეს, მას უფროთხოდეს და მის შესახებ. პატივისცემით, მოკრძალებით და სახეგაბრწყინებელი არ ლაპარაკობდეს. ასე ჩანს. და მაინც არ შეიძლება იმის უარყოფა და არც არასოდეს არ უარყოფდნენ, რომ მათ შარავანდეთით მოსილ სფეროში შემაშფოთებელი წილხვედრი დემონურსა და სალი გონების საწინააღმდეგოზე მოდის, რომ მუდამ არსებობს რაღაც ფარული, შემადრწუნებული კავშირი ამ სფეროსა და ბნელეთის საუფლოს შორის და რომ სწორედ ამიტომ დამამშვიდებელი ეპითეტები, რომლებითაც მის შემკობას ვლამობდი: „კეთილშობილი“, „სალი“, „ჰუმანური“ და „ჰარმონიული“, – მთლიანად როდი მიესადაგებოან, თვით მაშინაც კი – გულის ტკივილით ვახდენ ასეთ გამიჯვნას – თვით მაშინაც კი, როდესაც საქმე ეხება ხალასსა და შეურყვნელ, ღვთის მიერ ნაწყალობევსა თუ მისჯილ გენიალობას და არა ძალდატანებითსა და დამლუპვეტლს – ბუნებრივი ნიჭის მკრეხელურსა და პათოლოგიურ წვას, სულის გაყიდვასა და ამაზრზენი გარიგების აღსრულებას.

აქ სიტყვა მიწყდება და ისეთი გრძნობა მეუფლება, თითქოს მხატვრობის თვალსაზრისით სამარცხვინო შეცდომა მომსვლოდეს

*ღვთაებრივი ზეშთავონებით (ლათ.).

და თავშეუკავებლობა გამომეჩინოს. თავად ადრიანი ალბათ არ დაუშვებდა, რომ, ვთქვათ, მის რომელიმე სიმფონიაში ნაადრევად აყდერებულყო ამგვარი თემა. ის ალბათ უფრო ნატიფად, შეფარვით, ძლივს აღსაქმელად შემოგვაპარებდა მას შორიდან. თუმცა შეიძლება ის, რაც უნებლიეთ წამომცდა, მკითხველმა მხოლოდ როგორც ბუნდოვანი, საეგებო მინიშნებად აღიქვას და მარტოოდენ მე მეჩვენებოდეს წინამასწარა მოურიდებლობად. ჩემნაირ კაცს მეტად უჭირს, ლამის კადნიერებადაც კი ესახება, იმ საგანს, რომელიც მისთვის სიცოცხლეზე ძვირფასია, რომელიც ერთი წამითაც არ აძლევს მოსვენებას, შემოქმედი ხელოვანის პოზიციიდან მიუდგეს, თითქოს გულს იყოლიებდეს, ისე აწონ-დანონოს და განსაჯოს. ამის გამო იყო, რომ წმინდა და არაწმინდა გენიოსს შორის განსხვავებას ასე ნაადრევად შევებუ. ეს განსხვავება მხოლოდ იმიტომ ვახსენე, რომ იმნამსვე მეკითხა: ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ კ ი არსებობს-მეთქი ასეთი რამ? მართლაცდა, ყოველივე იმან, რაც განვიცადე, მაიძულა ამ პრობლემაზე ისე დაძაბულად, ისე დაჟინებით მეფიქრა, რომ თავზარდაცემულს დროდადრო მეჩვენებოდა, თითქოს ამის გამო მეც ვლახავდი აზროვნების სფეროში საკუთრივ ჩემთვის ბოძებულ სამანებს და თვითონაც განვიცდიდი ჩემი ბუნებრივი შესაძლებლობების „არაწმინდა“ მოზღვავებას...

ისევ გამიწყდა თხრობის ძაფი, რადგან მომაგონდა: გენიასა და მის უ ც ი ლ ბ ლ ა დ დემონურ ბუნებაზე მხოლოდ იმიტომ დავინწყე ლაპარაკი, რომ განმემარტა, რატომ მეპარებოდა ეჭვი, გამაჩნია თუ არა ჩემი ამოცანის გადასაჭრელად საჭირო მონაცემები. ისე კი, სინდისის ქენჯნა იმითი მაინც შემიძლია გავიქარწყლო, რომ/მე წილად მხვდა ჩემი ცხოვრების მრავალი წელი გენიალური ადამიანის მახლობლად გამეტარებინა, შინაურულად ვყოფილიყავი ჩემს გმირთან, სიყრმიდანვე მცნობოდა, მონმე ვყოფილიყავი მის ჩამოყალიბებისა, ხვედრისა და შემოქმედებაშიც კი მცირედი რამ შემწეობა აღმომეჩინა ქლიბრეტო ლევერკიუნის ჭაბუკობის დროინდელი მხიარული ოპერისა შექსპირის კომედიის მიხედვით — „სიყვარულის ამაო გარჯა“ — მე მეკუთვინის და გროტესკული საოპერო სიუიეტის — „Gesta Romanorum“-ის ტექსტიც ჩემი მონაწილეობითაა შედგენილი, ასევე — ორატორიისაც: „გამოცხადებაი წმიდისა ღმრთისმეტყველისა იოანესი“. ამის გარდა, მე გახლავართ მისი ფასდაუდებელი ჩანაწერების მფლობელიც, რომლებიც ან უკვე ჩვენგან წასულმა მე მიანდერძა და არა ვინმე სხვას, საღ-სალამათმა ან, თუ

შეიძლება ასე ითქვას, შედარებით საღ-სალამათმა, ანუ იურიდიული თვალსაზრისით ჯანმრთელმა, და რომელთაც თხრობის წამს დავეყრდნობი. უფრო მეტიც, მინდა მათგან ზოგიერთი საგანგებოდ შერჩეული ნაწყვეტი პირდაპირ ჩავრთო კიდეც ჩემს ნაამბობში. ბოლოს, რაც თავის გასამართლებლად უმთავრესი და უპირველესი საბუთია, თუ ადამიანთა წინაშე არა, ღმერთის წინაშე მაინც: ქმე იგი მიყვარდა — ძრწოლით, ნაზად, გულის ტკივილით, თავდადებითა და თაყვანისცემით, თან არ დაგიღვევდით, ოდნავ მაინც იზიარებდა თუ არა მეგობარი ჩემს გრძნობას. |

ო, არა, არ იზიარებდა. მუსიკალურ თხზულებათა ესკიზები და დღიური რომ დამიტოვა, ეს მის საქმიან-მეგობრულ დამოკიდებულებას გამოხატავს, ლამის ვთქვა: გულმონყალე დამოკიდებულებას-მეთქი, და უთუოდ ჩემთვის საპატიო ნდობას — ჩემი კეთილსინდისიერების, სინმინდისა და წესიერების რწმენას. ხოლო სიყვარულით კი, განა ვინმე ჰყვარებია ამ კაცს? ოდესღაც ერთი ქალი — ალბათ. სიცოცხლის დასასრულს კი ბავშვი — ესეც შეიძლება დავუშვათ. აგრეთვე, ერთი სანდომიანი და ქარაფშუტა, ყველას გულს რომ ინადირებდა, ისეთი კაცი, რომელიც შემდგომ, როგორც ჩანს, სწორედ იმის გამო, რომ გული ჰქონდა მასზე შევარდნილი, თავიდან მოიცილა, სახელდობრ, სასიკვდილოდ გაისტუმრა. ვისთვის გაუნდვია ხვაშიადი? ვის ჩაუხედავს მის ცხოვრებაში? ასეთი რამ ადრიაანს არ ემართებოდა. ღმერთმანი, ადამიანთა ერთგულებას ისე იღებდა, რომ ხშირად მას ვერც კი ამჩნევდა; მისი გულგრილობა იქამდე მიდიოდა, რომ თითქმის არასოდეს არ იცოდა, მის ირგვლივ რა ხდებოდა, რა საზოგადოებაში იმყოფებოდა და ის ფაქტი, რომ მოსაუბრეს ძალზე იშვიათად მიმართავდა სახელით, მაფიქრებინებს — მან ეს სახელი სულაც არ უნყოდა, მაშინ როდესაც თანამოსაუბრეს სრული უფლება ჰქონდა პირიქით ჰგონებოდა. | ადრიაანის მარტოობას უფსკრულს შევადარებდი, რომელშიც უჩუმრად და უკვალოდ ინთქმებოდა გრძნობები, მის მიმართ რომ იჩენდნენ ადამიანები. მის ირგვლივ ს ი ც ი ვ ე ს დაესადგურებინა — რა სიმძიმით მევსება სული, როდესაც სიტყვა „სიცივეს“ ვწერ, რომელიც ოდესღაც განა თვითონ არ ახსენა ესოდენ შემადრწუნებელ კონტექსტში! ცალკეულ სიტყვებს ცხოვრება და გამოცდილება ისეთ ემოციურ იერს ანიჭებს, რაიც სრულიად უცხოა მათი ყოველდღიური მნიშვნელობისათვის; ეს კი მათ ისეთ მრისხანე არილში ახვევს, რომელსაც ვერავინ ხედავს, თუ ერთხელ მაინც არ გასცნობია მათს უსაშინლეს მნიშვნელობებს. |

მე ფილოსოფიის დოქტორი ზერენუს ცაიტბლომი გახლავართ. ასე ნაგვიანებად რომ გაგაცანით თავი, ჩემთვისაც უცნაურია, მაგრამ, რა გაეწყობა, თხრობის მსვლელობამ აქამდე ამის საშუალება არ მომცა. სამოცი წლის გავხდი უკვე, რამეთუ ოჯახის პირმშო — ჩემს მშობლებს შემდეგ კიდევ სამი შვილი შეეძინათ — 1883 წელს დავიბადე ზაალეს კაიზერსაშერნში (მერზებურგის რაიონი), იმავე ქალაქში, სადაც ლევერკიუნმა მონაფეობის წლები თავიდან ბოლომდე გაატარა. ამიტომ შემიძლია მისი აღწერა მანამდე გადავდო, ვიდრე ამ წლების მსვლელობას გიამბობდეთ. საერთოდ, ვინაიდან ჩემი ცხოვრების გზა მრავალმაგად არის გადახლართული დიადი მაესტროს ცხოვრების გზასთან, ურიგო არ იქნება, თუ მათ ერთმანეთთან შერწყმულად მოგიხრობთ, რათა ხელი არ მომეცაროს და ამბებს წინ არ გადავუსწრო ხოლმე. საამისოდ ხომ ისედაც მუდამ განწყობილი ხარ კაცი, როცა გული სავსეა მოზღვაკებულ გრძნობებით.

აქ მხოლოდ აღვნიშნავ, რომ საშუალო წოდების ზომიერ, ნახევრად ინტელიგენტურ წრეში დავიბადე. მამაჩემი, ვოლგემუტ ცაიტბლომი, აფთიაქარი იყო, და თანაც გამორჩეული: კიდევ, მეორე ფარმაცევტული დანესებულებაც არსებობდა კაიზერსაშერნში, მაგრამ მას საზოგადოება ისე არ ენდობოდა, როგორც ცაიტბლომისეულ აფთიაქს, რომელსაც „სულმნათი მოციქულები“ ეწოდებოდა, და ამიტომ ამ მეორეს მუდამ უჭირდა მასთან მეტოქეობა. ჩვენი ოჯახი ქალაქის მცირერიცხოვან კათოლიკურ მრევლს ეკუთვნოდა, მაშინ როდესაც მოსახლეობის უმრავლესობა პროტესტანტები იყვნენ. დედაჩემი სათნო მხევალი გახლდათ ეკლესიისა და კეთილსინდისიერად ასრულებდა რელიგიურ წეს-ჩვეულებებს, მამაჩემი კი, როგორც ჩანს, მოუცლელობის გამოც, მათ დაუდევრად ეკიდებოდა, თუმცა ამის გამო უარზე როდი იყო მხარი აება ხოლმე თავის ერთმორწმუნეთა დაჯგუფებისათვის, რასაც, რასაკვირველია, პოლიტიკური მნიშვნელობაც ჰქონდა. საყურადღებოა, რომ ჩვენი მოძღვრის — ეკლესიის მრჩეველ ცვილინგის გვერდით ქალაქის რაბინიც, დოქტორი კარლებახიც იჯდა ხოლმე ლაბორატორიისა და აფთიაქის თავზე მდებარე ჩვენს სასტუმრო ოთახში, ეს კი პროტესტანტულ ოჯახში ალბათ ძნელად წარმოსადგენი ამბავი იქნებოდა. გარეგნულად რომის ეკლესიის წარმომადგენელი უკეთ გამოიყურე-

ბოდა, მაგრამ ჩემი შთაბეჭდილებით, რაც უმთავრესად ალბათ მამაჩემის გამონათქვამებიდან შემექმნა, ეს ფესით დამშვენებული, ტანდაბალი და გრძელწვერა თალმუდისტი სხვა სჯულის კაცს, მაგრამ ხელობით მაინც თავის თანამოძმეს ბევრად აღემატებოდა განსწავლულობითა და რელიგიური გამჭრიახობით. შესაძლოა, ახალგაზრდობაში განცდილის ბრალია, მაგრამ ალბათ ებრაელთა წრეების ინტუიციური კეთილგანწყობილებისაც ლევერკიუნის შემოქმედებისადმი, რომ მე სწორედ ებრაელთა საკითხის დასმასა და მისი გადაწყვეტის ცდაში ბოლომდე ვერ ვუჭერდი მხარს ჩვენს ფიურერსა და მის პალადინებს. ამის გამოც იყო, რომ გული ამიცრუვდა პედაგოგიურ მოღვაწეობაზე. ისე კი, ამ მოდგმის სხვა ნაშიერთაც გადავყრივარ – ჩემთვის მიუნჰენელი სწავლულის – ბრაიზახერის გახსენებაც კმარა, რომლის შემაშფოთებლად ანტიპათიურ იერსახეს მე სათანადო ადგილას გავაშუქებ.

რაც შეეხება ჩემს კათოლიკურ წარმომავლობას, რა თქმა უნდა, ამან ჩემს შინაგან სამყაროს დალი დაასვა, ზეგავლენა მოახდინა მასზე, მაგრამ ცხოვრების კათოლიკური შეფერილობა არასოდეს არ ეწინააღმდეგებოდა ჩემს ჰუმანისტურ მსოფლმხედველობას, ჩემს სიყვარულს „ხალასი ხელოვნებისა და მეცნიერებისა“, როგორც უწინ იტყოდნენ ხოლმე. ეს ორი ელემენტი მშვენივრად თავსდებოდა ჩემს პიროვნებაში, რაც არცთუ ისე ძნელია, თუკი კაცი ძველ ქალაქში აღიზარდე, რომლის ტრადიციები და არქიტექტურული ძეგლები სქიზმის წინარე ეპოქებში, ერთიან ქრისტიანულ სამყაროში იღებენ სათავეს. თუმცა კაიზერსაშერნი იმ მხარის შუაგულში მდებარეობდა, სადაც რეფორმაციის აკვანი დაირწა, ლუთერის მხარეში, ქალაქებით: აისლენბენით, ვიტენბერგით, კვედლინბურგით, აგრეთვე გრიმათი, ვოლფენბიუტელითა და აიზენახით მოოჭვილ რეგიონში, რაც თავის მხრივ ბევრ რამეს გასაგებს ხდის ლუთერანი ლევერკიუნის შინაგანი ცხოვრებიდან და რამაც განაპირობა კიდევ თავდაპირველად მისი თეოლოგიის ფაკულტეტზე შესვლა, მაგრამ რეფორმაციას მე იმ ხიდს შევადარებდი, რომელსაც არა მხოლოდ სქოლასტიკის ხანიდან ჩვენი თავისუფალი აზროვნების ეპოქაში გადმოვყავართ, არამედ ასევე წარმატებით: ჩვენი დროიდან უკან, შუა საუკუნეებშიც, და თანაც ალბათ ბევრად უფრო უკან, ვიდრე საეკლესიო განხეთქილებისაგან ხელუხლებლად შემორჩენილ ქრისტიანულ-კათოლიკურ ტრადიციას განათლების ნათელი სიყვარულისა. ჩემი მხრით, მე

ძალზე შინაურულად ვგრძნობ თავს იმ ოქროს სფეროში; რომელშიც წმინდა ქალწულ მარიამს „Jovis alma parens“-ს* უწოდებდნენ.

რათა ცოტა კიდევ შევავსო ყოვლად აუცილებელი ცნობები ჩემი vita-ს** შესახებ, მოგახსენებთ, რომ მშობლებმა ხელი შემინყვეს, გიმნაზიაში მევლო, იმავე სკოლაში, სადაც ჩემზე ორი კლასით დაბლა ადრიანიც სწავლობდა. ეს სასწავლებელი მეთხუთმეტე საუკუნის მეორე ნახევარში იყო დაარსებული და ჯერ კიდევ სულ ახლო წარსულში ძველებურად „დუხჭირი ცხოვრების მოძმეთა სკოლა“ ეწოდებოდა. მხოლოდ ერთგვარმა უხერხულობამ, რასაც ამ სახელის მეტისმეტი ისტორიულობა და ახალი დროის ყურისათვის, ცოტა არ იყოს, სასაცილო უღერადობა იწვევდა, აიძულა ხელმძღვანელობა შელეოდა ძველ სახელწოდებას და მეზობელი ეკლესიის მიხედვით მისთვის წმ. ბონიფაციუსის გიმნაზია დაერქმია. მიმდინარე საუკუნის დასაწყისში მისი დამთავრების შემდეგ უყოყმანოდ შევუდექი კლასიკური ენების შესწავლას; ჯერ კიდევ მოწაფეობისას მეხერხებოდა ისინი და მერე მუყაითად ვეუფლებოდი მათ გისენის, იენისა და ლაიპციგის უნივერსიტეტებში, ხოლო 1904 წლიდან 1905 წლის ჩათვლით ჰალეშიც, და თანაც არცთუ შემთხვევით, რადგან იმ დროის ადრიან ლევერკიუნიც იქ სწავლობდა.

აქ არ შემიძლია, როგორც სხვა დროსაც ხშირად დამმართნია, ჩემი ჭია არ გავახარო და გაკვრით მაინც არ შევეხო კლასიკური ფილოლოგიით დაინტერესებასა და ადამიანის მშვენიერებისა და გონიერების ცხოველ სიყვარულს შორის არსებულ კავშირს, რომელიც მარტო იმითაც ხდება საცნაური, რომ ანტიკური ენებისა და ლიტერატურის შემსწავლელთ ჰუმანისტებს უწოდებენ, მაგრამ მთავარი მაინც ის არის, რომ ადამიანის სულში ენებითა და ჰუმანიტარული საგნებით გატაცება აღზრდის იდეით გვირგვინდება და ახალგაზრდობის აღმზრდელის მოწოდება თითქმის თავისთავად გამომდინარეობს კლასიკური ფილოლოგიის შტუდირებიდან. იტუნებისმეტყველების რეალიებით დასაქმებულ კაცს, რასაკვირველია, შეუძლია მასწავლებელი იყოს, მაგრამ ვერასოდეს ვერ იქნება აღმზრდელი იმ გაგებითა და ხარისხითაც, როგორითაც სიტყვაკაზმული მწერლობის თაყვანისმცემელი. აგრეთვე ჰანგების ენაც (თუ მუსიკას შეიძლება ასე ვუწოდოთ) იქნებ უფრო გულში ჩამწვდომი იქნას, მაგრამ უცნაურად დაუნაწევრებელია და, როგორც მე მეჩვენება, ვერ თავსდება

* „იუპიტერის მასაზრდობელ დედას“ (ლათ.).

** ცხოვრების (ლათ.).

პედაგოგიურ-ჰუმანურ სფეროში, თუმცა მე, რა თქმა უნდა, ვიცი, რომ მუსიკა დამხმარე როლს ასრულებდა ბერძნულ აღმზრდელობით სისტემაში და საერთოდ ჰოლისების საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ლოგიკურ-ზნეობრივი სიმკაცრის მიუხედავად, რითაც სურს თავი მოგვანონოს, მე მგონი, ის უფრო სულების საუფლოს განეკუთვნება და მე თავდებად ვერ დავუდგებოდი: სალი გონებისა და ადამიანური ღირსების საკითხებში ბოლომდე სანდოა-მეთქი. ხოლო თუ მაინც გულგრილი ვერა ვარ მის მიმართ, ეს ერთი იმ შეუსაბამობათაგანია, რომელნიც ჩვენდა სავალალოდ თუ საბედნიეროდ ადამიანის ბუნებას მარად თან ახლავენ.

ისევ გადავუხვიე თხრობის საგანს. თუმცა მაინცდამაინც არა, რადგან საკითხს, შეიძლება თუ არა კეთილშობილურ-დამრიგებლური სულის სამყარო მკვეთრად, საიმედოდ გავმიჯნოთ გრძელ სულთა საუფლოსაგან, რომელთანაც დაახლოება მუდამ საფრთხეს უქადის კაცს, უშუალო და თანაც ვაი, რომ ერთობ უშუალო კავშირი აქვს ჩემს საგანთან. ან ადამიანის სხვა რომელი მხარეა, თუნდაც ყველაზე ნათელი, ღირსეული და კეთილსასურველი, რომელიც სრულიად შეუვალი იქნებოდა ქვენა ძალების ზეგავლენისაგან, დიახ, უფრო მეტიც, რომელიც სრულიად არ საჭიროებდეს მათთან გამანაყოფიერებელ კონტაქტს? ეს აზრი, არცთუ შეუფერებელი თვით ისეთი სულისკეთების კაცისათვის, ვისთვისაც დემონურობა უცხო ხილია, მე იტალიასა და საბერძნეთში თითქმის წლინახევრიანი მოგზაურობისას დამებადა, სადაც ჩემმა კეთილმა მშობლებმა სახელმწიფო გამოცდების ჩაბარების შემდეგ გამისტუმრეს. სახელდობრ, აკროპოლიდან წმინდა გზას რომ გადავცქეროდი, რომელზედაც ზაფრანისფერი შუბლსაკრავებით შემკულნი მისტერიათა მონაწილენი მიემართებოდნენ ხოლმე და იაკვოსის სახელი ეკერათ პირზე, და შემდეგ, როცა თვით საიდუმლოს ზიარების ადგილას ვიდექი ევბულოსის მახლობლად, კლდეებით შემოჯარული პლუტონის ხევის პირას. მაშინ ვიგრძენი გუმანით სიცოცხლის განცდის ის მოზღვავება, რომელიც ოლიმპიელ ბერძენთა ქვესკნელის ღვთაებათა თავყვანისცემაში გამოიხატება. უფრო მოგვიანებით კი არაერთხელ განმიმარტავს უფროს კლასელთათვის კათედრიდან, რომ კულტურა არსებითად არის ბნელი ძალების სათნოდ და მონესრიგებულად, მე ვიტყვოდი, დამაშოშმინებლად ჩართვა ოლიმპიელ ღმერთთა კულტში.

მოგზაურობიდან დაბრუნებულს და უკვე ოცდაექვსი წლისას ადგილი მომცეს ჩემი მშობლიური ქალაქის გიმნაზიაში, ანუ იმავე

სასწავლებელში, სადაც აღვიზარდე. აქ რამდენიმე წელიწადი უმცროს კლასებში ლათინურს, ბერძნულს და ისტორიას ვასწავლიდი, ხოლო 1914 წელს კი ბავარიის განათლების სისტემაში გადავედი და ფრაიზინგში, სადაც მას შემდეგ მუდმივად ვცხოვრობ, გიმნაზიის პროფესორად მოვეწყვე, ვიყავი აგრეთვე ღვთისმეტყველების უმაღლესი სასწავლებლის დოცენტიც და ზემოთ დასახელებულ საგნებში ორ ათეულ წელზე მეტხანს გატაცებით ვმოღვაწეობდი.

მე ადრე დავექორწინდი, როგორც კი კაიზერსაჰერში მასწავლებლად დამნიშნეს. წესრიგის სიყვარულმა და ცხოვრების ფერხულში პატიოსნად ჩაბმის სურვილმა გამაბედინა ეს ნაბიჯი გამამდგა. ჰელენე ოლჰაფენი, ჩემი სანაქებო ცოლი, რომელიც დღესაც, ან უკვე ხანში შესულს, ერთგულად მივლის, ფაკულტეტითა და თანამდებობით ჩემი ერთი უფროსი კოლეგის ქალიშვილი, წარმოშობით ცვიკაუდან იყო, საქსონიის სამეფოდან. თუმცა ვშიშობ, მკითხველს ღიმილი არ მოვგვარო, მაგრამ მაინც მინდა ვაღიარო, რომ ნორჩი ქალიშვილის სახელმა, ჰელენემ, ჩემთვის ძვირფასმა ამ ბგერათშეხამებამ, არჩევანში არცთუ უმნიშვნელო როლი შეასრულა. ასეთი კურთხეული სახელი მირონივით არის, მისი ხიბლი ვის არ მოაჯადოებს, დაე თუნდაც მისი გარეგნობა, ვისაც ჰელენე ჰქვია, მშვენიერების მაღალ მოთხოვნებს მარტოოდენ ბიურგერულად სადად აკმაყოფილებდეს და ისიც მხოლოდ მცირე ხნით, ვიდრე ახალგაზრდული სიტურფე მსწრაფლ გაქრებოდეს. ჩვენს ქალიშვილსაც, რომელიც დიდი ხანია გათხოვილია რეგენსბურგში, კარგ კაცზე, ბავარიის საკრედიტო ბანკის ფილიალის პროკურისტზე, ჰელენე დავარქვით. ასე რომ, როგორც ყოველ ადამის ძეს შეჰფერის, მამობის სიხარული და საზრუნავი მეც გამოვცადე, ოღონდ ზომიერ ფარგლებში, რასაკვირველია. უნდა ვაღიარო, რომ ჩემი არც ერთი შვილი რაიმეთი დიდად გამორჩეული არასოდეს არ ყოფილა. ბავშვური სილამაზით ვერც ერთი მათგანი ვერ შეედრებოდა პატარა ნეპომუკ შნაიდევაინს, ადრიანის დისწულსა და სიცოცხლის ბოლო ხანს მის თვალის ჩინს, — მზადა ვარ, პირველმა მე განვაცხადო ეს. დღესდღეობით ჩემი ვაჟები თავიანთ ფიურერს ემსახურებიან — ერთი სამოქალაქო თანამდებობაზე, მეორე კი შეიარაღებულ ძალებში, და რადგან საერთოდ ჩემმა კრიტიკულმა პოზიციამ სამშობლოს აწინდელ მესვეურთა მიმართ ჩემს ირგვლივ ერთგვარი სიცარიელე წარმოქმნა, ორივე ყმანვილი კაცის კავშირიც მამისეულ მყუდრო სახლთან საგრძნობლად შესუსტდა.

ლევერკიუნები ოდიტგანვე ჩინებული ხელოსნები და მეურნეები იყვნენ და მდინარე ზაალეს პირას ცალკერძ შმალკალდენის ოლქსა და ცალკერძ საქსონიის პროვინციაში მკვიდრობდნენ. უშუალოდ ადრიანის წინაპართაგან მრავალი თაობა ობერვაილერის სოფლის სამწყსოში შემავალ ადგილ-მამულ ბუხელს ფლობდა, რკინიგზის სადგურ ვაისენფელზის მახლობლად. აქამდე კაიზერსაშერნიდან მატარებლით ორმოცდახუთი წუთის სავალი იყო, შემდეგ კი ფორნებით ხვდებოდნენ მგზავრებს; ბუხელისთანა ადგილ-მამულის პატრონი შეძლებულ გლეხად ითვლებოდა: ბარე ორმოცდაათი მორგენი სახნავ-სათესი მიწა და სათიბები, საზიარო სავარგული — შერეული ტყე, აგრეთვე ქვის ბალავარზე გამართული ხის მამაპაპური სახლი, ბელლებსა და ბოსლებთან ერთად ღია ოთხკუთხედს რომ ქმნიდა. ამ ოთხკუთხედის შუაგულში ჩემთვის მარად დაუფინყარი, ივნისის თვეში სურნელოვანი ყვავილებით გადაპენტილი და მწვანე მერხით გარემოცული ასწლოვანი ცაცხვი იდგა. ლამაზი ხე, ცოტა არ იყოს, ხელს უშლიდა ფორნების მიმოსვლას ეზოში და გამიგონია, თითქოს ყოველი მემკვიდრე ვაჟი ჭაბუკობისას მამის დაყოლიებას ლამობდა: ხელს გვიშლის, უნდა მოვჭრათო, მაგრამ შემდგომ, დავაჟკაცებული და უკვე კარ-მიდამოს ბატონ-პატრონი, ახლა თვითონ იცავდა ამ ხეს თავისი ვაჟიშვილის, ახალი მემკვიდრის ავ ზრახვათაგან.

ვინ იცის, რაოდენ ხშირად იფარებდა თავის ჩეროში ეს ცაცხვის ხე პატარა ადრიანს შუადღის ძილისა თუ თამაშის უამს — ცოლ-ქმარ იონათან და ელსბეთ ლევერკიუნების მეორე ვაჟს, რომელიც 1885 წელს, ხეების ყვავილობისას, ბუხელის სახლის ზედა სართულზე დაიბადა. მისი ძმა გეორგი, ამჟამად უეჭველად იმ ადგილ-მამულის მეპატრონე, ხუთი წლით უფროსი იყო, ხოლო და, ურზელი, ადრიანთან შედარებით ამდენივე ხნით გვიან გაჩნდა. ვინაიდან ლევერკიუნების კაიზერსაშერნელ მეგობართა და ნაცნობთა წრეს ჩემი მშობლებიც ეკუთვნოდნენ და, უფრო მეტიც, ჩვენს ოჯახებს შორის ძველთაგანვე განსაკუთრებით გულითადი ურთიერთგაგება სუფევდა, ჩვენ ზაფხულობით ზოგჯერ კვირადღეს ბუხელში ვატარებდით, სადაც ფრაუ ლევერკიუნი მადლიერ ქალაქელებს სოფლის გულუხვი ნობათით გვიმასპინძლებოდა: შინ გამომცხვარი თალხი პურითა და ახალშედღებილი კარაქით, ოქროსფერი ფიჭიანი თაფლითა და ნაღებმოსხმული ნუგბარი ხენდროთი, აგრეთვე პატარა ლურჯ

ქილებში შედეგებული საქარმოყრილი და შავფაშარბურჩაყრილი მანწნით. ადრიანის, ანდა ადრის, როგორც შინ ეძახდნენ, ყრმობის პირველ წლებში მეურნეობის განმგებლად ისეე პაპამისი და დიდედა ითვლებოდნენ, მაშინ როდესაც საქმეს უკვე მთლიანად უმცროსი თაობის წარმომადგენლები უძღვებოდნენ. უკბილო ბერიკაცი მხოლოდ ვახშობობისას თუ გააბამდა ხოლმე მსჯელობას მეურნეობის ამა თუ ის საკითხზე და დანარჩენები, უნდა ითქვას, ყოველთვის მოკრძალებით უსმენდნენ. ადრიანის ამ ორი წინაპრის შესახებ, რომლებიც მალე თითქმის ერთდროულად გარდაიცვალნენ, ცოტა რამ თუ შემომრჩა მეხსიერებაში. სამაგიეროდ, ახლაც ცხადლივ თვალწინ მიდგანან იონათან და ელსბეთ ლევერკიუნები, ოღონდ მათი გაქვავებული ხატებანი კი არა, არამედ ცვალებადი: მახსოვს, ჩემი მონაფეობისა და სტუდენტობის წლებში დრო-ჟამის შემპარავ-მა ხელმა რა შეუმჩნეველად გადააქცია ახალგაზრდა და ჯან-ლონით აღსავსე ცოლ-ქმარი ხნიერ, ცხოვრებისაგან უკვე დაღლილ ადამი-ანებად.

იონათან ლევერკიუნი წმინდა წყლის გერმანელი იყო, ამ სიტყვის საუკეთესო მნიშვნელობით, ტიპი, რომელიც ჩვენს ქალაქებში თითქმის აღარ გვხვდება, ხოლო იმათ შორის ხომ სულ ვერ იპოვით, ვინც დღეს ჩვენი ხალხის სახელით სავალალოდ ბობოქრობს მთელი მსოფლიოს წინაშე, — მისი სახე გარდასულ დროთა წინაშე ჩანდა გამოჭედილი, სოფლად თითქოსდა საგანგებოდ შემონახული და ოცდაათწლიანი ომის წინა გერმანული სინამდვილიდან ჩვენამდე მოღწეული. ამას ვფიქრობდი ხოლმე, როდესაც ჯერაც მოზარდის, მაგრამ უკვე ასე თუ ისე დაკვირვების უნარის მქონე თვალით ვუჭვრეტდი. ოდნავ განწილი ჩალისფერი თმა თალივით მოყვანილი, მკვეთრად შუაზე გაყოფილ და საფეთქლებთან ძარღვებდაქსელილ შუბლზე ჩამოშლოდა, უკან კი, ხშირი და არცთუ მოდურად მოშვებული, ლამის მხრებამდე სწვდებოდა, ხოლო ლამაზად მოყვანილ პატარა ყურებთან უფრო ღია ფერის ქერა ხუჭუჭა წვერთან იყო შეზრდილი, ყბებსა და ნიკაპს რომ უფარავდა და ქვედა ტუჩამდე ატანდა. ეს ტუჩი საკმაოდ ძლიერად და მრგვალად წინ წამოსწეოდა მოკლე, ოდნავ დაფანჩულ უღვაშებთან შედარებით და ზედ ღიმილი დასთამაშებდა, რომელიც საუცხიოდ ერწყმოდა ცოტათი დაძაბულ, ღრმა, მაგრამ ასევე ნახევრად მოღიმარ ცისფერი თვალების მორიდებულ გამოხედვას. ცხვირი თხელი და კოხტად ჩამოქნილი ჰქონდა. წვერით დაუფარავი ლოყის ნაწილები ცოტათი გამხდარს

აჩენდა, ღანვებს ქვემოთ თითქოს ჩრდილი ადგასო, ისე ჩაღრმავებოდა, ძარღვიან ყელს მეტწილად არაფერი არ უფარავდა, საყოველთაოდ მიღებული ქალაქური ტანსაცმელი არ უყვარდა და არც უხდებოდა. — განსაკუთრებით მის ხელებს, მის ღონიერ, მზენასკამ, მშრალსა და ოდნავ ჭორჭლიან ხელს, რომლითაც ხელჯოხის მოკაუჭებული თავი ეჭირა ხოლმე, როდესაც სოფლისკენ გასწევდა თემშარაზე.

ექიმის დაკვირვებული თვალი მას ოდნავ დაბინდული გამოხედვისა და გამჭვირვალე საფეთქლების გამო შაკიკისაკენ მიდრეკილებას მიაწერდა, რაც იონათანს მართლაც სჭირდა, ოღონდ ზომიერად, თვეში ერთხელ თუ მოეძალებოდა, ისიც ერთი დღით და მუშაობაში თითქმის ხელს არ უშლიდა. ჩიბუხი უყვარდა, თავსახურთან, არცთუ გრძელ ფაიფურის ჩიბუხს ეწეოდა, რომლის თავისებური მძაფრი სუნი, ბევრად უფრო სასიამოვნო, ვიდრე სიგარის ან სიგარეტის დაგუბებული კვამლია, ქვედა ოთახებში ყველგან იგრძნობოდა. უყვარდა აგრეთვე ვახშობისას ძილის წამლად ერთი კათხა მერზებურგული ლუდის გამოცლაც. ზამთრის საღამოებში, როცა გარეთ მისი სარჩო-საბადებელი თოვლის ქვეშ გაირინდებოდა, ხშირად კითხვით გართულს ხედავდნენ. მემკვიდრეობით მიღებულ სქელტანიან ბიბლიას კითხულობდა მეტწილად, რომელიც ტვიფრულ ღორის ტყავის ყდაში იყო ჩასმული, ტყავისავე ბალთებით იკვრებოდა და 1700 წელს ბრაუნშვაიგში იყო დაბეჭდილი ჰერცოგის ნებართვით. წიგნი შეიცავდა არა მხოლოდ დოქტორ მარტინ ლუთერის „მახვილგონიერ“ წინათქმებსა და მინდვრებზე დართულ შენიშვნებს, არამედ ათასნაირ დამრიგებლურ დასკვნებსა, *10000 paralleles** და ყოველი თავის ისტორიულ-ზნეობრივ განმარტებებს, ლექსად შეთხზულთ ვინმე ბატონ ფონ შვაინიცის მიერ. ლევერკიუნების ოჯახში ამ ბიბლიაზე თქმულება იყო შემონახული ან, უფრო ზუსტად, გარკვეული გადმოცემა, რომელიც თაობიდან თაობაში გადადიოდა და რომლის მიხედვით წიგნი ოდესღაც იმ პრინცესა ფონ ბრაუნშვაიგ-ვოლფენბიუტელს ეკუთვნოდა, პეტრე დიდის ვაჟს რომ მისთხოვდა. შემდეგ პრინცესამ თავი მოიმკვდარუნა, ასე განსაჯეთ, მისი დაკრძალვაც კი შედგა, თავად კი კუნძულ მარტინიკაზე გაიპარა და იქ ვიღაც ფრანგს გაჰყვა ცოლადო. ადრიანი კომიკურ ამბებს ხარბად ეტანებოდა და შემდგომ ხშირად უცინია ჩემთან ერთად ამ

*პარალელურ ადგილებს (ლათ).

თქმულების თაობაზე, რომელსაც მამამისი ჰყვებოდა ხოლმე: თავს აიღებდა წიგნიდან, უძირო თვალების სათუთი მზერით მოგვაჩერდებოდა და ისე. აშკარად ეტყობოდა, რომ წმინდა წიგნის, ცოტა არ იყოს, სკანდალური ბედ-იღბალი არ ეუხერხულებოდა და დაამთავრებდა თუ არა თხრობას, ისევ მიუბრუნდებოდა ბატონ ფონ შვაინციცის გალექსილ კომენტარებს ანდა „სოლომონ ბრძენის მიერ ქვეყნის მესვეურთა დარიგებას“.

სასულიერო წიგნების პარალელურად ადრიანის მამა სხვა ლიტერატურასაც კითხულობდა და მისი საკითხავი მასალის ეს მეორე კომპონენტი ისეთი გახლდათ, რომ გარკვეულ ეპოქაში ალბათ იტყოდნენ: „სტიქიონთა განსჯა“ სურსო, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ბუნებისმეტყველების, ბიოლოგიის, აგრეთვე ფიზიკისა და ქიმიის საკითხებს ჩაჰკირკიტებდა, რასაკვირველია, მცირე მასშტაბით და მცირედითვე საშუალებებით. ამაში მამაჩემი უმართავდა ხელს: დროდადრო საჭირო მასალით ამარაგებდა თავისი ლაბორატორიიდან. მე კი მისი მეცადინეობის აღსანიშნავად გარდასულ დროთა ეს არცთუ უწყინარი გამოთქმა იმიტომ ავირჩიე, რომ ამ საქმიანობის მისტიკური შეფერილობისათვის გამესვა ხაზი, რისთვისაც უწინ შეიძლებოდა ჯადოქრობა დაებრალებინათ. ისე კი, მინდა დავსძინო, რომ რელიგიურ-სპირიტუალისტური ეპოქის ეს უნდობლობა ბუნების საიდუმლოებათა ამოხსნით მზარდი გატაცების მიმართ ჩემთვის მუდამ სავსებით გასაგები იყო. ღვთისამოშიშობას ამაში აკრძალულთან გამხრწნელი გაშინაურება უნდა დაენახა, თუ აღარაფერს ვიტყვით იმაზე, რომ ამის შედეგად ღვთის ქმნილება – ბუნება და ცხოვრება – ზნეობრივად საჭოჭმანო სარბიელად იქცეოდა. თავად ბუნებაში ისე ჭარბად გვხვდება თვალთმაქცური წარმონაქმნები; ორჭოფული ხუმტურები, ნახევარად შენიღბული, უცნობი რეგიონებისაკენ უცნაურად მიმთითებელი ფაქტორები, რომ მისი კვლევა თვინიერ, თავისი თავის ნებაყოფლობით შემზღუდავ სათნობას არ შეიძლება კადნიერ წრეგადასულობად არ მოეჩვენოს.

როდესაც ადრიანის მამა საღამოობით თავის ფერად-ფერად ნახატებით შემკულ წიგნებს გადაშლიდა, რომლებიც ეგზოტიკურ პეპლებსა და ზღვის ცხოველებს აღწერდნენ, ჩვენ, ესე იგი მისი ვაჟი-შვილები და მე, ხოლო ზოგჯერ ფრაუ ლევერკიუნიც, მისი სავარძლის ტყავადაკრული, ყურებიანი საზურგის უკან ვიდექით და შიგ ისე ვიხედებოდით, ხოლო თვითონ კი სალოკი თითით გვიჩვენებდა წიგნში გამოსახულ საკვირველებებს: პალიტრის ყველა ფერით


მოციგლიგე, მრუმე და ნათელფენილ, უნატიფესი გემოვნებითა და ხელოვნებით მოჩითულ-მოყვანილ ტროპიკულ პეპლებსა და სხვა მწერებს, — ფანტასტიკურად გადაჭარბებული მშვენიერების ალამდარებს, ეფემერულად ხანმოკლე სიცოცხლე რომ მომადლებიათ.

— ზოგიერთ მათგანს ადგილობრივი მკვიდრნი ავ სულებად მიიჩნევენ, ციების გამავრცელებელ ბატონებად. უშესანიშნავესი ფერი, რომელიც კი მათ ამკობს, წარმტაცია, საოცნებო ლაჟვარდისფერი, — გვასწავლიდა იონათანი, — სულაც არ არის ნამდვილი, ცინცხალი ფერი, არამედ ნას პანანკინტელა ღარები და შემადლებები წარმოქმნიან, ფრთების ქერცლიან საფარზე რომა აქვთ, — მიკროსტრუქტურა, რომელიც სინათლის სხივებს მარჯვედ გადატეხს, მათ უმეტესობას შთანთქავს და ზრუნავს იმისათვის, რომ ჩვენმა თვალმა მარტოოდენ გაცისკროვნებული სილურჯე აღიქვას.

— ერთი უყურეთ, — ახლაც ჩამესმის ყურში ფრაუ ლევერკიუნის ნათქვამი, — მაშ, ილუზია ყოფილა?

— შენ ცის სილაჟვარდესაც ილუზიას დაარქმევ, — შეესიტყვა ქმარი და თან ზურგს უკან გამოხედა, — რადგან მის წარმომქმნელ საღებავ მასალასაც ვერ დამისახელებ.

მართლაც, როდესაც ამას ვწერ, ასე მგონია, ისევე ფრაუ ელსბეთსა, გეორგსა და ადრიანთან ერთად ვდგავარ ოჯახის მამის სავარძლის უკან და მის თითს თვალს ვაკოლებ. ნიგში მინისფრთიანი პეპლებია გამოსახული, რომელთაც ქერცლი არ გააჩნიათ ფრთებზე, ამიტომ სიფრიფანა მინისაგან დამზადებულთ მიუგავთ და მხოლოდ ოდნავ უფრო მუქი ძარღვებითა აქვთ დაქსელილი. ერთ ასე გაშიშვლებულ-გამჭვირვალე პეპელათაგანს, მწუხრის ყამს ხეთა ჩეროში ფარფატის მოყვარულს, *Hetaera esmeralda* ეწოდება. მარტოოდენ ერთი მუქი, ფერადოვანი. მოიისფრო-მოვარდისფრო ლაქა ატყვია ჰეტერას ფრთებზე, რომელიც ფრენისას ქარის მიერ ატაცებულ ყვავილს ფურცელს ამსგავსებს, ვინაიდან სხვა არა ნაწილი მისი არა ჩანს. შემდეგ იქ იყო კიდევ ფოთლისებური პეპელა, რომლის ფრთები ზევიდან შეხმატკბილებულ ფერთა სამებით ბრწყინავდნენ, ქვევიდან კი განსაცვიფრებელი სიზუსტით იმეორებდნენ ფოთოლს. არა მხოლოდ მოყვანილობითა და ძარღვების ქსელით ჰგავდნენ მას, არამედ აგრეთვე წვრილმანი დაუხვენაობითაც, თითქოს ნამის წვეთები ეპკურა ზედ, სოკოს დაავადებისაგან მეჭეჭები ასხდა თითქოს და სხვა მისთანანი. როგორც კი ეს გაქექილი არსება ზევით აკეცილი ფრთებით ფოთლების ტევრში ჩამოჯდება, მაშინვე თვალთ-



ახედვიდან ქრება, ისე ზედმინევენით ერწყმის გარემოს, რომ თვით ყველაზე გაფაციცებული მტერიც ვეღარ გაარჩევს.

იონათანი არცთუ წარუმატებლად ცდილობდა გადმოედო ჩვენთვის თავისი აღფრთოვანება ესოდენ რაფინირებული მიმიკრიით, რომელიც ყველაფერს იმეორებდა, თვით ცალკეულ ხარვეზებსაც კი. „როგორ შეიძლო ეს პირუტყვმა? — კითხულობდა ის. — როგორ აღწევს ამას ბუნება ცხოველის მეშვეობით? ვინაიდან, აბა, როგორ გინდათ დაუშვათ, რომ ამ არსებამ თვითდაკვირვებისა და წინასწარი გაანგარიშების შედეგად შეიმუშავა ასეთი ფანდი? დიახ, დიახ, ბუნება ზედმინევენით იცნობს თავის ფოთოლს, არა მხოლოდ მის იდეალურ სრულყოფილებას, არამედ კონკრეტულ გამოვლინებასაც, მის ყოველდღიურ ნაკლოვანებებსა და ხარვეზებსაც, და კვიმატი კეთილგანწყობილებით იმეორებს მის შესახედაობას სულ სხვა სფეროში — ამ თავისი პეპლის ფრთათა ქვედა მხარეს, რათა სხვანი, თავისივე ქმნილებანი გააცრუოს. მაგრამ რაღა მაინცდამაინც ამ ჯიშსა აქვს ეს ეშმაკური უპირატესობა? და თუ მისთვის მართლაც მიზანშეწონილია, რომ უძრაობისას ფოთლისაგან არ განირჩეოდეს, მაშინ რაღა მიზანშეწონილებია ეს, თუ მას ამ პეპელაზე მონადირეთა მხრიდან შევხედავთ — მშვიერი ხვლიკების, ჩიტებისა და ობობების მხრიდან, რომელთა საზრდოს შეადგენს და რომელთა მახვილი მზერისათვის მაშინვე მიუწვდომელი ხდება, როგორც კი მოისურვებს? ამას გეკითხებით, რათა თქვენ თვითონ იგივე არ შემეკითხოთ“.

თუ ამ პეპელას თავის დასაცავად გაუჩინარება შეუძლია, საკმარისია ადრიანის მამისეული წიგნის კიდევ რამდენიმე ფურცელი გადაშალოთ და ახლა ისეთებს გაეცნობით, რომლებიც ამავე მიზანს გადაჭარბებული, ლამის მომაბეზრებელი თვალსაჩინოებით აღწევენ, შორიდანვე თვალში გხვდებიან, რადგან არა მხოლოდ სიდიდით გამოირჩევიან, არამედ არაჩვეულებრივად მდიდრულად მოხატულ-მოჩითულნი არიან, და როგორც ადრიანის მამა გვიხსნიდა, ასე თვალში საცემად და გამომწვევად მორთულ-მოკაზმულნი, ისინი დემონსტრაციულად ნელა დაფრინავენ. მაგრამ ამ აუჩქარებლობას ვერავინ უწოდებს კადნიერს, მას უფრო სიმძიმის ნატამალი სცხია, და თუმცა არავის არ ემალებიან, მაინც არც ერთი სულდგმული, არც მაიმუნი, არც ფრ.ინველი, არც კიდევ ხვლიკი ზედაც არ უყურებს: მათ. რატომ? იმიტომ, რომ ამაზრზენნი არიან და სწორედ თავიანთი თვალშისაცემი სილამაზითა და ზანტი ფრენით ყველას აგებინებენ ამ ამბავს. მათ წვენს ისეთი მყრალი სუნი და საზიზღარი გემო აქვს,

რომ თუ ერთხელაც რაღაც გაუგებრობა მოხდა, ვინმეს შეეშალა და ერთი ასეთი პეპლით ყელის ჩაგემრიელება მოისურვა, მაშინვე გულის რევით გარეთ გამოაფურთხებს. ეს ჯიშში რომ არ იჭმევა, მთელმა ბუნებამ იცის და ისინიც არხეინად დაფრინავენ; არხეინად, მაგრამ გარიყულად. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ მაინც, იონათანის სავარძლის უკან მდგომნი, საკუთარ თავს ვეკითხებოდით: ამგვარ უშიშროებაში პატივის ამყრელი რამ ხომ არ ურევია და თუ ურევია, მაშინ შეიძლება თუ არა მას არხეინი ენოდოს; ისე კი, ამ თავისებურებას, იცით, რა მოჰყვა? ზოგიერთი სხვა სახეობის პეპლებიც ეშმაკურად იმავე მდიდრულ საფრთხობელა სამოსში გამოენყვენ და ფრენითაც, ასევე დარბაისლურად და მელანქოლიურად დაფრინავდნენ, თუმცა ძალიან კარგად შეიძლებოდა მათი მირთმევა.

ადრიანს ეს ცნობები ისე ამხიარულებდა, ისეთი სიცილი აუფარდებოდა ხოლმე, რომ მთელი ტანით ცახცახებდა, თვალეზე ცრემლი მოადგებოდა და მეც ავყვებოდი ხოლმე, მეც გულიანად ვიცინოდი. მაგრამ ადრიანის მამა მაშინვე გვაშოშმინებდა, ჩუთო, – გვეტყოდა, რადგან უნდოდა ამ ამბებს კრძალვითა და მონინებით მოვკიდებოდით, – ისეთივე იდუმალი კრძალვით, როგორიცაა ის, მაგალითად, ნიჟარაზე გამოსახულ ჩვენთვის გაუგებარ ნიშნებს ათვალეირებდა, ვეება ოთხკუთხა გამადიდებელი შუშით შეიარაღებული, რომელსაც ზოგჯერ ჩვენც გვათხოვებდა ხოლმე. რასაკვირველია, ამ ქმნილებათა შესახედაობაც, – ზღვის ლოკოკინებისა და ნიჟარებისა ესე იგი, – აგრეთვე უაღრესად მნიშვნელოვანი რამ გახლდათ, ყოველ შემთხვევაში იმათთვის, ვინც მათ გამოსახულებებს იონათანის ხელმძღვანელობით ათვალეირებდა. მაინც რა დიდებული გულდაჯერებულობითა და ფორმის ერთსა და იმავე დროს თამამი და ფაქიზი შეგრძნების უნარით, უნატიფესი გემოვნებით იყო აგებული ეს პატარა ციხე-სიმაგრეები, მათი ტალანები, თალები და მოვარდისფრო შესავალნი, რა იგავმიუნვდომლად წარმტაცია იყო მათი ნაირ-ნაირი მოყვანილობის ქაშანურისებური ბრწყინვალეობა, შექმნილი მის ლაბისებურ მკვიდრთა მიერ, თუ, რასაკვირველია, იმ აზრს გავიზიარებთ, რომ ბუნება თვითონ ქმნის თავის თავს და შემოქმედს არ უზნობს შემწეად რომლის მდიდარი ფანტაზიის მქონე ხელოვნად და პატივმოყვარე კერამიკოსად წარმოდგენა ხომ უცნაურზე უცნაური რამ იქნებოდა; ასე რომ, არსად ისე ძალუმად არ განიცდი კაცი ცდუნებას, როგორც აქ, ხელმარჯვე შუამავალი ღვთაება, დემიურგი, ჩართო საქმეში. ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვა, აზრი იმის შესახებ, რომ ეს

უნატიფესი თავდაცვითი ნაგებობები თავად მოლუსკების წარმონაქმნია, ყველაზე გასაოცარი აზრია.

— თქვენ, — გვეტყოდა ხოლმე იონათანი, — შიგნით გაქვთ, და ამაში სულ იოლად შეგიძლიათ დარწმუნდეთ, თუკი იდაყვებს ან ნეკნებს ხელით გაისინჯავთ, მტკიცე საყრდენი, ჩონჩხი, რომელზედაც მიმაგრებულია თქვენი ხორცი, თქვენი კუნთები, და შიგნით მოქცეულს ყველგან თან დაატარებთ ან, უმჯობესია ვთქვათ, იგი დაგატარებთ. აქ კი ყველაფერი შებრუნებით არის. ამ არსებებმა თავიანთი სიმტკიცე გარეთ გამოიტანეს, სადგარად კი არა, სამყოფლად, სახლად გაიზადეს და სწორედ ის უნდა იყოს მიზეზი მისი სილამაზისა, რომ გარეგანი ფაქტორია და არა შინაგანი.

ჩვენ, ბიჭები, ადრიანი და მე, ცოტა არ იყოს, შეცბუნებულები გადაიხედავდით ხოლმე ერთმანეთს და ძლივს ვიმაგრებდით ღიმილს მამის ამგვარ შენიშვნებზე ხილულის პატივმოყვარეობის თაობაზე.

დროდადრო ეს გარეგნული სილამაზე ვერაგული ფანდი გახლდათ; ზოგიერთი ჯიშის ლოკოკინებს, მომხაზლავად ასიმეტრიული, ღია ვარდისფერი და დაძარღვეული ან კიდევ თეთრად დაწინკლული თაფლისფერი ნიჟარებით შეიარაღებულ ქმნილებებს, სახელი ჰქონდათ გატეხილი, შხამიანი კბენა იციანო, — და საერთოდაც, თუ ბუხელის კარმიდამოს პატრონს დაუჯერებდით, სიცოცხლის მთელ ამ საკვირველ ამბავს რაღაც საჭოჭმანო, რაღაც ფანტასტიკურად ორაზროვანი საწყისი ახლდა. მათი გარეგნობის უცნაურმა ორჭოფულობამ თავი იჩინა იმაშიც, რომ ამ წარმტაც ქმნილებებს სულ სხვა ადასხვანაირად იყენებდნენ. შუა საუკუნეებში ისინი ჯადოქრობისა და ალქიმიკოსების განუყრელ ინვენტარში წედიოდნენ, რადგან შხამებისა და სიყვარულის სამსალებისათვის ყველაზე შესაფერ ქურჭლად მიაჩნდათ. მაგრამ ამასთანავე ეკლესიებშიც იყენებდნენ სანაწილეების შესამკობად და თვით ბარძიმებადაც კი. რამდენი რამ არის აქ ერთმანეთში გადახლართული: შხამი და სილამაზე, შხამი და ჯადოქრობა, მაგრამ აგრეთვე ჯადოქრობაცა და ღვთისმსახურებაც. ალბათ ამდენს ჩვენ არც ვფიქრობდით, მაგრამ იონათან ლევერკიუნის კომენტარები ყოველივე ამას ბუნდოვნად მაინც გვაგრძნობინებდა.

რაც შეეხება საიდუმლო წარწერებს, რომლებიც მუდამ ასე აღეღებდნენ იონათანს, ისინი ახალი კალედონიის ერთ საშუალო ზომის ნიჟარაზე იყვნენ გამოსახულნი, მოთეთრო ფონი მქრქალი მონითალო-მოყავისფრო ნიშნებით იყო აჭრელებული. ეს ნიშნები, თითქ-

ოს ფუნჯით დაუხატავთო, ნაპირებთან ხალას შტრიჰებიან ორნამენტებში გადადიოდა, მაგრამ თაღოვანი ზედაპირის მეტ ნაწილზე ისე საგულდაგულოდ იყო გამოყვანილი, რომ პიქტოგრაფიას მოგაგონებდათ. როგორც მახსოვს, ეს ნიშნები ძალიან ნააგავდა ძველ აღმოსავლურ დამწერლობას, ვთქვათ, ძველ არამეულს. ასე რომ, ბოლოს მამაჩემი იძულებული გახდა თავისი მეგობრისათვის კაიზერსაშერნის არცთუ ღარიბი საქალაქო ბიბლიოთეკიდან არქეოლოგიური ნიგნები გამოეტანა ხოლმე, რომლებიც შეჯერებისა და შედარების საშუალებას იძლეოდნენ. რასაკვირველია, ამ კვლევა-ძიებას არავითარი შედეგი არ მოსდევდა, ან მხოლოდ ისე არეულ-დარეული და აბსურდული რომ აზრს ვერ გამოიტანდით. თვით იონათანიც აღიარებდა ამას, გულდანყვებილი, როდესაც საიდუმლოებით აღსავსე გამოსახულებას გვიჩვენებდა: „ახლა უკვე დადგენილია, — ამბობდა ის, — რომ ამ ნიშნების არსში ჩანვდომა შეუძლებელია. ვაი, რომ ასეა, ჩემო კარგებო. ჩვენს გონებას ისინი გაურბიან და, სამწუხაროდ, ალბათ მუდამ ასევე იქნება. თუმცა, როდესაც ვამბობ: გაურბიან-მეთქი, ეს მხოლოდ „საკუთარი თავის თვითგანდობის, თავის გამხელის“ საპირისპირო ცნებაა და ვერავინ დამარწმუნებს, რომ ბუნებამ ეს შიფრი, რომლის გასაღებიც ჩვენ არ გაგვაჩნია, მარტოოდენ სამკაულად დახაატა თავის ქმნილებას ნიჟარაზე. სამკაული და მნიშვნელობა მარად დაწყვილებულად მოედინებოდნენ. ძველი ნაწერებიც ხომ ერთსა და იმავე დროს სამკაულსაც განასახიერებდნენ და რაღაცას იუნყებოდნენ. ნურავინ მეტყვის, ეს ნიშნები არაფერს გვაძლავს! ჩვენთვის რომ მიუწვდომელია მათი აზრი, ამ დილემაში გონების თვალთ ჩახედვაც უდიდესი ნეტარებაა“.

ფიქრობდა თუ არა, რომ თუკი აქ მართლაც საქმე საიდუმლო ნაწერს ეხებოდა, ბუნებას საკუთარი, მისი ნიაღში აღმოცენებული, მწყობრი ენა უნდა ჰქონოდა? ხოლო თუ არა, ადამიანის მიერ გამოგონილთაგან რომელი უნდა აერჩია თავისი თავის გამოსახატავად? ჯერ კიდევ მაშინ, ყმანვილს, ნათლად მესმოდა, რომ ადამიანის გარეშე ბუნება არსებითად უენოა და სწორედ ეს აჩენს მას ჩემს თვალში საშიშრად.

დიახ; მამილო ლევერკიუნი ფიქრისა და განსჯის მოყვარული გახლდათ და მე უკვე ვთქვი, რომ მისი კვლევა-ძიება — თუკი შეიძლება კვლევა-ძიებაზე ვილაპარაკოთ იქ, სადაც არსებითად მხოლოდ მეოცნების მჭვრეტელობასთან გვაქვს საქმე — ყოველთვის ერთ გარკვეულ მიმართულებას იღებდა, რომელსაც, როგორც მე მეჩვენება,

თითქმის გარდუვალად ადგება ადამიანის აზრი, როდესაც ბუნების არსის ჩანვდომას ლამობს. კადნიერებაა ბუნებაზე ცდების მოხდენა, მის ნიაღში განსაკუთრებული მოვლენების აღძვრა, მისი „ცდუნება“ და ექსპერიმენტთა მეშვეობით ბუნებრივ პროცესთა გაშიშვლება. ეს ყოველივე ძალზე ახლოსაა კუდიანობასთან, უფრო მეტიც, თვით არის კუდიანობა და „მაცდური სულის“ საქმე, — ასე სწამდათ უწინდელ ეპოქებში და მე რომ მკითხოთ, ეს პატივსაცემი რწმენა გახლდათ. ნეტავი რა თვალთ უყურებდნენ მაშინ იმ ვიტენბერგელ კაცს, რომელმაც, როგორც იონათანი მოგვითხრობდა, ას წელზე მეტი ხნის წინათ „ხილული მუსიკის“ ცდა მოახდინა. ამ ცდას ზოგჯერ ჩვენც ვატარებდით. იმ რამდენიმე ფიზიკურ აპარატს შორის, რომლებიც ადრიანის მამას გააჩნდა, იყო ერთი მინის მრგვალი ფიორფიტაც, — ცენტრში ლალად დამაგრებულ ღერძზე. ამ ფიორფიტაზე თამაშდებოდა ეს სასწაული. ზედ წვრილ ქვიშას მოაყრიდნენ და კიდზე ვილონჩელის ძველ ხემს ჩამოუსვამდნენ ზევიდან ქვევით, ისიც რხევას იწყებდა და ამოძრავებული ქვიშა საოცრად ზუსტ და მრავალფეროვან ფიგურებად და არაბესკებად ლაგდებოდა. ეს ხილული აკუსტიკა, თავის თავში მომხიბლავად რომ აერთიანებდა თვალსაჩინოსა და საიდუმლოს, კანონზომიერსა და სასწაულებრივს, ძალიან მოგწონდა ჩვენ, ბიჭებს; მაგრამ მარტო ამიტომ კი არ ვთხოვდით ხოლმე ექსპერიმენტატორს ასე ხშირად, ეს ცდა ჩაეტარებინა, არამედ მისთვისაც გვსურდა გვესიამოვნებინა.

ასევე მოსწონდა მას ყინულით მოჩითული მინები და ზამთრის დღეებში, როდესაც სახლის გლეხურად პატარა ფანჯრებს ყინულის ფიჭმატი კრისტალები მთლიანად დაფარავდნენ, ნახევარსაათობით შექმლო შეუიარაღებელი თვალთ ანდა გამადიდებელი შუშით ეთვალეირებინა მათი სტრუქტურა. უნდა მოგახსენოთ, რომ ყოველივე რიგზე იქნებოდა და იონათანი იოლად შეძლებდა თავის ჩვეულებრივ დღის განრიგზე გადართვას, ამ წარმონაქმნებს მათთვის განსაზღვრული სიმეტრია, მკაცრი მათემატიკური სიზუსტე და კანონზომიერი მონაცვლეობა რომ დაეცვათ ხოლმე. მაგრამ ისინი თითლიბაზური ურცხვობით ბაძავდნენ მცენარეულ სამყაროს, საოცრად მოხდენილად იმეორებდნენ გვიმრის რტოებს, ბალახის ღეროებს, ყვავილთა ჯამებსა და ფურცლებს. იონათანი ვერა და ვერ შერიგებოდა იმ ამბავს, რომ ისინი თავიანთი „ყინულოვანი საშუალებებით“ ორგანულ სამყაროში დილეტანტობდნენ, და მათი შემყურე

გაუთავებლად აკანტურებდა თავს — ვერც მთლიანად მოეწონებინა და აღტაცებასაც ვერ მალავდა. იგი შემდეგნაირად სვამდა საკითხს: ეს ფანტასმაგორიები წინ უსწრებდნენ მცენარეულ ფორმებს თუ იმეორებდნენ მათ? არც ერთი და არც მეორეო, — უპასუხებდა თვითონვე, — პარალელური წარმონაქმნებიაო. ბუნება შემოქმედია, მთხზველია, აქაც და იქაც ერთი და იგივე შეთხზა და თუ მიბაძვაზე ვილაპარაკებთ, რასაკვირველია, მხოლოდ და მხოლოდ ურთიერთმიბაძვაზე შეიძლება ლაპარაკიო. ნუთუ მდელის ნამდვილი პირმშონი უნდა გამოვაცხადოთ პირველ სახედ, რადგან ორგანული, ღრმა ყოფიერებით არიან დაჯილდოებულნი, ხოლო ყინულის ყვავილები კი მარტოოდენ ლიტონ მოვლენებად? მაგრამ მათი გაჩენაც ხომ შედეგია მატერიის არანაკლებ რთული შერწყმისა, ვიდრე მცენარეებში ვხვდებითო. თუ მე სწორედ მესმოდა ჩვენი სტუმართმოყვარე მასპინძლისა, მას ცოცხალი და ეგრეთ ნოდებულის არაცოცხალი ბუნების ერთობის საკითხი აფიქრებდა. მისი აზრით, ჩვენ არაორგანული ბუნების მიმართ ვცოდავთ, ორგანულსა და არაორგანულს შორის ერთობ მკვეთრ საზღვარს რომ ვავლებთ, მაშინ როდესაც ნამდვილად იგი არცთუ ასე მტკიცეა და არსებითად არ მოიპოვება ისეთი ელემენტარული ფუნქცია, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ სულიერ არსებებს ექნებოდათ მომადლებული და ბიოლოგი მას არაორგანული მოდელის შტუდირებისას ვერ აღმოაჩინდა.

თუ, მართლაც, რა შემაცბუნებლად ერწყმის ერთმანეთს ბუნების ეს ორი საუფლო, ამას გვასწავლიდა „მჭამელი წვეთი“, რომელსაც მამილო ლევერკიუნი ჩვენს თვალწინ არაერთხელ გამასპინძლებია საკვებით. მოგეხსენებათ, წვეთი წვეთია, რისიც უნდა იყოს. ეთქვათ, პარაფინისა ან ეთეროვანი ზეთისა — მე დანამდვილებით აღარ მახსოვს, რისი წვეთი იყო ის, ქლოროფორმისა თუ — წვეთი ზომ ცხრველი არ არის, თუნდაც ყველაზე პრიმიტიული, ამეზაც არ არის, რომ მადა ჰქონდეს, საკვები მიიღოს, შესაფერისი შთანთქმას, შეუფერებელი კი უკუაგდოს. მაგრამ სწორედ ყოველივე ამას სჩადიოდა ჩვენი წვეთი. იგი განცალკევებით ეკიდა წყლიან ჭიქაში, რომელშიც იონათანს, ვგონებ, წვრილი შესამზაპუნებელი ნემსით შეჰყავდა. შემდეგ კი ასე იქცეოდა: პინცეტით აიღებდა მინის პანანკინტელა წკირს ან, კაცმა რომ თქვას, უფრო მინის ძაფს, ზედ შელაქს წაუსვამდა და ჭიქაში წინწკალის გვერდით გააჩერებდა. ეს იყო და ეს. დანარჩენს უკვე წინწკალი იქმდა. ზედაპირი შეუმალდებოდა იმ მხარეს, მიმღები ბორცვივით ამოეზნიქებოდა და ამითი იწყებდა წკირის გადაყლაპვას.

თან წვეთი სიგრძეზე იწელებოდა, მსხალს ემსგავსებოდა, რათა ნა-
დავლი მთლიანად შთაენთქა და ბოლოები გარეთ არ გამოსჩროდა.
შემდეგ – ღმერთმანი, ნამდვილად ასე ხდებოდა – ისევ მრგვალდებ-
ოდა, კვერცხისებურ ფორმას იღებდა, თან მინის წკირზე წასმულ შე-
ლაქს შეექცეოდა და თავის პატარა სხეულში ანაწილებდა.
მორჩებოდა ამას და ისევ სფერულ ფორმას უბრუნდებოდა, სუფთ-
ად გატლექილ წკირს კი თავისი პერიფერიისაკენ აძევებდა და
ბოლოს გარემომცველ წყალში აგდებდა.

ვერ ვიტყვი, ძალიან მიყვარს-მეთქი ამგვარი ცდების ყურება, მაგ-
რამ უნდა ვაღიარო, რომ ეს მაინც მიტაცებდა და, ვგონებ, ადრიანსაც,
თუმცა ერთთავად სიცილის საღერღელი ჰქონდა აშლილი და მხოლოდ
სერიოზულად განწყობილი მამის რიდი თუ აკავებდა. რასაკვირველია,
„მჭამელი წვეთი“ კომიკურ ამბად შეიძლებოდა მიგვეჩნია, მაგრამ, ჩემი
გაგებით, არავითარ შემთხვევაში იგივე არ ითქმოდა ბუნების იმ
დაუფერებელ, მოჩვენებათა მსგავს წარმონაქმნებზე, რომელთა გაზ-
რდას ადრიანის მამა ყოვლად უცნაურ კულტურაში ახერხებდა და
რომელთა დათვალიერების უფლებას ჩვენ აგრეთვე გვაძლევდა. ეს
სანახაობა არასოდეს არ დამავიწყდება. ჭურჭელში, სადაც ხდებოდა
მათი კრისტალიზაცია, ოდნავ ლორწოვანი წყალი ესხა სამ
მეოთხედზე, უფრო სწორად, თხევადი მიწა და შიგ ქვიშის ნიადაგი-
დან ამოზიდულიყო გროტესკული პატარა პეიზაჟი, სხვადასხვა ფერის
ნამონაზარდთა ტევრი, კურიოზული ხლართი ლურჯი, მწვანე და ყავი-
სფერი ყლორტებისა. რომლებიც წყალმცენარეებს, სოკოებს, უძრავ
პოლიპებს, აგრეთვე ხავსს, ნიჟარებს, ბუტკოებს, პანანინა ხეებს ანდა
პანანინა ხეების ტოტებს, ხოლო აქა-იქ ადამიანის კიდურებსაც კი
წააგავდნენ. ასეთი საკვირველი რამ ჩემს სიცოცხლეში არ მინახავს.
ოღონდ ეს პატარა პეიზაჟი იმდენად უცნაური, შემაცბუნებელი შეს-
ახედაობის გამო კი არ იყო საკვირველი, რამდენადაც იმ ღრმა
მელანქოლიური განწყობილების გამო, მისგან რომ გამოსჭვივოდა.
როცა მამილო ლევერკიუნი შეგვეკითხებოდა: რას ფიქრობთ, რანი
არიან ესენიო, ჩვენ ჭოჭმანით ვაძლევდით პასუხს: ალბათ მცენარეები
თუო, – არაო, – მოგვიგებდა ხოლმე ის, – ესენი მცენარეები არ არიან,
მხოლოდ თავი მოაქვთ მცენარეებად, მაგრამ ამიტომ აგდებით ნუ
მოეკიდებით, სწორედ ის, რომ თავი მოაქვთ და არაფერს არ იშურებენ
ამისათვის, უაღრესად პატივისცემის ღირსიაო.

თურმე ეს ამონაყარი სრულიად არაორგანული წარმოშობისა იყო,
აღმოცენებული აფთიაქ „სულმნათი მრციქულების“ ქიმიური რეაქ-

ტივების მეშვეობით. ჭურჭლის ფსკერზე დაყრილ ქვიშას იონათანი, ვიდრე შიგ მდნარი მინის ხსნარს ჩაასხამდა, სხვადასხვა კრისტალებს მოაფრქვევდა ხოლმე, თუ არ ვცდები, ქრომმუჟა კალიუმისა და შაბიამნის კრისტალებს, და ამ ნათესიდან, როგორც შედეგი ფიზიკური პროცესისა, რომელსაც ოსმოსურ წნევას უწოდებენ, ვითარდებოდა ის საწყალობელი ნაზარდი, რის მიმართაც თვითონ მომვლელი ასეთი რუდუნებით გვიღვივებდა სიმპათიას. კერძოდ, ის გვიჩვენებდა, რომ სიცოცხლის ამ უბადრუკ იმიტატორებს სინათლე სწყუროდათ, „ჰელიოტროპულნი“ იყვნენ, — ასე უწოდებს მეცნიერება ორგანული სამყაროს ამ თავისებურებას. ჩვენი გულისათვის აკვარიუმს ისე დგამდა, რომ მისი მხოლოდ ერთი მხარე იყო მზით განათებული, სამ დანარჩენს კი ჩრდილი ადგა, და ერთი უყურეთ, სულ ცოტა ხანში მთელი ეს საეჭვო მოდგმა განათებული კედლისკენ იხრებოდა: სოკოები, პოლიპების ფალოსისებური ღეროები, პანანინა ხეები და წყალმცენარეები, ადამიანის ნახევრად ჩამოყალიბებული კიდურები, — და ყველას ისე სწყუროდა სითბო და სიხარული, რომ მინის კედელს ასდევდნენ და ზედ მაგრად ეკვროდნენ.

— და თან მკვდრები არიან, — ამბობდა თვალცრემლიანი იონათანი, მაშინ როდესაც ადრიანი, ამას ღიახაც ვამჩნევდი, სიცილს ძლივს იკავებდა და ლამის გაგუდულიყო.

მე, ჩემდა თავად, ვერ ვადამენყვიტა, სასაცილოა ასეთი რამ თუ სატირელი. ერთი რამ შემიძლია მხოლოდ გითხრათ: ასეთ ჩრდილებსაც უთუოდ ბუნება ქმნის, ხოლო განსაკუთრებით კი ადამიანის მიერ კადნიერად ცდუნებული ბუნება. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა კეთილშობილურ საუფლოში დაზღვეულნი ვართ ასეთი ჯადობაზობისაგან.

IV

ვინაიდან წინა მონაკვეთი ზომაზე დიდი გამოვიდა, ვამჯობინებ ახალი დავიწყო, რათა ორიოდ სიტყვით მაინც პატივი დავდო ბუხელის კარმიდამოს დიასახლისს, ადრიანის საყვარელ დედას. შეიძლება ბავშვობის ტკბილი მოგონებანი, განსაკუთრებით კი ნუგბარ-ნუგბარი საჭმელები, რომლებითაც ის გვიმასპინძლდებოდა, შარავანდედით მოსავდნენ მის ხატებას, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა, რომ ელსბეთ ლევერკიუნზე მიმზიდველი ქალი ჩემს ცხოვრებაში არ შემხვედრია. ამ სადა, ინტელექტუალური თვალსაზრისით სრულიად

უპრეტენზიო ადამიანზე მხოლოდ მოწინებით ძალმძის ვილაპარაკო, რასაც იმის რწმენა მიწერგავს, რომ მისი ვაჟის გენია ბევრი რამით იყო დავალებული დედის ცხოველმყოფელი, სიკეთით აღსავსე ბუნებისაგან.

თუ ქმრის მშვენიერი ძველგერმანული სახის ჭკრეტა სიამოვნებას მანიჭებდა, არა ნაკლებ ესალბუნებოდა ჩემს მზერას ცოლის საამური, ძალზე თავისებური, მწყაზარი შესახედაობა. წარმოშობით აპოლდიდან იყო და იმ შავგვრემან ტიპს ეკუთვნოდა, რომელიც დროდადრო გვხვდება გერმანიის მიწა-წყალზე, ოღონდ მისი გენეალოგია, სადამდეც თვალი მიგვიწვდება, რაიმე საბაბს არ იძლევა რომაულ სისხლთან შერევის ფაქტი დაეუშვათ. კანის სიმუქე და შავი თმა, ასევე შავი, წყნარად და ალერსიანად მომზირალი თვალები გაფიქრებინებდათ: იტალიელი თუაო, ნაკვთების ერთგვარი გერმანული სიტლანქე რომ არა. სახე მრგვალი, ოდნავ ოვალური ჰქონდა, მაგრამ წვეტიანი ნიკაპით კი ბოლოვდებოდა, ცხვირი — არცთუ თანაბარზომიერი, ცოტათი ჩაზნექილი, ცოტათი ნოლა, ხოლო პირი — მშვიდი და სადად მოყვანილი. თმა, რომელიც ერთხელ უკვე ვახსენე და რომელიც, ვიდრე ვიზრდებოდით, ნელ-ნელა შეევერცხლა, ყურებს ნახევრად უფარავდა და უკან ისე მაგრად ჰქონდა გადატყეცილი, რომ სარკესავით უპრიალებდა და შუბლს ზემოთ განაყოფ ადგილას თეთრ კანს უჩენდა. მიუხედავად ამისა — ყოველთვის არა და, მაშასადამე, არც განგებ არა — ყურებთან საყვარლად ჩამოეშლებოდა ხოლმე კოხტა კავებად. ჩვენს ბავშვობაში ჯერაც მსხვილი ნაწნავი ჰქონდა, გლეხურად კეფაზე იგრაგნიდა და უქმე დღეებში შიგ ჭრელ ბაფთასაც ჩაიწნავდა ხოლმე.

ქალაქურ ტანსაცმელს, ისევე როგორც მისი ქმარი, ვერც ის გუობდა. ქალბატონივით გამონყობა არ უხდებოდა და, პირიქით, ჩინებულად ადგა სოფლური ძველგერმანული სამოსელი, ხამი ქსოვილისა, როგორც ჩვენ ვამბობდით, და ასეც ეცვა ხოლმე: შინნაქსოვი ნელქვედა და კორსეტის მაგვარი არშიაშემოვლებული ნელზედა, რომლის სწორკუთხა ამონაჭერი სავსე ყელსა და მკერდის ზედა ნაწილს აჩენდა, აგრეთვე ოქროს პატარა, სადა ყელსაბამსაც. მზენასვამ, შრომას მიჩვეულ, მაგრამ არცთუ გაუხეშებულ და არც მეტისმეტად მოვლილ ხელებს — მარჯვენას საქორწინო ბეჭედი უმშვენებდა — ჰქონდა, თუ შეიძლება ასე ითქვას, რაღაც ადამიანურად მართებული და საიმედო. ასე რომ, კაცი სიამოვნებით უჭკრეტდი მათ; ისევე როგორც ლაღად მოსიარულე, არც დიდრონსა და არც პატა-

რა, სწორად ჩამოქნილ ფეხებს, რომლებზეც დაბალქუსლიანი მარჯვე ფეხსაცმელი და კოხტა კოჭებზე შემოტმასნილი მწვანე ან რუხი შალის წინდები ეცვა. ეს ყოველივე სასიამოვნო იყო, მაგრამ ყველაზე საამური მაინც მისი ხმა გახლდათ, ტემპრით – თბილი მეცო-სოპრანო, მეტყველებისას ოდნავ თიურინგიული აქცენტით შეფერილი, არაჩვეულებრივად გულმისავალი. მე არ ვამბობ: კეკლუცი-მეთქი, რადგან ეს სიტყვა რალაც წინასწარგანზრახულსა და შეგნებულს გულისხმობს. მისი ხმის მომხიბლაობა შინაგანი მუსიკალურობიდან მომდინარეობდა, რაიც სხვა მხრივ არ ვლინდებოდა. ელსბეთი მუსიკას არ დაგიდევდათ, ასე ვთქვათ, არ ზიარებოდა მას. ზოგჯერ ისე, სხვათა შორის, აახშიანებდა ძველ გიტარას, სასტუმრო ოთახში რომ ეკიდა სამკაულად, რამდენიმე აკორდს აიღებდა და ხმადაბლა წაილილინებდა, მაგრამ ნამდვილი სიმღერით კი არ მღეროდა, თუმცა სანაძლეოს დავდებდი, რომ საამისოდ შესანიშნავი მონაცემები ჰქონდა.

ასე იყო თუ ისე, მისებრ ტკბილად მოუბარი სხვა არავინ მინახავს, თუმცა მუდამ უმარტივეს საყოფაცხოვრებო თემებზე ლაპარაკობდა, და პატარა ამბავი არ უნდა იყოს, ჩემი აზრით, რომ ეს ინსტინქტური გემოვნებით ნაკარნახევი, ბუნებრივი კეთილხმოვანება სიცოცხლის პირველი წუთებიდანვე ელამუნებოდა ადრიანის ყურს. ჩემთვის ამით ნაწილობრივ მაინც აიხსნება ბგერის შეგრძნების ის საარაკო უნარი, რომელიც მის შემოქმედებაში ვლინდება, თუმცა ვინმეს შეუძლია მითხრას, მისი ძმა გეორგიც ხომ იმავე ხელსაყრელ გარემოში იზრდებოდა, მაგრამ ამას მის ცხოვრებაზე ზეგავლენა არ მოუხდენიაო. ისე კი, ის უფრო მამას ჰგავდა, მაშინ როდესაც ადრიანი ფიზიკურად უფრო დედას დაემსგავსა, – ოღონდ აქაც ისევ წინააღმდეგობას ვაწყდებით, რადგან სწორედ ადრიანმა მიიღო მემკვიდრეობით მამისაგან შაკიკისაკენ მიდრეკილება და არა გეორგმა. ჩემი ან გარდაცვლილი ძვირფასი მეგობრის მთლიანი იერსახე კი, მრავალ ცალკეულ ნიშანთან ერთად, როგორცაა შავგვრემანი პირისახე, თვალების ქრილი, პირისა და ნიკაპის მოყვანილობა, სულ დედისა გახლდათ. განსაკუთრებით თვალში საცემი იყო ეს, ვიდრე სუფთად წვერგაპარსული დადიოდა, ვიდრე სოლივით წამახვილებულ წვერს დაიყენებდა, სულ სხვანაირს რომ აჩნდა, მაგრამ ეს ბოლო წლებში მოხდა. დედის გიშერივით შავი და მამის ლაყვადოვანი ირისი მის თვალებში დანისლულ ლურჯ-რუხ-მწვანე ფერებად შეირწყმა, გუგებს ირგვლივ ყანგისფერი სევადი და ლითონისებური

ნაპერნკალი დაემატათ. ყოველთვის სულიერ კმაყოფილებას მანიჭებდა იმის შეგნება, რომ მისი თვალების ფერი მშობლების განსხვავებულ თვალთა ფერის აღრევის შედეგად იყო წარმოქმნილი. შეიძლება სწორედ ეს გარემოება ხდოდა მას ამ მიმართებით მშვენიერების აღქმის საკითხში ესოდენ მერყევს, მას ხომ მთელი სიცოცხლის განმავლობაში ვერ გადაეწყვიტა, შავ თუ ცისფერ თვალებს ამჯობინებდა, ოღონდ ყოველთვის უკიდურესი თუ ინადირებდა მის გულს: კუპრივით შავი ელვარება ნამწამთა შორის, ანდა გაცისკროვნებული სილაჟვარდე.

ფრაუ ელსბეთს, უკეთესი რომ არ შეიძლებოდა, ისეთი დამოკიდებულება ჰქონდა ბუხელის კარ-მიდამოს მოსამსახურე პერსონალთან, რომელიც მრავალრიცხოვანი არ იყო, მხოლოდ მოსავლის აღებისას ახლომახლო სოფლების მოსახლეობიდან იყვანდნენ დამატებით მუშახელს, და ჩემი დაკვირვებით ამ ხალხის თვალში უფრო დიდი ავტორიტეტიც კი ჰქონდა, ვიდრე მის მეუღლეს. ზოგიერთი მათგანი ახლაც მახსოვს: მეჯინიბე თომასი, მაგალითად, ვაისენფელზის სადგურზე რომ გვხვდებოდა სტუმრებს და მერე ისევ უკან წაგვიყვანდა ხოლმე. ცალთვალა აყლაყუდა, ცარიელი ძვალი და ტყავი. თან სულ მალლა, ზურგზე, კუზი აჯდა. ხშირად ზედ პატარა ადრიანს შემოისვამდა და დააჭენებდა. ძალიან მარჯვე საჯდომი იყო, კარგი უნაგირივითო, — არაერთხელ უთქვამს შემდგომ ჩემთვის მაესტროს. მაგონდება აგრეთვე მეძროხე გოგო ჰანე, მკერდი უთამამებდა ხოლმე და შიშველი ფეხები ერთთავად ფუნაში ჰქონდა ამოსვრილი. პატარა ადრიანი მასთანაც ძალიან მეგობრობდა და ამის მიზეზი დაწვრილებით უნდა აგინეროთ. მახსოვს კიდევ რძის ფერმის მნე ქალი, ფრაუ ლუდერი, ჩაჩიანი ქვრივი, მუდამ ღირსებით აღსავსე გამომეტყველება რომ ჰქონდა, ნაწილობრივ ალბათ პროტესტის ნიშნად ასეთი გვარის გამო*, მაგრამ უმთავრესად კი იმიტომ, რომ საუცხოო კვლიავიანი ყველის ამოყვანის ოსტატად იყო აღიარებული. ხანდახან, თუ თავად დიასახლისი არა, ის გვიმასპინძლდებოდა საძროხეში, ამ დროვლათისა და ბარაქის სავანეში, სადაც დაბალ სანველავ სკამზე დაყუნცული გოგოს მარდ თითებქვეშ თბილ-თბილი, კეჟოვანი, სურნელოვანი რძე იღვრებოდა ჭიქებში ჩვენთვის.

მე, რა თქმა უნდა, არ გადავიჭრებოდი სოფლად გატარებული ყრმობის წვრილმან მოგონებებში, არც ვახსენებდი იმ მარტივ

**ლუდერი გერმანულ ენაში უარყოფითი ემოციური იერის სიტყვაა, ძირითადი მნიშვნელობა: „ძმორი“ (მთარგმნ. შენიშვნა).*

დეკორაციებს, სადაც იგი თამაშდებოდა: მინდორ-ველებსა და ტყეს, გუბურასა და ბორცვებს, იგი რომ ადრიანის ადრინდელ სამყაროს, მშობლიურ სახლსა და გარემომცველ ლანდშაფტს არ შეადგენდეს, სადაც ადრიანმა ცხოვრების პირველი ათი წელი გაატარა და სადაც ჩვენ ერთად არაერთხელ თავი შეგვიქცევია. ეს ის დრო იყო, როდესაც ჩვენმა მეგობრობამ ფესვი გაიდგა, როდესაც ერთმანეთს შენობით მივმართავდით და ალბათ ჩემებრ ისიც უბრალოდ სახელს მეძახდა. ახლა ნიშანდობლივ აღარ მახსოვს, როგორ იყო, მაგრამ ხომ დაუჯერებელია, ექვსი ან რვა წლისას „ზერენუსი“ ან მოკლედ „ზერენიცი“ კი არ ეწოდებინა ჩემთვის, ისევე როგორც ჩემთვის ის „ადრი“ იყო. ამჟამად უკვე მიჭირს ზუსტად განსაზღვრა, მაგრამ, მე მგონი, სკოლაში სწავლის პირველსავე წლებში უკვე ვეღარ იმეტებდა ასეთ წყალობას, და თუ საერთოდ რამეს დამიძახებდა, მხოლოდ და მხოლოდ გვარს. მაშინ როდესაც მე წარმოუდგენელ ოტროველობად მივიჩნევდი, მეც რომ იმავეთი მეპასუხა. ასე იყო ეს და ისღა მაკლია, ისე გამოვიდეს, თითქოს რამის დაჩივლება მინდოდეს. მე მხოლოდ იმის გაბაზვა მინდოდა, რომ მას „ადრიანს“ ვეძახდი, ის კი, წინააღმდეგ ამისა, ან სრულიად გაურბოდა სახელით მიმართვას, ანდა „ცაიტბლომს“ მიწოდებდა. ჰოდა, ახლა კი დავეხსნათ ამ კურიოზულ ფაქტს, რომელსაც ისე მივეჩვიე, რომ ყურადღებას აღარ ვაქცევდი, და ისევ ბუხელში დავბრუნდეთ!

იქ მისი მეგობარი იყო, და ჩემიც აგრეთვე, ეზოს ძალღი ზუზო — უცნაურია, მაგრამ ასე ერქვა — პანკვლებიანი ნაგაზი, რომელიც სალაფავს რომ მოუტანდნენ, თითქოს იცინისო, მხოლოდ ფართოდ დააფრენდა ხახას და ენას გადმოაგებდა, მაგრამ უცხოთათვის არცთუ უწყინარი გახლდათ. ზუზო დაბმული ძაღლის უკულმართ: ცხოვრებას ეწეოდა, დღენიადაგ საძაღლესა და თავის გობებთან რომ წევს და მხოლოდ ღამით, როდესაც სიჩუმე დაისადგურებს, ეზოში თავისუფლად დანანალებს. მე და ადრიანი ერთად ვიჭყიტებოდით საღორის ჭუჭყიან სივინროვეში და თან ალბათ გვახსენდებოდა მოსამსახურე გოგოების მონაყოლი: ეს უსუფთაო არსებანი, რომელთაც ქერა წამწამები, ეშმაკური ლურჯი თვალები და ადამიანის ფერის მსუქანი მუცლები ჰქონდათ, ზოგჯერ პატარა ბავშვებსაც ჭამენო; ყელს ვიძაბავდით და ვცდილობდით მათი დახშული ბგერებისათვის, ღრუტუნით ლაპარაკისათვის მიგვებაძა და ცნობისმოყვარედ ვათვალთვინებდით ახლად მოგებულ ვარდისფერ გოჭებს, დედაღორს რომ დახვეოდნენ და ძუძუს სწოვდნენ. ერთად ვერთობოდით აგ-

რეთვე მავთულის ბადის მიღმა ქათმების პედანტური ყოფა-ცხოვრებით, რომელიც დარბაისლური ბგერების თანხლებით მიმდინარეობდა და მხოლოდ შიგადაშიგ გადადიოდა ისტერიულ გნიასში. ზოგჯერ საფუტკრესაც ვენწეოდით ხოლმე, სახლის უკან, ოღონდ ძალზე მორიდებით, რადგან კარგად ვიცნობდით იმ არცთუ აუტანელ, მაგრამ გამაყრუებელ ტკივილს, რაც ერთ-ერთი ამ მომნაგრებელთაგანის კბენას მოჰყვებოდა, თუ თავგზააბნეული ცხვირზე დაგაჯდებოდა და იმდენ სისულელეს გამოიჩენდა, რომ შენს საკბენად მოიცლიდა.

მასხოვს აგრეთვე მოცხარი ბაღში, მის კუნწულებს ერთიანად რომ გამოვისვამდით ხოლმე პირში და ცარიელ კლერტოსლა გამოვიღებდით; მინდვრის მუჟველა, რომელსაც გემოს ვუსინჯავდით, და ზოგიერთი ყვავილიც — მათი ყელიდან ერთი ციცქნა ნექტარის ამონწუნვნას ვახერხებდით, — კიდევ: რკოებიც, ტყეში პირაღმა მწოლიარენი რომ ვლექავდით, მზით გამთბარი ძონისფერი მაცვალიც, გზისპირა ბუჩქებიდან რომ ვკრეფდით და მისი მწკლატე წვენი ბავშვებს წყურვილს გვიკლავდა. დიახ, ჩვენ ბავშვები ვიყავით, — და წარსულის გახსენება იმიტომ კი არ მალეღვებს, რომ საკუთარი თავითა ვარ გართული, არამედ მის გამო, მის ბედ-იღბალზე ფიქრის გამო, იმაზე ფიქრის გამო, რომ განგებამ ის უმანკოების ველიდან უდაბურ, თვით საზარელ სიმაღლეებამდეც კი აიყვანა. ეს ხელოვანის ცხოვრება იყო და ვინაიდან მე, უბრალო ადამიანს, წილად მხვდა ასე ახლოდან მეცქირა მისთვის, მთელმა ჩემმა სულიერმა თანაგრძნობამ ადამიანებისა და მათი ხვედრის მიმართ ადამიანის ყოფიერების ამ განსაკუთრებული ფორმის ირგვლივ მოიყარა თავი. ჩემთვის იგი, ადრიანთან ჩემი მეგობრობის წყალობით, ბედისწერის ფორმირების საყოველთაო პარადიგმად იქცა, კლასიკურ საბაბად სულის სიღრმემდე აღელვებისა ყოველივე იმით, რასაც ჩვენ გახდომას, განვითარებას, დანიშნულებას ვუნოდებთ, — და შეიძლება იგი მართლაც ეს არის. ჩემცა ხელოვანი მთელი სიცოცხლის განმავლობაში თავის ბავშვობასთან უფრო ახლოს იმყოფება, რომ არა ვთქვა: უფრო ერთგული რჩება-მეთქი მისი, ვიდრე პრაქტიკულ საქმიანობაში განაფული კაცი; თუმცა შეიძლება ითქვას, რომ ის პრაქტიკოსისაგან განსხვავებით ბავშვის მეოცნებე, ხალას ადამიანურ მდგომარეობაში, მოთამაშის როლში, გაცილებით ხანგრძლივად იმყოფება, მაგრამ მისი გზა ხელუხლებელი ბაღლობის ხანიდან მისი ჩამოყალიბების გვიანდელ, წინასწარ გაუთვალისწინებელ საფეხუ-

რებამდე უსაზღვროდ უფრო შორია, ფათერაკებით აღსავსეა და მჭვრეტელს უფრო შეძრავს, ვიდრე ჩვეულებრივი ადამიანის გზა, ვის მიმართაც იმდენად სავალალო არ არის იმაზე ფიქრი, რომ ოდესღაც ისიც ბავშვი იყო.

დაბეჯითებით ვთხოვ მკითხველს, ყოველივე, რაც აქ გულის სიღრმიდან წარმოვთქვი, მხოლოდ და მხოლოდ მე მომანეროს და არ ეგონოს, თითქოს ლევერკიუნის სულისკვეთებას გამოვხატავდი. მე ძველი ყაიდის კაცი ვარ, ჩემთვის ძვირფას გარკვეულ რომანტიკულ შეხედულებებში გახირული, რომელთა რიცხვს ეკუთვნის ხელოვანისა და ბიურგერის ტრაგიკული დაპირისპირებულობა. ადრიანი ამგვარ გამონათქვამს ცივად უკუაგებდა, – თუკი საერთოდ თავს შეინუხებდა მის უკუაგებებად, ვინაიდან ხელოვნებისა და ხელოვანის რაობაზე მას უაღრესად დაუნდობელი, შემმუსვრელი თვალსაზრისი ჰქონდა და „რომანტიკულ რახარუხს“, რომელიც ერთხანს ატეხეს ხელოვნების ირგვლივ, იმდენად ვერ იტანდა, რომ თვით სიტყვების: „ხელოვნება“ და „ხელოვანი“ – გაგონებაც აღარ სიამოვნებდა – ეს გარკვევით ეწერა სახეზე, როდესაც ამ თემაზე ლაპარაკი ჩამოვარდებოდა. იგივე ითქმის სიტყვა „ზეშთაგონებაზეც“. მასთან სჯობდა იგი სულაც არ გეხმარათ და, ვთქვათ, „მარჯვე მიგნებით“ შეგეცვალოთ. მას სძულდა და მასხარადაც იგდებდა ამ სიტყვას და ახლაც კი, როდესაც ამ სიძულვილსა და მასხარად აგდებას ვიგონებ, ძალა არ შემწევს ხელი არ ავილო საშრობი ქალაღიდან, ჩემი ხელნაწერის წინ რომ მიდევს, და თვალეზე არ ავიფარო. აჰ, ერთობ ბევრი ტანჯვაა ამ სიძულვილში, რომ იგი მხოლოდ ეპოქის მიერ სულიერ ცხოვრებაში აღძრულ ცვლილებათა სუბიექტურობას მოკლებულ შედეგად მივიჩნით. თუმცა კი ამ ცვლილებათა გამოძახილიც ერია შიგნისსოვს, ჯერ კადეც სტუდენტობისას ერთხელ მითხრა: მეცხრამეტე საუკუნე ალბათ საოცრად მყუდრო ეპოქა იყო, თორემ კაცობრიობა არასოდეს ისეთი სიმწრით არ განშორებია წინა პერიოდის შეხედულებებსა და ჩვეულებებს, როგორც ამას ახლანდელი თაობა იქმსო.

მე ერთხელ გაკვრით უკვე ვახსენე გუბურა, რომელიც ძენებით იყო შემოჯარული და ბუხელიდან ფეხით ათი წუთის სავალზე მდე პარეობდა. მას „ქროხის ვარცლს“ ეძახდნენ, რადგან ძროხებს უყვარდათ იქ წყურვილის მოკვლა და ალბათ მისი მოგრძო მოყვანილობის გამოც. არ ვიცი რატომ, მაგრამ შიგნით ცივი წყალი იყო, ასე რომ, ჩვენ მხოლოდ ნაშუადღევს გვაძლევდნენ ბანაობის

უფლებას, მას შემდეგ, რაც მზე გვარიანად გაათბობდა მის ზედაპირს. თუ გუბურისაკენ უმოკლესი გზით კი არა, ბორცვის გადავლით ნავიდოდით, მაშინ მთელი ნახევარსაათიანი საამური გასეირნება გამოდიოდა. ბორცვს, რალა თქმა უნდა, უსხოვარი დროიდან, მაგრამ ძალიან შეუფერებლად კი, „სიონის მთა“ ერქვა და ზამთრობით, როდესაც მე იშვიათად თუ ვიყავი იქ, კარგი საციგაო ადგილი იყო. ზაფხულობით კი მის „მწვერვალზე“ თაიგულივით ერთად შექუჩული ჩეროვანი ნეკერჩხლების ქვეშ სამწყსოს სახსრებით აგებული მერხიდან დიდებული ხედი იშლებოდა. ამ სანახაობითა და მშვენიერი ჰაერით ხშირად დავმტკბარვარ კვირა საღამოობით, ვახშმის წინ, ლევერკიუნების მთელ ოჯახთან ერთად.

ახლა იძულებული ვარ შემდეგი აღვნიშნო: ის ჩარჩო, რომელშიაც – ბუნება იქნება ეს თუ სახლი – ადრიანმა მოგვიანებით, უკვე მონიფულმა ვაჟკაცმა, მოაქცია თავისი ცხოვრება, სახელდობრ, როდესაც შვაიგემტილების სახლი აირჩია მუდმივ სამყოფლად პფაიფერინგში, ვალდსჰუტის მახლობლად (ზემო ბავარია), საოცრად ჰგავდა, თითქმის ასლი იყო იმ კარ-მიდამოსი, ყრმობა რომ გაატარა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, მისი გვიანდელი დღეების ასპარეზი კურიოზული მიბაძვა გახლდათ მისი ადრინდელი დღეების სარბიელისა. მარტო იმიტომ კი არა, რომ პფაიფერინგის (თუ პფეფერინგის, რადგან ეს სახელწოდება სხვადასხვანაირად იწერებოდა) მახლობლადაც იყო სამწყსოს მერხით შემკული ბორცვი, რომელსაც ოლონდ „სიონის მთა“ კი არა, „რომის ბორცვი“ ერქვა; მარტო იმიტომ კი არა, რომ აქაც, და თანაც თითქმის იმავე მანძილზე, როგორც ბუხელიდან – „ძროხის ვარცლი“, გუბურა იყო, „ფრჩხილა გუბურას“ ეძახდნენ და შინ ასევე ცივი წყალი ლივლივებდა. არა, სახლიც, ეზოც და ოჯახური გარემოებანიც უცნაურად შეესატყვისებოდნენ ბუხელისას. ეზოში აქაც იდგა ხე, რომელიც, ცოტა არ იყოს, ხელს უშლიდა მიმოსვლას, მაგრამ ვერ შეღწეოდნენ. ოლონდ ცაცხვი კი არა, თელა, და ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ არქიტექტურული თვალსაზრისით შვაიგემტილების სახლი არსებითად განსხვავდებოდა ადრიანის მშობლების სახლისაგან, ვინაიდან ძველი სამონასტრო ნაგებობა გახლდათ, სქელი კედლები, სარკმელთა თალიანი, ღრმა ნიშები და ამშორებული ტალანები ჰქონდა. ნეკოს სუნიტ კი, სახლის პატრონის ჩიბუხისაგან, აქაც გაუღენთილი იყო ქვედა ოთახების ჰაერი. თავად სახლის პატრონი და მისი დიასახლისი, ფრაუ შვაიგემტილი, მშობლების მაგივრობას სწევდნენ: ქმარი – გრძელპირისახიანი, უფრო სიტყვაძუნნი,

ვიდრე სიტყვაუხვი, მუდამ ჩაფიქრებული, დინჯი მინათმოქმედი; ცოლი — აგრეთვე უკვე ხანდაზმული, ოდნავ ზომაზე მეტად გაფაშფაშებული, მაგრამ ძალზე პროპორციული აღნაგობის, კენარკიდურებიანი, ცოცხალი და ენერგიული ქალი, რომელსაც თმა მუდამ უკან ჰქონდა გადატყევილი. მათ მოზრდილი მემკვიდრეც ჰყავდათ, სახელად გერეონი (და არა გეორგი), მეურნეობაში ძალზე პროგრესულად მოაზროვნე, ახალი სასოფლო-სამეურნეო მანქანებით გატაცებული ყმანვილი კაცი, და მასზე უმცროსი ქალიშვილი — კლემენტინე. ეზოს ძალღმა პფაიფერინგშიც იცოდა სიცილი, თუმცა მასაც ზუზო კი არ ერქვა, არამედ კაშპერლი. ყოველ შემთხვევაში თავდაპირველად მაინც. თავდაპირველად-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ სახლის მდგმურს ამ საკითხზე თავისი საკუთარი შეხედულება ჰქონდა და მე მოწმე გახლავართ, მისი ზეგავლენით სახელი კაშპერლი თანდათანობით გადაიქცა ცარიელ მოგონებად, და ბოლოს, თვითონ ძაღლსაც, „ზუზოს“ რომ დაუძახებდნენ, უფრო ის ესმოდა. მეორე ვაჟი შვაიგეშტილებს არა ჰყავდათ, რაც მსგავსებას უფრო აძლიერებდა, ვიდრე ასუსტებდა, რადგან, აბა, ვინ უნდა ყოფილიყო ის მეორე ვაჟი?

ამ თვალში საცემი პარალელიზმის თაობაზე ადრინათან არ მილაპარაკია, ჯერ იყო და ვერაფერი ვუთხარი, მერე კი უკვე იზისი მერიდებოდა, რომ თავდაპირველად არაფერი მითქვამს. მოწონებით კი, ეს ამბავი არა და არ მომწონდა. საცხოვრებლად ისეთი ადგილის არჩევა, რომელიც თითქმის თითქოს აღადგენს ადრინდელ ხანას, თავშესაფრის ძიება წარსულში, ან გარდასულ ბავშვობაში, ან მის გარემო პირობებში მაინც, შეიძლება ამ წარსულის სიყვარულს მოწმობდეს, მაგრამ ადამიანის შემაშფოთებელ სულიერ მდგომარეობაზეც მიუთითებს. ლევერკიუნის შემთხვევაში კი ეს მით უფრო უცნაური იყო, რადგან არასოდეს არ შემემჩნია, რომ მაინცადამაინც გული ჰქონდა შევარდნილი მშობლების სახლზე. ჰდრინამა ადრე და არცთუ სინანულით მიატოვა იგი. ნუთუ ეს ხელოვნური უკან დაბრუნება მხოლოდ და მხოლოდ თამაში იყო? ვერ დავიჯერებ. ეს ყოველივე მე უფრო ერთი ჩემი ნაცნობის ამბავს მაგონებს. ამ კაცს, თუმცა გარეგნულად ძალზე წარმოსადეგი იყო და წვერ-ულვაშიც ამშვენებდა, ჯანმრთელობა სუსტი ჰქონდა, წამდაუნუმ ავადმყოფობდა და, შეუძლოდ მყოფი, მხოლოდ ერთ ბავშვობის ექიმთან მკურნალობდა. ამას ისიც უნდა დაეუმატოთ, რომ მისთვის ერთადერთი სანდო ექიმი ისეთი პატარა ტანისა გახლდათ, რომ მოზრდილთა პრაქტიკა,

ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, მისთვის მიუწვდომელი რამ იყო და სწორედ ამიტომ თავის დროზე პედიატრობას დასჯერდა.

მიზანშეწონილად მიმაჩნია, თვითონვე ვაღიარო, რომ ეს ანეკდოტი ახირებულ კაცსა და ბავშვების ექიმზე აშკარად თემიდან გადახვევაა, რადგან არც ერთი და არც მეორე ჩემს ხელნაწერში უკვე აღარსად აღარ შეგვხვდება. თუ ეს შეცდომაა და მე კი, უეჭველია; უკვე სხვა რამეც შემეშალა, როცა ჩემს წინამასწარობას ავყვეი და პუბლიცისტიკა და შვავიგეშტილებზე უკვე აქ ჩამოვაგდე სიტყვა, მაშინ მკითხველს ვთხოვ ეს არათანმიმდევრულობა ჩემს მღელვარებას მიაწეროს, რითაც ამ ბიოგრაფიული თხზულების დაწყებიდანვე მოცული ვარ, და თანაც მარტოოდენ წერის დროს კი არა. მე ხომ ახლა უკვე რამდენი დღეა მის ტექსტზე ვმუშაობ, მაგრამ თუ წონასწორობის შენარჩუნებას ვცდილობ და ჩემი აზროვნების გამოსახატავად შესაფერის ფორმას ვეძებ, ამან არ უნდა შეაცდინოს მკითხველი: ერთთავად გული მიღელავს, რაც იმაზეც მეტყობა, რომ ხელი მიკანკალებს და ოკრობოკროდ ვწერ, მაშინ როდესაც, საერთოდ, ჯერაც არაჩვეულებრივად მტკიცე ხელწერა მაქვს. ისე კი, მჯერა, ვინც ჩემს ნაწერს წაიკითხავს, დროთა ვითარებაში არა მხოლოდ გაიგებს ჩემი სულის კირთებას, არამედ დიდხანს თვითონაც ვერ დარჩება გულგრილად.

დამაფიქრებელია მეთქვა, რომ შვავიგეშტილების ადგილ-მამულშიც, დავაუკაცებელი ადრიანის სავანეშიც, — ეს უკვე, აბა, ვის გააკვირვებს, — იყო მკერდსავსე მეძროხე გოგო, ვალტპურგისი, შიშველი ფეხები მარად ფუნაში ჰქონდა ამოსვრილი და ბუნელის ჰანეს ისევე ჰგავდა, როგორც ერთი მეძროხე გოგო ჰგავს მეორეს. მაგრამ აქ მის შესახებ კი არ ვაპირებ გესაუბროთ, არამედ მის წინამორბედზე, ჰანეზე, რომელთანაც პატარა ადრიანი იმიტომ მეგობრობდა, რომ მეძროხე გოგოს სიმღერა უყვარდა და ჩვენ, ბავშვებს, სიმღერის პატარა გაკვეთილებსაც კი გვითარებდა. საკმაოდ უცნაური ამბავია: იმას, რისაც მშვენიერი ხმის პატრონი ელსბეთ ლევერკიუნს თითქოს ერცხვინებოდა, ეს ფუნის სუნად აყროლებული გომბიო უცერემონიოდ ეკიდებოდა და სალამობით, ცაცხვის ქვეშ, მერხზე მსხდომთ მეტისმეტად გულისამაჩუყებელ ანდა შემზარავი შინაარსის ნაირნაირ ხალხურ, ჯარისკაცულ და ქუჩურ სიმღერებს გვიმღეროდა. ხმა თუმცა ნიკვინა ჰქონდა, მაგრამ სმენა კი არ ღალატობდა და ჩვენც სიმღერების ტექსტებსაც და მელოდიებსაც უმაღლვე ვიმახსოვრდით. როცა ჩვენც ავყვებოდით, თვითონ ტერციში გადადიოდა, მერე

კი ქვედა კვინტასა და ქვედა სექსტაში, ჩვენ პირველ ხმას გვანებებდა, მაშინ როდესაც თვითონ დემონსტრაციულად, ხაზგასმით, მეორე ხმა გამოჰყავდა, თან, როგორც ჩანს, იმიტომ, რომ ჩვენთვის მოეწონებინა, უფრო დავნაფებოდით ჰარმონიულ ტკობას. გაცინება იცოდა, ლამის პირი გახეოდა, ისე ეკრიჭებოდა, სულ ზუზოსავით აბჩენდა პირს, როდესაც ძაღლს საჭმელს მიუტანდნენ ხოლმე.

ჩვენ-მეთქი, რომ ვამბობ, ადრიანს, ჩემს თავსა და გეორგს ვგულისხმობ, რომელიც უკვე ცამეტი წლისა იყო, როდესაც მისი ძმა რვისა, ხოლო მე ათი წლისა ვიყავით. ადრიანის და ურზელი კი ჯერაც ერთობ პატარა გახლდათ ასეთ ვარჯიშში მონაწილეობისათვის, მაგრამ უიმისოდაც ოთხი მომღერლიდან ერთი ზედმეტი იყო სამ ხმაზე მღერისას, მეძროხე ჰანე კი სწორედ ამ მაღალ დონეზე ახერხებდა აეყვანა ჩვენი მოუწესრიგებელი ერთხმიანი სიმღერა. მან კანონები გვასწავლა, რასაკვირველია, ბავშვებისათვის ყველაზე უფრო შესაფერისი: „ო, რა შვებას ვგრძნობ მწუხრისა ჟამსა“, „უღერენ სიმღერები“ და „გუგულისა და სახედრის ამბავი“. სალამოს საათები, როდესაც ასე ვიქცევდით თავს, ალბათ ამიტომ ჩამრჩა მეხსიერებაში; ან იქნებ ამ მოგონებამ უფრო მოგვიანებით შეიძინა მნიშვნელობა; რადგან ადრიანი სწორედ მაშინ ეზიარა, რაც მე ვიცი, პირველად „მუსიკას“, რამდენადმე უფრო სრულყოფილად ორგანიზებულს, ვიდრე უბრალო ერთხმიანი სიმღერაა. მთავარი აქ დროში შეხმატკბილება გახლდათ, მუსიკალური ფრაზის გამოძახილივით გამეორება, სარომლისოდაც მეძროხე ჰანე გვერდში უბიძგებდა ხოლმე, ვისი ჯერიც იყო, გახურებულ სიმღერაში, როდესაც მელოდია უკვე გარკვეულ წერტილს მიაღწევდა, მაგრამ ჯერ არ დამთავრებულყო. აქ მელოდიის ნაწყვეტები დროში სხვადასხვაგვარად იყო განაწილებული, მაგრამ ამის გამო აბდაუბდა არ წარმოიქმნებოდა, არამედ პირველი ფრაზის გამეორება მეორე მომღერლის მიერ ზედმიწევნით შეესაბამებოდა პირველის მიერ შესრულებულ გაგრძელებას იმავე ფრაზისა. ხოლო როდესაც პირველი მომღერალი, — ვთქვათ, სიმღერაში: „ო, რა შვებას ვგრძნობ მწუხრისა ჟამსა“, — შემდეგ სიტყვებს ჩაათავებდა: „რეკენ ზარები“ და ხმის მიმბაძველ მარცვლებს იწყებდა: „ბიმ-ბამ-ბომ“, — ეს უკვე ბანის თანხლება იყო არა მხოლოდ აიტყვისათვის — „განსასვენებლად“, რომელსაც სწორედ იმ დროს მეორე ხმა მღეროდა, არამედ აგრეთვე დასაწყისი სიტყვებისთვისაც: „ო, რა შვებას მგვრის“, რომლითაც, ფერდში ახალი ბიძგის შედეგად, მუსიკის დროში მესამე მომღერალი შემო-

დიოდა, ხოლო როდესაც მელოდიის მეორე ფაზას მიაღწევდა, სანყის სიტყვებს ისევ პირველი მომღერალი აიტაცებდა და მინამღერით გაბმულ, ზარის რეკვის მიმბაძველ „ბიმ-ბამ-ბომ“-ს მეორე ხმას დაუთმობდა და ა. შ. მეოთხე ჩვენგანის პარტია, სხვა გზა არ იყო, დანარჩენი სამიდან რომელიმეს პარტიას უნდა დამთხვეოდა, მაგრამ იგი დუბლირების გადახალისებას იმითი ლამობდა, რომ ოქტავით დაბლა ლილინებდა მელოდიას, ანდა პირველზე ადრე იწყებდა, ასე ვთქვათ, წინამასწარად, ზარების რეკვის მიბაძვას მინამღერით, ან კიდევ სულ მთელი სიმღერის მანძილზე „ლა-ლა-ლას“ არაკრაკებდა გულარხეინად.

ასე რომ, დროში მუდამ გამიჯნულები ვიყავით, მაგრამ ყოველი ჩვენგანის მელოდიური პარტია შესანიშნავად ერწყმოდა დანარჩენ პარტიებს და ერთად ისეთი ჰარმონიული მთლიანობა, ისეთი სასიამოვნო მუსიკალური ქსოვილი წარმოიქმნებოდა, როგორსაც „ერთდროულად“ მღერა ვერა ქმნის. ხმების ასეთი შეხამება ჩვენ მოგვწონდა, მაგრამ მის ბუნებასა და მიზეზებს არ დაგიდევდით. ვგონებ, არც რვა-ცხრა წლის ადრიანიც. თუ იქნებ ის ანაზღეული, უფრო გამკილავი, ვიდრე გაკვირების გამომხატველი ჩაცინება, მას რომ სჩვეოდა, როდესაც უკანასკნელი „ბიმ-ბამი“ სალამოს ჰაერში მიწყდებოდა, და შემდგომ წლებშიც ასე რომ ახასიათებდა მას, იმის მანიშნებელი იყო, რომ განჭვრეტილი ჰქონდა ჩვენი სიმღერების სტრუქტურა? მათი სპეციფიკა კი ძალიან მარტივია: მელოდიის დასაწყისი მეორე ხმისათვის სეკვენციაა, ხოლო მისი მესამე ნაწილი ორივესათვის ბანად გამოიყენება. არც ერთ ჩვენგანს არ ესმოდა, რომ მეძროხე გოგოს ხელმძღვანელობით მუსიკალური კულტურის შედარებით მაღალ საფეხურზე ავედით და იმიტაცეიური პოლიფონიის საუფლოში ვიმყოფებოდით, რომელიც მეთხუთმეტე საუკუნემ აღმოაჩინა, რათა ჩვენთვის სიამოვნება მოენიჭებინა. ახლა, როდესაც ვიხსენებ, როგორ ჩაიცინებდა ხოლმე ადრიანი, მეჩვენება, რომ ამ ჩაცინებაში ცოდნისა და საქმეში ჩახედულის ირონიის ნატამალი გამოსჭვიოდა. ეს ჩვეულება ბოლომდე შერჩა: ხშირად გამიგონია მისგან შემდგომ კონცერტებზე ან თეატრში მის გვერდით მჯდომს, როდესაც რაიმე ოსტატური ხერხი განაცვიფრებდა, ბრბოსათვის შეუმჩნეველი მახვილგონიერი სვლა მუსიკალური სტრუქტურის ნიაღში ან ფსიქოლოგიურად დახვენილი გადაკრული ნათქვამი დრამის დიალოგში. მცირეწლოვანი ყრმისაგან ასეთი რამ მოულოდნელი იყო, მაგრამ მაშინაც ისეთივე ჩაცინება იცოდა, როგორიც უკვე მონიფუ-

ლმა: თავს უკან გადააგდებდა და პირიდან და ცხვირიდან ერთბაშად აღმოხდებოდა ჰაერის ნაკადი, ცქაფად, ცივად, გამქირდავად. ცნუს ისე, თითქოს უნდოდა ეთქვა: „ეს კარგია, სასაცილოა, ორიგინალური და თავშესაქცევიაო!“ მაგრამ თან თვალები უცნაურად გაუმტვრედებოდა, თითქოს რაღაცას ეძებდა შორეთში, და მათი ლითონისებური სიმუქე უფრო საცნაური ხდებოდა.

V

მე რომ მკითხოთ, ეს-ეს არის დამთავრებული მონაკვეთიც მეტისმეტად ხვავრიელი გამოვიდა და გონივრული იქნება, თუ ახლა იმაზეც ვიფიქრებ, მკითხველს მოთმინების ფიალა არ აევსოს-მეთქი. პირადად მე ყოველ სიტყვაზე ვინვი და ვიდაგვი, ისე მალეღვებს ყველაფერი, რასაც აქა ვნერ, მაგრამ ამიტომ არ უნდა მეგონოს, სხვებიც ინტერესით მოეკიდებიან. ოღონდ ამასთანავე არც ის უნდა დამავინდეს, რომ სადღეისოდ კი არა ვნერ და არც ისეთი მკითხველებისათვის, რომლებმაც ჯერ არა უწყიან რა ლევერკიუნზე და, მაშასადამე, არც მონადინებულნი არიან უფრო დაწვრილებითი ცნობები შეიტყონ მის შესახებ, ამ მოგონებებს მე ვნერ იმ დროისათვის, როდესაც სულ სხვა, — მე დარწმუნებული ვარ, ბევრად უფრო ხელსაყრელი პირობები იქნება, რომ მათ საზოგადოების ყურადღება მიიპყრონ, როდესაც ამ შემადრწუნებელი ცხოვრების ყოველი წვრილმანის ცოდნის სურვილი იმდენად დაუოკებელი იქნება, რომ არაფრად ჩააგდებენ, ოსტატურად იქნება იგი მოთხრობილი თუ არა.

ეს დრო მაშინ დადგება, როდესაც ჩვენი თუმცა ვრცელი, მაგრამ მით უფრო ვიწრო საპყრობილე, სადაც სულის შემხუთველი ჰაერისაგან ლამის დაიხრჩო კაცი, გაიღება, ესე იგი, როდესაც ამჟამად მძვინვარე ომი ასე თუ ისე დამთავრდება. ო, როგორ მზარავს, ასე თუ ისე-მეთქი, რომ ვამბობ. მზარავს ჩემი თავი და ის საშინელი სიღუბნეჭირე, რომელშიაც ჩააგდო ბედისწერამ გერმანელი ხალხი! ვინაიდან მე ხომ ამ „ასე თუ ისეში“ მხოლოდ ერთს ვგულისხმობ, ომის მხოლოდ ერთგვარ დასასრულს ვვარაუდობ და სასოებით გავცქერნი მას, ნინააღმდეგ ჩემი მოქალაქეობრივი სინდისისა. დაუცხრონელმა ოფიციალურმა პროპაგანდამ ხომ ყველას ღრმად ჩაგვინერგა, რა შემუსვრელი, რა სავალალო იქნება გერმანიის დამარცხების შორს მიმავალი შედეგები. ასე რომ, ჩვენდა უნებლიეთ მთელ ქვეყანაზე

ყველაზე უფრო ამისა გვეშინიყ. მაგრამ მაინც არის კიდევ რაღაც, რაც გერმანიის დამარცხებაზე უფრო გვაშინებს, ეს გახლავთ გერმანიის გამარჯვება, თან ზოგს ამის გაფიქრებაზე თავი დამნაშავედ ესახება, ზოგი კი არც. მაღავს ამას, თავის სიმართლეში და-რწმუნებული. მე ვერც კი ვბედავ, ჩემს თავს შევეკითხო, ამ ორი კატეგორიიდან რომელს ვეკუთვნი, ალბათ მესამეს, იმათ, ვინც, მართალია, დამარცხებას დიდი ხანია და სრულიად შეგნებულად ნატრობს, მაგრამ ამასთანავე სინდისის ქენჯნა არ ასვენებს. ყოველივე, რასაც ჩემი სურვილები და იმედები ემყარება, გერმანული იარაღის გამარჯვების წინააღმდეგაა მიმართული, რადგან იგი ჩემი მეგობრის მთელ შემოქმედებას დაასამარებდა, ალბათ მთელი ასი წლით აკრძალულისა და დავინყებულის დამლას დაასვამდა. ასე რომ, იგი თავისი ეპოქისათვისა შეუმჩნეველი დარჩებოდა და მხოლოდ მოგვიანებით მიაგებდა ისტორია პატივს. ეს გახლავთ ჩემი დანაშაულის განსაკუთრებული მოტივი, რომელსაც თითო-ოროლა კაცი თუ იზიარებს და ისინიც მთელ მსოფლიოში არიან გაფანტულები. მაგრამ ჩემი სულიერი მდგომარეობა მხოლოდ სახესხვაობაა იმისა, რაც, თუ მეტისმეტი გონებაჩლუნგობისა და მდაბალი ანგარიშიანობის შემთხვევებს გამოვრიცხავთ, მთელი ჩვენი ხალხის ხვედრად იქცა, და მე დიახაც განწყობილი ვარ ამ ხვედრს განსაკუთრებული, დღემდე არნახული ტრაგიზმი მივანერო, თუმცა ვუნცი, სხვა ერებიც გამხდარან იძულებულნი საკუთარი და საყოველთაო მყობადისათვის თავისი სახელმწიფოს დამარცხება ესურვებინათ. მაგრამ თუ გერმანელისათვის დამახასიათებელ წესიერებას, დამჯერობას, ერთგულებასა და მორჩილებას გავითვალისწინებთ, მაშინ მინდა ვირწმუნო, რომ ეს დილემა ჩვენს შემთხვევაში არაჩვეულებრივ სიმძაფრეს იძენს, და არ შემოძლია მრისხანებით არ ვიყო გამსჭვალული იმათ მიმართ, ვინც ესოდენ კარგი ხალხი ამ სულიერ მდგომარეობამდე მიიყვანა, რომელიც, ჩემი რწმენით, მას უფრო უმძიმს, ვიდრე სხვა რომელიმე ხალხს, და უკურნებლად აუცხოებს საკუთარ თავთან. საკმარისია წარმოვიდგინო; რომ ჩემს ვაჟებს რომელიღაც უბედური შემთხვევის გამოისობით ეს ჩანანერები ჩაუყარდათ ხელში და, ამრიგად, ყოველგვარი გულჩვილი თანაგრძნობის სპარტელებივით უარმყოფელნი, იძულებულნი გახდნენ საიდუმლო პოლიციისათვის გადავეცი, — და, ასე გასინჯეთ, ერთგვარი პატრიოტული სიამაყითაც კი განვჭვრეტ იმ უფსკრულივით ღრმა კონფლიქტს, რომელშიც ჩვენ ჩავცვივდით.)

ძალიან კარგად მესმის, რომ ზევით მოტანილი მონაკვეთებივით ეს ახალიც, რომელიც უფრო მოკლედ მქონდა ჩაფიქრებული, უკვე საგრძნობლად გადავტვირთე, და ეჭვიც კი დამებადა, მე თვითონ ხომ არ ვაჭიანურებ, მე თვითონ ხომ არ ვირჩევ მიხვეულ-მოხვეულ გზებს, ანდა ყოველ შემთხვევაში, როცა საამისოდ საბაზი მეძლევა, არაცნობიერად ხომ არა ვდეგ მას, რადგან მთავარი რაცა მაქვს მოსაყოლი, იმისა მ ე შ ი ნ ი ა. მე პატიოსნად ვალიარებ მკითხველის წინაშე: შეიძლება იმიტომ ვზოზინობ, რომ ქვეშეცნეულად მაკრთობს ის ამოცანა, რომლის გადაჭრა მოვალეობისა და სიყვარულის გამო მიზნად დავისახე. მაგრამ ვერაფერმა, თვით საკუთარმა სისუსტემაც კი, ხელი ვერ უნდა შემიშალოს ჩანაფიქრის განხორციელებაში, — იმიტომ ისევ იმ ადგილს დავუბრუნდეთ, სადაც მე მოგახსენებდით, მეძროხე ჰანეს ხელმძღვანელობით კანონებს რომ ვმღეროდით, ადრიანი, ჩემი აზრით, პირველად მაშინ ეზიარა მუსიკის საუფლოსმეთქი. მართალია, ჩემთვის ცნობილია, რომ ყრმობისას კვირაობით მშობლებთან ერთად სოფლის ეკლესიაში დადიოდა წირვაზე, სადაც ვაისენფელზიდან სამუსიკო სკოლის მოსწავლე ჩამოდიოდა და პატარა ორგანზე უკრავდა პრელუდიებს, აკომპანემენტს უწევდა მორწმუნეთა გალობას და ღვთისმსახურების დამთავრების შემდეგ აცილებდა მათ ჯერაც გაუბედავი იმპროვიზაციებით. მაგრამ მე თვითონ მომსწრე არა ვარ, რადგან მეტწილად წირვის შემდეგ ჩავდიოდით ბუხელში, და მხოლოდ შემიძლია ვთქვა, რომ ადრიანს ერთი სიტყვაც არ დასცდენია ოდესმე, რაც მაფიქრებინებდა, იმ შეგირდის ხელოვნებამ მის ყმაწვილურ გრძნობებზე ასე თუ ისე იმოქმედა მეთქი, ან, თუ ეს შეუძლებელი იყო, საერთოდ მუსიკის ფენომენმა მაინც მიიქცია მისი ყურადღება-მეთქი. რამდენადაც ვიცი, მაშინ და შემდეგაც წლების მანძილზე ის მუსიკას ყურადღებას არ აქცევდა და ჯერ თავის თავისთვისაც არ გაემხილა, რომ ჰანგების სამყაროსთან რაიმე ესაქმებოდა. ამაში მის თავშეკავებულობას ვხედავ, მაგრამ ალბათ ფიზიოლოგიური სარჩულიც მოეძებნება, რადგან სწორედ მეთოთხმეტე წელში გადამდგარმა, სქესობრივი მომნიფების დაწყებისას და ბავშვური უმანკოების დაკარგვის ფამს, კაიზერსაშერნში ბიძამისთან დამოუკიდებლად შეუდგა ფისპარ მონიაზე ვარჯიშს. სხვათა შორის, ამ დროიდანვე დაუნყო მემკვიდრეობით მიღებულმა შაკიკმაც წვალება.

მისი ძმის — გეორგის მომავალი გარკვეული იყო, რადგან ბუხელის კარ-მიდამო მემკვიდრეობით მას უნდა რგებოდა, და იმთავითვე ამ

დანიშნულებასთან ჰარმონიულად შეგუებული იზრდებოდა. ხოლო მეორე ვაჟი რა უნდა გამოსულიყო, ეს საკითხი მშობლებისათვის ღია რჩებოდა და იმ მიდრეკილებებისა და უნარის შესაბამისად უნდა გადაწყვეტილიყო, რომლებსაც გამოიჩენდა. ამ მხრივ ნიშანდობლივია, რომ ჯერ კიდევ ძალიან ადრე მისიანებსაც და ჩვენც ყველას გვეგონა: ადრიანი სწავლული გამოვაო. სახელდობრ, რომელი დარგის მეცნიერი იქნებოდა, ჯერ კაცმა არ იცოდა; მაგრამ ბიჭის მთელი სწავლობის იერსახე, თვითმყოფადობა, ლაპარაკი, თვით გამოხედვა და სახის გამომეტყველებაც კი, აიძულებდა მამაჩემს, მაგალითად, დაბეჯითებით ეთქვა ხოლმე, რომ ლევერკიუნთა მოდგმის ეს ნაშიერი „რალაც უფრო ამალლებულისათვის“ იყო მოწოდებული და მათ გვარში პირველი სწავლული გამოერეოდა.

ეს აზრი უმთავრესად იმიტომ გაჩნდა და ფეხიც მოიკიდა, რომ ადრიანი პირველდანიშნული განათლების კურსი არაჩვეულებრივად იოლად გაიარა. შინ სწავლობდა, იონათან ლევერკიუნს თავისი შვილები სოფლის სკოლაში არ მიუბარებია, იმდენად სოციალური ყველგალობის გამო კი არა, როგორც მე მგონია, რამდენადაც მათი უფრო საგულდაგულოდ აღზრდის სურვილის გამო, ვიდრე ეს ობერვაილურ გაუთვლელ გლეხ ბიჭებთან ერთად მეცადინეობისას შეიძლებოდა. სკოლის მასწავლებელი, ჯერაც ახალგაზრდა და ტანსუსტი კაცი, მუდამ ზუზოსი რომ ეშინოდა, ნაშუადღევს მოდიოდა ბუხელში, სამსახურიდან უკვე თავისუფალი, ზამთრობით კი თომასს მოჰყავდა მარხილით, და როცა ცამეტი წლის გეორგს თითქმის მთლიანად შეასწავლა ყოველივე ის, რაც შემდგომი განათლებისათვის აუცილებელ საფუძველს წარმოადგენდა, მას ახლა მერვე წელში გადამდგარი ადრიანი ჩააბარეს. ჰოდა, სწორედ ეს მასწავლებელი მიხელსენი გახლდათ, ვინც პირველმა ყველას გასაგონად და არცთუ ალეღვების გარეშე განაცხადა: ყმანვილი „ღვთის გულისათვის“ აუცილებლად გიმნაზიაში უნდა მიიბაროთ, ხოლო შემდეგ უნივერსიტეტშიც, რადგან ასეთი ათვისების უნარის მქონე და გონებაგახსნილი ბავშვი ჯერ არ შემხვედრია და სამარცხვინო ამბავი იქნება, თუ ყველაფერს არ ვილონებთ იმისათვის, რომ ამნაირ მოსწავლეს მეცნიერების მწვერვალებისაკენ გზა გავუკაფოთო. დაახლოებით ამ სიტყვებით, სემინარისტს რომ ეკადრება, ისე გამოხატა თავისი აზრი და „გენიაც“ კი ახსენა, ნაწილობრივ, რასაკვირველია, მაღალფარდოვანი სიტყვით თავის გამოსაჩენად, რაც ბავშვის პირველი წარმატების მიმართ საკმაოდ სასაცილოდ უღერდა, მაგრამ ისე კი ამკარად გულწრფელი განცვიფრება ალაპარაკებდა.

მე არ დავსწრებივარ ამ გაკვეთილებს და მათ შესახებ მხოლოდ ყურმოკვრით თუ ვიცი რამე, მაგრამ ადვილად შემიძლია წარმოვიდგინო, როგორ შთაბეჭდილებას მოახდენდა ჩემი მეგობარი მეცადინეობისას თავის ქაბუკ აღმზრდელზე, რომელიც ალბათ მიჩვეული იყო ზანტსა და ურჩ მოსწავლეებს, სასწავლ მასალას სულ რომ უნდა ჩასჩინებოდა, ან წასახალისებლად აქებოდა, ან გაბრაზებული კიცხავდა. ადრიანი ალბათ გააოგნებდა მას და ზოგჯერ ცოტათი შეიძლება შეურაცხყოფდა კიდეც.

— თუ შენ უკვე ყველაფერი იცი, — ვითომ გამეგონოს, ისე ცხადად ჩამესმის ყურში ახალგაზრდა მასწავლებლის ხმა, — მაშინ ავდეგები და წავალ.

რასაკვირველია, მისმა შეგირდმა „ყველაფერი“ უკვე არ იცოდა, ყოვლისმცოდნის შეხედულება კი იმიტომ ჰქონდა, რომ თქმას ვერ მოასწრებდი, ყველაფერს ისე საოცრად სწრაფად და დამოუკიდებლად ითვისებდა, სხვისი დახმარება თითქმის არც სჭირდებოდა. ეს ის შემთხვევა იყო, როდესაც მასწავლებელი უკვე ამჯობინებს ქებაზე უარი თქვას, რადგან გრძნობს, ასეთი ჭკუის პატრონს დიდი გულიც ეძლევა და სულ ადვილად შეიძლება თავს გაუვიდეს. ანაბანიდან სინტაქსსა და გრამატიკამდე, რიცხვთა მწკრივიდან და ოთხი მოქმედებიდან სამამდე წესამდე და პროცენტებზე მარტივი მაგალითების გამოყვანამდე, პატარა ლექსების დაზეპირებიდან (არსებითად, დაზეპირებაც არ ეთქმოდა ამას, ისე ერთბაშად და ზედმინევით ზუსტად იმახსოვრებდა სტროფებს) საკუთარი აზრების წერილობით: გადმოცემამდე სხვადასხვა თემაზე, საყოველთაო ისტორიიდან იქნებოდა ეს თუ გერმანიის ისტორიიდან — მუდამ ერთი და იგივე მეორდებოდა: ადრიანი ერთს კი მოისმენდა ცალი ყურით და ჰაშინვე პირს იბრუნებდა, ისეთ სახეს იღებდა, თითქოს უნდოდა ეთქვა: კეთილი, გასაგებია, საკმარისია, ახლა შემდეგი მოგვახსენეთო! პედაგოგის განწყობაზე ასეთი რამ ამბოხებით მოქმედებს და, რაღა თქმა უნდა, ყმანვილ კაცს ხშირად გული მოუვიდოდა და დაუყვირებდა: როგორ ბედავ, თავს ძალა დაატანე, თუ შეიძლებოდა! მაგრამ როგორ გინდა თავს ძალა დაატანო, როცა ძალდატანება არ გჭირდება?

როგორც უკვე მოგახსენეთ, მასწავლებელთან მის მეცადინეობას არ დავსწრებივარ, მაგრამ რატომღაც დარწმუნებული ვარ, რომ ჩემი მეგობარი მეცნიერულ მონაცემებს, რომელთაც ბატონი მიხელსენი უზიარებდა, არსებითად ისეთივე ენით უთქმელი და კალმით

აუწერელი გამომეტყველებით იღებდა, როგორც ერთხელ ცაცხვის ქვეშ შევნიშნე სახეზე, როცა შეიტყო, რომ მელოდიური ჰორიზონტალის ცხრა ტაქტს, თუ სამ-სამად განვალაგებთ ერთიმეორეზე ვერტიკალურად, სამხმიანი ჰარმონიული მთლიანობა შეუძლია წარმოქმნას. მასწავლებელმა ცოტაოდენი ლათინური იცოდა, ისიც შეასწავლა თავის შეგირდს და შემდეგ განაცხადა: ბიჭი — სულ რაღაც ათიოდე წლისაა! — მეოთხე კლასში დასაჯდომად თუ არა, მეხუთესთვის მაინც მზად არის, ხოლო მე ჩემი საქმე უკვე მოვათავეო.

ეს იყო და ეს. 1895 წელს, სააღდგომოდ, ადრიანმა მშობლიური სახლი დატოვა და ქალაქს გაემგზავრა წმ. ბონიფაციუსის გიმნაზიაში (არსებითად კი «დუხჭირი ცხოვრების მოძმეთა სკოლაში») შესასწავლელად. ბინად ბიძამისმა, მამის ძმამ, შეიფარა, ნიკოლაუს ლევერკიუნმა, კაიზერსაშერნის გამოჩენილმა მოქალაქემ.

VI

რაც შეეხება ჩემს მშობლიურ ქალაქს: ზაალეზე, უცხოელს უნდა განვუმარტო, რომ ოდნავ ჰალეს სამხრეთით მდებარეობს, თიურინგიისაკენ. კინალამ ვთქვი, მდებარეობდა-მეთქი. იმდენი ხანია იქიდან წამოვედი, რომ ჩემს ცნობიერებაში მან წარსულში გადაინაცვლა. მისი კოშკები კი კვლავინდებურად ძველ ადგილზე არიან აღმართულნი და არა მსმენია, ქალაქის არქიტექტურული ნაგებობანი ჯერჯერობით რამდენადმე დაეზიანებინოს გააფთრებულ საჰაერო ომს, რაც მისი საუცხოო ისტორიული ძეგლების გამო ძალზე დასანანი იქნებოდა. ამას შედარებით მშვიდად ვამბობ, რადგან ჩვენი მოსახლეობის არცთუ მცირე ნაწილთან ერთად, მათ შორის ყველაზე დაზარალებულთა და უსახლკაროდ დარჩენილებთან ერთადაც კი, მეც იმ აზრისა ვარ, რომ ჩვენზე ახია, ხოლო თუ საზღაური უფრო საშინელია, ვიდრე ჩვენ ვცოდავდით, არ უნდა დაგვაგინყდეს: ვინც ქარს დასთესავს, ქარიშხალს მოიმკის.

არც თავად ჰალე, ჰენდელის ქალაქი, არც ლაიპციგი, წმ. თომას კანტორის ქალაქი, არც ვაიმარი, დესაუ და მაგდებურგი არ არიან კაიზერსაშერნიდან შორს, მაგრამ იგი რკინიგზის კვანძია, 27000 მცხოვრებს ითვლის და თვითკმარი ცხოვრებით ცხოვრობს, როგორც ყოველ გერმანულ ქალაქს, თავი კულტურის ცენტრად მიაჩნია, თავი-

სი თავის ისტორიული ყადრი იცის; ქალაქს ინახავს ნაირგვარი სამრეწველო საწარმოები: მანქანათმშენებელი, ტყავეულისა, საფეიქრო, არმატურისა და ქიმიკალებისა, აგრეთვე ნისქვილები; აქვს ერთი კულტურის ისტორიის მუზეუმიც, სადაც ერთ ოთახში დაცულია წამების საზარელი ხელსაწყობები, აგრეთვე 25000 ტომისა და 5000 ხელნაწერის შემცველი მართლაც ძვირფასი ბიბლიოთეკა. ხელნაწერთა შორის ორი ალიტერაციაზე აგებული ჯადოქრული შელოცვაც გვხვდება, რომლებსაც ზოგიერთი მკვლევარი მერზებურგში დაცულებზე ძველად მიიჩნევს, ორივე არსებითად უცოდველი შინაარსისაა, ფულდურ კილოკავზე დაწერილი წვიმის მოყვანის ფორმულებია. კაიზერსაშერნი მეთე საუკუნეში და მერეც, მეთერთმეტეს დასაწყისიდან მეთოთხმეტემდე, საეპისკოპოსო იყო. იქ არის ციხე-კოშკი და ტაძარიც, რომელშიაც იმპერატორ ოტო III საფლავს უჩვენებენ, ადელჰაიდის შვილიშვილისა და თეოფანოს ვაჟისა, რომელიც თავის თავს Imperator Romanorum და Saxonicus-ს* უწოდებდა, მაგრამ იმიტომ კი არა, საქსი უნდოდა ყოფილიყო, არამედ იმავე მიზეზით, რომლითაც სციპიონს აფრიკელს ეძახდნენ, ე. ი. როგორც საქსონიის დამპყრობს. როცა 1002 წელს, თავისი საყვარელი რომიდან განდევნის შემდეგ, დარდისაგან გარდაიცვალა, მისი ნეშტი გერმანიაში ჩამოსვენეს და კაიზერსაშერნიში დაკრძალეს, რაც ცოცხალს ალბათ სულაც არ ეჭაშნიკებოდა, რადგან ზოგჯერ რომ არის გერმანელი საკუთარი თავისადმი გამსჭვალული, ისეთი ანტიპათიის განსახიერება გახლდათ და მთელი სიცოცხლე იმის სირცხვილი ტანჯავდა, რომ გერმანელი იყო.

უნდა ითქვას, რომ ამ ქალაქმა, რომელზეც უფრო წარსულში ვარჩევ ლაპარაკს, რადგან იგი ჩვენი სიჭაბუკის კაიზერსაშერნია, საოცრად შემოინახა შუასაუკუნეობრივი ატმოსფერო, ისევე როგორც შუასაუკუნეობრივი დარჩა მისი ხედიც: ძველი ეკლესიები, ბიურგერთა საგულდაგულოდ მოვლილი სახლები და ბელლები, ნაგებობანი, რომელთაც კედლებში ღიად დატანებული და წინ გამონეული ზედა სართულები აქვთ, წვეტიანი კოჭები სახურავებით შემკული და გალავნებში დატანებული მრგვალი კოშკურები, ხეებით გამწვანებული და რიყის ქვით მოკირწყლული მოედნები, ქალაქის სამმართველოს შენობა, არქიტექტურული სტილის თვალსაზრისით გოტიკასა და რენესანსს შორის მერყევი, მაღალ სახურავზე აღმა-

*რომისა და საქსონიის იმპერატორს (ლათ.).

რთული სამრეკლოთი, მის ქვეშ მოთავსებული ლოჯიებითა და ორი თავნამახვილებული კოშკით დამშვენებული. ეს კოშკები ერკერებს ქმნიან და ფასადს შვეულად ჩამოსდევენ პირველ სართულამდე. ამგვარი ფონი კაცს წარსულთან უწყვეტი კავშირის გრძნობას უღვივებს, უფრო მეტიც, ქალაქს თითქოს შუბლზე აწერია ზედროულობის სახელგანთქმული ფორმულა, სქოლასტიკური *nunc stans**. იდენტურობა ადგილისა, რომელიც ისევ ისეთივეა, როგორიც სამასი, როგორიც ცხრაასი წლის წინათ იყო, ფაქტა დინებას არ ებუება, მას გარს რომ ევლება და დღენიადაგ ბევრი ცვლილება მოაქვს, მაშინ როდესაც ზოგი რამ — მისი ხატებისათვის არსებითი — უცვლელი რჩება კრძალვის გამო ან, თუ გნებავთ, დროის მიმართ სათნო ურჩობის გამო, წარსულის სახსოვრად, ღირაებისა და სიამაყის გასაპოხიერებლად.

ეს მხოლოდ ქალაქის იერის თაობაზე. მაგრამ მის ჰაერშიც იყო რალაც შემორჩენილი მეთხუთმეტე საუკუნის ბოლო ათეული წლების ადამიანის სულიერი განწყობილებიდან: შუასაუკუნეების მიწურულის ისტერიისა და ლატენტურ სულიერ ეპიდემიათა ნატამალი. უცნაურია ამის თქმა შეგნებულ, ფხიზელ, თანადროულ ქალაქზე (მაგრამ იგი თანადროული არ იყო, ძველი გახლდათ, ხოლო სიძველე ეს ანმყოში არსებული წარსულია, ანმყოფ მხოლოდ სიფრიფანა შრით დაფარული წარსული). დაე ახირებულად ჟღერდეს, მაგრამ შეიძლება კაცს ეფიქრა, რომ სადაცაა უნდა დანყებულიყო ბავშვთა ჯვაროსნული ლაშქრობა, წმ. ვიტუსის მადიდებელი როკვა, რომელიმე „ცრუქაქუნას“ ვიზიონერულ-კომუნისტური ქადაგება, რასაც თან ახლდებოდა „სამარცხვინო წარმართული“ საეკლესიო ავლადიდების კოცონზე დაწვა, ჯვრის სასწაულები და ხალხის მისტიკური ჩოჩქოლი. რასაკვირველია, ასეთი რამ არ ხდებოდა და არც შეიძლებოდა მომხდარიყო. პოლიცია ამას არ დაუშვებდა, თანახმად ეპოქისა და ამ ეპოქის მიერ წესრიგის ცნების გაგებასა. და მაინც! რილასთვის არ წაუყრუებია, პოლიციას ჩვენს დროში და ესეც კვლავ დროების შესაბამისად, რომლისთვისაც ამდაგვარი ამბები, ეტყობა, ისევ უპრიანია. ჩვენი დრო ხომ ფარულად მიელტვის, ანდა რალა ფარულად, სრულიად შეგნებულად და საკვირველი თვითკმაყოფილებითაც კი, რაც კაცს გაიძულებს ცხოვრების ბუნებრივ განვითარებაში ეჭვი შეგეპაროს და რაც ალბათ პირწმინდად ყალბსა და მანკიერ

*ან მღვრადი (ლათ.).

ისტორიულობას ნერგავს, — მიელტვის-მეთქი, მოგახსენებთ, იმ ეპოქებს და ენთუზიაზმით იმეორებს მათს სიმბოლურ ქმედებებს, რომელთაც ბნელეთისა სცხიათ რალაც და სამარცხვინოდ ხელყოფენ ახალი დროის სულისკვეთებას, ვთქვათ, მაგალითად, წიგნების დანვა და სხვაც ბევრი რამ, რაც აქ მირჩევნია სულაც არ ვახსენო.

ქალაქის ამგვარი არქაული ნერვული განწყობილებისა და იდუმალი სულიერი დამუხტულობის ნიშანია „ორიგინალურ პიროვნებათა“ სიმრავლე, ობროდებისა და ნახევრად შეშლილების სიუხვე, რომლებიც მის კედლებში ცხოვრობენ და ისევე, როგორც ძველი ნაგებობანი, ადგილობრივ კოლორიტს ქმნიან. მათი ანტიპოდები არიან ბავშვები, „ბიჭბუჭები“, უკან რომ აედევნებიან, დასცინიან და მერე, ცრუმორწმუნოებრივი შიშით ატანილნი, მოკურცხლავენ ხოლმე. გარკვეული ტიპის დედაბრებს ერთ დროს ხომ უცერემონიოდ აცხადებდნენ კუდიანებად, რის საბაბს უბრალოდ მათი თვალში საცემი მახინჯი გარეგნობა იძლეოდა. მაგრამ, თავის მხრივ, კუდიანის ხატებაც უკვე რიგიანად ასეთი ეჭვების ზეგავლენით ჩამოყალიბდა და ბოლომდე სრულყოფილი სახე ფანტაზიით მდიდარ ხალხურ შემოქმედებაში მიიღო: პატარა, ბებერი, მხრებში მოკაკეული, ცბიერი სახის, თვალბნირპლიანი, ცხვირისკარტა, ტუჩთხელი, ხელში მუქარით ჯოხმომარჯვებული, ზოგჯერ კატიის, ბუს ან მოლაპარაკე ფრინველის თანხლებით. კაიზერსაშერნში მუდამ იყვნენ ამნაირი დედაბრები. მათგან ყველაზე პოპულარული, განაწვალეები და გაავებული „სარდაფელი ლიზე“ იყო, რომელსაც ასე იმიტომ ეძახდნენ, რომ მესპილენძეთა პატარა შუკის ერთ-ერთ სარდაფში დაედო ბინა. გარეგნობით ისე ზედმინვენით ჰგავდა კუდიანი დედაბრის ცრუმორწმუნოებრივ ხატებას, რომ თვით ყველაზე სალად მოაზროვნე გამვლელიც კი შეიძლებოდა არქაულ ძრწოლას აეტანა, თუ მას გადევნებოდა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ბავშვები ჰყავდა ადევნებული და წყევლა-კრულვით იგერიებდა, თუმცა ამ დედაბერს ნამდვილად სააუგო არა სჭირდა რა.

აქ ერთი თამამი აზრიც უნდა გაგიზიაროთ, რომელიც ჩვენი დღევანდელი გამოცდილებიდან გამომდინარეობს. განათლების ქომაგთათვის სიტყვა „ხალხს“ და ამ სიტყვით გამოხატულ ცნებას მუდამ რალაც შემაშფოთებლად არქაული ემოციური იერი აქვს, მან იცის, რომ მასას ხშირად როგორც „ხალხს“ მიმართავენ, როდესაც რალაც ატავისტური სიავე სურთ ჩაადენინონ. რალა არ მოუხდენიათ ჩვენს თვალწინ და არცთუ მაინცდამაინც ჩვენს თვალწინ „ხალხის“ სახე-

ლით! ღმერთის სახელით, ადამიანობის ანდა სამართლიანობის სახელით ყოველივე ამის მოხდენას ალბათ ვერ შესძლებდნენ. მაგრამ ფაქტია ისიც, რომ ხალხი მუდამ ხალხად რჩება, ყოველ შემთხვევაში, თავისი არსებობის ერთი გარკვეული შრით, უთუოდ არქაულით, და სწორედ ის აიძულებდა მესპილენძეთა შუკისა და ახლომახლო ქუჩაბანდების მკვიდრთ, რომლებიც არჩევნების დღეს სოციალ-დემოკრატებს აძლევდნენ ხმას, ამავე დროს რომელიმე საბრალო დედილოში, სიღარიბის გამო სარდაფისთვის რომ ვერ დაეღწია თავი, ავი სული დაენახათ და მის გამორჩენაზე შვილებისათვის ეტაცათ ხოლმე ხელი და ზედ გადაფაფრებოდნენ, რათა კუდიანს არ გაეთვალა. ასეთი დედაკაცი რომ კოცონზე დაენვათ, რაც დღეს მთლად დაუჯერებელი ამბავიც არ არის, ოღონდ ახლა ამას ცოტა სხვაგვარად დაასაბუთებდნენ, ისინი მაგისტრატის მიერ აგებული ზღუდეების მიღმა დადგებოდნენ და თვალეჭყეტილები დაუწყებდნენ ყურებას, აჯანყებით კი, ნამდვილად არ აჯანყდებოდნენ. მე ხალხზე ვლაპარაკობ, მაგრამ ასეთი ძველთაძველი ხალხური შრე ყოველ ჩვენგანშია, და თუ მთლად იმას ვიტყვი, რასაც ვფიქრობ, რელიგია არ მიმაჩნია ყველაზე ქმედით სამშალებად ამ ფენომენის ცხრაკლიტულში მოსაქცევად. ჩემი აზრით, აქ მხოლოდ ლიტერატურამ შეიძლება შემწეობა აღმოგვიჩინოს, ჰუმანისტურმა მეცნიერებამ, თავისუფალი და მშვენიერი ადამიანის იდეალის ქადაგებამ.

მაგრამ მოდით ისევ კაიზერსაშერნის ობროდებს დავუბრუნდეთ. იქ იყო კიდევ ერთი გაურკვეველი ასაკის კაცი, რომელიც ყოველ ანაზღაურულ დაძახილზე ცალ ფეხზე როკვას იწყებდა. მეორე კიდევ მაღლა ჰქონდა აშვერილი, თან სევდიანად იღრიჭებოდა, თითქოს პატიებას სთხოვდა უბნის ბავშვებს, ჟრიაშულით უკან რომ დასდევდნენ. მახსოვს აგრეთვე იმ დროისათვის სრულიად შეუფერებლად გამონყობილი ასული, ვინმე მათილდე შპიგელი. ფურჩალებიანი და შლიეფიანი კაბა ეცვა და თავზე „ფლადუსი“ ადგა – სასაცილო სიტყვა გახლავთ, დამახინჯებული ფრანგული, *flûte douce*, რაც კაცმა რომ თქვას, საერთოდ „პირფერობას“ ნიშნავს, მაგრამ ამ შემთხვევაში დალალებიან, ბაფთებიან და მსუბუქი თავსაბურით დაგვირგვინებულ განსაკუთრებულ ვარცხნილობას აღნიშნავდა. ეს ქალი სახეზე ფერ უმარილ ნათხიპნილი დადიოდა, მაგრამ უზნეობაში წილი არ ედო, საამისოდ მეტისმეტად გამოშტერებული იყო, მთელ ქალაქს უვლიდა ტუტუცურად ცხვირაბზეკილი და თან მუდამ ატლასის ჩულიანი მოპსები ახლდნენ. და ბოლოს ერთი წვრილფეხა რანტიეც,

რომელსაც ქარხალივით წითელ ცხვირზე მეჭეჭები ასხდა და სალოკ თითზე მსხვილდამლიანი ბეჭედი ეკეთა. გვარად შნალე იყო, მაგრამ ბავშვები „აბა, აბა, ციცს“. ეძახდნენ, რადგან ჩვეულებად ჰქონდა ყოველი სიტყვისათვის ეს მარცვლები დაეყოლებინა ხოლმე სრულიად უაზრო მოძახილივით. რკინიგზის სადგურზე უყვარდა ყოფნა და როცა საბარგო მატარებელი გადიოდა, ბეჭდიან თითს მაღლა აიძვერდა და ბოლო ვაგონის უკანა ბაქანზე მჯდომ კაცს აფრთხილებდა: „არ ჩამოვარდეთ, არ ჩამოვარდეთ, აბა, აბა, ციცს!“

ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს რაღაც უღირსს ჩავდიოდე, აქ რომ ამ გროტესკულ პერსონაჟებს ვიხსენებ, მაგრამ ისინი, ასე ვთქვათ, საზოგადოებრივ ნიშანსვეტებს წარმოადგენდნენ და ჩვენი ქალაქის ფსიქიკური სურათისათვის უალრესად დამახასიათებელნი იყვნენ, ე.ი. ადრიანის ცხოვრების ჩარჩოსათვის, ვიღრე უნივერსიტეტში შევიდოდა, ახალგაზრდობის მთელი რვა წლის განმავლობაში, და აგრეთვე ჩემი სიტყბუკისაც, რომელსაც მის გვერდით ვატარებდი, რადგან მე თუმცა-ასაკის შესაფერისად ორი კლასით წინ გახლდით, მაგრამ შესვენებისას მეტწილად ერთად ვიყავით გალავანშემორტყმულ სკოლის ეზოში, დანარჩენ მოსწავლეთაგან განცალკევებით, და ნასადილევსაც მოვიწახულებდით ხოლმე ერთმანეთს: ან ის მოდიოდა ჩემს სენაკში აფთიაქ „სულმნათი მოციქულების“ მეორე სართულზე, ანდა მე მივდიოდი მასთან, პაროხილშტრასეს 15-ში, ბიძამისის სახლში, რომლის მეზონინიც მთლიანად ლევერკიუნის საქვეყნოდ ცნობილ მუსიკალური საკრავების საწყობს ეჭირა.

VII

ბიძამისის სახლი მყუდრო უბანში იდგა, კაიზერსაშერნის საქმიანი რაიონისაგან, ბაზრისაგან და მეძველმანეთა რიგისაგან მოშორებით, უფილაქანო, მიხვეულ-მოხვეულ შუკაში, ტაძრის მახლობლად. მთელ ამ ქუჩაბანდში ნიკოლაუს ლევერკიუნის სამკვიდრო ყველაზე სოლიდური გახლდათ, იგი მეთექვსმეტე საუკუნის სამსართულიანი ბიურგერული სახლი იყო, თუ ერკერების მსგავსად გარეთ გამოწეულ სხვენის სათავსოებს არ ჩავთვლით, და ჯერ კიდევ ახლანდელი პატრონის პაპას ეკუთვნოდა, ალაყაფის კარის თავზე მეორე სართულის გაყოლებით ხუთი ფანჯარა ჰქონდა, ხოლო მესამეზე, სადაც საკუთრივ საცხოვრებელი ოთახები იყო განლაგებული, მხოლოდ ოთხი

და დარბებიანი. გარედან სახლს მინისპირას რაიმე სამკაული არ გააჩნდა, შეღებილიც კი არ იყო და მხოლოდ ზევით იწყებოდა ხის ჩუქურთმები. თვით კიბეც კი მარტო წინკარის ქვის იატაკიდან საკმაოდ მაღლა, ნახევარი სართულის დონეზე განლაგებული ბაქნიდან ფართოვდებოდა. ასე რომ, სტუმრებისა და მუშტრებისათვის, რომელთაგან ბევრი შორიდან, ჰალედან და თვით ლაიპციგიდანაც კი ჩამოდოდა, მაინცდამაინც იოლი როდი იყო სასურველ მიზნამდე მიღწევა, მუსიკალურ საკრავთა სავაჭრომდე ასვლა, მაგრამ ამ შიშველი კიბის დასაძლევად თავის შენუხება რომ მართლაც ღირდა, ამაში ახლავე დარწმუნდებით.

ნიკოლაუს ლევერკიუნი ქვრივი იყო — ცოლი ახალგაზრდობაშივე გარდაეცვალა — და ადრიანის ჩამოსვლამდე მარტო ბინადრობდა დიდი ხნის შემოჩვეულ მწე ქალთან — ფრაუ ბუცესთან, მოახლე გოგოსთან და თავის მონაფესა და თანაშემწესთან — ლუკა ჩიმაბუესთან ერთად. ეს ახალგაზრდა იტალიელი, წარმოშობით ბრემიელი, მართლაც ტრეჩენტოს ეპოქის ფერმწერის — მადონების მხატვრის მოგვარე გახლდათ და ადრიანის ბიძას ვიოლინოების დამზადებაში შველოდა, რადგან ადრიანის ბიძა ამ ხელობასაც მისდევდა.

ნიკოლაუს ლევერკიუნს ოდნავ განენილი, დაბლა ჩამოცვენილი ნაცრისფერი თმა ჰქონდა და უწვერული, სანდომიანი სახე: ძალზე მაღალი ყვრიმალები, მოხრილი, ცოტათი დაბლა დაშვებული ცხვირი, მოზრდილი, ექსპრესიული პირი და გულკეთილი, ჭკვიანურად, დაკვირვებით მომზირალი თაფლისფერი თვალები. შინ ხელოსნის ნაოჭებიანი ხალათი ეცვა ხოლმე, ბამბაზიისა, მუდამ საგულდაგულოდ შეკრული. დიახაც მგონია, რომ მან, უშვილომ და იმოდენა სახლის პატრონმა, სიხარულით მიიღო სისხლით ნათესავი. აგრეთვე მსმენია, რომ მისი ძმა იონათანი ვაჟიშვილის სწავლის ფულს კი იხდიდა, მაგრამ ადრიანის შენახვაში ძმა არაფერს ართმევდა. ისეც საკუთარი შვილივით ეპყრობოდა, დიდ, თუმცა ჯერ გაურკვეველ იმედებს ამყარებდა მასზე და ერთობ კმაყოფილი იყო, რომ ახლა სუფრას მხოლოდ ფრაუ ბუცესა და ლუკას ამარა აღარ უჯდა (პატრიარქალურად თავისი შეგირდის გვერდით მოსმა იცოდა ხოლმე).

შეიძლება უცნაურად მოსჩვენებოდა კაცს, რომ ამ ახალგაზრდა იტალიელმა, სასიამოვნო აქცენტით მოლაპარაკე გულმისავალმა ჭაბუკმა, რომელსაც შინ ალბათ საუცხოო შესაძლებლობანი ჰქონდა თავის დარგში შემდგომი დაოსტატებისათვის, კაიზერსაშერნის გზა გაიგნო და ადრიანის ბიძას მიაკვლია, მაგრამ ეს ამბავი ნიკოლაუს

ლევერკიუნის მრავალმხრივ საქმიან ურთიერთობაზე მეტყველებდა. იგი დაკავშირებული იყო არა მხოლოდ მუსიკალურ საკრავთა წარმოების გერმანულ ცენტრებთან, როგორცაა მაინცი, ბრაუნშვეიგი, ლაიპციგი, ბრემენი, არამედ აგრეთვე საზღვარგარეთ არსებულ ფირმებთანაც ლონდონსა, ლიონსა, ბოლონიასა და ნიუ-იორკშიაც კი. ამ ქალაქებში იქნდა სიმფონიურ საქონელს და განთქმული იყო იმით, რომ არა მხოლოდ საუკეთესო ხარისხის ნაწარმი, არამედ ყველაზე სრული და უხვი, სხვაგან რომ ვერ შეხვდებოდით, ისეთი ასორტიმენტი ჰქონდა. თუ გერმანიაში სადმე ბახის ფესტივალი იმართებოდა და მის ნაწარმოებთა შესრულებისას სტილის ბოლომდე დასაცავად oboe d'amore სჭირდებოდათ, ორკესტრებიდან დიდი ხნის წინათ გამქრალი უფრო დაბალი ხმის ჰობოი, მაშინ პირდაპირ კაიზერსაშერნში ჩადიოდა რომელიმე ორკესტრანტი და პაროხიალმტერასეზე მდგარი ძველი სახლისაკენ გასწევდა, დარწმუნებული, რომ იქ უთუოდ იშოვიდა ამ ელეგიურ საკრავს და ადგილზევე გამოსცდიდა კიდეც.

ნახევარსართულის ოთახებში მოთავსებული მალაზია, სადაც ხშირად სულ სხვადასხვანაირი საკრავები ისინჯებოდა და ოქტავიდან ოქტავაში მონანავე სულ სხვადასხვა შეფერადების ბგერები გაისმოდა, დიდებულ, მომხიბლავ, მე ვიტყვოდი, მომჯადოებელ კულტურულ სანახაობას წარმოადგენდა, რომელიც აკუსტიკურ ფანტაზიას აღვივებდა და შუშუნს აწყებინებდა. როიალის გამოკლებით, რაც ადრიანის მამობილს წარმოების საგანგებო დარგის ობიექტად მიაჩნდა, იქ ყველაფერი იყო გამოფენილი, თუკი რამ ხმიანობსა და მღერის, თუკი რამ დუდღუნებს, გუგუნებს, გრუხუნებს, გრიალებს და წკრიალებს, – ისე კი, კლავიშებიანი საკრავებიც იყო აქ წარმოდგენილი სანუკვარი ზარებიანი ფორტეპიანოთი, ჩელესტათი. აქვე ეკიდა მინის კარადებში ანდა, როგორც მუმიები კუბოებში, ისე ელაგა მათივე მოყვანილობის ბუდეებში უმშვენიერესი ვიოლინოები, ზოგი ყვითლად, ზოგიც ყავისფრად გალაქულები, კენარი ხემები, ვერცხლით მოსევადებული ტარი რომ ჰქონდათ და ბუდის თავსახურზე იყვნენ დამაგრებულნი, – იტალიური ვიოლინოები, რომელთა დახვეწილი, კეთილშობილური მოყვანილობა მცოდნეს მაშინვე ამცნობდა, რომ კრემონიდან იყვნენ, აგრეთვე ტიროლურიც, პოლანდიურიც, საქსონურიც, მიტენვალდურიცა და ლევერკიუნის საკუთარი სახელოსნოს პირმშონიც; მწკრივებად იდგნენ მელიოდიური ვიოლონჩელები, ანტონიო სტრადივარის რომ

უმაღლიდნენ სრულყოფილ ფორმას, მაგრამ აქ მუდამ იშოვებოდა მათი წინამორბედიც — ექვესსიმიანი *viola da gamba*, რომელსაც ძველ ნაწარმოებებში ასევე საპატიო ადგილი უჭირავს, აგრეთვე ალტიცა და ვიოლინოს მეორე დაც — *viola alta*. ბოლოა ჩემი საკუთარი *viola d'amore*-ც, რომლის შვიდ სიმზეც მთელი სიცოცხლე ვუკრავდი, ხომ პაროხიალშტრასედან იყო და იყო — მშობლების ნაჩუქარი გახლდათ კონფირმაციის დღეს.

კედლის გასწვრივ ჩამორიგებული იყო გივანტური ვიოლინოს — *violone*-ს არა ერთი და ორი ეგზემპლარი, — ადგილიდან ვერ დასძრავდით, იმოდენა კონტრაბასები. მათ მეფური რეჩიტატივები ხელენიფებოდათ და პიჩიკატოებიც უფრო ხმოვანი ჰქონდათ, ვიდრე ბობლანი გამოსცემს; მათი შემყურე კი სულ არ მოელოდით, რომ ასეთი ჯადოსნური, ფლაჟოლეტური ბგერები გააჩნდათ. ასევე უხვად წარმოდგენილი იყო მისი ეკვივალენტიც ხის სასულე საკრავთა შორის — კონტრაფაგოტი, კონტრაბასივით თექვსმეტფუტიანი, ე. ი. ერთი ოქტავით დაბლა მჟღერი, ვიდრე მის ნოტებშია მითითებული, ბანების მძაფრად გამაძლიერებელი, ზომით ორჯერ დიდი თავის უმცროს ძმაზე — ოინბაზ ფაგოტზე, როგორც მე ვეძახი, რადგან იგი ბანის საკრავია და რიგიანად ბანის სიმძლავრე კი არ გააჩნია, უცნაურად სუსტი ხმა აქვს, მოკიკინე, კარიკატურული. მაგრამ რა კოხტად მოხრილი სასულე მილი ჰქონდა და როგორ უელავდა სარქველებისა და ბერკეტების მორთულობა, რა წარმტაცი სანახავი იყო, საერთოდ, ეს სალამურების ლაშქარი, დროთა ვითარებაში ტექნიკური განვითარების შედეგად ესოდენ სრულქმნილნი. როგორ ახელებდა ვირტუოზის ყინს ყოველი მათგანი თავისებურად: ბუკოლიკური ჰობოი, ინგლისური ქარახსა, მწუხარე ჰანგები რომ ემარჯვება, უამრავი სარქველით აღჭურვილი კლარნეტი, დაბალ *chalumEAU** -რეგისტრში ლანდების სამყაროდან მომდინარესავით პირქუშად რომ უღერს, მაგრამ უფრო მალლა კი ვერცხლისებერ კრიალა კეთილხმოვანებით გაცისკროვნება-გაფურჩქვნა ძალუძს, ვითარცა ბასეტჰორნსა და ბასკლარნეტს.

ისინი, ყველანი, ხავერდზე ესვენენ ძია ლევერკიუნის დახლზე და მათ გვერდით განივი ფლეიტაც ეწყო, ნაირ-ნაირი სისტემისა და ნაირ-ნაირად გაფორმებული: წიფლისა, გრენადილის ხისა ან აბანოზისა, სპილოს ძვლის თავებიანნი ანდა სულაც ვერცხლისები, ხოლო

*სალამურის (ფრანგ.).

განივ ფლექტას კიდევ მისი წივანა ნათესავი, პიკოლო-ფლექტა მეზობლობდა, მალალი ხმით ტუტი-ორკესტრს რომ მსჭვალავს და მორიალე სინათლეების ფერხულში ან ცეცხლის დამწყალობნებისა მშენივრად წარმართავს როკვას.

იყო აქ ბრჭყვიალა სპილენძის საკრავთა მთელი დასიც, დაწყებული კოპნია საყვირით, რომლის დანახვაზე თითქოს ყურში ჩაგესმის მისი მყლერი მოქახილი, მამლაყინწური სიმღერა, მორაკრაკე კანტილენა, და რომანტიკოსთა საყვარელი ვენტილებიანი, რთული ვალტორნით, ხოლო დამთავრებული ვეება, კენარი ტრომბონით, კორნეტ-ა-პისტონითა და ბოხი, მძიმე-მძიმე ბანის დიდი საყვირით. თვით სამუზეუმო იშვიათობანიც კი თითქმის ყოველთვის იშოვებოდა ლევერკიუნის მალაზიაში, ვთქვათ, ერთი წყვილი ლამაზად მოხრილი, ხარის რქებივით მარჯვნივ და მარცხნივ მიქცეული ბრინჯაოს ლური. მაგრამ თუ ბიჭის თვალით შევხედავდით, — მე კი დღესაც, როდესაც ამას ვიგონებ, სწორედ ასეთი თვალთ ვხედავ მათ, — ყველაზე წარმტაცვი, ყველაზე დიდებული დასარტყმელი საკრავების მდიდარი გამოფენა იყო, — ალბათ იმიტომ, რომ ამ წივთებს ძალზე ადრე ეცნობა ბავშვი, როგორც სათამაშოებს, ოცნებობს მათზე და საშობაო ნაძვის ხის ქვეშ არაერთხელ დახვედრია ისინი, აქ კი მე საგულდაგულოდ დამზადებულნი წარმომიდგნენ, საპატო მიზნებისათვის, უფროსებისათვის განკუთვნილნი. პატარა დაფი! რა სხვანაირი ჩანდა აქ ხისაგან, პერგამენტისა და თოკებისაგან სახელდახელოდ მოხონმარკებულ სათამაშოსთან შედარებით, რომლითაც თავს ვიქცევდით პანანკინტელა ბიჭები და ასე მალე ვაფუჭებდით! ეს ჩამოსაკიდებლად არ იყო გათვალისწინებული. ქვედა მხარეს ტყავი ლარებით ჰქონდა გადაჭიმული და ორკესტრში სახმარად მარჯვე რომ ყოფილიყო, დამრეცად მიეხრახნათ სამფეხა ლითონის სადგარზე, გვერდითა რგოლებში კი ხის ჩხირები გაეყარათ, ჩვენსაზე ბევრად ზორბები, და ისინიც თითქოს გვეპატიჟებოდნენ: მოდით, დაუკარითო. აქ გახლდათ „ზარებიც“, რომლის საბავშვო ვარიანტზე ოდესღაც „ჩიტუნია მოფრინავდას“ დაკვრაში ვვარჯიშობდით, — მოხდენილ ყუთებში ორ რიგად განლაგებული, საგულდაგულოდ შეხმატკბილებული ლითონის ფირფიტები. მათ თავისუფლად რხევა რომ შესძლებოდათ, ისე მიემარებინათ განივ თამასებზე. მელოდიურ ჟღერას ფოლადის პატარა კონტა ჩაქურების შეხებით იწყებდნენ, ყუთის სარჩულგამოკრული სახურავის შიგნით რომ ინახებოდნენ. შემდეგ — ქსილოფონიც, თითქოს საგანგებოდ იმის-

ვის შექმნილი, რომ შუალამისას სასაფლაოზე ჩონჩხების როკვა გამო-
ოესახა აკუსტიკურად. იგი აქ დიდი ქრომატიული შესაძლებლობისა
იყო წარმოდგენილი. თვალში გეცემოდათ სპილენით მოჭედილი ვე-
ება ცილინდრი დიდი დაფდაფისა, რომელსაც თექაგადაკრული
მუშტუკუნით აგუგუნებდნენ ხოლმე, და სპილენძის ბობლანი.
ბერლიოზმა თავის ორკესტრში თექვსმეტი სხვადასხვანაირი
ბობლანი დანერგა, რადგან არ იცნობდა იმ საკრავს, რომელიც
ნიკოლაუს ლევერკიუნს გააჩნდა, — მექანიზირებულ ბობლანს, შე-
მსრულებელი რომ სულ იოლად, ხელის ერთი მოსმით უხამებს
ტონალობის ცვლას. ახლაც მახსოვს, როგორ ვცელქობდით ამ საკ-
რავთან, გვინდოდა გაგვესინჯა და მე და არიანი, — არა, ვგონებ,
მარტო მე — ჩხირებს ვცემდით, ხოლო კეთილ ლუკას კი ზევით-ქვ-
ევით გადაჰყავდა მარეგულირებელი ბერკეტა, ასე რომ, ყოვლად
უცნაური გლისანდო, აღმავალ-დაღმავალი ბრაგაბრუგი გამოდიო-
და. ამას უნდა დავუმატოთ აგრეთვე: საკვირველზე საკვირველი თე-
ფშები, რომელთა დამზადებაც მარტო ჩინელებმა და თურქებმა იცი-
ან, რადგან გავარვარებული ბრინჯაოს გამოჭედვის საიდუმლოს
ეზიარნენ. შემოარტყამს ერთმანეთს დამკვრელი ასეთ თეფშებს და
მერე დამსრე საზოგადოებას საზეიმოდ მიუშვერს ხოლმე მათ შიდა
მხრიდან; მგრგვინავი ტამტამი, ბოშური დაფი, სამკუთხედი, ცალი
კუთხე ბოლომდე შეკრული რომ არა აქვს და ფოლადის ნკირის შეხ-
ებაზე მალალ ხმაზე ნკრიალებს, და დღევანდელი წინწილა — შიგნი-
დან ღრუ, ხელში მოტკაცუნე კასტანიეტები. აბა წარმოიდგინეთ საკ-
რავთა ეს მეჯლისი, ერთმანეთს შედალიანი არფების ბრწყინვალე
ოქროცურვილი ჩუქურთმებით დაგვირგვინებული, და გასაგები
იქნება, რატომ გვიზიდავდა ასე მაგიურად ჩვენ, ბიჭებს, ძია ლევერ-
კიუნის სავაჭრო სათავსოები; მდუმარე, მაგრამ ასობით ნაირგვარი
ფორმით კეთილხმოვანების მაუნყებელი სამოთხე.

ჩვენ-მეთქი? არა, უკეთესი იქნება, თუ მხოლოდ ჩემზე ვილაპა-
რაკებ, მე როგორ ვიყავი მოხიბლული, როგორ ვნატრობდი, და ჩემი
მეგობარი არ გავრიო, როცა ამგვარ განცდებზე მოგიხსრობთ, რად-
გან ის მუდამ გულგრილი რჩებოდა ამ დიდებული სანახაობის მიმა-
რთ, შეიძლება იმიტომ, რომ ამ სახლში ცხოვრობდა და ყოველივე ამას
შეჩვეული იყო, ანდა შეიძლება იქაც თავს იჩენდა მისთვის საერთოდ
დამახასიათებელი გულცივობა. თავი ისე ეჭირა, თითქოს მხრები
სურს აიჩეჩოსო და ჩემს აღტაცებულ შეძახილზე მხოლოდ ჩაიცინე-
ბდა ხოლმე, ან მოკლედ მოსჭრიდა: „ჰო, კობტაა“, ან: „კურიოზული

რამეა“, ან კიდევ: „რას არ მოიგონებენ ადამიანები“. ზოგჯერ კი დას-
ძენდა: „შაქრის თავეებით ვაჭრობას მაინც სჯობიაო“. ხანდახან,
როდესაც მასთან მანსარდში ჯდომის შემდეგ, საიდანაც ქალაქის
ერთად შექუჩებული სახურავების მიღმა სასახლის გუბურისა და
ძველებური წყალსაქაჩი კოშკურის მშვენიერი ხედი იშლებოდა, ჩემი
თხოვნით – მე გავბახვ: მუდამ ჩემი თხოვნით – დაბლა ჩავიდოდით
მალახის დასათვალიერებლად, რასაც მაინცდამაინც არც გვი-
შლიდნენ, ჭაბუკი ჩიმაბუეც შემოგვიერთდებოდა ხოლმე, ნანილობ-
რივ, როგორც მე ნგონია, თვალყური რომ ედევნებინა ჩვენთვის, ნა-
ნილობრივ კი ჩიჩერონობა რომ გაენია, ჩვენი გულითადი მეგზური
და განმანათლებელი ყოფილიყო. მისგან შევიტყვეთ საყვირის ისტ-
ორია: უწინ თურმე იძულებულნი იყვნენ იგი რამდენიმე სწორხაზ-
ოვანი ლითონის მილისაგან დაემზადებინათ, რომელთაც ერთმან-
ეთს ღრუ ბურთულებით უკავშირებდნენ, ვიდრე თითბრის მილების
ისე მოლუნვას ისწავლიდნენ, რომ არ დაეხეთქათ, სახელდობრ, ჯერ
მათ ფისითა და კოლოფონით ავსებდნენ, მერე კი ტყვიით, რომელსაც
ჩამოსხმის შემდეგ ისევ ცეცხლზე ადნობდნენ და გარეთ ღვრიდნენ.
აქ სჩვეოდა იმ სპეციალისტთა გაკრიტიკებაც, ვინც ამტიციებდა,
რომ სულ ერთია, საკრავი რა მასალისგანაა დამზადებული, ლითონ-
ისაა თუ ხისა, რომ ჟღერადობა მის ზომასა და მოყვანილობაზეა
დამოკიდებული. არსებითი მნიშვნელობა არა აქვს ფლეიტა ხისაა თუ
სპილოს ძვლისა, ან საყვირი თითბრისაა თუ ვერცხლისა. მისი მა-
ესტრო, ადრიანის zio* კი, რომელიც ვიოლინოებს ამზადებს და
ამიტომ მასალის ყადრი იცის, ხის ჯიშისა და ლაქის მნიშვნელობა
ესმის, ამ აზრს არ იზიარებს და ხშირად ამბობს: სულ იოლად შემი-
ძლია ფლეიტის ხმაზე გავარჩიო, რისგან არის გაკეთებულიო, რაც
სხვათა შორის, მასაც, ლუკასაც, ეხერხება. მერე ნამდვილი იტალიე-
ლის პატარა, ლამაზად მოყვანილი ხელებით ფლეიტის მექანიზმს
გვიჩვენებდა ხოლმე, რომელმაც ბოლო ასორმოცდაათი წლის გან-
მავლობაში, სახელგანთქმული ვირტუოზის – კვანცის შემდეგ
ესოდენ დიდი ცვლილებები განიცადა და საგრძნობლად გაუმჯობ-
ესდა; გვიხსნიდა როგორც ცილინდრული ფორმის ბომისეული მძ-
ლავრი ფლეიტის წონყობილობას, ისევე ძველებურსაც, კონუსისებ-
ურსაც, რომელიც უფრო ტკბილად ჟღერს, მანცე გაგვაცნო კლარნ-
ეტის აპლიკატურა და შვიდხვრელიანი ფაგოტისაც, რომელსაც

*ზიდა (იტალ.).

თორმეტი დახურული და ოთხი ღია სარკველი აქვს და რომლის ხმოვანებაც ადვილად ერწყმის ვალტორნების ხმოვანებას, გვიჩვენებდა ამ საკრავთა დიაპაზონს, გვასწავლიდა მათ ხელში დაჭერას და ასე შემდეგ.

ახლა, როდესაც მაშინდელ ამბებს ვიგონებ, ეჭვიც არ მეპარება, რომ ადრიანი, შეგნებულად თუ შეუგნებლად, უთუოდ თვალყურს ადევნებდა საკრავთა დემონსტრირებას, ყოველ შემთხვევაში ისეთივე ყურადღებით მაინც, როგორითაც მე, და ამან, რაღა თქმა უნდა, მას გაცილებით მეტი სარგებლობა მოუტანა, ვიდრე ჩემთვის შეიძლებოდა მოეტანა. ოღონდ მაშინ არ ემჩნეოდა, ვერაფერზე ვერ შეატყობდით, რომ ეს ყოველივე ოდნავ მაინც აინტერესებდა, თვითონ განზე გადგებოდა, სულ სხვა საკრავს ათვალთვლებდა და არა იმას, რომელზეც ლაპარაკი იყო. ბიძამისის შეგირდს კი მე მარტო შევრჩებოდი ხოლმე. იმის თქმა კი არა მსურს, თითქოს თავს იდებდა, და სულაც არ მავიწყდება, რომ მუსიკა იმ ხანად ჩვენთვის მარტოდენ ნივთიერ სინამდვილეს განასახიერებდა, წარმოდგენილს ნიკოლაუს ლევერკიუნის სათავსოებში. თუმცა კამერულ მუსიკას გაკვირით უკვე ვიცნობდით: კვირაში ერთხელ თუ არა, ორ კვირაში ერთხელ მაინც ადრიანის ბიძასთან შინაურული კონცერტები იმართებოდა, რომელთაც მეც და ადრიანიც ყოველთვის როდი ვესწრებოდით. სამუსიკოდ მათთან მოდიოდნენ ტაძრის ორგანისტი, ბატონი ვენდელ კრეჩმარი, ლიყიანი, რომელიც მაღლე ადრიანის მასწავლებელი უნდა გამხდარიყო და ნმ. ბონიფაცაუსის გიმნაზიის გალობის მასწავლებელი. ადრიანის ბიძა მათთან ერთად ჰაიდნისა და მოცარტის რჩეულ კვარტეტებს ასრულებდა: თავად პირველი ვიოლინოს პარტიას უკრავდა, ლუკა ჩიმაბუე – მეორისას, ბატონი კრეჩმარი – ვიოლონჩელისა და გალობის მასწავლებელი – ალტისას. თავშემაქცევარ მამაკაცთა შინაურული წრე იკრიბებოდა, სადაც შეგიძლია ლუდით სავსე ჭიქა იატაკზე მოიდგა გვერდით, პირში სიგარა გაიჩარო და ისე დაუკრა. ზოგჯერ შეეშლებოდათ ხოლმე, თითქმის ყოველთვის გალობის მასწავლებლის გამოისობით, ნაკინკლავდებოდნენ და ჭანგების ენაში საოცრად უცხოოდ და მშრალად იჭრებოდა მათი სიტყვები, ხემის კაკუნით და უკვე დაკრული ტაქტების თვლა. ნამდვილი სიმფონიური ორკესტრის კონცერტი ჩვენ არ მოგვესმინა და ეს, თუკი კაცი მაინცდამაინც მოინადინებს, საკმარის საბაბად შეიძლება მივიჩნიოთ საკრავთა სამყაროს მიმართ ადრიანის აშკარა გულგრილობის ასახსნელად. ყოველ შემთხვევაში, თვითონ

მას მიაჩნდა, რომ ეს საკმარისი უნდა ყოფილიყო სხვების თვალში და თავადაც არსებით მიზეზად თვლიდა. მე აქ იმის თქმა მინდა, რომ ამით თავს იბოდიშებდა და მუსიკას ემალებოდა. დიდხანს და დაჟინებით, ავი წინათგრძნობით მოცული ემალებოდა ეს ადამიანი თავის ბედისწერას.

ისე კი, ჯერჯერობით არავის აზრად არ მოსდიოდა მოზარდი ადრიანი და მუსიკა ერთ კონტექსტში წარმოედგინა. ყველას სჯეროდა, სწავლული უნდა გამოსულიყო, და ეს თვალსაზრისი სულ უფრო და უფრო მტკიცდებოდა ბიჭის ბრწყინვალე წარმატებებით გიმნაზიაში, სადაც პირველი მონაფე იყო და მხოლოდ ზედა კლასებში, როცა უკვე თხუთმეტი წლისა გახდა, ოდნავ უკლო, რადგან შაკიკი მოეძალა და ჯეროვნად ვეღარ ემზადებოდა, თუმცა აგრერიგად თავზე ძაღდატანება არც სჭირდებოდა, სკოლის მოთხოვნებს იოლად სძლევდა, იმდენად იოლად, რომ სიტყვა „დაძლევა“ აქ შეუფერებელიც კია, — პროგრამის გავლა არად უღირდა. ოღონდ სწავლაში ბრწყინვალე მაჩვენებლებით ადრიანმა მასწავლებელთა გული ვერ მოინადირა, მათ ერთგვარი გაღიზიანება ემჩნეოდათ, ამის მომსწრე არაერთხელ ვყოფილვარ, თითქოს სურდათ რამეში მაინც ჩაეჭრათ, იმიტომ კი არა, რომ გულზვიადი ეგონათ — თუმცა როგორ არა, სწორედ რომ ეგონათ, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ ერთობ თავი მოჰქონდა თავისი მიღწევებით, არამედ პირიქით, ჯეროვნად არ ამაყობდა და სწორედ ამით ხდებოდა საცნაური მისი ქედმაღლობა იმის მიმართ, რასაც ესოდენ ადვილად უძლეუბოდა, ე. ი. შესასწავლი მასალის მიმართ, სხვადასხვა საგნების მიმართ, რომელთა სწავლება პედაგოგთა ღირსებასაც და შემოსავლის წყაროსაც შეადგენდა. ამიტომ, გასაგებია, მათ არ ეპრიანებოდათ ეს ამბავი, თითქოს პირში ჩალაგამოვლებული რჩებოდნენ უაღრესად ნიჭიერი მოსწავლის დაუდევარი დამოკიდებულებით.

რაც შემეხება პირადად მე, ბევრად უფრო გულითადი ურთიერთობა მქონდა მათთან — რაც გასაკვირი არც არის, რადგან სულ მალე ხომ მათ მარაქაში უნდა გავრეულიყავი და არც ვმაღავდი, რომ ამას სერიოზულად ვესწრაფოდი. მეც უფლება მქონდა თავი კარგ მოსწავლედ შემერაცხა, მაგრამ ამას მარტოოდენ საქმის სიყვარულით თუ ვაღწევდი, განსაკუთრებით კი ძველი ენებისა და კლასიკური ანტიკური ხანის პოეტებისა და მწერლების სიყვარულით, რაც მაიძულებდა ძალები დამეძაბა, მაშინ როდესაც ჩემი მეგობარი შემთხვევას ისე არ უშვებდა ხელიდან, რომ ჩემთვის არ ეგრძნობინებინა და

თანაც ხაზგასმით, როდენ გულგრილი იყო სწავლის მიმართ და, ასე ვთქვათ, სასწავთაშორისო ამბად მიაჩნდა მთელი სასკოლო განათლება. მე მეშინოდა და არცთუ უსაფუძვლოდ, რომ ეს მასწავლებლებსაც შეუმჩნეველი არ დარჩებოდათ. იმიტომ კი არა, რომ მისი კარიერა მადარდებდა, მის ნიჭიერებას წინ რა დაუდგებოდა, არამედ იმიტომ, რომ ჩემს თავს ვეკითხებოდი, მაშინ რა არის ისეთი, რასაც ის გულგრილად არ ეკიდება და მეორეხარისხოვნად არ მიიჩნევს-მეთქი. მე მის „მთავარ საქმეს“ ვერ ვხედავდი და არც შეიძლებოდა დამენახა. ამ წლებში სასკოლო ცხოვრება მთელ ცხოვრებას მოიცავს, მთლიანად ფარავს მას, მისი ინტერესებით იფარგლება ჰორიზონტი, ყოველი ადამიანის სიცოცხლე რომ საჭიროებს იმ ღირებულებათა გასაავითარებლად, რომლებშიც, რა რელატიურნიც უნდა იყვნენ ისინი, თავს იჩენს ამ ადამიანის ხასიათი და უნარი. მაგრამ ეს მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც ამ ფასეულობათა რელატიურობა გაცნობიერებული არ არის. აბსოლუტურ ღირებულებათა რწმენა, თუმცა მუდამ ილუზიორულია, ცხოვრების აუცილებელ პირობად მეჩვენება. ჩემი მეგობრის მონაცემები კი ისეთი ღირებულებებით იზომებოდნენ, რომელთა რელატიურობა მისთვის, ეტყობა, აშკარა იყო. მაგრამ, თუ რა აძლევდა მათი გაუფასურების საბაბს, ეს არ ჩანდა. ცუდი მონაფეების მეტი რა არის, ადრიანი კი განუმეორებელი ფენომენი გახლდათ ცუდი მონაფისა, რადგან ამასთანავე პირველი მონაფეც იყო. ეს ამბავი მაშინებდამეთქი, ვთქვი, მაგრამ ამავე დროს წარუშლელ შთაბეჭდილებასაც ახდენდა ჩემზე, მიზიდავდა და აძლიერებდა მეგობრისთვის ჩემს თავდადებას, რასაც — არ.ვიცი, გაიგებს თუ არა მკითხველი, რატომ — ტკივილისა და უსასოობის მსგავსი რაღაც ერთვოდა ხოლმე.

ოღონდ ამ ირონიულ-გამჭირდავ დამოკიდებულებაში, ადრიანი, როგორც წესი, სკოლის მოთხოვნებისა და ჯილდოების მიმართ რომ იჩენდა, ერთი გამონაკლისიც იყო: იგი აშკარად ინტერესს იჩენდა იმ დისციპლინის მიმართ, რომელიც მე ნაკლებად მეხერხებოდა, მათემატიკის მიმართ. ამ საგანში ჩემმა სისუსტემ, რასაც მხოლოდ ფილოლოგიის სარბიელზე გაფაციცებული მუყაითობით თუ ვანაზლაურებდი, დამარწმუნა, რომ ამა თუ იმ დარგში წარჩინება უთუოდ განპირობებულია ამ საგნის სიყვარულით, და ამიტომ გულზე მეფონებოდა, როდესაც ვფიქრობდი: ჩემს მეგობარზეც ვრცელდება-მეთქი ეს წესი. მათემატიკას ხომ, როგორც გამოყენებით ლოგიკას, რომელიც, მიუხედავად ამისა, მაღალი და ხალასი აბსტ-

რაქციის სფეროში რჩება, თავისებური შუა ადგილი უჭირავს ჰუმანიტარულ და პრაქტიკულ მეცნიერებათა შორის. ხოლო იქიდან, რაც ადრიაანს ჩემთვის საუბარში უთქვამს იმ სიამოვნების შესახებ, რასაც მათემატიკა ანიჭებდა მას, გამომდინარეობდა, რომ ამ შუამავლის პოზიციას ის ამასთანავე როგორც ამაღლებულს, დომინირებულს, უნივერსალურს, ისე აღიქვამდა, ანუ როგორც ის იტყოდა ხოლმე, როგორც „ჭეშმარიტს“. გულთით მიხაროდა, რომ იყო ისეთი რაღაც, რასაც ის „ჭეშმარიტს“ უწოდებდა. ეს სიტყვა ლუზა იყო, საყრდენი. მამ მთლად ამოდ როდი ვეკითხებოდი ჩემს თავს, მისთვის „მთავარი“ რაღა არის-მეთქი. /შენ ნამდვილი ოტროველა ხარ, თუ ეს არ გიტაცებს, – მითხრა ერთხელ, – რიგობით მიმართებათა ჭვრეტა, საბოლოო ჯამში, ყველაზე წარმატატი რამ არის. წესი და რიგი ყველაფერია. რაც ღვთისაგანაა, ის მონესრიგებულიაო, ნათქვამია „ეპისტოლეში რომაელთა მიმართ“. ის განითლდა და მე კი სახტად დარჩენილი შევცქეროდი: აღმოჩნდა, რომ რელიგია მისთვის უცხო არ იყო. /

მასთან ყველაფერი უნდა „აღმოგეჩინა“, უნდა წაგესწრო, მოგეხელთებინა, გამოგეჭირა რამეში, რათა როგორმე ამოგეცნო მისი ხვაშიადი, – და მაშინ ის წითლდებოდა, შენ კი მზად იყავი თავში ხელი გეცა, ამას აქამდე როგორ ვერ ვამჩნევდიო. /მე ისიც შემთხვევით შევიტყვე, რომ თავისით, ისე, რომ არავინ აძალებდა, ალგებრაში მეცადინეობდა, ლოგარითმების ცხრილის ხმარება ესწავლა და მეორე ხარისხის განტოლებებს უჯდა, ვიდრე ხარისხში აყვანილი უცნობის პოვნას გაივლიდნენ. ჯერ ამაზეც აგდებით ლაპარაკობდა, ვიდრე ზემოთ რომ მოვყევი, ისე გულს გადამიშლიდა. მანამდე კი სხვა რამ აღმოვაჩინე, რომ არა ვთქვა: სხვა რამეში ვამხილე-მეთქი; სახელდობრ, ის, რაც ზემოთ გაკვრით უკვე მოვისხენიე: იგი დამოუკიდებლად და ფარულად ეცნობოდა კლავიატურას, აკორდიკას, ტონალობათა თაიგულს, კვინტურ წრეს და ნოტებისა და თითების განლაგების უცოდინრად ამ ჰარმონიულ აღმოჩენას იყენებდა ნაირ-ნაირ მოდულაციებში სავარჯიშოდ და რიტმულად დიხაც გაურკვეველ მელოდოიურ სტრუქტურათა ასაგებად. როცა მე ეს ამბავი აღმოვაჩინე, მეთხუთმეტე წელში იყო გადამდგარი. ერთ საღამოს თავის ოთახში რომ არ დამხვდა, ძებნა დავუწყე და პატარა ფისჰარმონიასთან მჯდომს წავანყდი, რომელიც საცხოვრებელი სართულის ერთ-ერთ პატარა გამჭოლ ოთახში იდგა, არცთუ მაინცდამაინც საპატიო ადგილას. ალბათ ერთი წუთის განმავლობაში კართან ვიდექი და

ყურს ვუგადავდი, შემდეგ უხერხულად ვიგრძენი თავი, შევედი და ვკითხე, აქ რასა იქმ-მეთქი. მან საბერვლები გააჩერა, კლავიშებიდან ხელები აიღო, განითლდა და გაიცინა.

— მოცლილი კაცის საქმეა, — მითხრა მან. — უსაქმურობიდან მოდის ყველა სიავე-ქმონყენილი ვიყავი, ხოლო როდესაც მონყენა მომეძალ-ემა, ზოგჯერ აქ ვყუნცივარ და ვჯახირობ. ამ ძველ ზანდუკში, აქ რომ ასე მიტოვებული დგას, მისი სისადავის მიუხედავად, ბევრი რამ მარ-ხია. ნახე, რა საკვირველი რამეა, ესე იგი, გასაკვირი აქ, რა თქმა უნდა, არაფერია, მაგრამ როდესაც შენ თვითონ იქმ ამას და ისიც პირვე-ლად, მაშინ გიკვირს, ყველაფერი ერთმანეთთან როგორ არის დაკა-ვირებული და რა წრებრუნვაშია.

მან აკორდი აახმიანა, ერთთავად შავი კლავიშები: ფა-დიეზი, ლა-დიეზი, მათ მი დაურთო და ამით ნილაბი ახადა აკორდს, რომელიც ფა-დიეზ-მაჟორს ჰგავდა და სი-მაჟორად წარმოაჩინა, სახელდობრ, სი-მაჟორის მეხუთე ანუ დომინანტურ საფეხურად.

— ასეთ თანაჟღერას, — დასძინა მან, — თავისთავად ტონალობა არ გააჩნია, ყველაფერი აქ ურთიერთკავშირშია და ეს ურთიერთკავშირი წრესა ქმნის.

ლა ბგერამ, რომელიც სოლ-დიეზში გახსნას ესწრაფვის, ე. ი. ტონალობა სი-მაჟორიდან მი-მაჟორში გადაჰყავს, იგი აიყოლია და ისიც ლა, რე და სოლის გავლით დო-მაჟორამდე მივიდა. — აქ მან მაჩ-ვენა, რომ ბემოლების გამოყენებით ქრომატული გამის თორმეტი ბგერიდან თითოეულზე მაჟორული ან მინორული გამის აგება შეი-ძლება.

— ისე კი, ეს ახალი ამბავი არ არის, — მითხრა მან. — კარგა ხანია ამას ყურადღება მივაქციე. აი, ყური დაუგდე, ასე უფრო დახვენი-ლად ჟღერს! — და დაიწყო მოდულაციების დემონსტრირება უფრო დაშორებულ ტონალობათა შორის, იყენებდა რა ეგრეთ წოდებულ ტერციულ ნათესაობას და ნეაპოლურ სექსტას.

რასაკვირველია, ამ ტერმინოლოგიას ის არ იცნობდა, მაგრამ ისე კი გაიმეორა:

† ურთიერთკავშირი ყველაფერია. და თუ გინდა იგი უფრო ზუს-ტად განსაზღვრო, „ორაზროვნება“ უნდა უწოდო! — ამ სიტყვების ნათ-ელსაყოფად გაურკვეველი ტონალობის აკორდთა თანმიმდევრობა აიღო და მიჩვენა, რომ თუ ფა ბგერას გამოტოვებ; რომელსაც სოლ-მაჟორში ფა-დიეზი შეენაცვლებოდა, შეიძლება გაურკვეველი, დო-მაჟორსა და სოლ-მაჟორს შორის მონანავე ტონალობის შთაბეჭდი-

ლება შექმნა, ანდა რომ სმენა ვერ გააარჩევს დო-მაჟორთან აქვს საქმე თუ ფა-მაჟორთან, თუ სი ბგერაზე უარს იტყვი, რომელიც ფა-მაჟორში სი-ბემოლამდე დავიდოდა.

– იცი, რა მგონია, – შემომავება მან, – მუსიკაში ორაზროვნება სისტემისათვის არის მოცემული. რომელი ტონიც გინდა, ის აიღე. შეგიძლია ისეც გაიგო და შეგიძლია ასეც. ქვევიდან როგორც უფრო მაღალი, ისე ალიქვა, ზევიდან – როგორც უფრო დაბალი, და თუ ეშმაკი ხარ, შეგიძლია ორაზროვნება შენი ნება-სურვილისამებრ გამოიყენო. – მოკლედ, არსებითად უკვე ჩასწვდომოდა ენჭარმონიზმს და ზოგი ისეთი ხერხიც აეთვისებინა, რაც საშუალებას იძლევა ამგვარი გარდაქმნები მოდულირებისათვის გამოვიყენოთ.

უნდა მხოლოდ ვამკვირვებოდა და რატომ ვიყავი ასე ალელევებული, ოდნავ შეშინებულიც კი? ლოყები უხურდა, რაც გაკვეთილების დამზადებისას, თუნდაც ალგებრა ყოფილიყო, არ ემართებოდა.

თუმცა ვთხოვე ცოტა ხანს კიდევ განეგრძო იმპროვიზაცია, მაგრამ შვება ვიგრძენი, როცა უარი მითხრა: სისულელეა! სისულელეო! ნეტავი რატომ მომეშვა გულზე? ამას შეეძლო ჩემთვის აეხსნა, რარიგ ვამაყობდი მისი ყოვლისმომცველი გულგრილობით, და ცხადად ვიგრძენი, რომ როდესაც განაცხადა, რა საკვირველი რამეაო, მისი გულგრილობა ნიღბად იქცა. გუმანით ვგრძნობდი ადრიანის გატაცებას, აზარტულ გატაცებას! იქნებ უნდა გამხარებოდა? მაგრამ მე ნაცვლად ამისა რატომღაც დავირცხვინე და შევცბი.

ის ამბავი, რომ როცა ეგონა, არავინ ადევნებდა თვალყურს, მუსიკით იყო გართული, მე ახლა ვიცოდი, ხოლო ვინაიდან საკრავი, ასე თუ ისე, მაინც გამოსაჩენ ადგილას იდგა, დიდხანს სხვებისთვისაც არ შეიძლებოდა შეუმჩნეველი დარჩენილიყო. ერთ საღამოს მისმა აღმზრდელმა ბიძამ უთხრა:

– ოჰო, ძმისწულო, ის, რაც დღეს შენგან მოვისმინე, მაფიქრებინებს, რომ სისტემატურად ვარჯიშობ.

– რაში ვვარჯიშობ, ძია ნიკო?

– თავს ნუ იკატუნებ, მუსიკობა დაგინყია.

– მუსიკობაო, აბა რა სათქმელია.

– ამ სიტყვით ბევრი სხვა უფრო სულელური რამეც აღუნიშნავთ. არცთუ ურიგო იყო, ფა-მაჟორიდან ლა-მაჟორში რომ გადახვედი. გიტაცებს?

– აჰ, ძია.

– კი, ამქარაა. აი, რას გეტყვი: მოდი ეს ძველი სკივრი, რომელსაც მაინც ზედაც არავინ უყურებს, ზევით ავიტანოთ, შენს ოთახში დავდგათ და მუდამ ხელთ გექნება, როცა კი დაკვრას მოინადინებ.

– რა კეთილი ხარ, ძია, მაგრამ ნამდვილად გარჯად არა ღირს.

– გარჯა იმდენად მცირე სჭირდება, რომ მიღებული სიამოვნება ალბათ მას გადააჭარბებს. და კიდევ ერთი რამ, ძმისწულო, უნდა ფორტეპიანოზე დაკვრაში იმეცადინო ვინმესთან.

– ასე გგონია, ძია ნიკო? ფორტეპიანოზე დაკვრაში?.. რა ვიცი, „კეთილშობილი ასული“ ხომ არა ვარ.

– კეთილშობილი ეს საქმიანობა მართლაც არის, ხოლო რაც შეეხება „ასულს“, სულაც არ არის აუცილებელი ასული იყო. უპრიანი იქნება, თუ კრეჩმარს მიგაბარებთ. ტყავს არ გაგვაძრობს, ძველი მეგობარია. შენ კი ბალავარი გექნება შენი ჰაეროვანი ციხე-კოშკებისათვის. უნდა მოველაპარაკო.

ეს საუბარი სიტყვასიტყვით მიაბმო ადრიანმა სკოლის ეზოში. მას შემდეგ ის კვირაში ორჯერ მეცადინეობდა ვენდელ კრეჩმართან.

VIII

ვენდელ კრეჩმარი, მაშინ ჯერ კიდევ ახალგაზრდა, სულ ბევრი, ასე ოცდაათამდე წლისა, ამერიკელ გერმანელთა ოჯახში დაიბადა, პენსილვანიის შტატში, და იქვე მიიღო მუსიკალური განათლება. მაგრამ მას ადრევე გაუჩნია გულმა ძველი კონტინენტისაკენ, საიდანაც ოდესღაც მისი პაპა და დიდედა გადმოსახლდნენ და სადაც, როგორც მისი საკუთარი, ისევე მისი ხელოვნების ფესვებიც იყო გადგმული. მოხეტიალის ცხოვრებამ, რომლის დროსაც ის იშვიათად თუ ყოვნდებოდა სადმე ერთ-ორ წელიწადზე მეტ ხანს, ჩვენთანაც მოიყვანა, კაიზერსაშერნში, ორგანისტად, – ოლონდ ესეც ეპიზოდი იყო, რადგან მას სხვა ეპიზოდები უძლოდა წინ (მანამდე გერმანიისა და შვეიცარიის პატარა ქალაქების თეატრებში მუშაობდა კაპელმაისტერად) და შემდეგაც მრავალი უნდა მოჰყოლოდა. იგი მუსიკასაც თხზავდა, საორკესტრო პიესებს და ერთი ოპერაც ჰქონდა დაწერილი, „მარნარილოს ქანდაკება“. ოპერა მრავალ სცენაზე იდგმებოდა და წარმატებითაც.

ეს შეუხედავი და ტანდაბალი კაცი, რომელსაც მრგვალი თავის ქალა, მოკლედ შეკრეჭილი უღვაშები და ხშირად მოცინარი თაფლი-

სფერი თვალეზი ჰქონდა, ხან ჩაფიქრებული იყურებოდა და ხანაც სიანცის ნაპერწკლებს აკვესებდა, კაიზერსაშერნის სულიერი და კულტურული ცხოვრებისათვის ნამდვილად შენაძენი იქნებოდა, იქ რომ ასეთი რამ საერთოდ არსებუღიყო. ორგანს დიდებულად უკრავდა, საქმის ცოდნით, მაგრამ ცალი ხელის თითებზე შეიძლებოდა იმათი ჩამოთვლა, ვისაც მრევლიდან ამის ჯეროვნად შეფასება ძალუძდა. მიუხედავად ამისა, საჯარო საეკლესიო კონცერტებს, ნაშუადღევს რომ მართავდა და მიხაელ პრეტორიუსის, ფრობერგერის, ბუქსტეჰუდეს და, რასაკვირველია, ზებასტიან ბახის საორგანო მუსიკას ასრულებდა, აგრეთვე ათასნაირ უცნაურსა და ჟანრულ კომპოზიციებს ჰენდელისა და ჰაიდნის გაფურჩქვნის ეპოქათა შორის არსებული პერიოდიდან, საკმაოდ ბევრი ხალხი ეტანებოდა, ხოლო ადრიანი და მე სისტემატურად ვესწრებოდი. სამაგიეროდ, სრული ხელისმოცარვა იყო, ყოველ შემთხვევაში გარეგნულად მაინც, მისი ლექციები, რონელთაც „საყოველთაოდ სასარგებლო მოღვაწეობის საზოგადოების“ დარბაზში კითხულობდა მთელი ერთი სეზონის განმავლობაში, თან ნათქვამის საილუსტრაციოდ ფორტეპიანოზე უკრავდა და მოლბერტის მაგვარ დაფაზე ცარცით სქემებს ხაზავდა. ხელი ეცარებოდა, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ჩვენი ქალაქის მკვიდრთ ლექციები საერთოდ არ ეპოტნავენოდათ, მეორეც, იმიტომ, რომ ნაკლებად პოპულარულ, ახირებულსა და უცნაურ თემებს ირჩევდა, და მესამეც, ენაბლუ იყო, მისი ლექცია წყალქვეშა კლდეებს შორის ვაი-ვაგლახით ცურვას ნააგავდა. მის შემყურეს თან შიში გიპყრობდათ, თან ლამის სიცილი აგვარდნოდათ, ყურადღება გეფანტებოდათ, თემის შინაარსს ველარ აღიქვამდით და, დაძაბული, ერთთავად იმის მოლოდინში იყავით, როდის დაუვლიდა მორიგი კრუნჩხვა მის სამეტყველო აპარატს და რომელ სიტყვაზე ნაიბოროძიებდა:

ენაბლუობის განსაკუთრებით მძიმე და ძალზე თავისებური სახეობით იყო დაავადებული, რაც ტრაგედია გახლდათ, რადგან ამ კაცს დიად აზრთა უხვი საღარო ჰქონდა და ამ აზრთა გაზიარების ვნებას მოეცვა. ზოგჯერ მისი ხომალდი მარდად და ლაღად მისრიალებდა ტალღებზე, ისე იოლად მიჰქროდა, რომ ლამის დაეჭვებუღიყავით, მართლაც სჭირდა მსახვრალი სენი თუ არა, ლამის დაგვეინყებინათ ეს ამბავი, მაგრამ დროდადრო აუცილებლად დგებოდა შებრკოლების წამი, რასაც არცთუ უსაფუძვლოდ ყველა დაძაბულად ელოდა: და კრეჩმარის წამებაც იწყებოდა. სახენამოჭარხლებული იდგა და

ენვალეობდა რომელიმე შიშინა ბგერაზე ნაბორძიკებული, ფართოდ დაღმეჭილი პირიდან ორთქლმავლის შიშინს მიმსგავსებულ ჩქამებს უშვებდა, ანდა ამა თუ იმ ბაგისმიერ ბგერასთან შერკინებულს ლოყები ებერებოდა, ხოლო ტუჩები ხანმოკლე და ხშირი, მაგრამ უჩქამო განხშვა-აფეთქებებისაგან უბაბანებდა, ან კიდევ სულაც ერთბაშად სუნთქვა ეკვროდა და სულის მოსათქმელად, როგორც ხმელეთზე გადმოვარდნილი თევზი, ისე აბჩენდა პირს, — თან დაწყლიანებული თვალები უცინოდა, ნამდვილად უცინოდა, რადგან ეტყობოდა, ამ თავის მანკს გულარხეინად ეკიდებოდა, მაგრამ ყველას როდი ანუგეშებდა ეს გარემოება და, კაცმა რომ თქვას, ხალხს ვერ უსაყვედურებთ, რომ გაურბოდა მის ლექციებს და თანაც ისე ერთსულოვნად, რომ ზოგჯერ პარტერში მართლაც ხუთ-ექვს ჩსმენელზე მეტი არ იჯდა, სახელდობრ, ჩემი მშობლების, ადრიანის ბიძის, ჭაბუკი ჩიმაბუესა და ჩვენ ორივეს გარდა, კიდევ რამდენიმე ქალიშვილი ქალთა გიმნაზიიდან, ორატორის ენის ყოველ ნაბორძიკებაზე სიცილს რომ ვერ იკავებდნენ.

კრეჩმარი თანახმაც კი იყო დარბაზის ქირა და განათების ხარჯები დაეფარა, რადგან გაყიდული ბილეთებით შემოსული თანხა ამას ვერა და ვერ გასწვდებოდა, მაგრამ მამაჩემმა და ნიკოლაუს ლევერკიუნმა საზოგადოების ხელმძღვანელობა დაიყოლიეს, საზოგადოებასვე აენახლაურებინა დანაკლისი, ან, უფრო სწორად, ქირაზე უარი ეთქვა იმ საბაბით, რომ ლექციებს ხალხის განათლების საქმისათვის სარგებლობა მოჰქონდა. ეს მეგობრული მხარდაჭერა იყო, რადგან ხალხისთვის სარგებლობის მოტანაზე ლაპარაკი ძალზე საჭოჭმანო ამბავი გახლდათ, თუნდაც მარტო იმიტომ, რომ ხალხი მათ არ ესწრებოდა, რაიც, როგორც უკვე ვთქვით, ნაწილობრივ ერთობ სპეციალური თემატიკით იყო განპირობებული. ვენდელ კრეჩმარი იმ თეზისს უჭერდა მხარს, და ამას ხშირად ჩაგვჩიჩინებდა კიდევ თავისი თავდაპირველად ინგლისურ ენას მორგებული ბაგით, რომ/საქმე სხვათა ინტერესი კი არ არის, არამედ შენი დაინტერესებულობაა, ანუ ის, რომ ინტერესი გ ა ა ღ ვ ი ძ ო , რასაც შეიძლება მიაღწიო, უფრო მეტიც, აუცილებლად მიაღწევ, თუკი თვითონ სულითა და გულითა ხარ დაინტერესებული საგნით; როდესაც მასზე ლაპარაკობ, არ შეიძლება სხვებიც არ ჩაითრიო ამ სფეროში, მათაც არ გადასდო შენი აღტყინება და, ამრიგად, მანამდე არ არსებული, სრულიად გაუთვალისწინებელი ინტერესი არ აღძრა, რაც ბევრად უფრო საპატიო საქმეა, ვიდრე უკვე არსებულის მამებლობა.

ძალზე დასანანი იყო, რომ ჩვენი ხალხი თითქმის არ აძლევდა საშუალებას, თავისი თეორია პრაქტიკულად შეემონებინა. ჩვენს მიმართ კი, თითო-ოროლანი ძველი დარბაზის ხახადაფჩენილ სიცარიელეში რომ ვისხედით დანომრილ სავარძლებში, ზედ მის ფერხთით, იგი სავსებით მართლდებოდა, რადგან ორატორი ხშირად ისეთი რამით გვატყვევებდა, რაზეც თავის დღეში ვერ ვიფიქრებდით, რომ ოდესმე ჩვენს ყურადღებას მიიპყრობდა, და თვით საშინელ ენაბლუობასაც კი ბოლოს და ბოლოს მისი მონდომების გამთანგავ, ჩვენთვის გულისგამანვრილებელ დაბრკოლებადღა აღვიქვამდით. როდესაც წაიბორძიკებდა, ხშირად ყველანი ერთად ვუქნევდით თავს გასამხნევებლად, ხოლო უფროსთაგან რომელიმე დამამშვიდებლად დაუძახებდა ხმადაბლა: „ასე, ასე!“ „კარგია, კარგი!“ ანდა: „არაფერია, განაგრძეთ!“ მაშინ კრეჩმარს დაბრეცილ ბაგეზე დამნაშავის მხიარული ღიმილი გამოესახებოდა ხოლმე მობოდიშების ნიშნად და ერთხანს ძალიან ღაღადაც კი განაგრძობდა მეტყველებას.

რას ლაპარაკობდა? ამ კაცს მთელი საათი შეეძლო ასეთი საკითხისათვის მიეძღვნა: „რატომ არ დანერა ბეთჰოვენმა საფორტეპიანო სონატისათვის, ოპუსი 111, მესამე ნაწილი?“ —, რაც განხილვად უეჭველად ღირდა. მაგრამ აბა წარმოიდგინეთ ასეთი ანონსი, „საყოველთაოდ სასარგებლო მოღვაწეობის“ შენობაზე გამოკრული, ანდა კაიზერსაშერნის „რკინიგზების გაზეთში“ დაბეჭდილი, და შემდეგ ისე განსაჯეთ, მოქალაქეთა ცნობისმოყვარეობას აღძრავდა თუ არა? კაციშვილს არ სურდა სცოდნოდა, რატომ მაინცდამაინც ორი ნაწილისაგან შესდგებოდა ოპუსი 111. ჩვენ კი, ვინც ამ საკითხის გარჩევაზე მივედით, მართლაც ძალზე ბევრი რამ შევიტყვეთ, თუმცა მანამდე არაფერი არ ვიცოდით ხსენებულ სონატაზე. მხოლოდ იმ საღამოს გაეცანით და თანაც საფუძვლიანად, რადგან კრეჩმარმა იგი საუცხოოდ დაგვიკრა საკმაოდ უხეირო, საკმაოდ დანჯღრეულ პიანინოზე (როიალი საზოგადოებამ ვერ გაიმეტა), თან დროდადრო მის შინაარსს გვიხსნიდა სულში ჩამწვდომად, აგვიწერდა იმ ვითარებას, რომელშიც თხზავდა კომპოზიტორი მას ორ სხვა სონატასთან ერთად, და გაიქილიკა თვითონ მანსტროს ახსნა-განმარტებაზეც, რატომ შეეღია ამ შემთხვევაში მესამე ნაწილს, რომელიც პირველს უკავშირდებოდა. სახელდობრ, ბეთჰოვენმა თავის ფამულუსს სათანადო შეკითხვაზე ასე უპასუხა: დრო არა მქონდა და ამიტომ ვამჯობინე მეორე ნაწილი უფრო გამეგრცოო. დრო არ მქონდაო! რა დაუდევრად არის ნათქვამი! ასეთ პასუხში რომ

შემკითხავისადმი მქირდავი დამოკიდებულება გამოსჭვივის, ეს, როგორც ჩანს, შეუმჩნეველი დარჩა, მაგრამ იგი გამართლებული იყო თავად შეკითხვით. და აი, მერე ორატორი იმის აღწერაზე გადავიდა, რა მდგომარეობაშიც იყო ბეთჰოვენი 1820 წლისათვის, როდესაც უკურნებლად დაავადებულს სმენა სულ უფრო და უფრო უქვეითდებოდა და უკვე გამოირკვა, რომ ამიერიდან საკუთარი ნაწარმოებების დირიჟორობაც აღარ ძალუძდა. გვიამბო, როგორ სულ უფრო და უფრო იკიდებდა ფეხს ქორი: სახელგანთქმულმა ავტორმა სულ ერთიანად ამოსწურა თავისი თავი, შემოქმედებითი ძალები დაემრიტა და ახლა, დიად ქმნილებათა შეთხზვის უნარს მოკლებული, მოხუცი ჰაიდნის დარად მარტოოდენ შოტლანდიურ სიმღერებსა ინერსო, რადგან უკვე რამდენიმე წელიწადი მისი რაიმე მნიშვნელოვანი ნაწარმოები აღარ გამოქვეყნებულიყო. მხოლოდ გვიან შემოდგომით, მოდლინგში გატარებული ზაფხულის შემდეგ, ვენაში დაბრუნებულმა მაესტრომ ერთბაშად სამი საფორტეპიანო თხზულება შექმნა, ხელის ერთი მოსმით დაწერა, ასე ვთქვათ, ნოტების ქალაქიდან თვალის მოუცილებლად, რაიც დაუყოვნებლივ ამცნო თავის მწყალობელს, გრაფ ბრუნსვიკს, რათა ამ უკანასკნელს მის სულიერ მდგომარეობაზე აღარ ედარდა. შემდეგ კრემზარი შეეხო იმ სონატას, დო-მინორში დაწერილს, და თქვა:

— მართლაც ძნელია მისი როგორც შინაგანად დასრულებული, ერთიანი სულისკვეთებით მოწესრიგებული ქმნილების გააზრება და ბეთჰოვენის თანამედროვე კრიტიკოსებსაც და მის მეგობრებსაც გაუჭირდათ ამ კირკიტა ესთეტიკური კაკლის გატეხა. მის მეგობრებსა და თაყვანისმცემლებს, — ასე განაგრძობდა მომხსენებელი, — უბრალოდ ძალა არ შესწევდათ აჰყოლოდნენ სათაყვანებელ მაესტროს იმ მწვერვალამდე, რომელზედაც აიყვანა მან თავისი სიმნიფის პერიოდში კლასიკური სიმფონია, საფორტეპიანო სონატა, სიმებიანი კვარტეტი და ამიტომ, ბოლო პერიოდის თხზულებებში გულის ტკივილით დაინახეს დაშლის, გაუცხოების, ახლობელიდან და წესად მიღებულისგან გადახვევის პროცესი, ერთგვარი plus ultra*, რაც მათ სხვა არა ეგონათ რა, თუ არა ბეთჰოვენისათვის მუდამ დამახასიათებელი მიდრეკილებების გამწვავება — ფიქრისა და ფილოსოფოსობის ექსცესი, დეტალებით გატაცება და მენცარობა მუსიკაში, — რასაც ზოგჯერ ისეთ მარტივ მასალაზე იყენებდა, როგორიცაა არი-

*უკიდურესობა (ლათ.).

ეტის თემა, უსაშველოდ ხანგრძლივი ვარიაციებით დამუშავებული ამ სონატის მეორე ნაწილში. დიახ, ისევე როგორც ამ ნაწილის თემამ, რომელიც ასობით ზედისწერას მსჭვალავს, რიტმული კონტრასტების ასობით სამყაროში გადის, თავის თავზე მალღდება და ბოლოს ისეთ თავბრუდამხვევ სიმალღებებში იკარგება, რომ საიქიო ანდა აბსტრაქტული გინდა უნოდო მათ, — ასევე ბეთჰოვენის ხელოვნებასაც საკუთარ თავს გადააჭარბა: ტრადიციულის მყუდრო რეგიონებიდან პირნმინდად პირადულის სფეროებში აიჭრა და ხალხმა შეშინებულმა გააყოლა თვალი, — აბსოლუტურობაში მტკივნეულად განმხოლოებული, მისი დახშული სმენის გამოისობით ყოველივე გრძობადისგანაც იზოლირებულ „მედ“ იქცა, მარტოსულ თავადად მოჩვენებათა საუფლოსი, რომელიც გაუგონარი საშინელებებით თვით ყველაზე კეთილად განწყობილ თანამედროვეებსაც კი მხოლოდ შიშის ურუნტელს ჰგვრიდა და რომლის ქარაგმებშიც ისინი მარტო ნამიერად თუ, მარტო ათასში ერთხელ თუ ერკვეოდნენ.

— ეს ყოველივე სწორია, — ამბობდა კრეჩმარი, — მაგრამ სწორია მხოლოდ პირობითად, ანუ არასაკმარისად არის სწორი. ვინაიდან ლიტონ პირადულის იდეას უსაზღვრო სუბიექტურობის იდეასა და ბოლომდე ჰარმონიული გამომსახველობისაკენ ლტოლვას უკავშირებენ, — პოლიფონიური ობიექტურობისაგან განსხვავებით მას სურდა კარგად ჩავლრწავებოდით „ჰარმონიულ სუბიექტურობასა“ და „პოლიფონიურ ობიექტურობას“ შორის სხვაობას, ხოლო ასეთი განტოლების აგება, ასეთი დაპირისპირება არც აქ და არც საერთოდ ბეთჰოვენის გვიანდელი შედეგების მიმართ ვერ ხერხდება. საქმე საქმეზე რომ მიდგეს, ბეთჰოვენი თავისი შემოქმედების შუა პერიოდში ბევრად უფრო სუბიექტივისტური იყო, რომ აღარავთქვათ, ბევრად უფრო „პირადული“ იყო, ვიდრე ბოლო ჟამს; მაშინ ბევრად უფრო ზრუნავდა იმისათვის, რომ ყოველივე პირობითი, ფორმალური, რიტორიკული, რითაც ასე აღსავსეა მუსიკა, პირადის გამოხატვით შთაენთქა, თავის სუბიექტურ დინამიკასთან შეედნო. გვიანდელი ბეთჰოვენის დამოკიდებულება პირობითობისადმი, ბოლო ხუთსაფორტეპიანო სონატაში მაინც, მათი განუმეორებლობის, მათი საარაკო ენისა და ფორმის მიუხედავად, სულ სხვაა, ბევრად უფრო შემწყნარებლური და კეთილგანწყობილია. გვიანდელ შემოქმედებაში პირობითობა ხშირად „მე“-საგან განტევებული, ხელუხლებელი, სუბიექტურის მიერ ნირშეუცვლელი გვეკვლინება, დედიშობილად, ლამის კაცმა თქვა, გამოცარიელებულაო; რაც უფრო

შემაძრუნებელი, ჟრუანტელის მომგვრელი სიდიადით მოქმედებს, ვიდრე ყოველგვარი პირადი შემართება. ამ ქმნილებებში, — ხაზგასმით წარმოთქვა ორატორმა, — სუბიექტური და პირობითი ახალ ურთიერთმიმართებაში მოვიდნენ, სიკვდილით განპირობებულ მიმართებაში.

ამ სიტყვაზე კრეჩმარმა მაგრად წაიბორნიცა, სანყის ბგერაზე გაიხირა და ენით ისე სცემდა სასას, თითქოს ტყვიამფრქვევით უშენს ცეცხლსო, თან ყბები და ნიკაპიც ერთხანს იმავე რიტმით უცახცახებდა, მერე მომდევნო ხმოვანზე გადავიდა, რომელზედაც უკვე შეიძლებოდა მიმხვდარიყავით, რა სიტყვაც უნდა წარმოეთქვა. ხოლო როდესაც იგი ამოვიცანით, დაძახება არ დაგვანება, როგორც ზოგჯერ ხდებოდა ასეთ შემთხვევებში: ვინმე, ვითომც აქ არაფერი-აო, გამამხნეველად უკარნახებდა პარტერიდან, თვითონ უნდოდა თავი გაერთმია მისთვის და ბოლოს შესძლო კიდევ.

— სადაც სიდიადე და სიკვდილი ერთმანეთს შეეყრება, — გვიხსნიდა ის, — იქ პირობითობისაკენ მიდრეკილი ობიექტურობა წარმოიქმნება, რომელიც მბრძანებლობაში თვით ყველაზე დესპოტურ სუბიექტივიზმსაც კი უკან იტოვებს, რადგან მასში ხალასად პირადული, რაიც აპოგეამდე აყვანილი ტრადიციის გადაჭარბებას წარმოადგენს, ერთხელ კიდევ ამაღლდება საკუთარ თავზე და მითის, განზოგადებულის სფეროში გადადის დიად ჩვენებად.

არ გვეკითხებოდა, გასაგები იყო თუ არა ჩვენთვის და არც ჩვენ დაგიდევდით. რახან კრეჩმარს მიაჩნდა, რომ მთავარი იყო მოგვესმინა, ჩვენც ამ აზრს სავსებით ვიზიარებდით.

— სწორედ ზემოთქმულის შუქზე უნდა იქნეს განხილული წარმოები, რომელზეც დღეს საგანგებოდ ვმსჯელობდით, საფორტეპიანო სონატა, ოპუსი 111, — დასძინა მან. შემდეგ პიანინოს მიუჯდა და ზეპირად დაგვიკრა მთელი თხზულება, მისი პირველი და უსამველოდ ვრცელი მეორე ნაწილიც, თან დაკვრის შეუნყვეტლად ერთთავად საკუთარ კომენტარებსაც გაიძახოდა, და რათა ჩვენი ყურადღება სონატის კომპოზიციურ მხარეზე საგანგებოდ გაემახვილებინა, შიგადაშიგ ამა თუ იმ ადგილის საილუსტრაციოდ ხმასაც აყოლებდა ისეთი აღტყინებით, რომ ეს ყველაფერი ერთად ცალკერძ წარმტაცი სანახაობაც იყო, ცალკერძ კომიკურიც და ჩვენი პატარა თავყრილობაც დროდადრო გახალისებული ესმაურებოდა. ვინაიდან კრეჩმარს თითების ერთობ ღონივრად დარტყმა სჩვეოდა და ფორტეში საკრავს მძლავრად აჟღერებდა, იძულებული იყო მაგრად

ეყვირა, რომ მისი განმარტებები როგორმე გაგვერჩია, და მღერითაც, რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ისე მღეროდა, რომ დაკრულისათვის ახლა ვოკალითაც გაესვა ხაზი. პირით ჰბაძავდა იმას, რასაც თითები უკრავდნენ: — ბუმ, ბუმ; ვუმ, ვუმ; რუმ, რუმ! — აღნიშნავდა იგი პირველი ნაწილის აბობოქრებულ სანწყის აქცენტებს და მაღალი ფალცეტით მღეროდა მელოდიური მომხიბვლელივით აღსავსე ჰასაყებს, რომლებიც ჟამიდან ჟამზე შუქის ნაზი ათინათივით ნათელს ჰფენდნენ საავდროდ მოქურუხებულ ზეცას სონატისა. ბოლოს მუხლებზე დაიწყო ხელები, ერთ ნამს შეისვენა და გვითხრა: — ახლა მოდის, რაც მოდისო. თან ვარიაციების ნაწილს შეუდგა, „Adagio molto semplice e cantabile“*-ს.

არიეტის თემა, რომელიც თავგადასავლებისა და ფათერაკებისათვის არის განკუთვნილი, მაგრამ იმდენად იდილიურად უმანკოა, რომ საამისოდ სულაც არა ჩანს დაბადებული, მყისვე იხსნება და თავის თავს მთლიანად ამოსწურავს თექვსმეტ ტაქტში. იგი ერთ მოტივზე შეიძლება დაყვანილ იქნეს, რომელიც თავისი პირველი ნახევრის ბოლოს სულის სიღრმიდან აღმოხდენილი შეძახილივით წარმოჩნდება, — მხოლოდ სამი ბგერა: ერთი მერვედი, ერთი მეთექვსმეტედი და ერთიც პუნქტირებული მეოთხედი ნოტი, რომელთა დამარცვლით წარმოთქმა ასე თუ შეიძლება: „ლაჟ-ვარდი“, „ტრფი-ალი“, ან „მშვი-დობით“, ან „ო-დესლაც“, ან კიდევ: „მდელ-ობი“, — ეს არის და ეს. იმას, რაც შემდეგ ემართება ამ სათუთ შეძახილს; ამ ნაღვლიანსა და წყნარ ჰანგს რიტმულ-ჰარმონიულ-კონტრაპუნქტურ გარდაქმნებში, რა მადლს მოაგებს მას კომპოზიტორი და რისთვის შეაჩვენებს, რა ღამეებსა და ნათლის სვეტებში ჩასძირავს და ზეასტყორცნის, რა ბროლის სფეროებში მოაქცევს, სადაც ერთი და იგივეა სიცივეცა და სიციხეც, სიმშვიდეცა და ექსტაზიც; — ამას დიანაც შეიძლება უწოდო დიადი და საკვირველი, უცხო და უჩვეულო, მაგრამ ამით სახელს ვერ მოუძებნი, რადგან იგი, კაცმა რომ თქვას, მართლაც უსახელოა. და კრეჩმარი გამალებით ამუშავებდა ხელებს, გვიკრავდა ამ უსაშველო გარდაქმნებს, თან რაც ძალი და ღონე ჰქონდა ხმასაც აყოლებდა: „დიმ-დადა“, და წამდაუნუმ გვიყვიროდა: — როგორ არაკრავებს! ფიორიტურები და კადენციები! გესმით დამვებული პირობითობა? აი... ენა... მარტო რიტორიკისაგან კი არ... აწმინდება... არამედ ფრაზა სუბიექტური შეფერილობისაგანაც თავისუ-

* „ადაჯო, ერთობ მარტივი და ამღერებელი“ (იტალ.).

ფლდებ... ხელოვნების მოჩვენებითობა უკუგდებულია... ბოლოს და ბოლოს ხელოვნება ყოველთვის უკუაგდება ხოლმე ხელოვნების მოჩვენებითობას. დიმ-დადა! გეთაყვათ, კარგად დაუგდეთ ყური!.. მელოდიას აქ ფუგის სიმძიმე გადასწონის! იგი სტატიკური, მონოტონური ხდება... ორი რე, სამი რე ზედიზედ... ამას აკორდები იქმიან... დიმ-დადა! გთხოვთ, არ გამოგეპაროთ, რაც აქ ხდება!..

მეტისმეტად ძნელი იყო ერთსა და იმავე დროს მისი შეძახილებიც გაგერჩიათ და ურთულესი მუსიკაც მოგესმინათ. თავს ძალას ვატანდით, წინ წახრილებს, ხელები მუხლებშია გვექონდა მოქცეული და ხან მის ხელებს ვადევნებდით თვალს, ხანაც პირში მივჩერებოდით. ამ ნაწარმოებისათვის ხომ ბანისა და დისკანტის დაშორებულობაა დამახასიათებელი, მარჯვენა და მარცხენა ხელს შორის არსებული მანძილი, და დგება წამი, როდესაც სიტუაცია უკიდურესად იძაბება, როდესაც ასე გგონიათ, თითქოს საბრალო მოტივი, მარტოდმარტო დარჩენილი და მიუსაფარი, თავბრუდამხვევ, ხახა-დაფჩენილ ფუჟსკრულის თავზე დანანაობს, – ისეთი ამალეღვებელი წამი დგება, რომ ფითრდებით, და ამას კი ფეხდაფეხ მოსდევს მხდლური თვითდაკნინება, შეკრთომა იმის გამო, რომ შესაძლებელი ვახდა ამგვარი რამ მომხდარიყო. მოხდენით კი, კიდევ ბევრი რამ ხდება დასასრულამდე. ხოლო დასასრულს, სულ ბოლოში, იმდენი მრისხანების, შეუპოვრობის, აჩემებისა და აღგზნების შემდეგ, თავისი სისათუთითა და სიკეთით სრულიად მოულოდნელი და წარმტაცი რამ გაისმის. მრავლის მომსწრე, მრავალმხრივ დამუშავებული მოტივი, რომელიც გვემშვიდობება, სულ ერთიანად გამოსალმებად, გამოთხოვების ძახილად და ხელის დაქნევად იქცევა, – ეს რე-სოლისოლი, – ცოტათი იცვლება, მელოდიურად ოდნავ ფართოვდება. სანყისი დოს შემდეგ რეზე გადასვლამდე დო-დიეზს ირთავს. ასე რომ, მისი დამარცვლა უკვე ამგვარად კი არ ხერხდება: „ლაჟ-ვარდი“ ან „მდელ-ობი“, არამედ: „ო-ცის ლაჟვარდო“, „მწვა-ნე მდელობი“, „ი-ყავ მშვიდობით“, და ეს ჩართული დო-დიეზი ყველაზე გულის ამარწყებელი, მანუგეშებელი, კაეშნით შეფერილი, შემრიგებლური ქმედებაა მთელ ქვეყანაზე. იგი გულის ტკივილითა და სიყვარულით აღსავსე მოფერებას წააგავს, თმაზე ხელის გადასმას, ლოყაზე შეხებას, თვალში უკანასკნელ წყნარ და ღრმა ჩახედვას, და მძლეთა მძლე ადამიანურობით აკურთხებს საშინლად გაზრდილ კომპოზიციას, მსმენელს მკერდზე ისე ნაზად დაუსვენებს გამოსათხოვრად, სამუდამოდ განსაშორებლად, რომ ამ უკანასკნელს თვალეები ცრემლით

ევსება. „აღარ იტანჯო!“ — მოგინოდებთ იგი. — „ღმერთი დიდია!“ „მხოლოდ გეზმანა“. „მადლი მომაგე“. შემდეგ წყდება ეს ყოველივე და სწრაფი, მკვეთრი ტრიოლები დასასრულისაკენ მიისწრაფვიან, დასკვნითი ფრაზა ლამის შემთხვევითია და ბევრი სხვა ნაწარმოებიც შეიძლება ასევე დამთავრებულიყო.

სონატის დამთავრების შემდეგ კრემმარი ჰიანინოდან არ ამდგარა და კათედრაზე აღარ დაბრუნებულა. მხოლოდ ჩვენცენ შემოტრიალდა ხრახნიან სკამზე და ისევე იჯდა, როგორც ჩვენ ვისხედით: წინ წამოხრილს ხელები მასაც მუხლებშუა ჰქონდა მოქცეული, და ამ პოზაში დაამთავრა ორიოდ სიტყვით თავისი ლექცია იმის შესახებ, რატომ არ დაწერა ბეთჰოვენმა 111-ე ოპუსისათვის მესამე ნაწილი.

— ჩვენთვის, — დასძინა მან, — ალბათ ნაწარმოების მარტო მოსმენაც იკმარებდა, რომ ამ კითხვაზე თვითონ გაგვეცა პასუხი. მესამე ნაწილი? ახლის დაწყება ასეთი დამშვიდობების შემდეგ? ახალი შეხვედრა ასეთი გაყრის შემდეგ? შეუძლებელია! მოხდა ისე, რომ სონატა მეორე ნაწილში, უზომოდ ვრცელ ნაწილში, აღსასრულამდე მივიდა, სამუდამოდ განშორებამდე. როდესაც „სონატა“-მეთქი, ვამბობ, მარტო ამ სონატა დო-მინორს კი არ ვგულისხმობ, არამედ სონატას საერთოდ, როგორც მუსიკალური ნაწარმოების ტრადიციულ სახეობას. აქ მან, როგორც ყანრმა, ამოსწურა თავისი თავი, აღასრულა, რაც განგებით ეწერა, თავის მიზანს მიაღწია და ამის იქით მისთვის სავალი გზა დახშულია, იგი იშლება, იხსნება და სამუდამოდ გვეთხოვება. რე-სოლი-სოლი მოტივის გამოსათხოვარი ხელის დაქნევა მელოდიურად ნუგეშცემულია დო-დიეზით — ეს გამოთხოვებაა ამ გაგებითაც, სონატასთან დამშვიდობება, ისევე დიადი, როგორიც თავად ნაწარმოებია; *

თქვა ესა და კრემმარი წავიდა, არცთუ მქუხარე, მაგრამ ხანგრძლივი ტაშის თანხლებით, ჩვენც წამოვედით, ჩაფიქრებულნი, ახალი აზრებით დამძიმებულნი. ბევრი, როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, პალტოებისა და შლაპების ალებისა და შენობიდან გამოსვლისას გატაცებით მღეროდა იმას, რაც ამ საღამოს მეხსიერებაში აღებუქდა: მოტივს, რომელიც მეორე ნაწილის თემას შეადგენს — მოტივის პირვანდელ ვარიანტს, ან გამოთხოვების უამს მიღებულ სახეცვლილებას, და მერეც, ლამის სინყნარეში ჩაძირული პატარა ქალაქის მივარდნილი ქუჩაბანდებიდანაც, სადაც გაიფანტნენ მსმენელები, კიდევ კარგა ხანს მოისმოდა: „მშვი-დობით!“ „იყავ მშვიდობით!“ „ღმერთი დიდია!“..

ეს უკანასკნელად როდი იყო, რომ ლიყიანი ბეთჰოვენზე მოგვი-
თხრობდა. მალე მან ისევ წაგვიკითხა ლექცია მის შესახებ. ამჯერად
შემდეგი თემა აირჩია: „ბეთჰოვენი და ფუგა“. მშვენივრად მახსოვს,
ანონსიც კი თვალწინ მიდგას და მაგონდება, რომ დარწმუნებული
ვიყავ: როგორც პირველი, ისე მეორე ლექციაც არ გამოიწვევდა
„საყოველთაოდ სასარგებლო მოღვაწეობის“ დარბაზში დამსწრეთა
სიცოცხლისთვის სახიფათო ზედახოცვას. ჩვენმა პატარა ჯგუფმა
კი იმ საღამოსაც სასიამოვნოცა და სასარგებლოც ბევრი რამ მოისმი-
ნა.

-- მამაცი ნოვატორის მოშურნენი და მტრები, – გვეუბნებოდა ის,
– ერთთავად ამტკიცებდნენ, ბეთჰოვენს ფუგის დაწერა არ ძალუძ-
სო, არ შეუძლია, მორჩა და გათავდაო, გაიძახოდნენ ისინი და დია-
ხაც იცოდნენ, რასაც გულისხმობდნენ, რადგან ამ მართლაც პატივ-
საცემ ფორმას მაშინ ჯერ კიდევ დიდად აფასებდნენ და ვერც ერთი
კომპოზიტორი მუსიკალური სამსჯავროს კეთილგანწყობილებას
ისე ვერ დაიმსახურებდა და ვერც ამა ქვეყნის ძლიერთა გულს
მოიგებდა, თუ ფუგაში თავს ვერ გამოიჩინდა. ასე, მაგალითად,
თავადი ესტერჰაზი დიდი მოყვარული გახლდათ მუსიკალური
ხელოვნების ამ შესანიშნავი სახეობისა, მაგრამ დომაჟორულ მესა-
ში, რომელიც ბეთჰოვენმა მისთვის დაწერა, კომპოზიტორი
უილაჯოდ გაიხირა ფუგის მისადგომებზე, რაც არისტოკრატიული
საზოგადოების თვალსაზრისით უზრდელიობა იყო, ხოლო მუსიკალ-
ურით კი – მიუტყევებელი მანკი, ორატორიაში – „ქრისტე ზეთისხი-
ლის მთაზე“ – კი ფუგის ნასახიც არა გვხვდება, თუმცა მისთვის ამაზე
შესაფერისი ადგილი არც მოიძებნებოდა. ისეთ უნიათო ცდას,
როგორცაა ფუგა მესამე კვარტეტში 50-ე ოპუსიდან, არ შეეძლო იმ
აზრის უარყოფა, რომ ეს დიადი ადამიანი ცუდი კონტრაპუნქტისტი
იყო – რაშიც ავტორიტეტულ მუსიკალურ შრეებს კიდევ უფრო არწმ-
უნებდა ფუგის მაგვარი ადგილები გმირული სიმფონიის სამგლოვი-
არო მარშში და ლა-მაჟორული სიმფონიის ალევრეტოში. და ახლა
ვიოლონჩელის რე-მაჟორული სონატის, ოპუსი 102-ის, „Allegro
fugato“-დ წოდებული დასკვნითი ნაწილიც! მანაც დიდი აღშფოთება
და აყალმყალი გამოიწვია! – ჰყვებოდა კრეჩმარი. – მთლიანად
აღებული იმდენად ბუნდოვანია, რომ მისი აღქმა ძნელდებაო, – გაი-
ძახოდნენ ბეთჰოვენის ოპონენტები, – ხოლო, სულ ცოტა, ოცი ტაქ-
ტის მანძილზე მანაც ყველაფერი ისეა აბურღული – უმთავრესად
ერთობ მკვეთრად შეფერილი მოდულაციების გამო, რომ ერთხელ

და სამუდამოდ დადგენილად უნდა ჩაითვალოს: ეს კაცი მკაცრ სტილთან მწყრალად გახლავთო.

მე მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ ვწყვეტ თხრობას, რომ თქვენი ყურადღება შემდეგ გარემოებაზე გავამახვილო: ლექტორი ისეთ საგანზე ლაპარაკობდა, ხელოვნების ისეთ ფაქტებსა და საკითხებს აშუქებდა, რაც ჩვენი თვალთახედვის მიღმა არსებობდა და ახლავდა შემოდინოდა მის არეში, ბუნდოვნად ისახებოდა ლიყიანის მიერ ვაი-ვაგლახით წარმოთქმულიდან; მოსმენილის შემონმება ჩვენ მატოოდენ მის მიერვე კომენტირებული და ფორტეპიანოზე დაკრული მასალით თუ შეგვეძლო, და ყოველივეს იმ ბავშვების ცხოველი ფანტაზიითა და გუმანით ვისმენდით, რომელთაც მათთვის გაუგებარ ზღაპრებს უამბობენ და, მიუხედავად ამისა, მათი სათუთი სული რალაც ჯადოსნური მანქანებით თავს მაინც გამდიდრებულად და ამალღებულად გრძნობს. „ფუგა“, „კონტრაპუნქტი“, „გმირული“, „აბურდული ერთობ მკვეთრად შეფერილი მოდულაციების გამო“, „მკაცრი სტილი“, — ეს ყოველივე ჩვენთვის, კაცმა რომ თქვას, ზღაპრული გამოცანებივით იყო, მაგრამ ისეთი ხალისით ვისმენდით, ისე გვქონდა თვალეები გაფართოებული, როგორც ბალებს, რომლებიც უფრო გატაცებით გაუგებარსა და მათთვის ჯერჯერობით შეუფერებელს უგდებენ ყურს, ვიდრე მათთვის ახლობელს, გასაგებსა და შესაფერს. თუ დამიჯერებთ, ეს სწავლის ყველაზე ინტენსიური, ყველაზე ამაყი და, შესაძლოა, ყველაზე ქმედითი ხერხიც კია — ანტიციპაციური სწავლა, უმეცრების ვრცელ მონაკვეთებს რომ გადაეგლება ხოლმე თავზე. პედაგოგი ვარ და ამას არ უნდა ვამბობდე, მაგრამ გამოცდილებით ვიცი, რომ ახალგაზრდობას ეს ხერხი ბევრად უფრო ურჩევნია და გამოტოვებული ადგილები კი, ჩემი აზრით, დროთა ვითარებაში თავისთავად შეივსება.

— ამრიგად, ბეთჰოვენს, — განაგრძობდა კრემმარი, — ხმა ჰქონდა დავარდნილი, ფუგის დაწერა არ შეუძლიაო, და ახლა დაისმის საკითხი, რამდენად შეესაბამებოდა სიმართლეს ავყათა ეს მითქმამოთქმა? როგორც ჩანს, ამის გაქარწყლებას თვითონ კომპოზიტორი ცდილობდა. მომდევნო საფორტეპიანო ნაწარმოებებში მას ფუგები შეჰქონდა, სახელდობრ, სამხმიანი: ვთქვათ, „სონატაში ჩაქურებიანი ფორტეპიანოსათვის“ და ლა-ბემოლ-მაჟორ სონატაში, 110-ე ოპუსი, ერთხელ წარწერაც კი დაურთო: „ნესებიდან გადახვევით“, — იმის საჩვენებლად, რომ ძალიან კარგად იცოდა ის ნესები, რომლებსაც არღვევდა. რატომ არ იცაგდა მათ, აბსოლუტიზმის გამო, თუ იმიტომ,

რომ ვერ გაერთმია მათთვის თავი, სადავოდ რჩებოდა. ოღონდ ისიც კია, რომ შემდგომ მან შექმნა დიდი უვერტიურა-ფუგა, 144-ე ოპუსი, აგრეთვე დიდებული ფუგები „Gloria“ და „Gredo“ „Missa solemnis“-დან, იმის დასამტკიცებლად, რომ ამ ანგელოზთან ჭიდილობაც დიადი ფალავანი, დაე თუნდაც დაკოჭლებული, მაგრამ მაინც გამარჯვებული გამოვიდა.

კერემარმა შემზარავი ამბავი გვიამბო, რომელმაც ამ წმინდა ბრძოლის სიმძიმე ზვავგრძნობინა და განამებული შემოქმედის ხატება გულში აღგვიბეჭდა. ეს მოხდა 1819 წლის გაგანია ზაფხულში. მამინ ბეთჰოვენი მესაზე მუშაობდა მოდლინგში, და ლამის სასოება წარკვეთოდა იმის გამო, რომ ყოველი ნაწილი ბევრად ვრცელი გამოდიოდა, ვიდრე თავდაპირველად ფიქრობდა, ასე რომ, მესის ვადაზე დამთავრება – გაისად, მარტის თვეში, რათა ერცჰერცოგ რუდოლფის ოლმიუცის არქიეპისკოპოსად კურთხევისას შეესრულებინათ, ვერა და ვერ მოესწრებოდა. ამ დროს იყო, რომ ორი მეგობარი, ორი ადეპტი ეწვია სალამოთი და სახლში შესვლისთანავე შემამოფოთებელი ამბავი შეიტყვეს: დილით ორივე მოახლე ქალი გაქცეულიყო, რადგან წინა ღამით, დაახლოებით პირველ საათზე, მანესტრომ მათ ისეთი ხმაურიანი სცენა მოუწყო, რომ სახლში დედაბუდიანად ყველას გაელვია. იგი გვიანობამდე მუშაობდა Credo-ზე, ფუგიან Credo-ზე, და ქურაზე წმდგარი ვახშამი არც გასსენებია. მის ლოდინში გულგადაჯერებულ მოახლეებს კი ბოლოს რული მოჰკიდებოდათ. ნაშუალამევს ორივე მძინარე დახვედროდა მოშიებულ მანესტროს სამზარეულოში, ხოლო კერძი – მთლად დამშრალი, ძირზე მიმწვარი, და გული მოსვლოდა. მისი მჭექარე მრისხანება მძინარე-სახლს აბა როგორღა დაინდობდა, მით უფრო, რომ თვითონ არ ესმოდა თავისი ყვირილი.

– ერთი საათი ვერ იფხიზლეთ? – ქუხდა გაუთავებლად. მაგრამ ერთი საათი კი არა, ხუთი, ექვსი საათი იყო გასული და განანყენებულმა გოგოებმა, ინათა თუ არა, თავს უშველეს, ღვთის ანაბარად დატოვეს მძვინვარე ბატონი, რომელსაც წინა დღეს სადილობის შემდეგ არაფერი არ უჭამია, ისე განაგრძობდა მუშაობას თავის ოთახში, Credo-ზე, ფუგიან Credo-ზე. მომხდურ ყმანვილ კაცებს დაკეტილი კარიდან ესმოდათ, როგორ მუშაობდა. ყრუ კონპოზიტიორი მღეროდა, ყმუოდა, ფეხებს ურტყამდა იატაკს და ისე იღვწოდა თავის Credo-ზე, – ამის მოსმენა იმდენად შემადრწუნებელი იყო, რომ კართან მდგომთ ღამის სისხლი გაეყინათ

ძარღვებში. ის იყო, მოკრძალებით სურდათ უკუქცეულიყვნენ, რომ კარი ერთბაშად გაიღო და მის ჩარჩოში ბეთჰოვენი გამოჩნდა. როგორ გამოიყურებოდა? უსაზარლესად: ისე აჩაჩულ-დაჩაჩული და სახეშეშლილი გახლდათ, შეგეშინდებოდათ. თვალებდაჭყეტილი მიაჩერდა მათ, თითქოს გონს მოსვლა სურდა, თითქოს აყურადებდა, ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებდა, იტყოდით, ეს-ეს არის თავი მიანება კონტრაპუნქტის მტრულ სულლებთან სამკვედრო-სასიცოცხლო ბრძოლასო. ჯერ რაღაც შეუსაბამო ჩაიბუტბუტა და მერე ბუზღუნით ჩივილი მორთო მოუნესრიგებელ ყოფაზე: ყველამ მიმატოვა, ვშიმშილობო. მეგობრები შეეცადნენ დაემშვიდებინათ, ერთი ტანსაცმლის გასწორებაში შეელოდა, მეორე გარეთ გავარდა რესტორნიდან მზა სადილის მოსატანად... მესა კომპოზიტორმა მხოლოდ სამი წლის შემდეგ დაამთავრა.

ჩვენ ამ ნაწარმოებს არ ვიცნობდით, — ახლალა შევიტყვეთ მისი არსებობა. მაგრამ ვის შეუძლია უარყოს, რომ უცნობი სიდიადის მარტო გაგონებაც კი განანათლებს ადამიანს? ოღონდ ბევრი რამ იმაზედაც არის დამოკიდებული, როგორ ლაპარაკობენ მის შესახებ? ვენდელ კრეჩმარის ლექციიდან შინ რომ ვბრუნდებოდით, ასე გვეგონა, თითქოს მესაც მოვისმინეთ. ამ ილუზიას ცოტათი როდი უწყობდა ხელს ლამენათევი და ნაშიმშილევი კომპოზიტორის ხატება, კარის ჩარჩოში მოქცეული, რაც ასე მკაფიოდ აღგვიბეჭდა მომხსენებელმა.

აი ასეთი იყო კრეჩმარის ლექცია „ბეთჰოვენი და ფუგა“ და, ღმერთმანი, იგი მართლაც გვაძლევდა შინ მიმავალთ მასალას საუბრისათვის, აგრეთვე ერთად დუმილისა და წყნარად, ფაქიზად ფიქრისათვის ახალზე, შორეულზე, დიადზე, რაც ზოგჯერ სხარტად, ზოგჯერ კიდევ ენის საშინელი ბორძიკით მოლაპარაკემ ჩვენს სულებში დაამკვიდრა. მე ვთქვი: ჩვენს სულებში-მეთქი, მაგრამ, რასაკვირველია, ამ შემთხვევაში მხოლოდ ადრიანის სულს ვგულისხმობ. ხოლო მე რას ვისმენდი, რას აღვიქვამდი, ამას მნიშვნელობა არა აქვს.

როგორც შინ წამოსვლისას და მეორე დღეს კიდევ სკოლის ეზოში საუბრიდან გამოირკვა, ადრიანზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა კრეჩმარის მიერ კულტისა და კულტურის ეპოქებს შორის არსებული განსხვავების გახაზვამ და აგრეთვე მისმა ნათქვამამაც, რომ ხელოვნების სეკულარიზაცია, მისი გამოცალკეება ღვთისმსახურებისაგან, მხოლოდ ზედაპირული და ეპიზოდური ხასიათისაა. //

გიმნაზიის ზედაკლასელი გატაცებული ჩანდა იმ აზრით, რომელიც ლექტორს კი არ წარმოუთქვამს, არამედ მას გაუჩინა: ხელოვნების გამოცალკევებამ ლიტურგიის მთლიანობიდან, მისმა გააზატებამ და ამალღებამ მარტოეულ-პირადულობამდე, კულტურულ თვითგამი-ზნულობამდე, ხელოვნება დაამძიმა რაიმესთან მიმართებას მოკლებული საზეიმოობით, აბსოლუტური სერიოზულობით, ტან-ჯვის პათოსით, რისი ხატოვანი განსახიერებაც კარის ჩარჩოში ბეთჰოვენის საზარელი გამოჩენა გახლდათ, და რაც ხელოვნების მარადიულ ხვედრად, მუდმივ სულისკვეთებად არ უნდა იქცეს. და ამას ამბობდა ჭაბუკი! მას ჯერ თითქმის არ გააჩნდა პრაქტიკული გამოცდილება ხელოვნების სარბიელზე და მარტო წარმოსახვის უნარზე დაყრდნობით, ასე ვთქვათ, ცარიელ ადგილზე, მაგრამ ბრძნულად კი მსჯელობდა იმის შესახებ, რომ ხელოვნება, როგორც ჩანს, მის დღევანდელ როლზე უარს იტყვის და უკან დაუბრუნდება უფრო პატარას, უფრო ილბლიან როლს, უზენაესი კავშირის სამსახურს, რომელიც მაინცდამაინც ეკლესიასთან კი არ უნდა დადოს, როგორც უნინ იყო. ხოლო, მაშ რასთან კავშირი უნდა ყოფილიყო ეს, ამას ადრიანი ველარ ამბობდა. მაგრამ ის, რომ კულტურის იდეა ისტორიულად გარდამავალი იდეაა, რომ შეიძლება რაღაც სხვაში გაითქვიფოს და აუცილებლად მას არ ეკუთვნის მომავალი, ამ აზრს მაშინვე ჩაეჭიდა კრეჩმარის ლექციაში.

— ჰო, მაგრამ კულტურის ალტერნატივა, — ჩავურთე მე, — ბარბაროსობაა.

— მოიცა, — მითხრა მან. — ბარბაროსობა ხომ კულტურის საპირისპირო ცნებაა, მხოლოდ გარკვეულ შეხედულებათა სისტემაში, რაც თვითონ კულტურამვე ჩაგვინერგა, ამ სისტემის მიღმა კი საპირისპირო შეიძლება სულ სხვა რამ იყოს ანდა საპირისპირო რამ საერთოდ არც იყოს.

მე ლუკა ჩიმაბუეს გამოვაჯავრე და „Santa Maria!“^{*} წამოვიძახე, თან პირჯვარი გადავიწერე. ადრიანმა ჩაიცინა.

მეორეჯერ კიდევ ასეთი აზრი გამოთქვა:

— ჩვენს დროში, როგორც მე მგონია, კულტურული ეპოქისათვის შეუფერებლად ბევრს ლაპარაკობენ კულტურაზე. ასე არ არის? ნეტავი გამაგებინა, იმ ეპოქებში, რომელთაც კულტურა გააჩნდათ, ამ სიტყვას საერთოდ თუ იცნობდნენ, იყენებდნენ მას თუ არა, წამ-

^{*} „წმინდაო მარიამ!“ (იტალ.).

დაუნუმ ენის წვერზე ეკიდათ თუ არა? მე პირადად მიამიტობა, გა-
უცნობიერებლობა, თავისთავად გასაგებობა უპირველეს
კრიტერიუმად მიმჩნია იმ მოვლენისა, რასაც კულტურას ვწოდებ-
თ. ჩვენ სწორედ მიამიტობა გვაკლია და ეს ნაკლი, თუ ამ შემთხვევ-
აში ნაკლზე შეიძლება ლაპარაკი, გვიცავს ქრელაჭრული ბარბარ-
ოსობისაგან, რომელიც კულტურას, ზოგჯერ ერთობ მაღალსაც კი,
მშვენივრად ეგუებოდა ხოლმე. მე მინდა ვთქვა: ჩვენ რომ ცივილი-
ზაციის საფეხურზე ვდგავართ უეჭველად სანაქებო საფეხურია, მაგ-
რამ ისიც უეჭველია, რომ ბარბაროსობის მოზრდილი ულუფა გვჭი-
რდება, რათა კვლავ კულტურის ათვისების უნარი მოვიპოვოთ.
ტექნიკა და კომფორტი ჰგონიათ კულტურა, მაგრამ ეს ასე არ არის.
თუ იქნებ გინდა შემედავო, რომ ჩვენი მუსიკის ჰომოფონურ-
მელოდიურ ნყობაშიც მუსიკალური ცივილიზაციის გარკვეული
მდგომარეობა გამოსჭვივის ძველი კონტრაპუნქტულ-პოლიფონი-
ური კულტურისაგან განსხვავებით?

ადრიანის ნალაპარაკეში, მე რომ მაცბუნებდა და მაღიზიანებ-
და ხოლმე, ბევრი რამ სხვისგან განაგონი იყო. მაგრამ მან ისეთნაი-
რად იცოდა ათვისება და ერთბაშად აღქმულის ისე თავისებურად
გადმოცემა, რომ მისი მსჯელობა ყმანვილური მიმბაძველობისაგან
დაზღვეული არა, მაგრამ სასაცილო სულაც არ გახლდათ. ბევრს მსჯ-
ელობდა ის, ან უფრო სწორად, ჩვენ გვქონდა გაცხოველებული სჯა-
ბაასი კრეჩმარის სხვა ლექციაზეც, რომელსაც „მუსიკა და თვალი“
ენოდებოდა და უთუოდ მეტ ხალხმრავლობას იმსახურებდა.
როგორც სახელწოდებიდანაც ჩანს, ჩვენი ლექტორი ამჯერად თავის
ხელოვნებაზე ლაპარაკობდა იმდენად, რამდენადაც იგი გარკვეულ
მიმართებაშია მხედველობასთან ანდა, უფრო ზუსტად, მხედველო-
ბასთანაც, რაც მარტო იმაშიც კი ვლინდება, ამტკიცებდა ის, რომ
მუსიკას იწერენ, სათანადო ნიშნებით, ნოტებით გამოხატავენ,
რომლებიც ძველი ნევმების დროიდან, ხაზებითა და წერტილებით
რომ აღნიშნავდნენ მელოდიას და მხოლოდ მიახლოებით მიუთი-
თებდნენ მის მოძრაობას, სულ უფრო და უფრო იხვენებოდა.
კრეჩმარის საილუსტრაციო მასალა ძალზე გვართობდა და პატივსაც
გვდებდა, რადგან მუსიკასთან გაშინაურების ილუზიას გვიქმნიდა –
ასე ემართება ალბათ მხატვრის შეგირდს ფერწერის მიმართ,
როდესაც თავის ოსტატს ფუნჯებს ურეცხავს. კრეჩმარი გვიხსნი-
და, რომ მუსიკოსთა ჟარგონის ზოგიერთი სიტყვა-თქმა აკუსტიკური
შთაბეჭდილებიდან კი არ არის ნაწარმოები, არამედ ვიზუალურიდან,

ნოტების მოყვანილობის მიხედვით. ასე, მაკალითად, occhiali*-ო, სათვალის ბანებიო, — ამბობენ, რადგან დაფდაფის ტეხილი ბანები, ნახევარი ნოტები, რომელთა შვეული ხაზები წყვილ-წყვილად „ძელ-ებით“ არიან შეერთებულნი და სათვალეს ჰგვანან; აგრეთვე, გარკვეულ იაფფასიან, კიბე-კიბე და თანაბარი ინტერვალებით ერთმანეთზე მიყოლებულ სეკვენციებს (იგი დაფაზე გვიწერდა ნიმუშებს) „ხარახის ჯღანებს“ უწოდებენ. ამის შემდეგ ჩანერილი მუსიკის საერთო შესახედაობაზე ილაპარაკა და გვარწმუნებდა: მცოდნე კაცისთვის ნოტებზე ერთი დახედვაც კმარა, რომ კომპოზიციის ავ-კარგი მაშინვე განსაზღვროსო. მას ასეთი რამეც კი შემთხვეოდა: ერთხელ მის ოთახში, სადაც პიუპიტრზე ვილაცის დილეტანტური ქმნილება ჰქონდა გადაშლილი, კოლეგა შემოსულიყო და კარებიდანვე დაეძახა: — ღვთის გულისათვის, ეს რა ნაგავი გიღვესო! — მეორე მხრივ, იგი აგვიწერდა, რა სიამოვნებას ანიჭებს განაფულ თვალს მოცარტის პარტიტურის აღქმა: ნათელი დისპოზიცია, საკრავთა ჯგუფების მშვენიერი განაწილება, მელოდიური ხაზის მასვილგონივრული ვარიაციებით გაძლოლა. — ყრუც კი, — აღმოხდა კრეჩმარს, — რომელსაც ჰანგისა არაფერი გაეგება რა, არ შეიძლება არ დატკბეს ამ საუცხოო სანახაობით. „To hear with eyes belongs to love's fine wit.“** — მოიტანა ციტატა შექსპირის ერთ-ერთი სონეტიდან და გვიმტკიცებდა, რომ ყველა დროის კომპოზიტორები თავიანთ ჩანაწერებში ბევრ ისეთ რამეს აპარებდნენ, რაც უფრო წამკითხველის თვალისთვის იყო განკუთვნილი, ვიდრე ყურისთვის. ვთქვათ, როდესაც პოლიფონიური სტილის ნიდერლანდელი ოსტატები თავიანთ თავსატეხ ქმნილებებში გადაჯვარედინებულ ხმათათვის კონტრაპუნქტულ მიმართულებას ისე აგებდნენ, რომ ერთი ხმა ზუსტად იმეორებდა მეორეს, თუ მას ბოლოდან დასაწყისისაკენ ნავიკითხავდით, ამას გრძნობად ბგერასთან ბევრი არა ესაქმებოდა რა. სანაძლეოს ვეღბ, რომ ამ ხუმრობის სმენით აღქმას იშვიათად თუ ვინმე შესძლებდა და იგი უფრო მუსიკის ამქართა თვალისათვის იყო ჩაფიქრებული. ორლანდო ლასომ „ქორწილი კანაში“ წყლის ექვსი დოქისათვის ექვსი ხმა გამოიგონა, და ამის დათვლა თვალით: უფრო იოლია, ვიდრე ყურით. ხოლო იოახიმ ფონ ბურკის „იოანეს ვნებაში“ მსახურთაგან ერთ-ერთს, სახელდობრ იმას, რომელიც იესოს სილას გაარტყ

*სათვალე (იტალ.).

**„თვალთ მოსმენა სიყვარულის ძღვენი ნატიფი!“ (ინგლ.).

ამს, ერთი ნოტი ეძლევა, მაშინ როდესაც მომდევნო ფრაზაში: „მასთან ერთად ორი სხვა“ – „ორს“ ორი ნოტი მოუდის.

კრეჩმარმა კიდევ მრავალი ამგვარი პითაგორული ხუმრობა მოიყვანა, რომლებიც უფრო თვალისთვის იყვნენ განკუთვნილნი, ვიდრე ყურისთვის; ყურს, ცოცა არ იყოს, ატყუებდნენ კიდევ, და ერთბაშად გამოგნებელი რამ მოგვახალა: ამგვარი რამეებით რომ მუსიკა ხამუშ-ხამუშ თავს ინონებს, ეს შეიძლება მის ერთგვარ თანდაყოლილ უგრძნობელობას, უფრო მეტიც, ანტიმგრძნობელობას მიენეროს, ასკეტიზმისაკენ მის ფარულ მიდრეკილებასო. იგი ხომ მართლაც ყველაზე განსულიერებულთა ხელოვნებათაგან, რაც მართო იქიდანაც ჩანს, რომ აქ ფორმა და შინაარსი, როგორც სხვაგან არსად, ერთმანეთშია გათქვეფილი ან, უბრალოდ რომ ვთქვათ, ერთი და იგივეა. ამბობენ, მუსიკა ყურს მიმართავსო. მაგრამ ეს მხოლოდ პირობითად ითქმის, სახელდობრ, მხოლოდ იმდენად, რამდენადაც სმენა, ისევე როგორც დანარჩენი შეგრძნებებიც, სულიერის აღმქმელ არ არსებულ შუამავალ ორგანოს ენაცვლება. შეიძლება, დასძინა კრეჩმარმა, მუსიკის ყველაზე იდუმალი სურვილია კი არ მოისმინონ საერთოდ და არც დაინახონ და არც შეიგრძნონ, არამედ – ასეთი რამ შესაძლებელი რომ იყოს – გრძნობებისა და სულისკვეთების მიღმაც კი, ხალასი განსულიერებულობის სფეროში აღიქვან და განჭვრიტონ. მაგრამ გრძნობათა სამყაროზე მიჯაჭვული, იგი მაინც იძულებულია ისევ და ისევ უფრო მსურვალე და მაცდურ გრძნობიერებას ესწრაფვოდეს, – კუნდრი, რომელსაც არა სწადია, რასაც იქმს, და მაინც სათუთი მკლავებით ავხორცულად ყელზე ეხვევა გულუბრყვილო პარსიფალს. ყველაზე მძლავრ გრძნობად განსახიერებას იგი საორკესტრო ინსტრუმენტულ მუსიკაში პოვებს, სადაც ყურის მეშვეობით ყველა გრძნობას აფორიაქებს და, თითქოს ბანგს გვასმევდეს, ჰანგების ტკბილ საუფლოს ფერთა და სურნელთა ასევე საამურ საუფლოსთან აერთიანებს. აქ ის ჭეშმარიტად გრძნეული დიაცის საბურველში გახვეული მომნანიებელი ასულია, მაგრამ მოიპოვებდა ისეთი საკრავი, ანუ მუსიკალური განსახიერების საშუალება, რომლითაც თუმცა ისმენთ მუსიკას, მაგრამ ისმენთ უკვე როგორც ნახევრად არაგრძნობადს, ლამის აბსტრაქტულს და ამიტომ მისი სულიერი ბუნებისათვის უფრო შესაფერის ყაიდზე. ეს საკრავი როიალი გახლავთ, რაც არსებითად არც არის რიგითი საკრავი, საკრავი სხვა საკრავთა შორის, რადგან ინსტრუმენტულ სპეციფიკას მოკლებულია. თუმცა დანარჩენი საკრავებივით ისიც შეიძლება

სოლოდ იქნას გამოყენებული, სოლისტმა გამოიყენოს ვირტუოზული შესრულების სადემონსტრაციოდ, მაგრამ ეს განსაკუთრებული შემთხვევაა და, თუ მკაცრად ვიმსჯელებთ, მისი ბოროტად გამოყენება გახლავთო. როიალი, თუ სიმართლე გინდათ, პირდაპირი და სუვერენული წარმომადგენელია მუსიკისა, მისი სულიერი ბუნებისა და ამიტომ აუცილებელია მისი დაუფლება. ოლონდ როიალზე მეცადინეობისას მთავარი და არსებითი, მისი ანი და ჰაე, მარტო დაკვრაში განაფვა კი არ უნდა იყოს, არამედ განსწავლა თავად მ-მ...

— მუსიკაში! — მიაშველა ვილაცამ მცირერიცხოვან დამსწრეთაგან, რადგან ლექტორი ამ უკანასკნელი და ადრე უკვე მრავალგზის წარმოთქმული სიტყვის დასაწყისშივე გაიხიზა.

— დიახ, რასაკვირველია! — შვებით აღმოხდა მას, ერთი ყლუპი ნყალი მოსვა და წავიდა...

მაგრამ უნდა მომიტევოთ, რომ ვენდელ კრეჩმარს ერთხელ კიდევ ავიყვან კათედრაზე, რადგან მისი მეოთხე ლექციაც არსებითად მიმაჩნია და, ღმერთმანი, ადრინდელთაგან ერთს ან ორს უფრო შვეველეოდი, ვიდრე ამას, ვინაიდან, ჩემზე რომ აღარაფერი ვთქვა, ადრიანზე უღრმესი შთაბეჭდილება სწორედ მან მოახდინა.

ლექციის სახელწოდება ზუსტად ველარ მომიგონია. არ ვიცი, „სტიქიურობა მუსიკაში“ ერქვა, „მუსიკა და სტიქიურობა“ თუ „მუსიკალური სტიქიურობა“ ან კიდევ სხვა რამ. ასე თუ ისე, აქ გადამწყვეტ როლს ასრულებდა სტიქიურობის, პრიმიტიულის, პირველყოფილის იდეა და აზრი იმის შესახებ, რომ ხელოვნებათა შორის სწორედ მუსიკას, რა ამალეებულ და რთულ, მდიდარ და დახვეწილ სასწაულებრივ ნაგებობადაც უნდა ქცეულიყო იგი საუკუნეთა მანძილზე ისტორიული განვითარების შედეგად, არასოდეს არ დაუკარგავს სათნო მიდრეკილება თავისი პირვანდელი მდგომარეობის კრძალვით აღსავსე გახსენებისა, და მისი ათასნაირი თილისმით საზეიმოდ გაცოცხლებისა, მოკლედ, თავისი სანყისი ელემენტებისათვის პატივის მიგებისა. ამით ის ზეიმობსო, — ამბობდა კრეჩმარი, — კოსმოსთან თავის მსგავსებას. ვინაიდან მუსიკის პირველსანყისი ელემენტები, შეიძლება ითქვას, იგივეა, რაც სამყაროს უპირველესი და უმარტივესი ქვაკუთხედები. ეს პარალელიზმი ერთმა ფილოსოფოსმა ხელოვანმა — კრეჩმარი აქაც ისევ ვაგნერს გულისხმობდა — არცთუ ისე შორეულ წარსულში ჭკვიანურად გამოიყენა, როდესაც თავის კოსმოგონიურ მითოსში — „ნიბელუნგის ბეჭედი“ — მუსიკის ამოსავალი ელემენტები სამყაროს ამოსავალ ელემენტებს დაამთ-

ხვია. მასთან ყველა საგანთა დასაბამს თავისი მუსიკა გააჩნია. ეს დასაწყისის მუსიკაა და ამასთანავე მუსიკის დასაწყისიც, მი-ბემოლ-მაჟორული სამხმოვანება რაინის მჩქეფარე ნაკადისა, შვიდი მარტივი აკორდი, რომელთაგან, როგორც პირველყოფილი ქანიდან გამოთლილი კიკლოპური ლოდებიდან, ღმერთების კოშკი იგება. მან მახვილგონივრული, ამაღლებული სტილით მუსიკის მითოსი სამყაროს მითოსს დაუკავშირა, მუსიკა საგნებს მიაჯაჭვა და საგნებს კი მუსიკით გამოახატვინა თავი. გრძნობადი სიმულტანობის აპარატი შექმნა, დიადი და ღრმააზროვანი, თუმცა, შესაძლოა, ოდნავ ზედმეტად გონივრული ისეთი ხალასი მუსიკოსების სტიქიურ მიგნებებთან შედარებით, როგორებიც იყვნენ ბეთჰოვენი და ბახი, მაგალითად, ამ უკანასკნელის მიერ ვიოლონჩელისათვის დაწერილი სიუიტის პრელუდიაში რომელიც ასევე მი-ბემოლ-მაჟორული ნაწარმოებია და უმარტივეს სამხმოვანებაზეა აგებული. მერე ანტონ ბრუკნერი გაიხსენა, ორგანზე ან ფორტეპიანოზე სამხმოვანებათა უბრალო შერჩევიდა რომ ტკებობდა ხოლმე. «განა მოიძეება იმაზე უფრო გულითადი, უფრო წარმტაცი რამ, — წამოუძახია მას, — ვიდრე სამხმოვანებათა ამგვარი უბრალო თანმიმდევრობა? განა ეს სულის განბანვა არ არის?» — ეს სიტყვებით, — დასძინა კრემარმა, — ყურადსაღები საბუთია იმისა, რომ მუსიკას აქვს მიდრეკილება თავის პირვანდელ სტიქიონში უკანვე ჩაიყურყუმელაოს და პირვანდელი სახით თავი მოიწონოსო.

— დიახ, — შესძახა მომხსენებელმა, — თვით ამ საკვირველი ხელოვნების არსშია ჩამარხული იმის უნარი, რომ ყოველ წამს თავიდან დაიწყოს, არაფრიდან, მის მიერ საუკუნეთა მანძილზე მოპოვებული კულტურის უცოდინრად. თავისი თავი ხელახლა აღმოაჩინოს და ისევ დაწერგოს. თანაც ამ დროს მუსიკა განვითარების ყველა იმ უმარტივეს სტადიას გადის, რომლებიც თავის ისტორიულ სათავეებში განვლო, და ძალუძს მოკლე გზით, განვითარების მაგისტრალური ხაზის მიღმა, განმარტოებით, დანარჩენი ქვეყნიერებისათვის უჩუმრად, საარაკო სილამაზის მწვერვალებს მიაღწიოს. — და აქ ერთი ამბავი გვიამბო, რომელიც ძალზე თავშესაქცევად და მრავლისმეტყველად ნათელყოფდა მის ამჟამინდელ მსჯელობას.

იმთვრამეტე საუკუნის შუა წლებში მის სამშობლოში, პენსილვანიაში, ერთი გერმანული რელიგიური სექტა ჰყვავოდა, რიტუალის მიხედვით ანაბაპტისტური. მისი ყველაზე გამოჩენილი და პატივდებული წევრები იოჯახს არ ეკიდებოდნენ და ამიტომ მათ კრძალვით

„მარტოხელ ძმებად და დებად“ იხსენიებდნენ. უმრავლესობა კი ქორწინებას სამაგალითოდ სპეტაკსა და ღვთისნიერ ცხოვრებას უხამებდა — მუყაითობას, მკაცრ წესრიგს, თავშეკავებულობას, საღსა და სადა ყოფას. მათ ორი დასახლებული პუნქტი ჰქონდათ: ერთს ევფრატა ერქვა და ლანკასტერის მხარეში მდებარეობდა, მეორეს კი — სნოუჰილი და ფრანკლინის მხარეში შედიოდა. ესენი ყველანი მონივნებით შესცქეროდნენ თავიანთ მეთაურს, მოძღვარსა და სულიერ მამას, სექტის დამაარსებელს, ვინმე ბაისელს, რომლის ხასიათში მსურვალე ღვთისმოსაობა გაერთიანებული იყო სულიერი წინამძღოლისა და ადამიანთა ბედ-იღბლის განმგებლის თვისებებთან, ხოლო მეოცნებე რელიგიურობა — დაუცხრომელ ენერგიასთან.

იოჰან კონრად ბაისელი ებერბახში, ჰვალცში, იყო დაბადებული, ღარიბ-ღატაკ ოჯახში, ადრე დაობლდა, ხაბაზობა ისწავლა და, როგორც მოხეტიალე ქარგალს შეჰფერის, სოფელ-სოფელ დადიოდა. ამ სიარულში პიეტისტებსა და ბაპტისტური ძმობის მიმდევრებს დაუკავშირდა, რომელთაც ღვთის ურიტუალო რწმენა გაუღვიძეს. სახიფათოდ დაუახლოვდა რა ისეთ ამბებს, რაც მის სამშობლოში მკრეხელობად ითვლებოდა, ოცდაათი წლისამ გადაწყვიტა, ძველი კონტინენტის შეუწყნარებლობას გაქცეოდა და ამერიკაში გადასახლდა, სადაც ერთხანს ჯემანტაუნსა და კონესტოგაში მუშაობდა ფეიქრად, მაგრამ შემდეგ კვლავ რელიგიური ექსტაზი მოეძალა, აჰყვა შინაგან ძახილს და უდაბურ ადგილას განმარტოვდა, განდევნილის მწირ, მხოლოდ და მხოლოდ უფალზე ფიქრით აღსავსე ცხოვრებას ეწეოდა. მაგრამ, როგორც ხშირად ხდება, რომ სწორედ ადამიანთაგან გაქცევა ლტოლვილს კიდევ უფრო მჭიდროდ დაუკავშირებს ხოლმე კაცობრიობას, ეს მარტოსულიც სულ მალე ალტყინებულ თაყვანისმცემელთა და მიმბაძველთა დასით გარემოცული აღმოჩნდა და ნაცვლად იმისა, რომ საერო ცხოვრებისაგან თავი დაეხსნა, სრულიად მოულოდნელად, ხელის ერთი მოსმით მთელი თემის წინამძღვრად იქცა, რაც სულ მალე „მეშვიდე დღის ანაბაპტისტთა“ სექტად ჩამოყალიბდა და ბაისელი მას მით უფრო შეუზღუდავად განაგებდა, რომ შეგნებულად არასოდეს არ ესწრაფოდა თავკაცობას და ეს სამსახური საკუთარი ნება-სურვილის გარეშე იტვიროდა.

განათლება არ ჰქონდა მიღებული, მაგრამ წერა-კითხვაში თვითონ განაფუთიყო და ვინაიდან სული მისტიკური გრძნობებისა და იდეებისაგან უჩქროლავდა, მოძღვრის მოვალეობა ძირითადად მწე-

რლობასა და პოეტობაზე დაიყვანა — სულიერი საზრდოთი უმასპინძლდებოდა თავის მრევლს. მისი კალმიდან ნაკად-ნაკად იღვენთებოდა დიდაქტიკური პროზა და სასულიერო საგალობლები, რათა ძმანი და დანი სასოებითა და სათნოებით აღევსო უქმობის ფამს და მღვდელმსახურებაც გაემდირებინა. სტილი ეგ ზალტირებული და ნართაული ჰქონდა. გადატვირთული მეტაფორებით, საღმრთო წერილის ადგილთა ბუნდოვანი მინიშნებებით და თავისებური ეროტიკული სიმბოლიზმით. დაიწყო მან ტრაქტატით შაბათზე, „Mysteryon Anomalias“*, და კრებულით „99 მისტიკური და უალრესად საიდუმლო გამონათქვამი“. მათ ფეხდაფეხ დაადევნა მთელი წყება ჰიმნებისა, რომლებიც ცნობილ ევროპულ ქორალთა მელოდიებზე იყვნენ დანერილნი და ასეთი სათაურები ჰქონდათ: „გიყვარდეთ და აქებდეთ ღმერთსა“, „იაკობის ბრძოლისა და კირთების ველი“ და „სიონის საკმევლის ბორცვი“. ეს პატარა კრებულები გაზლდათ და რამდენიმე წლის შემდეგ ისინი, შესწორებულნი და შევსებულნი, ერთად გამოსცა ევფრატელ მეშვიდე დღის ანაბაპტისტთა კანონიკურ საგალობელთა წიგნად, ასეთი სანტიმეტალურ-სევდიანი სახელწოდებით: „სიმღერა განმარტოებული, მარტოდშენილი გვრიტისა, ანუ ქრისტიანული ეკლესიისა“. შემდგომ იგი კიდევ არაერთხელ დაისტამბა, თან გზადაგზა ივსებოდა სექტის სხვა, ასევე პოეზიის ცეცხლით ანთებული ნევრების, მარტოხელა თუ ოჯახის პატრონი კაცებისა და კიდევ უფრო მეტად კი ქალების ქმნილებებით. ბოლოს კრებულში, რომელმაც ამასობაში სათაურიც შეიცვალა და ახლა „სამოთხის სასწაულმოქმედი კარი“ ეწოდებოდა, შვიდას სამოცდაათი ჰიმნი შედიოდა, მათ შორის ზოგი კარგა მოზრდილიც.

ეს საგალობლები იყო, სასიმღერო ტექსტები, ნოტები კი არ გააჩნდათ, ძველ მელოდიებზე იყვნენ დანერილნი და წლობით ასეც იყვნებდა სამწყსო. მაგრამ მერე იოჰან კონრად ბაისელს ახალი იდეის მაღლი მოეფინა, სული წმიდამ ჩააგონა, პოეტისა და წინასწარმეტყველის როლთან ერთად კომპოზიტორისაც მას შეესრულებინა.

დიდი ხანი არ იყო, რაც ევფრატაში მუსიკალური ხელოვნების ახალგაზრდა ადვოკატი, ვინმე ბატონი ლუდვიგი ცნოვრობდა და გალობას ასწავლიდა. ბაისელს უყვარდა მის გაკვეთილებზე დასწრება და, ეტყობა, იქ აღმოაჩინა, რომ მუსიკა სულიერი საუფლოს გაფართოებისა და შექცობის ისეთ შესაძლებლობებს იძლეოდა,

* „უკანონობის საიდუმლოება“ (ბერძნ.).

რომლებზედაც ბატონი ლუდვიგი გუმანშიაც არ გახლდათ. ამ საკვირველმა ადამიანმა სწრაფად გადაწყვიტა, — და უკვე არცთუ ახალგაზრდა, უკვე ორმოცდაათს გადაცილებული, თავისი განსაკუთრებული მიზნებისათვის გამოსადეგი მუსიკის თეორიის შემუშავებას შეუდგა. გალობის მასწავლებელი დაითხოვა, თვითონ მოჰკიდა საქმეს მტკიცედ ხელი და ისეთი წარმატებით, რომ მოკლე ხანში მუსიკა მთელი დასახლების რელიგიური ცხოვრების უმნიშვნელოვანეს ელემენტად აქცია.

ევროპიდან ჩამოყოლილ ქორალურ მელოდიათა უმრავლესობა ერთობ ნაძალადევად, ერთობ ჩახლართულად და ხელოვნურად ეჩვენებოდა თავისი სამწყსოს ბეკეკებისათვის. ახლებურად და უკეთესად უნდოდა ყველაფერი გაეკეთებინა და ისეთი მუსიკა შეექმნა, რომელიც უფრო შეესაბამებოდა მათ ალალ-მართალ სულებს და საშუალებას მისცემდა მათ დროთა ვითარებაში მისი შესრულება სისადავის თავისებურ, მხოლოდ მათთვის დამახასიათებელ მწვერვალზე აეყვანათ. სწრაფად შეთხზა მასვილგონივრული და სასარგებლო მოძღვრება მელოდიაზე. ყოველ გამაში, — გამოაცხადა მან, — არიან „ბატონები“ და „მსახურები“. გადაწყვიტა რა სამხმოვანება ყოველი ტონალობის მელოდიურ ცენტრად განეხილა ხოლმე, ამ აკორდის ბგერები ბატონებად შერაცხა, ხოლო გამის დანარჩენი ბგერები მსახურებად. ამიერიდან ტექსტის მახვილიანი მარცვლები — ბატონებად, ხოლო უმახვილოები კი მსახურებად მიიჩნეოდნენ.

რაც შეეხება ჰარმონიას, აქ მან უნივერსალურ განზოგადებას მიმართა, ყველა შესაძლო ტონალობის აკორდთა ტაბულები შეადგინა. მათზე დაყრდნობით ყველას მარჯვედ შეეძლო თავისი მელოდიის დამუშავება ოთხი ან ხუთი ხმისათვის და ამით თავის სამწყსოში მუსიკის თხზვის ნამდვილი ქარტეხილი გამოიწვია. მალე ერთი ანაბაბტისტიც არ დარჩენილა, კაცი იყო თუ ქალი, რომ ასეთი გამარტივების შემდეგ წინამძღვრისათვის არ მიეზაძოს და მუსიკა არ შეეთხზას.

რიტმი თეორიის ის ნაწილი იყო, რომელიც ჭარმაგ წინამძღვარს ჯერ კიდევ დასახვენი ჰქონდა, და ესეც წარმატებით მოიმოქმედა. მუსიკის შეთხზვისას საგულდაგულოდ მისდევდა სიტყვებს და მახვილიან მარცვლებს უფრო ხანგრძლივი ნოტებით, ხოლო უმახვილოებს უფრო მოკლე ნოტებით აღნიშნავდა. ნოტების ხანგრძლიობას შორის მტკიცე მიმართების დამყარება აზრადაც არ მოსდიოდა, და სწორედ ამითი მისი მეტრიკა ბევრად უფრო მოქნილი გახდა. მისი

დროის ყველანაირი მუსიკა რომ გარკვეული ზომით, ე. ი. ტაქტებად იყო დაწერილი, ან არ იცოდა, ანდა არ დაგიდევდათ. მაგრამ არაფერი ისე არ წასდგომია მას, როგორც ეს უცოდინარობა თუ დაუდევრობა წაადგა, რადგან არამდგრადმა რიტმმა ზოგიერთი მისი კომპოზიცია, განსაკუთრებით პროზაულ ტექსტზე დაწერილი, არაჩვეულებრივად ეფექტური გახადა.

რაკილა ამ კაცმა ერთი შედგა ფეხი მუსიკის ყანობირზე, ისეთივე მედგრად შეუდგა მის ღამეშავეებს, როგორც ყოველ მიზანს ესწრაფვოდა. მან თავისი თეორიული შეხედულებები ერთად შეკრიბა და წინასიტყვაობად დაურთო წიგნს — „გვრიტი“, დაუცხრომლად განაგრძობდა მუშაობას, „საკმეველის ბორცვის“ ყველა ლექსზე მუსიკა დაწერა, ზოგიერთ მათგანზე კი — ორჯერ ან სამჯერაც კი. ასევე ყველა ჰიმნიც ააჟღერა, რომლებიც კი ოდესმე თვითონ დაეწერა, და ბევრიც სხვებისაც, თავისი მოწაფეებისა და მოწაფე ქალებისა. ამასაც არ დასჯერდა და მთელი რიგი ვრცელი საგუნდო ნაწარმოებებისა შექმნა. ტექსტებს მათთვის უშუალოდ ბიბლიას დაესესხა. ასე გეგონებოდათ, მთელ წმინდა წერილზე აპირებს მუსიკის შექმნას საკუთარი რეცეპტით, და მართლაც ისეთი კაცი იყო, შეიძლებოდა ასეთი რამ განეზრახა. ხოლო თუ არ იქმოდა ამას, მხოლოდ იმიტომ, რომ დროის დიდ ნაწილს უკვე შექმნილის მოვლა-პატრონობას, შესრულების კულტურას, გალობის სწავლებას უძღვნიდა, — და ამაშიც არაჩვეულებრივ შედეგებს მიაღწია.

ეფფრატის მუსიკა, — გვითხრა კრემმარმა, — ერთობ უჩვეულო, ერთობ ახირებული და თვითნებური იყო იმისათვის, რომ გარესამყაროს გადაელო, და ამიტომაც პრაქტიკულად დავინწყებულ იქნა, როდესაც მეშვიდე დღის ანაბაპტისტთა გერმანულმა სექტამ დაიყვავილა. მაგრამ ლამის ლეგენდარული ხსოვნა კი შემორჩა ათეული წლების მანძილზე და დაახლოებითი წარმოდგენა მაინც გაგვაჩნია, რა თავისებური და წარმტაცი იყო ეს მუსიკა. გუნდის გალობა ნაზ ინსტრუმენტულ მუსიკას წააგავდა და მსმენელებში ზეციური სიფაქიზის და სათნოების განცდას აღძრავდა. ყველაფერს ფალცეტით გალობდნენ, მაგლობლები ალებდნენ პირს, ოდნავ აცმაცუნებდნენ ბაგეს და განსაცვიფრებელი ეფექტი იქმნებოდა. ჰანგები თითქოს სალოცავი დარბაზის არცთუ მაღალი ქერისკენ იტყორცნებოდნენ და იქიდან არეკლილნი, არ ჰგავდნენ რა არაფერს, რასაც მიჩვეულია ადამიანის ყური, ყოველ შემთხვევაში არ ჰგავდნენ რა არც ერთ ნაცნობ საეკლესიო გალობას, შეკრებილთა ზეგარდმო ანგელოზთა ხმების სიმსუბუქით დანანაობდნენ.

მამაჩემსო, – გვიამბობდა კრეჩმარი, – ახალგაზრდობაში სშირად ჰქონდა მოსმენილი ეს ჰანგები და როდესაც მათ იგონებდა, თვალები მუდამ ცრემლით ევსებოდაო. ერთი ზაფხული სნოუჰილის მახლობლად გაეტარებინა და რომელიღაც პარასკევს საღამოს, შაბათის დამდეგს, ცხენით წასულიყო სნოუჰილში, რათა სალოცავ სახლში შეუსვლელად, ლობიდან მჭვრეტელი სტუმარივით გარედან მოესმინა ღვთისმოსავი ხალხის გალობა. შემდეგ კი სისტემატურად დაუნყია სიარული; ყოველ პარასკევს, როგორც კი მზე გადაიწვერებოდა, დაუოკებელი ლტოლვით ატანილი, ცხენს შეკაზმავდა და სამ მილს უკან მოიტოვებდა ხოლმე ჭენებ-ჭენებით, რათა ერთხელ კიდევ მოესმინა ეს ენით აუნერეელი, მთელ ქვეყანაზე ვერაფერს რომ ვერ შეადარებდით, ისეთი გალობა. მოხუცი კრეჩმარი, როგორც თვითონ ამბობდაო, ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის საოპერო თეატრებში იყო ნამყოფი, მაგრამ, მისი აზრით, იქ მოსმენილი მუსიკა ყურისათვის გახლდათ განკუთვნილი, ხოლო ბაისელისა კი ღრმად სწვდებოდა ადამიანს სულში და, არც მეტი, არც ნაკლები, ისეთი აღმაფრენა ეუფლებოდა, თითქოს ცათა სასუფეველში უნდა შეედგა ფეხიო.

– დიადია ხელოვნება, – დაასკვნა მომხსენებელმა, – რომელმაც თითქოსდა დროიდან და საკუთარი მაგისტრალური ხაზიდან განზე გამდგარმა, შესძლო შეექმნა ეს თავისი განსაკუთრებული, პატარა ისტორია და მივარდნილი ბილიკებით ესოდენ უჩვეულო განსულიერებამდე მიგვიყვანა!..

– თითქოს გუშინ ყოფილიყოს, ისე მახსოვს, როგორ წამოვედით მე და ადრიანი ამ ლექციიდან. თუმცა ბევრს არ ვლაპარაკობდით, მაინც დიდხანს ვერ განვშორდით ერთმანეთს. ჯერ მე მივაცილე ბიძამისის სახლამდე, მერე ის გამომყვა აფთიაქამდე, და შემდეგ ისევ მე პაროხი-ალმტრასემდე. საერთოდ კი, სხვა დროსაც ხშირად მოვქცეულვართ ასე. ორივე ძალზე გაგვართო ბაისელის ამბავმა, ამ წვრილფეხა დიქტატორის დაუდევრობამ, და ერთხმად ვაღიარეთ, რომ მის მუსიკალურ რეფორმას დიხაც შეეფერებოდა ერთი ადგილი ტერენციუსიდან: „გონივრულად კეთება უგუნურებისა“, მაგრამ ადრიანის დამოკიდებულება ამ კურიოზულ მოვლენასთან ისე ნიშანდობლივად განსხვავდებოდა ჩემი დამოკიდებულებისაგან, რომ მალე ამან უფრო დამაინტერესა, ვიდრე თვითონ საუბრის საგანმა. სახკლდობრ, ის ჩემგან განსხვავებით იმაზეც ზრუნავდა, რომ დაცივნისას თან აღიარებისთვისაც დაეტოვებინა ადგილი, უფლებას იტოვებდა გარკვეული დისტანცია დაეცვა, რაც შესაძლებლობას მისცემდა კეთილგანწყობილი დაუდევრო-

ბა გამოეჩინა, გარკვეული პირობით მიეღო, ნაწილობრივ მოეწონებინა კიდევ მასხარად აგდებისა და გაქილიკებასთან ერთად. თუ ზოგადად ვიმსჯელებთ, ისეთ ირონიულ გამიჯვნასა და ობიექტურობაზე პრეტენზიის განცხადება, რაც უთუოდ იმდენად საგნის პატივისცემით კი არ არის გამოწვეული, რამდენადაც პირადი თავისუფლების დამკვიდრების სურვილით, მე ყოველთვის უსაშველო ქედმაღლობის გამოვლენად მეჩვენებოდა. ალბათ ყველა დამეთანხმება, რომ ახალგაზრდა კაცისათვის, ადრიაინი კი მაშინ ძალზე ახალგაზრდა იყო, ამგვარი პოზიცია საჭოჭმანო და კადნიერი გახლდათ და ძალაუნებურად მის სულიერ მდგომარეობას საფიქრებელს ხდიდა. თუმცაღა ამასთანავე ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენდა ჩემზე, მის უფრო მარტივი სულიერი აღნაგობის ამხანაგზე, ხოლო ვინაიდან მე ადრიაინი მიყვარდა, მიყვარდა მისი ქედმაღლობაც — შესაძლოა, ის სწორედ ქედმაღლობის გამოც კი მიყვარდა. დიახ, ალბათ ასეა, ალბათ სწორედ ის მედიდურობა იყო მთავარი მიზეზი იმ შიშით აღსავსე სიყვარულისა, რომელსაც მთელი სიცოცხლე გულით დავატარებდი.

— თავი გაანებე იმ ობროდს, — მითხრა მან, როდესაც პალტოს ჯიბეებში ხელებჩაყოფილები ზამთრის ბურუსში ჩაძირული გაზის ფარნების შუქზე წინ და უკან დავაბიჯებდით ჩვენს ბინებს შორის, — თავი გაანებე, ასე თუ ისე, პატივისცე ვცემ. წესრიგის ფასი მაინც იცოდა. ხოლო წესრიგი, თვით ტუტუცურიც კი, სჯობია სრულ არარაობას.

— შენ რა, — მივუგე მე, — მართლა გინდა გამოეხარჩლო ისეთი აბსურდული წესრიგის დანერგვას, ისეთ ბალღურ რაციონალიზმს, როგორიც ეს „ბატონებისა“ და „მსახურების“ გამოგონებაა? აბა, წარმოიდგინე, როგორ იჟღერებდა ბაისელის ჰიმნები, რომლებშიც ყოველ მახვილიან მარცვალზე სამხმოვანას ერთი ტონი უნდა მოსულიყო.

— ყოველ შემთხვევაში სანტიმენტალურად არა, — შემესიტყვა ის. — არამედ მკაცრად კანონზომიერად, რაც უკვე ურიგო ამბავი არ არის. შენ კი იმით ინუგეშე თავი, რომ ფანტაზიისათვის, რასაც შენ, რასაკვირველია, კანონზომიერებაზე მაღლა აყენებ, დიდი გასაქანი რჩებოდა, თუ „მსახურ ბგერებს“ თავისუფლად გამოიყენებდა კაცი.

თან „მსახურ ბგერებზე“ სიცილი წასკდა, სიარული ველარ განავრძო და სველ ფილაქანზე დახრილი იცინოდა კარგა ხანს.

— სასაცილოა, ძალზე სასაცილო, — მითხრა მან, — მაგრამ ერთ რამეში კი უნდა დამეთანხმო: კანონს, ყოველგვარ კანონს სიცივე შემ-

ოაქვს, ხოლო მუსიკას კი ჭარბად აქვს საკუთარი სიტბო, მე ვიტყვოდი, ბოსლისა-მეთქი, ძროხული სიტბო-მეთქი, და შეიძლება კანონზომიერი გაგრილება წაადგეს კიდეც – განა თვითონაც მუდამ ამას არ ესწრაფოდა?.

– შენს ნათქვამში სიმართლის ნატამალი უთუოდ არის. – დავეთანხმე მე, – მაგრამ ჩვენი ბოსელი საუკეთესო საილუსტრაციო მაგალითად არ გამოდგება. არ დაგავინყდეს, რომ სრულიად არასწორი, მთლიანად შეგრძნებაზე დამყარებული რიტმი, სულ მცირე, აწონასწორებს მაინც მელოდიის სიმკაცრეს. თანაც მან გალობის თავისებური სტილიც გამოიგონა – ზევით ჭერისკენ და მერმე იქიდან სერაფიტული ფალცეტიტ ქვემოთ დარხეული, – რაც ძალზე მაცდური უნდა ყოფილიყო და მუსიკას უთუოდ დაუბრუნებდა მთელ „ძროხულ სიტბოს“, რომელიც მას ადრე ჰედანტურმა გაციებამ წაართვა.

– ასკეტურმამო, იტყვოდა კრეჩმარი, – დასძინა ადრიანმა, – ასკეტურმა გაგრილებამო, ამას მამა ბაისელი ცინცხალ სიმართლეს ამბობდა, მუსიკა მუდამ წინასწარ სულიერად ინანიებს ხოლმე თავის გრძნობიერებას. ძველი ნიდერლანდელები ღვთის სადიდებლად მუსიკას ყოვლად ჩახლართულ ფანდებს ახვევდნენ თავს, სიქას აცლიდნენ და რაც რჩებოდა, ის, როგორც ვიცით, პირწმინდად დაცლილი იყო გრძნობიერებისაგან და რაციონალისტურად გამოთვლილ-გამოანგარიშებული. მაგრამ შემდეგ ამ „სინანულის საგალობლებს“ ამღერებდნენ, ასე ვთქვათ, სახმო იოგების მჟღერ ფშვინვას მიანდობდნენ ხოლმე, ხოლო ადამიანის ხმა ხომ ბოსლის სიტბოთი ყველა სამუსიკო მასალაზე მდიდარია, რომელიც კი შეიძლება კაცმა მოიგონოს...

– ასე გგონია?

– რატომაც არ უნდა მეგონოს! ბოსლის სიტბოთი მას ვერც ერთი არაორგანული საკრავის ჟღერადობა ვერ შეედრება. ადამიანის ხმა შეიძლება აბსტრაქტული იყოს, – ხომ ამბობენ, მაგალითად, აბსტრაქტული ადამიანიაო. მაგრამ ეს იგივეა, რაც ადამიანის გაშიშვლებული სხეულის აბსტრაქტულობა, – განა ლამის pudendum*-ი არ არის?

ენა ჩამივარდა. ფიქრით სადღაც შორს წავედი, ჩვენი, არა, მისი ცხოვრების წარსულში.

*სამარცხვინო რამ (ლათ.).

— აი ესეც შენი მუსიკა, — მითხრა მან (მე გული მომივიდა ამ გამოთქმაზე: შენი მუსიკაო, თითქოს ჩემთვის სურდა გადმოებრალებინა ის, რაც მისი ცხოვრების დედააზრს შეადგენდა), — ეგ არის, რაც არის და ყოველთვისაც ეგ იყო. მისი სიმკაცრე, ანუ რასაც შენ ალბათ ფორმის მორალიზმს დაარქმევდი, თითქოსდა განტყევაა იმისა, რომ სინამდვილეში მაცდურად უღერს.

ერთბაშად თავი უფრო უფროსად, უფრო მონიფულად ვიგრძენი.

— სიცოცხლის მიერ ბოძებული ისეთი ნიჭის, როგორიც მუსიკაა, — მივუგე მე, — რომ არა ვთქვა, ღვთის მიერ ბოძებული ნიჭის-მეთქი სასაცილოდ აგდება არ ეგების, არც ანტინომიები უნდა უკიჟინო, რაც მხოლოდ და მხოლოდ მისი არსების სიუხვეს მონმობს. მუსიკა უნდა გიყვარდეს.

— სიყვარული უძლიერეს აფექტად მიგაჩნია? — შემეკითხა ის.

— განა შენ უფრო ძლიერიც იცი?

— დიახ, ინტერესი.

— ინტერესში ალბათ ცხოველურ სითბოს მოკლებულ სიყვარულს გულისხმობ?

— კეთილი და პატიოსანი, მაგ განსაზღვრებაზე შევთანხმდეთ! — გაიცინა მან. — ღამე მშვიდობისა! /

ჩვენ უკვე ლევერკიუნების სახლს მივატანეთ და ადრიანმა ალაყაფის კარი შეაღო.

IX

უკან არ ვიხედები და ვცდილობ არ დავითვალო, რამდენი ფურცელი დავახვავე, წინა რომაულ ციფრსა და ეს-ეს არის რომ დავსვი მათ შორის. თუმცა ჩემთვის სრულიად მოულოდნელად, მაგრამ მოხდა, რაც მოსახდენი იყო და ახლა ამო იქნებოდა, მის გამო თავის დადანაშაულება ან თავის მართლება რომ დავინყო. სინდისის მქენჯნავ კითხვას: ხომ არ შეიძლებოდა უბედურება იმით ამეცილებინა თავიდან, რომ კრეჩმარის ყოველი ლექციისათვის ცალკე თავი მიმეძღვნა, — უარყოფითად უნდა ვუპასუხო. ნაწარმოების ყოველ ცალკეულ ნაწილს გარკვეული აზრობრივი დატვირთვა უნდა გააჩნდეს, მნიშვნელობა, რომელიც თავის წვლილს შეიტანს მთელ ქმნილებაში, ხოლო საამისო წონა, სათანადო მნიშვნელობა, ჩემთან ლექციებს მათს მთლიანობაში ენიჭებათ (იმ სახით, როგორც მე გადმოვეცი) და არა ყოველ ცალკეულ მათგანს.

რატომ ვანიჭებ ამ ლექციებს ასეთ მნიშვნელობას? რატომ მივიჩნიე საჭიროდ მათი ესოდენ დაწვრილებით გადმოცემა? მე ამის მიზეზს პირველად არ ვასახელებ: მაშინ მათ ადრიანი ისმენდა. ეს კი ინტელექტს უღვივებდა, მის სულში ცოდნა ილექებოდა, საკვები ეძლეოდა მის ფანტაზიას ანუ სტიმული, რაც ერთი და იგივე გახლავთ. მაშასადამე, საჭირო იყო მკითხველიც გამეხადა მათ მოწმედ, რადგან ბიოგრაფიას ისე ვერ დაწერ, ისე ვერ დახატავ შემოქმედის სულიერი ჩამოყალიბების პროცესს, თუ იმასაც, ვისთვისაც სწერ, მოსწავლის მდგომარეობაში არ ჩააყენებ, ცხოვრებისა და ხელოვნების დამწყების მდგომარეობაში, — ვინც აყურადებს, ჰპაძავს, ხან თავის ახლომახლო აკვირდება ყოველივეს, ხანაც ალლოთი წინ უსწრებს ამბებს. ხოლო რაც შეეხება საკუთრივ მუსიკას, ჩემი სურვილია და თავგამოდებით ვიღვნი კიდეც იმისათვის, რომ მკითხველი ზუსტად ისევე უყურებდეს, ზუსტად ისევე განიცდიდეს, როგორც ჩემი განსვენებული მეგობარი. საამისოდ კი მისი მასწავლებლის ნალაპარაკები ისეთი საშუალება იყო, რომელსაც უყურადღებოდ ვერ დატოვებ, ვერ შეეღვევი.

ამიტომ მიმანია, — ვხუმრობ, რა თქმა უნდა, — რომ იმათ, ვინც ლექციებისადმი მიძღვნილი და მართლაც თავზარდამცემად გაზრდილი თავის მიმართ შესცოდა და ნახტომებსა და მთელი გვერდების გამოტოვებასაც კი არ მოერიდა, ისევე უნდა მოვექცეთ, როგორც ლორენს სტერნი ექცევა ერთ წარმოსახვით მსმენელ ქალს, რომლის რეპლიკებიდანაც გამოირკვა, რომ ქალი დროდადრო უყურადღებოდ უსმენდა და ამიტომ ავტორი წინა თავებს მიუთითებს ეპიკურ ცოდნაში ხარვეზების შესავსებად. ბოლოს უკვე ჯეროვნად ინფორმირებული ქალი ისევე უერთდება მსმენელთა დასს და მას მხიარულად ეგებებიან.

• სტერნი იმიტომ გავისხენე, რომ უკვე უკანასკნელ კლასში მყოფმა ადრიანმა, ე. ი. იმ დროს, როდესაც მე გისენის უნივერსიტეტში გავემგზავრე, ვენდელ კრემარის ზეგავლენით ინგლისური ენის შესწავლა დაიწყო კერძოდ, საგნის, რომელსაც გიმნაზიის პროგრამა არ ითვალისწინებდა, და დიდი სიამოვნებით კითხულობდა სტერნის თხზულებებს, მაგრამ უწინარეს ყოვლისა კი — შექსპირისას, რომლის მცოდნე და მგზნებარე თაყვანისმცემელი ჩვენი ორგანასტი გახლდათ. შექსპირი და ბეთჰოვენი ერთად მისი გონების ზეცაში ყველაზე კაშკაშა თანავარსკვლავედს ქმნიდნენ, და დიდი ხალისით მიუთითებდა ხოლმე თავის შეგირდს ამ ორი გიგანტის შემოქმედებით პრინცი-

პებსა და მეთოდებს შორის არსებულ ღირსშესანიშნავ მონათესავეობასა და თანხვედრაზე. ეს კარგი მაგალითი იყო იმისა, თუ რაოდენ უფრო ფართო იყო ლიციანის აღმზრდელობითი ზემოქმედება ჩემს მეგობარზე, ვიდრე ფორტეპიანოზე დაკვრის სწავლებაა. წესით მუსიკის მასწავლებელს მისთვის მარტო მუსიკის ანბანი, მისი საფუძვლები უნდა ესწავლებინა, ამიტომ უცნაური ანომალია გახლდათ, რომ იგი ამასთანავე, ასე ვთქვათ, სასხვათაშორისოდ, დიად ამბებსაც აზიარებდა, მსოფლიო ლიტერატურის საუფლოს ბჭეებს უხსნიდა, ცნობისმოყვარეობის აღმძვრელი მონაყოლით რუსული, ინგლისური, ფრანგული რომანის თვალუნვედნელ სივრცეებში იტყუებდა, აქეზებდა დას. ნაფებოდა შელისა და კიტისის, ჰოლდერლინისა და ნოვალისის ლირიკას, საკითხავად აძლევდა მანცონისა და გოეთეს, შოპენ-ჰაუერსა და მაისტერ ეკეჰარტს. წერილებში და აგრეთვე ზეპირადაც, როცა არდადეგების დროს შინ ჩავდიოდი, ადრიანი მიზიარებდა ამ მონაპოვართ და არ დაგიმაღავთ, თუმცა ვიცოდი, რა სწრაფად და იოლად ითვისებდა ყველაფერს, ხანდახან მაინც დარდი მომძალებოდა ხოლმე, არ გადაიტვირთოს, ახალგაზრდა ორგანიზმი ამდენ ნაადრევ შტუდირებას როგორ გაუძლებს-მეთქი. ამავე დროს უეჭველი იყო, ასე თვითნებურად მეცადინეობა ბევრს ვერას ნაადგებოდა ადრიანს კარზე მომდგარი გამოსაშვები გამოცდებისათვის სამზადისში, რომელთაც ის, — აბა, რალა თქმა უნდა, — აგდებით იხსენიებდა. ხშირად ფერმკრთალს ვხედავდი, — და თანაც მარტო იმ დღეებში კი არა, როცა მემკვიდრეობით მიღებული შაკიკი შეაწუხებდა ხოლმე. ეტყობოდა, ცოტა ეძინა, ღამეებს კითხვაში ათენებდა. გულმა არ მომითმინა და კრეჩმარს გამოეუტყყდი, რაც მაშინებდა, ხოლო შემდეგ შევეკითხე კიდევ, იზიარებდა თუ არა ჩემს აზრს, რომ ადრიანისნაირი სულისკვეთების ჭაბუკს უფრო სადავის დაჭერა სჭირდებოდა, ვიდრე სადავის მიშვება? მაგრამ მუსიკოსი, თუმცა ბევრად უფროსი იყო ჩემზე, სულსწრაფი, თავდაუზოგავი, ცოდნას მონყურებული ახალგაზრდობის თავგამოდებული მომხრე გამოდგა, — და საერთოდაც ამ კაცს ერთგვარი იდეალისტური სიმტიციცე და სხეულისა და მისი „ჯანმრთელობის“ მიმართ გულგრილობა აზასიათებდა, სიჯანსაღეზე ზრუნვას ფილისტერობად მიიჩნევდა, რომ აღარა ვთქვა: ლაჩრობად-მეთქი.

— დიახ, ძვირფასო მეგობარო, — მითხრა: მან (აქ მე აღარაფერს ვიტყვი, როგორ უკიდებდა ენას და როგორ ეშლებოდა ამით ხელი ფიცხ მსჯელობაში). — თუ თქვენ ჯანმრთელობის მომხრე ხართ, მა-

შინ უნდა გაგახსენოთ, რომ სულსა და ხელოვნებასთან მას ძალზე ცოტა რამა აქვს საერთო, ასე გასინჯეთ, ერთგვარ კონტრასტსაც კი ქმნის მათთან, და დაინტერესებით ხომ მათ ერთმანეთი არასოდეს არ აინტერესებდათ. ძია ექიმით მე ნაადრევ კითხვას ვერ ავუკრძალავ, რათა მისთვის საშუალოდ „ნაადრევადევ“ დარჩეს. ამისათვის როდი ვარ აქ. ამას გარდა, იმაზე უტაქტო და უხეში რა შეიძლება იყოს, როგორც ნიჭიერი ახალგაზრდისათვის ერთთავად „უმნიფარის“ ძახვება და ყოველ მეორე სიტყვაზე ამის ჩიჩინი: ეს საშენო არ გახლავსო. დაე თვითონ განსაჯოს! და საერთოდაც, დაე თავის თავს თვითონ მოუაროს. მოწყენილობისაგან რომ სული ამოხდება, ვიდრე ამ კვერცხის ნაჭუჭს, ამ ძველგერმანულ საბუდარს თავს დააღწევდეს, – ამას თქმა არ უნდა.

მეც კარგების ამივილე და კაიზერსაშენმაც. გული დამწყდა, რადგან არც მე ვიდექი ძია ექიმის თვალსაზრისზე. ამასთანავე მე ვხედავდი და ძალიან კარგადაც მესმოდა, რომ კრეჩმარი ვერ დასჯერდებოდა არა მხოლოდ ფორტეპიანოზე დაკვრის მასწავლებლისა და რეპეტიტორის როლს, არამედ აგრეთვე მუსიკასაც, ამ მეცადინეობის მიზანსაც, თუ მას ცალმხრივად, ფორმისა, აზრისა და განათლების სხვა სფეროებთან ურთიერთკავშირში არ განიხილავდა და ვინრო სპეციალობად დაკნინებულს დატოვებდა.

და მართლაც, ყოველივე იმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რაც ადრიანისგან მქონდა გაგონილი, მისი მუსიკის გაკვეთილები კრეჩმარის ბინაში – იგი ტაძრის გვერდით მდგარ ძველებურ სახლში ცხოვრობდა – ნახევრად ფილოსოფიასა და პოეზიაზე მუსაიფს ეძღვნებოდა. მიუხედავად ამისა, ვიდრე მასთან ერთად სკოლაში დავდიოდი, მის წარმატებებს მუსიკაში თითქმის ყოველდღე ვამჩნევდი. რასაკვირველია, თავისით რომ გაეცნო კლავიატურას და ტონალობებს, ამან გაუადვილა პირველი ნაბიჯების გადადგმა. გამებში კეთილსინდისიერად ვარჯიშობდა, მაგრამ, მე რაც ვიცო, იმდენად საფორტეპიანო სკოლას კი არ მისდევდნენ, არამედ კრეჩმარი მას მხოლოდ ქორალებს აკვრევინებდა და – თუმცა ძალზე უცნაურად უღერდნენ ფორტეპიანოზე – პალესტრინას ოთხხმიან ფსალმუნთ, ხალას აკორდთაგან შემდგართ, ჰარმონიული დაძაბულობითა და კადენციებით შემკულთ. უფრო მოგვიანებით კი – ბახის პატარა პრელუდიებსა და ფუგეტებს, მისივე ორხმიან ინვენციებს, მოცარტის Sonata facile-ს სკარლატის ერთნაწილიან სონატებს. ამის გარდა, კრეჩმარი არ იზარებდა და თვითონაც წერდა მისთვის პატარა პიესებს, მარშებსა და

ცეკვებს, ცალკერძ — სოლო პარტიებს და ცალკერძ — ოთხი ხელისათვის, ამ ბოლო ვარიანტში მთელი დატვირთვა მეორე პარტიანზე მოდიოდა, მაშინ როდესაც პირველი, მოსწავლისათვის განკუთვნილი, სულ იოლი შესასრულებელი იყო, ასე რომ, მას შეეძლო სიამოვნება მიეღო წამყვანი როლის შესრულებით ისეთ მუსიკალურ ნაწარმოებში, რომელიც, მთლიანად აღებულ, მისთვის მისაწვდომ ტექნიკურ დონეზე მაღლა იდგა.

საერთოდ, ყოველივე ამას პრინციპის აღზრდისა ეცხო რაღაც და მახსოვს, ერთხელ ხუმრობით ვუხსენე კიდევ ეს სიტყვა ჩემს მეგობარს საუბარში, და ისიც მახსოვს, მას რომ სჩვევოდა, ისე უტყნაურად ჩაიცინა და პირი იბრუნა, ვითომ არც გაეგონოს, რაც ვუთხარი. უეჭველად მაღლიერი იყო მასწავლებლისა სწავლების ასეთი სტილისათვის. იგი ითვალისწინებდა იმ გარემოებას, რომ მოწაფე საერთო გონებრივი განვითარების მიხედვით არ შეესაბამებოდა განსწავლის ბალღურ დონეს, რასაც სპეციალობის გვიან დაწყებული შესწავლა მოითხოვდა. კრემლარი არათუ ეწინააღმდეგებოდა, არამედ ხელსაც კი უწყობდა შუშხუნა ჭკუა-გონების ჭაბუკს, მუსიკაშიც წინ გაჭრილიყო და ისეთი რამეებისათვის მოეკიდა ხელი, რასაც პედანტი მენტორი თავგასულობად ჩაუთვლიდა და გაკიცხავდა. ვინაიდან, ის იყო ნოტები ისწავლა, უკვე მუსიკის წერა დაიწყო და ქალაქში აკორდებით ცდებს ახდენდა. მაშინვე ისე აიხირა მუსიკალური პრობლემების გამოგონება, რომელთაც მერე საჭადრაკო ამოცანებივით ამოხსნიდა ხოლმე, რომ ლამის მისთვის საჭირობოროტო ამბავადც კი იქცა. რადგან საშიში იყო, ტექნიკურ სიძნელეთა გამოგონებისა და დაძლევის გამო არ ეფიქრა, უკვე კომპოზიტორი ვარო. ასე, მაგალითად, საათობით იმას ჩაჰკირკიტებდა, რომ რაც შეიძლება მცირე სივრცეში დაეკავშირებინა აკორდები, რომლებიც ქრომატული გამის ყველა ბგერას შეიცავდნენ, — თანაც ისე, რომ აკორდები ქრომატულად არ გადაეღაგებინა და არც მკვეთრი გამოსულიყო მათი შეხამება. მას უყვარდა აგრეთვე მძაფრი დისონანსების აგება და შემდეგ მათი დაშლის ნაირ-ნაირი ხერხების მოგონება, რომელთაც — ვინაიდან აკორდი ამდენ შუუთავსებელ ბგერას შეიცავდა — ერთმანეთთან საერთო არა ჰქონდათ რა. ასე რომ, ყოველი მჭახე ხმოვანება თითქოს რაღაც თილისმით ყველაზე შორეულ ბგერებსა და ტონალობებს შორის ამყარებდა კავშირს.

ერთ დღესაც მოწაფე, რომელსაც ახალი დაწყებული ჰქონდა პარმონის შესწავლა, კრემლარს ეახლა და მისდა გულის გასახარად

აუნყა, რომ დამოუკიდებლად, ასე ვთქვათ, საკუთარი ხელით ორმაგი კონტრაპუნქტი აღმოაჩინა, ე. ი. მე მინდა ვთქვა, რომ მისცა მას ორი თანაბრად დამოკიდებული ხმა წასაკითხად, რომელთაგან თითოეული შეიძლებოდა ყოფილიყო მაღალიცა და დაბალიც, როპლებიც, ამრიგად, ურთიერთშენაცვლებადი იყვნენ.

— თუ სამმაგსაც აღმოაჩენ, — უთხრა კრემარმა, — შენთვის შეინახე. მე არ გამაგონო. მეტისმეტი წინამასწარობაც არ ვარგა.

ის ბევრ რამეს ინახავდა თავისთვის და მე თუ გამიზიარებდა თავის ფიქრებს, ისიც განსაკუთრებული გულახდილობის წამებში. განსაკუთრებით გატაცებული იყო ჰორიზონტალურ და ვერტიკალურ განლაგებათა ერთიანობის, ურთიერთმონაცვლეობის, იდენტურობის პრობლემით. მალე ის თავზარდამცემად, როგორც მე მეჩვენებოდა, გაინაფა მელოდიური ხაზების აღმოჩენაში, რომელთა ბგერები ერთიმეორეზე შეიძლებოდა განგველაგებინა, ერთდროულად გაგვეხადა, რთულ ჰარმონიებად დაგვეკეცა და, პირიქით, მრავალხმიანი აკორდები შეგვექმნა, რომელთა გაშლაც მელოდიურ ჰორიზონტალზე იქნებოდა შესაძლებელი.

სკოლის ეზოში, ბერძნულისა და ტრიგონომეტრიის გაკვეთილებს შუა, ქაშანურივით გაპრიალებული აგურის გალავნის გამონაშვერს მიყრდნობილი მიაშობდა, მოცალებობის ჟამს როგორ ირთობდა თავს ამ მაგიური საქმიანობით — ინტერვალის აკორდად გადაქცევით, ანუ ჰორიზონტალისა — ვერტიკალად, ერთიმეორეს მიყოლებულისა — ერთდროულად. ყველაზე უფრო ამით იყო ის ახლა გართული:

— ერთდროულობა, — ამტკიცებდა ის, — კაცმა რომ თქვას, პირველადია, რადგან თვითონ ბგერა თავისი შედარებით ახლო და შედარებით შორეული ობერტონებით აკორდია, ხოლო გამა კი — მარტოოდენ ხმოვანების ანალიტიკური დანაწევრება ჰორიზონტალურ მწკრივებად.

მაგრამ ნამდვილი, მრავალი ბგერისაგან შემდგარი აკორდის ამბავი მაინც ცოტა სხვა არის. აკორდს სურს განგრძობილ იქნეს და როდესაც მას განაგრძობ, იგი სხვაში გადაგყავს, მისი ყოველი შემადგენელი ნაწილი ხმად იქცევა. მე მიმაჩნია, რომ აკორდად ბგერათა დაკავშირებაში სხვა არაფერი არ უნდა დავინახოთ, თუ არა ხმათა მოძრაობის შედეგი და აკორდის წარმომშობ ბგერაში ხმას უნდა ვცემდეთ პატივს, — ხოლო აკორდს პატივს კი არ უნდა ვცემდეთ, არამედ როგორც სუბიექტურსა და თვითნებურ ფენომენს მქირდავად ვეკიდებოდეთ, ვიდრე იგი ხმის გატარების პროცესში, ე. ი.

პოლიფონიურად არ დადასტურდება. აკორდი ჰარმონიული ტკბობის საშუალება კი არ არის, არამედ ერთ ხმოვანებაში თავმოყრილი პოლიფონია და ბგერები კი, რომლებიც მას წარმოქმნიან, — ხმები. მაგრამ მე ვამტკიცებ, რომ ისინი თავისთავად მით უფრო არიან ხმები და მით უფრო მკვეთრად არის გამოხატული აკორდის პოლიფონიური ხასიათი, რაც უფრო დისონანსურია იგი. დისონანსი მისი პოლიფონიური ღირსების საზომია, რაც უფრო მძლავრად დისონირებს აკორდი, რაც უფრო მეტ ერთმანეთისაგან განსხვავებულ და ნაირგვარად მოქმედ ბგერებს შეიცავს, მით უფრო პოლიფონიურია, და მით უფრო გამოკვეთილად აზის ყოველ ბგერას ხმის დამლა ჯერ კიდევ ერთდროულად ჟღერისას.

დიდხანს თვალი არ მომიცილებია, ისე ნახევრად ხუმრობითა და ნახევრად მრავალმნიშვნელოვნად ვაკანტურები თავს.

— შენგან შეიძლება რაღაც გამოვიდეს, — ვუთხარი ბოლოს.

— ჩემგან? — შემესიტყვა ის, თან როგორც სჩვეოდა ხოლმე, პირი ამარიდა. — მე ხომ მუსიკაზე ვლაპარაკობ და არა ჩემზე. მე მგონი, პატარა განსხვავება არის.

ამ განსხვავებას ყოველთვის გახაზავდა და მუსიკაზე მარტო როგორც რაღაც უცხო ძალაზე ლაპარაკობდა, საოცარზე, მაგრამ პირადად მას რომ არ ეხებოდა, ისეთ ფენომენზე; მისგან კრიტიკულად გამიჯნული ლაპარაკობდა და, ცოტა არ იყოს, ქედმაღლურადაც, მაგრამ მაინც ლაპარაკობდა და საამისოდ სულ უფრო და უფრო მეტი მასალა ეძლეოდა, რადგან ბოლო წლებში, ე. ი. უკანასკნელ წელს, რომელიც მასთან ერთად სკოლაში გავატარე და ჩემი სტუდენტობის პირველი სემესტრების განმავლობაში, მისი მუსიკალური გამოცდილება, მსოფლიო მუსიკალური ლიტერატურის ცოდნა ძალზე სწრაფად ფართოვდებოდა. ასე რომ, მანძილი იმას შორის, რაც იცოდა და რაც შეეძლო, თავისებურ თვალსაჩინებას ანიჭებდა მის მიერ ასე ხაზგასმულ განსხვავებას. ვინაიდან იმ დროს, როდესაც ფორტეპიანოზე დაკვრაში ისეთ პიესებზე ვარჯიშობდა, როგორიცაა შუმანის „ბავშვური სცენები“ და ბეთჰოვენის ორივე პატარა სონატა, opus 49, და საერთოდ მუსიკობაში კი ქორალური თემების ჰარმონიზირებას ისე მშვენივრად ახერხებდა, რომ თემა აკორდთა გულის გულად იქცეოდა, იგი დიდი სისწრაფით, როგორც ვთქვა, სულსწრაფად თუ სულმოუთქმელად ეცნობოდა კლასიკურის წინამორბედ, კლასიკურ, რომანტიკულ და რომანტიკულის შემდგომდროინდელ მოდერნისტულ მუსიკას და თუმცა ერთმანეთ-

თან დაუკავშირებელ, მაგრამ ცალკეულ შემთხვევებში ძალზე ნათელ წარმოდგენებს იძენდა, — რასაკვირველია, კრეჩმარის მეოხებით, რომელსაც ისე უყვარდა ყველაფერი — პირნმინდად ყველაფერი, რაც კი ჰანგებში იყო ასახული, რომ გული როგორ მოუთმენდა და ადრინანსნაირ მოწაფეს, ვინც ასე ყურადღებით იცოდა მოსმენა, არ აზიარებდა ამ ამოურწყავ შემოქმედებით სამყაროს — სახელდობრ, ეროვნული ხასიათით, ტრადიციული ღირებულებებით, შემოქმედი პიროვნების პირადი მომხიბლაობით, მშვენიერების იდეალის ისტორიული და ინდივიდუალური ცვლილებებით ესოდენ მდიდარ საუფლოს. რასაკვირველია, როიალზე დაკვრით ხდებოდა ეს ყოველივე. მეცადინეობისას დრო რომ გადიოდა, აღარ დაგიდევდნენ და ზოგჯერ მთელი გაკვეთილები იმას უნდებოდა, რომ კრეჩმარი ჭაბუკს ხან რას უკრავდა და ხან რას, ხან ამ მთისას ასმენინებდა და ხან იმ ბარისას, თან გაჰყვიროდა, კომენტარებს ურთავდა, განმარტავდა, როგორც თავის „საყოველთაოდ სასარგებლო“ ლექციებზე სჩვეოდა, — და მართლაც, აბა ვინ დაუკრავდა მისთვის უფრო წარმტაცად, სულში ჩამწვდომად, ჭკუის სასწავლებლად.

აღბათ აქ არც არის საჭირო იმის აღნიშვნა, რომ კაიზერსაშერნის მკვიდრს მუსიკის მოსმენის ძალზე მწირი შესაძლებლობანი გააჩნდა. თუ არ ჩავთვლით კამერული მუსიკის საღამოებს ნიკოლაუს ლევერკიუნთან და საორგანო მუსიკის კონცერტებს ტაძარში, პრაქტიკულად სხვა საამისო შემთხვევა არც გვეძლეოდა, რადგან ერთობ იშვიათად თუ შემოივლიდა ჩვენს ქალაქში საგასტროლოდ მოგზაურობაში მყოფი ვირტუოზი ანდა რომელიმე ქალაქის ორკესტრი თავის დირიჟორთან ერთად. ამას ანაზღაურებდა კრეჩმარი და ცხოველმყოფელი დაკვრით, თუმცა მხოლოდ დროებით და ნაწილობრივ, მაგრამ მაინც უკლავდა ჩემს მეგობარს მუსიკალური განათლების წყურვილს, ნაწილობრივ მისთვისაც არაცნობიერსა და ნაწილობრივ სხვებისთვის გაუმხელელს, — თან ისე გულუხვად, რომ მე ამას მუსიკალურ შთაბეჭდილებათა ჩანჩქერს ვუნოვებდი, რომელიც ლეკავდა, მთლიანად მოიცავდა ჭაბუკის აღქმის უნარს. მას შემდეგ დადგა წლები უარყოფისა და გულწაფლობისა, როდესაც ბევრად უფრო იშვიათად ისმენდა მუსიკას, ვიდრე მანამდე, თუმცა საამისოდ ბევრად უფრო ხელსაყრელი პირობები ჰქონდა.

ყოველივე ძალიან ბუნებრივად დაიწყო იმით, რომ მასწავლებელმა მას კლემენტის, მოცარტისა და ჰაიდნის ნაწარმოებთა მიხედვით სონატის აგებულება უჩვენა, მაგრამ დიდხანს არ დაყოვნებულა

ამაზე, საორკესტრო სონატაზე, სიმფონიაზე გადავიდა და ახლა თავის მონაფეს, წარბებშეკრული და პირდაბჩენილი რომ უსმენდა, მუსიკალური შემოქმედების ამ აბსოლუტური ჟღერადობის, გრძნობასა და გონებაზე მრავალმაგად მოქმედ უმდიდრეს ფორმას აცნობდა ეპოქითა თუ ავტორის ინდივიდუალობით განპირობებულ სახეცვლილებათა საფორტეპიანო ექსტრაქტით, — უკრავდა მისთვის ბრამსისა და ბრუკნერის, შუბერტისა და რობერტ შუმანის, აგრეთვე ახლებისა და უახლესთა ინსტრუმენტულ ნაწარმოებებს, მათ შორის ჩაიკოვსკის, ბოროდინისა და რიმსკი-კორსაკოვის, ანტონ დვორჟაკის, ბერლიოზისა, ცეზარ ფრანკისა და შაბრიეს ქმნილებებს, თან ხმამაღალი განმარტებებით ერთთავად მის ფანტაზიას ახელებდა, ფორტეპიანოზე დაკრული აჩრდილიდა იყო ორკესტრზე შესრულებულისა და ამიტომ სურდა მისებრ ცხოველმყოფელი გაეხადა:

— ვიოლონჩელის კანტილენა! — ყვიროდა იგი. — დროში გავრცობილი უნდა წარმოვიდგინოთ! სოლო ფაგოტზე! აქვე გაისმის ფლეიტის ფიორიტურები! ბობლანთა ტრემოლო! ეს კიდევ ტრომბონებია! აქ ვიოლინოები იწყებენ! მერე პარტიტურა წაიკითხეთ! მცირე საზეიმო საყვირი მე აქ გამოვტოვე, — რა ვქნა, მარტო ორი ხელი მაქვს!

ამ ორი ხელით კი, რაც შეეძლო, ყველაფერს აკეთებდა და შიგადაშიგ ხმასაც აყოლებდა, რაც ურიგოდ არ გამოუდიოდა, მიუხედავად იმისა, რომ ხმა ხან ეხლიჩებოდა, ხან უწვრილდებოდა: უფრო მეტიც, შინაგანი მუსიკალურობისა და გამოხატვის ერთუზიასტური სისწორის მეოხებით მომხიბლაობაც არ აკლდა. ერთი ნაწარმოებიდან მეორეზე ხტებოდა, ერთმანეთს უდარებდა, ხან ამ მთისას უკრავდა, ხან იმ ბარისას, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ თავი სავსე ჰქონდა უამრავი ოპუსებით და ერთის გახსენებისას მეორეც აგონდებოდა, მაგრამ განსაკუთრებით კი იმიტომ, რომ შედარებისა და მიმართებათა დადგენის, ზეგავლენათა აღმოჩენის, კულტურის ჩახლართული კვანძების გაშიშვლების ყინი სწავდა. ეხალისებოდა და საათობით იმის ცდაში იყო, რომ მონაფისათვის თვალსაჩინო გაეხადა, როგორ ახდენდნენ ფრანგები რუსებზე გავლენას, იტალიელები გერმანელებზე, გერმანელები კიდევ ფრანგებზე; ასმენინებდა, რა ჰქონდა გუნოს შუმანისა, ცეზარ ფრანკს ლისტისა, როგორ ეყრდნობოდა დებიუსი მუსორგსკის და სად ვაგნერიანელობდნენ დენდი და შაბრიე. მეცადინეობის მსვლელობისას საჭიროდ მიაჩნდა იმის ჩვენებაც, რომ თანამედროვეთა შორის, თუნდაც ისინი ის-

ეთი განსხვავებული ბუნებისანი იყვნენ, როგორც, ვთქვათ, ჩაიკოვსკი და ბრამსია, გარკვეული ურთიერთკავშირი მყარდება, მარტოოდენ იმის გამო, რომ ისინი თანამედროვენი არიან. ის ასრულებდა ისეთ ადგილებს ერთ-ერთი მათგანის ნაწარმოებებიდან, რომლებიც შეიძლებოდა მეორესიც ყოფილიყო. ბრამსს დიდად აფასებდა, უყვარდა არქაულობისაკენ, საეკლესიო ჰანგებისაკენ მისი მიდრეკილების დემონსტრირება და გახაზავდა ხოლმე, როგორ იქცეოდა ეს ასკეტური ელემენტი მასთან პირქუში ხმოვანებით, მრუმე ფერებით გამდიდრების საშუალებად. მონაფის ყურადღებას ამახვილებდა აგრეთვე იმაზე, რომ ამგვარ რომანტიკაში, ბახთან აშკარა სიახლოვისას, ხმების გატარების პრინციპი მოდულაციურ-ფერადოვანს სერიოზულად უპირისპირდება და მას უკან ახევიანებს. მაგრამ ეს მაინც არ არის ხმათა ჭეშმარიტი დამოკიდებულება, ჭეშმარიტი პოლიფონია, ასეთი რამ უკვე ბახთანაც აღარ გვხვდება, ვისაც თუმცა შენარჩუნებული აქვს კონტრაპუნქტული ხერხები ვოკალური სტილის ხანიდან, მაგრამ მაინც იგი სისხლითა და ხორციით ჰარმონიკოსი იყო და სხვა არაფერი, — ჰარმონიკოსი იყო უკვე მაშინ, როდესაც ტემპერირებული კლავირი შექმნა, ყოველგვარი სიახლის წანამძღვარი ჰარმონიულ-მოდულაციურ ხელოვნებაში, და მის ჰარმონიულ კონტრაპუნქტს არსებითად იმაზე მეტი საერთო აღარა ჰქონდა რა ძველ ვოკალურ მრავალხმიანობასთან, ვიდრე ჰენდელის აკორდულ ალფრესკოს.

სწორედ ასეთ აზრებზე ჰქონდა ადრიანს ყურები საგანგებოდ დაცქეცილი. ჩემთან საუბარში არაერთხელ შეხებია მათ.

ბახის წინაშე, — მითხრა მან ერთხელ, — ასეთი პრობლემა იდგა: „არის თუ არა ჰარმონიულად გააზრებული პოლიფონია შესაძლებელი?“ უახლეს მუსიკოსთათვის კი საკითხი ცოტა სხვანაირად დგას; მათთან იგი უფრო ასე ჟღერს: „შესაძლებელია თუ არა ისეთი ჰარმონია, რომელსაც პოლიფონიის იერი ექნებოდა?“ უცნაური ამბავია, თითქოს სინდისი ქენჯნიდეთ, თითქოს ჰომოფონურ მუსიკას სინდისი ქენჯნიდეს პოლიფონიის წინაშე.

ვგონებ, იმის საგანგებოდ აღნიშვნა არც არის საჭირო, რომ ამდენი მუსიკის მოსმენის შედეგად პარტიტურების წაკითხვის სურვილი უჩნდებოდა, რომელთაც ან მასწავლებელი აძლევდა, ანდა ქალაქის ბიბლიოთეკიდან გამოჰქონდა. ხშირად თავზე წავდგომივარ მათი კითხვით ან დაინსტრუმენტებით გართულს, რადგან ცნობები ცალკეულ საორკესტრო საკრავთა რეგისტრების დიაპაზონზე (რაც,

სხვათა შორის, საკრავებით მოვაჭრის ძმისწულისათვის ისეც არ იყო უცხო) თავისთავად ამოტივტივდნენ სწავლის პროცესში და კრეჩმარი მას ახლა უკვე ავალებდა ხოლმე მოკლე კლასიკური პიესე-ბის, შუბერტისა და ბეთჰოვენის ცალკეული საფორტეპიანო ნაწარ-მოებების გაორკესტრებას, აგრეთვე სიმღერებისათვის საფორტე-პიანო თანხლების დაინსტრუმენტებას. ამ საშინაო დავალებათა სუსტ ადგილებსა და შეცდომებს ის შემდგომ განუმარტავდა და უს-წორებდა. პირველად მაშინ გაეცნო ადრიანი გერმანული კლასიკური სიმღერის სახელოვან კულტურასაც, რომელიც საკმაოდ უნდობ-ქმნილებათა შენდევ შუბერტთან საოცრად იფურჩქნება, რათა შემდეგ შუმანის, რობერტ ფრანცის, ჰუგო ვოლფისა და მალერის მეოხებით ეროვნული მასშტაბით შეუდარებელ სიმაღლეებს მიაღწი-ოს. რა დიდებული შეხვედრა იყო! ბედნიერი ვიყავი, რომ მეც ვეს-წრებოდი და ვმონაწილეობდი. ისეთი მარგალიტი, ისეთი სასწაული, როგორიც შუმანის „მთვარიანი ღამეა“ და მისი სეკუნდებიანი საფორ-ტეპიანო თანხლების საამური გრძნობიერება; იმავე მანეტროს სხვა კომპოზიციები აიჰენდორფის ტექსტებზე, როგორცაა, მაგალით-ად, პიესა, სულის ყველა რომატიკულ საფრთხესა და ფათერაკს რომ ამწყალობნებს და შემადრწუნებელი ზნეობრივი გაფრთხილებით მთავრდება: „იყავი ფრთხილად, ფხიზლად და მხნედ!“ – ან კიდევ ის-ეთი იღბლიანი მიგნება თუ აღმოჩენა, როგორიც მენდელსონის „ამა სიმღერის ფრთებზეა“. ნამიერი შთაგონების ნაყოფი მუსიკოსისა, რომელიც ადრიანს გამორჩეული ჰყავდა, და იცოდა ხოლმე თქმა, იგი მეტრიკის თვალსაზრისით ყველაზე მდიდარიო. საერთოდ, რა ნაყოფიერი იყო ეს სიმღერები! ბრამსში, სიმღერების ავტორში, ჩემი მეგობარი ყველაფერზე უფრო მეტად აფასებდა სტილის ახლებურ, თავისებურ სიმკაცრეს ბიბლიურ ტექსტებზე დაწერილ „ოთხ სერიოზულ სიმღერაში“, განსაკუთრებით კი რელიგიურ სილამაზეს სიმღერისა: „სიკვდილო, რა მწარე ხარ!“ შუბერტის მარად სიკვდი-ლით დაზაფრული, გაორებული გენია კი განსაკუთრებით იქ ხიბლა-ვდა, სადაც ის შესანიშნავად გამოხატავდა განგების მიერ მოსჯილ ნახევრად უთქმელ, მხოლოდ მინიშნებულ საბედისწერო მარტოობას, როგორც დიდებულ, ძალზე თავისებურ „მთიდან მოვდივარ“-ში, ტექსტი ლიუბეკელი შმიტისა, და „რად ცერიდები გზებსა, სადაც სხვე-ბიც დადიან?“-ში, რომელიც რომანსების ციკლს „ზამთარში მოგ ზაუ-რობას“ ეკუთვნის და გულში ჩამწვდომი სტროფით იწყება:

რას გავურბივარ ნეტავი

რა დავეშავე ხალხს, —

ეს სიტყვებიცა და მომდევნო ორი სტრიქონიც:

რომ უდაბნოში გაქცევის

შლევი სურვილი მკლავს.

მისგან მაქვს გაგონილი. მელოდიურ დიქციას ოდნავ გახაზავდა, ისე წაიდუღუნა თავისთვის და თან — ვაი, ამას რა დამავინყებს! — თვალეებში ცრემლი შევნიშნე.

რა თქმა უნდა, დაინსტრუმენტებაში დახელოვნებისათვის ადრიანს გამოცდილება აკლდა, ბევრი რამ მოსმენილი არ ჰქონდა, და კრემარმა თავის მოვალეობად მიიჩნია, ამაშიც დახმარებოდა. ბიძამისისაგან ნებართვა აიღო და საშობაო არდადეგებზე საოპერო სპექტაკლებსა და კონცერტებზე დაჰყავდა მახლობელ ქალაქებში: მერზებურგში, ერფურტში და ვაიმარშიც კი, რათა ბგერით ხორცშესხმულს გასცნობოდა იმას, რაც აქამდე მხოლოდ როიალზე შესრულებული მოესმინა ანდა პარტიტურა თუ ენახა. ასე ეზიარა მისი სული „ჯადოსნური ფლეიტის“ ბავშვურად საზეიმო ეზოტერიკას, „ფიგაროს“ მაცდურ მომხიბლაობას, კლარნეტთა დაბალ დემონურ რეგისტრს ვებერის საქვეყნოდ განთქმულ ოპერაში — „თავისუფალი მსროლელი“; მონათესავე სახეებს მტკივნეულად პირქუში განდგომილებისა, როგორც არიან ჰანს ჰაილინგი და მფრინავი ჰოლანდიელი, აგრეთვე ამალეებულ ჰუმანიზმსა და სოლიდარობას „ფიდელიოსი“, რომლის დიდი დო-მაჟორული უვერტიურა ბოლო სურათის წინ სრულდება. ამ უვერტიურამ, როგორც ჩანს, ყველაზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ადრიანზე, მის ჭაბუკურ გრძნობასა და გონებაზე. სტუმრად სხვა ქალაქში გატარებული საღამოს შემდეგ მთელი დღეები ხელიდან არ გაუგდია მისი პარტიტურა, „№ 3“, იდგა თუ იჯდა, სულ მის კითხვაში იყო.

— ძვირფასო მეგობარო, — მიუბნებოდა ის. — რა თქმა უნდა, მე ვინ დამაცლიდა ამის დადგენას, მაგრამ მაინც ვამბობ: მართლაც სრულყოფილი მუსიკალური თხზულებაა! კლასიციზმია? დიახ! იგი იოტის ოდენადაც არ არის რაფინირებული, მაგრამ დიადი კია. მე არ ვამბობ: ვინაიდან დიადია-მეთქი, რადგან რაფინირებული სიდიადეც არსებობს, მაგრამ იგი არსებითად ბევრად უფრო ინტიმურია. აბა, მითხარი, რა მიგაჩნია სიდიადედ? მე ვფიქრობ, რომ სიდიადე შემადრწუნებელია და თუ თვალს თვალში გაუყრი, ვითომც ვაჟკაცობაში გამოცდა ჩაგებარებინოს. მაგრამ, კაცმა რომ თქვას, შეიძლება კია

მას თვალი გაუხსნორო? არა, არ შეიძლება, მაგრამ ვერც თვალი ვერ მოგინყვეტიდა და იცი, რა გითხრა, მე სულ უფრო და უფრო იმისკენ ვიხრები, რომ რალაც განსაკუთრებული რამ მარხია თქვენს მუსიკაში; უაღრესად ქმედითი ძალის გამოვლენაა, სრულებითაც არააბსტრაქტულისა, თუმცა უსაგნოსი კი, ხალასად მოცემული, კამკამა ეთერში გახსნილი ქმედითი ძალისა, — მთელ სამყაროში სხვას კიდევ რას შეხვდები ამგვარს?! ჩვენ, გერმანელებმა, ფილოსოფიიდან გადმოვიღეთ გამოთქმა „თავისთავად“ და ყოველ ცისმარე დღე ვიყენებთ ისე, რომ მეტაფიზიკა მაინცდამაინც არც გვაგონდება, მაგრამ აქ კი ნამდვილად გამოდგება, ასეთი მუსიკა ქმედითი ძალაა თავისთავად, თავად ქმედითი ძალაა, მაგრამ არა როგორც იდეა, არამედ როგორც რეალობა. აბა, დაფიქრდი, ეს ლამის ღმერთის განსაზღვრებაა. *Imitatio Dei** — მიკვირს, არ კრძალავენ. ასაკრძალი თუ არა, საჭოჭმანო მაინც არის და არის, მე მიინდა მხოლოდ ვთქვა: დასაექვებელიმეთქი. აბა, დაუკვირდი: ყველაზე ენერგიული, ფერადოვანი, წარმტაცი მონაცვლეობა ამბებისა, პროცესებისა — ოღონდ მხოლოდ დროში, დროის დანაწევრების, მისი შევსების, ორგანიზაციის ხარჯზე მიმდინარე, თან თითქოსდა გარედან საყვირის განმეორებითი ძახილით ერთბაშად კონკრეტული მოქმედების სფეროში გადატანილი. უაღრესად კეთილშობილი და ღრმეაზროვანია ეს ყოველივე, თავშეკავებული და განსულიერებული, უფრო ფხიზელი, ვიდრე ზარხოშით ატანილი, თვით „ლამაზ“ ადგილებშიც კი, — არც მოტკრციალე და არც ზედმეტად მდიდრული, არც კიდევ ზიზილპიპილებით ერთობ ამაღლელებელი, ოღონდ ოსტატური კია, ენით რომ ვერ გამოხატავ, ისეთი ოსტატური! როგორ არის ყველაფერი დაჭრილი, მონესრიგებული და ისე მოწოდებული, ყველაფერი როგორ მიემართება თემისაკენ და მერმე ისევ შორდება მას, იხსნება, ითქვიფება, და ამ დაშლის პროცესში უკვე ახალი მზადდება, დამაკავშირებელი პასაჟი ნაყოფიერ დვრიტად იქცევა, ასე რომ, ერთი ცარიელი ან უნდილი ადგილიც არ მოიძეება, რა ნარნარად იცვლება რიტმი, ახალი აღმავალი ტალღა მოვარდება, ყოველი მხრიდან ერთვიან შენაკადები, ნიაღვრად იქცევა და ბობოქარ ტრიუმფად წალუკავს ყველაფერს, ტრიუმფად „თავის-თავად“, ხალას ტრიუმფად, — მე არ მიინდა ამას ლამაზი ვუნოდო. სიტყვა „სილამაზე“ ცოტათი მუდამ მეხამუშებოდა“, ბრიყვული სახე აქვს, და მის წარმოთქმისას

**ღმერთის მიბაძვა (ლათ.).*

ადამიანებს ავხორცობა და სიზანტე ეძალებათ, კარგი კი ნამდვილად არის, უსაზღვროდ კარგი, უკეთესი რომ აღარ შეიძლება, ისეთი...

ასე ლაპარაკობდა და ვერ აგინერთ რა გულის ამარყუებლად მოქმედებდა ჩემზე მისი საუბრის კილო, რომელშიც ინტელექტუალური თვითკონტროლისა და განცდათა ოდნავ შესამჩნევი ჩოჩოლიც გამოსჭვივოდა: გულის ამარყუებლად-მეთქი, იმიტომ ვთქვი, რომ თვითონაც ამჩნევდა ამ შინაგან ციებ-ცხელებას და ეთაკილებოდა; უსიამოდ აღიქვამდა ტრემოლს თავის ჯერაც მოზარდი ბიჭუნას გაბზარულ ხმაში, წითლდებოდა და პირს მარიდებდა.

მუსიკის ცოდნისა და შემოქმედებითი გზნების მძლავრი ნაკადი შემოიჭრა მაშინ მის ცხოვრებაში, რათა შემდეგ წლების მანძილზე, გარეგნულად მაინც, სავსებით შეგუბებულ-შედედებული დარჩენილიყო.

X

გიმნაზიაში ყოფნის ბოლო წელს ლევერკიუნი, დანარჩენ საგნებთან ერთად, ძველებრაულის შესწავლასაც შეუდგა, რაც სავალდებულო არ იყო და რისთვისაც არც მე არ მომიკიდია ხელი. ამით მან თავისი გეგმები გაამხილა: სახელდობრ, რომელ სფეროში აპირებდა დასპეციალებას. როგორც გამოირკვა (განგებ ვიმეორებ ამ გამოთქმას, რომელიც მაშინაც ვიხმარე, როდესაც გაიმბობდით, შემთხვევით წამოცდენილი სიტყვით როგორ აღმოვაჩინე მისი შინაგანი რელიგიური ცხოვრება! — გამოირკვა, რომ თეოლოგიის შესწავლას აპირებდა. მოახლოებული გამოსაშვები გამოცდა მოითხოვდა ამის გადაწყვეტას, ფაკულტეტის არჩევას, და მანაც განაცხადა, რომ უკვე არჩეული ჰქონდა, განუცხადა ბიძამისს, როცა ის აღარ მოეშვა. პასუხის გაგონებაზე ძიამ წარბები მაღლა ასწია და ყოჩაღო) — შესძახა. შეატყობინა მშობლებსაც ბუხელში, რომლებიც კიდევ უფრო კეთილგანწყობილნი შეხვდნენ ამ ამბავს, ხოლო ჩემთვის ადრევე ჰქონდა მონაყოლი და იმთავითვე მაგრძნობინა, რომ ღვთისმეტყველების შესწავლას როგორც სულტერი მამისა და მოძღვრის პრაქტიკული საქმიანობისათვის სამზადისს კი არ უყურებდა, არამედ როგორც აკადემიური მოღვაწეობის დასაწყისს.

ამას უნდა ვენუგეშებინე და ასე თუ ისე მანუგეშა კიდევ, რადგან მისი პასტორად, ობერ-პასტორად, ან თვით კონსისტორიის მრჩე-

ლად და გენერალსუპერინტენდანტად წარმოდგენა ძალზე მიჭირდა. ჩვენსავით კათოლიკე მაინც ყოფილიყო! მისი ადვილად სავარაუდებელი აღმავლობა კათოლიკური ეკლესიის იერარქიულ საფეხურებზე და ეპისკოპოსად ან არქიეპისკოპოსად და კარდინალად გახდომა მე უფრო ილბლიან, უფრო შესაფერის პერსპექტივად მესახებოდა. მაგრამ მისმა გადანყვეტილებამ, ლუთერანული ღვთისმეტყველება აერჩია თავის საგნად, ჩემზე გამოაგნებლად იმოქმედა და მგონი, ფერიც მეცვალა სახეზე, როცა ეს ამბავი მითხრა. რატომ? ძალიან გამიჭირდა იმის თქმა, სხვა რომელი პროფესია უნდა აერჩია. კაცმა რომ თქვას, მისთვის საკმაოდ კარგია-მეთქი, ვერც ერთზე ვერ ვიტყვოდი, ესე იგი ბიურგერული, ემპირიული მხარე რაგინდარა პროფესიისა მისთვის არასაკადრისად მეჩვენებოდა და მუდამ ამაოდ ვცდილობდი ისეთი სპეციალობისათვის მიმეკვლია, რომელთანაც დაკავშირებული პრაქტიკული საქმიანობის აღმსრულებლად მის წარმოდგენას შეეძლებდი. მის ნაცვლად მე ვიჩინდი აბსოლუტურ პატივმოყვარეობას და მაინც შიშისაგან ჟრუანტელმა დამიარა ტანში, როდესაც დავინახე – ცხადზე უცხადესად დავინახე, რომ მანაც, თავის მხრივ, ასეთი არჩევანი ქედმაღლობის გამო მოახდინა.

შემთხვევას მოუტანია და მე და ადრიანი იმ დასკვნამდე მივსულვართ ან, უფრო სწორად, ჩვენც გაგვიზიარებია ხშირად გამოთქმული მოსაზრება, რომ ფილოსოფია მეცნიერების დარგთა დედოფალია. მათ შორისო, – ასე ვმსჯელობდით ჩვენ, – მას ისეთივე ადგილი უჭირავს, როგორც ორგანს დანარჩენ საკრავებში: მათ მიმოიხილავს, სულიერად აერთიანებს, სისტემაში მოჰყავს და მეცნიერების ყველა დარგის კვლევის შედეგთა გაშუქებით სამყაროს სურათს ქმნის, ყოლისმომცველ და ყოვლისგანმსაზღვრელ სინთეზს ახდენს, სიცოცხლის აზრის ჩანვდომას, კოსმოსში ადამიანის ადგილის დადგენას ცდილობსო. ჰოდა, როდესაც ჩემი მეგობრის მომავალზე, მისთვის შესაფერის პროფესიაზე ვფიქრობდი ხოლმე, ყოველთვის ასეთ განმაზოგადებელ საქმიანობას წარმოვიდგენდი. მისი მრავალმხრივი მისწრაფებები, რის გამოც მუდამ ვშიშობდი: თავის ჯანმრთელობას საფრთხეში აგდებს-მეთქი, ცოდნის წყურვილი, რასაც ყოველთვის თან ახლდა კრიტიკული მიდგომა და კომენტარები, ამართლებდა ამგვარ ოცნებებს. ყველაზე უნივერსალური, თვითმყოფადი ბრძენკაცის ყოფიერების ფორმა, ფილოსოფოსისა და კულტურის ისტორიკოსის უნივერსალიზმი – აი მხოლოდ

ეს მიმაჩნდა მისთვის შესაფერად. ამაზე უფრო შორს ჩემი წარმოსახვის უნარი ვერ მიდიოდა. ახლა კი შევიტყვე, რომ ის, თავის მხრივ, ჩემ-ჩემად უფრო შორს წასულიყო, რომ მას ფარულად, ვითომც აქ არაფერიყო – თავისი გადაწყვეტილება რომ ძალიან დინჯად გაგვანდო – ჩემი მეგობრული პატივმოყვარებისათვის გადაეჭარბებინა და სირცხვილი ექმია.

და მაინც, თუ გნებავთ, მოიპოვება ისეთი დისციპლინა, რომელშიაც თავად დედოფალი – ფილოსოფია – მოახლედ იქცევა, დამხმარე მეცნიერებად, მეორეხარისხოვან საგნად, თუ აკადემიურად ვიტყვით, და ეს საგანი ღვთისმეტყველება გახლავთ. სადაც სიბრძნის სიყვარული უზენაესი არსების, ყოფიერების პირველი წყაროს განჭვრეტამდე, ღმერთისა და ღვთაებრივი ამბების შესახებ მოძღვრებამდე მალდება, იქ ადამიანი, უნდა ვიფიქროთ, მეცნიერული ღირსების მწვერვალს, შემეცნების უზენაეს და უკეთილშობილეს სფეროს, აზროვნების ზენიტს აღწევს; განსულიერებულ ინტელექტს იქ ყველაზე ამადლებული მიზანი აქვს – ყველაზე ამადლებული, ვინაიდან აქ საერო მეცნიერებები, მაგალითად, ჩემი საკუთარი, ფილოლოგია, ხოლო მასთან ერთად ისტორიაცა და სხვებიც, მარტოდენ იარაღია ღვთაებრივის შესამეცნებლად, – ეს ისეთი მიზანია, რომელსაც ღრმად ქედმოდრეკილი ესწრაფვიან, რადგანაც იგი, საღმრთო წერილის მიხედვით, „გონებაზე მალლა დგას“ და ადამიანის სული უფრო სათნო, უფრო ღვთისნიერ უღელში ებმება, ვიდრე მეცნიერების სხვა რომელიმე ვინრო სპეციალობის არჩევისას.

ყოველივე ამან თავში გამიელვა, როცა ადრიაანმა თავისი გადაწყვეტილება გამაცნო. ეს რომ სულიერი თვითაღაგმვის ინსტინქტის გამო, სახელდობრ, თავისი ცივი და ყოვლისმომცველი, ყველაფრის იოლად ამთვისებელი, პირველობით განებივრებული ინტელექტის რელიგიით დაშოშმინებისა და ქედის მოხრევივნების სურვილის გამო მიელო, მაშინ მეც ყაბულს ვიყავი. მაშინ მარტო ქვეშეცნული დარდი კი არ განმიქარდებოდა, მოსვენებას რომ არა და არ მაძლევდა, არამედ გულიც ამიჩუყდებოდა, რადგან *sacrificium intellectus*-ი, რასაც გარდუვალად ინვევს ამქვეყნიურის მჭვრეტელობით შემეცნება, მით უფრო უნდა დაფასდეს, რაც უფრო ძლიერია ინტელექტი, რომელსაც იგი მოაქვს. მაგრამ მე არსებითად არა მჯეროდა ჩემი მეგობრის ქედის მოხრისა. მე უფრო მისი სიამაყისა მნამდა, რითაც

**გონების მსხვერპლად მოტანა (ლათ.).*

მეც, ჩემი მხრით, ვამაყობდი კიდეც და ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ სწორედ ეს იყო მისი გადაწყვეტილების წყარო. ამიტომ გახლდათ, რომ ამ ამბის გაგონებამ შემძრა და სიხარულისა და შიშის ურუანტელმა დამიარა ერთდროულად.

შემამჩნია, რომ შეეჩქვიფდი და, როგორც ჩანს, ეგონა, სხვაზე, მესამე პირზე, ვფიქრობდი, მის მუსიკის მასწავლებელზე.

— შენ, რა თქმა უნდა, ფიქრობ, კრემლარი გულგაცრუებული დარჩებაო, — მითხრა პან. — განა არ ვიცი, მას უნდა მთლიანად პოლიჰიმნიას მივუძღვნა თავი. საკვირველია, ადამიანები მუდამ ცდილობენ სხვებიც თავიანთი გზით ატარონ. ყველას ხომ ერთი და იგივე არ ეპრიანება. ისე კი, მას შევასხენებ, რომ ლიტურგიითა და თავისი ისტორიით მუსიკა მჭიდროდ არის თეოლოგიურ ამბებთან გადახლართული, პრაქტიკული და მხატვრული თვალსაზრისითაც აქ უფრო მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის, ვიდრე მათემატიკურ-ფიზიკურში, აკუსტიკაში.

კრემლარს ვეტყვო, მითხრა, მაგრამ ამას უფრო მე მეუბნებოდა, რაც არ გამომპარვია, და როცა მარტო დავრჩი, ხელმეორედ გავი-აზრე ყველაფერი: რასაკვირველია, ღმერთის შესახებ მეცნიერების და ღვთისმსახურების მიმართ საერო მეცნიერებანი და აგრეთვე ხელოვნების დარგებიც, ხოლო მათ შორის კი პირველ რიგში მუსიკა, დამხმარისა და ხელშემწყობის ხასიათს იძენენ. ეს აზრი გამოძახილი იყო იმ დისპუტებისა, რომელთაც ჩვენ ვაწყობდით ხოლმე ხელოვნების სვე-ბედის შესახებ, ერთი მხრივ ძალზე წარმტაცი რომ ჩანდა, მეორე მხრივ კი — ძალზე დამაღონებელი, — ხელოვნების ემანსიპაციაზე კულტისაგან, მის საერო კულტურად გადაქცევაზე. ჩემთვის სავსებით ნათელი იყო: პროფესიის არჩევანში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ადრიანის სურვილმა: პირადად თავისთვის, თავის მომავალ საქმიანობაში მუსიკა კვლავ იმ მდგომარეობამდე დაეყვანა, რომელშიც ის ოდესღაც, მისი აზრით, უკეთეს ხანაში, კულტთან კავშირის ხანაში, იმყოფებოდა. ისევე როგორც ყველა საერო კვლევითი დისციპლინა, მუსიკაც სურდა იმ სფეროზე დაბლა დაეყენებინა, რომლის ადეპტობასაც ახლა კისრულობდა, და ჩემდა უნებლიეთ, თითქოს მის თვალსაზრისს განასახიერებლო, თვალწინ წარმომიდგა ბაროკოს სტილის ნახატი, ვეებერთელა საკურთხევლის ხატი, რომელზედაც მეცნიერებისა და ხელოვნების ყველა დარგი მონურად ქედმოხრილი თავყვანს სცემს აპოთეოზირებულ თეოლოგიას.

ადრიანმა ხმამალა გაიცინა ჩემს ხილვაზე, როდესაც ეს ამბავი ვუამბე. იმხანად საუცხოო გუნებაზე იყო და ხალისით ხედებოდა ხუმრობას, რაც გასაგებია, რადგან მთელ ჩვენს ცხოვრებაში განა არის იმაზე ბედნიერი, იმაზე ამაღელვებელი მოლოდინით აღსავსე წამი, როდესაც ჩვენს უკან იხურება სკოლის კარი, ვტოვებთ ძველ შენობას, სადაც ვიზრდებოდით, და ჩვენ წინ, დაფრთიანებული ბარტყებივით რომ ვეგვებებით თავისუფლებას, მთელი ქვეყნიერება იმლება? ვენდელ კრეჩმართან ერთად უფრო მოზრდილ მახლობელ ქალაქებში მონყობილი მუსიკალური ექსკურსიების წყალობით ადრიანმა რამდენჯერმე უკვე მოასწრო გარესამყაროს სივრცეები დაექაშინიკებინა, ახლა კი კაიზერსაშერნს, კუდიანებისა და ობროდების ქალაქს, სადაც იყო აგრეთვე საკრავთა საწყობი და იმპერატორის საფლავი ტაძარსა შინა, სამუდამოდ უნდა დამშვიდობებოდა და მხოლოდ ათასში ერთხელ, სტუმრად, იმ კაცით პირზე ღიმომდგარს, ვისაც სხვაც ბევრი რამ უნახავს ქვეყნად, თუ მოუხდებოდა მის ქუჩაბანდებში გავლა.

მაგრამ ასე კი მოხდა? მართლაც სამუდამოდ დაემშვიდობა ეს ქალაქი, ოდესმე დაეხსნა კია მას კაიზერსაშერნი? განა ის ყველგან თან არ სდევდა, სადაც კი წავიდოდა, და განა ის არ განსაზღვრავდა ყოველივეს, მაშინ როდესაც ადრიანს ეგონა ხოლმე, მე თვითონ გადავწყვიტეო. რა არის თავისუფლება? მარტოოდენ გულგრილობაა თავისუფალი. დამახასიათებელი რამ კი არასოდეს თავისუფალი არ არის, იგი ამოტვიფრულია, განპირობებული და გათანგულია. განა „კაიზერსაშერნი“ არ გამოსჭვივოდა ჩემი მეგობრის გადანწყვეტილებაში, თეოლოგია შეესწავლა? ადრიან ლევერკიუნი და ეს ქალაქი! რაღა თქმა უნდა, ამან ერთად თეოლოგია მოგვცა. უკვე შემდგომ საკუთარ თავს ვეკითხებოდი: აბა, სხვა რას მოველოდი-მეთქი? მერე ადრიანი კომპოზიტორი გახდა. მაგრამ, თუმცა ძალიან თამამ მუსიკას წერდა, „თავისუფალიც“ იყო იგი, სრულიად მსოფლიოს მუსიკაც იყო? არა და არა. ეს გახლდათ მუსიკა კაცისა, ვინც ასეც ვერ დააღწია კაიზერსაშერნს თავი, — სპეციფიკური კაიზერსაშერნის მუსიკა, მთელი თავისი უიდუმალესი გენიალურ-გროტესკული ხლართებით, დაშიფრული ჰანგებითა და ჩქამებით.

იმხანად, როგორც ვთქვი, კარგ ხასითზე იყო, და ან კი რატომ არ უნდა ყოფილიყო?! ზეპირი გამოცდისაგან გაათავისუფლეს წერიტი სამუშაოების სიმნიფის გამო. მაღლიერი დაემშვიდობა მასწავლებლებს, რომელთაც მის მიერ არჩეული ფაკულტეტის წინაშე მოკრძ-

ალებამ თითქოს დაავიწყათ ის ამბავი, რომ მისი არაფრადჩამგდები, დაუდევარი დამოკიდებულებით სულის სიღრმეში მუდამ განანწყენებულნი იყვნენ. და მაინც „დუხჭირი ცხოვრების მოძმეთა“ გიმნაზიის პატივცემულმა დირექტორმა დოქტორმა შტოიენტინმა, პომერანელმა, რომელიც ადრიანს ბერძნულს, შუაზემოგერმანულსა და ძველებრაულს ასწავლიდა, საჭიროდ მიიჩნია გამოსათხოვარი აუდიენციის დროს პირად საუბარში ამის თაობაზე ორიოდ სიტყვა ეთქვა:

– Vale,* – უთხრა მან, – და ღმერთი იყოს თქვენი შემნე, ლევერკიუნს! სულითა და გულით გილოცავთ გზას. არ ვიცი, თქვენც ამ აზრისა ხართ თუ არა, მაგრამ მე კი ვგრძნობ, რომ გზის დალოცვა ნაგადგებათ. თქვენ ნიჭიერი ადამიანი ხართ და უწყით კიდევ ეს – ან კი როგორ შეიძლება არ იცოდეთ? თან ისიც მოგეხსენებათ, რომ იმან, იქ, მაღლა, ვისგანაც იღებს ყოველივე სათავეს, მოგმადლათ ეგ ნიჭიერება, რამეთუ გსურთ მასვე მოახმაროთ. თქვენ მართალი ხართ: ბუნებით ნაწყალობევი დამსახურებანი – ღვთის დამსახურებანია და არა ჩვენი საკუთარი. თუმცა ეშმაკი, თვითონაც რომ სიამაყით წაიწყმიდა თავი, ცდილობს ეს დაგვავიწყოს. ეგ ავი სტუმარი, მბრძღვინავი ლომი, დაეხეტება და ეძებს, ვინ გადასანსლოს. თქვენ ერთი იმათგანი ხართ, ვინც საგანგებოდ უნდა უფროთხოდეს მის ხრიკებს. ქათინაურია, რასაც ახლა გეუბნებით, ჩემო მეგობარო/იყავით ისეთი, როგორიც უფლის წყალობითა ხართ, მაგრამ იყავით ქედმოდრეკილი და არა კერპი და ამპარტავანი. გახსოვდეთ, თვითკმაყოფილება ღვთისაგან განდგომის ბადალია, უმადურობაა ყოველივე მაღლის მომგებლის წინაშე! /

აი როგორ დაულოცა გზა ალაღმა მენტორმა, რომლის ხელქეითად მე შემდგომ ამავე გიმნაზიაში ვმასწავლებლობდი. ადრიანმა ღმილით მომიტხრო ეს საუბარი ბუხელის ირგვლივ გადაშლილ მინდვრებსა და ტყეებში სეირნობისას, სადაც ჩვენ იმ წელს, აღდგომის უქმე დღეებში, ხშირად დავეხეტებოდით. გიმნაზიის დამთავრების შემდეგ ჩემი მეგობარი იქ ატარებდა რამდენიმე თავისუფალ კვირას, ხოლო მე მისმა კეთილმა მშობლებმა მიმიპატიჟეს, რათა მათი ვაჟის მეინახე ვყოფილიყავი. კარგად მახსოვს, როგორ ვბაასობდით მაშინ, დინჯად მოარუენნი, შტოიენტინის გაფროთხილებაზე. განსაკუთრებით კი გამოთქმაზე: „ბუნებით ნაწყალობევი დამსახურებანი“,

*მშვიდობით (ლათ.).

მან რომ უკვე დასამშვიდობებლად ხელის ჩამორთმევისას ახსენა. ადრიანმა დასძინა: ამ გამოთქმას გოეთეს დაესესხა, რომელიც ხშირად და ხალისით ლაპარაკობდა „თანდაყოლილ დამსახურებებზეო“. ამ პარადოსქული შესიტყვების შექმნით ის სიტყვა „დამსახურებას“ მორალურ ხასიათს ართმევდა და, პირიქით, ბუნებრივსა და თანდაყოლილს მორალის მიღმა არსებულ არისტოკრატიულ დამსახურებად აღამაღლებდა. ამიტომ იყო, რომ თავმდაბლობის მოთხოვნის წინააღმდეგ ილაშქრებდა, რაც მუდამ ბუნებისაგან დაზარალებულ ადამიანთაგან მომდინარეობს და აცხადებდა: მხოლოდ უნდილები არიან თავმდაბალნიო. მაგრამ დირექტორმა შტოიენტიანმა გოეთეს სიტყვა უფრო შილერის ყაიდზე იხმარა, რომლისთვისაც მთავარი თავისუფლება იყო და ამიტომ ნიჭსა და პირად დამსახურებას შორის მორალურ განსხვავებას ხედავდა და დამსახურებასა და ბედნიერებას, რაც გოეთესათვის ერთმანეთისაგან განუყოფელი იყო, მკვეთრად მიჯნავდა. ასევე მოიქცა დირექტორიც: ბუნებას ღმერთი უწოდა, ხოლო თანდაყოლილი ნიჭი ღვთის დამსახურებად მიიჩნია ჩვენს წინაშე, რომელიც ჩვენ ქედმოდრეკილებმა უნდა ვზიდოთო.

— გერმანელებს, — მითხრა ახალგამომცხვარმა სტუდენტმა და თან ბალახის ღერო ჰქონდა პირში გაჩრილი, — ასე ვთქვათ, ორლიანდაგიანი და მიუტყეველად კომბინატორული აზროვნება ახასიათებთ. მუდამ ერთიც სურთ და მეორეც, მოკლედ, სულ ყველაფერი სურთ. მათ შეუძლიათ დიადი პიროვნებების სახით თამამად წარმოაჩინონ აზროვნებისა და ყოფიერების ანტითეზური პრინციპები, მაგრამ შემდეგ ერთმანეთში ურევენ მათ და ამით ლუპავენ საქმეს, ერთის მიერ შემუშავებულ ცნებებს მეორის გაგებით იყენებენ, ყველაფერს დომხალივით ურევენ და ჰგონიან, რომ ძალუძთ თავისუფლება და არისტოკრატიზმი, იდეალიზმი და ბუნებისშვილობა ერთმანეთს შეუფუგონ. მაგრამ ეს შეუძლებელი ჩანს.

— მათ ერთიცა აქვთ და მეორეც, — შევესიტყვე მე. — სხვაფრივ ისინი იმ ორს ვერ წარმოქმნიდნენ. უხვად დაჯილდოებული ხალხია...

— თავგზააბნეული ხალხია, — დაუინებით გაიმეორა მან. — და სხვე-ბსაც გზა-კვალს ურევენ.

ისე კი, იშვიათად ვფილოსოფოსობდით იმ იდილიურ, უღრუბლო დღეებში, იმხანად ის უფრო სიცილისა და ოინბაზობისათვის იყო განწყობილი, ვიდრე მეტაფიზიკური სჯა-ბაასისათვის. კომიკურის გემო რომ იცოდა, ხუმრობის მოთხოვნილება რომ ჰქონდა და სიცილის

მიდრეკილება, ასე განსაჯეთ, სიცილ-ხარხარისაც, როცა კაცს ლამის არის ცრემლები გადმოსცვივდეს, მე უკვე ადრევე მოგახსენეთ და ალბათ მის პორტრეტს გაეცალებდები, თუ იმგვარ სიანცეს მკითხველის თვალში ადრიანის საერთო ხასიათს ვერ შევუგუებდი. იუმორზე ლაპარაკიც არა მსურს. ჩემი ყურისთვის ეს სიტყვა ერთობ შინაურულად და ზომიერად ჟღერს, რომ მასზე შევჩერდე. ადრიანის სიცილის ჟინს მე უფრო აღვიქვამდი როგორც თავისებურ გამოსავალს, ოდნავ ორგინის მსგავსს, ჩემთვის არცთუ სასიამოვნო და მისაღებ განმუხტვას იმ მკაცრი დამოკიდებულებიდან ცხოვრებისადმი, რასაც არაჩვეულებრივი ნიჭიერება წარმოშობს. ახლა ამ ჟინმა ლალად გაშალა ფრთები, საამისო მასალას სკოლაში გატარებული, ან უკვე გარდასული ხანა იძლეოდა, კომიკური ტიპები მოსწავლეთა და მასწავლებელთა შორის, კურიოზული შემთხვევები, მაუ რომ გადახდენოდით; ამას ემატებოდა მოგონებები სწავლის უახლოესი პერიოდიდან, პროვინციული საოპერო სპექტაკლები, რომლებშიც განსახიერებული ნაწარმოების სინმინდე თუმცა ხელყოფილი არ იყო, მაგრამ მაინც გვხვდებოდა კურიოზული ამბები. ასე, მაგალითად, „ლოენგრინში“ მეფე ჰაინრიხის პარტიას ვილაც ღიჰიანი და ფეხებდაბრეცილი მომღერალი ასრულებდა; როდესაც თავის მჭექარე ბანს დააქუხებდა ხოლმე, ფეხების სათბუნებელი ტომრის მოყვანილობის წვერით შემოსილ სახეზე მრგვლად დაბჩენილი პირი სოროსავით უჩანდა. ადრიანი ლამის ჩაბჭირებულიყო, იმდენს იცინოდა ამ პერსონაჟზე, მაგრამ ეს მხოლოდ ცალკეული, შესაძლოა, ერთობ კონკრეტული საბაბიც იყო მისი აჩემებული სიცილისათვის. უფრო ხშირად კი მას ბევრად უფრო უსაგნოდ, წმინდა წყლის ზარხოშვით მოეძალებოდა ხოლმე სიცილი, ამიტომ, გამოგიტყდებით, ცოტა არ იყოს, მიჭირდა აყოლა. მე აგრე-რიგად მოყვარული არა ვარ სიცილისა და ის რომ სიცილისაგან იჭაჭებოდა, მე უნებლიეთ ერთი ამბავი მაგონდება, რომელიც მისგანვე მქონდა გაგონილი და წმინდა ავეუსტინეს წიგნში — „De civitate Dei“* — ში იყო მოთხრობილი: ქამი, ნოეს ვაჟი და მამა ზოროასტრისა, ჯადოქრისა, ერთადერთი ადამიანი იყო, რომელიც დაბადებისას იცინოდა, რაც მარტოოდენ ეშმაკის შეწყალებით შეიძლებოდა მომხდარიყო. ეს ამბავი, რაკი ერთხელ ამეკვიტა, წამდაუნუმ მაგონდებოდა და მოსვენებას არ მაძლევდა, მაგრამ მარტო ეს როდი მიშლიდა ხელს, რომ მის თავანყვეტილ სიცილს ავეოლოდი ხოლმე, მაგალითად, თუნდაც

* „უფლის ქალაქის შესახებ“ (ლათ.).

ის, რომ შინაგანად ერთობ სერიოზულად ვეკიდებოდი ადრიანს და მისი სიანცის შემყურეს შიშილა მეუფლებოდა. ალბათ ჩემი ხასიათის ერთგვარი სიმშრალისა და მოუქნელობის გამო სიცილ-ხარხარისათვის არც გამოვდგებოდი.

შემდგომ მან საამისოდ უკეთესი ამფსონი შეიძინა – ანგლისტი და მწერალი რიუდიგერ შილდკნაპი, რომელიც ლაიპციგში გაიცნო. ამის გამო იყო, რომ ამ კაცზე მუდამ ცოტათი ვეჭვიანობდი.

XI

ზაალეს ჰალეში თეოლოგიური და ფილოლოგიურ-პედაგოგიური ტრადიციები მრავალმაგად არის ერთმანეთში გადახლართული, უწინარეს ყოვლისა კი ავეგუსტ შერმან ფრანკეს ისტორიულ პიროვნებაში, ქალაქის მფარველი წმინდანის ხატებაში. ამ, ასე ვთქვათ, პიეტისტურმა განმანათლებელმა იქ მეჩვიდმეტე საუკუნის ბოლოს, მაშასადამე, უნივერსიტეტის დაარსებიდან ცოტა ხნის შემდეგ, სახელგანთქმული „ფრანკესული დაწესებულებანი“; სახელდობრ, სკოლები და ობოლთა სახლები შექმნა და პირადად თვითონაცა და მისი მოღვაწეობაც ღვთისნიერებას განასახიერებდა, შერწყმულს ლინგვისტიკისა და სხვა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა შტუდირებასთან. განა კანშტაინის ბიბლიური საზოგადოებაც, ბიბლიის ლუთერისეული თარგმანის კომპეტენტური რევიზია რომ მოახდინა, რელიგიასა და ტექსტოლოგიას შორის კავშირს არ ამყარებს? ამის გარდა, ჰალეში იმხანად მოღვაწეობდა გამოჩენილი ლათინისტი ჰაინრიჰ ოზიანდერიც, ვისი ლექციების მოსმენა სულით და გული მინდოდა. თანაც ადრიანისაგან მქონდა გაგონილი, რომ პროფესორ დოქტორ ჰანს კეგელის სემინარი ეკლესიის ისტორიაში უამრავ საერო ისტორიულ მასალასაც მოიცავდა, რაც, ჩემი აზრით, ძალზე წამადგებოდა, რადგან ფილოლოგისათვის ისტორია უპირველეს დამხმარე დისციპლინად მიმაჩნია.

ამრიგად, ჩემი გადამწყვეტილება, იენასა და გისენში ორ-ორი სემესტრი სწავლის შემდეგ Alma Mater Halensis*-ის მკერდს დავნაფებოდი, გონივრულ საფუძველს მოკლებული არ გახლდით, მით უფრო, რომ ეს უნივერსიტეტი ჩვენს ფანტაზიას ვიტენბერგის უნივერსიტეტთან იგივე-

**ჰალეს მასაზრდოებელი დედის (ლათ.), „მასაზრდოებელი დედა“ – უნივერსიტეტის ძველი მეტსახელი.*

ობითაც აღვივებდა, რომელსაც ნაპოლეონთან ომების შემდეგ ხელახლა გახსნისას შეუერთეს. ლევერკიუნი უკვე ნახევარი წლის ჩარიცხული იყო ჰალეს უნივერსიტეტში, როცა მე იქ გადავედი და, რაღა თქმა უნდა, არ ვუარობ, რომ ადრიანის იქ ყოფნამ ძალზე დიდი, ასე განსაჯეთ, გადამწყვეტი როლიც კი შეასრულა ჩემს მიერ გადადგმულ ნაბიჯში. მოეწყო თუ არა ჰალეში, მაშინვე შემომითვალა: ჩამოდიო, ეტყობა, მარტოობისა და მიუსაფრობის შეგრძნების გამო, მაგრამ კიდევ რამდენიმე თვე გავიდა, ვიდრე შევძლებდი მისი თხოვნა შემესრულებინა, თუმცა გულით კი იმნამსვე საამისოდ მზად ვიყავი და, საერთოდ, ალბათ არც მისი მიპატიჟება დამჭირდებოდა. მარტო ჩემი სურვილიც, მასთან ახლოს ვყოფილიყავი, მენახა, რას იქმოდა, რა წარმატებებს აღწევდა, როგორ იფურჩქნებოდა მისი ნიჭი თავისუფალ აკადემიურ ატმოსფეროში; მასთან ყოველდღიური ურთიერთობის, მასზე ზრუნვის, ახლოდან თვალყურის დევნების ნაწილი ალბათ იკმარებდა იმისათვის, რომ მასთან ჩავეყვანე. ჰოდა, ამას დაემატა კიდევ ჩემს განსწავლასა და მეცნიერულ ინტერესებთან დაკავშირებული მიზეზები, რომლებიც ზემოთ აღვნიშნე.

თავისთავად გასაგებია, ახალგაზრდობის ის ორი წელი, ჩემს მეგობართან ჰალეში რომ გავატარე — მათი ჩვეულებრივი მსვლელობა მხოლოდ არდადეგების დროს ჩვენი კაიზერსაშერნსა ანდა მამამისისეულ კარ-შიდამოში გამგზავრების გამო წყდებოდა ხოლმე, — აქ, ამ ფურცლებზე, მარტოდენ ისევე შეკვეცილად შეიძლება აისახოს, როგორც გიმნაზიაში მისი სწავლის პერიოდიც. ბედნიერად კი ჩაითვლება ეს წლები? დიახ, რამდენადაც ეს იყო ლალი მისწრაფებების, ფიცხელი აღქმის, მკვირცხლი დაკვირვებების პერიოდი, როდესაც ახალგაზრდა ცოდნის ბელელს იესებს, და რამდენადაც მათ ბევშვობის ამხანაგის გვერდით ვატარებდი, ვისზედაც გული მქონდა შევარდნილი, უფრო მეტიც, ვის ბედ-იღბალს, დღევანდლობასა და მომავალს არსებითად უფრო განვიცდიდი, ვიდრე საკუთარს. ჩემთან ყველაფერი მარტივად იყო, ბევრი ტვინის ჭყლეტა არ მჭირდებოდა იმაზე, თუ რა მომელოდა, მარტოდენ მუყაითი მუშაობით უნდა შემექმნა წანამძღვრები უკვე წინასწარ გადაწყვეტილი ხვედრისათვის. მისი მომავალი კი უფრო მნიშვნელოვანი და გარკვეული თვალსაზრისით უფრო საიდუმლოებით მოცულიც იყო, ხოლო ჩემს საკუთარ წინსვლაზე ზრუნვიდან მუდამ საკმაოდ დრო და სულიერი ძალები მრჩებოდა მისი მყობადის პრობლემატურობაზე ფიქრისათვის. და თუ მე ვმერყეობ, ამ წლებს ისედაც ყოველთვის საჭოჭმანო ეპითეტი „ბედნიერი“ მივაკუთვნო, ეს იმიტომ, რომ მასთან ერთად ცხოვრების გამოისობით მე ბევრად უფრო

ჩათრეული აღმოვჩნდი მისი მეცადინეობის სფეროში, ვიდრე ის – ჩემს-
აში, თეოლოგიის ჰაერი კი საჩემო ჰაერი არ იყო, მისი სუნთქვა სულს
მიხუთავდა, მწყენდა. ჰალეში, რომლის სულიერი ატმოსფერო საუკუნ-
ეების მანძილზე გაჟღერებული იყო რელიგიური პოლემიკით, ესე იგი იმ
საეკლესიო დავითა და კინკლაობით, ჰუმანისტურ განათლებას მუდამ
ასე რომ უშლიდა ხელს, თავს დაახლოებით ისე ვგრძნობდი, როგორც
ერთ-ერთი ჩემი მეცნიერული წინაპართაგანი, კროტუს რუბიანუსი,
რომელიც 1530 წელს კანონიკუსი იყო ჰალეში და ლუთერი სხვაფრივ
არ იხსენიებდა, თუ არა როგორც „ეპიკურელ კროტუსს“ ანდა „დოქტორ
კროტუსს, მაინცის კარდინალის თეფშების მლოკავს“, თუმცა პაპაზე-
დაც ასე ამბობდა ხოლმე: ეშმაკის დაგდებული ღორი, პაპიო, და საე-
რთოდ იმდენადვე აუტანელი და უხეში იყო, რამდენადც დიადი ადამი-
ანი. მე ყოველთვის გულის ფანცქალი ზ თანავუგრძნობდი რეფორმა-
ციის ფონზე შობილ კროტუსის მსგავს მოაზროვნეებს. მათ რეფორმა-
ცია სუბიექტური თვითნებობის შეჭრად მიაჩნდათ ეკლესიის ობიექტურ
წესდებასა და დადგენილებებში. თან კროტუსს უგანათლებულესი
ადამიანის მშვიდობისმოყვარეობა ასულდგმულებდა და გონივრულ
დათმობებზე ხალისით მიდიოდა, მაგალითად, ჰალეში ზიარების ორივე-
ნიარად მიღების ნება დართო, რამაც მეტად მძიმე მდგომარეობაში
ჩააყენა, რადგან მისი უფროსი, არქიეპისკოპოსი ალბრეჰტი შემდგომ
სასტიკად გაუსწორდა ზიარების წესის დამრღვევთ.

ასეთია შემწყნარებლობისა და განათლებული მშვიდობისმოყვარ-
ეობის ხვედრი, როცა ფანატიზმის ორ ცეცხლშუა მოექცევა. სწორედ
ჰალე იქცა პირველი ლუთერანული ზუპერინტენდანტის რეზიდენცი-
ად, სახელდობრ, იუსტუს იონასისა, რომელიც იქ 1541წელს ჩავიდა და
ერთ-ერთი იმათგანი გახლდათ, ვინც ერაზმის საგალალოდ ჰუმანის-
ტთა ბანაკიდან რეფორმაციის მომხრეთა ბანაკში გადაბარგდა, ისევე
როგორც მელანხთონი და ჰუტენი, მაგრამ როტიერდამელ ბრძენს
კიდევ უფრო ის სიძულვილი აღონებდა, რომლითაც ლუთერი და მისი
მომხრენი კლასიკურ განათლებას ეკიდებოდნენ. პირადად ლუთერი
მაინცდამაინც ვერ დაიკვებნიდა მის სიჭარბეს, მაგრამ სასულიერო
ამბოხის წყაროდ კი მიაჩნდა. ის, რაც მაშინ მსოფლიო ეკლესიის წია-
ღში მოხდა – სუბიექტური თვითნებობის აჯანყება ობიექტური საეკ-
ლესიო წესდების წინააღმდეგ – ას წელზე ცოტა მეტი ხნის შემდეგ
თავად პროტესტანტიზმის შიგნით განმეორდა, როგორც სათნო გრძნ-
ობათა და შინაგანი ზეციური სიხარულის ამხედრება გაქვავებული
ორთოდოქსიის წინააღმდეგ; რომლის ხელიდანაც მაშინ მართლაც

ალბათ არც ერთი მათხოვარი არ ისურვებდა ლუკმა პურის მიღებას, ერთი სიტყვით, პიეტიზმის სახით, რომლითაც ჰალეს უნივერსიტეტის დაარსებისას გამსჭვალული იყო მთელი თეოლოგიური ფაკულტეტი. პიეტიზმიც, რისი ციხე-სიმაგრე შემდეგ ეს ქალაქი კიდევ დიდხანს იყო, გახლდათ, როგორც ოდესღაც ლუთერანობა, ეკლესიის განახლება, უკვე მომავლადვი, უკვე ყველასათვის ინდიფერენტული რელიგიის რეფორმატორული გამოცოცხლება და ჩემი ყაიდის კაცმა აქ დიახაც შეიძლება იკითხოს: კულტურის თვალსაზრისით უნდა მივესალმოთ კია მომავლადვის სიცოცხლის გადარჩენის ამ ისევ და ისევ განმეორებად ცდებს, და რეფორმატორები ხომ არ უნდა განვიზილოთ უფრო როგორც ჩამორჩენილობის მესვეურნი და უბედურების მაცნენი? განა შექველი არ არის, რომ კაცობრიობა გაუთავებელ სისხლის ღვრასა და უსაშინელეს გვემას გადარჩებოდა, მარტინ ლუთერს ეკლესია რომ არ აელორძინებინა.

მე არ ვისურვებდი ზემოთქმულის შემდეგ ვინმეს რელიგიურობას აბსოლუტურად მოკლებულ ადამიანად ჩავეთვალე. ასეთი არ ვახლავართ. მე უფრო შლაიერმახერის, აგრეთვე ჰალელი ღვთისმეტყველის აზრს ვიზიარებ, ვინც რელიგია როგორც „უსასრულობით დაინტერესება და მისი დაჭაშნიკება“ განსაზღვრა და მას ადამიანში მოცემული „მიდრეკილება“ უწოდა. მაშასადამე, მეცნიერება რელიგიას განიხილავს არა როგორც ფილოსოფიურ დებულებათა ერთობლიობას, არამედ როგორც შინაგანად მოცემულ, სულიერ ფაქტს. ეს მაგონებს ღმერთის არსებობის ჩემთვის ყველაზე საყვარელ ონტოლოგიურ დამამტკიცებელ საბუთს, რომელიც უზენაესი არსების სუბიექტური იდეიდან მის ობიექტურ არსებობას ასკვნის. ამგვარი არგუმენტი, ისევე როგორც სხვა მისთანანი, გონების კრიტიკას რომ ვერ უძლებს, კანტმა ძალზე ენერგიული სიტყვებით დაამტკიცა. მეცნიერებას კი არ შეუძლია გონებას შეეღიოს, და უსასრულობით და მარადიული გამოცანებით დაინტერესების მეცნიერებად გადაქცევის ცდა ჩემს თვალში ნიშნავს ორი ძირის-ძირობამდე ერთმანეთის საწინააღმდეგო სფეროს ნაძალადევად დაკავშირების მოწადინებას, რაც წინასწარვე მარცხისთვისაა განწირული და კაცს თავგზას უბნევს. რელიგიურობა, რაც, როგორც მე მიმაჩნია, უცხო სულაც არ არის ჩემთვის, სულ სხვა რამეა, ვიდრე პოზიტიური და რიტუალებით დაფიქსირებული რელიგია. განა არ აჯობებდა უსასრულობით ადამიანის დაინტერესების „ფაქტი“ სათნოებისათვის, ხელოვნებისათვის, თავისუფალი განჭვრეტისათვის მიგვენდო და აგრეთვე ზუსტი კვლევისათვისაც, ანუ ისეთ მეცნიერებათათვის, როგორიც არის

კოსმოლოგია, ასტრონომია და თეორიული ფიზიკა. მათ ძალუძთ შესაქმნის საიდულოს რელიგიური თავდადებით ემსახურონ, ნაცვლად იმისა, რომ იგი ცალკე სასულიერო მეცნიერებად გამოვეყოთ და დოგმათა ციხე-კოშკი ავაგოთ, რომელთა მომხრენიც ერთი რომელიმე გრამატიკული მართისათვის სამკვდრო-სასიცოცხლოდ წაეკიდებიან ერთმანეთს. მართალია, პიეტოზი, თავისი მეოცნებე ბუნების შესაბამისად, ლამობდა მკვეთრად გაემიჯნა სათნობა და მეცნიერება ერთმანეთისაგან და ამტკიცებდა, არავითარ წინსვლას, არავითარ ცვლილებას მეცნიერების სფეროში არ ძალუძს რაიმე ზეგავლენა მოახდინოს სარწმუნოებაზეო, მაგრამ ეს შეცდომა გახლდათ, რადგან თეოლოგია ნებით თუ უნებლიეთ მარადყამს ეპოქის მეცნიერულ მიმდინარეობებს უხამებდა თავს, მუდამ სურდა თავისი ეპოქის პირმშო ყოფილიყო, მიუხედავად იმისა, რომ დროთა ვითარება სულ უფრო და უფრო უძნელებდა ამ ამოცანის გადაჭრას და ანაქრონიზმის ჩიხში ამწყვედევდა. განა არის სხვა რომელიმე დისციპლინა, რომლის მარტოოდენ ხსენებასაც კი ასე უმაღ უკან გადავყავდეთ წარსულში, მეთექვსმეტე, მეთორმეტე საუკუნეში? საქმეს ვერ შველის ვერავითარი შემგუებლობა, ვერავითარი დათმობები მეცნიერული კრიტიკის წინაშე. რაც ამას შედეგად მოსდევს, საკუთარი თავის გაუქმების გზაზე შემდგარი ჰიბრიდული წარმონაქმნი გახლავთ — ნახევრად მეცნიერება, ნახევრად ღვთის განცხადების რწმენა. ორთოდოქსიას შეცდომა მოუვიდა, როდესაც რელიგიურის რეგიონში გონება შემოუშვა, როდესაც შეეცადა ეკლესიის დოგმები გონივრულად დაესაბუთებინა. განმანათლებლობის მოძალების გამო თეოლოგიას სხვა აღარა დარჩენოდა რა, თუ არა თავი დაეცვა, რადგან მალაღებელ წინააღმდეგობებში სდებდნენ ბრალს, და რათა მათთვის თავი დაეღწია, იმდენი რამ შეითვისა ღვთის განცხადებისათვის მტრული სულისაგან, რომ ლამის სარწმუნოებაზე უარის თქმამდე მივიდა საქმე. ეს იყო დრო „ღვთისათვის გონივრული პატივის მიგებისა“ და ღვთისმეტყველთა იმ თაობისა, რომლის სახელითაც ვოლფი ჰალეში აცხადებდა: „ყოველივე გონების მიერ უნდა შემონმდეს, ვითარცა სიბრძნის პატიოსანი თვალით“, — თაობისა, რომელმაც ბიბლიიდან ყველაფერი მოძველებულად გამოაცხადა, რაც ზნეობრივ სრულქმნას არ ემსახურებოდა, და გვაგრძობინა, რომ ეკლესიის ისტორიასა და მოძღვრებაში მარტოოდენ შეცდომების კომედიას ხედავდა. ვინაიდან მათ, ცოტა არ იყოს, ღრმად შეტოპეს, წარმოიქმნა შუამავალი თეოლოგია, რომელიც ცდილობდა ორთოდოქსიასა და გონივრულ არგუმენტთა შემოტევის გამო სულ უფრო და უფრო გავერანებულ ლიბერალიზმს შორის შუა, ოღონდ უფრო კონსე-

რეატიზმისაკენ გადწეული ადგილი დაეჭირა. მას შემდეგ „რელიგიის შესახებ მეცნიერების“ არსებობა განისაზღვრებოდა იმით, რომ ზოგიერთი დოგმის გადარჩენას ლამობდნენ, ზოგს კიდეც მსხვერპლად სწირავდნენ. „გადარჩენასა“ და „მსხვერპლად მოტანის“ ცნებებს — ორივეს — რაიმის უზრუნველყოფასთან აქვს საქმე და თეოლოგიამაც ამით თავისი არსებობა უზრუნველყო. მისი კონსერვატიული სახეცვლილება ისევე იცავდა „ღვთიური განცხადების მოძღვრებას“ და ტრადიციულ ეგზეგეტიკას, ცდილობდა ბიბლიური რელიგიის ელემენტებიდან „გადაერჩინა“ ის, რისი გადარჩენაც კიდეც შეიძლებოდა, ხოლო, მეორე მხრივ, ლიბერალურად ანგარიშს უწევდა საერო ისტორიულ მეცნიერებას, მის ისტორიულ-კრიტიკულ მეთოდს და მეცნიერულ კრიტიკას „მსხვერპლად სწირავდა“ უმნიშვნელოვანეს დოგმებს, სასწაულთა რწმენას, ქრისტეს შესახებ მოძღვრების საგრძნობ ნაწილს, იესოს მკვდრეთით აღდგომას და კიდეც ბევრ სხვა რამეს. მაგრამ ის რა მეცნიერებაა, რომელიც გონებასთან ასე მწყრალად არის და მასთან მიღწეული კომპრომისების გამო ლამის სულაც დაინგრეს? მე რომ მკითხოთ, ლიბერალური ღვთისმეტყველება იგივეა, რაც ხის რკინა, ანე *contradictio in adjecto**. არ უარყოფს რა კულტურას, მონადინებულისა რა შეეგუოს ბიურგერული საზოგადოების იდეალებს, როგორიც კი უნდა იყოს ეს საზოგადოება, ლიბერალურ ღვთისმეტყველებას რელიგია დაჰყავს ჰუმანურობამდე, კაცთმოყვარეობამდე და ექსტაზურსა და პარადოქსულ ელემენტებს, რაც ასე ახასიათებს მის არსებას, პროგრესული ეთიკის წვეწმინდის ხსნის და წყალწყალას ხდის. მაგრამ რელიგია ვერა ხარობს ხალასი ეთიკის ნიადაგზე და ხდება ისე, რომ მეცნიერული და თეოლოგიური აზროვნება კვლავ შორდება ერთმანეთს. ლიბერალური ღვთისმეტყველების მეცნიერული უპირატესობა ამჟამად უცილობლად მიაჩნიათ, მაგრამ მისი თეოლოგიური პოზიცია სუსტიაო, ამბობენ, რადგან მის მორალიზმსა და ჰუმანიზმს ადამიანის არსებობის დეჰონორ ხასიათში ჩახედულობა აკლია. იგი აუშმა განათლებულია, მაგრამ შედაპირულია და, კაცმა რომ თქვას, კონსერვატორულ ტრადიციას უფრო მეტი რამ შემორჩა ადამიანის ბუნებისა და ცხოვრების ტრაგიზმის ქეშმარიტად გაგებიდან და ამიტომ კულტურასთანაც უფრო ღრმად და არსებითად არის დაკავშირებული, ვიდრე მონინავე ბიურგერული იდეოლოგია.

აქ ამჟამად შეინიშნება თეოლოგიურ აზროვნებაში ირაციონალურ ფილოსოფიურ მიმდინარეობათა ინფილტრაცია, რომელთათვისაც

*ინააღმდეგობა განსაზღვრებაში (ლათ.) — ლოგიკური შეცდომის სახელწოდება; როდესაც ერთმანეთს უთავსებენ შეუთავსებელ ცნებებს.

ხომ დიდი ხანია ის, რაც არათეორიულია, ვიტალურია, – ნებელობა ანუ ინსტინქტი, მოკლედ, დემონური, იქცა თეოლოგიის ძირითად თემად. ამავე დროს ჩვენ ვხედავთ შუა საუკუნეების კათოლიკური ფილოსოფიისადმი ინტერესის გამოცოცხლებას, ნეოთომიზმისა და ნეოსქოლასტიკის მოშველიებას. რასაკვირველია, გახუნებულ ლიბერალურ ღვთისმეტყველებას ამ გზით შეუძლია უფრო მკაფიო და ხასხასა, უფრო გაღველფილი ფერებიც კი მიიღოს; შეუძლია კვლავ შეეხამოს იმ ესთეტიკურ-არქაულ წარმოდგენებს, რომელთაც უნებლიეთ ვუკავშირებთ მის სახელს. მაგრამ კულტურული ადამიანის გონება, გნებავთ ბიურგერული უწოდეთ მას და გნებავთ უბრალოდ, როგორც ცივილიზებული, ისე მოიხსენიეთ, არ შეიძლება არ შეძრწუნდეს, ვინაიდან თეოლოგიას, დაკავშირებულს ცხოვრების ფილოსოფიის არსთან, ირაციონალიზმთან, მისივე ბუნების გამოისობით დემონოლოგიად გადაქცევის საფრთხე ემუქრება.

ყოველივე ამას მხოლოდ იმიტომ ვამბობ, რომ განგიმარტოთ, ჩემს ტაფაში რატომ ვერ ვგრძნობდი თავს ჰალეში ყოფნისას, როდესაც თავისუფალ მსმენელად ვესწრებოდი იმ ლექციებს, რომლებზედაც ადრიანი დადიოდა, რადგან მიხლოდა მისი მეცადინეობიდან მეც რალაც მომცხებოდა, ის მომესმინა, რასაც ის ისმენდა, მის გვერდით ვყოფილიყავი. ამ ჩემს შეურევბაში მას თანაგრძნობას მაინცდამაინც ვერ ვატყობდი, რადგან თუმცა უყვარდა ხოლმე იმ თეოლოგიურ საკითხებზე მსჯელობა, ლექციებზე რომ ეხებოდნენ, ხოლო სემინარებზე დანვრილებით არჩევდნენ, მაგრამ გაურბოდა ისეთ საუბარს, რომელიც ძირის-ძირობამდე ჩაჰყვებოდა საქმის ვითარებას და მეცნიერებათა შორის თეოლოგიის ადგილის პრობლემას უშუალოდ შეეხებოდა, ესე იგი თავს არიდებდა სწორედ იმას, რაც ჩემი, ცოტა არ იყოს, გალიზიანებული გუნება-განწყობილებით ყველაზე არსებითი იყო. ისე კი, კაცმა რომ თქვას, ამნაირადვე იქცეოდა ლექციებზეც და თავის ამხანაგებთან – სტუდენტთა ქრისტიანული კავშირის – „ვინფრიდის“ წევრებთან. ამ კავშირში მხოლოდ და მხოლოდ გარეგანი მიზეზების გამო შევიდა და მათ სხდომებს დროდადრო მეც ვესწრებოდი, მაგრამ ამის შესახებ მოგვიანებით მოგახსენებთ. აქ კი მარტო ის მინდა გითხრათ, რომ ეს ყმანვილი კაცები, ზოგი – სწავლულებივით ფერმკრთალნი, ზოგი – გლენის ბიჭებივით ჯვანიანები, ზოგიც კიდევ – დახვეწილი გარეგნობისა, რომელთაც ეტყობოდათ, საუკეთესო აკადემიური წრებიდან იყვნენ, – ყველანი ღვთისმეტყველები იყვნენ და, როგორც ასეთნი, ღვთისნიერად და გულმხიარულად იქცეოდნენ. მაგრამ როგორ შეიძლება ღვთისმეტყველი იყო, რატომ

ირჩევ ადამიანი თანადროულ ინტელექტუალურ ვითარებაში ამ პროფესიას, თუ, რასაკვირველია, მექანიკურად არ მისდევ ოჯახის ტრადიციას, ამაზე ისინი თავს არ იმტერვედნენ, და ჩემგან უეჭველად უტაქტო ჩაცობა იქნებოდა, მათთვის დაკითხვა მომენყო. თანაც საკითხის ასე რადიკალურად დასმა ალკოჰოლით ენამოდგმულ მოქიფეთა შორის თუ არ ჩაითვლებოდა უადგილოდ და ალბათ წარმატებითაც დაგვირგვინდებოდა, მაგრამ თავისთავად გასაგებია, „ვინფრიდის“ ძმობის წევრებს სწორედ ის უპირატესობა ჰქონდათ, რომ არა მხოლოდ სტუდენტთა დუელები მიაჩნდათ სამარცხვინოდ, არამედ „კათხაში ჩახრჩობაც“. ასე რომ, მუდამ ფხი ზელნი იყვნენ და, მაშასადამე, კრიტიკულ-მემამბოხე შეკითხვებით ვერ მიუდგებოდით. მათ იცოდნენ, რომ სახელმწიფოს და ეკლესიას სასულიერო წოდების მოხელეებიც სჭირდებოდათ და ამიტომაც ემზადებოდნენ ამ სარბიელზე სამოღვაწეოდ. თეოლოგია მათთვის წინასწარ მოცემული ფაქტი იყო, — და მართლაც განა იგი ისტორიულად მოცემული არ არის?

სხვა გზა არ მქონდა, უნდა შევრიგებოდი იმას, რომ ადრიანიც ასევე ეკიდებოდა თეოლოგიას, თუმცა გული მტკიოდა, რომ სიყრმის მეგობარი იყო ჩემი და მაინც მასაც ისევე ვერ ვაცივებოდი შეკითხვებით, როგორც მის ამხანაგებს. აქედან ჩანდა, რა შორს ეჭირა ყველასგან თავი და რა დაუძლეველ წინააღმდეგობას აწყდებოდა მასთან გამინაურების მსურველი. მაგრამ განა მე არ ვიყავი, პროფესიის მისეული არჩევანი დამახასიათებელ, მრავლისმეტყველ ნაბიჯად რომ მივიჩნიე? განა მე არ დავუკავშირე ეს ამბავი კაიზერსაშერნს? ხშირად მოვუხმობდი მის სახელს შემწედ, როდესაც ადრიანის დარგის პრობლემატიკა გამანამებდა ხოლმე. ჩემს თავს ვეუბნებოდი, რომ ორივემ ჩვენი გამზრდელი ძველგერმანული საბუდრის ქუშმარიტ მვილეზად გამოვიჩინეთ თავი: მე — ვითარცა ჰუმანისტმა და მან — როგორც თეოლოგმა და როდესაც ჩვენი ახალი ცხოვრების ასპარეზს გადავაველებდი ხოლმე თვალს, მიმჩნდა, რომ იგი თუმცა გაფართოვდა, მაგრამ არსებითად კი არ შეცვლილა.

XII

ჰალეზე დიდი ქალაქი თუ არ ითქმოდა, მოზრდილად მაინც უნდა მიგვეჩინა, რადგან ორას ათასზე მეტ მცხოვრებს ითვლიდა. მაგრამ, ახალი დროის ორომტრიალის მიუხედავად, ცენტრალურ ნაწილში მაინც, სადაც ჩვენ ორივენი ვცხოვრობდით, სიძველის კეთი-

ლჰობილური ბეჭედი ჯერაც არ წარხოცოდა. ჩემი, სტუდენტურად თუ ვიტყვი, „სენაკი“ ჰანზაშტრასეზე მდებარეობდა, მორიცის ეკლესიის უკან, პატარა შუკაში, რომელიც ისევე მიყრუებული იყო, როგორც კაიზერსაშერნის ქუჩაბანდები. ხოლო ადრიანს ბაზრის მოედანზე მიეგნო სანოლისნიშანი ოთახისათვის, თავნანვეტებულ ბიურგერულ სახლში, ვილაც მოხელის ხანში შესული ქვრივისაგან, თავადაც მდგმურისაგან, ექირავებინა და იქ ცხოვრობდა მთელი ორი წელიწადი. ფანჯარა მოედანს გადაჰყურებდა, შუა საუკუნეების ქალაქის სამმართველოს შენობას, მარიენკირჰეს გოტიკას — მის დაწყვილებულ კოშკებს „ამოხვრათა ხიდის“ მსგავსი რამ აერთიანებდა. ჩანდა აგრეთვე განცალკევებით მდგარი „წითელი გოდოლი“ — აგრეთვე გოტიკური სტილის ძალზე ღირსშესანიშნავი ნაგებობა, როლანდის ქანდაკება და ჰენდელის ბრინჯაოს ძეგლი. ადრიანის ოთახი გასაძლისი თუ იყო, ოღონდ ბიურგერული ფუფუნების ოდნავი არილი მაინც დაჰკრავდა. ასეთ შთაბეჭდილებას ოთხკუთხა მაგიდაზე გადაფარებული წითელი პლუშის სუფრა ახდენდა, ზედ წიგნები რომ ელაგა და დილაობით ადრიანი რძიან ყავას შეექცეოდა. ოთახის მონყობილობა მან ნაქირავები პიანინოთი შეავსო. ზედ ახლა ნოტები ენყო ბლომად, მათ შორის მისი დაწერილებიც. პიანინოს თავზე ჭიკარტეობით გაკრული იყო არითმეტიკული გრავიურა, რომელიც ვილაც მემველმანის სავაჭროში აღმოეჩინა: ეგრეთ წოდებული მაგიური კვადრატი, იმის მსგავსი, რაც ქვიშის საათის, ფარგლის, სასწორის, მრავალნახნაგასა და სხვა სიმბოლოთა გვერდით არის გამოსახული დიურერის „მელანქოლიაზე“. როგორც იქ, ესეც არაბული ციფრებით დანომრილ თექვსმეტ უჯრად იყო დაყოფილი, თან ისე, რომ 1 მარჯვენა ქვედა უჯრაში მოდიოდა, 15 კი — მარცხენა ზედა უჯრაში, ხოლო მაგიური ანდა კურიოზული ამბავი აქ ის იყო, რომ ეს რიცხვები როგორც უნდა შეგეკრიბათ, ზევიდან ქვევით, განივად თუ დიაგონალურად, ჯამი ყოველთვის 34-ს ადგენდა. თანმიმდევრობის რა პრინციპებიდან გამომდინარეობდა ეს ერთნაირი მაგიური შედეგი, მე ვერა და ვერ ამოვიცანი, მაგრამ მარტო იმ საპატიო ადგილის წყალობითაც, რომელიც ადრიანმა მას დაუთმო საკრავის თავზე, მუდამ თვალში მხვდებოდა და მე მგონი, ერთხელაც არ ვყოფილვარ ადრიანთან ისე, რომ ამ ფურცლისთვის არ შემეხედოს, ხან გარდიგარდმო, ხან ცერად, ხანაც შეეუღლად, ზევიდან ქვევით, რათა ისე და ისე შემემონებინა ხოლმე შესაკრებთა ჯამის ფატალური უცვლელობა.

აქაც გვჩვენოდა ერთმანეთის გაცვილება, წინ და უკან სეირნობა ჩემი ბინიდან მის ბინამდე და პირიქით, როგორც ოდესღაც აფთიაქ „სულმნათ მოციქულთა“ და ბიძამისის სახლს შორის, საღამოობითაც, როცა თეატრიდან ან კონცერტიდან ან კიდევ „ვინფრიდის“ თავყრილობიდან შინ ვბრუნდებოდით, და დილაობითაც, როდესაც ერთ-ერთი ჩვენგანი უნივერსიტეტში წასვლის წინ მეორეს გამოუვლიდა და ვიდრე გზას გავუდგებოდით, ლექციების კონსპექტებს ერთმანეთს ვუდარებდით; ფილოსოფია, სავალდებულო საგანი თეოლოგიის ფაკულტეტის პირველი კურსიდან მეორეზე გადასაცემად გამოცდებზე, გახლდათ ის დარგი, სადაც ჩვენი სასწავლო პროგრამები ერთმანეთს ემთხვეოდა და ორივენი მას კოლონატო ნონენმახერთან ვისმენდით, მაშინდელი ჰალეს უნივერსიტეტის ერთ-ერთ შუქურვარსკვლავთან, რომელიც დიდი აღმაფრენითა და მახვილგონიერებით მოგვითხრობდა სოკრატემდელ ფილოსოფოსებზე, იონიელ ნატურფილოსოფოსებზე, ანაქსიმანდრეზე, ხოლო ყველაზე ვრცლად კი პითაგორაზე და ამ დროს ხშირად იშველებდა არისტოტელეს, ვინაიდან მსოფლიოს პითაგორასეული ახსნა თითქმის მხოლოდ და მხოლოდ სტაგირიტის გადმოცემით არის ცნობილი. ჩვენც გაფაციცებით ვისმენდით და ვინერდით, ყამიდან ყამზე კი თვალს შევაგვლებდით ხოლმე პროფესორის სათუთად მომღიმარ სახეს, ფაფარავით აწენილ ქალარა თმით გარემოცულს, — ვისმენდით მკაცრი და სათნო გონების კაცის ძველთაძველ კოსმოგონიურ კონცეფციას, ვინც თავისი უმთავრესი გატაცება, მათემატიკა, აბსტრაქტული პროპორცია, რიცხვი, სამყაროს შექმნისა და არსებობის პრინციპად აღამალა და ქვეყნიერების წინაშე დიადი შემართებით მდგომმა, ვითარცა მენცარმა, ვითარცა ბუნების ყოველ საიდუმლოს ზიარებულმა, პირველმა მიმართა მას, როგორც „კოსმოსს“, ანუ მოწესრიგებულ მთლიანობასა და ჰარმონიას, როგორც ზეგრძნობადად მყდერ ინტერვალთა სფერულ სისტემას. რიცხვი და რიცხვთა მიმართება როგორც ყოფიერების და ზნეობრივი ღირსების ქვაკუთხედი, — რა დიდებულად და რა საზეიმოდ ერწყმოდა აქ მშვენიერება, სიზუსტე და ზნეობრიობა ერთმანეთს ავტორიტეტის იდეად, რაც ასე აღაფრთოვანებდა პითაგორელთა დასს, ცხოვრების რელიგიური განახლების, „Autos epha“*-ს მდუმარე მორჩილებისა და უსიტყვო გამგონების ეზოტერულ სკოლას. აქ ჩემი თავი უტაქტობაში უნდა დავადანაშაულო, რადგან ამგვარი სიტყვების გაგონებაზე

*თავად (მასწავლებელმა) თქვა (გერძნ.).

უნებლიეთ ადრიანს გადავხედავდი ხოლმე, რათა მისი აზრები სახის გამომეტყველებაზე ამომეკითხა. უტაქტობად კი ჩემს ცქერას მისი უკმაყოფილო ჟესტი აქცევდა, რითაც მყისვე მპასუხობდა, წითლდებოდა და პირს მარიდებდა. გამომწვევი მზერა არ უყვარდა, თვალში თვალის გაყრას ხაზგასმით გაურბოდა, და ვერა და ვერ გამიგია, რომ მე, თუმცა კარგად ვიცოდი მისი ხასიათის ეს თავისებურება, მაინც ყოველთვის ვერ ვიკავებდი თავს და თვალს გავაპარებდი ხოლმე მისკენ. ამით ხომ ხელიდან მეცლებოდა იმის შესაძლებლობა, რომ შემდგომ ძალდაუტანებლად და საქმიანად მესაუბრა იმაზე, რაზეც ასლა მუნჯური მზერით მინდოდა მისი ყურადღება გამემახვილებინა.

სამაგიეროდ მით უფრო კარგი იყო, როდესაც ცდუნებას დავძლევდი და თავს შევიკავებდი, რასაც ის მოითხოვდა. რა საუცხოოდ ვმუსაიფობდით, ნონენმახერის ლექციიდან წამოსულები, უკვდავ მოაზროვნეზე, ვინც ათასეული წლების მანძილზე ახდენს ზემოქმედებას და ვისი ისტორიული შუანავლობის წყალობითაც პითაგორასეულ მსოფლალქმას ვიცნობთ! ალტაცებულნი ვიყავით არისტოტელეს მოძღვრებით მატერიის და ფორმის შესახებ: მატერიის შესახებ, როგორც პოტენციური, შესაძლებელი რამის შესახებ, რაც ფორმას ესწრაფვის, რათა სინამდვილედ იქცეს, ხოლო ფორმის შესახებ, როგორც უძრავ მამოძრავებელზე, რაც სულია, არსებული სული, რაც არსებულს აიძულებს სინამდვილედ იქცეს, თვით სრულ იქმნეს მოვლენაში, — მაშასადამე, როგორც ენტელექტიის შესახებ, რომელიც მარადისობის ნაწილაკია და სხეულს ცხოველმყოფლად მსჭვალავს, თავს იჩენს ორგანულში, ფორმას აძლევს მას, წარმართავს მის მოქმედებას, მის მიზანს იცნობს და ბედ-იღბალს თავზე დასტრიალებს. ნონენმახერი არისტოტელეს ამ მიგნებებზე ძალიან ლამაზად და ექსპრესიულად ლაპარაკობდა და ადრიანი მისი ნათქვამით არაჩვეულებრივად აღელვებული ჩანდა.

— თეოლოგია, — მითხრა მან, — რომ განმარტავს, სული ღვთის ბოძებულთაო, ეს ფილოსოფიურადაც სწორია, რადგან როგორც პრინციპი, რომელიც ცალკეულ მოვლენებს ფორმას ანიჭებს, იგი ნაწილია საერთოდ მთელი ყოფიერების ხალასი ფორმებისა და მომდინარეობს მარად თავის თავზე მოაზროვნე აზრიდან, რასაც „ლემეროს“ ვუნოდებთ... მე მგონი, გესმის, რას გულისხმობდა არისტოტელე ენტელექტიაში, იგი ყოველი ცალკეული არსების ანგელოზია, მისი სიცოცხლის გენიაა, რომლის გონიერ წინამძღოლობას ის ხალისით ანდობს თავს. ის, რასაც ლოცვას უწოდებენ, კაცმა რომ

თქვას, ამ ნდობის გამოცხადებაა, გამაფრთხილებელი ანდა დამწყ-
ალობნებელი ღალადისა, მაგრამ ლოცვა სამართლიანად ეწოდება,
რადგან არსებითად ღმერთს მივმართავთ.

მე მხოლოდ ამის გაფიქრებალა შევძელი: ნეტავი შენი „ანგელოზი“
კვლავაც ჭკვიანი და ერთგული გამოდგეს-მეთქი.

რა სიამოვნებით ვისმენდი ამ ლექციებს ადრიანის გვერდით!
თეოლოგიური დისციპლინები კი მაინცდამაინც არ მესხალისებოდა,
მათ სისტემატურად არ ვესწრებოდი და რასაც ვესწრებოდი, ისიც
ჩემი მეგობრის ხათრით. ზოგჯერ თუ გამოვჩნდებოდი ხოლმე,
როგორც თავისუფალი მსმენელი, რათა მთლიანად არ მოვწყვეტოდი
იმას, რითაც ადრიანი იყო დასაქმებული. თეოლოგ-სტუდენტის
სასწავლო გეგმაში პირველი წლების მანძილზე სიმძიმის ცენტრი
საღმრთო წერილის განმმართველ და ისტორიულ საგნებზე მოდის,
ესე იგი ბიბლიის შესწავლაზე და ეკლესიისა და დოგმატთა ისტორი-
აზე, სარწმუნეობისმცოდნეობაზე, შუა წლები სისტემატიკას ეთმო-
ბა, ანუ რელიგიის ფილოსოფიას, დოგმატიკას, ეთიკასა და აპოლო-
გეტიკას, ბოლოს კი მოდიან პრაქტიკული დისციპლინები,
როგორცია ლიტურგია, ქადაგება, კატეხიზმო, სულისთვის ზრუნვა
და ეკლესიასტიკა, აგრეთვე საეკლესიო სამართალი, მაგრამ
აკადემიური თავისუფლება საშუალებას აძლევს სტუდენტს ის
საგნები აირჩიოს, რომლებიც უფრო იტაცებს და ადრიანმაც დაუყ-
ოვნებლივ ისარგებლა ამ შეღავათით, დაარღვია საგანთა
კანონიკური თანმიმდევრობა და თავიდანვე სისტემატიკას დაექვე-
რა, — რასაკვირველია, იმიტომ, რომ ეს საგანი უფრო პასუხობდა მის
საერთო გონებრივ ინტერესებს, მაგრამ კიდევ იმიტომაც, რომ სი-
სტემატიკას ერენფრიდ კუმპფი კითხულობდა, მთელ უნივერსიტე-
ტში ყველაზე ენაწყლიანი პროფესორი, ვისაც წლითინლობით დიდ-
ალი სტუდენტობა ესწრებოდა, მათ შორის არათეოლოგებიც. მე
თუმცა უკვე გითხარით, ეკლესიის ისტორიას კეგელთან ვისმენდი-
მეთქი, მაგრამ მისი ლექციები მშრალი იყო და მონოტონური. კეგელი
კუმპფს ვერ შეედრებოდა.

ეს უკანასკნელი მართლაც „მაგარი პიროვნება“ იყო, როგორც
სტუდენტებმა იცოდნენ თქმა, და მეც, თუმცა არ მიყვარდა, მაინც
არ შემეძლო ხარკი არ მიმეზლო მისი ტემპერამენტისათვის, და ვერც
იმას დავიჯერებდი, რომ ადრიანს არ აღიზიანებდა მისი სიფიცხე,
თუმცა აშკარად მისთვის არასოდეს არ დაუცინია. „მაგარი“ კუმპფი
მარტო ფიზიკური აღნაგობითაც კი იყო: ტანადი, ზორბა, მსუქანი

კაცი, ფაფუკი ხელების, რიხიანი ხმისა და ბევრი ლაპარაკისაგან ოდნავ წინ გამოშვებული ქვედა ტუჩის პატრონი. მართალი გახლავთ ის ამბავი, რომ კუმპფი თავის ლექციებს დაბეჭდილი სახელმძღვანელოს მიხედვით კითხულობდა, ოღონდ მის მიერვე შეთხზულით კი. განათქმული იყო იგი ეგრეთ წოდებული „ყიამყარლობით“, რითაც უხვად ამკობდა გადმოსაცემ მასალას, თან სერთუკის კალთები უკან ჰქონდა გადანეული, მომუშტული ხელები შარვლის ჯიბეებში ჩაენწყო და ისე დააბოტებდა განიერ კათედრაზე წინ და უკან. სტუდენტები აღტაცებულნი იყვნენ მისი უშუალობით, სითამამით, სალი მხიარულებით, მოსწონდათ აგრეთვე მისი მეტყველების ფერადოვნება და არქაული სტილი. კუმპფს უყვარდა, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, სათქმელის „ცინცხალი გერმანული სიტყვებით“ გამოხატვა, „დალოცვილ ძველგერმანულ ყაიდზე, ფარისევლობისა და პირმოთნეობის გარეშე“, ესე იგი გარკვევით და დაურიდებლად, „ძარღვიანი გერმანულით“. „ხანგამოშვებითის“ ნაცვლად ის „ხანდაზმითს“ ხმარობდა, „იმედის“ ნაცვლად „სასოებას“ და ბიბლიას ისე არ მოიხსენიებდა, თუ არა როგორც „წმინდა წერილს“; როცა უნდოდა ეთქვა: „აქ რაღაც რიგზე ვერ არისო“, იტყოდა: „აქ სარეველა ურევიანო“; იმაზე, ვისაც, მისი აზრით, მეცნიერულ საკითხებში შეცდომები მოსდიოდა, დასძენდა: „ჭეშმარიტებასთან უბრად გახლავსო“, ხოლო მანკიერ ადამიანზე – „სიბილწისაგან პირუტყვივით ჰყარსო“; აჩემებული ჰქონდა ამდაგვარი გამოთქმები: „ვისაც თევზაობა უყვარს, ფეხის დასველებას არ უნდა ერიდებოდეს“ ან „ჭინჭარი ქორფაც ისუსხება“, და შეძახილებიც: „ემმაკის ფეხი!“ „ემმაკის კერძი!“ „ემმაკის ცალი!“ – ასე განსაჯეთ, „ემმაკის ნაქნარიც“ იშვიათად როდი დასცდებოდა ხოლმე პირიდან და ეს ბოლო გამოთქმა მაინც მუდამ ტაშის გრიალს იწვევდა.

თეოლოგიაში კუმპფი იმ კრიტიკულ-ლიბერალური ელემენტებით აღჭურვილი ზომიერი კონსერვატიზმის წარმომადგენელი გახლდათ, მე რომ უკვე მოგახსენეთ. ახალგაზრდობაში, როგორც ის თავის პერიპატეტიკული გადახვევების დროს მოგვითხრობდა, დიდი გაცაცებით სწავლობდა გერმანულ კლასიკურ პოეზიასა და ფილოსოფიას და ახლაც თავი მოჰქონდა, რომ შილერისა და გოეთეს ყველა „უმნიშვნელოვანესი“ თხზულება ზეპირად იცოდა. მაგრამ შემდეგ რაღაც დაემართა, რაღაც ისეთი, რაც დაკავშირებული იყო გასული საუკუნის შუა წლების გამათავისუფლებელ მოძრაობასთან, და წმინდა პავლეს მოძღვრებამ ცოდვა-მადლის განკითხვის შესახებ აიძუ-

ლა ზურგი ექცია ესთეტიკური ჰუმანიზმისათვის. ალბათ თეოლოგად უნდა იყო დაბადებული, რომ სულის ასეთი კირთება და დამასკოს გზაზე განცდილის მსგავსი ფერისცვალება ჯეროვნად შეაფასო. კუმპფი დარწმუნდა, რომ ჩვენი აზროვნებაც ნაკლოვანია და განკითხვას საჭიროებს. სწორედ ამაზე იყო დაფუძნებული მისი ლიბერალიზმი; რადგან ამან იქამდე მიიყვანა, რომ დოგმატიზმში ფარისევლობის ინტელექტუალური ფორმა დაინახა. ამრიგად დოგმათა კრიტიკამდე დიამეტრალურად საწინააღმდეგო მხრიდან მივიდა, ვიდრე ოდესღაც დეკარტი, რომელსაც ცნობიერების, cogitare-ს*, უტყუარობა უფრო მართლზომიერად მიაჩნდა, ვიდრე სქოლასტიკის ავტორიტეტები. ეს განსხვავებაა გააზრებისათვის თეოლოგიურ და ფილოსოფიურ ბრძოლაში. კუმპფმა თავისთვის ეს თავისუფლება სულის სიხალისითა და სისალით, ღმერთზე ალაღად მინდობით მოიპოვა და ჩვენც, მსმენელებსაც, ამასვე გვიზიარებდა „დალოცვილ გერმანულ ენაზე“. არა მხოლოდ ფარისევლობა და დოგმატიზმი სძულდა, არამედ მეტაფიზიკაც და მარტოოდენ ეთიკითა და შემეცნების თეორიით იყო დასაქმებული. ზნეობრიობაზე დამყარებულ პიროვნების იდეალს გვიქადაგებდა და ქვეყნის მიმართ უფრო კეთილად იყო განწყობილი, მისი სიამენით საღ ტკობას არ უარყოფდა და კულტურის ქომაგი გახლდათ, — განსაკუთრებით გერმანულისა, ვინაიდან, როგორც კი შემთხვევა მოიტანდა, მაშინვე პირნავარდნილ ნაციონალისტად გვევლინებოდა, ლუთერის ყადისა. როცა ყველაზე შეურაცხმყოფელი რამ სურდა ეთქვა ვინმეზე, იტყოდა: „ქარაფშუტა ფრანტივით ლაპარაკობსო“, რაც იმას ნიშნავდა, რომ ის ვილაც ფრანგივით აზროვნებდა და ასწავლიდა, ხოლო თუ მეტისმეტად გაჯავრებული იყო, მაშინ სახენამოჭარხლებული დაუმატებდა: „ემწაკმაც დაასკინტლოს თავზე, ამინ“. — რასაც აგრეთვე ერთი აურზაურითა და ფეხების ბრაგუნით ხვდებოდა მადლიერი აუდიტორია.

ლიბერალიზმი, რომელიც მასთან დოგმატებში ჰუმანისტურ დაექვეებას კი არა, არამედ ჩვენს მიერ მათი სწორად განმარტების უნარში რელიგიურ დაექვეებას ემყარებოდა, ხელს არ უშლიდა მას არა მხოლოდ მტკიცედ სწამებოდა ღვთის განცხადება, არამედ აგრეთვე ძალიან შინაურულად ყოფილიყო ეშმაკთან, თუშცა, რასაკვირველია, ამას შინაგანი დაძაბულებაც ახლდა. მე არც ძალმიძს და არცა მსუ-

*აზროვნების (ლათ.).

რს იმის გამოძიება, თუ რამდენად სწამდა ბოროტი სულის პერსონიფიცირებული არსებობა, ოღონდ უნდა ვთქვა, რომ საერთოდ, სადაც თეოლოგიაა, იქ ეშმაკისთვისაც მოიძებნება ადგილი და მისი რეალურად არსებობის რწმენა ღმერთის არსებობას უმაგრებს ზურგს, — განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ღვთისმეტყველება ისეთ სრულხორცოვან პიროვნებას უკავშირდება, როგორც ერენფრიდ კუმფი გახლდათ. რასაკვირველია, იოლია იმის თქმა, რომ ახალი დროის თეოლოგი ეშმაკს „სიმბოლურად“ აღიქვამს. ჩემი აზრით, თეოლოგია საერთოდ არასოდეს არ შეიძლება ახალი დროისა იყოს, რაც მას დიდ უპირატესობად უნდა ჩავუთვალოთ; ხოლო რაც შეეხება სიმბოლიკას, ვერ გამიგია, ჯოჯოხეთი უფრო რატომ უნდა მივიჩნიოთ სიმბოლოდ, ვიდრე ზეცა. ყოველ შემთხვევაში ხალხი ასე არ იქცეოდა. მისთვის ეშმაკის უხამსი, უწმინაური და ოინბაზური ხატება მუდამ უფრო ახლობელიც კი იყო, ვიდრე უზენაესი არსებისა. ხოლო კუმფი, გარკვეული აზრით, ხალხის შვილი გახლდათ. როცა ის „ცეცხლის გეჰენაზე“ ლაპარაკობდა, — ამას კი ის ხშირად იქმდა, — მაშინ არქაული ფორმის გამოისობით, თუმცა ნახევრად ირონიულად, მაგრამ ამასთანავე ეს ბევრად უფრო დამაჯერებლად უღერდა, ვიდრე უბრალოდ რომ ესხენებინა „ჯოჯოხეთი“ ახალგერმანულ ენაზე, და არავის არ ეგონა, რომ სიმბოლურად ლაპარაკობდა, ყველას მიაჩნდა, რომ „დალოცვილ ძველგერმანულ ყაიდზე“ მეტყველებდა „ფარისეულობისა და პირმოთენობის გარეშე“. ასევე იყო მაცდური სულის შემთხვევაშიც. მე უკვე ვთქვი, რომ კუმფი როგორც სწავლული, როგორც მეცნიერების კაცი, დათმობებზე მიდიოდა ბიბლიური სარწმუნოების რაციონალისტური კრიტიკის წინაშე და შიგადაშიგ მაინც ინტელექტუალური კეთილსინდისიერების სახელით ზოგ რამეს „მსხვერპლად სწირავდა“. მაგრამ არსებითად კი მიაჩნდა, რომ მაცდურმა სულმა, ბოროტმა სულმა სწორედ ქუაში იცის შეჯდომა და გონებას იშვიათად თუ ათქმევინებდა სიტყვას ისე, რომ არ დაემატებინა: „Si diabolus non esset mendax et homicida!“^{*} არ უყვარდა მავნე სულის პირდაპირ მოხსენიებაც და ან აღწერით ფორმას მიმართავდა ანდა ფონეტიკურად ამახინჯებდა მის სახელწოდებას, როგორც ეს ხალხშია მიღებული: „ეშმას“ ან „ეკმაკს“ იტყოდა, ანდა „ეშმაკეულს“, მაგრამ სწორედ სახელის წარმოთქმის ამ ნახევრად მფრთხალ, ნახევრად ხუმრობით თავის არიდებასა თუ მის შეცვლა-

^{*} „ეშმაკი ცრუ და კაცისმკვლელი რომ არ იყოს!“ [ლათ.ძ.

ში გამოსჭვიოდა მისი რეალობის ძრწოლით აღიარების ნატამალიც. ამის გარდა, უამრავი მეტსახელიც ჰქონდა მისთვის, ზოგი მოსწრებული და ზოგიც უცნაური, როგორცაა: „წმინდა ველტენი“, „კუდიანების უსტაბაში“, „ბატონი Dicis-et-noni-facis“* და „შავი კასპარუკა“, რომლებშიც ასე კვიმატად იყო გამოსახული ღმერთის მოქიშპესთან უაღრესად პირადული, მარტო ცოცხალ არსებასთან რომ შეიძლება ჰქონდეთ, ისეთი დამოკიდებულება.

ერთხელ მე და ადრიანი კუმფჰს შინ ვენვიეთ და ამის შემდეგ თვითონაც გვეპატიცებოდა ხოლმე ზოგჯერ თავისთან ვახშმად. მახსოვს, სუფრას მთელი ოჯახი უსხდა – მასთან ერთად მეუღლე და ორი ლოყებდაყლაყა ქალიშვილი, რომელთაც წყლით დასველებული თმა ისე მაგრად დაენათ, რომ ნანნავები თავიდან განზე ჰქონდათ გაფშეკილი. ერთ-ერთმა მათგანმა სუფრის საკურთხად ლოცვა წარმოთქვა, ჩვენ კი ამ დროს თავდახრილნი თეფშებს დაცვქეროდით მოკრძალებით, შემდეგ კი ოჯახის უფროსი მაღიანად შეუდგა ქამასმას, ნიშნად და მისაბაძ მაგალითად იმისა, რომ ამქვეყნიურ სიამეთა და ჯანსალი კულტურული განცხრომის მოწინააღმდეგე არ იყო, თან გულისნადებს გვიზიარებდა, რალას არ შეეხო: ღმერთსა და სამყაროს, ეკლესიას, პოლიტიკას, უნივერსიტეტს, ასე განსაჯეთ, ხელოვნებასა და თეატრსაც კი. აშკარად ლუთერის სუფრულ სიტყვებს ბაძავდა. გზადაგზა ჩვენც დაბეჯითებით მოგვინოდებდა, მხნედ აგვება მისთვის მხარი და არ უგულებელგვეყო ღვთით მომადლებული ძღვენი – შემწვარი ბატკნის ფეხი და არომატული მოზელვანი. ბოლოს, ჩაროზად ტკბილეულის მირთმევის შემდეგ, ჩვენდა გასაოცრად კედლიდან გიტარა ჩამოიღო, სკამი სუფრიდან უკან გააჩოჩა, ფეხი ფეხზე გადაიდო, სიმები ააყლრიალა და მქუხარე ხმით მოაყოლა სიმღერები: „მენისქვილეს აქეთ-იქით ხეტიალი უყვარდა“, „ლიუცომ რომ მტერი მაგრად იფრინა“, „ლორელიაი“ და „Caudeamus igitur“. ამას აუცილებლად უნდა მოჰყოლოდა და მოჰყვა კიდევ: „ღვინო, სამღერა, ქალები, ვინც არ ჩააგლო არად, ბრიყვად დარჩება მარად“. თან, ჭექდა რა ამ სიტყვებს, ჩვენს დასანახად წელზე ხელი მოჰხვია თავის ჩამრგვალებულ ცოლს, მერმე ფაფუკი სალოკი თითი სასადილო ოთახის ბნელი კუნჭულისაკენ გაიშვირა, სადამდე სუფრის თავზე ჩამოკიდებული აზაყურიანი ლამპიდან შუქი თითქმის ვერა სწვდებოდა, და მქუხარე ხმით შესძახა:

*„ამომ და კი არა იქმ“ (ლათ.).

– უყურეთ! იქა დგას, კუთხეში, მქირდავი სული, კუდიანი ალანო-
და, გლოვისა და ჭირის სათავე. ვერ აუტანია, რომ ღვთის შენევნით
სუფრასთან ვსხედვართ, ვილხენტ და ვმღერით! მაგრამ ვერაფერს
დაგვაკლებს ბოროტებისა და სიავის გუდა, თავისი ცბიერი, ცეცხლ-
ოვანი ისრებით! განვედ!

თან ხელით ფუნთუშას დასწვდა და წყვილით მოცულ კუთხეში
ისროლა. ამ შეტაკების შემდეგ კვლავ სიმებს ჩამოჰკრა ხელი და და-
ამღერა: „ვისაც ლხენით ხეტიალი უნდა მართლაც“.

საშინელი სანახავი იყო და დარწმუნებული ვარ, ადრიანიც ასე
ალიქვამდა ამას, მაგრამ სიამაყე ნებას არ აძლევდა თავისი მასწა-
ვლებელი გაეკიცხა. ოღონდ ეს კია, რომ ეშმაკთან ორთაბრძოლის
შემსწრენი ქუჩაში რომ გამოვედით, მაინც სიცილისაგან ჩაბჭირდა
და მე როდის-როდის შივეძელი მისი დამშვიდება, სიტყვის ბანზე აგ-
ლებით.

XIII

მე ორიოდ სიტყვით უნდა მოვიხსენიო კიდევ ერთი ჩვენი მასწა-
ვლებელი, ვისი ხატებაც უცნაური ორაზროვნების გამო უფრო
ღრმად აღმებეჭდა მეხსიერებაში, ვიდრე დანარჩენებისა. ეს გახლ-
დათ პრივატდოცენტი ებერჰარდ შლეუფუსი, იმხანად ორი სემესტ-
რის განმავლობაში *venia legendi** რომ კითხულობდა ლექციებს ჩვე-
ნთან, შემდეგ კი თვალს მიეფარა, სახელდობრ, რა იქნა, არ ვიცი.
შლეუფუსი საშუალო სიმაღლისა ძლივს იქნებოდა. გამხდარ ტანზე
მუდამ შავი ლაბადა ესხა, რაც ჰალტოს მაგივრობას უწევდა და
ყელთან ლითონის ძენკვით ჰქონდა შეკრული. თავზე ფეტრის რბილი,
ფართო და გვერდზე აკეცილფარფლებიანი შლაპა ეხურა, რომლის
მოყვანილობაც იეზუიტების თავსაბურს მოგაგონებდათ, და
რომელსაც, როცა ქუჩაში სტუდენტები მივესალმებოდით, ერთი ამ-
ბით მოიხდიდა ხოლმე და გვეტყოდა: თქვენი უმორჩილესი მსახურო!
ჩემი აზრით, სიარულისას ის ცალ ფეხს მართლაც ითრევდა**, მაგ-
რამ სხვები არ მეთანხმებოდნენ და მეც ყოველთვის როდი ვამჩნევდი,
ამიტომ აღარც მე ავიხირებ და ვამჯობინებ ეს ამბავი მისა გვარის
არაცნობიერ ზემოქმედებას მივანერო, – ამგვარ ვარაუდს მეტ-ნა-

*აქ – როგორც უნივერსიტეტში ლექტორად დაშვებული (ლათ.).

**შლეუფუსი გერმანულად „ფეხათრეულს“ ნიშნავს (მთარგმნ. შენიშვნა).

კლებად მისი ორსაათიანი ლექციების ხასიათიც ადასტურებდა. ზუსტად არ მახსოვს, როგორ იხსენიებოდა მის მიერ წაკითხული კურსი ლექციების ცხრილში. თემატიკის მიხედვით, რომელიც არცთუ ისე მკაფიოდ იყო გამოკვეთილი, „რელიგიის ფსიქოლოგია“ უნდა რქმეოდა და, ვგონებ, მართლაც ასე იწოდებოდა, ფაკულტატური საგანი გახლდათ, გამოცდა არ ბარდებოდა და მხოლოდ ერთი მუჭა ინტელექტუალური, ცოტა თუ ბევრად რევოლუციურად განწყობილი სტუდენტები ესწრებოდნენ, სულ ათი-თორმეტი კაცი. სხვათა შორის, მე მუდამ მიკვირდა, რომ უფრო მეტნი არ ესწრებოდნენ, რადგან შლეპფუსი საკმაოდ საინტერესოდ კითხულობდა და სტუდენტთა უფრო ფართო წრეებში უნდა აღეძრა ცნობისმოყვარეობა. აქ ერთხელ კიდევ მტკიცდება ის ამბავი, რომ პიკანტურიც კი ნაკლებად პოპულარული ხდება, როდესაც ერთობ დახვეწილია.

მე უკვე ვთქვი, რომ თეოლოგია თავისი ბუნების გამოისობით დემონოლოგიისაკენ იხრება და გარკვეულ გარემოებათა არსებობისას ხომ აუცილებლად უნდა გადაიხაროს და გადაიხაროს. შლეპფუსი ამის მაგალითი გახლდათ. თუმცა ერთობ პროგრესული და ინტელექტუალური ყაიდისა კი, ვინაიდან სამყაროსა და ღმერთის მისეული აღქმა ფსიქოლოგიურად დასაბუთებული იყო და ამდენად აკმაყოფილებდა თანადროულ, მეცნიერულ სულისკვეთებას, საამურიც კი ხდებოდა. ამას ხელს უწყობდა ლექტორის მიერ მასალის მოწოდების მანერაც, რომელიც მთლიანად ახალგაზრდობაზე ეფექტის მოსახდენად იყო გამიზნული. ლაპარაკობდა ლალად, გარკვევით, ძალდატანებისა და პაუზების გარეშე, თითქოს დასაბეჭდად გამზადებულ ტექსტს კითხულობსო, ოდნავ ირონიულად შეფერილი გამოთქმებით, — კათედრიდან კი არა, არამედ სადმე კუნჭულში მიმჯდარი, რიკულებს მიყრდნობილი; ხელები მუდამ მუხლებზე ეწყო, თითის წვერებს ერთმანეთს შეანებებდა და ცერებს მაღლა აიშვერდა, შუაზე გაყოფილი წვერი ლაპარაკის დროს უცანცარებდა, ხოლო ანკეპილ უღვაშებს ქვემოთ ნამსხვრევებივით ბასრი კბილები უჩანდა. პროფესორ კუმპფის ალალი ქიშპობა ეშმაკთან ბავშვური თამაში იყო იმ ფსიქოლოგიურ რეალობასთან შედარებით, რომელსაც შლეპფუსი მარად დამანგრეველ სულს ანიჭებდა, ამ პერზონიფიცირებულ ღვთისგან კანდგომას, ვინაიდან იგი ღვთაებრიობას, თუ შეიძლება ასე ითქვას, დრალექტიკურად უკავშირებდა მკრეხელურ უარყოფას, ემპიროსს — ჯოჯოხეთს, და უწმინდურებას სინძინდის აუცილებელ და თანდაყოლილ მსხლებლად აცხადებდა,

ხოლო სინმინდეს — სატანის მიერ მარად ცდუნების ობიექტად, — შერყვნილ უნდა იქმნესო, — თითქმის ამგვარ დაუძლეველ მოწოდებად.

ამას ის ამტკიცებდა რელიგიური თვალსაზრისით კლასიკური ეპოქის სულიერი ცხოვრების მაგალითზე, შუა საუკუნეების, განსაკუთრებით კი შუა საუკუნეების მინურულის ქრისტიანობის მაგალითზე, როდესაც სრული თანხმობა სუფევდა სასულიერო სამსჯავროსა და დამნაშავეს შორის, ინკვიზიტორსა და კუდიანს შორის, ღვთისაგან განდგომის, ეშმაკთან კავშირის დადების, დემონთა მარაქაში მკრეხელური გარევის შეფასებაში. თვით უწმინდესი პოსტულატი აღძრავდა ბილნსიტყვაობას, — უბინო მუცლადღების შეგინების ყინი ასრულებდა არსებით როლს, მთავარსაც კი, რაც იმ მეტსახელშიც ვლინდება, ღვთისგან განდგომილები წმინდა ქალწულს რომ იხსენიებდნენ: „თედოსრული“, ანდა უსაშველოდ ურცხვ შენიშვნებში, ბინძურ ოხუნჯობაში, რომელთაც მათ საიდუმლო ზიარებისას ეშმაკი მალულად დააცდენინებდათ ხოლმე და მუხლებზე ხელებდანყობილი დოქტორი შლეპფუსი ჩვენთან სიტყვასიტყვით იმეორებდა, რაზეც პირადად მე თავს ვიკავებ, რადგან ვისიმე გემოვნება არ მინდა შევებლადო, თუმცა მას კი არ ვუკიჟინებ, რომ ამ გარემობას ანგარიშს კი არ უწევდა, არამედ მეცნიერებას სდებდა პატივს. ოღონდ საკვირველი იყო, რა გულმოდგინედ ინერდნენ სტუდენტები ყოველივე ამას თავიანთ მუშამბისყდიან რვეულებში. შლეპფუსის მიხედვით გამოდიოდა, რომ ბოროტება, და თვით გაპიროვნებული ბოროტი სულიც კი, აუცილებლობით გამომდინარეობს ღვთის წმინდათანმინდა არსებობიდან, მისი განუყრელი კუთვნილებაა. ისევე როგორც მანკიერებაც თავისთავად კი არ არსებობს, არამედ სიქველის შებლაღვის ყინში იღებს სათავეს, ურომლისოდაც მას საყრდენი გამოეცლებოდა, ან სხვაგვარად რომ ვთქვა, იგი თავისუფლებით ტკბობაში გამოიხატება, ესე იგი ცოდვის ჩადენის შესაძლებლობაში, რაც სამყაროს შექმნიდანვე ორგანულად თან დაჰყვა.

ამაში ღვთის ყოვლისშემძლეობისა და სიკეთის ერთგვარი ლოგიკური არასრულყოფილება გამოსჭვიოდა, რადგანაც მან ვერ შეძლო თავისი ქმნილებისათვის, ანუ იმისათვის, რაც მისგან წარმოიშვა და ახლა მის გარეთ არსებობდა, ცოდვის არ ჩადენის უნარი მიენიჭებინა. ეს იგივე იქნებოდა, რომ შექმნილისათვის თავისუფალი ნება წაერთმია — ღვთისგან განდგომის არჩევანი, მაშინ ხომ ქმნილება არასრულყოფილი იქნებოდა, კაცმა რომ თქვას, საერთოდ არავითარი ქმნილებაც არ იქნებოდა, ღმერთთან საკუთარი მიმართების

გარეშე. ღმერთის ლოგიკური დილემა ის გახლდათ, რომ მას ძალა არ შესწევდა თავისი ქმნილებისათვის, ადამიანისა და ანგელოზებისათვის, ერთსა და იმავე დროს არჩევანის დამოუკიდებლობა, ანუ თავისუფალი ნებელობა და ცოდვის არ ჩადენის ნიჭი ებოძებინა. მაშასადამე, სათნოება და სიქველვა ის, თუ თავისუფლებას, რომელიც ღმერთი იძულებული იყო თავისი ქმნილებისათვის, როგორც ასეთისათვის, აუცილებლად მიენიჭებინა, კეთილად მოიხმარ, ანუ საერთოდ არ მოიხმარ. შლეპფუსისათვის რომ ყური დაგეგდოთ, თავისუფლების ამგვარი არ გამოყენება ღვთისაგან ნებისყოფით დაჯილდოებული ქმნილების ექსისტენციურ მოდუნებას, ყოფიერების ინტენსიობის შემცირებას გამოიწვევდა.

თავისუფლება! რა უცნაურად ჟღერდა ეს სიტყვა შლეპფუსის პირიდან! რა თქმა უნდა, რელიგიურ ჰანგზე, რადგან თეოლოგის პოზიციიდან ლაპარაკობდა და არცთუ ათვალწუნებით ახსენებდა თავისუფლებას, პირიქით, გახაზავდა იმ დიდ მნიშვნელობას, რასაც ღმერთი ალბათ აძლევდა მას, თუკი არჩია ადამიანები და ანგელოზები ცოდვისაგან დაზღვეულნი არ ყოფილიყვნენ, ვიდრე მათთვის თავისუფლებაზე უარი ეთქვა. კეთილი და პატიოსანი, მაშ თავისუფლება თანდაყოლილი უცოდველობის საპირისპირო ცნება გამოდიოდა, თავისუფლება ნიშნავდა ნებაყოფლობით ღვთის ერთგულებას ანდა დემონებთან ავანჩავანობასა და ზიარების უამს ამაზრზენი რალაცების დუდღუნს. ეს გახლდათ რელიგიის ფსიქოლოგიით ნაკარნახევი დეფინიცია. მაგრამ თავისუფლებას ხომ სხვა, შესაძლოა, ნაკლებად განსულიერებული, მაგრამ არცთუ ერთუზი-აზმს მოკლებული მნიშვნელობით, არაერთხელ შეუსრულებია როლი ცალკეულ ხალხთა ცხოვრებასა და ისტორიულ ბრძოლებში. გარკვეულ როლს თამაშობს ის ახლაც, როდესაც მე ადრიან ლევერკიუნის ცხოვრების მატჩანეს ვწერ, — ამჟამად მძვინვარე ომში, და როგორც მე მარტოსულს მგონია, ჩვენი გერმანელი ხალხის სულისკვეთებასა და ფიქრებში, ვისაც თავზე ხელაღებულმა თვითნებობის ბატონობამ, შესაძლოა, პირველად მის სიცოცხლეში, ბუნდოვნად მაინც აგრძნობინა თავისუფლების ყადრი. მაგრამ ჩვენ მაშინ აგრერიგად არ გვადარებდა თავისუფლების საკითხი; როცა სტუდენტები ვიყავით, იგი ასე მწველი არ იყო, ან ჩვენ გვეჩვენებოდა, რომ არ იყო და ამიტომ დოქტორ შლეპფუსს შეეძლო ეს სიტყვა იმ მნიშვნელობით განეხილა, რომელიც კურსის ფარგლებში სჭირდებოდა, თავისუფლების სხვა განმარტებისათვის კი გვერდი აველო.

ნეტავი მარტო ასეთი შთაბეჭდილება მიმეღო: სხვა განმარტებებს გვერდს უვლის-მეთქი, თავის რელიგიურ-ფსიქოლოგიურ თვალსაზრისში ჩაძირულს დანარჩენი ავინყდება-მეთქი, მაგრამ მე ისეთი გრძნობა მქონდა აქვიატებული, რომ მას დიახაც ახსოვდა ისინი და თავისუფლების მისეული თეოლოგიური განსაზღვრა აპოლოგეტურად და პოლემიკურად წამახვილებული იყო, მიმართული „უახლესი“ ანუ უფხო, მაგრამ იმხანად გასავლის მქონე იდეების წინააღმდეგ, რომელთაც მსმენელები, შესაძლოა, უკავშირებდნენ თავისუფლების ცნებას. აბა, ნახეთ, — თითქოს უნდოდა ეთქვა ჩვენთვის, — ეს სიტყვა ჩვენც გაგვაჩნია, ჩვენს განკარგულებაშიც არის, არ გეგონოთ, რომ მხოლოდ თქვენს ლექსიკონშია და მარტოოდენ თქვენ განმარტავთ მას გონივრულად. თავისუფლება დიადი რამ გახლავთ. სამყაროს შექმნის აუცილებელი პირობაა, — ის არის, რამაც ღმერთს ხელი შეუშალა მისგან განდგომისაგან დავეცავით. თავისუფლება — ცოდვის ჩადენის თავისუფლებაა, ხოლო სათნოება კი — ღვთის სიყვარულის გამო, იმის სიყვარულის გამო, ვინც იძულებული იყო ჩვენთვის თავისუფლება მოეცა, ამ თავისუფლების გამოუყენებლობაა.

ასე გამოდიოდა, ცოტათი ტენდენციურად, ცოტათი ანჩხლად, თუ, რასაკვირველია, ეს ყველაფერი მე არ მეჩვენებოდა. მოკლედ, ეს ამბავი მაღიზიანებდა. მე არ მიყვარს, როდესაც ვინმე ყველაფერს იჩემებს, მოწინააღმდეგის სიტყვას აიტაცებს, გადააბრუნებს და ცნებათა აღრევას გამოიწვევს. დღესდღეობით ამას ძალზე გაბედულად სჩადიან და სწორედ ამის გამო ვარჩიე კარჩაკეტილი ცხოვრება. არის ხალხი, ვისაც ხმა არ ამოელება თავისუფლებაზე, გონიერებაზე, ჰუმანურობაზე, ჰიგიენური მოსაზრებით მათ უნდა თავი გაანებონ ამაზე ქაქანს. მაგრამ შლეპფუსი სწორედ ჰუმანურობაზეც ლაპარაკობდა — რასაკვირველია, „სარწმუნოების კლასიკურ საუკუნეთა“ ყაიდაზე, რომელთა სულისკვეთებას თავის ფსიქოლოგიურ მსჯელობათა ბალავრად იყენებდა. აშკარა იყო, ჩვენთვის უნდოდა ჩაეგონებინა, რომ ჰუმანურობა თავისუფალი სულის მიერ გამოგონილი კი არ არის, რომ ეს იდეა მხოლოდ მას კი არ ეკუთვნის, არამედ იგი მუდამ არსებობდა და რომ, მაგალითად, ინკვიზიციის საქმიანობას ყოვლად გულის ამარწყებელი ჰუმანურობა აღაფრთოვანებდა. ერთი ქალიო, — ჰყვებოდა ის, — იმ „კლასიკურ“ ეპოქაში შეიპყრეს, გაასამართლეს და კოცონზე დასწვეს, რადგან სრული ექვსი წელიწადი ერთ ინკუბუსთან ჰქონდა კავშირი, თანაც მძინარე ქმრის გვერდით, კვირაში სამჯერ, უპირატესად კი წირვა-ლოცვის

ჟამს. ეშმაკთან პირობა ჰქონდა დადებული, რომ შვიდი წლის თავზე სულითაც და ხორციითაც მთლიანად მისი იქნებოდა. მაგრამ იღბლიანი გამოდგა, დათქმული ვადის გასვლას ცოტალა უკლდა, რომ ღმერთმა მადლი მოისხა და ქალი ინკვიზიციას ჩაუგდო ხელში და მანაც „მცირედი შეჭირვებით“ დაკითხვისთანავე პირწმინდად აღიარა ყოველივე და ისე გულის ამაჩუყებლად მოინანია, რომ უფალმა, როგორც ჩანს, შეინყალა კიდეც. დიაცი ხალისით შეეგება სიკვდილს, ხაზგასმით განაცხადა რა, რომ თუნდაც თავის დაღწევა შესძლებოდა, მაინც კოცონზე დანვას არჩევდა დემონის მარწუხებში ყოფნას, იმდენად ამაზრზენი შეიქმნა მისთვის სამარცხვინო ცოდვით ნაბილწული ცხოვრება. მაგრამ კულტურის რა მშვენიერ მთლიანობაზე ლაღადებდა ეს ჰარმონიული თანხმობა მოსამართლესა და დამნაშავეს შორის, რა ადამიანური გულთბილობა გამოსჭვიოდა იმით მოგვრილი შევებიდან, რომ უკანასკნელ წამს დიაცის სული ეშმაკს გამოჰგლიჯეს კოცონზე დანვის გზით და წაწყმედას გადაარჩინეს!

აი ასეთ რაღაცებს გვიამბობდა შლეჟფუსი და ცდილობდა არა მხოლოდ ის დაგვენახა, რა შეიძლება ჰუმანურობა იყოს, არამედ ისიც, რაც ის არსებითად არის. სრულიად ამო იქნებოდა აქ სხვა სიტყვა გვეხმარა თავისუფალი სულის ლექსიკონიდან და უსა-შველო ცრუმორწმუნეობაზე გველაპარაკა. შეჰფუსიც იყენებდა ამ სიტყვას, მაგრამ „სარწმუნოების კლასიკურ საუკუნეთა“ გაგებით, რომლისთვისაც უცნობი სულაც არ გახლდათ ეს ცნება. აბსურდული ცრუმორწმუნეობით იყო შეპყრობილი ინკუბუსთან დაკავშირებული დიაცი და არა ვინმე სხვა. ვინაიდან ღმერთს განუდგა, სარწმუნოებას განუდგა, და ეს ცრუმორწმუნეობა იყო. ცრუმორწმუნეობა დემონებისა და ინკუბუსების რწმენას კი არ ნიშნავდა, არამედ ზოგი რომ თავისდა ჭირად მათ მხარს აუბამს და მათგან გამოელის იმას, რასაც მარტო ღმერთისგან უნდა მოველოდეთ. ცრუმორწმუნეობა ნიშნავდა ადამიანთა მოდგმის მტრის ჩურჩულისთვის ყურის დაგდებას, მისი ფანდების გულდანდობით აყოლას. ეს ცნება მოიცავდა ბნელი ძალების გამოძახებას, მაგიურ სიმღერებსა და შელოცვებს, ბოროტმოქმედ კუდიანობას, ყოველგვარ ჯადოქრულ მანკიერებასა და სიავეს, *flagellum haereticorum fascinariorum*-ს*, *illusiones daemonum*-ს**. ასე შეიძლებოდა „ცრუმორწმუნეობის“ ცნების განსაზღვრა და ასეც განისაზღვრებოდა. ჰოდა; განა საინტერესო არ იყო

*ერეტიკოს ფანატიკოსთა მათრახს (ლათ.).

**დემონურ ცდუნებებს (ლათ.).

იმის თვალყურის დევნება, როგორ იყენებს ადამიანი სიტყვებს, როგორ აზროვნებს?!

რასაკვირველია, ბოროტებასა და სინმინდე-სიკეთეს შორის დიალექტიკური კავშირი მნიშვნელოვან როლს ასრულებდა თეოლოგიაში, ღვთის არსებობის გამართლებაში ქვეყნად ბოროტების არსებობით, რასაც შლეპფუსის ლექციების კურსში დიდი ადგილი ეთმობოდა. ბოროტებას წვლილი შეჰქონდა სამყაროს სრულყოფილებაში, უიმისოდ სამყარო სრულყოფილი არ იქნებოდა. ამიტომაც იყო, რომ ღმერთმა მისი არსებობა დაუშვა, რადგანაც თვითონ სრულყოფილი იყო და სრულყოფილება უნდა სურვებოდა, — სრულქმნილი სიკეთის გაგებით კი არა, არამედ არსებობის მრავალმხრივობისა და ნაირგვარობის გამძაფრების თვალსაზრისით. ბოროტება ბევრად ბოროტი ხდებოდა სიკეთის არსებობით, ხოლო სიკეთე ბევრად მშვენიერი — ბოროტების არსებობით. დიახ, ისიც კი შესაძლებელი იყო, — თუმცა ეს საკამათო გახლდათ, — რომ ბოროტება საერთოდ ბოროტება არ იქნებოდა, სიკეთე რომ არ არსებულყო, ხოლო სიკეთე კი საერთოდ სიკეთე არ იქნებოდა, ბოროტება რომ არ არსებულყო. ავგუსტინე მაინც იქამდე მივიდა, რომ თქვა: სიავის ფუნქცია სიკეთის უფრო მკაფიოდ წარმოჩენაშია, რომელიც სიავესთან შედარებისას უფრო მოსაწონი და საქებარი ხდებაო. ოღონდ ეს კია, რომ ამ საკითხში თომიზმმა პროფილაქტიკური შესწორება შეიტანა: სახიფათო იქნება, თუ ვინმე უნებ, ღმერთს სურს ბოროტება ხდებოდესო. ღმერთს არც ეს სწადია და არც ის, რომ ბოროტება არ ხდებოდეს. ნდომისა და არნდომის გარეშე იგი ბოროტებას არსებობის ნებას რთავს და ეს კი სრულყოფილებას უწყობს ხელს. მაგრამ შეცდომა იქნებოდა იმის მტკიცება, რომ ღმერთი ბოროტებას სიკეთის გულისათვის უშვებს, ვინაიდან სიკეთედ იმის გარდა არაფერი არ შეიძლება ჩაითვალოს, რაც „სიკეთის“ იდეას თავისთავად შეესაბამება და არა ის, რაც მხოლოდ შედარების გზით შეიძლება დადგინდესო.

— რაც უნდა იყოს, — გვეუბნებოდა შლეპფუსი, — აქ აუცილებლად ჩნდება აბსოლუტური სიკეთისა და მშვენიერების პრობლემა, სიკეთისა და მშვენიერებისა, ბოროტებასა და სიმახინჯესთან მიმართების გარეშე, — შეფარდების გარეშე არსებული ხარისხის პრობლემა. სადაც შედარება გამოირიცხულია, — განაგრძობდა ის, — იქ მასშტაბიც აღარ გაგვაჩნია და აღარ ძალგვიძს სიმძიმესა და სიმსუბუქეზე, სიდიდესა და სიპატარავეზე მსჯელობა. ასეთ შემთხვევაში სიკეთეცა

და მშვენიერებაც ხარისხს მოკლებულ ყოფიერებამდე დავიდა, რაც ძალიან ჰგავს არ არაებობას და ალბათ არაფრით არ აღემატება მას.

ჩვენც ჩვენს მუშაობისყდიან რვეულებში ვინერდით ამას, რათა მეტ-ნაკლებად ნუგეშცემულებს შინ ნაგველო. ღმერთის ჭეშმარიტი გამართლება სამყაროს სავალალო არასრულყოფილების წინაშე, – ვურთავდით შემდეგ შლეპფუსის კარნახით, – შეადგენს მისი უნარი ბოროტებიდან სიკეთე წარმოშვას. ეს თვისება, ღვთისდა სადიდებლად, საქმით დამტკიცებას საჭიროებს და ისე ვერ გამოვლინდებოდა, თუ უფალი თავის ქმნილებას ცოდვაში არ ჩააგდებდა. მაშინ სამყაროს ის სიკეთე მოაკლდებოდა, რასაც უფალი ბოროტებიდან, ცოდვიდან, ტანჯვა-ზაგზიდან და მანკიერებიდან აღმოაცენებს და, მაშასადამე, ანგელოზებს ნაკლები საფუძველი ექნებოდათ მის სადიდებლად გალობისათვის. ოლონდ ისიც მართალია, რომ, როგორც ისტორია განუწყვეტილვ გვასწავლის, პირიქითაც ხდება, სიკეთიდან ბევრი ბოროტებაც წარმოიშვება, ასე რომ, ღმერთს, რათა ასეთი რამ თავიდან აეცილებინა, სიკეთეც უნდა აღეგავა და საერთოდ ქვეყნიერების არსებობაც არ დაეშვა. ეს კი ეწინააღმდეგებოდა მისი, როგორც შემოქმედის, არსს. ამიტომ მან ქვეყნიერება ისეთი შექმნა, როგორიც არის სახელდობრ, ბოროტებით გამსჭვალული, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, – დემონურ ძალებს მიანდო ნაწილობრივ.

კაცი ვერ გაიგებდი, შლეპფუსი თავის საკუთარ თვალსაზრისს გვიზიარებდა, თუ მარტოოდენ სარწმუნოების კლასიკურ საუკუნეთა ფსიქოლოგიას გვაცნობდა. ისე კი, რასაკვირველია, რა ღვთისმეტყველი იქნებოდა, თუ კეთილად განწყობილი არ იქნებოდა ამ ფსიქოლოგიისადმი. მე დიახაც მიკვირდა, რომ მისი ლექციები ყმანვილკაცობას უფრო არ იზიდავდა. ხოლო მიზეზი იმისა, თუ რატომ მიკვირდა, ის გახლდათ, რომ ყოველთვის, როცა კი იგი ადამიანის ცხოვრებაზე დემონთა ძალაუფლებას ეხებოდა, მის მსჯელობაში მთავარი ადგილი სქესის საკითხს ეჭირა. ან სხვაგვარად როგორ შეიძლებოდა ყოფილიყო? ამ სფეროს დემონური ხასიათი კლასიკური ფსიქოლოგიის ძირითადი შემადგენელი ნაწილი იყო, მისთვის სქესი დემონთათვის საამურ სათარეშო ასპარეზს წარმოადგენდა, ღვთის მოქმეპისათვის, ადამიანის მტრისა და დამლუპველისათვის მარჯვე დასაყრდენი იყო. ვინაიდან ღმერთმა მამაკაცისა და დედაკაცის ერთად შეყრისას ეშმაკეულ ძალას უფრო მეტი გასაქანი მიანიჭა, ვიდრე ადამიანის სხვა რომელიმე საქციელის დროს: არა მხოლოდ მათი შეუღლების და მუცლადლების გარეგნული უხამსობის გამო, არამედ

უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ პირველი მამის სააუგო მოქმედება მემკვიდრეობით ცოდვად გადაეცა მთელ კაცობრიობას. სქესობრივი აქტი, არაესთეტიკური, ამაზრზენი დამლით აღბეჭდილი, მემკვიდრეობითი ცოდვის გამოვლენა და განსახიერება იყო. ამიტომ განაგასაკვირია, რომ ეშმაკს სწორედ აქ ჰქონდა ხელ-ფეხი ყველაზე უფრო გახსნილი. ამოდ როდ უთხრა ანგელოზმა ტობიას: ვინც მრუშობას მისდევს, ეშმაკის კერძი ხდებაო, ვინაიდან დემონთა ძალა ადამიანის თეძოებში იყო მოქცეული და მათ გულისხმობდა, როდესაც მახარობელმა ამდაგვარი რამ თქვა: თუ მძლე აბჯროსანი იცავს თავის სასახლეს, მშვიდობა სუფევს მის სავანეში. რასაკვირველია, ეს სქესობრივი ლტოლვის მიმართ გახლდათ ნათქვამი. ამგვარ საიდუმლო სიტყვა-თქმებში მუდამ ეს მნიშვნელობა მოისმოდა და სათნოების ფხიზელ სმენას შეუმჩნეველი არა რჩებოდა, სწორედ ამგვარად აღიქვამდა.

ოლონდ გასაოცარი ის იყო, მუდამ რა სუსტი აღმოჩნდებოდა ხოლმე ღვთისნიერთა მიმართ ანგელოზთა საყარაულო სამსახური, იმდენად მაინც, რადენადაც საქმე „მშვიდობას“ შეეხებოდა. წმინდა მამათა ცხოვრების წიგნი აღსავსე იყო ცნობებით იმის შესახებ, რომ თუმცა ისინი მედგრად ეურჩებოდნენ ხორციელ ვნებას, მაინც დაუჯერებლად ხშირად აუტანია ისინი დიაცთან შეყრის ცდუნებას. „...მომცა მე საწერტელი ხორცთაი, ანგელოზ სატან, რაითა დამქეჯნიდეს მე“, – აღიარებს პავლე კორინთელთათვის გაგზავნილ ეპისტოლეში, და თუნდაც ამის დამწერი, შესაძლოა, სხვა რამეს გულისხმობდა, ბნედას ანდა სხვა რამ ამის მსგავსს, სათნოება მარცხ თავისებურად განმარტავდა ამ ადგილს და საბოლოო ჯამში ალბათ მართებულადაც, რადგან ალლო როდი ღალატობდა, როდესაც გონების ცდუნებას ქვეშეცნეულად ხორციელი ნადილის დემონს უკავშირებდა. ოლონდ ეს კია, რომ ცდუნება, რომელსაც სათნონი უძალიანდებოდნენ, შეცოდება კი არ იყო, არამედ მხოლოდ და მხოლოდ მათი სიქველის გამოცდა. და მაინც ცდუნებისა და ცოდვის გამიჯვნა ძნელი ამბავი გახლდათ, ვინაიდან განა პირველი უკვე ცოდვის აზვირთებას არ მოასწავებდა ჩვენს სისხლში და განა ხორციელ ნადილში უკვე სიავისაკენ ლტოლვაც არ გამოსჭვიოდა? აქ კვლავ კეთილისა და ბოროტის დიალექტიკური მთლიანობა იჩენდა თავს, წმინდანობა ცდუნების გარეშე წარმოუდგენელია და ამიტომ იმითი იზომებოდა, რამდენად საშინელი იყო ცდუნება, რამდენად დიდი იყო ადამიანში ცოდვის ჩადენის პოტენციალი.

მაგრამ ვისგან მოდიოდა ცდუნება? ვინ უნდა შეეჩვენებინათ ამის გამო? პასუხის გაცემა ძნელი არ იყო: ეშმაკისაგან მოდიოდა. ის გახლდათ წყარო ბოროტებისა, ოღონდ შერისხვით კი, მისი იარაღი იყო შერისხული, მაცდური ქმნილება, დიაცი, თუმცა უნდა ითქვას ისიც, რომ დიაცივე იყო სინმინდის სამარჯვიც, რადგან სინმინდე შეცოდევის მძვინვარე ჟინის გარეშე არ არსებობდა. მაგრამ ამას ქალს როდეს უმაღლიდნენ. საოცარია და ამასთანავე უაღრესად დამახასიათებელიც, რომ თუმცა ადამიანი, ორივე სახით, სქესობრივი არსებაა და თუმცა თქმა: გვამში დემონი ჰყავს ჩასახლებულიო, — უფრო მამაკაცზე შეიძლებოდა, ვიდრე დედაკაცზე, მაინც მთელ სააუგო ხორციელებასა და სქესობრივი ინსტინქტის მონურ მორჩილებას მთლიანად ქალს მიაწერდნენ. ასე რომ, ამგვარი გამონათქვამიც კი გაჩნდა: ღამაზი ქალი იგივეა, რაც დედალორის დინგში გაჩრილი ოქროს რკოლიო. ვინ იცის, კიდევ რამდენი ასეთი გულის სიღრმიდან მომავალი სიტყვა თქმულა ძველთაგანვე დიაცის შესახებ! ეს ყოველივე ხორციელ გულისწადილს შეეხებოდა საზოგადოდ, მაგრამ მას დიაცთან აზიგეებდნენ და მამაკაცის ავხორცობასაც ქალს აზღვევინებდნენ. ამიტომაცაა ნათქვამი: „დიაცი ჩემთვის სიკვდილზე მწარე იყო, თვით ნესიერი ქალიც კი დაზღვეული არ არის ხორციელი წადილისაგან“

შეიძლებოდა გვეკითხა: ნესიერი მამაკაცი კია დაზღვეული? ნმინდანი კი მით უმეტეს! დიახ, მაგრამ დიაცის გამო, რომელიც დედამინაზე ხორციელ წადილს განასახიერებს. სქესი მისი საუფლოა, და მამ, განა შეიძლებოდა ეჭვი არ შეჰპარვოდათ იმაში, ვისაც femina ერქვა, რაც fide-სა და minus-იდან — რწმენის სიმცირიდან არის წარმოქმნილი, და ბრალი არ დაედოთ მისთვის ირგვლივ მორიალე უჯმაჯურ სულებთან ბილნ კავშირსა და კუდიანობაში? ამისი მაგალითი გახლავთ ცოლი, რომელიც უდარდელად მძინარე ქმრის გვერდით ინკუბუსს ჰყვარობდა წლების მანძილზე. სხვათა შორის მარტო ინკუბუსები კი არ იყვნენ, არამედ სუკუბებიც, ხოლო კლასიკური ეპოქის ერთი მანკიერი ჯეელი კერპთან ცხოვრობდა და ბოლოს მისი ავბედითი ეჭვიანობაც კი ინვნია, ეს მაშინ, როდესაც რამდენიმე წელი გავიდა და იგი უფრო ანგარებით, ვიდრე სიყვარულით ერთ პატიოსან ქალზე დაქორწინდა, მაგრამ ვერ შეუუღლდა, რადგან კერპი მუდამ შუაში უწევებოდა ხოლმე. სანართლიანად აღმყოფი ქალი გამოიდა ჭაბუკს, რომელიც ამიერიდან იძულებული იყო მთელი თავისი დღენი და მოსწრება ეჭვიან კერპსლა დასჯერებოდა.

მაგრამ შლეჰფუსს მაშინდელი ფსიქოლოგიური ვითარებისათვის ბევრად უფრო დამახასიათებლად მიაჩნდა ის მარცხი, რაც მეორე ჭაბუკს მოსდიოდა, თან თავად სრულებით რომ არ მიუძღოდა ამაში ბრალი, მხოლოდ და მხოლოდ კუდიანი დედაბრის ჯადოს გამოისობით ეცარებოდა ხელი, და რათა სამარცხვინო უუნარობისათვის თავი დაეღწია, ჭეშმარიტად ტრაგიკულ ხერხს მიმართა. ჩემი და ადრიანის ერთად მეცადინეობის მოსაგონრად მინდა ეს ამბავი, რომელსაც პრივატდოცენტი დაწვრილებით და ძალზე მახვილგონივრულად განიხილავდა ხოლმე, აქ მოკლედ მოვიტანო.

მერსბურგში, კონსტანცის მახლობლად, მეთხუთმეტე საუკუნის ბოლოს ერთი ალალი ჯეელი ცხოვრობდა, ვინმე ჰაინც კლოფგაისელი, მეკასრეთა ამქარს ეკუთვნოდა, წარმოსადეგი ვაჟყავცი იყო, ჯანსაღი, და შეყვარებულიც ჰყავდა, ქვრივი მნათეს დედისერთა ქალიშვილი, ბერბელი, ქალიშვილსაც უყვარდა ვაჟი, რომელსაც სურდა კიდევ ცოლად შეერთო, მაგრამ ახალგაზრდა წყვილის სურვილს მამა გადაეღობა წინ, რადგან კლოფგაისელი ღარიბი გახლდათ და მნათე მოითხოვდა, ჯერ ცხოვრებაში ადგილი დაიმკვიდრე, ოსტატი გახდი, და მერე მოგათხოვებ ჩემს ქალიშვილსო. მაგრამ ახალგაზრდების გულისნადილი უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე მოთმინების უნარი, და შეყვარებულთა წყვილი დროზე ადრე შეუღლებულთა წყვილად იქცა. ღამლამობით, როცა მნათე ზარების დასარეკად წავიდოდა, კლოფგაისელი ბერბელთან შეიპარებოდა ხოლმე და ერთმანეთთან ჩაკონებულთ ურთიერთი მთელ დედამინის ზურგზე უმშვენნიერეს ქმნილებებად ესახებოდათ.

ასეთი იყო საქმის ვითარება, როცა მეკასრე ერთ უქმე დღეს სხვა გულმხიარულ ქარგლებთან ერთად კონსტანცას ჩავიდა საეკლესიო დღესასწაულზე. მთელი დღე ქეიფში გაატარეს და საღამოს ეშმაკი შეუჩნდათ — ახლა საროსკიპოს დალაშქვრაც მოინადინეს. კლოფგაისელს ეს ამბავი არ ეჭაშნიკა, არ აპირებდა გაყოლას, მაგრამ ბიჭებმა დაცინვა დაუწყეს, აზიზმაზიზი ხარო, ასელებდნენ, ვინ იცის, იქნებ სულაც გვერდზეა შენი საქმე და არაფერი არ შეგიძლიაო. აბა, ასეთ რამეს კი როგორღა მოითმენდა, და თანაც ვინაიდან სხვებივით მასაც ბლომად ჰქონდა ნასვამი მაგარი ლუდი, თავი გამოიდო: ოჰო, მე კი სულ სხვანაირად ვიცნობ ჩემს თავსო, და ამფსონებთან ერთად ცუგრუმელების საბუდარს მიაშურა.

მაგრამ სწორედ იქ შეემთხვა ისეთი მარცხი, რომ სირცხვილისაგან აღარ იცოდა, რა ენამებინა. მეძავთან, უნგრელ დიაცთან, სრუ-

ლიად მოულოდნელად განზილდა, არაფერი არ გამოუვიდა, და სიბრაზისა და შიშისაგან ლამის ბოლმამ დაახრჩო. მით უფრო, რომ კახპამ მარტო მასხარად კი არ აიგდო, არამედ ჭოჭმანით თავი გადააქნგადმოაქნია და მოჰყვა: აქ რალაც უნმინდური ამბავია, ამოდენა ჯეელი ხარ და, ერთიც ვნახოთ, არაფერი არ შეგიძლია, ეშმაკის კერძი ხომ არ გაგხადა ვინმემ, ჯადო ხომ არ გაგიკეთაო, და ასე შემდეგ. ჰაინცმა კახპას ბლომად აჩუქა ფული, რომ ამფსონებთან არ გაეცა და შინ მისავათებული დაბრუნდა.

ხოლო როგორც კი შესაძლებლობა მიეცა, თუმცა ცოტათი ეშინოდა, მაინც მაშინვე თავის ბერბელთან გასწია და, ვიდრე მნათე ზარებს რეკავდა, მათ ჩვეულებრივზე უკეთ გაატარეს დრო. ასე რომ, მან ვაჟკაცის ღირსება კვლავ აღიდგინა და შეძლო ამას დასჯერებოდა. მას, თავისი პირველი და ერთადერთი სატრფოს გარდა, სხვა არავინ იზიდავდა და მას, რალას ინალვლებდა, სხვებთან როგორი იქნებოდა? მაგრამ კახპასთან ხელის მოცარვის შემდეგ მის სულში მოუსვენრობამ დაისადგურა და ღრღნიდა. უნდოდა თავი გამოეცადა, ერთხელ, მარტო ერთადერთხელ და მეტი აღარასოდეს ელაღატა თავისი გულის ვარდისთვის. ამიტომ იდუმალ ელოდებოდა, როდის მიეცემოდა ხელსაყრელი შემთხვევა, რომ თავი გამოეცადა, საკუთარი თავი და თავისი სულიკოც, რადგან საკუთარი თავისადმი უნდობლობიდან მისდა უნებურად თუმცა ნაზი, მაგრამ მაინც შიშის აღმძვრელი ეჭვი ებადებოდა საყვარელი არსებისადმი.

ჰოდა, მოხდა ისე, რომ ერთმა დონდლო და ღიპიანმა მიკიტანმა თავის სარდაფში მიიწვია ორ კასრზე მომძვრალი სალტეების დასამაგრებლად და მას მიკიტნის ცოლი, ჯერაც კარგად შენახული ქალი, ჩაჰყვა დაბლა. ჯერ ვაჟს მკლავზე მოუსვა ხელი, მერმე ხელი ხელზე დაადო დასატოლებლად და ისე ეკეკლუცებოდა, რომ მეკასრეს აღარ შეეძლო იოლად თავი დაეძვრინა იმისაგან, რის გაკეთებასაც გონება უკარნახებდა, მაგრამ სხეული ეურჩებოდა. ასე რომ, იძულებული შეიქნა ეთქვა: რა დროს ეგ არის, მეჩქარება, და თქვენი ქმარიც სადაცაა აქ გაჩნდებაო. შემდეგ საქციელნამხდარმა მოცოცხა და თან ყურში დამცინავი სიცილი ჩაესმოდა ქალისა, ვის წინაშეც ვერ მოიხადდა ის ვალი, ყოველი ჩაუქი ჭაბუკი დაუბრკოლებლად რომ იხდის.

სიმწრისაგან აღარ იკოდა, რა ექნა. ბრაზი მოსდიოდა საკუთარ თავზე და არა მხოლოდ საკუთარ თავზე. ეჭვმა, რომელიც პირველად ხელის მოცარვის შემდეგ შეეპარა, ახლა მთლიანად მოიცვა და ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ეშმაკის კერძი გახდა. ვინაიდან

საქმე ერთი საბრალო სულის ხსნას და თანაც მის მამაკაცურ ღირსებას შეეხებოდა, იგი ხუცესთან წავიდა და საალსარებო მერხის გისოსიდან ყურში ჩაუკენჭა: ეტყობა, მოჯადოებული ვარ, ერთადერთი ქალის გარდა, სხვასთან ვერ ვცხოვრობ, ნეტავი რისი ბრალი უნდა იყოს, ეკლესია ხომ არ გამოიჩინდა დედობრივ მზრუნველობას და ამ უგვან ამბავს გადამარჩინდაო.

უნდა მოგახსენოთ, რომ იმხანად და იმ მხარეში შავი ჭირივით იყო მოდებული კუდიანობა, ჯადოქრობა და სხვა მრავალი ცოდვა თუ მანკი. ეს სულ ადამის ძეთა უბოროტესი მტრის ხრიკთა გამოისობით და უფალი ღმერთის გასანაწყენებლად. ამიტომ სულიერ მამებს საგანგებოდ ჰქონდათ დავალებული, რაც შეიძლება მეტი სიმკაცრე და სიფხიზლე გამოეჩინათ. ხუცესი მშვენივრად იცნობდა იმ უწმინდურ მაჯლაჯუნას, მამაკაცებს მათს საუკეთესო ძალას რომ უკარგავს, და კლოფგაისელის აღსარება უმაღლეს ინსტანციებს შეატყობინა. მნათეს ქალიშვილი შეიპყრეს; დაჰკითხეს და მანაც აღიარა, რომ ეშინოდა, სატრფოს არ ეღალატა, ვინმე სხვასთან არ ეჯერებინა გული, ვიდრე ღვთისა და ხალხის წინაშე მისი მეუღლე გახდებოდა, და ერთ დედაბერს, ხელობით მეაბანოეს, ჯადო გამოართვა, რალაც მალამო, რომელიც, როგორც ამბობდნენ, მოუნათლავად გარდაცვლილი ბაღის ცხიმზე იყო დამზადებული. ამ მალამოთი, რათა მაგრად მიეჯაჭვა თავისი ჰაინცი, ვაჟს ხვევნა-ალერსის ფამს შეუმჩნევლად ზურგზე რალაც ნიშანი გამოუყვანა, როგორც დედაბერმა ასწავლა. მაშინ მეაბანოე ქალიც დაჰკითხეს, მაგრამ ის ყველაფერს ჯიუტად უარობდა. იძულებული იყვნენ საერო სასამართლოსთვის გადაეცათ, დაკითხვისას ისეთი საშუალებების გამოსაყენებლად, რაც ეკლესიას არ შეეფერებოდა. ცოტა ძალა დაატანეს თუ არა, გამოირკვა, როგორც მოსალოდნელი იყო, რომ დედაბერს მართლაც ეშმაკთან ჰქონდა პირი შეკრული, რომელიც თხისფეხება ბერის სახით გამოსცხადებოდა და დაეყოლიებინა, ღმერთი, წმინდანები და ქრისტიანული სარწმუნოება სააუგო, მკრეხელური სიტყვებით უარეყო. სამაგიეროდ დედაბრისთვის ესწავლებინა, როგორ დაემზადებინა არა მხოლოდ ის სიყვარულის სამსალა, არამედ კიდევ ბევრი სხვა უწმინდური ჯადო-წამლებიც, მათ შორის ისეთი ცხიმისაც, რომლით გაპოხილი შეშის ნაჭერი იმნამსვე ჰაერში აიჭრებოდა ხოლმე და ეშმაკის უსტაბაშსაც მალლა იტაცებდა. ის გარემოებანი, რომლებიც თან ახლდა ბოროტ სულსა და დედაბერს შორის პაქტის დადებას, მხოლოდ ნაწყვეტ-ნაწყვეტად გამოდიოდნენ

სააშკარაოზე და ისიც განმეორებით ძალდატანებისას, შინაარსით კი, ისეთი შინაარსისა იყვნენ, რომ თმა ყალყზე დაგიდგებოდათ.

არცთუ უშუალოდ ეშმაკის მიერ ცდუნებულის ბედ-იღბალი ახლა მთლიანად დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რამდენად გახდა მისი სული ეშმაკის თანაზიარი წყეული თილისმის გამორთმევისა და გაყოყენების შედეგად. მნათეს ქალიშვილის სავალალოდ დედაბერმა აჩვენა, რომ ეშმამ დაავალა, რაც შეიძლება ბევრი პროზელიტი ეშოვა, და ადამის ყოველი ძისათვის, რომელსაც კი მისი ძღვენით შეა-ცდენდა და მიუყვანდა, წეჰპირდა: თანდათანობით გაგამაგრებ, რომ საუკუნო გეენას გაუძლოო. ასე რომ, თუ მუყაითად გაირჯებოდა და ბევრ მომხრეს მოუხვეჭდა, აზბესტის ჯავშნით აღჭურვიდა ჯოჯოხეთის ცეცხლის ენებისაგან დასაცავად. ამან წირვა გამოუყვანა ბერბელს. ნათელი იყო, რომ აუცილებელი გახლდათ მისი სულის სამუდამოდ დაღუპვისაგან გადარჩენა, სხეულის შეწირვით ეშმაკის კლანჭებიდან მისი გამოხსნა. და ვინაიდან, ამის გარდა, ხალხში არანმინდა სულ უფრო იკიდებდა ფეხს და მწვავედ იგრძნობოდა დასაშინებელი მაგალითის საჭიროება, ქალაქის მოედანზე ერთიმეორის გვერდით აღმართულ ძელებზე ორი კუდიანი დასწვეს, ბებერი და ახალგაზრდა. ჰაინც კლოფგაისელი, მათ მიერ მოჯადოებული, ქუდმოშვლეპილი იდგა სეირის მაცქერალთა ბრბოში და ლოცვასს ბუტბუტებდა. კვამლისაგან ლამის გაგუდული და ხმაჩანლერილი სატრფოს კივილი უცხოდ ჩაესმოდა ყურში და მისი გვამიდან ვაივაგლახით ამომავალი ეშმაკეულის ხმად ეჩვენებოდა. ის იყო და ის, მის სამარცხვინო შებრკოლებას ბოლო მოედო და როგორც კი სატრფო ჩაიფერვლა, უწმინდური გზით წართმეული მამაკაცობა დაუბრუნდა და ახლა განურჩევლად ყველა ქალის მიმართ ძალუძდა გამოეყენებინა.

ეს შემადრწუნებელი ამბავი, რომელიც ასე დამახასიათებელი იყო შლეპფუსის ლექციების სულისკვეთებისათვის, მე არა და არ მავინყდებოდა და მშვიდად ვერ ვფიქრობდი მასზე. იმხანად ხშირად ვმსჯელობდით მის შესახებ მე და ადრიანი და „ვიინფრიდის“ წრეშიც ვარჩევდით, მაგრამ ვერც ადრიანში, რომელიც მუდამ თავშეკავებული იყო და დუმილს არჩევდა, როცა მასწავლებლებზე და მათ ლექციებზე ჩამოვარდებოდა ლაპარაკი, და ვერც ჩვენი ფაკულტეტის სხვა სტუდენტებში მე ვერ შევძელი ისეთივე აღშფოთება გამომენვია, როგორსაც ინვევდა ჩემში ეს ანექლოტი, ხოლო ყველაზე უფრო კი კლოფგაისელი. დღესაც კი, როდესაც მასზე

ვფიქრობ, განრისხებული ვესხმი თავს და ვირისტიცინა მკვლელს ვეძახი გონებაში. რა ჰქონდა იმ ოტროველას საჩივლელი? რაში სჭირდებოდა იგივე ეკეთებინა სხვა ქალებთანაც, როდესაც ერთი ჰყავდა ისეთი, რომელიც, ამკარა იყო, ისე ძლიერ უყვარდა, რომ სხვების მიმართ ცივი და „უუნარო“ გამოდიოდა? ან რა „უუნარობა“ იყო ეს, თუკი ერთის მიმართ სიყვარულის უნარი შესწევდა? ეს, რასაკვირველია, სქესობრივ ურთიერთობაში კეთილშობილი აზიზმაზიზობის ერთგვარი გამოვლენა გახლდათ, და თუ ბუნებრივი არ არის, რომ უსიყვარულოდ მამაკაცი ვერ მამაკაცობს, მაშინ ის ხომ სულაც არ უნდა ჩაითვალოს არაბუნებრივად, თუ მამაკაცი სიყვარულის უამს მამაკაცობს. ბერბელმა თავისი ჰაინცი დაატყვევა და „მამაკაცობა შეუზღუდა“, ოღონდ ეშმას თილისმით კი არა, არამედ თავისი მომხიბლაობით და მტკიცე ნებჩ სყოფით, რითაც იზიდავდა და სხვა ცდუნებათაგან აზღვევდა. მზადა ვარ ვალიარო, რომ ქალიშვილის ფსიქოლოგიური ზემოქმედება ჭაბუკის ბუნებაზე ძლიერდებოდა ჯადო-მალამოთი ანუ ქალიშვილის რწმენით მის ძალაში, თუმცა კი მე მგონია, რომ ბევრად მართებული და მარტივი იქნებოდა, თუ ამ ამბავს ვაყის მხრიდან შევხედავდით და მისი შებრკოლების მიზეზად, რამაც ასე გააოგნა, იმ გულაურძნელ განწყობილებას მივიჩნევდით, რომელიც სიყვარულმა ჩამოუყალიბა. მაგრამ ასეთი თვალსაზრისიც ხომ გულისხმობდა ერთგვარი ბუნებრივი სასწაულთმოქმედი სულიერი ძალის არსებობას, რომელსაც უნარი შესწევს ზემოქმედება მოახდინოს სხეულზე, თავისებურად წარმართოს, სახე უცვალოს მასში მიმდინარე ორგანულ პროცესებს, — და აი, საქმის ვითარების სწორედ ამ, ასე ვთქვათ, მაგიურ მხარეზე სვამდა საგულდაგულოდ მახვილს შლეპფუსი კლოფგაისელის თავგადასავლის კომენტარებისას.

ამას ის იქმნა კვაზი-ჰუმანიტურ ყაიდაზე, რათა გაეხაზა ის მაღალი იდეა, რომელიც იმ თითქოსდა ბნელ საუკუნეებს გააჩნდათ ადამიანის სხეულის ფაქიზი მგრძნობელობის შესახებ. მაშინ იგი უფრო კეთილშობილად მიაჩნდათ, ვიდრე მატერიის ყველა სხვა მინიერი შენაერთები, და სულიერ იმპულსებზე გამომხაურებისა და გარდაქმნის უნარში მის გამორჩეულობას ხედავდნენ, მის მაღალ ადგილს სხეულთა იერარქიაში. იგი ცივდებოდა და ხურდებოდა შიშისა და რისხვისაგან, ხდებოდა დარდისაგან, იფურჩქნებოდა სიხარულისაგან, ამაზრუნეი რამის მარტო გაფიქრებასაც ისეთივე ფიზიოლოგიური რეაქცია შეიძლებოდა გამოენვია, როგორსაც წამ-

ხდარი კერძი იწვევს, მარწყვით სავსე თეფშის მარტო დანახვასაც კი ალერგიანის კანი შეიძლება გამონაყრით დაეფარა. თვით ავადმყოფობა და სიკვდილიც კი ზოგჯერ სულიერ განცდათა შედეგი გახლდათ. ხოლო იმის აღიარებიდან, რომ სულს ძალუძს საკუთარი, მისი კუთვნილი სხეულებრივი მატერიის შეცვლა, მხოლოდ ერთი და თანაც აუცილებელი ნაბიჯი იყო კაცობრიობის მდიდარ გამოცდილებაზე დაფუძნებულ რწმენამდე, რომ უცხო სულსაც ძალა შესწევს შეგნებულად, განზრახ, ესე იგი ჯადოქრობით, ხელყოს სხვისი სხეულებრივი სუბსტანცია; ან, სხვა სიტყვებით თუ გამოვხატავთ, მტკიცდებოდა მაგიისა, დემონური ზეგავლენისა და კუდიანობის რეალობა და ეგრეთ ნოდებული ცრუმორწმუნეობის სფეროს მიღმა რჩებოდა ისეთი მოვლენები, როგორცაა, ვთქვათ, ავი თვალი, საყოფაცხოვრებო გამოცდილების მთელ კომპლექსს რომ მოიცავს და კონცენტრირებულია ბასილისკოს მომაკვდინებელი თვალის თქმულებაში. დანაშაული იქნებოდა იმის უარყოფა, რომ რომელიმე უწმინდურ სულს მარტოოდენ შეხედვით, ნებით იქნება ეს თუ უნებლიეთ, შეუძლია ზიანი მიაყენოს სხვების სხეულს, განსაკუთრებით კი – ბავშვებისას, რომელთა ნაზი სუბსტანცია განსაკუთრებით მგრძობიარეა ასეთი შხამიანი გამოხედვის მიმართ.

აი რაზე მსჯელობდა შლეპფუსი თავის უჩვეულო ლექციებზე – ხოლო უჩვეულონი კი ისინი მახვილგონივრულობისა და საჭოჭმანობის გამო იყვნენ, „საჭოჭმანო“ ჩინებული სიტყვა გახლავთ. როგორც ფილოლოგი, მე მუდამ ვაფასებდი მას, რადგან ერთსა და იმავე დროს გაზიარებისა და არ გაზიარებისაკენ მოგიწოდებთ, და თუ ყოველ შემთხვევაში მაინც გაიზიარებთ, ეს ძალზე ფრთხილად უნდა მოიმოქმედოთ, – საქმე იქნება თუ ადამიანი, მუდამ ეჭვისა და ორაზროვნების შუქ-ჩრდილში დაინახოთ.

როდესაც შლეპფუსს თავს ვუკრავდით, ქუჩაში შეგვხვდებოდა ის, თუ უნივერსიტეტის დერეფნებში, ჩვენს მისალმებაში უღრმეს პატივისცემას ვაქსოვდით, რასაც მისი ლექციების მაღალი ინტელექტუალური დონე დღითი დღე აღძრავდა ჩვენში, მაგრამ ის ჩვენზე უფრო მდაბლად გვიხრიდა თავს, შლაპას იხდიდა და გვეუბნებოდა: „თქვენი უმორჩილესი მსახური!“

რიცხვთა მისტიკა ჩემთვის უცხო ხილია და მუდამ შეურევბული აღვიქვამდი, რომ ადრიანი ამით გატაცებული იყო. ეს იმთავითვე ამკარად ეტყობოდა, თუმცა თვითონ არაფერს ამბობდა. მიუხედავად ამისა, წინა თავს რომ ყველგან ნავსად და სახიფათოდ მიჩნეული ციფრი XIII შეხვდა, უნებლიეთ გამიხარდა და ლამის სულმა წამძლიოს, ეს ამბავი მარტოოდენ შემთხვევას არ მივანერო. არადა, თუ გონივრულად განვსჯით, ნამდვილად შემთხვევის ბრალია, სახელდობრ, თუნდაც იმიტომ, რომ ჰალეს უნივერსიტეტში შეძენილი ცოდნის მთელი კომპლექსი, ისევე როგორც კრეჩმარის უფრო ადრე განხილული ლექციები, არსებითად ერთ ბუნებრივ ოდენობას ქმნის და მე თუ რამდენიმე თავად დავანანილე, მხოლოდ იმის გამო, რომ ანგარიში გავუწიე მკითხველს, რომელსაც სულის მოთქმა, ცეზურები და ახალ-ახალი ნიშანსვეტები უყვარს, ჩემს მწერლურ კეთილსინდისიერებას კი ამგვარი დანანევერება აუცილებლად არ მიაჩნია. ასე რომ, მე თუ მკითხავთ, ახლა ისევ XI თავში უნდა ვიყოთ და მარტო ჩემმა დამთმობმა ხასიათმა აღჭურვა-დოქტორი შლეპფუსი XIII ციფრით. დამილოცნია მისთვის ეს რიცხვი, — მით უფრო, რომ მე ამ ციფრით სიამოვნებით შევამკობდი ჩვენს მიერ ჰალეში გატარებულ სტუდენტურ წლებთან დაკავშირებულ მოგონებებსაც, ვინაიდან, როგორც იმთავითვე ვთქვი, ამ ქალაქის ატმოსფერო, თეოლოგიური ატმოსფერო, სასიკეთოდ არ მოქმედებდა ჩემზე და თუ იმ ლექცია-სემინარებზე, რომლებსაც ადრიანი ესწრებოდა, მეც ვიყავი ხოლმე თავისუფალ მსმენელად, ეს ის მსხვერპლი გახლდათ, მე რომ ჩვენს მეგობრობას ვნირავდი, და ისიც თავზე არცთუ ერთგვარი ძალდატანების გარეშე.

ჩვენს მეგობრობას? სჯობია, ვთქვა: ჩემსას-მეთქი, რადგან ის სულაც არ მოითხოვდა, ერთთავად მის გვერდით ვყოფილიყავი, როცა კუმპფს ან შლეპფუსს უსმენდა, და მით უფრო, რომ მე ამის გულისათვის ჩემი ცხრილით. გათვალისწინებული ლექციები გამეცდინა. ამას სრულიად ნებაყოფლობით ჩავდიოდი, მხოლოდ და მხოლოდ დაუძლეველი სურვილის გამო, ის მომესმინა, რასაც იგი ისმენდა, ის მცოდნოდა, რასაც იგი ეუფლებოდა, მოკლედ: თვალყური მედევნებინა მისთვის, — რადგან ეს ყოველთვის უალრესად საჭირო, თუმცა კი ამასთანავე უმიზნო საქმედ მიმაჩნდა. შეგრძნებათა რა უცნაური და მტკივნეული აღრევა გამოიხატა: ერთსა და იმავე დროს

საჭიროებისა და უმიზნობის შეგრძნება. ჩემთვის ნათელი იყო, რომ საქმე მქონდა ისეთ ცხოვრებასთან, რომლის ზედამხედველობაც ალბათ შეიძლებოდა, მაგრამ შეცვლა ან ზეგავლენის მოხდენა კი — ნურას უკაცრავად, და ჩემს მისწრაფებას, განუწყვეტლივ თვალი მჭეროდა მასზე, გვერდიდან არ მოვცილებოდი მეგობარს, იმის წინათგრძნობაც განაპირობებდა, რომ მის მიერ ახალგაზრდობაში მიღებულ შთაბეჭდილებათა მატრიანის შექმნა ერთ მშვენიერ დღეს ალბათ ჩემს ამოცანად იქცეოდა. ვინაიდან, მე მგონი, გასაგები უნდა იყოს: ზემოთ აღწერილ ამბებზე მე საგანგებოდ იმიტომ კი არ შევჩერდი; რომ განმეძარტა, მაინცდამაინც შევებას რატომ ვერ ვგრძნობდი ჰალეში, არამედ იმავე მიზეზით, რის გამო ასე დანვრილებით განვიხილე ვენდელ კრეჩმარის მიერ კაიზერსაშერნში წაკითხული ლექციები, სახელდობრ, რადგან ჩემთვის არსებითია — და არსებითიც უნდა იყოს! — მკითხველი ადრიანის გონებრივი განვითარების მოწმე გავხადო.

ამავე მიზეზით მინდა მკითხველი ახლაც მივიპატიჟო, ჩვენ, მუხათა ჭაბუკ პირმშობებს, იმ ექსკურსიებზეც გამოგვყვებს, რომელთაც ერთად ვაწყობდით ჰალეს სანახებში, როცა ამინდი ხელს გვიწყობდა. როგორც ადრიანის თანამემამულესა და გულითად მეგობარს, და აგრეთვე იმიტომაც, რომ თუმცა თეოლოგი არ ვიყავი, მაგრამ მაინც ფიცხელ ინტერესს ვამჟღავნებდი ღვთისმეტყველების მიმართ, მე სასურველი სტუმარი გახლდით ქრისტიანული გაერთიანების — „ვინფრედის“ — თავყრილობებისა და არაერთხელ გამილაშქრია მათთან ერთად ქალაქგარეთ ღვთაებრივი სიმწვანით დასატკბობად.

ასეთი გასეირნებები ხშირად ეწყობოდა, მაგრამ მათ ღონისძიებებში ყოველთვის როდი ვმონაწილეობდით, რადგან ალბათ არც არის საჭირო იმის თქმა, რომ ადრიანი არცთუ დიდი ავანჩავანი გახლდათ ამ გაერთიანებისა და მისი წევრი უფრო ნომინალურად იყო, ვიდრე საქმით. თავაზიანობის გამო და საერთო ფერხულში ჩაბმის მიმართ კეთილი ნების გამოსაჩენად დაჰყვა სხვათა სურვილს და ვინფრიდელი გახდა, მაგრამ ხან რას იმიზეზებდა, ხან რას, მეტწილად კი შაკიკს იშველიებდა საბაბად და შიგადაშიგ თავს არიდებდა მათ შეკრებებს, რაიც ამ სასულიერო გაერთიანებაში ბურშენშაფტებისათვის წესად მიღებული ლუდხანებში ყუნცვის ადგილი ეჭირა. ერთი წლის გასულსაც კი იმდენად განზე იდგა გაერთიანების ხალხისგან, იმდენად არ იყო გაშინაურებული მისი სამოცდაათი

წევრიდან არც ერთთან, რომ თვით ტრადიციული, ძმური შენობითი მიმართვაც კი აშკარად ეხამუშებოდა და ხშირად ეშლებოდა კიდეც — თქვენობით მიმართვაზე გადადიოდა. მიუხედავად ამისა, ვინფრიდელეები პატივს სცემდნენ და როდესაც ათასში ერთხელ — ლამის ვთქვა: როგორც გამონაკლისი-მეთქი — მათ სხდომაზე გამოჩნდებოდა, მიუცეს რესტორანში მათთვის საგანგებოდ გამოყოფილ და თამბაქოს კვამლით დანისლულ ოთახში შეივლიდა, ხმამაღალი შექახილებით ეგებებოდნენ, რაც თუმცა ოდნავ ირონიით იყო შეფერილი მისი განზე დგომის გამო, მაგრამ გულწრფელ სიხარულს კი გამოხატავდა. ისინი აფასებდნენ ადრიანის მონაწილეობას თეოლოგიურ-ფილოსოფიურ პაექრობებში, რომლებშიც წამყვან როლს არ თამაშობდა, მაგრამ ხშირად მათ ამა თუ იმ რეპლიკით საინტერესო მიმართულებას ანიჭებდა, განსაკუთრებით კი მისი მუსიკალობა ადგებოდათ, რადგან სხვა ვერავინ ვერ უწევდათ მისებრი ხმოვანებითა და განცდილ ფორტეპიანოზე აკომპანემენტს, გადაძახილით სავალდებულო გალობისას, და ვერც თავყრილობას ისე ვერ ატკობდა სოლო-პარტიების შესრულებით — ბახის ტოკატა იქნებოდა, თუ ბეთჰოვენის ან შუმანის რომელიმე ნაწარმოები, როდესაც გაერთიანების რწმუნებული ბავორინსკი სთხოვდა, — მაღალი, შავგვრემანი ყმანვილი კაცი, თვალები რომ მუდამ ოდნავ მილულული ჰქონდა, ხოლო ტუჩები კი თითქოსდა დასასტვენად მომრგვალებული. მაგრამ ზოგჯერ უთხოვნელადაც მიუჯდებოდა ხოლმე გაერთიანების ოთახში მდგარ პიანინოს, რომელსაც ხმა დაყრუებოდა და ძალიან ჰგავდა იმ მოფუტკნულ საკრავს, ვენდელ კრეჩმარი ჩვენს დასამოძღვრავად რომ იყენებდა „საყოველთაოდ სასარგებლო მოღვაწეობის“ დარბაზში, — უფრო კრების გახსნამდე უკრავდა ხოლმე, ვიდრე ყველა მოიყრიდა თავს, უკრავდა ლალად, იმპროვიზაციით. არ დამავინწყდება, როგორი შემოსვლა იცოდა ხოლმე, გაკვრით მოგვესალმებოდა და ზოგჯერ პალტოს გაუხდელადაც, ფიქრში ჩაძირული ადამიანის გამომეტყველებით, პირდაპირ საკრავს მიაშურებდა, თითქოს ის იყო მისი აქ მოსვლის ერთადერთი მიზეზი, და მძლავრად შეახებდა ხელს კლავიშებს, წარბებანეული აქუხებდა ჰანგებს, ამთავრებდა ერთს, იწყებდა მეორეს, საგანგებოდ გამოჰყოფდა რა გადასვლებს — იმ მუსიკალური თემიდან თუ, რომელიც ალბათ გზაშივე აწვალებდა. მაგრამ ასე პირდაპირ პიანინოსკენ გაშურებაში საყრდენის და თავშესაფრის ძიების ნატამალიც გამოისტვიოდა, თითქოს აშინებდა ეს ოთახი და შიგ მყოფნი, თითქოს

უცხო გარემოში მოხვედრილი, გაოგნებული იყო და საკრავში, ანუ, კაცმა რომ თქვას, საკუთარ თავში პოულობდა შვებას.

ასე უკრავდა ერთხელაც, აკვიატებული ჰქონდა რომელიღაც მუსიკალური იდეა და არ ეშვებოდა, სახეს უცვლიდა, ნაირ-ნაირად აყალიბებდა, და ირგვლივ მდგომთაგან ერთ-ერთი, სახელდობრ, პატარა პრობსტი, ქერა, ცხიმიანი და ცოტათი მოშვებული თმა რომ ჰქონდა და ღვთისმეტყველი სტუდენტის განსახიერება გახლდათ, შეეკითხა:

— რას უკრავ?

— არაფერს, — მიუგო დამკვრელმა და თან თავი ისე გააქნია, თითქოს ბუზს იშორებდა.

— როგორ თუ არაფერს, — არ მოეშვა პრობსტი, — რახან უკრავ, მაშ რაღაცა არის.

— მისი ფანტაზიის ნაყოფია, — განუმარტა ალანოდა ბავორინსკიმ მცოდნე კაცის სახით.

— ფანტაზიისა? — შესძახა გულწრფელად შეცბუნებულმა პრობსტმა და ცისფერი, წყლიანი თვალებით ადრიანის შუბლს მიაჩერდა, თითქოს ზედ მაღალი სიცხის ნიშანწყალი სურდა აღმოეჩინა.

ყველას გაეცინა, ადრიანმაც გაიცინა და თან თავი კლავიატურაზე დარჩენილ ერთად მიჯრილ ხელებზე დახარა.

— ო, პრობსტ, რა ბატისტინა ვინმე ხარ! — უთხრა ბავორინსკიმ. — იმპროვიზაციას ახდენდა, არ გესმის, რა არის? იმნამსვე შეთხზა.

— ვის შეუძლია ამდენი ბგერა მარჯვნივ და მარცხნივ ერთბაშად შეთხზას, — თავს იცავდა პრობსტი, — ან ისეთ რამეზე, რასაც უკრავს, რატომ ამბობს: არაფერსო? განა იმის დაკვრა შეიძლება, რაც არ არსებობს?

— როგორ არა, — უთხრა ბავორინსკიმ დინჯად, — შეიძლება ისეთი რამის დაკვრა, რაც ჯერ კიდევ არ არსებობს.

და მე ახლაც ყურში მიდგას, როგორ დაურთო ვინმე დოიჩლინმა, კონრად დოიჩლინმა, შუბლზე ჩამოშლილ კულულებიანმა ჩაფსკენილმა ჯველმა:

— იყო დრო, როდესაც არაფერი არ არსებობდა, კეთილო პრობსტს, და მერე კი რაღაცად იქცა.

— გარწმუნებთ, — დასძინა ადრიანმა, — ის, რასაც მე ვუკრავდი, მართლაც არაფერი არ იყო, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით.

იძულებული გახდა ახლა მაინც აეწია სიცილის დროს ჩაქინდრული თავი და სახეზე ეტყობოდა, იოლი როდი იყო ეს ამბავი

მისთვის, რადგან გრძნობდა, რომ ამხილეს. მახსოვს აგრეთვე, რომ ამას შემოქმედების შესახებ ხანგრძლივი და მართლაც საინტერესო სჯაბაასი მოჰყვა, რომლის სულის ჩამდგმელიც დოიჩლინი გახლდათ. ლაპარაკობდნენ იმ შეზღუდვებზე, რომლებიც განიცადა ამ ცნებამ ნაირგვარი, ან უკვე წინასწარ მოცემული ფაქტორებით: კულტურით, ტრადიციით, მემკვიდრეობით, პირობითობით, გაცვეთილი ამბებით, და მაინც საბოლოო ჯამში, ვითარცა თეოლოგებმა, აღიარეს, რომ ადამიანის შემოქმედება შორეული ანარეკლია ღვთაებრივი შემოქმედებითი ძალისა, გამოძახილი ყოვლისშემძლე „იქნენინ“ — შეძახილისა და რომ შემოქმედებითი შთაგონება ზევიდან მოდის.

სხვათა შორის, გაკვრით უნდა შევნიშნო ისიც, რომ მე, „ვინფრიდში“ დაშვებულ საერო ფაკულტეტის წარმომადგენელს, მსიამოვნებდა მათს გართობაში დროდადრო, სახელდობრ, როცა მთხოვდნენ ხოლმე, *viola d'amore*-ზე დაკვრით ჩემი წვლილი შემეტანა. მუსიკა მათ წრეში დიდად ფასობდა, ოღონდ თავისებური მიდგომა ჰქონდათ, ერთსა და იმავე დროს პრინციპულიცა და ბუნდოვანიც. ღვთაებრივ ხელოვნებად რაცხდნენ და რომანტიკული კრძალვით ეკიდებოდნენ. მასთან ისეთივე ურთიერთობაში ლამობდნენ ყოფილიყვნენ, როგორც ბუნებასთან; მუსიკა, ბუნება და შვებით აღსავსე ღვთისმოსაობა ერთმანეთის მონათესავე და სავალდებულო იდეები გახლდათ გაერთიანება „ვინფრიდში“, და თუ ზემოთ „მუზათა პირმშონი“ ვახსენე, ეს გამოთქმა, რომელსაც ბევრი ალბათ ღვთისმეტყველი სტუდენტებისათვის შეუფერებლად მიიჩნევდა, სწორედ ამგვარი სულისკვეთებით არის გამართლებული — მშვენიერების სათნო ძალდაუტანებლობითა და გაცისკროვნებულთა თვალებით ჭვრეცით, რითაც ბუნების წიაღში ის გასეირნებებიც იყო გამსჭვალული, რომელთა აღწერასაც მე ახლა ვიწყებ.

ძალეში გატარებული ოთხი სემესტრის განმავლობაში ასეთი ექსკურსიები ორჯერ თუ სამჯერ *in corpore** მოენყო, ან უფრო ზუსტად, ეს ბავორინსკიმ მოუხმო სამოცდაათივე წევრს წასულიყვნენ. ამნაირ მასობრივ ღონისძიებებში ადრიანი და მე არასოდეს არ ვმონაწილეობდით. მაგრამ ზოგჯერ ცალკეული, ერთმანეთთან უფრო დაახლოებულთა ჯგუფები ყალიბდებოდა ქალაქგარეთ საყარბოდ და მაშინ ჩვენც ვუერთდებოდით რჩეულ ახალგაზრდებს: ჩვეულებ-

*სრული შემადგენლობით (ლათ.).

რივ ესენი იყვნენ: თავად რწმუნებული, შემდეგ – ჩასაკვნილი დოიჩლინი, ვინმე დუნგსჰაიმი, კარლ ფონ ტოიტლებენი და კიდევ რამდენიმე ყმანვილი კაცი: ჰუბმაიერი, მათეუს არცტი და შაპელერი. აი ეს გვარები მახსოვს და ბუნდოვნად მათი პატრონების სახეებიც, ოღონდ აღწერა აქ ზედმეტად მიმაჩნია.

ჰალეს უახლოესი მიდამოები ქვიშრობი დაბლობია და თვალს მაინცდამაინც არ ახარებს, მაგრამ მატარებელს რამდენიმე საათში გადავყავდით ზაალეს დინების აღმა, საყვარელ თიურინგიაში, და იქ, მეტწილად ნაუმბურგშივე ან აპოლდაში (ადრიანის დედის სამშობლოში), გადმოვდიოდით ვაგონიდან, შემდეგ, ზურგჩანთა-აკიდებულნი და კაპიუმონიანი სანვიმრებით მომარაგებულნი, ქვეითად განვაგრძობდით გზას, მთელი დღე დავეხეტებოდით მომთაბარე ქარგლებივით, საჭმელს სოფლის ფუნდუკებში შევექცეოდით, ხშირად კი პირდაპირ მიწაზე ვშლიდით. სუფრას, სადმე ჭალის პირას, ღამე კი არაერთხელ გავვითენებია ვისიმე საბძელში, რათა ირიყრაყებდა თუ არა, ხელ-პირი გრძელ სარწყულებელ ბაგასთან დაგვებანა გამდინარე წყალში. ქალაქელთა და გონებრივ მუშაკთა ასეთ წამიერ ზიარებას პრიმიტიულ სოფლურ ცხოვრებასთან, დედამინასთან, როდესაც იცი, რომ, რაც უნდა იყოს, სულ მალე ისევ დაუბრუნდები შენთვის ჩვეულ „ბუნებრივ“ ნებიერ ბიურგერულ ყოფას, ასეთ ნებაყოფლობით უკან დახევასა და სისადავეს მუდამ მეტ-ნაკლებად აზის ხელოვნურობის, ბატონკაცურობის, დილეტანტიზმისა და კომიზმის დაღი, რასაც ჩვენ დიახაც ვგრძნობდით და რა ზედაც მიუთითებდა ალბათ ის გულკეთილი, მაგრამ დამცინავი ღიმილი, რომლითაც შეგვათვალისწინებდა ხოლმე ზოგიერთი გლეხი, როდესაც ქვეშაგებად ჩალას ვთხოვდით. მათ გამოხედვას მარტო ჩვენი ახალგაზრდობა თუ ანიჭებდა ცოტაოდენი კეთილგანწყობილებისა და თვით მოწონების ნატამალსაც კი; და განა არ შეიძლება ითქვას, რომ ახალგაზრდობა ერთადერთი კანონზომიერი ხიდია ცივილიზაციასა და ბუნებას შორის, იგი ცივილიზაციამდელი მდგომარეობაა, საიდანაც მთელი სტუდენტურ-ჭაბუკური რომანტიკა იღებს სათავეს, – ცხოვრების მართლაც რომანტიკული ასაკია.

ასეთ ფორმულამდე დაიყვანა საქმის ვითარება მუდამ ენერგიულად მოაზროვნე დოიჩლინმა, როდესაც რომელიღაც არდგმულში დაძინების წინ, კუთხეში მბჟუტავი ფარნის შუქით მქრქალად რომ იყო განათებული, ჩვენი მაშინდელი ცხოვრების პრობლემებზე ვმსჯელობდით. ოღონდ იქვე დაურთო, რომ ახალგაზ-

რდობას ახალგაზრდობაზე მსჯელობა არ შეჰფერის, ცხოვრების ფორმა, რომელიც საკუთარ თავს განიხილავს და იკვლევს, აღარ არის ფორმა, ჭეშმარიტი არსებობა მხოლოდ იმას გააჩნია, რაც უშუალოა და არაცნობიერი.

მას შეეკამათნენ, პირველ რიგში ჰუმბაიერი და შაჰელერი, და არც ტოიტლებენი არ ეთანხმებოდა; იმას რა აჯობებდა, — ედავებოდნენ ისინი, — თუ ყოველთვის მარტო ხანდაზმულები იმსჯელებდნენ ახალგაზრდობაზე და სიჭაბუკე მუდამ მხოლოდ გარეშე თვალის დაკვირვების საგანი იქნებოდა, ვითომდა მოკლებული ობიექტურ სულისკვეთებასო. მაგრამ მას დიხაბაც შესწევს ობიექტურად მიდგომის უნარი, თანაც მაშინაც კი, როდესაც საქმე თვითონ მას ეხება. ამიტომ უფლება უნდა ჰქონდეს კიდევ თავისი სიტყვა თქვას, როგორც ახალგაზრდობამ ახალგაზრდობაზე. ხომ არსებობს ისეთი რამ, რასაც სიცოცხლის შეგრძნებას უწოდებენ და რაც თვითშეგნებას შეიძლება გავუთანაბროთ, და თუ თვითშეგნება ცხოვრების ფორმას აქარწყლებს, მაშინ გამოდის, რომ განსულიერებული ცხოვრება საერთოდ შეუძლებელი ყოფილაო. ცარიელი ჩლუნგი, შეუგნებელი მყოფობით, იხტიოზავრის მყოფობით, რას შეიძლება ვენიოთ. დღეს შენი რაობა შეგნებული უნდა გქონდეს და ამ თვითშეგნებით შენი სპეციფიკური ცხოვრების ფორმა დაიმკვიდრო, — ისედაც ერთობ დიდხანს გასტანა, ვიდრე ახალგაზრდობას, როგორც ასეთს, აღიარებდნენო.

— ოღონდ ეს აღიარება უფრო პედაგოგიკიდან დაიწყო, ესე იგი უფრო უფროსებისაგან წამოვიდა, ვიდრე თვითონ ახალგაზრდებისაგან, — გაისმა ადრიანის ხმა, — ერთ მშვენიერ დღეს სიჭაბუკემ აღმოაჩინა, რომ ეპოქამ, რომელიც ბავშვის საუკუნეზე ლაპარაკობს და ქალთა ემანსიპაცია გამოიგონა, — საერთოდ ძალზე დამთმობმა ეპოქამ, — ახალგაზრდობაც ცხოვრების დამოუკიდებელი ფორმის რანგში აიყვანა და დაჯილდოებულიც, რასაკვირველია, ამ ამბავს მხურვალედ მიესალმა.

— არა, ლევერკიუნ, — უთხრეს ჰუმბაიერმა და შაჰელერმა, ხოლო დანარჩენებმა მათ მხარი დაუჭირეს, — მართალი არა ხარ, ან, ყოველ შემთხვევაში, სავსებით მართალი მაინც არა ხარო. ეს თვით ახალგაზრდობის სიცოცხლის შეგრძნება იყო, რომ საკუთარი თავის შეცნობის გზით თავი დაიმკვიდრა ევეყნად, თუმცა არც მთელი კაცობრიობა იყო უკვე მისი აღიარების მოწინააღმდეგეო.

— დიდი მოწინააღმდეგე კი არა, — შეესიტყვა ადრიანი, — სულაც არ იყო მოწინააღმდეგე. ჩვენს ეპოქას საკმარისია უთხრა: მე ცხოვრ-

ების სპეციფიკური შეგრძნება მაქვსო, და მაშინვე ქედს მოიხრის შენს წინაშე. აქ ახალგაზრდობა, ასე ვთქვათ, ღია კარს ამტვრევდა. ისე კი, ვის რა უნდა ჰქონდეს იმის სანინაალმდეგო, რომ ახალგაზრდობა და მისი დრო ერთმანეთს უგებენ?

— რა გულცივად ლაპარაკობ, ლევერკიუნ? განა კარგი არ არის, რომ დღესდღეობით ცივილიზებული საზოგადოებამ ახალგაზრდობის უფლებები აღიარა და რომ არავინ არ უარყოფს მომნიშვნის ხანის დამოუკიდებელ ღირებულებას?

— კარგი როგორ არ არის, — შეესიტყვა ადრიანი, — ოღონდ თქვენ იმით დაინწყეთ... შენ იმით დაინწყე... ჩვენ იმ დებულებით დავინწყეთ...

მაგრამ აღარ აცალეს და სიცილი დააყარეს, რადგან ისევ ნაიბორძიკა პირისა და რიცხვის არჩევისას. მგონი, მათეუს არცტი იყო, რომ უთხრა:

— მართლა შენებურად მოგივიდა, ლევერკიუნ. ზმნებს მშვენივრად აუღლებ. ჯერ თქვენობით მიმართავ ამხანაგებს, მერე გაგონდება, რომ შენობით უნდა ელაპარაკო, ხოლო ამის შემდეგ შენს თავსაც მარაქაში რევ და „ჩვენო“ ამბობ. თან „ჩვენზე“ ლამის ენა იღრძო, ისე გეძნელება მისი წარმოთქმა. გამოუსწორებელი ინდივიდუალისტი ხარ.

ადრიანს არ სურდა მისთვის ეს სახელი მიეტმასნებინათ. სრულებითაც არაო, — განაცხადა მან, — მე ინდივიდუალისტი სულაც არა ვარ, პირიქით, ერთობის მომხრე ვარო.

— თეორიულად თუ, — მიუგო არცტი, — ისიც ადრიან ლევერკიუნის გამოკლებით, ქედმაღლურად. შენ ახალგაზრდობასაც ზევიდან დასცქერი, თითქოს თვითონ მას არ ეკუთვნოდე. უნარი არ შეგწევს ვინმეს შეურიგდე და შეეხამო, რადგან თავმდაბლობისა და მორჩილებისა ძალზე ცოტა რამ თუ გაგეგება.

— ჰო, მაგრამ ჩვენ ხომ თავმდაბლობასა და მორჩილებაზე არ ვლაპარაკობდით, — თავს იცავდა ადრიანი, — არამედ, პირიქით, ცხოვრების გულდაჯერებულ შეგრძნებაზე.

აქ დოიჩლინმა შემოგვთავაზა, ლევერკიუნისათვის გვეცლია ბოლომდე გამოეთქვა თავისი აზრი.

— მე თითქმის აღარაფერი მქონდა სათქმელი, — დასძინა ადრიანმა, — თქვენი ამოსავალი დებულება ის იყო, რომ ახალგაზრდობა უფრო მჭიდროდ არის დაკავშირებული ბუნებასთან, ვიდრე მომნიშვნეული ცივილიზებული ადამიანი, — ესე იგი დაახლოებით ისევე, როგორც ქალი, რომელსაც მამაკაცთან შედარებით ბუნებას-

თან უფრო ახლოს მდგომად მიიჩნევენ. მაგრამ მე ამ აზრს არ ვიზიარებ. მე მიმაჩნია, რომ ახალგაზრდობა ბუნებასთან აგრერიგად გაშინაურებული არ არის, უფრო მეტიც, ბუნება აკრთობს და აფრთხობს მას. არსებითად უცხოა მისთვის. იმ ამბავს, რომ ის ნაწილია ბუნებისა, ადამიანი მხოლოდ დროთა ვითარებაში ეჩვევა და თანდათანობით ურიგდება. სწორედ ახალგაზრდობას, მე დიდი გაქანების ახალგაზრდებს ვგულისხმობ, ეშინია ბუნებასთან ნათესაობის, მქირდავად უყურებს ბუნებას, მტრად ეკიდება. რა არის ბუნება? ტყე და ველ-მინდვრები? მთები, ხეები და ზღვა? ლამაზი პეიზაჟი? ჩემი აზრით, ახალგაზრდობა ამას უფრო ნაკლებად ამჩნევს, ვიდრე ხნიერი, დაღვინებული ადამიანი. ყმანვილი კაცი მაინცდამაინც განწყობილი არ არის ბუნების ჭვრეტისათვის, მისი ხილვით დატკობისათვის. ის უფრო შინაგან სამყაროშია ჩაძირული, სულიერ ამბებში და გრძნობადი ნაკლებად იტაცებს, ჩემი აზრით.

— *Quod demonstramus**, — თქვა ვილაცამ, მე მგონი, დუნგერსპაიმმა, — ჩვენ, ქვეითად მოყარიბენო, ამჟამად რომ ჩალაზე ვწევართ და ხვალ თიურინგიის ტყისკენ გავილაშქრებთ, აიზენახისა და ვარტბურგისაკენ.

— შენ სულ გაიძახი: ჩემი აზრითო, — ჩაურთო ვილაც სხვამ, — ალბათ გინდა თქვა: ჩემი გამოცდილების მიხედვითო.

— თქვენ მსაყვედურობთ, — განაგრძო ადრიანმა, — რომ ქედმაღლურად ვლაპარაკობ ახალგაზრდობაზე და ჩემს თავს მას არ ვაკუთვნებ, ჰოდა, ახლა კი ერთბაშად გინდათ მის სუროგატად გამომიყვანოთ?

— ლევერკიუნს, — განაცხადა ამაზე დოიჩლინმა, — ახალგაზრდობაზე საკუთარი თვალსაზრისი აქვს, მაგრამ, ცხადია, ცხოვრების სპეციფიკურ ფორმად თვლის და მიაჩნია, რომ სიჭაბუკეს, როგორც ასეთს, ანგარიში უნდა გაენიოს. ეს არის მთავარი. მე ახალგაზრდობის მიერ თვითგანსჯის წინააღმდეგ მხოლოდ იმდენად გავილაშქრე, რამდენადაც იგი ცხოვრების უშუალობას ხელყოფს. მაგრამ თვითგანსჯა თვითშეცნობაც არის და ამ თვალსაზრისით ამძაფრებს კიდევ ცხოვრებას. ამიტომ ამ საზომით გაზომილს მე დადებითად ვეკიდები. ახალგაზრდობის იდეა ჩვენი ხალხის, გერმანელი ხალხის, პრივილეგია და უპირატესობაა. სხვები მას თითქმის არ იცნობენ. ახალგაზრდობის თავისთავადი, თვითმყოფადი აზრი მათთვის უცხ-

**რასაც ვამტკიცებთ კიდევ (ლათ.).*

ოა. მათ უკვირთ გერმანელი ახალგაზრდობის ხაზგასმით თავისებური საქციელი, რასაც უფროსი თაობებიც იწონებენ, და თვით მათი არაბიურგერული ჩაცმულობაც კი. როგორც ენებოთ! გერმანელი ახალგაზრდობა, სწორედ როგორც ახალგაზრდობა, განსახიერებს გერმანელი ხალხის სულს, გერმანულ სულს, რომელიც ახალგაზრდაა და მომავლით აღსავსე, — ჯერაც მოუმნიფებელი, თუ გნებავთ, მაგრამ ეს არაფერია! გერმანელთა საგმირო საქმეები მუდამ ამდაგვარი მძლეთა მძლე უმნიფრობით ხორციელდებოდა. ტყუილად როდი ვართ რეფორმაციის ხალხი. ისიც ხომ უმნიფრობის შედეგი იყო. მომნიფებული გახლდათ აღორძინების ხანის ფლორენციელი, რომელიც ეკლესიაში წასვლის წინ თავის ცოლს ეუბნებოდა: — მაშ, ასე, პატივი დავდოთ ამ საყოველთაო შეცდომასაო! მაგრამ ლუთერი საკმაოდ მოუმნიფებელი იყო, საკმაოდ ხალხური, გერმანულ ყაიდაზე ხალხური, რომ ახალი, განმენდილი სარწმუნოება შეექმნა. აბა, რა მოუვიდოდა ქვეყნიერებას, საბოლოო სიტყვა რომ სიმნიფისა ყოფილიყო! ჩვენ კი მას ჩვენი მოუმნიფებლობით კიდევ არა ერთ განახლებასა და რევოლუციას მივუძღვნით!

დოიჩლინის სიტყვების შემდეგ ერთხანს ყველა დუმდა. ეტყობა, გულში ესალბუნებოდათ, რომ ახალგაზრდები იყვნენ, ახალგაზრდა იყო მათი ერი და პათოსით იმსჭვალებოდნენ. სიტყვები: „მძლეთა მძლე უმნიფრობა“ უმრავლესობისათვის უთუოდ საამურად ყლერდა.

— ნეტავი ერთი გამაგებინა, — გავიგონე ბინდუნდში ადრიანის ხმა პაუზის შემდეგ, — რატომა ვართ მაინცდამაინც ასე უმნიფარნი, ასე ახალგაზრდები, როგორც შენ ამბობ, — მე გერმანელ ხალხს ვგულისხმობ. ბოლოს და ბოლოს სხვებზე ნაკლები გზა არც ჩვენა გვაქვს გამოვლილი და შეიძლება მხოლოდ ჩვენი ისტორიული თავისებურების გამო, სახელდობრ, იმის გამო, რომ ცოტათი გვიან გავერთიანდით და ერთობლივი თვითშეგნება დიდი ხანი არ არის გამოვიმუშავეთ, განსაკუთრებით ახალგაზრდა გვეჩვენება თავი.

— არა, აქ სულ სხვაგვარად არის საქმე, — ჩამოართვა სიტყვა დოიჩლინმა. — ახალგაზრდობას, ამ სიტყვის უზენაესი გაგებით, საერთო არა აქვს პოლიტიკურ ისტორიასთან, იგი მეტაფიზიკური ნიჭია, არსებითი რალაცაა, სტრუქტურა და მრწამსი. შენ რა, არაფერი გსმენია გერმანული ქმნადობის შესახებ, გერმანული ყარიბობის, გერმანული არსის გაუთავებელი გზად ყოფნის შესახებ? გერმანელი, თუ გნებავს, ხალხთა შორის მარადიული სტუდენცია, მარადიული მაძიებელი...

– ხოლო მისი რევოლუციები, – ჩაურთო ადრიანმა და თან ჩაი-
ცინა, – მსოფლიო ისტორიის სტუდენტური ზარხოშის გამოვლე-
ნაა.

– ძალიან გონებამახვილურად თქვი, ლევერკიუნ, მაგრამ მიკვი-
რს და გამკვირვებია, რომ შენი პროტესტანტიზმი ნებას გაძლევს ასე
იოხუნჯო. ნუთუ არ შეიძლება უფრო სერიოზულად მოეკიდო იმას,
რასაც მე ახალგაზრდობას ვუნოდებ. ახალგაზრდობა ნიშნავს პირვე-
ანდელობას, სიცოცხლის წყაროსთან, მის სათავეებთან ჯერაც ახ-
ლოს ყოფნას, ფეხზე წამოდგომისა და დრომოჭმული ცივილიზაციის
ბორკილების დამსხვრევის უნარს, იმის გაბედვას, რისთვისაც სხვე-
ბს ცხოვრების აზარტი და შემართება აკლიათ, სახელდობრ, კვლავ
სტიქიონში ჩაყურყუმელალების გაბედვას. ახალგაზრდობის სითა-
მამე „მოკვდი და იქმენინ“ სულისკვეთებაა, სიკვდილისა და ხელა-
ხალი დაბადების ცოდნაა.

– მერედა, ეს მარტო გერმანული ამბავია? – შეეკითხა ადრიანი. –
ხელახლად დაბადებას ოდესღაც რინასჩიმენტო ერქვა და იტალია-
ში მიმდინარეობდა. ხოლო „უკან დაევბრუნდეთ ბუნებასაო“, –
პირველად ფრანგულად გვიჩვენეს.

– პირველი კულტურის განახლება იყო, – მიუგო დოიჩლინმა, –
ხოლო მეორე კი სანტიმენტალური პასტორალი,

– პასტორალიდან, – ჯიუტობდა ადრიანი, – საფრანგეთის რევო-
ლუცია წარმოიშვა, ხოლო ლუთერის რეფორმაცია მარტოოდენ
რენესანსის განშტოება იყო, მისი ეთიკური შემოვლითი გზა, მისი
გამოყენება რელიგიურ ასპექტში.

– რელიგიურ ასპექტშიო, ამბობ. საქმეც ეგ არის, რელიგიური
აზროვნება ხომ სულ სხვა რამეა, ვიდრე არქეოლოგიური განახლება
ანდა საზოგადოებრივი გადატრიალებაა. რელიგიურობა – ეს ალბათ
ახალგაზრდობაა თავად, იგი პიროვნების ცხოვრების სიღრმე და
სიმამაცეა, მისი ნებისყოფა და შემოქმედების უნარია, მყოფობის
ბუნებრიობაა, მისი დემონური სანყისი, როგორც ეს კიერკეგორმა
კვლავ მოიტანა ჩვენს ცნობიერებამდე, ცხოველმყოფელად განგვა-
ცდევინა და შეგვაგნებინა.

– შენ რა, რელიგიურობა განსაკუთრებულ გერმანულ ნიჭად
მიგაჩნია? – ჩაეკითხა ადრიანი.

– იმ გაგებით, როგორც მე განვსაზღვრე, როგორც სულიერი
ახალგაზრდობა, სტიქიურობა, როგორც ცხოვრების რწმენა და
დიურერისეული ჭენება სიკვდილსა და ეშმაკს შორის, – უთუოდ.

— მერე საფრანგეთი, საყდრების ქვეყანა, რომლის მეფეც ყოვლად ქრისტიანად იწოდებოდა და რომელმაც ისეთი თეოლოგები შვა, როგორიც არიან ბოსუე, პასკალი.

— ეს დიდი ხნის წინათ იყო. მერე კი საუკუნეების მანძილზე საფრანგეთს ისტორიის მიერ ანტიქრისტიანული სახელმწიფოებრივი როლი აკისრია. გერმანიაზე კი ამის საპირისპირო ითქმის. ამას შენ იგრძნობდი და გეცოდინებოდა, ლევერკიუნ, შენ რომ სწორედ ადრიან ლევერკიუნი არ იყო, ესე იგი ერთობ ცივი ხარ იმისათვის, რომ ახალგაზრდად იგრძნო თავი, ერთობ ჭკვიანი, რომ რელიგიურად განიმსჭვალაო. შენი ჭკუის პატრონი ეკლესიის საზით შეიძლება შორს წავიდეს, მაგრამ ხალას რელიგიურ ამბებში კი — ნურას უკაცრავად.

— დიდი მადლობა, დოიჩლინ, — გაეცინა ადრიანს, — „ძარღვიანი გერმანულიო, როგორც ერენფრიდ კუმპფი იტყოდა, ძველგერმანულ ყაიდაზე, რაიმე მიკიბვ-მოკიბვის გარეშე“ გამათახე. მე ისეთი წინათგრძნობა მაქვს, რომ ეკლესიის საზითაც მაინცდამაინც შორს ვერ წავალ, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ უიმისოდ თეოლოგი არ გავხდებოდი. მე დიახაც ვიცი, რომ თქვენს შორის უნიჭიერებს, რომელთაც კიერკეგორი წაუკითხავთ, სიმართლე, სხვათა შორის ეთიკური სიმართლეც, მთლიანად სუბიექტურის სფეროში გადააქვთ და აღშფოთებით უარყოფენ მრევლის მაგვარი რამის არსებობას. მაგრამ არ ძალმიძს თქვენი რადიკალიზმი გავიზიარო, რაც, უეჭველია, დიდხანს ვერ გაგყვებათ, რადგან სტუდენტური სიანცით არის გამოწვეული, და ვერც თქვენს კიერკეგორს დავუკრავ კვერს ეკლესიისა და ქრისტიანობის გათიშვაში. ეკლესიაში მე, ისეთშიც, როგორიც დღეს არის, საერო თუ სამოქალაქო ორგანოებს დამსგავსებულში, ვხედავ წესრიგის ბურჯს, დისციპლინის ობიექტურად დამწერგავ დანესებულებას, რომელიც რელიგიურ ცხოვრებას გეზს აძლევს, გარკვეულ კალაპოტს უჩენს. უეკლესიოდ კი იგი სუბიექტივისტურ გზას დაადგებოდა და გაველურდებოდა, აუტანელ ქაოსად იქცეოდა, ფანტასტიკურ საშინელებათა საუფლოდ, დემონიის ზღვად. ეკლესიისა და რელიგიის გათიშვა იმას ნიშნავს, რომ უარი თქვათ რელიგიურობისა და სიგიჟის გამიჯვნაზე...

— ყური დაუგდეთ ერთი! — შეძახა რამდენიმემ.

— მართალს ამბობს, — გადაჭრით განაცხადა მათეუს არცტმა, რომელსაც ამხანაგები „სოციალურ არცტს“* ეძახდნენ, რადგან

* „არცტ“ — გერმანულად ექიმი, მეურნალი (მთარგმ. შენიშვნა).

სოციალური საკითხებით იყო გატაცებული, ქრისტიანი სოციალისტი გახლდათ, და ხშირად მოჰყავდა ხოლმე გოეთეს გამონათქვამი: ქრისტიანობა პოლიტიკური რევოლუცია იყო და ზნეობრივ რევოლუციად შეცდომით იქცაო. ახლაც იგივე მოიმოქმედა და მერმე განაგრძო: — იგი ისევ პოლიტიკური უნდა გახდეს ან, უფრო ზუსტად, სოციალური; ეს რელიგიური ცხოვრების მონესრიგების ერთადერთი ჭეშმარიტი საშუალებაა, თორემ მას მართლაც გადაგვარება ემუქრება, რაც ლევერკიუნმა არცთუ ურიგოდ აგვინერა. რელიგიური სოციალიზმი, სოციალურ კალაპოტში მოქცეული რელიგიურობა — ეს არის არსებითი. სოციალურისა და რელიგიურის სწორ შერწყმაზე ყველაფერი დამოკიდებული. საღმრთო სჯულით განპირობებული კავშირი უნდა დაემთხვას სოციალურ კავშირს, საზოგადოების სრულქმნის ამოცანას, რაც აგრეთვე ღვთის მიერ არის ჩვენთვის დასახული. დამიჯერეთ, — განაგრძო მან, — ყველაფერი დამოკიდებულია შეგნებული მრეწველი ხალხის, ინტერნაციონალური მრეწველი ერის აღზრდაზე, რომელიც სრულიად ევროპული საღ-საღამათი სამეურნეო საზოგადოების ჩამოყალიბებას შეძლებდა, რომელშიაც თავს მოიყრიდა შემოქმედებითი იმპულსები, უკვე ახლაც რომ არსებობენ ჩანასახობრივად, არა მხოლოდ ახალი სამეურნეო ორგანიზაციის ტექნიკურად დასაწინააღმდეგებლად, არა მხოლოდ ადამიანთა ყოფა-ცხოვრებაში რადიკალური ჰიგიენური ღონისძიებების ჩასატარებლად, არამედ ახალი პოლიტიკური წესრიგის დასამყარებლადაც.

მე ამ ყმანვილ კაცთა საუბარს ისევე გადმოვცემ, როგორც თვითონ ლაპარაკობდნენ: იმ სიტყვა-თქმებს ვიყენებ, რომლებსაც ისინი იყენებდნენ, სწავლულთა ჟარგონიდან ნასესხებთ. მაღალფარდოვანი რომ იყო ეს ენა, სულაც არ დაგიდევდნენ, პირიქით, დიდი სიამოვნებით და ძალიან ბუნებრივად, სრულიად უპრეტენზიოდ იმეორებდნენ მოარულ პრეტენზიულ გამოთქმებს. „რადიკალური ჰიგიენური ღონისძიებები“, „საღმრთო სჯულით განპირობებული კავშირი“ — ცოტა გადაპრანჭული შესიტყვებები იყო და უფრო მარტივად შეიძლებოდა თქმა, მაგრამ მაშინ ეს მათი ფილოსოფიურ-მეცნიერული ენა აღარ იქნებოდა. უყვარდათ „არსებითი საკითხის“ დასმა. ლაპარაკობდნენ „საკრალურ არეზე“, „პოლიტიკურ არეზე“, ან კიდევ: „აკადემიურ არეზე“, ახსენებდნენ „სტრუქტურულ პრინციპებს“, „დიალექტიკურად დაძაბულ ურთიერთობას“, „მყოფობის შესაბამისობებს“ და ა. შ. ამჯერად დოიჩლინმა წამოჭრა არსებითი საკი-

თხი, ხელები თავქვეშ ჰქონდა შემოწყობილი, ისე ჩამოაგდო სიტყვა არცთისეული სამეურნეო საზოგადოების გენეტიკურ წყობაზე. მისი სათავე სხვა არა შეიძლება იყოს რა, თუ არა ეკონომიკური რაციონალიზმი და მერეც სამეურნეო საზოგადოებაში მუდამ მხოლოდ იგი უნდა სუფევდესო.

— ჩვენ ნათლად უნდა გვექონდეს შეგნებული, მათეუს, — დასძინა მან, — რომ სოციალურ-ეკონომიკური ორგანიზაციის საზოგადოებრივი იდეალი მომდინარეობს ავტონომიურ-განმანათლებლური აზროვნებიდან, მოკლედ, რაციონალიზმიდან, რომელსაც ჯერ არ განუცდია ზეცნობიერ და ქვეცნობიერ ძალთა შემოქმედება. შენ გგონია, რომ მარტოოდენ ადამიანის საღ გონებაზე დაყრდნობით შეიძლება სამართლიანი წესწყობილების აგება, ამასთან შენ „სამართლიანსა“ და „საზოგადოებრივად სასარგებლოს“ აიგივებ და ფიქრობ, რომ აქედან აღმოცენდება ახალი პოლიტიკური წესრიგი; მაგრამ ეკონომიკის არე სულ სხვა რამეა, ვიდრე პოლიტიკის არე, და საზოგადოებრივად სასარგებლო ეკონომიკური აზროვნებიდან ისტორიულად გამართლებულ პოლიტიკურ შეგნებამდე პირდაპირი ხიდი არ გაიდება. არ მესმის, როგორ ვერ მიმხვდარხარ ამას. პოლიტიკური წყობა სახელმწიფოს ემყარება, ხოლო სახელმწიფო კი ძალაუფლებისა და ბატონობის ფორმაა და არ განისაზღვრება სარგებლიანობის პრინციპით. იგი სულ სხვა ხარისხობრივ მაჩვენებლებს განასახიერებს და არა რომელიმე ფირმის წარმომადგენლისათვის ან პროფკავშირის მდივნისათვის გასაგებ ოდენობებს, მაგალითად, პატივსა და ღირსებას. ასეთი ცნებებისათვის, ჩემო ძვირფასო, ეკონომიკის არის ხალხს მყოფობის სათანადო შესაბამისობები არ გააჩნია.

— ეჰ, დოიჩლინ, რას ამბობ, — უთხრა არცტმა, — ჩვენ, თანამედროვე სოციოლოგებმა, ხომ ძალიან კარგად ვიცით, რომ სახელმწიფოც აღჭურვილია საარგებლო ფუნქციებით. მართლმსაჯულება და საზოგადოებრივი უშიშროების დაცვა სხვა კი არაფერია, თანაც ჩვენ საერთოდ ხომ ეკონომიკის ეპოქაში ვცხოვრობთ. ძირითადად ეკონომიკა განსაზღვრავს ჩვენი დროის ისტორიულ ხასიათს, ხოლო პატივი და ღირსება რას არგებს სახელმწიფოს, თუ ეკონომიკურ ვითარებას ალღოს ვერ აულებს და თავს ვერ გაართმევს.

დოიჩლინი ბოლოს დაეთანხმა, მაგრამ იმას მაინც უარყოფდა, რომ სასარგებლო ფუნქციები შეადგენდა სახელმწიფოს არსს. სახელმწიფოს კანონიერება წის სიღიადეს, მის სუვერენიტეტს ემყარება და

ამიტომ იმისგან დამოუკიდებლად არსებობს, აღიარებენ თუ არა მის ღირებულებას ცალკეული პიროვნებები, ვინაიდან იგი — „საზოგადოებრივი ხელშეკრულების“ უთვალავ ჩახლართული ამბებისაგან განსხვავებით — ამ ცალკეულ პიროვნებებზე ადრე არსებობდა. არსებობის თვალსაზრისით ეს ზეინდივიდუალური მიმართებანი ისევე პირველადია, როგორც ცალკეული ადამიანი. ეკონომისტს სწორედ იმის გამო არა ესმის რა სახელმწიფოსი, რომ მისი ტრანსცენდენტული საფუძველი არ გაეგება.

ამაზე ფონ ტოიტლებენმა თქვა:

— მე, რა თქმა უნდა, სიმპათიით ვეკიდები სოციალურ და რელიგიურ თვალსაზრისთა შერწყმას, რასაც არცტი ქადაგებს; ყოველ შემთხვევაში ეს სჯობია სრულ გათიშვას; და მათეუსიც მართალზე მართალია, როდესაც ამბობს, რომ ყველაფერი დამოკიდებულია მათ მიმართებულად შერწყმაზე. ხოლო რათა მართებულად შეერწყან ერთმანეთს, რათა მათი კავშირი ერთსა და იმავე დროს რელიგიურიც იყოს და პოლიტიკურიც, იგი ჭეშმარიტად ხალხურიც უნდა იყოს, ამიტომ ასეთი კითხვა დამებადა: შეიძლება თუ არა სამეურნეო საზოგადოებიდან ახალი ხალხურობა იშვას? მოდით რურის ოლქს შევხედოთ. აქ ჩვენ ვხედავთ ადამიანთა თავმოყრის ახალ ცენტრებს, მაგრამ ხალხურობის ახალ უჯრედებს კი ვერა. აბა ერთი ლოინიდან ჰალემდე მატარებლით იმგზავრეთ! თქვენ ნახავთ ერთად მსხდომ მუშებს, რომლებიც მშვენივრად მსჯელობენ ტარიფის საკითხებზე, მაგრამ მათ მასლაათში ვერ იგრძნობთ, რომ ერთად მუშაობის შედეგად ხალხური სულისკვეთების ნატამალი მაინც შესძენოდეთ. ეკონომიკაში სულ უფრო და უფრო ბატონდება ლიტონი სასრული ცნებები...

— ხალხურობაც ხომ სასრული ცნებაა, — მოგონა ვილაცამ, ჰუმბიიერი იყო თუ შაპელერი, დანამდვილებით ახლა უკვე აღარ მახსოვს. — ჩვენ, როგორც თეოლოგები, ხალხს მარადიულ კატეგორიად ვერ განვიხილავთ. ალტყინების უნარი ძალიან კარგი თვისებაა, ხოლო რისიმე რწმენის მოთხოვნილება — ახალგაზრდობის ბუნებრივი მახასიათებელი, მაგრამ იგი ცდუნებაც არის და ჩვენც უნდა საგულდაგულოდ დავაკვირდეთ იმ ახალი კავშირების სუბსტანციას, რომელნიც ყველგან ჩნდებიან დღეს, როდესაც ლიბერალიზმს წირვა გამოუდის: ხალასია თუ არა იგი, რეალურია დამაკავშირებელი ობიექტი, თუ პროდუქტია, ვთქვათ, რომანტიკული სტრუქტურისა, რაც იდეოლოგიურ ობიექტებს ქმნის ნომინალისტური,

რომ არა ვთქვათ, დიქტიური გზით-მეთქი. მე ვფიქრობ, ან უფრო სწორად, მე ვშიშობ, რომ გაღმერთებული ხალხურობა და უტოპიურად გაგებული სახელმწიფოებრიობა სწორედ ასეთი ნომინალისტური გაერთიანებები გახლავთ, და მათი საფიციარ ხატად გადაქცევა, — მაგალითად, თუნდაც გერმანიისა, ჩვენს ჭეშმარიტ გაერთიანებას ჯერ კიდევ არ ნიშნავს, რადგან არაფერი ესაქმება პიროვნების სუბსტანციასა და მასში მოქცეულ თვისებრიობასთან. პიროვნება საერთოდ არ მიიღება მხედველობაში და როდესაც ვინმე „გერმანიას“ ახსენებს და ამით რაღაც ერთიანსა და საერთოსთან თავის კავშირს გახაზავს, მას არაფრის დამტკიცება არ სჭირდება, რადგან არავინ ეკითხება, არც თვითონ ეკითხება საკუთარ თავს: პირადად მას რამდენად გააჩნია ეს გერმანელობა, რამდენად ხარისხიანად ავლენს მას და რამდენად ძალუძს ქვეყნად გერმანული ცხოვრების ფორმის დამკვიდრებას სამსახური გაუწიოს. აი, ეს გახლავთ ის, რასაც მე ნომინალიზს ვუწოდებ, ან უმჯობესია ვთქვა, სახელის ფეტიშიზაციას-მეთქი, და რაც, ჩემი აზრით, იდეოლოგიური კერპთ-თაყვანისმცემლობაა.

— კეთილი, ჰუმბაიერ, — უთხრა დოიჩლინმა, — ეგ ყველაფერი სწორია, რასაც ამბობ, და ვაღიარებ, რომ შენმა კრიტიკამ პრობლემის გაგებასთან უფრო ახლო მიგვიყვანა. მე მათეუს არცტს შევეკამათე, რადგან ეკონომიკის არეში სარგებლიანობის პრინციპის ბატონობა არ მეპრინაება, მაგრამ ამაში კი სავსებით ვეთანხმები, რომ სჯული, როგორც ასეთი, მაშასადამე, რელიგიურობა საზოგადოდ, ერთგვარად ფორმალისტური და უსაგნოა. ამიტომ საჭიროებს მინიერი, ემპირიული მასალით შევსებას, ანუ ღვთისმოსაობის პრაქტიკულად გამოყენებასა და საქმეში შემონმებას, არცტმა საამისოდ სოციალიზმი არჩია, ხოლო კარლ ტოიტლებენმა ხალხურობა. დღეს იძულებულნი ვართ ერთ-ერთი ავირჩიოთ ამ ორს შორის. მე მიმაჩნია, რომ მას შემდეგ, რაც ლიბერალურ ფრაზებზე ყურს აღარავინ არ იბერტყავს, იდეოლოგიათა სიჭარბე აღარ არსებობს, მართლაცდა, რელიგიური მორჩილებისა და რელიგიურ იდეათა განხორციელების მართო ეს ორი შესაძლებლობა არ აებობს: სოციალური და ეროვნული. მაგრამ უბედურება ის არის, რომ ორივეს საჭოჭმანო და სახიფათო ამბები ახლავს, თანაც ძალიან საჭოჭმანო და სახიფათო. ხალხურობის აღიარება რომ ესოდენ ხშირად ნომინალისტურად გაფუყული და შინაგანად ცარიელია, რომ პიროვნების სუბსტანციას ვერ მოიცავს — ამის შესახებ საემოოდ დამაჯერებლად ილაპარაკა ჰუმბაიერმა და განმავ-

ოგადებლად მხოლოდ უნდა დაეუმატოთ, რომ დიდი ვერაფერი ამბავია მხარი დაუჭიროო ობიექტურ მონაცემს, რომელიც უფრო ინტენსიურს ხდის ცხოვრებას, თუკი ამას შენი პირადი ყოფის მოწყობისათვის მნიშვნელობა არ გააჩნია და მარტო საზეიმო ვითარებაში იჩენს თავს. ასეთ საზეიმო გარემოებათა რიცხვს მე საკუთარი თავის აფექტურ მსხვერპლად შენირვასაც ვაკუთვნებ. ჭეშმარიტი მსხვერპლის მოტანა ორი ხარისხობრივად განსხვავებული ღირებულების არსებობას გულისხმობს: საქმისა, რომლისთვისაც მსხვერპლს იღებენ და თავად მსხვერპლისა... მაგრამ ჩვენ ვიცით ისეთი შემთხვევებიც, როდესაც პიროვნების სუბსტანციაში ერთობ მომძლავრებული იყო, ვთქვათ, გერმანელობა, ობიექტურად კი, თანაც სრულიად უნებლიეთ, ზვარაკად გამოდიოდა, მაშინ როდესაც ხალხურობის აღსარებასთან არათუ საერთო არა ჰქონდა რა, არამედ დაჟინებით უარყოფდა კიდევ. ასე რომ, საკუთარი თავის მსხვერპლად შენირვის ტრაგიზმს აქ სწორედ სინამდვილესა და რწმენას შორის არსებული ნანაალმდევობა შეადგენდა... დღეს საღამოს ეროვნულ ერთობაზე ესეც კმარა. რაც შეეხება სოციალურ ერთობას, მასაც თავისი საჭირობოროტო ამბავი ახლავს: ეკონომიკის არეში თუნდაც ყველაფერი. რომ საუკეთესოდ მოწესრიგდეს, მაინც ადამიანის არსებობის აზრით აღჭურვისა და ცხოვრების ღირსეულად წარმართვის საკითხი ისევე ღიად რჩება, როგორც დღეს არის. ერთხელაც იქნება და მთელ დედამიწის ზურგზე ერთიანი, უნივერსალური ეკონომიკური განმგებლობა დამკვიდრდება და კოლექტივიზმის სრული გამარჯვების მოწმენი გაეზნებით. — კეთილი და პატიოსანი, მაშინ ამის შედეგად ადამიანის არსებობის ის რელატიური არასაიმედოობაც გაქრება, რაც გარდუვალთა სოციალური კატასტროფებით მოცული კაპიტალისტური სისტემის დროს; ესე იგი ადამიანთა ცხოვრების ხელყოფის ხსენებაც კი აღარ იქნება და ამიტომ გონებრივი პრობლემატიკის ნაახაზიც აღარ იარსებებს. ჰოდა, საკითხავია, მაშინ რილასთვის უნდა იცხოვრო კაცმა?..

— შენ რა, გინდა კაპიტალისტური სისტემა შეინარჩუნო, დოიჩლინ, — შეეკითხა არცტი, — რათა ადამიანის ცხოვრების ხელყოფის ამბავი ჩვენს მეხსიერებაში არ წაიშალოს?

— არა, მე ეგ არ მინდა, ძვირფასო არცტი, — მიუგო განანყენებულმა დოიჩლინმა, — განა იმ ტრაგიკული ანტინომიების მითითება არ იკმარებდა, რომლებითაც აღსაესება ცხოვრება?

— მათი მითითება რა საჭიროა, — ამოიოხრა ღუნგერსჰაიმმა, — განა მათგან არა გვჭირს მთელი სიავე? ამიტომია, რომ ღვთისმშობლავ

ადამიანს ძალაუნებურად ასეთი კითხვა უჩნდება: ქვეყნიერება მართლაც მარტო კეთილი ღმერთის შექმნილია, თუ იქნებ ერთობლივი მუშაობის ნაყოფს წარმოადგენს, არ მინდა ვახსენო, ვისთან ერთად?

— ნეტავი მაცოდინა, — შენიშნა ფონ ტოიტლებენმა, — სხვა ხალხთა ახალგაზრდობაც თუ ასე წევს ჩალაზე და პრობლემებითა და ანტინომიებით იტანჯავენ თავს.

— ძალიან ვეჭვობ, — მიუგო დოიჩლინმა აბუჩად, — ისინი ყველანი გაცილებით მარტივად და სადად ეკიდებიან სულიერ ამბებს.

— გარდა რუსი რევოლუციური ახალგაზრდობისა, — დასძინა არცტმა, — მათთან, თუ არ ვცდები, განუწყვეტილად ცხარე კამათია გაჩაღებული და მეტი რომ არ შეიძლება, ისეთი დიალექტიკური დაძაბულობა სუფევს.

— რუსებს, — სენტენციურად განაცხადა დოიჩლინმა, — სიღრმე აქვთ, მაგრამ ფორმა არ გააჩნიათ. დასავლეთის ახალგაზრდობას კი ფორმა აქვს და სიღრმე კი არა, ორივეს ერთად მარტო ჩვენ, გერმანელები, ვფლობთ.

— ოჰო, ეს უკვე ნაღვი ნაციონალიზმია! — გაიცინა ჰუმბაიერმა.

— ეს მხოლოდ და მხოლოდ იდეის ერთგულებაა, — შეესიტყვა დოიჩლინი. — მე რასაც ვამბობ, შეგიძლიათ მოწოდებად მიიღოთ. ჩვენ არაჩვეულებრივი მოვალეობა გვაკისრია და ჯერჯერობით მას ისე ვერ ვასრულებთ, როგორც საჭიროა. ჩვენს ამოცანასა და მის შესრულებას შორის უფრო დიდი უფსკრულია, ვიდრე სხვა ხალხების ამოცანასა და მის შესრულებას შორის, ვინაიდან თვით ამოცანაა ერთობ დიადი.

— მე მგონი, სჯობს ნაციონალურ ამბებს თავი გავანებოთ, — გაგვაფრთხილა დუნგერსჰაიმმა, — და ეს პრობლემები საერთოდ თანამედროვე ადამიანის არსებობასთან კავშირში განვიხილოთ. უნდა ითქვას, რომ მას შემდეგ, რაც ადამიანს ყოფიერების უშუალო ნდობა გაუქრა, ასეთი ნდობა კი ადრინდელ ეპოქებში პირდაპირი შედეგი იყო იმისა, რომ ადამიანი დაბადებიდანვე ჩაირთვებოდა ხოლმე ირგვლივ გამეფებულ ყოვლისმომცველ წესრიგში, მე ვგულისხმობ რელიგიური სულისკვეთებით გამსჭვალულ წესრიგს, სახარებით განცხადებულ ქეშმარიტებასთან მუდმივ გარკვეულ მიმართებაში მყოფს... მას შემდეგ, რაც ეს მთლიანი მსოფლალქმა დაირღვა და თანადროული საზოგადოება წარმოიშვა, ჩვენი დამოკიდებულება ადამიანებსა და საგნებთან უსასრულოდ რთული და სათუთი შეიქმნა.

ნა, ყველაფერი პრობლემური და გაურკვეველია, ასე რომ, ვაითუ ქვეყნის მართვის ძიება გულის აცრუებითა და სასონარკვეთილებით დასრულდეს. ნანგრევებში ახალი წესრიგის საფუძვლის ჩაყრის ცდები ყველგან შეინიშნება, თუნდაც დავუშვათ, რომ ჩვენთან, გერმანელებთან, ეს მისწრაფება განსაკუთრებით სერიოზული და მწვავეა, და რომ სხვა ხალხები თავიანთი ისტორიული სვე-ბედის გამო აგრერიგად არ იტანჯებიან, შეიძლება იმიტომ, რომ უფრო ძლიერები არიან, ანდა იმიტომ, რომ უფრო ჩლუნგები გახლავან...

— უფრო ჩლუნგები, — გადანყვიტა ფონ ტრიტლებენმა.

— ეგ შენ გგონია ასე, ტრიტლებენ, მაგრამ თუ ჩვენ ჩვენს ეროვნულ ღირსებად მივიწერთ მთელ ისტორიულ-ფსიქოლოგიურ პრობლემატიკის შეგნებისა და განცდის უნარს, ხოლო ახალი ყოვლისმომცველი წესრიგის ძიებას გერმანელობასთან გავაიგივებთ, მაშინ აღარაფერი არ გვაკლია ის მითოსი ვინამოთ, რომელიც უტყუარობის მხრივ საეჭვოა, ქედმაღლობის მხრივ კი — უეჭველი, სახელდობრ, მეომრის რომანტიკულ ტიპზე აგებული ხალხური თქმულება, რაც სხვა არა არის რა, თუ არა ქრისტიანობით ოდნავ შეფერილი ჩვეულებრივი წარმართობა, და ქრისტეს „ზეციური მხედრობის“ მბრძანებლად წარმოგვიდგენს. ასეთ პოზიციას კი აშკარად დემონური სანყისი ემუქრება...

— მერედა, რა? — შეეკითხა დოიჩლინი. — დემონური ძალები სიცოცხლის ყოველ გამოვლენაში მონაწილეობენ. მომწესრიგებელ თვისებრიობათა გვერდით.

— მოდით საგნები თავიანთი სახელებით მოვიხსენიოთ, — მოითხოვა შაპელერმა, ან შეიძლება ჰუმბაიერიც იყო, — დემონურს გერმანულად ინსტინქტური ეწოდება. ჰოდა, დღეს პროპაგანდისათვის უკვე ინსტინქტებსაც იყენებენ, — ათასნაირ გაერთიანებებში ხალხის დასარაზმავად. ინსტინქტთა ფსიქოლოგიას ძველი იდეალიზმის შესამკობად იშველიებენ, რათა მას დამაჯერებლობა და სანდომიანი იერი შესძინონ. მაგრამ ასეთ პროპაგანდას მაინც თითლიბაზობის სუნი ასდის...

აქ ისლა შემძლია დავსძინო: და ასე შემდეგ-მეთქი, რადგან უკვე დროა ამ საუბრის მოყოლა დავამთავრო, ან უფრო ზუსტად, მათი ერთ-ერთი სჯა-ბაასის აღწერას მოვრჩე. ნამდვილად კი მას ბოლო არ უჩანდა, კიდევ დიდხანს გრძელდებოდა, გვიან ლამემდე გაისმოდა გამოთქმები: „ორპოლუსიანი პოზიცია“, „შეგნებული ისტორიული ანალიზი“, „ხედროული თვისებები“, „ყოფითი ბუნებრიობა“,

„ლოგიკური დიალექტიკა“ და „რეალური დიალექტიკა“; მსჯელობდნენ სწავლულებივით, მუყაითად და ყოვლისმომცველად, რათა შემდეგ ქარს წაეღო მათი ნათქვამი, ან უკეთესი იქნებოდა მეთქვა: ძილს წაეღო-მეთქი, რომლისკენაც ჩვენმა რწმუნებულმა ბავორინსკიმ მოგვიწოდებოდა: დილითო — თითქმის უკვე დილა კი იყო — გზას ადრე უნდა გაყოფდეთო. კეთილმა ბუნებამ არ დააყოვნა მადლი მოესხა: გამზადებული ჰქონდა ძილი, რათა ჩვენი საუბარი შიგ შთაენთქა და დავინყების ტალღებში დაერწია, რაც ადრინამა, დიდი ხანია ხმას რომ აღარ იღებდა, ორიოდე სიტყვით ასე გამოხატა, თან დასაძინებლად ეწყობოდა:

— აბა, ღამე მშვიდობისა. რა ბედნიერებაა, რომ ამის თქმა შეიძლება. მე რომ მკითხოთ, სჯა-ბაასი მუდამ ძილის წინ უნდა იმართებოდეს. მაშინ დაზღვეული მაინცა ხარ კაცი, იცი, ძილს გადააყოლებ. თორემ განყენებულ საკითხებზე კამათის შემდეგ ფხიზლობა და აქეთ-იქით ნანწალი ვერაფერი ამბავია!

— ეგ თავის დაძვრენის პოზიციაა, — ჩაიბურტყუნა კიდე ვიღაც — ამ და მერე ხვრენის პირველი ჩქამები გაისმა საბძელში, მჭევრმეტყველი ნიშანი უდრტივინველ ვეგეტატურ არსებობაზე გადასვლისა, რომლის ორიოდე საათაც კმაროდა, რომ ამ კარგ ახალგაზრდებს ძალა დაბრუნებოდათ ბუნებით დატკობობისათვის, მისი მადლიერი თვალით ჭვრეტისა და აუსცილებელი თეოლოგიურ-ფილოსოფიური კამათისათვის, რაც თითქმის არ წყდებოდა. ისინი ერთმანეთს აკრიტიკებდნენ და აქილიკებდნენ, ასწავლიდნენ და აქეზებდნენ. ივნისში მაინც, როდესაც თიურინგიის ტყიან ბორცვებს შორის ჩანოლილი ხეობებიდან ჟასმინისა და ხეჭრელის მძიმე სურნელი მოიწვედა მაღლა, საამური იყო აქ ხეტიალი, მრენველობით თითქმის ხელუხლებელ, დალოცვილ სათუთსა და ნაყოფიერ მხარეში, სადაც მყუდრო სოფლები — ალაგ-ალაგ შექუჩული გლახური სახლები — იყო მიმოფანტული. მინათმოქმედების მხარის შემდეგ მესაქონლეობის მხარე იწყებოდა. ჩვენ მივდიოდით სოჭნარითა და წიფლნარით შემოსილი თხემის გასწვრივ გამავალ ბილიკზე — ლეგენდარულ „რენშტიგზე“, რომელიც ფრანკენვალდიდან აიხუნახისაკენ, მდინარე ჰორზელის პირას მდებარე ქალაქისაკენ, მიემართებოდა და საიდანაც მდინარე ვერას ხეობის ხედები იშლება. ბუნება სულ უფრო და უფრო ღამაზი, დიადი და რომანტიკული ხდებოდა და ადრინანის ნათქვამიდან აღარც ერთი მოსაზრება აქ დამაჯერებელი აღარ ჩანდა: არც ის, რომ ბუნების მიმართ ახალ-

გაზრდები გულგრილები არიანო და არც ის, რომ განყენებულ საკითხებზე სჯა-ბაასი ძილის წინ უფრო სასურველია, ძილი განმკურნებლად მოქმედებსო. თვით მისთვისაც კი ძალა დაკარგული ჰქონდა ორივე დებულებას, რადგან მარტო როცა შაკიკი შემოუტევედა, მაშინ თუ დუმდა, თორემ დანარჩენ დროს გატაცებით მუსაიფობდა და ბუნებასაც თუ აღტაცების შეძახილებით არ ამკობდა და მხოლოდ გარინდებული უჭვრეტდა, მე მაინც ეჭვი არ მეპარება, რომ ბუნების სურათები, რიტმები, ამალღებული მელოდიები უფრო ღრმად სწვდებოდა სულში, ვიდრე მის ამხანაგებს, და შემდგომ, როდესაც გონით გათანგულ მის შემოქმედებაში ხალასი, აზატქმნილი მშვენიერება გამოკრთებოდა ხოლმე, ძალაუნებურად ეს ერთად მიღებული შთაბეჭდილებები მახსენდებოდა.

თიან, ეს ცხოველმყოფელი საათები, დღეები და კვირები იყო. ღია ცის ქვეშ ყოფნა და ანკარა ჰაერი, პეიზაჟი და ისტორიული ადგილები აღაფრთოვანებდნენ ამ ყმანვილ კაცებს, სულიერად ამალღებდნენ ისეთ აზრებამდე, რომელთაც სტუდენტობის ხანის სიჭარბე და მცდელობა ახასიათებდათ და რომელთაც შემდგომ, მშრალი პროფესიული საქმიანობისას, ფილისტერობის უამს — დაე თუნდაც საეკლესიო ფილისტერობისა! — ვერა და ვერ გამოიყენებდნენ. ხშირად ვადევნებდი მათ თვალყურს თეოლოგიურ-ფილოსოფიურ პაექრობისას და ასე წარმომედგინა, რომ ზევრი მათგანი „ვინფრიდში“ ყოფნის პერიოდს თავისი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მონაკვეთად მიიჩნევდა. თვალყურს ვადევნებდი მათ და თვალყურს ვადევნებდი ადრიანს — ცხადზე უცხადესი წინათგრძნობით, რომ მას კი ასეთად არამც და არამც არ მოეჩვენებოდა. თუ მე, არაღვთისმეტყველი, მხოლოდ სტუმარი ვიყავ მათ შორის, იგი ხომ თეოლოგი იყო, მაგრამ ჩემზე უფრო ის გრძნობდა უცხოდ თავს. რატომ? გული მეუბნებოდა და არცთუ წუხილის გარეშე, რა უფსკრული ამორებდა ამ მონადინებულ ახალგაზრდობას ადრიანის ხვედრისაგან. რა განსხვავებაც იყო კეთილი, ასე გასინჯეთ, ჩინებული საშუალო ყმანვილკაცობისა და უჩინრად დალდასმულის ცხოვრების სარბიელს შორის: პირველთ ჭაბუკურ გზნებათა და ძიებათა გზიდან სულ მალე უნდა დინჯი ბიურგერული ცხოვრების შარაზე გადაეხვიათ, მეორე კი ვერასოდეს ვერ მიატოვებდა გონისა და პრობლემატიკის სარბიელს, რომელიც არავინ უწყის, სად მიიყვანდა. მისი გამოხედვა, თავდაჭერა, რაც ძმურ გულღიაობაში არასოდეს არ გადადიოდა, „შენ“, „თქვენ“ და „ჩვენ“ ნაცვალსახელების არჩევისას ენის ნაბორძი-

კება მაგრძნობინებდა მე და ალბათ სხვებსაც, რომ თავადაც განიცდიდა ამ განსხვავებას.

ჩემს მეგობარს უკვე მეოთხე სემესტრის დასაწყისშივე შევატყვევებო ზოგ რამეზე, რომ ღვთისმეტყველების ფაკულტეტზე სწავლის შეწყვეტას პირველი გამოცდის ჩაბარებამდე აპირებდა.

XV

ადრიანის ურთიერთობა ვენდელ კრემართან არასოდეს არ შეწყვეტილა და არც შესუსტებულა. არდადეგების დროს კაიზერსაშერნში ჩამოსვლისას ჭაბუკი ღვთისმეტყველი სტუდენტი ყოველთვის ეწვეოდა ხოლმე შინ, საყდრის ბინაში, ხვდებოდა აგრეთვე ბიძაძის ლევერკიუნის სახლშიც და ერთი-ორჯერ, მშობლებთან წინასწარ შეთანხმებით, ბუხელის კარ-მიდამოშიც პატიყვებდა კვირის ბოლოს გასატარებლად, სადაც ბევრს სეირნობდნენ, ათვალეერებდნენ კლადნისეულ ბგერით გამოსახულებებს და „მთქვლეფავ“ წვეთს, რომელთაც ვაჟის თხოვნით მათ იონათან ლევერკიუნი აჩვენებდათ. ბუხელის უკვე ხანდაზმულ პატრონთან კრემარი საუცხოო დამოკიდებულებაში გახლდათ, ხოლო ფრაუ ელსბეტთან კი, პირიქით, ნაკლებად ლალად გრძნობდა თავს, თუმცა რაიმე ნამდვილად დაძაბული ურთიერთობა აქ სასხენებელიც არ იყო. შეიძლება ადრიანის დედას კრემარის ლიყიანობა აკრთობდა, რაც სწორედ ამის გამო ქალის თანდასწრებით, განსაკუთრებით კი უშუალოდ მასთან საუბრისას, მაესტროს უფრო უმძაფრდებოდა. უცნაური გახლდათ: გერმანიაში ხომ ხალხი დიდად აფასებს მუსიკას, როგორც საფრანგეთში ლიტერატურას, და ჩვენში არავის არ აცბუნებს, არ აფრთხობს, უარყოფითად არ განაწყობს, გაქირდვასა და დაცივნას არ იწვევს ვისიმე მუსიკოსობა. თანაც დარწმუნებული ვარ, ელსბეთ ლევერკიუნი უღრმესი პატივისცემით ეკიდებოდა ადრიანის უფროს მეგობარს, მით უფრო, რომ კრემარი ეკლესიაში მოღვაწეობდა. და მანაც, როდესაც ერთხელ ორნახევარი დღე ადრიანსა და მის სტუმართან ერთად ბუხელში გავატარე, ფრაუ ელსბეთს ორგანისტის მიმართ რაღაც თავშეკავებული, ნაძალადევი, უარყოფელი დამოკიდებულება შევნიშნე, რასაც დიასახლისის თავაზიანობა მთლიანად ვერ ფარავდა, და რასაც კრემარი, როგორც მოგახსენეთ, შიგადაშიგ ვაგლახად გამწვავებული ლიყიანობით პასუხობდა — ძნელი

სათქმელია, რა მიზეზით: მარტო იმის გამო, რომ დიასახლისის ამრეზილობას, მის უნდობლობას, თუ რა შეიძლება კიდევ ვუნოდოთ ამას, გრძნობდა, თუ რადგან მისდა უნებლიეთ, ქვეშეცნეულად ამ ქალის ბუნება ფარ-ხმალს აყრევიანებდა და აბიაბრუებდა.

რაც შემეხება მე, ეჭვიც არ მეპარებოდა, რომ კრეჩმარსა და ადრიანის დედას შორის უცნაური დაძაბულობის მიზეზი ადრიანი გახლდათ, ის იყო მათ შორის გამეფებული ჩუმი დავის საგანი და ამას მე მით უფრო ვგრძნობდი, რომ გუნებაში მოდავე მხარეთა შუაში ვიყავი გამომწყვდეული და ხან ერთისკენ გადავიხრებოდი ხოლმე და ხან მეორისკენ. თუ რა უნდოდა კრეჩმარს და რაზე ესაუბრებოდა სეირნობისას ადრიანს, ჩემთვის ნათელი იყო და გულის სიღრმეში მეც მხარს ვუჭერდი. განა მართალს არ ამბობდა, როდესაც თუნდაც ჩემთან სჯა-ბაასში ასე კატეგორიულად და დაჟინებით ამტკიცებდა, რომ მისი მოწაფე მუსიკოსად, კომპოზიტორად იყო დაბადებული? მას საქმეს ზიარებულის დამოკიდებულება აქვს მუსიკასთან, — იმეორებდა ის. — და არა გარეშე კაცისა, ვინც მხოლოდ სხვათა შორის ტკბება ჰანგებითო. მოტივთა ურთიერთმიმართების ამოხსნის უნარი შესწევს, რასაც პროფანი ვერც კი ამჩნევსო, მოკლე მონაკვეთის კითხვა-პასუხად დანაწევრებაც კი ძალუძს აღიქვას, საერთოდ, ყველაფერი გაარჩიოს, შიგნიდან დაინახოს, ყოველივე როგორ არის გაკეთებული და ეს ჩემი განაჩენის სისწორეს ადასტურებსო. ის, რომ მუსიკას ჯერ კიდევ არ წერს, შემოქმედებით მიდრეკილებას არ ავლენს და მიამიტი ჭაბუკური თხზულებების შექმნით არ იკლავს ყინს, მას მხოლოდ და მხოლოდ პატივისა სდებს, სიამაყე უშლის ხელს ეპიგონური მუსიკა შეთხზასო.

მე ისღა მრჩებოდა, რომ კვერი დამეკრა, მაკრამ დედის საზრუნავიც გასაგები იყო ჩემთვის და ამიტომ ხშირად, როდესაც მის მხარეს გადამძლევდა, ლამის სიძულვილით გავმსჭვალულიყავი ხელშემწყობის მიმართ. არასოდეს არ დამავიწყდება ერთი ეპიზოდი; ერთი სცენა ბუხელის სახლის სასტუმრო ოთახში, როდესაც ჩვენ იქ შემთხვევით ოთხივენი, დედა-შვილი, კრეჩმარი და მე, ერთად ვისხედით, და ელსბეთი ენის ბორძიკით, ქშენითა და რის ვაი-ვაგლახით მოლაპარაკე მუსიკოსს ემუსაიფებოდა — სრულიად უსაგნოდ, ყოველ შემთხვევაში საუბარი ადრიანს არ შეეხებოდა — და მაინც გვერდით მჯდომ ვაჟიშვილს მკლავი მოხვია, მხრებზე კი არა, თავზე, ისე რომ ხელის მტევანი შვილს შუბლზე შეახო და თავისთან მიიზიდა, მკერდზე მიიხუტა ადრიანის თავი, თან შავი თვალები კრეჩმარისა-

თვის არ მოუცილებია და მასთან საამური ხმით მასლაათს განაგრძობდა...

ისე კი, ოსტატისა და შეგირდის ურთიერთობას მარტოოდენ პირადი შეხვედრები კი არ ასაზრდოებდა, არამედ საკმაოდ ხშირი მიმონერაც, ვგონებ, დაახლოებით ორ კვირაში ერთხელ თითო ნერილი მაინც მიდიოდა ჰალედან კაიზერსაშერში და პირუკუ. მათზე ადრიანი დროდადრო მიაშობდა და ზოგიერთს მაჩვენებდა კიდეც ხოლმე. ის ამბავი, რომ კრემარი მოლაპარაკებას ენეოდა ჰაზეს კერძო კონსერვატორიასთან ლაიპციგში ფორტეპიანოსა და ორგანის განხრით ჯგუფის აყვანის თაობაზე, — სასწავლებელთან, რომელიც მაშინ ამავე ქალაქის სახელგანთქმულ სახელმწიფო სამუსიკო სკოლასთან ერთად საყოველთაო ყურადღების ცენტრში იყო და შემდგომ ათეულ წელს, ე. ი. მის დამაარსებელ ჩინებულ პედაგოგ კლემენს ჰაზეს გარდაცვალებამდე, სულ უფრო და უფრო ითქვამდა სახელს (ახლა კი დიდი ხანია რამდენადმე მნიშვნელოვან როლს აღარ ასრულებს გერმანიის მუსიკალურ ცხოვრებაში, თუკი საერთოდ კიდეც არსებობს). — მე ჯერ კიდეც 1904 წელს, მიქაელის დღეს, შევიტყვე. მომდევნო წლის დასაწყისში კი ვენდელ კრემარმა კაიზერსაშერნი დატოვა და ახალი თანამდებობის დასაკავებლად გაემგზავრა. ასე რომ, ამიერიდან მიმონერამაც ჰალესა და ლაიპციგს შორის გადაინაცვლა. კრემარი მარტო ცალ გვერდზე წერდა, მსხვილი, სწორი, დაჩხაპნილ-დანინკლული ასოებით, ადრიანი კი — მოყვითალო ხეშეშ ქაღალდზე — მისთვის დამახასიათებელი თანაბარზომიერი ხელით, ჩაკინკინებულები, ოდნავ ძველებურად მოყვანილი, გრეხილი ასოებით. მის ბართებს მაშინვე შეატყობდით, რომ რონდო კალმით იყვნენ დაწერილნი. ერთხელ რომელიღაც მათგანის შავი მაჩვენა, შიფრის მსგავსი ასოებით მჭიდროდ ნანერი, უიჟმატი ჩამატებებითა და შესწორებებით აჭრელებული. მაგრამ მე პატარაობიდანვე შეჩვეული ვიყავ და მისი ხელით ნანერს ყველაფერს დაუბრკოლებლად ვარჩევდი, — ერთი სიტყვით, ბართის მონახაზში ჩამახედა და კრემარის პასუხიც მაჩვენა. ეტყობა, ეს იმიტომ მოიმოქმედა, რომ შემდგომ ჩემთვის ერთობ მოულოდნელი არ ყოფილიყო ის ნაბიჯი, რომლის გადადგმასაც აპირებდა, თუ ჩანაფიქრს მართლაც განახორციელებდა, ვინაიდან ჯერ გადაწყვეტილი არ ჰქონდა, ჯერ მეტისმეტად ყოყმანობდა, ეჭვიანობდა, ამონებდა საკუთარ თავს, როგორც წერილიდან ჩანდა, და ეტყობოდა, ჩემს რჩევასაც საჭიროებდა, ოღონდ ღმერთმა უწყის, რა უფრო სწადდა: გამეფრთხილებინა, თუ წამექეზებინა.

ჩემს გაკვირვებაზე კი ლაპარაკიც ზედმეტი იყო, თუნდაც ერთ მშვენიერ დღეს მომხდარი ფაქტის წინაშე აღმოვჩენილიყავი. მე ვიცოდი, რაც მზადდებოდა, ხოლო განხორციელდებოდა თუ არა, სხვა საკითხი გახლდათ; თან ისიც ნათელი იყო ჩემთვის, რომ კრეჩმარის ლაიპციგში გადასვლით მისი გამარჯვების შანსი მნიშვნელოვნად უზრდებოდა.

წერილი ავტორის არაჩვეულებრივ უნარს ამჟღავნებდა, საკუთარი თავისათვის კრიტიკულად, როგორც უცხოეთის, ისე შეეხედა, და ამ სარკასტული დამთრგუნველობით გამსჭვალულმა აღსარებამ სულ ერთიანად შემძრა. ადრიანი თავის ყოფილ მენტორს, სულით და გულით მონადინებულს კვლავ მისი მასწავლებელი გამხდარიყო, იმ ეჭვებს უზიარებდა, რაც აბრკოლებდა პროფესიის გამოცვლა გაეხედა და მთლიანად მუსიკის სტიქიონში გადაშვებულყო. ნელ-ნელა აღიარებდა, რომ ღვთისმეტყველებამ, როგორც ემპირიული შესწავლის საგანმა გული გაუცრუა, რისი მიზეზიც, რასაკვირველია, ამ პატივდებულ მეცნიერებაში კი არ უნდა ვეძიოთ და არც ამ საგნის პროფესორ-მასწავლებლებში, არამედ პირადად ჩემშიო. ეს თუნდაც იქიდან ჩანს, რომ ვერ ვიტყვი, სხვა რომელი დარგი უნდა ამერჩია, რომ უკეთესი ანუ ჩემთვის უფრო შესაფერისი გამომდგარიყო. დროდადრო, მას შემდეგ, რაც ბოლო ხანებში სპეციალობის გამოცვლაზე ბჭობა დავინწყე, მათემატიკაზე გადართვა გამივლია ხოლმე გუნებაში, რადგან სკოლაში იგი მუდამ დიდად მართობდაო. (გამოთქმა „დიდად მართობდაო“ სიტყვასიტყვით მისი წერილიდან არის ამოღებული). მაგრამ ჩემი თავი მაშინებს: ვაითუ ეს საგანიც, თუკი ჩემად გავიხდი, ფიცით შევეკვრები და მის სახელს დავირქმევ, სულ ძალე მომწყინდეს, მომბეზრდეს და ისე მომეყირჭოს, თითქოს რკინის ჩაქრებით მეჭამოს რამეო. (ეს თავისებური შედარებაც სიტყვასიტყვით დამამახსოვრდა მისი წერილიდან). „ვერ დავიშალავთ, — სწერდა ის, — ვერც თქვენ და ვერც თავს მოვიტყუებ, რომ თქვენს *apprendista*-ს* უღვთოდ გვერდზე აქვს საქმე, ოღონდ მთლად ყოველდღიური გაგებით არა, ზედმეტი თავმდაბლობა რა საჭიროა. მაგრამ მაინც მას უფრო სავალალო საქმე სჭირს, ვიდრე გასახარელი. ღმერთმა მკვირცხლი გონებით დამაჯილდოვა და სიყრმიდანვე ძალდაუტანებლად ვითვისებდი ყველაფერს, რასაც კი მასწავლიდნენ, — კაცმა რომ თქვას, ისე იოლად, რომ არც ერთ საგანს მთლიანად არ მოუნადირე-

**მონათეს (იტალი).*

ბია ჩემი გული, — ისე ადვილად, რომ ჩემი არც სისხლი და არც გრძნობა ხეირიანად არასოდეს არ გამთბარა რაიმე საგნის რუდუნების გამო. [მე ვშიშობ, — განაგრძობდა ის, — ძვირფასო მეგობარო და მასწავლებლო, რომ კაი კაცი არა ვარ, რადგან სითბო მაკლია. *თუმცა ნათქვამია: შერისხული და გარიყულია ის, ვინც არც ცივია და არც მხურვალე, არამედ გულგრილიო. მე კი გულგრილად არ მიმაჩნია თავი, მე აშკარად ცივი ვარ, მაგრამ საკუთარი თავის განჩინებისას მაინც დამოუკიდებლობას შევსთხოვ იმ ძალას, რომელიც თავისი გემოვნებისდა მიხედვით კურთხევასა თუ შეჩვენებას მოგვამადლებს ხოლმე*“ . |

შემდეგ კი სწერდა:

„სასაცილოა ამის თქმა, მაგრამ გიმნაზიაში ჯერ კიდევ კარგად იყო საქმე, გიმნაზია, ასე თუ ისე, ჩემთვის ზედგამოჭრილი გახლდათ, რადგან იქ სულ სხვადასხვა საგნებს ასწავლიან და ერთიმეორის მიყოლებით, ყოველ ორმოცდახუთ წუთში ერთხელ, თვალსაზრისს თვალსაზრისი სცვლის, მოკლედ, რადგან ჯერ კიდევ სპეციალობა შერჩეული არ არის. მაგრამ თვით ეს ერთი რომელიმე დარგისთვის დათმობილი ორმოცდახუთი წუთიც კი გაჭიანურებულად და მოსაწყენად მიჩვენებოდა. მოწყენილობაზე ცივი კი რა შეიძლება ამქვეყნად იყოს. სულ ბევრი, თხუთმეტი წუთის შემდეგ მე უკვე ათვისებული მქონდა ის, რასაც საწყალი მასწავლებელი და ჩემი კლასელები კიდევ ნახევარ საათს იღეჭებოდნენ; კლასიკოსების კითხვისას მე ყოველთვის წინ ვუსწრებდი, შინ მქონდა ხოლმე წინასწარ ნაკითხული და თუ რომელიმე კითხვაზე პასუხს ვერ ვიძლეოდი, მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ ჭკუა-გონება წინ გამირბოდა და უკვე მომდევნო გაკვეთილის მასალით მქონდა მოცული; სამი მეოთხედი საათი ერთთავად „ანაბაზისი“ გაუსაძლისი იყო ჩემთვის და მოთმინების ფიალის ავსების ნიშნად თავის ტკივილი მივარდებოდა (აქ ის თავის განუყრელ შაკიკს გულისხმობდა). თავის ტკივილი ჯაფისა და ძალდატანებისაგან არასოდეს არ მიტყდებოდა, იგი მუდამ მოყირჭების, გამყინავი მოწყენილობის გამო მენვეოდა ხოლმე და, ძვირფასო მასწავლებლო და მეგობარო, მას შემდეგ, რაც საგნიდან საგანზე მსტომარე ჭაბუკი კი აღარა ვარ, არამედ ერთ გარკვეულ სპეციალობას შევუუღლდი, თავის ტკივილმაც საგრძნობლად იმძლავრა.

ღვთის გულისათვის, არ გეგონოთ, რომ ვერც ერთი სპეციალობისათვის ვერ ვიმეტებდე თავს, პირიქით: არც ერთი სპეციალობა

არ ჩემეტება ჩემთვის და შეგიძლიათ განსაკუთრებულ პატივისცე-
მად, თუ გნებავთ, მიკერძოებულ დამოკიდებულებად და სიყვარუ-
ლის ახსნად მიიჩნით, თუ მუსიკის მიმართ ვიტყვი: იგი ყველაზე
უფრო არ მემეტება ჩემთვის-მეთქი. /

თქვენ მკითხავთ: — თეოლოგია კი გემეტებოდა? — მე თეოლო-
გიას უფრო იმიტომ კი არ დავექვემდებარე ან მარტო იმიტომ კი არ
დავექვემდებარე, რომ უზენაეს მეცნიერებად მიმაჩნდა, არამედ
იმიტომ, რომ ქედის მოხრა, საკუთარი თავის გახედვნა, ქედმაღლური
გულცივობისათვის დასჯა მენადა, მოკლედ — *contritio*-ს* გამო. ძაძა
და მის ქვეშ ეკლიანი სარტყელი მენატრებოდა. მე მოვიმოქმედე ის,
რასაც ჩემზე ადრეც სჩადიოდნენ, როდესაც მკაცრი შინაგანანჯის
მონასტრის ჭიშკარზე აკაკუნებდნენ. ამ აკადემიურ-მონასტრულ ცხ-
ოვრებას თავისი აბსურდული და კურიოზული მხარეებიც გააჩნია,
მაგრამ, გამიგეთ, იდუმალი შიში მაფრთხილებს, არ შეველიო მას,
წმინდა წერილი მერხში არ შევინახო და ხელოვნებისაკენ არ მოვკუ-
რცხლო, რომელსაც თქვენ მაზიარეთ და რომელიც ჩემს სპეციალო-
ბად განსაკუთრებით არ მემეტება.

თქვენ მუსიკა ჩემს მონოდებად მიგაჩნიათ და გსურთ ჩამაგონ-
ოთ, რომ გზიდან გადასახვევად არცთუ დიდი ნაბიჯის გადადგმა
საჭირო. მე, როგორც ლუთერანი, ამაში გეთანხმებით, რადგან ლუთე-
რანობა თეოლოგიასა და მუსიკას მომიჯნავე, მონათესავე სფეროე-
ბად განიხილავს; თანაც, ესეც რომ არა, მე პირადად მუსიკა მუდამ
მესახებოდა თეოლოგიისა და ესოდენ საინტერესო მეცნიერების —
მათემატიკის — მაგიურ შერწყმად. *Item*** ბევრი რამ სცხია შუა საუ-
კუნეთა ალქიმიკოსთა და შავი მაგიის ოსტატთა გაუთავებელი ექსპ-
ერიმენტებისა და ჩალიჩისა, რაც აგრეთვე ღვთისმეტყველების
ნიშნით ხდებოდა, მაგრამ ამასთანავე ემანსიპაციისა და განდგომის
ნიშნითაც, — იგი თავად განდგომა გახლდათ, მაგრამ სარწმუნოები-
დან კი არა, ეს შეუძლებელი იყო, არამედ სარწმუნოების წიაღსა შინა;
განდგომილება რელიგიური აქტია, ყოველივე ღმერთში არსებობს
და ღმერთშივე ხდება, განსაკუთრებით კი მისგან განდგომა“.

თითქმის სიტყვასიტყვით მომაქვს წერილიდან ადგილები, მაგრამ
თითქმის და არა სავსებით. ჩემს მეხსიერებას დიანაც შეიძლება ენდო
კაცა და თანაც ბევრი მათგანი წაკითხვისთანავე ჩავინიშნე, განსაკ-
უთრებით საგულდაგულოდ კი განდგომილებაზე ნათქვამი.

**წონანების (ლათ.).*

***აქ: ისევე როგორც (ლათ.).*

შემდეგ ბოდიშს იხდიდა თემიდან გადახვევის გამო, რაც, კაცმა რომ თქვას, გადახვევა არც იყო და პრაქტიკულ საკითხებზე გადადიოდა, სახელდობრ, რა სახის სამუსიკო საქმიანობა უნდა აერჩია, თუ კრემარის მონოდებას დაჰყვებოდა: უნდა ამთავითვე გაგაფრთხილოთ, რომ ვირტუოზი სოლისტი ჩემგან არა და არ გამოვა, ვინაიდან ნათქვამია: ჭინჭარი უკვე ქორფაც სუსხავსო, — წერდა ის. — მე საკრავს ერთობ გვიან ვეზიარე. მანამდე კი ასეთი რამ საერთოდ აზრადაც არ მომდიოდა. რაც ნათლად მიუთითებს იმ გარემოებაზე, რომ ამ მიმართებით რაიმე ინსტინქტურ მისწრაფებას მოკლებული ვარო. კლავიატურამ იმიტომ კი არ გამიტაცა, რომ დაკვრაში დავოსტატებულიყავი, არამედ თვით მუსიკის მიმართ იდუმალი ცნობისმოყვარეობით ვიყავი შეპყრობილი. მოგასტროლე ხელოვანის ბოშური სისხლი კი სრულებით არ მიჩქევს ძარღვებში, მუსიკის მეშვეობით ხალხში თავის გამოჩენას რომ ლამობსო. საამისოდ გარკვეული სულიერი წანამძღვრებია საჭირო, — გახაზავდა იგი, — რომელთაც მე მოკლებული გახლავართ: ბრბოს გულის ვარდად ყოფნის სურვილი, ტაშის გრიალისა და დაფნის გვირგვინების, თაყვანისცემისა და ჰაეროვან ამბორთა მომკის მოთხოვნილება არ გამაჩნიაო. — იგი გაურბოდა ისეთ გამოთქმებს, რომლებიც არსებითად უფრო ზუსტად ასახავდნენ საქმის ვითარებას, სახელდობრ, იმას, რომ თუნდაც ერთობ გვიან არ დაეწყო დაკვრა, ძალზე მორცხვი და ამაყი, ძალზე მიუკარებელი და მარტოსული იყო ვირტუოზობისათვის.

იგივე დაბრკოლებანი მელობება დირიჟორის სარბიელზე, — ნაგრძობდა იგი. — ისევე როგორც ვირტუოზ-შემსრულებლის ოინბაზობისათვის არ გამოვდგები, არ ვარგვივარ არც ორკესტრის პრიმადონად, გალა-კონცერტებზე ფრაკში გამოწყობილსა და ხელჯონხმომარჯვებულს თავი მუსიკის მესიად რომ მოაქვს ამქვეყნადო. — და აქ მაინც დასცდა ისეთი სიტყვა, რომელზედაც ეს-ეს არის ვთქვი, რომ საქმის ნამდვილ ვითარებას უფრო გამოხატავდა-მეთქი: იგი ლაპარაკობდა ქვეყნიერების წინაშე რიდის შესახებ. თავის თავს „მორიდებულს“ უწოდებდა და ამით არამც და არამც თავს არ იქვებდა. ეს თვისებაო, — ასე მსჯელობდა ის, — სითბოს, კეთილგანწყობილებისა და სიყვარულის ნაკლებობას მოასწავებს და, გინდა თუ არა, საკუთარ თავს ეკითხები: ამნაირი კაცი საერთოდ გამოდგება კია ხელოვანად, — განა ხელოვანი მუდამ ქვეყნის მოტრფიალე და ქვეყნის სატრფო არ უნდა იყოსო? ხოლო თუ ერთიცა და მეორეც მისთვის გამორიცხულია, ვერც სოლისტობასა და ვერც დირიჟორობას

მიზნად ვერ დაისახავს, რაღა რჩება? რჩება მუსიკა როგორც ასეთი, მისთვის ერთგულების შეფიცვა, მასთან ნიშნობა და შეუღლება, ჭერმეტულად დახურული ლაბორატორია, ალქიმიური სამზარეულო — კომპოზიცია. საუცხოოა? „თქვენ მაზიარებთ, ჩემო მეგობარო ალბერტუს მაგნუს, თეორიის საიდუმლოებებს და, რასაკვირველია, მე ვგრძნობ, წინასწარ ვიცი ჩემი მცირეოდენი გამოცდილებიდან, რომ არც მე გამოვდგები მთლად შტერი ადეპტი. ყველა ფანდსა და ხრიკს ავითვისებ და თანაც იოლად, რადგან სული ესწრაფვის მათ, ნიადაგი მათთვის უკვე გაპოხიერებულია და შიგ ალაგ-ალაგ თესლიც ღვივის. უკვე დაოსტატებული, მე გავაკეთილშობილებ პირვანდელ მატერიას და უამრავ მილსა და რეტორტაში გავატარებ სულის სახშილზე განსანმენდად. რა დიდებული საქმიანობაა! რა შეიძლება უფრო წარმტაცი, საიდუმლოებით მოცული, ამაღლებული, ღრმა და უმჯობესი იყოს, რამ შეიძლება უფრო იოლად დაგიყოლიოს!

და მაინც, რატომ მაფრთხილებს შინაგანი ხმა: „O homo fuge!“* არ ძალმიძს ამ კითხვას ბოლომდე დანაწევრებული ჰასუხი გავცე. მხოლოდ შემიძლია ესა ვთქვა: /მეშინია ხელოვნებას ერთგულება შეფიცო, რადგან ეჭვი მეპარება, ჩემი ხასიათი — ნიჭი რომ განზე გადავდო — შეეფერებოდეს მას, მე ხომ იმ ჯანსაღ მიაშიტობას მოკლებული ვარ, რაც, როგორც მე მესმის, სხვა ნიშან-თვისებებთან ერთად შეადგენს, და თანაც სხვა მაჩვენებლებზე უფრო მეტად, ხელოვანის სულს. მის ნაცვლად ჩემი ხვედრია ინტელექტი, რომელსაც სწრაფად ეყირჭება ხოლმე ყველაფერი. ჩამის თქმის უფლება ალბათ მაქვს, რადგან ღმერთი, რჯული, თავი სულაც არ მომაქვს. ინტელექტი და მასთან დაკავშირებული ამბებია სწორედ (ადვილად რომ ვიღლები, ხშირად რომ მეღებინება და თავი მტკივა) ჩემი მორიდებულობისა და შეჩქვიფებულობის მიზეზი. იგი მაიძულებს, მისი ვალია მაიძულოს თავი შევიკავო. თქვენ ხედავთ, კეთილო მაესტრო, თუმცა ესოდენ ახალგაზრდა ვარ, მაგრამ ხელოვნებამ უკვე საკმაოდ ბევრი რამ ჩამაგონა, რათა ვიცოდე — და ანკი რა თქვენი მონაფე ვიქნებოდი, ეს რომ არ ვუნყოფე — რომ იგი გაცილებით აღემატება სქემას, თანხვედრებს, ტრადიციებს, იმას, რასაც ერთი მეორისაგან სწავლობს, მხატვრულ ილეთებს, იმას, რაც შექმდევი ფრაზით გამოიხატება: „როგორ არის ეს უკეთებული“, მაგრამ ისიც ხომ უტყუარია, რომ ბევრი ამდაგვარი რამ მუდამ ახასია-

*„ო, გაიქეც, კაცო!“ (ლათ.).

თებს ხელოვნებას, და უკვე ვხედავ (ვინაიდან, ჩემდა საუბედუროდ თუ საბედნიეროდ, წინასწარგანჭვრეტის უნარიც შემწევს), რომ უხამსობა, რომელიც კონსტრუქციის ხერხემალს, სიმტკიცის გარანტიას წარმოადგენს ხელოვნების თვით გენიალური ნაწარმოებისაც კი, ის, რაც მასში საყოველთაო საკუთრებას, კულტურას შეადგენს, ის გაცვეთილი ხერხები, რომლებიც მშვენიერების შესაქმნელად გამოიყენება, — ეს ყოველივე სიქას გამაცლის, დამარცხვენს, გამაწითლებს, თავს ამატკივებს და თანაც სულ მალე.

რა სულელური და პრეტენზიული იქნებოდა მეკითხა: გესმით თუ არა-მეთქი? როგორ შეიძლება არ გესმოდეთ! განა ასე არ ხდება ხოლმე, როცა ქმნილება მშვენიერია: ვიოლონჩელები განცალკევებით ასრულებენ კაემნიანი ფიქრების აღმძვრელ თემას, რომელიც ფილოსოფიური გულწრფელობითა და ძალზე ექსპრესიულად ღაღადებს ამქვეყნიურ ამაოებას, დევნისა და ფუსფუსის, ძიძგილაობისა და ერთმანეთის წვალების უაზრობას. ვიოლონჩელები ერთხანს ბრძნული თავის ქნევითა და სინანულით მსჯელობენ ამ გამოცანაზე და მათი მოთქმის ერთ განსაზღვრულ, საგანგებოდ შერჩეულ მონაკვეთზე ანაზღეულად იჭრება სასულე საკრავთა ჯგუფი, ისეთი ღრმა ამოოხვრით, რომ მხრები მალლა მიგდის და მყისვე დაბლა უშვებ, ყდერს ჰიმნი-ქორალი, ამაღლელებლად საზეიმო, დიდებულად ჰარმონიზირებული, სპილენძის საკრავთა მიერ დარბაისლური ღირსებითა და სათუთი თავშეკავებით შესრულებული. კეთილმოვანი მელოდია აპოგეას უახლოვდება, მაგრამ, თანახმად ეკონომიის კანონისა, ჯერჯერობით თავს არიდებს, გაურბის, ზოგავს მას, შემდეგისთვის ინახავს და, უამისოდაც მშვენიერი, დაბლა ეშვება, უკან იხევს და სხვა თემას უთმობს ადგილს, სიმღერისებურად სადას, ხალხურივით სახუმაროსა და დიადს, თითქოსდა ბუნებით უხეშს, მაგრამ ნამდვილად კი მოქნილს, რადგან ორკესტრის საშუალებებით მისი ოსტატური ანალიზისა და სახეცვლილების უამს ინტერპრეტაციისა და სუბლიმაციის საოცარ შესაძლებლობებს ავლენს. ამ სიმღერას ერთხანს ჭკვიანურად და საამურად ამუშავებს კომპოზიტორი, შლის, ცალკეულ დეტალებს აკვირდება და გარდაქმნის, მათგან შუა რეგისტრში წარმტაცი პასაჟი წარმოიქმნება და მალლა მიიწევს ვიოლინოებისა და ფლეიტების ჯადოსნურ სფეროებში, დანანაობს იქ, ზევით, ცოტა ხანს და როს უზენაეს მომხიბლაობას აღწევს, ახლა კვლავ განმეორებით იღებს სიტყვას სპილენძის საკრავთა ჯგუფი, საბუთად ხმიანდება ჰიმნი-ქორალი, გამოდის წინ, მოულოდნელად

კი არა, სულის ერთი მოთქმით კი არა, როგორც პირველად, დასაწყისში, არამედ ისე, თითქოს მისი მელოდია ერთხანს უკვე თან ახლდა სიმღერას, და ახლა ლოცვა-კურთხევით მიიწევს იმ უზენაესი ნერტილისკენ, რომელსაც პირველად ბრძნულად აარიდა თავი, რათა მსმენელთა „აჰ!“ შეძახილი, რათა გრძნობათა მოზღვავება უფრო მძაფრი ყოფილიყო, ახლა, როდესაც დაუოკებლად განაგრძობს აღმასვლას, მძლეთა მძლე ბანის საყვირის ჰარმონიული ბგერებით განმტკიცებული, და შარავანდედით მოსილი აღწევს აპოგეას, რათა შემდეგ, თითქოს კმაყოფილებით აღსავსე თავმომწონედ უკან იხედება და განჭვრეტს, რაც მოიმოქმედაო, ღირსეულად ამოსწუროს თავი.

ძვირფასო მეგობარო, რა მაცინებს? განა შეიძლება ტრადიცია ამაზე უფრო გენიალურად გამოიყენოს და ოდინდელ ილეთებს მირონი სცხო? განა შეიძლება უფრო გამობრძმედილი ზომიერების გრძნობით მიაღწიოს მშვენიერებას? მე შეჩვენებულს კი მაცინება, განსაკუთრებით ბომბარდონის დუდღუნა ბგერებზე, ტაქტს რომ გახაზავს: ბუმ, ბუმ, ბუმ! — ჰანგ! — შეიძლება ამასთანავე თვალცრემლიანიც ვიყო, მაგრამ სიცილს მაინც ვერ ვიკავებ. იმთავითვე, თითქოს ვილაცამ დასწყევლაო, ყოველ საიდუმლოებით აღსავსე და შთამბეჭდავ ფაქტზე უნდა გამეცინოს. სწორედ კომიკურის აღქმის გადაჭარბებული უნარის გამო შევაფარე თავი თეოლოგიას, იმ იმედით, რომ ლიტინის მუდმივ გრძნობას გამიქრობს-მეთქი, მაგრამ მე მერე თვითონ ღვთისმეტყველებაში უხვად აღმოვაჩინე კომიკური ამბები. რატომ მეჩვენება თითქმის ყოველი საგანი თავისი თავის პაროდიად? რატომ მგონია, რომ ხელოვნების თითქმის ყველა, არა, თითქმის კი არა, სულ ყველა საშუალება და პირობითობა დღესდღეობით მარტოოდენ პაროდისთვისღა გამოდგება? — ეს ჭეშმარიტად რიტორიკული კითხვებია: ისლა მაკლია, მათზე პასუხს მოველოდე. მაგრამ ასეთი სასონარკვეთილი გულის პატრონს, ყინულის თოშვით ცივ ადამიანს თქვენ მუსიკის ნიჭით დაჯილდოებულად მიიჩნევთ და მუსიკის სავანეში მოუხმობთ თქვენთან, ნაცვლად იმისა, რომ ქედმოდრეკილი ღვთისმეტყველებას ჩავკირკიტებდე?”

ასეთი იყო ადრიანის უარი-აღსარება, რაც შეეხება კრემარის პასუხს, საბუთად არც მისი დედანი არ გამაჩნია. ლევერკიუნის არქივში იგი არ აღმოჩნდა. ეტყობა, ერთხანს ინახავდა, თავიდან არ იშორებდა, მაგრამ მერე, ადგილსამყოფელის მორიგი გამოცვლისას, მიუნჰენსა, იტალიასა თუ პფაიფერინგში გადასახლებისას, დაიკარ-

გა. ისე კი, მისი შინაარსიც არანაკლებ მახსოვს, ვიდრე ადრიანის წერილისა, თუმცა მაშინ არაფერი არ ჩამინიშნავს. ლიყიანი კვლავ თავისას იმეორებდა დაჟინებით, ეძახდა, ეპატიჟებოდა, იტყუებდა. ადრიანის წერილის არც ერთ სიტყვას ერთი წამითაც არ შეურყევია ჩემი რწმენა, რომ მისი ავტორი ბედისწერის მიერ მუსიკისათვის არის მოწოდებული. განგება მისკენ მოუხმობს, მუსიკა თავისკენ მოუხმობს და ის კი, სიმხდალისა თუ სიკეკლუტის გამო, თავისი ხასიათისა და კონსტიტუციის არცთუ აბსოლუტურად სწორი ანალიზის მიღმა იმალება, ისევე როგორც ადრე აბსურდული არჩევანის მიღმა, თეოლოგიის პროფესიად არჩევის მიღმა დაიმალო. „პრანჭი-აობა რომ გჭირდებათ, ადრი, და თავის ტკივილიც რომ მოგეძალათ, სამაგიერო სასჯელია თქვენთვის“. კომიკურს რომ ალღოს უღებს, რითაც თავი მოაქვს ან რასაც უჩივის, ხელოვნებას ბევრად უფრო უხდება; ვიდრე მის ამჟამინდელ ნაძალადევ მეცადინეობას, პირველს, მეორისაგან განსხვავებით, იგი შეუძლია გამოიყენოს, – საერთოდ, ხასიათის უარყოფითი მხარეები, რომელთაც ის საკუთარ თავს მიაწერს, ხელოვნებას შეიძლება ბევრად უფრო წაადგეს, ვიდრე ადრიანს ჰგონია, ანდა საბაბად იღებს, რომ ჰგონია. ის, კრეჩმარი, ღიად ტოვებს საკითხს, რამდენად სწამებს ცილს თავის თავს ადრიანი, რათა ხელოვნებისათვის ცილის დაწამება მოიბოდიშოს. ვინაიდან ხელოვნების ბრბოსთან გახასებად, გალა-კონცერტებზე მიღებული ოვაციებისა, ჰაეროვანი კოცნებისა და გრძნობათა მოზღვაების საბერვლად წარმოდგენა ხომ, სულ ცოტა, მისი დაუფასებლობაა და თანაც შეგნებული დაუფასებლობა. ეს კი იმიტომ დაემართა, რომ სურს იმ თვისებების ხარჯზე განუდგეს ხელოვნებას, რომლებიც სწორედ ესაჭიროება ხელოვანს. სწორედ ისეთი ხალხი, როგორც ის არის, სჭირდება დღეს ხელოვნებას, – და მთელი ოინი, რაც ფარისველურ დამალობანას თამაშში გამოიხატება, ისაა, რომ ადრიანმა მშვენივრად უწყის საქმის ვითარება. გულცივობა, „ინტელექტი, რომელსაც სწრაფად ეყირჭება ყველაფერი“, უგემოვნობის უმაღლვე წვდომის უნარი, იოლად დაღლის, მოწყენისა და გულის რევისაკენ მიდრეკილება – ყოველივე ეს ზედგამოჭრილია იმისათვის, რომ მასთან დაკავშირებული ნიჭიერება მოწოდებამდე აღამალღოს. რატომ? იმიტომ, რომ ეს ნიშან-თვისებანი მხოლოდ ნაწილობრივ შეადგენენ ცალკეული პიროვნების საკუთრებას, ნაწილობრივ კი ზეინდივიდუალური ბუნებისანი არიან და ხელოვნების საშუალებათა ისტორიული დრომოჭმულობის კოლექტიურ შეგრძნებას გამ-

ონატავენ, მათგან თავმოებურებასა და ახალ გზათა ძიებას ასახა-
ვენ ჩხელოვნება სვლას განაგრძობს, — წერდა კრემარი, — და ეს სვლა
პიროვნების მეშვეობით ხორციელდება, რომელიც დროის
პროდუქტსა და იარაღს წარმოადგენს და რომელშიც ობიექტური და
სუბიექტური მოტივები ისე განურჩევლად არიან გადახლართულნი,
რომ ერთნი მეორეთა სახეს იძენენ. რევოლუციური წინსვლა და ახ-
ლის ჩამოყალიბება, რაც ხელოვნებისათვის ასე არსებითია, ისეთ
პოზიურ ნიადაგზეა დამოკიდებული, როგორიცაა მისი ჩამორჩენი-
ლობის, სათქმელის ამონურვის, გავრცელებულ საშუალებათა გაც-
ვეთის მძაფრი სუბიექტური განცდა, და თავის სასარგებლოდ
იყენებს მოჩვენებით უსიცოცხლობას, პიროვნების ქანცგამოლეუ-
ლობასა და ინტელექტუალურ მონყენილობას, დაუფარავ ზიზღს
იმის წინაშე, თუ „როგორ არის ეს გაკეთებული“, ავბედით
მიდრეკილებას საგნების მათი საკუთარი პაროდის შუქში დანა-
ხვისა, „კომიკურის შეგრძნებას“, — მე მინდა ვთქვა: სიცოცხლისა და
წინსვლისაკენ ხელოვნების სწრაფვა ამ უნიათო პირადი ნიშან-თვი-
სებების ნილაბს იფარებს, რათა მათში გამოვლინდეს, ობიექტურ
სინამდვილედ იქცეს, ახდეს. ქთქვენთვის ასეთი მსჯელობა ძალიან
მეტაფიზიკური ხომ არ არის? მე კი რომ მკითხოთ, იგი მხოლოდ ხა-
ლას ჭეშმარიტებას გამოხატავს, არსებითად თქვენთვის ნაცნობ ჭეშ-
მარიტებას. წულარ აყოვნებთ, ადრიან, და გადაწყვიტეთ! მე
გელოდებით. უკვე ოცი წლისა ხართ და კიდევ უამრავი პროფესიული
ჩვევის გამომუშავება გჭირდებათ, საკმაოდ ძნელად ასათვისებელი
ჩვევებისა, რომ თქვენ გაგიტაცონ. სჯობია, კაცს თავი აგტკივდეს
კანონებსა, ფუგებსა და კონტრაპუნქტზე ვარჯიშით; ვიდრე ღვთის
არსებობის დამამტკიცებელ საბუთთა კანტისეული უარყოფის უარყო-
ფით. კმარა ამდენი თეოლოგიური ქალწულობა!

*„ძვირფასია სიქალწულე, მაგრამ მაინც დედობაა ქალის ვალი,
ემსგავსება უნაყოფო მიწის ნაკვეთს გაუთხოვრად დარჩენილი
ყველა ქალი“* |

„ქერუბიმისნაირი მოხეტიალიდან“ ამ ციტატის მოტანით მთავრ-
დებოდა წერილი და როდესაც თავი ავიღე, კვიმატად მომღიმარე
ადრიანის მზერას ნავანყდი.

— რას ფიქრობ, ურიგო საპასუხო დარტყმა არ არის, არა? — შემე-
კითხა ის.

— დიახაც რომ არ არის, — მიეუგე მე.

— იცის, რაცა სურს, — განაგრძო მან, — ჰოდა, ცოტა არ იყოს მრცხვენია, რომ მე კიდევ ხეირიანად არ ვიცი, რა მინდა.

— ვგონებ, რომ შენც უნცი, — დავსძინე მე და მართლაც, ადრიანის ბარათში ნამდვილი უარს მე არასოდეს არ აღმიქვამს, თუმცა არც ის მიფიქრია, „იპრანჭება“ — მე თქი. „პრანჭიაობა“ ნამდვილად შეუფერებელი სიტყვაა ნებისყოფის აღსანიშნავად, რომელიც ისედაც ძნელად გადასაწყვეტს ყოყმანით კიდევ უფრო ართულებს და ეჭვის შეტანით აღრმავებს მის შინაარსს. ამ ნაბიჯის გადადგმას რომ გადაწყვეტდა, მე წინასწარ ვგრძნობდი, გულის ფანცქალით ველოდი და შემდგომ საუბარს, რომელიც ორივე ჩვენგანის უახლოეს მომავალს შეეხებოდა, საფუძვლად სწორედ იგი დაედო, თითქოს უკვე მომხდარი ფაქტი ყოფილიყო. ჩვენი გზები ისედაც უნდა გაყრილიყო. ძლიერი სიბეცის მიუხედავად, სამხედრო სამსახურისათვის ვარგისად მიმიჩნიეს და ახლა უნდა მომეხადა ერთწლიანი სამხედრო ბეგარა ნაუმბურგში, საველე არტილერიის მესამე პოლკში. ადრიანი კი სიგამხდრისა და ქრონიკული თავის ტკივილის გამო სამხედრო სამსახურისაგან გათავისუფლებული იყო და რამდენიმე კვირის გატარებას აპირებდა ბუხელის კარმიდამოში, რათა, როგორც თავად თქვა, მშობლებთან პროფესიის გამოცვლის თაობაზე მოეთათბირებინა. თან მაგრძნობინა, რომ ისე აპირებდა მათთვის საქმე წარმოედგინა, თითქოს მხოლოდ უნივერსიტეტის გამოცვლაზე იყო ლაპარაკი, — რამდენადმე თვითონაც ამნაირადვე ესახებოდა ეს ამბავი. ვეტყვი, მუსიკაში მეცადინეობას მინდა მეტი ადგილი და ვუთმო და ამიტომ იმ ქალაქში გადავიდე, სადაც ჩემი სკოლანდელი მუსიკის მასწავლებელი მოღვაწეობსო. მართო ის არ გაუმხელია, რომ თეოლოგიაზე იღებდა ხელს. იქაურ უნივერსიტეტში კი მართლა აპირებდა შესვლას, რათა ფილოსოფიის განხრით მოესმინა ლექციები და დროთა ვითარებაში ამ განხრით დოქტორი გამხდარიყო.

1905 წლის ზამთარს, სემესტრის დასაწყისს, ლევერკიუნი ლაიპცი-გს გაემგზავრა.

XVI

იმის თქმა ალბათ არც არის საჭირო, რომ ჩვენი გამოთხოვება, გარეგნულად მაინც, ცივი და თავშეკავებული იყო, ხეირიანად არც

კი გაგვისწორებია თვალი ერთმანეთისათვის და არც ხელი ჩამოგვირთმევია. ჩვენს ხანმოკლე ცხოვრებაში უკვე ერთობ ბევრჯერ დავცილებულიყავით ურთიერთს და ისევ ერთად შევყრილიყავით იმისათვის, რომ ხელის ჩამორთმევის ჩვეულებას ავყოლოდით ხოლმე. მან ჩემზე ერთი დღით ადრე დატოვა ჰალე. სალამო ერთად გავატარეთ თეატრში, უვინფრიდებოდა. მეორე დღით მიემგზავრებოდა და ჩვენ ქუჩაში დავცილდით ერთიმეორეს, როგორც მანამდეც უამრავჯერ დავცილებულვართ, — სხვადასხვა მხარეს გავწიეთ. მე გულმა არ მომიტმინა და დამშვიდობებისას სახელით მივმართე, როგორც მჩვეოდა. ის ასე არ მოქცეულა. „So long“⁴, — მითხრა მარტოოდენ. კრემარს დაესესხა ამ გამოთქმას და ისიც მხოლოდ დაცინვით წარმოთქვა, ციტატასავით გამოიყენა, რადგან საერთოდ ეჭაშნიკებოდა ციტატებით გაქილიკება, გადაკრული სიტყვით ვინმეს ან რამის მინიშნება; კიდევ რაღაც წაიოხუნჯა მხედრული ცხოვრების პერიოდზე, მე რომ მელოდა, და გზას გაუდგა.

ის, რა თქმა უნდა, მართალი იყო, ჩვენს განშორებას მაინცდამაინც რომ არ განიცდიდა. სულ გვიან, ერთი წლის შემდეგ, ჩემი სამსახურის ვადის გასვლის შემდეგ, სადმე ისევ შევხვდებოდით ერთმანეთს. და მაინც, გარკვეული თვალსაზრისით, ეს იყო რაღაც მიჯნა, ერთი ეპოქის დასასრულის და მეორის დასაწყისი, და თუ ადრინაი ამას აინუნშიაც არ აგდებდა, მე კაეშნიანმა თრთოლამ ამიტანა. იმით, რომ ჰალეში კვლავ შევეყარე, მის გვერდით აღმოვჩნდი, მე, ასე ვთქვათ, ჩვენი სასკოლო ხანა გავახანგრძლივე. ჩვენი ცხოვრება იქ ბევრად როდი განსხვავდებოდა კაიზერსაშერნში გატარებული წლებისაგან, და იმ პერიოდსაც, როცა მე უკვე სტუდენტი ვიყავი და ის კი ისევ სკოლაში დადიოდა, ვერა და ვერ შევადარებდი ცვლილებას, რომელიც ახლა უნდა მომხდარიყო. მაშინ მშობლიური ქალაქისა და გიმნაზიის ნაცნობ სამანებში დავტოვე და გონების თვალთ ყოველ წამს შემექლო მასთან დავბრუნებულიყავ. მხოლოდ ახლა, როგორც მე მეგონა, იყრებოდა ჩვენი ცხოვრების ეტლები, თითოეული ჩვენგანი დამოუკიდებელ ცხოვრებას იწყებდა და ბოლო უნდა მოღებოდა იმას, რაც ასე საჭიროდ (თუმცა კი სრულიად უმიზნოდ) მესახებოდა და რაც მხოლოდ იმავე სიტყვებით ძალმიძს გამოვხატო რომლებიც ზემოთ ვიხმარე: ამიერიდან აღარ მეცოდინებოდა, რას მოიმოქმედებდა, რას შეიტყობდა, მის გვერდით ველარ ვიქნებოდი,

⁴ჯერჯერობით (ინგლ.).

ზრუნვითა და რუდუნებით ველარ მივადევნებდი თვალს, განზე ყოფნა მომიხდებოდა სწორედ იმ მომენტში, როდესაც მისი ცხოვრებისათვის თვალყურის დევნება ყველაზე სასურველად მიმაჩნდა, თუმცა მის მსვლელობაში მე აბა რას შევცვლიდი, სახელდობრ, მომენტში, როდესაც მეცნიერების სარბიელი მიატოვა, ან მისი სიტყვებითვე რომ ვთქვა, „წმინდა წერილი მერხში შეინახა“ და მუსიკის სტიქიონში გადაეშვა.

ეს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება გახლდათ, მსახვრალი და საბედისწერო, როგორც ალლო მეუბნებოდა. იგი აუქმებდა გარკვეულ პერიოდს, დროის უახლოეს მონაკვეთს, და ჩვენი ერთად გატარებული ცხოვრების ბევრად უფრო შორეულ წამებს უკავშირდებოდა, რომელთა ხსოვნა გულში მქონდა აღბეჭდილი: წამებს, როდესაც ჯერ კიდევ მოზარდს ბიძამისის ფისპარმონიასთან წავასწარი ვარჯიშობისას, და კიდევ უფრო შორეულ წარსულს — ცაცხვის ქვეშ კანონებს რომ ვგალობდით მეძროხე ჰანეს ხელმძღვანელობით. ადრიანის გადაწყვეტილების გამო გული თან სიხარულისაგან აღმაფრენდა და თან შიშისაგან მეკუშმებოდა. ასეთი გრძნობა მხოლოდ იმ ბაღლის განცდას ძალმიძს შევადარო, ძალიან რომ გაქანდა საქანელაზე, ლამის სუნთქვა შეეკრას და ერთსა და იმავე დროს აღტაცებითა და შიშით არის მოცული. მართლზომიერება, აუცილებლობა ნაბიჯისა, რომელმაც ყველაფერი თავის ადგილზე დააყენა, და ისიც, რომ თეოლოგია მარტოოდენ დროებით თავის არიდებას, დისიმულიაციას წარმოადგენდა, — ეს ყოველივე ჩემთვის ნათელი გახლდათ და ვამაყობდი იმით, რომ ჩემი მეგობარი უკვე აშკარად აღიარებდა თავის მრწამსს. ოღონდ დაყოლიება დასჭირდა, და თუმცა არაჩვეულებრივ შედეგებს მოველოდი, მაინც ერთსა და იმავე დროს გახარებულნიცა და შემკრთალიც იმით ვინუგეშებდი თავს, რომ დაყოლიებაში წვლილი არ მიმიძლოდა და ჩემი ხელშეწყობა, სულ ბევრი, ფატალისტური თავშეკავებით ნათქვამ სიტყვებში თუ ვლინდებოდა, როგორიცაა. მე მგონი, შენ უფრო იცი-მეთქი.

აქ მომაქვს წერილი, რომელიც ნაუმბურგში სამხედრო სამსახურის დაწყებიდან ორი თვის შემდეგ მივიღე მისგან და ისეთი განცდით ვკითხულობდი, როგორითაც დედა თუ ნაიკითხავს შვილის აღსარებას, ოღონდ დედას ასეთ რამეებს არ უზარებენ ხოლმე. სამიოდე კვირით ადრე, როდესაც მისი მისამართი ჯერ არ ვიცოდი, მე ვენდელ კრეჩმარის სახელზე გავგზავნე ბარათი ჰანუს კონსერვატორიაში, ვატყობინებდი ჩემი ახალი ცხოვრების დასაწყის პირობებს და ვთხ-

ოვდი მასაც მოენერა, თუნდაც სულ მოკლედ, თავად როგორ გრძნობდა თავს. როგორ შეეგუა დიდ ქალაქს და სწავლის საქმე როგორ მიდიოდა. ვიდრე ადრიაანის პასუხს გაგაცნობდეთ, დავსძენ მხოლოდ, რომ ადრიაანის არქაული სტილი, რასაკვირველია, პაროდია გახლდათ და გადაკვრით მიუთითებს ჰალეში მიღებულ შთაბეჭდილებებზე, ერენფრიდ კუმპფის მეტყველების ყაიდაზე, მაგრამ ამასთანავე თვითგამოსახვაც არის, თვითსტილიზაცია, საკუთარი შინაგანი წყობისა და მიდრეკილების დემონსტრირება, რაც ძალზე თავისებურად და დამახასიათებლად იყენებს პაროდის, მის უკან იმალება და ისე იჩენს თავს.

იგი მწერდა:

*„ლაიპციგი, პეტერსშტრასეს 27;
პარასკევს, Purificationis* შემდეგ, 1905 წელს.*

ფრიად პატივცემულო, ღრმად განათლებულო, უსაყვარლესო და უმონყალესო უფალო მაგისტრო და ბალისტიკუსო!

გულითად მაღლობას გწირავთ, რომ მზრუნველობას იჩინოთ და უსტარი გამომიგზავნეთ, აგრეთვე იმის გამოც, რომ თქვენი ამჟამინდელი ზიზილპიპილებიანი, ბრიყვული და დუხჭირი ცხოვრების პირობები, თქვენი ხტუნვა, ბედაურების სამურვლით ფხეკა და ნმენდა, მათრახების ტკაცუნით თვალსაჩინოდ და ამასთანავე უაღრესად კომიკურად გადმოგვეცით. ყოველივე ამით გულიანად გავერთეთ, განსაკუთრებით კი უნტეროფიცრით შევიქციეთ თავი, რომელიც თუმცა ტყავს გაძრობთ და ბღღვრს გადენტ ხედნითა და წვრთნით, მაგრამ აღტაცებული კია თქვენი ჩინებული აღზრდითა და განათლებით. მისთვის თქვენ სამხედრო სასადილოში ლექსტწყობის ყველა ზომა დაგიხაზავთ ტერფებისა და მარცვლების მიხედვით, რადგან მათი ცოდნა თურმე სულიერი კეთილშობილების მწვერვალად ესახება. სამაგიეროდ მეც მინდა, თუ თავი გავართვი, ერთი ყოვლად საძრახისი ანეკდოტი გიამბო, ყოვლად სამარცხვინო ოინი, რომელიც აქ მომივიდა, რათა შენც გქონდეს გაკვირვებისა და სიცილის საბაბი. ოლონდ ჯერ მინდა მეგობრულად სალამი გიძღვნა და ყოველივე კეთილი გისურვო. იმედია, სამხედრო წვრთნას რომ ასე ხალისით და ლამის სიხარულითაც კი გადხარ, თავის დროზე დაგი-

**განწმენდის (ლათ.).*

ფასდება და შენგან ბოლოს ღილებიანი და სირმებიანი თადარიგის ვახტმაისტერი დადგება.

ხომ ნათქვამია: ღვთის იმედზე ყოფნამ, ქვეყნისა და ხალხის ჭვრეტამ, აბა, ვის რა უნდა ავნოსო. იმის უარყოფა ხომ არ შეიძლება, რომ პლაისესა, პართესა და ელსტერის ნაპირებზე სხვაგვარია ცხოვრება და მაჯისცემაც სხვაა, ვიდრე ზაალეს პირას, ვინაიდან აქ საკმაოდ ბევრი ხალხია თავმოყრილი, სახელდობრ, შვიდას ათასზე მეტი, რაც იმთავითვე მოთმინებისა და შეწყნარებისათვის განგანყობს კაცს, ვითარცა წინასწარმეტყველს ნინევიის ცოდვა, რომელსაც იგი სრული გაგებითა და ირონიული გულითადობით ეკიდება, თითქოს ბოდიშს იხდისო, ამბობს: — მაშ რა, ამოდენა ქალაქია, შიგ ასი ათას კაცზე მეტი ცხოვრობსო. ჰოდა, ახლა წარმოიდგინე, შვიდასი ათასი კაცი რამდენ დამთმენობას მოითხოვს, რომლებსაც ბაზრობის ყამს (ახალჩამოსულმა ერთ-ერთ მათგანს, სახელდობრ, საშემოდგომო ბაზრობას კიდევ მოვუსწარი) ბლომად ემატებიან ევროპის ყველა კუთხიდან და აგრეთვე სპარსეთიდან, სომხეთიდან და აზიის სხვა ქვეყნებიდან სტუმრად ჩამოსულები.

ისე კი არ გამოვიდეს, თითქოს ეს ნინეფია მაინცდამაინც მომწონდეს. იგი, რა თქმა უნდა, ჩემი სამშობლოს ულამაზესი ქალაქი არ არის, კაიზერსაშენი უფრო ლამაზია, მაგრამ მისთვის ადვილია ლამაზი იყოს და პატივდებულიც, რადგან სიძველისა და სიწყნარის მეტი არა მოეთხოვება რა და მაჯა აღარ უცემს. ჩემი ლაიპციგი კი... დიდებულად არის ნაკები, თითქოს ბავშვის სათამაშო ნაირფერადი კუბებისაგან იყოს აშენებული. თანაც აქაურები ისეთი ჯოჯოხეთური ბილწისიტყვაობით განიორჩევიან, რომ დუქანში ვერ შესულხარ რამის საყიდლად, — ასე გგონია, ჩვენი სათუთი, რულმოკიდებული თიურინგიული კილო, კავი ერთბაშად გამოაღვიძეს და შვიდასი ათასი პირღნიომა და წინ გამონეულ ქვედაყბიანი კაცის კადნიერება და უწმანურობა თავს მოახვიესო. საშინელია, საშინელი, მაგრამ, ღმერთმანი, სიავით როდი მოსდით, და თანაც შიგადაშიგ საკუთარ თავსაც იგდებენ მასხარად. ამის უფლება შეუძლიათ საკუთარ თავს მისცენ, აქაური მსოფლიო მაჯისცემის წყალობით. *Centrum musicae, centrum** წიგნის ბეჭდვისა და წიგნით ვაჭრობისა; ბრწყინვალე უნივერსიტეტი, თუმცა კი ახვადასხვა შენობებში დაქსაქსული: მთავარი კორპუსი ავგუსტუსპლაცზეა, ბიბლიოთეკა ფილარმონიასთან არის

**მუსიკის ცენტრი, ცენტრი (ლათ.).*

მიკედლებული და ცალკეულ ფაკულტეტებსაც: ცალ-ცალკე ნაგებობები უჭირავთ: ფილოსოფიისას – ნითელი სახლი ბულვარზე, ხოლო იურიდიულს – Collegium Beatae Virginis-ი*, ჩემს პეტერსბერგზე, სადაც მე მაშინვე, როგორც კი რკინიგზის სადგურიდან გამოვედი და პირველად შევედგი ქალაქში ფეხი, სწორედ საჩემო ადგილსამყოფელი ვპოვე. ნაშუადღევს ჩამოვედი, ბარგი შემნახველ საკანში ჩავაბარე და თითქოს ვილაც მიუძღვის წინაო, პირდაპირ აქეთ გამოვნიე, წვიმის ღარღარაზე გაკრული პატარა განცხადება წავიკითხე, დავრეკე, ხელდახელ მოვურიგდი ჯოჯოხეთურ გერმანულ ენაზე მოლაპარაკე სქელ დიასახლისს და პირველ სართულზე ორი ოთახი დავიქირავე. ჯერ კიდევ იმდენად ადრე იყო, რომ ახლად ჩამოსულის ცნობისმოყვარეობით ატანილმა ლამის მთელი ქალაქი დავათვალიერე, – ამჯერად მართლაც უკვე სხვისი წინამძღოლობით, სახელდობრ, ბარგის დამტარებლის მეგზურობით, ვინც სადგურიდან ჩემი ავლადიდება მოიტანა; აქედან დაიწყო სწორედ ის თავლაფდამსხმელი ამბავი, მე რომ შემემთხვა და შენთვის მოყოლას ვაპირებ.

ჰიანინო სქელუას არ გაუპროტესტებია: აქ მიჩვეულები არიან, თან მეც მაინცდამაინც ყურთასამენას როდი ვართმევ, რადგან მეტწილად თეორიაში ვმეცადინებო, წიგნებსა და ნოტებში ვიქექები, harmoniam და punctum contra punctum** – სცნავლობ დამოუკიდებლად, ან უფრო სწორად, amici*** – კრეჩმარის – ხელმძღვანელობითა და ზედამხედველობით, ვისთანაც ორ-სამ დღეში ერთხელ მიმაქვს ხოლმე ჩემი ნავარჯიშე-ნამოღვანარი მოსაწონებლად ან დასაწუნებლად. დიდად გაახარა ჩემმა ჩასვლამ და გადამეხვია, რომ არ გავანბილე. კონსერვატორიაში ჩემი შესვლის გაგონებაც არ უნდა, არც დიდსა და არც ჰაზესაში, სადაც თავად ასწავლის: შენთვის შესაფერი ისი ატმოსფერო არ არისო, – ამბობს ის, – ისევე უნდა მოიქცე, როგორც თავის დროზე მამილო ჰაიდნიო, რომელსაც praepceptor**** არასოდეს არ ჰყოლია, იშოვა ფუქსის „Gradus ad Parnassum“-ი და ზოგი რამ მაშინდელი მუსიკიდან, ძირითადად ჰამბურგელი ბახი, და მათზე დაყრდნობით მშვენივრად გაიწავა ხელობაში. ჩვენს შორის დარჩეს და ჰარმონია მთქნარებას მიტყხავს, მაშინ როდესაც კონტრაპუნქტი იმწამსვე გამორმაცოცხლებს ხოლმე. აურაცხელ

*წმინდა ქალწულის კოლეჯია (ლათ.).

**ჰარმონიასა და კონტრაპუნქტს (ლათ.).

***მეგობრის (ლათ.).

****მოძღვარი, დამრიგებელი (ლათ.).

თავშესაქცევ რალაცებსა ვთხზავ ამ ჯადოსნურ სარბიელზე! შეშლილის დაჟინებითა და გატაცებით ვწყვეტ უთვალავ პრობლემას და კანონებსა და ფუგებზე კურობოზულ დაკვირვებათა უკვე მთელი დასტა დავნერე, რითაც მაესტროს ქება დავიმსახურე. ეს ნაყოფიერი შრომაა, ფანტაზიასა და გამომგონებლობის უნარს უღვივებს ადამიანს, მაშინ როდესაც თემის გარეშე აკორდეზიო დომინოს თამაში, ჩემი აზრით, არც ღმერთს არგია და არც კაცს. განა ბევრად არა სჯობს ეს ექსპოზიციები, გამავალი ნოტები, მოდულაციები, აღმავალი და დაღმავალი პასაჟები პრაქტიკულად შეისწავლო, მოსმენით, პირადი გამოცდილებისა და თვითმიგნების საფუძველზე, ვიდრე ნიგნში ამოკითხვის მიხედვით? საერთოდ კი, *per aversionem**, სისულელეა კონტრაპუნქტისა და ჰარმონიის მექანიკური გათიშვა, ისინი ისე ძირის-ძირობამდე არიან ერთმანეთთან შეზრდილნი, რომ მათ ცალ-ცალკე კი არა, არამედ მხოლოდ მთლიანობაში უნდა ასწავლიდნენ, ესე იგი მუსიკას როგორც ასეთს, რამდენადაც ეს შესაძლებელია, რასაკვირველია.

ასე რომ, ვბეჯითობ, *zelo virtutis***. ერთ ჭაპანწყვეტაში ვარ, რადგან უამრავი საგანი მაქვს აკიდებული: მე ხომ ფილოსოფიის ისტორიასაც ვისმენ უნივერსიტეტში ლაუტენზაკთან და ფილოსოფიურ მეცნიერებათა ენციკლოპედიას, აგრეთვე ლოგიკას სახელგანთქმულ ბერმეტერთან. *Vale. Lam satis est****. მე კი უფლისთვის მიმინდვია თავი, ვინც თქვენი და ყველა უცოდველი სულის ქომაგია. „თქვენი უმორჩილესი მსახური“, როგორც სჩვეოდათ ჰალეში. ალბათ ერთი სული გაქვს, ისე გაინტერესებს, რომ შეგპირდი: ჩემი ანეკდოტური თავგადასავალი უნდა გიამბო-მეთქი, და აგრეთვე ბოროტ სულზე, ანუ სატანასა და ჩემი ურთიერთობის შესახებ. ახლა ისეთიც არაფერი მომხდარა: იმ პირველ დღეს, შეღამებულზე, ბარგის დამტარებელმა სადღა არ მატარა – ქვედა ყბა წინ გამოსჩროდა ამ ჯელოს, წელზე თიკი შემოეჭირა, ზემოდან საწვიმარი ჰქონდა ნამოსხმული, წითელი ქუდი ეხურა და ზედ თითბრის ნიშანი ეკეთა, ეშმაკეულივით ჩიქორთულად ლაპარაკობდა, როგორც ყველა აქაური, და, ჩემი აზრით, ცოტათი ჩვენს შლეპფუსსა ჰგავდა, ნამახვილებული წვერის გამო თუ; თუმცა ცოტათი კი არა, ახლა რომ ვიგონებ, ძალიანაც ჰგავდა ანდა შეიძლება იქმს ხსოვნაში დაემსგავსა – ისე კი,

**აქ: თუ თემიდან გადავუხვევთ (ლათ.).*

***ვითარცა ქველი კაცი (ლათ.).*

****კარგად იყავი. კმარა უკვე (ლათ.).*

უფრო ახოვანი და სქელკურტუმიანიც იყო. მეგზური ვარო, გამომი-
ცხადა, რასაც თითბრის ნიშანი და ორიოდე ინგლისური და
ფრანგული ქაჯურად წარმოთქმული შესიტყვება ადასტურებდა:
peaudiful puilding და antiquide exdrè-mement inderessant*.

Item**, ფასზეც მოვრიგდით და ამ ჯეელმა ორ საათში რაღა არ
მაჩვენა, რაღა არ დამათვალიერებინა. წმ. პავლეს ეკლესიაშიც
მიმიყვანა, რომელსაც უცნაურად დახლართული ტალანები აღმოაჩ-
ნდა, წმ. თომას ეკლესიაშიც, იოჰან ზებასტიანის გამო, და მის საფ-
ლავთანაც წმ. იოანეს ეკლესიაში, იქვე მახლობლად რეფორმაციის
ძეგლიც არის და ფილარმონიის ახალი შენობაც. ქუჩებში მხიარულ-
ება სუფევდა, ვინაიდან, როგორც ადრეცა ვთქვი, საშემოდგომო ბაზ-
რობას ჯერაც არ გასვლოდა ყავლი და ფანჯრებიდან ათასნაირი
დროშები და ტილოები გამოეფინათ, რომლებიც სოტბას ასხამდნენ
ბენვეულსა და სხვა საქონელს. უამრავი ხალხი ზიშზიმებდა, განსაკ-
უთრებით ცენტრში, ქალაქის სამმართველოს ძველ შენობასთან,
სადაც ამ ჯეელმა მეფის სასახლე, აუერბახის სარდაფი და პლაისე-
ნბურგის ჯერაც შემონახული გოდოლი მაჩვენა. — ლუთერი ეპაექრ-
ებოდა იქ ეკს. ახლა ჩოჩქოლი და შეხლა-შემოხლა ბაზრის მოედნის
უკან, ვინრო შუკებში, ერთმანეთთან ლაბირინთივით დაკავშირებულ
ეზოებსა და გასასვლელელებში, რომელთაც დამრეცი და
თავნანვეტებული სახურავეები აფარიათ, და მათ გასწვრივ კი
საწყობები და სარდაფებია ჩამწკრივებული. შიგ საქონლის ტევა
აღარ არის და ხალხი, რომელიც იქ ირევა, ეგ ზოტიკური თვალებით
შემოგცქერის, თან ისეთ ენებზე ლაპარაკობენ, თავის დღეში რომ
არ გამოიგონია. ძალზე ამალეღვებელია; ასე გგონია, მსოფლიოს მაჯა
შენს საკუთარ სხეულში სცემდეს.

თანდათანობით ბინდდება, სანთლებს ანთებენ, ქუჩაბანდები ცარი-
ელდება; დავიღალე და მომშვივდა. ბოლოს ისეთი ადგილიც მაჩვენეთ,
სადაც კაცი შეიძლება დანაყრდეს-მეთქი, — ვეუბნები ჩემს მეგზურს.
კარგიო? — მეკითხება და თან იღრიჭება. კარგი-მეთქი, მაგრამ ძალიან
ძვირი ნუ იქნება-მეთქი. მასაც ერთ სახლთან მივყავარ, ერთ-ერთ შუ-
კაში, მთავარი ქუჩის უკან, — სულ რამდენიმე საფეხური იყო კარამდე
და ორივე მხარეს თითბრის მოაჯირი სწორედ ისე ბზინავდა, როგორც
ნიშანი ჩემი მხლებლის ქუდზე. კარის ზეგარდმო კი ფარანიც სწორედ

*დიდებული შენობა (დამახინჯ. ინგლ.) ... უაღრესად საინტერესო ანტიკვარული
ძეგლები (დამახინჯ. ფრანგ.).

**ავრეთვე (ლათ.).

ისეთივე ნითელი ფერისა ეკიდა, როგორც ჯეელის ქუდი გახლდათ. მე ფულს ვაძლევ, ის, — გაამოთო, — მეუბნება და მიდის. ზარს ვრეკავ. კარი თავისთავად იღება და მისაღებში მორთულ-მოკაზმული მადამ-მეგებება, ლოყები ნითლად აქვს შეთხიპნილი, ჩასუქებულ ყელზე ცვილისფერი მარგალიტების მძივი ჰკიდია, და ლამის რომ მანდილოსნის თავაზიანობით მესალმებოდა, დიდად გახარებული მეტიკტიკება და მეკეკლუცება, თითქოს დიდი ხნის ნანინანატრი სტუმარი ვიყო, შემდეგ კი პორტიეს თანხლებით ოქროსფრად მოციაგე ოთახში მისტუმრებს: კედლებზე ჩარჩოებში ჩასმული გობელენებია გაკრული, ჭერზე ბროლის ჭალი ჰკიდია, სარკეებისა და აბრეშუმით მოფარდაგებული შეზღონგების გვერდით ბრები ანთია. შეზღონგებზე — ნიმფები და უდაბნოს ასულნი, ექვსნი თუ შვიდნი, ზუსტად ვერ გეტყვი, მორფები, მინის ფრთოსნები, ესმერალდები, თხლად ჩაცმულნი, შილიფად ჩაცმულნი, შუშის კილიტებით განწყობილ გამჭვირვალე ქსოვილებში, ტიულსა და გაზში; ზოგი თმაგაშლილი, ზოგიც მოკლე კავებითა და დალალებით. დაპუდრული მკერდი უჩანთ, მკლავებზე სამკლაურები უკეთიათ, და მოლოდინით აღსავსე, ავხორცულად ანთებული თვალებით შემოგცქერიან.

მე შემომცქერიან და არა შენ! იმ ჯეელმა, იმ სქელკურტუმიანმა შლეპფუსმა საროსკიპოში მიმიყვანა! ვდგავარ და მღელვარების დაფარვას ვლამობ, ბოლოს ჩემს პირდაპირ თავახდილ როიალს, მეგობარს, შევნიშნავ, იატაკზე დაგებულ ხალიჩას გადავივლი, მასთან მივდივარ და ფეხზე მდგომელა ორსა თუ სამ აკორდს ვიღებ. ახლაც ვიცი, რაც იყო, რადგან ერთი ხმოვანი ფენომენი მქონდა აკვირებულნი, მოდულაცია სი-მაჟორიდან დო-მაჟორში, შუქმფინარი ნახევარტონიანი ინტერვალი, როგორც განდეგილის ლოცვისას არის „თავისუფალი მსროლელის“ ფინალში, როდესაც დო-მაჟორულ კვარტსექსტაკორდში შემოდიან ბობლანი, საყვირი და ჰობოები. ეს ახლა ვიცი, მაგრამ მაშინ არ ვიცოდი, ალაღბებზე შევახე ხელი კლავიშებს. ამ დროს მხარში ამომიდგა შავგვრემანი ასული, ესპანური ბოლერო აცვია, მოდიდო: პირი აქვს, პაჭუა ცხვირი და ნუშივით მოყვანილი თვალები, ესმერალდაა, ხელს მიცაცუნებს ლოყაზე, ერთბაშად ვტრიალდები, მუხლით განზე ვაგდებ სკამს და უკან მივაბოტებ ხალიჩაზე, გვერდით ჩავუქროლებ ამ სიძვის გეენის ენატიკტიკა დიასახლისს, უკან ვიტოვებ წინკარს და ისე ჩავიბრუნ კიბის საფეხურებსა და ქუჩაში აღმოვჩნდები, რომ ოდნავაც არ ვეხები თითბრის მოაჯირს.

აი ეს ამბავი გადამხდა, რომელიც იმ შენი მბრძღვინავი მეთაურის სანაცვლოდ თავიდან ბოლომდე გაიპბე, ვისაც *artem metrificandi** ასწავლი. ამინ, და ილოცე ჩემთვის! აქამდე მარტო ერთ კონცერტს დავესწარი ფილარმონიაში, შუმანის მესამე სიმფონია იყო მისი *pièce de résistance***. ერთმა შუმანის თანამედროვე კრიტიკოსმა ეს ნაწარმოები „მსოფლმხედველობის სიფართოვისათვის“ შეაქო, რაც ძალიან წააგავს არაპროფესიონალურ ყბედობას და რამაც, გაგიხარია, კლასიკოსებიც გაამხიარულა, მაგრამ დადებითი მხარეც ჰქონდა, რადგან რანგის ამაღლებას აღნიშნავს — ამას კი მუსიკა და მუსიკოსები რომანტიზმს უმადლიან. რომანტიზმმა მუსიკა შეზღუდული სპეციალობის მივარდნილი სფეროდან, მუსიკოსთა კარჩაკეტილი საამქროდან გარეთ გამოიყვანა და სულის დიად საუფლოს აზიარა, ეპოქის მხატვრულ-ინტელექტუალურ მოძრაობასთან დააკავშირა, — ეს არ უნდა დავუკარგოთ! ყოველივე გვიანდელი ბეთჰოვენიდან და მისი პოლიფონიიდან დაიწყო და მე უაღრესად მრავლისმეტყველ ფაქტად მიმაჩნია ის გარემოება, რომ რომანტიზმის მოწინააღმდეგენი ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, ხალასი მუსიკალური სფეროდან ზოგად ინტელექტუალურ სფეროში გარდამავალი ხელოვნების მოწინააღმდეგენი გვიანდელი ბეთჰოვენის შემოქმედებით ევოლუციასაც მუდამ ჰკილავდნენ და განაქიქებდნენ. გიფიქრია ოდესმე, რაოდენ უფრო ნატანჯია და მნიშვნელოვანი ხმის ინდივიდუალიზაცია მის ბოლო ქმნილებებში, ვიდრე ადრინდელეებში, სადაც იგი უფრო ვირტუოზულია? არსებობს ისეთი შეფასებები, რომლებიც თავიანთი მწვავე სიმართლით კაცს გართობენ, თვით შემფასებელს კი თავლაფს ასხამენ. ჰენდელი გლიუკზე ამბობდა: ჩემს მხარეულს უფრო გაეგება კონტრაპუნქტისა, ვიდრე მასო. რა მშენიერი შეფასებაა კოლეგისა!

ბევრს ვუკრავ შოჰენს და ვკითხულობ მის შესახებ. მიყვარს მისი ანგელოზისებური იერსახე, რალაცით შელის რომ მაგონებს, მისი არსების იდუმალეებით შესუდრული თავისებურება, ვერ საკარები, ხელთუქმნელი, უფათერაკო მყოფობა, არაფერი რომ არ სურს იცოდეს, ნივთიერ მასალას, ემპირიულ გამოცდილებას რომ არა სცნობს; ვეთაყვანები მისი ფანტასტიკურად ნატიფი და მომხიბლავი ხელოვნების სიხალასესა და ამაღლებულ განსულიერებულობას. რა

**ლექსთწყობის ხელოვნებას (ლათ.).*

***აქ: პროგრამის მარლი (ფრანგ.).*

საუცხოოდ ახასიათებს ამ ადამიანს დელაკრუას ღრმად ყურადღე-
ბიანი მეგობრობა, მას რომ სწერს: „l'espère vous voir ce soir, mais ce
moment est capable de me faire devenir fou“*. ეს ყოველივე მოს-
ალოდნელი იყო მხატვრობის ამ ვაგნერისაგან! მაგრამ შოპენთან ხომ
არცთუ ცოტა რამ მოიპოვება ისეთი, რაც ვაგნერის მიმართ არა-
მხოლოდ ჰარმონიის, არამედ ზოგადად სულიერის სფეროშიც მარტო
დასწრება კი არ არის, არამედ ამასთანავე წინ გადასწრებაც. აიღე
თუნდაც დო-დიეზ-მინორული ნოკტიურნი, ოპუსი 27, № 1, და დუეტი.
რომელიც ჰარმონიული შეცვლით იწყება დო-დიეზ-მაჟორისა — რე-
ბემოლ-მაჟორით. უსასაოო კეთილბოვანებით იგი ტრისტანის მთელ
ორგიებს აღემატება, თან გადმოცემულია ფორტეპიანოს
ინტიმურობით, და არა როგორც ავხორცობის სამკვდრო-სასიც-
ოცნლო ბრძოლა, — მანკიერი, ტლანქხ, კორიდისებური თეატრალური
მისტრიკის გარეშე. და კიდევ, უწინარეს ყოვლისა, გაიხსენე ისიც, რა
ირონიულად ეკიდება ტონალობას, რა ჯადოსნური, მოუხელთებელი,
მონანავეა მისი ბუნება, რა ლაღად ეპყრობა ტონალობის ნიშანს! ამ
მხრივ იგი შორს მიდის, თავშესაქცევად და ამაღლეგებლად შორს“...
შეძახილით: „Ecce epistola!“** — მთავრდება წერილი. ხელ-მოწე-
რის ნაცვლად ინიციალია, თანაც გვარისა — ლ., და არა ა.

XVII

მე არ შევასრულე მისი კატეგორიული მოთხოვნა, წერილი
მოსპეო, — აბა ვინ უსაყვედურებს ამას მეგობარს, თუკი მას
პრეტენზია აქვს თავის მეგობრობასაც „ღრმად ყურადღეებიანი“ დაუ-
რთოს ეპითეტად, როგორც წერილის ავტორმა დაურთო შოპენთან
დელაკრუას მეგობრობას? ჯერ იმიტომ არ შევასრულე მისი ნება-
სურვილი, რომ მიხდოდა თავდაპირველად ნაჩქარევად ჩაკითხული
ბარათი ისევ და ისევ გადაამეკითხა, თანაც უბრალოდ კი არა, არამედ
სტილისტურად და ფსიქოლოგიურადაც შემესწავლა, მერე კი, დრო
რომ გავიდა, ვიფიქრე, ახლა წერილის დახევის აზრი აღარა აქვს, უკვე
გვიან არის-მეთქი; ახლა მას როგორც საბუთს ვუჭვრეტდი, ხოლო
მისი მოსპობის ბრძანებას კიდევ — როგორც ამ საბუთის შემადგენელ

*"სალამოს თქვენი ნახვის იმედი მაქვს, თუმცა ამ შეხვედრამ შეიძლება
ჭკუაზე შემშალოს" (ფრანგ.).

**"აი ეპისტოლე" (ლათ.).

ნაწილს. ერთი სიტყვით, ვინაიდან ბრძანებამ საბუთის სტატუსი შეიძინა, იგი, ასე ვთქვათ, საკუთარ თავს აუქმებდა.

ერთი რამ იმთავითვე ცხადი იყო: ბოლოში მინაწერი თხოვნის საბაბი მთელი წერილი კი არ გახლდათ, არამედ მხოლოდ მისი ნაწილი, „საძრახისი ანექლოტი“ და „სამარცხვინო ოინი“ რომ უწოდა, ავბედითი მეგზურის გამო თავს გადახდენილი ამბავი. მაგრამ, მეორე მხრივ, ეს ნაწილი მთელ წერილს წარმოადგენდა, მის გამო იყო დაწერილი – ჩემს გასართობად კი არა; უეჭველია, მისმა დამწერმა იცოდა, რომ „ნაკვესი“ შე არ გამამხიარულებდა და უნდოდა გული მოეოხებინა, გათავისუფლებულიყო შემადრწუნებელი შთაბეჭდილებისაგან. საამისოდ კი მე, სიყრმის მეგობარი, ერთადერთი შესაფერისი ადრესატი გახლდით. სხვა დანარჩენი საკმაზი იყო, საბურველი, საბაბი, მიეთმოეთი, და ბოლო კი, ვითომცა აქ არაფერი იყო, შესანიღბავად მოსდევდა ენაწყლიანი მუსიკალური *aperçu**. მიუკიბ-მოუკიბავად თუ ვიტყვით, მთელი წერილი ამ ანექლოტს დასტრიალებს თავს, ქვეტექსტად იმთავითვე ის იგულისხმება, პირველსავე სტრიქონებში გამოჩნდება და ისევ ქრება, ჯერაც არ მონათხრობი, იგი გამოსჭვივის დიდი ქალაქის – ნინევიის თაობაზე ხუმრობაში და წინასწარმეტყველის სკეპტიკურ-მიმტვევებელ განცხადებაში, თითქოს დგება კიდევ მისი მოყოლის დრო, როდესაც მეგზური პირველად მოიხსენიება, მაგრამ ისევ და ისევ უჩინარდება. წერილი თითქოს მთავრდება კიდევ, ვიდრე ანექლოტის მოყოლა დაიწყებოდეს – „*iam satis est*“** –, თითქოს ავტორს კინალამ დაავიწყდა, რის მოყოლასაც აპირებდა, თითქოს შლეპფუსის მისალმების ციტირებამ მოაგონაო, და მხოლოდ ამის შემდეგ, ასე ვთქვათ, „სახელდახელოდ“ ჰყვება ნაკვესს, თანაც უცნაური ანალოგიისათვის იყენებს პეპელათა შესახებ მამისაგან შეძენილ ცოდნას. ოღონდ ასე არ სურს წერილი დაბოლოვდეს, მას ერთვის კიდევ მსჯელობა შუამანსა, რომანტიზმსა და შოპენზე, რაც აშკარად ერთ მიზანს ემსახურება: ანექლოტს წონა დაუკარგოს, ყურადღება სხვა რამეზე გადაიტანოს, ან უფრო ზუსტად, რაც ავტორის სიამაყის გამო მოწოდებულია ამის სურვილის ილუზია შექმნას, თორემ მე არ მჯერა, ადრიანს მართლაც განზრახული ჰქონოდა, წერილის დედააზრი ჩემთვის შეუმჩნეველი გაეხადა.

**მოკლე მიმოხილვა (ფრანგ.).*

***„კმარა, საკმარისია“ (ლათ.).*

მეორედ გადათვალე რებისთანავე თვალში მეცა ის გარემოება, რომ სტილით თამაში, აქა-იქ კუმპფისეული ძველგერმანულის პაროდირება თუ მისი ლალი მიბაძვა მხოლოდ იქამდე გრძელდება, ვიდრე იმ თავგადასავლის თხრობა დასრულდებოდეს, მას შემდეგ კი უკვალოდ ქრება, ასე რომ, ბოლო გვერდებს ამის ნიშანწყალიც არ ატყვიან და სრულიად თანადროული ენობრივი წყობა ახასიათებთ. ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს არქაიზირებულმა კილომ თავისი დანიშნულება შეასრულა, როგორც კი ცრუ მეგზურის ამბავი ქალაქში იქნა გადატანილი, და მერე უკუგდებულ იქნა, იმდენად იმიტომ კი არა, რომ არ ეხამებოდა სიტყვის ბანზე ამგდებ დასკვნითი მსჯელობის შინაარსს, არამედ იმიტომ, რომ სათაურიდანვე მოიშველია მთავარი ამბის მოსაყოლად ნიადაგის მოსამზადებლად, მისთვის შესაფერისი ატმოსფეროს შესაქმნელად. სახელდობრ, როგორი ატმოსფეროსი? მე მოგახსენებთ, თუმცა გუნებაში რაცა მაქვს, სულ არ შეეფერება ფარსს: ეს რელიგიური ატმოსფერო გახლავთ. ჩემთვის ნათელი შეიქნა: სწორედ რელიგიურ სულისკვეთებასთან მისი ისტორიული ნათესაობის გამო აირჩია რეფორმაციის ეპოქის გერმანული წერილისათვის, რომელსაც ჩემთვის ის ამბავი უნდა მოეთხრო. აბა სიტყვებით თამაშის გარეშე ვით დაწერდა ისეთ ნინადადებს, რომელიც უნდა დაწერილიყო: „ილოცე ჩემთვისო?“ ამაზე უკეთეს მაგალითს ციტატის — საფარად, პაროდის — საბაბად გამოყენებისა, ვერც მოძებნი კაცი. ხოლო ამის წინ, ოდნავ ზემოთ, გვხვდება გამოთქმა, რომელმაც პირველად ნაკითხვისთანავე შეძრა და აგრეთვე არა ესაქმება რა იუმორესკაში, პირიქით, აშკარად მისტიკურად და, მამასადამე, რელიგიურად არის შეფერილი: „სიძვის გეენა“.

იმ ანალიზის სიცივე, რომელიც ეს-ეს არის და აგრეთვე მაშინაც, მიღებისთანავე, ჩავუტარე ადრიანის წერილს, ალბათ ცოტას თუ შეუქმნის ყალბ წარმოდგენას ჩემი ჭეშმარიტი განცდების შესახებ მეგობრის ბარათის ისევ და ისევ გადაკითხვისას. ანალიზი მუდამ აუცილებლად ცივი ჩანს, თუნდაც საშინლად შეძრწუნებული ახდენდეს მას. შეძრწუნებული კი ნამდვილად ვიყავ, უფრო მეტიც, გაოგნებული. აღარ ვიცოდი, რა მექნა, ისე მომდიოდა გული სქელკურტუმა შლეპფუსის უხამს ოინზე, — ოღონდ მკითხველმა ამაში ჩემი პირადი თავისებურება, ჩემთვის დამახასიათებელი პირმოთნეობა კი არ უნდა დაინახოს. ჩემს დღეში პირმოთნე არა ვყოფილვარ და მე რომ გავეცურებინე ასე ვინმეს, წარბსაც არ შევიხრიდი, — დაე მან

ჩემს განცდებში არეკლილი ადრიანის არსი და მეობა განჭვრიტოს, ვისთვისაც, მართალია, „პირმოთნეობის“ ცნება აგრეთვე სრულიად მიუსადაგებელი რამ გახლდათ, მაგრამ ვისაც ძალუძდა თვით ყველაზე კადნიერი ოტროველასთვისაც კი მოკრძალება აღეძრა, დაცვისა და დანდობის სურვილი გაელვძებინა.

ჩემს აღელვებაში ნაკლები წვლილი როდი შეჰქონდა იმ ფაქტსაც, რომ მან საერთოდ გამანდო თავისი თავგადასავალი და ისიც რამდენიმე კვირის შემდეგ, რაც ეს ამბავი შეემთხვა, ეს ხომ მისთვის მუდამ დამახასიათებელი და ჩემს მიერ მუდამ რიდითა და კრძალვით აღიარებული გულჩათხრობილობის დარღვევა გახლდათ. რა უცნაურადაც უნდა ჟღერდეს ჩვენი ძველისძველი ამხანაგობის ფონზე, სიყვარულის, სქესის, ხორციელის სფეროს არასოდეს არ ვეხებოდით ჩვენს საუბრებში პირადული ან ინტიმური თვალსაზრისით; მარტო ხელოვნებისა და ლიტერატურის შუალობით თუ ვახსენებდით ასეთ რაიმეს, სულიერ ვნებათა ღელვის გამოვლინებასთან დაკავშირებით, და მაშინაც კი საქმიანსა და კომპეტენტურ გამონათქვამებში, მას რომ დასცდებოდა ხოლმე, საკუთარ თავს მუდამ გამოთიშავდა. ვით შეიძლებოდა ასეთი ადამიანისათვის ვნებათა ღელვის სტიქიონი უცხო ყოფილიყო! უცხო რომ არ იყო, ამის საკმაოდ დამაჯერებელ საბუთს წარმოადგენდა მის მიერ კრეჩმარისაგან ათვისებული ზოგიერთი დებულების ჩამოყალიბება ხელოვნებაში გრძნობადის უგულვებლყოფის დაუშვებლობაზე, და არა მხოლოდ ხელოვნებაში; შემდეგ ზოგიერთი მისეული შენიშვნა ვაგნერზე და აგრეთვე გაკვრით გამოთქმული მოსაზრებანი, ვთქვათ, ადამიანის ხმის სიშიშვლისა და მისი სულიერი კომპენსაციის შესახებ უმახვილგონიერესი ფორმებით ძველებურ ვოკალურ მუსიკაში. ასეთ რაიმეს ქალწულებრივისა არა ეცხო რა; იგი მოწმობდა გულის წადილის სამყაროსათვის ლაღად და დინჯად თვალის გასწორებას. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც ჩემი გამოისობით კი არ ხდებოდა, არამედ მისი გამოისობით, რომ ყოველთვის, როდესაც კი ჩვენი საუბარი ასეთ მიმართულებას მიიღებდა, შოკის მაგვარი რალაც მემართებოდა, თითქოს დაირცხვინაო, თითქოს შინაგანად დაჰატარავდაო. ხატოვანად რომ ვთქვა, ისეთი გრძნობა მეუფლებოდა, თითქოს ანგელოზ ბჭობდა ცოდვაზე: ამ შემთხვევაშიც ვერავითარი დაურიდებლობა და თავხედობა, ვერავითარი ბანალურ-მხიარული დამოკიდებულება საგანთან ვერ შეურაცხგყოფდათ. და მაინც, იმის აღიარების მიუხედავად, რომ ადრიანს

სულიერი უფლება ჰქონდა ასეთ საკითხზე მსჯელობისა, უხერხულობის გრძნობას ვერ გადაურჩებოდი და სურვილი წაგძლევათ გაგეჩრებინათ: „იყუჩე, ძვირფასო! ბაგე შენი ერთობ წმინდაა და მკაცრი ამგვარი რამეებისათვის!“

მართლაც, ადრიანს რომ ორპროვანი უხამსობანი არ უყვარდა, ეს მათ თითქოსდა ტაბუს ადებდა, და მე კარგად ვიცნობდი მისი სახის ზიზღარევისა და ჩქირდავ გამომეტყველებას, როგორც კი რაიმე ამდაგვარს ყურს მოჰკრავდა. ჰალეში, ვინფრიდელეტან, მისი ნატიფი გემოვნება, ასე თუ ისე, დაცული იყო ასეთნაირი გამონდომებისაგან, სამღვდელოთა წესიერება — სიტყვა-თქმების არჩევაში მაინც — გახლდათ ამის თავდები. ქალებზე, დიაცებზე, გოგოებზე, სატრფიალო თავგადასავლებზე ამხანაგები ერთმანეთთან არ ლაპარაკობდნენ. არ ვიცი, ამ ახალგაზრდა თეოლოგებს, თითოეულს ცალცალკე, სინამდვილეში როგორ ჰქონდათ საქმე, ყოველი მათგანი ზოგავდა თუ არა თავის თავს ქრისტიანული ქორწინებისათვის, ხოლო რაც შემეხება მე, უნდა ვალიარო, რომ მაშინ უკვე გასინჯული მქონდა აკრძალული ხილი, შვიდი თუ რვა თვის განმავლობაში ვცხოვრობდი ერთ მდაბიო გოგონასთან, მეკასრის ქალიშვილთან. ადრიანისაგან ამ ამბის დამალვა არცთუ იოლი საქმე გახლდათ (თუმცა არა მგონია, რამე შეენიშნოს). შემდეგ კი მშვიდობიანად გაუნყვიტე ამ გომბიოსთან ურთიერთობა, რადგან მისმა უბირობამ თავი მომაბეზრა და დაკავშირებით კი, მხოლოდ ერთადერთი რამ მაკავშირებდა. იმდენად სისხლი კი არ მიდულდა, როცა მასთან საქმე დავიჭირე, რამდენადაც ცნობისმოყვარეობა, პატივმოყვარეობა და იმის სურვილი მამოძრავებდა, პრაქტიკულად განმეხორციელებინა ანტიკური თავისუფლება სქესობრივ საკითხებში, რასაც თეორიულად ვიზიარებდი.

მაგრამ სწორედ ეს ელემენტი, მახვილგონიერი გართობის ელემენტი, როგორც ყოველ შემთხვევაში მე მაინც, შესაძლოა, ცოტათი შკოლიარულადაც, წარმომედგინა ხსენებული ამბავი, სრულიად აკლდა ადრიანის დამოკიდებულებას ამ საჭოჭმანო სფეროსთან. მე ქრისტიანულ თავშეკავებულობაზე კი არ ვლაპარაკობ და არც „კაიზერსაშერნის“ გამოყენებას ვაპირებ პაროლად, რაც ცალკერძ მემწიანურ მორალსა და ცალკერძ კიდევ ცოდვის წინაშე შუასაუკუნეობრივ ძრწოლას განასახიერებს. ეს ძალზე შორს იქნებოდა ქეშმარიტებისაგან და ვერ გადმოსცემდა იმას, რასაც მისი თავდაჭერა აღმიძრავდა — სიყვარულით აღსავსე მზრუნველობას და სი-

ძელვილს ყოველივე იმისადმი, რასაც მისთვის შეურაცხყოფა შეიძლება მიეყენებინა. თუ ადრიანს საერთოდ ვერ წარმოიდგენდით და არც გსურდათ წარმოგედგინათ რაიმე „გალანტურ“ სიტუაციაში, ამის მიზეზი გახლდათ სიწმინდის, სიქველის, ინტელექტუალური სიამაყის, ცივი ირონიის აბჯარი, მას რომ მოსავდა და ჩემთვის წმინდა იყო — იმდენად წმინდა, რომ გულის სიღრმეში ტკივილს მაყენებდა და მარცხვენდა. ვინაიდან ნიშნის მომგებ კაცს თუ, თორემ სხვას ვის არ ატკენს გულს და სირცხვილს არ მოჰგვრის იმის გაფიქრება, რომ ხორციელ ცხოვრებას სინმინდე ვერ ხელენიფების, რომ ინსტინქტი სულიერ სიამაყეს ლახავს და თვით ყველაზე მიუდგომელმა და ქედმაღალმაც კი ბუნებას ხარკი უნდა მიუზღოს. ასე რომ, სასოებად მარტოოდენ ერთი რამლა შეიძლება გაგვაჩნდეს: ეს ღვთის განჩინებული ქედის მოხრა კაცობრიულის წინაშე და, მაშასადამე, ცხოველურის წინაშეც, რაც შეიძლება ფაქიზად და ამალღებულო, განსულიერებული და შელამაზებული ფორმით განვიცადოთ, შებურვილი მიჯნურთა თავდაღებითა და გრძნობის სისპეტაკით.

საჭირო კია დავუმატო, რომ სწორედ ისეთ შემთხვევებში, როგორიც ჩემი მეგობრისაა, ამის იმედი ყველაზე ნაკლებად შეიძლება გქონდეს? შელამაზება, საბურველში გახვევა, გაკეთილშობილება, რაზეც ვლავარაკობდი, სულის საქმეა, შუალედური, შუამავალი და პოეტურად უხვად შეფერილი ინსტანციისა, სადაც გონი და ინსტინქტი ერთმანეთს მსჭვალავს და მათი ურთიერთშერიგების ილუზია იქმნება, ანუ, კაცმა რომ თქვას, ადამიანის პირწმინდად სანტიმენტალური სფეროსი, რომელშიც, ვალიარებ, მე პირადად არხენიად ვგრძნობ თავს, მაგრამ იგი მკაცრ გემოვნებას არცთუ ბოლომდე შეესატყვისება. ისეთი ბუნების ხალხს, როგორიც ადრიანი იყო, „სული“ ბევრი არა აქვთ. „სულზე“ მწყრალად არიან. ჩემმა გაფაციცებულმა, მეგობრულად მოთვალთვალე მზერამ დამანახვა, რომ ყველაზე ამაყი ინტელექტუალობა ყველაზე უშუალო მეზობლობაშია ცხოველურ საწყისთან, შიშველ ინსტინქტთან და ყველაზე უფრო სავალალოდ განიცდის მის ზემოქმედებას; და ეს გახლავთ მიზეზი იმ შიშით აღსავსე მზრუნველობისა, ჩემნაირებს რომ აღუძრავენ ხოლმე ადრიანის მსგავსი ბუნებისანი, — ეს არის აგრეთვე მიზეზი, რის გამოც იმ წყეულ თავგადასავალს, რომელიც წერილში მაუნყა, შემაშფოთებელ სიმბოლურ ხასიათს მივანერდი.

მე ვხედავდი — ისე კანთიელად ვხედავდი, თითქოს მართლაც ჩემს თვალწინ იდგა, მეძავთა სალონის ზღურბლზე დაყუდებულს. აი, ის აჩერდება მოლოდინში გარინდებულ კახპებს და ძლივძლივობით ხედება, სად იმყოფება; უცხოდ და ბრმად, როგორც ჰალეში, მიუცქეს რესტორანში სჩვეოდა ხოლმე, მიეშურება როიალისაკენ და ანგარიშმიუცემლად რამდენიმე აკორდს იღებს, რომელთა რაობას მხოლოდ შემდგომ გაიაზრებს. — ვხედავდი პაჭუაცხვირიან ასულს მის გვერდით — *Hetaera esmeralda*-ს, დაპუდრული ნახევარსფეროები რომ უჩანდა ვინრო ესპანური ბოლეროდან, ვხედავდი, როგორ უთათუნებდა შიშველი ხელით ლოყაზე. დაუოკებლად მიმინევდა გული იქით, მინდოდა სივრცისა და დროის ზღუდე გადამელახა და იქ გავჩენილიყავი, მუხლით განზე გადამესროლა ის კუდიანი, როგორც ადრიანმა — სკამი, რათა გასასვლელისკენ გზა გაეკაფა. არა ერთსა და ორ დღეს ვგრძნობდი ქალის ხელის შეხებას ჩემს საკუთარ ლოყაზე და თან ზიზღითა და ძრწოლით ვფიქრობდი, რომ მას შემდეგ ალბათ ასევე უწვავდა და უდაღავდა იგი ლოყას ჩემს მეგობარსაც. კვლავ და კვლავ გთხოვთ ეს ამბავი გაითვალისწინოთ: ჩემით კი არ არის გამოწვეული, არამედ მის გამოა, რომ არ ძალმიძს ამ შემთხვევას სასაცილო მხრიდან შევხედო. სამხიარულო აქ აბსოლუტურად არაფერი არ იყო. მე თუ ოდნავ მაინც შევძელი ჩემი მეგობრის ხასიათი დამეხატა მკითხველისათვის, მაშინ ჩემთან ერთად მანაც უნდა იგრძნოს, რომ ამ შეხებაში იყო ენით აღუწერლად სამარცხვინო და დამამცირებელი რამ, აბუჩად ამგდები და სახიფათო რაღაც.

ის, რომ აქამდე ქალს არ „შეხებოდა“, დანამდვილებით ვიცოდი და ვიცი. ჰოდა, ახლა ქალი შეეხო მას და ისიც გამოიქცა. ამ გამოქცევაშიც არ იყო სასაცილოს ნასახი, შემიძლია დავარწმუნო მკითხველი, თუ ის მოინადინებს მსგავსი რაიმის აღმოჩენას. კომიკური ეს მოკურცხვლა მართო მისი ტრაგიზმითა და სიმწრით აღსავსე ამოების გაგებით თუ გახლდათ. ჩემს თვალში ადრიანი საფრთხეს ხელიდან ვერ დაუსხლტა და, რასაკვირველია, თვითონაც ძალზე ცოტა ხანს ეგონა, რომ თავი გადაირჩინა. ქედმაღალმა სულისკვეთებამ მტიკინეულად განიცადა უსულო ინსტინქტთან შეჯახება. ადრიანი უნდა დაბრუნებულიყო იქ, სადაც მატყუარამ მიიყვანა.

როდესაც ადრიანის ამბებს ვყვები და დეტალებს აღვწერ, მკითხველმა არ უნდა გაიკვიროს: ყველაფერი ასე ზედმიწევნით რა იცის, მათი თვითმხილველი მუდამ ხომ არ იყო, ამ ბიოგრაფიული თხზულებების ან განსვენებული გმირის გვერდით ყოველთვის ხომ არ ყოფილაო. სწორია, რომ მე არაერთხელ და თანაც ხანგრძლივი დროის განმავლობაში მისგან მოშორებით ვცხოვრობდი. ასე იყო, მაგალითად, როდესაც ერთწლიან სამხედრო ბეგარას ვიხდდი, ოღონდ მისი დამთავრების შემდეგ სწავლა ლაიპციგის უნივერსიტეტში განვაგრძე და დანვრილებით გავეცანი იქაურ ყოფა-ცხოვრებას. ასევე იყო, როცა ჩემი კლასიკური განათლების შესავსებად გავემგზავრე (1908—9 წწ.). ხანმოკლე იყო ჩვენი შეხვედრა ამ მოგზაურობიდან ჩემი დაბრუნების შემდეგ, რადგან მას უკვე გადაეწყვიტა ლაიპციგი დაეტოვებინა და სამხრეთ გერმანიაში წასულიყო. ამას კი მოჰყვა ჩვენი განშორების ყველაზე ხანგრძლივი პერიოდი: ეს გახლდათ წლები, რომლებიც მან მიუნჰენში მცირე ხნით დაყოვნების შემდეგ იტალიაში გაატარა თავის სილუზიელ მეგობარ შილდკნაპთან ერთად, მაშინ როდესაც მე წმ. ბონიფაციუსის გიმნაზიაში ჯერ შესამოწმებელი ვადა განვვლე, შემდეგ კი შტატში ჩამრიცხეს და მასწავლებლად ვმუშაობდი. მხოლოდ 1913 წელს, როდესაც ადრიანი ზემობავარიის დაბა პუაიფერინგში დასახლდა, ხოლო მე კი ფრაიზინგში გადავედი, კვლავ აღმოვჩნდი მის სიახლოვეს, რათა ჩვიდმეტი წლის განმავლობაში, 1930 წლის კატასტროფამდე, ამიერიდან განუწყვეტილვ ან თითქმის განუწყვეტილვ თვალყური მედევენებინა მისი კარგა ხანია საბედისწეროდ დალდასმული ცხოვრებისა და სულ უფრო და უფრო მღელვარე შემოქმედებისათვის.

უკვე ახალბედა როდი იყო მუსიკაში, ამ საოცრად კაბალისტიკურ, ერთსა და იმავე დროს ანცსა და მკაცრ, მახვილგონიერ და ღრმააზროვან ხელობაში, როცა ლაიპციგში კვლავ ვენდელ კრეჩმარის ზღმძღვანელობის, მეურვეობისა და ზედამხედველობის ქვეშ აღმოჩნდა. მისი სწრაფი წინსვლა ტრადიციულ სასწავლო სარბიელზე — კომპოზიციაში, მოძღვრებაში მუსიკალური ფორმების შესახებ, გაორკესტრებაში, რასაც ხელს უწყობდა ათვისების არაჩვეულებრივი უნარი და ხელის შეშლით კი, მარტოოდენ მისი ფრთამალი გონების სულსწრაფობა თუ უშლიდა ხელს, ამტკიცებდა, რომ ორწლიან თეოლოგიურ ეპიზოდს ჰალეში არ შეესუსტებინა მისი მუსიკალური

მიდრეკილებანი, რომ იგი არ ნიშნავდა მუსიკისაგან წეშმარიტ განდგომას. კონტრაპუნქტში რომ ხშირად და მუყაითად ვარჯიშობდა, მეტ-ნაკლებად ამას მისი წერილი იუნყებოდა. კრემარი ლამის კიდევ უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებდა საორკესტრო პარტიტურის შექმნის ტექნიკას და აიძულებდა მას, როგორც უწინ კაიზერსაშერნში, გაეორკესტრებინა უამრავი საფორტეპიანო პიესები, სონატათა ნაწილები და თვით სიმებიანი კვარტეტებიც კი, ხოლო მერე დანვრით არჩევდა მის ნამუშევარს, აფასებდა, წუნს ეძიებდა, შესწორებები შეჰქონდა. საქმე იქამდე მივიდა, რომ ოპერების ცალკეულ მოქმედებათა კლავირის გაორკესტრებასაც კი ავალებდა, რომელთაც ადრიანი არ იცნობდა, და იმ მოსწავლის ხელით ნაცადის შედარება, ვისაც ბერლიოზი, დებიუსი და გვიანდელი გერმანელ-ავსტრიელი რომანტიკოსები მოსმენილი და წაკითხული ჰქონდა, იმასთან; რაც გრეტრის ან ქერუბინის თვითონ ჰქონდათ გაკეთებული, ხშირად ოსტატსაცა და შეგირდსაც აცინებდათ. კრემარი მაშინ თავის საკუთარ სასცენო ნაწარმოებზე მუშაობდა — „მარმარილოს ქანდაკებაზე“, და იქიდანაც აძლევდა ზოგიერთი სცენის პარტიტურის ესკიზს გასაორკესტრებლად და მერე აჩვენებდა, თვითონ როგორ გააკეთა ან როგორ აპირებდა გაკეთებას. ამას ცხარე კამათი მოსდევდა, რაშიც, როგორც წესი, ოსტატის გამოცდილება იმარჯვებდა, რასაკვირველია. მაგრამ ერთხელ მაინც ახალბედის ინტუიციამ გადასძლია. ვინაიდან კრემარმა ერთი ბგერათა შეხამება, რომელიც ჯერ როგორც უგუნური და უნიათო უკუაგლო, მერე უფრო დამახასიათებლად მიიჩნია, ვიდრე საკუთარი ჩანაფიქრი, და შემდგომ შეხვედრისას ადრიანს განუცხადა: შენი იდეით მსურს ვისარგებლო.

ადრიანი ამით გაცილებით ნაკლებად ამაყობდა, ვიდრე საფიქრებელი იყო. მუსიკალური მიდრეკილებებითა და ინტერესებით მასწავლებელი და მოწაფე არსებითად საკმაოდ შორს იდგნენ ერთმანეთისაგან, ხელოვნებაში ხომ დამწყებს თითქმის ყოველთვის უხდება პროფესიული განსწავლისათვის მიმართოს ოსტატს, რომელიც მისთვის ნახევრად უცხოა, თუნდაც იმიტომ, რომ თაობათა შორის განსხვავება არსებობს. კიდევ კარგი, თუ ამ ოსტატს ახალგაზრდობის ქვეშეცნეული ტენდენციების ამოცნობა და გაგება ძალუძს, დაე თუნდაც ირონიულად ეკიდებოდეს, ოღონდ ფრთხილობდეს, მათ განვითარებას წინ არ გადაველობოო. ასე, მაგალითად, კრემარს ოდნავადაც არ ეპარებოდა ეჭვი და თავისთავად გასაგე-

ბად მიაჩნდა ის ამბავი, რომ მუსიკა ყველაზე სრულყოფილად და ქმედითად საორკესტრო ნაწარმოებში ვლინდება, მაშინ როდესაც ადრიანს ეს უკვე აღარ სჯეროდა. ოცი წლისასთვის, უფროსებისაგან განსხვავებით, უაღრესად განვითარებული ინსტრუმენტული ტექნიკის დამოკიდებულება მუსიკის ჰარმონიულ კონცეფციაზე უფრო მეტს ნიშნავდა, ვიდრე გარკვეულ ისტორიულ თვალსაზრისს. მასთან იგი გადაიქცა მონოდების მსგავს რაღაცად, რომელშიც წარსული და მყოფადი ერთმანეთს ერწყმიან; და მისი ფხიზელი თვალსაზრისი რომანტიზმის შემდეგდროინდელი გიგანტური ორკესტრის ჰიპერტროფირებულ ხმოვან აპარატზე, ამ აპარატის კონდენსირებისა და მისთვის კვლავ იმ დამხმარე როლის მიჩენის მოთხოვნილება, რასაც ის ჰარმონიამდელ პერიოდში, პოლიფონიური ვოკალური მუსიკის პერიოდში ასრულებდა; მიდრეკილება ამ უკანასკნელისაკენ და, მაშასადამე, ორატორიისაკენ, ჟანრისაკენ, რომელშიც „წმ. იოანეს გამოცხადებისა“ და „დოქტორ ფაუსტუსის გოდების“ შემოქმედს შემდგომ ყველაზე ამბულლებული და თამამი ნაწარმოები უნდა შეექმნა, — ეს ყოველივე ძალზე ადრე გამოსჭვივოდა მის სიტყვებსა და ყოფაქცევაში.

მაგრამ ამის გამო ნაკლები მონდომებით როდი სწავლობდა გაორკესტრებას კრემარის ხელმძღვანელობით, რადგან იზიარებდა მასწავლებლის აზრს იმის შესახებ, რომ წინამორბედთა მონაპოვარს უნდა დაეუფლო, თუნდაც იგი არსებითად აღარ მიგაჩნდეს, ხოლო მე ერთხელ მითხრა: კომპოზიტორი, რომელსაც ორკესტრისეული იმპრესიონიზმი მოეყირჭა და ამიტომ დაინსტრუმენტებას აღარ სწავლობს, მაგონებს იმ კბილის ექიმს, ვინც კბილის ფესვების მკურნალობას აღარ დაგიდევს და დალაქივით მარტო კბილების ამოღლეჯითაა გატაცებული, რადგან უახლესი აღმოჩენის თანახმად მკვდარ კბილებს სახსრების რევმატიზმი შეუძლიათ გამოიწვიონო. ამ უცნაურად შერჩეული, მაგრამ ამასთანავე მაშინდელი განწყობილებისათვის დიახაც დამახასიათებელ შედარებას ამის შემდეგ ჩვენ ხშირად ვიყენებდით ერთმანეთთან საუბრისას, როგორც კრიტიკულ ციტატას და ფესვის ოსტატური დაბალზამებით შენარჩუნებული „მკვდარი კბილი“ სიმბოლურ დასახელებად გვექცა დახვეწილი საორკესტრო პალიტრის შექმნის ზოგიერთი გვიანდელი ცდისა, — მათ შორის მისი საკუთარი სიმფონიური ფანტაზიისაც — „ზღვის ჩირაღდნები“, ჯერ კიდევ ლაიპციგში რომ დაწერა კრემარის მეთვალყურეობით, რიუდიგერ შილდკნაპთან ერთად ჩრდილოეთის

ზღვის პირას დასასვენებლად ყოფნის შემდეგ, და კრემარისავე თაოსნობით რომ შესრულდა მცირერიცხოვანი აუდიტორიის წინაშე. ეს არის მუსიკალური ფერწერის დახვეწილი ნიმუში, რომელიც პირველად მოსმენისას თითქმის ამოუხსნელი, გამაოგნებელი ბგერათშერწყმისაკენ გასაოცარ მიდრეკილებას მონმობდა, და გათვითცნობიერებულმა მსმენელებმა ახალგაზრდა ავტორში დებიუსი-რაველის ხაზის დიდად ნიჭიერი გამგრძელებელი დაინახეს, რაც ის არ გახლდათ და ვირტუოზულ-კოლორისტული გაორკესტრების უნარის ამ დემონსტრაციას მთელი სიცოცხლის მანძილზე თითქმის ისევე ნაკლებად მიიჩნევდა თავის ჭეშმარიტ ქმნილებად, როგორც ხელის სახსართა მოქნილობის და ნოტების კალიგრაფიაში გასაწაფავად განკუთვნილ სავარჯიშოებს, რომლებზედაც მანამდე კრემარის ზედამხედველოზით იღვნოდა: ექვსი-შვიდი-რვა ხმისათვის დაწერილი საგუნდო ნაწარმოებები, სამთემიანი ფუგა სიმებიანი კვინტეტისა და ფორტეპიანოს თანხლებისათვის, სიმფონია, რომლის პარტიტურის მონახა ზებიც ნაწილ-ნაწილ მიჰქონდა მასწავლებელთან და მის გაორკესტრებაზე ეთათბირებოდა, სონატა ვიოლონჩელი-სათვის, ლა-მინორი, მშვენიერი ნელი ნაწილით, — ამ სონატის თემა შემდგომ კვლავ გამოიყენა ბრენტანოს ტექსტზე შექმნილ ერთ-ერთ სიმღერაში. ჰანგებით მოციგლიგე „ზღვის ჩირაღდნები“ ჩემს თვალში ერთობ ღირსშესანიშნავი მაგალითი იყო იმისა, როგორ შეუძლია ხელოვანს თავისი საუკეთესო ძალები მოახმაროს თვით ისეთ საქმესაც კი, რომლისაც გულის სიღრმეში უკვე აღარა სჯერა, და დაჟინებით ცდილობდეს ხელოვნების იმ საშუალებებით გამოიჩინოს თავი, რომლებიც, მისი აზრით, თითქმის უკვე დრომოჭმულნი არიან. „ეს ნასწავლი მკურნალობა გახლავს ფესვებისა, — უთქვამს ჩემთვის, — სტრეპტოკოკების მოზღვავენას მე რას ავუვალ“. მისი ყოველი სიტყვა იმას მონმობდა, რომ „ხმოვანი ფერწერის“, „მუსიკალური სურათის“ ჟანრი მკვდრად მიაჩნდა. ხოლო თუ ყველაფერს ბოლომდე ვიტყვით, კოლორისტული გაორკესტრების ამ თავისი თავის რწმენას მოკლებულ შედეგში იდუმალად პაროდის ნიშანწყალი და საერთოდ ხელოვნებასთან ის კრიტიკულ-ირონიული დამოკიდებულება გამოსჭვივის, რაც ლევერკიუნის გვიანდელ შემოქმედებაში ესოდენ ხშირად და შემაძრწუნებლად გენიალურ ყაიდაზე იჩენს თავს. ბევრს ეს ამბავი სიცოცხლის მომგვრელად, გულმიუსავლად და აღმაშფოთებლადაც კი მიაჩნდა, მათ შორის საკმაოდ კარგ, თუმცა არც-თუ საუკეთესო შემფასებელთაც. მთლად ზედაპირულად

განმჩინებელნი კი მას მხოლოდ და მხოლოდ გონებამახვილურსა და თავშესაქცევს უწოდებდნენ. ნამდვილად კი პაროდიული სანყისი აქ გახლდათ ამაყი განდგომა უნაყოფობისაგან, რითაც დიად ნიჭს ემუქრება სკეპტიციზმი და სულიერი კდემამოსილება, აგრეთვე იმის წვდომა, თუ რაოდენ მომაკვდინებლად უკიდევანოა ბანალურობის არე. იმედია, სწორად გამოვხატე, რისი თქმაც მსურდა. თანაბრად დიდია ხოლმე ჩემი დაეჭვებაცა და პასუხისმგებლობის გრძნობაც, როდესაც ვცდილობ სიტყვიერ გარსში მოვაქციო აზრები, რომლებიც თავდაპირველად მე არ მეკუთვნოდა და მხოლოდ ადრიანთან მეგობრობამ ჩამავგონა. მიამიტობის ნაკლებობაზე არ მსურს ვილაპარაკო, ვინაიდან საბოლოო ჯამში მიამიტობა მყოფობას უდევს საფუძვლად, ყოველგვარ მყოფობას, თვით ყველაზე შეგნებულსა და რთულსაც კი. თითქმის გადაულახავი კონფლიქტი თვითმყობადი გენიის შემაბრკოლებელ და ქმედით ძალთა შორის, უმანკობასა და ვნებას შორის – ეს არის სწორედ მიამიტობა, რომლითაც საზრდოობს ამგვარი ხელოვანი, ნიადაგი, რომელზეც იზრდება მისი ძალზე თავისებური და რთული შემოქმედება, ხოლო არაცნობიერი მისწრაფება, „ნიჭს“, შემოქმედებით იმპულსს აუცილებელი მცირეოდენი უპირატესობა მაინც მოუშოვოს დამაბრკოლებელ ძალებთან შედარებით, როგორცაა დაცინვა, ქედმაღლობა, ინტელექტუალური მორცხვობა, – ეს ინსტინქტური მისწრაფება, რასაკვირველია, უკვე ჩნდება და გადამწყვეტიც ხდება იმ დროისათვის, როდესაც ხალასი პროფესიული მოსამზადებელი ვარჯიში თანდათანობით პირველ საკუთარ, თუმცა თავის მხრივ აგრეთვე მოსამზადებელსა და დროებით შემოქმედებით ცდებს უკავშირდება.

XIX

მაშინდელ ამბებზე ვლაპარაკობ და თან შეძრწუნებული ვარ, გული მეკუმშება, რადგან ახლა ის საბედისწერო ფათერაკი უნდა გაიმბოთ, რომელიც დაახლოებით ერთი წლის შემდეგ შეემთხვა ჩემს მიერ ნაუმბურგში ადრიანის ზემოთ მოტანილი წერილის მიღებიდან, ანუ ერთ წელზე ცოტათი მეტი ხნის შემდეგ მისი ლაიპციგში ჩასვლისა და ქალაქის პირველი დათვალიერებიდან, რასაც მე ხსენებულ წერილში მატყობინებდა, – მაშასადამე, ოდნავ ადრე, ვიდრე ჯარიდან დამითხოვდნენ და კვლავ შევხვდებოდი კარგა ხნის

უნახავს, რომელიც გარეგნულად ნაკლებად შეცვლილი მეჩვენა, თუმცა ნამდვილად კი უკვე მაშინაც იყო დალდასმული – ბედისწერის მსახვრალი ისრით დაკოდილი. ლამის აპოლონსა და მუზებს მოვუხმო, რომ იმ ამბების მოყოლისას უწმინდესი, უსათუთესი სიტყვები მომმადლონ: ფაქიზი მკითხველის დასანდობად, ჩემი განსვენებული მეგობრის ხსოვნის დასანდობად და, ბოლოს, ჩემი თავის დასანდობადაც, ვინც ამის მოთხრობას მძიმე პირადი აღიარების დარად განვიცდი. მაგრამ მიმართულება, საითკენაც მივყავართ ამ მოწოდებას, საცნაურსა ხდის ჩემთვის, რარიგად ეწინააღმდეგება ჩემი სულიერი წყობა მოსაყოლი ამბის კოლორიტს, მის ტონალობას, რომელიც კლასიკური ხანის სინათლისა და პლასტიკურობისათვის სრულიად უცხო, სულ სხვა ტრადიციული შრეებიდან მომდინარეობს. დავიწყე თუ არა წერა, მე ხომ მაშინვე ეჭვი გამოვთქვი: გამოვდგებოდი კია ჩემს მიერ დასახული ამოცანისათვის, და აქ აღარ გავიმეორებ იმ მოსაზრებებს, რაც მაშინ ამგვარი ეჭვის გასაქარწყლებლად გამოვთქვი. ისიც კმარა, რომ მათ ვეყრდნობი, ისინი ძალას მმატებენ და მსურს ჩემი წამოწყების ერთგული დავრჩე.

მე ვთქვი, რომ აღრიანი დაბრუნდა იქ, სადაც თავზედმა ბარგის დამტარებელმა მოტყუებით მიიყვანა. ახლა კი ვხედავთ, რომ ეს აგრერიგად მალე არ მომხდარა: მთელი წელიწადი ეურჩებოდა ამაყი სულის პატრონი მიღებულ ქრილობას, და მე მუდამ იმით მაინც ვინუგეშებდი თავს, რომ მართალია, ქედი მოიხარა შიშველი ინსტინქტის წინაშე, რომელმაც მუხანათურად დარია ხელი, მაგრამ ეს მარცხი ასე თუ ისე შემკული იყო გამაკეთილშობილებელი ადამიანურობის საბურვლით. კერძოდ, ერთ-ერთ ასეთ შემამკობელ ფაქტორად მიმაჩნია გულის წადილის ყოველგვარი, თუნდაც ესოდენ მოუქნელი ფიქსირებაც კი ერთ გარკვეულ, განცალკევებულ მიზანზე და მას ვხედავ არჩევანში, დაე თუნდაც იგი ნებაყოფლობით არ მომხდარიყოს და თავად საწადელ ქმნილებას თავს მოეხვიოს გამომწვევი საქციელით. უმაღლვე ტრფობის განმწმენდი ნიშატი იგრძობა, როგორც კი ინსტინქტი ადამიანურ სახეს იძენს, თუნდაც ეს სახე ყოვლად ანონიმური და ამაზრზენიც იყოს. ჰოდა, აქ უნდა ითქვას, რომ აღრიანი იქ მარტო ერთადერთი ასულის გამო დაბრუნდა: იმის გულისთვის, ვისი შეხებისგანაც ლოყა ეწვოდა. ბოლეროში გამონწყობილი და მოდილოპირიანი შავგვრემანი „ასულის“ გულისათვის, რომელიც როიალთან აეტუზა გვერდით და რომელსაც „ესმერალდა“ უწოდა; სწორედ მას ეძებდა იქ – და ვერ კი იპოვა.

ვნების ერთ ასულზე ფიქსირებამ, შემდგომ ესოდენ სავალალომ, ამჯერად იმდენი ქნა, რომ აღრიანმა აქ მეორე, ნებაყოფლობით სტუმრობის შემდეგაც ისეთივემ დატოვა ეს სახლი, როგორმაც პირველი, არცთუ ნებაყოფლობითი ვიზიტის შემდეგ, ოღონდ იმ ქალის ადგილსამყოფელი კი შეიტყო, ვინც მას შეეხო. ამანვე განაპირობა აგრეთვე ისიც, რომ ჩემმა მეგობარმა საქმიანი საბაზით საკმაოდ შორეული მოგზაურობა მოაწყო სასურველ დიაცთან შესახვედრად. გრაცში, შტირიის დედაქალაქში, 1905 წლის მაისში „სალომეს“ ავსტრიული ვარიანტის პრემიერა შედგა, კომპოზიტორის უშუალო ხელმძღვანელობით. ეს ოპერა სულ პირველად დრეზდენში დაიდგა ორიოდე თვით ადრე და მასზე დასასწრებად აღრიანი კრეჩმართან ერთად ეწვია იმ ქალაქს, ხოლო ახლა თავის მასწავლებელსა და მეგობრებს განუცხადა: მინდა ხელსაყრელი შემთხვევით ვისარგებლო და ერთხელ კიდევ მოვისმინო ეს იღბლიანი რევოლუციური ნაწარმოები, რომლის ესთეტიკური მხარე სულაც არ მიზიდავს, მაგრამ მუსიკალური ტექნიკის თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, მაინტერესებს და განსაკუთრებით კი პროზაული დიალოგის მუსიკაზე გადატანითო. იგი მარტოდმარტო გაემგზავრა და ძნელია იმის მტკიცება, შეასრულა თუ არა განზრახვა, გრაციდან ჩავიდა ბრატისლავაში, ანდა, პირიქით, ბრატისლავიდან გრაცში, თუ გრაცში ვითომ იყო, ნამდვილად კი ბრატისლავაში ყოფნით შემოიფარგლა, უნგრულად პოჟონი რომ ეწოდება. იმ ქალს, ვის შენებასაც ლოყაზე დაღვივთ გრძნობდა, ერთ-ერთ იქაურ სახლში შეეფარებინა თავი, რადგან სტაციონარული მკურნალობა დასჭირვებოდა და ძველ ადგილას აღარ დაედგომებოდა. სწორედ ამ ახალ სამყოფელში მიაკვლია კიდევ ვნებით ატანილმა.

ვაი, რომ ხელი მიკანკალეხს, როდესაც ამას ვწერ, მაგრამ მაინც მინდა აუღელვებლად, დინჯად, მოზომილი სიტყვებით გაგიზიაროთ, რაც ვიცი, და თან ისევ და ისევ ვინუგეშო თავი იმაზე ფიქრით, რომ აქ ტრფიალის მსგავსი რაღაც იყო, რაღაც ისეთი, რაც ამ საუცხოო ჭაბუკის ურთიერთობას უბედურ არსებასთან სულიერი კავშირის არილსა სძენდა. ოღონდ ეს მანუგეშებელი აზრი განუყოფლად დაკავშირებული იყო მეორესთან, პირველისაგან უკიდურესი განსხვავებულობის გამო განსაკუთრებით საზარელ აზრთან, რომ სიყვარული მისთვის სამუდამო სამსალად იქცა, ტრფობისა და შხამის საშინელ მითოლოგიურ ერთიანობად, რასაც ი ს ა რ ი განასახიერებს.

ყველაფერი იმაზე მიუთითებს, რომ საბრალო მეძავის სულში რალაც გამოეხმაურა ჭაბუკის გრძნობებს. უეჭველია, გაახსენდა მაშინდელი წამიერი სტუმარი. მასთან მისვლა და შიშველი ხელის ლოყაზე მოთათუნება ალბათ მდაბიური სინაზით გამოხატავდა ამ ქალის მგრძნობელობას ყოველივე იმის მიმართ, რაც სტუმარს ჩვეულებრივ კლიენტთაგან განასხვავებდა. მან ადრიანისაგან შეიტყო აგრეთვე, რომ ვაჟი მის გულისთვის იყო იქ ჩასული – და მადლიერმა გააფრთხილა: ჩემი სხეული სიავეს გიქადისო. ადრიანისგან ვიცი: ქალმა გააფრთხილა, და განა აქ სასიკეთო განსხვავება არ გამოსჭვივის გაუბედურებული არსების მალალ ადამიანურობასა და მოხმარების საგნად გადაქცეულ, ფინის მოსაკლავ საქონლად გადაქცეულ მის სხეულს შორის? უბედურმა ქალმა გააფრთხილა წადილს აყოლილი, რაც საკუთარ შესაბრალის ფიზიკურ არსებობაზე თავისუფალი სულიერი ამბლებს აქტს წარმოადგენდა, იმ არსებობისაგან ადამიანური განდგომის აქტს, გულის ამაჩუყებელ აქტს, აქტს – შემინდეთ ეს სიტყვა – სიყვარულისა. ან კიდევ, ღმერთო მოწყალეო, მაშ სხვა რა იყო, თუ სიყვარული არა, რა გრძნება, რა მკრეხელური თავგანწირვა, რა მისწრაფება ცოდვასთან სასჯელის შერწყმისა და, ბოლოს, დემონური ჩასახვისა და საკუთარი ბუნების თუნდაც მომაკვდინებელი, მაგრამ გამააზატებელი გზით ქიმიურად გარდაქმნის რა უიდუმალესმა წყურვილმა აიძულა ჭაბუკი, რომელიც ქალმა გააფრთხილა, აინუნშიც არ ჩაეგდო გაფრთხილება და მისი სხეულის დაუფლება დაეჩემებინა?

რელიგიური თრთოლის გარეშე ვერ წარმოვიდგენ ხოლმე მათ ხვევნა-კოცნას, რომელსაც ერთმა სიმრთელე ანაცვალა, მეორემ კი იგი მოიპოვა. როგორც განწმენდა, ბედის გაღიმება და აღზვევა, ისე უნდა აღექვა საბრალო ქალს, რომ შორიდან მომხდურს, საფრთხის მიუხედავად, არ სურდა უარი ეთქვა მის ალერსზე, და ალბათ მთელი თავისი ქალური სიტკბოება გამოავლინა, რათა ვაჟისთვის აენაზლაურებინა, რასაც ის ქალის გულისთვის საფრთხეში აგდებდა: საბედისწერო ამბავი იყო და იმ ქალს რალა დაავინყებდა, მაგრამ არც თვითონ არ ივინყებდა იმას, ვინც აღარასოდეს აღარ უნახავს, და მისი სახელი – ის, რომელიც თვითონ შეარქვა იმთავითვე – რუნებივით ხან სად გამოკრთება და ხან სად მის ნანარმოებებში, ოლონდ, ჩემს გარდა, ვერავინ აღიქვამს. დაე პატივმოყვარეობაში ჩამითვალონ, მაგრამ არ შემიძლია აქვე არ მოვიხსენიო ჩემი აღმოჩენა, რომელიც მან ერთხელ მდუმარედ დამიდასტურა. ლევერკიუნი არც პირველი

კომპოზიციური ყოფილა და არც უკანასკნელი იქნება, ვისაც თავის ნაწარმოებებში საიდუმლო ფორმულებისა და ქარაგმების ჩაქსოვა უყვარდა. ეს კი ასოების სიმბოლიკასა და რიცხვთა მისტიკაზე დაყრდნობით ცრუმორწმუნეობრივ სტრუქტურათა აგებისაკენ მუსიკის თანდაყოლილ მიდრეკილებას საცნაურს ჰყოფს. ჩემი მეგობრის ჰანგებში თვალში საცემად ხშირად გვხვდება ხუთი ან ექვსი თავითი ნოტის თანმიმდევრობა, რომელიც იწყება h-ით და მთავრდება es-ით, ხოლო მათ შორის e და a მონაცვლეობენ – თავისებური კაეშნით შეფერილი მელოდიური საფუძველი, რაც მრავალნაირი ჰარმონიული და რიტმული სამოსელით შეიძლება იყოს მორთული, ხან ერთ ხმას ეკუთვნოდეს, ხან მეორეს, ხშირად შეიძლება პირუკუ თანმიმდევრობითაც შეგვხვდეს, თითქოსდა საკუთარი ღერძის ირგვლივ შებრუნებული, ისე, რომ უცვლელად დარჩენილ ინტერვალებში ბგერათა თანმიმდევრობა იყოს შეცვლილი. პირველად იგი გამოჩნდა ბრენტანოს ტექსტებზე ჯერ კიდევ ლაიპციგში შეთხზული ცამეტი სიმღერიდან ალბათ უმშვენიერესში, გულის გამგმირავ სიმღერაში: „ო, რა ავი ხარ, ტურფავ“, რომელსაც მთლიანად ეს ჰანგი მსჭვალავს, შემდეგ – გვიანდელ ნაწარმოებში, პფაიფერინგში შექმნილ „დოქტორ ფაუსტუსის გოდებაში“, შიგ სითამამე და სასონ-არკვეთილება ასე განუმეორებლად რომ არის შერწყმული და კიდევ უფრო საცნაური ხდება მელოდიური ინტერვალებისათვის ერთიანობის მინიჭებისაკენ სწრაფვა.

მნიშვნელობით კი, ეს ხმოვანი შიფრი heae es ნიშნავს: *Hetaera esmeralda*.

ლაიპციგში დაბრუნებულმა ადრიანმა ნასიამოვნები სახით შეაქო საუცხოო ოპერა, რომელიც ვითომდა მოისმინა, ან შეიძლება მართლაც მოისმინა. ახლაც ყურში ჩამესმის, რაც მის ავტორზე თქვა: „რა ნიჭიერი ვინმეა! ქუდბედიანი რევოლუციონერია, კადნიერიცა და დამყოლიც ერთსა და იმავე დროს. ნოვატორობა და წარმატებაში გულდაჯერებულობა მასთან მუდამ ჯუფთად არიან. ჯერ აფრონტები და დისონანსები უხვად, მერე კი კეთილგონივრული შემობრუნება, ფილისტერის შემოსარიგებლად და მისთვის განსამართავად, რომ არცთუ ისე საშინელი რამ იყო ჩაფიქრებული... მაგრამ ნოვატორობა კია, მარჯვე ნოვატორობა“... ხუთი კვირა გავიდა მას შემდეგ, რაც მუსიკასა და ფილოსოფიაში მეცადინეობა განაახლა, რომ სატიკივარმა ლოკალურად შეანუხა და აიძულა ექიმისთვის

მიემართა. სპეციალისტი, ვისაც ის ეწვია – ადრიანმა მას ქალაქის მისამართების წიგნით მიაგნო – დოქტორი ერაზმი სახენამოჭ-არხლებული და შაენვერა სქელუა გამოდგა; დახრა აშკარად უჭირდა, მაგრამ ისედაც, როცა წელში გამართული იდგა, ჰაერს ნამდაუნუმ ფრუტუნით უშვებდა გარეთ გადმობრუნებული ტუჩებიდან. ეს ჩვეულება ალბათ მის ავადმყოფურ სისრულესაც მიენერებოდა, მაგრამ ამასთანავე დაუდევარ გულგრილობასაც გამოხატავდა, როდესაც რაიმე მოჰაბეზრებელ ამბავს – ეჰ, არაფერიაო! – თავიდან იშორებენ ან ლამობენ თავიდან მოიშორონ. ერთი სიტყვით, ექიმი გასინჯვისას გაუთავებლად ქშინავდა და მერე, თითქოს ამ თავის ქშენით გამოწვეული შთაბეჭდილება სურს გააქარწყლოსო, განაცხადა: საფუძვლიანი და საკმაოდ ხანგრძლივი მკურნალობაა საჭიროო, და დაუყოვნებლივ შეუდგა კიდეც პროცედურებს. სამი დღე ზედიზედ დადიოდა ადრიანი მასთან, შემდეგ ერაზმომ სამდღიანივე შესვენება დაუნიშნა და მეოთხე დღისთვის დაიბარა, მაგრამ როდესაც პაციენტი, რომელსაც სატკივარი მაინცდამაინც არ ალონებდა, რადგან ჯანმრთელობის საერთო მდგომარეობა არ შელახოდა, დანიშნულ დროს, ნაშუადღევს ოთხ საათზე, ექიმთან გამოცხადდა, სრულიად მოულოდნელი და საშინელი რამ დახვდა.

სხვა დროს თუ ქალაქის ძველი რაიონის საკმაოდ პირქუშ სახლში ციცაბო კიბეებით მეოთხე სართულზე ასული ბინის კარზე ზარს დარეკავდა და მოსამსახურე გოგო გაუღებდა ხოლმე, ამჯერად კარი ყურთამდე გაღებული დახვდა, აგრეთვე ყველა შიდა კარიც: მოსაცდელი ოთახის, მის შიგნით კიდეც – კაბინეტისა და, ასე გასინჯეთ, სასტუმრო ოთახისაც, ორფანჯრიანი „პალატისაც“. ეს ორი ფანჯარაც ყურთამდე იყო ღია და გამჭოლი ქარისაგან ოთხივე ფარდა იბერებოდა, მაღლა იწევდა და ხან ოთახში შემოფრიალდებოდა, ხან ისევე ფანჯრის ნიშებს უბრუნდებოდა. სასტუმრო ოთახის შუაგულში კი დოქტორი ერაზმი იწვა, წვერი მაღლა აეშვირა და თვალები დაეხუჭა, თეთრი გახამებული პერანგის ამარა ესვენა ფუნჯებიან ბალიშზე, ორ ხირზე მდგარ ღია კუბოში.

როგორ მოხდა ეს ამბავი, რატომ იწვა მიცვალებული ორპირ ქარში ასე მარტოდმარტო, სად იყო მოახლე, სად იყო დოქტორი ერაზმის მეუღლე? იქნებ დამკრძალავი ბიუროს მუშაკნი, მაინც იყვნენ ბინაში, რომ ხუფი მიეხრახნათ კუბოსთვის, ან იქნებ ისინიც ერთი წამით გავიდნენ გარეთ? გარემოებათა რა უცნაურ თანხვედრას შეესწრო მოსული – სამუდამოდ გაურკვეველი დარჩა. როცა ლაიპცი-

გში ჩავედი, ადრიანმა მარტო იმის აღწერა და შექმნა, რა გაოგნებული ეშვებოდა ამ სანახაობის შემდეგ მეოთხე სართულიდან. ეტყობა, არ აინტერესებდა და დოქტორის ანაზღაურების სიკვდილის შესახებ შემდეგ აღარაფერი არ გაუკითხავს. მხოლოდ დასძინა, სულ ერთავად რომ ქშინავდა, ეს, რა თქმა უნდა, კარგს არაფერს არ მოასწავებდაო.

გული მეთანაღრება, რაღაც უგუნური ძრწოლა მიპყრობს და ვერ დამიძლევია, მაგრამ მაინც უნდა მოგახსენოთ, რომ მისი არჩევანი მეორეჯერაც უიღბლო გამოდგა. ორი დღე დასჭირდა განცდილი შოკისგან სულის მოსათქმელად. შემდეგ კვლავ ლაიპციგის მისამართების წიგნში ამოიკითხა და ვინმე დოქტორ ციმბალისტს მიმართა სამკურნალოდ; იგი ერთ-ერთ სავაჭრო ქუჩაზე ცხოვრობდა, რომლებიც ბაზრის მოედანს უერთდებიან. სახლში დაბლა რესტორანი იყო, მის თავზე როიალების სანყოფი, ხოლო მესამე სართულის ნაწილი ექიმის ბინას ეჭირა, რაზეც თვალსაჩინოდ მიუთითებდა დაბლა სადარბაზო კარის გვერდით გაკრული ფაიფურის დაფა. დერმატოლოგის ორივე მისაღები ოთახი, — ერთ-ერთი მათგანი მდედრობითი სქესის პაციენტებისათვის განკუთვნილი, — მორთული იყო ქოთნებში ჩარგული ყვავილებით, ოთახის „ცაცხვებითა“ და პალმებით. სამედიცინო ყურნალები და თავშესაქცევი წიგნები, მაგალითად, ზნეობის ისტორია, ელაგა მაგიდაზე იმ ოთახში, სადაც ადრიანი ერთხელ და შემდეგ კიდევ განმეორებით ელოდა მიღებას.

დოქტორი ციმბალისტი პატარა ტანის კაცი გამოდგა, რქის სათვალისანი, ნითური, თმა შუბლიდან მოყოლებული კეფამდე ოვალურად გამელოტებოდა, და პატარა უღვაშები, როგორც მამინ ზედა ფენებში იყო მოდაში, ხოლო შემდგომ ერთი მსოფლიო-ისტორიული ნიღბის ატრიბუტად იქცა, მარტო ცხვირის ნესტოებქვეშ ჰქონდა დაყენებული. ლაპარაკი დაურიდებელი იცოდა, სათქმელს უხეში ოხუნჯობითა და კალამბურებით ამკობდა. მარცხის აღნიშვნისას „რა ჭირში ჩავარდას“ ნაცვლად შეეძლო ეთქვა: „რა ჭაში ჩავარდაო“. ისე კი მაინცდამაინც არ ეტყობოდა, რომ თვითონ საუცხოოდ ჰქონდა საქმე. ცალი ლოყა ნერვულად უთამაშებდა, რასაც პირის კუნჭულიც ასდევდა და ქუთუთოც იმნაირად ეხუჭებოდა, თითქოს თვალს უკრავდა ვინმეს. სარკასტული და მყავე გამომეტყველება ჰქონდა, თითქოს ყველაფრის მიმართ უკეთურად იყო განწყობილი, თითქოს შეჩქვიფებული და გაოგნებული იყო. ასე ამინერა ადრიანმა და მეც ამნაირად წარმომიდგენია ახლა.

მოხდენით კი, აი რა მოხდა. ადრიანმა ორჯერ გაიარა მეორე ექიმთან სამკურნალო პროცედურა და მესამეჯერაც მივიდა, მაგრამ კიბეზე ასვლისას, მეორე და მესამე სართულს შუა, იმას გადააწყდა, ვისაც უნდა სწვეოდა. ექიმი ორ ზორბა კაცს შუაში ჩაეყენებინათ და ისე ჩამოდიოდა დაბლა. მხლებლებს შლაპები კეფაზე მოქცეოდათ, დოქტორ ციმბალისტს თვალები იმ კაცივით დაეხარა, რომელიც კიბეზე ჩასვლისას ფრთხილობს, ფეხი არ დამიცდესო. მისი მაჯა სამაჯურითა და ძენკვით ერთ-ერთ მხლებელს თავის მაჯაზე მიება: პაციენტის დანახვაზე ექიმს ლოყა უფმურად შეუთამაშდა, თავი დაუკრა და უთხრა: სხვა დროსო! ადრიანი იძულებული იყო ზურგით კედელს აკვროდა, რათა ქვემოთ მიმავალთათვის გზა დაეთმო, შეცბუნებულმა გაატარა ისინი, ერთხანს თვალიც გააყოლა და მერე თვითონაც დაბლა დაეშვა კიბეზე. სადარბაზოდან გამოსულმა დაინახა, როგორ ჩასხდნენ კარეტაში, რომელიც გარეთ ელოდებოდათ და მაშინვე გაემგზავრნენ.

ასე დამთავრდა ადრიანის მკურნალობა დოქტორ ციმბალისტთან, რომელთანაც პირველ ექიმთან ხელის მოცარვის შემდეგ დაიწყო სიარული. აქ უნდა შევნიშნო, რომ ამ მეორე მარცხის მიზეზი ისევე ნაკლებად აინტერესებდა, როგორც პირველის თანმხლები უცნობი გარემოებანი. რატომ წაიყვანეს დოქტორი ციმბალისტი და ისიც მაინცდამაინც იმ დროს, როდესაც ადრიანი ჰყავდა დაბარებული, — ამაზე თავის მტვრევა ადრიანს არ დაუნყია. ოღონდ, თითქოს შეეშინდაო, მკურნალობა აღარ განუახლებია, მესამე ექიმისთვის აღარ მიუმართავს. შეიძლება იმიტომაც, რომ მოკლე ხანში ექიმის ჩაურევლადაც გაუარა იმან, რაც ლოკალურად ანუხებდა, სულ გაუქრა და მიუხედავად იმისა, რომ ვიცი: სპეციალისტები დაეჭვდებიან, გარნმუნებთ, რაიმე მეორადი სიმპტომების ნასახიც კი აღარ შეინიშნებოდა. ერთხელ ადრიანს ვენდელ კრეჩმარის ბინაში, როდესაც მაესტროს თავის მუსიკალურ კომპოზიციას აჩვენებდა, ისე მაგრად დაეხვა თავბრუ, რომ შეტორტმანდა და იძულებული გახდა წამოწოლილიყო. ეს შეტევა შემდეგ ორდღიან შაკიკში გადაიზარდა, რომელიც მისთვის ჩვეული თავის ტკივილისაგან სიძლიერით თუ განსხვავდებოდა. როცა სამოქალაქო ცხოვრებას დავუბრუნდი და ლაიპციგში ჩავედი, ჩემი მეგობარი ნირუცველი დამხვდა.

თუ იქნებ არც დამხვდა ნირუცვლელი? თუ ის ჩვენი განშორების ერთი წლის მანძილზე სხვა ადამიანი არ გახდა, ასე ვთქვათ, პირნი-ნდად თავის თავად მაინც იქცა და ჩემზე შთაბეჭდილების მოსახდენად ესეც კმაროდა, მით უფრო, რომ ცოტა არ იყოს, დამვიწყებოდა კიდევ, როგორი იყო. ჰალეში რომ ერთმანეთს ცივად დავემშვიდობეთ, უკვე მოვყვეი. ჩვენი შეხვედრაც, რასაც მე უსაზღვრო სიხარულით მოველოდი, ამ მხრივ არაფრით არ ჩამოუვარდებოდა განშორებას. ასე რომ, მე, საქციელწამხდარი, ერთსა და იმავე დროს გახარებულიცა და დალონებულიც, იძულებული ვიყავი გულში ჩამეკლა მოზღვავებული გრძნობები. სადგურზე დახვედრას მისგან არ მოველოდი და ჩემი ჩამოსვლის საათი ზუსტად არც შემიტყობინებია. მე თავად ვენვიე, უბრალოდ, ჯერ ჩემს სამყოფელზეც არ მეზრუნა. დიასახლისმა მოახსენა ჩემი მისვლა და მეც შევედი მასთან, თან მხიარულად დაეუძახე სახელი.

სანერ მაგიდას უჯდა, გადმოსანევ სახურავიან და პატარაკარადიან ძველებურ სეკრეტერს, და ნოტებსა წერდა.

— სალამი, — მითხრა მან, ისე რომ თავი არ აუღია, — ახლავე ვისაუბრებთ.

და კიდევ რამდენიმე წუთს განაგრძობდა მუშაობას. მე კი მომანდო თვითონ გადამეწყვიტა, ფეხზე ვმდგარიყავი თუ დაჭმჯდარიყავი. ოღონდ არც ცუდად არ უნდა გაეუგოთ ეს ამბავი. ეს მხოლოდ იმას ადასტურებდა, რომ ჩვენი ხანგრძლივად ერთად ყოფნით ნაკურთხი შინაურული დამოკიდებულებისათვის ერთწლიან განშორებასაც არ შეიძლებოდა რაიმე დაეკლო. თითქოს გუშინ განვშორებულიყავით, ისე სადა უნდა ყოფილიყო ჩვენი შეხვედრა. მიუხედავად ამისა, მე მაინც ოდნავ გულგაცრუებული დავრჩი, თითქოს ცივი წყალი გადაასხესო, თუმცა ამასთანავე გახალისებულიც ვიყავი: ჩვენ ხომ მუდამ გვახალისებს ის, რაც დამახასიათებელია. უკვე კარგა ხანია ვიჯექი ნოხისებური ქსოვილით მოფარდაგებულ ერთ-ერთ იმ უსახელურო სავარძელთაგანზე, რომლებიც ნიგნების მაგიდის ორივე მხარეს იდგა, როცა მუდმივ კალმისტარს თავი მიახრახნა და ჩემთან მოვიდა, ისე რომ ხეირიანად არც შემოუხედავს.

— სწორედ დროზე მოხვედი, — მითხრა მან და მაგიდის მეორე მხარეს დაჯდა, — დღეს სალამოს შაფგოშის კვარტეტი 123-ე ოპუსს ასრულებს. რა თქმა უნდა, ნამოხვალ?

მე მივხვდი, ბეთჰოვენის გვიანდელ ნაწარმოებს ლა-მინორ სიმე-
ბიან კვარტეტს გულისხმობდა.

— რახან აქა ვარ, — მივუგე მე, — წამოვალ. ამდენი ხნის შემდეგ
სიამოვნებით მოვისმენ ლიდიურ კილოს, „განკურნებულის
სამადლობლო სიმღერას“.

— ამ თასიდან ვსვამ ყველა ნადიმზე და თვალი ცრემლებით მევსება! —
წარმოთქვა მან და დაიწყო მსჯელობა საეკლესიო კილოებსა და
„ბუნებრივი“ პტოლომესეული მუსიკალური სისტემის შესახებ, რომლის
ექვსი სხვადასხვა კილო ტემპერირებით, ესე იგი არასწორი წყობით
ორზეა დაყვანილი, მაჟორსა და მინორზე. აგრეთვე — სწორი წყობის
მოდულაციურ უპირატესობაზე ტემპერირებულთან შედარებით. ამ უკა-
ნასკნელს მან შინ გამოსაადეგი კომპრომისი უწოდა, ისევე როგორც
ტემპერირებული კლავირია შინ გამოსაადეგიო — დროებითი საზავო
ხელშეკრულებაა, რომელიც ასორმოცდაათი წელიც კი არ არის, რაც
ძალაშია და ბევრი საგრძნობი რამ მოგვიტანა, თუმცა არა, მხოლოდ საგ-
რძნობი კი არა, არამედ ძალიან არსებითიც, მაგრამ მაინც არ უნდა გვეგ-
ონოს, თითქოს ეს ხელშეკრულება სამარადისოა. მერე დიდად მოიწონა
ის ფაქტი, რომ სწორედ ასტრონომმა და მათემატიკოსმა კლავდიოს
პტოლომემ, ზემოეგვიპტეში დაბადებულმა და ალექსანდრიის მკვიდრ-
მა, შეადგინა დღემდე ცნობილ გამათაგან საუკეთესო, ბუნებრივი ანუ
სწორი გამა. ეს ხელახლა ამტკიცებს მუსიკისა და ასტრონომიის ნათეს-
აობას, რაც პითაგორას ჰარმონიული კოსმოლოგიით უკვე დადგენილი
იყო. შიგადაშიგ ის ისევ უბრუნდებოდა ხსენებულ კვარტეტს და მის
მესამე ნაწილს, ძალზე თავისებურს, მთვარის შუქით განათებული
პეიზაჟის მსგავსს და წესასრულებლად უჩვეულოდ ძნელს.

— არსებითად, — თქვა მან, — ოთხიდან თითოეული პაგანინი უნდა
იყოს და თანაც მარტო თავისი პარტია კი არ უნდა იცოდეს, არამედ
დანარჩენი სამისაც, თორემ ისე არაფერი არ გამოვა. მადლობა
ღმერთს, შაფგოშელთა იმედი შეიძლება ჰქონდეს კაცს. დღესდღეო-
ბით ძალუძთ ასეთი რამ დაუკრან, მაგრამ ეს უკვე ადამიანის საშე-
მსრულებლო ხელოვნების ზღვარია და ბეთჰოვენის დროს ამ ნაწარ-
მოებს ვერც ასრულებდნენ. აღმამფრენი ხელოვანის უმოწყალო
გულგრილობა მინიერი ტექნიკის მიმართ, მე აქ ძალზე თავშესაქცევ
ამბად მესახება: — თქვენს წყეულ ვიოლინოსთან მე რა მესაქმება! —
უთხრა თურმე ვილაცას, ვინც ამის გამო დაიჩივლა.

ორივეს გაგვეცინა — უცნაური იყო ოლონდ ის, რომ ერთმანეთი
ასეც არ მოვიკითხეთ.

– სხვათა შორის, – მითხრა მან, – ამ ნაწარმოებს მეოთხე ნაწილიცა აქვს, უბადლო ფინალი, მარშისებური მოკლე ინტროდუქციითა და პირველი ვიოლინოს იმ ამაყი რეჩიტატივით, რითაც, უკეთესად რომ არ შეიძლება, ისე მზადდება თემა. სანწყენია მხოლოდ – თუ მაინცდამაინც არ გინდა გასახარელი უნოდო ამ ამბავს – რომ მუსიკაში – ყოველ შემთხვევაში ამ მუსიკაში ისეთი რამეებია, რასაც ენის წიაღში, ძალიანაც რომ მოინდომო, ჭეშმარიტად დამახასიათებელ ეპითეტს ან ეპითეტების კომბინაციას ვერ მოუძებნი, ბევრი ვენჯალე ეს დღეები, მაგრამ მაინც ვერ მივაგენი ამ თემის სულის, წყობის, მოძრაობის ადეკვატურ დასახელებას. მოძრაობისა იმიტომ, რომ შიგ მართლაც ბევრი მოძრაობაა. ტრაგიკულად თამამი? მედგარი? ძალუმი? პათეტიკურად ამალღებული? არც ერთი არ ვარგა. ხოლო უბრალოდ დიდებულის თქმა, რასაკვირველია, ბანალური კაპიტულაცია იქნებოდა.

კვერი დაუუკარი, მაგრამ დავსძინე, იქნებ სალამოს მაინც რამე მოგვივიდეს თავში-მეთქი.

– უნდა კრეჩმარი ინახულო დროზე, – გაახსენდა მას, – სად ცხოვრობ?

დღეს რომელიმე სასტუმროში დავიქირავებ ნომერს და ხვალ კიდევ რაიმე შესაფერისი მინდა მოვძებნო-მეთქი.

– გასაგებია, – მითხრა მან, – მე რომ არ დამავალე, ბინა შემერჩია. ასეთ რამეს სხვას ვერ მიანდობ კაცი, – და შემდეგ დაუმატა: – შენს შესახებ უკვე ვუამბე და, რომ ჩამოდიხარ, ისიც ვუთხარი კაფე „ცენტრალის“ ხალხს. უნდა მალე გაგაცნო ისინი.

კაფე „ცენტრალის“ „ხალხში“ ახალგაზრდა ინტელექტუალთა წრეს გულისხმობდა, რომელიც კრეჩმარის მეშვეობით გაიცნო. დარწმუნებული ვიყავი, მათთანაც დაახლოებით ისეთივე დამოკიდებულებაში იყო, როგორშიც ვინფრიდებუტან ჰალეში, და მართლაც, როცა ვუთხარი, სასიხარულოა, რომ ასე სწრაფად და მარჯვედ დაუახლოვდი შენი ჭკუის ხალხს ლაიპციგში-მეთქი, შემესიტყვა:

– დაუუახლოვდი კი არა... – და შემდეგ დაუმატა: – შილდკნაპს, პოეტს და მთარგმნელს კიდევ არა უშავს რა. მაგრამ ჩვეულებად აქვს ერთგვარი, არცთუ ქედმაღლური თავმოყვარეობის გამო ყოველთვის ხელიდან გამოეცალოს ყველას, ვისაც კი შენიშნავს, რომ რაღაც სურთ მისგან, რომ სჭირდებათ და უნდა დაასაქმონ. ამ ადამიანს დამოუკიდებლობის ძალზე ძლიერი და, შესაძლოა, ოდნავ ავადმყოფური

შეგრძნება აქვს. ისე კი, სიმპათიურია, კაცს გართობს და, სხვათა შორის, ისე ხელმოკლეა, რომ თავი ძლივს გააქვს.

თუ რა სურდა შილდენაპისაგან, რომელიც, როგორც მთარგმნელი, ინგლისურ ენასთან გაშინაურებული იყო და, საერთოდ, ყოველივე ინგლისურის მხურვალე თაყვანისმცემელი გახლდათ, შემდგომი საუბრებიდან გამოირკვა იმავე სალამოს. მე შევიტყვე: რომ ადრიანი ოპერის სიუჟეტს ეძებდა და რომ უკვე მაშინ, წლებით ადრე, ვიდრე ამ ამოცანის გადაწყვეტას სერიოზულად მოჰკიდებდა ხელს, „Love's Labour's Lost“^{**}-ი ჰქონდა შეგულებული. მუსიკაში გათვითცნობიერებული შილდენაპისაგან ის ტექსტის არანაყოფიერებას მოითხოვდა, მაგრამ პოეტს ამის გაგონებაც არ სურდა, ცალკერძ იმიტომ, რომ თავისი სამუშაო ჰქონდა და ცალკერძ იმიტომაც, რომ ადრიანი ჯერჯერობით ალბათ ვერ აუნახლავრებდა შრომას. შემდგომ მე გავუნე მეგობარს ეს სამსახური და ახლა: სიამოვნებით ვიგონებ პირველ წინასწარ საუბარს, რომელიც იმავე სალამოს გვექონდა ამ საკითხზე. მე შევატყვე, რომ სიტყვასთან შერწყმის, ვოკალურ პარტიათა მკვეთრი არტიკულაციის ტენდენცია ადრიანს სულ უფრო და უფრო ეძალებოდა: ახლა თითქმის მხოლოდ სიმღერების კომპოზიციით იყო გართული, მოკლე და შედარებით ვრცელ ტექსტებზე, ასე გასინჯეთ, ეპიკურ ფრაგმენტებზეც კი. მასალას იგი ესესხებოდა ხმელთაშუა ზღვის არეალის ერთ ანთოლოგიას, რომელიც გვარიანად იყო გერმანულად თარგმნილი და მეთორმეტე-მეცამეტე საუკუნეების პროვანსულსა და კატალონიურ ლირიკას შეიცავდა, აგრეთვე ესპანურ-პორტუგალიურ ლექსებსა და იტალიური პოეზიის ნიმუშებსაც, მათ შორის „Divina Commedia“-ს^{**} ვიზიონერულ მწვერვალებს. ისეთი იყო მაშინდელი მუსიკალური მოდა და ისე ახალგაზრდა გახლდათ თვითონ ადეპტიც, რომ მის შემოქმედებას თითქმის აუცილებლად უნდა დასტყობოდა და აქა-იქ ეტყობოდა კიდევ გუსტავ მალერის გავლენა. მაგრამ უკვე მაშინ უცხოდ და უჩვეულოდ, მკაცრად საკუთარ თავზე დაფუძნებულად აღიქვებოდა ის ხმოვანება, ის მანერა, ის ხედვა და თვითმყოფადი მელოდიურობა, რაზეც დღესდღეობით ამოიცნობენ ხოლმე „აპოკალიფსის“ გროტესკულ ხილვათა შემოქმედს.

^{*}„ამაო გარჯა სიყვარულისა“ (ინგლ.).

^{**}„ღვთაებრივი კომედიის“ (იტალ.).

ყველაზე მკაფიოდ ეს გამოვლინდა „Purgatorio“-სა და „Paradiso“-დან ამოღებულ სიმღერათა ციკლში, რომლებიც არჩეულია მათი მუსიკასთან მონათესაობის შემჩნევის უტყუარი ალლოთი. ასე, მაგალითად, პიესაში, ჩემზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება რომ მოახდინა და კრეჩმარმაც ძალიან კარგი უწოდა, სადაც პოეტი ხედავს, როგორ ტრიალებენ ვენერას შუქში უფრო პატარა მნათობები – ნეტართა სულები, – ერთნი უფრო სწრაფად, მეორენი უფრო ნელა, „იმისდა მიხედვით, ვინ როგორ განჭვრეტს ღმერთს“, და მათ ნაპერწკლებს ადარებს, ცეცხლის ალში რომ განირჩევიან, და ხ მ ე ბ ს , სიმღერაში რომ განირჩევიან, „როს ერთი ხმა მეორეს გადაეჭდობა ხოლმე“. გაოცებული და აღტაცებული დავრჩი, ისე იყო გადმოცემული ცეცხლში მოტკრციალე ნაპერწკლები, ერთმანეთს გადაჭდობილი ხმები. და მაინც არ ვიცოდი, ამ შუქში არსებული შუქისადმი მიძღვნილისათვის მიმეცა უპირატესობა, თუ განყენებული, უფრო გააზრებული, ვიდრე დანახული პიესებისათვის – იმათთვის, სადაც ყველაფერი უკუგდებული შეკითხვაა, ამოუცნობის ამოცნობისათვის ჭიდილია, სადაც „ჭეშმარიტების ფერხთით ეჭვს ამოუყრია ყლორტები“ და თვით ქერუბიმიც კი, ღვთაებრივ სიღრმეში რომ იმზირება, ვერ ჩასწვდომია საუკუნო გამოცანის უფსკრულს. ადრინამა ამ პიესებისათვის საშინლად მკაცრი ლექსების ციკლი აირჩია, სადაც უმანკოების, განუბრძნობლობის შეჩვენებაზეა ლაპარაკი და კითხვაა დასმული: რა გაუგებარი სამართლიანობაა, რომელიც ჯოჯოხეთს ანდობს კეთილთა და სპეტაკთ, ოღონდ მოუნათლავთ კი, სარწმუნოებას ვერ ზიარებულთ. მან აიძულა თავისი თავი მუსიკით გადმოეცა მგრგვინავი პასუხი, რომელიც შექმნილი სიკეთის უძღურებას იუნყება აბსოლუტური სიკეთის წინაშე, რაც სამართლიანობის წყაროა და თავის თავს ვერ უღალატებს, თუნდაც ჩვენს გონებას ეს უსამართლოდ ეჩვენებოდეს. მე აღმამფოთა ადამიანური გაგების ამგვარმა უარყოფამ რაღაც მიუნვდომელი, აბსოლუტური განგების სასარგებლოდ. და საერთოდაც, თუმცა დანტეს პოეტურ სიდიადეს ვაღიარებდი, მაგრამ უღმობლობისა და საშინელი წამების აღწერა რომ უყვარს, ეს ყოველთვის უკუმაგდებდა. მახსოვს, ადრინამ გავეკიცხე, რაღა ეს მძიმე ეპიზოდი აირჩიე-მეთქი, და სწორედ მაშინ იყო, რომ მის თვალეში ისეთ მზერას წავანყდი, რომელიც უწინ არ შემენიშნა და რომლითაც გამახსენდა, როცა საკ-

*„განსაწმენდელსა“ და „სამოთხიდან“ (იტალ.).

უთარ თავს ვეკითხებოდი, მართალი კი ვარ, რომ ვამტკიცებ: ერთი წლის განმორების შემდეგ ჩემი მეგობარი უცვლელი დამხვდა-მეთქი. ეს გამოხედვა ამიერიდან მისთვის დამახასიათებელი გახდა, თუმცა არცთუ ისე ხშირად, მხოლოდ ჟამიდან ჟამზე გამოუკრთებოდა ხოლმე თვალებში და თანაც ზოგჯერ რაიმე განსაკუთრებული საბაბის გარეშეც. იგი მართლაც ახალი რამ იყო: უტყვი, ბუნდოვანი, სანყენამდე განმხოლოებული, თან ფიქრში ჩაძირული და ცივი კაემნით მოცული, იგი ბოლოვებოდა ხოლმე მოკუმული პირის არცთუ მტრული, მაგრამ დამცინავი ღიმილით, რის დროსაც ადრიანი პირს როდი ალებდა და შემდეგ კი ჩემთვის კარგად ნაცნობი მოძრაობით ზურგს აქცევდა თანამოსაუბრეს.

მძიმე შთაბეჭდილება დამრჩა, გინდოდა თუ არ გინდოდა, გენყინებოდა კაცს. მაგრამ მე სწრაფად დამავინწყდა წყენა მისი მუსიკის სმენაში, სახელდობრ, გაფაციცებით ვუგდებდი ყურს Purgatorio-ს იგავის ამაღელვებელ მუსიკალურ ინტერპრეტაციას: კაცს ლამე ზურგით სანათური რომ მიაქვს, რომელიც მას ვერა, მაგრამ მის უკან მომავალთ უნათებს გზას. თვალებზე ცრემლი მადგა. მაგრამ კიდევ უფრო გამაბედნიერა ადრიანის მიერ ძალზე ხელსაყრელად განსახიერებულმა პოეტის მხოლოდ ცხრა ტაეპისაგან შემდგარმა მიმართვამ თავისი ალეგორიული სიმღერისადმი, რომელიც ისე ბუნდოვანია და ისე გაჭირვებით ამბობს სათქმელს, რომ არავითარი იმედი არ არის ქვეყანამ გაიგოს მისი ფარული აზრი. ამიტომაც, — ავლებს თავის ქმნილებას დანტე, — შეევედრე ხალხს, თუ შენს სიღრმეს ვერ ჩასწვდებიან, შენი სილამაზე მაინც აღიქვანო. „ეს მაინც შენიშნეთ, რა მშვენიერი ვარ!“ კომპოზიცია რომ პირველ ტაეპთა შეჭირვებიდან, ხელოვნური დახლართულობიდან და შემაცბუნებელი დაბრკილებებიდან ამ შეძახილის ფაქიზი შუქისკენ მიილტვის და მის არილში პოვებს გულის ამაჩუყებელ გამოსავალს, ამან მაშინვე აღტაცებაში მომიყვანა და არც დამიმაღავს ჩემი სიხარული და მოწონება.

— მით უკეთესი, თუ უკვე რაღაც გამოდის, — მითხრა მან, და შემდგომი საუბრებიდან გამოირკვა, რომ ამ „უკვე“-ში თავის ახალგაზრდობას კი არ გულისხმობდა, არამედ იმას, რომ სიმღერების თხზვას, — თუმცა ყოველ ცალკეულ ამოცანას ასე თავდადებით ეკიდებოდა, — მთლიანად ალებულს, მხოლოდ მოსამზადებელ ვარჯიშად მიიჩნევდა მის მიერ ჩაფიქრებული სიტყვებისა და ჰანგებისაგან შემდგარი დიდი ნაწარმოების დაწყების წინ, რომლის საფუძვე-

ლიც შექსპირის ზემოხსენებული კომედია უნდა ყოფილიყო. სიტყვასთან კავშირი ჩემს მეგობარს თეორიულადაც სურდა ედიდებინა. მუსიკა და ენა, — დაუნებოთ ამტკიცებდა ის, — რამ გაყო, არსებითად ისინი ერთნი არიან, ენა მუსიკაა, მუსიკა კიდეც ენააო, ერთმანეთს დაცილებულნი, ისინი მუდამ ერთმანეთს მიმართავენ, ბაძავენ, ენაცვლებიან ურთიერთს, ერთი მუდამ იყენებს მეორის საშუალებებსო. იმის საილუსტრაციოდ, რომ მუსიკა თავდაპირველად შეიძლება სიტყვა იყოს, წინასწარ სიტყვიერად ჩაფიქრებულ და დაგეგმილ იქნეს, ბეთჰოვენის მაგალითს იშველიებდა. გადმოცემის თანახმად, იგი მუსიკას სიტყვების დახმარებით თხზავდა: „ნეტავი რას იწერს უბის ნიგნაკში?“ — „მუსიკას თხზავს“. — „ჰო, მაგრამ ის სიტყვებსა წერს და არა ნოტებს“. დიახ, ასე სჩვეოდა. ჯერ სიტყვიერად იწერდა ხოლმე მუსიკალური ნაწარმოების იდეის განვითარებას; თითო-ოროლა ნოტს თუ ჩაურთავდა შიგადაშიგ... აქ ადრინაი ერთხანს შეყოვნდა, ეტყობოდა, ზემოთქმულზე ფიქრობდა, შემდეგ კი დასძინა:

— ხელოვანის აზრი, როგორც ჩანს, საერთოდ თავისთავადი, განუმეორებელი გონებრივი კატეგორიაა, მაგრამ საექვოა, ოდესმე არსებულიყო რაიმე ნახატის ან ქანდაკების წინასწარი სიტყვიერი ესკიზი, რაც მუსიკისა და ენის სპეციფიკურ ერთობას მოწმობს. სრულიად ბუნებრივია, რომ მუსიკას სიტყვა აჩაღებს, რომ სიტყვა მუსიკიდან ამოხეთქავს ხოლმე, როგორც ეს მეცხრე სიმფონიის ბოლოს ხდება. დასასრულ, განა მართალი არ არის, რომ მთელი გერმანული მუსიკის განვითარებას ვაგნერის მუსიკალურ-სიტყვიერი დრამისაკენ მივყავართ და ამაში პოვეზს კიდეც თავის მიზანს.

— ერთ-ერთ მიზანს, — ვთქვი მე და ბრამსზე მივუთითე, აგრეთვე ხალასი მუსიკის ჭველზე „ზურგზე მოკიდებულ სანათურში“ და მანაც მით უფრო გაიზიარა ეს დაზუსტება, რომ ის, რაც ადრინანს შორეულ მიზნად ჰქონდა დასახული, უაღრესად არავაგნერული, ბუნების დემონიზმსა და მითიურ პათოსს უკიდურესად დაშორებული, გახლდათ *opera buffa*-ს განახლება უნატიფესი დაცივნის სულისკვეთებით, სინატიფის დაცივნის სულისკვეთებით, რაღაც ვირტუოზული პრანჭიაობაცა და პრანჭიაობის დაცივნაც ამასთანავე, გამასხარავება იმ ევფუიზმისა, რაც კლასიკური ანტიკური ხანის შესწავლის საზოგადოებრივი ნაყოფი იყო. იგი აღფრთოვანებული ლაპარაკობდა საგანზე, რომელიც ბუნებრივი სიტლანქისა და კომიკური სინატიფის ერთმანეთთან შეპირისპირებისა და ერთის

მეორეში გამასხარავების შესაძლებლობას იძლეოდა. დონ არმანდო, რომელსაც ის სამართლიანად აცხადებდა ცინცხალ საოპერო პერსონაჟად, გამსჭვალული იყო გარდასული ეპოქის გმირობით და პეიტრული ეტიკეტით. შემდეგ ციტატა წარმოთქვა პიესიდან ინგლისურად, სტრიქონები, რომლებიც აშკარად გულში ჰქონდა ჩავარდნილი, ოხუნჯი ბირონის სასონარკვეთილების ამსახველნი: ფიცი რომ გატეხა, ის შეიყვარა, ვისაც თვალების მაგივრად კუპრის ორი ბურთულა უელაჯს, და ახლა იძულებულია ოხვრა-ვაებით. ლოცულობდეს იმაზე, ვისაც „ვეფიცავ ზენას, თვით არგუსიც ვერ დააკავებს, თავზე რომ ადგეს, როგორც მცველი და საჭურისი“. შემდეგ — განაჩენი, ისეე ამავე ბირონს რომ უბრძანებს ერთი წლის მანძილზე იოხუნჯოს მგმინავ ავადმყოფთა სარეცელთან, და მისი შეძახილი: „შეუძლებელია! მხიარულება მომაკვდავის სულს ვერ შეეხება!“ — „Mirth cannot move a soul in agony“, გაიმეორა მან და განაცხადა: ერთხელაც იქნება, აუცილებლად შევთხზავ ამაზე მუსიკასო — ამაზე და სწორუპოვარ საუბარზე მეხუთე მოქმედებიდან ბრძენთა სისულელის შესახებ, — უმნეო, ფუჭი და დამამცირებელი ჩალიჩის შესახებ ჭკუისა, საკუთარი თავით რომ ლამობს ვნებათა ლელვის მასხარის ჩაჩის შემკობასო. ისეთი გამონათქვამები, — ვანაგრძობდა იგი, — როგორცაა ორტაეპედი, რომელიც ამტკიცებს: „ჭაბუკის სისხლი ისე შლეგურად არ ენთება, როგორც სიშლეგით ატანილი სიდარბაისლე“, „as gravity's revolt to want onuess“, მარტო პოეზიის გენიალურ მწვერვალებზე გვხვდებაო.

მე. მახარებდა მისი აღფრთოვანება, მისი გატაცება, თუმცა მასალის არჩევანს არა და არ ვუნონებდი და ყოველთვის ცოტათი გულს მტკენდა ჰუმანიზმის წამონაზარდთა გამასხარავება, რადგან ამით საბოლოო ჯამში თვით ჰუმანიზმი ხდებოდა სასაცილო. ამას შემდგომ ხელი არ შეუშლია ლიბრეტო დამენერა მისთვის. მაგრამ თავიდანვე, რაც ძალი და ღონე შექმნედა, ვცდილობდი ხელი ამეღებინებინა უცნაურ და სრულიად არაპრაქტიკულ განზრახვაზე — კომედის ინგლისურ ტექსტზე შეეთხზა მუსიკა, რადგან მხოლოდ და მხოლოდ მას მიიჩნევდა სწორად, ღირებულად, სანდოდ, და თანაც ამით საშუალება ეძლეოდა შეენარჩუნებინა სიტყვათა თამაში და ძველებური ხალხური ლექსი — doggerel-rhymes. ჩემს მთავარ არგუმენტს: უცხოური ტექსტის გამო შენს ნაწარმოებს გერმანულ საოპერო სცენაზე დადგმის პერსპექტივას ართმევ-მეთქი, მან ყური არ ათხოვა, რადგან საერთოდ ვერ წარმოედგინა თანამედროვე საზ-

ოგადოება მისი ახირებული, პაროდიულ-გროტესკული ზმანებების მსმენელად და მაყურებლად. უცნაური იდეა გახლდათ, მაგრამ ფესვები ღრმად ჰქონდა გადგმული მის არსებაში, რომელიც ქვეყნის ქედმაღლური რიდისა, კაიზერსაშერნის ძველგერმანული პროვინცი-ალიზმისა და მკვეთრად გამოხატული კოსმოპოლიტური სულისკვეთების კონგლომერატს წარმოადგენდა. ამოოდ როდი იყო იმ ქალაქის პირმშო, რომელშიც ოტო III განისვენებდა. გული რომ არ ერჩოდა გერმანელობაზე, რასაც სინამდვილეში თვითონ განასახიერებდა (ანტიპათია, რამაც, სხვათა შორის, ანგლისტსა და ანგლომან შილდ-კნაპთან დააახლოვა), ორმხრივ ვლინდებოდა: ცალკერძ, ქვეყანას უფრთხოდა, მისგან გამიჯვნას ლამობდა და ცალკერძ, ქვეყანაში სივრცისა და სარბიელის მოპოვების შინაგან მოთხოვნილებასაც გრძნობდა ყოველივე ამან აიძულა გერმანული საკონცერტო დარბაზებისათვის უცხოურ ტექსტებზე დანერილი ვოკალური ნაწარმოებები შეეთავაზებინა, ან უფრო სწორად, ისინი უცხო ენის მეშვეობით გერმანული სცენისათვის დაემალა. მართლაცდა, ჯერ კიდევ ლაიპციგში რომ ვიყავი, იმ წელიწადს ადრიანმა გამოაქვეყნა სიმღერები ვერლენისა და თავის უსაყვარლეს უილიამ ბლეიკის ლექსებზე. ტექსტები დედანში იყო მოტანილი და რამდენიმე ათეულ წელიწადს არავის არ შეუსრულებია. ვერლენისულები მე შემდგომ შვეიცარიაში მოვისმინე. ერთ-ერთი მათგანი – მშვენიერი ლექსი – ასე ბოლოვდება: „C'est l'heure exquise“*, მეორეს – ასევე მომაჯადოებელს – „Chanson d'automne“** ეწოდება, მესამე – ფანტასტიკურად მელანქოლიური, შლეგურად მელოდიური სამსტროფიანი ლექსი, რომელიც ამ სტრიქონებით იწყება: „Un grand sommeil noir – Tomble sur ma vie“***. მათ შორის იყო აგრეთვე რამდენიმე ოინბაზურ-სახუმარო პიესა „Fêtes galantes“****-დან; „He! Bonsoir la lune!“***** და უწინარეს ყოვლისა კი საშინელი წინადადება, ხითხითი რომ ახლავს პასუხად: „Mourons ensemble, voulez-vous?“***** რაც შეეხება ბლეიკის საკვირველ ლექსებს, ადრიანმა ვარდისადმი მიძღვნილ სტროფებზე შეთხზა მუსიკა: ვარდის სიცოცხლეს ხრავს მატლის შავბნელი ტრფიალი, რომელსაც გზა გაუგნია მისი მუქი წითელი

* „ეს საუცხოო საათია“ (ფრანგ.).

** „შემოდგომის სიმღერა“ (ფრანგ.).

*** „ვეება საშინელი სიზმარი ანეც ცხოვრებას ჩემსას“ (ფრანგ.).

**** „გალანტური დღესასწაულები“ (ფრანგ.).

***** „ეი, მთვარე, საღამო მშვიდობისა“ (ფრანგ.).

***** „გინდა ერთად დავიხოცოთ?“ (ფრანგ.).

ფერის სარეცლისაკენ. აგრეთვე შემზარავ თექვსმეტსტრიქონიან ლექსზე – „ხე შხამისა“: პოეტი თავის რისხვას ცრემლით რწყავს, ღიმილისა და ეშმაკური ფანდების მზის სხივებს აფენს. ასე რომ, ხე სანდომიან ვაშლს გამოიბამს და ამ ვაშლით ქურდბაცაცა მტერი ინამლება. დილით მკვდარი გდია ხის ქვეშ მტრის მოძულის სასიხარულოდ. ლექსის სიავე და სისადავე სრულყოფილად იყო მუსიკაში გადმოცემული. მაგრამ კიდევ უფრო ღრმა შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე პირველად მოსმენისთანავე მეორე სიმღერამ ბლეიკისავე სიტყვებზე – სიზმარში ოქროს სამლოცველოს ხილვის შესახებ, რომლის წინ თავი მოუყრიათ მტირალ, მგლოვიარე მლოცველებს, შიგ შესვლას კი ვერ ბედავენ; და აი, ჩნდება გველის ხატება, იგი ჯიუტად მიიკვლევს გზას წმინდა ადგილის შესასვლელისკენ, ლორწოვანი ტანით გასრიალდება ძვირფას იატაკზე და საკურთხეველზე მოიკალათებს, სადაც შხამს ანთხევს სეფისკვერსა და ზედაშეზე. „ასე იყო ეს, – ასკვნის სასონარკვეთილებით აღსავსე ლოგიკით პოეტი, – ამის გამო იყო, ამის შემდგომ იყო, რომ წარვედ საღორეს და ღორებში ჩავნექ“. სიზმარეული ხილვის კომმარულობა, მზარდი შიში, სინმინდის წაბილწვით მოგერილი ძრწუნვა, ბოლოს კი გაშმაგებით ხელის ჩაქნევა ამ ამბით პატივყარილ ადამიანობაზე – ყველაფერი გასაოცარი წვდომით იყო გადმოცემული ადრიანის მუსიკაში.

მაგრამ ესენი შედარებით გვიანდელი ნაწარმოებებია, თუმცა ყველა იმ მონაკვეთს კი განეკუთვნება, რომელიც ადრიანის მიერ ლაიპციგში გატარებულ წლებზე მოგვითხრობს. მაშ ასე, იმ საღამოს, ჩემი ჩასვლისთანავე, ჩვენ შაფგოშის კვარტეტის კონცერტი მოვისმინეთ, ხოლო მეორე დღეს ვენდელ კრეჩმარს ვენწიეთ. როცა მანეტრომ დამიმარტოხელა, ადრიანის წარმატებებზე ისეთნაირად მელაპარაკა, რომ სიამაყით აღვივსე და თავი ბედნიერად ჩავთვალე. შეიძლება რამე სანაწური გამიხდეს ცხოვრებაში, მაგრამ ის კი არავითარ შემთხვევაში, რომ ადრიანს კვლავ მუსიკისაკენ მოვუხმეო. ისეთ კაცს, რომელიც ასე კონტროლს უწევს საკუთარ თავს და ვერ იტანს მდარე გემოვნებასა და საზოგადოების მათამბლობას, თუმცა გაუჭირდება – გარეგნულადაც და შინაგანადაც, მაგრამ სწორედ ეს გახლავთ კარგი, ვინაიდან მარტო ხელოვნებას ძალუძს ისეთი კაცის ცხოვრებას წონა მიანიჭოს, ვისთვისაც სიმსუბუქე მომაკვდინებლად მოსაწყენი იქნებოდაო... ლაუტენზაკთანაც ჩავენერე და სახელგანთქმულ ბერმეტერთანაც, თან მიხაროდა, რომ ადრიანის გამო თეოლოგიური საგნების მოსმენა აღარ დამჭირდებოდა, ადრიანმა კაფე „ცენტ-

რალის“ წრეში შემოყვანა, ბოჰემიელთა კლუბს რომ წააგავდა და თამბაქოს ბოლით გაჭვარტლული ცალკე ოთახი ეჭირა, სადაც წრის წევრები საღამოობით გაზეთებს კითხულობდნენ, ჭადრაკს თამაშობდნენ და კულტურის მიმდინარე ამბებზე მსჯელობდნენ; კონსერვატორიელები იყვნენ, მხატვრები, მწერლები, გამომცემლობათა თანამშრომლები, მუზეუმთან არცთუ მწყრალად მყოფი დამწყები ადვოკატები, ორიოდე მსახიობი, ლაიპციგის ძალზე ლიტერატურულად აქცენტირებული „კამერული თეატრის“ დასის წევრები და ასე შემდეგ. რიუდიგერ შილდენაპი, მთარგმნელი, ჩვენზე საგრძნობლად უფროსი – უკვე ოცდაათ წელს გადაცილებული – მათი ამფსონი გახლდათ, როგორც უკვე აღვნიშნე, და ვინაიდან ის ერთადერთი იყო, ვისთანაც ადრიანი მართლაც მეგობრობდა, მეც მას დავუახლოვდი და არა ერთსა და ორ საათს ვატარებდი ორივესთან ერთად. ვშიშობ, ჩემი კრიტიკული დამოკიდებულება იმ კაცის მიმართ, ვინც ადრიანმა ღირსი გახადა მეგობრობისა, აისახება მის წინასწარ პორტრეტში, რომლის ესკიზის მოხაზვასაც ახლა ვაპირებ, თუმცა შევეცდები, როგორც სხვა დროსაც ვცდილვარ, სამართლიანი ვიყო.

შილდენაპი დაიბადა სილეზიის ერთ საშუალო სიდიდის ქალაქში, ფოსტის მოხელის ოჯახში. მამამისს რიგით მოხელეებზე მაღალი თანამდებობა ეჭირა, მაგრამ არც ისეთი, რომელიც უნივერსიტეტის დიპლომის მქონეთათვის განკუთვნილი, მართლაც მაღალი ადმინისტრაციული თანამდებობისაკენ გაუკაფავდა გზას პროვინციის მართვა-განმგებლობაში. ამდაგვარი ადგილი არ საჭიროებს არც სიმწიფის ატესტატს, არც წინასწარ იურიდიულ განათლებას, მას იჭერენ რამდენიმე წლის მუყაითი სამსახურის შემდგომ უფროსი მდივნის ჩინზე გამოცდის ჩაბარების შედეგად. ეს გზა განვლო შილდენაპ-უფროსმა, და ვინაიდან კარგად აღზრდილი გახლდათ და საზოგადოებაში თავის გამოჩენა სწყუროდა, ხოლო პროუსიული იერარქია ქალაქის მაღალ წრეებში მას ან არ უშვებდა, ან თუ, როგორც გამოჩინების, დაუშვებდა, ყოველმხრივ ამცირებდა, იგი თავის ბედს უწიოდა და ერთთავად უგუნებოდ იყო, მარად ბუზღუნებდა და ცხოვრებაში ხელის მოცარვის გამო ჯავრს შინაურებზე იყრიდა. რიუდიგერი, მისი ვაჟი, კომიზმის ეშხით მამის წინაშე მოკრძალებას იფიწყებდა და ძალზე თვალსაჩინოდ აგვიწერდა, როგორ უნამლავდათ სიცოცხლეს მამამისის სოციალური სიანჩხლე მასა და ოჯახის დანარჩენ წევრებს – დედასა და და-ძმას. მათთვის მით უფრო საგრძნობი იყო, რომ მამა – კულტურული კაცი – უხეში ლანძღვით კი

არ იოხებდა გულს, არამედ უფრო დახვეწილად; თავს უბედურად მოგაჩვენებდათ და საკუთარი თავისადმი თანაგრძნობას ენამჭევრად გამოხატავდა. ვთქვათ, როცა სუფრას მიუჯდებოდა და ხილის წვნიანის ხვრეპას შეუდგებოდა, რომელშიც ალუბლები დაცურავდნენ, აუცილებლად კბილი კურკაზე უნდა მოხვედროდა და კბილის გვირგვინი დაეზიანებინა. „აი, ხედავთ, – იტყოდა ხოლმე მერე ათრთოლებული ხმით და თან ხელებს გაშლიდა, – მუდამ ასეა, მუდამ ასე მემართება, ასეთია ჩემი ხვედრი, რა ვქნა, რა ბედი მაქვს! როგორ მიხაროდა ეს წვნიანი: მაღიანად შევექცევი, დღეს ცხელა და გრილი კერძი მიაგება-მეთქი. ჰოდა, აი რა დამემართა. კეთილი, როგორც ხედავთ, გახარება არ მიწერია. ახლა რაღა ჭამის თავი მაქვს. ჩემს ოთახში მივდივარ. თქვენ ჩაიგემრიელეთ პირი!“ – დაასკვნიდა ხოლმე ხმანასული და სუფრიდან დგებოდა, თან მშვენივრად იცოდა, რომ ახლა დანარჩენებიც ველარ ჩაატანდნენ საქმელს გემოს, რომ მათაც ხასიათი გაუფუჭა.

იოლი წარმოსადგენია, როგორ ართობდა ადრიანს ეს სევდანარევი ხუმრობით მოყოლილი და ახალგაზრდული სიმძაფრით განცდილი სცენები. ოღონდ ჩვენ, ასე თუ ისე, მაინც გვიხდებოდა სიცხის შემავრება, რათა პატივისცემის მიჯნას არ გავცილებოდით და მთხრობელი დაგვენდო: ბოლოს და ბოლოს, მამამისზე იყო ლაპარაკი. რიუდიგერი გვარწმუნებდა: სოციალური არასრულფასოვნების შეგრძნება ოჯახის უფროსისაგან მეტ-ნაკლებად დანარჩენ ნევრებსაც გადაგვედო, მე პირადად სულიერ ტრავმად გამომყვა მშობლების სახლიდანო. მაგრამ, როგორც ჩანს, სწორედ ამ ამბით განაწყენება იყო ერთ-ერთი იმ მიზეზთაგანი, რომელთა გამოც არ ისურვა მამის გული გაეხარებინა და იმისათვის მიეღწია, რაც მამამ ვერ შეძლო – იმედი გაუცრუა მშობელს, ვაჟი მაინც გაეხადა ქალაქის მმართველობის მრჩეველად. მას გიმნაზია დაამთავრებინეს, უნივერსიტეტში სასწავლებლად გაგზავნეს, მაგრამ ასესორის ჩინზეც კი არ ჩაუბარებია გამოცდა, ლიტერატურამ გაიტაცა და ამჯობინა შინიდან ფულად დახმარებაზე უარი ეთქვა, ვიდრე მამის მხურვალე, მაგრამ მისთვის საძულველი სურვილი აესრულებინა. წერდა თავისუფალ ლექსებს, კრიტიკულ სტატიებს და პატარ-პატარა მოთხრობებს – კრიალა პროზას, მაგრამ ცალკერძ ხელმოკლეობის გამო და ცალკერძ კიდევ იმიტომაც რომ ფანტაზიით მაინცდამაინც უხვად არ იყო დაჯილდოებული, უპირატესად თარგმნის სფეროში მოღვაწეობდა, სახელდობრ, თავისი

საყვარელი ენიდან, ინგლისურიდან, თარგმნიდა, და არა მხოლოდ ამარაგებდა გამომცემლობებს ინგლისური და ამერიკული გასართობი ბელეტრისტიკის „გაგერმანულებული“ ნიმუშებით, არამედ მიუნჰენის ერთი გამომცემლობის შეკვეთით, რომელიც მდიდრულად გაფორმებულ ბიბლიოგრაფიულ იშვიათობებს ბეჭდავდა, ხელი მოჰკიდა ძველი ინგლისური ლიტერატურის ძეგლებსაც. თარგმნა სკელტონის დრამატული ზნეობრივი დარიგებანი, ფლექჩერისა და უებსტერის რამდენიმე პიესა, პოპის ზოგიერთი დიდაქტიკური ლექსი, მანვე მოამზადა სვიფტისა და რიჩარდსონის რომანების საუცხოო გერმანული გამოცემები. ამ თხზულებებს საფუძვლიან შესავალ წერილებს ურთავდა და თავად ტექსტი კი უაღრესად კეთილსინდისიერად გადმოჰქონდა, სტილის ფაქიზი შეგრძნებითა და გემოვნებით. თავგადაკლული იღვწოდა თარგმანის სიზუსტისათვის, ისეთი ენობრივი საშუალებების გამოძენისათვის, რომლებიც დედნის ენობრივ საშუალებათა შესატყვისი იქნებოდნენ და სულ უფრო იფლობოდა მასალის რეპროდუქციასთან დაკავშირებულ ცდუნებებსა და ჭირ-ვარამში. ამას კი შედეგად მოსდევდა ისეთი სულიერი განწყობილება, რომელიც — სხვა განასხერში, რასაკვირველია, — მამამისის განწყობილებას წააგავდა. ვინაიდან თავი მწერლად, შემოქმედად დაბადებულად მიაჩნდა და გამწარებული იტყოდა ხოლმე: იძულებული ვარ სხვის საკუთრებას ვემსახურო, რაც ღდინს მაცლის და რაღაც შეურაცხმყოფელ დაღს მასვამსო. პოეტი სურდა ყოფილიყო. სწამდა კიდევ, რომ იყო და ლუკმაპურის საშოვნელად ლიტერატურული შუამავლის თამაშის აუცილებლობა უარყოფითად, კრიტიკულად განწყობდა სხვათა ნაწერის მიმართ და მისი ყოველდღიური ჩივილის საგანი გახლდათ. „მე რომ დრო მქონდეს, — იცოდა ხოლმე თქმა, — და მუშაობის პირობები, ნაცვლად სულ მუდამ ჭაპანწყევტაში ყოფნისა, აი მაშინ ნახავდნენ, რა შემოძლია!“ ადრიანს უფრო სჯეროდა მისი, მე კი, თუმცა შეიძლება მე ერთობ მკაცრად ვმსჯელობდი, მოუცლელობა მისთვის მუდამ სასურველ საბაბად მესახებოდა, რითაც საკუთარ თავს უმაღავდა თანდაყოლილი და დაუძლეველი შემოქმედებითი იმპულსის უქონლობას.

ყოველივე ამის მიუხედავად, იგი პირქუშ ავყიად არ უნდა წარმოვიდგინოთ, პირიქით, ძალიან მხიარული კაცი იყო, ასე გასინჯეთ, ანგალიც კი, წმინდა წყლის ანგლოსაქსური იუმორის გრძნობით დაჯილდოებული და სწორედ ისეთი ხასიათის პატრონი, რასაც

ინგლისელები „boyish“-ს* უწოდებენ. მუდამ მაშინვე აბამდა ნაცნობობას ალბიონის ყველა შვილთან, რომლებიც ლაიპციგში ჩამოდიოდნენ, ტურისტები იქნებოდნენ, კონტინენტზე მოსეირნენი თუ მუსიკით დასაქმებულნი. მათს ენაზე ესაუბრებოდა, ოსტატურად ეხამებოდა თანამოსაუბრის ლექსიკას, სულითა და გულით *talking nonsense*** და ძალიან სასაცილოდ ბაძავდა მათ ცდებს გერმანულად ელაპარაკათ, აქცენტს, ყოველდღიური სასაუბრო გაჭოთქმების ნაცვლად ერთობ კორექტული სიტყვა-თქმების ხმარებას, უცხოელისათვის დამახასიათებელ ლაფსუსს — მნიგნობრული ენობრივი ფორმების გამოყენებას, როდესაც ისინი, ვთქვათ, ამბობდნენ: „იხილეთ წიგნი ესე“, ნაცვლად იმისა, რომ უბრალოდ ეთქვათ: „ნახეთ ეს წიგნი“. გარეგნულადაც მათ წააგავდა. მე ჯერ კიდევ არაფერი მითქვამს მის გარეგნობაზე: თვალტანადი იყო და, მიუხედავად მუდამ ერთი და იმავე ღარიბული ჩაცმულობისა, რაც ხელმოკლეობის შედეგი გახლდათ, ელეგანტური, სპორტულ-ვაჟკაცური შესახედაობა ჰქონდა. მისი მკვეთრად ჩამოქნილი სახის ნაკვეთების კეთილშობილება ოდნავ ილახებოდა ცოტათი გადაპობილი და ამასთანავე სათუთად მოყვანილი პირით, როგორც ხშირად შემინიშნავს სილუზიელებისათვის. მაღალი, მზარბეჭიანი, თქოვიწრო, გრძელფეხება, იგი ყოველ ცისმარე დღე ერთსა და იმავე გაცრეცილ კუბოკრულ ბრიჯში, შალის მაღალყელიან წინდებში, ტლანქ ყვითელ ფეხსაცმელსა და გადახსნილ საყელიოიან კურტაკში გამოწყობილი დადიოდა. არისტოკრატიული ხელები ჰქონდა, გრძელი თითები, ლამაზად მოყვანილი ოვალური, თაღოვანი ფრჩხილები, და მთლიანად ისეთი უტყუარი ჯენტლმენური შესახედაობისა იყო, რომ თავის თავს ნებას აძლევდა, სადაც დღეთა ანტი-ალონური ტანსაცმლით ისეთ წვეულებებზე გამოცხადებულყო, რომლებზედაც საღამოს ჩაცმულობას ეძლეოდა უპირატესობა. ქალებს ასე ჩაცმულიც უფრო მოსწონდათ, ვიდრე კორექტულ შავ-თეთრ სამოსელში გამოწყობილი მისი მეტოქეები, და ასეთ საღამოებზე ყოველთვის შეიძლებოდა გენახათ აღტაცების დაუფარავად გამომხატველ ქალთა საზოგადოებით გარშემორტყმული.

და მაინც! მიუხედავად ამისა, მაინც! თუ ფულის ბანალური ნაკლებობის გამო მისატყეებელი მწირი გარსაცმი ვერაფერს აკლებდა მის, ასე ვთქვათ, რაინდობას და მისი ვაჟკაცობა ბუნებრივ სიმა-

**ბიჭურს, ბალღურს (ინგლ).*
 ***ლაყობდა მიეთმოეთს (ინგლ).*

რთლედ გამოსჭვიოდა, ეს სიმართლედ ნაწილობრივ სიცრუე გახლდათ: შილდენაპი ამ მხრივაც მხოლოდ და მხოლოდ ბუქს აყენებდა, აპორტული გარეგნობით თვალს ატყუებდა. ნამდვილად კი სპორტს სულაც არ მისდევდა, თუ არ ჩავთვლით ზამთრობით თხილამურებით სეირნობას თავის ინგლისელებთან ერთად „საქსონიის შვეიცარიაში“, რის შედეგადაც ცოტათი ნაწლავების კატარი უღიზიანდებოდა, რაც ჩემი აზრით, არცთუ მთლად უწყინარი რამ გახლდათ, ვინაიდან, მიუხედავად მზით გარუჯული სახისა და განიერი მხარბეჭისა, რიუდიგერი მაინცდამაინც ჯანმრთელობით ვერ დაიკვებინდა; ახალგაზრდობაში ფილტვებიდან სისხლი ამოიღო. ასე რომ, ქლექის მიდრეკილება ჰქონდა. მის წარმატებას ქალებთან, ჩემი დაკვირვებით, სავსებით როდი შეესატყვისებოდა ის წარმატება, რომლითაც ქალები სარგებლობდნენ მასთან – ყოველ შემთხვევაში ინდივიდუალურად მაინც; ვინაიდან ყველას ერთად სულითა და გულით თაყვანს სცემდა, ყოვლისმომცველი, დაუკონკრეტებელი თაყვანისცემით ეპყრობოდა მთელ მშვენიერ სქესს, როგორც ასეთს, როგორც ბედნიერების ყველა სხვა წყაროსაც ამ ქვეყანაზე, მაგრამ ყოველ ცალკეულ შემთხვევაში არააქტიური, ძუნწი და თავშეკავებული ჩანდა. ეტყობოდა, იმის შეგნებასაც სჯერდებოდა, რომ იმდენი სამიჯნურო თავგადასავალი შეეძლო ჰქონოდა, რამდენსაც მოისურვებდა, და რეალურ კავშირს კი გაუბრუნებდა, რადგან ამაში პოტენციურ შესაძლებლობათაგან განძარცვას ხედავდა. პოტენციურ შესაძლებლობათა უსაზღვრო არე მის სარჩო-საბადებელსა და საუფლოს წარმოადგენდა; აქ ის ქეშმარიტი პოეტი იყო. თავისი გვარიდან დაესკვნა, რომ მისი წინაპრები რაინდებისა და თავადების ცხენოსანი მხლებლები იყვნენ, და თუმცა თვითონ ცხენზე არასოდეს არ მჯდარიყო და არც აპირებდა შეჯდომას, თავისი თავი ცხენოსნად დაბადებულად მიაჩნდა. იმას, რომ სიზმარში ძალიან ხშირად თავის თავს ცხენზე მჯდარს ხედავდა, სისხლის ძახილს, ატავისტურ ხსოვნას მიაწერდა და არაჩვეულებრივად დამაჯერებლად გვიჩვენებდა, რა ბუნებრივი იყო მისთვის მარცხენა ხელით სადავის ჭერა და მარჯვენათი კი წარმოსახვითი ბედაურისთვის კისერზე მოთათუნება. ნამდაუნუმ იცოდა ხოლმე თქმა: – კაი იქნებოდაო. ეს გამოთქმა ფორმულასავით ჰქონდა იმ შესაძლებლობათა სინანულით ანონ-დანონის გამოსახატავად, რომელთა განხორციელებასაც წინ მისი გაუბედაობა ელოებოდა. კაი იქნებოდა ამისა თუ იმის გაკეთება, ამისა თუ იმის ქონა ან ამაღ თუ იმად ყოფნა. კარგი

იქნებოდა ლაიპციგის საზოგადოებაზე რომანის დაწერა; კარგი იქნებოდა, თუნდაც ჭურჭლის მრეცხავად, მსოფლიოს გარშემო მოგზაურობა; კარგი იქნებოდა ფიზიკის, ასტრონომიის შესწავლა, მინის ნაკვეთის ყიდვა და მისი დამუშავება ოფლითა პირისა შენისათა. თუ, ვთქვათ, კოლონიური საქონლის სავაჭროში ყავას ვიყიდიდით, მას, ჩაფიქრებულს, გამოსვლისას შეეძლო ეთქვა: – კაი იქნებოდა, კაცს კოლონიური საქონლის შენი სავაჭრო გქონდესო!

შილდკნაპს რომ დამოუკიდებლობა უყვარდა, უკვე ვთქვი. ეს თუნდაც იმით გამოიხატა, რომ სახელმწიფო სამსახურს თავი აარიდა და თავისუფალი პროფესია აირჩია. მაგრამ თან მრავალი ბატონის მსახურის როლშიც გამოდიოდა და ზოგი რამით ქელეხუტას წააგავდა. თუმცა უსახსრობის გამო ან რატომაც არ უნდა ესარგებლა თავისი კარგი გარეგნობითა და საზოგადოებაში წარმატებით? იგი სიამოვნებით თანხმდებოდა მინვევაზე. სადილობდა ლაიპციგის ნაირ-ნაირ ოჯახში, მათ შორის მდიდარ ებრაელებთანაც, თუმცა მისგან ანტისემიტურ გამონათქვამებსაც გაიგონებდით. ადამიანები, რომელთაც თავი დაჩაგრულად მიაჩნიათ, რომლებიც თვლიან, რომ ისე დაფასებულნი არ არიან, როგორც ღირსნი არიან, და თანაც კეთილშობილი გარეგნობაც აქვთ, ხშირად გულს იოხებენ ხოლმე რასობრივი სიამაყით. განსაკუთრებული ამ შემთხვევაში ის იყო, რომ გერმანელებიც არ ეპრიანებოდა, სხვა ხალხებთან შედარებით მათ არასრულფასოვნებაში დარწმუნებული იყო და ამით ხსნიდა, რომ ებრაელებთან ერჩივნა, ან უფრო ზუსტად, ებრაელებთან ამჯობინებდა ურთიერთობას. ებრაელებიც, უფრო კი ებრაელ გამომცემელთა და ბანკირთა მეუღლეები იმ უღრმესი აღტაცებით უმზერდნენ, რომელსაც უღვიძებს მათ რასას გერმანელთა ცისფერი სისხლი და გრძელი ფეხები. მათ ძალიან უყვარდათ შილდკნაპის დასაჩუქრება: მისი გეტრები, ქამრები, სვიტრები და ჰალსტუხები მეტწილად ნაჩუქარი გახლდათ, თანაც ზოგჯერ მის მიერ პროვოცირებულებიც; ვინაიდან, თუ, მაგალითად, რომელიმე ქალბატონს საყიდლებზე ახლდა, შეეძლო რომელიმე ნივთზე მიეთითებინა და ეთქვა: – ამაზე ფულს როგორ გაიმეტებდა კაცი, მაგრამ ვინმეს რომ ეჩუქებინა, ავიღებდიო და იღებდა კიდევ საჩუქრად, თანაც იმ კაცის გამომეტყველებით, რომელმაც ის-ის იყო თქვა: ფულს ამისთვის არ გავიმეტებდიო. გარდა ამისა, საკუთარ თავსაც და სხვებსაც თავის დამოუკიდებლობას იმით უმტკიცებდა, რომ კატეგორიულად უარზე იყო ვინმესთვის რამე გაეკეთებინა – მისი იმედი არავის არ უნდა

ჰქონოდა. თუ ერთი ვაჟი აკლდათ წვეულებაზე და მას სთხოვდნენ შეეგოს ეს დანაკლისი, აუცილებლად უარს შეაგებებდა. თუ ვინმე მიიპატიჟებდა, მოგზაურობაში მებახლე ან ექიმმა დამინიშნა, კურორტზე უნდა წავიდე და წამომყვიო, რადგან ეხალისებოდა მასთან ყოფნა, შილდკნაპის უარი მით უფრო სავარაუდებელი იყო, რაც უფრო მონადინებულნი სთხოვდნენ. ადრიანსაც ხომ უარი უთხრა მისთვის ლიბრეტო დაენერა „Love's Labour's Lost“-ის მიხედვით. თან ძალიან უყვარდა ადრიანი, გულწრფელად კეთილგანწყობილი იყო მის მიმართ და არც ადრიანს სწყენია უარი. საერთოდ ძალიან შემწყნარებლურად ექიდებოდა რიუდიგერის ნაკლოვანებებს, რომელთაც თვით მათი პატრონიც სასაცილოდ იგდებდა, და დიდად მადლიერი იყო სასიამოვნო საუბრებისათვის, მამაზე მოყოლილი ამბებისათვის, ინგლისური ოინბაზობისათვის. ამიტომ მასთან გაბუტვა აზრადაც არ მოსდიოდა. არასოდეს არ მინახავს ადრიანს იმდენი ეცინოს, ცრემლის გადმოდენამდე ეცინოს, რამდენსაც რიუდიგერ შილდკნაპთან ყოფნისას იცინოდა ხოლმე. რიუდიგერი წმინდა წყლის იუმორისტი იყო და თვით ყველაზე უმნიშვნელო საგნებშიც კი ახერხებდა კომიკური ელემენტის აღმოჩენას. ცნობილი ფაქტია, მაგალითად, რომ როდესაც ორცხობილას ხრავს ადამიანი, ყურთასმენის წამლები ხმაური ჩაესმის, რაც გარე სამყაროსაგან ლაშის თიშავს. ჰოდა, შილდკნაპი ჩაის სმისას გვიჩვენებდა ხოლმე, როგორ ველარ უგებენ ერთმანეთს მოსაუბრენი, რომლებიც ორცხობილას შეექცევიან, და იძულებულნი არიან მოკლე შეძახილებს დასჯერდნენ; როგორიცაა: „რაო, გეთაყვათ?“, „მგონი, რაღაც თქვით?“, „ერთ წამს მოითმინეთ!“ ახლა როგორ იცინოდა ადრიანი, როცა შილდკნაპი თავის გამოსახულებას ეკამათებოდა სარკეში: მას თავი მოჰქონდა — ბანალურად კი არა, არამედ პოეტურად — იღბლიან შესაძლებლობათა უსაზღვრო სიუზვით, რასაც ქვეყანა სთავაზობდა, რაც მის გამბედაობას ბევრად აღემატებოდა და რისთვისაც სურდა ახალგაზრდობა და სილამაზე შეენარჩუნებინა. ამიტომ უკიჟინებდა თავის თავს სახეზე ნაადრევი ნაოჭების გაჩენისაკენ მიდრეკილებას, ჭკნობის ნაადრევ ნიშნებს. ისედაც რაღაც ბებრული ჰქონდა პირის მოყვანილობაში და ახლა დაბლა დაშვებულ გრძელ ცხვირთან ერთად, რომელსაც ჯერ კიდევ კლასიკურს უწოდებდნენ, თითქოსდა წინასწარ ივარაუდებოდა რიუდიგერის ფიზიონომია მოხუცებულობაში. ამას ემატებოდა დაღარული შუბლი, ხნულივით ღრმა ორი ხაზი ცხვირიდან პირის კუნჭულამდე და მრავალი სხვა წვრილმანი ჩანაჭდევი. ზოგჯერ სულ

ახლო მიიტანდა სახეს სარკესთან იჭვნეულად, მუავე გამომეტყველებას მიიღებდა, ცერსა და სალოკ თითს ნიკაპზე წაივლებდა, უკმაყოფილოდ ჩამოისვამდა ხელებს ლოყებზე და მარჯვენა ხელით ისე მრავლისმეტყველად მიაყრიდა ქოქოლას თავის გამოსახულებას, რომ მე და ადრიანს ხმამაღალი სიცილი წაგვსკდებოდა ხოლმე.

მე ჯერ კიდევ არ მითქვამს, რომ ზუსტად ადრიანის თვალების ფერი თვალები ჰქონდა. მსგავსება მართლაც უჩვეულო იყო: სულ ერთნაირად ნარევი ფერებისა ჰქონდათ ერთსაც და მეორესაც — ნაცრისფერისა, ცისფერისა და მწვანისაგან შემდგარი; თვით ყანგისფერი შარავანდედიც ორივეს გუგების ირგვლივ ათინათებდა. შეიძლება ძალიან უცნაურადაც უღერდეს, მაგრამ მე მუდამ მეჩვენებოდა, — მეჩვენებოდა ერთგვარად საკუთარი თავის დასამშვიდებლად, — თითქოს შილდკნაპთან ადრიანის გულმხიარული მეგობრობა რალაციით იყო დაკავშირებული მათი თვალების ფერის იგივეობასთან, ხოლო ეს კი ჩემთვის ტოლფასი იყო აზრისა, რომ მათი კეთილგანწყობილება ემყარებოდა იმდენადვე ღრმა, რამდენადაც მხიარულ გულგრილობას. ალბათ არც არის საჭირო აქ დავუმატო, რომ ერთმანეთს დღენიდაგ გვართათა და თქვენობით მიმართავდნენ, მართალია, ადრიანს ისე ვერ ვართობდი, როგორც შილდკნაპი, მაგრამ სილუზიელთან შედარებით მე ბავშვობიდან გამოყოლილი შენობით მიმართვის უპირატესობა გამაჩნდა.

XXI

დღეს დილით, ვიდრე ჰელენე, ჩემი კეთილი მეუღლე, ყავას გვიმზადებდა და ზემო ბავარიისათვის შემოდგომობით, გარიყრაჟზე, სავალდებულო ბურუსიდან გრილმა დღემ გამოსახვა დაიწყო, გაზეთში წავიკითხე ჩვენს მიერ წყალქვეშა ომის იღბლიანი განახლების შესახებ, რის შედეგადაც ერთი დღე-ღამის განმავლობაში თორმეტი გემი მოესპოთ, მათ შორის ორი დიდი სამგზავრო თბომავალი, ერთი ინგლისისა და ერთიც ბრაზილიისა — ხუთასი მგზავრი თურთ. ამ წარმატებას ჩვენ საარაკო თვისებების ახალ ტორპედოს ვუმადლით, რომლის შექმნაც გერმანულმა ტექნიკამ შეძლო, და მე არ ძალმიძს ჩვენი მარად დაუცხრომელი გამომგონებლობის უნარით მოგვრილი კმაყოფილება ჩავიკლა; ამდენი კონტრდარტყმის შედეგადაც ქედს არ იხრის ჩვენი ნაციონალური სიჩაუქე, ისევ და ისევ პირწმინდად

რომ იმ რეჟიმის განკარგულებაშია, რომელმაც ამ ომამდე მიგვიყვანა და ჭეშმარიტად ჩვენს ფერხთა-წინაშე დასცა კონტინენტი, ხოლო ინტელექტუალური ოცნება ევროპულ გერმანიაზე ცოტა არ იყოს შემაკრთობელი, ცოტათი მყიფე და, როგორც ჩანს, მსოფლიოსათვის აუტანელი გერმანული ევროპის სინამდვილით შეცვალა. მაგრამ ეს უნებლიე კმაყოფილების გრძნობა ვერ აქარწყლებს იმ აზრს, რომ ისეთ ეპიზოდურ ტრიუმფებს, როგორიცაა ეს ახალი ამბავი — ხომალდების ჩაძირვა ანდა, განყენებულად თუ ვიმსჯელებთ, ჰუსარულ გამოსდომასავით გაბედული და დიდებულად განხორციელებული ოპერაცია — დამხობილი იტალიელი დიქტატორის მოტაცება, მხოლოდ ცრუ იმედების გაღვივება და ომის გახანგრძლივება შეუძლიათ, რომელსაც, ჭკვიანი ხალხის აზრით, უკვე ვეღარ მოვიგებთ. ასეთსავე აზრს ადგას აგრეთვე ჩვენი ფრანკონის თეოლოგიური უმაღლესი სასწავლებლის მეთაური — მონსენიორ ჰინტერფორტენერი, როგორც მიუკიბ-მოუკიბავად გამომიტყდა ერთ საღამოს, როცა მარტონი შევექცეოდით ლუდს, — კაცი, რომელიც სულაც არა ჰგავს იმ მგზნებარე სწავლულს, რომელიც სტუდენტთა ამბოხს ხელმძღვანელობდა მიუნჰენში, სამარცხვინოდ რომ ჩაახრჩვეს სისხლში, მაგრამ ქვეყნისა ესმის და ილუზიებით არ იკვებება, მათ შორის არც იმით, რომელიც ომის ვერ მოგებასა და ომის წაგებას შორის განსხვავებას ებლაუჭება, ანუ ადამიანებს სინამდვილეს უმაღლავს, რომ ერთობ აზარტულად ვითამაშეთ, ყველაფერი ბედის სასწორზე შევაგდეთ და ჩვენს მიერ მსოფლიოს დაპყრობის ცდის მარცხით დამთავრება უპრეცედენტო ნაციონალური კატასტროფის ტოლფასი იქნება.

ყოველივე ამას იმიტომ ვამბობ, რომ მკითხველს მოვაგონო, რა ისტორიული ვითარებაში იწერება ლევერკიუნის ცხოვრების მატთანე, და საცნაურყოს, რომ ჩემს სამუშაოსთან დაკავშირებული მღელვარება განუწყვეტლად ერწყმის ბობოქარი დღევანდელით მოგვრილ მღელვარებას და ლამის ვეღარ გავარჩიო ერთი მეორისაგან. მე გონებაგაფანტულობას არ ვგულისხმობ, რადგან მიმაჩნია, რომ მიმდინარე ამბები არსებითად ხელს ვერ შემომილიან ბიოგრაფიის დაწერაში. და მაინც, თუმცა პირადად ყველაფრისაგან განდგომილი ვარ, უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენი დროება არცთუ ისე ხელსაყრელია ამგვარი მიზნის განსახორციელებლად დაუცხრომელი მუშაობისათვის. თანაც, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ სწორედ მიუნჰენში მომხდარი შფოთისა და სიკვდილით დასჯების დროს

მთელი ათი დღით გრიპმა ჩამაგდო ლოგინად, საშინელი შემცივნე-ბითა და ძაგძაგით რომ იწყებოდა და სამოცი წლის კაცს შემდეგ კიდევ კარგა ხნით წამართვა ძალ-ღონე, გასაკვირი არ არის, რომ გაზაფხულს ზაფხული მოჰყვა, გვიანი შემოდგომაც კი დადგა მას შემდეგ, რაც ამ მატიანის პირველი სტრიქონები ქალაქზე გადავიტანე. ამასობაში საჰაერო თავდასხმების შედეგად ჩვენი ღირსსახს-ოვარი ქალაქების ნგრევაც გამოვცადავთ, რაც ცათა შინა მლა-ღადებელი ამბავი იქნებოდა, ყველაფერი ჩვენი ბრალი რომ არ იყოს. მაგრამ, ვინაიდან ჩვენა ვართ დამნაშავენი, ლალადისი ჰაერში იფან-ტება და მეფე კლავდიუსის ლოცვის დარად „ზეცას ვერ აღწევს“. მაგ-რამ უამისოდაც რა უცნაურად გაისმის მოთქმა-ვაება ხელყოფილი კულტურის გამო, იმ უბედურებების გამო, ჩვენ თვითონვე რომ და-ვიტეხეთ თავს, იმათი პირიდან, ვინც ისტორიის ასპარეზზე ფეხი შემოდგა, როგორც მსოფლიოს ვითომდა გამაახალგაზრდავებელი, ყოვლად უწმინდური ზარბაზროსობის მაცნემა და მატარებელმა! მრავალგზის ისე ახლო მოსდგომია ჩემს სენაკს მოზრიალე, მოდგანდ-გარე სიკვდილი, რომ სუნთქვა შემკვრია; დიურერისა და ვილიბლდ პირკჰაიმერის ქალაქის საშინელი დაბომბვა სულ ახლახან მოხდა, ხოლო როდესაც მიუნჰენის განკითხვის დღეც დადგა, ფერნასული ვიჯექი კაბინეტში, ვკანკალებდი სახლის კედლებთან, კარებთან და ფანჯრის მიწებთან ერთად და ისე ვწერდი აცახცახებული ხელით ადრიანის ცხოვრების ისტორიას. ხელი ხომ ისედაც მითრთის თხრ-ობის საგანთან დაკავშირებულ მიზეზთა გამო. ასე რომ, მაინცდა-მაინც არ ვიმჩნევდი, რომ ეს ჩვეულებრივი ხინჯი გარეთ მიმდინარე საშინელებათაგან ცოცხათი მიმწვავებოდა.

უნდა მოგახსენოთ, რომ სასოებითა და სიამაყით, რასაც გერმანიის ძლიერების დემონსტრირება აღძრავდა ჩვენში, შევხვდით ვერმანტის ახალი იერიშების დანწყებას რუსთა ურდოების წინა-აღმდეგ, რომლებიც თავიანთ არცთუ სტუმართმოყვარე, მაგრამ მათთვის აშკარად ძალიან საყვარელ ქვეყანას იცავენ, – შეტევას, რაც ორიოდე კვირაში რუსების კონტრშეტევაში გადაიზარდა და რასაც შედეგად დაუსრულებელი, გარდუვალი ტერიტორიული დანა-კარგები მოჰყვა, თუ მხოლოდ ტერიტორიულ დანაკარგებზე ვილა-პარაკებთ. მთლად გაოგნებულებმა აღვიქვით ცნობა ამერიკელთა და კანადელთა ჯარების გადმოსხმის შესახებ სიცილიის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროზე, სირაკუზის, კატანიას, მესინის, ტაორგინის დაცემის შესახებ, და ერთსა და იმავე დროს შიშითა და შურით

ატანილებმა, აგრეთვე იმ გრძნობით გამსჭვალულებმა: — ჩვენ, არც კარგი და არც ავი გაგებით, ამის უნარი არ შეგვწევსო, შევიტყვეთ, რომ ქვეყანამ, რომლის სულიერი წყობა სკანდალური დამარცხებებიდან და დანაკარგებიდან ფხიზელი დასკვნის გამოტანის საშუალებას ჯერ კიდევ იძლევა, თავიდან მოიშორა თავისი დიადი კაცი, რათა შემდგომ მსოფლიოს იმაზე დაჰყაბულებოდა, რასაც ჩვენგანაც მოითხოვენ, მაგრამ რაზე დათანხმებაც ჩვენ ყველაფერზე უფრო გაგვიჭირდება — უსიტყვო კაპიტულაციაზე. დიახ, ჩვენ სულ სხვა ხალხი ვართ, ჩვენი ღრმად ტრაგიკული სული გაურბის სალად და ფხიზლად განსჯას, როგორც საყოველთაოდ ძილებულია, და ბედისწერას ვეტრფით, ყოველგვარ ბედისწერას, თუ იგი განსაკუთრებულია, დაე თუნდაც ზეცას ღმერთების დაისივით ძონისფრად ღებავდეს და დაღუპვას მოასწავებდეს!

ჩემს მუშაობას თან ახლდა მოსკოვიტების წინსვლა უკრაინაში, ჩვენს „მომავალ ბელელში“, და ჩვენი ჯარების მოქნილი უკან დახევა დნეპრის ხაზზე, — ან უფრო სწორად, ჩემი მუშაობა ახლდა ხსენებულ ამბებს. ეს რამდენიმე დღეა, ეტყობა, ვერც ეს თავდაცვითი მიჯნა აღმოჩნდა მტკიცე, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ფიურერი ჰაიჰარად ჩავიდა იქ და ერთი ამბით მოითხოვა უკან დახევის შეწყვეტა, ფრთოსანი გამოთქმა „სტალინგრადის ფსიქოზი“ გამოიყენა და ბრძანა: რადაც უნდა დასჯდომოდათ, დნეპრის ხაზი შეენარჩუნებინათ. ძვირადაც დაისვენს, ძალიან ძვირად, მაგრამ ამაოდ: საითკენ წავა და რამდენად შორს გადმოიღვრება წითელი ნიაღვარი, რაზედაც წერენ გაზეთებში, ამაზე შეიძლება მხოლოდ ჩვენმა ისედაც უკვე გადაჭარბებასა და ავანტიურიზმს მიჩვეულმა წარმოსახვამ იმკითხაოს. ვინაიდან განა ფანტასტიკური რამ არ არის და განა ყოველგვარ წესრიგსა და გამოცდილებას არ ეწინააღმდეგება იმის ვარაუდი, რომ შეიძლება თვითონ გერმანია იქცეს ერთ-ერთი ჩვენს მიერ გაჩაღებული ომის ასპარეზად? ოცდახუთი წლის წინ ამის თავიდან აცილება უკანასკნელ წამს შეეძლებოდა, მაგრამ ამჯერად, როგორც ჩანს, ჩვენი მზარდი ტრაგიკულ-გმირული ზარხოში ნებას აღარ მოგვცემს წაგებულ საქმეს მანამდე მოვეშვათ, ვიდრე წარმოუდგენელი რამ მოხდებოდეს. მაღლობა ღმერთს, ჩვენს მშობლიურ მინდორ-ველებსა და აღმოსავლეთიდან წამოსულ ჭირს შორის ჯერ კიდევ თვალუწვდენელი სივრცეებია. ამიტომ შეგვიძლია ამ ფრონტზე ერთხანს ზოგიერთ გულდასაწყვეტ დანაკარგს შევეურიგდეთ, რათა მით უფრო მედგრად დავიცვათ ჩვენი ევროპული სასიცოცხლო სივრცე

გერმანული წესრიგის დასავლელი დაუძინებელი მტრებისაგან. ჩვენს მშვენიერ სიცილიაში შემოჭრა ყველაფერს აფიქრებინებდა კაცს, მაგრამ იმას კი არა, რომ შესაძლებელი იყო მტერს იტალიის ხმელეთზეც მოეკიდებინა ფეხი. მაგრამ, საუბედუროდ, ესეც შესაძლებელი შეიქნა და გასულ კვირას ნეაპოლში კომუნისტურმა აჯანყებამ იფეთქა, რაც მოკავშირეებს ხელს აძლევდათ და რამაც აჩვენა, რომ ქალაქი ღირსი არ გახლდათ გერმანელთა ჯარების ყოფნისა. ასე რომ, ჩვენ თავანუქლებმა დავტოვეთ იგი, ოღონდ ჯერ საფუძვლიანად ავიკვლით ბიბლიოთეკა და მთავარ ფოსტაში კი დაყოვნებული მოქმედების ყუმბარა დავტოვეთ. ამასობაში ლამანშის სრუტიდან შემოჭრის ცდებზეც ლაპარაკობენ. ამისაგან თავდასაცავად კი გემებია საჭირო, და რიგითი მოქალაქე თავის თავს ეკითხება, უნებართვოდ, რა თქმა უნდა: ხომ არ შეიძლება ის, რაც იტალიაში მოხდა და გამორიცხული არ არის მთელ ნახევარკუნძულზეც გავრცელდეს, წინააღმდეგ ევროპის ციხე-სიმაგრის აულებლობის სავალდებულო რწმენისა, საფრანგეთშიც მოხდეს, ან კიდევ სადმე სხვაგანაც?

დიახ, მონსენიორი ჰინტერფორტნერი მართალია: ჩვენი საქმე წასულია. ესე იგი მე მიიხსენებდა ვთქვა, ომი ნავაგეთ-მეთქი. მაგრამ ეს მეტს ნიშნავს, ვიდრე რომელიმე სამხედრო კამპანიის წაგებას, ეს მართლაც დალუპვას ნიშნავს, ჩვენი საქმისა და სულის დალუპვას, ჩვენი რწმენისა და ისტორიის დალუპვას. გერმანიის საქმე წასულია, მას წირვა გამოუვა, გაუგონარი კატასტროფა ისახება, ეკონომიკური, პოლიტიკური, მორალური და სულიერი, მოკლედ, ყოველსმომცველი. ვერ ვიტყვი, თითქოს იმის მოსურნე ვიყავ, რაც გვემუქრება, რადგან ეს სასონარკვეთილებაა, სიგიჟეა. ვერ ვიტყვი, თითქოს ამის მოსურნე ვიყავ, რადგან ერთობ ღრმად თანავუგრძნობ, ვაი, რომ საშინლად მეტრალდება ეს უბედური ხალხი და როდესაც მის აღდგომასა და ბრმა აღზნებაზე ვფიქრობ, ამბობსა, ამხედრებასა და აღზევებაზე, ვითომდა ახალ გამასაპეტაკებელ წამონყებაზე, ხალხის ხელახალ დაბადებაზე, ათი წლას წინ, ამ ლამის წმინდა ზარხოშზე, რომელშიც – თითქოსდა მისი სიყალბის მამხილებელ ნიშნად – ამდენი გაუთლელია, ამდენი მომადორებელი სიმდაბლე, შერყვნის, მტარვალობის, დამცირების ამდენი ბინძური ყინი ერია, და რომელიც – ყოველი საქმეში ჩახედულისათვის აშკარა იყო ეს – უკვე მოასწავებდა ომს, მთელ ამ ომს, – გული მეკუმშება იმის წარმოდგენისაგან, რწმენის, აღტყინების, ისტორიული გზების რა უზარმაზარი კაპიტალი იქნა მაშინ

დაბანდებული და ახლა უმაგალითო გაკოტრების შედეგად სულ ერთიანად უნდა გაიფლანგოს. არა, ვერ ვიტყვი, თითქოს ამის მოსურნე ვიყავი, თუმცა კი უნდა ვყოფილიყავი, და ვუნცი კიდეც, რომ ვიყავი და დღესაც მოსურნე ვარ და მივესალმები კიდეც: გონიერების დანაშაულებრივი არად ჩაგდების, სიმართლის წინააღმდეგ მკრეხელური ამბოხის სიძულვილის გამო; გაცვეთილი მითის აღვირახსნილი, ბანალური კულტისა და უკვე გაუფასურებულის ოდესღაც ფასეულში გასაკიცხი აღრევის სიძულვილის გამო; ძველისა და ხალასის, მშობლიურისა და ახლობლის, ოდინდელისა და გერმანულის საპოხ მასალად და სასპეკულაციოდ ბოროტად გამოყენების სიძულვილის გამო; ყოველივე იმის სიძულვილის გამო, რისგანაც ბაქიბუჯა ბრიყვები და მატყუარები გამაბრუებელ სამსალას გვიკაზმავდნენ. მისგან მოგვრილი ზარხოში, ჩვენ, მარად ზარხოშს დახარბებულებმა, წლების მანძილზე თავს რომ ვიტყუებდით და მით გაბრუებულნი აურაცხელ სამარცხვინო ამბებს ჩავდიოდით, ახლა უნდა ვზლოთ. რითი? მე ეს სიტყვა უკვე ვახსენე. სიტყვა „სასონ-არკვეთილებასთან“ დაკავშირებით დავასახელე. მეტს აღარ გავიმეორებ. ორჯერ ვერ გადალახავ. კაცი იმ საშინელებას, რაც მე განვიცადე, როდესაც ოდნავ ზემოთ უხერხულად გადაღბნილი ასოებით იგი დავწერე.

* * *

ვარსკვლავებიც დასვენებაა მკითხველის თვალისა და გონებისათვის. ყოველთვის როდია მიზანშეწონილი რომაული ციფრი გამოიყენო, უფრო მკაფიოდ რომ ანანევრებს, და თანაც ხომ არ შეიძლებოდა ამ ექსკურსისთვის ანმყოში, რომელსაც ადრიან ლევერკიუნი აღარ მოსწრებია, დამოუკიდებელი თავის ხასიათი მიმეცა. მას შემდეგ, რაც მკითხველს ჩემი საყვარელი ნიშნით ტექსტი აღსაქმელად გავუიოლე, მინდა ეს მონაკვეთი ადრიანის მიერ ლაიპციგში გატარებული წლების შესახებ კიდევ რამდენიმე ცნობით შევავსო. თან თავს კი არ ვიტყუებ, რომ ამის გამო ეს ნაწილი საკმაოდ არაერთგვაროვანი გამოვა — ჰეტეროგენული მონაკვეთებისაგან შემდგარი, — ეს კი მით უფრო საგრძნობი იქნება, რომ წინა თავიც ამ მხრივ უნაკლო არ გახლავთ. თავიდან რომ ვკითხულობ ყველაფერს, რაზეც იქ ლაპარაკი იყო: ადრიანის გეგმებზე, მის სურვილზე ოპერა შეექმნა, აღრინდელ სიმღერებზე, კაემნით დაზაფრულ გამოხედვ-

აზე, რომელიც ჩვენს ერთად არყოფნაში გასჩენოდა, შექსპირის კომედიის სულიერ მომხიბლაობაზე, ლევერკიუნის მიერ უცხოურ ლექსებზე დაწერილ მუსიკასა და მის მფრთხალ კოსმოპოლიტიზმზე, აგრეთვე კაფე „ცენტრალის“ ბოჰემიელთა კლუბზე, რომლის ხსენებასაც რიუდიგერ შილდკნაპის, ცოტა არ იყოს, სადავოდ გაჭიანურებული აღწერა მოსდევს, — მე სამართლიანად ვეუბნები საკუთარ თავს: კაცმა რომ თქვას, ასეთი ნაირგვარი ელემენტები მთლიან ერთეულად ალბათ არც შეიძლება შეიკრას-მეთქი. მაგრამ მე განაოდეხსმე დამვიწყებია, სულ თავიდანვე, როდესაც ამ სამუშაოს ხელი მოვკიდე, რომ მესაყვედურებინა ხოლმე ჩემი თავისათვის მკაცრი და თანაზომიერი კომპოზიციური გემის უქონლობა? თავსაც მუდამ ერთნაირად ვიმართლებ: თხრობის საგანი ერთობ ახლოა ჩემთან-მეთქი. აქ მართლაც ძალიან იგრძნობა მასალასა და მთხრობელს შორის დაპირისპირების; მათ შორის არსებითი განსხვავების ნაკლებობა. განა მე არაერთხელ არ მითქვამს, რომ ცხოვრება, რომელსაც აღვწერ, ჩემთვის უფრო ახლობელი, ძვირფასი და ამაღელვებელი იყო, ვიდრე ჩემი საკუთარი? ყველაზე ახლობელი, ამაღელვებელი, შენეული, „მასალა“ არ არის, ეს პიროვნებაა და ხელოვნური დანაწევრებისათვის არ გამოდგება. ხელოვნების სერიოზულობას როგორ უარვყოფ, მაგრამ როდესაც სერიოზულადაა საქმე, ხელოვნებას თაკილობენ, მისი უნარი აღარ შესწევთ ხოლმე. მე შემიძლია მხოლოდ გავიმეორო, რომ ციფრები და ვარსკვლავები ამ წიგნში მკითხველის თვალისათვის გამიზნული ლიტონი დათმობაა და ჩემზე რომ იყოს, ყველაფერს სულის ერთი მოთქმით დავენერდი, რაიმე დანაწევრებისა, შენიშვნებისა და აბზაცების გარეშეც კი. ოღონდ გამბედაობა არ მყოფნის ესოდენ მოუწესრიგებელი ნაწარმოები მკითხველი საზოგადოების სამსჯავროზე გამოვიტანო.

* * *

ვინაიდან ლაიპციგში ადრიანთან ერთად მთელი წელიწადი გაატარე, ვიცი იქ დანარჩენ წლებსაც როგორ გაატარებდა: მისი ყოფაცხოვრების კონსერვატივში მეუბნება ამას, ხშირად გაქვავებულის შთაბეჭდილებას რომ ახდენდა და მე, ცოტა არ იყოს, სიმძიმის მგვრიდა. ამაოდ როდი გამოხატა იმ წერილში თავისი სიმპათია შოპენის „არაფრის არ ცოდნის სურვილისადმი“, „მისი უფათერაკო მყოფობისადმი“. თავადაც არაფერი არ სურდა სცოდნოდა, დაენახა,

არსებითად განეცადა, ამ სიტყვის გარეგნული, დემონსტრაციული მნიშვნელობით მაინც; არ ესწრაფოდა გარემოს გამოცვლას, ახალ შთაბეჭდილებებს, გართობას, დასვენებას, ხოლო თუ ამ უკანასკნელს — დასვენებას განსაკუთრებით შეეხებოდა, ადრიანი მასხარად იგდებდა იმ ხალხს, ვინც მარად ისვენებს, მზეზე შავდება, ძალას იკრებს, ოღონდ არავინ უწყის, რისთვის. „დასვენება, — იტყოდა ხოლმე ის, — იმათთვისაა მოგონილი, ვისაც იგი არას არგია“. არ უყვარდა არც მოგზაურობა სანახავად, დასათვალისწინებლად, „განათლების მისაღებად“. მჭირდავად ეკიდებოდა თვალის სიამეთ და რამდენადაც მგრძნობიარე სმენა ჰქონდა, იმდენადვე ნაკლებად ეხალისებოდა ოდითგანვე სახვითი ხელოვნების ნიმუშებით თვალის განაფვა. უტყუარად მიაჩნდა ადამიანთა ორი ტიპის არსებობა: მხედველთა და მსმენელთა, ოან საკუთარ თავს გადაჭრით მეორე ტიპს აკუთვნებდა. რაც შემეხება მე, მუდამ მიმაჩნდა, რომ ზედმიწევნით ასე დაყოფა შეუძლებელი იყო და მაინცდამაინც არც პირადად მისი სიბეცისა და უსინათლობისა მჯეროდა. თუმცა/გოეთეც ამბობს: მუსიკა რაღაც თანდაყოლილი, შინაგანია, და გარედან ბევრ საზრდოს, ცხოვრებიდან მიღებულ გამოცდილებას არ საჭიროებსო. კმაგრამ შინაგანი ხედვაც ხომ არსებობს, არის ხილვა, რაც სხვა რამეა და უფრო მეტს მოიცავს, ვიდრე უბრალოდ ხედვა. გარდა ამისა, მე ღრმა წინააღმდეგობას ვხედავ იმაში, რომ ლევერკიუნი ამდენ ყურადღებას აქცევდა ადამიანის თვალებს, რაც მხოლოდ თვალისავე მეშვეობით შეიძლება მოხდეს, და ამავე დროს უარყოფდა ამ ორგანოთი სამყაროს აღქმას. საკმარისია მხოლოდ ვახსენო მარი გოდო, რუდი შვერტფეგერი და ნეპომუკ შნაიდევანი, რათა საცნაურყო ადრიანის მგრძნობიარობა და სისუსტეც კი თვალების ხიბლის მიმართ, შავთვალებათა და ლურჯთვალებათა მიმართ, — თან ჩემთვის, რასაკვირველია, ნათელია, რომ შეცდომა მომდის, როდესაც მკითხველს მისთვის სრულიად არაფრის მთქმელ სახელებს ვაყრი, — მათ ხომ ხორცი შემდგომ უნდა შეისხან, — მაგრამ ამ უხეში შეცდომის სიაშკარავე ალბათ გაფიქრებინებთ, რომ იგი ნებაყოფლობით ჩავიდინე. თუმცა, კაცმა რომ თქვას, ეს „ნებაყოფლობა“ რაღას ნიშნავს? მე მშვენივრად მესმის, რომ ეს არაფრის მთქმელი სახელები იძულებული ვიყავი ნაადრევად მომეტანა აქ.

გრაცში ყოფნამ, სადაც სამოგზაუროდ არ წასულა, მკვეთრად დაარღვია ადრიანის ცხოვრების ერთფეროვნება. მეორე ასეთი დარღვევა იყო მისი შილდენაჰთან ერთად გამგზავრება ზღვის პირას,

რის უშუალო ნაყოფადაც შეიძლება ზემოხსენებული ერთნაწილიანი სიმფონიური სურათი ჩაითვალოს. მეორე გამონაკლისთან გახლდათ დაკავშირებული მესამეც – ბაზელს გამგზავრება, სადაც თავის მასწავლებელ კრეჩმართან ერთად წავიდა ბაროკოს დროინდელი სასულიერო მუსიკის კონცერტებზე დასასწრებად, რომელთაც ბაზელის კამერული გუნდი მართავდა წმ. მარტინის ტაძარში და კრეჩმარი კი ორგანის პარტიას ასრულებდა. მოისმინეს მონტევერდის „მაგნიფიკატი“, ფრესკობალდის ეტიუდები ორგანისთვის, კარისიმის ორატორია და ბუქსტეჰუდეს კანტატა. ამ „musica riservata“-მ, აფექტურმა მუსიკამ, ლევერკიუნზე გრანდიოზული შთაბეჭდილება მოახდინა. იგი რეაქცია გახლდათ ჰოლანდიელთა კონსტრუქტივიზმზე და ბიბლიურ სიტყვას საოცრად ადამიანურად ლაღად ეკიდებოდა, გამოხატვის დეკლამატორული სითამამით გამოირჩეოდა და ტექსტს დაურიდებლად კაზმავდა მრავლისმეტყველი ინსტრუმენტული აქცენტებით. შთაბეჭდილება წარუშლელი დარჩა და ადრიანი იმხანად წერილებშიაც და ზეპირადაც ხშირად მიზიარებდა თავის აზრს მონტევერდისთან შესამჩნევ მუსიკალურ საშუალებათა მოდერნიზაციაზე. ხშირად იჯდა აგრეთვე ლაიპციგის ბიბლიოთეკაში და ინერდა ადგილებს კარისიმის „იეჟთაედან“ და შიუცისეული „დავითის ფსალმუნნიდან“. ვინ არ აღიარებდა მის გვიანდელ კვაზისაექლესიო მუსიკაში, „აპოკალიფსსა“ და „დოქტორ ფაუსტუსში“, ამ მადრიგალიზმის სტილისტიკურ გავლენას? გამომსახველობისადმი დაუოკებელი მისწრაფება მუდამ წამყვანი ელემენტი იყო ლევერკიუნის ნიჭისათვის, ოღონდ მკაცრი წყობით, ნიდერლანდური ლინეარიზმით ინტელექტუალურ გატაცებასთან ერთად. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სიცხე და სიცივე ერთიმეორის გვერდით მძვინვარებდნენ მის შემოქმედებაში და ზოგჯერ, უგენიალურესი შთაგონების წამებში, ერთმანეთში იჭრებოდნენ: *espressivo** ეუფლებოდა ზუსტ კონტრაპუნქტს, ობიექტურ სურათს გრძნობის აღმური ედებოდა. ასე რომ, გაღველფილი კონსტრუქციის მაგვარი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რაც მე, როგორც არაფერი სხვა, ისე მიახლოებდა დემონურ სანყისთან და მუდამ იმ ცეცხლოვან ნახაზს მაგონებდა, თქმულების თანახმად, კიოლნის ტაძრის მერყევ ხუროთმოძღვარს ქვიშაზე რომ გამოესახა.

*გამომსახველობა (იტალ.).

შვეიცარიაში ადრიანის პირველად გამგზავრება კი მანამდე ზილტზე ყოფნასთან იმით იყო დაკავშირებული, რომ კულტურის სფეროში ესოდენ ქმედითი და შეუზღუდავი ამ პატარა ქვეყანაში იყო და ახლაც არის მუსიკოსთა გაერთიანება, რომელიც სხვა ღონისძიებებთან ერთად ატარებდა აგრეთვე ეგრეთ წოდებულ საცდელ საორკესტრო კითხვებს, lectures d'orchestre. ესე იგი: გაერთიანების ხელმძღვანელობა, იგივე უიური, ავალებდა ქვეყნის რომელიმე სიმფონიურ ორკესტრს და მის დირიჟორს ამა თუ იმ ახალბედა კომპოზიტორის ნაწარმოებთა შესრულებას, მაგრამ საჯაროდ კი არა, არამედ მხოლოდ სპეციალისტთა თანდასწრებით, რეპეტიციის დარად, რათა ახალგაზრდა შემოქმედთ საკუთარ ქმნილებათა მოსმენის, გამოცდილების შექენისა და აჟღერებული რეალობით ფანტაზიის დაქვენის საშუალება მისცემოდათ. ერთ-ერთ ასეთ კითხვას აწყობდა ჟენევაში, თითქმის ბაზელის კონცერტთან ერთდროულად, Orchestre de la Suisse Romande* და ვენდელ კრეჩმარმა ნაცნობების მეშვეობით იმას მიაღწია, რომ, როგორც გამონაკლისი, ახალგაზრდა გერმანელის ნაწარმოებზე — ადრიანის „ზღვის ჩირაღდნებიც“ შეიტანეს პროგრამაში. ადრიანისთვის ეს ნამდვილი სიურპრიზი იყო; კრეჩმარს სურდა გახუმრობოდა და მისთვის არაფერი უთქვამს, მაშინაც კი გუმანში არ იყო, როცა ბაზელიდან ჟენევას მიემგზავრებოდნენ „გასინჯვაზე“ დასასწრებად. და აი, ბატონმა ანსერემ დირიჟორის ჯოხი აიქნია და მისი „ფესვების თერაპია“ აჟღერდა, იმპრესიონიზმის დამეულ ნაპერწკლებად დაირხა პიესა, რომელსაც ადრიანი სერიოზულად არ ეკიდებოდა; თვით წერის დროსაც კი არ მოჰკიდებია სერიოზულად და ახლა, მისი კრიტიკული შესრულებისას, თითქოს ნაკვერჩხლებზე იჯდა. იმის ცოდნა, რომ მსმენელები აიგივებენ ნაწარმოებთან, რომელსაც შინაგანად უკვე გასცდა და რომელშიც მხოლოდ ეთამაშებოდა რაღაც ისეთს, რაც ახლა აღარა სწამს, ხელოვანისათვის სასაცილოც არის და სატანჯველიც. მაღლობა ღმერთს, ამგვარ კონცერტებზე მიღებული არ იყო მოწონებისა თუ დანუწების საჯაროდ გამოხატვა. განკერძოებით საუბრებში კი ბევრი ქება, პრეტენზია, შეცდომების მითითება, რჩევა მოისმინა ფრანგულ და გერმანულ ენებზე. თან არც აღტაცებულთ და არც უკმაყოფილოებს არ ეკამათებოდა, თუმცა არც კევრს უკრავდა ვინმეს. ბარე ათიოდედლე დაყო ადრიანმა კრეჩმართან ერთად ჟენევასა,

*ფრანგული შვეიცარიის ორკესტრი (ფრანგ.).

ბაზელსა და ციურიჰში, გაკვრით გაეცნო ამ ქალაქების ხელოვანთა წრეებს. ალბათ მაინცდამაინც დიდად არავის გაუხარდებოდა მისი ხილვა — გასაღებს ვერ მოუძებნიდნენ, განსაკუთრებით ვისაც უწყინარობის, გულღიაობის, ამხანაგური გულუხვობის პრეტენზია ჰქონდა. თითო-ოროლას ალბათ გულს აუჩუყებდა მისი მორიდებულობა, მარტოობა, რომლითაც გარემოცული იყო, გაიგებდა მისი ამალღებული არსებობის სიძნელეს, — უფრო მეტიც, დარწმუნებული ვარ, რომ ასე ხდებოდა, და დამახასიათებლადაც მიმაჩნია. გამოცდილებით ვიცი, რომ შვეიცარიაში ტანჯვის ყადრი იციან, კარგად იციან მისი გაგება, თანაც ეს ამბავი უფრო მეტად, ვიდრე სხვა რომელიმე უზენაესი კულტურის კერაში, ვთქვათ, ინტელექტუალურ პარიზში, დაკავშირებულია ძველ, ქალაქურ, ბიურგერულ ყოფასთან. აქ გახლდათ შეხების ფარული წერტილი. მეორე მხრივ, აქ ტრადიციული შვეიცარიული უნდობლობა გერმანიის იმპერიის მოქალაქის მიმართ ნააწყდა ქვეყნიერების მიმართ გერმანული უნდობლობის განსაკუთრებულ შემთხვევას — რა უცნაურადაც უნდა ჟღერდეს სიტყვა „ქვეყნიერება“, როდესაც იგი პანანკინტელა მეზობელი ქვეყნის მიმართ არის ნახმარი და ისიც ვებერთელა ქალაქების მქონე დიდი და ძლიერი გერმანიის იმპერიასთან შეპირისპირებით. მისი ასე გამოყენება უცილობლად მართებულია: ნეიტრალური, მრავალენოვანი, გაფრანგულებული, დასავლეთიდან ქარცემული შვეიცარია, მიუხედავად მინიატურული ფორმატისა, მართლაც ბევრად უფროა „ქვეყნიერება“, ბევრად უფრო ევროპულად გაპოზირებული ნიადაგია, ვიდრე პოლიტიკური კოლოსი მისი ჩრდილოეთით, სადაც სიტყვა „საერთაშორისო“ დიდი ხანია სალანძღავ სიტყვად იქცა და ისედაც შეხუთულ ატმოსფეროს უღიმღამო პროვინციალიზმი წამლავს. ადრიანის შინაგან კოსმოპოლიტიზმზე მე უკვე ვილაპარაკე, მაგრამ გერმანული მსოფლიოს მოქალაქეობა მუდამ სულ სხვა რამ იყო, ვიდრე ქვეყნად გამოსულობაა, ხოლო ჩემს მეგობარს ხომ საზოგადოებაში გამოსულობა სულაც არ იტაცებდა, მხოლოდ და მხოლოდ სულს უხუთავდა. კრეჩმარზე რამდენიმე დღით ადრე დაბრუნდა ლაიპციგში, ამ უთუოდ „ქვეყნიერების დამტევ“ ქალაქში, ოღონდ სადაც „ქვეყნად გამოსულობა“ უფრო სტუმრად არის, ვიდრე შინ, — სასაცილო კილოკავზე მეტყველ ქალაქში, სადაც წადილმა პირველად ხელყო მისი სიამაყე, თავზარდამცემმა განსაცდელმა, სავალალო ფათერაკმა, რასაც ქვეყნისაგან არ მოელოდა და რაც, თუ მე არ მეშლება,

ცოცხალი როდი უწყობდა ხელს მის გაუბედაობას საზოგადოებასთან ურთიერთობაში.

მთელი ოთხნელიწადნახევრის განმავლობაში, რაც ადრიანმა ლაიპციგში დაყო, მას არ გამოუცვლია ოროთახიანი ბინა პეტერს-შტრასეზე, „Collegium Beatae Virginis“-ის მახლობლად, სადაც პიანინოს თავზე კვლავ ეკიდა „მაგიური კვადრატი“. ისმენდა ლექციებს ფილოსოფიასა და მუსიკის ისტორიაში, კითხულობდა და ციტატებს იწერდა ბიბლიოთეკაში და კრემართან განსასჯელად მიჰქონდა კომპოზიციაში ნავარჯიშევი: საფორტეპიანო პიესები, „კონცერტი“ სიმებიანი ორკესტრისათვის და კვარტეტი ფლეიტის, კლარნეტისა, *corno di bassetto**-სა და ფაგოტისათვის, — მე ვასახელებ ისეთ პიესებს, რომელთაც ვიცნობდი და რომლებიც შემოგვრჩნენ, თუმცა დღემდე არ გამოქვეყნებულან. კრემარი სუსტ ადგილებს უთითებდა, შესწორებანი შეჰქონდა ტემპში, დუნედ მოქმედი რიტმის გამოცოცხლებაში ეხმარებოდა, ურჩევდა თემის უფრო რელიეფურად გამოკვეთას. მაშინვე შენიშნავდა, თუ რომელიმე შუა ხმა ფუჭად იკარგებოდა ან ხანი უძრავად იყო, ნაცვლად იმისა, რომ ემოდრავა, არ გამოეპარებოდა არც ერთი გადასვლა, რომელიც მხოლოდ გარეგნულად, არაორგანულად იყო დაკავშირებული წინა მონაკვეთთან და კომპოზიციის ბუნებრივ დინებას კითხვის ქვეშ აყენებდა. კაცმა რომ თქვას, კრემარი ეუბნებოდა ხოლმე იმას, რაც მონაფისათვის საკუთარ მხატვრულ ალლოსაც შეიძლებოდა ეკარნახებინა და რასაც უკვე ჰკარნახობდა კიდეც. მასწავლებელი ადეპტის სორცშესხმული სინდისია, რომელიც ეჭვებს უდასტურებს, უკმაყოფილების მიზეზებს განუმარტავს, სრულყოფილებისაკენ მისწრაფებას უღვივებს, მაგრამ ადრიანისნაირ შეგირდს შემსწორებელი და დამრიგებელი არც სჭირდებოდა. შეგნებულად მიჰქონდა მასთან დაუმთავრებელი ნაწარმოებები, რათა იგივე მოესმინა, რაც თავადაც იცოდა, — და მერე თავი შეექცია ხელოვნების კრემარისეული გაგებით, რაც მისეულ გაგებას პირწმინდად ემთხვეოდა, — ხელოვნების გაგებით, — მახვილი ამ მეორე სიტყვაზე უნდა დაისვას, — რაც არსებითად ნაწარმოების იდეის მოსარჩლეა, ერთი რომელიმე ნაწარმოების იდეისა კი არა, არამედ თავად ოპუსის იდეისა საერთოდ, ანუ რაღაც თვითმყოფადი, ობიექტური და ჰარმონიული ქმნილებისა, —

*ბანის კლარნეტი (იტალია).

თავდებია მისი დამთავრებულობის, მთლიანობის, ორგანულობის, — რაც ავსებს ხარვეზებს, ადებს საკერებლებს და იმ „ბუნებრივ მდინარებას“ უზრუნველყოფს, რომელიც თავდაპირველად არ არსებობდა და, მაშასადამე, სულაც არ არის ბუნებრივი, არამედ ხელოვნურობის პროდუქტი გახლავთ, — მოკლედ, ეს თავდები უშუალოდ და ორგანულობის შთაბეჭდილებას ქმნის მხოლოდ შემდგომ და ისიც შუალობით. ხელოვნების ნაწარმოებში ბევრი რამ მოჩვენებითია, შეიძლება კიდევ უფრო შორს წასვლა და თქმა, რომ თავისთავად რგი, როგორც „ნაწარმოები“, ილუზიურია. პატივმოყვარეობის გამო გვარწმუნებს: ხელთქმნილი კი არა ვარ, არამედ ასევე გაჭნდი და ათენა პალადასავით იუპიტერის თავიდან გამოვხტი ქედური იარაღით მორთულ-მოკაზმულიო. მაგრამ ეს თვალთმაქცობაა. არც ერთი ნაწარმოები ასე არ დაბადებულა. საჭიროა მუშაობა, ხელოვანის მუშაობა ილუზიის შესაქმნელად. ჰოდა, მაშინ დაისმის კითხვა: ჩვენი შეგნების, ჩვენი შემეცნების, სიმართლის ჩვენეული გაგების დღევანდელ დონეზე დასაშვებია კიდევ თუ არა ასეთი თამაში, შესწევს კიდევ ამის უნარი კაცის გონებას, სერიოზულად ეკიდება კიდევ ამ თამაშს, რაიმე კანონიერ მიმართებაში იმყოფება კიდევ ნაწარმოები, როგორც ასეთი, როგორც თავის თავში ჩაკეტილი, თვითმყოფადი და ჰარმონიული ქმნილება, ჩვენს სრულიად არასაიმედო, პრობლემატურ და ჰარმონიულობას მოკლებულ საზოგადოებრივ ვითარებასთან? ხომ არ გადაიქცა დღეს ყოველგვარი ილუზია, თვით უმშვენიერესიც კი, და იქნებ სწორედ უმშვენიერესიც — სიცრუედ?

დაისმის კითხვა-მეთქი, ეს ნიშნავს: ვისწავლე-მეთქი საკუთარი თავისათვის ამ კითხვის დასმა ადრიანთან ურთიერთობის წყალობით, რომლის მახვილი თვალი ან, თუ ასეთი შესიტყვება დასაშვებია, მახვილი გრძობა ასეთ რამეებში აბსოლუტურად მოუსყიდავი იყო. ჩემი გულკეთილობა ოდითგანვე ვერ ეგუებოდა მსგავს შეხედულებებს, რომლებიც მას სასხვათაშორისოდ დასცდებოდა ხოლმე საუბარში და მე კი ტკივილს მაყენებდა — ჩემი შეურაცხყოფილი კეთილგანწყობილების გამო კი არა, არამედ ადრიანის გამო; გული მტკიოდა, ვლონდებოდი, ვშიშობდი, რადგან ამაში მისი ცხოვრების სახიფათო გართულებას, მისი ნიჭის გაფურჩქვნის დამაბრკოლებელ ფაქტორს ვხედავდი. გამიგონია, როგორ უთქვამს:

— ხელოვნების ნაწარმოები! ეს მოტყუებაა. ეს ისეთი რამეა, რისი არსებობაც რიგით მოქალაქეს სურს სწამდეს. მას აბათილებს სინამ-

დვილე და სერიოზული მიდგომა. ნამდვილი და სერიოზულია მხოლოდ და მხოლოდ ძალზე ხანმოკლე, უაღრესად მრავლისშემცველი მუსიკალური ნამი...

ვით არ უნდა დაველონებინე ამას, როდესაც ვუწყოდი, რომ თვითონ აპირებდა ხელოვნების ნაწარმოების შექმნას, რომ ოპერის შეთხზვას გეგმავდა!

ასევე მსმენია მისგან:

— დღესდღეობით ხელოვნების სინდისი უკვე ილაშქრებს ილუზიისა და თამაშის წინააღმდეგ. ხელოვნებას აღარ სურს ილუზია და თამაში იყოს, სურს შემეცნებად იქცეს.

მაგრამ ის, რაც თავის განსაზღვრას აღარ შეესაბამება, განა არსებობას არა წყვეტს საერთოდ? ან როგორ შეიძლება ხელოვნებამ როგორც შემეცნებამ იარსებოს? მე მაგონდებოდა, რაც კრეჩმარს მისწერა ჰალედან ბანალურის საუფლოს გაფართოების თაობაზე. ამას არ შეურყევია მასწავლებლის რწმენა თავისი მოწაფის მოწოდების შესახებ. მაგრამ ეს ილუზიისა და თამაშის წინააღმდეგ წამოყენებული უახლესი დებულებები, ესე იგი თვით ფორმის წინააღმდეგ მიმართული დებულებები ბანალურის საუფლოს ისეთ გაფართოებას მოასწავებდნენ, რომელიც უკვე დაუშვებელი ჩანდა და ხელოვნებას საერთოდ შთანთქმას უქადდა. დიდად შეშფოთებული ვეკითხებოდი საკუთარ თავს, რა ძალდატანება, ინტელექტუალური ფანდები, შემოვლითი გზები და ირონია იქნება საჭირო მის გადასარჩენად, კვლავ მოსაპოვებლად და ნაწარმოების შესაქმნელად, რომელიც უმანკოების პაროდია და იმ შემეცნებითობის შემცველი იქნებოდა, რისგანაც მოპოვებულ იქნა!

ჩემმა საბრალო მეგობარმა ერთხელ, ან უფრო ზუსტად, ერთხელ ლამით, საშინელი პირიდან, შემადრწუნებელი მაშვლისაგან უფრო დანვრილებით მოისმინა ის, რაც აქ გაკვირით მინიშნებულ იქნა. შესაბამისი ჩანანერი დაცულია და სათანადო ადგილას მას გაგაცნობთ. ეს ჩანანერი იყო, რომ ჩემს ინსტინქტურ შიშს ადრიანის მაშინდელი გამონათქვამების გამო საბოლოოდ მოჰფინა ნათელი და გასაგები გახადა. ხოლო ის, რასაც ზემოთ „უმანკოების პაროდია“ ვუწოდებ, — თავიდანვე რა ხშირად და რა თავისებურად ვლინდებოდა მის პროდუქციაში! შიგ, მუსიკალური ხელოვნების უზენაეს საფუძველზე და უკიდურესი დაძაბულობის ფონზე, მოიპოვება „ბანალურობანი“ — რასაკვირველია, სანტიმენტალურობის ან მსმენელის გემოვნებისადმი გაფაციცებული მამებლობის თვალსაზრისით კი არა, არამედ

ბანალურობანი ტექნიკური პრიმიტივიზმის თვალსაზრისით, ესე იგი მიამიტობანი ან მოჩვენებითი მიამიტობანი, რომელთაც მაცესტრო კრემარი ღიმილით მიუტყეებდა ხოლმე უჩვეულო შეგირდს: რალა თქმა უნდა; იმიტომ, რომ ისინი პირველი ხარისხის მიამიტობად არ მიაჩნდა, თუ ასე შეიძლება ითქვას, არამედ ახლისა და უგემოვნოს მიღმა მდგარ რალაცად, დამწყების სამოსელში გახვეულის მიერ გადადგმულ თამამ ნაბიჯად.

მხოლოდ ასე უნდა გავიგოთ ბრენტანოს ტექსტებზე დაწერილი ცამეტივე სიმღერაც, რომლებსაც, ვიდრე ამ მონაკვეთს დავამთავრებდე, აუცილებლად კიდევ ორიოდე სიტყვა უნდა ვუძღვნა. მათ ხშირად აღიქვამენ ფუნდამენტურის დაცინვადაც და განდიდებადაც ერთსა და იმავე დროს, ტონალურობის, ტემპერირებული სისტემის, საერთოდ ტრადიციული მუსიკის მტკივნეული მოგონებებით აღსავსე ირონიზირებას.

ლაიპციგში ყოფნისას ადრიანი უეჭველად იმიტომ თხზავდა ასე გატაცებით სიმღერებს, რომ მუსიკის ლირიკული შერწყმა სიტყვასთან მოსამზადებელ საფეხურად მიაჩნდა მის მიერ ჩაფიქრებული დრამატული შერწყმისათვის, მაგრამ, ეტყობა, ეს დაკავშირებული იყო იმასთანაც, რომ ადრიანს თავად ხელოვნების ბედი, ავტონომიური ნაწარმოების ისტორიული ხვედრი ადარდებდა. ეჭვი შეჰქონდა ფორმაში, როგორც ილუზიასა და თამაშში, და ალბათ ამიტომ სიმღერის მცირე და ლირიკული ფორმა ყველაზე უფრო მისაღებად, სერიოზულად და ხალასად ესახებოდა; ეტყობა, მის თეორიულ მოთხოვნას შემჭიდროება-სიმოკლის თაობაზე ყველაზე უფრო სიმღერა შეესატყვისებოდა. თან არა მხოლოდ ამ სიმღერათა საგრძნობი ნაწილია საკმაოდ ვრცელი, ვთქვათ, როგორიცაა: „ო, საყვარელო გოგონი“, ასობიანი შიფრით, აგრეთვე ჰიმნი „მხიარული მუსიკოსები“, „მონადირე – მწყემსს“ და ზოგიც სხვაც, არამედ ახლა ლევერკუნსაც სურდა, რომ ყველა ერთად განეხილათ და შეეფასებინათ, როგორც ერთი მთლიანი ნაწარმოები, რომელიც ერთი გარკვეული კონცეფციიდან, ფუძემდებელი ტონალობიდან, ერთ გარკვეულ, საოცრად ღრმა და საოცრად ამალეებულ მეოცნებე პოეტურ სულთან კონგენიალური კონტაქტიდან წარმოიშვა, და ამიტომ ცალკეული ნაწილების შესრულების წინააღმდეგი გახლდათ, მხოლოდ მთელი ციკლის შესრულებას მოითხოვდა მუდამ, დაწყებული ენით აუნერლად არეულ-დარეული „შესავლიდან“ შემდეგი ორი უცნაურად დამამთავრებელი სტრიქონით:

*ო ვარსკვლავო და ყვავილო, სულო და სამოსელო,
მარადო და დროებითო, ამოვ და სატანჯველო!*

და დამთავრებული პირქუშად შეაბჯრული და მძლე დასკვნითი პიესით: „ერთ რამეს ვიცნობ... სიკვდილი ჰქვია მას“. ეს რიგრიგობით მოთხოვნა ძალზე უშლიდა ხელს სიმღერათა საჯაროდ შესრულებას მის სიცოცხლეში, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ერთ-ერთი მათგანი, „მხიარული მუსიკოსები“, ხმათა კვინტიტისათვის არის დანერგილი: დედისა, ქალიშვილისა, ორი ძმისა და ბიჭუნასათვის, რომელმაც „სიყრმიდანვე მოიტეხა ფეხი“, ესე იგი ალტისა, სოპრანოსა, ბარიტონისა, ტენორისა და ბავშვის ხმისათვის. ესენი ციკლის ამ მეოთხე ნომერს ხან ერთად ასრულებდნენ, ხან ცალ-ცალკე და ხანაც დუეტად (სახელდობრ, ძმები). იგი პირველი პიესა იყო, რომელიც ადრიანმა გააორკესტრა, ან უფრო სწორად: მაშინვე სიმებიანი, ხის სასულე და დასარტყამი საკრავებისაგან შემდგარი პატარა ორკესტრისთვის დანერა, ვინაიდან ამ საკვირველ ლექსში ბევრია ლაპარაკი სალამურებსა, დაფსა, ეფენებსა და თეფშებზე, აგრეთვე ვიოლინოთა მხიარულ წრიპინზე. მათი მუშევრებით ფანტასტიკურად სევდიანი პატარა დასი ღამით, „როს კაციშვილი ვერა გხედავს“, თავიანთ სენაკში შეყუჟულ შეყვარებულებს, შეზარხოშებულ მეინახეებს, მარტოდმარტო მყოფ ქალწულს ჯადოსნური ჰანგების ქსელში ხვევს. განუმეორებელია ამ პიესის სული და განწყობა, მისი მუსიკის ირეალურობა და ოინბაზურობა, საამურობაცა და მტანჯველობაც ერთსა და იმავე დროს. და მაინც მე თავს ვიკავებ საუკეთესოდ მივიჩნიო ცამეტ სიმღერას შორის. მათგან ბევრია ისეთი, სადაც მუსიკალური განსახიერება უფრო ღრმაა, ვიდრე ამაში, მუსიკაზე სიტყვიერად მლაღადებელში.

„გველების მზარეული დიდება“ — ეს კიდევ სხვა სიმღერაა, სადაც გაისმის შეკითხვა: „მარია, ვის სახლში იყავ გადაკარგული?“ და შვიდგზის მეორდება: „ვაიმე, დედიკო, ვაიმე!“ იგი საარაკო შთაგონებით აცოცხლებს გერმანული ხალხური სიმღერის გულითადობით, კრთომითა და ჟრუანტელის მომგვრელი ამბებით აღსავსე არეალს, ვინაიდან აქ მართლაც ასეა, რომ ეს მცოდნე, ნაღზე ნაღდი და ჭკვიანურზე ჭკვიანური მუსიკა გაუთავებელი წვითა და დაგვით ხალხურ ყაიდას მიეღტვის, მაგრამ ხალხური ჰანგი სავსებით მაინც ვერ ყალიბდება: თითქოს არის კიდევ და არც არის, ნაწყვეტ-ნაწყვეტად ეღერს, აუღერდება და მაშინვე მისთვის შინაგანად უცხო მუსიკალურ

სტილში ინთქმება, საიდანაც მერე კვლავ დაბადებას ლამობს. ამალ-ელვებელი ესთეტიკური ეფექტი წარმოიქმნება, რაც ამასთანავე კულტურის პარადოქსიც არის, რადგან ბუნებრივი განვითარების ჩარხი, რომლის წაღმა ტრიალით პირველყოფილი სიმარტივიდან დახვეწილი და სულიერი იზრდება, უკუღმა იწყებს ტრიალს: თავდაპირველის როლს რთული და განვითარებული ასრულებს, ხოლო უბრალოება მისგან წარმოქმნას ლამობს.

*ვარსკვლავთა ფიქრი,
ჩუმი და წმინდა,
აღწევს ჩემამდე
შორეულ მხრიდან.*

ეს თითქმის სივრცეში მიმქრალი ხმოვანებაა, კოსმოსური ოზონი კიდევ ერთი პიესისა, რომელშიც სულები ოქროს ნავებით დაცურავენ ზეცის ტბაში და ბრწყინვალე სიმღერათა წკრიალა ჰანგები აღმა-დაღმა დანანაობენ.

*ერთუროს მიელტვის ყველაფერი, არსებობს რაიც,
ხელჩაკიდულნი ერთად ვლიან ლხენა და დარდი;
ვარსკვლავთა შუქი ჩანსულია ლამის წყვდიადში,
სუფევს ერთობა და კავშირი ქვეყნად მარადი.*

მთელ ლიტერატურაში ალბათ ძნელად თუ მოიძებნება სიტყვისა და ბგერის თანხვედრისა და ურთიერთდადასტურების მეორე ასეთი შემთხვევა. აქ მუსიკა საკუთარ თავს აპყრობს მზერას და თავის არსს განჭვრეტს. ჰანგების ეს ურთიერთმანუგეშებელი და სევდიანი ხელის ჩამორთმევა, ყოველ საგანთა ეს ერთმანეთში გარდამავალი, ნათესაობრივი გადახლართულობა-გადანწულობა — ეს განხლავთ იგი, მუსიკა, ხოლო აღრიან ლევერკიუნი კი — მისი ქაბუკი შემოქმედ...

კრეჩმარმა, ვიდრე ლაიპციგს დატოვებდა და ქალაქ ლიუბეკის თეატრის მთავარ დირიჟორად დადგებოდა, ბრენტანოს სიმღერების დაბეჭდვაზე იზრუნა. შოტმა საკომისიოდ მიიღო ისინი მაინცში, რაც იმას ნიშნავს, რომ აღრიანი (კრეჩმარისა და ჩემი თანადგომით — ჩვენ ორივენი ვმონაწილეობდით ამ საქმეში) კისრულობდა გამოცემის ხარჯებს და ინარჩუნებდა სააუტორო უფლებებს, ხოლო კომისიონერს სუფთა მოგების ოც პროცენტს ალუთქვამდა. ის საგულდაგულოდ ადევნ-

ებდა თვალყურს კლავირაუსცუგის მომზადებას, მოითხოვა ხეშეში და არა პრიალა ქალაღდი, თაბახის მეოთხედი ფორმატისა, განიერი მინდორი და ნოტების შილიფად განლაგება. გარდა ამისა, მისი დაჟინებით, გამოცემას წინ შენიშვნა წაუმძღვარეს, რომ ამ სიმღერების საჯაროდ შესრულება მხოლოდ ავტორის ნებართვით შეიძლებოდა და ისიც მხოლოდ მთლიანად, ცამეტივე პიესისა ერთად, რაც პრეტენზიულობაში ჩამოართვეს და რამაც თამამ მუსიკალურ პასაჟებთან ერთად დამატებითი სიძნელეები შეუქმნა ამ სიმღერებს საზოგადოებაში გზა გაეკაფათ. 1922 წელს გახშიანდნენ ისინი, მაგრამ ადრიანის თანდასწრებით კი არა, არამედ ჩემი, ციურიჰის საკონცერტო დარბაზში, ჩინებულ დოქტორ ფოლკმარ ანდრეს დირიჟორობით, ხოლო ბიჭის პარტიას კი, რომელმაც „ადრე მოიტეხა ფეხი“, „მხიარულ მუსიკოსებში“ ასრულებდა ერთი მართლაც ნაადრევად დასახიჩრებული და ყვარჯნით მთარული ბალლი, პატარა იაკობ ნეგლი — ზანზალაკივით წკრიალა და ენით აუნერლად გულში ჩამწვდომი ხმის პატრონი.

სხვათა შორის, მაინცდამაინც დიდი ამბავი როდია, მაგრამ მაინც მინდა გითხრათ, რომ კლემენს ბრენტანოს ლექსების ის ჯერ კიდევ ავტორის სიცოცხლეში გამოცემული მოხდენილი კრებული, რომელსაც ეყრდნობოდა ადრიანი მუშაობისას, ჩემი ნაჩუქარი გახლდათ: ნაუმბურგიდან ჩამოვუტანე ლაიპციგში ეს ტომეული. რასაკვირველია, ცამეტივე სიმღერა თვითონ აირჩია. ამაში ღვანლი არ მიმიძღვის, მაგრამ შემიძლია დავსძინო, რომ თითქმის ყოველი მათგანი ჩემს მოლოდინსა და სურვილებს შეესატყვისებოდა. რა შეუსაბამო საჩუქარიაო, იტყვის მკითხველი, ვინაიდან აბა, კაცმა რომ თქვას, რა ესაქმებოდა ჩემს წესიერებასა და განათლებას რომანტიკოსის ზმანებებთან, რაიც ბავშვურად მიამიტური ხალხურობიდან იჭრება ხოლმე, რომ არა ვთქვა, ნირს იცვლის-მეთქი, ლანდებისა და მოჩვენებების საუფლოში? მუსიკამ მაიძულა ეს ძღვენი შიმერთმია — მარტო ამას ვიტყვი პასუხად — მუსიკამ, რაც ამ ლექსებში ისე სათუთად თვლემს, რომ მის გასალვიძებლად ოსტატის ხელის ოდნავი შეხებაც კმარა.

XXII

როცა ლევერკიუნი 1910 წლის სექტემბერში, ესე იგი იმ დროს, როცა მე კაიზერსაშერნის გიმნაზიაში მასწავლებლობა დავიწყე, ლაიპციგიდან წამოვიდა, მანაც ჯერ სამშობლოს მიაშურა, ბუხელს,

რათა დის ქორწილს დასწრებოდა, რომელიც სწორედ მაშინ უნდა გადაეხადათ. მშობლებთან ერთად მეც ვიყავი იქ დაპატიჟებული. ურზულა ახლა უკვე ოცი წლისა იყო და ლანგენზალცელ ოპტიკოს იოჰანეს შნაიდევანზე თხოვდებოდა. ეს ჩინებული კაცი ერთ თავის მეგობარ ქალიშვილთან გაეცნო ერფურტის მახლობლად, ზალცას პირას მდებარე ამ წარმატებულ პატარა ქალაქში სტუმრად ყოფნისას. შნაიდევანი, ათი-თორმეტი წლით უფროსი თავის სასძლოზე, წარმოშობით შვეიცარიიდან იყო, ბერნელი გლეხის შვილი. ხელობა, სათვალის მინების გაპრიალება, სამშობლოში ესწავლა, მაგრამ შემდეგ ბედს გერმანიაში გადმოესროლა და ზემოაღნიშნულ ქალაქში სათვალის მინებისა და სხვა ოპტიკურ ხელსაწყოთა მალაზია გაეღო, რომელსაც წარმატებით უძღვებოდა. შნაიდევანი ძალზე კარგი შესახედაობისა გახლდათ და შენარჩუნებული ჰქონდა შვეიცარიული კილოს საამური სიღინჯე და სიღარბისლე, გაქვავებული ძველგერმანული გამოთქმებით რომ იყო შემკული და განუემორებელი საზეიმო ხმოვანებით შეფერილი, რაშიც ურზულ ლევერკიუნი უკვე ახლავე ბაძავდა საქმროს. პატარძალიც, თუმცა ლამაზიყო, ვერ იტყოდით, მაგრამ სანდომიანი არსება გახლდათ, სახის ნაკვთები მაშისა ჰქონდა, თავდაჭერით კი უფრო დედას ჰგავდა, თაფლისფერთვალეობა, ტანკენარი, ბუნებით გულთბილი და თავაზიანი. ასე რომ, ამ წყვილის დანახვა თვალს ახარებდა. 1911 წლიდან 1923 წლამდე მათ ოთხი შვილი შეეძინათ: როზა, ეცეხიელი, რაიმუნდი და ნეპომუკი, ყველანი პირმშვენიერი ქმნილებანი; ყველაზე უმცროსი კი, ნეპომუკი, ნამდვილი ანგელოზი იყო. ოღონდ ამის შესახებ უფრო გვიან, ჩემი მოთხრობის დასასრულს...

ქორწილზე ბევრი ხალხი არ იყო: მღვდელი, მასწავლებელი, ობერვაილერის თემის მამასახლისი მეუღლითურთ, კაიზერსაშერნიდან კი, ჩვენს გარდა, ცაიტბლომების გარდა, მხოლოდ ძია ნიკოლაუსი; ფრაუ ელსბეთის ნათესავები აპოლდიდან; ლევერკიუნების ვაისენფელზელი მეგობრები — ცოლ-ქმარი ქალიშვილითურთ, აგრეთვე ძმა გეორგი, აგრონომი, და მწე ქალი, ფრაუ ლუდერი, — ეს იყო და ეს. ვენდელ კრეჩმარმა ლიუბეკიდან მოლოცვის დეპეშა გამოგზავნა, რომელიც სწორედ სადილობის ჟამს მოვიდა ბუნელში, როცა მექორწილენი ისევ სუფრას უსხდნენ. საზეიმო ვახშამი არ ყოფილა. დილით დროულად მოვიყარეთ თავი და სოფლის ეკლესიაში ჯვრისწერის შემდეგ პატარძლის მშობლების სახლში დაბრუნებულები დიდებულ საუზმეს მივუსხედით სპილენძის ჭურჭლით მორთულ

მშვენიერ სასადილო ოთახში. ახალჯვარდანიერლები მალე ვაისენ-ფელზის სადგურზე წავიდნენ ეტლით მოხუცი თომასის თანხლებით, რათა იქიდან დრეზდენს გამგზავრებულიყვნენ, მაშინ როდესაც სტუმრები კიდევ რამდენიმე საათს ისხდნენ და ფრაუ ლუდერის მიერ დაყენებულ საუცხოო ხილის ლიქიორებს შეექცეოდნენ.

ადრიანმა და მე ნაშუადღევს „ძროხის ვარცლის“ შემოვლით სიონის მთამდე გავისეირნეთ, სალაპარაკო გვექონდა „Love's Labour's Lost“-ის არანაწირობის თაობაზე, რაც მე ვიკისრე და რის ირგვლივაც უკვე ბევრჯერ გვიმსჯელია ერთმანეთთან შეხვედრებისას და მიმონერაშიც. სირაკუზიდან და ათენიდან მე მოვახერხე მისთვის სცენარი და გერმანული ლიბრეტოს ნაწილები გამეგზავნა, რომლის შედგენისას ტიკსა და ჰერცბერგს ვეყრდნობოდი, მხოლოდ აქა-იქ, როცა შემოკლებები გარდუვალი იყო, თუ დავუმატებდი ჩემსას რამეს, თან შეძლებისდაგვარად ვცდილობდი სტილი დამეცვა. გულით მინდოდა მისთვის ლიბრეტოს გერმანული ვარიანტი მომეხვია თავზე, თუმცა ადრიანი ისევ და ისევ დედანზე აპირებდა ოპერის შეთხზვას.

ასეაქვს უხაროდა, რომ წვეულებას თავი დააღწია და ბუნების წიაღს შეერია. დაბინდულ თვალებზე ემჩნეოდა, შაკიკი აწუხებდა, და უნდა გითხრათ, უცნაური გრძნობა მეუფლებოდა, როდესაც ეკლესიაში და სუფრაზეც ასეთსავე გამომეტყველებას მამამისის სახეზეც ვაკვირდებოდი. ამგვარი ნერვული ტკივილი რომ სწორედ საზეიმო ვითარებაში გულის აჩუყებისა და აღელვების გამო უფარდებოდა კაცს, გასაგებია. ასე ემართებოდა მოხუცს. მაგრამ მისი ვაჟიშვილის შემთხვევაში კი საამისო ფსიქიკური საბაბი ალბათ უფრო ის გახლდათ, რომ იგი მხოლოდ ხათრით და იძულებით მონაწილეობდა ქალწულობის მსხვერპლად მოტანის ამ საზეიმო ცერემონიაში, მით უფრო, რომ საქმე მის დას შეეხებოდა. ოღონდ უხერხულობის გრძნობა იმის აღიარებით დაფარა, რომ ჩვენს შემთხვევაში ყველაფერი სადად და გემოვნებით და არა აბეზარი მეტიჩრობით ჩატარდა, რომ გვერდი აუარეს, როგორც მან თქვა, „ზოგიერთ ცეკვასა და ნეს-ჩვეულებას“. მან მოიწონა აგრეთვე ის ამბავიც, რომ ყველაფერი დღისით მოესწრო, რომ მოხუცმა მღვდელმა ნეფე-პატარძალი მოკლედ და სადად აკურთხა, ხოლო სუფრაზე გადაკრული სიტყვები არ ყოფილა, თავის დასაზღვევად საერთოდ სიტყვები არ წარმოუთქვამთ, და აი, ფატაც რომ არ ყოფილიყო, თეთრი სუდარა ქალწულობისა, და მიცვალებულის ატლასის ფეხს-

აცმელი, კიდევ უკეთესი იქნებოდაო. განსაკუთრებით კეთილგანწყობილი ჩანდა ნეფის მიმართ, რომელიც ამიერიდან ურზელის მეუღლე იყო./

— კარგი თვალები აქვს, — მითხრა მან, — ჯიშოანია, ყოჩალი, უნაკლია და სპეციაკი კაცი. მართლაც ღირსი იყო ჩემი დისთვის ხელი ეთხოვა, მისთვის ეცქირა, გული შევარდნოდა მასზე, შეუღლებოდა მას, ვითარცა ქრისტიანი ქრისტიანს, როგორც ჩვენ, თეოლოგები, ვამბობა, სამართლიანად ვამაყობთ რა, რომ ეშმაკს ხელიდან გამოვგლიჯეთ ხორციელი ერთად შეყრა და მისგან წმინდა საიდუმლო, ქრისტიანული შეუღლების წმინდა საიდუმლო შევქმენით. დიახაც სასაცოლოა, რომ ბუნებით ცოდვილი ამბის განწმენდა სიტყვა „ქრისტიანულის“ უბრალოდ წინ წამძღვარებით ხდება, რითაც, კაცმა რომ თქვას, ხომ არაფერი არ იცვლება. მაგრამ მაინც უნდა ვალიაოთ, რომ ბუნებით ავი საწყისის — სქესის — მოშინაურება გონივრული გამოსავალი იყო./

— მაინცდამაინც არ მახარებს იმის გაგონება, — შევესიტყვე მე, — რომ ბუნებას ბოროტ სულს მიჰკერძავ. ჰუმანიზმი, ძველიცა და ახალიც, ამას სიცოცხლის წყაროებისათვის ცილის დანამებას უწოდებს.

— ჩემო ძვირფასო, აქ ცილის დასანამებელი ბევრი არც არაფერია.

— ასე შეიძლება, — განვაგრძე მე ურყევად, — ყოველგვარი შემოქმედების უარმყოფელის როლში გამოხვიდე კაცი, არარაობის მებაჯრედ იქცე. ვისაც ეშმაკისა სჯერა, ის უკვე იმისი კერძია.

ადრიაანმა ანახდეულად ჩაიციანა.

— ხუმრობა არ გესმის. მე ხომ ღვთისმეტყველებით გელაპარაკებოდი და ამიტომ ისეც ვლაპარაკობდი, როგორც ღვთისმეტყველს შეშვენის.

— კეთილი, გეყოფა! — მივუგე მეც სიცილით, — ოღონდ შენს ხუმრობაში ხშირად უფრო მეტ სერიოზულობას ატან, ვიდრე სერიოზულად ნათქვამში.

ამ საუბარში რომ ვიყავით, თემის მერხზე ვისხედით ნეკერჩხლების ქვეშ, სიონის მთის მწვერვალზე, შემოდგომის ნასამხრალი მზის შუქით, განათებულნი, უნდა მოგახსენოთ, რომ მაშინ მე თვითონაც უკვე საქმრო მეთქმოდა, თუმცა ქორწილი და თვით საჯაროდ დანიშვნაც კი იმ დროისთვის იყო გადადებული, როცა სამსახურში ფეხს მტკიცედ მოვიკიდებდი. მე მეგობრისთვის ჰელქენსა

და ჩემი განზრახვის შესახებ მსურდა მომეთხრო. მისი მსჯელობა კი მაინცდამაინც საამისოდ არ განმანყობდა.

— და დაე იყვნენ ერთნი ხორცითა, — წამოიწყო მან ისევ. — განა ეს კურიოზული დალოცვა არ არის? პასტორმა შროდერმა, მადლობა ღმერთს, ციტირებისაგან თავი შეიკავა. ნეფე-პატარძლის თანდასწრებით ასეთი რამეების მოსმენა დიახაც უხერხულია. ისე კი, ეს ყოველივე კეთილი განზრახვით ითქმის და სწორედ ის გახლავს, რასაც მე მოშინაურებას ვუწოდებ. აშკარაა, ამითი შეუღლებიდან სურთ საერთოდ განდევნონ ცოდვის, გრძნობიერების, ავხორცობის ელემენტი, ვინაიდან ჟინს ხომ მხოლოდ ხორცის ორგვარობა აღვიძებს და არა ერთგვარობა, მაგრამ აქედანვე გამომდინარეობს, რომ მისი მოთხოვნა, ერთხორცინი იყავითო, სხვა არა არის რა, თუ არა მშვიდობიანი მი ნაჩმახი. მეორე მხრივ, იმაზე საკვირველი არა არის რა, რომ ერთ ხორცს მეორის მიმართ ჟინი აღვიძვრის — ეს ხომ გასაოცარი მოვლენაა, სიყვარულის სრულიად გამორჩეული ფენომენი. რა თქმა უნდა, გრძნობიერება და სიყვარული არავითარ შემთხვევაში არ უნდა გავთიშოთ. სიყვარულს რომ გრძნობიერებას უსაყვედურებდნენ, ყველაზე უკეთ ეს იმით შეიძლება მოვიბოდიშოთ, თუ, პირიქით, გრძნობიერებაში სიყვარულის ელემენტს წარმოვაჩინოთ. სხვისი სხეულისაკენ ლტოლვა ნიშნავს იმ მარადიული წინააღმდეგობის გადალახვას, რაც „მე“-სა და „შენ“-ს შორის, უცხოთა და საკუთარს შორის არსებობს. ხორცს — თუ კვლავ ქრისტიანულ ტერმინოლოგიას მივმართავთ — მხოლოდ საკუთარი თავი არ ეზიზღება. უცხოთან კი არაფერი არ ესაქმება. ხოლო როდესაც უცხო სხეული ერთბაშად გულის წადილისა და ვნების ობიექტად იქცევა, მაშინ „მე“-სა და „შენ“-ს შორის მიმართება ისეთნაირად მძაფრდება, რომ მის აღსანიშნავად „გრძნობიერება“ ფუჭ, არაფრის მთქმელ სიტყვად იქცევა. აქ სიყვარულის ცნების გარეშე იოლად ვერ წახვალ, თუნდაც სულიერი ამბები თითქოსდა სრულიად გამორიცხული იყოს. ყოველგვარი გრძნობადი აქტი ხომ სინაზესაც გულისხმობს, ადამიანი, იკლავს რა ვნებათა ლელვას, სხვასაც ანიჭებს ნეტარებას, ბედნიერებას სხვისი გაბედნიერების, სხვისთვის სიყვარულის განცხადებით ეწევა. „ერთხორცინი“ შეყვარებულნი არასოდეს არ ყოფილან, ამ დოგმატს კი სწადია ქორწინებიდან ჟინთან ერთად სიყვარულიც განდევნოს.

საკვირვლად აღელვებული და დაბნეული ციყავი მისი ნათქვამით და ვცდილობდი მისთვის არ შემეხედა, თუმცა ერთი სული კი მქონდა.

ყოველთვის რომ ასეთი გრძნობა მეუფლებოდა, როცა ხორციელ სი-
ამეზე იწყებდა ლაპარაკს, ზემოთ გაკვრით უკვე მიეუთითე. ოღონდ
ასე სიტყვაუხვი არასოდეს არ ყოფილა და მომეჩვენა, რომ მის ნათ-
ქვამში რალაც უცნაური ალგზნებულობა გამოსჭვიადა, ოდნავ შეს-
ამჩნევი უტაქტობა საკუთარი თავისა და, მაშასადამე, მსმენელის
მიმართაც, რაც მით უფრო მაშფოთებდა, რომ ვიცოდი, ყოველივე
ამას შაკიკისაგან დაბინდული თვალებით წარმოთქვამდა. ნათქვამის
დედააზრი კი მესალბუნებოდა კიდევ.

— ყოჩაღ, ლომკაცო! — ვუთხარი რაც შეიძლებოდა მხიარულად. —
საკითხის დამუშავებაც ასეთი უნდა! არა, ეშმაკთან არაფერი არ გეს-
აქმება. მე მგონი, შენთვის ნათელია, რომ ეს-ეს არის უფრო როგორც
ჰუმანისტი ლაპარაკობდი, ვიდრე თეოლოგი.

— სჯობია, ვთქვათ, როგორც ფსიქოლოგი, — მომიგო მან. — მათ
ნეიტრალური საშუალო პოზიცია უჭირავთ. თუმცა, მე მგონი, სიმა-
რთლე ყველაზე უფრო უყვართ.

— რა იქნებოდა, — შევთავაზე მე, — უბრალოდ გველაპარაკა პირად
თემაზე, შინაურულად და ბიურგერულად. მე მინდა გითხრა, რომ
გადავწყვიტე...

და გავანდე, რაც გუნებაში მქონდა, ვუამბე ჰელენეს ამბავი,
როგორ გავიცანი, როგორ დავახლოვდით და მერე დავსძინე: თუ ამის
შედეგად უფრო გულითადი იქნება შენი მოლოცვა, წინასწარ შემო-
ძლია ალგითქვა, რომ ჩემი ქორნილის ცეკვებსა და წეს-ჩვეულებე-
ბში მონაწილეობისაგან განთავისუფლებ-მეთქი.

ძალიან გახალისდა.

— საუცხოოა! — შესძახა მან. — კეთილო ჭაბუკო, შენ გინდა კანო-
ნიერად დაქორწინდე. რა კეთილსინდისიერი იდეაა! ამგვარ ცნობას
მუდამ, როგორც სიურპრიზს, ისე ხვდები ადამიანი, თუმცა
მოულოდნელი ამაში არა არის რა. მიიღე ჩემი ლოცვა-კურთხევა! But,
if thou marry hang me by the neck, if horns that year miscarry!

— Come, come, you talk greasily*, — მივუგე მეც ციტატით იმავე
სცენიდან, — შენ რომ იმ ქალიშვილს იცნობდე და ჩვენი ურთიერთო-
ბის ხასიათს, მაშინ ფიქრი აღარ გექნებოდა ჩემი მომავლისა.
პირიქით, გეცოდინებოდა, რომ ეს სიმშვიდესა და მყუდროებას
მომანიჭებს, უწყინარსა და აუმღვრეველ ბედნიერებას.

**მაგრამ თუ ცოლს შეირთავ, გვეიცები, ერთი წელიც არ გავა, რქებს დაგადგამენ!*
— კარგი, კარგი, ბინძურ რამეებს ლაპარაკობ (ინგლ.).

– ამაში ეჭვიც არ მეპარება, – მითხრა მან, – ეჭვი არ მეპარება, რომ ყოველივე წარმატებით დაგვირგვინდება.

ერთ წამს თითქოს უნდოდა ხელი ჩამოერთმია, მაგრამ მერე გადაიფიქრა. მცირე ხნით საუბრის ძაფი გაგვიწყდა, ხოლო როდესაც უკვე შინისკენ გავწიეთ, ისევ ჩვენი სჯა-ბაასის მთავარ საგანს დავუბრუნდით, დაგვეგმილ ოპერას, სახელდობრ, სცენას მეოთხე მოქმედებიდან, რომლის ტექსტით სულ ახლახან ვიხუმრეთ და რომელსაც მე აუცილებლად შესამოკლებელ ეპიზოდთა რიცხვს ვაკუთვნებდი, იქ რომ სიტყვიერი კინკლაობა გვხვდება, საკმაოდ უხამსი რამ არის და თანაც არც მაინცდამაინც აუცილებელია მოქმედების განვითარების თვალსაზრისით. ყოველ შემთხვევაში ზოგიერთი ადგილის შეკვეცა მაინც საჭიროდ მიმაჩნდა. კომედია არ შეიძლება ოთხი საათი გრძელდებოდეს – ეს იყო და არის კიდევ მთავარი პრეტენზია „მაისტერზინგერების“ მიმართ. მაგრამ აღრიანს, როგორც ჩანდა, სწორედ როზალინასა და ბოიეს „old sayings“: „Thou can’st not hit it, hit it, hit it“ და ა. შ. – ჰქონდა გამიზნული კონტრაპუნქტისათვის უვერტიურაში და ისეც ყოველ ეპიზოდზე მევაჭრებოდა, თუმცა კი გაეცინა, როცა ვუთხარი კრემარის მიამიტ ბაისელს მაგონებ, ნახევარი მსოფლიოს მუსიკაზე გადატანა რომ მოუნადინებია-მეთქი. ოლონდ თან დასძინა: ამგვარი შედარება სულაც არ მეთაკილება. დღემდე შემომრჩა იუმორით შეფერილი პატივისცემა, რასაც მუსიკის ამ უცნაური ნოვატორისა და კანონმდებლის მიმართ მისი სახელის პირველად გაგონებიდანვე განვიცდიდიო. შეიძლება აბსურდად მოგეჩვენოს, მაგრამ მასზე ფიქრი არასოდეს არ შემინწყვეტია, განსაკუთრებით ხშირად კი ბოლო ხანებში ვფიქრობო.

– აბა, გაიხსენე, – განაგრძო მან, – რა მყისვე გამოვექომაგე მის თვითმპყრობელურსა და ბალღურ თეორიას გაბატონებული და დაქვემდებარებული ბგერების შესახებ, რომელსაც ბრიყვულ რაციონალიზმს საყვედურობდი. ის, რაც ინსტინქტურად მომწონდა, თვითონაც ინსტინქტური რაღაც იყო და მუსიკის სულს მიამიტად შეესატყვისებოდა: ეს გახლდა მისწრაფება, კომიკური ფორმით გამოხატული, რა თქმა უნდა, მკაცრი სტილის მაგვარი რამის შექმნისაკენ. განვითარების უკვე სხვა, უკვე ნაკლებად ბალღურ დონეზე მყოფთ, ჩვენც ისევე გვჭირდება დღეს ამნაირი კაცი, როგორც მის ბატყენებს სჭირდებოდათ მაშინ, – სისტემის შემქმნელი კაცი, ობიექტურის

**აკვირებული გამონათქვამი: „შენ არ ძალგობს მოახვედრო, მოახვედრო, მოახვედრო“ (ინგლ.).*

დამნახავი და მაორგანიზებელი დიდაქტიკოსი, საკმაოდ გენიალური იმისათვის, რომ ტრადიციული და თვით არქაულიც კი დაუკავშიროს რევოლუციურს, ურიგო არ იქნებოდა...

და გაეცინა.

— სულ შილდენაპივით დავინყე ლაპარაკი. ურიგო არ იქნებოდა-მეთქი! ვინ იცის, რამდენი რამე არ იქნებოდა ურიგო!

— შენს ნათქვამს არქაულ-რევოლუციურ დიდაქტიკოსზე, — ჩავურთე მე, — რაღაც ძალიან გერმანული სცხია.

— ჩემი ვარაუდით, — მომიგო მან, — ამ სიტყვას შექების მიზნით კი არ ხმარობ, არამედ მხოლოდ და მხოლოდ კრიტიკული დახასიათებისათვის. და ასეც ეგების. მაგრამ, გარდა ამისა, მას შეეძლო ეპოქით განპირობებული საჭიროებაც გამოეხატა, სალბუნის მაგვარი რაღაც დამსხვრეულ კანონთა ყოველგვარ ობიექტურ ვალდებულებათა ლიკვიდაციის ეპოქისათვის, მოკლედ, თავისუფლების ეპოქისათვის, — თავისუფლებისა, რაც ნიჭს ნაცარივით ედება და უნაყოფობის ნიშნებს აჩენს.

მე შემაკრთო ამ სიტყვის გაგონებამ, ოღონდ მიჭირს იმისი თქმა, თუ რატომ. მისი ბაგით წარმოთქმული, საერთოდ მის მიმართ ნახმარი, იგი შემარქვიფებლად მოქმედებდა ჩემზე. ერთმანეთში უცნაურად აღრეულ შიშსა და მოკრძალებას აღძრავდა. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ უნაყოფობა, საზარელი დამბლა და პროდუქტიულობის დახშობა მის სიახლოვეს ყოველთვის ლამის როგორც რაღაც დადებითი და საამაყო აღიქვებოდა, როგორც ამალღებულ და სპეტაკ განსულიერებულობასთან განუყრელი რამ.

— ტრაგიკული ამბავი იქნებოდა, — ვუთხარი მე, — თუ უნაყოფობა ოდესმე თავისუფლების შედეგი აღმოჩნდებოდა. თავისუფლების მოსაპოვებლად ხომ მუდამ პროდუქტიული ძალების გააზატების იმედით იბრძვიან!

— სწორია, — მომიგო მან, — და ისიც ერთხანს ამართლებს მოლოდინს. მაგრამ თავისუფლება ხომ სუბიექტურობის ჯუფთი სიტყვაა. ჰოდა, ერთ დღესაც ამ უკანასკნელისათვის აუტანელი ხდება საკუთარი თავი, ერთხელაც სასოება ეკარგება საკუთარი თავიდან შემოქმედებითი პოტენციის გამონურვისა და ობიექტურში ეძიებს თავშესაფარსა და ნავსაყუდელს. თავისუფლებას მუდამ აქვს საკუთარი თავის წინააღმდეგობად გადაქცევის დიალექტიკური მიდრეკილება, და სულ მალე აღმოჩნდება ხოლმე შებოჭილი, კანონს, წესს, იძულებას, სისტემას დაქვემდებარებული — იგი ვლინდება

ყოველივე ამაში, ანუ სხვაგვარად რომ ვთქვა, ამით არ წყვეტს არსებობას, როგორც თავისუფლება.

— ეს მისი აზრით, — გავიცინე მე, — რამდენადაც თვითონ ძალუძს განსაჯოს, მაგრამ ნამდვილად კი იგი უკვე აღარ არის თავისუფლება, ისევე როგორც აღარ არის თავისუფლება რევოლუციის შედეგად შობილი დიქტატურა.

— დარწმუნებული ხარ? — შემეკითხა ის. — ისე კი, ეს უკვე პოლიტიკური თემაა. ხელოვნებაში კი ყოველ შემთხვევაში, სუბიექტური და ობიექტური ერთმანეთში ისლართება, მათი გარჩევა შეუძლებელი ხდება, ერთი მეორიდან გამომდინარეობს და ერთი მეორის ხასიათს იძენს, სუბიექტური ობიექტურობად კონდენსირდება და გენიის მეშვეობით კვლავ თვითნებობად აღორძინდება — „დინამიკური ხდება“, როგორც ჩვენ ვამბობთ: ერთბაშად სუბიექტურის ენაზე იწყებს მეტყველებას. დღესდღეობით დამსხვრეული მუსიკალური კანონები მუდამ როდი იყვნენ ესოდენ ობიექტურნი, ესოდენ გარედან თავს მოხვეულნი. ისინი ცოცხალ გამოცდილებას ამკვიდრებდნენ და, როგორც ასეთნი, დიდხანს მნიშვნელოვან, აქტუალურ ამოცანას ასრულებდნენ, ორგანიზატორის ფუნქციას ასრულებდნენ. ორგანიზაცია ყველაფერია. უიმისოდ საერთოდ არაფერი არ არსებობს, ხოლო ხელოვნება ხომ მით უფრო. ჰოდა, ამ ამოცანის შესრულება იკისრა ესთეტიკურმა სუბიექტურობამ, ნაწარმოების საკუთარი თავიდან გამომდინარე, თავისუფალი ორგანიზება იტვირთა.

— შენ ბეთჰოვენს გულისხმობ.

— მას და მის ტექნიკურ პრინციპს, რომლის მეშვეობით დესპოტიური სუბიექტურობა მუსიკალურ ორგანიზაციას დაეუფლა, მამასადამე, თემის დამუშავებას სონატურ ალევროში. თემის დამუშავება სონატის მცირე რამ ნაწილს შეადგენდა, სუბიექტური შეფერილობისა და დინამიკისათვის მწირ თავშესაფარს. ბეთჰოვენმა იგი უნივერსალური გახადა, მთელი ფორმის ცენტრად აქცია, რომელიც თვით იქაც კი, სადაც კანონის მიერ უკვე წინასწარ განსაზღვრულია, სუბიექტურის მიერ შეინოვება და გააზატებული ხელახლა იშვება. ვარიაცია, ესე იგი არქაული რაღაც, რაღაც გადმონაშთი, ახალი ფორმის სტიქიურად შექმნის საშუალებად იქცევა. ვარიაციული დამუშავება მთელ სონატაზე ვრცელდება. ბრამსთან თემის განვითარება კიდევ უფრო ინტენსიური და ყრვლისმომცველია. იგი სანიმუშოა სუბიექტურობის ობიექტურად გარდაქმნის თვალსაზრისით! მასთ-

ან მუსიკა უარს ამბობს კანონიკურ სამკაულებზე, ფორმულებსა და გადმონაშთებზე, და, ასე ვთქვათ, ნაწარმოების ერთიანობის ყოველ წამს ხელახლა ქმნის თავისუფლებიდან. მაგრამ სწორედ ამის გამო აქ თავისუფლება ყოველმხრივი ეკონომიის პრინციპად იქცევა, რომელიც მუსიკას განწმენდს შემთხვევითი ბალასტისაგან და თან უკიდურეს მრავალფეროვნებას აღწევს ერთსა და იმავე ნირუც-ველელი მასალისაგან. სადაც არათემატიურის ნასახიც აღარ არის, სადაც აღარაფერია, რაც მარად ერთსა და იმავედან წარმოებულად არ ჩაითვლებოდა, იქ თავისუფალ სტილზე როგორღა შეიძლება ლა-პარაკი...

— მაგრამ ალბათ აღარც მკაცრ სტილზე ძველი გაგებით.

— ძველი გაგებით იქნება თუ ახლით, მე ახლა გეტყვი, რასაც მკაცრ სტილში ვგულისხმობ: ყველა მუსიკალური განზომილების სრულ ინტეგრაციას, მათს ინდიფერენტულობას ერთმანეთის მიმართ სრულყოფილი ორგანიზებულობის გამო.

— მერედა, შეიძლება ამას მიაღწიო?

— იცი, — მომიგო მან კითხვითვე, — ყველაზე უფრო სად მივუახლოვდი მკაცრ სტილს?

მე დავახანე. ის ჩუმად ლაპარაკობდა, რომ ლამის ველარ გაარჩევდი კაცი, სიტყვებს კბილებში სცრიდა. ასე სჩვეოდა, როცა თავის ტკივილი მოეძალებოდა ხოლმე.

— ერთხელ, ბრენტანოს ციკლში, — მითხრა მან, — „ო, საყვარელო გოგონიში“. იგი მთლიანად ერთი ძირიდან არის ნაწარმოები, მრავალგზის ვარირებად ინტერვალთა მწკრივიდან ხუთი ბგერისა: h-e-a-e-es, რაც ჰორიზონტალსაც და ვერტიკალსაც განსაზღვრავს და განაგებს, რამდენადაც კი ეს შესაძლებელია ძირითად მოტივში ნოტების ესოდენ სიმცირის დროს. ძირი აქ დათქმულ სიტყვასავით არის, შიფრით, რომლის ნიშნებიც მთელ სიმღერაში გვხვდება და უნდა იგი წარმოაჩინონ. მაგრამ ეს სიტყვა ერთობ მოკლეა და ნაკლებ გასაქანს იძლევა. მისი ბგერითი შედგენილობა ერთობ შეზღუდულია. კაცი კიდევ უფრო შორს უნდა ნახვიდე და ტემპერირებული ნყობის თორმეტი ნახევარტონიდან უფრო დიდი სიტყვები ჩამოაყალიბო, თორმეტასოიანი სიტყვები, თორმეტი ნახევარტონის გარკვეული კომბინაციები და ინტერრელაციები, — მწკრივები, რომლებიდანაც თანამიმდევრულად გამოიყვანება პიესა, ცალკეული ნაწილი ანდა მთელი მრავალნაწილიანი ნაწარმოები. მთელი კომპოზიციის ყოველი ბგერა, მელოდიურად და ჰარმონიულად, უნდა ავლენდეს

თავის მიმართებას წინასწარ განსაზღვრულ ძირითად მწკრივთან. არც ერთი არ უნდა განმეორდეს, ვიდრე ყველა დანარჩენი არ გახშირდება, არც ერთი არ უნდა აჟღერდეს, თუ თავის ფუნქციას არ შეასრულებს ჰანგების მთელ ნაგებობაში. თავისუფალი ნოტების ნასახიცი აღარ უნდა იყოს. აი ასეთ რამეს დავარქმევდი მე მკაცრ სტილს.

— განსაცვიფრებელი აზრია, — ვუთხარი მე, — და მას ყოვლისმომცველი რაციონალური ორგანიზაცია შეიძლება ეწოდოს. ამით არაჩვეულებრივ სისრულესა და შეთანხმებულობას, ლამის ასტრონომიულ კანონზომიერებასა და სისწორეს მიაღწევ კაცი. მაგრამ, თუ სწორად წარმომიდგენია, ამგვარ ინტერვალთა მწკრივის უცვლელად დაკვრა, რა ნაირგვარი კომბინაციებიცა და რიტმიც უნდა გამოიყენო, ალბათ აუცილებლად გამოიწვევს მუსიკის გაღარიბებასა და ერთ ადგილზე ტკეპნას.

— როგორც ჩანს, — მომიგო მან ღიმილით, რაც იმაზე მიუთითებდა, რომ ამ შენიშვნას მოელოდა. როცა ასე გაიღიმებდა, დედამისს კიდევ უფრო ემსგავსებოდა, მაგრამ ამას თან ახლდა გატანჯული კაცის ჩემთვის ნაცნობი გამოხედვაც, შაკიკის მოძალებისას რომ სჩვეოდა ხოლმე, — ოღონდ ასე მარტივადაც არ არის საქმე. ვარიაციების წარმოქმნის ყველა ხერხის ჩართვა მოგვიხდებოდა ჩვენს სისტემაში, თვით ისეთებისაც კი, რომელთაც ხელოვნურობას უკიჟინებენ, ესე იგი ისეთი საშუალებისთვის მიგვემართა, რამაც ოდესღაც დამუშავება მთელ სონატაზე გააბატონა. ჩემს თავს ვეკითხები ხოლმე, რისთვის ვვარჯიშობდი კრეჩმართან ამდენ ხანს ძველებურ კონტრაპუნქტში და ამდენი სანოტე ქალაღდი ავაჭრელე თემის შებრუნებადი ფუგებით, კიბოსებური სვლის ფუგებითა და კიბოსებური სვლის შებრუნებადი ფუგებით-მეთქი. ჰოდა, თურმე ყოველივე ამის გამოყენება შეიძლება თორმეტონიანი სისტემის მახვილგონიერი მოდიფიკაციისათვის. ძირითად მწკრივად ხომ გამოიყენება და გამოიყენება, მაგრამ, გარდა ამისა, მისი ყოველი ინტერვალის საპირისპირო მიმართულების ინტერვალით შეიძლება შეიცვალოს. შეიძლება აგრეთვე კომპოზიციის ბოლო ბგერით დაწყება და პირველით დამთავრება, შემდეგ კი ამ ფორმის კვლავ შებრუნება. ესეც შენი ოთხი კილო, რომლებიც თავ-თავიანთი მხრივ შეიძლება ტრანსპონირებულ იქნან ქრომატული გამის თორმეტივე ამოსავალ ბგერაზე. ასე რომ, ყოველი კომპოზიციის განკარგულებაში ორმოცდარვა სხვადასხვა ფორმაა და ვინ იცის, კიდევ რა ვარიაციული

ონები შეიძლება გამოვლინდეს. კომპოზიციას შეუძლია აგრეთვე ორი ან მეტი მწკრივი გამოიყენოს ამოსავალ მასალად ორმაგი და სამმაგი ფუგის მსგავსად. გადამწყვეტი აქ ის არის, რომ ყოველ ბგერას, გამონაკლისის გარეშე, თავისი ადგილი ეჭიროს მწკრივში ანდა მის რომელიმე განშტოებაში. ეს უზრუნველყოფდა იმას, რასაც მე ჰარმონიისა და მელოდიის განურჩევლობას ვუნოდებ.

— მაგიური კვადრატია, — ვუთხარი მე, — და შენ იმედი გაქვს, რომ ყოველივე ამას მოისმენენ?

— მოისმენენ? — ჩამომართვა სიტყვა, — გახსოვს ის საყოველთაოდ სასარგებლო ლექცია, ერთხელ რომ წაგვიკითხეს, საიდანაც გამომდინარეობდა, რომ აუცილებელი არ არის მუსიკაში ყველაფერი მოისმინო? თუ „მოისმენაში“ იმ საშუალებათა ზუსტსა და კონკრეტულ რეალიზაციას გულისხმობ, რომლებითაც უზენაესი და უმკაცრესი ნესრიგი წარმოიქმნება, ვარსკვლავთა სისტემების მაგვარი კოსმოსური ნესრიგი და კანონზომიერება, მაშინ არა, ამას ვერ მოისმენენ. მაგრამ თვით ამ ნესრიგის ნაყოფს მოისმენენ, ანდა შეიძლება რომ მოისმინონ, და მისი აღქმა მანამდე უცნობ ესთეტიკურ ტკობას მიანიჭებთ.

— განსაცვიფრებელი ამბავია, — ვუთხარი მე, — როგორც შენ აღწერ, მუსიკის შეთხზვა მუსიკის შეთხზვამდე უნდა ხდებოდეს. მასალას ხომ მანამდე დასჭირდება განაწილება და ორგანიზება, ვიდრე საკუთრივ ნამდვილი მუშაობა დაიწყებოდეს. ოღონდ აქ ისევ კითხვა ჩნდება: ნამდვილა მუშაობა რომელია, რადგან მასალის მომზადება ხომ ვარიაციის მეშვეობით ხორციელდება და ვარიაციის პროდუქტიულობა, რისთვისაც შეიძლებოდა საკუთრივ მუსიკის თხზვა გვეწოდებინა, წინასწარ მასალით არის განსაზღვრული. მაშასადამე, მასთან ერთად შეზღუდულია კომპოზიტორის თავისუფლებაც. როცა ის მუშაობას იწყებს, ის უკვე აღარ არის თავისუფალი.

— შებოჭილია მის მიერვე შემუშავებული ქარგით და, მაშასადამე, თავისუფალიც.

— დიახ, თავისუფლების დიალექტიკას ბოლომდე ვინ ჩასწვდება. მაგრამ, როგორც ჰარმონიის შემოქმედს, მას ალბათ თავისუფალს ვერ ვუნოდებდით, აკორდების წარმოქმნა რომ ალაღბებდზე არ იყოს დამყარებული, ბრმა განგებაზე?

— სჯობია, თქვა: კონსტელაციაზე-თქო, აკორდის წარმოქმნელი ყოველი ბგერის პოლიფონიურ ღირსებას კონსტელაცია განაპირობებს. ისტორიული შედეგები, დისონანსის ემანსიპაცია მისი გადაჭრისაგან, აბსოლუტიზაცია დისონანსისა, როგორც ამას ზოგ-ზოგან

უკვე გვიანდელ ვაგნერთან ვხვდებით, გაამართლებს ყოველგვარ თანხმოვანებას, რომელსაც სისტემის მიმართ თავისი კანონიერების დადასტურება ძალუძს.

— ხოლო თუ კონსტელაცია ბანალობა აღმოჩნდება, კონსონანსი, სამხმინი ჰარმონია, გაცვეთილი რამ, შემცირებული სეპტაკორდი?

— ეს იქნება მოძველებულის განახლება კონსტელაციის მეშვეობით.

— შენს უტოპიაში რესტავრაციის ელემენტს ვხედავ. იგი ერთობ რადიკალურია, მაგრამ ნაწილობრივ აუქმებს ყადაღას, რაც კონსონანსზე არსებითად უკვე დადებული იყო. ვარიაციის ძველებურ ფორმებთან უკან დაბრუნებაც საგულისხმოა ამ თვალსაზრისით.

— ცხოვრების საინტერესო მოვლენები, — მომიგო მან, — მუდამ ორსახოვანნი არიან, წარსულისაც სცხიათ რაღაც და მყობადისაც, მუდამ პროგრესულნიც არიან და რეგრესულნიც ერთსა და იმავე დროს, რაც თვითონ ცხოვრების ორაზროვნებაზე მეტყველებს.

— განა ეს განზოგადება არ არის?

— რისა?

— მშობლიური ეროვნული გამოცდილებისა.

— ოჰ, ზარ-ზეიმი რად გვინდა. და ნურც თავს გამოვიდებთ! მე მარტო იმის თქმა მინდა, რომ შენს მიერ გამოთქმული საწინააღმდეგო მოსაზრებანი, თუ ისინი მართლაც ასეთებად იყვნენ ჩაფიქრებულნი, სათვალავში მოსატანნი არ არიან ოდინდელი მოთხოვნის დაკმაყოფილებისას: რაც კი რამა ჟღერს, ყოველივეს მომწესრიგებელი ყურით აღქმისა და მუსიკის მაგიური ბუნების ადამიანური გონებისათვის დამორჩილების ცდისას.

— შენ გინდა ჩემს ჰუმანისტურ პატივმოყვარეობაზე იმოქმედო? — ვუთხარი მე. — ადამიანური გონებაო! და თან, მომიტევე, კონსტელაციას გაიძახი. ეს ტერმინი კი უფრო ასტროლოგიას განეკუთვნება. რაციონალობას, რომლისკენაც შენ მოგვინოდებ, ბევრი რამ სცხია ცრუმორწმუნეობისა — მოუხელებელი და ბნელი დემონური ძალების რწმენისა, რაც აზარტულ თამაშებში, ქალაღლით მკითხაობასა, კენჭის ყრასა და ნიშნების ამოცნობაში ელინდება. როგორც შენ ლაპარაკობ, შენი სისტემა პირიქით უფრო იმისთვისაა მოწოდებული, რომ ადამიანური გონება მაგიას დაუმორჩილოს.

ადრიანმა ერთად მიჯრილი თითები საფეთქელზე გადაისვა.

— გონება და მაგია, — თქვა მან, — ერთმანეთს დიახაც ხვდებიან და ერწყმიან კიდევ იმაში, რასაც სიბრძნესთან ზიარებას ეძახიან, ვარსკვლავთა, რიცხვთა რწმენაში...

მე აღარ შევსიტყვებივარ, რადგან ვხედავდი, თავი სტკიოდა. საერთოდ ისე მეჩვენებოდა, თითქოს მთლიანად მის ნალაპარაკევესაც ტკივილის დამლა აჯდა, მისი ნიშანწყალი არ სცილდებოდა, რა ღრმა-აზროვანი და დამაფიქრებელიც უნდა ყოფილიყო ნათქვამი. თვითონ, როგორც ჩანდა, ჩვენი საუბრის თემაზე აღარ ფიქრობდა, დინჯად მოაბიჯებდა, ძლივს გასაგონად ოხრავდა და ღლინებდა. მე კი, რალა თქმა უნდა, მთლიანად მისი ნალაპარაკევეთ ვიყავ მოცული, ოღონდ შეჩქვრეებულსა და გაოგნებულს მაინც მეყო ძალა გამეფიქრა, რომ ტკივილთან კავშირი აზრებს შეიძლება რალაც ელფერს სძენდეს, მაგრამ არა და არ აუფასურებს მათ.

დარჩენილი გზა ისე გამოვიარეთ, რომ ცოტას ვლაპარაკობდით. მახსოვს, რამდენიმე წამს „ძროხის ვარცლთან“ გაჩქერდით, რამდენიმე ნაბიჯით განზე გადავედით ბილიკიდან და გუბურაში ვიყურებოდით, თან ჩამავალი მზე სახეში გვიჭვრიტინებდა. გამჭვირვალე წყალში ჩანდა, რომ მხოლოდ ნაპირის მახლობლად იყო თავთხელი. ოდნავ მოშორებით კი ფსკერი ერთბაშად წყვედიადში ინთქმებოდა, ამბობდნენ, რომ გუბურა შუაში ძალზე ღრმა იყო.

— ცივია, — მითხრა ადრიაწმა და თავით წყლისკენ მიმანიშნა, — მეტისმეტად ცივია, რომ კაცმა ახლა იზანაოს. ცივია, — გაიმეორა ცოტა ხნის შემდეგ, თან ამჯერად ამკარად გააჟრიალა, და მოტრიალდა გზის განსაგრძობად.

იმავე საღამოს მე სამსახურებრივი მოვალეობის გამო კაიზერსა-შერნში მომიხნა დაბრუნება. მან კი კიდევ რამდენიმე დღით გადადო მიუნჰენში გამგზავრება, სადაც გადაწყვიტა დასახლება. ვხედავ, როგორ ართმევს ხელს მამას გამოთხოვებისას — უკანასკნელად, ოღონდ მან არ უწყოდა ეს; ვხედავ, როგორ კოცნის დედა და ალბათ ისეთნაირადვე, როგორც მაშინ, ოთახში, კრეჩმართან საუბრისას, მხარზე იხუტებს შვილის თავს. ვაჟს არ ეწერა და არც სურდა დედასთან დაბრუნება. დედა ჩავიდა მასთან.

XXIII

„თუ არ მიებლაუჭვი, ადგილიდან ხომ სულ ვერ დასძრავი“, — მწერდა ის კუმპფის გამოჯავრებით ორიოდე კვირის შემდეგ ბავარიის დედაქალაქიდან, ნიშნად იმისა, რომ ის „Love's Labour's Lost“-ის მუსიკის შეთხზვას უკვე შესდგომოდა, და მე კი დარჩენილი ტექსტის

არანაწირობა უნდა დამეჩქარებინა. მთლიანად გადახედვის საშუალება მინდა მქონდესო, — მწერდა ის, — ზოგიერთი საკვანძო ადგილის წერისას და მათ შორის მიმართების განსაზღვრისას ხანდახან წინ გადასწრება და მომდევნო ნაწილის გააზრებაც საჭირო ხდებოა.

იგი რამბერგშტრასეზე ცხოვრობდა, აკადემიის მახლობლად, მდგმურის მდგმურად იდგა ერთი ბრემენელი სენატორის ქვრივთან, გვარად როდესთან, რომელსაც თავის ორ ქალიშვილთან ერთად შედარებით ახალ სახლში პირველ სართულზე ჰქონდა ბინა ნაქირავები. ადრიანს წყნარ ქუჩაზე გამავალი ოთახი დაუთმეს, შესავალთან იქვე, მარჯვნივ, და მასაც მოეწონა იგი სისუფთავითა და სადა შინაურული მოწყობილობით. ასე რომ, სულ მალე დამკვიდრდა კიდევ იქ მთელი თავისი ავლადიდებით, თავისი წიგნებითა და ნოტებით. ოლონდ, ცოტა არ იყოს, მისთვის შეუფერებელი სამკაული გახლდათ კაკლის ხის ჩარჩოში ჩასმული ვეება გრავიურა მარცხენა გვერდით კედელზე, განელეებული ენთუზიაზმის რელიქტი, რომელიც ფორტეპიანოსთან მჯდომ ჯაკომო მაიერბერეს გამოსახავდა. მანეტროს ზემთაგონებით ალსაცვთ თვალები ზევით აღეპყრო და თითებით კლავიშებს ეხებოდა, ირგვლივ კი მისი ოპერების პერსონაჟები დანანაობდნენ. ახალგაზრდა მდგმურს ეს აპოთეოზი არცთუ ისე საძაგლად ეჩვენა, თანაც როცა დაწნულ სავარძელში ჯდებოდა სამუშაო მაგიდასთან, მწვანე მაუდგადაკრულ უბრალო გასაშლელ მაგიდასთან, სურათი მის ზურგს უკან ექცეოდა ხოლმე. ამიტომ ხელი არ უხვლია მისთვის.

ოთახში პატარა ფისპარმონია იდგა და ძალიან ადგებოდა, თან ალბათ გარდასულ დღეებსაც აგონებდა. მაგრამ ვინაიდან სენატორის მეუღლეს უფრო ბალში გამავალ უკანა ოთახში სჩვეოდა ყოფნა, და დილაობით ქალიშვილების ჩამიჩუმიც არ ისმოდა, მის განკარგულებაში იყო როიალიც სასტუმრო ოთახში, ცოტათი ნახმარი, მაგრამ რბილი ტემბრის „ბექშტაინი“. სასტუმროში იდგა დალიანდაგებული სავარძლები, ბრინჯაოს კანდელაბრები, მოოქრული რიკულებიანი პატარა სკამები და მაგიდა, რომელსაც ფარჩის სუფრა ეფარა, ხოლო კედელზე ეკიდა მდიდრულ ჩარჩოში ჩასმული და ჟამთა დინებისაგან ძალზე გამუქებული ნახატი, ზეთის საღებავებით შესრულებული 1850 წელს. იგი ოქროს რქასა და გალატას ხედს გამოსახავდა. ერთი სიტყვით, აქ იყო ოდესლაც შეძლებულ ბიურგერულ ცხოვრებაზე მიმანიშნებელი ნივთები. საღამოობით სასტუმრო ოთახში არცთუ იშვიათად თავს იყრიდა მცირერიცხოვ-

ანი საზოგადოება, რომელსაც ადრიანი ჯერ უხალისოდ უერთდებოდა ხოლმე, მერე კი თანდათანობით შეეჩვია და ბოლოს გარკვეულ გარემოებათა გამო ლამის ოჯახიშვილის როლსაც კი ასრულებდა. ეს გახლდათ ხელოვანთა, ანდა ნახევრად ხელოვანთა წრე, ასე ვთქვათ, ნესიერი ბოჰემა, კარგად აღზრდილიცა და თან საკმაოდ თავისუფალიც, თავაშვებულიცა და თავშესაქცევიც იმისათვის, რომ ის იმედები გაემართლებინა, რომელთაც ქალბატონი სენატორის მეუღლე როდესაც განაწყვეს ბრემენიდან სამხრეთ გერმანიის დედაქალაქში გადაბარგებულიყო.

მისი მისწრაფებანი კი იოლად ამოსაცნობნი იყვნენ, ლუში თვალეები, ნაბლისფერი, ოდნავ შევერცხლილი და კონტად დახუჭუჭებული თმა, ბანოვანის თავდაჭერა, სპილოს ძვლის ფერი კანი და სასიამოვნო, ჯერაც საკმაოდ კარგად შენახული სახის ნაკვთები ჰქონდა და მთელი სიცოცხლე თავს მალალი საზოგადოების განებივრებულ წევრად რაცხდა, განაგებდა რა მოსამსახურეებით სავსე და ათასნაირი მოვალეობით გადატვირთულ ოჯახს. მეუღლის გარდაცვალების შემდეგ (აენატორის სამოსელში გამოჯგიმული ქმრის პორტრეტიც ამკობდა სასტუმრო ოთახს) საარსებო წყარო დაეშრიტათ, უამისოდ კი უთუოდ გაუჭირდებოდათ შეჩვეულ გარემოში ძველებურად ცხოვრება და სწორედ ამ დროს იჩინა ამ ქალში სიცოცხლის ხალისმა, ჯერაც გაუნელებელმა და, როგორც ჩანს, მანამდე არცთუ სავსებით დაკმაყოფილებულმა სურვილებმა, რომლებიც ცხოვრების ეპილოგის უფრო გულთბილ ადამიანურ გარემოცვაში საინტერესოდ გატარებისაკენ მოუხმობდნენ. წვეულებებს, როგორც თვითონ ირწმუნებოდა, ქალიშვილებისათვის მართავდა, მაგრამ ამკარა იყო, უფრო თავად სწყუროდა გართობა და კეკლუცობა. ყველაზე უფრო თავს იქცევდა წვრილმანი, ორაზროვანი, მაგრამ არა უხამსი ოხუნჯობით, გადაკრული თქმებით ხელოვანთა ქალაქის დაუდევარსა და ქარაფმუტულ წეს-ჩვეულებებზე, ანეკდოტებით ოფიციანტ და მენატურე ქალებზე, მხატვრებზე. მათი მოსმენისას სიცილს ვერ იმაგრებდა, ამპარტავნულად, კოკეტურად და ვნებიანად კისკისებდა ხოლმე ისე, რომ პირს თითქმის არ ალებდა.

მის ქალიშვილებს, ინესსა და კლარისას, ამკარად ეტყობოდათ, რომ არ უყვარდათ ეს სიცილი. მის გაგონებაზე ათვალწუნებით გადახედავდნენ ერთმანეთს, რითაც საცნაურს ჰყოფდნენ, როგორ აღიზიანებდათ მოზრდილ შვილებს დედის დაუცხრომელი ბუნება. ოღონდ, რაც შეეხება უმცროს ქალიშვილს, კლარისას, იგი შეგნებუ-

ლად, განგებ გახაზავდა ოჯახის ბიურგერული კალაპოტიდან ამოვარდნას. ტანმალალი და ქერა, კოსმეტიკური საშუალებებით შეთეთრებული დიდი პირისახისა, მკვეთრად მომრგვალებული ქვედა ტუჩისა და ძლივს შესამჩნევი ნიკაპის პატრონი, დრამატული მსახიობის კარიერისათვის ემზადებოდა, სამეფო კარისა და ეროვნული თეატრის ხანში შესულ პრემიერთან მეცადინეობდა. უცნაურად ივარცხნიდა ოქროსფერ თმას, ბორბლისოდენა შლაპებს იხურავდა და ეგზოტიკურ ფრინველთა ნაკრტენის ექსცენტრული შარფები უყვარდა. ისე კი, ყოველივე ამას მისი წარმოსადგევი ტანი ძალიან კარგად იგუებდა და მყვირალა სამკაულები აგრერიგად აღარ ხვდებოდა თვალში კაცს. ძრწოლის მომგვრელი უცნაური მანჭიაობა უყვარდა და ეს ძალზე ართობდა მის თავყვანისმცემელთ. ერთი ყვითელი ხვაღი კატა ჰყავდა, სახელად ისააკი, და პაპის გარდაცვალების გამო გლოვის ნიშნად შავი ატლასის ბანტი გამოაბა კუდზე. მის ოთახში ბევრგან შეხვდებოდი სიკვდილის ემბლემას: არა მხოლოდ პრეპარირებულ, კბილებდაკრეჭილ ნამდვილ თავის ქალას, არამედ ბრინჯაოს პრეს-პაპიეს ფორმითაც. იგი წარმავალობისა და „მორჩენის“ სიმბოლოს ფოლიანტზე მწოლიარეს გამოსახავდა. ფოლიანტზე ბერძნული ასოებით „ჰიპოკრატე“ ეწერა. წიგნი შიგნიდან ღრუ იყო და ქვედა გლუვი მხარე ოთხი პატარა ხრახნით ჰქონდა მიმაგრებული, რომელთა ამოხრახნა მარტო საგანგებო, ძალზე ფაქიზი ხელსაწყოთი და ისიც ძალზე გაჭირვებით შეიძლებოდა. როცა შემდგომ კლარისამ იმ შხამით, შიგ რომ იყო დამალული, სიცოცხლე მოისწრაფა, ქალბატონმა სენატორის მეუღლემ ეს პრეს-პაპიე მე მისახსოვრა და მეც დღემდე ვინახავ.

ინესსაც, უფროს დასაც, ტრაგიკული რამის ჩადენა ეწერა. იგი განასახიერებდა — ხომ არ უნდა მეთქვა: ოლონდ-მეთქი? — პატარა ოჯახის კონსერვატიულ ელემენტს. ერთთავად პროტესტს აცხადებდა გადმოსახლების, სამხრეთ გერმანიის, ხელოვნების ქალაქის, ბოჰემის წინააღმდეგ, სალამოების წინააღმდეგ, რომელთაც დედამისი მართავდა. სულ უკან იყურებოდა, სულ ძველი, მამაპაპური, მკაცრი და სპეტაკი ბიურგერული ცხოვრება ენატრებოდა. ოლონდ ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ ეს კონსერვატიზმი თავისებური თავდაცვითი ზღუდე გახლდათ მისი ჭირვეული ხასიათის ავადმყოფური გამოვლინებების წინააღმდეგ, რითაც თან თავი მოჰქონდა კიდევ. იგი უფრო სუსტი აგებულებისა იყო, ვიდრე კლარისა, რომელსაც კარგად ეგუებოდა, მაშინ როდესაც დედას სი-

ტყვას არ უბრუნებდა, მაგრამ აშკარად გაურბოდა. მონაცრისფრო ქერა გრუნა თმა ტყვრად ადგა და თითქოს ამძიმებდა, ისე ირიბად წინ დახრილი ეჭირა თავი, მარად კისერნაგრძელებულსა და პირმოღმირს. ცხვირი ოდნავ კეხიანი ჰქონდა, ქუთუთოები ლამის უფარავდა წყლისფერ გუგებს, მათს დაღლილ, სათუთ და უნდობ მზერას, გამგებსა და სევდიან, მაგრამ ამასთანავე კვიმატ გამოხედვას. მისი აღზრდა-განათლება მაღალ საზოგადოებაში თავდაჭერის ნესებით შემოიფარგლა: ორი წელიწადი გაატარა კარლსრუეს კეთილშობილ გოგონათა ჰანსიონატში, რომელსაც სამეფო კარი მეურვეობდა. არც ხელოვნება, არც მეცნიერება არ იტაცებდა, უფრო რჩეობდა, როგორც ოჯახის ქალს შეეფერება, სახლისთვის მიეხედა, ოღონდ ბევრს კითხულობდა, ძალზე გამართული სტილით სწერდა ბარათებს „შინ“, წარსულში, ჰანსიონის გამგე ქალს, ყოფილ მეგობარ გოგონებს და ჩუმ-ჩუმად ლექსებსაც თხზავდა. ერთხელ მისმა დამ მაჩვენა ინესის ლექსი, რომელსაც „მალაროელი“ ეწოდებოდა. პირველი სტროფი ახლაც მახსოვს. აი ისიც:

*ვით მალაროში უშიშარი მალაროელი,
ვეშვები სულის მალაროში მშვიდად და დინჯად,
და ვუჭვრეტ ციმციმს უნაპირო ლამის წყვდიადში,
ტანჯვის მადანი რომ გამოსცემს წმინდათაწმინდა.*

შემდეგ აღარ მახსოვს. მხოლოდ ბოლო სტრიქონი ჩამრჩა მეხსიერებაში:

დამცხრალა ჩემი აღმაფრენა სამარადისოდ.

აი ჯერჯერობით ეს ქალიშვილების შესახებ, რომლებთანაც ადრინამა კეთილმეზობლური ურთიერთობა გააბა. დებიც დიდად აფასებდნენ მდგმურს და დედასაც აიძულებდნენ პატივი ეცა მისთვის, თუმცა თვითონ მიაჩნდა, რომ ადრიანს არტისტიზმი აკლდა. რაც შეეხება სტუმრებს, ზოგიერთ მათგანს და მათ შორის ადრიანსაც, ან როგორც მასპინძლები ამბობდნენ ხოლმე, „ჩვენს მდგმურ, ბატონ დოქტორ ლევერკიუნს“, დროდადრო ვახშმად პატიუებდნენ სასადილო ოთახში, უხვად მოჩუქურთმებული და ამ ადგილისთვის მეტისმეტად მონუმენტური მუხის ბუფეტით რომ იყო შემკული; სხვები კი ცხრა საათისთვის ან უფრო გვიან მოდიოდნენ ჩაიზე, სამუსიკოდ და სამ-

უსაიფოდ. უმთავრესად კლარისას კოლეგები იყვნენ, მგზნებარე ყმა-
წვილი კაცები, წინაენისმიერ რ-ს რომ წარმოთქვამდნენ, ქალიშ-
ვილები, რომელთაც კარგად დაყენებული ხმა ჰქონდათ, შემდეგ: ცოლ-
ქმარი კნოტერიჰები, — ქმარი — კონრად კნოტერიჰი, წმინდა წყლის
მიუწვენელი, გარეგნობით ძველგერმანელსა ჰგავდა, სუგამბრსა თუ
უბის — მარტო თავზე დაგრაგნილი ქოჩორიდა აკლდა, კაცმა არ იცო-
და, ხელოვნების რომელი დარგი შეადგენდა მის მოწოდებას, თითქოს
მხატვარი უნდა ყოფილიყო, ის კი, როგორც მოყვარული, საკრავთა
წარმოებას მისდევდა, დიდი გაშმაგებით, მაგრამ არაზუსტად უკრავ-
და ვიოლონჩელზე, თან ერთი ამბით სრუტუნებდა არწივისებური
ცხვირით; — ცოლი — ნატალია, შავგვრემანი, საყურეებიანი, ლამის
ღანვებამდე სწვდებოდა შავი დალალ-კავები და ესპანურ-ეგზოტიკურ
იერს ანიჭებდა, ესეც მხატვარი გახლდათ; აგრეთვე — ერთი სწავლული,
დოქტორი კრანიჰი, ნუმიზმატი, ნუმიზმატიკური მუზეუმის ზედამს-
ედველი, მკაფიოდ, მტკიცედ, მხიარულად და გასაგებად მოლაპარაკე,
ოღონდ ასთმიანი იყო და ხშირად სული ეხუთებოდა. კიდევ ორი
მეგობარი — მხატვრები, „სეცესიონის“ წევრები, ლეო ცინკი და ბაპ-
ტისტი შპენგლერი: პირველი ავსტრიელი იყო, ბოცენის მხრიდან,
ხუმარას როლში გამოდიოდა ხოლმე საზოგადოებაში, შემპარავმა მა-
სხარამ ამოდ, მაგრამ ნაყუ-ნაყუდ იცოდა ლაპარაკი და ნიადაგ საკუთ-
არ თავსა და თავის გრძელ ცხვირზე ოხუნჯობდა, ფაენისებური ტიპი
გახლდათ და ქალებს ერთმანეთთან ახლოს ჩამჯდარი მრგვალი თვალ-
ების მართლაც კომიკური გამოხედვით სიცილს ჰგვირდა, რაც მუდამ
კარგი დასაწყისია; მეორე, შპენგლერი, ცენტრალურ გერმანიაში იყო
დაბადებული, ვეება ქერა ულვაშები ჰქონდა, საუბრისას ერთთავად
ილიმებოდა და ხშირ-ხშირად ახამხამებდა თვალებს, საზოგადოებაში
გამოსული სკეპტიკოსი გახლდათ, ჰიპოქონდრიულად განწყობილი და
ნაკითხი, შეძლებული იყო და ცოტას მუშაობდა. ინეს როდე, მეტი რომ
არ შეიძლება, ისე უნდობლად ეკიდებოდა, ოღონდ არ ამბობდა, რის
გამო. ადრიანს ისე დაუნასიათა, როგორც ქვეშევრეშა და გაიძვერა
აღამიანი. ადრიანს კი მიაჩნდა, რომ ბაპტისტი შპენგლერს
ინტელექტუალურად დამამშვიდებელი რაღაც გააჩნდა და სიამოვნე-
ბით ებაასებოდა ხოლმე, მაშინ როდესაც გაცილებით ნაკლებად ასდ-
ევდა კიდევ ერთი სტუმრის მცდელობას, რომელიც მოწადინებული
იყო მისი გულჩათხრობილობა როგორმე გადაელახა. ეს გახლდათ
რუდოლფ შვერტფეგერი, ნიჭიერი ახალგაზრდა მევიოლინე, პირველი
ვიოლინოს პარტიებს ასრულებდა ცაჟფენშტოსერ-ორკესტრში,

რომელიც კარის კაპელასთან ერთად მნიშვნელოვან როლს თამაშობდა ქალაქის მუსიკალურ ცხოვრებაში. დაბადებით, დრეზდენში იყო დაბადებული, მაგრამ წარმომავლობით უფრო ქვემოგერმანელი გახლდათ, ქერათმიანი, საშუალო, მაგრამ კოხტა ტანისა; საქსონური ცივილიზაციისათვის დამახასიათებელ სინატიფესა და გულმისავლობას აერთიანებდა. გულკეთილიც იყო და თავმომწონეც; სალონებში სიარულის მოტრფიალე, ყოველ თავისუფალ საღამოს ერთ მათგანს მაინც ესტუმრებოდა ხოლმე, მეტწილად კი ორი და სამი წვეულების გამოცვლასაც ასწრებდა. უყვარდა მშვენიერ სქესთან არშიყოფა, ნორჩ ქალიშვილებთანაც ისევე, როგორც გაფურჩქნილ ქალებთან. ლეო ცინკი და ის ერთმანეთს ცივად ეპყრობოდნენ და ზოგჯერ გაკენწლავდნენ კიდევც ხოლმე ურთიერთს: ხშირად შემინიშნავს, რომ სანდომიანი აღამიანები ერთიმეორეს მაინცდამაინც ვერ იტანენ და რომ ეს თანაბრად შეეხება როგორც ლამაზ ქალებს, ისევე მათ დამპყრობ ვაჟკაცებსაც. რაც შეეხება მე, შვერტფეგერის საწინააღმდეგო არაფერი არ მქონდა, პირიქით, კეთილადაც ვიყავი განწყობილი, და მისმა ნაადრევმა, ტრაგიკულმა სიკვდილმა, რომელსაც ჩემთვის კიდევ სხვა, განსაკუთრებული ძრწოლა და ძრწუნვა ახლდა, სულის სიღრმემდე შემძრა. ახლაც ცხადად ვხედავ ამ ყმანვილ კაცს, პატარა ბიჭივით როგორ იქცევა, როგორ ისწორებს ტანსაცმლის სახელოს მხარზე და თან ოდნავ ემანჭება პირის კუნჭული; მაგონდება აგრეთვე მისი ჩვეულება, მიაშიტი დაჟინებით, თითქოს აღშფოთებული რომ მიაჩრდებოდა ხოლმე მოსაუბრეს, ამ დროს ბაგე გადაპობილი ჰქონდა, მოციხფრო ფოლადისფერ თვალებს კი ხან ერთ თვალში გაუყრიდა და ხან მეორეში. რა კარგი თვისებითლა არ იყო შემკული, რომ აღარაფერი ვთქვათ მის ნიჭზე, რომელსაც აგრეთვე წვლილი შეჰქონდა მის მომხიბვლელობაში. მას ახასიათებდა პირდაპირობა, წესიერება, ცრურწმენათა უქონლობა, ხელოვანის დაუდევარი, გულგრილი დამოკიდებულება ფულსა და სხვა მატერიალურ სიკეთეებთან, მოკლედ, გარკვეული სისპეტაკე, რაც მის – ვიმეორებ – ლამაზ მოციხფრო ფოლადისფერ თვალებიდანაც გამოკრთოდა, რაც მის თუმცა ბუღდოგისებურად თუ მოჰსისებურად მოყვანილ, მაგრამ ახალგაზრდულსა და მიმზიდველ სახეზე აღბეჭდოდა. ხშირად უკრავდა ის სენატორის მეუღლის – არცთუ ურიგო პიანისტის – თანხლებით და ამით, ცოტა არ იყოს, უკვე ხსენებული კნოტერიჰის ინტერესებს ბლავდა, რომელსაც ერთი სული ჰქონდა ხოლმე თავისი კონტრაბასისათვის გაესვა და გამოესვა, დამსწრე საზოგადოებას კი აშკარად

რუდოლფის მოსმენა უფრო სურდა. უკრავდა სუფთად და დახვეწილად, მისი დაკრული ხმამაღლა არ ჟღერდა, მაგრამ ტკბილი კეთილხმოვანებითა და ბრწყინვალე ტექნიკური გამართულობით გამოირჩეოდა. იშვიათად თუ მოისმენდით ასე უნაკლოდ შესრულებულ ვივალდის, ვინტანის და შპორის ზოგიერთ ქმნილებას, გრიგის დომინორულ სონატას, თვით კროიციერის სონატასა და ცეზარ ფრანკის პიესებსაც კი. თან სადა ბუნებისა იყო, ლიტერატურა არ შენებოდა. მაგრამ მაინც მუდამ ცდილობდა გონებრივად მაღლა მდგომ ადამიანთა მოწონება დაემსახურებინა. მარტო პატივმოყვარეობის გამო კი არა, არამედ იმის გამოც, რომ მათთან ურთიერთობას დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა და ამ გზით საკუთარი თავის ამაღლებასა და სრულქმნას ესწრაფოდა. ადრიანზე მაშინვე გული შეუფარდა, სულ თვალეზში შესცივინებდა, ქალებიც კი მიატოვა მისი გულისათვის, ეკითხებოდა, როგორ ვუკრავო, სთხოვდა აკომპანემენტი გამიწიეთო, რაზეც ადრიანი იმხანად ყველას უარს ეუბნებოდა, ეტანებოდა მასთან საუბარს, მუსიკალურ საკითხებზე იქნებოდა, თუ არამუსიკალურზე, და – რაც მის არაჩვეულებრივ ერთგულებას, ამასთან ერთად კი დიდსულოვნებასა და თანდაყოლილ კულტურასაც მოწმობდა – ვერავითარი გულცივობა, თავშეკავება და გულჩათხრობილობა ვერ აფხიზლებდა, ვერ აკრთობდა. ერთხელ, როცა ადრიანი თავის ტკივილისა და სტუმრებთან გამოჩენის დაზარების გამო სენატორის მეუღლის პატიუს არ დაჰყვა და თავის ოთახში დარჩენა ამჯობინა, უეცრად მასთან შეერთფეგერი გამოცხადდა, სადარბაზო სერთუქში გამონწყობილი და შავი „პეპელა“ ჰალსტუხით მორთული, რათა ის – ვითომდა სტუმრების დავალებით, მრავალი მათგანისა თუ ყველასი ერთად, – დაეყოლიებინა, მათთან გამოსულიყო. უთქვენოდ ძალიან მოწყენილი ვართო... ასეთი რამ, ცოტა არ იყოს, მოულოდნელი გახლდათ, რადგან ადრიანი სულაც არ გამოდგებოდა საზოგადოების გამართობად. არც ის ვიცი, დაჰყვა თუ არა ადრიანი მაშინ მის სურვილს. მაგრამ, თუმცა უნდა ვიფიქროთ, რომ იგი ამჯერადაც საყოველთაოდ მიღებული თავაზიანობისათვის ხარკის მიზღვას დასჯერდა, მაინც ალბათ ნასიამოვნები და გაკვირვებული დარჩა ესოდენ თავდადებული მამებლობით.

ასე და ამგვარად, მე საკმაოდ სრულად წარმოგიდგინეთ როდეს სალონის მუდმივ სტუმართა შემადგენლობა, რომელიც მიუნჰენის საზოგადოების ბევრ სხვა წევრთან ერთად შემდგომ მეც გავიცანი ფრაიზინგში მასწავლებლობისას. ცოტა ხნის შემდგომ ამ წრეს შეუ-

ერთდა რიუდიგერ შილდკნაპიც, ვინც ადრიანის მიბაძვით მიიჩნია, რომ ლაიპციგის ნაცვლად კაცი უნდა მიუნჰენში ცხოვრობდე და ვისაც ეყო ძალა განზრახვა საქმედ ექცია. ძველი ინგლისური ლიტერატურის ნიჰუშების მისეულ თარგმანთა გამომცემელი სწორედ მიუნჰენში ცხოვრობდა და ამას კი რიუდიგერისთვის პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნდა; გარდა ამისა, ალბათ ადრიანსაც ესაკლისებოდა, რომელსაც დაუყოვნებლივ შეუჩნდა და კვლავინდებურად აცინებდა მამაზე მოყოლილი ამბებითა და ისეთი გამოთქმებით, როგორცაა: „მიმოიხილეთ იგი ესე!“ მან მეგობრის მახლობლად, ამალიენშტრააზე იქირავა ოთახი მეოთხე სართულზე და იქ, ვინაიდან ბუნებით სულ ჰაერის ნაკლებობას განიცდიდა, მთელი ზამთარი ღია ფანჯარასთან უჯდა მაგიდას, პალტოსა და პლედში შეფუთნილი, და იღვწოდა, თან სიძულვილით გამსჭვალული და თანაც თავდავინყებამდე გატაცებული, სიძნელეებით გარემოცული, სიგარეტების კვამლით მხრჩოლავი, რათა ინგლისური სიტყვების, ფრაზებისა და რიტმების ზუსტი გერმანული ეკვივალენტები შეექმნა. ჩვეულებრივ ის ადრიანთან ერთად სადილობდა სამეფო კარის თეატრის რესტორანში ანდა ქალაქის ცენტრის რომელიმე სარდაფში, მაგრამ მალე ლაიპციგელი ნაცნობების წყალობით კერძო ოჯახების კარიც ხსნილი შეიქნა მისთვის და იმას მიაღწია, რომ სალამოს წვეულებებზე რომ აღარაფერი ვთქვა, ზოგან შუადღისასაც უშლიდნენ სუფრას, ვთქვათ, მას შემდეგ, რაც საყიდლებზე გაიყოლიებდა რომელიმე მისი არისტოკრატიული სილარიბით მოხიბლული დიასახლისი. ასევე სადილობდა თავის გამომცემელთანაც, ფირმა „რადბრუხი და კომპანიის“ მფლობელთან, ფიურსტენშტრასეზე; აგრეთვე – შლაგინჰაუფენებთან, ხანში შესულ, შეძლებულ და უშვილო ცოლ-ქმართან. ქმარი წარმოშობით შვაბი იყო, სწავლული, რომელსაც რაიმე თანამდებობა არ ეჭირა, ცოლი კი – მიუნჰენელი ოჯახის შვილი. მათ ბინერშტრასეზე ჰქონდათ ცოტათი პირქუში, მაგრამ დიდებული ბინა. მათს სვეტებიან სასტუმროში თავს იყრიდა ხელოვანთა და არისტოკრატთაგან შემდგარი საზოგადოება. დიასახლისისათვის, რონლის ქალიშვილობის გვარი ფონ პლაუზიგი გახლდათ, ყველაზე სანუკვარი ის იყო ხოლმე, როდესაც ამ ორ ელემენტს ერთი და იგივე პიროვნება განასახიერებდა, როგორც, მაგალითად, სამეფო სანახაობათა გენერალური ინტენდანტი, მისი აღმატებულება ფონ რიდეზელი, რომელიც მათთან დაიარებოდა. შილდკნაპი სადილობდა აგრეთვე მრენველ ბულინგერთან, ქალაღღის მდიდარ

ფაბრიკანტთან, ვიდენმაიერშტრასეზე რომ ცხოვრობდა, მდინარის პირას, მის მიერვე აგებული სახლის ბელეტაჟში, დანარჩენ სართულებს კი აქირავებდა. — ლუდის მომდღულებელ სააქციო საზოგადოება „პშორის“ დირექტორთან და კიდევ სხვა მრავალ ადგილას.

შლაგინჰაუფენებთან რიუდიგერმა ადრიანიც მიიყვანა, სადაც ამ სიტყვაძუნწმა უცხო მხოლოდ ზედაპირულად, ისე რომ ორივე მხრისათვის ამას შედეგი არ მოჰყოლია, გაიცნო ფუნჯის კეთილშობილი ოსტატები, ვაგნერის გმირი ქალების როლთა შემსრულებელი ტანია ორლანდა, აგრეთვე ფელიქს მოტლი, ბავარიის სეფე ქალები, „შილერის შვილისშვილისშვილი“, ბატონი ფონ გლაიჰენრუსგურმი, რომელიც ნიგნებს წერდა კულტურის ისტორიის საკითხებზე, და ისეთი მწერლები, საერთოდ რომ არაფერს არ წერდნენ და მხოლოდ ზეპირი მოთხრობებით საზოგადოების გართობაზე იხარჯებოდნენ. ოლონდ ეს კია, რომ პირველად აქ შეხვდა ჟანეტ შოირლს, ძალიან სანდო და თავისებურად მომხიბვლელ ქალს, ადრიანზე მთელი ათი წლით უფროსს, ან განსვენებული ბავარიელი სახელმწიფო მოხელისა და პარიზელი ქალის პირმშოს, დამბლის გამო სკამზე მიჯაჭვული, მაგრამ გონებითა და სულის მხნეობით აღსავსე ხანდაზმული ბანოვანისა, რომელსაც თავი არასოდეს არ შეუნუხებია გერმანული ესწავლა, და სამართლიანადაც, ფრანგულ ენაზე ტრაფარეტულად, მაგრამ სხაპასხუპით ლაპარაკი ფულსაც და ნოდებებსაც უნაზღაურებდა. მაღამ შოირლი ბოტანიკური ბაღის მახლობლად ცხოვრობდა თავის სამ ქალიშვილთან ერთად, რომელთაგან ჟანეტი ყველაზე უფროსი იყო, — საკმაოდ ვიწრო ბინაში, მაგრამ მისი პატარა სასტუმრო ყველაფრით პარიზულ სალონს მოგაგონებდათ. იქ მაღამი არაჩვეულებრივად პოპულარულ მუსიკალურ წვეულებებს მართავდა და სტუმრებს ჩაით უმასპინძლდებოდა. კამერულ მომღერალ ვაჟთა და ქალთა კარგად დაყენებული ხმები ჭექდნენ და რაკრაკებდნენ ვიწრო ოთახებში. სადა სახლის წინ ხშირად იდგა სამეფო კარის ლურჯი კარეტები.

რაც შეეხება ჟანეტს, ის მთხზველი იყო, რომანისტი. ორი ენის გარემოცვაში აღზრდილი, თავის განსაკუთრებულ, მომხიბლავად არასწორ კილოზე წერდა საზოგადოებრივი თემებისადმი მიძღვნილ ორიგინალურ ქალურ ეტიუდებს, რომელთაც ფსიქოლოგიური და მუსიკალური მიზიდველობა არ აკლდათ და უთუოდ მაღალი რანგის ლიტერატურას ეკუთვნოდნენ. ადრიანს მაშინვე მიაქცია ყურადღება, დაუმეგობრდა, და ვაჟიც მის გვერდით, მასთან საუბრისას

თავს მყუდროდ გრძნობდა. ზოგი საზოგადოებაში გამოსული ქალი-
 ვით შეუხედავი იყო, მოხდენილი სახე კი ჰქონდა, მაგრამ რაღაცით
 ცხვარს მიუგავდა, პლებეური და არისტოკრატიული ნაკვთები ერთ-
 მანეთში არეოდა, ზუსტად ისევე, როგორც მეტყველებაში ბავ-
 არიული დიალექტიზმები და ფრანგული. არაჩვეულებრივად ჭკვი-
 ანი, ამასთანავე შინაბერას მიაბიტი გაფაციცებულობითა და მიუხევე-
 დრელობით გამოირჩეოდა. ლამის ქარაფშუტულად გულმავინყი იყო.
 კურიოზულობამდე. და ამაზე ყველაზე გულიანად თვითონ იცინო-
 და — ისე კი არა, როგორც ლეო ცინკი, საკუთარ თავს სხვის საამებ-
 ლად რომ დასცინოდა, არამედ ძალზე გულწრფელად და მხიარულად.
 ყოველივე ამასთან ერთად უაღრესად მუსიკალური იყო, უკრავდა
 პიანინოს, თაყვანს სცემდა შოპენს, წერდა შუბერტზე, მეგობრობდა
 თანამედროვე სახელოვან მოღვაწეებს მუსიკის დარგში და ადრია-
 ნთანაც მისი რეგულარული საუბრები ხომ მოცარტის პოლიფონიისა
 და მისი ბახთან მიმართების შესახებ აზრთა სასარგებლო გაცვლა-
 გამოცვლით დაიწყო. ადრიანს მაშინვე გული შეუვარდა ამ ქალზე და
 მერეც კიდევ მრავალი წელი იყო მის მიმართ ნდობითა და პატივის-
 ცემით გამსჭვალული.

ისე კი, არა მგონია, ვინმემ იფიქროს, რომ ქალაქი, რომელიც საცხ-
 ოვრებლად აირჩია, მართლაც მთლიანად თავის ატმოსფეროში შეი-
 სრუტავდა და ოდესმე თავისად გაიხდიდა. მიუნჰენის სილამაზე.
 მონუმენტური ხედი, მთის ნაკადულების ჩუხჩუხით აკლებული გარ-
 ეუბნების სოფლური იერი და ალპური ცის სათუთი სილაჟვარდე,
 რასაკვირველია, მის თვალსაც ესალბუნებოდა, ზნე-ჩვეულებათა
 ძალდაუტანებლობა კი, თითქმის ნიღბოსანთა საღამოსთვის
 განუყრელი შემწყნარებლობა რომ ახასიათებდათ, ალბათ მასაც
 უიოლებდა ცხოვრებას. მაგრამ ქალაქის სულისკვეთება — *sit venia
 verbo!** — მისი შლეგურად უდარდელი ცხოვრების წესი, გრძნობად-
 დეკორატიული და საკარნავალო ხელოვნება ამ თვითკმაყოფილი
 კაპუისა ადრიანივით ღრმა და მკაცრი ადამიანისათვის არსებითად
 უცხო უნდა დარჩენილიყო. ამ ქალაქის ყოფა სწორედ ზედგამ-
 ოჭრილი ობიექტი გახლდათ იმ მზერისათვის; რომელსაც ჩემი დღე
 და მოსწრება ვიცნობდი — მისი დაბინდული, ცივი და გარინდებული
 მზერისათვის, რომელსაც გაღიმება და ზურგის შექცევა მოსდევდა
 ხოლმე.

**შემენდოს სიტყვა ესე! (ლათ.)*

მე მოგახსენებთ რეგენტობის გვიანდელი ხანის მიუნჰენზე, სულ ოთხიოდე წელი რომ იყო ომამდე დარჩენილი, რის შედეგებმაც მისი სულიერი სიმშვიდე სულიერ ავადმყოფობად აქციეს და არა ერთი და ორი პირქუში გროტესკი წარმოშვეს, — ამ ლამაზად განფენილ დედაქალაქზე, სადაც პოლიტიკური პრობლემატიკა შემოიფარგლებოდა ნახევრად სეპარატისტულ სახალხო კათოლიციზმსა და ახალგამომცხვარ პანგერმანულ ლიბერალიზმს შორის ქიშპობით, — გუშაგთა ცერემონიალებისა და მხედართმთავართა გალერეაში გამართული კონცერტების მიუნჰენზე, ანტიკვარულ ფარდულთა, სრასასახლე-მაღაზიათა და სეზონურ გამოფენათა ქალაქზე, სადაც გლეხთა საყველიერო მასკარადები იმართებოდა, მარტის ლუდის ზარხოში ტრიალებდა, არა ერთი და ორი კვირა გრძელდებოდა საეკლესიო დღეობა ოქტობერვიზეზე და თავის სატურნალიებს აღნიშნავდა შეუპოვარი და ანცი ხალხურობა, უკვე კარგა ხანია შერყვნილი თანადროული მასობრივი მოთხოვნების გამო, — სადაც ვაგნერიზმი ხელუხლებლად იყო შემორჩენილი, ეზოტერიკული სექტები კი ტრიუმფის თალის მიღმა ესთეტიკურ საღამოებს აწყობდნენ, — სადაც საზოგადოების მიერ განებივრებული გულარხეინი ბოჰემა მკვიდრობდა. ადრიანი თვალყურს ადევნებდა ყოველივე ამას, აკვირდებოდა, ჭაშნიკს უსინჯავდა ცხრა თვის განმავლობაში, რაც მან ამჯერად ზემო ბავარიაში გაატარა: შემოდგომა, ზამთარი და გაზაფხული. ხელოვანთა მიერ მოწყობილ ზეიმებზე, რომელთაც შილდკნაპთან ერთად ესწრებოდა, ორიგინალურად მორთული დარბაზების თვალთმაქც ბინდბუნდში ხვდებოდა როდეს წრის წევრებს: ახალგაზრდა მსახიობებს, ცოლ-ქმარ კნოტერიჰებს, დოქტორ კრანიჰს, ცინკსა და შპენგლერს, აგრეთვე თვითონ სენატორის მეუღლის ქალიშვილებსაც, იჯდა კლარისასა და ინესთან ერთად, აგრეთვე რიუდიგერსა, შპენგლერსა და კრანიჰთან ერთად, ზოგჯერ კი ჟანეტ შოირლთან ერთადაც, და უჭვრეტდა გლეხის ბიჭვით ანდა მე-15 საუკუნის ფლორენციელივით გამონყობილ შვერტფეგერს, — ეს ძველებური სამოსი მაინც ძალზე კონტად ადგა ლამაზად ჩამოქნილ ფეხებზე და ბოტიჩელის წითელქუდიანი ჭაბუკის პორტრეტს ამსგავსებდა, — აი, რუდოლფი მიუახლოვდა მათ მაგიდას, საზეიმო განწყობილებით ატაცებული, სულ აღარ ახსოვდა, რომ საჭიროა სულიერად ამაღლებას ესწრაფოდე, და როდეს ქალიშვილებს საცეკვაოდ იწვევდა „შნოთი და ლაზათით“. ეს მისი საყვარელი გამოთქმა გახლდათ. მუდამ იმის ცდაში იყო, ყველაფერი შნოიანად

და ლაზათიანად მომხდარიყო. უშნო და ულაზათო ამბები თავიდან უნდა ავიცილოთო. უამრავი მოვალეობა ჰქონდა დარბაზში დაკისრებული და არსიყის გადაუდებელი საქმენიც მოუხმობდნენ, მაგრამ მისგან ულაზათო საქციელი იქნებოდა, რამბერგშტრასელი ქალბატონები, რომლებსაც უფრო დებივით ეკიდებოდა, სულ უყურადღებოდ დაეტოვებინა, და სწორედ ეს ლაზათიანად მოქცევის წყურვილი ისე თვალში საცემად აღებეჭდებოდა ხოლმე გაფაციცებულ სახეზე, რომ მის მიახლოებისას კლარისა მედიდურად შეაგებებდა:

— ღმერთო ჩემო, რუდოლფ, რა მხსნელივით გიბრწყინავთ სახე! მერწმუნეთ, უთქვენოდაც უკვე ბევრი ვიცეკვეთ და თქვენ სულაც არა გეჭირდებით.

— არა გჭირდებით? — ვითომდა აღშფოთებული, მხიარულად შესიტყვებოდა ვაჟიც სასისმიერი ხმით, — და ჩემი გულის მოთხოვნილებას არაფრად არ აგდებთ?

— ჩირადაც კი არა, — მიუგებდა ქალი, — თანაც მე თქვენთვის ერთობ მაღალი ვარ.

და გაჰყვებოდა ვაჟს, ჰანია ნიკაპი ამაყად ჰქონდა ზეაშვერილი და მრგვალი ბაგის ქვეშ ჩაღრმავება სულ არ უჩანდა. ანდა ხანდახან ინესს გაინვევდა საცეკვაოდ და ისიც თვალმდახრილი და კვიმატად მომღიმარი იღებდა მიპატიჟებას. ისე კი, მარტო დებს კი არ ეპყრობოდა შნოთი და ლაზათით. თავის გულმავინწყობას გასაქანს არ აძლევდა. ანაზდეულად შეფიქრიანებული, განსაკუთრებით მაშინ, თუ ქალიშვილები ცეკვის იშტაზე არ იყვნენ, ადრიანსა და ბაპტისტ შპენგლერს მიუჯდებოდა, რომელსაც ერთთავად დომინო ეცვა ხოლმე და წითელ ღვინოს წრუპავდა, წამდაუნუმ თვალებს ახამხამებდა, ლოყებზე პატარა ფოსოები დაეტყობოდა ვეება უღვაშებს ზემოთ და ისე მოჰქონდა ციტატები გონკურის დღიურიდან ანდა აბატი გალიანის წერილებიდან. შვერტფეგერი კი, ჩემს მიერ ზემოთ უკვე აღწერილი გამომეტყველებით აღშფოთებული და ყურადღებაგამახვილებული კაცისა, მიაჩერდებოდა მოლაყბეს და თვალს აღარ აცილებდა. იგი ესაუბრებოდა ადრიანს ცაჰვენშტოსერორკესტრის უახლოესი კონცერტის პროგრამაზე, მოითხოვდა, თითქოს მთელ დედამიწის ზურგზე სხვა უფრო გადაუდებელი ამოცანა არ არსებობდა, იმის უფრო ვრცლად გადმოცემას და განმარტებას, რაც ადრიანს ამას წინათ როდესთან მუსიკის, ოპერის მდგომარეობის ანდა სხვა რამ ამის მსგავსის შესახებ ეთქვა. საერთოდ მთლი-

ანად ადრიანის განკარგულებაში იყო. ხელს გაუყრიდა და დაეხეტებოდა მოზეიმე ხალხით გაჭედილი დარბაზის კედლების გასწვრივ, თან შენობით მიმართავდა, რაც ნიღბოსანთა საღამოზე დასაშვები გახლდათ და არ დაგიდევდათ, რომ ადრიანიც იგივეთი არ ჰასუხობდა. უანეტ შოირლმა შემდეგ მიაგებო, რომ ერთხელ, როდესაც ადრიანი ასეთი შემოვლის შემდეგ სუფრასთან დაბრუნდა, ინეს როდემ უსაყვედურასავით:

– რატომ ასდევთ. მაგას ყველაფერი სურს მოიხელთოს.

– იქნებ ბატონ ლევერკიუნსაც სურს ყველაფერი მოიხელთოს, – შენიშნა კლარისამ და ნიკაპით ხელს დაეყრდნო.

ადრიანმა მხრები აიჩეჩა.

– იცით, რა უნდა, – დასძინა მან, – რომ მისთვის სავოლინო კონცერტი დავწერო, რითაც პროვინციაში შეეძლება გამოსვლა.

– არ დაუნეროთ! – უთხრა ისევ კლარისამ. – თორემ სულ გაპენნიკებულნი რალაცები გამოგივით, თუ მაგის გემოვნებას მისდიეთ.

– თქვენ ჩემს მოქნილობას ერთობ გადაჭარბებულად აფასებთ, – შეესიტყვა ადრიანი და მას მოწონებით გამოეხმაურა ბაპტისტ შპენგლერის ქირქილი.

მაგრამ კმარა ადრიანის დროსტარების შესახებ მიუნჰენში! ჯერ კიდევ ზამთარში დაინყო მან შილდენაპთან ერთად და მეტწილად მისი ჩაცვივის შედეგად ქალაქის სილამაზით განთქმული, მაგრამ ტურიზმით უკვე ცოტა არ იყოს შერყენილ სანახებში მოზაურობა და ბრწყინვალე თოვლიანი დღეები გაატარა ეტაღსა, ობერამერგაუსა და მიტენვალდში. გაზაფხულზე ამგვარ ექსკურსიებს უფრო უმატეს, ახლა უკვე სახელგანთქმული ტბების, თეატრის დეკორაციებივით მორთულ-მოკაზმული ციხე-კოშკების სანახავად მიდიოდნენ, რომლებიც ერთ დროს ხალხის სათაყვანო შეშლილს ეკუთვნოდა. ხშირად ველოსიპედებით მგზავრობდნენ (ვინაიდან ადრიანს უყვარდა გადაადგილების ეს დამოუკიდებელი საშუალება) ამწვანებულ მიდამოებში, ალაღბეზე და ლამეს იქ ათენებდნენ, სადაც მოუხდებოდათ: ღირსშესანიშნავ თუ მივარდნილ ადგილას. ყოველივე ამას იმიტომ ვიხსენებ, რომ ადრიანი სწორედ ერთ-ერთი ასეთი ექსკურსიის დროს გაეცნო იმ კუთხეს, რომელიც შემდგომ თავის პირად სამყოფლად აირჩია – პფაიფერინგი ვალდსჰუტის მახლობლად და შვაიგეშტილების კარმიდამო.

ვალდსჰუტი ჰატარა ქალაქია, არცთუ მაინცდამაინც წარმტაცია ან რაიმე ღირსშესანიშნაობით გამორჩეული, და გარ-მიმ-პარტენკი-

რჰინის რკინიგზის გასწვრივ მდებარეობს მიუნჰენიდან ერთი საათის სავალზე, ხოლო მომდევნო სადგური კი — მხოლოდ ათწუთიანი გადასარბენის შემდეგ — ჰფაიფერინგი გახლავთ ანუ ჰფეფერინგი, ოღონდ აქ ჩქარი მატარებლები არ ჩერდებიან. ისინი ჰფაიფერინგის ხახვისთავიან ეკლესიას გვერდით ჩაუქროლებენ ხოლმე, რომელიც აქაურ უპრეტენზიო პეიზაჟს მალდიდან გადაჰყურებს. ადრიაინი და რიუდიგერი აქ სრულიად შემთხვევით მოხვდნენ და პირველად მცირე ხანი დაყვეს. ღამეც არ გაუთევიათ შვაიგემტილებთან, რადგან მეორე დღით ორივეს სამუშაო ელოდა და საღამომდე სურდათ მატარებლით ვალდსჰუტიდან მიუნჰენში დაბრუნებულიყვნენ. ქალაქის მთავარ მოედანზე ისაძილეს ფუნდუკში და ვინიდან განრიგის მიხედვით მათ კიდეც რამდენიმე თავისუფალი საათი რჩებოდათ, ჰფაიფერინგისკენ მიმავალ სოფლის გზას გაუყვნენ ველოსიპედებით, რომლის ორივე მხარეს ხეები იყო დარგული, გაიარეს სოფელში, ვიღაც ბავშვისგან შეიტყვეს, რომ მახლობელ გუბურას „ფრჩხილა გუბურა“ ერქვა, თვალის შეავლეს „რომაულ ბორცვს“, ხეები რომ გვირგვინით ადგა, და სასულიერო გერბით შემკულ რომელიღაც კარმიდამოს ჭიშკართან, ჯაჭვით დაბმული ნაგაზის გაუთავებელ ყეფაში, ფეხშიშველა მოახლე გოგოს, რომელიც ძაღლს „კაშპერლ, გაჩერდიო“ უხმობდა, ერთი ჭიქა ლიმონათი სთხოვეს, — იმდენად ნყურვილის გამო კი არა, რამდენადაც იმიტომ, რომ მაშინვე თვალში მოხვდათ შენობის სტილი — სოფლური ბაროკოს დამახასიათებელმა სიდარბაისლემ განაცვიფრათ.

არ ვიცი, „შენიშნა“ თუ არა რამე მაშინ ადრიანმა, მაშინვე აღიქვა გარკვეულ გარემოებათა მსგავსება, თუ მხოლოდ თანდათანობით, შემდგომ გახსენებისას და უკვე შორს მყოფს გაუჩნდა ასოციაციები სხვადასხვა, მაგრამ არცთუ ისე შორეულ ტონალობებში ტრანსპონირებულ დეტალებს შორის. მე უფრო იმისკენ ვიხრები, რომ თავდაპირველად ეს მსგავსება თვალში არ მოხვედრია და მხოლოდ მერე, შესაძლოა, სიზმარში, ანაზდეულად გაცნობიერდა. ყოველ შემთხვევაში, არც შილდკნაპთან დაუძრავს კრინტი და არც ჩემთვის უთქვამს ოდესმე რამე ამ უცნაურ თანხვედრაზე. მაგრამ, რასაკვირველია, შეიძლება ვცდებოდე კიდეც. გუბურასა და ბორცვს, ვეება ბებერ ხეს ეზოში — ოღონდ თელას კი — და მწვანედ შეღებილ მრგვალ მერხს მის ირგვლივ, აგრეთვე კიდევე ბევრ სხვა დამატებით წვრილმანს ის შეიძლება პირველი დანახვისთანავე გაეოცებინა; შეიძლება სიზმარი სულაც არ იყო აუცილებელი, რომ თვალეები ახელო-

და, და თვითონ რომ არაფერი უთქვამს, ესეც ხომ არაფერს ამტკიცებს.

ქალბატონი, რომელმაც მომხდურთ ალყაფის კარში გამოხედა, თავაზიანად მოუსმინა და შიგნით შეიპატიჟა, ფრაუ ელზე შვიაგეშტილი გახლდათ. ლიმონათს მან გრძელტარიანი კოვზით მოურია მაღალ ჭიქებში და ისე მიართვა სტუმრებს. თაღებიანი დარბაზის მაგვარ ოთახში, ნინკარიდან მარცხნივ, რაც სოფლური სასტუმრო უნდა ყოფილიყო. შიგვეება ტლანქი მაგიდა იდგა და ფანჯრებს ისეთი ღრმა ნიშები ჰქონდათ, რომ კედლების სისქეს მაშინვე საცნაურს ყოფდნენ; ჭრელაჭრულად მოხატულ, ვინრო, ცალკარიან კარადას ზევიდან თაბაშირის ფრთოსანი ნიკე სამოთრაკიელი ამკობდა; სასტუმროში კიდევ ნაბლისფერი როიალიც იდგა. ამ ოთახით ჩვენ არ ვსარგებლობთო, — მოახსენა ფრაუ შვიაგეშტი ღმა მოსულებს და გვერდით მიუჯდა მათ, — საღარიებს ჩვენი ოჯახი შედარებით უფრო პატარა ოთახში ატარებს, რომელიც ამის მოპირდაპირე მხარეს, ოდნავ ირიბად, ზედ შესასვლელთან არისო. სახლს უამრავი ზედმეტი ფართობი აქვს, ამავე მხარეს, ცოტა მოშორებით, კიდევ უფრო შთამბეჭდავი სენაკია, ეგრეთ წოდებული „აბატის პალატი“ — ალბათ იმიტომ, რომ ერთ დროს ავგუსტინელ ბერთა ნინამძღვრის კაბინეტი გახლდათ, ოდესღაც აქაურობას რომ განაგებდნენო. ამით ქალბატონმა დაადასტურა, რომ კარ-მიდამო ოდესღაც სასულიერო უწყებას ეკუთვნოდა, ხოლო შვიაგეშტილებისა კი უკვე მესამე თაობა მკვიდრობდა აქ.

ადრიანმა დასძინა, მეც სოფლიდანა ვარ, ოღონდ დიდი ხანია ქალაქად ვცხოვრობო. შემდეგ კი იკითხა: მინის რამოდენა ნაკვეთი გიჭირავთო, და შეიტყო, რომ დაახლოებით ორმოც მორგენ სახნავ-სათეს მიწასა და სათიბებს ფლობდნენ და აგრეთვე ტყესაც. ამათვე ეკუთვნოდათ კარ-მიდამოს წინ ტრიალ ადგილზე ჩამწკრივებული და წინიდან ნაბლის ხეებით დაჩრდილული დაბალი ნაგებობები. უწინ იქ ბერები სახლობდნენ, ახლა კი თითქმის არავინ ჭაჭანებს და საცხოვრებლად არც არიან კეთილმოწყობილიო. შარშანწინ ერთი მიუნჰენელი მხატვარი დადგა ქირით. მას აქაური ჰეიზაჟების — ვალდსჰუტის ჭანჭრობებისა და ასე შემდეგ — დახატვა მოესურვებინა და მართლაც ბევრი საამური ხედი გადაიტანა ტილოზე, ოღონდ, ცოტა არ იყოს, გაუხარეულ, სევდიან ფერებშიო. სამი მათგანი გლას-პალასტში იყო გამოფენილი, მე თვითონ მაქვს ნანახი, და ერთ-ერთი მათგანი ბავარიის დისკონტის ბანკის დირექტორმა შტიგლმაიერმა შეისყიდა. თქვენც მხატვრები ხომ არ იქნებითო?

ეტყობოდა, იმ მდგმურზე მხოლოდ იმიტომ ჩამოაგდო ლაპარაკი, რომ თავისი ვარაუდი გამოეთქვა და გამოერკვია, ვისთან ჰქონდა საქმე. როცა შეიტყო, რომ მისი სტუმრები მწერალი და მუსიკოსი იყვნენ, მონინებით წარბები მაღლა ასწია და დასძინა: ამ პროფესიის ხალხთან შეხვედრა კიდევ უფრო იშვიათად მიხდებოდა და კიდევ უფრო საინტერესოა ჩემთვის, მხატვრები კი ჩეჩქივითა ყრიანო. ბატონებო, თქვენ მაშინვე სერიოზულ ადამიანებად მეჩვენეთ, მაშინ როდესაც მხატვრები მეტწილად ფუქსავატი და უდარდელი ხალხია და ცხოვრების სერიოზულობისა მაინცდამაინც როდი გაეგებათ რამე, — მე პრაქტიკულ სერიოზულობას კი არ ვგულისხმობ, ფულის შოვნასა და ამგვარ რამეებს, არამედ ცხოვრების სიმძიმეს, მის მრუმე მხარეებსო. ისე კი, არ მინდა მხატვართა მთელ მოდემას მოვეკიდო უსამართლოდ, რადგან, მაგალითად, აი ის მდგმური თავიდანვე გამონაკლისი გამოდგა, სულაც არ იყო თავშემატყვევარი, პირიქით, ძალიან წყნარი, გულჩათხრობილი კაცი გახლდათ, პირქუშიც კი, რასაც მისი ნახატებიც მონმობდნენ, ჭაობიანი პეიზაჟები და ჯანლით მოცული უკაცრიელი ტყის მდელოები; დიდად გასაოცარია, რომ დირექტორმა შტიგლმაიერმა სწორედ ერთ-ერთი მათგანი აირჩია და ისიც ყველაზე დაღვრემილი პეიზაჟი. თუმცა ფინანსისტია, მაგრამ, ეტყობა, მელანქოლიური განწყობა მისთვისაც უცხო არ არისო.

თვალტანადი ქალი იყო, ოდნავ შევერცხლილი ნაბლისფერი თმა შუაზე ჰქონდა გაყოფილი და ისე მაგრად გადატყეცილი და შეკრული, რომ განაყოფში კანი თეთრად უჩანდა, წინ კუბოკრული წინსაფარი ეკეთა და ყელთან კაბის მრგვალ ამონაჭერზე ოვალური ბროში მიემაგრებინა, მხრებში გამართული იჯდა სტუმრებთან, ლამაზად მოყვანილი პატარა, მკვრივი ხელები მაგიდაზე დაეწყო, ერთმანეთზე გადაჭდობილი, და მარჯვენაზე სადა საქორწინო ბეჭედი უჩანდა.

— ხელოვანი ხალხი მიყვარს, — დასძინა მან საკმაოდ სუფთა, მაგრამ დიალექტის ელემენტებით მაინც ოდნავ შეფერილ ენაზე, — რადგან ისინი გულისხმიერი ხალხია, ხოლო გულისხმიერება ცხოვრებაში ყველაზე დიდებული და ყველაზე მნიშვნელოვანი რამ არის — მხატვართა მხიარულებაც არსებითად მას ეყრდნობა, ვინაიდან არსებობს როგორც მხიარული, ისევე სერიოზული გულისხმიერებაც და არავინ უწყის, რომელ მათგანს უნდა მივანიჭოთ უპირატესობა. შეიძლება ყველაზე შესაფერისი მესამეა: დინჯი გულისხმიერება. ხელოვანნი, რასაკვირველია, ქალაქად უნდა ცხოვრობდნენ, ვინაიდან ქალაქი კულტურის კერაა, რასთანაც კავშირში უნდა იყვნენ;

მაგრამ, კაცმა რომ თქვას, მათი ადგილი უფრო სოფლის მკვიდრთა შორისაა, რომლებიც ბუნებასთან უფრო ახლოს იმყოფებიან და ამიტომ გულისხმიერნიც უფრო არიან, და არა ქალაქის მკვიდრთა შორის, რომელთა გულისხმიერებაც ან შერყვნილია, ანდა იძულებულნი არიან თვითონ ჩაიკლან გულისხმიერება საზოგადოებრივი წესრიგის სასარგებლოდ, რაც საბოლოო ჯამში იმავე გულისხმიერების შერყვანაა. მე არც ქალაქის მკვიდრთ მინდა უსამართლოდ მოვეკიდო, გამონაკლისები ყველგან გვხვდება, ზოგი შეიძლება არც ჩანდეს, და აი დირექტორმა შტიგლმაიერმაც, ისევ მას რომ მივუბრუნდეთ, იმ კაემნიანი ნახატის შექმნით დიდი გულისხმიერება გამოიჩინა, და თანაც მარტო ხელოვანისა კი არა.

შემდეგ სტუმრებს ყავა და ფუნჩულები შესთავაზა, მაგრამ შილდენაჰმა და ადრიანმა მოახსენეს, გვირჩევნია დარჩენილ დროში სახლსა და კარ-მიდამოს თვალი შევავლოთ, თუ თქვენ ამდენ სიკეთეს გამოიჩინეთ და დაგვათვალიერებინებთო.

— სიამოვნებით, — მიუგო ქალმა, — ოღონდ აფსუსს, რომ ჩემი მაქსი (ბატონ შვაიგეშტილს გულისხმობდა) გერეონთან, ჩემს ვაჟთან ერთად, მინდორშია. სასუქის მოსაფანტავი ახალი მანქანა უნდა გამოსცადონ, რომელიც გერეონმა შეიძინა. ასე რომ, ბატონები ჩემს მეგზურობას უნდა დასჯერდნენ.

დაჯერება რა სათქმელიაო, — მიუგეს სტუმრებმაც და მამაპაპური სახლის შემოვლა დაიწყეს, ჯერ იქვე, წინ, საერთო ოთახი დაათვალიერეს, ოჯახის თავშეყრის ადგილი, სადაც წეკოს სუნი, რომელიც მთელ სახლში იდგა, განსაკუთრებით მძაფრად იგრძნობოდა, მერე „აბატის პალატიც“, არცთუ დიდი, მაგრამ გულმისავალი ოთახი. გაფორმების სტილით იგი ცოტათი ჩამორჩებოდა სახლის გარეგან არქიტექტურას, უფრო 1600 წლით დათარიღდებოდა, ვიდრე 1700 წლით; ფიცრულ იატაკზე ხალიჩა არ ეფინა, კედლები პანელით იყო მოპირკეთებული, მერე კი, ჭერის კოჭებქვეშ, დაწნეხილი ტყავის შპალერი გაეკრათ, ოდნავ მორკალულთაღიანი ფანჯრის ნიშის კედლებზე ხატები ეკიდა, ფანჯარაში კი ტყვიის რგოლებში ჩასმული ფერად-ფერადი ოთხკუთხედი მინებისაგან შემდგარი ვიტრაჟები დაეტანებინათ. იყო კიდევ ერთი ნიშაც, კედლისა, შიგ სპილენძის ტაშტი იდგა და ზედ სპილენძისავე პირსაბანი ეკიდა; ოთახში იდგა აგრეთვე კედლის კარადა, რკინის ბალთებითა და საკეტებით მოჭედილი, კუთხის დივანი, რომელზედაც ტყავის ბალიშები ელაგა, და ფანჯარასთან ახლოს — მუხის მძიმე მაგიდა, ზემოდან გაპრი-

აღებული და ღრმა უჯრებიანი ყუთის მსგავსი, ზედ ჩუქურთმებიანი კონტორულა იდო და ცალ მხარეს მოაჯირივით შემალღებული ნიბო გასდევდა. მაგიდის თავზე კი ვეება ქალი ეკიდა კოჭებიან ჭერზე. ზედ ჯერაც ცვილის სანთელთა ნამწვები იყო შემორჩენილი რენესანსის დროინდელ ამ სამშენისზე, რომელიც ირგვლივ დაუდევრად მიმოფანტული საყვირებით, რქებით და სხვა ფანტასტიკური ფიგურებით იყო შემკული.

მნახველებმა გულწრფელად შეაქეს „აბატის პალატი“. შილდკნაპმა თავის ქნევით აწონ-დაწონა ყოველივე და ისიც კი თქვა, კაცი აქ უნდა დარჩე და აქ იცხოვროო, მაგრამ ფრაუ შვაიგეშტილმა ეჭვი გამოთქვა, მწერლისთვის აქაურობა ერთობ მივარდნილი ხომ არ იქნება, ცხოვრებასა და კულტურას ერთობ დაშორებულიო. მერე სტუმრები ზედა სართულზეც აიყვანა, რათა მათთვის ზოგიერთი საძილე ოთახი მაინც ეჩვენებინა იმ მრავალრიცხოვანი საძილე ოთახებიდან, რომლებიც თეთრად შეღებილი და აშმორებული დერეფნის გასწვრივ იყვნენ ჩამწკრივებულნი. შიგ სანოლები და სკივრები იდგა, იმავე სტილისა, როგორისაც დარბაზის ჭრელი კარადა გახლდათ. მარტო რამდენიმე სანოლზე ელაგა ქვეშაგებელი, გლეხურ ყაიდაზე ერთიმეორეზე აკოკოლავებული სქელ-სქელი ლეიბები და ფუმფულა საბნები. — რამდენი საძილე ოთახია! — თქვეს სტუმრებმა. დიახ, მეტწილად მათი უმრავლესობა ცარიელია ხოლმეო, — მიუგო მათ დიასახლისმა, — ათასში ერთხელ თუ გამოჩნდება ვინმეო. მთელი ორი წელიწადი, ჯერ კიდევ გასულ შემოდგომამდე, აქ ერთი ბარონესა ცხოვრობდა, ვინმე ფრაუ ფონ ჰანდშუხსჰაიმი, და მთელ სახლს გარშემო უვლიდაო. ამ ქალბატონის აზრები, როგორც ფრაუ შვაიგეშტილმა თქვა, სავსებით როდი ემთხვეოდა დანარჩენი ქვეყნიერების აზრებს და ისიც აქ ეძიებდა ამ შეუთავსებლობისაგან თავშესაფარს. მე, ჩემდა თავად, კარგად ვენწყობოდი მას, მიყვარდა მასთან საუბარი და ზოგჯერ იმასაც კი ვახერხებდი, რომ გავაცინებდი ხოლმე თავის მკრეხელურ იდეებზე. მაგრამ, სამწუხაროდ, მათი მთლიანად აღგვა კი არა, ზრდა-განვითარების შეჩერებაც შეუძლებელი იყო. ასე რომ, ბოლოს იძულებული გავხდით საყვარელი ბარონესა სათანადო ძეურვეთათვის გადაგვეცაო.

ეს უკვე ფრაუ შვაიგეშტილმა მაშინ მოუთხროთ, როდესაც უკან ჩამოდიოდნენ კიბეზე და ეზოში გადიოდნენ, რათა ბოსლისა და საჯინიბოსთვისაც შეეველოთ თვალი. ერთხელაც კიდევ, — განაგრძობდა დიასახლისი, — ბარონესაზე ადრე, ვილაც მაღალი წრის ქალიშვილმა

დაიქირავა ერთ-ერთი საძილე ოთახი და იქ იმშობიარა. რადგან ხელოვან ხალხს გელაპარაკებით, შემიძლია საგნებს მათი სახელი ვუწოდო, მაგრამ, რა თქმა უნდა, პიროვნებებს კი არაო. ქალიშვილის მამა ბაიროითის მსაჯულთა მაღალი რანგის წარმომადგენელი გახლდათ, ელექტროავტომობილი შეეძინა და სწორედ ეს გამხდარიყო მთელი უბედურების საბაბიო. მანქანისთვის მძლოლი დაექირავებინა, რომელსაც სამსახურში მიჰყავდნენ-მოჰყავდა. ჰოდა, ის ყმანვილი კაცი რამეს კი არ წარმოადგენდა, მაგრამ მოსირმულ ლიფრეაში კობხად გამონკეპილი ქალიშვილს თავდავინყებამდე შეუყვარდა და მისგან დაორსულდაო. როდესაც ქალიშვილს ფეხმძიმობა დაეტყო და დამალვა ველარ შეძლო, ამ ამბავმა მშობლების რისხვისა და სასონარკვეთილების წარმოუდგენელი აფეთქება გამოიწვია, თითებს იმტვრევდნენ, თ მას იგლეჯდნენ, მოთქვამდნენ, იწყევლებოდნენ და ილანძლებოდნენ. გულისხმიერება აქ სახსენებელიც არ იყო, არც სოფლური და არც ხელოვანთათვის დამახასიათებელი, აქ მარტო ველური მეშჩანური შიში მძვინვარებდა საზოგადოებაში სახელის გატეხის წინაშე. ქალიშვილი იატაკზე დახობავდა, ამ სიტყვის ჭეშმარიტი მნიშვნელობით, მუშტებმოღერებული მშობლების ფერხთით, ევედრებოდა, ქვიფინებდა და ბოლოს დედამისთან ერთად გული წაუვიდა. რაც შეეხება სასამართლოს თავმჯდომარეს, ერთ დღეს აქ გამოცხადდა და მე მომელაპარაკაო. პატარა ტანის კაცი იყო, თხისწვერა, ჭალარა, და ოქროს სათვალე ეკეთა. მწუხარებას მთლად გაეტეხა. ჩვენ მოვილაპარაკეთ, რომ ქალიშვილი ჩემთან მოილოგინებდა ჩუმად და მერეც, ისევ და ისევ სისხლნაკლულობის მომიზეზებით, ერთხანს ჩემთან დარჩებოდაო. ის იყო წასვლა დააპირა, რომ პატარა ტანის დიდი მოხელე ერთხელ კიდევ შემობრუნდა ჩემკენ და თვალცრემლიანმა — რაც ნათლად ჩანდა ოქროსჩარჩოიანი მინების მიღმა — ერთხელ კიდევ ჩამომართვა ხელი და მითხრა: — გმადლობთ, ძვირფასო ქალბატონო, ამდენი სიკეთისა და გულისხმიერებისათვის! — ოღონდ მას მწუხარებისაგან გატეხილი მშობლების მიმართ გამოჩენილი გულისხმიერება ჰქონდა მხედველობაში და არა ქალიშვილის მიმართო.

შემდეგ ქალიშვილიც ჩამოვიდა, საბრალო არსება, ერთთავად პირდაბჩენილი და წარბებანული. ვიდრე დრო მოუვიდოდა და მოილოგინებდა, მე ბევრი რამ გამანდო, ღანაშაულს აღიარებდა და თავს არ იკატუნებდა, თითქოს ვაჟს შეეცდინოს, პირიქით, კარლი, მძლოლი, ასეც კი ეუბნებოდა თურმე: „აქედან კარგი არა

გამოვა რა, ფროილიან, სჯობია დავეხსნათ ამ ამბავს!“ — მაგრამ ეს უფრო იჯაბნიდა ქალიშვილს, რომელიც მუდამ მზად იყო თუნდაც სიკვდილით ეზღო თავისი საქციელი, რაც მალე ელოდა კიდევო. და სიკვდილისთვის ეს მზადყოფნა, ასე ეჩვენებოდა ქალიშვილს, ყველაფერს გამოისყიდოდა. თავი დიასაც შედგრა ეჭირა მშობიარობის უამს და გოგონა გააჩინა კეთილი დოქტორი კიურბისის, ჩვენი მხრის ექიმის შემწეობით, ვისთვისაც სულ ერთი გახლდათ, ბავშვი როგორ ჩაისახა, ოღონდ სხვა დანარჩენი რიგზე ყოფილიყო და ნაყოფი სწორად წამოსულიყო. მაგრამ, სოფლის ჰაერისა და კარგი მოვლის მიუხედავად, ქალიშვილი მშობიარობის შემდეგ ვერა და ვერ მომჯობინდა; არც თავის ჩვეულებაზე აუღია ხელი და პირი ისევ დაბჩენილი ჰქონდა ხოლმე, წარბები კი მალლა ანეული, რის გამოც ლოყები კიდევ უფრო გამხდარი უჩანდა, და როცა ცოტა ხნის შემდეგ მის წასაყვანად მამა ჩამოვიდა — პატარა დიდი კაცი — თვალებში, ოქროს სათვალის მიღმა, ისევ ცრემლები უკრთოდაო. ბავშვი „თალხ დებთან“ გაგზავნეს ბამბურგში, დედამისი კი ამიერიდან თვითონ დაემსგავსა „თალხ დას“, მარტოდმარტო ჭკნებოდა თავის ოთახში, იადონისა და კუს ამარა, რომლებიც მშობლებმა სიბრალულის გამო აჩუქეს. ჭკნობის დვრიტა, ეტყობა, მას იმთავითვე ჰქონდაო. ბოლოს დავოსში გაგზავნეს, მაგრამ ამან, როგორც ჩანს, მთლად მოულო ბოლო, რადგან იქ ჩასული თითქმის მაშინვე გარდაიცვალა, და მისი ნება-სურვილიც ხომ ეს გახლდათო. ჰოდა, თუ ის მართალი იყო, როცა ფიქრობდა, რომ სასიკვდილოდ მზადყოფნა ყველაფერს წინასწარ გამოისყიდის, მაშინ მასაც ყველაფერი გამოუწყიდია და მოუნანიებიაო.

იყვნენ საძროხეში, შეიხედეს საჯინიბოში და თვალი შეავლეს სალორეს, ვიდრე დიასახლისი ქალიშვილის ამბავს უყვებოდათ, მან რომ შეიფარა. ენვივნენ აგრეთვე საქათმესა და საფუტკერესაც სახლის უკან. მერე მეგობრები შეეკითხნენ: რამდენი უნდა მოგართვათო. რამდენი და არაფერიო, — მიიღეს პასუხად. მათ მადლობა გადაუხადეს დიასახლისის ყველაფრისათვის და ვალდსჰუტისკენ გაემშურნენ, რომ მატარებელს არ გაესწრო. ორივენი იმ აზრისანი იყვნენ, რომ დღემ ფუჭად არ ჩაიარა და პფაიფერინგი ლირაშესანიშნავი კუთხე გახლდათ; — ადრიანს სულში შემორჩა ამ ადგილის ხატება, ოღონდ ამას ჯერჯერობით მის გეგმებზე შემოქმედება არ მოუხდენია. სადმე გამგზავრება სურდა, მაგრამ

უფრო შორს, ვიდრე რკინიგზით ერთი საათის სავალია მთაში. „Love's Labour's Lost“-ის მუსიკიდან იმ დროისათვის შესავალი სცენების საფორტეპიანო ესკიზი ჰქონდა დაწერილი; მაგრამ სამუშაო წინ ვეღარ მიდიოდა; სტილის პაროდული ხელოვნურობის ბოლომდე შენარჩუნება ძალიან უჭირდა; იგი გუნება-განწყობილების მარად დაუცხრომელ ექსცენტრულობას მოითხოვდა და უცხო გარემოს ანატრება ადამიანს, შორეული ხედების ხილვის საღერღელს უშლიდა. მოუსვენრობამ შეიპყრო. მოეყირჭა ოთახი რამბერგშტრასეზე, სადაც ოჯახის წევრივით ცხოვრობდა და მთლად განმარტოების საშუალება არ გააჩნდა, რადგან ყოველთვის შეიძლებოდა ერთბაშად ვინმე შემოსულიყო და ჩვენს თავყრილობას შემოუერთდითო, — მიეპატიუებინა. „მე ვეძებ, — მწერდა ის, — გულში ვკითხულობ და მერე სულგანაბული ველი პასუხს გარედან, რომელიც მიმანიშნებდა ადგილს, სადაც ქვეყნიერებისაგან დავიმარხავდი თავს და დაუბრკოლებლად შევძლებდი ჩემს ცხოვრებასთან, ჩემს სვე-ბედთან პირისპირ სჯა-ბაასს“... საკვირველი, ავბედიოთი სიტყვებია! მთელ შიგნეულში მატანს სიცივე და ხელიც მითრთის ასოების გამოყვანისას, როდესაც ვფიქრობ, რა დიალოგისთვის, რა შეხვედრისა და შეთანხმებისთვის ეძიებდა ადგილს შეგნებულად თუ შეუგნებლად!

ბოლოს იტალია. ამჯობინა და გაემგზავრა კიდევ ტურისტათვის უჩვეულო დროს — გაგანია ზაფხულში — დაახლოებით ივნისის მინურულს. მან რიუდიგერ შილდკნაპიც დაიყოლია თან ნაჰყოლოდა.

XXIV

როცა მე, ჯერ კიდევ კაიზერსაშერნში მუშაობისას, ჩემს ახალგაზრდა მეუღლესთან ერთად, 1912 წლის ზაფხულის არდადეგებზე ადრიანსა და შილდკნაპს მათს საბინურ მთის საბუღარში ვენვით, რომელიც საცხოვრებლად აერჩიათ, მეგობრები იქ უკვე მეორე ზაფხულს ატარებდნენ: ზამთარი რომში დაეყოთ, ხოლო მაისში, სიცხის მოძალებისთანავე, კვლავ მთიანეთისაკენ გამოეწიათ და იმავე სტუმართმოყვარე სახლს სწვეოდნენ, წინა წელს სამი თვის მანძილზე ძალზე რომ შეეჩვივნენ.

ეს ადგილი პალესტრინა გახლდათ, კომპოზიტორ პალესტრინას სამშობლო, ანტიკურ ხანაში პრენესტედ წოდებული, მთავართა საგვარეულოს — კოლონათა — ციხე-სიმაგრე, დანტეს მიერ პენესტრინოდ მოხსენიებული „Inferno“-ს 27-ე სიმღერაში, მთის ფერდობზე წარმტაცად შეყუჟული დასახლება, რომლისკენაც შედარებით უფრო დაბლა მდებარე ეკლესიის მოედნიდან სახლებით დაჩრდილული არცთუ მაინცდამაინც სუფთა შუკა მიემართებოდა კიბე-კიბედ. შუკაში პატარა შავი ღორები ირეოდნენ და უყურადღებო ქვეითად მავალი იოლად შეიძლებოდა სახლის კედელზე მიეჭყლიტა საპალნით ორივე მხრიდან მძიმედ დატვირთულ სახედართაგან ერთ-ერთს, აქ რომ ზოგი ზევით მიაბიჯებდა და ზოგიც ქვევით ეშვებოდა. დასახლების ბოლოს გზა მთის ბილიკად იქცეოდა. კაპუცინების მონასტერს გვერდით აუვლიდა და გორაკის მწვერვალამდე აღიოდა, აკროპოლისის მწირ ნანგრევებამდე. აქვე იყო ანტიკური თეატრის ნანგრევებიც. ჰელენე და მე ჩვენი იქ ყოფნის ხანმოკლე პერიოდში ბევრჯერ ავსულვართ ამ ღირსსახსოვარ ნანგრევებთან, მაშინ როდესაც ადრიანს „არაფრის ხილვა არ სურდა“, თვეობით არ გამოდიოდა კაპუცინების ჩეროვანი ბაღიდან, თავისი საყვარელი სავანიდან.

მანარდის სახლი, ადრიანისა და რიუდიგერის თავშესაფარი, აქ ყველაზე სოლიდური ჩანდა და თუმცა მასპინძლის ოჯახი ექვსი სულისაგან შედგებოდა, ჩვენც, ჩამოსულებიც, თავისუფლად ვეტიოდით. იგი საფეხურებიანი შუკის პირას იდგა და მკვიდრ, დარბაისლურ, ლამის პალაცოსა თუ ციხე-დარბაზის მსგავს ნაგებობას წარმოადგენდა, რომელიც ჩემი ვარაუდით მე-17 საუკუნის მეორე მესამედით უნდა დათარიღებულიყო; ჩუქურთმებით ძუნწად შემკობილი ლავგარდანი და სოლყავრის ბრტყელი, ოდნავ წინ გამონეული სახურავი ჰქონდა, პატარა ფანჯრები და ადრეული ბაროკოს სტილზე განწყობილი ალაყაფის კარი, რომლის შეფიცრულ ნაწილში საკუთრივ კუტიკარიც იყო გამოჭრილი და ზანზალაკით აღჭურვილი. ჩვენს მეგობრებს კარგა მოზრდილი ოთახი დაუთმეს პირველ სართულზე. მას ორი ფანჯარა, დარბაზის შესაფერი განზომილებები და ქვის იატაკი ჰქონდა, ისევე როგორც სახლის დანარჩენ ოთახებსაც, ჩეროიანი, გრილი და ოდნავ ბნელი იყო, ჩალის სკამებითა და ცხენის ძუის დივნებით ძალზე სადად მონწყობილი, მაგრამ მართლაც ისეთი ვრცელი, რომ ორ ადამიანს თავისუფლად შეეძლო მუშაობა, ისე რომ ერთმანეთისათვის ხელი

არ შეეშალათ. მისი მომიჯნავე საძილე ოთახებშიც მოზრდილი, მაგ-
რამ აგრეთვე ძალიან უბრალოდ მონყობილი გახლდათ. მათგან მეს-
ამე, ზუსტად ისეთივე, როგორც პირველი ოთახი, ჩვენ, სტუმრე-
ბს, დაგვითმეს.

ოჯახური სასადილო, სადაც ქალაქიდან ჩამოსულ მეგობრებს
უმასპინძლებოდნენ ხოლმე, და მასზე ბევრად დიდი სამ-
ზარეულო ზედა სართულზე იყო განლაგებული. სამზარეულოში
მაშინვე თვალში გეცემოდათ ვეება ჩალამებულ-ჩაშავებული კვ-
ამლის ამწოვი თაღფაქი ქურაზე, ირგვლივ საარაკო სიდიდის ცი-
ცხვები, ჩანგლები და დანები ეკიდა, კაცციჭამია გოლიათის
სარგონი, თაროები გაჭედილი იყო სპილენძის ჭურჭლით, ქვაბე-
ბით, ჯამებით, ლანგრებით, სინებითა და როდინებით. აქ სინიორა
მანარდი განაგებდა. შინაურები მას ნელას ეძახდნენ, ფუნჩულა
ზედა ტუჩი, კეთილი თაფლისფერი თვალები და ოდნავ შევე-
რცხლილი, უკან მაგრად გადატკეცილი თმა ჰქონდა, არცთუ ძალი-
ან შავგვრემანი, სოფლურად სადა, მხნე და თანაბარზომიერად
ხორცსავესე ქალი იყო, რომელსაც ხშირად ნახავდით თეძოებზე წი-
ნსაფარშემოტმასნილსა და პატარა, მაგრამ შრომას მიჩვეული
ხელებით დოინჯშემორტყმულს, თან მარჯვენაზე ქვრივის ორმაგი
ბეჭქედი უჩანდა ხოლმე.

ქორწინებიდან ნორჩი ქალიშვილი შემორჩენოდა, ამელია,
ცამეტი თუ თოთხმეტი წლის ცოტათი ოინბაზობისაკენ მიდრეკილი
გოგო, რომელსაც ჩვეულებად ჰქონდა სუფრასთან მჯდომს კოვზი
ან ჩანგალი დაეჭირა თვალებწინ და აქეთ-იქით ემოძრავებინა, თან
რომელიმე აკვიატებული სიტყვა გაემეორებინა შეკითხვის ინტონა-
ციით. ასე, მაგალითად, ორიოდე წლის წინ მანარდებთან ერთი
რუსული არისტოკრატიული ოჯახი ყოფილიყო მდგმურად. ოჯახის
მესვეურს, გრაფსა თუ თავადს, მოჩვენებები აწუხებდნენ თურმე
და სახლის მკვიდრთ დროადადრო ღამე ძილს უფრთხობდა, რადგან
მასთან საძილე ოთახში შემოჭრილ მოხეტიალე სულებს დამბაჩი-
დან ტყვიას უშენდა. ჰოდა, გოგონას მესხიერებაში ამ, თავისთავად
გასაგებია, ცოცხლად შემორჩენილი მოგონებებით აიხსნებოდა ის,
რომ ამელია ხშირად და ჩაცვიებით ეკითხებოდა თავის კოვზს:
„Spiriti? Spiriti?“ მაგრამ უფრო უმნიშვნელო წვრილმანის ფიქსირ-
ებაც ხელენიფებოდა. ერთმა გერმანელმა ტურისტმა როგორღაც

*"სულები? სულები?" (იტალ.).

სიტყვა „melone“ (ნესვი), იტალიურად მამრობითი სქესისა, გერმანულის ანალოგიით მდედრობითი სქესის არსებით სახელად გამოიყენა. ამის შემდეგ გოგონა თავის ქნევით ადევნებდა ხოლმე დანისლულ თვალებს კოვზს და დუდუნებდა: „La melona? La melona?“ სინიორა პერონელა და მისი ძმები ყურადღებას არ აქცევდნენ ბავშვის საქციელს, როგორც ჩვეულებრივ ამბავს, თითქოს ვერც ხედავდნენ და არც ეყურებოდათ, მარტო თუ გაუღიებდნენ სტუმარს, როცა გაკვირვებას შეამჩნევდნენ, და ისიც უფრო გულაჩუყებულნი და ნაზად, ლამის გაბედნიერებულნიც კი, და არა მოსაბოდიშებლად, თითქოს რაღაც სასიამოვნოსა და სანუკვარს შეეხებოდა საქმე. ჰელენეცა და მეც მალე მივეჩვიეთ ამელიას აბდაუბდა ტუტუნს სუფრაზე. ადრიანი და შილდენაპი კი ამას უკვე ვეღარც ამჩნევდნენ.

დიასახლისის ძმები, მე რომ ვახსენე, — ქალი შუათანა იყო მათ შორის ასაკის მიხედვით, — იყვნენ: გექილი ერკოლანო მანარდი — მეტწილად მას სიმოკლის გულისთვის და აგრეთვე რომ ესიამოვნებინათ, l'avvocato-ს* ეძახდნენ — სიამაყე სხვა მხრივ სოფლურად სადა და გაუნათლებელი ოჯახისა, სამოცი წლის კაცი, დაფანჩული ჭალარა უღვაშებისა და ჩახლეჩილი, ყმულია ხმის პატრონი, თითქოს სახედრისააო, თითქოს რაღაცა უშლისო, დასაწყისში ძნელად რომ აღმოხდებოდა ხოლმე, — და სინიორ ალფონსო, უმცროსი, დაახლოებით ორმოცდახუთი წლისა, მას ახლობლები შინაურულად „ალფოს“ უხმობდნენ, სოფლის მეურნე, რომელსაც ჩვენ საღამოობით ბუნების წიაღში გასეირნებიდან უკან დაბრუნებისას ხშირად ვხვდებოდით პატარა დიდყურაზე ამხედრებულსა და თავისი ხოდაბუნებიდან შინ მომავალს, ფეხები ლამის მიწაზე ეთრეოდა, ქოლგა მოემარჯვებინა და ცხვირზე ლურჯი დამცავი სათვალე ეკეთა. ადვოკატი, როგორც ჩანდა, პროფესიულ საქმიანობას აღარ მისდევდა, ერთთავად გაზეთს კითხულობდა, თან ცხელ დღეებში თავისი ოთახის კარს აღებდა და ქვედა საცვლის ამარა იჯდა დაურიდებლად, რითაც სინიორ ალფოს გულისწყრომას იმსახურებდა, რომელსაც მიაჩნდა, რომ კანონთმცოდნე — „quest' uomo“**, — იტყოდა ხოლმე ასეთ შემთხვევაში, — ერთობ ბევრი რამის უფლებას აძლევს საკუთარ თავსო. ხმამაღლა კიცხავდა მის გამომწვევ

*ადვოკატს (იტალ.).

**„ეს ადამიანი“ (იტალ.).

თავაშვებულობას, ოღონდ ძმის ზურგს უკან კი, და ყურად არ იღებდა დამაშოშმინებელ სიტყვებს დისა: სისხლის სიჭარბე და სიცხეში წვეთის დაცემის საფრთხე აიძულებს ადვოკატს თხლად შეიმოსოსო. მაშინ quest' uomo-მ კარი მაინც უნდა დახუროს, — შეესიტყვებოდა ხოლმე ალფო, ნაცვლად იმისა, რომ ესოდენ შილიფად ჩაცმული დაენახვოს თავისიანებსა და distinti forestieri-სო*. უმაღლესი განათლება როდი ამართლებს ამნაირ უყურადღებობასა და უტიფრობასო. აშკარა იყო, რომ აქ ოჯახის განსწავლულ წევრზე დაბოლმილი contadino** იოხებდა გულს არცთუ ურიგოდ შერჩეული საბაბით, თუმცა — ან უფრო სწორად, რადგან სულის სიღრმეში სინიორ ალფოც ისევე იყო აღტაცებული ადვოკატით, როგორც ყოველი მანარდი, რომლებსაც იგი სახელმწიფო მოღვაწის ბადალ კაცად მიაჩნდათ. მაგრამ ძმები მსოფლაღქმითაც საგრძნობლად განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან, რადგან ადვოკატი უფრო კონსერვატიული, დარბაისლურ-ქვეშევრდომული სულისკვეთებისა გახლდათ, ალფონსო კი, პირიქით, თავისუფლად მოაზროვნე იყო, libero pensatore, და კრიტიკოსი, ეკლესიის, სამეფო ხელისუფლებისა და governo-ს*** მიმართ მჭირდავად განწყობილი, რომელთაც — ყველას ერთად — სამარცხვინოდ გახრწნილებად სახავდა. „Ha capito, che sacco di birbaccione?“ — „გაიგე, რა თითლიბაზობის გუდაც არის?“ — იცოდა ხოლმე თავის ბრალდებათა დაგვირგვინება. იგი ბევრად ენაწყლიანი იყო, ვიდრე ადვოკატი, რომელიც ხვნეშით ერთი-ორჯერ კი შეედავებოდა პროტესტის ნიშნად, მაგრამ შემდეგ, გაჯავრებული, ისეე გაზეთს აიფარებდა ხოლმე.

ამ მამაპაპურ სახლში და-ძმანის კიდევ ერთი ნათესავი ცხოვრობდა თავის შეუხედავ და სნეულ ცოლთან ერთად, ქალბატონ ნელას განსვენებული მეუღლის ძმა, დარიო მანარდი, ჯოხით მოარული, ჭლარანვერიანი და სოფლური შესახედაობის თვინიერი კაცი. მაგრამ ეს ცოლ-ქმარი ცალკე სადილობდა, მაშინ როდესაც ჩვენ შვიდს: ძმებს, ამელიას, ორივე გრძელვადიან მდგმურსა და სტუმრად მყოფ წყვილს, — სინიორა პერონელა გვიმასპინძლდებოდა თავისი რომანტიკული სამზარეულოდან, თანაც ისე გულუხვად, რომ ჭამასმის ჩვენი მცირე საზღაური სახსენებელიც არ იყო. რას აღარ მოგვართმევდა ხოლმე. ვთქვათ, მაგალითად: მას შემდეგ, რაც ნოყიერ

*გამოჩენილ უცხოელებსო (იტალ.).

**სოფლელი (იტალ.).

***მთავრობის (იტალ.).

ministra-ს*, ტოროლებს პოლენტათი, მარსალაში ჩადებულ ესკალ-ოპს, ბატკნისა თუ გარეული ღორის ხორცს ტკბილი საწებლით, აგრეთვე უამრავ სალათს, ყველსა და ხილს მივირთმევდით და ჩვენი მეგობრები შავი ყავის მოლოდინში უკვე სახელმწიფოდამლიან პაპიროსებს ნაუკიდებდნენ, დიასახლისს შეეძლო ისეთ კილოზე ეთქვა, თითქოს ახლა მოუვიდა თავში ეს სანუკვარი აზრიო: — სინიორებო, ცოტაოდენ თევზსაც ხომ არ ინებებდითო? ადგილობრივი ძონისფერი ღვინო, რომელსაც ადვოკატი ხვნეშა-ხვნეშით წყალივით მოიყუდებდა ხოლმე, კაცმა რომ თქვას, ერთობ მხურვალე სამსალა გახლდათ საიმისოდ, რომ დღეში ორჯერ გესვათ სუფრაზე, მაგრამ წყლით გასაზავებლადაც აფსუსი იყო, და ჩვენც ამითი ვიკლავდით წყურვილს. გვთავაზობდა რა სასმელს, პადრონა გვეუბნებოდა: „მიირთვიო, მიირთვიო! Fa sangue il vino**“. მაგრამ აღფონსო უარყოფდა ამ შეხედულებას, როგორც ცრურწმენას.

ნასადილევს საუცხოო გასაღებებს ვაწყობდით, გზაში გულიანად ვიცინოდით რიუდიგერ შილდკნაპის ანგლოსაქსურ ოხუნჯობაზე, მივდიოდით ხეობაში, გზის გაყოლებით ჩამწკრივებული თუთის ხეების ქვეშ, ზეთისხილის ბაღებსა და ვენახებში, პატარა ადგილ-მამულებად დაყოფილ ნაყოფიერ მიწებში; კარმიდამოებს ქვის გალავნები ერტყა და შიგ ლამის მონუმენტური ჭიშკრები იყო დატანებული. აბა, რაღა თქმა უნდა, მე ისედაც ვღელავდი ადრიანთან კვლავ ერთად ყოფნის გამო და ახლა კლასიკური ზეცის ჭვრეტაც უსაზღვროდ მახარებდა. ჩვენი იქ ყოფნის დროს, რამდენიმე კვირის განმავლობაში, ღრუბლის ერთი ფთილაც არ გამოჩენილა. გაბედნიერებული ვიყავ ანტიკური სულით, რომელიც ამ ქვეყანაში ტრიალებდა და ხან სად და ხანაც სად სახიერდებოდა, ჭის ნაგებობა იქნებოდა, მწყემსის წარმტაცი გარეგნობა, თუ ჰანის მსგავსი ვაცის დემონური თავი. გასაგებია, რომ ადრიანი მხოლოდ თავის ქნევითა და ღიმილით, არცთუ ირონიის გარეშე ხვდებოდა ჩემი ჰუმანისტური გულის აღფრთოვანებას. ეს ხელოვანნი დიასაც გულგრილნი არიან გარემომცველი სინამდვილის მიმართ, თუკი იგი უშუალოდ იმ სამუშაოს სფეროს არ შეეხება, რომელშიც ისინი ცხოვრობენ, და ამის შედეგად მას მხოლოდ შემოქმედების მეტ-ნაკლებად ხელშემწყობ ინდიფერენტულ ჩარჩოდ მიიჩნევენ. დაბაში დაბრუნებისას მზის ჩასვლას ვადევნებდით ხოლმე თვალს და ასეთი

*წენიანს (იტალი).

**სულ სისხლში მიდის (იტალი).

დიდებული საღამოს ზეცა მე არასოდეს არ მიხილავს. დაისის კაბადონზე ლალისფერ შარავანდედში მიცურავდა ოქროს ზეთოვანი, სქელი შრე, — ეს იმდენად საოცარი და მშვენიერი სანახაობა იყო, რომ ალბათ შეიძლებოდა კაცს სული სიანცითაც აღვსოდა: მიუხედავად ამისა, მე მაინც არ მეჭაშნიკებოდა, როცა შილდეკნაპი ბუნების დიად მოვლენაზე მიუთითებდა და გაიძახოდა: „მომოახილეთ ესე!“ — ხოლო ადრიანს ის მაღლიერი სიცილი აუვარდებოდა ხოლმე, რომლითაც მუდამ ეხმაურებოდა რიუდიგერის ანგლობას. მე მეჩვენებოდა, რომ შემთხვევით სარგებლობდა და ერთსა და იმავე დროს იცინოდა როგორც ჩემსა და ჰელენეს აღტყინებაზე, ისევე თვით ბუნების მოვლენის სიღიადებზეც.

მონასტრის ბაღი, დაბას ზევიდან რომ გადმოჰყურებდა, მე უკვე მოვიჩხენიე. ჩვენი მეგობრები ყოველ დღით ადიოდნენ იქ პორტფელებით აღჭურვილები, რათა ცალ-ცალკე ემუშავათ. ბერებს სთხოვეს იქ ყოფნის ნება დაერთოთ და მათაც მაღლი მოისხეს. ჩვენც ხშირად ვახლდით ამ ძველი გალავნით გარშემორტყმულ და ოდნავ გაუდაბურებულ სავანის გამაბრუებლად სურნელოვან ჩეროში. ადგილზე მისულნი მოკრძალებით ვტოვებდით მათ მარტო, რომ მუშაობაში ხელი არ შეშლოდათ, და მათთვის უჩინარნი, — ისინი ერთმანეთისთვისაც უხილავ ადგილას სხდებოდნენ ცალ-ცალკე, — ოლეანდრების, დაფნისა და კურდღლის ცოცხების ბუჩქნარით განმზოლოებულნი და მზარდ სიცხეს განრიდებულნი, ვატარებდით დროს შუადღემდე: ჰელენე ქსოვდა, მე კი, კმაყოფილი და გაფაციცებული იმის შეგნებით, რომ ადრიანი სადღაც აქვე ოპერას თხზავდა, წიგნს ვკითხულობდი.

საკმაოდ აშლილ კლავიკორდზე, მეგობრების სასტუმრო ოთახში, დაგვიკრა მან ერთხელ — სამწუხაროდ, მხოლოდ ერთხელ ჩვენს იქ ყოფნაში — უკვე დამთავრებული და რომელიმე რჩეული ორკესტრისათვის მეტწილად უკვე დაინსტრუმენტებული ნაწილები „საამური, ხუშტურებიანი კომედიიდან, რომელსაც „ამაოდ დამაშვრალი სიყვარული“ ჰქვია“, — ასე ეწოდებოდა პიესას 1598 წელს, — ზოგიერთი დამახასიათებელი ადგილი და ორიოდე ერთმანეთთან დაკავშირებული სცენა: პირველი მოქმედება, არმადოს გამოსვლის ჩათვლით, და რამდენიმე შემდგომი ეპიზოდიც ნაწყვეტ-ნაწყვეტად, კერძოდ, ბირონის მონოლოგებიც, რომელთაც ადრიანი იმთავითვე ჩაჰკირკიტებდა, — გალექსილიც, მესამე მოქმედების ბოლოში, და თავისუფალრიტმიანიც — მეოთხეში, — „they have pitch'd a toil, I am

toiling in a pitch, pitch, that defiles“,* რომელიც აღსავსეა რაინდის კომიკური, გროტესკული, მაგრამ ამასთანავე სულის სიღრმიდან მომდინარე სასონარკვეთილებით იმის გამო, რომ საეჭვო „black beauty“** უყვარს, — საკუთარი თავის გააფთრებული გამასხარავებით — „By the Lord, this love is as mad as Ajax: it kills sheep, it kills me, I a sheep,“*** — მუსიკალური თვალსაზრისით იგი უკეთესი გამოვიდა, ვიდრე პირველი, რაც ნაწილობრივ იმიტი აიხსნება, რომ სიტყვების თამაშზე აკებულმა მოკლე-მოკლე ფრაზებმა, სწრაფად და ნაწყვეტ-ნაწყვეტად წარმოთქმულმა პროზამ კომპოზიტორს ახლებური, ძალზე თავისებური აქცენტები ჩააგონა, ხოლო ნაწილობრივ კიდევ იმიტი, რომ მუსიკაში ყველაზე მეტყველი და შთამბეჭდავი გახლავთ მრავალმნიშვნელოვანი განმეორებანი, უკვე ნაცნობის ერთხელ კიდევ გონებამახვილურად ანდა ღრმააზროვნად გამოხმობა; მეორე მონოლოგში კი პირველის ელემენტები სანუკვარად იჩენდნენ თავს. ეს უწინარეს ყოვლისა შეეხებოდა გულის გამწარებულ თვითგანქიქებას, გაგიჟებით რომ შეჰყვარებოდა „ხვერდოვანწარბებიანი ფერმკრთალი კედლებერა“, რომელსაც თვალთა ნაცვლად „კუპრის ორი ბურთულა აქვს სახეზე“, და განსაკუთრებით კი მუსიკალურ ხატებას ამ შეჩვენებული, ესოდენ საყვარელი კუპრივით შავი თვალებისა, მრუმედ რომ ელავდნენ ვილონჩელისა და ფლეიტის ბგერათა ერთმანეთთან შერწყმულ ჟღერაში, ცალკერძ ღირიკულსა და ვნებიანში და ცალკერძ კი გროტესკული მელიზმებით შემკულში, რაც პროზით შემდეგ ადგილზე მეორდება: „O, but her eye, - by this light, but for her eye I would not love her“,**** — მეორდება გიჟმაჟ კარიკატურულ ყაიდაზე, ამასთან თვალის სიშავე კიდევ უფრო ღრმავდება ტონალობით, ხოლო ელვარება ამჯერად უკვე პ ა ტ ა რ ა ფლეიტითაც გადმოიცემა.

არავითარ ეჭვს არ იწვევს ის ამბავი, რომ უცნაურად ახიერებული და თანაც არასაჭირო, დრამატულად ნაკლებად გამართლებული დახასიათება როზალინასი, როგორც გახასებული, მოლალატე და სახიფათო დიაცისა, ასეთად მხოლოდ ბირონის ნალაპარაკევიდან წარმოგვიდგება, ხოლო კომედიის სინამდვილეში კი მარტო კადნიერი

**„ისინი მახეს მიგებენ და ზედ კუპრს უსვამენ, მე გავები შიგ და კუპრში ამოვივანგლე, კუპრი გოხუპნის კაცს“ (ინგლ.).*

***„შავვერემანი ლამაზმანი“ (ინგლ.).*

****„ღმერთმანი, სიყვარული უგუნურია, ვითარცა აიაქსი; იგი ცხერებს ხოცავს, მეცა მკლავს, მეცა მკლავს, მე — ცხვარი ვარ“ (ინგლ.).*

*****„ო, მაგრამ მისი თვალები! ო, ეს თვალები რომ არა, მე არ შევიყვარებდი“ (ინგლ.).*

და ენაქარტალაა, — არავითარ ეჭვს არ ინვევს, რომ ეს დახასიათება მომდინარეობს პოეტის დაჟინებული, მსატყვერულ ზადს რომ აღარ ინალვლის, ისეთი მისწრაფებიდან, ნაწარმოებში პირადი გამოცდილებების აღბეჭდვისა და მისთვის ავად თუ კარგად შურისძიებისა. როზალინა, როგორადაც მას გამიჯნურებული დაუღალავად აგვიწერს, გახლავთ სონეტთა მეორე ციკლის შავგვრემანი ქალბატონი, ელისაბედის სეფექალი, შექსპირის სატრფო, რომელიც მწერალს მშვენიერ ჭაბუკ მეგობართან ლალატობდა, ხოლო „რითმების შეთითხვნისა და მელანქოლიის ნიმუში“, რომლითაც ბირონი გამოდის სცენაზე, რათა პროზაული მონოლოგი წარმოთქვას — „Well, she has one o' my sonnets alreedy“*, — გახლავთ ერთი იმ მრავალ სონეტთაგანი, რომლებიც შექსპირმა ამ შავგვრემანსა და ფერმკრთალ ლამაზმანს უძღვნა. და როზალინაც რატომაა, რომ პიესის ენამახვილი და საკმაოდ მხიარული ბირონის მიმართ ასეთ აფორიზმს იყენებს:

*ჭაბუკის სისხლი არ ენთება ისეთი გზნებით,
როგორც ხნიერის, როცა იგი მთვრალია ვნებით.*

განა სწორედ ბირონი არ არის ახალგაზრდა? თან არც მაინცდამაინც დინჯიც არ ეთქმის და არც იმაზე მსჯელობის საბაბს იძლევა, რომ რა საცოდაობაა, როდესაც ბრძენნი ბრძევებად იქცევიან და მთელ თავიანთ ჭკუა-გონებას იმას ახმარენ, სისულელეს რაიმე ღირებულება შესძინონ. როზალინასა და მისი მეგობარი ქალების მიხედვით, ბირონი სულ სხვა ვინმეა, სხვის როლში გამოდის, იგი უკვე ბირონი კი აღარ არის, არამედ შექსპირია, შავგვრემან ქალბატონზე სავალალოდ შეყვარებული; და ადრიანი, რომელსაც მუდამ თან დაჰქონდა სონეტების დედანი — ჯიბის გამოცემა ინგლისურ ენაზე, პოეტის, მეგობრისა და სატრფოს ეს ყოვლად უცნაური ტრიო, იმთავითვე იმის ცდაში იყო, რომ ბირონის ხასიათი მისთვის, კომპოზიტორისათვის, ძვირფას დიალოგთან შეეხამებინა და ისეთი მუსიკით შეემკო, რომელიც მას — მთელი პიესის კარიკატურულ სტილთან შესაბამის მიმართებაში — დარბაისლად და სულიერი თვალსაზრისით მნიშვნელოვან პიროვნებად, ესე იგი სამარცხვინო ვნებათა ღელვის ჭეშმარიტ მსხვერპლად წარმოაჩენდა.

* „კეთილი, მას უკვე ხელთა აქვს ჩემი ერთ-ერთი სონეტი“ (ინგლ.).

ეს მშვენიერი იყო და მეც დიდად შევაქე. ისე კი, შექებისა და განცვიფრებით აღსავსე სიხარულის რამდენ საბაბს იძლეოდა სხვა დროსაც ყოველივე ის, რასაც კი ადრიანი დაგვიკრავდა ხოლმე! ადრიანზე შეიძლებოდა სერიოზულად გვეთქვა ის, რასაც ასოკირკიტა სწავლული ოლოფერნი თავის თავზე ამბობს:

„ეს ნიჭი გახლავთ, რაც მე მაქვს, უბრალოდ, უბრალოდ ნიჭი, გიჟმაჟი, დაუდგარი გონება, ფორმებით, ფიგურებით, სახეებით, საგნებით, იდეებით, მოვლენებით, იმპულსებით, ასოციაციებით აღსავსე! მათი ჩასასვა ხდება მეხსიერების საშოში, იზრდებიან *pia mater*-ის* წიაღში და იბადებიან, როცა ამას შემთხვევა მოიტანს“, — „*delivered upon the mellowing of occasion*“. დიდებულია! სრულიად უმნიშვნელო საბაბით, სასხვათაშორისოდ და ხუმრობით პოეტი ხელოვანის სულის სწორუპოვარ აღწერას იძლევა და უნებლიეთ სურვილი გიჩნდებოდა კაცს ეს განსაზღვრება იმ ხელოვანისათვის მიგესადაგებინა, რომელსაც ახლა ახალგაზრდა შექსპირის სატირიკული ნაწარმოები მუსიკის სფეროში გადაჰქონდა.

განა საჭიროა სულაც არ მოვიხსენიო ის ამბავი, რომ პირადად მე ცოტათი შეურაცხყოფილი ვიყავი, ან უფრო სწორად, გულდანყვეტილი ვრჩებოდი ანტიკურობის შტუდირების მასხარად აგდების გამო? იგი ხომ პიესაში ასკეტურ პეიტრობად არის გამოყვანილი. ჰუმანიზმის გაშარყებაში ბრალი ადრიანს კი არ მიუძღოდა, არამედ შექსპირს. მანვე ჩამოაყალიბა აგრეთვე თავისებური ლოგიკური სისტემა, რომელშიც ცნებები „განათლება“ და „ბარბაროსობა“ ესოდენ უცნაურ როლს ასრულებენ. პირველი გახლავთ ინტელექტუალური განდევნილობა, ცხოვრებისა და ბუნების სულის სიღრმემდე განმაქიქებელი განსწავლული ზესინატიფე, რომელიც სწორედ ცხოვრებასა და ბუნებაში, უშუალოებაში, ადამიანურობაში, გრძნობაში ბარბაროსულ სანყისს ხედავს. თვით ბირონიც კი, კეთილ სიტყვებს სწირავს რა ბუნებრიობას აკადემოსის ქალის მეტიკვნიტა შეთქმულთა წინაშე, აღიარებს, რომ ბარბაროსობის სასარგებლოდ უფრო მეტი ილაპარაკა, ვიდრე სიბრძნის ანგელოზის სასარგებლოდ. მართალია, ეს ანგელოზი სასაცილოდ არის აგდებული, მაგრამ ისევ და ისევ სასაცილო საბაბით, ვინაიდან „ბარბაროსობა“, რაშიც კვლავ ცვივიან მოკავშირეები, სწინეტებით დამტკბარი ტრფიალი, მათ კავშირისათვის ღალატის გამო რომ სასჯელად ედებათ, ასევე გონებამახვი-

**ტვინის რბილი გარსის (ლათ).*

ლურად სტილიზებული შარჟია, სიყვარულის დაცინვაა, და თავის მხრივ ადრიანის მუსიკაც მხოლოდ გვარნმუნებდა, რომ ბოლოს და ბოლოს გრძნობა არაფრით უკეთესი არ არის მის კადნიერად უარყოფაზე. სწორედ მუსიკაა, — ვფიქრობდი მე, — თავისი უშინაგანესი ბუნებით მოწოდებული, აბსურდული ხელოვნურობის სფეროდან თავისუფლებისაკენ წაგვიძღვეს, ბუნებრიობის და ადამიანურობის საუფლოში წაგვიყოლიოს-მეთქი. მაგრამ თავი შეიკავა ასეთი რამისაგან. იმას, რასაც რაინდი ბირონი „barbarism“-ს უწოდებს, ესე იგი სტიქიურსა და ბუნებრივს, მასში ტრიუმფი არ უზეიმი.

მხატვრულობის თვალსაზრისით მუსიკა, რომელსაც ჩემი მეგობარი ქსოვდა, დიდად გასაოცარი რამ გახლდათ. ბაქიბუქის მოძულე თავდაპირველად პარტიტურის შედგენას მარტო ბეთჰოვენის კლასიკური ორკესტრისთვის აპირებდა და მარტო კომიკურ-პომპეზური ესპანელი არმადოს გულისთვის შემოიტანა თავის ორკესტრში ვალტორნების მეორე წყვილი, სამი ტრომბონი და ერთიც ბანის ტუბა. მაგრამ ყოველივეს მკაცრი კამერული სტილი განაგებდა და ოქრომჭედლის ნამუშევარს მოგაგონებდათ, ჭკვიანური გროტესკი გახლდათ, გამომგონებლობითა და იუმორით აღსავსე, იდეებით მდიდარი, სიანცითა და სინატიფით გაჯერებული. ამიტომ მუსიკის მოყვარულს, დაღლილს რომანტიკული დემოკრატიითა და ზნეობრივი დემაგოგიით, დანატრულებულს ხელოვნებას ხელოვნებისათვის, რომელიც პატივმოყვარეობას მოკლებული იქნებოდა ანდა მხოლოდ განსაკუთრებული გაგებით იქნებოდა პატივმოყვარე, მოწყურებულს ხელოვნებას ხელოვანთა და მცოდნეთათვის, ალტაცებაში მოიყვანდა ეს საკუთარი ცენტრის ირგვლივ ორგანიზებული და სრულიად ცივი ეზოტერიკა, რომელიც — ნ ა რ მ ო ა დ გ ე ნ დ ა რ ა ე ზ ო ტ ე რ ი კ ა ს — მოცემული კომედიის სულისკვეთების შესაბამისად ყოველნაირად დასცინოდა საკუთარ თავს და პაროდისა რომ ეკადრება, ისე აჭარბებდა, რაც ამ ალტაცებაში სევდა-ნაღველის წვეთს, უიმედობის ნატამალსაც ურევდა.

ღიახ, ალტაცება და მნუხარება საკვირველად ერწყმოდა ერთმანეთს ამ მუსიკის მსმენელის გულში. „რა მშვენიერია! — გაიძახოდა გული — ყოველ შემთხვევაში, ჩემი მაინც ასე ამბობდა, — და რა სევდიანი!“ ვინაიდან ალტაცება შეეხებოდა გონებამახვილურ-მელანქოლიურ ფოკუსს, ჰეროიკული რომ შეიძლება ეწოდოს, ისეთ ინტელექტუალურ მიღწევას, ძალვას, რომელიც თავს ანც პაროდინ-

ად ასალებდა და რომელიც მე სხვაგვარად არ შემიძლია განვსაზღვრო, თუ არ ვუნოდე მას ხელოვნების მარად დაძაბული და დამძაბავი, თავბრუდამხვევი თამაში შეუძლებლის მიჯნაზე. სწორედ ეს განგანწყობდათ სევდიანად. მაგრამ აღტაცება და ნუხილი, აღტაცება და ჭმუნვა, განა ეს თითქმის სიყვარულის განსაზღვრა არ არის? მტკივნეულად დაძაბული ვისმენდი ადრიანის დაკვრას, მასზე და მის ხვედრზე შეყვარებული. ბევრი ლაპარაკის თავი მე არ მქონდა. შილდენაჰმა, რომელიც მუდამ კარგი, შეგნებული დამსწრე საზოგადოების როლში გამოდიოდა, მოსმენილი ბევრად უფრო ენამოსწრებული და გონივრული კომენტარით შეამკო, ვიდრე მე. მე კი ამის შემდეგაც, pranzo-ზე*, გარინდებული ვუჯექი მანარდის სუფრას, საკუთარ ფიქრებში ჩაძირული და იმ გრძობებით ატანილი, ეს-ეს არის მოსმენილმა მუსიკამ მთლიანად რომ უკუაგდო. „Bevi! Bevi!“ – მეუბნებოდა ჰადრონა. – Fa sangue il vino!“ ხოლო ამელიას კოვზი ეჭირა თვალნინ, აქეთ-იქით მიჰქონდ-მოჰქონდა და დუდუნებდა: „Spiriti? Spiriti?“...

ეს ერთ-ერთი უკანასკნელი საღამო იყო, ჩვენ, ჩემმა კეთილმა მეუღლემ და მე, მეგობრების ორიგინალურ თავშესაფარში რომ გავატარეთ. ორიოდე დღის შემდეგ კი, – სულ სამი კვირა დავყავით იქ, – შინისაკენ, გერმანიისაკენ გავემგზავრეთ, ისინი კი კიდევ კარგა ხანს, შემოდგომამდე, ვერ შეეღივან მდოვრ იტალიურ ყოფიერებას, მონასტრის ბაღს, ოჯახურ სუფრას, ოქროცურვილ დაისებს და ქვის სასტუმროს, სადაც საღამოებს ლამპის შუქზე კითხვაში ატარებდნენ. ასე გაიყვანეს მთელი ზაფხული წინა წელსაც და ზამთარშიც, ქალაქში, მათი ცხოვრების წესი არსებითად როდი იცვლებოდა. ისინი ვია ტორე არჯენტინაზე ცხოვრობდნენ, ტეატრო კოსტანცისა და პანთეონის მახლობლად, მეოთხე სართულზე, დიასახლისთან, რომელიც მათ საუზმესა და ვახშამსაც უმზადებდა. სადილობით კი, მეზობელ ტრატორიაში სადილობდნენ და ფასს თვითურად იხდიდნენ. პალესტრინის მონასტრის ბაღის როლს რომში ვილა დორია პანფილი ასრულებდა, სადაც გაზაფხულისა და შემოდგომის თბილ დღეებს ატარებდნენ, ლამაზ შადრევანთან მეუშაობდნენ, რომელთანაც დროდადრო ხან ძრიოხა მოდიოდა ნყურვილის მოსაკლავად, ხანაც თავისუფლად მობალახე ცხენი. ადრიანი იშვიათად თუ აცდენდა კონცერტებს, რომელთაც ქალაქის ორკესტრი ნაშუადღევს მართა-

*სადილობისას (იტალ.).

**„დალიე! დალიე!“ (იტალ.).

ვდა ხოლმე პიაცა კოლონაზე. ზოგჯერ ოპერასაც უთმობდნენ საღამოს. როგორც წესი კი, ერთი მიყრუებული კაფეს კუნჭულში ისხდნენ ხოლმე, დომინოს თამაშობდნენ და ერთ ჭიქა ფორთოხლის ცხელ პუნშს შეექცეოდნენ.

სხვა არავითარი ურთიერთობა არ ჰქონდათ ადამიანებთან—ან თითქმის არავითარი, მათი კარჩაკეტილობა რომშიც თითქმის ისევე ყოვლისმომცველი იყო, როგორც სოფლად. გერმანულ ელემენტს გულმოდგინედ ერიდებოდნენ,—შილდკნაპი მაინც მაშინვე გარბოდა, როგორც კი მშობლიური ენის ბგერები მოხვდებოდა ყურში, შეეძლო ომნიბუსიდან ანდა რკინიგზის ვაგონიდან გადმოსულიყო, თუ შიგ „germans“⁴⁴ აღმოჩნდებოდნენ. მაგრამ ადგილობრივებთანაც რაიმე ნაცნობობის გაბმაც გამორიცხული გახლდათ მათი ასე კენჭად, ან უფრო სწორად, ასე ნყვილად ცხოვრების კანო. ზამთარში ორჯერ დაპატიჟათ თავისთან ხელოვნებისა და ხელოვანთა ხელშემწყობმა ერთმა გაურკვეველი წარმოშობის ქალბატონმა: მადამ დე კონიარმა, რომელთანაც რიუდიგერ შილდკნაპს მიუწვენიდან სარეკომენდაციო წერილი ჰქონდა. ეს ქალი კორსოზე ცხოვრობდა. მის ბინაში, რომლის კედლებიც პლუმის ან ვერცხლის ჩარჩოებში ჩასმული და ავტოგრაფებიანი ფოტოებით გახლდათ შემკული, ისინი ხელოვანთა მრავალეროვან ბრბოს ხვდებოდნენ, — თეატრის ხალხს, მხატვრებსა და მუსიკოსებს, პოლონელებს, უნგრელებს, ფრანგებსა და იტალიელებსაც, რომელთა ცალკეულ წარმომადგენლებს ჩვეულებრივ მალე ისევე კარგავდნენ თვალთახედვიდან. ხანდახან შილდკნაპი გაეყრებოდა ხოლმე ადრიანს, რათა ახალგაზრდა ინგლისელებთან ერთად, — სწორი თავის სწორს ეძებსო, ნათქვამია, — სწევოდა მალვაზიურის რომელიმე სამიკიტნოს, ტივოლიში გაენავარდა ან კვატრო ფონტანეს ტრაპისტებთან ევკალიპტის არაყი გადაეკრა და მათთან სისულელეებზე ელაყბა, მთარგმნელობითი ხელოვნების სიძნელეთაგან გამოფიტულს სული მოეთქვა.

ერთი სიტყვით, ქალაქშიც ისევე, როგორც მთის მიყრუებულ დაბაში, ორივენი ქვეყნისა და ხალხისაგან განდგომილ, მთლიანად თავიანთ სამუშაოში ჩაფლულ ადამიანთა ცხოვრებას ეწეოდნენ. ყოველ შემთხვევაში დაახლოებით მაინც. ჰოდა, უნდა ვთქვა კია განა, რომ პირადად ჩემთვის მანარდის სახლთან დამშვიდობებას, თუმცა მე, როგორც ყოველთვის, მაშინაც უხალისოდ ვცილდებოდი ადრია-

⁴⁴ „გერმანელები“ (ინგლ.).

ნს, რაღაც ისეთი გრძნობაც ახლდა, თითქოს იღუმალად შვეებით ამოისუნთქაო? მაგრამ ამის თქმა ხომ მაშინვე იმას მავალებს, ეს გრძნობა დავასაბუთო, რაც უიმისოდ დიხაც გამიჭირდება, რომ ჩემი თავი და სხვებიც აგრეთვე, ცოტა არ იყოს, სასაცილოდ არ გამოვიყვანო. რა ვქნა, რაც იყოს, იყოს: ერთ გარკვეულ პუნქტში, in puncto puncti* როგორც ახალგაზრდებს უყვართ ხოლმე თქმა, მე მანარდის სახლის მკვიდრთა შორის საკმაოდ კომიკურ გამონაკლისს წარმოვადგენდა, ასე ვთქვათ, საერთო კალაპოტიდან ამოვარდნილი გახლდითო. სახელდობრ, ჩემი მდგომარეობითა და ცხოვრების წესით, ვითარდაც ქმარი, რომელიც ხარკს უზღავდა იმას, რასაც ჩვენ ნახევრად საბოდიშოდ და ნახევრად გამაკეთილშობილებლად „ბუნებას“ ვუნოდეობთ. ჩემს გარდა, არავინ იქმდა ამას ამ კიბეებიანი შუკის გასწვრივ მდგარ ციხე-დარბაზში. ჩვენი შესანიშნავი დიასახლისი, ქალბატონი პერონელა, დიდი ხნის ქვრივი გახლდათ, მისი ქალიშვილი ამელაა ჯერაც ტუტუცი ბაღლი იყო, ძმები მანარდები, როგორც ადვოკატი, ისევე სოფლის მეურნე, დაბენძლებული ბერბიჭები ჩანდნენ და, ასე გასინჯეთ, იოლად დაიჯერებდით, რომ ქალს საერთოდ არც კი მიჰკარებოდნენ. იყვნენ კიდევ მათი ნათესავი დარიოც და მისი პატარა, სნეული ცოლი, მაგრამ, რაღა თქმა უნდა, ეს წყვილი ურთიერთის მიმართ მხოლოდ და მხოლოდ ყოვლად საქველმოქმედო მოღვაწეობას თუ ეწეოდა. და, ბოლოს, აქ იყვნენ ადრიანი და რიუდიკერ შილდკნაპი; რომლებიც თვიდან თვემდე ცხოვრობდნენ ამ მშვიდობიან და მკაცრ, ჩვეთვის უკვე ესოდენ ნაცნობ გარემოში, თითქმის ისევე, როგორც ბერები ზევით, მონასტერში. და ეს ყოველივე ჩემთვის, ჩვეულებრივი ცოლიანი კაცისათვის სინდისის ქენჯნის აღმძვრელი და შემარცხენელი არ უნდა ყოფილიყო?

იღბლიან შესაძლებლობათა ვრცელ სამყაროსთან შილდკნაპის განსაკუთრებულ დამოკიდებულებასა და საკუთარი თავის დაზოგვის გამო ამ საუნჯით ქვანვიაობისაკენ მის მიდრეკილებაზე მე უკვე ვილაპარაკე. ამაში ვხედავდი მისი ცხოვრების წესის გასაღებს, ამითი ვხსნიდი მე ჩემთვის სხვაფრივ ძნელად გასაგებ თავშეკავებულობას. ადრიანთან კი სხვანაირად იყო საქმე, თუმცა მე მესმოდა, რომ სათნოება შეადგენდა მათი მეგობრობის, ანდა, თუ ეს ერთობ შორს მიმავალი სიტყვა გახლავთ, მათი თანაარსებობის საფუძველს. ვგრძნობ, რომ ვერ შევძელი მკითხველისთვის დამემალა ეჭვიანობის

*ყოვლად დელიკატურ პუნქტში (ლათ.).

ის ნატამალი, რასაც ადრიანთან სილუზიელის დამოკიდებულების მიმართ განვიცდიდი. ამიტომ დაე მან ისიც იცოდეს, რომ მათი საზიარო თვისება, თავშეკავება, რაც მათ ერთმანეთთან აკავშირებდა, იყო საბოლოო ჯამში ჩემი ეჭვიანობის მიზეზი.

თუ შილდკნაპი, ასე ვთქვათ, როგორც პოტენციური ავხორცი ცხოვრობდა, ადრიანი-ეჭვიც არ მეპარება ამაში-იმ საბედისწერო მოგზაურობის შემდეგ გრაცსა თუ, უფრო სწორად, ბრატისლავაში წმინდანის ცხოვრებას ეწეოდა, —ოღონდ ეს კია, რომ ასეთივე ცხოვრებას ეწეოდა იგი მანამდეც. მაგრამ მე ის აზრი მაძრწუნებდა, რომ ეს სათნოება ი მ ი ს შ ე მ დ ე გ, იმ ქალთან შეყრის, ხანმოკლე დაავადების და ექიმების დაკარგვის შემდგომ, სინმინდის ეთიკაში კი არ იღებდა სათავეს, არამედ უწმინდურობის პათეტიკაში.

მის არ სებაში რომ მულამ იყო რალაც „noli me tangere“-სი,—ეს მე ვუნყოფი; რომ არ უყვარდა ადამიანებთან მეტისმეტი სიახლოვე, როდესაც ერთი მეორის სუნთქვასა გრძნობს, და მათთან ფიზიკურ კონტაქტს გაურბოდა, ჩემთვის დიახაც ცნობილი გახლდათ. თავის არიდების, განზე გადგომის, თავშეკავების, ვარკვეული დისტანციის დამცველი კაცი იყო, ამ სიტყვის ქეშმარიტი მნიშვნელობით. გულითადობის ფიზიკური გამოვლენა სრულიად ვერ ეგუებოდა მის ბუნებას; თვით ხელსაც კი იშვიათად თუ ჩამოართმევდა ვინმეს და მაშინაც რალაც ნაჩქარევად სჩადიოდა ამას. უფრო თვალში საცემად, ვიდრე ოდესმე, ეს თავისებურება ამჯერად ჩვენი ერთად ყოფნისას გამოვლინდა, თანაც მე ისე მეჩვენებოდა,—თუმცა ვერც კი გეტყვით, რატომ,—თითქოს მისმა „არ შემეხოო!“, მისმა „სამი ნაბიჯით უკან დაინიეო!“ ერთგვარად აზრი შეიცვალა, თითქოს ამითი იმდენად მისკენ ლტოლვის უკუგდება კი არ სურდა, რამდენადაც თავის მხრივ საპასუხო მისწრაფებისა ეშინოდა და თავს არიდებდა — ქალების მიმართ თავშეკავება აშკარად ამასთან იყო დაკავშირებული.

მარტო ისეთ ყურადღებიანსა და დაკვირვებულ მეგობარს, როგორც მე ვიყავი, შეეძლო ამგვარი ცვლილება შეენიშნა ან ეჭვი მაინც გასჩენოდა და ღმერთია იმის თავდები, რომ ამ ამბავს ადრიანის გვერდით ყოფნით მოგვრილი სიხარული არა და არ გაუნელებია! მის მიერ განცდილსა და გადატანილს შეიძლებოდა შევეძრწუნებინე, მაგრამ დაშორებით კი, მასთან ვერაფერი ვერ დამაშორებდა. არიან ადამიანები, რომელთა ატანა იოლი როდია, მაგრამ მიტოვებაც შეუძლებელია.

საბუთი, ამ ფურცლებზე რომ არაერთხელ მიმითითებია, ადრიანის საიდუმლო ჩანაწერი, რომელსაც მისი გარდაცვალების შემდეგ მე ვინახავ და როგორც ძვირფასსა და საზარელ საუნჯეს, ისე ვურთხილდები, აქ გახლავთ, ის უნდა გაგიზიაროთ. დადგა ჟამი, ბიოგრაფიული წაში მისი ჩასახვისა. ვინაიდან ჩემი გონება კვლავ მოსწყდა ადრიანის საყვარელ სამყოფელს, სადაც სიღეზიელითაზ ერთად ცხოვრობდა და მე მოვინახულე, ვწყვეტ თხრობას და ამ ოცდამეხუთე თავში მკითხველი უშუალოდ მას მოუსმენს.

ოღონდ მარტო მას კი? ჩემს წინაშე ხომ დიალოგია? თანაც მეტწილად სხვა ლაპარაკობს, სულ სხვა, შემადრწუნებლად სხვა ვინმე. ხოლო ქვის დარბაზში მჯდომი ჩემი მეგობარი მხოლოდ იწერს, რაც მისგან მოისმინა. დიალოგი? მართლაც დიალოგია ეს? უნდა შეიქმნას კაცი, რომ ასეთი რამ ირწმუნო, ამიტომაც არც მე არ შემიძლია დავიჯერო, რომ მას სულის სიღრმეში რეალობად მიაჩნდა, ის, რასაც ხედავდა და ისმენდა: მაშინაც, როცა ისმენდა და ხედავდა, და მერეც, როცა ქალღმერთს გადაჰქონდა, — მიუხედავად ცინიზმებისა, რითაც მისი ოპონენტი ცდილობდა დაერწმუნებინა, ობიექტურად ვარსებობო. მაგრამ თუ არავინ არ გამოსცხადებია — მე მზარავს დამოკიდებულება, რასაც მისი რეალურობის თუნდაც პირობითად, თუნდაც რალაცნაირად შესაძლებელი რამის აღიარებაში ვხედავ: — მაშინ ახლა ის მაძრწუნებს, რომ ცინიზმებიც, დამცინავი გამოთქმებიცა და ამდენი თვალთმაქცობაც დამხვედურის საკუთარი სულიდან ითხეოდა...

თავისთავად გასაგებია, ადრიანის ხელნაწერს დასასტამბავად არავის ვანდობ. საკუთარი ხელით სიტყვასიტყვით გადმომაქვს იგი ჩემს ტექსტში სანოტე ქალღმერთიდან, რომელიც დაფარულია რონდო-კალმით გამოყვანილი, ჩემს მიერ ადრე უკვე დახასიათებული, წვრილი და ძველებურად გრეხილი შავზე შავი ასოებით, თითქოსდა ვინმე ბერს დაეწეროს. სანოტე ქალღმერთი ალბათ იმიტომ გამოიყენა, რომ სხვა არ აღმოაჩნდა ხელთ, ანდა იმიტომ, რომ დაბლა, წმინდა აგაპიტუსის ეკლესიის მოედანზე, სანვრილმანოში რიგიანი საწერი ქალღმერთი არ იშოვებოდა. ყოველ ზედა ხუთხაზიან სისტემაზე ორი სტრიქონი მოდის, ასევე ბანისაზეც, მაგრამ მათ შორის თეთრი ინტერვალებიც მუდამ ორ-ორი სტრიქონით არის შევსებული.

როდის ჩაინერა იგი ადრიანმა, ამის დადგენა ვერ ხერხდება, რადგან საბუთი დათარიღებული არ არის. თუ ჩემი რწმენა რამედა ღირს, იგი არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს დაწერილი მთის დაბაში ჩვენი სტუმრობის შემდგომ ან ჩვენი იქ ყოფნის განმავლობაში. ან უფრო ადრე შეიქმნა იმავე ზაფხულში, რომლის სამი კვირაც ჩვენ მეგობრებთან გავატარეთ, ანდა იგი წინა წლის ზაფხულით უნდა დავათარილოთ, როცა პირველად ეწვივნენ მანარდის სახლს. მე ღრმად დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენს ჩასვლამდე ის ეპიზოდი, რომელიც ხელნაწერს საფუძვლად უძევს, უკვე მომხდარი იყო, რომ ადრიანს ქვემოთ საუბარი უკვე განცდილი ჰქონდა, ისევე როგორც იმაში, რომ ქალაღზე იგი უშუალოდ ხილვის შემდეგ გადაიტანა, ალბათ მეორე დღესვე.

მამ ასე, მე ვწერ — და ვშიშობ, შორეულ აფეთქებათა გარეშეც, რომელთაგანაც ჩემი სენაკი ირყევა, მრავალგზის ამიკანკალდება ხელი და ასოები გამედღაბნება წერისას...

„თუ რამე უწყი — გაჩუმდი. გავჩუმდები, თუნდაც სირცხვილის გამო და იმისთვისაც, რომ ადამიანები დავინდო, დიახ, სოციალური მათემბლობის გამო. ბოლომდე მედგრად, უტეხად უნდა შევინარჩუნო გონების სიფხიზლე და თავშეკავება. მაგრამ ნახვით კი, ნამდვილად ვნახე, როგორც იქნა, როგორც იქნა; ჩემთან იყო აქ, ამ დარბაზში, მოულოდნელად მენვია, ოღონდ დიდი ხნის მოლოდინის შემდეგ კი, მაშინვე ენამჭევრი საუბარი გავაბი და მხოლოდ ერთი რამ მაღონებდა: ვერ გამეგო, რატომ ვცახცახებდი მთელი ამ ხნის განმავლობაში, მარტო სიცივისაგან თუ მისი გამოისობითაც. შეიძლება მე ვიკატუნებდი თავს და შეიძლება ის იკატუნებდა ჩემს წინაშე თავს, რომ ციოდა, რათა კანკალი დამეწყო და ამითი დავრწმუნებულიყავი, რომ ის აქ იყო ჭეშმარიტად, პირადად იმყოფებოდა აქ? ვინაიდან ვინ არ იცის, რომ არც ერთი ბრიყვი არ კანკალებს საკუთარი ტვინის მონაჩმახის წინაშე, რომელიც მისთვის საამურიც კია, არამცთუ თრთოდეს და ცახცახებდეს. ან იქნებ ბრიყვად მიმიჩნია და საშინელი სიცივე ჩამოაგდო, აქაოდა, შენ ბრიყვი არა ხარ და მე კიდევ ტვინის მონაჩმახიო, რადგანაც ჩემს წინაშე გაოგნებული და შეშინებული კანკალებო? ფეხებიდან მოცვეთილი ვინმეა.

თუ რამე უწყი — გაჩუმდი. იყურე. მდუმარედ გადაიტანე ყველაფერი ამ სანოტე ქალაქზე, ვიდრე ჩემი ამფსონი in eremo*, კისთანაც მე ვიცინი ხოლმე, ჩემგან მოშორებით ამავე დარბაზში translation-ს** ჩაჰკირკიტებს, საყვარელი უცხოური საძაგელ მშობლიურში გადმოაქვს. ჰგონია, მუსიკას ვთხზავ, და თუ შენიშნა, რომ სიტყვებსა ვწერ, გულში ალბათ გაიფიქრებს, ბეთჰოვენიც ასევე იქცეოდა ხოლმეო

მთელი დღე, გაუბედურებული არსება, თავის მწვავე ტკივილისაგან მისავათებული ვინეკი სიბნელეში, მრავალგზის ვალებინე და ერთთავად ვინერწყებოდი, როგორც მძიმე შეტევების დროს მემართება ხოლმე, მაგრამ საღამო ხანს, სულ რომ არ ველოდი, გამოვკეთდი. წვნიანი დაკვხვრიპე და შემერგო კიდეც, დედაჩემმა რომ მომიტანა („poveretto-მ!***), გახარებულმა ერთი ჭიქა ღვინოც დავაყოლე („Bevi! bevi!“) და უცებ ისე წავთამამდი, რომ პაპიროსიც კი გავაბოლე. შინიდან გარეთ გასვლაც შემეძლო, როგორც წინა დღით შევთანხმდით კიდეც. დარიო მ.-ს სურდა ქვევით ჩავეყვანეთ პრენესტეს რჩეულ მოქალაქეთა კლუბში, ეჩვენებინა ოთახები, საბილიარდო, სამკითხველო. ჩვენც არ გვინდოდა ამ კეთილი კაცისათვის გვენყენინებინა და დავთანხმდით — რამაც შ.-ის ზურგზე გადაიარა, ხოლო მე თავის ტკივილმა გადამარჩინა. Pranzo-ს შემდეგ კენტად გაჰყვა დარიოს მუავე გამომეტყველებით. ქვევით დაეშვნენ შუკაზე, სახნავ-სათეს მიწებზე და გარეუბნებში მცხოვრებლებთან შესახვედრად, მე კი საკუთარ თავთან დავრჩი.

მარტოდმარტო-ფიჯექი აქ, დარბაზში, დარაბებით დაგმანულ ფანჯრებთან ზურგშექცევით, ჩემს წინ დარბაზის სივრცე იყო გადამლილი მთელი სიგრძე-სიგანით, ლამპა მენტო და კიერკეგორს ვკითხულობდი მოცარტის დონ ჟუანის შესახებ.

ანაზდეულად გამმსჭვალავი სიცივე დამიბერავს, თითქოს ზამთარია. გამთბარ ოთახში ვზივარ და უეცრად გაღებული ფანჯრიდან ყინვა შემოიჭრა, მაგრამ უკნიდან კი არ დამიბერა, სადაც ფანჯრები, არამედ წინიდან დამეძგერა. წიგნს თავს ვანებებ და დარბაზში ვიყურები, ვხედავ, რომ, მგონი, შ. უკვე დაბრუნდა, რადგან მარტო აღარა ვარ, ბინდბუნდში ვილაც ზის ცხენის ძუის დივანზე, რომელიც მაგიდასთან და სკამებთან ერთად კარის მახლობლად, დაახლოებით

*განდეგილობაში (ლათ).

**თარგმანს (ინგლ).

***„საბრალომ!“ (იტალ).

ოთახის შუაში დგას, სადაც დილაობით ვსაუზნობთ ხოლმე, — ზის დივნის კუთხეში, ფეხი ფეხზე გადაუდვია, მაგრამ ეს შ. არ არის, ვილაც სხვაა, უფრო პატარა, ვიდრე ის, ისე ახოვანი არ არის, და საერთოდაც რიგიანი ვინმე არ უნდა იყოს. სიცივე კი განუწყვეტილად მცემს.

— *Chi è costà?** — აღმომხდება მე და ვგრძნობ, რომ ყელში თითქოს რაღაც მიჭერს, თან იდაყვებით სკამის სახელურს დაყრდნობილი წამოდგომას ვლამობ, ამიტომ წიგნი მუხლებიდან იატაკზე მივარდება. პასუხად გაისმის წყნარი, დინჯი ხმა იმ სხვისი, კარგად დაყენებული ხმა, სასიამოვნო ცხვირისმიერი რეზონანსით:

— გერმანულად ილაპარაკე, რას ენვალეები! მაღლიან ძველ გერმანულ ენაზე, რაიმე ფარისევლობისა და შელამაზების გარეშე! ვიცი გერმანული. ასე გასინჯე, ჩემი საყვარელი ენაც კი არის. ზოგჯერ მარტო გერმანულიაა ჩემთვის გასაგები. თან პალტო გამოიტანე, შლაპა და პლედიც, თორემ ძალიან გცივა, კბილს კბილზე გაცემინებს და არ გაცივდე.

— ნეტავი შენობით ვინ მომმართავს? — ვეკითხები გაბრაზებული.

— მე, — მეუბნება ის, — მე, ჩემი წყალობის ნიშნად. აჰ, ამას იმიტომ ამბობ, რომ თვითონ არავეს მიმართავ შენობით, შენს იუმორისტსაც კი არა, ჯენტლმენს, მარტო ბავშვობიდან შემორჩენილი ერთი ერთგული მეგობრის გარდა, რომელიც სახელით მოგმართავს ხოლმე, შენ კი მას არა? არა უშავს, მოითმინე. ჩვენ ისეთი ურთიერთობა გვაქვს, რომ შენობით უნდა მივმართოთ ერთმანეთს. აბა, ჰა! თბილად გამოეწყვე!

ბინდბუნდში მივჩერებივარ, მრისხანედ ვზომავ თვალებით. მჭლე და ტანმორჩილი უნდა იყოს, შ.-ზე ბევრად მომცრო, ჩემზე დაბალიც კი; ცალ ყურზე სპორტული კეპი ჩამოუფხატავს და მეორე მხარეს ქულის ქვემოდან წითური თმის ბლუჯა გამოსჩრია საფეთქლის ზემოთ. წამნამებიც წითური აქვს და თვალები წირპლიანი. სახე დასჩმაჩნია. ცხვირის ქვინტი ოდნავ გვერდზე მოქცევია; განივზოლებიანი ტრიკოტინის პერანგზე ერთობ მოკლესახელოებიანი კუბოკრული ქურთუკი აცვია და ფართოდ დაფარჩხული ხელები გარეთ გამოსჩრია; გულის ამრევად ვინრო შარვალი და ყვითელი, უკვე ჯღანებად ქცეული ფეხსაცმელი მოსავს. ვილაც სალახანა ჩანს, ვილაც ავსული! ხმა და წარმოთქმა კი მსახიობისა ჰქონდა!

**ვინ არის მანდ? (იტალ.).*

— აბა, დავინყოთ? — გამიმეორა მან.

— მე უნინარეს ყოვლისა მინდა ვიცოდე, — ვუთხარი აკან-კალეხული ხმით და თან ვცდილობდი თავი დამემორჩილებინა, — ვის ეყო თავხედობა აქ შემოჭრილიყო და ჩემთან მოკალათებულიყო.

— უნინარეს ყოვლისა, — იმეორებს ის, — „უნინარეს ყოვლისა“ ურიგო რამ არ არის. მაგრამ შენ ზემგრძნობიარე ხარ ყოველი ვიზიტის მიმართ, რომელიც მოულოდნელად და არასასურველად მიგაჩნია. მე ხომ იმიტომ არ მოვსულვარ, რომ სადმე წვეულებაზე წაგიყვანო, პირფერობა დაგიყვო და რაიმე მუსიკალური საღამო თავს მოგახვიო. საქმეზე მოსალაპარაკებლად მოვედი. ჩაიცვამ რამეს თუ არა? თორემ კბილს კბილზე გაცემინებს და როგორ ვისაუბროთ?

რამდენიმე წამს კიდევ ვიჯექი ისე, რომ თვალი არ მომიცილებია მისთვის. ხოლო მისგან მომდინარე სუსხი სულის კლიტემდე მატანს, ლამის მომცელოს. ჩემს თხელ კოსტიუმში თავს უმწეოდ ვგრძნობ, თავი შიშველი მგრძნობ. ამიტომ დავემორჩილე. ვდგები მართლაც ზეზე და მარცხნივ უახლოეს კარში შევდივარ, სადაც ჩემი საძილე ოთახია (მეორე უფრო მოშორებითაა ამავე მხარეს), ვიღებ კარადიდან ზამთრის პალტოს, რომელიც რომში მაცვია ხოლმე ტრამონტანას დღეებში და თან წამოვიღე, რადგან არ ვიცოდი, სად დამეტოვებინა; ვიხურავ შლაპას, ვიღებ სამგზავრო პლედს და ასე აღჭურვილი ვბრუნდები ჩემს ადგილზე.

ის ისევ თავის ადგილზე ყუნცია.

— ისევ აქა ხართ, — ვეუბნები მე, — თან პალტოს საყელოს ვინეე და მუხლებს პლედით ვიფუთნი, — თვით იმის შემდეგაც კი, რაც წავედი და უკან დავბრუნდი? ეს მე მაკვირვებს, რადგანაც ჩემი ვარაუდით თქვენ აქ არა ხართ.

— არა ვარ? — მეკითხება ის კარგა დამუშავებული ცხვირისმიერი რეზონანსიანი ხმით, — როგორ თუ არა ვარ?

მე: — ვინაიდან დაუჯერებელი ამბავია, რომ ვილაც გამომეცხადლოს საღამოთი, ჩემთან იჯდეს, გერმანულად მელაპარაკებოდეს და სიცივისაგან მთოშავდეს, აქოდა, საქმეზე მინდა შენთან ვიბაასოო, თან რა საქმეა არც ვიცი და არცა მსურს ვიცოდე. უფრო სავარაუდოა, რომ რაღაც სენმა დამრია ხელი და ციებისაგან რომ ვიფუთნები გაოგნებული, თქვენს პიროვნებას ვუკავშირებ ამ სუსხსა და ყინვას, თქვენ მხოლოდ იმიტომ გხედავთ, რომ თქვენში მისი ნყარო დავინახო.

ის: (თან მსახიობივით მშვიდად და დამაჯერებლად იცინის): — რა სისულელეა! რა კეთილგონივრულ სისულელეს ჩმახავ! ეს სწორედ ის არის, რასაც დალოცვილ ძველ გერმანულზე ჩმახი ეწოდება. თანაც

რა იკლიკანტურად ხლართავ! თითქოს შენი ოპერიდან იყოს ანაპნილი, ისე იკლიკანტურად! მაგრამ ჩვენ ხომ ახლა მუსიკით არა ვართ გართულნი. გარდა ამისა, ეს წმინდა წყლის იპოქონდრიიაა. ნუ მოეშვები, გეთაყვა! ცოტათი სიამაყე გამოიჩინე და უმაღვე კინნის კვრით ნუ გარეკავ შენს ხუთსავე გრძნობას! არავითარ ავადმყოფობას არ დაურევია ხელი, ცოტათი შეუძლოდ იყავი საუცხოო ახალგაზრდული ჯანმრთელობის საერთო ფონზე. თუმცა, პარდონ, არ მინდა უტაქტო ვიყო, რადგან არავინ იცის, ჯანმრთელობა რას ეთქმის. ოღონდ, ჩემო ძვირფასო, შენი ავადმყოფობა ასე არ იფეთქებს ხოლმე. სიცხის ნასახიც არა გაქვს და ვერც რაიმე საბაბს ვხედავ, რომ ოდესმე გექნება.

მე: — მერე იმის გამოც, რომ თქვენს მიერ წარმოთქმულ ყოველ მესამე სიტყვაში არარაობას ამჟღავნებთ. მარტო ისეთ რამეებს ამბობთ, რაც ჩემშია და ჩემგან მოედინება, და არა თქვენგან. მაიმუნივით ბაძავთ კუმძვს სიტყვა-თქმებში და ამასთანავე არ გეტყობათ, ოდესმე უნივერსიტეტში უმაღლესი განათლება მიგელოთ და ჩემი ამხანაგი ყოფილიყავით. საბრალო ჯენტლმენზე ლაპარაკობთ და იმ მეგობარზეც, შენობით რომ მივმართავ, აგრეთვე იმათზეც კი, ვისაც ჩემთვის შენობით მოუმართავს და მე მადლიერი არ ვყოფილვარ. ჩემი ოპერაც ახსენეთ, თქვენ რა იცით ეს ყოველივე?

ის: (კვლავ მსახიობივით იცინის და თავს აკანტურებს, თითქოს ბავშვის ლაღობა მოესმინოს): რა ვიცი? ვიცი, მორჩა და გათავდა. განა ვერ ხედავ? შენ კი, რაც პატივს არა გდებს, აქედან გინდა დაასკვნა, რომ სწორად ვერ ხედავ? ეს ხომ მართლაც მთელი ლოგიკის თავდაყოლა დაყენებას ნიშნავს, უმაღლეს სკოლებში რომ ასწავლიან ისეთისა. ნაცვლად იმისა, რომ ჩემი გათვითცნობიერებულობიდან დაასკვნა, ხორცი არ ასხიაო, უნდა ირწმუნო, რომ არათუ ხორცი მასხია, არამედ სწორედ ის გახლავარ, ვინც მთელი ამ ხნის განმავლობაში გგონივარ.

მე: — მერედა, ვინა მგონიხართ?

ის: (თავაზიანად და საყვედურით): კარგი ერთი, განა არ იცი? და თავსაც ნუ იკატუნებ, თითქოს უკვე დიდი ხანია არ მელოდებოდე. განა ჩემზე ნაკლებად იცი: ისეთნაირი დამოკიდებულება გვაქვს, რომ ერთხელაც იქნება გასაუბრება მოგვიხდება. თუ მე ვარსებობ — ამას კი ახლა, ვგონებ, აღიარებ — მარტო ერთადერთი შეიძლება ვიყო. რასა გულისხმობ, როცა მეკითხები, ვინა ხარო? რა მქვიას — ხომ არა? ჰო, მაგრამ ყველა ჩემი სასაცილო, გამოსაჯავრებელი სახელი ხომ უმაღლესი სასწავლებლიდან გაქვს მენსიერებაში აღბეჭდილი, შენი პირველი უნივერსიტეტიდან, ვიდრე საღმრთო წერილს მერხში შეი-

ნახავდი და კარს გამოიხურავდი. ყველა სათითაოდ გაქვს ძაფზე ასხმული და რომელიც გინდა აირჩიე — მე ხომ თითქმის მხოლოდ გამოსაჯავრებელი სახელები მქვს, რითაც, ასე ვთქვათ, ნიკაპქვეშ ორი თითით მილუტუნებენ, ჩემი ცინცხალი გერმანული პოპულარობის გამო. ისე კი, კარგი რამეა პოპულარობა, ხომ მართალია? თუნდაც არ ეძიებდე მას და დარწმუნებული იყო, რომ გაუგებრობაზეა დაფუძნებული. ყოველთვის საამურია, ყოველთვის პატივსა გდებს. ასე რომ, აირჩიე, თუ მაინცდამაინც სახელი გინდა მიწოდო, თუმცა ადამიანებს მეტწილად სახელით არ მიმართავ, რადგან არც გაინტერესებენ ისინი და არც მათი სახელები იცი, — რომელიც გენებოს ის ამოირჩიე ჩემი გლახური საალერსო სახელებიდან! მარტო ერთის გაგონება არ მინდა, რადგან აშკარად ბოროტი მონაჭორია, და მე სულაც არ შემეფერება. ვინც მე ბატონ *Dicis et non facis**-ს მეძახის, იაღლიში მოსდის ვითომ ეგეც ნიკაპქვეშ მილუტუნებს, მაგრამ ცილისნამება კია. მე ვიქმ კიდევაც, რასაც ვამბობ, დანაპირებს პირწმინდად ვასრულებ. ეს, შეიძლება ითქვას, ჩემი საქმიანი პრინციპი გახლავს, დაახლოებით იმის მსგავსად, რომ ებრაელები ყველაზე სანდო ვაჭრები არიან; ხოლო თუ სადმე ვინმე მოატყუეს, განა ანდაზაც კი არ არის, მუდამ მე ვიყავი მოტყუებული, მე, ვისაც ერთგულება და პატიოსნება სწამს...

მე: — *Dicis et non es*** . მაშ, თქვენ ირწმუნებით, რომ მართლაც ჩემს წინაშე ზიხართ დივანზე და გარედან მელაპარაკებით ცინცხალი კუმპფისეული გამოთქმებით, ძველგერმანულ ყაიდაზე? მაინცდამაინც ლათინთა ქვეყანაში მოინადინეთ ჩემი მონახულება, რომელიც თქვენი გავლენის სფერო სულაც არ არის და ამიტომ პოპულარული არცა ხართ? რა აბსურდული უსტილობაა! კაიზერსაშერნში კიდევ შევურიგდებოდი თქვენს გამოჩენას. ვიტენბერგში ანდა ვარტბურგში, თვით ლაიპციგშიც კი კიდევ სარწმუნოდ მეჩვენებოდით, მაგრამ აქ, ამ წარმართულ-კათოლიკური ზეცის ქვეშ, ვერა და ვერა!

ის: (თავის კანტურითა, ვიშვიშითა და ენის წკლაპუნით): — წ-წ-წ, ისევ ეჭვები, ისევ საკუთარ თავს ვერ ენდობი! შენ რომ გამბედაობა გეყოს, საკუთარ თავს უთხრა: — სადაც მე ვარ, კაიზერსაშერნიც იქ არისო! — ყველაფერი უცებ მოგვარდებოდა და ბატონ ესთეტიკუსს აღარ დასჭირდებოდა უსტილობაზე ჩივილი. ეკმაკო, იხარე! ამის თქმის უფლება უკვე გაქვს, მაგრამ გამბედაობა არ გყოფნის, ან თავი მოგაქვს ისე, თითქოს არ გყოფნიდეს. საკუთარ თავს ჯეროვნად ვერ

*უბნობ და კი არ ასრულებ ნათქვამს (ლათ.).

**უბნობ და კი არ არსებობ (ლათ.).

აფასებ, ჩემო მეგობარო, და ვერც ჩემი შესაძლებლობანი გცოდნია, თუკი ჩემს სამანებს ასე ზღუდავ და გინდა სულ ერთიანად ვილატ გერმანელ პროვინციელად მაქციო. მე, მართალია, გერმანელი ვარ, ასე გასინჯე, წმინდა წყლის გერმანელიც კი, მაგრამ ძველებური, უმჯობესი ყაიდისა, სახელდობრ, სულითა და გულით კოსმოპოლიტი. ჩემს აქყოფნას უარყოფ და არ ითვალისწინებ გერმანელის ოდინდელ რომანტიკულ ლტოლვას შორეული ქვეყნებისაკენ, კერძოდ, კაეშნიან ლტოლვას მშვენიერი იტალიისაკენ! მაშ, გერმანელი შეიძლება ვიყო, მაგრამ ერთბაშად, კეთილი დიურერისა არ იყოს, მზე რომ მომენატროს, ამის უფლებას შენნაირი ვაჟბატონი ჩემთვის ვერ იმეტებს, — არა და არ იმეტებს; თუმცა მზეს თავი გავანებოთ, მე გადაუდებელი საქმე მაქვს აქ უფლის ერთ ფაქიზ ქმნილებასთან...

აქ მე ისეთმა ენით გამოუთქმელმა ზიზღმა ამიტანა, რომ სულ ერთიანად ავცახცახდი. თუმცა ხეირიანად ველარც ვარჩევდი, რა მაკანკალებდა; შეიძლება ამის მიზეზი სიცივეც იყო, რადგან მისგან მომდინარე სუსხიანი ნაკადი ერთბაშად გაძლიერდა და მაუღის პალტოში ძვლებამდე მატანდა. გაჯავრებული ვეკითხები:

— არ შეგიძლიათ ეგ უმსგავსობა შეწყვიტოთ, ამ სუსხიან გამჭოლ ქარს რომ აყენებთ?

ის: (დაუყოვნებლივ): — ვაი, რომ არა. სამწუხაროდ, ამ ამბავში ვერაფერს გიშველი. რა ვქნა, ასეთი ცივი ვარ. ანკი როგორ გავძლებდი სხვანაირად, როგორ ვიქნებოდი იქ, სადაც ვბინადრობ.

მე (უნებლიეთ): თქვენ ჯოჯოხეთის გეენას გულისხმობთ? საკუდიანოს?

ის: (იცინის, თითქოს უღუტუნესო): — ჩინებულია! მაგრად არის ნათქვამი, გერმანულად, ენაკვიმატად! მას ხომ კიდევ უამრავი ლამაზი სახელწოდება აქვს, მათ შორის მალალფარდოვან-მეცნიერულნიც, რომლებიც ბატონმა ექსთეოლოგმა ზეპირად იცის, მაგალითად: *carcer*, *exilium*, *confutatio*, *perniciis*, *condemnatio* და ასე შემდეგ. მაგრამ შინაურულ-გერმანულები, იუმორით აღსავსენი, რა ვქნა, თავს ზევით ძალა არ არის, ჩემთვის ყველაზე სანუკვარნი არიან! ისე კი, მოდი ჯერჯერობით თავი გავანებოთ იმ ადგილს და მის თვისებებს! სახეზე გატყობ, ერთი სული გაქვს მისი ამბავი გამომკითხო, მოიცა, რა გეჩქარება, ცეცხლი ხომ არ უკიდია, — იმედია, მომიტევენ, რომ ხუმრობით «ცეცხლი ხომ არ უკიდია» ვთქვი — ჯერ დრო გვაქვს, ბარაქიანი, თვალუნვდენელი დრო, — დრო ყველაზე უკეთესი რამეა და ყველაზე არსებითი, რასაც ჩვენ ვიძლევი და ჩვენი სარწყაო ქვიშის

საათია; მისი ყელი, რომელშიც წითელი ქვიშა ჩამოწანწკარებს, ხომ ძალზე ვიწროა, თმის ღერივით წვრილი ჭვევლი ჩამოდის და თვალი ვერც კი ამჩნევს ზევით როგორ კლებულობს ქვიშის რაოდენობა, მხოლოდ სულ ბოლოს გეჩვენება, რომ ყველაფერი მეტად სწრაფად მიმდინარეობს და ადრეც სწრაფად მიმდინარეობდა, — მაგრამ მანამდე ჯერ შორს არის, ჯერ ვიწრო ყელამდე არ დავსულვართ, ამიტომ ამაზე ლაპარაკი და ფიქრი არა ღირს. ოღონდ ეს არის, ქვიშის საათი უკვე დაყენებულია, ქვიშამ დენა უკვე დაიწყო. აი ამის შესახებ კი, ჩემო ძვირფასო, სიამოვნებით ვავმართავდი შენთან სჯა-ბაასს.

მე (გამკილავად): — ერთობ დიურერივით გამოგდით — ჯერ „როგორ გავიყინები ამ მზის შემდეგ“ და ახლა „მელანქოლიის“ ქვიშის საათი. ალბათ ახლა ციფრების კვადრეტი ნამოვია! რას იზამ, ყველაფერს მოველი და ყველაფერს ვეგუები. ვეჩვევი თქვენს ურცხვობას, შენობით რომ მომმართავთ და „ჩემო ძვირფასოს“ მეძახით, რაც განსაკუთრებით ამაზრზენია ჩემთვის. ბოლოს და ბოლოს, მე საკუთარ თავსაც ხომ შენობით მივმართავ — რითაც ალბათ აიხსნება ის, რომ თქვენც ასევე იქცევით. როგორც თქვენ ამტკიცებთ მე შავ კესპერლინთან ვმუსაიფობ — კესპერლინი ხომ კასპარია, ხოლო კასპარი და სამიელი კი ერთი და იგივეა,

ის:: — ისევ თავიდაი იწყებ?

მე: — სამიელი. რა სასაცილოა! მერედა, სად არის შენი სიმებიანი ტრემოლოს, ხის საკრავებისა და ტრომბონების დო-მინორული ფორტისიმო — რომანტიკულ მაყურებელთა ეს მახვილგონივრული საფრთხობელა — ფა-დიეზ-მინორის მღვიმიდან გამომავალი, როგორც შენ-შენი კლდიდან? მიკვირს, არ მესმის!

ის:: — კარგი ერთი. ჩვენ ბევრად უფრო სანაქებო საკრავები გვაქვს და შენ მათ მოისმენ. აუცილებლად დაგიკრავთ, ოღონდ როცა ასეთი მუსიკის აღსაქმელად მომნიფდები, ყველაფერი სიმნიფესა და დროს მოსვლაზეა დამოკიდებული. სწორედ ამაზე მსურს შენთან საუბარი. ხოლო „სამიელი“ კი ბრიყვული ფორმაა. მე ჭეშმარიტად ხალხურობის მომხრე ვარ, მაგრამ „სამიელი“ ერთობ ბრიყვულია. ეს ლიუბეკელმა იოჰან ზალჰორნმა შეასწორა კიდეც. „სამაილი“ უნდა იყოს. მაგრამ რას ნიშნავს „სამაილი“?

მე (ჯიუტად ვდუმვარ).

ის:: — თუ რამე უწყი, გაჩუმდი. მე მიაჩნება კიდეც თავმდაბლობა, რითაც მე მანდობ ამ სიტყვის თარგმნას. „სამსალის ანგელოზს“ ნიშნავს გერმანულად.

მე (კბილებში გამოოცრი, რადგან ისინი ცახცახისაგან ერთი ერთ-მანეთზე ვერ გამიჩერებია): — დიახ, სწორედ რომ ეგრე გამოიყურები! სწორედ ანგელოზსა ჰგავხართ, ზედგამოჭრილი ანგელოზი ხართ! იცით, რა შესახებდაობა გაქვთ? ვულგარული-მეთქი, რომ ვთქვა, არ იკმარებს. უტიფარ ავარას, ქალაბიჭა კახპას, პირსისხლიან ავსულს მაგონებთ! აი, რა სახით მოგეპრიანათ ჩემთან გამოცხადებულიყავით და არა ანგელოზისათი!

ის: (თან ხელებგაპარჭყული თავის თავს ათვალეირებს): — რაო? რაო? რა სახითაო? არა, მართლაც კარგია, რომ მეკითხები:

ვიცი თუ არა, როგორ გამოიყურები, რადგან ნამდვილად არ ვიცი. ან არ ვიცოდი და მხოლოდ ახლა შევიტყვე შენგან. ჩემს გარეგნობას ყურადღებას არ ვაქცევ, ასე ვთქვათ, თავის ნებაზე მყავს მიშვებული. ჩემი გარეგნობა შემთხვევითია, ან უფრო სწორად, იგი ათას რამეზეა დამოკიდებული და მე კი ყურადღებას არ ვაქცევ. შეხამება, მიმიკრია, განა არ იცი? თვალთმაქცობა და მასკარადი დედაბუნებისა, რომელსაც პირის კუნჭულში მუდამ ენა აქვს გამოყოფილი. მაგრამ ამ შეხამებას, რომლისაც მე ისევე არა ვუყვი რა, როგორც ფოთლის მსგავსმა რომელიმე პეპელამ, ხომ შენს თავზე არ მიიღებ, ჩემო ძვირფასო, და სიავეში არ ჩამითვლი! უნდა აღიარო, რომ სხვა სფეროში აქვს აზრი, იმ სფეროში, სადაც შენ რალაც აიკიდე, თუმცა გაგაფრთხილეს კი, შენი ასოთსიმბოლოიანი საამური სიმღერის სფეროში, — ოჰ, მართლაც მახვილგონივრულად არის გაკეთებული, თითქმის შეიძლება ითქვას, ზეშთაგონებით:

*მას შემდეგ, შენ რომ გამომიწოდე
შელამებისას სამსალა გრილი,
მონამლულია ჩემი სიცოცხლე...*

ჩინებულია.

*გაავეებული დაენაფა ღია ჭრილობას
მაცდური გველი...*

მართლაც იგრძნობა ნიჭი. აი სწორედ ეს შეგნიშნეთ ადრევე და იმთავითვე თვალი გვეჭირა შენზე. ჩვენ დავინახეთ, რომ შენი შემთხვევა თავის შენუხებად ღირდა, რომ ძალზე ხელსაყრელი მონაცემები გქონდა და თუ ქვემოდან ცოტაოდენ ჩვენს ცეცხლს შემოგი-

ნთებდით, ცოტათი გაგახურებდით, ალგაფრთოვანებდით და შეგაზარხოშებდით, შეიძლებოდა ბრწყინვალე რამე გამოსულიყო. ბისმარკმა არა თქვა, გერმანელს ნახევარი ბოთლი შამპანური სჭირდება, რომ თავის ბუნებრივ სიმაღლეზე ავიდესო? მგონი, რაღაც ამდაგვარი აქვს ნათქვამი. და სამართლიანადაც. გერმანელი ნიჭიერია, მაგრამ შებოჭილი — საკმაოდ ნიჭიერი იმისათვის, რომ თავის შებოჭილობაზე გული მოუვიდეს, შეჭიკჭიკდეს და განაცხადოს: თვით ეშმაკისაც კი არ მეშინიაო. შენ, ჩემო ძვირფასო, ალბათ იცოდი, რაც გაკლდა, ბოლომდე თანმიმდევრული იყავი, იქ რომ გაემგზავრე და, *salva venia**, ფრანგული ავადმყოფობა აიკიდე.

— ხმა გაიკმინდე!

— ხმა გავიკმინდო? ბიჭოს, შენ მხრივ ეს უკვე პროგრესია. თანდათან გონს მოდიხარ. ბოლოს, მგონი, მოეშვი მრავლობით რიცხვს, როგორც თავაზიანი მიმართვის ფორმას, და შენობით მომმართავ, რაც უფრო შეეფერება ერთმანეთთან შეკრულ ადამიანებს, ხელშეკრულებით დაკავშირებულთ ახლაც და უკუნითი უკუნისამდე.

— არ გაჩუმდებით?!

— გავჩუმდე? ჰო, მაგრამ ჩვენ ხომ უკვე ბარე ხუთი წელი იქნება ჩუმადა ვართ და ერთხელ მაინც ხომ უნდა გავესაუბროთ ერთმანეთს და შევთანხმდეთ, როგორც საზოგადოდ, ისევე იმ საინტერესო გარემოების თაობაზეც, რომელშიც შენ იმყოფები. რასაკვირველია, ეს ისეთი ამბავია, რომ სჯობია დუმილით გვერდი აუარო კაცმა, მაგრამ ჩვენს შორის დუმილმა დიდხანს არ შეიძლება გასტანოს, ვინაიდან ქვიშის საათი ხომ უკვე დაყენებულია, წითელმა ქვიშამ უკვე დაიწყო ვინროზე ვინრო ყელში დენა — ოჰ, ჯერჯერობით მხოლოდ დაიწყო! ჯერ დაბლა თითქმის სულ არაფერია, ზედა ნაწილთან შედარებით — ჩვენ დროს ვიძლევი, საკმაოდ დროს, თვალშეუდგამ დროს, რომლის დასასრულზე ფიქრი ჯერ საჭირო არ არის, კიდევ დიდხანს არ იქნება საჭირო, ასე გასინჯე, არც იმ ვადაზე, როდიდანაც შეიძლებოდა დასასრულზე ფიქრის დაწყება, როდესაც შეიძლებოდა გეთქვა: „*Fespice finem*“-ო**, არა ღირს წინასწარ თავის ტეხა, ვინაიდან იგი ძალზე მერყევი ვადაა, შემთხვევითობასა და ტემპერამენტზეა დამოკიდებული, და არავინ უნყის, საიდან უნდა აითვალო და როდემდე გასტანს, ეიდრე აღსასრული დადგებოდეს. რა შანსიანად და მშვენივრად არის მოწყობილი: იმ წამის გაურკვეველობა და

**თუ არ მიწყენ (ლათ).*

***გახსოვდეს პლასარულიო (ლათ).*

ნებისმიერობა, როდესაც აღსასრულზე ფიქრის დრო დგება, ვითომც აქ არაფერიაო, ბურანში ხვევს აღსასრულის წინასწარ დადგენილ წამს.

— რა მიეთმოეთია!

— უჰ, შენს გულს ვერ მოინადირებს კაცი. თვით ჩემს ფსიქოლოგიურ მსჯელობასაც კი უხეშად ხვდები, მაშინ როდესაც შენ თვითონ ერთხელ მშობლიურ სიონის მთაზე ფსიქოლოგიას საამური, ნეიტრალური შუამავალი უნოდე, ხოლო ფსიქოლოგებს — სიმართლის ყველაზე უფრო მოყვარული ხალხი. მე სულაც არ მივედმოვედები, როცა მომადლებულ დროსა და წინასწარ დადგენილ აღსასრულზე ვლაპარაკობ, პირიქით, უშუალოდ საქმეს ვეხები. ყველგან, სადაც საათი დაყენებულია და დროა მომადლებული, იგავმიუნწვდომელი, მაგრამ გარკვეულ ჩარჩოებში მოქცეული დრო, წინასწარ დადგენილი ბოლოთი, — ჩვენი ჯერი დგება, ჩვენ ვჯეჯილობთ. დროსა ვყიდით, — ვთქვათ, ოცდაოთხ წელიწადს, — ჰა, რას იტყვი? საკმარისი დროა? გულარხეინად იცხოვრებ, პირუტყვივით ფეხებზე გეკიდება ყველაფერი და მთელ ქვეყნიერებას გააოცებ ათასნაირი ეშმაკისეული მანქანებით, ვითარცა შავი მაგიის დიადი ავანჩავანი; შეგეძლება, რაც დრო გავა, სულ უფრო და უფრო დაივიწყო შებოჭილობა და, შეზარხოშებული, საკუთარ თავზეც კი ამაღლდე, ოლონდ ისე, რომ საკუთარ თავს კი არ უღალატო, არამედ ისევ ის დარჩე. მარტო შენს ნატურალურ სიმაღლეს მიაღწიო ნახევარი ბოთლი შამპანურის წყალობით, — შექეიფიანებულს საკუთარი თავით ტკბობისას შეგეძლება ყველა იმ სიამის განცდა, რასაც ბანგიანი ღვინო აგემებს ხოლმე. ასე რომ, მეტ-ნაკლებად უფლება გექნება წარმოიდგინო: ასეთი ჩამოსხმის ღვინო ათასობით წელია აღარ ყოფილა-თქო და, ავად თუ კარგად, ღმერთადაც კი მოგეჩვენოს თავი აღვირახსნილობის ყამს. ჰოდა, ასეთ ვითარებაში აზრად როგორ მოგივა იმაზე ინალვლო, როდის დადგება აღსასრულზე ფიქრის დრო და ყამიო?! ოლონდ ბოლო კი ჩვენია, ბოლოს ჩვენი ხარ, ამაზე უნდა შევთანხმდეთ, და თანაც მდუმარედ კი არა, მიუხედავად იმისა, რომ სხვა დროს ჩუმიდაც შეიძლება ხოლმე გარიგება, არამედ ხმაშალა, ვაჟუკაცურად და ხაზგასმით.

მე: — მაშ, თქვენ დრო გინდათ მომყიდოთ?

ის: — დრო? უბრალოდ დრო? არა, ჩემო კეთილო, ამითი ეშმაკი არ ვაჭრობს. ამითი ხომ გასამრჯელოს არც დავიმსახურებდით, რათა ბოლო ჩვენი იყოს. საქმე ის არის, როგორი დრო! დიადი დრო,

შლეგური დრო, აღმაფრენითა და ზეაღმაფრენით აღსავსე ეშმაკი-
 სეული დრო, – და, რასაკვირველია, სავალალო ჩავარდნებითაც,
 ძალზე სავალალო ჩავარდნებითაც კი. ამას მე არა მხოლოდ ვალი-
 არებ, არამედ თავგამოდებით გავხაზავ კიდეც, რადგან ასეა
 განჩინებული, ასეთია ხელოვანთა მოდგმა. მათი ზნე, რომელიც,
 როგორც ცნობილია, მუდამ ამ ორ უკიდურესობას შორის ქანაობს,
 ცოტა არ იყოს, მიდრეკილია ექსცესებისაკენ – ეს მისთვის სრული-
 ად ნორმალური ამბავია. აქ ქანქარა ყოველთვის მხიარულებასა და
 მელანქოლიას შორის ქანაობს, ეს ჩვეულებრივი ამბავია-მეთქი, და
 ასე ვთქვათ, ჯერ კიდევ ბიურგერულ-ნიურნბერგული ზომიერების
 ფარგლებში რჩება იმასთან შედარებით, რასაც ჩვენ ვიძლევიტ. ვი-
 ნაიდან ჩვენ ამ მიმართულების უკიდურეს გამოვლენას ვიძლევიტ:
 აღმაფრენასა და გაცისკროვნებას, ბორკილების აყრისა და გააზატ-
 ების ისეთ განცდას, სილაღის, სიმშვიდის, სიმსუბუქის, სიძლიერისა
 და ტრიუმფის ისეთ შეგრძნებას, რომ ჩვენი მეურვეობის ქვეშ მყოფი
 კაცი თავის გრძნობათა ორგანოებს აღარ უჯერებს. ახლა ამას და-
 ვუმატოთ თავისი ღვაწლით ის კოლოსალური აღტაცება, რომელიც
 გარედან მომდინარე, სხვათა მიერ გამოხატულ აღტაცებაზეც კი
 სულ იოლადა გათქმევიწნებს უარს, – საკუთარი თავის თავყვანისცე-
 მით მოგვრილი ურუანტელი, დიას, საკუთარი თავის წინაშე საამო
 თრთოლა, როცა შენი თავი შენ თვითონვე ღვთის მიერ გამორჩეულ
 საკრავად გეჩვენება, ღვთაებრივ ბუმბერაზად. და ასეთივე ღრმა,
 პატივისცემის აღმძვრელად ღრმა ჩავარდნები შიგადაშიგ, – არა
 მხოლოდ სიცარიელისა, მიუსაფრობისა და გამომფიტავი მწუხარე-
 ბის განცდა, არამედ ტკივილისა და გულის რევისაც, რაც – ესეც უნდა
 ითქვას – ნაცნობი გრძნობებია, ყოველთვის თან გახლდნენ, შენი
 ბუნების შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდნენ და ახლა მხოლოდ
 უაღრესად გამძაფრებულნი არიან, პატივისცემის აღმძვრელად გა-
 ძლიერებულნი აღტყინებითა და შეგნებული ზარხოშით. ეს ის ტკივი-
 ლია, რომელსაც სიამოვნებითა და სიამაყით იღებ, როგორც საზღაუ-
 რს უზომო ნეტარებისათვის, ტკივილი, რომელსაც ზღაპრიდან ვი-
 ცნობთ, თითქოს ბასრი დანებით სჭრიანო, ისეთი ტკივილი ზღვის
 პატარა ქალწულისა, თავის ლამაზ ადამიანურ ფეხებში რომ გრძნო-
 ბდა და კუდარს ნაცვლად რომ მიიღო. ხომ იცი ანდერსენის¹⁾ ზღვის
 პატარა ქალწული? კაი საბოძვარი იქნებოდა შენთვის! შენი ერთი
 სიტყვა კმარა, მოგიყვან და ლოგინში ჩაგინვენ.

მე: – არ გაჩუმდები, შე უხამსო!

ის: — აბა, აბა, მაშინვე უხეშობაზე ნუ გადადიხარ. შენ მუდამ დუმილს ამჯობინებ. მე ხომ შვავიგეშტილების ოჯახიდან არა ვარ. თანაც დედილო ელზემ დიდის გულისხმიერებითა და თავშეკავებით, მაგრამ მაინც ხომ რალაც-რალაცები დაფუჟვა შენთან თავისი შემთხვევითი მდგმურების შესახებ. მე შენთან, ამ წარმართულ უცხოეთში, იმისთვის კი არ მოვსულვარ, რომ ვდუმდე, არამედ იმისათვის, რომ პირისპირ საგულდაგულოდ მოვილაპარაკოთ და მტკიცედ შევთანხმდეთ საყიდელზედაც და სასყიდელზედაც. მე ხომ უკვე გითხარი, უკვე ოთხ წელიწადზე მეტია ვდუმვარ... და თან ყველაფერი რანატიფად, რა დახვეწილად, რა მრავალისაღმთქმელად მიმდინარეობს, საქმე უკვე ნახევრად გაჩარხულია. გითხრა, რაც არის და როგორც არის?

მე: მგონი, რომ კი. ხომ უნდა ვიცოდე.

ის: და გასურს კიდევ იცოდე. ალბათ კმაყოფილი ხარ, რომ შეგიძლია შეიტყო. ვგონებ, ერთი სული გაქვს და ალბათ გუნებაში ივიშვიშებდი და ინუნუნებდი, მე რომ ხმა გაკვამინდო, და მართალიც იქნებოდი. მე და შენ ხომ ძალიან მყუდრო საერთო საიდუმლო სამყარო გვაქვს. შიგ ორივენი შინაურულადა ვგრძნობთ თავს, — ნამდვილი კაიზერსაშერნია, შიგ მშვენიერი ძველგერმანული ჰაერი დგას, დაახლოებით მე-15 საუკუნისა, ცოტათი ადრინდელი, ვიდრე დოქტორი მარტინუსი გამოჩნდებოდა, რომელიც ძმაკაცურად მეპყრობოდა, ჯიგრიანად, და ერთხელ ფუნთუშაც კი მესროლა, არა, ფუნთუშა კი არა, სამელნე, ესე იგი ბევრად ადრე ოცდაათწლიან სეირობამდე. აბა, გაიხსენე, ხალხთა რა მხიარული შეხლა-შემოხლა სუფევდა თქვენთან, შუა გერმანიაში და რაინის პირას და ყველგანაც, რა შეგულიანებულები იყვნენ, რა ალგზნებულნი, როგორ იჭაჭებოდნენ, შურისგებით ატანილები და აფორიაქებულნი, — რა მომლოცვაობა იყო გაჩაღებული წმინდა სისხლისაკენ ნიკლასჰაუზენში, ტაუბერის ხეობაში, ბავშვების ლაშქრობანი და სისხლიანი სეფისკვერები, შიმშილი და გაჭირვება, „ფეხსაცმლის კავშირი“, ომი და შავი ჭირი კიოლნში, მეტეორები, კომეტები, დიადი ამბების მომასწავებელი ნიშნები, სტიგმატიზირებული მოლოზნები, ჯვრები, რომლებიც ადამიანთა სამოსელზე ჩნდებოდა, ჯვარი, სასწაულებრივად გამოსახული ქალწულის პერანგზე, რასაც თურქთა წინააღმდეგ ლაშქრობაში ბაირალად გამოყენებას დაუპირებენ. რა დრო იყო, შეჩვენებულად გერმანული დრო! ნუთუ გული შვებით არ გევესება ამის გახსენებაზე? მაშინ ღრიანკალის ნიშნის ქვეშთავი მოიყა-

რა ყველა საჭირო პლანეტამ, როგორც ოსტატმა დიურერმა ღრმად განსწავლულად გამოსახა სამედიცინო პროკლამაციაში, მაშინ გერმანიის მიწა-წყალს ვესტი-ინდოეთიდან კეთილი ბატონები ეწვივნენ, პანანკინტელა ცოცხალი ხრახნების მაგვარი უიჟმატი და სათუთი მოდგმა, ფანატიკოსი მათრახოსნები, — რაო, ყურები დაცქვიტე? — გეგონა, მოზეტიალე მომნანიებელთა ამქარზე, ფლაგელანტებზე, ვინყებდი ლაპარაკს, რომლებიც თავიანთ და სხვათა ცოდვათა გამო თავს იგვემდნენ, ზურგზე მათრახს იცემდნენ? მე ფლაგელატებზე გეუბნები, უხილავ პანანკინტელა არსებებზე, ისევე როგორც ჩვენი ფერმკრთალი ვენერა, შოლტებით რომ არიან აღჭურვილნი, *spirochaeta pallida*-ზე* — ასეთია მისი ზუსტი სახელწოდება. ისე კი, მართალი ხარ, ამას ნაცნობი შუასაუკუნეობრივი სუნი ასდის და *flagellum haereticorum fascinariorum*-ს** მოგაგონებს. ო, დიახ, *fascinarii**** — მათ როლში დიახაც შეიძლება ჩვენი მეოცნებენი გამოვიდნენ, ოლონდ საუკეთესო შემთხვევაში, როგორც შენია. საერთოდ კი, უკვე დიდი ხანია საკმაოდ დამწყალობებულნი და მოთვინიერებულნი არიან და იმ ძველ ქვეყნებში, სადაც უკვე ამდენი საუკუნეა თავს შინაურულად გრძნობენ, უწინდებურ უხეშ ოინებს აღარ სჩადიან, როგორცაა მყრალი ჩირქოვანი ბმოები და ამოჭმული ცხვირები. მხატვარი ბაპტისტი შპენგლერი ისე არ გამოიყურება, რომ კაცმა თქვა: გვამზე ჯვალო უნდა გადაიცვას და, საცა ნავა და ნამოვა, გამაფრთხილებელი ზანზალაკი ანკარუნოსო.

მე: — აგრეა განა შპენგლერის საქმე?

ის: — მაშ, არადა! შენ გგონია მარტო შენა ხარ მაგ დღეში? ვიცი, გინდა შენი ხვედრი ერთადერთი და განუმეორებელი იყოს, და როგორც კი ვინმეს შეგადარებენ, გული მოგდის. ჩემო ძვირფასო, ამფსონები ყოველთვის ბევრნი არიან! რასაკვირველია, შპენგლერი *esmeraldus*-ია. ტყუილად როდი ახამხამებს თვალებს მუდამ ასე დარცხვენითა და ეშმაკურად, და ტყუილად როდი ეძახის მას ინეს როდე ჩუმჩუმასა და შემპარავს. ასეა ეს. ლეო ცინკი, *faunus ficarius*-ი, ჯერჯერობით საღ-საღამათი დადის, სუფთა, ჭკვიანი შპენგლერი კი ადრე გაება მახეში. ისე კი, არხეინად იყავი და ნუ იეჭვიანებ. შპენგლერის შემთხვევა მოსაწყენი და ბანალურია. იქიდან არაფერი არ გამოვა. პითონი არ არის, რომ სენსაციური ამბები ჩაგვადენინოს ის

*ბაც სპიროქეტაზე (ლათ.).

**მოჯადოებულ ერეტიკოსთა მათრახს (ლათ.).

***მოჯადოებულები (ლათ.).

ძღვენი რომ აიკიდა, შეიძლება ცოტათი უფრო განათლდა, ცოტათი უფრო ეზიარა სულიერ სფეროს და ალბათ ისეთი ხალისით არ ჩაუჯდებოდა ხოლმე გონკურების დღიურს და აბაჲ გალიანს, მაღალი მისწრაფებანი რომ არ გასჩენოდა, საიდუმლო სახსოვარი რომ არ შეეძინა. ფსიქოლოგიის ამბავია, ჩემო ძვირფასო. ავადმყოფობა და ისიც საძრახისი, დასამალავ-დასაჩქმალავი ავადმყოფობა გარკვეულ კრიტიკულ დაპირისპირებულობას წარმოშობს ქვეყნისა და ყოველდღიური ყოფა-ცხოვრების მიმართ, აგრესიულად და ირონიულად განანყოფნის ბიურგერული ყოფის მიმართ და კაცს თავშესაფარს აძებნიებს სულის თავისუფალ რეგიონებში, ნიგნებსა და იდეებში. მაგრამ შპენგლერთან საქმე ამითი მთავრდება. დრო, რომელიც კითხვისა, ციტირებისა, წითელი ღვინის სმისა და ზარმაცობისთვის აქვს კიდევ მომადლებული, ჩვენ არ მიგვიყიდა, იგი გენიალიზირებული დრო სულაც არ გახლავს. შპენგლერი ცოტათი შეფრეკილი და ძალ-ღონეგამოცლილი, საზოგადოებაში გამოსული ნაკლებად საინტერესო დარდიმანდია, მეტი არაფერი. რას აღარ უჩივის: ღვიძლს, თირკმლებს, კუჭს, გულსა და ნაწლავებს; ერთ დღესაც ხმა ჩაეხლიჩება, ან დაყრუვდება და რამდენიმე წლის შემდეგ უსახელოდ მიიცვალება, რაიმე სკეპტიკური ოხუნჯობა შერჩება ბაგეზე. მორჩა და გათავდა. შიგ არაფერი ყრია. აქ ზარხოშს, აღმაფრენასა და აღტყინებას არ უბოგინიათ, რადგან ეს ტვინისმიერი, ცერებრალური ამბავი არ ყოფილა, გესმის? ჩვენი პატარები აქ კეთილშობილსა და უზენაესზე თავს არ იტკივებდნენ, ეტყობა, საამისოდ არაფერი არ აცდუნებდათ, არ იყო მეტასტაზი მეტაფიზიკურში, მეტავენერიულში, მეტაინფექციურში...

მე (მძულვარედ): — რამდენ ხანს უნდა ვიჯდე კიდევ ასე, ვიყინებოდე და თქვენს აუტანელ რატარუტს ძალაუნებურად ვისმენდე?

ის: — რატარუტსაო? ძალაუნებურადო? ისევ მოხსენი გუდას პირი? მე კი რომ მკითხო, ძალიანაც ყურადღებით მისმენ და ერთი სული გაქვს, ვიდრე უფრო დაწვრილებით და უფრო მეტს შეიტყობდე. ახლა არ იყო, რომ შემთხვევით ისარგებლე და შენს მიუწჳენელ მეგობარ შპენგლერზე გამოკითხვა დამინყე, და მე რომ შენთვის სიტყვა არ მომეჭრა, ხომ ველარ მორჩებოდი ჯოჯოხეთსა და მის გენაზე გაფაციცებით კითხვების დასმას. ნუ თვალთმაქცობ, თითქოს თავს გაბეზრებდე! თავმოყვარეობა მეცა მაქვს და ვიცი, არცთუ ისეთი დაუპატიჟებელი სტუმარი ვარ. მოკლედ, მეტასპიროქეტოზი

მენინგეალური პროცესია და გარნმუნებ, ზუსტად ისე ვითარდება, თითქოს იმ პატარათაგან ზოგს რაღაც მისწრაფება ამოძრავებს უზენაესისაკენ, რაღაც განსაკუთრებით ეტანებიან თავის არეს, მენინგებს, *dura mater*-ს*, ტვინის გარსს და *pia*-ს**, რაც შიდა ნაზ პარენქიმს იცავს, და საერთო დასნებოვნების წამიდან იქითკენ მიეშურებიან გუნდ-გუნდად.

მე: - რა დალაგებულად ლაპარაკობთ. გეტყობათ, ავსუღს, *medicina* გისწავლიათ.

ის: - იმაზე მეტი არა, რაც შენ *theologia*, ესე იგი მხოლოდ ფრაგმენტულად და ვინროდ. ხომ არ გინდა უარყო, რომ ხელოვნებათა და მეცნიერებათა შორის საუკეთესოს შენ მხოლოდ ვინროდ და დილექტანტურად სწავლობდი? შენ გაინტერესებდი - მე. ძალიან დავალებული ვარ შენგან. მაგრამ როგორ შეიძლებოდა მე, ესმერალდას მეგობარი და მაჭანკალი, როგორც შენ წარმოგიდგენივარ, საგანგებოდ არ ვყოფილიყავი დაინტერესებული მედიცინის შესაბამისი, პიკანტური, საჭირობოროტო დარგით და მეტ-ნაკლებად გათვითცნობიერებული? მე მართლაც მუდამ უდიდესი ყურადღებით ვადევნებ თვალყურს ამ სფეროში კვლევის უახლეს მონაცემებს. *Item****, მავან-მავანი *doctores***** ირნმუნებიან და ლამის ყველაფერი გაიწყვიტონ ფიცილით, რომ იმ პატარებში ტვინის სპეციალისტები ურევიანო, ცერებრალური სფეროს მოყვარულნიო, მოკლედ, *virus nerveux*-ი*****. ოღონდ ისინიც იმავე ცნობილ უბეში ცხოვრობენო. პირიქით კი არის საქმე. ეს ტვინია, რომელსაც მათი სტუმრობა ავსორცულად სწყურია და სული უკანკანებს, ისე მოელის, როგორც, მაგალითად, შენ ჩემს სტუმრობას; ეს ტვინია, რომელიც თითქოსდა მისთვისვე მოულოდნელად ეპატიჟება მათ, თავისკენ იზიდავს. ხომ გახსოვს ფილოსოფოსის თეზისი „*De anima*“-ში: „ყოველგვარ ზემოქმედებას განიცდის ის, ვინც წინასწარ განწყობილია მის განსაცდელად“. ხომ ხედავ, ყველაფერი დამოკიდებულია წინასწარ განწყობაზე, მზად ყოფნაზე, მოწოდებაზე. ზოგიერთი ადამიანი რომ უფრო მიდრეკილია კუდიანობისაკენ, ვიდრე დანარჩენები, და ჩვენ

*ტვინის მკერვი გარსს (ლათ.).

**ტვინის რბილ გარსს (ლათ.).

***აქ: პოდა (ლათ.).

****სწავლულები (ლათ.).

*****ნევროზული ვირუსი (ლათ.).

მათი მიგნების უნარი გვაქვს, ამას უკვე „უროს“ პატივდებული პეტორები აღნიშნავენ.

მე: — შარს ნუ მდებ, შენი კლიენტი არა ვარ. მე არ დამიძახიხარ.

ის: — აჰ, აჰ, რა სათნოება და უმანკოებაა! თუ იქნებ ჩემი პატარების კლიენტი, იმ სიშორიდან საგანგებოდ ჩამოსული, წინასწარ არ გაგაფრთხილეს? და თანაც ექიმების არჩევანში უტყუარი ინსტინქტი გამოამჟღავნე.

მე: — მისამართების წიგნში მივაგენი. აბა, ვისთვის უნდა მეკითხა? ან ვის შეეძლო წინასწარ ეთქვა, ბედის ანაბარად მიგატოვებენო? რა უყავით ჩემს ორივე მკურნალს?

ის: — თავიდან მოვიცილეთ, მოვიცილეთ. ოჰ, ის ფინაჩები, რალა თქმა უნდა, შენზე ზრუნვის გამო მოვიცილეთ, და თანაც სათანადო მომენტში, არც ადრე და არც გვიან, როცა თავიანთი ვაინაჩრობით საქმე სწორ გზაზე დააყენეს, თორემ მათთვის რომ დაგვენებებინა, შეიძლებოდა სულაც ჩაეფლავებინათ ყველაფერი. მათ ავადმყოფობის პროვოცირების უფლება მივეცით — მორჩა და გათავდა. მე რე კი თავიდან მოვიშორეთ. როგორც კი სპეციფიკური მკურნალობით ჯეროვნად შეზღუდეს პირველი, გარეგნულად შესამჩნევი საერთო ინფილტრაცია და ამით ზემოთ მეტასტაზის გაჩენას მძლავრი ბიძგი მისცეს, მათ თავიანთი საქმე გააკეთეს და ისინი უნდა აგვეთესა. იმ შტერებმა განა იცოდნენ, და თუნდაც სცოდნოდათ, რას გაანყობდნენ, რომ საერთო საშუალებებით მკურნალობა ზედა, მეტავენერიულ პროცესებს დიდად აჩქარებს. თუმცა, როდესაც ადრინდელ სტადიებში მკურნალობა საერთოდ არ ტარდება, ხშირად მაშინაც იგივე მეორდება. მოკლედ, საითაც გაიქცევი, იქით წაიქცევიო, ხომ გაგიგონია. ჩვენ არა და არ შეგვეძლო იმ თითლიბაზებისათვის პროვოკაციის გაჭიანურების საშუალება მიგვეცა. სულ ერთიანად მოშხამვის შენელება თვით ორგანიზმისთვის უნდა მიგვენდო, რათა იქ, მაღლა, მიმდინარე პროცესი საამოდ შენელებულიყო, რათა შენთვის მშვენიერი, ჯადოსნური წლები, ათეული წლები უზრუნველგვეყო, რათა ბოლომდე შეგესვა გენიალური, ემპაქისეული დროით სავსე ფიალა. დღეს, ოთხი წლის შემდეგ, რაც ის აიკიდე, მაღლა მარტო ერთი პატარა, მოცუცქნული, ფაქიზად მოხაზული ადგილი გაქვს დახრული, ოღონდ ნამდვილად კი გაქვს, — კერა, იმ პატარების სახელოსნო, რომლებმაც თხევადი გზით, ასე ვთქვათ, სანაოსნო გზით შეაღწიეს იქ, — ზარხოშიანი ექსტაზების ამოსავალი ბუდე.

მე: — მგონი, გამოგიჭირე, შე უჭკუო! შენ თვითონ გაეცი შენი თავი, შენ თვითონ დაასახელე ადგილი ჩემს ტვინში, ციებ-ცხელების კერა, რომელმაც წარმოგშვა და ურომლისოდაც აქ არ იქნებოდი! თავად აღიარებ, რომ აღგზნების გამო გხედავ და გისმენ, რომ ნამდვილად კი მხოლოდ და მხოლოდ მოჩვენება ხარ!

ის: რა კარგი ლოგიკაა! ტუტუცო, სარჩულს კაი პირად ნუ აქცევ. მე შენი დასნებოვნებული კერის წარმონაქმნი კი არა ვარ, არამედ ეს კერა მანდ მალლა ჩემი აღქმის უნარს განიჭებს, გესმის? და უიმისოდ, რასაკვირველია, მე ვერ დამინახავდი. მაგრამ განა ამიტომ ჩემი არსებობა შენს უკვე დაწყებულ ტრანსს უნდა მივანეროთ? განა ამიტომ მხოლოდ შენი სუბიექტური წარმოდგენა ვარ? ნურას უკაც-რავად! ჯერ მოიცა, ის, რაც შენში ფუთფუთებს და ვითარდება, სულ სხვა რამეებსაც ჩაგადენინებს, სულ სხვა დაბრკოლებებს გადაგალახვინებს, შენს შეზღუდვასა და დათრგუნვილობაზე აგამაღლებს. ნითელ პარასკევამდე დაიცადე და მალე აღდგომაც მოვ! დაიცადე ათი-თორმეტი ნელინადი, ვიდრე ზარხოში ზენიტს მიაღწევდეს, ნათლის სვეტი შენს ყველა დარდსა და უნდილ ჭოჭმანს წალეკავდეს და მაშინ შეიტყობ, რისთვისა ზღავ, რის გამო აგირავებ ჩვენთან სულსა და ხორცს. მაშინ სააფთიაქო თესლიდან sine pudore* აღმოცენდება ოსმოსური მცენარეული...

მე (თან წამოვიწვევ): — აბა, აბა, მოკეტე შენი მყრალი დრუნჩი! მამაჩემზე ლაპარაკს არ დაგანებებ!

ის: — ოჰ, მამაშენი უადგილოდ სულაც არ მიხსენებია. მასაც აქვს ნიახური ნაჭამი, მასაც მუდამ უყვარდა elementa-ს კირკიტი. თავის ტკივილიც, თანმხლები ამბავი ზღვის პატარა ქალწულის დანასავით მჭრელი ტკივილებისა, სომ მისგან გაქვს გამოყოლილი... საერთოდ კი სრულიად სამართლიანად ვლაპარაკობდი. ჯადოქრობის მთელი არსი ოსმოსშია, სითხის დიფუზიაში, პროლიფერაციაშია. თქვენ გაქვთ ლუმბალური ტომსიკა შიგ დატანებული მფეთქავსითხიანი მილით, რომელიც ცერებრალურ რეგიონებში შედის, ტვინის გარსებამდე აღწევს და მათ ქსოვილებში ჩუმად, შემპარავად, ფარულად თავის საქმეს იქმს ვენერიული მენინგიტი. მაგრამ შიგნით, პარენქიმში, პატარები ვერა და ვერ შეაღწევდნენ, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ ძალიან ცდილობენ და იქაც ძალიან მოეღიან, სითხის დიფუზიის გარეშე, ოსმოსის გარეშე, pia-ს უჯრედების წვენს რომ

*ურცხვად (ლათ.).

ათხელებს, ქსოვილს შლის და მათრახოსნებს შიგნით მიმავალ გზას უხსნის. ყველაფერი ოსმოსის ბრალია, ჩემო მეგობარო, რისი თავშესაქცევი წარმონაქმნებითაც ასე ნაადრევად ტკბებოდით ხოლმე.

მე: — მათი სიღუბნით მაცინებდა. ნეტავი შილდკნაპი დაბრუნდებოდა, ერთად ვიცინებდით. მამაჩემის ამბებს ვუამბობდი, მეც ვუამბობდი. ვეტყოდი, თვალცრემლიანი როგორ დასძინდა ხოლმე: — თან მკვდრები კი არიანო!

ის: — დალაზვროს ეშმაკმა! სამართლიანად გეცინებოდა, გულაჩუყებულს ცრემლები რომ მოადგებოდა, თუნდაც იმას ჯერ ნურც მივიღებთ მხედველობაში, რომ ვინც თავის ბუნებით მაცდურ სულთან რაღაც კავშირშია, მუდამ მწყრალად არის ადამიანთა გრძნობებთან და მაშინ ეცინება, როცა სხვები ტირიან და ეტირება, როცა სხვები იცინიან. რას ნიშნავს „მკვდრები კი არიანო“, თუკი ფლორა მაინც ასე ფერად-ფერადად და ნაირ-ნაირად იზრდება და იფურჩქნება და თუკი იგი ჰელიოტროპულიც კია? რას ნიშნავს „მკვდრები კი არიანო“, თუკი წვეთი ესოდენ ჯანსაღ მადას იჩენს? ავადმყოფობა რა არის და სიჯანსაღე რა, ამის განჩინებაში, ჩემო ბიჭიკო, საბოლოო სიტყვა, სჯობია, სოფლელ გაგრიას არ დავანებოთ. გაეგება კია რამე სიცოცხლისა, — აი საკითხავი რა არის. იმისთვის, რაც სიკვდილისა თუ ავადმყოფობის გზაზე აღმოცენებულა, სიცოცხლეს უკვე არაერთხელ ჩაუჭიდა სიხარულით ხელი და მისი შემწეობით წინ წაუწევია, უფრო მაღალ საფეხურზე ასულა. არ გახსოვს, უნივერსიტეტში რა გასწავლეს: ღმერთს ძალუძს ბოროტება სიკეთედ აქციოს და ამ საქმეში ხელი არ უნდა შეუშალო? Item, მუდამ ვილაცა უნდა ყოფილიყო ავად და გიჟად, რათა დანარჩენები დაზღვეული ყოფილიყვნენ ამისაგან. ხოლო სიგიჟე როდის იქცევა ავადმყოფობად, ამას იოლად ვერავინ დაადგენს. ვთქვათ, ვილაც დარტყმული წერს: „ნეტარებაში ვარ! რა ვქნა, აღარ ვიცი! აი, მესმის, ასეთი სიახლე და სიდიადე! შთაგონების ბობოქარ ტალღებზე დავნანაობ! ლოყები მდნარ რკინასავით მაქვს გაღველფილი! შმაგი ვარ, შმაგი, და თქვენც ყველანი გაშმაგდებით, თუ ამდაგვარი რამ დაგემართებათ! ღმერთი იყოს შემწე მაშინ თქვენი, საბრალო სულებისა!“ — გიჟმაჟი ჯანმრთელობაა ეს, ნორმალური სიგიჟე თუ უკვე თავის ტვინის გარსია შელახული, ფილისტერს ყველაზე ნაკლებად ძალუძს ამაში გარკვევა, ყოველ შემთხვევაში დიდხანს ვერ აღიქვამს ამაში რაიმე განსაკუთრებულს, რადგან ხელოვანნი, მისი აზრით, ყოველთვის ცოტათი აფრენენ. ხოლო თუ მეორე დღეს აღმაფრენას დაღმავ-

რენა მოჰყვება და ასე დაიწყებს ძახილს: „ო, ტიალო ნუთისოფელო! ო, ძალღურო სიცოცხლე, კაცს ვერაფერი ვერ გაგინყვია! ნეტავი ომი მაინც ატყდებოდეს, ეს ოხერი! ვაჟკაცურად მაინც გავეჭიმავდი ფეხებს! ჩემი შემწე იყოს ჯოჯოხეთი, რამეთუ მისი პირმშო ვარ!“ – განა ეს, კაცმა რომ თქვას, სიტყვასიტყვით უნდა გავიგოთ? განა მტკნარი სიმართლეა, რასაც ის ჯოჯოხეთზე ამბობს, თუ მარტოოდენ მეტაფორაა დიურერის ერთი ციციქნა ნორმალური მელანქოლიისათვის? In summa*, ჩვენ მხოლოდ იმას ვიძლევი, რისთვისაც ღრმად პატივცემული კლასიკოსი პოეტი ესოდენ ლამაზად უხდის მადლობას თავის ღმერთებს:

*მარადიული სიყვარულით აჯილდოებენ
თავიანთ რჩეულთ მარადიული ღმერთები;
მათთვის ემეტებათ მარადიული სიამე,
მარადიული სიხარული და მარადიული ტანჯვა-ვაება.*

მე: – დამცინი, მატყუარავ?! Si Diabolus non esset mendax et homieida!** რახან არ მეშვები და შენს აბდაუბდას მასმენინებ, საღ სიდიადესა და ხელოვნურ ოქროზე მაინც ნუ მელაპარაკები! ვიცი, რომ ცეცხლის მეშვეობით და არა მზით მოპოვებული ოქრო ნამდვილი ოქრო არ არის.

ის: – ვინ მოგახსენა! რა, მზის ცეცხლი კერიის ცეცხლს რითი სჯობია? ახლა კიდევ „სალი სიდიადეო“! ეგეთი რამე არ გამავგონო! ნუთუ გჯერა ეგეთი რამისა, ისეთი ingenium-ისა***, რომელსაც ჯოჯოხეთისა არა ეცხოს რა? Non datur****, ხელოვანი ბოროტმოქმედისა და შეშლილის მოძმეა. არ გეგონოს, რამდენადმე დამაკმაყოფილებელი ნაწარმოები ოდესმე ისე შექმნილიყოს, რომ მის შემოქმედს ბოროტმოქმედისა და შლეგის ხვედრი არ ეწვნიოს. რა არის ავადმყოფი და რა ჯანმრთელი? ავადმყოფობის გარეშე სიცოცხლე ერთი დღეც ვერ გადის იოლადა. რა არის ნამდვილი და რა ყალბი? შენ რა, ქოსატყუილები ხომ არ გგონივართ? ხომ არ გგონია, რომ კაი-კაი რალაცებს არარაობის გუდიდან ვიღებთ? სადაც არაფერია, იქ ეშმაკიც თავის წილს კარგავს და ველარანაირი ფერმკრთ-

*საბოლოო ჯამში (ლათ.).

**ეშმაკი მატყუარა და მკვლელი მაინც არ იყოს! (ლათ.).

***ნიჭისა (ლათ.).

****ასეთი რამ არ მოიძეება (ლათ.).

ალი ვენერა რაიმე გონივრულს ველარ მოაწყობს. ჩვენ ახალს არა ექმნით — ეს სხვების საქმეა. ჩვენ მხოლოდ ტვირთსა ვხსნით და ვააზატებთ. ჩვენ ეშმაკის გზას ვუყენებთ შებორკილობასა და გაუბედობას, სათნო ჭოჭმანსა და ეჭვებს. ჩვენ სიმხნევის აბებს ვაყლაპებთ და ვალეღვებთ პაციენტებს, მცირეოდენი აღმგზნები საშუალებებით ვხსნით დაღლილობას, დიდსა თუ პატარას, პირადი ამბებით მოგვრილსა თუ ეპოქით განპირობებულს. ეს არის სწორედ, შენ დროის სრბოლასა და ცვალებადობას არ ითვალისწინებ, ისტორიულად არ უდგები საკითხს, როცა ჩივი, მავანსა და მავანს სრულად მოეგო ყოველივე, უსაზღვრო სიამენიც და ტკივილებიც, ისე რომ ქვიშის საათი არ დაუდგამთ მისთვის და ბოლოს არც ანგარიში არ წარუდგენიათო. იმას, რაც მან კლასიკურ ეპოქაში უჩვენოდაც მიიღო, დღესდღეობით მხოლოდ ჩვენ ვიძლევი. თანაც ჩვენ გთავაზობთ უკეთეს რამეს, სწორედ რომ ჭეშმარიტსა და ხალას რამეს — ეს უკვე კლასიკა კი არ არის, ჩემო ძვირფასო, რასაც ჩვენ განგაცდევინებთ, არამედ არქაიკაა, უძველესი რამ, რაც დიდი ხანია აღარ უგემიათ. ვინ უწყის დღეს კიდევ, ან თუნდაც კლასიკურ დროებაში ვინღა უწყოდა, რა არის ინსპირაცია, ხალასი, ძველი, პირველყოფილი ალტყინება, კრიტიკის მიერ, შემბორკავი წინდახედულების მიერ, გონებიდან მომდინარე კონტროლის მიერ სრულიად შეუღაზავი ალტყინება, წმინდა ექსტაზი? მე მგონი, ეშმაკი თქვენთან უმონყალო კრიტიკოსად ითვლება. ცილისწამებაა — ისევ და ისევ ცილისწამება, ჩემო მეგობარო! განვედ, ეშმაკო, ასეთი ამბებისაგან! თუკი მას რამე სძულს, თუკი ამქვეყნად რამეს ვერ ეგუება, ეს უმონყალო კრიტიკაა. რაც მას სწაღია და რასაც ის გვიწყალობებს, ეს სწორედ კრიტიკისთვის ტრიუმფით თავის არიდება და დარდიმანდული გულარხეინობაა!

მე:— უ, შე მატრაბაზო!

ის:— ჰო, რა თქმა უნდა! თუ ვინმე — უფრო სიმართლის სიყვარულით, ვიდრე საკუთარი თავისა — შეეცდება უარყოს მის შესახებ გავრცელებული ყოვლად უხეში სიცრუე, მაშინ პირღნიოში მატრაბაზია. მე შენი გაანჩხლებული მორცხვობის გამო პირში წყალს ვერ ჩავიგუებ. და ვიცი, მხოლოდ თავს იკატუნებ მღელვარების დასაფარავად, თან ისეთი სიამოვნებით კი მისმენ, როგორითაც გოგონები ისმენენ ხოლმე მათთან მოარშიყეთა ჩურჩულს ეკლესიაში... ავიღოთ, მაგალითად, ის, რასაც თქვენ ექსპრომტს ეძახით, რასაც ასი თუ ორასი წელია უკვე ასე ეძახით, ვინაიდან უნინ ეს ცნება სულაც არ

არსებობდა, ისევე როგორც არ არსებობდა საავტორო უფლება მუსიკაზე და სხვა მისთანანი. მაშ ასე, ექსპრომტი, მუზის გამოკრთობა, სულ რაღაც სამი-ოთხი ტაქტი და მეტი არაფერი, ხომ მართალია? დანარჩენი კი დამუშავება გახლავს, ჯდომა და კირკიტი. ხომ ასეა? კეთილი და პატიოსანი. მაგრამ თან რომ ლიტერატურას კარგად ვიცნობთ და ვამჩნევთ, რომ ექსპრომტი ახალი არ არის, რომ ხან რას გვაგონებს და ხან რას, ხან იმას, რაც რიმსკი-კორსაკოვთან შეგვხვედრია და ხან იმას, რაც ბრამსს უკვე ჰქონდა. რა ვქნათ? უნდა შევცვალოთ. მაგრამ შეცვლილი ექსპრომტი განა კიდევ ექსპრომტია? აიღე ბეთჰოვენისეული მონახაზები! აქ ღვთის ბოძებული თემატური კონცეფციიდან საერთოდ აღარაფერი აღარ რჩება. კომპოზიტორი სახეს უცვლის მას და იქვე აწერს: „Meilleur“*. ღვთით მომადლებულის მიმართ ნდობის, პატივისცემის ნაკლებობა გამოსჭვივის ამ ჯერაც არცთუ ერთუზიაზმით აღსავსე „Meilleur“-ში. ჭეშმარიტად სვებედნიერი, აღმამფრენი, ეჭვებისაგან დაზღვეული და გულდაგულ მიმნდობი ზეშთაგონება, ზეშთაგონება, რისთვისაც უცხოა მერყეობა არჩევანში, შესწორებები და ხელოვნური ჯახირი, ზეშთაგონება, რომლის დროსაც ყოველივე აღიქმება როგორც სანეტარო დიქტატი, ფეხზე ვეღარ დგახარ გაბედნიერებული, უნატიფესი ყრუანტიელი გივლის თავიდან ფეხებამდე და თვალთაგან სიხარულის ცრემლები ნიაღვარივით გადმოგდის, — იგი ღვთის მიერ არ არის მონიჭებული, რომელიც გონებას ერთობ ფართო ასპარეზს უთმობს, იგი მხოლოდ ეშმაკთან, ერთუზიაზმის ჭეშმარიტ მეუფესთან შეკვრით არის შესაძლებელი...

ამასობაში, ბოლო სიტყვების წარმოთქმისას, ჩემს გადასწვრივ მჯდომ ჯეელს რაღაც ცვლილებები შეეცყო; უფრო დავაკვირდი, ვხედავ, ნირს იცვლის, სულ სხვანაირი მეჩვენება, ვიდრე უნინ; უკვე ავსულსა და გათახსირებულ სალახანას კი აღარა ჰგავს, არამედ, ერთი ამას დამიხედეთ, ვილაც უფრო უკეთესს: თეთრი საყელო უკეთია და ბანტი ჰალსტუხის ნაცვლად, ხოლო ცხვირზე — რქის სათვალე, რის მიღმაც წყლიანი, მრუმე, ოდნავ დაწითლებული თვალეები უციმიციმებს. სახეში სიმკაცრე და სისათუთე აღრევია, ცხვირი მკაცრი აქვს, ტუჩებიც; მაგრამ ნიკაპი კი სათუთად მომრგვალებული და ზედ პატარა ფოსოც უჩანს, ფოსო ეტყობა ლოყაზედაც; თალივით მოყვანილ უფერულ შუბლზე თმა შესთხელებია, მაგ-

*“უკეთესია” (ფრანგ.).

რამ გვერდებზე კი შავად გაბუჩქვინია — მონიტელიგენტო ტიპი ჩანს, წადი-მოდის გაზეთებში ხელოვნებაზე, მუსიკაზე რომ წერენ ხოლმე, — ვინმე თეორეტიკოსი და კრიტიკოსი, ალბათ თვითონაც თხზავს მუსიკას, რამდენადაც ამის საშუალებას გონებრივი მუშაობა აძლევს. რბილი და გამხმარი ხელები აქვს, ლაპარაკის დროს მათ მოუქნელად და მორიდებულად იხმარიებს, ზოგჯერ კი ხშირ ქილვა-შებზე ანდა კეფაზე ისვამს... აი ასეთად წარმომიდგა ახლა დივნის კუნჭულში მოკალათებული ჩემი სტუმარი. სიმაღლე არ მომატებია; და უწინარეს ყოვლისა ხმა, ცხვირისმიერი, მკაფიო, კარგად დაყენებული და კეთილხმოვანი, ისევე ისეთივე დარჩა; ცვლილება არ შეხებია. მესმის, როგორ ლაპარაკობს, ვხედავ, როგორ აცმაცუნებს კუნჭულებში მოპრუნულსა და განიერ პირს, განსაკუთრებით კი — ცუდად გაპარსულ საულვაშესა და წინ გამოჩრილ ზედა ტუჩს:

— რა არის ხელოვნება დღეს? მარტვილობა და თვითგვემა. დღესდღეობით იგი ცეკვა-თამაშს უფრო უხდება, ვიდრე ერთი ნყვილი ნითელი ფეხსაცმელი, და მარტო შენ არა ხარ, ვისაც ეშმაკი თავს აბეზრებს. აბა შეხედე ერთი შენს კოლეგებს, — მე ვიცი, შენ მათ არ უყურებ, შენ მათთან არაფერი არ გესაქმება, ასე გგონია, რომ მარტო შენა ხარ და მარტო შენ უნდა იტვირთო ყველაფერი, ეპოქის მთელი ჭირ-ვარამი. მაგრამ შეხედე მათ შენდა სანუგეშოდ, ახალი მუსიკის მესვეურებს, მე მხედველობაში მყვანან პატიოსანი, სერიოზული მოღვაწენი, სათანადო დასკვნები რომ გამოაქვთ შექმნილი ვითარებიდან! მე არ ვლაპარაკობ ფოლკლორისტული და ნეოკლასიკური ყაიდის შემგუებლებზე, მათი სიახლე ის არის, რომ თავიანთ თავს უკრძალავენ მუსიკალური ლავის გადმონთხევას და ასე თუ ისე ეწყობიან ინდივიდუალისტურ ეპოქათამდელ სტილთა სამოსელში. თავს ირწმუნებენ და სხვებსაც არწმუნებენ, რომ მოსაწყენი საინტერესო გახდა, რადგან საინტერესო მოსაწყენი ხდება...

გამეცინა, რადგან, თუმცა სიცივე ისევ საქნეს მიჭირებდა, მაგრამ უნდა ვაღიარო, რომ რაც ფერი იცვალა, მასთან უკეთ ვგრძნობდი თავს. მანაც ჩაიცინა, პირის კუნჭულები უფრო მაგრად დაპრუნა და თვალები ოდნავ მილულა.

— ისინიც უძღურნი არიან, — განაგრძო მან. — მაგრამ მე მგონი, შენცა და მეც უპირატესობას ვანიჭებთ იმათ თანაგრძნობის აღმძვრელ უძღურებას, ვისაც საძრახისად მიაჩნია თავი მოიკარგკაცოს და საყოველთაო სალმობა კეთილდღეობის ნილაბქვეშ დამალოს. სალმობა კი საყოველთაოა და პატიოსანი ხალხი თანაბრად ამჩნევს

მის სიმპტომებს, როგორც საკუთარ თავს, ისევე ეპიგონებს. ხომ არ გვემუქრება შემოქმედების დაშრეტა? ხოლო თუ რაიმე ღირსშესანიშნავი კიდევ ხვდება ქალაქებზე, მას ნანვალევისა და ნაძალადევის დალი აზის. გარედან, საზოგადოების ნიალიდან მომდინარე მიზეზების ბრალია? მოთხოვნილების სიმცირეა და როგორც ლიბერალურის წინაპროინდელ ერაში, ასევე შემოქმედებითი წარმატება ბევრად დამოკიდებულია იღბალსა და მეცენატთა კეთილგანწყობილებაზე? სწორია, მაგრამ მთლიანად მაინც ვერ განმარტავს ვითარებას. თავად მუსიკის თხზვა გაძნელდა, საშინლად გაძნელდა. როდესაც ნანარმოები მწყრალად არის სიხალასესთან, როგორღა გინდა იმუშაო? მაგრამ ეს ასე გახლავს, ჩემო მეგობარო: შედევი, თვითკმარი, თავის თავში დასრულებული მხატვრული ქმნილება, ტრადიციული ხელოვნების საკუთრებას წარმოადგენს, ემანსიპირებული ხელოვნება კი მას უარყოფს. უბედურება იმით იწყება, რომ უფლება არა გაქვთ ისეთ მუსიკალურ ბგერათშეხამებებს მიმართოთ, რომლებიც თქვენამდე უკვე გამოუყენებიათ. დაუშვებელია შემცირებული სექტაკორდი, დაუშვებელია ზოგიერთი ქრომატული გამავალი ნოტი. ყოველ რამდენადმე გამორჩეულ კომპოზიტორს უკვე ძვალ-რბილში აქვს გამჯდარი აკრძალულის, დაუშვებლის ამსახველი კანონის მსგავსი რაღაც, რაც ტონალობის ყველა საშუალებაზე, ესეიგი მთელ ტრადიციულ მუსიკაზე ვრცელდება. ეს კანონი განსაზღვრავს, რა არ გამოდგება, რა იქცა უკვე გაცვეთილ ქარგად. თანადროული ტექნიკური დიაპაზონით დაწერილ მუსიკალურ ნანარმოებში ტონალური ბგერები, სამხმოვანებანი ფარავენ ყოველგვარ დისონანსს. ყოველ შემთხვევაში ამ მიზნით უნდა გამოვიყენოთ ისინი, მაგრამ ფრთხილად და მხოლოდ *in extremis*,^{*} რადგან ამითი გამოწვეული შოკი უარესია, ვიდრე უწინდებური ყოველად უხეში დისჰარმონია. მთელი ამბავი ტექნიკურ დონეშია. შემცირებული სექტაკორდი თავის ადგილზეა და ექსპრესიულიც არის 11-ე ოპუსის დასაწყისში. იგი შეესაბამება ბეთჰოვენის საერთო ტექნიკურ დონეს, ასე არ არის? ზედგამოჭრილია მისთვის ხელმისაწვდომ დისონანსსა და კონსონანსს შორის არსებული დაძაბულობისათვის. ტონალობის პრინციპი და მისი დინამიკა ანიჭებს აკორდს მის ხვედრით წონას, რაიც აბრყამად დაკარგა ისეთი ისტორიული პროცესის გამოისობით, რომლის ჩარხსაც უკულმა ველარავინ ვერ

*უკიდურეს შემთხვევაში (ლათ.).

დაატრიალებს. აბა, ყური დაუგდე დრომოჭმულ აკორდს: თვით დანანვერებულიც კი იცავს საერთო ტექნიკურ სტატუსს, რომელიც არსებულ სტატუსს ენინააღმდეგება. ყოველი ბგერა მთელის მატარებელია, აგრეთვე მთელი ისტორიისაც. მაგრამ ამის გამო სმენა უტყუარად ადგენს, რა სწორია და რა ყალბი, თანაც ამგვარი შეფასება უშუალოდ ემყარება ამ ერთადერთ, თავისთავად სწორ აკორდს, საერთო ტექნიკურ დონესთან მისი აბსტრაქტული მიმართების გარეშე. აქ ჩვენ წავანყდით სისწორის პრეტენზიას, რაც მუსიკალურ ქმნილებას ხელოვანის მიმართა აქვს, — ცოტა არ იყოს, სასტიკი მოთხოვნაა, შენ რას ფიქრობ? ხომ არ დაიშრიტება მომავალში ხელოვანის საქმიანობა, ამონურავს რა იმ შესაძლებლობებს, რომელთაც შემოქმედების ობიექტური პირობები შეიცავს? ყოველ ტაქტში, რის შეთხზვასაც კი იგი გაბედავს, ტექნიკური სტატუსი პრობლემად იქცევა. ყოველ წამს ტექნიკა მოითხოვს ხელოვანისაგან: თავი გაართვას ტექნიკის მთელ ერთობლიობას და ერთადერთ სწორ პასუხს მიაკვლიოს, რომელსაც ტექნიკა უშვებს მოცემულ მომენტში. საქმე იქამდე მიდის, რომ კომპოზიტორის კომპოზიციები სხვა აღარაფერია, თუ არა ამგვარი პასუხები, — მხოლოდ ტექნიკურ თავსატეხთა ამოხსნანი. ხელოვნება კრიტიკად იქცევა — რაღაც ძალიან საპატიო საქმედ, თქმა არ უნდა! რამდენი ურჩობაა საჭირო უმკაცრესი მორჩილების პირობებში, რამდენი დამოუკიდებლობა, რამდენი სიმამაცე! ხოლო რაც შეეხება უნაყოფობის საფრთხეს, რას ფიქრობ, ჯერაც ისევ საფრთხედ გვევლინება, თუ უკვე მომხდარი ფაქტია?

გაჩუმდა. სათვალის მიღმიდან შემომხედა წყლიანი, ქუთუთოებდანი თლებული თვალებით და ხელი მორიდებით ზევით ასწია, შუა და არათითი თმაზე გადაისვა. მე ვუთხარი:

— რას ელოდებით? უნდა აღტაცებით შევხვდე თქვენს ქილიკობას? ეჭვიც არ მეპარება, რომ მართო იმას მეტყობით, რაც მე ვიცი. ჩემთვის გასაგებია, რაცა გაქვთ გუნებაში. ყოველივე ამით გსურთ ჩამაგონოთ, რომ ჩემი ჩანაფიქრის განხორციელებაში, ჩემს შემოქმედებით მუშაობაში, ვერავინ დამეხმარება, ეშმაკის ვარდა. მაგრამ თქვენ ხომ ვერ გამორიცხავთ იმის თეორიულ შესაძლებლობას, რომ ჩემი საკუთარი მოთხოვნილებანი ჩემდა უნებლიეთ ჰარმონიულად შეერწყან იმ თქვენს „წამს“, „სისწორეს“ — თქვენ ვერ გამორიცხავთ ბუნებრივი თანხვედრის შესაძლებლობას, როდესაც შემოქმედი ძალდაუტანებლად და უდარდელად ქმნის.

ის: (სიცილით): — ეგ მართლაც მეტისმეტად თეორიული შესაძლებლობაა! ჩემო ძვირფასო, სიტუაცია ერთობ კრიტიკულია, რომ მას უკრიტიკოდ თავი გავართვათ! საერთოდ კი, მე ვერ მივიღებ საფუძვლურს: საქმის ვითარებას ტენდენციურად აშუქებსო. შენი გულსიზვის ჩვენ უკვე აღარ გვჭირდება დიალექტიკური საფანელის ხარჯად. ის, რასაც არ უარყოფ, ერთგვარი კმაყოფილებაა, მე რომ „ოპუსის“ საერთო მდგომარეობა მანიჭებს. მე ოპუსის წინააღმდეგი ვარ როგორც ასეთის. ჰოდა, რატომ არ უნდა მესიამოვნოს სატიკივარი რომელიც მუსიკალური ოპუსის იდეას შეეყარა?! ნუ მიაწერ მის უფძლოდ ყოფნას საზოგადოებრივ გარემოებებს! ვიცი, საამისოდ განწყობილი ხარ და გიყვარს ხოლმე თქმა: ეს გარემოებანი ისეთს არააქერს არ იძლევიან, რაც იმდენად გარდუვალი და უტყუარი იქნებოდა, რომ თვითკმარი ოპუსის ჰარმონია უზრუნველყო. სწორია, მაგრამ ეს მაინც მთავარი არ არის. ოპუსის აღმკვეთი სიძნელეები თვით ოპუსშია. მუსიკალური მატერიის ისტორიული განვითარება თავის თავში ჩაკეტილი ნაწარმოების წინააღმდეგ წარიმართა. მასალა მჭიდროვდება დროში, უარყოფს განვრცობას დროში, რაც იგივე სდევრცეა მუსიკალური ნაწარმოებისათვის, და ცარიელს ტოვებს მას უძღურების გამო კი არა, ფორმის მიღების უუნარობის გამო კი არა, არამედ სიმჭიდროვის უღმობელი იმპერატივის გამო, რომელიც ყოველივე ზედმეტს სდევნის, ფრაზას უარყოფს, სამკაულებს ამახვრევს, მხედრდება დროში განვრცობის წინააღმდეგ, ოპუსის სასიცოცხლო ფორმის წინააღმდეგ. ოპუსი, დრო და ილუზია — ესენი ერთნი არიან და ერთადვე უნდა იქნენ გაკრიტიკებულნი. კრიტიკა ველარ იტანს მოჩვენებითობასა და თამაშს, ფიქციას, თვითგანდევნებას ფორმისა, რომელიც აკონტროლებს, როლების მიხედვით ანაწილებს, დასურათებულს წარმოგვიდგენს ადამიანთა ვნებებსა და სატანჯველს. დასაშვებია მხოლოდ არაფიქტიური და არახელოვნური, გაუთამაშებელი და გაუცისკროვნებელი გამოხატვა ტანჯვის რეალურ მომენტში. გამოხატვის უილაჯობა და სიდუხჭირე ისე გაიზარდა, რომ აქ აღარავითარი თვალთმაქცური თამაში აღარ დაიშვება.

მე (ძალზე ირონიულად): — გულის ამაჩუყებელია, გულის ამაჩუყებელი. ეშმაკი პათეტიკოსი ხდება. საძაგელი ეშმაკი ზნეობას გვიქადაგებს. გაჭირვებულ ადამიანებზე შესტკივა გული. ძალიან პატივსა სდებს ის ამბავი, რომ ხელოვნებაშიც გადაიჭრა. უკეთესი იქნებოდა, ოპუსების მიმართ თქვენი ანტიპათია სულაც არ გეხსენ-

ებინათ, თუ არ გასურდათ თქვენი დედუქციები ეშმაკის ლიტონ ოინბაზობად მიმეჩნია, რომელიც შემოქმედების საზიანოდ და გასა-
ლანძღავად არის გამიზნული.

ის (აუღელვებლად): აქამდე არა უშავს რა. არსებითად ხომ შენც ჩემებრ მიგაჩნია, რომ ეპოქის ფაქტთა ზებრალლო აღიარებას ვერც სანტიმენტალურობას მიაწერ და ვერც სიავეს. ზოგი რამ უკვე შე-
უძლებელია. გრძნობათა ილუზია, როგორც კომპოზიტორის მხა-
ტერული ნაწარმოები, თვითონ მუსიკის თვითკმარი ილუზია შე-
უძლებელი, მიუღწეველი გახდა, რადგან იგი ძველთაგანვე იმითი
გამოიხატება, რომ წინასწარ მოცემული და ფორმულების მსგავსად
ჩამოყალიბებული ელემენტები ისე ეხამებიან ერთმანეთს, თითქოს
სწორედ ამ ცალკეული შემთხვევისთვის იყვნენ ყოვლად
აუცილებელი. ანდა, თუ გნებავს, პირიქითა ვთქვათ: ამ განსაკ-
უთრებულ შემთხვევას თავი ისე მოაქვს, თითქოს წინასწარ
მოცემული, ნაცნობი ფორმულის იდენტური იყოს. ოთხასი წელი
მთელი დიდი მუსიკა გულს იმითი იჯერებდა, რომ ამ ერთობას,
როგორც ურღვევს, ისე წარმოგვისახავდა, — თავს იწონებდა ამითი,
ურევდა რა საკუთარ უშინაგანეს მისწრაფებებს საყოველთაოდ
მიღებულ კანონზომიერებაში, რასაც თვითონაც ემორჩილება.
მეგობარო, ასე უკვე აღარ შეიძლება. კრიტიკა სამკაულისა, ტრადი-
ციისა და აბსტრაქტული უნივერსალობისა — ეს ერთი და იგივეა. გა-
საკრიტიკებელია ბიურგერული ხელოვნების მოჩვენებითი ხასიათი,
რომელშიც მუსიკასაც უდევს წილი, თუმცა იგი სურათებს არ ხატავს.
რასაკვირველია, სხვა ხელოვნებებთან შედარებით ეს უპირატესო-
ბა აქვს, მაგრამ გაბატონებულ ტრადიციებთან თავის სპეციფიკურ
მისწრაფებათა დაუცხრომელი შეგუებით ისიც შეძლებისდაგვარად
მონაწილეობდა ამ ამალღებულ თვალთმაქცობაში. შემგუებლური
უნივერსალობისათვის გამოსახვის დაქვემდებარება ყველაზე შინა-
განი პრინციპია მუსიკალური ილუზიისათვის. ამას კი ყავლი გაუვი-
და. იმის დამტკიცების ცდა, რომ ზოგადი ჰარმონიულად მოცემუ-
ლია კერძოში, ამაო გამოდგა. წინასწარ მოცემულ და
სავალდებულოდ მიჩნეულ პირობითობებს, რომლებიც თამაშის
თავისუფლებას უზრუნველყოფდნენ, წირვა გამოუვიდათ.

მე: — შეიძლება კაცმა ეს ყოველივე იცოდე და მაინც კრიტიკის
მიღმა დააყენო და კვლავ აღიარო ისინი. შეიძლებოდა თამაში უმაღ-
ლეს საფეხურზე აგვეყვანა: გვეთამაშა იმ ფორმებით, რომელთა შეს-
ახებ ვიცით, რომ მათ უკვე სული განუტევეს.

ის: — ვიცი, ვიცი. პაროდია. იგი შეიძლებოდა მხიარული ყოფილიყო, ასე ნაღვლიანი რომ არ იყოს არისტოკრატიული ნიჰილიზმის გამო. ვითომ ბედნიერებასა და სიდიადეს გიქადის ასეთი ოინბაზობა?

მე (გაჯავრებული): — არა.

ის: მოკლედ და მკვახედ! მაგრამ მკვახედ რატომ? რახან მეგობრულად კითხვების დასმით შენს სინდისს მოვუხმე? ჩვენ ხომ მარტონი ვართ. მე ხომ შენივე სასონარკვეთილ გულში ჩაგახედე და კარგი ექსპერტივით თვალწინ გადაგიშალე ლამის დაუძლეველი სიძნელეები, რომლებიც წინ ეღობება დღეს მუსიკის თხზვას? არა და არ გინდა საქმის მცოდნედ მალიარო. ეშმაკს მუსიკისა როგორ არ გაეგება. თუ არ ვცდები, ეს-ეს არის ესთეტიკის მოტრფიალე ქრისტიანის წიგნს კითხულობდი? აი ვინ ერკვეოდა და ისიც კარგად იცოდა, რომ მე განსაკუთრებული დამოკიდებულება მაქვს ხელოვნების ამ მშვენიერ დარგთან, — ყოვლად ქრისტიანულ ხელოვნებასთან, როგორც მას მიაჩნია, — რა თქმა უნდა, უარყოფითი ნიშნით. მართალია, ქრისტიანობის მიერაა შემოტანილი და განვითარებული, მაგრამ მის მიერვეა უარყოფილი და გამორიცხული, როგორც დემონური სტიქიონი. — და აი, ხედავ? მუსიკა უაღრესად თეოლოგიური რაღაც გამოდის, — როგორიც ცოდვია, როგორიც მე ვარ. ქრისტიანის ვნება მუსიკის მიმართ ჭეშმარიტი ვნებაა და როგორც ასეთი, შემეცნებაც არის და წამებაც ერთსა და იმავე დროს. ჭეშმარიტი ვნება მარტო ორაზროვან ამბებში არსებობს და ისიც, როგორც ირონია: უზუნაესი ვნება აბსოლუტურად საეჭვოს მიმართ შეიძლება... არა, მუსიკაში გაქეჩილი ვარ, აღიარე და შეურიგდი ამას. ჰოდა, მე აქ წუნწუნი გავაბი იმ სიძნელეთა გამო, რომელთაც დღეს, როგორც ყველაფერი, მუსიკაც წაანყდა. რა, საჭირო არ იყო? კი, მაგრამ ეს ხომ მხოლოდ იმისთვის მოვიმოქმედე, რომ შენთვის მეუწყებინა: გადალახავ მათ, თავბრუდამხვევი ალტყინებით ამალღდები მათზე, საკუთარი თავით ალტაცებული, და ისეთ რამეებს შექმნი, შენ თვითონვე წმიდაბანში-და ძრწოლა აგიტანს-მეთქი.

მე: — კარგი რამე კი მახარე. მაშ, ოსმოსურ მცენარეებს მოვაშენებ.

ის: — გახიე და გაფხრინე სულ ერთია! ყინულის ყვავილებიცა და სახამებლის, შაქრისა და ცელულოზის ყვავილებიც — ორივენი ბუნებას ეკუთვნიან და ჯერ კიდევ საკითხავია, რომლისთვის უფრო უნდა შევასხათ ხოტბა ბუნებას. ობიექტურობა რომ გიყვარს, მეგობარო, და ეგრეთ წოდებული სიმართლე, ხოლო სუბიექტურში,

წმინდა წყლის განცდილში ეჭვი გეპარება და ღირებულებას მოკლებულიაო, მიგაჩნია, — ეს ჭეშმარიტად ბიურგერული მიდრეკილებაა შენი და უნდა დასძლიო. შენ მხედავ, მაშასადამე, მე შენთვის ვარსებობ. განა ღირს ამის შემდეგ იმაზე თავის მტვრევა, მართლა ვარსებობ თუ არა? განა წამდვილი ის არ არის, რაც ზემოქმედებას ახდენს, ხოლო სიმართლე — განცდა და გრძნობა? დალახვროს ეშმაკმა, რაც აგამაღლებს, რაც ზრდის ძალის, ძლიერებისა და ძალაუფლების შენეულ შეგრძნებას, ის არის ჭეშმარიტი, თუნდაც სათნოების თვალსაზრისით თუ შევხედავდით, ათმაგი სიცრუე იყოს. მე მინდა ვთქვა, რომ ძალის მომცემი სიცრუე ტოლს არ უდებს არც ერთ უსარგებლო ქველ სიმართლეს. და კიდევ მინდა დავსძინო, რომ შემოქმედების გამღვივებელი, გენიის მომმადლებელი ავადმყოფობა, ავადმყოფობა, რომელიც კარგი ბედაურავით გადაგაქროლებს დაბრკოლებებზე, თამამი ზარხოშით კლდიდან კლდეზე გაგანავარდებს, ცხოვრებისათვის ათასჯერ უფრო სასურველია, ვიდრე ქვეითად მოლაჯუნე ჯანმრთელობა. რომ იციან ხოლმე თქმა: ავადმყოფს მხოლოდ ავადმყოფური გადმოსდინდებაო, — ამაზე სულელური არა მსმენია რა. ცხოვრება წუნია არ არის, მორალი ფეხებზე ჰკიდია. იგი აიტაცებს ხოლმე ავადმყოფობის თამამ წარმონაქმნს, შეექცევა, ინელებს და როგორც კი აითვისებს, ეს უკვე ჯანმრთელობაა. ცხოვრებაში თუ გასჭრა, ეს ფაქტი, კეთილი ჩემო, ყოველგვარ განსხვავებას არარაობად აქცევს ავადმყოფობასა და ჯანმრთელობას შორის. მთელი ლაშქარი, მთელი თაობა ათვისებისუნარიანი, კაჟივით ჯანმრთელი ყმანვილებისა დაეხვევა ხოლმე სწული გენიოსის ქმნილებას, ავადმყოფობით გენიალიზირებული კაცის ქმნილებას, ალტაცებაში მოდის, აქებს, ადიდება, თან მიაქვს, თავისებურად სახეს უცვლის და კულტურის შენაძენად აქცევს, რომელიც მარტო შინ გამომცხვარი პურით კი არ ცოცხლობს, არამედ არანაკლებ აფთიაქ „სულმნათ მოციქულთა“ ძღვენითა და შხამებით. ამას გეუბნება გამოუსწორებელი კი არა, შე უ ს ნ ო რ ე ბ ე ლ ი სამაილი. იგი გარანტიას გაძლევს, რომ შენი ქვიშის წელიწადების მიწურულში საკუთარი ძალისა და დიდებულების შეგრძნება ზღვის პატარა ქალწულის ტკივილებს თანდათანობით განგიქარვებს და ბოლოს ტრიუმფით აღსავსე კეთილდღეობის, ჯანმრთელობის ენთუზიასტურ, აფექტურ განცდამდე, ღმერთის ყოფიერებამდე აგამაღლებს. მაგრამ ეს მხოლოდ სუბიექტური მხარეა საქმისა. მე ვიცი, მხოლოდ ეს შენ ვერ დაგაკმაყოფილებდა, აცუნდრუკებად მოგჩვენებ-

ნებოდა. ამიტომ იცოდე: ჩვენ თავდებნი ვართ იმის ცხოვრებაში დამკვიდრებისა, რასაც ჩვენი დახმარებით შექმნი. შენ წამყვანი იქნები, მომავლისათვის გეზის მიმცემი, შენს სახელს დაიფიცებენ ხოლმე ყმანვილები, რომელთაც შენი სიშლეგის წყალობით აღარ დასჭირდებათ შლეგობა, შენს სიშლეგეს ისინი საღ-სალამათნი დაენაფებიან და მათში შენც ჯანმრთელი იქნები. გასაგებია? შენ არა მხოლოდ ეპოქის შემფერხებელ სიძნელეებს გადალახავ, არამედ თავად ეპოქასაც, კულტურულ ეპოქასაც გადალახავ, — მე მინდა ვთქვა, კულტურისა და მისი კულტის ეპოქას-მეთქი, — გადალახავ და კადნიერებით აღსავსე ბარბაროსობას ეზიარები, მეორედ დამდგარ ბარბაროსობას, ვინაიდან იგი ჰუმანიზმის შემდეგ, ფესვების ათასწიწად მკურნალობისა და ბიურგერული დახვეწილობის შემდგომ, ხელახლა იშვება. დამიჯერე! თვით თეოლოგიაც მას უკეთესად ესმის, ვიდრე კულტიდან განდგომილ კულტურას, რომელიც რელიგიაშიც კი მარტოოდენ კულტურას ხედავდა, მარტოოდენ ჰუმანიზმს, და არა ექსცესს, პარადოქსს, მისტიკურ ვნებას, სრულიად არაბიურგერულ ავანტიურას. იმედია, არ გიკვირს, რომ რელიგიაზე წმინდა ველტენი გელაპარაკები? დალახვროს ეშმაკმა! ნეტავი გამაგებინა, სხვა კიდევ ვინ უნდა ლაპარაკობდეს დღეს რელიგიაზე? მრავალი ლიბერალი ღვთისმეტყველი ხომ არა? განა მე მართლაც ერთადერთი არა ვარ, რომელიც მას ინახავს?! ვისი თეოლოგიური ექსისტენცია გინდა აღიარო, თუ არა ჩემი? და ვინ იქნება ყაბულს თეოლოგიურ ექსისტენციას ენეოდეს უჩემოდ? რელიგია ხომ ჩემი სპეციალობაა, ეს ისეთივე უტყუარი ამბავია, როგორც ის, რომ იგი ბიურგერული კულტურის სპეციალობა არ გახლავს. მას შემდეგ, რაც კულტურა კულტს განუდგა და საკუთარი თავი გაიხადა კულტად, იგი სხვა აღარა არის რა, თუ არა გადმონაშთი, და სულ რაღაც ხუთასიოდე წლის მანძილზე ისე დაღალა და თავი მოაბეზრა მთელ ქვეყნიერებას, თითქოს, *salva venia*, ყველას საარაყვე ქვაბებით შეეთქვლიფოს ეს შეჭამანდი...

და ამ დროს, თუმცა არა, ცოტათი უფრო ადრეც, უკვე მაშინ, როცა მდოვრი, დამრიგებლური ფრაზებით გულის ამრევად მსჯელობდა საკუთარ თავზე, როგორც სულიერი ცხოვრების მფარველზე, აგრეთვე ეშმაკის თეოლოგიურ ექსისტენციაზე, მე შევნიშნე, რომ დივანზე მოკალათებულმა ჯეელმა ისევ ფერი იცვალა, სათვალთან მონიტელიგენტო მუსიკისმცოდნეს აღარა ჰგავდა, როგორადაც ცოტა ხნის წინათ მონეველინა, აღარც ისე მიყუჟული იჯდა დივინს

კუთხეში, არამედ მის მრგვლად მოყვანილ სახელურზე ამხედრებულიყო და გულარხეინად ქანაობდა, თან ხელის თითები კალთაში ერთი-ერთმანეთზე გადაეჭდო და ცერები წინ გამოეშვირა. ნიკაპზე ორად გაყოფილი წვერი ლაპარაკისას უცანცარებდა, ხოლო დაბჩენილი პირის ზემოთ, საიდანაც წვრილი და ბასრი კბილები უჩანდა, ისედაც აპრეხილი უღვაშები კიდევ უფრო მალლა ენკიპებოდა.

თუმცა სიცივისაგან გათოშილი ვიყავი, მაინც გამაცინა მისმა მეტამორფოზამ, ჩემთვის უკვე ნაცნობი სახის გამოკრთომამ.

– თქვენი მონა-მორჩილი მსახური გახლავართ! – ვეუბნები, – ასეთად გიცნობდით და სასიამოვნოა, რომ აქ, ამ დარბაზში, პრივატისიმუმს მიტარებთ. რადგან მიმიკრიამ აგრე გარდაგქმნათ, იმედია, ახლა მაინც დამიკმაყოფილებთ ცოდნასმოყვარეობას და სულ იოლად დამიმტკიცებთ, რომ ჩემგან დამოუკიდებლად არსებობთ, თუ მხოლოდ ისეთ რამეებზე კი არ მესაუბრებით, რაც ჩემდა თავადაც ვიცი, არამედ ისეთებზედაც, რისი ცოდნაც მწყურია. თქვენ მთელი ლექცია ჩამიტარეთ ქვიშის დროზე, რომლითაც ვაჭრობთ, და ტკივილის შესახებ, რომლითაც დროდადრო უნდა აანაზღაურო ბრწყინვალე ცხოვრება, მაგრამ არაფერი არ გითქვამთ აღსასრულზე, იმაზე, თუ რა იქნება ბოლოს, – მარადიულ საზღვარზე. აი რა მაინტერესებს და თქვენ კი, თუმცა კარგა ხანია აქა ყუნციხართ, ამ საკითხზე ჯერ კრინტი არ დაგიძრავთ. შეიძლება ისე გარიგება, რომ ფასი არ იცოდეთ? აბა, დაროშეთ! როგორ ცხოვრობენ ეშმაკის საბრძანებელში? რა მოეღიბთ თქვენთან შეკრულთ შავეთში?

ის (ხითხითითა და კიკინით): – გინდა რამე შეიტყო *perniciēs*-ზე, *confutatio*-ზე? ამას მე ზედმეტ ცნობისმოყვარეობას ვუნოდე! სწავლულის ახალგაზრდულ შემართებად მივიჩნევ! ჯერ ხომ უამრავი დრო გაქვს და თვალუნვდენელი სარბიელი, ჯერ ხომ წინ იმდენი ამაღლევებელი ამბავი გელის, რომ სხვაც ბევრი რამ გექნება გასაკეთებელი, ნაცვლად იმისა, რომ ბოლოზე იფიქრო, ანდა თუნდაც ის წამი არ გამოგეპაროს, რომლიდანაც აღსასრულზე ფიქრის დრო დადგება, მაგრამ მე როდი გეუბნები უარს და არც რამის შელაშაზება არა მჭირდება, რადგან ესოდენ შორეული ამბებით აბა როგორ შემიძლია სერიოზულად დაგადარდიანო? ოღონდ იოლი კი არ არის, კაცმა რომ თქვას, ამაზე ლაპარაკი, ანდა უფრო სწორად, სრულიად შეუძლებელია, რადგან მისი არსი სიტყვებით ვერ გამოიხატება. შეიძლება უამრავი სიტყვა დახარჯო, მაგრამ ისინი, ყველანი,

მხოლოდ შემცველები იქნებიან იმ სახელებისა, რომლებიც არ არსებობს, მათ პრეტენზია ვერ ექნებათ იმისი აღნიშვნისა, რაც უნდა აღინიშნოს, სიტყვით თვალსაჩინო შეიქმნეს. ჯოჯოხეთის ზე-აშიადი და მოუნყველობა ის გახლავს, რომ მისი დეფინიცია შეუძლებელია, რომ იგი ენისთვის დაფარულია, რომ მხოლოდ არსებობს, მაგრამ გაზეთში ვერ მოხვდება, ვერ გამოაშკარავდება, სიტყვის მეშვეობით კრიტიკული შემეცნების ობიექტად ვერ იქცევა, ვინაიდან სიტყვა-თქმები: „ქვესკნელი“, „ჯურღმული“, „გაუვალი გალავანი“, „დუმბილის სავანე“, „დავინყება“, „უსასოობა“ – სუსტი სიმბოლოებია. რას იზამ, ჩემო კეთილო, მხოლოდ და მხოლოდ სიმბოლოებით უნდა დავკმაყოფილდე, როცა ჯოჯოხეთზე ვლაპარაკობ, რადგან იქ ყველაფერი თავდება, – არა მხოლოდ მიმთითებელი სიტყვა, არამედ საერთოდ ყველაფერი, – ეს მისი მთავარი მახასიათებელიც კია, უზოგადესი ნიშან-თვისება, და აგრეთვე ისიც, რასაც იქ ახალმოხვედრილი უწინარეს ყოვლისა იტყობს და რაც თავდაპირველად თავისი, ასე ვთქვათ, ჯანსაღი გრძნობათა ორგანოებით არც ძალუძს აღიქვას და არც სურს გაიგოს, რადგან ერთთავად გონება უშლის ხელს ან კიდევ გაგების უნარის რალაც სხვა შეზღუდულობა, მოკლედ, რადგანაც ეს დაუჯერებელია, თავზარდაცემამდე დაუჯერებელი, თუმცა იქ მოხვედრილს მაშინვე, საღმის ადგილას, ამცნობენ ხოლმე, რომ „აქ ყოველივე მთავრდება“, – ყოველგვარი გულმონყალება, სიბრალული, დანდობა, პატივისცემის ნატამალიც კი გაოგნებული მომხდურის ვედრებით აღსავსე ღალადისისა: „ასე არ შეიძლება, არ შეიძლება სულს მოექცეთ!“ – მაგრამ ასე ექცევიან, ასე ხდება, და თანაც ისე, რომ სიტყვიერედაც პასუხს ვერ აგებინებ ჩქამგაუვალ, ღვთის ყურთასმენისათვის ღრმად ჩამარხულ სარდაფში, სახელდობრ, მარადისობაში. არა, ამაზე ლაპარაკს მადლი არა აქვს, ეს ენის გარეშეა, ენა ვერ მოიცავს, არაფერი არ ესაქმება, არაფრით არ არის მასთან დაკავშირებული, რის გამოც რიგიანად არ უწყის ხოლმე, დროის რომელი ფორმა გამოიყენოს მის მიმართ და უჩარობის გამო მცობადით გადის იოლად. განა ასე არ არის ნათქვამი: „იქ იქნება ჭირთა თმენანი და კბილთა ღრჭენანი“. კეთილი, ეს ორიოდ სიტყვა ენის საკმაოდ ექსპრესიული სფეროდან არის ამორჩეული, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სიმბოლიკა მაინც სუსტია, და წესიერად ვერ მიუთითებს იმას, რაც „იქ იქნება“, – სადაც ანგარიშს არ იძლევიან, დავინყებაში, სქელ კედლებს შორის. სწორია, რომ ჩქამგაუვალობის შიგნით კაი გვარიანი ხმაური იქნება, უზომოც

კი, შორიდანვე ყურთასმენის წამლები გუზგუზი და ბუყბუყი, ღრიალი, გმინვა, ღმუილი, ხრიალი, წივილი, წიკვინი, მოთქმა, ვიშვიში და მწვალებელთა ყიყინა. ასე რომ, არც ერთს საკუთარი ხმა არ ესმის, რადგან საყოველთაო ღრიანცელში ინთქმება, უსიერ, უშქარ ჯოჯოხეთურ ზარსა და ვაებაში, დაუჯერებელი და უპასუხისმგებლო ამბების მარადიული თარეშის გამო აღმოხდენილ სამარცხვინო კრიმანჭულში. არ უნდა დაგავინყდეს აგრეთვე უსაშველო ავხორცული გმინვაც, რაც ხმაურის მორევს ერთვის, რადგან, დაუსრულებელი წამება, – მისი განცდა ხომ რაიმე ზღვარით შემოფარგლული არ არის, არავითარი კოლაპსით, არავითარი გულის წასვლით არ შეიძლება დამთავრდეს, – ამის ნაცვლად სამარცხვინო უინად გადაგვარდება ხოლმე. ამიტომ ზოგი, ვისაც სათანადო ინტუიცია გააჩნია, ჯოჯოხეთის „ავხორცობაზეც“ ლაპარაკობს. მაგრამ ამგვარი უინის გაჩენა კავშირშია გამასხარავეებისა და გათახსირების ელემენტთან, წამება რომ შეიცავს, რადგანაც ეს ჯოჯოხეთური სიამე უსაზღვრო ტანჯვის ყოვლად უსუსურ გაქირდვას უტოლდება და მუდამ თან ახლავს ამაზრზენი მანჭვა-გრეხა და ცხენის ჭიხვინის მსგავსი სიცილი. ამას ემყარება სწორედ მოძღვრებაც იმის შესახებ, რომ შეჩვენებულთ სატანჯველად დაცივნაცა და შერცხვენაცა აქვთ მისჯილი, დიახ, რომ ჯოჯოხეთი უნდა განსაზღვრულ იქნეს როგორც სრულიად აუტანელი, მაგრამ მაინც მარადიული ტანჯვისა და შერცხვენის საშინელი კონგლომერატი. უსაზარლესი ტკივილის განსაცდელად იძულებულნი არიან საკუთარი ენა დაიკვნითონ, მაგრამ ამის გამო ერთობა კი არ არის მათ შორის, არამედ ზიზლითა და სიძულვილით არიან გამსჭვალულნი ურთიერთის მიმართ, წუნუნსა და ვაის ძახილში, დასცინიან და უბინძურესი სალანძღავი სიტყვებით თავლავს ასხამენ ერთიმეორეს, თანაც ყველაზე ფაქიზნი და ყველაზე ამაყნი, რომელთაც ბაგიდან უხამსი სიტყვა თავიანთ დღეში არ დასცდენიათ, იძულებულნი არიან ბილწსიტყვაობაში ყველას გადააჭარბონ. მათი თავლავდამსხმელი ტანჯვა-წამების ერთ ნაწილს სულ უფრო და უფრო ბინძური გამოთქმების გაუთავებელი ძიებაც შეადგენს.

მე: – მოითმინეთ, ეს პირველად არის, რომ იმ ტანჯვას შეეხეთ, რასაც წაწყმედილნი იქ განიცდიან; იქნებ ისიც გაითვალისწინოთ, რომ არსებითად მხოლოდ ჯოჯოხეთის ზოგად ეფექტებზე მიკითხავთ ლექციას და არა იმაზე, რაც წაწყმედილთ იქ კონკრეტულად მოელოთ, საქმის ვითარების შესაბამისად.

ის: — ყმანვილის ცნობისმოყვარეობასა და დაურიდებლობას იჩენ. მე ამას საგანგებოდ გავხაზავ, მაგრამ, ჩემო კარგო, იმასაც მშვენიერად ვხედავ, რაც ამის უკან იმალება. იმიტომ მიწყობ დაკითხვას, რომ გინდა შეგაშინო, ჯოჯოხეთით შეგაშინო. გუნებაში უკან მოქცევისა და გადარჩენის, შენი ეგრეთ წოდებული სულის ხსნის და პირობიდან გადახვევის აზრი გიჭიატებს და იმის ცდაში ხარ, როგორმე *atritio cordis* დაგემართოს ანუ გული შეგიშინდეს იქაური სატანჯიოს წინაშე. ალბათ გაგონილი გექნება, რომ შიშით ადამიანს ძალა შესწევს ეგრეთ წოდებული სასუფეველი მოიპოვოს. უნდა მოგახსენო, ეს სრულიად მოძველებული თეოლოგია გახლავს. მოძღვრება *atritio*-ს შესახებ მეცნიერებამ უარყო. დამტკიცდა, რომ საჭიროა *contritio*, ნამდვილი, ჭეშმარიტად პროტესტანტული ჭმუნვა ცოდვის გამო, რაც უბრალოდ საეკლესიო სასჯელით მონანიების შიშს კი არ გულისხმობს, არამედ სარწმუნოებისაკენ შინაგან მოქცევას, — ამის უნარი შეგწევს თუ არა, ეს საკუთარ თავს შეეკითხე, შენი სიამაყე პასუხს არ დაგიგვიანებს. რაც დრო გავა, მით უფრო ნაკლებად გექნება იმისი უნარიცა და სურვილიც, რომ *contritio*-ს დასჯერდე, ვინაიდან ექსტრავაგანტური მყოფობა, რაც მოგელის, დიდი ფუფუნებაა და იქიდან, არც აცეგო, არც აცხელო, ერთბაშად ისევ მხსნელ საშუალო მყოფობას დაუბრუნდე, იოლი საქმე არ არის. ამიტომ — შენს დასამშვიდებლად ვამბობ ამას — თვით ჯოჯოხეთიც კი რაიმე არსებითად ახალს ვერ შეგძლვნის — მარტო იმას, რასაც მეტ-ნაკლებად მიჩვეული ხარ, და თანაც ზვიადად მიჩვეული. იგი არსებითად გაგრძელებაა შენი ექსტრავაგანტური მყოფობისა. თუ ორი სიტყვით გამოვხატავთ, მისი არსი, ან თუ გნებავს, მისი მარილი ის არის, რომ თავის მკვიდრთ მხოლოდ ორი რამის არჩევის საშუალებას აძლევს: უკიდურესი სიცივისა ან უკიდურესი სიცხისა, რომელიც გრანიტსაც კი ალხობს. ამ ორ მდგომარეობას შორის წინ და უკან დაქრიან ისინი ღმუილით, რადგანაც ერთ მდგომარეობაში მეორე ესახებათ ზეციურ სიამედ, მაგრამ იმწამსკე ისიც აუტანელი ხდება, და თანაც ამ სიტყვის სწორედ რომ ჯოჯოხეთური მნიშვნელობით. ასეთი დაპირისპირებულობა, ვგონებ, შენთვის მოსაწონი უნდა იყოს.

მე: — მოსაწონია. მაგრამ ამასთანავე მინდა გაგაფრთხილოთ: მაინცდამაინც განაღდებული ნუ გეგონებათ ჩემი თავი. თქვენი თეოლოგიის ერთგვარმა ზედაპირულობამ შეიძლება შეგაცდინოთ, ვინაიდან ნიგაჩნიათ, რომ სიამაყე ხელს შემოშლის ხსნისათვის აუცილებელ ჭმუნვაში, და არ ითვალისწინებთ ქედმაღლური

ჭმუნვის არსებობას. კაენის ჭმუნვა, მაგალითად, რომელსაც მტკიცედ სწამდა, რომ მისი ცოდვა შესანდობად ერთობ დიდი იყო. Contritio სასოების გარეშე, რწმენის ნატამალის გარეშე, რომ შეიძლება მოწყალეობასა და შენდობას ეწიო, სულ კლდესავით მტკიცე რწმენა ცოდვილისა, რომ მეტისმეტი ჩაადინა და არანაირი გულმონყალეობა არ იკმარებს მისი ცოდვის მისატყვევლად, — მხოლოდ ეს არის ჭეშმარიტი ჭმუნვა, და გთხოვთ ყურადღება მიექციოთ: იგი ყველაზე ახლოსაა ხსნასთან, ყველაზე მიმზიდველია გულმონყალეობისათვის. დამეთანხმებით, რომ ჩვეულებრივმა, ყოველდღიურმა ცოდვილმა მაინცდამაინც არ შეიძლება დააინტერესოს გულმონყალეობა. ამ შემთხვევაში ნყალობის აქტს სიმწვავე აკლია, მტკნარი, უღიმღამო პროცედურაა. საერთოდ ორდინარულ ამბებთან თეოლოგიური ცხოვრება მწყრალად არის. ცოდვა, იმდენად უსაშველო, რომ მის ჩამდენს ხსნისა და შენდობის იმედი იმთავითვე გადაწყვეტილი აქვს, გახლავთ ხსნისკენ მიმავალი თეოლოგიური გზის დასაწყისი.

ის: — რა ჭკვიანი ხარ! სად გინდა მერე მაგნაირი სინრფელე ნახო, მაგნაირი მიაშიტი თავზეხელაღებულობა და სასონარკვეთილება, რაც წანამძღვარი იქნებოდა ხსნისკენ მიმავალ მაგ შენ უწმინდურ გზაზე შესადგომად? განა ნათელი არ არის შენთვის, რომ შეგნებული, გააზრებული გამოწვევა, რასაც დიდი ბრალი გულმონყალეობისათვის წარმოადგენს, თვითონვე შეუძლებელსა ხდის შეწყალების აქტს?

მე: — და მაინც მხოლოდ ამ non plus ultra-ს* მივყავართ დრამატულ-თეოლოგიური არსებობის მაქსიმალურ გამძაფრებამდე ანუ უსაშინელეს დანაშაულამდე, ხოლო ამ უკანასკნელის მეშვეობით კი — უსასრულო გულმონყალეობის უკანასკნელ და ყველაზე დამაჯერებელ გამონვევამდე.

ის: — ურიგო არ არის. ლამის გენიალურიც კია. ჰოდა, ახლა ის მინდა გითხრა, რომ ზუსტად შენნაირი თავის პატრონები შეადგენენ ჯოჯოხეთის მოსახლეობას. ისე იოლი კი არ არის ჯოჯოხეთში მოხვედრა; დიდი ხანია იქ ტევა აღარ იქნებოდა, ალიასა და მუსიას რომ ვუშვებდით შიგ. მაგრამ ისეთი თეოლოგიური ტიპი, ისეთი გაქექილი ვინმე, როგორც შენა ხარ, აზრთა სპეკულაციით სპეკულაციას რომ ეწევი, რადგან მამისაგან დაგყვა ამის მიდრეკილება, — ძალიან აფსუსი იქნება, ეშმაკის კერძი არ გახდეს.

*უკიდურესობას (ლათ.).

ამის თქმისას და უკვე ცოტათი ადრეც ჯეელი ისევ ნირს იცვლის, ღრუბელივით სხვადასხვა მოყვანილობას იძენს და თან, ეტყობა, არც იცის, რა ემართება: უკვე დივინის სახელურზე კი აღარა ზის ჩემ წინ დარბაზში, არამედ ისევ კუთხეში მიყუყულა, ისევ გათახსირებულ სალახანას წააგავს, კეპიანი ავსული, უფერული და თვალებდაწითლებული, და მსახიობის მდოვრი, ცხვირისმიერი სმით მეუბნება: – ჩვენი საუბარი რომ დასასრულს უახლოვდება, ალბათ არაფერი გაქვს ამის სანინააღმდეგო, და მგონი, შევთანხმდებით კიდევ. მე საკმაოდ ბევრი დრო და ხანი მოგანდომე, რათა ყველაფერში გაშერკვიე, – იმედია, ამას აღიარებ. მე კიდევ ის უნდა ვაღიარო, რომ შენც ძალზე სახარბიელო შემთხვევა ხარ. დიდი ხანია თვალი გვიჭირავს შენზე, შენს მარდსა და ქედმაღალ გონებაზე, შენს საუცხოო ingenium-სა და memoria-ზე. სწორედ მათ, ნიჭიერებამ და მესხიერებამ, გიკარნახეს ღვთისმეტყველება შეგესწავლა, ასე მოგეპრიანა, მაგრამ სულ მალე აღარ ისურვე თეოლოგუსი გრქმეოდა, წმინდა წერილს მერხში შეუძახე და ამიერიდან სულ ერთიანად მუსიკის figuris, characteribus და incantationibus* გქონდა საქმე, რაც ჩვენც არანაკლებ გვაძლევდა ხელს: შენი ქედმაღლობა ელემენტარულისაკენ მიიღტვოდა, პირველსანწყის-სტიქიურისაკენ, და მის მოპოვებას შენთვის ყველაზე შესაფერის ფორმაში ფიქრობდი, იქ, სადაც იგი, ვითარცა ალგებრული ჯადოქრობა, სათანადო მოზომვასა და გაანგარიშებასთან არის დაკავშირებული და თან გამუდმებით ჯიქურად ეწინააღმდეგება ჭკუა-გონებასა და სიფხიზლეს. მაგრამ განა ჩვენ არ ვიცოდით, რომ ერთობ ჭკვიანი, გულცივი და უბინო ხარ მაგ სტიქიონისათვის, განა არ ვიცოდით, რომ იგი გაღიზიანებდა, ხოლო შენ მორცხვობისა და გონიერების გამო თავგაბებზრებული იყავი? ამიტომ საგანგებოდ ვიზრუნეთ, რომ ხელში ჩაგვვარდნოდი, მე მინდა ვთქვა, ჩემს პატარებს-მეთქი, ესმერალდას-მეთქი, რათა აგეკიდებინა, ზარხოშის დოზა მიგელო, ტვინის ის aphrodisiacum-ი**, რომელსაც ესოდენ სასონარკვეთილი მიელტვოდი სულითა და ხორციით. მოკლედ, ჩვენ შპესერვალდის დახვლანჯული გზაჯვარედინი და მოჯადოებული წრე არა გვჭირდება. ერთმანეთთან გარიგებულები ვართ, ხელშეკრულება გვაქვს დადებული, და შენ შენი სისხლით დაუდექი ამას თავდებად, შენი თავი დაგვპირდი, ჩვენი ნათლული ხარ უკვე, ხოლო ჩემი ეს სტუმრობა მარტოოდენ კონფირმაციად

*ფიგურებთან, ნიშან-თვისებებთან და მაგიასთან (ლათ.).

**ალმგზნები საშუალება (ლათ.).

ჩათვალე. დრო დაგვესესხე ჩვენ, გენიალური დრო, აღმაფრთოვანებული დრო, მთელი ოცდაოთხი წელიწადი *ab dato recessi** და მას მიჯნად გიღებთ. როცა ეს ვადა გავა, მანამდე კი ჯერ ძალიან შორს არის, — ამოდენა დრო მთელი მარადისობაა, — მაშინ წაგიყვანთ. სამაგიეროდ ყველაფერში ხელს შეგიწყობთ და დაგეხმარებით, ჯოჯოხეთი გაგანებიერებს, ოღონდ თუ ყველა აქაურ მკვიდრს განუდგები, მთელ ზეციურ დასსა და მთელ კაცობრიობას. ეს აუცილებელია.

მე (თან საშინლად ცივად მიბერავს): — რაო? ესეც ახალი ამბავი! ეს პირობა რალას ნიშნავს?

ის: — უნდა განუდგე, მორჩა და გათავდა. შენა გგონია, ეჭვიანობა მარტო ზესკნელშია და ქვესკნელში კი არა? შენ ჩვენთვისა ხარ აღთქმული, ფაქიზო ქმნილებავ, ჩვენი დანიშნული ხარ, სიყვარულის უფლება არა გაქვს.

მე (გულიანად მეცინება): — უფლება არა მაქვს? საბრალო ეშმაკო! ისედაც სულელის სახელი გაქვს გაგარდნილი და გინდა კიდევ განიმტკიცო? ვითომც კატასავით ეუფანი ჩამოგებას, თუკი საქმიანი გარიგების დაფუძნებას ისეთ არამყარ და საჭოჭმანო ცნებაზე ლამობ, როგორიც სიყვარულია! ნუთუ ეშმას სურს გულის წადილს ყადაღა დაადოს? ხოლო თუ არა სურს, მაშინ სიმპათიასაც უნდა შეურიგდეს და თვით *caritas*-საც**, თორემ მაინც მოტყუებული დარჩება, როგორც წიგნში წერია კიდევ. ის, რაც მე ავიკიდე და რის გამოც ჩემი კერძი ხარო, აცხადებ, რამ გამოიწვია, აბა, თუ არა სიყვარულმა, დაე თუნდაც ღვთის ნებით შესს მიერ სამსალაგარეულმა? შე ბრიყვო, გარიგება, რითაც შენი მტკიცებით ჩვენ შეკრულნი ვართ, ხომ ასევე სიყვარულთან არის დაკავშირებული. შენ რომ გკითხოს კაცმა, შემოქმედების გამო შეგეკარი და ტყის დახვლანჯულ გზის გასაყარზე წამოვედი. მაგრამ იმასაც ხომ ამბობენ, შემოქმედებაც სიყვარულთან არის დაკავშირებული.

ის (ცხვირში სიცილით): — დო, რე, მი! დარწმუნებული იყავ, შენი ფსიქოლოგიური ილეთები ჩემზე ისევე არა ჭრის, როგორც თეოლოგიურები! ფსიქოლოგია — ღმერთო შეგეცინყალე, ნუთუ ისევ ასდევ მას? ეს ხომ ცუდმადი ბიურგერული შეცხრამეტე საუკუნეა! ეპოქას საშინლად მოეყირჭა, მალე მისბთვის იგივე გახდება, რაც

*გარიგების დროიდან (ლათ.).

**სიყვარულსაც (ლათ.).

ხარისათვის წითელი ნაჭერია, და ვინც მოსვენებას არ მისცემს ფსიქოლოგიით, იმას პირდაპირ თავში უთავაზებს. ჩვენ ისეთ დროში შევდივართ, ჩემო ძვირფასო, რომელსაც ფსიქოლოგიის შარების ატანა სულაც არ ეუბიძნავენ... მაგრამ ამას თავი გავანებოთ. ჩემი პირობები ნათელია და სამართლიანი, ჯოჯოხეთის კანონიერი მოთხოვნებით ნაკარნახევი. სიყვარული გეკრძალება, ვინაიდან იგი ადამიანს ათბობს. შენი ცხოვრება ცივი უნდა იყოს — ამიტომ უფლება არა გაქვს ვინმე გიყვარდეს. აბა, მაშ რა გგონია? ზარზოში სულიერ ძალებს მთლიანად გინარჩუნებს, ხოლო ჟამიდან ჟამზე ამძაფრებს კიდეც და გაცისკროვნებულ ექსტაზამდე აჰყავხარ, — ასე რომ, სხვა რაღა უნდა ჩაიფერფლოს ბოლოს და ბოლოს, თუ არა სანუკვარი სული და ძვირფას გრძნობათა თაიგული? შენი ცხოვრებისა და ადამიანებთან ურთიერთობის საერთო გაცივება საგანთა არსიდან გამომდინარეობს, ან უფრო სწორად, შენი არსიდან, ჩვენ შენგან ახალს არაფერს მოვითხოვთ, ჩემი პატარები ახალსა და უცხოს არ გაგხდიან, მარტო გონებამახვილურად გააძლიერებენ და გაბერავენ ყოველივე იმას, რაცა ხარ. განა გულცივობა დასაბამიდანვე არ დაგყვა, მამისეული შაკიკისა არ იყოს, რომლისგანაც ზღვის ჰანია ქალწულის ტკივილები უნდა წარმოიშვას? ოღონდ ჩვენ ისეთი ცივი გვინდისხარ, რომ შემოქმედების ცეცხლმაც ვერ გაგათბოს, რა გინდ მცხუნვარედ გიზგიზებდეს, თუმცა მის ალს კი შეეცდები შენი ცხოვრების სიცივისგან თავი შეაფარო...

მე: — და ხანძრიდან კი ისევ უკან, საყინულეში. ეტყობა, ჯოჯოხეთი უკვე აქ, დედამიწაზე გამიმზადეთ.

ის: — ეს ექსტრავაგანტური მყოფობა გახლავს, ერთადერთი რამ, რასაც ამაყი სული შეიძლება დასჯერდეს. შენი ქედმაღლობა ნამდვილად არასოდეს არ გაცვლის მას ნელთბილ ცხოვრებაზე. განა გინდა ასეთი რამ? ჩვენს მიერ შემოთავაზებული მყოფობით შრომით აღსავსე ადამიანური ცხოვრების მთელ მანძილზე დატკბები, ლამის მთელი მარადისობა, ხოლო როდესაც ქვიშის საათი დაიცლება, მაშინ მე დაგეპატრონები, დახვეწილ სულდგმულს ჩემებურად, როგორც მომეპრიანება, ისე დაგრევე ხელს, წაგიყვან და წაგიძღვები, სულ ერთიანად ჩემი იქნები — სხეულითაც და სულითაც, ხორცითაც, სისხლითაც და თუ რამ გაბადია, იმითაც — უკუნითი უკუნისამდე...

აქ ისევ ამიტანა საშინელმა პირლებინებამ, როგორც ერთხელაც ადრე, და ესეც მარყევიდა, გარდა იმისა, რომ იმ ვინროშარვლიანი სალახანისაგან მომდინარე სუსხისაგანაც ვკანკალებდი, ახლა

უფრო ძლიერად რომ მცემდა ტალღა-ტალღა, თითქოს გლეტჩერის წინ ვმჯდარიყავი. ყოვლად აუტანელი ზიდებისაგან თავდავინყუებამდე მივედი, თითქოს გული წამივიდა, გამოვითიშე... და მერე შილდენაჰის ხმა ჩამესმის, რომელიც დივნის კუთხეში ზის და დინჯად მეუბნება:

– რასაკვირველია, არაფერი არ დაგიკარგავთ. Giornali* და ორი ბილიარდი, თითო ჭიქა მარსალა და ალალ-მართალი პროვიციელები, რომელნიც governo-ს ოთხში იღებდნენ.

მე კი ზაფხულის კოსტიუმის ამარა ვიჯექი ლამპასთან და მუხლებზე ზემოხსენებული ქრისტიანის წიგნი მედო! სხვანაირად არ შეიძლებოდა მომხდარიყო: აღშფოთებულმა ალბათ გავაგდე ის გარეწარი, ხოლო სამოსელი კი ისევ მეზობელ ოთახში გავიტანე, ვიდრე ჩემი ამხანაგი დაბრუნდებოდა“.

XXVI

ჩემთვის დიდად სასუგეშოა ის ამბავი, რომ მკითხველს არ შეუძლია მე დამაბრალოს წინა მონაკვეთის არაჩვეულებრივი სიდიდე, რაც კრემარის ლექციებისადმი მიძღვნილი თავის ისედაც შემაშფოთებელ მოცულობასაც კი ბევრად აღემატება გვერდების რაოდენობით. ამ შემთხვევაში მე, როგორც ავტორი, პასუხს არ ვაგებ და შემიძლია გულდამშვიდებული ვიყო. მე ვერა და ვერ ვეტყოდი ჩემს თავს: მკითხველი დაიღლება და ამას ანგარიში უნდა გაენიოს-მეთქი, ამიტომ ადრიანის ჩანანერს რაიმე გამაიოლებელი რედაქცია სჭირდება, „ორთა საუბარი“ (ყურადღება მიაქციეთ პროტესტის გამომხატველ წინკლებს, რითაც ეს გამოთქმა აღეჭურვე, თუმცა მშვენივრად მესმის, რომ ამით მხოლოდ ნაწილობრივ ვამცირებ შიგ ჩაქსოვილ ძრწუნვას) – ეს საუბარი ცალკეულ, დანომრილ ნაწილებად უნდა დავაქუცმაცო-მეთქი. ჩემი მოვალეობა იყო მწუხარებით აღსავსე მოკრძალებით გადმომეცა დედანი, იგი ადრიანის სანოტე ქალღლიდან ჩემს ხელნაწერში გადამეტანა; და მე ეს მოვიმოქმედე არა მხოლოდ სიტყვასიტყვით, არამედ, შეიძლება ითქვას, ასო-ასო, ხშირად ვწყვეტიდი წერას, ვდებდი, კალამს სულის მოსათქმელად და მიიმეფიქრებით მოცული ბოლთას ვცემდი კაბინეტში, ანდა დივანზე

*ვაზეთები (იტალ.).

მივეგდებოდი და თითებგადაჭდობილ ხელებს შუბლზე ავიფარებდი. ასე რომ, რა უცნაურადაც უნდა ყლერდეს, თავი, რომელიც მარტო უნდა გადამენერა, ჩემს დროდადრო მთრთოლარე ხელს უფრო სწრაფად არ გადაუტანია ქალაღლზე, ვიდრე რომელიმე ჩემს მიერ შეთხზული წინა თავი.

თუ გადანერისას მასალას თან გაიაზრებ და ჩაჰკირკიტებ, იგი (ყოველ შემთხვევაში ჩემთვის, თუმცა მონსენიორ ჰინტერფორტნერიც მეთანხმება ამაში) ისევე შრომატევადია და იმდენივე დროს გართმევს, რამდენსაც საკუთარი აზრების გადმოცემა, და თუ მკითხველი უკვე ადრეც, ამა თუ იმ პერიოდში, ჯეროვნად ვერ საზღვრავდა დღეებისა და კვირების რაოდენობას, რაც ჩემი განსვენებული მეგობრის ცხოვრების აღწერისათვის იმ დროს უკვე მქონდა მიძღვნილი, იგი ალბათ ახლაც, როცა ამ სტრიქონებს ვწერ, თავისი ვარაუდით ბევრად ჩამორჩება რეალურ თარიღს. დაე გაეცინოს ჩემს პედანტობაზე, მე მაინც საჭიროდ მიმაჩნია ვამცნო, რომ მას შემდეგ, რაც ეს ჩანაწერები დავიწყე, უკვე თითქმის ერთი წელი გავიდა და ვიდრე ბოლო თავებსა ვწერდი, 1944 წლის აპრილიც დადგა.

რალბ თქმა უნდა, ამ თარიღში ბიოგრაფიაზე ჩემი მუშაობის ამჟამინდელ მომენტს ვგულისხმობ და არა იმას, სადამდეც საკუთრივ ბიოგრაფია მოვეყევი. ადრიანის თავგადასავლის თხრობაში მე 1912 წლის შემოდგომამდე მივალწიე. წინა მსოფლიო ომის გაჩაღებამდე ოცდაორი თვე იყო დარჩენილი. ადრიანი რიუდიგერ შილდკნაპთან ერთად პალესტრინიდან მიუნჰენს დაბრუნდა და ცოტა ხნით შვაბინგის ერთ-ერთ პანსიონში (უცხოელთათვის განკუთვნილ პანსიონ „გიზელაში“) დასახლდა. არ ვიცი, ეს ორმაგი წელთაღრიცხვა — პირადი და თხრობის საგანთან დაკავშირებული — ასე რატომ იპყრობს ჩემს ყურადღებას და რატომ მინდა მივუთითო ის დროც, რომელშიც მთხრობელი იმყოფება და ისიც რომელშიც მის მიერ მოთხრობილი ამბავი თამაშდება. სხვათა შორის, დროის ამ ძალზე თავისებურად გადახლართულ ორ ნაკადს კიდევ მესამეც დაუკავშირდება, სახელდობრ, დრო, რომელსაც კეთილგანწყობილი მკითხველი ერთხელაც იქნება დახარჯავს მოთხრობილის აღსაქმელად. ასე რომ, მას დროის სამ განასერთან ექნება საქმე: თავის საკუთართან, მემატინისასთან და ისტორიულთან.

არ მინდა ესოდენ სპეკულაციურ მსჯელობაში უფრო ღრმად შევიჭრა, მას ჩემსავე თვალში ერთგვარი მოუსვენარი მოცალეობის დაღი

აზის და მხოლოდ დავსძენ, რომ სიტყვა „ისტორიული“ გაცილებით პირქუშ იერ-სახეს იძენს, თუ იმ დროს მიუყუენებთ, რომელშიც ვწერ და იმას, რომლის შესახებაც ვწერ. ბოლო დღეებში ოდესისთვის მძვინვარებდა ბრძოლა, რაც სახელგანთქმული შავიზღვისპირა ქალაქის რუსების ხელში გადასვლით დამთავრდა, ოღონდ ისე, რომ მოწინააღმდეგე ვერ შეძლო ჩაეშალა ჩვენს მიერ ძალთა გადაჯგუფების მიზნით ჩატარებული ოპერაციები. რასაკვირველია, ვერ შეძლებს ამას სევასტოპოლშიც, ჩვენს მეორე ბურჯშიც, რის ხელიდან გამოგლეჯასაც, ეტყობა, ახლა გვიპირებს აშკარად ჭარბი ძალების მყოფი მოწინააღმდეგე. ამასობაში ჩვენს საიმედოდ დაცულ ციხესიმაგრე ევროპაზე თითქმის ყოველდღიური საჰაერო თავდასხმები სულ უფრო და უფრო თავზარდამცემი ხდება. რა ბედენაა, რომ ამ სულ უფრო მეტი ფეთქებადი მასალის მიმტან და სიკვდილის მთესველ ურჩხულთაგან ბევრი მსხვერპლად ეწირება ჩვენს გმირულ საჰაერო თავდაცვას? მაცურად გაერთიანებული კონტინენტის ცას აბნელებს ათასობით მათგანი და კვლავ და კვლავ ნანგრევებად იქცევა ჩვენი ქალაქები. ლაიპციგმა, ლევერკიუნის ჩამოყალიბებაში, მისი ცხოვრების ტრაგედიაში, ესოდენ მნიშვნელოვან როლს რომ ასრულებს, სულ ახლახან საშინელი დარტყმა იწვნია: მისი სახელგანთქმული საგამომცემლო კვარტალი, როგორც გავიგე, ნაცარტუტად არის ქცეული, ხოლო აურაცხელი ლიტერატურული და მეცნიერული განძეული – განადგურებული. ეს კი უმძიმესი დანაკლისია არა მარტო ჩვენთვის, გერმანელებისათვის, არამედ საერთოდ მთელი განათლებული მსოფლიოსათვის, რომელიც – დაბრმავების გამო, თუ სამართლიანად, ვერ გამიბედა ამის გადანყვეტა – მგონი, მზად არის ამას შეურიგდეს.

დიახ, ვშიშობ, რომ ჩვენი დალუპვით დამთავრდება ავბედითი პოლიტიკა, რომელმაც ერთსა და იმავე დროს ყველაზე ხალხმრავალ, თანაც რევოლუციური აღმავლობით მოცულსა და ყველაზე მძლავრი სანარმოო პოტენციალის სახელმწიფოებთან შეგვარკინა, – ასე გასინჯეთ, ამერიკულ სამრეწველო მანქანას სრული სიმძლავრით მუშაობა არც დასჭირვებია სამხედრო საქურვლის ნიაღვრით ყველაფრის წასალეკავად. უილაჯო დემოკრატიულ ქვეყნებს ამ საშინელ საშუალებათა გამოყენების თავიცი რომ ჰქონიათ, გამაოგნებელი და გამომაფხიზლებელი გაკვეთილია ჩვენთვის. დღითი დღე თავს ვალწვევთ მცდარ აზრს, თითქოს ომი გერმანელთა პრეროგატივა იყოს და ძალადობის ხელოვნებაში სხვები აუცილებლად უსუსური დილეთანტები უნდა გამოდგნენ. ამ ბოლო დროს ჩვენ (ამ მხრივ

მონსენიორ ჰინტერფორტნერი და მე უკვე გამონაკლისი აღარა ვართ) სულ რაღაც გვეშლება ანგლო-საქსების სამხედრო ტექნიკის შეფასებაში და კონტინენტზე შემოჭრის საფრთხე იზრდება: მოსალოდნელია, რომ მილიონობით საუცხოოდ აღჭურვილი ჯარისკაცი ყოველი მხრიდან შემოუტევეს ჩვენს ევროპულ ციხე-სიმაგრეს, თუ ჩვენს სატუსაღოს-მეთქი, უნდა ვთქვა, ან ჩვენს საგიყეთს-მეთქი? და მხოლოდ იმას ძალუძს მყობადის წინაშე საყოველთაო ძრწოლა სულიერად გაანონასწოროს, რომ შთამბეჭდავად აღწერენ მტრის შესაძლო დესანტის წინააღმდეგ მიღებულ ღონისძიებებს – ეს ღონისძიებები მართლაც გრანდიოზული ჩანს. მან უნდა გვიხსნას ჩვენ და მთელი კონტინენტი ჩვენი ამჟამინდელი ბელადების დაკარგვისაგან.

რასაკვირველია, დრო, რომელშიც ვწერ, ისტორიული თვალსაზრისით შეუდარებლად უფრო ბობოქარია, ვიდრე ის დრო, რომელსაც აღვწერ, ადრიანის დრო, რამაც იგი მხოლოდ ჩვენი დაუჯერებელი ეპოქის ზღურბლად მოიყვანა, და გულით მწაფია ხოლმე ასე მივმართო მას, ასე მივმართო ყველას, ვინც ჩვენთან აღარ არის, და უკვე აღარ იყო ჩვენთან, როცა ეს ამბები დაიწყო: „ნეტავი თქვენ! განისვენებდეთ მშვიდად!“ ჩემთვის ძვირფასია, რომ ადრიანი დაზღვეულია ჩვენი დღეების ორომტრიალისაგან, ველოლიავები ამ აზრს და ოღონდ ამის შეგნების უფლება ნუ მომეშლება, მზადა ვარ იმ დროის საშინელებანი გადავიტანო, რომელშიც გრძელდება ჩემი მყოფობა. ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს მისთვის, მის მაგივრად ვცოცხლობ და ვცხოვრობ, თითქოს იმ ტვირთს ვეზიდები, რომელიც მის მხრებს ასცდა, – მოკლედ, თითქოს სამსახურს ვუწევ, როდესაც ცხოვრების აუცილებლობისაგან ვათავისუფლებ; და ამის შეგრძნება რა ილუზიური, რა სულელურიც კი უნდა იყოს, მესალბუნება, ჩემი გულის ჭიას ახარებს, მუდამ რომ ენადა სამსახური გაენია მისთვის, დახმარებოდა, დაეცვა... ვიდრე მეგობარი ცოცხალი მყავდა, ამ წყურვილის მოკვლას ხომ იშვიათად თუ ვლირებოვარ.

უნდა მოგახსენოთ, რომ ადრიანმა შვაბინგის პანსიონში მხოლოდ რამდენიმე დღე დაახანა და რომ მას საერთოდ არც უცდია ქალაქში მუდმივ საცხოვრებლად რაიმე შესაფერისი ადგილი მოეძებნა. შილდ-

კნაპმა ჯერ კიდევ იტალიიდან მისწერა თავის ადრინდელ სახლის პატრონებს ამალიენშტრასეზე და ისევ ნაცნობ გარემოში დაიბევა ბინა. ადრინი არ აპირებდა არც სენატორის მეუღლე როდესთან დაბრუნებას და არც საერთოდ მიუნჰენში დარჩენას. ეტყობა, გუნებაში დიდი ხანია უკვე გადანყვეტილი ჰქონდა და თანაც ისე ხელალებით, რომ წინასწარ აღარც ჩასულა პფაიფერინგში, რათა ერთხელ კიდევ დაეთვალიერებინა იქაურობა და პატრონს გარიგებოდა, ტელეფონით დარეკვას დასჯერდა და თანაც ძალზე მოკლეა და კონკრეტულს. პანსიონ „გიზელადან“ დაურეკა შვაიგემტილებს და უთხრა — დედილო ელზეს, რომელმაც თვითონ აიღო ყურმილი: ერთ-ერთი იმ ველოსიპედისტთაგანი გახლავართ, ერთხელ სახლი და კარმიდამო რომ დაგვათვალიერებინეთო. შემდეგ შეეკითხა: ხომ არ მომაქირავებთ და თუ მომაქირავებთ, რა ფასად ზედა სართულზე ერთ-ერთ საძილე ოთახს, ხოლო დღისით სამყოფლად — აბატის პალატს პირველ სართულზეო? ვიდრე ფასს ეტყოდა, რომელიც შემდგომ, ჭამა-სმისა და მომსახურების ჩათვლით, ძალზე ზომიერი გამოდგა, ფრაუ შვაიგემტილი ჯერ იმით დაინტერესდა, მაშინდელ სტუმართაგან რომელი ელაპარაკებოდა, მწერალი თუ მუსიკოსი, დაადგინა, რომ მუსიკოსი, და თან აშკარად ეტყობოდა, რომ ამასობაში ადრინდელი შთაბეჭდილების აღდგენასა და შემონახვას ლამობდა. მერე ეჭვი გამოთქვა, რამდენად მართებული იყო ასეთი გადანყვეტილება, ოღონდ მხოლოდ და მხოლოდ მომავალი მდგომარის თვალსაზრისით, მისი ინტერესებიდან გამომდინარემ, და იქვე დასძინა, თქვენ ალბათ უკეთ იცით, რაც გჭირდებათო. ჩვენ, შვაიგემტილები, ყოველთვის კი არ ვაქირავებთ ბინებს შემოსავლის მიზნით, არამედ დროდადრო, ასე ვთქვათ, შემთხვევიდან შემთხვევამდე გვყვანან მდგომარეობები და ისიც ჭამა-სმაზე გარიგებულნიო. ეს, ვგონებ, მაშინაც მოგახსენეთ, ხოლო თუ თქვენ ასეთ განსაკუთრებულ შემთხვევას წარმოადგენთ, ამის გადანყვეტა თქვენთვის მომინდვიაო. მეტისმეტი სინყნარე და ერთფეროვნება სუფევს ჩვენთან, თან პრიმიტიულადაც ვცხოვრობთ, თუ კომფორტს შევხებით: სააბაზანო ოთახი არ გაგვაჩნია, არც ვატერკლოზეტი, მათ ნაცვლად სოფლური ჩიხომახოები გვაქვს სახლის გარეთო. მიკვირს, რომ ახალგაზრდა კაცი, რომელიც, როგორც მე მგონია, ჯერ ოცდაათი წლისაც არ არის, და რომელიც ხელოვნების ერთ-ერთ მშვენიერ დარგს მისდევს, სოფლად, კულტურის კერათაგან მოშორებით აპირებს დასახლებასო. ისე კი, გაკვირვება აქ შეიძლება უადგილო სიტყვაც იყოს, რადგან არც მე და არც ჩემს ქმარს გაკვირვება არ გვჩვევია, და თუ მაინც-

დამაინც აქ პოვეთ, რასაც ეძებთ, მაშინ ჩამობრძანდით, ადამიანების უმრავლესობამ ხომ მართლაც ყველაფრის შეცხადება იცისო. ოლონდ კარგად კი უნდა აწონ-დაწონოთ, მით უფრო, რომ მაქსისთვის, ჩემი ქმრისთვის და ჩემთვისაც ძალზე არსებითია, ამგვარი გადანყვეტილება წამიერი განწყობის შედეგი კი არ გამოდგეს და ცოტა ხნის შემდეგ კი არ გადაიფიქროთ, არამედ თავიდანვე დიდხანს დასარჩენად ჩამოხვიდეთ. ხომ მართალია, ასე აჯობებსო? და ასე შემდეგ.

მე დიდი ხნით მოვდივარ, — მიუგო ადრიანმა, — ხოლო მოფიქრებით, ეს ამბავი დღეს და გუშინ როდი მომიფიქრებია. ცხოვრების წესი, რომელიც თქვენთან მომელის, შინაგანად შემონმებული, მონონებული და მიღებული მაქვს. ფასზეც — თვეში ასოც მარკაზე — თანახმა ვარ. საძილე ოთახის შერჩევა თქვენთვის მომიხდვია, ხოლო აბატის პალატი წინასწარ მახარებს და სამ დღეში ჩამოვალ კიდევცო.

ასეც მოხდა. ქალაქში მცირე ხნით ყოფნა ერთ გადამწერთან მოსალაპარაკებლად გამოიყენა, რომელიც ურჩიეს (მგონი, კრემარმა ურჩია). ეს კაცი, გვარად გრიპენკერლი, ცაპვენშტოსერ-ორკესტრის პირველი ფაგოტისტი იყო, ხოლო ამ მეორე ხელობით დამატებით ცოტაოდენ ფულს შოულობდა. მას დაუტოვა „Love's Labour's Lost“-ის პარტიტურის ნაწილი. ოპერის დამთავრება ადრიანმა პალესტრინაში ვერ შეძლო, ახლა ბოლო ორი მოქმედების დაინსტრუმენტებაზე მუშაობდა და სონატის ფორმის უვერტიურაც ჯერ სუფთად არ გადაენერა, რადგან მისი თავდაპირველი კონცეფცია ძლიერ შეიცვალა იმ გასაოცარი და თავად ოპერისთვის სრულიად უცხო მეორეხარისხოვანი თემის შემოტანით, რომელიც რეპრიზასა და დასკვნით ალეგროში ესოდენ მნიშვნელოვან როლს ასრულებს; გარდა ამისა, კიდევ ბევრი ჯაფის განევა მოუხდებოდა შესრულების შეფერილობისა და ტემპის განმსაზღვრელი ნიშნების დასმაზე, რომელთაც მუსიკის თხზვისას კარგა მოზრდილ მონაკვეთებში უყურადღებოდ ტოვებდა. ისე კი, ჩემთვის ნათელი გახლდათ: შემთხვევით როდი იყო, რომ ადრიანის იტალიიდან წამოსვლა არ დაემთხვა ოპერის დასრულებას. კიდევაც შეგნებულად რომ ნდომებოდა ასეთი თანხვედრა, რაღაც ფარული განზრახვის გამო იგი არ განხორციელდა. ჩემი მეგობარი ერთობ *semper idem*-ის* კაცი იყო და გარემოებათა ცვლილებისათვის შეუვალი, რომ სასურველად მიეჩნია

*მარად ერთი და იმავეს (ლათ.).

საცხოვრებელი გარემოს გამოცვლასთან ერთად მაინცდამაინც დაწყებული საქმე ბოლომდე მიეყვანა. შინაგანი პერმანენტულობისათვის სჯობია ახალ პირობებში ადრე დაწყებული სამუშაოს ნაშთი გადაიყოლო, ხოლო რაიმე შინაგანად ახალი მხოლოდ მაშინ წამოიწყო, როცა გარეგანი სიახლე გახუნდება და ჩვეულებრივ ამბად იქცევაო, — ეტყოდა ხოლმე საკუთარ თავს.

ბევრი ბარგის წაღება არ სჩვეოდა და ამჯერადაც მხოლოდ ყოვლად აუცილებელი ნივთები წამოიღო, მათ შორის საქალაქად, რომელშიც პარტიტურა იყო, და რეზინის აბაზანა, ჯერ კიდევ იტალიაში რომ უწევდა აბაზანის მაგივრობას. შტარნბერგის სადგურიდან გაემგზავრა იმ სამგზავრო მატარებელთაგან ერთ-ერთით, რომლებიც მარტო ვალდსჰუტში კი არ ჩერდებოდნენ, არამედ ათი წუთის შემდეგაც, პუაიფერინგში, მანამდე კი წიგნებითა და სხვა ავლადიდებით სავსე ორი ყუთი საბარგო ვაგონით გაგზავნა. ოქტომბრის მიწურული იყო. ჯერ კიდევ მშრალი, მაგრამ უკვე ცივი და პირქუში ამინდი იდგა. ფოთლები ცვიოდა. სახლის პატრონთა ვაჟიშვილი გერეონი, აი ის, სასუქის მოსაფანტავი ახალი მანქანა რომ შეიძინა, არცთუ მაინცდამაინც თავაზიანი, უცერემონიოც კი, მაგრამ აშკარად თავის საქმეში ჩახედული ახალგაზრდა მეურნე, ელოდებოდა პატარა სადგურის წინ სტუმარს, ისეე მაგარრესობიანი და მალალი ოთხთვალას კოფოზე იჯდა, და ვიდრე მეზარგული ხელბარგს ოთხთვალაში აწყობდა, მათრახის ბოლოთი გავაზე უცაცუნებდა ცხენებს — ერთ წყვილ კუნთოვან ქურანას. გზაში ბევრი არ ულაპარაკიათ. რომის ბორცვი, ხეების გვირგვინით შემკული, და ნაცრისფრად მოსარკული ფრჩხილა გუბურა ადრიანმა მატარებლიდანვე შენიშნა; ახლა კი უკვე ახლოდან უჭვრეტდა მათ. მალე შვაიგემტილების სახლიც გამოჩნდა, ისეე ბაროკოს დროინდელ მონასტერს რომ მოგაგონებდათ. ეზოს ღია ოთხკუთხედში ოთხთვალამ ირგვლივ შემოუარა ეზოში ბებერ თელას, რომლის ფოთოლთა საგრძნობი ნაწილი უკვე იმ მერხზე ეფინა, მას რომ გარს ერტყა.

ფრაუ შვაიგემტილი თავის ქალიშვილ კლემენტინესთან, სადა გლესურ სამოსში გამოწყობილ, თაფლისფერთვალება სოფლელ გოგონასთან ერთად სასულიეროგერბიანი ალაყაფის კარნი იდგა. დიასახლისის მისალმება ჯაჭვით დაბმული ნავაზის ყუფამ ჩაახშო. გაავებული ძალღი თავის ჯამზე შედგა ფხეებით და კინალამ გადმოაყირავა ნამჯით გადახურული საძაღლე. ვერა და ვერ დააშოშმინეს, თუმცა დედაცა და ქალიშვილიც და აგრეთვე ნაკელშიამოთხვრი-

ლფეხებიანი მეძროხე გოგოც (ვალტპურგისი), რომელიც ბარგის გადმოტანაში შველოდათ, უყვიროდნენ: — გადი, კაშპერლ, გადი! იყურეო! ძალლი განაგრძობდა ანჩხლობას. ადრიანი ერთხანს ღიმილით უჭვრეტდა, მერე სულ ახლოს მივიდა მასთან: — ზუზო, ზუზოო, — ეუბნებოდა ხმის აუმაღლებლად, გაკვირვების გამომხატველ, დამაშოშმინებელ კილოზე და ერთი უყურეთ: ალბათ მისმა დაყვავებამ იმოქმედა, რადგან ცხოველი ერთბაშად, რაიმე გარდამავალი საფეხურის გარეშე, დამშვიდდა და მომთვინიერებელს ისიც კი დაანება, მისკენ ხელი გაეწოდა და ძველი ნაკბენებით დასერილ კეფაზე მოფერებოდა, თან ძალზე სერიოზულად მისჩერებოდა მომხდურს ყვითელი თვალებით.

— ყოჩაღ, ბატონო! ვაჟკაცი ყოფილხართ! — უთხრა ფრაუ ელზემ, როცა ადრიანი ისევ ალაყავის კართან მიბრუნდა. — ყველას ეშინია ამ პირუტყვისა. ან როგორ არ უნდა შეგეშინდეს, როცა ასე გაცოფებული ატეხს ყეფას. უნინ ერთი ტანმორჩილი მასწავლებელი ამოდიოდა სოფლიდან, ბავშვებს ასწავლიდა, და ყოველ მოსვლაზე მეუბნებოდა: „ძაღლისა მეშინია, ფრაუ შვაიგემტილი!“

— დიახ, დიახ! — კვერი დაუკრა ადრიანმა თავის ქნევითა და სიცილით; ისინი წეკოს სუნით გაჟღენთილ სახლში შევიდნენ, კიბე აიარეს და მეორე სართულზე დიასახლისი თეთრად შეღებილი და აშმორებული დერეფნიდან სტუმარს მისთვის განკუთვნილ საძილე ოთახში შეუძღვა, სადაც ცალკარიანი ქრელი კარადა და ფაფუკი ლოგინით დაზინული სანოლი იდგა. დამატებით შემოეტანათ კიდევ მწვანე სავარძელი და მის წინ, ფიჭვის იატაკზე, ფარდაგიც დაეფინათ. გერეონმა და ვალტპურგისმა ხელბარგი ზედ დაალაგეს.

უკვე აქა და გზაშიც, როცა კიბეზე ისევ უკან ჩადიოდნენ, დაინყო მოლაპარაკება მდგმურის მომსახურებასა და დღის რეჟიმზე, რაც მერე გაგრძელდა და დამთავრდა კიდევ დაბლა, აბატის პალატში, ამ ძალზე თავისებურ მამაპაპურ სადგომში, რომლის ბატონ-პატრონადაც ადრიანი თავს უკვე დიდი ხანია სახავდა გუნებაში. დილაობით ერთი დიდი ტოლჩა ცხელი წყალი უნდა მზად ჰქონოდათ მისთვის, მაგარი ყავა საძილე ოთახში მიერთმიათ, იჯრათა თანმიმდევრობაც განსაზღვრეს. ადრიანს ცალკე გაუშლიდნენ ხოლმე სუფრას, მისთვის აუცილებელი არ იყო ოჯახთან ერთად შექცეოდა საჭმელს, მით უფრო, რომ მათი განრიგი ერთობ ადრეულ საათებზე მოდიოდა. სუფრას საგანგებოდ მას ორის ნახევარზე და რვაზე გაუშლიდნენ ხოლმე; ფრაუ შვაიგემტილის აზრით, ყველაფერს აჯობებდა ეს დიდ

ოთახში მომხდარიყო, შემოსასვლელთან, გლეხურ სასტუმრო ოთახში, რომელშიც ნიკე და ძველებური როიალი იდგა და რომელიც ისედაც მის განკარგულებაში იქნებოდა, თუკი ინებებდა. ქალმა მსუბუქი რაციონი აღუთქვა: რძე, კვერცხი, გახუხული ჰური; სადილად ბოსტნეულის წვნიანები; კარგი, ცვრიანი ბიფშტექსი ისპანახით, მერმე ვაშლისხილფაფიანი, იოლად მოსანელებელი ომლეტი; მოკლედ, ისეთი რამეები, ნოყიერიც რომ არიან და თანაც აწიზ კუჭს არ სწყენენ, როგორც ალბათ ბატონსა აქვს.

— კუჭი, ჩემო კეთილო ქალბატონო, კუჭი მეტწილად აქ არაფერ შუაშია, თავია დამნაშავე, მიზეზიანი და გადაღლილი თავი, რომელიც დიახაც დიდ ზეგავლენას ახდენს კუჭზე, თუნდაც თვითონ კუჭს არა უჭირდეს რა, როგორც ეს ზღვის ავადმყოფობის და შაკიკის შემთხვევაში ხდება...

— აჰ, ხანდახან შაკიკი განუხებთ, და თანაც საგრძნობლად. ასეც მეგონა! მართლაც ეს გავიფიქრე, როცა საძილე ოთახში დარაბებს საგულდაგულოდ ამოწმებდით და იკითხეთ, ოთახის ჩაბნელება თუ მოხერხდება ხოლმეო. ვინაიდან სიბნელე, სიბნელეში წოლა, ღამე, წყვილიადი, საერთოდ რომ სინათლე თვალებს არა გჭრიდეს, ხომ ყველაფერს სჯობია, როცა ეს სატკივარი მოგეძალება, თან მაგარი ჩაიც მჟავე ლიმონით.

ფრაუ შვაიგეშტილისათვის შაკიკი უცხო არ იყო, ესე იგი მე ის კი არ მინდა ვთქვა, რომ თავად იყო ავად, მაგრამ მის მაქს კი ახალგაზრდობაში დროდადრო შემოუტევდა ხოლმე, ოღონდ მერე კი, ჟამთა ვითარებაში, თანდათანობით გაუარა. დიასახლისმა ყურიც არ ათხოვა სტუმრის ბოდიშებს თავისი სატკივრის გამო: — ჩემი სახით, ასე ვთქვათ, ქრონიკული ავადმყოფი შემოგეპარათ სახლშიო, — და მხოლოდ ჩაილაპარაკა: — აჰ, კარგით ერთიო.

— რალაც ამდაგვარი, — დასძინა ქალმა შემდეგ, — ხომ იმთავითვე უნდა მეფიქრა: როცა ისეთი ადამიანი, როგორიც თქვენ ბრძანდებით, კულტურულ გარემოს ტოვებს და ჰფაიფერინგში სურს განმარტოება, მას უთუოდ საამისო საბაბიც ექნება. ასე რომ, უთუოდ ისეთ შემთხვევასთანა გვაქვს საქმე, რომელიც გულისხმიერ დამოკიდებულებას საჭიროებს. ასე არ არის, ბატონო ლევკოიუნ? აქაურობა კი სწორედ ისეთი ადგილი გახლავთ, სადაც გულისხმიერება მოიძებნება, თუმცა კულტურა კი — ნურას უკაცრავად.

ასე გაანდო კეთილმა დიასახლისმა თავის ახალ მდგმურს, რასაც ფიქრობდა. აბა, რას წარმოიდგენდნენ მაშინ ფრაუ ელზეცა და ად-

რიანიც, რომ ასე დგომასა და წინ და უკან სიარულში ისეთ რამეებზე თანხმდებოდნენ, რაც მთელი ცხრამეტი წლით ჩამოაყალიბებდა ადრიანის გარეგნულ ყოფას. სოფლის დურგალსაც მოუხმეს, რათა აბატის პალატში კარის ორივე მხარეს ზომები აელო და თაროები დაეყენებინა ადრიანის წიგნებისათვის, მაგრამ არა უმაღლეს ხის ძველი პანელისა, ტყავის შპალერის ქვემოთ. სანთლისნამწვეებიანი ქალის ელექტროფიკაციაზეც დაუყოვნებლივ იზრუნეს, დროთა ვითარებაში კიდევ ხან რა და ხანაც რა ცვლილებანი განიცადა იმ ოთახმა, რომელსაც ეწერა მრავალი შესანიშნავი ნაწარმოების შექმნის მოწმე გამხდარიყო, ჯერ კიდევ დღესაც რომ მეტ-ნაკლებად მიუწვდომელი არიან საზოგადოებისათვის, რათა მისი აღიარება და აღტაცება დაიმსახურონ. დაფუტურობული იატაკი მალე დაფარა თითქმის მთელი ოთახისოდენა ხალიჩამ, ესოდენ საჭირომ ზამთარში. კუთხეში მდგარ დივანს, რომელიც, თუ სავონაროლას სავარძელს არ ჩავთვლით, სანერი მაგიდისათვის განკუთვნილს, ერთადერთი დასაჯდომი ადგილი იყო მთელ ოთახში, უკვე რამდენიმე დღის შემდეგ დაემატა, სტილის ნიუანსების გამოუდევნებლად, რაც ადრიანის საქმე არ გახლდათ, – რუხ-ხავერდგადაკრული ძალიან ღრმა სავარძელი, მიუწვინში ბერნჰაიმერთან შექმნილი და კითხვისა და დასვენებისათვის განკუთვნილი მშვენიერი დგამი, მოძრავ ფეხსაბრჯენთან ერთად, რბილ ტაბურეტს რომ წააგავდა. იგი უფრო იმსახურებდა „შეზღონგის“ სახელწოდებას, ვიდრე ჩვეულებრივი დივანი, და თითქმის ორი ათეული წელიწადი საუცხოოდ ემსახურებოდა თავის პატრონს.

საყიდლები (ხალიჩა და სავარძელი, მაქსიმლიანსპლაცზე რომ შეიძინა ავეჯის სახლში) ნაწილობრივ იმიტომაც ვახსენე, რომ თვალსაჩინო გამეხადა: ქალაქთან კავშირი უამრავი მატარებლის წყალობით, მათ შორის ბევრი ჩქარი მატარებლისაც, რომელთაც ერთი საათიც არ სჭირდებოდათ იქამდე, ძალზე იოლი იყო და ადრიანი ჰფაიფერინგში რომ დასახლდა, მართლა ისე კი არ ჩამარხულა სიმარტოვეში და „კულტურულ ცხოვრებას“ მთლიანად კი არ მოწყვეტილა, როგორც ფრაც სვიაიგეშტილის ნალაპარაკებიდან შეიძლება გვგონებოდა, თვით მაშინაც კი, როცა რომელიმე საღამოზე, აკადემიურ კონცერტზე ანდა ცაპვენშტოსერ-ორკესტრის პროგრამაზე, ოპერაში ანდა სადმე სტუმრად სურდა წასვლა – ესეც ხდებოდა ხოლმე – მას შეეძლო ღამის თერთმეტი საათის მატარებლით უკან დაბრუნებულიყო. ოღონდ მაშინ იმის იმედი აღარ უნდა ჰქონოდა,

რომ შვაიგეშტილების ეკიპაჟი სადგურზე დახვდებოდა; ამგვარ შემთხვევებში შეიძლებოდა ვალდსჰუტის გადამყვან-გადამზიდ დანესებულებასთან მოლაპარაკება. ისე კი, ფეხითაც უყვარდა ნამოსვლა, ზამთრის ნათელ ღამეებში გუბურის გასწვრივ შვაიგეშტილების მთვლემარე კარ-მიდამოს გზაზე, თან იმ დროისათვის უკვე საბელიდან აშვებულ კაშპერლს ანუ ზუზოს შორიდანვე ნიშანს მისცემდა ხოლმე, რომ ყეფა არ აეტეხა. ამას ის ლითონის პატარა სასტვენით ახერხებდა, რომელსაც ხრახნიანი მარეგულირებელი ჰქონდა და უაღრესად მაღალი სიხშირის რხევათა ბგერების გამოცემაც შეეძლო, მათ ადამიანის ყური ახლო მანძილიდანაც ვერ აღიქვამს, სამაგიეროდ არაჩვეულებრივად ძლიერ ზემოქმედებას ახდენენ და ისიც საოცრად შორიდან ძაღლის სულ სხვაგვარად მონყობილი ყურის მემბრანაზე. ჰოდა, კაშპერლიც მაშინვე გაისუსებოდა ხოლმე, როცა ღამეში იღუმალი, სხვათათვის გაუგებარი ჩქამები ჩაესმოდა.

ჩემი გულცივი და გულჩათხრობილი მეგობრის ხასიათი, მისი, მე ვიტყვოდი, მედიდური მორიდებულობა ბევრს ცნობისმოყვარეობას თუ ალუძრავდა, მაგრამ ამასთანავე ზოგს იზიდავდა კიდეც, და მალე პირაქეთ, მის სავანეშიც ხან ვინ ეწვეოდა ქალაქიდან და ხან ვინ. მინდა პირველად შილდკნაპი ვახსენო, რადგან პირველობა ნამდვილად მას ეკუთვნის: რასაკვირველია, ის პირველი გახლდათ, ვინც პფაიფერინგში ჩამოვიდა, რათა ენახა, როგორ მოეწყო ადრიანი იმ ადგილას, რომელიც ერთად აღმოაჩინეს, შემდეგ კი, განსაკუთრებით ზაფხულობით, ხშირად ატარებდა მასთან კვირის ბოლოს. ჩამოვიდნენ ველოსიპედებით ცინკი და შპენგლერიც, რადგან ქალაქში საყიდლებზე ჩასულმა ადრიანმა როდეს ოჯახი ინახულა რამბერგშტრასეზე და მეგობარმა მხატვრებმა ქალიშვილებისაგან შეიტყვეს მისი დაბრუნების ამბავი და ადგილსამყოფელი. ძალზე სავარაუდებელია, რომ პფაიფერინგში სტუმრობის მოთავე შპენგლერი იყო, რადგან ცინკი, როგორც მხატვარი, უფრო ნიჭიერიცა და ქმედითიც, ვიდრე მისი ამქარი, როგორც ადამიანი, ბევრად დაუხვეწავი გახლდათ, ადრიანისა არა გაეგებოდა რა და ამფსონს უთუოდ მხოლოდ ხათრით ნამოჰყვა – ავსტრიულად ფარისეველი, მუდამ პირზე რომ ეკერა: — ხელზე გემთხვევითო, და ყველაფრის მიმართ ცრუ აღტაცებას იჩენდა, რასაც კი აჩვენებდნენ, არსებითად კი მტრულად იყო განწყობილი. მისმა ტაკიმასხარობამ, კომიკურმა ეფექტებმა, რომელთაც თავისი გრძელი ცხვირისა და ერთმანეთთან ახლოს ჩამჯდარი თვალებით ახდენდა და ქალებს სიცილის საღერღელს უშლი-

და, ადრიაანზე ამჯერადაც ვერავითარი შთაბეჭდილება ვერ მოახდინა, თუმცა საერთოდ მუდამ მგრძობიარე იყო კომიკურის მიმართ და მადლიერი აღიქვამდა მას. კომიზმს პატივმოყვარეობა ვნებს, და თანაც ფაენივით აბეზარ ცინკს ჩვეულებად ჰქონდა საუბარში ყოველ სიტყვას ჩაკვირვებოდა, ხომ არ შეიძლებოდა მას ჩასჭიდებოდა და რაიმე ორაზროვანი სქესობრივი მნიშვნელობა მიენიჭებინა. ასეთი მანიაკური აჩემება ადრიაანს მაინცდამაინც არ ეპრიანებოდა, რაც ალბათ ცინკმაც შენიშნა.

შპენგლერს ეცინებოდა ყოველ ამგვარ ინციდენტზე, თვალების ხამხამი აუვარდებოდა, ლოყებზე ფოსოები დაეტყობოდა და გულიანად კიკინებდა. სქესობრივი ამბები ლიტერატურული გაგებით ართობდა; მისთვის სქესი და ჭკუა მჭიდროდ იყო ერთმანეთთან დაკავშირებული, რაც თავისთავად მცდარი აზრი არ გახლავთ. მისი განათლება (ეს ხომ უკვე ვიცით), სინატიფის, მახვილგონიერების, კრიტიკის ტრფიალი ემყარებოდა სქესობრივ სფეროსთან მის შემთხვევითსა და ავბედითს შეჯახებას, ფიზიკურად მასთან მიჯაჭვას, რაც წმინდა წყლის ფათერაკი გახლდათ და მისი ტემპერამენტისათვის, მისი ვნებიანობისათვის სრულიადაც არ იყო დამახასიათებელი. პირმომღიმარი მასლაათობდა კულტურის მაშინდელი ესთეტიკური ეპოქისათვის ნიშანდობლივ ყაიდაზე, დღეს რომ სამუდამოდ დამარხული ჩანს, ხელოვნების სიახლეებზე, ლიტერატურულ და ბიბლიოფილურ ღირსშესანიშნაობებზე, მსჯელობდა მიუნჰენის ქორებზე და ძალზე კვიმატად მოჰყვა ვაიმარის დიდი ჰერცოგისა და დრამატურგ რიჰარდ ფოსის ამბავს, რომელთაც აბრუცში ერთად მოგზაურობისას ნამდვილი ყაჩაღები დაესხნენ თავს, რაც უთუოდ თვითონ ფოსის მიერ მოწყობილი საქმე გახლდათ. ადრიაანს ორიოდე ჭკვიანური და თავაზიანი სიტყვა უთხრა ბრენტანოს სიმღერების თაობაზე, რომლებიც შეეძინა და პიანინოზე გაესინჯა კიდევ. მაშინ იყო, რომ დასძინა, ასეთ სიმღერებზე მუშაობა ნამდვილი ფუფუნებაა და თანაც საკმაოდ სახიფათო. მათ შემდეგ ძნელად თუ რამე მოგუნონება ამავე ყანრის ნანარმოებთაგანო. კიდევ ბევრი ჭკვიანური რამ თქვა ნებივრობაზე, რომელიც, როგორც ასეთი, უწინარეს ყოვლისა თავად საბრალო ხელოვანს მოეკითხება და შეიძლება სახიფათო შეიქნეს მისთვის, ვინაიდან ყოველი უკან მოტოვებული ნანარმოებით იგი ცხოვრებას ირთულებს და ბოლოს ალბათ მთლად გაუსაძლისსაც გაიხდის. ეს იმის გამო, რომ არაჩვეულებრივით თვითგანებივრება ყოველივე დანარჩენს გემოს უკარგავს და ამან საბოლოო ჯამში უნდა

იქამდე მიიყვანოს, რაც განუხორციელებელია, შეუძლებელია, — ჩიხამდეო. მაღალნიჭიერი ხელოვანის პრობლემა ის გახლავთ, რომ განუწყვეტილად მზარდი განებივრებულობისა და ზიზლის მიუხედავად, მაინც განხორციელებადის ფარგლებში დარჩესო.

ასე ჭკვიანი იყო შპენგლერი — მხოლოდ და მხოლოდ თავისი სპეციფიკური მიჯაჭვულობის გამო, რაზეც მისი თვალის ხამხამი და კიკინი მეტყველებდა. — მათ შემდეგ კი ჟანეტი შოირლი და რუდი შვერტფეგერი ჩამოვიდნენ ჩაიზე, იმის სანახავად, როგორ ცხოვრობდა ადრიანი.

ჟანეტი და შვერტფეგერი ზოგჯერ ერთად მუსიკობდნენ, როგორც მაღამ შოირლის სტუმართა წინაშე, ისევე მარტონიც, და პფაიფერინგში წასვლაც ერთ-ერთი ასეთი შეხვედრისას გადაწყვიტეს, თან რუდოლფმა ითავა: ადრიანს წინასწარ მე გავაფრთხილებ ტელეფონითო. წასვლის ინიციატივაც მასვე ეკუთვნოდა, თუ ჟანეტის იდეა გახლდათ, ასეც გაურკვეველი დარჩა, მათ ადრიანის თანდასწრებითაც კი იდავეს და ერთმანეთს მიანერდნენ ამ დამსახურებას: ამას უნდა უმადლოდე, რომ ყურადღება გამოგიცხადეთ და გენვიეთო. ჟანეტის თავშესაქცევი სიფიცხე მისი ავტორობის სასარგებლოდ ლაპარაკობდა; მაგრამ რუდის საოცრად მიმდობ ხასიათსაც კარგად ეხამებოდა ასეთი რამის მოფიქრება. ეტყობა, ისე ახსოვდა, რომ ორი წლის წინ ადრიანს შენობით ელაპარაკებოდა, მაშინ როდესაც მხოლოდ შემთხვევით, კარნავალზე, მიმართა ერთხელ შენობით და ისიც მხოლოდ მან, რუდიმ. ახლაც გულარხეინად კვლავ შენობით სცადა განეგრძო და მხოლოდ მას შემდეგ აიღო ხელი ამ განზრახვაზე — თუმცა ისე კი, რომ არა სწყენია — როცა ადრიანი ორჯერ თუ სამჯერ არ აპყვა შინაურულად მიმართვაში. აინუნში არ ჩაუგდია რუდოლფს ისიც, რომ შოირლი აშკარად ნიშნს უგებდა გულითადობის გამოჩენის ცდაში ხელმოცარულს და თავს იქცევდა. დაბნეულობის ნასახიც არ გამოჰკრთომია ცისფერ თვალეებში, რომლებითაც ესოდენ მიამიტად მიაჩერდებოდა ხოლმე იმას, ვინც რაიმე გონივრულს, ბრძნულსა და ჭკუის სასწავლს ამბობდა. დღესაც კვლავ ვფიქრობ შვერტფეგერზე და ჩემს თავს ვეკითხები: კაცმა რომ თქვას, რამდენად ესმოდა ადრიანის მარტოობა და, მაშასადამე, შეჭირვებაც, იოლი მოწყვლადობაც ამგვარი მარტომყოფობისა და რამდენად შეგნებულად იყენებდა თავის ხიბლს მისი გულის მოსაგებად ან, უხეშად რომ ვთქვა, საცდუნებლად. ეჭვი არ არის, იგი სხვისი გულის მოსანადირებლად და დასაპყრობად იყო დაბადებული.

მაგრამ ვაითუ უსამართლოდ მოვეკიდო, თუ მარტო ამ მხრიდან და-
განახვებთ. ამასთანავე ის კარგი ჯეელი და ხელოვანი იყო და ის
ფაქტი, რომ ადრიანი და ის შემდგომ მართლაც შენობით ლაპარაკზე
გადავიდნენ და ერთმანეთს სახელით მიმართავენ, მე მინდა შევე-
რტყვეგერის მიმზიდველობის ბანალურ წარმატებას კი არ მივანერო,
არამედ ვირწმუნო, რომ რუდოლფი ადრიანში არაჩვეულებრივ
ადამიანს ხედავდა და გულწრფელად აფასებდა, რომ ჭეშმარიტად
კეთილად იყო მისდამი განწყობილი და აქედან ხაპავდა იმ გა-
მაოგნებელ გულდაჯერებულობას, რომელმაც ბოლოს და ბოლოს
გამარჯვა სუსხიან მელანქოლიაზე – რაც, სხვათა შორის, საბედის-
წერო გამოდგა – მაგრამ ჩემი ძველი, მანკიერი ჩვეულებისამებრ კვ-
ლავ წინ ვუსწრებ ამბავთა მსვლელობას.

ჟანეტ შოიროლს ვეება შლაპის კიდიდან ცხვირის ჭვინტამდე
თხელი პირბადე ეფარა, შვაიგეშტილების გლეხურ სასტუმრო ოთა-
ხში ძველებურ როიალთან იჯდა და მოცარტს უკრავდა, ხოლო რუდი
შვერტფეგერი სტვენით ასდევდა, თან ისე ოსტატურად, რომ მოწო-
ნების სიცილს იმსახურებდა. მე შემდგომაც მომისმენია მისთვის
როდესა და შლაგინჰაუფენის ოჯახებში. როგორც გაგონილი მაქვს,
სიყრმიდანვე, უფრო ადრე, ვიდრე ვიოლინოს დაკვრას ისწავლიდა,
შესდგომია სტვენის ტექნიკის გამომუშავებას და სადაც მოხვდებო-
და, თითქმის განუწყვეტილვ ვარჯიშობდა მოსმენილი მუსიკალური
პიესების სტვენით ხალასად აღდგენაში. შემდგომაც დღენიდავ სე-
ენდა უკვე შეძენილ ჩვევებს. ეს იყო ბრწყინვალე პროფესიული ოს-
ტატობა, რომელიც ლამის უფრო დიდ შთაბეჭდილებას ახდენდა,
ვიდრე მის მიერ ვიოლინოს დაკვრა. ეტყობა, განსაკუთრებული
ორგანული მონაცემებიც უწყობდა ხელს. კანტილენა საამურზე
საამური იყო, უფრო ვიოლინოს ხასიათისა, ვიდრე ფლეიტისა,
ფრაზირება უნაკლო გახლდათ, ხოლო მცირე ხანგრძლიობის ნოტები,
როგორც სტაკატოში, ისევე ერთმანეთთან გადაბმულნი, ყველგან ან
თითქმის ყველგან ხარვეზების გარეშე იყვნენ წარმოდგენილნი და
სიზუსტით ალტაცებაში მოჰყავდათ მსმენელი. მოკლედ, დიდებული
რამ იყო და სტვენით შესრულების ტექნიკას რომ ახასიათებს, იმ
პრიმიტიული კუსტარულობის შერწყმამ სერიოზულ ხელოვნებას-
თან დიდად გაამხიარულა დამსწრენი. ყველამ ენებლიეთ სიცილით
დაუკრა ტაში. თავად შვერტფეგერმაც პატარა ბიჭივით ჩაიცინა, თან
მხარზე სახელო გაისწორა და პირის კუნჭულიც ჩვეულებისამებრ
შეუთამაშდა...

აი ესენი იყვნენ ადრიანის პირველი სტუმრები პფაიფერინგში. მალე მეც დავიწყე იქ სიარული: გავისეირნებდი ხოლმე მის მხარდამხარ გუბურის გაყოლებით, ავდიოდი რომის ბორცვზე. ადრიანის იტალიიდან დაბრუნების შემდეგ მხოლოდ ზამთარი გავატარე მისგან მოშორებით, 1913 წელს, სააღდგომოდ, მე მივალწიე იმას, რომ ფრაიზინგის გიმნაზიაში მომცეს ადგილი, რაშიც ჰემი ოჯახის კათოლიკობამ შემინყო ხელი. მე დავტოვე კაიზერსაშერნი და ცოლშვილით იზარის ნაპირას გადავსახლდი, იმ კურთხეულ ქალაქში, მთელი ოთხი საუკუნე ეპისკოპოსის სასაყდრე რომ გახლდათ. აქედან ძალზე იოლი იყო დედაქალაქთან კავშირი და, მაშასადამე, ჩემს მეგობართანაც. აქ, თუ ომიანობის დროს რამდენიმე თვეს არ ჩავთვლით, მთელი ჩემი ცხოვრება გავატარე და აქედანვე სიყვარულითა და ძრწოლით ვადევნებდი თვალს მისი ცხოვრების ტრაგედიას.

XXVII

ფაგოტისტმა გრიპენკერლმა, რომელსაც „Love's Labour's Lost“ - ის პარტიტურა უნდა გადაეწერა, საუცხოოდ გაართვა თავი ამოცანას. პირველი, რაც ადრიანმა ჩვენი შეხვედრისას მაუწყა, სწორედ ეს გახლდათ: ძალიან მიხარია, თითქმის უნაკლო ასლი დამიმზადაო. თან წერილიც მაჩვენა, გულის გამანვრილებელი სამუშაოთი გართულ გამძნერს გამოეგზავნა. ზრუნვითა და ენთუზიაზმით აღსავსე ბარათი იყო. ავტორს ატყობინებდა: ვერ წარმოიდგენთ, როგორ მალეღეებს თქვენი ნაწარმოები სითამამითა და სიახლით, ვერა და ვერ მიჯერებია გული მისი ფაქტურის ნატიფი დანანევრებით, რიტმის ცვალებადობით, დაინსტრუმენტების ტექნიკით, რისი ნყალობით ხმების ხშირად დიახაც რთული ქსოვილი მუდამ სავსებით გამჭვირვალეა, ხოლო უწინარეს ყოვლისა კი — კომპოზიტორის ფანტაზიით, რაც ძირითადი თემის მრავალმაგ ვარიაციებში ვლინდება: მაგალითად, მშვენიერი და თან ნახევრად კომიკური მუსიკის გამოყენებას, რომელიც დაკავშირებულია როზალინას ხატებასთან, ან უფრო ზუსტად, რომელიც მასზე უიმედოდ შეყვარებული ბირონის განცდებს გამოხატავს, ბოლო მოქმედების სამნაწილიანი ბურეს შუაგულში, ძველი ფრანგული საცეკვაო ფორმის ამ სახუმარო განახლებაში, შეიძლება მახვილგონივრული და ნატიფი ენოდოს, ამ სიტყვათა უზენაესი მნიშვნელობით, და მერმე უმატებდა: ეს ბურე დიახაც დამახასიათებელია საზოგადო-

ებრივი შეზღუდულობის გაცვეთილი და არქაული ელემენტისათვის, რომელიც ესოდენ მომხიბლავად, მაგრამ ამავე დროს გამომწვევად უპირისპირდება ნაწარმოების „მოდერნულ“, თავისუფალსა და ზეთავისუფალ, მემბოხე და ტონალურ კავშირთა აბუჩად ამგდებ ნაწილებს; ოღონდ ვშიშობ, რომ პარტიტურის შესაბამისი ადგილები, მათი უჩვეულობისა და მკრეხელური ურჩობის მიუხედავად, აღსაქმელად ალბათ უფრო მისანვდომნი აღმოჩნდებიან, ვიდრე სათნო და მკაცრი ადგილები. აქ ხშირად საქმე გვაქვს ნოტებთან მშრალ, უფრო აზრობრივ, ვიდრე მხატვრულ დამოკიდებულებასთან, მუსიკალურად ალბათ უკვე არაეფექტურ ბგერათა მოზაიკასთან, რომელიც უფრო კითხვითვის განკუთვნილი ჩანს, ვიდრე მოსმენისთვისო და ა. შ.

ჩვენ გაგვეცინა.

— მოსმენის გაგონებაც არ მინდა! — მითხრა ადრიანმა. — ჩემი აზრით, სრულიად საკმარისია რაიმეს ერთხელ მოსმენა; სახელდობრ, კომპოზიტორის მიერ, როცა თავის ნაწარმოებს თხზავს.

ცოტა ხნის შემდეგ კი დაუმატა:

— თითქოს ხალხი ოდესმე ისმენდეს იმას, რაც კომპოზიტორმა თხზვის პროცესში გაიგონა! მუსიკის თხზვა ნიშნავს — ანგელოზთა გუნდის გალობის შესრულება ცაჰფენშტოსერ-ორკესტრს დაავალო. ისე კი, მე რომ მკითხო, ანგელოზთა გუნდის საგალობლებში განსჯა მეტისმეტად დომინანტობს.

რაც შეეხება მე, არ ვეთანხმებოდი გრიპენკერლს ოპერის „არქაული“ და „მოდერნული“ ელემენტების მკვეთრად გამოიჯვანაში. ისინი ერთმანეთში გადადიან და ერთმანეთს მსჭვალავენ-მეთქი, — ვუთხარი ადრიანს და ისიც დამეთანხმა, მაგრამ მაინცდამაინც ხალისი არ გამოუჩენია უკვე გაკეთებულზე მსჯელობა გაემართა, ეტყობა, უკვე განვლილ საფეხურად მიაჩნდა და ამდენად აღარც აინტერესებდა. იმის გადაწყვეტა, თუ რა ექნა პარტიტურისათვის, სად გაეგზავნა ან ვისთვის შეეთავაზებინა, მე მომანდო. მისთვის არსებითი იყო ვენდელ კრეჩმარი გასცნობოდა და ლიუბეკში გაუგზავნა. ლიყიანი ისევე იქ მსახურობდა. მანაც ერთი წლის შემდეგ, როცა ომი უკვე დაწყებული იყო, მართლაც დადგა ამ ოპერის გერმანული ვარიანტი, რომლის მომზადებაში მეც მიმიძღვის ღვაწლი. ოღონდ ისეთი წარმატებით, რომ წარმოდგენის მსვლელობაში დამსწრე საზოგადოების ორმა მესამედმა დატოვა თეატრი, — ზუსტად ისევე, როგორც, მგონი, ექვსი წლის წინ მიუნჰენში დებიუსის „პელეასი და მელისანდის“ პრემიერაზე მოხდა. სპექტაკლი კიდევ ორჯერ გაიმეორეს და ადრიან ლევერკოუნის

ქმნილებამ მდინარე ტრავეს პირას მდებარე ჰანზის ქალაქის ფარგლებშიღმა ჯერჯერობით ვერ გააღწია. ადგილობრივი კრიტიკაც თითქმის ერთხმად შეუერთდა ოპერის რიგით მოყვარულთა აზრს და ამასხარავებდა „დიდი დანაკარგების მუსიკას“, რომლისთვისაც ბატონმა კრენმარმა თავი გამოიდოო. მხოლოდ „ლიუბეკის ბირჟის კურიერში“ წერდა მუსიკის ერთი მოხუცი, ან ალბათ უკვე კარგა ხნის გარდაცვლილი პროფესორი, გვარად იმერთალი, მცდარი განაჩენის შესახებ, რომელსაც დრო გამოასწორებსო, და ადრიანის ოპერას იკლიკანტურ ძველფრანკულ ყაიდაზე აგებული შესიტყვებებით მომავლის მქონე ნაწარმოებად აცხადებდა. ღრმა შინაარსის მუსიკაა, მის ავტორს, მართალია, გაქილიკება უყვარს, მაგრამ „ღვთივ განბრძობილი ადამიანი“ კი არისო. ამ გულის ამაჩუყებელმა გამოთქმამ, რომელიც მანამდე არც გამეგონა, არც წერილობით ფიქსირებული მენახა საღმე, და შემდგომაც აღარსად არ შემხვედრია, ჩემზე არაჩვეულებრივი შთაბეჭდილება მოახდინა, და ვინაიდან მე აქამდე არ დამვიწყებია ის მცოდნეობროდი, ეს გამოთქმა რომ გამოიყენა, ვფიქრობ, შთამომავლობაც პატივს მიაგებს, სწორედ ის შთამომავლობა, რომელსაც მოწმედ მოუხმობდა გონებაჩლუნგი კრიტიკოსებისა და უგერგილო თანამოკალმეთა წინააღმდეგ.

იმ დროისათვის, როცა ფრაიზინგში ჩამოვედი, ადრიანი გართული იყო რამდენიმე სიმღერისა და ვრცელი ვოკალური პიესის შეთხზვით — გერმანულებისა და უცხოურებისაც, უფრო ზუსტად კი — ინგლისურებისა. ჯერ ერთი, ის დაუბრუნდა უილიამ ბლეიკს და მუსიკაზე გადაიტანა ამ მისთვის ძვირფასი ავტორის ძალზე უცნაური ლექსი: „Silent, silent night“*, სულ ოთხი სტროფი, რომელთაგან თითოეულში სამი ერთმანეთთან გართიმული ტაეპი შედის, ხოლო ბოლო მათგანი, დიხანაც უცნაური, ასე უღერს:

But an honest joy
Does itself destroy
For a harlot coy**.

ამ საიდუმლოებით მოცულ საჩოთირო სტრიქონებს კომპოზიტორმა უსადავესი ჰარმონიულობა მიანიჭა, რამაც მთელი ნაწარმოების მუსი-

*“წყნარია, წყნარი ღამე” (ინგლ.).

**მაგრამ გულწრფელი სიბარული თავს იღუპავს ბილნი კახპის გულისთვის (ინგლ.).

კალური ენის ფონზე ისინი უფრო „არასწორი“ ნაფლეთ-ნაფლეთი, საშინელი გახადა, ვიდრე ის, რაც მეტად გაბედულ და დაძაბულ, მართლაც რომ შემზარავ სამხმოვანებაში აღიქვებოდა. „Silent, silent night“-ი ფორტეპიანოსა და ხმისათვის არის დანერჩილი. სამაგიეროდ კიტსის ორი ჰიმნი – რვასტროფიანი „Ode to a nightingale“^{***} და უფრო მოკლე „მელანქოლიას“ – ადრიანმა სიმებიანი კვარტეტის თანხლებით შეამკო. ოლონდეს „თანხლება“ ბევრად აჭარბებდა იმას, რაც აკომპანემენტის ცნებაში ჩვეულებრივ იგულისხმება. ვინაიდან არსებითად აქ საქმე გვაქვს ვარიაციის უაღრესად დახვეწილ ფორმასთან, რომელშიც ყველა ბგერა – ვოკალისაც და ოთხივე საკრავისაც – თემატურია. პარტიათა შორის აქ თავიდან ბოლომდე უმჭიდროესი კავშირი სუფევს. ასე რომ, მწელოდიასა და აკომპანემენტს შორის თანაფარდობის ადგილი აქ მტკიცედ უჭირავს მთავარი და დაქვემდებარებული ხმების მუდმივ მონაცვლეობას.

დიდებული პიესებია, მაგრამ დღემდე რიგიანად არც აჟღერებულან უცხოური ტექსტის გამოისობით. უნებლიეთ გამეღიმა, ისე გულში მომხვდა ის ღრმა გრძნობა, რომლითაც კომპოზიტორი „Ode to a nightingale“-ში იზიარებს სამხრეთის სიამეთაკენ კაეშნიან ლტოლვას, რასაც პოეტის სულში „immortal bird“-ის** გალობა აღძრავს, – მაშინ როდესაც ადრიანს იტალიაში ყოფნისას მაინცდამაინც დიდი ენთუზიაზმით არასოდეს არ გამოუხატავს მადლიერება მზიური მხარის სიკეთეებით მოგვრილი შვების გამო, რაც გავიწყებს „The weariness, the fever, and the fret – Here, where men sit and hear each other groan“^{***}. მუსიკის მხრივ ყველაზე ძვირფასი, ყველაზე მაღალმხატვრული უეჭველად ზმანების განქარვება-გაქრობაა ბოლოში:

Adieu! The fancy cannot cheat so well
 As she fame'd to do deceiving elf.
 Adieu! Adieu! Thy plaintive anthem fades.

 Flad is that music: „Do I wake or sleep?“^{****}

* „ოდა ბულბულს“ (ინგლ.).

** „უკვდავი ჩიტის“ (ინგლ.).

*** „ტკივილებს, სევდას, დაღლილობას, სულის კირთებას – აქ, სადაც ისმენ ათასნაირ უბედურებას“ (ინგლ.).

**** მშვიდობით! ჩემი მოტყუების არ შეგნევს ძალა, მაცდუნებელი ფანტაზია, ელფო ცბიერი, მშვიდობით იყავ, გეთხოვები, დადუმდა ჰიმნი.

.....
 შეწყდა მუსიკა, სიზმარია ნეტავ თუ ცხადი? (ინგლ.).

მე დიახაც მესმის, რომ მუსიკას ერთი სული ჰქონდა ამ ოდების პლასტიკური სილამაზე დაეგვირგვინებინა, ისე შეემკო, როგორც თაიგული ამკობს მშვენიერ ღარნაკს: იმიტომ კი არა, რომ უფრო სრულყოფილი გაეხადა, რამეთუ ისინი ისედაც სრულყოფილნი არიან, არამედ მათი ზვიადი, კაეშნით აღსავსე მომხიბლაობა გაეხაზა, უფრო რელიეფურად გამოეკვეთა, თითოეული წვრილმანის გამომსახველი ყოველი ძვირფასი წამი და უფრო მყოვარი გაეხადა, ვიდრე ჩუნ სიტყვასა აქვს მომადლებული, — კონცენტრირებული ხატოვანების ისეთი წამები, მაგალითად, როგორიცაა „მელანქოლიის“ მესამე სტროფში „sovrän shrine“⁴ ს* ხსენება, რომელიც რიდეაფარებულ კაეშანს თვით აღტყინების ტაძარშიც კი მოეძეება, ოღონდ ვერავინ ხედავს, გარდა იმისა, ვისი თამამი ენაც ახერხებს საათუთ სასაზე მხიარულების მტევანთა გასრესას, — ეს დიახაც ბრწყინვალეა და მუსიკისათვის სათქმელი აღარაფერი რჩება. ალბათ მარტო იმას თუ ღამობს, როგორმე არა ავნოს: რა და გამოძახილის დაყოვნებით გაჰყვეს თან. ხშირად გამიგონია: ლექსი ძალიან კარგი არ უნდა იყოს, რომ კარგი სიმღერა გამოვიდეს, მუსიკა თავის ამოცანას ბევრად უკეთ მაშინ ართმევს თავს, როცა საშუალო ხარისხის ქმნილების ოქროს წყალში ამოვლებაა საჭირო, მსახიობის ვირტუოზული ოსტატობა ყველაზე ბრწყინვალედ ცუდ პიესებში ჩანსო. მაგრამ ადრიაანის დამოკიდებულება ხელოვნებასთან ერთობ ამაყი და კრიტიკული იყო საიმი-სოდ, რომ თავისი ნათელი წყვიადისათვის მოეფინა. ნხოლოდ ჭეშმარიტად სულიერი ღირებულების მასალა აღუძრავდა შემოქმედებით ხალისს. ამიტომ ის გერმანული ლექსიც, რომელმაც როგორც მუსიკოსი გაიტაცა, უმაღლესი რანგისა გახლდათ, თუმცა კიტსის ღირიკის ინტელექტუალურ ღირსებებს კი მოკლებული იყო. ლიტერატურულ სინატიფეს აქ ანაზღაურებდა უფრო მონუმენტური სტრუქტურა აღმავალი, მჩქევარე პათოსი რელიგიურ-ჰიმნური ხოტბისა, რომელიც მონოდებებითა და სიდიადისა და სისათუთის აღწერით მუსიკას უფრო მეტსაც აღუთქვამდა, უფრო გულლიად ეგებებოდა, ვიდრე ხსენებულ ბრიტანულ ქმნილებათა ელინური კეთილშობილება.

ეს კლოპშტოკის ოდა „გაზაფხულის ზეიმი“ გახლდათ, მისი სახელგანთქმული სიმღერა „სათლზე ჩამოღვენთილ წვეთზე“, რომელზეც ლევერკიუნმა, მცირეოდენი შემოკლებებით, ბარიტონისა, ორგანისა და სიპებიანი ორკესტრისათვის პიესა შეთხზა. ამ ამაღლევებელ ნაწარმოებს პირველი გერმანული მსოფლიო ომის განმავლობაში და

⁴“წმინდა ლუსკუმის” (ინგლ.).

მის შემდგომაც რამდენიმე წელი გერმანიის მრავალ მუსიკალურ ცენტრსა და შვეიცარიაშიც ასრულებდნენ გამბედავი და ახალი მუსიკის მოყვარული ღირიჟორები, რასაც მსმენელთა მხოლოდ მცირე ნაწილი ხვდებოდა ალტაცებით; იყვნენ მსმენელთა შორის, რასაკვირველია, ფილისტერულად შეზღუდული სასტიკი მოწინააღმდეგენიც. მაგრამ ყოველივე ამან მაინც ხელი შეუწყო იმას, რომ ოციან წლებშივე ჩემი მეგობრის სახელმა ეზოტერიკული დიდების შარავანდელით შემოსვა რწყო. ოღონდ მქ ერთი რამ მინდა შევნიშნო: მართალია, დიდად ამაღელვა – თუმცა, კაცმა რომ თქვას, მოულოდნელი არც იყო – რელიგიური გრძნობის ამ აფეთქებით, რაც მით უფრო წმინდა და სათნო ჩანდა, რომ ავტორს უარი ეთქვა ზემოქმედების იაფფასიან საშუალებებზე (არფები არ ჟღერენ, თუმცა ამას ამკარად მოითხოვს ტექსტი; ბოლანი არ გამოიყენება უფლის მიერ მოვლენილი ჭექა-ქუხილის გამოსახატავად); მართალია, ძალზე ახლოს მიმქონდა გულთან ხოტბის სიმღერის ზოგ-ზოგი არცთუ გაცვეთილი ბგერათმხატვრობით მოპოვებული ლამაზი ადგილები ანდა სულაც დიდებული მიგნებანი, როგორცაა შემაურვებლად წელი ცურვა ლეგა ღრუბლებისა, ორგზის შეძახილი მეხისა: – „იელოვა!“ – როს „მინასთან გასწორებული ტყე ხრჩოლავს“ (მძლავრი ადგილი!), ანდა ესოდენ ახალი და სხივფენილი თანაჟღერა ორგანის მაღალი რეგისტრებისა სიმებიან საკრავებთან ბოლოში, როდესაც ღვთაება ცხადდება უკვე არა ავდარსა და ქარიშხალში, არამედ წყნარ შრიალში და მის ფერხთით: „მშვიდობის ცისარტყელას შეუკრავს კამარა“, – მე მაინც მაშინ ვერ გავიგე ამ ნაწარმოების ჭეშმარიტი სულიერი მნიშვნელობა, მისი იდუმალი შეჭირვება და ზრახვა, მისი შიში, რომელიც ხოტბაში შეწყალებას ეძიებს, მაშინ ხომ არ ვიცნობდი იმ საბუთს, ახლა მკითხველმაც რომ უწყის – ქვის დარბაზში „ორთა საუბრის“ ჩანანერს! მაშინ მხოლოდ პირობითად შეიძლებოდა ჩემი თავისთვის „a partner in your sorrow's mysteries“* მენოლებინა მის წინაშე, როგორც „ოდა მელანქოლიას“-შია ერთგან ნათქვამი, და ისიც მისი სულიერი მდგომარეობას გამო სიყრმიდანვე გამოყოლილი ქვეშეცნეული დარდი თუ მაძლევდა ამის უფლებას, თორემ საქმის ნამდვილი ვითარება სულაც არ ვიცოდი. მხოლოდ შემდგომ მივხვდი, რომ „გაზაფხულის ზეიმის“ მუსიკაზე გადატანა ღვთაებისათვის შენდობის ვედრება, მონანიების მანიშნებელი ზვარაკი გახლდათ, – *attritio cordis***

*„შენი იდუმალი სევდის მონანილე“ (ინგლ.).

**მონატრება გულისა (ლათ.).

– ნანარმოები, შექმნილი, როგორც მე ძრწოლით ვვარაუდობ, იმ მომხდურის მუქარის გამო, ნამდვილად ვარსებობო, რომ იჩემებდა.

მაგრამ მაშინ კიდევ სხვა თვალსაზრისითაც ვერ გავიგე კლოპშტოკის ლექსზე დაფუძნებული ნანარმოების პირადი და ინტელექტუალური მოტივებიც. მე უნდა იგი დამეკავშირებინა იმასთან, რაზეც იმხანად ვსაუბრობდით ხოლმე, ან უფრო ზუსტად, ის მესაუბრებოდა, – ძალზე ცოცხლად, დიდი გატაცებით მიაშობდა კვლევა-ძიებაზე, რაც არასოდეს არ აღმიძრავდა ცნობისმოყვარეობას და მუდამ უცხო იყო ჩემი მეცნიერული მრწამსისათვის: ადრიანი გაფაციცებით იმდიდრებდა ცოდნას ბუნებისა და კოსმოსის შესახებ, რითაც ძალიან მაგონებდა მამამისსა და „elementa-ზე დაკვირვებით“ მის აზარტულ გატაცებას.

„გაზაფხულის ზეიმის“ კომპოზიტორს სულაც არ შეეფერებოდა პოეტის სიტყვები: სულაც არ ვაპირებ „სამყართა ოკეანეში გადაშვებას“ და მხოლოდ და მხოლოდ „სათლზე ჩამოღვენილი წვეთის“ ირგვლივ, დედამინის ირგვლივ მინდა ვინანაო და მასზე ვილოცო. კომპოზიტორი გადაეშვა იმ განუზომელ რალაცაში, რომლის გაზომვასაც ასტროფიზიკა ლამობს და ისეთ განზომილებებს, რიცხვებსა და ოდენობათა წყებას იღებს, რომელთაც ადამიანის გონებასთან აღარა ესაქმებათ რა და თეორიულისა და აბსტრაქტულის წიაღში, გრძნობით სრულიად აღუქმელ სფეროში იკარგებიან, რომ არა ვთქვა, უაზრობის სფეროში-მეთქი. ოღონდ ისიც არ მინდა დავივიწყო, რომ მანაც „წვეთის“ ირგვლივ ნანაობით დაიწყო, დედამინის ირგვლივ, რომლისთვისაც ეს მეტსახელი არცთუ შეუფერებელია, რადგან მეტწილად წყლისგან, ზღვის წყლისგან შედგება, და რომელიც „აგრეთვე ყოვლად ძლიერი ღმერთისაგან იშვა“, ვითარცა ერთი ნაყარის ნაწილი, – რომ ადრიანიც ჯერ დედამინითა და მისი შვიდბექდიანი საიდუმლოებანით იყო გატაცებული. ზღვის სიღრმის სასწაულები, შლეგური ცხოვრება იქ, დაბლა, სადაც მზის სხივი ვერ ატანს, – აი, რა მიაშობო ადრიანმა უწინარეს ყოვლისა და თანაც ძალიან გასაოცარ, ძალიან უცნაურ ყაიდაზე, რაც ერთსა და იმავე დროს მართობდა და მაკრთობდა კიდევ, სახელდობრ, ისე მომბთხრობდა, თითქოს პირადად ყოფილიყო იქ და საკუთარი თვალთ ენახა ყოველივე.

რასაკვირველია, ეს ამბები მხოლოდ წიგნებში ჰქონდა წაკითხული. საჭირო ლიტერატურა ეშოვა და ამით ასაზრდოებდა თავის ფანტაზიას; მაგრამ იმის გამო, რომ მეტისმეტად იყო გატაცებული

და ძალიან ცხადად ხედავდა ამ სურათებს, თუ სხვა რამ ახირების გამო, თავი ისე ეჭირა, თითქოს თავად ჩაშვებულიყო ზღვის ფსკერზე, სახელდობრ, ბერმუდის კუნძულების რაიონში, რამდენიმე საზღვაო მილის მანძილზე წმინდა გიორგის კუნძულის აღმოსავლეთით, სადაც გამცილებელმა, რომელიც ამერიკელი სწავლული, გვარად კეიპერკეილზი იყო და რომელთანაც ღრმად ჩაშვების რეკორდი დავამყარე, ზღვის უფსკრულის ფანტასმაგორიები მაჩვენაო.

ძალზე ცოცხლად მახსოვს ჩვენი მაშინდელი საუბარი. ერთ-ერთ კვირაძალს იყო, მე რომ პფაიფერინგში ვატარებდი ხოლმე. მცირე ვახშმის შემდეგ, რომელიც კლემენტინე შვაიგემტილმა დიდ ოთახში გაგვიშალა, სადაც როიალი იდგა, მკაცრად ჩაცმულმა ქალიშვილმა ახლა უკვე აბატის პალატში ლუდით სავსე თითო ნახევარლიტრიანი თიხის კათხა მოგვართვა თავაზიანად და იქ ვისხედით, ლუდს შევექცეოდით და ცეხბაუერის რბილსა და კარგ სიგარებს ვაბოლებდით. ის საათი იყო, როცა ეზოს ნაგაზ ზუზოს, ესე იგი კაშპერლს, საბელიდან აუშვებდნენ ხოლმე და ისიც ლაღად დაბორიალობდა კარმიდამოს გარშემო.

მაშინ იყო, რომ ადრიაანმა იხალისა და ხუმრობით, მაგრამ მეტად თვალსაჩინოდ ამინერა, როგორ ჩასხდნენ ისა და მისტერი კეიპერკეილზი მრგვალ ბატისფერაში, რომლის შიდადიამეტრი მხოლოდ 1,20 მ შეადგენდა და დაახლოებით ისე იყო აღჭურვილი, როგორც სტრატოსტრატი, და თანმხლები გემის ჯალამბრის დახმარებით როგორ ჩაეშენენ ამ ადგილას საშინლად ღრმა ოკეანეში. ძალზე ამაღელვებელი რამ იყო, ყოველ შემთხვევაში ჩემთვის მაინც, თუ ჩემი მენტორისა თუ ჩიჩერონესათვის არა, ვისაც ამ თავგადასავლის განცდის უფლება გამოვთხოვე და ვინც ჩემთან შედარებით ბოლომდე გულგრილი დარჩა, რადგან პირველად როდი ეშვებოდა ოკეანეშიო. ორი ტონის სიმძიმე ღრუ სფეროში, გაგიხარია, ვინროდ ვიყავით, მაგრამ სამაგიეროდ ამას ანაზღაურებდა აპარატის სრული უსაფრთხოების შეგნება: აბსოლუტურად წყალმუჟვალს უსაშინელესი წნევისათვის შეიძლო გაეძლო, ჰქონდა ჟანგბადის საკმარისი მარაგი, ტელეფონი, მაღალი ძაბვის პროექტორები და კვარცის ილუმინატორები, საიდანაც ყოველმხრივ შეიძლებოდა დაკვირვებაო. სულ სამ საათზე ცოტათი მეტს დარჩენილან წყალქვეშ, მაგრამ დროს ეღვის სისწრაფით გაეველო, ისეთი სანახაობა გადაშლილიყო მათ თვალწინ. მათ იმ საუფლოში ჩაიხედეს, რომლის

მდუმარე, აბსურდული მიუსაფრობა გამართლებული ჩანდა ჩვენს სამყაროსთან თანდაყოლილი გათიშულობით, რამდენადმე ამითაც აიხსნებოდა.

თავიდანვე უცნაური, გულის გამთანგავი გრძნობა დაეუფლა ადრიანს, როცა დილის ცხრა საათზე ოთხასგირვანქიანი დაჯავშნული კარი მათ უკან დაიხურა, ბატისფერა გემიდან დაბლა დაუშვეს და მათ ზღვის სტიქიონში ჩაიყურყუმელავეს. ჯერ ბროლივით კამკამა და მზით განათებული წყლით იყვნენ გარემოცულნი. მაგრამ ჩვენს „სათლზე ჩამოღვენთილ წვეთში“ მზის შუქი ზევიდან ქვევით მხოლოდ 57 მეტრის სიღრმემდე თუ ატანს; შემდეგ კი ყველაფერი წყდება, ან უფრო სწორად: ახალი, დამოუკიდებელი და სრულიად უცხო საუფლო იწყება, რომელშიც ადრიანი და მისი გამცილებელი, ადრიანის მტკიცებით, თითქმის თოთხმეტჯერ უფრო ღრმად ჩაეშვნენ ზემოაღნიშნულ სიღრმეზე, დაახლოებით 2 500 ფუტ სიღრმეზე და იქ მთელი ნახევარი საათი დაყვეს, თან ერთი წამითაც არ ავიწყდებოდათ, რომ მათ საკანს 500 000 ტონის სიმძიმე აწვა.

თანდათანობით, რაც უფრო ღრმად ეშვებოდნენ, წყალი ნაცრისფერი გახდა, ანუ ბინდბუნდის ფერი შეიძინა: წყვდიადს აქ ჯერ კიდევ ერკინებოდა სინათლის სუსტი არილი, იოლად როდი ყრიდა ფარ-ხმალს, ცდილობდა რაც შეიძლებოდა ღრმად შეეღწია. განათება — ეს იყო მისი არსი და ნებელობა, ამიტომ ბოლომდე ლამობდა მიჰყოლოდა თავის მოწოდებას, მოთენთვისა და ჩამორჩენის ყოველ სტადიას ადრინდელზე ფერადოვნადაც კი ღებავდა. მოგზაურები კვარცის სარკმლებიდან ახლა ერთობ ძნელად ასაწერ მოშავო სილურჯეს ხედავდნენ, რაც ყველაზე უფრო მოწმენდილი ალპური ცის მწუხრით მოცულ ჰორიზონტს წააგავდა. მერე, ბევრად ადრე, ვიდრე სიღრმის მაჩვენებელზე ისარი 750-765 მეტრს აჩვენებდა, სრული სიშავე გამეფდა ირგვლივ, რომელსაც მზის სხივის ნატამალი არ შეხებოდა უკუნითი უკუნისამდე, და ეს ვარსკვლავთშორისი სივრცის ბნელეთი, მარად მდუმარე და ქალწულებრივი ღამე, ახლა იძულებული იყო მოეთმინა, ზესკნელიდან ჩამოტანილი არაკოსმოსური წარმოშობის მძლავრი ხელოვნური შუქით რომ მსჭვალავდნენ და ათვალერებდნენ.

ადრიანი ლაჰარაკობდა შემეცნებით მოგვრილ თრთოლაზე, რასაც უხილავის, ჯერ არნახულის, ყველას თვალისათვის მიჩქმალულისათვის ფარდის ახდა იწვევს. ეს კი, თავის მხრივ, ისეთ გრძნობას აღძრავს ადამიანში, თითქოს მოურიდებლობას იჩენდეს, თითქ-

ოს ცოდვასაც სჩადიოდეს და ამას მთლიანად ვერ ახშობს მეცნიერული პათოსიც: მიუხედავად იმისა, რომ მეცნიერებას ხომ უფლება უნდა ჰქონდეს ისე ღრმად შეაღწიოს, რამდენადაც მის მახვილგონიერებას აქვს მომადლებული. ერთობ აშკარა იყო, რომ ეს დაუფერებელი ექსცენტრიზმები, ხან შემზარავნი და ხანაც სასაცილონი, რომლებითაც აქ ბუნება და სიცოცხლე თავს ინონებდნენ, – ფორმები და სახეები, მინის ზედაპირზე გაერცვლებულ ფორმებსა და სახეებთან თითქმის არავითარი ნათესაობა რომ აღარ გააჩნდათ და თითქოს სხვა პლანეტას ეკუთვნოდნენ, მიჩქმალულობის, მარადიულ უკუნეთში გახვეულობის იმედის პროდუქტი გახლდათ. ადამიანის კოსმოსური ხომალდის დაჯდომა მარსზე, ანდა ნით უფრო მერკურის მარად მზის სხივებისათვის დაფარულ ნახევარსფეროზე, ამ „ახლობელ“ ციურ სხეულთა შესაძლო მკვიდრთა შორის ალბათ უფრო დიდ სენსაციას როდი გამოიწვევდა, ვიდრე კეიპერკეილზისეული ბატისფერის გამოჩენამ აღძრა აქ, დაბლა. ენა ვერ აღწერს იმ მდაბიურ ცნობისმოყვარეობას, რომლითაც ქვესკნელის უცნაური არსებანი სტუმართა ხომალდს შემოებვივნენ, ისევე როგორც ენით აღუწერელი იყო ორგანული სამყაროს იდუმალეებით მოცული ათასგვარი შლეგური სახეები, მტაცებლური დრუნჩები, ურცხვი სახეები, ტელესკოპური თვალები, ქალაღდისნავა თევზები, თვალებგადმოკარკლული ვერცხლნაჯახები, ლამის ორი მეტრი სიგრძის ძირფეხება და ნიჩაბალაყურებიანი მოლუსკები, გონდოლის სარკმელთა წინ რომ გაიელვებდნენ ხოლმე. თვით წყლის სტიქიონში უნდილად მოდრეიფე საცეცებიანი ლორწოვანი ურჩხულებიც, სიფონოფორები, პოლიპები და სკიფომედუზებიც აღელვებისგან თითქოს იკრუნჩხებოდნენ და კანკალებდნენ.

ისე კი, დიახაც შეიძლებოდა, რომ სიღრმის ამ „natives“* მათთან ჩაშვებული შუქმფინარი სტუმარი თავიანთ ვეება თანამომძმედ მიელოთ, ვინაიდან მათ დიდ უმრავლესობასაც შესწევდა იმის უნარი, რაც მომხდურს შეეძლო, სახელდობრ, თვითნათება. საკმარისი იყო მომხდურთ პროჟექტორი გამოერთოთ, ჰყვებოდა ადრიანი, რომ ახლა სულ სხვა გასაოცარი სანახაობა იშლებოდა მათ თვაღწინ. ზღვის წყვდიადში კარგა შორ მანძილამდე გამოკრთოდნენ აქეთიქით მსრბოლავი და მორიალე სინათლეები: თევზების უმრავლესობა დაჯილდოებული იყო თვითნათების უნარით, თანაც ზოგიერთი

*მკვიდრთ (ინგლ.).

მთელი სხეულით ფოსფორესცირებდა, დანარჩენებს კი ერთი მანათობელი ორგანო მაინც გააჩნდათ, ელექტროფარნით იყვნენ აღჭურვილნი, რომლითაც არა მხოლოდ გულდაგულ ინათებდნენ მარადიულ ღამეში გზას, არამედ ნადავლსაც იზიდავდნენ ანდა სატრფოს მოუხმობდნენ. ზოგიერთი დიდტანიანი მართლაც ისეთ ინტენსიურ თეთრ შუქს გამოასხივებდა, რომ დამკვირვებელთ თვალს სჭრიდა. მილაკისებური, წინგამოშვებული, ღეროებიანი თვალები ზოგიერთ მათგანს ალბათ იმისთვის სჭირდებოდა, რომ რაც შეიძლება შორიდან გაერჩია ოდნავი ჭიატითაც კი, საფრთხე ელოდა, თუ ნადავლი უახლოვდებოდა.

მთხრობელი ნანობდა, რომ სიღრმის ამ ნიღბათაგან თუნდაც რამდენიმეს, თუნდაც ყველაზე უცნაური ეგზემპლარის დაჭერისა და ზევით ამოყვანის გულში გავლებაც არ შეიძლებოდა. საამისოდ უწინარეს ყოვლისა საჭირო იქნებოდა საგანგებო მონყობილობა, რომელიც ამოყვანისას მათ სხეულებს იმ ჯოჯოხეთური ატმოსფერული წნევით უზრუნველყოფდა, რასაც მიჩვეულნი და შეგუებულნი იყვნენ, და რაც ამჟამად, — ამის გაფიქრებაც კი თავზარს სცემდათ, — გონდოლის კედლებს აწვა. ადგილობრივი მკვიდრნი მას ანონასწორებდნენ სხეულის ქსოვილებისა და ღრუ ადგილების ასეთივე მაღალი შინაგანი დაძაგრულობით. ასე რომ, თუ გარეთ წნევა დაეცემოდა, ისინი აუცილებლად დასკდებოდნენ. ზოგიერთ მათგანს, სამწუხაროდ, ასეთი ბედი ეწვია ზევიდან ჩამოშვებულ აპარატთან შეხვედრისთანავეც, როგორც, მაგალითად, წყლის ერთ განსაკუთრებით დიდსა და თითქმის კეთილშობილური მოყვანილობის ხორცისფერ ალქაჯს დაემართა, რომელსაც მოგზაურები ათვალიერებდნენ: ერთი კი ოდნავ შეეჯახა გონდოლას და მაშინვე ნაფლეთებად იქცა...

აი ამნაირ რალაცებს მიამბობდა ადრიანი, თან სიგარას აბოლებდა და თავი ისე ეჭირა, თითქოს მართლა თვითონ ჩაშვებულყოფილი იყოს და ყველაფერი საკუთარი თვალთაგანით ენახა, — ზუმრობის კილოზე მომითხრობდა პირზე ღიმომდგარი, მაგრამ ისე ჩაცვივებით, ისე აკვირებულად, რომ თუმცა მეც სიცილით ვუსმენდი და აღტაცებას გამოვხატავდი, ჩემდა უნებლიეთ გაკვირვებაც მენერა სახეზე. ადრიანი ალბათ იმიტომაც იღიმებოდა, რომ თავს იქცევდა და მექილიკებოდა, რადგან არ შეიძლებოდა არ ეგრძნო: გუნებაში ვენინალმდეგებოდი მის მონათხრობს; განა არ იცოდა, რომ არ მაინტერესებდა, ლამის მეჯავრებოდა კიდევ ბუნების კურიოზები და საი-

დუმლოებანი, საერთოდ „ბუნება“, და ენობრივ-ჰუმანიტარული დარგებისკენ ვიყავი მიდრეკილი?! აშკარა იყო: პირველ რიგში ამისი ცოდნა აიძულებდა მას იმ საღამოს ისევ და ისევ ამ საგანზე ჩამოეგდო საუბარი, სულ ახალ-ახალი ცნობები მოეწოდებინა ჩემთვის, ან, როგორც თვითონ ასალებდა მათ, შთაბეჭდილებანი გაეზიარებინა უსაშველოდ არაადამიანურის სფეროდან და მეც თან წარვეტაცე, რათა „სამყართა ოკეანეში გადავშვებულყოყავით“.

ამ თემაზე გადასვლა მანამდე მოყოლილმა ამბებმა გაუადვილა. ზღვის სიღრმეში მიმდინარე ჩვენთვის სრულიად უცხო, გროტესკული ცხოვრება, რაც ჩვენს პლანეტას თითქოს აღარც კი ეკუთვნოდა, პირველი ამოსავალი წერტილი გახლდათ. მეორე იყო კლოპშტოკის გამოთქმა „სათლზე ჩამოღვენთილი წვეთი“. შიგ ჩაქსოვილ შესაშურ თავმდაბლობას რომ დიახაც ამართლებდა მიგდებულ-მივარდნილი და ობიექტის სიპატარავის გამო ზოგადად განჭვრეტისას თითქმის შეუმჩნეველი მდებარეობა არა მხოლოდ დედამიწისა, არამედ მთელი ჩვენი პლანეტების სისტემისა, ანუ მზისა და მისი შვიდი თანამგზავრისა, ცის იკანკლედის მორევში, რომლის ნიაღვივ არის იგი ჩაძირული – „ჩვენს“ გალაქტიკაში, მილიონობით სხვები რომ აღარ ვახსენო. სიტყვა „ჩვენი“ იმ უსაშველო მოცულობას, რომლის მიმართაც არის აქ ნახმარი, ერთგვარ ინტიმურობას ანიჭებს, ლამის სასაკვილომდე ზრდის მშობლიურის ცნებას და თავბრუდამხვევად განავრცობს იმას, რომლის სადად, მაგრამ საიმედოდ დაბინავებულ მოქალაქეებად უნდა ჩვენი თავი მივიჩნიოთ. ამ მიჩქმალვაში, როგორც ჩანს, ბუნების სფერული ფორმებისაკენ მიდრეკილება ვლინდება – და ეს კი უკვე მესამე ამოსავალი პუნქტი გახლდათ ადრიანის კოსმოგრაფიულ მსჯელობათათვის, რაც ნაწილობრივ იმ უცნაური ამბებითაც აიხსნებოდა, მას რომ ღრუ სფეროში გადახდა, სახელდობრ, კეიპერკეილზისეულ ჩასაყვინთ გონდოლაში, სადაც, როგორც ამტკიცებდა, რამდენიმე საათი დაყო. მისი აზრით, ჩვენ ყველანი ოდითგანვე ღრუ სფეროში ვცხოვრობთ, რადგან გალაქტიკის სივრცეზე, რომლის ერთ-ერთ მივარდნილ კუნჭულში ჩვენ ერთი ციციქნა ადგილი გვაქვს დათმობილი, შემდეგი თქმის:

იგი დაახლოებით ისეთი მოყვანილობისაა, როგორიც ბრტყელი ჯიბის საათია, ესე იგი მრგვლოვანია და სისქით კი, გაცილებით ნაკლები სისქისაა, ვიდრე მოცულობისა, – არცთუ უკიდევანო, მაგრამ მართლაც უსაშველო სიდიდის მბრუნავი ბადრო, შემდგარი ვარს-

კვლავთა, თანავარსკვლავედთა გროვებისა და ელიფსური ტრაექტორიით ერთმანეთის ირგვლივ მბრუნავი ორმაგი ვარსკვლავების კონცენტრირებული მასებისაგან, აგრეთვე ნისლოვანებათაგან, მანათობელ ნისლოვანებათაგან, რგოლისებურ ნისლოვანებათაგან, ნისლოვან ვარსკვლავთაგან და ასე შემდეგ. ოლონდ ეს ბადრო ფორთოხლის განიკვეთის მაგვარ მრგვალსა და ბრტყელ წრეს წააგავს მხოლოდ, რადგან ირგვლივ უშქარ ვარსკვლავთა გარსშია მოქცეული, რომელზეც ისევ და ისევ ვერ იტყვი განუზომელიაო, მაგრამ კიდევ უფრო უსაშველოდ დიდი კია, — და მის სივრცეებში, უპირატესად ცარიელ სივრცეებში არსებული ობიექტები ისეთნაირად არიან განაწილებულნი, რომ მთლიანად აღებული მათი სტრუქტურა სფეროსა ქმნის. ამრიგად, ამ უაზროდ ვრცელი, ღრუ სფეროს შიგნით, სადღაც ძალიან ღრმად მის წიაღში, ბოგინებს სამყაროებით მოჭიპჭიპე ბადროს ერთი უმნიშვნელო შემადგენელი ნაწილი, მეორეხარისხოვანი, ძნელად მისაგნები და ალბათ ხსენებაც რომ არა ღირს, ისეთი უძრავი ვარსკვლავი, რომლის ირგვლივაც, სხვა უფრო დიდ და უფრო ჟიჟმატ თანამოძმეთა შორის დაცქრიალებენ დედამინა და მისი პანანკინტელა მთვარე. „მზე“ სულაც არ იმსახურებს სამყაროს დედისერთას ეპითეტს. ეს გაზობრივ მდგომარეობაში მყოფი სფერო, რომლის ზედაპირიც 6 000 გრადუსზეა გავარჯარებული, ხოლო დიამეტრი მხოლოდ და მხოლოდ ერთნახევარ მილიონ კილომეტრს შეადგენს, გალაქტიკის მაქსიმალური განიკვეთის ცენტრიდან იმავე მანძილითაა დაშორებული, რა სისქისაც თვითონ გალაქტიკაა, სახელდობრ, 30 000 სინათლის წელიწადით.

ჩემმა ზოგადმა განათლებამ შემაძლებინა გამოთქმისათვის „სინათლის წელიწადი“ რალაც მიახლოებითი ცნება დამეკავშირებინა. იგი, რალა თქმა უნდა, სივრცობრივი ცნება იყო და გამოთქმა მანძილს აღნიშნავდა, რომელსაც სინათლე მთელ მიწიერ წელიწადში გადის — მისთვის დამახასიათებელი სისწრაფით, რის შესახებაც მე მხოლოდ ბუნდოვანი წარმოდგენა მქონდა, ადრიანს კი ზუსტად ახსოვდა: 297 600 კილომეტრი წამშიო. მაშასადამე, სინათლის წელიწადი გამოდიოდა დაახლოებით 9,5 მილიონი კილომეტრი, ხოლო მზის სისტემის გადახრა გალაქტიკის ცენტრიდან ოცდაათათასჯერ მეტი რიცხვით გამოიხატებოდა, მაშინ როდესაც გალაქტიკის ღრუ სფეროს საერთო დიამეტრი 200 000 სინათლის წელიწადს შეადგენდა.

არა, განუზომელი არ იყო, მაგრამ ასეთი უსაშველო რიცხვებით იზომებოდა. აბა, რა უნდა თქვა კაცმა ადამიანის გონებაზე ამნაირი

შემოტევის შესახებ? უნდა ვაღიარო: მე, მაგალითად, ისე ვარ მონყობილი, რომ მხოლოდ ძალმიძს შეცბუნებულმა მხრები ავიჩირო ოდნავ გამქირდავადაც კი, როცა განუხორციელებელსა და ზებუმბერაზულზე ჩამოვარდება ხოლმე სიტყვა. სიდიადით ალტაცება, ერთუზიაზმი მის მიმართ, მუხლთ მოყრა მის წინაშე — ეს ყოველივე უეჭველად სულს ეამება, მაგრამ შესაძლებელია მხოლოდ მანამდე, ვიდრე ხელშესახებ — მიწიერ და ადამიანურ სამანებში ვრჩებით. პირამიდები დიადია, მონბლანი და წმინდა პეტრეს ტაძრის ინტერიერი დიადია, თუ მაინცდამაინც არ გვინდა, რომ ეს ეპითეტი საერთოდ უფრო ზნეობრივსა და სულიერ სამყაროს შემოვუნახოთ, გულისა და აზრის ამალღებულობას. კოსმოსის სტრუქტურულ მონაცემთა გაცნობა კი სსვა არა არის რა, თუ არა ჩვენი ინტელექტის გამაყრუებელი დაბომბვა რიცხვებით, რომლებსაც ათობით ნოლის შემცველი კუდები დასთრევთ კომეტებივით და თავი ისე მოაქვთ, თითქოს ზომიერებასა და გონებასთან კიდევ რამე ესაქმებოდეთ. ამ ურჩხულში არაფერია ისეთი, რაც ჩემნაირ კაცს რაიმე სასიკეთოს, მშვენიერსა და დიადა ჩააგონებდა, ამიტომ ვერასდროს ვერ გავიგებ იმათ განწყობილებას, ვინც მზად არის მარად „ოსანას“ გაიძახოდეს იმ ეგრეთ ნოდებულ „ღვთიურ ქმნილებათა“ მიმართ, რომლებიც ციურ მექანიკას განეკუთვნებიან. ანდა, საერთოდ, განა ღვთიურ ქმნილებად უნდა შევრაცხოთ სტრუქტურა, რომელზედაც ისევე შეიძლება ითქვას „მერედა, რა მოხდაო“, როგორც „ოსანა“? მე პირველი უფრო მართებულ პასუხად მეჩვენება, ათობით ნოლებზე, ერთიანს რომ აჰკიდებიან, ანდა თუნდაც შვიდიანი იყოს, ამას უკვე აღარავითარი მნიშვნელობა აღარა აქვს, და მე საიმისო საბაბს ვერ ვხედავ, რომ კვინტილიონის წინაშე ლოცვა-კურთხევით მუხლთ მოვიყარო.

დამახასიათებელია, რომ პათეტიკურად განწყობილი პოეტი კლოპშტოკიც ალტყინებული თაყვანისცემის გამოსახატავად და აღსაძვრელადაც მიწიერი სამანებით, „სათლზე ჩამოღვენთილი წვეთით“ შემოიფარგლა და კვინტილიონებს თავი აარიდა. მისი ჰიმნის კომპოზიტორი, ჩემი მეგობარი ადრიანი, როგორც უკვე მოგახსენეთ, მათკენ აღმაფრენდა, მაგრამ სამართლიანად არ მოვიქცეოდი, თუ ისეთ შთაბეჭდილებას შევუქმნიდი მკითხველს, თითქოს ამას დიდი სიფიცხითა და ეგზალტაციით სჩადიოდა. ამ შლეგურ მონაცემებთან მის დამოკიდებულებაში სიცივე და დაუდევრობა იგრძნობოდა, თან თითქოს ერთობოდა კიდევ, რადგან თუ მე მაინცდამაინც არ ვფარავდი ჩემს უარყოფით გუნება-განწყობილებას, მას თავი ისე მოჰქონდა,

თითქოს რაღაც განსაკუთრებით გაშინაურებული იყო ამ ამბებთან, ან უფრო სწორად რომ ვთქვა, კვლავ ცდილობდა ილუზია შეექმნა ჩემთვის, თითქოს ცოდნა წიგნების კითხვით კი არ შეეძინა, არამედ პირადი გამოცდილების შედეგად მიეღო, ვილაცას გაეზიარებინა, ეს-ნავლებინა, ეჩვენებინა მისთვის, ვთქვათ, ზემოხსენებული მენტორი პროფესორი კეიპერკეილზი დახმარებოდა, რომელიც – ასე გამოდიოდა – მასთან ერთად მარტო ოკეანის ბნელეთში კი არ ჩამვებულებოდა, არამედ ვარსკვლავეთშიც გაფრენილიყო... ადრიანი საქმეს ისე სახავედა, თითქოს სწორედ მისგან, და თანაც მეტ-ნაკლებად თვალსაჩინოდ, შეიტყო, რომ ფიზიკური სამყაროს – ამ სიტყვის ფართო, თვით უშორეს სივრცეთა შემცველი მნიშვნელობით – არც სასრულადი შეიძლება ეწოდოს და არც უსასრულო, რადგან ორივე გამოთქმა, ასე თუ ისე, სტატიკურ რაღაცას აღნიშნავს, მაშინ როდესაც იგი ჭეშმარიტად დინამიკურზე დინამიკური ბუნებისაა და კოსმოსი, ყოველ შემთხვევაში, დიდი ხანია, რაც – უფრო ზუსტად კი 1900 მილიონი წელიწადია, რაც გამალებული განვრცობის ანუ აფეთქების სტადიაშია. ამას ეჭვმიუტანლად მოწმობს იმ სინათლის გადახრა სპექტრის წითელი ბოლოსაკენ, რაც ჩვენამდე გარკვეული, ჩვენთვის ცნობილი მანძილებით დაშორებული გალაქტიკიდან აღწევს; სპექტრის წითელი ნაწილი მით უფრო ინტენსიურია, რაც უფრო დაშორებულნი არიან ჩვენგან ეს ნისლოვანებანი. ისინი აშკარად ჩვენგან იქით მიექანებიან, ამასთან ყველაზე შორეული, დედამიწას 150 მილიონი სინათლის წელიწადით დაცილებული კომპლექსები ისეთი სისწრაფით მიქრიან, როგორიც რადიოაქტიურ ნივთიერებათა ალფა-ნაწილაკებს ახასიათებთ და წამში 25 000 კილომეტრს უდრის. ეს ისეთი სისწრაფეა, რომელთანაც შედარებით აფეთქებული ხელყუმბარის ნამსხვრევთა სიჩქარე კუს სისწრაფესა ჰგავს. მაშასადამე, რადგან ყველა გალაქტიკური სისტემა თავბრუდამხვევი სისწრაფით გაურბის ერთმანეთს, სიტყვა „აფეთქება“ თუ გამოდგება, ანდა შეიძლება ისიც აღარ კმაროდეს სამყაროს მოდელის მდგომარეობისა და მისი განვრცობილობის ხასიათის აღსანიშნავად. შეიძლება ოდესღაც სტატიკურიც იყო და მისი დიამეტრი უბრალოდ ერთ მილიარდ სინათლის წელიწადს უდრიდა. ამჟამინდელი ვითარების მიხედვით კი მხოლოდ განვრცობაზე შეიძლებოდა ლაპარაკი, მაგრამ არა რაიმე მდგრად განვრცობილობაზე, „სასრულადსა“ თუ „უსასრულოზე“. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, რომ კეიპერკეილზს ადრიანის კითხვებზე დანამდვილებით მარტო ის შეეძლო ეპასუხნა, რომ საერთოდ არსებულ გალაქტიკურ წარმონაქმ-

ნთა რაოდენობა დაახლოებით ას მილიარდს შეადგენდა და მათგან მარტოოდენ მცირედი ნაწილი, სულ რაღაც ერთი მილიონი იყო თანადროულ ტელესკოპთათვის მისაწვდომი.

ასე სიგარის წვეთია და ღიმილით დაამთავრა მოყოლა ადრინამა. მე მაშინვე მის სინდისზე შევაგდე საქმე და მოვითხოვე ელიარებინა, რომ ეს მოუსავლეთში დანთქმული საფრთხობელა ციფრები ღვთის სიღიადის გრძნობას როდი აღუძრავენ ადამიანს და ზნეობრივად ვერ ამაღლებენ. ეგ ყველაფერი ეშმაკის ინილობინილოს უფრო მაგონებს-მეთქი.

— ალიარე, — ვუთხარი მას, — რომ ფიზიკური სამყაროს თავზარ-დამცემი სიდიდეები რელიგიური თვალსაზრისით პროდუქტულნი სულ არ არიან. რა მოკრძალებასა და თავყვანისცემიდან გამომდინარე სულის ზნეობრივი აღზრდა შეიძლება გამოიწვიოს ისეთი უსაშველო ჩმახის წარმოდგენამ, როგორც აფეთქებული კოსმოსია? აბსოლუტურად არავითარი. სათნობა, მოკრძალება, სულიერი სინმინდე, რელიგიურობა შესაძლებელია მხოლოდ ადამიანის მიმართ და ადამიანის მეშვეობით, მხოლოდ მინიერისა და ადამიანურის ფარგლებში. მათი ნაყოფი უნდა იყოს, შეიძლება იყოს და იქნება კიდევ რელიგიურად შეფერილი ჰუმანიზმი, განპირობებული ადამიანის ტრანსცენდენტური საიდუმლოების შეგრძნებით, იმის ზვიადი შეგნებით, რომ იგი მარტოოდენ ბიოლოგიური არსება კი არ არის, არამედ თავისი არსების უმნიშვნელოვანესი ნაწილით სულის საუფლოს ეკუთვნის, რომ აბსოლუტის თანაზიარია, ჭეშმარიტების, თავისუფლების, სამართლიანობის იდეა გააჩნია, რომ ევალება სრულყოფილებას მიეღვოდეს. ადამიანის ამ პათოსში, მოვალეობაში, მოკრძალებაში საკუთარი თავის წინაშე ღმერთი გამოსჭვივის, ასობით მილიარდ გალაქტიკაში კი მას ვერა ვპოვებ.

— მაშ, შენ შესაქმის წინააღმდეგი ყოფილხარ, — მომიგო მან, — და ფიზიკური ბუნების წინააღმდეგი, რომლისგანაც იშვა ადამიანი და მასთან ერთად მისი სულიერი საწყისიც, რაც ალბათ კოსმოსის სხვა ადგილებშიც მოიძეება. ფიზიკური შესაქმე, ეს შენთვის ურჩხულივით საზარელი მსოფლიო ნაგებობა უეჭველად ზნეობრივი საწყისის წანამძღვარია, ურომლისოდაც ზნეობა საფუძველს მოკლებული იქნებოდა, და ვინ იცის, შეიძლება სიკეთისათვის ბოროტების ყვავილი უნდა გვენოდებინა — *une fleur du mal*. შენი *homo Dei** ხომ ბოლოს და ბოლოს — ანდა, ბოდიშს ვიხდი, ბოლოს და ბოლოს კი არა, არამედ უნი-

*ღვთის მიერ შექმნილი ადამიანი (ლათ.).

ნარეს ყოვლისა — საზარელი ბუნების ნაშუსრევია, პოტენციური განსულიერების მცირეოდენი, არცთუ გულუხვად მირწყული მარაგით. ისე კი, თავშესაქცევი ამბავია იმის თვალყურის დევნება, თუ რა ძალიან იხრება შენი ჰუმანიზმი და ალბათ საერთოდ ყოველგვარი ჰუმანიზმიც შუასაუკუნეობრივი გეოცენტრული წარმოდგენებისაკენ — შინაგანი აუცილებლობის გამო, რაღა თქმა უნდა. როგორც წესი, ჰუმანიზმი მეცნიერების მეგობრად მიაჩნიათ, მაგრამ ეს ასე არ შეიძლება იყოს, რადგან შეუძლებელია მეცნიერების ობიექტები ეშმაკის კერძად შერაცხოთ და თავად მეცნიერება კი ეშმაკეულად არ დასახოთ. ეს შუა საუკუნეებია. შუა საუკუნეები გეოცენტრული და ანთროპოცენტრული იყო. ეკლესია, რომელშიც იგი განაგრძობდა არსებობას, ასტრონომიულ აღმოჩენათა წინააღმდეგ ამხედრდა ჰუმანი-სტური გაგებით, შეაჩვენა და აკრძალა ისინი ადამიანის სადიდებლად, უმეცრებას იცავდა ჰუმანურობის სახელით. ხედავ, შენი ჰუმანიზმი წმინდა წყლის შუა საუკუნეებია. მისი საქმეა კაიზერსაშერნისეული ეკლესიის სამრეკლოდან შემუშავებული კოსმოლოგია, რომელსაც ასტროლოგიისაკენ, ცდომილთა და ვარსკვლავთა განლაგებაზე დაკვირვებისაკენ, ბედნიერებისა თუ ავის მომასწავებელი ნიშნებით მარჩიელობისაკენ მივყავართ, რაც ბუნებრივია და მართებული იმდენად, რამდენადაც ამკარაა შინაგანი ურთიერთდამოკიდებულება კოსმოსის ერთი კუნჭულის ისე მჭიდროდ დაკავშირებულ სხეულთა ჯგუფისა, როგორიცაა ჩვენი მზის სისტემა, მათი ინტიმურ-მეზობლური კონტაქტი ცხადზე ცხადია.

— ასტროლოგიურ კონიუნქტურაზე ერთხელ ვისაუბრეთ, — ჩავურთე მე, — კარგა ხანია მას შემდეგ, „ძროხის ვარცლის“ ირგვლივ ვსერნობდით და მუსიკაზე მასლაათით დავამთავრეთ. მაშინ ვარსკვლავთმრიცხველობას იცავდი.

— ახლაც ვიცავ, — მომიგო მან, — ასტროლოგიურმა ეპოქამ ძალიან ბევრი რამ იცოდა. მან იცოდა ან გუმანით გრძნობდა ისეთ რამეებს, რაც დღეს კვლავ იპყრობს არაჩვეულებრივად გაფართოებული მეცნიერების ყურადღებას. იმას, რომ სნეულებანი, სახადები, ეპიდემიები ციურ მნათობთა განლაგებაზე არიან დამოკიდებულნი, მაშინ ალღოთი ხვდებოდნენ. ახლა კი საქმე იქამდე მივიდა, რომ კამათობენ, დვრიტები, ბაქტერიები, ორგანიზმები, რომლებიც, ვთქვათ, გრიპის ეპიდემიებს ინვევენ დედამინაზე, ხომ არ არიან ჩვენთან სხვა პლანეტებიდან, მარსიდან, იუპიტერიდან ან ვენერადან მოხვედრილნიო.

გადამდები სნეულებანი, მორაული საღმობანი, როგორცაა შავი ჭირი ანუ შავი სიკვდილი, ალბათ პლანეტაზე არ წარმოშობილან, ვინაიდან თითქმის დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ თავად სიცოცხლეც არ წარმოშობილა აქ და გარედან იქნა შემოტანილი. ძალიან სანდო წყაროდან ვიცი, რომ სიცოცხლე მეზობელი პლანეტებიდან მომდინარეობს, რომელთაც საამისოდ შეუდარებლად ხელსაყრელი პირობები აქვთ, მეთანისა და ამონიაკის უხვად შემცველ ატმოსფეროში არიან გახვეულნი. მათგან, თუ ერთ-ერთი მათგანისაგან, — არჩევანი შენთვის მომინდვია, — მოხვდა ჩვენს მანამდე სტერილურ და უმანკო პლანეტაზე სიცოცხლე, კოსმოსურ ჭურვთა მეშვეობით ანდა უბრალოდ სპივური წნევით წამოღებული. შენი ჰუმანისტური homo Dei — სიცოცხლის გვირგვინი, მთელი თავისი სულიერი მოთხოვნილებებით, სხვა არა არის რა, თუ არა პროდუქტი რომელიდაც მეზობელი მნათობის ნაყოფიერი ჭაობის გაზისა...

— ბოროტების ყვავილი, — გავიმეორე მე თავის ქნევით.

— და რომელიც მეტწილად ბოროტების წიაღში ყვავის, — დაუმატა მან.

ასე მექილიკებოდა ჩემი სიკეთის მაძიებელი მსოფლმხედველობის გამო და თან ჩემს გამოფჯავრებას იმიტაც ცდილობდა, რომ მთელი საუბრის განმავლობაში უცნაური დაჟინებითა და აჩემებით თავი ისე ეჭირა, თითქოს ცისა და დედამიწის გარემოებათა შესახებ ის რაღაც განსაკუთრებული გზით, პირადად და უშუალოდ იყო ინფორმირებული. მე არ ვიცოდი, მაგრამ კი უნდა მივხვედრილიყავი, რომ ახალი ჩანაფიქრი ჰქონდა მხედველობაში, რითაც მაშინ გატაცებული იყო, სახელდობრ, კოსმოსური მუსიკის შექმნის იდეით, და რაზედაც ახალი სიმღერების შეთხზვის შემდგომ უკვე მუშაობდა. ეს გახლდათ გასაოცარი ერთნაწილიანი სიმფონია ანუ. ფანტაზია ორკესტრისათვის, რომელიც 1913 წლის მინურულსა და 1914 წლის დასაწყისში დაწერა. სახელად მას „სამყაროს სასწაულები“ უწოდა, წინააღმდეგ ჩემი სურვილისა და წინადადებისა. მე ამ სახელწოდების თავისუფლება მაკრთობდა და ვურჩევდი „Symphonia cosmologica“* დაერქმია. მაგრამ ადრიანმა სიცილით ისევ ის ვითომდა პათეტიკური, ირონიული სათაური დატოვა, რომელიც — ესეც უნდა ითქვას — საქმეში ჩახედულ კაცს უკეთ განაწყობს უსაშველო მსოფლიო ნაგებობის დასურათხატე-

*„კოსმოლოგიური სიმფონია“ (ლათ.).

ბის მოსასმენად, რაც თავიდან ბოლომდე გამსჭვალული იყო კურიოზული გროტესკულობით, ოღონდ ხშირად კი გადაიზრდებოდა ხოლმე მკაცრსა და საზეიმო, მათემატიკურად განონანსწორებულ, ცერემონიულ გროტესკულობაში. „გაზაფხულის ზეიმის“ სულთან, – ისიც ხომ გარკვეული თვალსაზრისით მოსამზადებელი საფეხური იყო „სამყაროს სასწაულებისათვის“, – მაშასადამე, ქედის მოხრასა და განდიდების სულისკვეთებასთან ამ მუსიკას საერთო არაფერი არ გააჩნია და მუსიკალური ხელნერის ზოგიერთი ინდივიდუალური თავისებურება იმავე ავტორზე რომ არ მიუთითებდნენ, ალბათ ვერც დავიჯერებდით, რომ ორივე ნაწარმოები ერთი და იმავე ადამიანის სულმა შვა. სამყაროს პორტრეტის ამ დაახლოებით ოცდაათწუთიანი საორკესტრო ნაწარმოების დედააზრი დაცინვაა, დაცინვა, რომელიც ვაი, რომ ძალზე თვალსაჩინოდ ადასტურებს ჩემს მიერ აღრიანთან საუბარში გამოთქმულ აზრს: ადამიანის გარეთ არსებული უსაზომო ამბების კირკიტი სათნობას ვერ ასაზრდოებს-მეთქი. ლუციფერი-სეულმა სარკასტულმა სიცილმა, პაროდული-კვიმატურმა ხოტბამ, რაც ეტყობა, მარტო მსოფლიო ნაგებობის საშინელ მექანიზმს კი არ შეეხება, არამედ მის მედიუმსაც, რომელშიც იგი იხატება, უფრო მეტიც, მეორდება, მუსიკაში, ბგერათა კოსმოსში, არცთუ მცირედი წვლილი შეიტანა იმაში, რომ ჩემი მეგობრის ხელოვნებისათვის ვირტუოზული ანტიმხატვრობა, მკრეხელობა, დანაშაულებრივი ნაპილიზმი ესაყვედურებინათ. მაგრამ კმარა ამის შესახებ. შემდეგი ორი თავი მინდა იმ შთაბეჭდილებათა ნაწილს მივუძღვნა, რომლებიც აღრიანთან ერთად მეც მივიღე მიუნჰენის საზოგადოებაში 1913-14 წლების მიჯნაზე, ანუ ორი ეპოქის გასაყარზე, ომის ატეხის წინ უკანასკნელი საყველიერო კარნავალის განმავლობაში.

XXVIII

მე უკვე მოგახსენეთ, რომ შვაიგემტილების მდგმური მთლად კი არ ჩამარხულა კაშპერლ-ზუზოს მიერ დაცულ ყოფილი მონასტრის მარტოობაში, არამედ, მართალია, სპორადული და მწირი, მაგრამ მაინც კავშირ-ურთიერთობა ჰქონდა ქალაქთან. ოღონდ, როგორც ჩანდა, უხაროდა და თავს ინუგეშებდა იმით, რომ იქიდან აღრე ნამ-

ოსვლის მუდმივი და ყველასათვის ცნობილი საბაბი ჰქონდა, ღამის თერთმეტი საათის მატარებელი. ჩვენ რამბერგ შტრასეზე ვხვდებოდით ერთმანეთს, როდესთან, რომლის წრესთან – კნოტერიჰებსა, დოქტორ კრანიჰსა, ცინკსა და შპენგლერთან, აგრეთვე მევიოლინე და სტვენის ოსტატ შვერტფეგერთან – ვმეგობრობდი; შემდეგ: შლაგინჰაუფენებთანაც შევხვედრივარ ზოგჯერ, შილდენაჰის გამომცემელ რადბრუხთანაც ფიურსტენშტრასეზე და ქალაღდის მწარმოებელი ბულინგერის ელეგანტურ ბელეტაჟშიც (სხვათა შორის, ეს ბატონი რაინის მხრიდან გახლდათ და ისიც რიუდიგერმა გაგვაცნო).

როდესთან და შლაგინჰაუფენისეულ სვეტიებიან სასტუმრო ოთახშიც სიამოვნებით ისმენდენ ჩემს დაკვრას *viola d'amore*-ზე, რაც ასე იყო თუ ისე, რალაც წვლილი გახლდათ საზოგადოების შექცევაში ისეთი სადა და არცთუ ენაჭარტალა სწავლული კაცისაგან, როგორც მე გახლდით. რამბერგ შტრასეზე ამას მთხოვდენ ხოლმე ასთმიანი დოქტორი კრანიჰი და ბაპტისტი შპენგლერი: პირველი – ნუმიზმატიკური და ანტიკვარული ინტერესებიდან გამომდინარე (უყვარდა ხოლმე ჩემთან ვიოლინოს ოჯახის საკრავთა ისტორიულ ფორმათა შესახებ გაბაასება, თან სიტყვებს მუდამ მკაფიოდ წარმოთქვამდა და აზრებს ნათლად აყალიბებდა), მეორე კი საერთოდ ყოველივე უჩვეულოსა და ორიგინალურის სიყვარულის გამო. მაგრამ მე ამ სახლში ანგარიში უნდა გამენია იმისათვის, რომ კონრად კნოტერიჰს ერთი სული ჰქონდა ახლა მისთვისაც მოესმინათ; როგორ დაუკრავდა ცხვირში სრუტუნით ვიოლონჩელზე, – და იმისთვისაც, რომ მცირერიცხოვანი დამსწრე საზოგადოება, სრულიად სამართლიანად, რალა თქმა უნდა, უპირატესობას შვერტფეგერის ვირტუოზულ დაკვრას ანიჭებდა. მით უფრო ესალბუნებოდა ჩემს პატივმოყვარეობას (როდი ვმალავ), როცა უფრო ხალხმრავალსა და პრივილეგირებულ წრეში, რომლის შემოკრებასაც ზოგჯერ ახერხებდა პატივმოყვარე ფრაუ შლაგინჰაუფენი, დაბადებით ფონ პლაუზიგი, თავისი შვაბურ კილოზე მოლაპარაკე და ძალზე სმენადაქვეითებული მეუღლის ირგვლივ, ჩემი, ასე თუ ისე, მაინც დილექტანტური შესრულება მხურვალე გამობმაურებას პოვებდა და მეც იძულებული ვიყავ თითქმის ყოველთვის თან მქონოდა საკრავი ბინერშტრასეზე, რათა დამსწრენი მეჩვიდმეტე საუკუნის რომელიმე ჩაკონით ან სარაბანდით დამეტკობ ან კიდევ მეთვრამეტე საუკუნის ერთ-ერთი „*Plaisir d'amour*“-ით, ზოგჯერ კიდევ ვუკრავდი არიოსტის,

ჰენდელის მეგობრის, ერთ-ერთ სონატას ანდა ჰაიდნის მიერ *viola di bordone*-სათვის დაწერილ, მაგრამ *viola d'amour*-ისთვისაც მისანვლომ პიესათაგანს.

დაკვრას მართო ჟანეტ შოირლი კი არ მთხოვდა ხოლმე, არამედ მთავარი ინტენდანტიც, მისი აღმატებულება ფონ რიდეზელიც. ოლონდ ის ძველებურ საკრავსა და ძველებურ მუსიკას კრანიჰივით ანტიკვარულ-მეცნიერული მიდრეკილების გამო კი არ ქომაგობდა, არამედ წმინდა წყლის კონსერვატიზმის გამო. ამაში, რალა თქმა უნდა, დიდი განსხვავებაა. ეს დიდგვაროვანი კაცი, კავალერიის ყოფილი ოფიცერი, რომელიც მის ამჟამინდელ თანამდებობაზე მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო დაენიშნათ, რომ ცოტაოდენს უკრავდა პიანინოზე (კაცს ასე გგონია, თითქოს მრავალი საუკუნე გასულიყოს იმ დროიდან, როცა მთავარ ინტენდანტად შეიძლებოდა დაენიშნეთ, თუკი აზნაური იყავი და თან ცოტაოდენს უკრავდი კიდეც პიანინოზე!), – ერთი სიტყვით, ბარონი რიდეზელი ყოველივე ძველსა და ისტორიულში ყოველივე ახლებურისა და დამანგრეველის წინააღმდეგ აღმართულ ციხე-სიმაგრეს ხედავდა, სიახლის წინააღმდეგ გაჩაღებულ თავისებურ არისტოკრატიულ პოლემიკას ხედავდა და მას ამ თვალსაზრისით უჭერდა მხარს, ისე რომ სინამდვილეში ძველისა და ტრადიციულისა არაფერი არ გაეგებოდა. ვინაიდან, თუ ახლისა და ნორჩის გაგება ისე არ შეიძლება, ჯერ ტრადიციულთან უნდა იყო გაშიანურებული, მაშინ სიძველის სიყვარულიც ყალბი და უნაყოფო იქნება, თუკი იმ სიახლეს შევაქცევთ ზურგს, რომელიც ისტორიული აუცილებლობის გამო მისგან აღმოცენდა. ასე, მაგალითად, რიდეზელი დიდად აფასებდა და ქომაგობდა ბალეტს, აქაოდა, „გრაციოზულიაო“. სიტყვა „გრაციოზული“ მისთვის კონსერვატიულ-პოლემიკური საკლასიფიკაციო იარლიყი იყო, მიმართული ყოველივე თანადროულისა და მეამბოხურის წინააღმდეგ. რუსულ-ფრანგული ბალეტის მხატვრულ ტრადიციათა სამყაროზე, რომლის წარმომადგენლებიც ჩაიკოვსკი, რაველი და სტრავინსკი არიან, მწყრალად განლდათ და ძალზე შორს იყო ისეთი აზრისაგან, როგორც აქ ბოლოს დასახელებულმა რუსმა მუსიკოსმა შემდგომ გამოთქვა კლასიკური ბალეტის შესახებ: წინდახედული გეგმიურობის ტრიუმფია მოფარფატი გრძნობაზე და წესრიგისა – შემთხვევითობაზეო, ჰარმონიულად გააზრებული მოქმედების ნიმუშია და ხელოვნების პარადიგმაო. ბარონ რიდეზელს კი უფრო სხვა რამეები წარმოუდგებოდა ხოლმე თვალწინ ბალეტის ხსენებაზე:

ბალერინების ჰაეროვანი წელქვედები, ფაჩოჩები, თავს ზემოთ „გრა-
ციოზულად“ მოხრილი მკლავები და მათი მჭვრეტელნი: ყოველივე
„იდეალურის“ ქომაგი და მახინჯისა და პრობლემურის უარყოფელი
კარისკაცები — ლოყებში, ხოლო ალაგმული ბურჟუები — პარტერში.

შლაგინჰაუფენებთან, სხვათა შორის, უხვად ასრულებდნენ ვაგ-
ნერსაც, ვინაიდან აქ ხშირად მოდიოდნენ სტუმრად: დრამატული სო-
პრანო ტანია ორლანდა, წარმოსადეგი ქალი, და გამირული ტენორი
ჰარალდ ჩუიელუნდი, უკვე სიმსუქნემორეული, პენსნიანი კაცი,
მჭექარე ხმის პატრონი. მაგრამ ვაგნერის შემოქმედება, ურომლისო-
დაც მისთვის, ბარონისთვის, მინდობილი კარის თეატრიც ვერ ია-
რსებებდა, ხმაურთანობისა და მგზნებარების მიუხედავად, ბატონ
ფონ რიდენელს მეტ-ნაკლებად არისტოკრატიულ-„გრაციოზულის“
სფეროში ჰქონდა შეტანილი და აფასებდა, თან მით უფრო ხალისილ
სჩადიოდა ამას, რომ უკვე უფრო ახალი მუსიკაც მოიპოვებოდა,
უფრო მერმინდელი, რომლის უარყოფა და მის მიმართ ვაგნერის
კონსერვატორად გამოყვანაც შეიძლებოდა. ამიტომ მისი აღმატებ-
ულება მომღერლებს ზოგჯერ თვითონვე უწევდა აკომპანემენტს
როიალზე, რითაც ისინიც დიდად ნასიამოვნები ჩანდნენ, თუმცა ვაი-
პიანისტი პარტიტურას ძლივს ართმევდა თავს და არაერთხელ შეუ-
ბღალავს მათი ვოკალური ეფექტები. მე სულაც არ მეჭაბნიკებოდა,
როცა კამერული მომღერალი ჩუიელუნდი, მახვილის მჭედავი
ზიგფრიდის გაუთავებელ და საკმაოდ უღიმღამო სიმღერებს ისე
დასჭექდა ხოლმე, რომ სასტუმროს ყველაზე მგრძობიარე სამშვე-
ნისებს, ლარნაკებსა და სასამისებს ზრიალი და წკრიალი გაუდიოდათ.
მაგრამ ვალიარებ, რომ ისეთი ჰეროიკული ქალის ხმა, როგორც მა-
შინ ორლანდას ჰქონდა, ნამდვილად მხიბლავდა. წარმოსადეგი ქალი,
მძლავრი ვოკალი; დრამატულ აქცენტთა დასამაში განაფულობა
უზენაეს აფექტში მყოფი, მეფურად მგზნებარე ქალის სულისკვეთე-
ბის ილუზიას გვიქმნიდა და, მაგალითად, იზოლდას არიის შესრულ-
ების შემდეგ: „ქალბატონი სიყვარული არ უწყი?“ — მის პათეტიკურ
შეძახილამდე: „ჩირალდანს, თუნდაც იგი იყოს სიცოცხლის ჩინი, არ
შევშინდები და ჩავაქრობ ლალი სიცილით“ (თან მომღერალმა ქალმა
თეატრალური მოქმედება ხელის ენერგიული დაქნევით გახაზა) —
მზად ვიკავი თვალცრემლიანი მუხლებზე დაცვიმულ ყავი ტაშის
გრილით გარემოცული და მოზეიმედ მომღიმარე ორლანდას წინა-
შე. სხვათა შორის, იმჯერად ადრიაანმა ითავა თანხლება და მასაც

გაელიმა, როცა ბოლოს როიალის სკამიდან წამოდგა და ცრემლმორეულსა და გულაჩუყებულს სახეზე თვალი შემავლო.

საამურია, როცა ასეთ ატმოსფეროში შენ თვითონაც ძალგის რალაც წვლილი შეიტანო საზოგადოების მხატვრულ გართობაში და ამიტომ დიდად მეამა, ამის შემდეგ მისმა აღმატებულება ფონ რიდენელმა, რომელსაც მაშინვე მხარი დაუჭირა კენარფეხებიანმა მოხდენილმა დიასახლისმა, სამხრეთგერმანულად შეფერილი, მაგრამ ძველი ოფიცრის ყაიდაზე მკაფიოდ წარმოთქმული ფრაზებით რომ მთხოვა მილანდრის (1770) ანდანტე და მენუეტი გამემეორებინა, რაც დიდი ხანი არ იყო ერთხელ უკვე შევასრულე აქ ჩემი შვიდსიმინი საკრავით. მაინც რა სუსტია ადამიანი! ჩემი გული მოინადირა, სულ დამავინწყდა, რომ არ მეპიტნავებოდა მისი გლუვი, არაფრისმთქმელი, ასე გასინჯეთ, დაურიდებლობისა და ურცხვობისგანაც ერთგვარად განწმენდილი არისტოკრატიული ფიზიონომია, დაგრეხილი ქერა უღვაშები, სუფთად გაპარსული პუტკუნა ყბები და გახუნებული წარბის ქვეშ მონოკლის მოელვარე მინა. ადრიანისათვის, რაც მე კარგად ვიცოდი, ამ რაინდის ხატება, ასე ვთქვათ, ყოველგვარი შეფასების მიღმა იდგა, სიძულვილისა და ზიზღის მიღმა, თვით დაცინვის მიღმაც კი; მხრების აჩეჩის ღირსადაც კი არ მიაჩნდა და, კაცმა რომ თქვას, მეც ასევე აღვიქვამდი, მაგრამ როცა მთხოვდა აქტიურად დავმხმარებოდი, რათა საზოგადოება რაიმე „გრაციოზულით“ დამტკბარიყო და ამით რევოლუციური სიახლისაგან სული მოეთქვა, ჩემდა უნებლიეთ კეთილად განვენყობოდი ხოლმე.

ძალიან უცნაური, ნაწილობრივ უხერხული და ნაწილობრივაც კიდევ სასაცილო იყო იმის თვალყურის დევნება, როგორ შეეჯახებოდა ხოლმე რიდენელის კონსერვატიზმი მეორე ჯურის კონსერვატიზმს, რომლისთვისაც იმდენად „კიდევ და კიდევ“ კი არ არის არსებითი, რამდენადაც „ისევ თავიდან“ – რევოლუციის შემდგომ და რევოლუციის წინააღმდეგ მიმართულ კონსერვატიზმს, უკმაყოფილებას რომ გამოთქვამს ბურჟუაზიულ-ლიბერალური ღირებულებებით, აკრიტიკებს რა მათ მეორე მხრიდან, წინამასწარად კი არა, არამედ როგორც მომხდარ ფაქტსა და განვლილ საფეხურს. დროების სულისკვეთება სწორედ რომ ხელს უწყობდა ამგვარ დამოკიდებულებას, რაც ძველსა და მარტივ კონსერვატიზმს ცალკერძ ამხნევებდა, ცალკერძ თავგზას უბნევედა კიდევ; და ფრაუ შლაგინკაუფენის სალონშიაც, სადაც მასპინძელთა პატივმოყვარეობის

გამო სულ ნაირ-ნაირი ხალხი იყრიდა თავს, იქმნებოდა სათანადო სიტუაცია, სახელდობრ, დოქტორ ხაიმ ბრაიზახერის პიროვნების წყალობით. იგი სწავლული იყო, მაგრამ რაიმე ოფიციალური თანამდებობა არ ეჭირა, თავისი რასის ნიშნები მკვეთრად ჰქონდა გამოხატული, ინტელექტუალურად განვითარებულ, მეტად თამამ ტიპს განასახიერებდა და მისი მასინჯი გარეგნობა წარუშლელ შთაბეჭდილებას ახდენდა. აქ — ეტყობოდა, არცთუ ნიშნის მოგების გარეშე — ფერმენტებიანი უცხო სხეულის როლს ასრულებდა. დიასახლისი მის დიალექტიკურ მჭევრმეტყველებას აფასებდა, რაც სხვათა შორის პფალცური ინტონაციით იყო შეფერილი, და აგრეთვე ჰარადოქსულობას, ქალბატონებს რომ აიძულებდათ კეკლუცი ყიყინით თავში შემოეკრათ ხოლმე ხელები. რაც შეეხება თვითონ მას, ამ წრეში სნობიზმის გამო თუ ერეოდა და ამასთანავე იმის სურვილის გამოც, ელეგანტური, მაგრამ შეზღუდული საზოგადოება იდეებით განეცვიფრებინა, რომლებიც ლიტერატორთა საკრებულოში ალბათ ასეთ სენსაციას არ გამოიწვევდა. მე ვერ ვიტანდი, მუდამ ინტელექტუალურ გარეწრად მიმჩნეოდა და დარწმუნებული ვიყავი, ადრიანსაც ეჯავრებოდა, თუმცა ჩემთვის არცთუ მთლად გასაგები მიზეზების გამო ბრაიზახერზე ერთმანეთთან არ გველაპარკნა. ისე კი, არასოდეს არ უარყოფდი მის ალლოს ეპოქის სულისკვეთების დადგენაში, დაგემილ ყნოსვას დროის უახლეს მოთხოვნილებათა მიკვლევაში და ამ მხრივ ბევრი რამ პირველად მისგან, მისი სალონური საუბრების წყალობით შევიტყვე.

ყოვლისმცოდნე იყო. რაგინდარა თემაზე შეეძლო ლაპარაკი. კულტურფილოსოფოსი გახლდათ, ოღონდ კულტურის წინააღმდეგ კი ილაშქრებდა, ვინაიდან მთელ მის ისტორიაში სხვას ვერაფერს ვერ ხედავდა, თუ არა დაცემის პროცესს. ყველაზე სააუგო სიტყვას მისთვის „პროგრესი“ წარმოადგენდა. მას განსაკუთრებულ, გამაბაიბრებელ კილოზე წარმოთქვამდა და მაშინვე გრძნობდით, რომ პროგრესის კონსერვატიული დაცინვა მისთვის საშვი იყო ამ საზოგადოებაში, მისთვის იმის თავდები იყო, რომ სალონისთვის გამოდგებოდა. ძალიან ჭკვიანურად, მაგრამ ისე არა, რომ ვისიმე კეთილგანწყობილება დაემსახურებინა, ამასხარავებდა ფერწერის პროგრესს პრიმიტიული ბრტყელი გამოსახულებიდან პერსპექტივიან გამოსახულებამდე. პერსპექტივამდელი ხელოვნების მიერ პერსპექტივით თვალის მოტყუებაზე უარის თქმის უუნარობად, უმწეობად, ტლანქ პრიმიტივიზმად მიჩნევა და ამის თაობაზე თანაგ-

რძნობით მხრების აჩეჩვაც კი, გახლდათ ის, რასაც დოქტორი ახალი დროის ბრიყვულ ამპარტავნობად აცხადებდა. უარის თქმა, თავშეკავება, არადღაგდება უძღურებას, უცოდინარობასა და სიღარიბეს როდი მონიშნავს. თითქოს ილუზია ხელოვნების ყველაზე მდაბალი, ბრბოსათვის ყველაზე უპრიანი პრინციპი არ იყოს, თითქოს მისგან გამიჯვნა კეთილშობილურ გემოვნებაზე არ მეტყველებდესო! ზოგიერთი რამისაგან გამიჯვნის უნარი ისეთი თვისებაა, რომელიც ძალზე ახლოს დგას სიბრძნესთან, ან უფრო ზუსტად, მისი ნაწილია, მაგრამ, სამწუხაროდ, იგი გაქრა და ბანალური მეტრჩრობა კი თავის თავს პროგრესს უწოდებსო.

ამგვარი განსჯანი რატომღაც ეპრიანებოდათ დაბადებით ფონ პლაუზიგის სალონის სტუმრებს და, მე მგონი, უფრო იმას გრძნობდნენ, რომ ბრ აიხახერს მაინცდამაინც არ შეჰფეროდა ასეთი აზრები, ვიდრე იმას, რომ თვითონ არ უნდა დაეკრათ მათთვის ტაში.

ანალოგიური მდგომარეობაა მუსიკაშიცო, — ამბობდა ის, — მონოდიიდან მრავალხმიანობაზე, ჰარმონიაზე გადასვლის გამო, რაშიც კულტურის პროგრესის დანახვა უყვართ, მაშინ როდესაც იგი სწორედ რომ ბარბაროსობის საკუთრებას შეადგენსო.

— ესე იგი... პარდონ... ბარბაროსობისა? — წამოიყვილა ბატონმა რიდეზელმა, რომელიც, ეტყობა, მიჩვეული იყო ბარბაროსობა კონსერვატიზმის ერთგვარ, დაე თუნდაც ოდნავ სათაკილო ფორმად განეხილა.

— რასაკვირველია, თქვენო აღმატებულებავ, მრავალხმიანი მუსიკის ფესვები, ესე იგი სიმღერისა კვინტისა ან კვარტის ინტერვალებში, ძალზე შორს მარხია მუსიკალური ცივილიზაციის ცენტრიდან, რომიდან, სადაც ლამაზი ხმა იყო მთავარი, მისი კულტი სუფევდა; ეს ფესვები ყიაუხემ ჩრდილოეთშია და, როგორც ჩანს, ყიაუხეშობის ერთგვარ კომპენსაციას წარმოადგენს, — ინგლისსა და საფრანგეთში, უპირატესად კი ველურ ბრიტანეთში, რომელმაც პირველმა ჰარმონიაში ტერციაც კი შეიტანა. ასე რომ, ეგრეთ წოდებული აღმაავალი განვითარება, გართულება, პროგრესი ზოგჯერ ბარბაროსობის მონაპოვარი გახლავთ. ვეჭვობ, ამის გამო ის ქების ღირსი იყოს...

ცხადზე ცხადი იყო: მის აღმატებულებას და საერთოდ დამსწრე საზოგადოებას ექილიკებოდა, კონსერვატორობაზე თავს რომ სდებდა. აშკარად არ უყვარდა, როცა ვინმე ამოიცნობდა, რასაც ფიქრობდა, რასაკვირველია, პოლიფონიური ვოკალური მუსიკა, პროგრესული ბარბაროსობის გამოგონება, მისი კონსერვატიული

მეურვეობის ობიექტად მაშინ იქცა, როგორც კი პოლიფონიური ვოკალური მუსიკიდან ჰარმონიულ-აკორდულ პრინციპზე ისტორიული გადასვლა განხორციელდა, და მასთან ერთად უკანასკნელი ორი საუკუნის ინსტრუმენტულ მუსიკაზეც. ასეთი რამე დაცემა იყო, სახელდობრ, კონტრაპუნქტის, რიცხვთა ამ წმინდა გულცივი თამაშის, დიადი და ერთადერთი ჭეშმარიტი ხელოვნების დაცემა, რომელსაც, მაღლობა ღმერთს, ჯერ კიდევ საერთო არა ჰქონდა რა გრძნობის პროსტიტუციასა და ავაზაკურ დინამიკასთან, და ამ დაცემის შუაგულში დგას დიადი აიზენახელი ბასი, ვისაც გოეთემ სრულიად სამართლიანად ჰარმონიის ოსტატი უწოდებდა. ისე ვერ იქნები ტემპერირებული კლავირის გამომგონებელი და, მაშასადამე, ყოველი ბგერის მრავალი მნიშვნელობით გაგებისა და მისი ენჰარმონიულად შეცვლის საშუალების აღმომჩენი და, მაშასადამე, უახლესი რომანტიკული მოდულაციური ტექნიკის შემქმნელი, რომ მკაცრი მეტსახელი არ დაიმსახურო, რომელიც ვაიმარელმა ბრძენმა ბახს შეარქვაო. ჰარმონიული კონტრაპუნქტი? ასეთი რამ არ არსებობს, ეს არც წყალია და არც ღვინო. შერბილება, გასათუთება და გაყალბება, გარდაქმნა ძველი და ხალასი პოლიფონიისა, რომელიც აღიქვებოდა როგორც ერთმანეთში გადახლართული სხვადასხვა ხმების უღერა, ჰარმონიულ-აკორდულად უკვე მეთექვსმეტე საუკუნეში დაიწყო, და ისეთმა ხალხმა, როგორც პალესტრინაა, ორივე გაბრიელი და ჩვენი ყოჩალი ორლანდო დილასოა, მისი ძეგლი აქვე მოედანს რომ ამკობს, უკვე გაისვარა ხელი ამ საქმეშიო. კი, როგორ არა, ამ ბატონებმა სხვებზე უფრო „გაგვიადამიანურეს“ ვოკალურ-პოლიფონიური ხელოვნების ცნება და ამიტომ ამ სტილის უდიდეს ოსტატებად გვესახებიან. მაგრამ ეს უბრალოდ იმითი აიხსნება, რომ მათ მეტწილად უკვე წმინდა აკორდული წყობა ეამებოდათ და პოლიფონიური სტილის მათებური ინტერპრეტაცია უკვე საკმაოდ გასაწყლებულ-შერბილებული გახლდათ ჰარმონიული თანაჟღერისათვის კონსონანსებსა და დისონანსებს შორის მიმართებისათვის ანგარიშის განევითო.

ვიდრე ყველანი ჰკვირობდნენ, ერთობოდნენ და მუხლებზე ხელებს იცემდნენ, მე ადრიანის მზერას ვეძებდი, რათა მის თვალე-ბში ამომეკითხა, რა შთაბეჭდილებას ახდენდა ჩემს მეგობარზე ეს აბეზარი მიეთმოეთი; მაგრამ ადრიანი პირს მარიდებდა. ხოლო რაც შეეხება ფონ რიდებულს, იგი ბრინჯივით დაბნეული იყო.

— პარდონ, — ამბობდა ის, — ნება მიბოძეთ... ბახი, პალესტრინა...

ეს სახელები მისთვის კონსერვატიული ავტორიტეტის შარავანდედით იყვნენ მოსილნი და ახლა კი მათ მოდერნისტული გახრწნილების სფეროს აკუთვნებდნენ. მხარი სურდა აება და თან ისე საშინლად იყო აღელვებული, რომ მონოკლიც კი გამოიღო თვალიდან, რის გამოც სახიდან ინტელექტის ნატამალიც წარეხოცა. ასეთივე შავი დღე დაადგა, როცა ბარიზახერის კულტურულ-კრიტიკული მსჯელობანი ძველ აღთქმას შეეხო, ესე იგი დოქტორის პირადი წარმომავლობის სფეროს, ებრაელთა ტომს ანუ ხალხს და მის სულიერ ისტორიას, რადგან აქაც უალრესად ორაზროვანი, ტლანქი და თანაც ანჩხლი კონსერვატიზმი გამოამჟღავნა. მისთვის რომ ყური დაგეგდოთ, დაცემამ, გამოსულელებამ და ძველსა და ხალასთან ყოველგვარი კონტაქტის დაკარგვამ აქ ისე ნაადრევად და ისე პატივისცემად გილას იჩინა თავი, რომ გულშიც ვერავინ გაივლებდა. შემძლია მხოლოდ ვთქვა, რომ მისი მსჯელობა, მთლიანად აღებული, საოცრად შლეგური და სასაცილო რამ იყო. ყოველი ქრისტიანისათვის ისეთი პატივდებული ბიბლიური პერსონაჟები, როგორც არიან მეფეები დავითი და სოლომონი, აგრეთვე წინასწარმეტყველნი, „მათი მიეთმოეთით მოწყალე ღმერთის შესახებ ცათა შინა“, მისთვის იყვნენ უკვე გახუნებული გვიანდელი თეოლოგიის დაკნინებული წარმომადგენლები, რომლებსაც ხალხურ ელოჰიმ იელოვას ძველ და ხალას ებრაულ არსზე წარმოდგენაც აღარ გააჩნდათ, და იმ რიტუალებში, რომლებითაც ხალასი ხალხურობის ეპოქაში მსახურებდნენ ამ ეროვნულ ღმერთს, ან უფრო სწორად, მას ფიზიკურად მუნ ყოფნას აიძულებდნენ, მარტოოდენ „პირველყოფილი ეპოქის გამოცანას“ ხედავდნენ. განსაკუთრებით სოლომონ „ბრძენზე“ იყო ამხედრებული და ისე განინმატებული ესხმოდა თავს, რომ კაცები კბილებში უსტვენდნენ და ქალები გაოცებულები ვიშვიშებდნენ.

— პარდონ! — უთხრა ფონ რიდეზელმა. — მე, რბილად რომ ვთქვათ... სოლომონ მეფე, მისი სიდიადე... თქვენ არ უნდა...

— არა, თქვენო აღმატებულებავ, როგორ არა, — მიუგო ბრაიზახერმა. — ის კაცი ეროტიკულ სიამეთაგან მისავათებული ესთეტი გახლდათ და რელიგიური თვალსაზრისით პროგრესული ლენჩი, რაც დამახასიათებელია მუნ მყოფი ეროვნული ღვთაების კულტის — ხალხის მეტაფიზიკური ძალის განსახიერების — დაკნინებისათვის, ამ კულტის ცათა შინა მყოფი აბსტრაქტული და ზოგადკაცობრიული ღმერთის ქადაგებად, მაშასადამე, ხალხური რელიგიის მსოფლიო რელიგიად გადაგვარებისათვის. ამაში დასარწმუნებლად საკმარის-

სია ის სკანდალური სიტყვა წავიკითხოთ, რომელიც პირველი ტაძრის აგების შემდეგ წარმოთქვა და რომელშიც იკითხა: შეუძლია თუ არა ღმერთს ადამიანთა შორის დედამიწაზე იცხოვროსო? – თითქოს იზრავლის მთელსა და ერთადერთ ამოცანას ის არ შეადგენდა, რომ ღმერთისთვის ბინა, კარავი აეგო და ყოველი ღონე ეხმარა მისი მუდმივი მუნ ყოფნისათვის. სოლომონს კი შლევით კადნიერება ჰყოფნის ილაღადოს: ცანი ცათანი ვერ შემძლებელ არიან დაგიტიონ, რაოდენ უფრო მცირეა სახლი ესე, რომელ აღვაშენე სახელისა შენისაო! ეს ლაყბობა გახლავთ და დასასრულის დასაწყისი, სახელდობრ, მეფსალმუნეთა გადაგვარებული წარმოდგენისა ღმერთზე, რომლებთანაც ღმერთი უკვე მთლიანად ზეცაშია გაქვევებული, და რომლებიც ერთთავად ზეცაში მყოფ ღმერთს უგალობენ, მაშინ როდესაც ხუთნიგნეული ზეცას ღმერთის სასუფეველად არა და არ მიიჩნევს. იქ ელოჰიმი ხალხს წინ მიუძღვის ცეცხლის სვეტში გახვეული, იქ მას ხალხში ბინადრობა, ხალხში გარევა სწადია და თავისი ს ა ს ა კ ლ ა ო ტ ა ბ ლ ა სურს ჰქონდეს – თავი რომ ავარიდოთ უფრო გვიანდელ, უსუსურსა და კაცობრიულ სიტყვას: „საკურთხეველი“. ვინ იფიქრებდა, რომ მეფსალმუნე ღმერთს აკითხვინებდა: „ნუთუ ვჭამ მე ხორცთა ზვარაკთა ანუ ვსვამ სისხლსა ვაცებისა?“ გაუგონარი ამბავია, ასეთი რამ ათქმევინო ღმერთს, ვითომც სახეში სილა გაუნნია გათავხედებულ განათლებას ხუთნიგნეულისათვის, რომელიც მსხვერპლს ზაზგასმით „პურად“, მაშასადამე, იელოვას ჭეშმარიტ საკვებად მიიჩნევს. ამ შეკითხვიდან და ისეც უკვე სოლომონ ბრძენის განსჯათაგან ერთი ნაბიჯილაა მაიმონიდანმდე, შუა საუკუნეების უდიდეს რაბინად რომ ითვლება, ნამდვილად კი არისტოტელეს ამთვისებელ-მომხმარებელია და მსხვერპლის გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ა ს ახერხებს – ჰა, ჰა! – როგორც ხალხის წარმართული ინსტინქტების წინაშე ღმერთის დათმობას. კეთილი, სისხლისა და ცხიმის მსხვერპლი, რომელიც ოდესლაც, მარილმოყრილი და სანელებლებით შეკმაზული, ღმერთს კვებავდა, ხორცს ასხამდა, აქ სამყოფლად განაწყობდა, მეფსალმუნისათვის მარტოოდენ „სიმბოლოლა“ (ახლაც ჩამესმის ყურში, რა ენით აუნერელი გაქირდვით წარმოთქვა ეს სიტყვა დოქტორმა ბრაიზახერმა) – ახლა პირუტყვი კი აღარ იკვლება, არამედ – დაუჯერებელი ამბავია – მადლიერება და მორჩილება. „ვინც მადლიერება დამიკლა, – ნათქვამია ახლა, – მან პატივი დამდო“. ხოლო მეორეგან: „ზვარაკი ღვთისა მომნანიებელი სულია“. მოკლედ, ეს უკვე დიდი ხანია აღარ გახლავთ არც ხალხი და

არც სისხლი და არც რელიგიური სინამდვილე, არამედ წყალწყალა ჰუმანისტური შეჭამანდია...

აი ესეც ნიმუში ბრაიზახერის უაღრესად კონსერვატიული ქაქანისა, რაც თანაბრად თავშესაქცევიც იყო და ამაზრზენიც. გული ვერ ეჯერებინა, აღარ იცოდა, რიტუალი, რეალური და არა აბსტრაქტულ-უნივერსალური, ხოლო ამიტომ არც „ყოკლისშემძლე“ და „ყველგანყოფი“ ხალხური ღმერთის კულტი, როგორ წარმოესახა რალაც მაგიურ ტექნიკად, დინამიკური რალაცის ფიზიკურად არცთუ არა საშიშ მანიპულაციად, რომლის დროსაც ადვილად შეიძლებოდა უბედური შემთხვევები, კატასტროფული მოკლე ჩართვები მომხდარიყო შეცდომებისა თუ ხელის მოცარვის შედეგად. აარონის ვაჟიშვილები იმის გამო დაიხოცნენ, რომ „ცეცხლი უცხოი“ მოიტანეს. ეს გახლდათ ერთ-ერთი ამგვარი ტექნიკური უბედური შემთხვევა, შეცდომის მიზეზობრივი შედეგი. მავანი ოზია წინდაუხედავად შეეხო ყუთს, ეგრეთ წოდებულ უფლისა სჯულის კიდობანს, რომელიც გადატანისას ურმიდან ვარდებოდა, და მყისვე სული განუტევა. ესეც ტრანსცენდენტულ-დინამიკური განმუხტვა გახლდათ, დაუდევრობით წარმოქმნილი, სახელდობრ, ქნარზე დაკვრას გადაყოლილი მეფე დავითის დაუდევრობით, რომელსაც აგრეთვე აღარა გაეგებოდა რა და ფილისტერთა ყაიდაზე კიდობნის ურმით წაღება ბრძანა, ნაცვლად იმისა, რომ ხუთნიგნეულის არცთუ უსაფუძვლო მითითებისამებრ „აღსაღებლითა მით მხრით მათითა“ წაეღებინებინა. დავითი უკვე სოლომონზე არანაკლებ მწყარლად გახლდათ პირველსაწყისებთან და არანაკლებ გამოლენჩებული იყო, რომ აღარა ვთქვა: „გაუხეშებული“-მეთქი. გუმანშიც არ იყო, ვთქვათ, რა საშიშია ხალხის აღწერა და მისი ჩატარებით მძიმე ბიოლოგიური დარტყმა მიაყენა — ეპიდემია აღძრა, მასობრივი სიკვდილიანობა გამოინვია, რაც ხალხის მეტაფიზიკურ ძალთა იმთავითვე სავარაუდებელი რეაქცია გახლდათ, ვინაიდან ხალასი ხალხი ვერა და ვერ იტანდა ამგვარ მექანიკურ რეგისტრაციას, დინამიკური მთლიანობის დაშლას დანომრილ უსახო ერთეულებად...

ბრაიზახერისათვის მხოლოდ უპრიანი იყო, რომ ერთმა ქალბატონმა აქ სიტყვა გააწყვეტინა: ვერ წარმომედგინა, თუ ხალხის აღწერა ასეთი ცოდვა გახლდათ.

— ცოდვაო? — მიუგო გადაჭარბებული კითხვითი ინტონაციით, — არა, ხალასი ხალხის ხალას რელიგიაში არ არსებობს ისეთი უნიათო თეოლოგიური ცნებები, როგორიც „ცოდვა“ და „სასჯელია“, მათს

ამჟამინდელი წმინდა წყლის ეთიკურ-მიზეზობრივი ურთიერთმიმართებით. აქ ლაპარაკია შეცდომასა და ავარიას შორის მიზეზობრივ დამოკიდებულებაზე. რელიგიასა და ეთიკას ერთმანეთთან მხოლოდ იმდენად აქვთ საქმე, რამდენადაც მეორე პირველის დაცემას მოასწავებს. მორალური მხარის წინ წამოწევა რიტუალის არასწორი, „წმინდა გონებრივი“ გაგება გახლდათ. განა მოიპოვებოდა „წმინდა გონებრივზე“ უფრო ღვთის მიერ მიტოვებული რამ? უსახო მსოფლიო რელიგიებს ისღა დარჩენოდათ, რომ „ლოცვა“, sit venia verbo, მათხოვრობად, შეწყალების ვედრებად გადაექციათ, — „ჰოი, უფალოსა“ და „უფალო, შეგვიწყალებს“, „დაგვეხმარესა“, „მოგვეცისა“ და „ქმენ სიკეთის“ შეძახილებად. ეგრეთ ნოდებული ლოცვა...

— პარდონ! — უთხრა ფონ რიდეზელმა ამჯერად მართლაც მტკიცედ, — რაც გინდათ თქვით და „მუზარადი მოიხადე და ილოცე“ ჩემთვის ყოველთვის იყო...

— ლოცვა, — დაასრულა დაუნდობლად დოქტორმა ბრაიზახერმა, — ჩემთვის ყოველად გაუულგარულებული და განწყალებული გვიანდელი ფორმაა რაღაც ძალიან ენერგიულისა, აქტიურისა და მძლავრისა: მაგიური ძალით მოუხსნვისა, ღმერთის იძულებისა.

ნამდვილად მეცოდებოდა ბარონი. ალბათ როგორ ემღვრეოდა გუნება, როდესაც ხედავდა, რომ მის რაინდულ კონსერვატიზმს ურტყამდნენ, თანაც ამ მიზნით ატავისტურ თულფებს იყენებდნენ და საშინლად ჭკვიანურადაც, — დამცავ რადიკალიზმს, რომელსაც რაინდულისა უკვე არა ეცხო რა, რაღაც რევოლუციური გააჩნდა და უფრო ძირგამომთხრელი ჩანდა, ვიდრე ყოველგვარი ლიბერალიზმი. ამავე დროს, თითქოს მის მასხარად ასაგდებად, სანაქებო კონსერვატიული არილიც ამკობდა. ისიც კი ვიფიქრე, ამ ღამეს თეთრად გაათენებს-მეთქი, თუმცა ალბათ მეც ვაჭარბებდი, ასე რომ თანავუგრძნობდი. ამასთანავე ბრაიზახერის ნალაპარაკევიც ყველაფერი რიგზე როდი იყო. სულ იოლად შეიძლებოდა შესიტყვებოდი კაცი და თუნდაც იმაზე მიგეთითებინა, რომ მსხვერპლის სპირიტუალისტურ დაუფასებლობას მარტო წინასწარმეტყველებთან კი არ შეიძლება შევხვდეთ, არამედ უკვე ხუთნიგნეულშიც, სახელდობრ კი, თვითონ მოსესთან, რომელიც მსხვერპლს მიუკიბ-მოუკიბავად მეორეხარისხოვან ამბად აცხადებს, ხოლო მთავარი კი მისთვის ღვთის მორჩილება, ღვთის მცნებათა აღსრულებაა. მაგრამ ფაქიზ ადამიანს უმძიმს ჩარევა, უჭირს საპირისპირო ლოგიკური და ისტორიული არგუმენტებით სხვის მიერ ჩამოყალიბებულ აზრთა წყობაში შეჭრა

და თვით ანტიგონიერულშიაც კი პატივსაც სდებს და ინდობს გონიერებას. დღეს დიახაც უკვე ნათელია: ჩვენს ცივილიზაციას შეცდომა მოუვიდა, ერთობ დიდსულოვნად რომ იჩენდა ამგვარ მორიდებასა და პატივისცემას, მაშინ როდესაც საქმე პირნავარდნილ თავხედობასა და წრეგადასულ შეუწყნარებლობასთან ჰქონდა.

აი ამ ამბებზე ვფიქრობდი ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც სულ ახალი დაწყებული მქონდა ეს ჩანაწერები და ჩემი კეთილგანწყობილება ებრაელთა მიმართ გამოვთქვი. მაგრამ იქვე შევნიშნე, ცხოვრების გზაზე ამ მოდემის ზოგიერთ საკმაოდ შემაურვებელ წარმომადგენელსაც გადავყრივარ-მეთქი. მაშინ იყო სწორედ, რომ სწავლული ბრაიზახერის გვარი ნაადრევად ჩამომეღვენთა კალმიდან. ისე კი, განა შეიძლება ებრაულ გონებას ის უკიჟინო, რომ მყობადის, სიახლის ფაქიზ ალლოს დახვლანჯულ სიტუაციებშიც ინარჩუნებს, როდესაც მონინავე და რეაქციული ერთმანეთს ერწყმის? ასეა თუ ისე, ანტიჰუმანიზმის ახალი საშყარო, რომლისაც მე, გულუბრყვილომ, მანამდე არა ვუწყობდი რა, პირველად მაშინ, შლაგინჰაუფენებთან, სწორედ ამ ბრაიზახერის მეშვეობით აღვიქვი.

XXIX

1914 წლის მიუნჰენური საყველიერო კარნავალი, ეს მხიარულად, ანცად დროსტარებისა და ერთმანეთთან დაძმობილების კვირები, რაც ქრისტეს განცხადების დღესასწაულიდან დიდმარხვამდე გრძელდება, — მისი ნაირგვარი საჯარო და შინაურული გასართობი ღონისძიებები, რომლებშიც მე, ფრაიზინგის გიმნაზიის ჯერაც ახალგაზრდა მასწავლებელი ან დამოუკიდებლად, ანდა ადრიანთან ერთად ვმონაწილეობდი, ცოცხლად შემომრჩა მესხიერებაში, ან უმჯობესი იქნება, თუ ვიტყვი: ავბედიტად-მეთქი. ის ხომ ბოლო კარნავალი იყო იმ ოთხწლიანი ომის დაწყების წინ, რომელიც ჩვენს, დღევანდელ საშინელებათა მომსწრეთა, ისტორიულ თვალთახედვაში ერთ ეპოქად ირწყმება — ეგრეთ წოდებული პირველი მსოფლიო ომის წინ, იზარისპირა ქალაქის ცხოვრების ესთეტიკურ უმანკობას, მის დიონისურ გულარხეინობას, თუ შეიძლება ასე ითქვას, სამუდამოდ ბოლო რომ მოუღო. მაგრამ ამასთანავე ეს იყო დროც, როდესაც ჩემს თვალწინ, ჩვენს ნაცნობთა წრეში, ზოგიერთი ინდივიდის ბედ-იღბალი ერთმანეთში გამალებით იხლართებოდა, რასაც —

დანარჩენი ქვეყნიერებისათვის თითქმის შეუმჩნეველად, რალა თქმა უნდა, — შედეგად კატასტროფები მოჰყვა, რომელთა შესახებ აქ უნდა გიამბოთ, რადგან ისინი ნანილობრივ ჩემი გმირის, ადრიან ლევერკიუნის, ცხოვრებასა და ხვედრსაც მჭიდროდ ესებიან, ხოლო ერთ-ერთ მათგანში, ასე განსაჯეთ, ჩემი გუმანიტ, რალაც საიდუმლოებრივ-საბედისწეროდ თვითონაც იყო გარეული, როგორც მოქმედი პირი.

ამ შემთხვევაში კლარისა როდეს სვე-ბედს კი არ ვგულისხმობ, სიკვდილთან მოთამაშე ამ ამაყსა და დამცინავ ქერა ასულს, რომელიც იმხანად ჯერ კიდევ ჩვენს შორის იყო, ჯერ კიდევ დედამისთან ცხოვრობდა და კარნავალის მხიარულ ამბებში მონაწილეობდა, თუმცა უკვე ემზადებოდა ქალაქიდან გასამგზავრებლად, რათა ერთ პროვინციულ სცენას დამწყებ მსახიობად მოვლენოდა, სადაც მისთვის ადგილი მის მასწავლებელს, სამეფო თეატრის მოხუც პრემიერს ეშოვნა. შემდეგ ამას უბედურება მოჰყვა, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ქალიშვილის თეატრალურ მენტორს, გვარად ზაილერს, გამოცდილ კაცს, ამაში ბრალი არა და არ მიუძღვის. ერთხელ მან წერილი გამოუგზავნა სენატორის მეუღლე როდეს, რომელშიც შემდეგს ატყობინებდა: ჩემი მოსწავლე თუმცა არაჩვეულებრივად გონებაგახსნილია და თეატრითაც დიდად არის გატაცებული, მაგრამ ბუნებით იმდენი ნიჭი არა აქვს ნაბოძები, რომ სცენაზე წარმატებას მიაღწიოსო. დრამატული ხელოვნების საფუძველთა საფუძველი აკლია, კომედიანტის ინსტინქტი, ის, რასაც მსახიობის ეშხსა და მარილს უწოდებენო. ამიტომ იძულებული გახლავართ კეთილსინდისიერად გირჩიოთ, სხვა რამ გზას დაადგესო. მაგრამ სასონარკვეთილი კლარისას ცრემლებმა და მოთქმამ მაინც გასჭრა დედამისზე და კარის მსახიობ ზაილერს, თავი რომ ბარათით დაიზღვია, სთხოვეს სწავლების კურსი ჩაეთავებინა და ნაცნობების მეშვეობით ქალიშვილს დამწყები მსახიობის ადგილის შოვნაში დახმარებოდა.

უკვე ოცდაორი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც კლარისას სავალალო ხვედრი ხვდა წილად, და მე ამას ქრონოლოგიური თანმიმდევრობით მოგიტხრობთ. ამჟამად კი მხედველობაში მყავს მისი სათუთი და უბედური დის — ინესის ბედ-იღბალი, ვინც ამდენს ელოლიავებოდა წარსულსა და ტანჯვას. მასთან ერთად კი სანყალი რუდი შვერტფეგერის ყისმათიც, რომელიც ძრწოლით გამახსენდა, როცა ეს-ეს არის უნებლიეთ წინ გავიჭერი და მარტ-

ოსული ადრიან ლევერკიუნიც ურევია-მეთქი ამ ამბებში – შევნიშნე. ამგვარ წინ გადასწრებებს მკითხველი ჩემგან უკვე მიჩვეულია და დაე ამას ჩემს მწერლურ დაუდევრობასა და თავგზააბნეულობას ნუ მიაწერს. ეს უბრალოდ იმის გამო ხდება, რომ ზოგიერთი რამ, რისი მოყოლა მერე და მერე მომიხდება, ახლავე წარმომიდგება ხოლმე თვალწინ და შიშითა და დარდით ვივსები, ძრწოლა მიტანს; ეს ამბები მძიმე ტვირთად მანვეს და ვცდილობ მათი სიმძიმე როგორმე გავანანილო. ამიტომაც, წინამასწარად რომ ვინცებ ხოლმე მათზე ლაპარაკს და ისიც გადაკვრით. ასე რომ, ალბათ, ჩემს გარდა, ისინი არავის ესმის. მე მხოლოდ თანდათანობით ვხსნი გუდას პირს. ამითი მინდა მოთხრობა გავიოლო, შემადრწუნებლობის სიმძაფრე ნავართვა, საშინელება გავაქარწყლო. აი, რაც შეიძლება ითქვას თხრობის „მანკიერი“ ტექნიკის მოსაბოდიშებლად და ჩემი გასაჭირის ნათელსაყოფად; ადრიანი რომ ძალზე შორს იყო იმ ამბების სათავეებიდან, რაზედაც აქა გვაქვს ლაპარაკი, რომ თითქმის ვერც ამჩნევდა მათ და რამდენადმე მხოლოდ მე გავამახვილე მისი ყურადღება, რადგან მეტი საზოგადოებრივი ცნობისმოყვარეობა გამაჩნდა, ანდა იქნებ აჯობებდა მეთქვა: ადამიანური თანალმობა-მეთქი, ვიდრე მას – ამის წინასწარ გახაზვა არც არის საჭირო. ლაპარაკი აი რაზეა:

როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნე, დები როდეები, კლარისაც ისევე, როგორც ინესი, მაინცდამაინც ვერ ეწყობოდნენ დედას, სენატორის მეუღლეს, და ხშირად არც ფარავდნენ, რომ ნერვებს უშლიდათ მათი სალონის თვინიერი და ლალი ნახევრად ბოჰემურობა, მათი მასაზრდოებელ ნიადაგს მოკლებული, მაგრამ მაინც პატრიციული ბიურგერულ ყაიდაზე აგებული ყოფა-ცხოვრება. მართალია, სხვადასხვა მიმართულებით, მაგრამ ორივენი განელტვოდნენ ამ ჰიბრიდულ მყოფობას: ამაყი კლარისა ხელოვნებისათვის აპირებდა თავი მიექდუნა, მაგრამ, როგორც მისმა მასწავლებელმა მალე დაადგინა, მსახიობად არ იყო მონოდებული; აზიზ-მაზიზი, მელანქოლიური და თავიდანვე ცხოვრების მოშიშარი ინესი კი, პირიქით, უკან მიისწრაფოდა ბიურგერული ყოფის სულიერად საიმედოდ დაცულ ჭერქვეშ, საითკენაც გზას პატივცემულ პიროვნებაზე გათხოვება თუ გაუკვალავდა. სასურველი იყო ეს ამბავი სიყვარულის ნიადაგზე მომხდარიყო, თუ არა და, სხვა რა ჩარა იყო. ინესი, რალა თქმა უნდა, სანტიმენტალური დედის გულწრფელი მხარდაჭერით, დაადგა კიდეც ამ გზას, მაგრამ ისევე იგემა მარცხი, როგორც

მისმა დამ თავისაზე. ტრაგიკულად გამოირკვა, რომ არსებითად ეს იდეალი არც პირადად მისთვის არ გამოდგებოდა და არც ეპოქა, ყველაფერს რომ სცვლიდა და ძირს უთხრიდა, უკვე არ იძლეოდა მისი განხორციელების საშუალებას.

იმხანად ინკეს დაუახლოვდა ვინმე დოქტორი ჰელმუტ ინსტიტორისი, ესთეტიკოსი და ხელოვნების ისტორიკოსი, ტექნიკური უმაღლესი სასწავლებლის პრივატდოცენტი, სადაც ის მსმენელებს ფოტოებს ჩამოურიგებდა ხოლმე და ისე კითხულობდა მშვენიერების თეორიისა და რენესანსის ეპოქის ხუროთმოძღვრების კურსს/კარგი მომავალი ჰქონდა, უნივერსიტეტში მიწვევა ელოდა, ორდინარულ პროფესორად გახდომა, აკადემიის წევრობა და ასე შემდეგ, განაკუთრებით მაშინ, თუ იგი, ვიურცბურგელი შეძლებული ოჯახის შვილი, უცოლო, მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი ნაწილის პრეტენდენტი, იზრუნებდა თავისი ყოფა-ცხოვრების კიდევ უფრო დარბაისლურად მოწყობაზე და ისეთ ოჯახს შექმნიდა, რომლის კარიც საზოგადოებისათვის ღია იქნებოდა. ამიტომ საცოლეს ეძებდა, თან სარძლოს ფინანსური მდგომარეობა მაინცდამაინც არ ანალვლებდა — პირიქით, ეტყობოდა, ისეთ მამაკაცთა კატეგორიას ეკუთვნოდა, ცოლქმრობაში რომ სურთ ყველაფერი თვითონ განაგონ, სოლო მეუღლე მთლად მათზე იყოს დამოკიდებული.

ძალას ეს სულაც არ მონშობს და ინსტიტორისი მართლაც არ იყო ძლიერი კაცი, რაც იმ ესთეტიკურ აღტაცებაშიც ვლინდებოდა, რასაც იგი ყოველივე მძლავრისა და უცერემონიოდ აყვავებულის მიმართ იჩენდა. გრძელთავა და ქერათმიანი გახლდათ, საშუალოზე რამდენადმე დაბალი და საკმაოდ ელეგანტური. შუაზე გაყოფილი გლუვი და ოდნავ გაპოხილი თმა ჰქონდა, ქერა უღვაშები ცოტათი პირზე ჩამოშვებოდა და ოქროს სათვალის მიღმიდან ლურჯი თვალებით ისეთი ნაზი, კეთილშობილი გამომეტყველებით იმზირებოდა, რომ ძნელად გასაგებს — ანდა, შესაძლოა, სწორედ რომ იოლად გასაგებს — ხდიდა, რატომ სცემდა თავყანს უხეშობას, ოღონდ, რასაკვირველია, მხოლოდ ლამაზ უხეშობას. ინსტიტორისი ეკუთვნოდა იმ წლებში საკმაოდ მომრავლებულ ტიპს ადამიანებისა, რომლებიც როგორც ბაპტისტმა შპენგლერმა ერთხელ მოსწრებულად თქვა, ერთთავად გაჰყვირიან: — რა ძლიერია სიცოცხლე და რა მშვენიერიო! — თავად კი ჭლექისაგან ანთებიათ ღაწვებო.

არა, ინსტიტორისი არა ყვიროდა, ის უფრო ჩუმად და ჩლიფინით ლაპარაკობდა, თვით მაშინაც კი, როცა რენესანსს ისეთ ეპოქად აცხადებდა, რომელიც „სისხლითა და მშვენიერებით ხრჩოლავდა“, და არც ქლექიანი არ იყო, სულ ბევრი, ბევრი, როგორც ეს თითქმის ყველას ემართება, ყრმობისას იოლი ტუბერკულოზი ჰქონდა გადატანილი. ოღონდ ნაზი და ნერვული კი იყო, სიმპათიკური ნერვული სისტემის აშლილობა, მზის წნული ანუ ჰებედა, რაც ათასნაირ შიშებსა და სიკვდილის ნაადრევ წინათგრძნობას აღძრავს. მერანის ერთერთი მდიდრული სანატორიუმის ხშირი სტუმარი იყო. ეტყობა, ის თავის თავს აიძებებდა, ხოლო ექიმები კი დევ მას, რომ მოწესრიგებული, კარგად შეხმატკბილებული ოჯახური ცხოვრება მის ჯანმრთელობას უთუოდ არგებდა.

ამრიგად, 1913-14 წლების ზამთარში იმდენად დაუახლოვდა ჩვენს ინეს როდეს, რომ ამკარა იყო: ეს ამბავი ნიშნობით დამთავრდებოდა. ოღონდ იგვიანებდა კი და თვით ომიანობის პირველ ხანებშიც არაფერი ამის მსგავსი არ მომხდარა. გაუბედაობა და კეთილსინდისიერება ალბათ ორივეს აიძულებდა უფრო დიდხანს და გულდასმით აენონ-დაენონათ, მართლა ერთმანეთისთვის იყვნენ დაბადებულნი თუ არა. მაგრამ ვინც ამ „წყვილს“ თვალს შეავლებდა, იქნებოდა ეს სენატორის მეუღლის სალონში, სადაც ინსტიტორისმა სიარული დაიწყო, როგორც წესი და რიგია, ანდა საჯარო ზეიმების დროს, როცა მათ მყუდრო კუნჭულებში უყვარდათ განმარტობა, უთუოდ ეგონებოდა, რომ სწორედ ამ საკითხზე ბჭობდნენ, პირდაპირ თუ არა ნართაულად მაინც, და კაცთმოყვარე დამკვირვებელს, იგრძნობდა რა, რომ ჰაერში წინასწარი პირობის დადების სუნი ტრიალებდა, უნებლიეთ თათბირში გულისხმიერად მონაწილეობის სურვილი გაუჩნდებოდა.

ჰელმუტმა რომ მაინცდამაინც ინესს დაადგა თვალი, ეს შეიძლებოდა თავდაპირველად გაკვირვებოდა კიდეც კაცს, მაგრამ ბოლოს დიახაც გასაგები ხდებოდა. ქალიშვილი სულაც არ ჰგავდა რენესანსული ტიპის ქალს – სულიერად იოლად მოწყვლადი იყო, მისი დანისლული თვალები ამაღლებული მწუხარებით აღსავსენი იმზირებოდნენ, პანია კისერი ცერად წინ დაეხარა და პირზე ოდნავ შესამჩნევი, ნაძალადევი და ეშმაკური ღიმილი დასთამაშებდა, მაგრამ თავის ესთეტიკურ იდეალთან ეს საცოლის მაძიებელი კაცი ხომ თავს ვერ გაიტანდა; მისი მამაკაცური უპირატესობა დაუყოვნებლივ გაქარწყლდებოდა, – საკმარისი

იყო იგი ისეთი გაფთქვილებული, მჩქეფარე სიცოცხლით აღსავსე ქმნილების გვერდით წარმოგვედგინა, როგორც ორლანდა გახლდათ, რომ ამაში მაშინვე სიცილით დარწმუნებულიყავით, თანაც ინესს ქალური მომხიბლაობა არ აკლდა; დაკვირვებულ კაცს რომ მისი ხშირი თმა, პანია ფოსოებიანი ხელები და ყმანვილქალური თავმომნონეობა შეჰყვარებოდა, სრულიად ბუნებრივი რამ გახლდათ. ინესი შეიძლება სწორედ ის იყო, ვისაც ეძებდა. ვაჟს იზიდავდა ქალის ვინაობა, სახელდობრ, მისი პატრიციული წარმომავლობა, რასაც ინესი მუდამ გახაზავდა, მაგრამ რაც ცოტათი გაუფასურებული იყო იმჟამინდელი მდგომარეობით, უცხო ნიადაგზე გადმონერგვით, ერთგვარი დეკლასირებულობით. ამიტომ ვაჟის უპირატესობას გაქარწყლებით არ ემუქრებოდა, პირიქით, ჰელმუტს შეეძლო მიეჩნია, რომ შეუღლებით ქალს აამაღლებდა, მის რეაბილიტაციას მოახდენდა. სარძლოს დედა ქვრივი იყო, ნახევრად გაღარიბებული და, ცოტა არ იყოს, დროსტარების მოყვარული; და მომავალი მსახიობი ჰყავდა, წრე — მეტ-ნაკლებად ბოჰემური, — ეს გარემოებანი პირადი ღირსების თვალსაზრისით ვაჟის ინტერესებს არ ბღალავდნენ. მით უფრო, რომ ამგვარი ქორწინებით საზოგადოებრივად არაფერს არ კარგავდა, ეს მის მომავალ კარიერას არ შეაფერხებდა და იმის იმედიც ნამდვილად შეიძლებოდა ჰქონოდა, რომ ინესი, სენატორის მეუღლის მიერ თეთრეულითა და, შესაძლოა, ვერცხლეულითაც სარისტიანად და გულუხვად გამზითვებული, ჩინებულ დიასახლისობას გაუწევდა.

ასე წარმომედგინა ვითარება დოქტორ ინსტიტორისის პოზიციიდან, მაგრამ, როცა ახლა ქალიშვილის თვალთ შევეცდებოდი ვაჟისთვის შემეხედა, მაშინ საქმე მთლად რიგზე ვერ იყო. მთელ ჩემს წარმოსახვის უნარს ვაბავდი, მაგრამ ამ წვრილმანსა და საკუთარი თავით გართულ, თუმცა დაბვენილსა და საუცხოოდ განათლებულ, მაგრამ ჩიასა და შეუხედავ კაცში (სხვათა შორის, ცუნცულით სიარული სჩვეოდა) მეორე სქესისთვის მიმზიდველი ვერაფერი ვერ აღმომეჩინა — მაშინ როდესაც ვგრძნობდი, რომ ინესი, მიუხედავად მისი ჩაკეტილი, მკაცრი ქალწულებრივი ცხოვრებისა, არსებითად საჭიროებდა ასეთ გამონკვევას. ამას ემატებოდა აგრეთვე ფილოსოფიურ შეხედულებათა შორის, ყოფა-ცხოვრებაზე თეორიულ თვალსაზრისთა შორის არსებული სხვაობაც, რასაც დიამეტრალურსა და პირდაპირ სამაგალითოსაც კი ვუნწოდებდი. სულ

მოკლედ რომ ჩამოვაცალობო, ეს გახლდათ წინააღმდეგობა ესთეტიკასა და მორალს შორის, რაც იმ ეპოქის კულტურულ დიალექტიკაში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა და რაც მეტ-ნაკლებად გაპიროვნებული იყო ამ ორ ახალგაზრდაში: დავა „სიცოცხლისა“ და მისი მყვირალა თვითდაჯერებულობის ორთოდოქსულ განდიდებასა და ტანჯვის – მისი სიღრმისა და სიბრძნის – პესიმისტურ თაყვანისცემას შორის. შეიძლება ითქვას, რომ თავის შემოქმედებით სათავეში ამ წინააღმდეგობამ მთლიანი პიროვნება წარმოშვა და მხოლოდ უამთა ვითარებაში დაიშალა ერთიმეორეს დაპირისპირებულ უკიდურესობებად. დოქტორი ინსტიტორისი იყო – ღმერთო, შეგცოდე -მეთქი! – არ შემოიძლია არ ჩავურთო, – სისხლითა და ხორციით რენესანსის ადამიანი, ხოლო ინეს როდე პესიმისტური მორალიზმის ალალი პირმშო. სამყაროზე, რომელიც „სისხლით და მშვენიერებით ხრჩოლავდა“, ინესს სულაც არ შესტკიოდა გული, ხოლო რაც „ცხოვრებას“ შეეხებოდა, ქალიშვილი ხომ სწორედ მისგან ეძიებდა თავშესაფარს მკაცრად ბიურგერულ, დარბაისლურსა და მატერიალურად უზრუნველყოფილ ქორწინებაში; ოჯახი ამარიდებსო ცხოვრების ქარტეხილებს. ბედის ირონია გახლდათ, რომ კაცი – ანდა კაცუნა, რომელსაც თითქოს სურდა მისთვის ეს თავშესაფარი მიენიჭებინა, ასე გატაცებული იყო მშვენიერი ბიწიერებითა და სანამლავით მკვლელობების იტალიელი ოსტატებით.

ვეჭვობ, მსოფლმხედველობრივი პაექრობა ჰქონოდათ, როცა მარტონი რჩებოდნენ. მაშინ ალბათ უფრო კონკრეტულ და ახლობელ რამეებზე ლაპარაკობდნენ და უბრალოდ ამონებდნენ, როგორ შეეწყობოდნენ ერთმანეთს, თუ ნიშნობა მოხდებოდა. ფილოსოფია უფრო საზოგადოებრივ თავყრილობათა საუბრის საგანი გახლდათ, და მე მართლაც მაგონდება მრავალი შემთხვევა, როდესაც ფართო წრეში საუბრისას, გაშლილ სუფრასთან იქნებოდა ეს, თუ სამეჯლისო დარბაზში, მათი შეხედულებანი ერთმანეთს შესჯახებინან. ინსტიტორისი, მაგალითად, ამტკიცებდა, რომ დიად ნაწარმოებთა შექმნა მარტო ძლიერ და უხეშ ვნებათა ადამიანებს ძალუძთ, ინესი კი, პირიქით, შეესიტყვებოდა ხოლმე: ხშირად ყოფილა, რომ ხელოვნებაში დიადი რამ სწორედ უაღრესად ქრისტიანული სულისკვეთების მქონეთ, სინდისის ქენჯნისაგან ქედმოდრეკილთ, ტანჯვისაგან გაფაქიზებულთ და ცხოვრებისაგან დაზაფრულთ შეუქმნიათო. ამგვარი ანტითეზების აგება მე ფუჭ საქმიანობად მიმაჩნდა, თითოეული მათგანი რომელიღაც ეპოქას

ეხმაურებოდა და საერთოდ კი სინამდვილეს სრულიად არ შეეფერებოდნენ, სახელდობრ, იმ იშვიათად განხორციელებადსა და, რასაკვირველია, მუდამ საჭირობოროტო წონასწორობას სიცოცხლისუნარიანობასა და უძღურებას შორის, რაშიც გენია ვლინდება. მაგრამ აქ ხომ ერთი უკიდურესობა იმას განასახიერებდა, რაც ინსტიტორისი იყო, სახელდობრ, ავადმყოფურობას, ხოლო მეორე კი იმას, რასაც ის ეთაყვანებოდა, სახელდობრ ძალას, და ამიტომ ჩარევად არა ღირდა.

ერთხელ, მახსოვს, ერთად ვისხედით (ჩვენთან იყვნენ აგრეთვე კნოტიერიჰები, ცინკი და შპენგლერი, შილდკნაპი და მისი გამოცემელი რადბრუზი). ჰოდა, მეგობრული კამათი ატყდა, ოღონდ შეყვარებულთა შორის კი არა, — ამიერიდან ალბათ უკვე შეიძლებოდა მათი ასე მოხსენიება, — არამედ, ლამის კომიკურად, ინსტიტორისსა და რუდი შვერტფეგერს შორის, რომელიც ჭაბუკ მონადირედ მოხდენილად გამოიწყობილი ის-ის იყო შემოგვიერთდა. დანამდვილებით აღარ მახსოვს, რაზე გვექონდა საუბარი. ყოველ შემთხვევაში აზრთა სხვაობა შვერტფეგერის სრულიად უწყინარმა შენიშვნამ გამოიწვია, რომელიც სხვათა შორის წარმოთქვა და შეიძლება სრულიად ანგარიშმიუცემლადაც კი. იგი, როგორც მახსოვს, „დამსახურებას“ შეეხებოდა, ბრძოლით მოპოვებულს, მიღწეულს, ნებისყოფის დაძაბვითა და საკუთარი თავის დაძლევის გზით ნაღვანს, და რუდოლფს, რომელმაც სულითა და გულით შეაქო მუყაითობა და ეს თვისება ღირსებად მიიჩნია, ვერა და ვერ გაეგო, რატომ დაესხა ინსტიტორისი ერთბაშად თავს და არ სურდა ოფლის ღვრით მოპოვებული წარმატება დამსახურებად მიეჩნია. მშვენიერების თვალსაზრისით, — დასძინა მან, — ნებისყოფა კი არ არის საქებარი, არამედ ნიჭი და დამსახურებადაც მარტო ის უნდა იქნეს მიჩნეულიო. წლებზე ფეხის დადგმა ბრბოსათვის არის დამახასიათებელი, კეთილშობილი და ამიტომ საპატიოც მარტოდენ ის გახლავთ, რაც ინსტიტურია, უნებლიეთ და იოლად არის შექმნილიო. უნდა ითქვას, რომ კეთილი რუდი სულაც არ იყო მედგარი გმირი და მთელი სიცოცხლე მხოლოდ იმას აკეთებდა, რაც იოლად გამოსდიოდა, როგორც ის, მაგალითად, რომ ვიოლინოს ჩინებულად უკრავდა. მაგრამ თანამოსაუბრის შესიტყვებამ მაინც გააღიზიანა და თუმცა ბუნდოვნად გრძნობდა, რომ ამას რალაც „ამაღლებული“, მისთვის გაუგებარი საბავბი ედო სარჩულად, მაინც არ ისურვა მას შერიგებოდა. აღშფ-

ოთებისაგან ტუჩებგამობერილი მისჩერებოდა ინსტიტორის სახეში და ლურჯი თვალებით ხან მარჯვენა თვალს უბურღავდა და ხან მარცხენას.

— არა, ეს როგორ, ეს ხომ აბსურდია, — თქვა მან არცთუ რიხიანად და თამამად, რითაც იგრძნობოდა, მაინცდამაინც დარწმუნებული არ იყო თავის სიმართლეში, — დამსახურება დამსახურებაა, ხოლო ნიჭი — სწორედ რომ დამსახურება არ არის. აი შენ სულ მშვენიერებაზე ლაპარაკობ, დოქტორ, ჰოდა, განა მშვენიერი არ არის, როდესაც ვინმე თავის თავს აჭარბებს და უკეთ აკეთებს რამეს, ვიდრე ამის უნარი ბუნებამ მოამადლა? შენ რას იტყვი, ინეს? — მიმართა დახმარებისთვის ქალიშვილს და ამ შეკითხვით სრული მიამიტობა გამოამყვანა; მას წარმოდგენაც არ ჰქონდა, რომ ამგვარ რამეებში ინეს როდეს აზრი პრინციპულად ეწინააღმდეგებოდა ჰელმუტის თვალსაზრისს.

— შენ მართალი ხარ, — მიუგო ქალიშვილმა და ოდნავ შეუფაკლდა სახე. — ყოველ შემთხვევაში მე მიმაჩნია, რომ მართალი ხარ. ნიჭი გვახარებს, მაგრამ სიტყვა „დამსახურება“ ალტაცებასაც მოიცავს, რისი ღირსიც ნიჭი და საერთოდ ყოველივე ინსტინქტური არ შეიძლება იყოს.

— ესეც შენ! — შესძახა მოზეიმედ შვერტფეგერმა, ინსტიტორის-მა კი სიცილით მიუგო:

— ჰო, მეტი რალა გინდა, გაგიმართლა.

მაგრამ აქ იყო რალაც უჩვეულოც, რაც არ შეიძლებოდა ალბათ გაკვრით მაინც ყველას არ ეგრძნო და რაზეც ისიც მოწმობდა, რომ ინესს სინითლემ მაშინვე არ გადაუარა. მისთვის დამახასიათებელი იყო, რომ ამ და ყველა სხვა ამის მსგავს საკითხში თავის საქმროს არ ეთანხმებოდა, მაგრამ დამახასიათებელი არ იყო, რომ „ბიჭუნა“ რუდოლფს დაეთანხმა. რუდიმ ხომ სრულეზით არ იცოდა, ამორალიზმი რა ხილი იყო. ხოლო განა შეიძლება იმას ხელალებით დაეთანხმო, ვისაც საპირისპირო თეზისი არ ესმის — ყოველ შემთხვევაში მანამდე მაინც, ვიდრე აუხსნიდე? ინესის მსჯელობაში, ლოგიკური ბუნებრიობისა და გამართლებულობის მიუხედავად, მაინც იყო რალაც უცნაურიც და ეს, მე რომ მკითხვით, გახაზა სიცილიმა, რომლითაც მისი და კლარისა შეხვდა შვერტფეგერის დაუმსახურებელ გამარჯვებას — ეს მოკლენიკაპიანი ამაყი ასული, რომელსაც არ გამოეპარებოდა, როცა უპირატესობა თავის ღირსებას კარგავდა იმ მიზეზთა

გამო, რომელთაც არაფერი არ ესაქმებოდათ უპირატესობასთან, და თან მტკიცედ სჯეროდა, რომ თვითონ ამით საკუთარ ღირსებას არა კარგავდა.

— ჰოპლა! — შესძახა მან. — აბა, რუდოლფ, მადლობა გადაუხადე! ფეხზე წამოდექ, ჭაბუკო, და თაყვანი ეც! ნაყინი მოართვი შენს მხსნელს და მომდევნო ვალსზე გაიწვიე!

ასე იქცეოდა ყოველთვის. ძალიან ამაყად უდგა მხარში თავის დას და მუდამ „ჰოპლა“ ეკერა პირზე, როცა საქმე ინესის ღირსებას შეეხებოდა. „ჰოპლას“ ეუბნებოდა ხოლმე ინსტიტორისსაც, სასიძო კაცსაც, როცა კავალრობაში სიზანტეს ან მიუხვედრელობას გამოიჩენდა. საერთოდ, სიაპაყის გამო, მუდამ უპირატესობის მქონის მხარე ეჭირა, მეურვეობდა მას და დიდად უკვირდა, როცა უპირატესობას იმნამსვე საკადრისს არ მიუზღავდნენ. „როცა ასეთ ადამიანს რალაც სნადია შენ გან, — თითქოს სურდა ეთქვა, — უნდა გასკდე და მაინც გააკეთო“. კარგად მახსოვს, ერთხელ შვერტფეგერს ადრიანის გულისთვისაც როგორ უთხრა „ჰოპლა!“ ლევერკიუნმა ცაჟფენშტოსერ-ორკესტრის კონცერტთან დაკავშირებით რალაც სურვილი გამოთქვა (მგონი, ბილეთი უნდოდა ჟანეტ შოირლისათვის), შვერტფეგერს კი თხოვნის შესრულება ეზარებოდა და ხან რას იმიზეზებდა და ხან რას.

— ეჰე, რუდოლფ! ჰოპლა! — შესძახა ქალმა. — ღვთის გულისათვის, ეს რა ამბავია! სახრე ხომ არ გჭირდებათ?

— არა, რას ამბობთ, სრულებითაც არა მჭირდება, — მიუგო ვაჟმა, — მე, რა თქმა უნდა... ოლონდ...

— „ოლონდ“ არ გამაგონოთ, — შეაგება კლარისამ ქედმაღლურად, ნახევრად ხუმრობით და ნახევრად სერიოზულად დატუქსვით. ადრიანსაც და შვერტფეგერსაც გაეცინათ, ხოლო ამ უკანასკნელმა, როგორც სჩვეოდა, პატარა ბიჭივით ცალი მხარი აიჩეჩა, პირის კუნჭული შეათამაშა და ყველაფერს მოვავარებო, დაჰპირდა.

ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს კლარისა რუდოლფში მაძიებლის მსგავს ვილაცას ხედავდა, რომელიც „უნდა გასკდეს და მაინც გააკეთოს“. მართლაც ისიც ხომ ერთთავად იმის ცდაში იყო, თანაც ყოვლად მიამიტური ნდობითა და თავდადებით, როგორმე ადამიანის კეთილგანწყობილება მოეპოვებინა. ნამდვილი მაძიებლის შესახებ კი, ვინც მისი დის ცოლობას ეძიებდა, ხშირად მე მეკითხებოდა, ჩემი აზრი აინტერესებდა, რასაც სხვათა შორის მისი დაც სჩადიოდა, ოლონდ უფრო ფაქიზად, უფრო გაუბედავად, გად-

მოდგამდა ნაბიჯს და მაშინვე უკან იხევდა, თითქოს სურდა კიდევ რამე გაეგო და არც სურდა კიდევ. ორივენი მენდობოდნენ, ესე იგი, როგორც ჩანს, მიაჩნდათ, რომ უნარი შემწევდა და უფლებამოსილადაც მთვლიდნენ, სხვები შემეფასებინა, რისთვისაც ყოველ შემთხვევაში, ბოლომდე სანდო რომ იყო, თამაშში არ უნდა მონაწილეობდე, შეუბღალავი ნეიტრალიტეტია საჭირო. ნდობით აღჭურვილი პირის როლი მუდამ საამურიც არის და მტკივნეულიც, რადგან მას მუდამ მარტო იმ პირობით ასრულებ, რომ შენ სათვალავში არა ხარ, – რამდენად უკეთესია, – მითქვამს ხშირად საკუთარი თავისთვის, – ქვეყნიერებას ნდობა ჩაუნერგო, ვიდრე ვნებები გაუღვივო! რამდენად უკეთესია „კეთილად“ მოაჩვენო თავი, ვიდრე მშვენივრად-მეთქი!

„კეთილი ადამიანი“ ინესის თვალში ალბათ ისეთი ადამიანი გახლდათ, რომელიც ქვეყანას წმინდა მორალურ მიმართებაში აღიქვამს და არა ესთეტიკურად შეფერილს. ამიტომ მენდობოდა მეც. ოღონდ უნდა მოგახსენოთ, რომ დებს მთლად ერთნაირად როდი ვუნწევდი კონსულტაციას და ჩემს აზრებს ინესის საქმროს შესახებ მცირეოდენ ვუხამებდი შემეკითხავის პიროვნებას. კლარისასთან საუბრისას ბევრად უფრო მეტ თავისუფლებას ვიჩენდი, ფსიქოლოგივით ვარჩევდი იმ მოტივებს, რომლებითაც შეიძლებოდა მისი (სხვათა შორის, არცთუ ცალმხრივი) ჭოჭმანი ყოფილიყო გამონგეული და არ ვერიდებოდი, ქალიშვილის თანხმობით, რასაკვირველია, ცოტაოდენი მეოხუნჯა კიდევ „უხეშ ინსტინქტთა“ გამღმერთებელ წრიპუკელაზე. ხოლო როცა თვითონ ინესი მეკითხებოდა, მაშინ სხვაგვარად იყო საქმე. მაშინ ანგარიშს ვუნწევდი იმ გრძნობებს, რომელთა არსებობაც ფორმალურად მაინც უნდა დამეშვა, უნდა მეგულისხმა, რომ ქალიშვილი მათ განიცდიდა, თუმცა, კაცმა რომ თქვას, მათი ნამდვილად არსებობისა არა მჯეროდა, ესე იგი უფრო იმ გონივრული მოსაზრებებისათვის უნდა გამენია ანგარიში, რომელთა საფუძველზე ქალიშვილი, როგორც ჩანდა, ამ კაცს ცოლად გაჰყვებოდა. ამიტომ თავშეკავებითა და პატივისცემით ვლაპარაკობდი ინსტიტორისის სოლიდურ ღირსებებზე, ცოდნაზე, ადამიანურ სისპეტაკეზე, საუცხოო მომავალზე. იოლი ამბავი როდი იყო ჩემი სიტყვებისათვის საკმაო სითბოც დამეყოლებინა და თან არც გადამეჭარბებინა, ვინაიდან თანაბრად საპასუხისმგებლო საქმედ მიჩვენებოდა, ისედაც დაეჭვებული ქალიშვილისათვის ეჭვები კიდევ უფრო გამელვივებინა და იძულებული გამეხადა გული აეცრუებინა ნავსაყუდელზე,

რომელსაც მიეღწეოდა, ანდა პირიქით, ჩამეგონებინა, მიუხედავად ამ ეჭვებისა, ახალ ჭერს მაინც შეაფარე თავი-მეთქი. უფრო მეტიც, ჟამიდან ჟამზე, ერთი განსაკუთრებული მიზეზის გამო, დაყოლიება უფრო საპასუხისმგებლოდ მეჩვენებოდა, ვიდრე იმის თქმა: არ გირჩევ-მეთქი.

უმეტესწილად მალე შეწყვეტდა ხოლმე ჰელმუტ ინსტიტორისზე გამოკითხვას და თანდათან აფართოებდა ნდობის სფეროს, ასე ვთქვათ, განაზოგადებდა მას და ჩვენი წრის ზოგიერთ სხვა წევრზეც სურდა ჩემი აზრის მოსმენა, მაგალითად, ცინკსა და შპენგლერზე, ანდა — კიდევ ერთ პიროვნებას თუ დავასახელებ — შვერტფეგერზე. სურდა შეეტყო, რას ვფიქრობდი მის დაკვრაზე, ვცემდი თუ არა პატივს და რამდენად, რა წილი ედო ამ პატივისცემაში სერიოზულ მოტივებსა და რა — იუმორს. მეც რაც შემეძლო საგულდაგულოდ ავწონ-დავწონიდი ხოლმე პასუხს, ვცდილობდი რაც შეიძლება სამართლიანი ვყოფილიყავი, ზუსტად ისევე, როგორც ამ ჩანაწერებში ვლაპარაკობდი რუდოლფზე, და ქალიშვილიც ყურადღებით მისმენდა, ჩემს მეგობრულ ქება-დიდებას საკუთარ შენიშვნებს ურთავდა, რომელთაც ახლა უკვე მე ვუკრავდი კვერს, თუმცა, ცოტა არ იყოს, მაკრთობდა მისი გამჭრიახობა — ტანჯული სულის გამჭრიახობა, რაც ინესის ხასიათის გამო, ცხოვრებაზე მისი უნდობლობით დაქუფრული თვალსაზრისის გამო, გასაკვირი არც იყო, მაგრამ ამ შემთხვევაში მაინც ცოტათი უცნაურად მეჩვენებოდა.

ისე კი, ბოლოს და ბოლოს, არც რაიმე სასწაული არ გახლდათ, რომ ქალიშვილი, რომელიც ამ სანდომიან ყმანვილ კაცს ჩემზე ბევრად ადრე იცნობდა და ისევე, როგორც მისი და, ძმასავით ეკიდებოდა, ჩემზე უკეთაც ამოეცნო და შინაურულ საუბარში უფრო ზედმინივნითაც დაეხასიათებინა.

— შვერტფეგერი უმანკო კაცია, — მითხრა ინესმა ერთხელ (მან ეს სიტყვა კი არ იხმარა, არამედ რომელიღაც სხვა, უფრო სუსტი, მაგრამ ნათელი იყო, რომ ამას გულისხმობდა), — სპეტაკი კაცია. ამიტომაც, რომ ნდობა სჩვევია, სისპეტაკემ ნდობა იცის (გულის ამარჩუყებლად გაისმა ეს სიტყვა მისი ბაგიდან, რადგან თვითონ ხომ სულაც არ უყვარდა ნდობა. მე ვყავდი ამ მხრივ გამონაკლისი). — სასმელს არ ეტანება. მუდამ მარტო ოდნავ დაშაქრულ ჩაისა სვამს უნაღებოდ, ოღონდ სამჯერ დღეში კი, — და არც ენევა — ათასში ერთხელ თუ გააბოლებს, ისიც შემთხვევა თუ მოიტანს, დაჩვეული კი სრულებით არ არის. ვაჟკაცის ამ გამაბრუებელი

საშუალებების ადგილი (მგონი, სწორად მახსოვს, ასე თქვა), ამ ნარკოტიკული საშუალებების ადგილი მასთან არშიყობას უჭირავს, რასაც სულითა და გულით ასდევს, რისთვისაც არის დაბადებული, და არა სიყვარულისა და მეგობრობისთვის, ვინაიდან ერთიცა და მეორეც მისი ბუნების გამოისობით მაშინვე თვითდინებით გალანტობად გადაიქცეოდა. თავქარიანი ჯეელია? ჰოცა და არაც. ოღონდ, რა თქმა უნდა, ბანალურ-ვულგარული გაგებით არა. საკმარისია, თუნდაც ფაბრიკანტ ბულინგერს შევადართოთ, რომელსაც სიმდიდრით ასე მოაქვს თავი და დამცინავად ღლინებს რა:

სჯობს მჩქეფარე სისხლი, მხიარული გული,

ვიდრე ბევრი ოქრო, ქონება და ფული. —

მარტო ის უნდა, რომ ხალხს უფრო შეშურდეს მისი სიმდიდრე, და მაშინვე საცნაური გახდება განსხვავება. მაგრამ მისი ღირსებების შემჩნევასა და შეგნებას აძნელებს მისი სანდომიანობა, კოკეტობა, პრანჭიაობა, საზოგადოებაში თავის გამოჩენის სიყვარული, რაც კაცმა რომ თქვას, მართლაც საშინელი რამ არის. — და შემდეგ შემეკითხა: — რას ფიქრობთ, ხელოვანთა მთელი ეს მხიარული და მორთულ-მოკაზმული ყოფა-ცხოვრება, აქ, ჩვენს ქალაქში, მაგალითად, ის ნატიფი ბიდერმაიერისეული ზეიმი კლუბ „კოკოჩელოში“, ამას წინათ ჩვენც რომ ვიყავით, განა სავალალო კონტრასტი არ არის ჩვენს ცხოვრებასთან? განა თქვენც არ გაძრწუნებთ ის სულიერი სიცარიელე და არაარობა, რომელიც მეფობს ყოველ ასეთ მორიგ „წვეულებაზე“ და რაც მღალაღებელ წინააღმდეგობაშია იმ ციებ-ცხელების მაგვარ მღელვარებასთან, ღვინო, მუსიკა და ადამიანთა დამოკიდებულების ფარული ემანაცია რომ აღძრავს ასეთ თავყრილობებზე? ზოგჯერ თვალნათლივ შეგიძლიათ ნახოთ, როგორ ესაუბრება ვიღაცას ვიღაც, მექანიკურად იცავს რას საზოგადოებაში მიღებულ ნორმებს, და თან გონება კი სულ სხვაგანა აქვს, სულ სხვა პიროვნებას ადევნებს თვალყურს... და თან როგორ იცვლის ხოლმე ნირს მთელი სანახაობა, თანდათან როგორ მატულობს უნესრიგობა და „წვეულების“ ბოლოს ვტირი ხოლმე ლოგინში ასეთი თავყრილობის შემდეგ...

ასე ლაპარაკობდა, უფრო თავის ზოგად საზრუნავსა და კრიტიკულ მოსაზრებებს მიზიარებდა, რუდოლფი კი თითქოს აღარც ახსოვდა. მაგრამ, როდესაც ისევ მას მიუბრუნდა, ნათელი შეიქნა, რომ ამ შუაღედშიც ის თვალწინ ედგა.

— როცა საზოგადოებაში მის დარდიმანდულ საქციელზე ვლაპარაკობ, — დასძინა ქალიშვილმა, — მე სრულიად უწყინარი რამა მაქვს მხედველობაში, რაზეც ადამიანს შეიძლება გაცეცხოს კიდეც, მაგრამ ზოგჯერ მაინც ასეთი რამ მელანქოლიურად განგანყობს. ასე, მაგალითად, წვეულებაზე ყოველთვის ბოლო მოდის, მოთხოვნილება აქვს სხვები ალოდინოს, სურს მუდამ სხვები უცდიდნენ. შემდეგ ხარკს უხდის რა კონკურენციას, საზოგადოებრივ მოშურნეობას, ერთი ამბით ჰყვება, რომ გუშინ აქა და აქ იყო, ლანგვიშებთან, თუ რა ვიცი, კიდეც რა გვარები არიან მისი მეგობრები; როლვაგენებთან, რომელთაც ორი ჯიშისანი ქალიშვილი ჰყავთ (მარტო სიტყვა „ჯიშისანის“ გაგონებაზე უკვე შიში და ძრწოლა მიპყრობს). თან სხვათა შორის მოიხსენიებს ხოლმე, თითქოს იბოდიშებდეს: — რა ვქნა, მათთანაც ათასში ერთხელ მაინც ხომ უნდა გამოვჩნდეო. მე კი დარწმუნებული ვარ, იმათთანაც იმასვე ამბობს, რასაც ჩვენთან, რადგან ყველას სურს ჩააგონოს: სხვებზე უკეთ შენთანა ვგრძნობ თავსაო. თითქოს ყოველი ჩვენგანისათვის ძალზე არსებითი იყოს ეს ამბავი. თუმცა ასე რომ დარწმუნებულია, ყველას სიამოვნებას ვანიჭებო, გადამდებიც გახლავთ. მოვა ხუთ საათზე, ჩაიზე, და იტყვის: აქა და აქ დავეპირდი, ექვსის ნახევრიდან ექვსამდე მანდ ვიქნებიო, ლანგვიშებსა თუ როლვაგენებს, რაც მტკნარი ტყუილია. შემდეგ დარჩება შვიდის ნახევრამდე, ნიშნად იმისა, რომ ჩვენთან უფრო უყვარს ყოფნა, ვერა გვეცილდება, ხოლო სხვებმა დაე უცადონ... თან ეჭვიც არ ეპარება, რომ ჩვენც გვიხარია, რომ ყველას უნდა ახარებდეს ეს ამბავი.

ორივეს გაგვეცინა, მაგრამ თავშეკავებით, რადგან ქალიშვილს შუბლი მაინც არ გახსნია. თან ისე ლაპარაკობდა, თითქოს საჭიროდ მიაჩნდა — ან იქნებ მართლაც საჭიროდ მიაჩნდა? — შვერტფეგერის მამებლობის გამო გავეფრთხილებინე, ესე იგი, რომ ამისათვის ერთობ დიდი მნიშვნელობა არ მიმეცა. მისი თავაზიანობა ჩალადაც არ ღირსო. ერთხელ შემთხვევით შორიდან სიტყვასიტყვით გავიგონე, როგორ ეპატიჟებოდა ერთ ადამიანს, რომლის მიმართაც, დარწმუნებული ვარ, სრულიად გულგრილი იყო, კიდეც დარჩით, ნუ მიგვატოვებთო, ისიც საამური, შინაურულ-ხალხური გამოთქმებით: — კაი რა, ნუ მიხვალთ, დარჩით, თქვენი ჭირიმეო! — და მას შემდეგ ჩემთვის მის ფარისევლობას ფასი აღარა აქვს, თუმცა ხშირად მელაციცება, და თქვენც შეიძლება ასევე შემოგინდეთო.

მოკლედ, გულდანყვეტილ ქალიშვილს აღარ სჯეროდა რუდის სერიოზულობის, ეჭვით ეკიდებოდა, როცა ის ვინმეს მიმართ კეთილ განწყობილებასა და ყურადღებას იჩინდა, თუნდაც, მაგალითად, აუადმყოფის სანახავად მისულიყო.

— ეს ყოველივე, როგორც მომავალში ალბათ თქვენ თვითონაც დარწმუნდებით, მხოლოდ და მხოლოდ “მამებლურად” კეთდება, რადგან რუდის მიაჩნია, რომ ასე ჯერ არს, რომ საზოგადოებაში ეს მიღებულია და არა შინაგანი მისწრაფების გამო; ამ მხრივ თავი არ უნდა მოვიტყუოთ. მისგან ნამდვილი უხამსობაც არის მოსალოდნელი, როგორიცაა, მაგალითად, ამაზრზენი შეძახილი: — უბედურები, რამდენიც გინდათ, უკვე იმდენნი არიანო! საკუთარი ყურით მოვისმინე მისგან ეს სიტყვები. ვილაყამ ხუმრობით გააფრთხილა: ის ქალიშვილი, თუ არ ვიცვი, შეიძლება გათხოვილ ქალზეც იყო ლაპარაკი, არ გააუბედუროო, და მან კი თავხედურად მართლაც ასე მიუგო: — ეჰ, უბედურები, რამდენიც გინდათ, უკვე იმდენნი არიანო! ოღონდ, რა თქმა უნდა, აქ მხოლოდ ეს იგულისხმება: ღმერთი იყოს ყოველი მათგანის შემწე! რა სასაცილო და სამარცხვინო ამბავია მათ რიცხვს ეკუთვნოდეთ!

ისე კი, არ მინდა მეტისმეტი სიმკაცრე გამოვიჩინო, — მე მგონი, სიტყვა “სამარცხვინო” ერთობ მწვავე იყო. ცუდად არ გამიგოთ: რუდოლფს, ეჭვს გარეშეა, ბევრი კეთილშობილური თვისებაც აქვს. ზოგჯერ ნვეულებაზე ერთი ხმადაბალი პასუხით, ერთადერთი ნყნარი, მაგრამ მრავლისმეტყველი შეხედვით. შეიძლება გამოარკვიოთ ჩვეულებრივი ზარზეიმიანი განწყობილებიდან, უფრო სერიოზულ გუნებაზე დააყენოთ. ოჰ, ზოგჯერ მართლაც ასე გგონია ადამიანს, რომ არაჩვეულებრივად ადვილია მასზე ზეგავლენის მოხდენა. ლანგვიშები, როლვაგენები და ვინ უწყის, რა გვარები არიან კიდევ ისინი, მაშინ მხოლოდ აჩრდილები და ფიტულები ხდებიან მისთვის. მაგრამ ისიც მართალია, რომ საკმარისია სხვა ჰაერი ჩაისუნთქოს, სხვათა ზეგავლენის ქვეშ მოექცეს, რომ ნდობა და ურთიერთგაგება სრულმა გაუცხოებამ შეცვალოს და თქვენ შორის გადაულახავი უფსკრული გაჩნდეს. რუდი გრძნობს ხოლმე ამას, რადგან ალღო როდი აკლია, ნანობს და ცდილობს საქმე გამოასწოროს. სასაცილო და გულის ამარწყებელია, როცა ძველი ურთიერთობის აღსადგენად რომელიმე მეტ-ნაკლებად მოსწრებულ სიტყვას, რომელიც ოდესმე შენ თვითონ გითქვამს ანდა წიგნიდან რაიმე შემთხვევასთან დაკავშირებით მოგიტანია, აიკვიატებს და იმეორებს

ნიშნად იმისა, რომ ისევ ახსოვს და მაღალ სფეროებშიც ერკვევა. არსებითად კი ეს სავალალო ამბავია. დაბოლოს, როგორი დამშვიდობება იცის, როცა წვეულებიდან მიდის — ალბათ ამაშიც მონანიებისა და შეცდომის გასწორებისათვის მზადყოფნა ვლინდება. მოვა და გეთხოვება, რალაცას მიედ-მოედება, რომელიღაც კილოკავზე ისე უქცევს, რომ სახე გექმუხნება და, დაღლილი თუ ხარ, შეიძლება განწყენდე კიდევ. მას შემდეგ, რაც ახლა სხვებსაც სათითაოდ ჩამოართმევს ხელს, კიდევ ერთხელ მოგიბრუნდება და „ადიოს“ გეუბნება უკვე უბრალოდ, გულითადად, რაზეც, რასაკვირველია, პასუხის გაცემა უფრო საამურია. ასე აღწევს კეთილ დასასრულს, რადგან კეთილი ბოლო მას სჭირდება. შემდგომ ორ წვეულებაზეც, ამის შემდეგ რომ მოასწრებს შევლას, ალბათ ასევე იქცევა...

საკმარისია? ეს ხომ რომანი არ გახლავთ, რომლის შეთხზვისას ავტორი მკითხველს თავის პერსონაჟთა გულს არაპირდაპირ გადაუშლის ხოლმე, სცენური წარმოსახვის გზით. ვითარცა ბიოგრაფს, მე მმართვეს საგნები უშუალოდ მათი სახელებით მოვიხსენიო და მარტო დავადგინო ის სულიერი ფაქტორები, ჩემი გმირის ცხოვრებაზე ზეგავლენა რომ მოახდინეს. მაგრამ იმ თავისებურ მსჯელობათა შემდეგ, რაც ჩემმა მეხსიერებამ ეს-ეს არის მიკარნახა, — მე ვიტყვოდი, სპეციფიკურად მწვავე მსჯელობათა შემდეგ, ფაქტი, რომელიც ახლა უნდა გამცნოთ, ალბათ ეჭვს აღარ დაბადებს. ინეს როდეს უყვარდა ქაბუკი შვერტფეგერი, და აქ მხოლოდ ორი კითხვა შეიძლებოდა გასჩენოდა კაცს: ჯერ ერთი, იცოდა თუ არა ეს ქალიშვილმა და, მეორეც, როდის, რა დროიდან შეიძინა მევიოლინესადმი დაძმურ-ამხანაგურმა დამოკიდებულებამ ესოდენ მხურვალე და მტანჯველი ხასიათი.

პირველ კითხვაზე დადებითად ვუპასუხებდი. ისეთი ნაკითხი და, შეიძლება ითქვას, ფსიქოლოგიურად გათვითცნობიერებული, თავის განცდათა პოეტურად დამკვირვებელი ქალიშვილი, როგორიც ინესი იყო, რასაკვირველია, მაშინვე მიხვდებოდა, რაც იყო მის თავზე, რაგინდ მოულოდნელი და დაუჯერებელიც კი მოსჩვენებოდა თავდაპირველად ეს ამბავი. მოჩვენებითი მიაშიტობა, რითაც გული გადამიშალა, იმას როდი მიუთითებდა, რომ არაფერი არ უწყოდა. რადგან ის, რაც გულუბრყვილობად ჩანდა, ნაწილობრივ გამოხატავდა ვინმესთვის გულის განდობის დაუძლეველ მოთხოვნილებას, ნაწილობრივაც — რომ მე შენდობოდა და ამას ძალზე თავისებურად ნიღბავდა: ქალიშვილს რომ თავი რამდენადმე ისე ეჭირა, თითქოს

საკმაოდ უემშაკოდ მივაჩნდი საიმისოდ, რომ ვერაფერს ვერ მივმხვდარიყავი, რაც აგრეთვე თავისებური ნდობა გახლდათ, არსებითად კი იცოდა, რომ სიმართლე არ გამომეპარებოდა და სურდა კიდევ არ გამომეპარვოდა, რადგან ჩემდა საამაყოდ სწამდა: მე რომ საიდუმლოს გამანდობდა, ის საიმედოდ იქნებოდა დაცული. ეს უტყუარი რამ იყო. მას შეეძლო დარწმუნებული ყოფილიყო ჩემს ჰუმანურსა და უტყვე თანაგრძნობაში, მიუხედავად იმისა, რომ ასე ძნელია მამაკაცისათვის ქალის სულისკვეთება წარმოიდგინოს, რომელიც მამრობით ინდივიდუუმზე იწვის და იდაგვის. რასაკვირველია, ჩვენთვის გაცილებით იოლია იმ გრძნობებში გავერკვეთ, რასაც მამაკაცი განიცდის ქალის მიმართ, თუნდაც ამ ქალის მიმართ გულგრილნი ვიყოთ, ვიდრე ჩვენი თავი იმ ქალის ადგილას წარმოვიდგინოთ, რომელიც ჩვენი სქესის პიროვნებით არის მოხიბლული. კაცმა რომ თქვას, ამის "გაგება" შეუძლებელია, ამას უბრალოდ მომხდარ ფაქტად იღებენ, ობიექტური პატივისცემით ეკიდებიან რა ბუნების კანონს, — თანაც, როგორც წესი, კაცს უფრო კეთილგანწყობილად და შემწყნარებლურად უჭირავს თავი ამგვარ შემთხვევებში, ვიდრე ქალს, რომელიც შეიტყობს თუ არა, რომ მისივე სქესის არსებამ ვიღაც კაცს გულში ტრფობის ცეცხლი დაუნთო, მაშინვე ავი თვალით დაუნყებს ხოლმე ცქერას, თუნდაც თვითონ სულაც არ ექაშნიკებოდეს ის კაცი.

ამრიგად, მეგობრის გულისხმიერება და კეთილი ნება მე არ მაკლდა, თუმცა ბუნების ძალით მოკლებული ვიყავ ქალიშვილის გრძნობებს ჩვენდომოდი, მათი ანალოგიურად განცდის თვალსაზრისით. ღმერთო ჩემო, პატარა შვერტფეგერი! სახის მოყვანილობა ხომ, ბოლოს და ბოლოს, ცოტათი მოჰსს მიუგავდა, ყრუ ხმა ჰქონდა და უფრო ბიჭსა ჰგავდა, ვიდრე ვაჟკაცს, — თუმცა აიამოვნებით აღვნიშნავ აგრეთვე მისი თვალების ლამაზ სილურჯეს, სწორად მოყვანილ ტანს, წარმტაცად დაკვრას ვიოლინოზე, სტვენას და, საერთოდ, მიზიდველობას. მამ ასე, ინეს როდეს უყვარდა ვაჟი, ბრმად არა, მაგრამ უფრო მტანჯველი განცდებით; გუნებაში მე ამას ისევე ვეკიდებოდი, როგორც მისი დამცინავი, მოპირდაპირე სქესის მიმართ მუდამ ქედმაღლურად განწყობილი და კლარისა, მეც ამიტანდა ხოლმე წადილი ვაჟისთვის "ჰოპლა!" მეთქვა: — ჰოპლა, კაცო, რაღას ელოდები? თუნდაც გასკდი, ოღონდ სიკეთე ქეწი-მეთქი!

ოღონდ გასკდომა და "სიკეთის ქნა", თუნდაც რუდოლფს ეს თავის მოვალეობად შეერაცხა, აგრერიგად იოლი არ იყო. რადგან მათ შო-

რის ჰელმუტ ინსტიტორისი იდგა, სასიძო თუ სასიძო in spe*, ინსტიტორისი, საცოლის მაძიებელი, — და აქ მე ისევ უკან ვუბრუნდები კითხვას: როდის მოხდა, რომ ინესის დამძური დამოკიდებულება რუდოლფთან სიყვარულში გადაიზარდა? ჩემი ადამიანური ალლო მეუბნებოდა: ეს მაშინ მოხდა, როცა დოქტორი ჰელმუტი მას, როგორც მამაკაცი ქალს, დაუახლოვდა და ცოლად შერთვა დაუპირა. მე დარწმუნებული ვიყავი და ახლაც მჯერა: ინესს არასოდეს არ შეუყვარდებოდა შვერტფეგერი, მის ცხოვრებაში ინსტიტორისი, საქმრო, რომ არ გამოჩენილიყო. დოქტორი თავისთვის იღვწოდა, მაგრამ, შეიძლება ითქვას, სხვისთვის კი გამოუვიდა. ამ თავშეკავებულმა კაცმა თუმცა არშიყობით ახალი ფიქრები აუშალა ინესს და ქალი გააღვიძა მასში, — ამდენი კი შეძლო, მაგრამ თავისთვის კი ვერ გააღვიძა, მიუხედავად იმისა, რომ ქალიშვილი გონების კარნახით მზად იყო გაჰყოლოდა, — ამდენი ველარ შეძლო. ჰოდა, ინესის გაღვიძებული ქალობა მაშინვე სხვისკენ გადაიხარა, იმისკენ, ვინც მანამდე მხოლოდ მშვიდ, ნახევრად დამძურ გრძნობას აღუძრავდა და ვის მიმართაც ახლა სულ სხვა გრძნობა გაუჩნდა. იმიტომ კი არა, რომ მას შესაფერისად, ღირსეულად თვლიდა, არამედ მისმა მელანქოლიამ, უბედურებას რომ ეძიებდა, ის აირჩია, ვისგანაც ძრწოლით გაიგონა: — უბედურები, რამდენიც გინდათ, უკვე იმდენნი არიან!

და — საკვირველი ამბავია! — ამ მეორე მამაკაცის ტრფიალში ინესმა იმ ალტაცების ნატამალიც თან წაიყოლა, რასაც მისი არადაამაკმაყოფილებელი საქმრო განუსულიერებულ-ინსტინქტური "ცხოვრების" მიმართ იჩენდა და რაც ესოდენ უცხო იყო ქალიშვილის სული-სკვეთებისათვის. ასე რომ, ინსტიტორისს, თუ შეიძლება ასე ითქვას, მისივე თვალსაზრისით დალატობდა: ქალიშვილის კაემნით დაქუფრული ჭკვიანი მზერისათვის რუდოლფი განა თავად სიცოცხლეს არ განასახიერებდა?

ინსტიტორისთან, მშვენიერების უბრალო მასწავლებელთან, შედარებით რუდის ხელოვანის უპირატესობა ჰქონდა. მის მხარეზე იყო ხელოვნება, ვნებათა მძერწავი და ყოველივე კაცობრიულის ნათლისმცემელი. სატრფოს ხატება, ბუნებრივია, უფრო ამაღლებული ხდება, ხოლო მის მიერ აღძრულ გრძნობებს, რალა თქმა უნდა, სულ ახალ-ახალი საზრდო ეძლევა, თუ მის პიროვნებასთან თითქმის განუწყვეტილივ დამატრობელი ესთეტიკური შთაბეჭდილებებია დაკავშირებული. ინესს

*მომავალში (ლათ.).

სულის სიღრმეში ეჯავრებოდა მშვენიერების ირგვლივ ჩალიჩი, ამ გრძნობებს დაწაფებულ ქალაქში რომ იყო გამეფებული, სადაც უფრო თავისუფალ ზნე-ჩვეულებათა მიმართ დედამისის ცნობისნადილის გამო მოხვდა, მაგრამ ბიურგერული მყუდროება რომ არ დარღვეოდა, მონაწილეობდა იმ საზოგადოების ზეიმებში, ხელოვანთა ერთ დიდ გაერთიანებას რომ წარმოადგენდა, და სწორედ ის გახლდათ სახიფათო მყუდროებისათვის, რასაც ქალიშვილი ეძიებდა. ჩემს მეხსიერებაში აღბეჭდილია იმდროინდელი მრავლისმეტყველი და შემაცბუნებელი სურათები. ვხედავ, როგორ ვდგავართ ჩვენ – როდეები, მგონი, კნოტიერიჰებიც და მე – ცაფვენშტოსერ-ორკესტრის დარბაზში, დამსწრე საზოგადოების წინა რიგებში, ჩაიკოვსკის სიმფონიის განსაკუთრებით ბრწყინვალედ შესრულების შემდეგ, და ტაშს ვუკრავთ. დირ იჟორმა ორკესტრი ფეხზე წამოაყენა, რათა დამკვრელებსაც ხვდეთ მასთან ერთად საუცხოო ნამუშევრისათვის საზოგადოების მაღლიერების გამოხატულება. შვერტფეგერი პირველი ვიოლინოდან (რომლის ადგილიც სულ მალე დაიკავა) ოდნავ მარცხნივ იდგა, საკრავი ილღიაში ამოედო, სახე დარბაზისკენ მოებრუნებინა და გახურებული, სახეგაბრწყინებული, გვესალმებოდა, პირადად ჩვენ გვიქნევდა თავს, არცთუ მთლად დასაშვები ინტიმურობით, მაშინ როდესაც ინესს – თავი ვერ შევიკავე და მაინც გავაჰარე თვალი ქალიშვილისაკენ – თავი ცერად წინ დაეხარა, პირის კუნჭულზე ეშმაკური ღიმილი დასთამაშებდა და გარინდებულს თვალები სულ სხვა წერტილისთვის მიეპყრო, იქ, ზევით, დირიჟორისთვის თუ, თუმცა არა, სადღაც უფრო შორს, არფებისათვის... ან კიდევ: თვითონ რუდოლფს ვხედავ, აღტაცებულს გასტროლებზე მყოფი რომელიღაც ხელოვანი – კოლეგის სანიმუშო დაკვრით, სულ წინა დგას უკვე ნახევრად დაცარიელებულ დარბაზში და ტაშს უკრავს სცენაზე ბარე მეთავერ გამოძახებულ ვირტუოზს. რუდოლფისგან ორ ნაბიჯზე, უკვე ერთმანეთში უწესრიგოდ არეულ სავარძლებს შორის, ინესი დგას, რომელიც, ჩვენი არ იყოს, ამ საღამოს ჯერ არ შეხვედრია შვერტფეგერს, უცქერის და ელოდება, როდის მორჩება ტაშის დაკვრას, მოტრიალდება, შენიშნავს და მიესალმება. ვაჟი განავარძობს ტაშის დაკვრას და ქალიშვილს ვერ ამჩნევს. უფრო სწორად, ცალი თვალით მასაც უყურებს, თუმცა არა, ამით უფრო მეტია ნათქვამი: ვაჟის ლაჟვარდოვანი თვალები მთლად დაუბრკოლებლად კი არ მისჩერებიან სცენაზე მდგარ გმირს და არც მთლად ქეშად კი არ იმზირებიან, არამედ ოდნავ იმ მხარეს გადმოხრილად, სადაც ქალიშვილი დგას და იცდის, მაგრამ ვაჟი თან აღტყინებულ ოვაციას სულაც

არა წყვეტს. კიდევ ორიოდ წამი და ინესი პირს იბრუნებს, ფერმკრთალია, წარბები მრისხანედ შეუკრავს, ზურგს აქცევს სცენას და გასასვლელისკენ მიეშურება. ვაჟი იმნამსვე წყვეტს ტაშის ცემას, დაედევნება ქალიშვილს და კართან ეწევა კიდეც. ინესი ცივსა და გაოცებულ სახეს იღებს, რომ ვაჟს თავის გვერდით ხედავს, რომ ვაჟი საერთოდ კიდევ ბოგინებს ამქვეყნად, ხელს არ ართმევს, ზედაც არ უყურებს, სმას არა სცემს და გარბის.

ვალთარებ, აქ არ უნდა მომეტანა ეს წვრილმანი ამბები, ჩემი დაკვირვებების ნახორხლები და ნამცეცები, აბა, წიგნი რა მათი ადგილია, ისინი შეიძლება მკითხველს ცოტათი შტერული მოეჩვენოს და მე აბეზარი გამომგონებლობა დამაყვედროს, თითქოს ყოველ წვრილმანს რაღაც კუდს ვაბამდე. დაე ის მაინც დამსახურებად ჩამითვალოს, რომ ბარე ასი სხვა მსგავსი დაკვირვება გულში ჩავიხსე, რომლებიც – კაცთმოყვარეობითა და თანაგრძნობით აღსავსე ადამიანს – ასევე აღმებეჭდა მეხსიერებაში და იმ უბედურების გამოისობით, რაც მათ განაპირობეს, უკვე აღარასოდეს არც ნაიშლებიან. კატასტროფის მომნიფებას, რაც, მართალია, ისეთი საყოველთაო, მსოფლიო ამბების გვერდით მოხდა, რომ ვის ყურადღებას მიიქცევდა, მე წლების მანძილზე ვადევნებდი თვალყურს, მაგრამ კრინტი არავისთან არ დამიძრავს, რასაც ვამჩნევდი და რაც მაფიქრებდა. მარტო ადრიანს გავანდე ეს ამბავი და ისიც სულ ადრე, პუაიფერინგში ყოფნისას, თუმცა საერთოდ მაინცდამაინც არ მეხალისებოდა და, ასე გასინჯეთ, ცოტათი მეშინოდა კიდეც მასთან, სატრფიალო განამანიებიდან ბერივით განდგომილად მცხოვრებთან, ჩვენს წრეში მომხდარ ამდაგვარ ინციდენტებზე ლაპარაკი. მაგრამ მე მაინც ვუამბე, სხვათა შორის მოვუყევი: ინეს როდღე თუმცა ინსტიტორისზე ინიშნება, მაგრამ, ჩემი აზრით, უნუგეშოდ და უკურნებლად რუდი შვერტფეგერზეა შეყვარებული - მეთქი.

ჩვენ აბატის პალატში ვისხედით და ქადრაკს ვთამაშობდით.

– ესეც ახალი ამბავი! – მითხრა ადრიანმა, – ალბათ გინდა სვლა შემაშლევინო და ეტლი მომიგო?

თან გაიცინა, თავი გაიქნია და დაუმატა:

– საბრალო ჯეელი!

მერე კი, შემდეგი სვლის მოფიქრებისას, პაუზით წინადადებებს შორის, დასძინა:

– ეს მისთვის სახუმარო ამბავი როდია. უნდა ფხიზლად იყოს, რომ სალ-სალამათი გადარჩეს.

1914 წლის აგვისტოს პირველი მცხუნვარე დღეები მგზავრებით გაჭედილი ერთი მატარებლიდან მეორეში გადაჯდომაში და რკინიგზის სადგურებზე ლოდინში გავატარე; მოსაცდელ დარბაზებში ხალხი ზომზომებდა, ხოლო ბაქნებზე გასაგზავნად გამზადებული ბარგი იყო დაზინულ-ჩამწკრივებული. სასწრაფოდ მივემგზავრებოდი ფრაიზინგიდან ნაუმბურგს, თიურინგიაში: თადარიგის უმცროსი ვახტმაისტერი ვიყავი და იქ ჩემს პოლკს უნდა შევეერთებოდი.

ომი დაიწყო. განსაცდელი, ამდენ ხანს რომ ემუქრებოდა ევროპას, აუცხადდა და თავი მოჰქონდა რა ყოველივე წინასწარ გათვალისწინებულისა და ნავარჯიშევის დისციპლინირებულ "განხორციელებად", მძვინვარებდა ჩვენს ქალაქებში, იჭრებოდა ადამიანთა თავებსა და გულეებში, ვით შიში, აღმაფრენა, სიმწრის ჰათოსი, ბედის ტრიალი, ძალის მოზღვავება და მსხვერპლის გასაღებად მზადყოფნა. დიახაც შეიძლება, მე მონადინებული ვარ დავიჯერო, რომ სადმე სხვაგან, მონინააღმდეგე ანდა სულაც ჩვენს მოკავშირე ქვეყნებში, ბედისწერის ეს მოკლე ჩართვა უფრო როგორც კატასტროფა და "grand malheur"*-ი აღიქვას; ფრონტზე სშირად გაიგონებდით ფრანგი ქალებისაგან: "Ah, monsieur, la guerre, quel grand malheur!"** ოღონდ, რა თქმა უნდა, ისინი ომს საკუთარ ქვეყანაში, თავიანთ სენაკებსა და სამზარეულოებში განიცდიდნენ, ჩვენთან კი, გერმანიაში, ამის უარყოფა არ შეიძლება, მას მეტწილად აღიქვამდნენ, როგორც აღმავლობას, დიად ისტორიულ შემართებას, ლაშქრობის სასიხარულო დასაწყისს, ყოველდღიურობიდან თავის დაღწევას, მსოფლიო დამყაყებულობიდან გააზატებას, რისი გაძლებაც მეტი აღარ შეიძლებოდა, როგორც მყობადით აღტაცებას, ვალის მოხდისა და ვაჟკაცობისაკენ მონოდებას, მოკლედ, როგორც ჰეროიკულ ზეიმს. ჩემს ფრაიზინგელ ზედაკლასელებს სახე განითლებოდათ და თვალები უბრწყინავდათ ყოველივე ამისაგან. სამხედრო სამსახურითა და თავგადასავლებით გატაცება აქ სასაცილოდ ერთვოდა შემჭიდროებულ ვადაში სკოლის დამთავრების უპირატესობას. ჭაბუკებს ლამის აეკლოთ ჯარში გამწვევი პუნქტები და მეც ბიხაროდა, რომ მათ თვალში თავი არ შევირცხვინე და შინ არ დავრჩი.

*„დიდი უბედურება“ (ფრანგ.).

**„აჰ, მონსენიორ, რა დიდი უბედურებაა ომი!“ (ფრანგ.).

საერთოდ როდი უარვყოფ, რომ სავსებით ვიზიარებდი ხალხში იმხანად მოარულ ამალღებულ გრძნობებს, რომელთა განსაზღვრა ეს-ეს არის შევეცადე. თუმცა ჩემი ბუნებისთვის უცხო იყო ზარხ-ოში, რითაც ისინი იყვნენ შეფერილნი და, ცოტა არ იყოს, შეფიქრი-ანებული გახლდით. სინდისი – ამ სიტყვას აქ ზეპიროვნული გაგე-ბით ვხმარობ – მთლად სუფთა არა მქონდა. ამგვარ საომარ “მობილიზაციას”, რა რკინისებური სიმკაცრითაც უნდა ტარდებოდ-ეს და ყოვლისმომცველად, ყველასათვის სავალდებულოდ ითვლებ-ოდეს, მუდამ რაღაც სცხია უდროო დროს გამართული არდადეგე-ბისა, მთავარი რაც გევალება, იმის მიტოვებისა, სკოლის გაცდენისა, აღვირახსნილ ინსტინქტთა შეწყნარებისა – ერთობ ბევრი რამ სცხია ყოველივე იმისა, რომ ისეთმა დარბაისელმა კაცმა, როგორც მე ვარ, იმ დროს თავი მთლად კარგად ვერ იგრძნოს; ხოლო ზნეობრივი ეჭ-ვები – იქცეოდა თუ არა ერი აქამდე ისე კარგად, რომ საკუთარი თავით ეს ბრმა აღტაცება მისთვის არსებითად დასაშვები ყოფილიყო, – ტემპერამენტის ამგვარ ინდივიდუალურ თავისებურ-ებებს უკავშირდებიან. მაგრამ აქ თავს იჩენს მსხვერპლის მოტანისა და სასიკვდილოდ თავის განწირვის ფაქტორიც, რაც ბევრ რამეს აი-ოლებს და, ასე ვთქვათ, საბოლოო სიტყვაა, რომელსაც სადავოდ ვეღარ გახდი. თუ ომი მეტ-ნაკლებად მკაფიოდ აღიქვება, როგორც საერთო უბედურება, როდესაც ყოველი ადამიანი და ყოველი ხალ-ხიც მზად არის სიმამაცე გამოიჩინოს და საკუთარი სისხლით გამ-ოისყიდოს ეპოქის სუსტი მხარეები და ცოდვები, მათ შორის თავისი სუსტი მხარეები და ცოდვებიც; თუ გრძნობას ომი ზვარაკის მოტა-ნად წარმოუდგენია, რომლის მეოხებითაც მოიკვეთება ძველი ადამი და ერთობით მოიპოვება ახალი, უფრო მაღალ საფეხურზე მდგომი ცხოვრება, მაშინ ყოველდღიური მორალი დაძლეულ იქნება, იგი დადუმდება ამ არაჩვეულებრივი გარემოების გამო. არ მინდა ისიც გამომჩეს, რომ ჩვენ მაშინ ომში უფრო ალალი გულით მივდიოდით და არ ვფიქრობდით, რომ მანამდე შინ ისეთი რამეები გვქონდა ჩადენილი, რის შემდეგაც სისხლიანი მსოფლიო კატასტროფა ჩვენი საშინაო საქმიანობის ლოგიკურად აუცილებელ გაგრძელებად შეი-ძლებოდა წარმოჩენილიყო. ეს საფიქრალი, – ვაი, ღმერთო! – ხუთი წლის წინათ გვქონდა და არა ოცდაათი წლის წინათ. სამართალსა და კანონიერებას, Habeas corpus-ს, თავისუფლებასა და ადამიანის ღირსებას რამდენადმე მაინც პატივს სცემდნენ ჩვენს ქვეყანაში. მა-რთალია, განათლებულ ადამიანს ეგრგინებოდა იმპერატორის

ტახტზე მჯდომი კომედიანტისა და ოინბაზის მანქვა-გრეხა, არსე-ბითად არც ჯარისკაცად და, მით უფრო, არც საომრად რომ არ იყო დაბადებული, ხოლო კულტურასთან დამოკიდებულებით ყოვლად ჩამორჩენილი ოტროველა გახლდათ. მაგრამ მისი ზემოქმედება კულტურაზე ფუყე დემონსტრაციული შესტებით ამონურებოდა. კულტურა თავისუფალი იყო, საკმაოდ მაღალ საფესურზეც იდგა და ვინაიდან იმას უკვე მიჩვეული გახლდათ, რომ სახელმწიფო ძალაუფლებაზე ხელი არ მიუნვებოდა, შესაძლებელია, კულტურის ახალგაზრდა მესვეურნი სწორედ დიდ სახალხო ომში, აი, როგორც მაშინ იწყებოდა, ხედავდნენ ცხოვრების იმგვარი ფორმის დამკვიდრების საშუალებას, სადაც სახელმწიფო და კულტურა ერთნი იქნებოდნენ. ოღონდ აქ, რალა თქმა უნდა, როგორც ყოველთვის ჩვენთან, ყველაფერს განაგებდა საკუთარი თავით გატაცება, ძალზე თავისებური რამ, ყოვლად მიამიტი ეგოიზმი, რომელიც არას ინაღვლის, დიახ, რომელსაც სრულიად ბუნებრივ ამბად მიაჩნია, რომ გერმანელთა ჩამომყალიბებელი პროცესების გულისთვის (და ჩვენ კი ხომ მუდამ ჩამოყალიბებაში ვართ) ჩვენთან ერთად სისხლი უნდა ღვაროს მთელმა დანარჩენმა უკვე ჩვენზე უკეთ ჩამოყალიბებულმა და კატასტროფათა დინამიკის არცთუ მოსურნე მსოფლიომ. ამას სიავეში გვითვლიან და, ვგონებ, სამართლიანად; ვინაიდან, ზნეობის თვალსაზრისით, იმ საშუალებად, რითაც ხალხი საზოგადოებრივი ნყობის უფრო მაღალი ფორმისაკენ გაჭრას ლამობს, – თუ სისხლის ღვრა ამ შემთხვევაში აუცილებელია, საგარეო ომი კი არ უნდა იყოს, არამედ სამოქალაქო ომი. ეს კი ჩვენ არა და არ გამოგედის, სამაგიეროდ, სულაც არ გვეუხერხულებოდა, პირიქით, დიდ რამედ მიგვაჩნდა, რომ ჩვენი ეროვნული გაერთიანება – ისიც ნაწილობრივი და კომპრომისული გაერთიანება – სამ მძიმე ომად დაგვიჯდა. დიდი სახელმწიფო უკვე ერთობ დიდი ხანია ვართ, მიჩვეულები გახლავართ, მაგრამ ამან მოლოდინისამებრ როდი გაგვაბედნიერა. იმის შეგრძნება, რომ ამან უფრო გულმისავალნი არ გაგვხადა, რომ ჩვენი ურთიერთობა მსოფლიოსთან უფრო გაუარესდა, ვიდრე გაუმჯობესდა, ძვალსა და რბილში გამჯდარი გვექონდა, ვაღიარებდით ამას თუ არა. სასწრაფოდ საჭირო შეიქნა კვლავ წინ გაჭრა: მსოფლიოში გაბატონებულ სახელმწიფოდ გადაქცევა, რისი მიღწევაც შინ, რასაკვირველია, არანაირი ზნეობრივი მუშაკობით არ შეიძლებოდა. მაშ, ომი იყო საჭირო და თანაც, თუ სხვა გზა არ იქნებოდა, ომი ყველას წინააღმდეგ, რათა ყველა დაგვერწმუნებინა და დაგვეპყრო. აი, რა

გადანწყვიტა ჩვენმა ბედისწერამ – Schicksal (რა გერმანული სიტყვაა, რა პირველყოფილად, ქრისტიანობამდელად ჟღერს, რა ტრაგიკულ-მითოლოგიური, მუსიკალურ-დრამატული ჰანგი მოისმის!) და აი, რისთვის გავილაშქრეთ ალტყინებით (ალტყინებულები მარტო ჩვენ ვიყავით), დარწმუნებულებმა, რომ გერმანიის დიადმა ჟამმა დარეკა, რომ ისტორიის ჩარხი ახლა ჩვენთვის ბრუნავდა, რომ ესპანეთის, საფრანგეთის, ინგლისის შემდეგ ახლა ჩვენი რიგიც დადგა, მსოფლიოსათვის ჩვენი დამლა დაგვესვა და წინ გავძლოლოდით, რომ მეოცე საუკუნე ჩვენ გვეკუთვნოდა და რომ დაახლოებით ასოცი წლის წინათ გამოცხადებული ბურჟუაზიული ეპოქის დამთავრების შემდეგ მსოფლიო უნდა განახლებულ იქნეს გერმანული დროშით, ანუ ამის დროშით, რასაც არცთუ ზედმინევით ზუსტად განსაზღვრავენ ხოლმე, როგორც მილიტარისტულ სოციალიზმს.

ეს აზრი, რომ არა ვთქვა, იდეა-მეთქი, ჩვენს ჭკუა-გონებას მეორე აზრთან შეხმატკბილებული დაეუფლა: ომი თავს მოგვახვეცსო, მხოლოდ წმიდათაწმიდა აუცილებლობამ გვაიძულა ხელი მოგვეკიდა იარაღისთვისო. ოღონდ ეს კია, რომ ამ იარაღით დიახაც კარგად ვიყავით მომარაგებულნი და ხმარებაშიც ნავარჯიშევიც გახლდით, ხოლო საუცხოო შეიარაღება მუდამ მისი გამოყენების საღერღელს გვიშლიდა, – სხვაგვარად რომ ვთქვა, იმის შიშთან შეხმატკბილებული, რომ ყოველი მხრიდან ნაგვლეკავდნენ, რისგანაც ჩვენი უსაშველო ძლიერება გვიცავდა, ანუ ომის მყისვე სხვა ქვეყნებში გადატანის უნარი. თავდასხმა და თავდაცვა ჩვენთვის ერთი და იგივე რამ იყო: ორივე ერთად განსაცდელის, მოწოდების, დიადი ჟამის წმიდათაწმიდა აუცილებლობის პათოსს შეადგენდა. მერე რა, რომ სხვა ხალხებს სამართლისა და მშვიდობის დამრღვევებად, სიცოცხლის აუტანელ მტრებად მივაჩნდით, – ჩვენ გვქონდა საიმისო საშუალებანი, რომ მთელი ქვეყნიერებისათვის იმდენი გვერტყა თავში, ვიდრე აზრს შეიცვლიდა ჩვენზე და არა მხოლოდ ალტაცებით განიმსჭვალებოდა, არამედ შეგვიყვარებდა კიდევც.

ვინმეს არ ეგონოს, რომ თავს ვიქცევ. საამისო საბაბი არ გამაჩნია; უწინარეს ყოვლისა კი იმიტომ, რომ პრეტენზიას როდი ვაცხადებ, საყოველთაო ენთუზიაზმი მე არ შემეხო-მეთქი. მეც ალალ-მართალი მონაწილე ვიყავ, მიუხედავად იმისა, რომ სწავლულისათვის ბუნებრივი სიღინჯე ვაშას ძახილს არ მანებებდა, გულში ხანდახან კრიტიკის ჭია გამიჩურჩუნებდა და წამიერად ოდნავ უხერხულად ვიგრძნობდი ხოლმე თავს, რომ იმასვე ვფიქრობდი და იმასვე ვგრძნობდი,

რასაც ყველა ფიქრობდა და გრძნობდა. ჩემნაირი კაცი ხომ ეჭვით ეკიდება, ყველას რომ პირზე აკერია, ისეთი აზრების სისწორეს. მაგრამ თან დიდბუნებოვან ინდივიდს ძალზე სიამოვნებს ერთხელ მაინც მთლიანად ჩაიძიროს საყოველთაო ამბებში და სად შეიძლება ეს ერთად ერთხელ პოვოს კაცმა, თუ არა აქა და ამჟამად?

ორი დღე მიუნჰენში დავახანე, რათა ნაცნობ მეგობართაგან ზოგიერთს მაინც გამოვთხოვებოდი და ჩემი აღჭურვილობა თითო-ოროლა წვრილმანით შემევისო. ქალაქში ნამდვილი საზეიმო განწყობილება სუფევდა, რასაც შიგადაშიგ პანიკისა და მრისხანების შემოტევა თუ არღვევდა, ვთქვათ, როცა ყოვლად შლეგური ხმა დაირხა, წყალსადენი მოწამლულიაო, ანდა როცა ეგონათ, რომ ბრბოში სერბიელი ჯაშუში დააკავეს. დოქტორ ბრაიზახერს, რომელიც ლუდვიგშტრასეზე შემხვდა, ისიც რომ საეჭვო პიროვნებად არ მიეჩნიათ და შეცდომით არ მოეკლათ, მკერდზე უამრავი შავ-თეთრ-ნითელი კოკარდები და პანია ალმები დაებნია. საომარი მდგომარეობა, უმალ-ლესი ხელისუფლების გადასვლა სამოქალაქო პირთაგან სამხედროთა ხელში, გენერლის ხელში, ბრძანებას ბრძანებაზე რომ აქვეყნებდა, თან ნდობითა და თანაც გულის კანკალით იქნა აღქმული, გვანუგეშებდა იმის ცოდნა, რომ იმპერატორის ოჯახის წევრებს, რომლებიც, როგორც მხედართმთავარნი, თავ-თავიანთ სამხედრო ბანაკებში მიემგზავრებოდნენ, ჩაუქი შტაბის უფროსები ამოუდგებოდნენ მხარში და მათი უდიდებულესობანი დიდებულად ცელარ ჩააფლავებდნენ საქმეს. ასე რომ, მხიარული პოპულარობა თან სდევდა მათ. ვხედავდი, როგორ გამოდიოდნენ პოლკები ყაზარმების ჭიშკრებიდან, ჯარისკაცებს შაშხანის ლულებში პანია თაიგულები ეკეთათ, გვერდით კი, ცხვირთან ცხვირსახოცი მიეტანათ და ისე მისდევდნენ ქალები. მათ ხელდახელ თავმოყრილი მოქალაქენი შეძახილებით აცილებდნენ. გმირის რანგში აყვანილი გლეხი ბიჭები ტუტუცური სიამაყითა და დარცხვენით უღიმოდნენ ხალხს. ერთი სულ მთლად ახალგაზრდა ოფიცერი ვნახე, სალაშქროდ აღჭურვილი, ფიქრით იყო გართული, გარინდებული იხედებოდა წინ, იხედებოდა საკუთარ თავში, მერმე ერთბაშად გონს მოეგო და ნაჩქარევი ღიმილით პირზე ირგვლივ მიმოიხედა, ვინმე ხომ არ ადევნებდა თვალს.

ხოლო მე კვლავ მიხაროდა, რომ მეც ამ დღეში ვიყავ და იმათ ზურგს არ ვეფარებოდი, ვინც ჩვენს ქვეყანას იცავდა. არსებითად მე ერთადერთი გახლდით, ყოველ შემთხვევაში პირველ ხანებში, ჩვენს ნაცნობთა წრეში, ვინც ჯარში მიდიოდა: ჩვენ ხომ საკმაოდ ძლიერნი და ხალ-

ხმრავალნი ღიყავით, რომ ჩვენი თავისთვის უფლება მიგვეცა პრეტენზიულად შეგვეჩია კონტინგენტი, კულტურის ინტერესებისათვის ანგარიში გაგვენია, ბევრისთვის მიგვეცა შეღავათი და მხოლოდ სავსებით ვარგისი ახალგაზრდა ვაჟკაცები გაგვენვია. ჩვენს წრეში თითქმის ყველას რალაც ხარვეზი აღმოაჩნდა ჯანმრთელობაში, რის შესახებაც მანამდე არავინ უწყოდა რამე, მაგრამ ჯარში სამსახურისაგან კი აზღვევდა. ბატონ კნოტერიძეს ქლექის იოლი ფორმა ჰქონდა, მხატვარ ცინკს ბრონქული ასთმის შეტევები ანუხებდა, და საზოგადოებას განერიდებოდა ხოლმე, ვიდრე გადაუვლიდა, ხოლო მისი მეგობარი ბაპტისტი შპენგლერი, როგორც ვიცით, ხან რას იტკივებდა და ხან რას. ფაბრიკანტი ბულინგერი, წლოვანებით ჯერაც ახალგაზრდა, როგორც ჩანდა, ზურგში შეუნაცვლებელი მრენველი იყო, და დედაქალაქის კულტურულ ცხოვრებაშიც ერთობ მნიშვნელოვანი ელემენტი გახლდათ ცაპფენშტოსერ-ორკესტრი, ამიტომ არ შეიძლებოდა სამხედრო სამსახურიდან არ გაეთავისუფლებინათ ყველა მისი წევრი, მაშასადამე, რუდი შვერტფეგერიც. სხვათა შორის, ყველა ჩვენგანის წამიერი გაოცება გამოიწვია, როცა იმხანად შევიტყვეთ, რომ რუდის ბავშვობაში ოპერაცია ჰქონდა გადატანილი, რაც ცალი თირკმლის ფასად დასჯდომოდა. ის ახლა, როგორც ანაზღეულად გამოირკვა, ცალი თირკმლით ცხოვრობდა. თან, ეტყობოდა, იოლად გადიოდა და ქალებმა მალე დაივიწყეს ეს ამბავი.

შემძლო კიდევ განმეგრძო და თავის არიდების, პროტექციის, ხელის დაფარების არაერთი შემთხვევა დამესახელებინა ადამიანთა იმ წრიდან, რომლებიც შლაგინჰაუფენებთან და ბოტანიკური ბაღის მახლობლად, ქალბატონ შოირლთან დაიარებოდნენ – წრიდან, რომელსაც არ აკლდა პრინციპული სიძულვილი ამ ომისა, ისევე როგორც წინანდელისაც, არ აკლდა აგრეთვე რაინის კავშირთან ასოცირებული მოგონებები, ფრანგოფილობა, კათოლიკური ანტიპათია პრუსიის მიმართ და სხვა ამდაგვარი განწყობილებანი. ჟანეტ შოირლი საშინლად უბედური იყო და სასონარკვეთილს ლამის ეტირა საფრანგეთსა და გერმანიას შორის ყოვლად უხეში ანტაგონიზმის გაჩაღების გამო – იმ ორ ერს შორის, რომელთაც ეკუთვნოდა და რომელთაც, მისი აზრით, ერთმანეთი უნდა შეეცსოთ, ნაცვლად იმისა, რომ მუშტი-კრივი გაემართათ. *„J'en ai assez jusqu'à la fin de mes jours!“** – აღმოხდა ერთხელ გამწარებულს ქვითინით. თუმცა მე სულ

*ჩემი დღეების ბოლომდე მომეყირჭა ეს ამბავი! (ფრანგ.)

სხვა გრძნობებით ვიყავი გამსჭვალული, გონების თვალთ მაინც მესმოდა მისი.

ადრიანთან გამოსამშვიდობებლად პფაიფერინგშიც ჩავედი; მიმდინარე ამბავთა მიმართ მისი პირადი შეუვალობა მთელ ქვეყანაზე ყველაზე თავისთავად გასაგებ რამედ მეჩვენებოდა. სახლის პატრონის ვაჟი, გერეონი, უკვე წასულიყო სამობილიზაციო პუნქტში გამოსაცხადებლად და ცხენებიც წაეყვანა. ადრიანთან რიუდიგერ შილდენაპი დამხვდა, ჯერჯერობით ჯარიდან თავისუფალი იყო და week end-ს* ჩვენს მეგობართან ატარებდა. ის ფლოტზე იყო მინერილი და მოგვიანებით გაინვიეს, მაგრამ რამდენიმე თვეში ისევ გამოუშვეს. და განა მეც დაახლოებით იგივე არ გადამხდა? ბარემ ახლავე ვიტყვი: ფრონტზე სულ ერთი წელი თუ გამომივიდა ყოფნა, სახელდობრ, არგონაში 1915 წლის ბრძოლების დაწყებამდე. მერმე კი ჯვრით დაჯილდოებული შინ გამომისტუმრეს, რაც მარტო იმით დავიმსახურე, რომ ბევრს ვწვალობდი და ტიფის ინფექცია პირში ჩალაგამოვლებული დავტოვე.

ესეც, რაც წინასწარ მინდოდა მეთქვა. რაც შეეხება რიუდიგერის თვალსაზრისს ომზე, ამას მთლიანად განსაზღვრავდა ინგლისთან მისი თავყვანისმცემლური დამოკიდებულება, ისევე როგორც უანეტისას – მისი ფრანგული სისხლი. ბრიტანეთის მიერ ომის გამოცხადებამ გული დაუკოდა და ძალზე პირქუშად განაწყო. მისი აზრით, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლებოდა ბელგიაში შეჭრით ამ ამბის გამონწევა, ეს ხელშეკრულებას ეწინააღმდეგებოდა. საფრანგეთი და რუსეთი კიდევ არა უშავს, მათი გაძლოლა ასე თუ ისე შეიძლებოდა. მაგრამ ინგლისი! ეს საშინელი ქარაფშუტობა გახლდათ! თანაც განაწყენებული კაცის რეალიზმით გამსჭვალული, ომში სხვას არას ხედავდა, თუ არა სიბინძურეს, სიმყრალეს, საშინელ ამპუტაციებს, სქესობრივ აღვირახსნილობას და ტილიანობას, გულიანად დასცინოდა იდეოლოგიურ ფელეტონებს, რომლებიც ამ სისაძაგლეს დიად ეპოქად ნათლავდნენ. ადრიანი არ ეკამათებოდა, ხოლო მე, თუმცა უფრო ღრმა მღელვარებით ვიყავ მოცუული, მაინც ვაღიარებდი, რომ მის ნალაპარაკეში სიმართლევც ერია.

სამივემ ერთად ვივანშმეთ დიდ ოთანში, რომელშიც ნიკეს სკულპტურა იდგა. ჩვენი გამასპინძლებით გართული კლემენტინე შვაიგ-ეშტილი წამდაუნუმ შემოდიოდა და გადიოდა. მის მაცქერალს აზ-

*კვირის ბოლოს (ინგლ.).

რად მომივიდა ადრიანს შეეკითხოვდი, როგორ არის შენი და, როგორ ცხოვრობს ლანგენზალცაში-მეთქი. ურზულას გათხოვება იღბლიანზე იღბლიანი გამოდგა და ჯანმრთელობითაც, თავს კარგად გრძნობდა, ფილტვების სისუსტემ, მწვერვალთა იოლმა კატარმა გაუარა, რაც 1911, 1912 და 1913 წლებში, სამჯერ ზედიზედ, მშობიარობის შედეგად დაემართა. მაშინ გაჩნდნენ შანიდევიანების ნაშეინი: როზა, ეცეხილი და რაიმუნდი. მომაჯადოებელი ნეპომუკის დაბადებამდე კი იმ საღამოს, ჩვენ ერთად რომ ვუსხედით ვახშამს, ჯერ კიდევ ცხრა წელიწადი იყო დარჩენილი.

სუფრასთან და მერეც აბატის პალატში ბევრს ვმსჯელობდით პოლიტიკურსა და მორალურ საკითხებზე, ეროვნული ხასიათის მითურ გამოვლენაზე ამგვარ ისტორიულ წამებში. მე არცთუ ადელვების გარეშე ვლაპარაკობდი, რათა ცოტათი მაინც გამეწონასწორებინა შილდკნაპის მკვეთრად ემპირიული შეხედულება ომზე, რაც მას ერთადერთ მართებულ თვალსაზრისად მიაჩნდა; გერმანიის დამახასიათებელ როლზე, ბელგიის მიმართ ჩადენილ დანაშაულზე, ფრიდრიჰ დიდის ძალადობას რომ წააგავდა, ფორმალურად ნეიტრალური საქსონიის წინააღმდეგ ჩადენილს, ამის გამო მთელ მსოფლიოში ატეხილ ღალატის ზე, ჩვენი ფილოსოფოსი რაიჰსკანცლერის სიტყვაზე, მის გონივრულ მსჯელობასა და დანაშაულის აღიარებაზე, მის ხალხურსა და სხვა ენაზე უთარგმნელ გამოთქმაზე: სხვა ჩარა არა გვექონდაო, მის მიერ ღვთის წინაშე იმის აღიარებაზე, რომ ძველი ხელშეკრულება ფარატიწა ქალაქად მიაჩნდა თანადროული ცხოვრების ახალ მოთხოვნათა წინაშე. რიუდიგერის ბრალი გახლდათ, რომ აქ უკვე სიცილი აგვივარდა, ვინაიდან ის კი არ უარყოფდა მიმდინარე ამბების ჩემეულ, ცოტა არ იყოს, ემოციურ ინტერპრეტაციას, არამედ ალაწოდა მოაზროვნეს აპამპულეზად, რომელიც დიდი ხნის წინათ შემუშავებულ სტრატეგიულ გეგმას ზნეობრივი პოეზიის შარავანდედით მოსავდა; რიუდიგერი საშინლად ამასხარავებდა ამ კაცის გულისხმიერ სიტლანქეს, თავგამოდებულ თვითდამდაბლებას და ბოროტების ჩასადენად გულწრფელ მზადყოფნას, — კიდევ უფრო სასაცილოდ აჩენდა მას, ვიდრე სათნო ბლავილი იყო ბრინჯივით დაპნეული მსოფლიოსი, რომელმაც, გაგინარიათ, დიდი ხანია იცოდა ლაშქრობის ამ პროზაული გეგმის არსებობა; და რადგან ვხედავდი, რომ ჩვენს მასპინძელს სიცილი უფრო ესალბუნებოდა, რომ მაღლიერი რჩებოდა, თუ ვინმე გააცინებდა, მეც სიამოვნებით მხარს ვუბამდი მხიარულებაში, ვგრძნობდი რა, რომ ტრაგედია

და კომედია ერთსა და იმავე ტოტზე ხარობს და ოდნავ სხვაფრივ გაშუქებაც კმარა, რათა ერთი მეორედ აქციო.

საერთოდ კი, როგორც შევიგრძნობდი გერმანიის გაჭირვებას, მორალურ სიმარტოვესა და საქვეყნოდ განკიცხულობას, რაც – ასე მეჩვენებოდა მე – მისი ძლიერებისა და საომრად მზადყოფნაში უპირატესობის ნინაშე საყოველთაო შიშის გამოხატულება იყო (თუ-მცა ამასთანავე ვაღიარებდი, რომ ეს ძლიერება და უპირატესობა საღერღელის ამშლელ ნუგემს წარმოადგენდა ჩვენთვის ჩვენს შეჩვენებულ მარტოობაში) – საერთოდ კი, ვიმეორებ მე, როგორი პატრიოტული განცდებიც მქონდა, რომელთა დაცვა ბევრად ძნელი გახლდათ, ვიდრე ჩემთან მოსაუბრეთა გრძნობებისა, ისევ ისეთი დამრჩა, იხტიბარი ვერ გამიტეხა ეროვნულ მახასიათებლებზე მათ-მა ქილიკობამ; ითახში ბოლთას ვცემდი და ისე ვაყალიბებდი სიტყვებში, რასაც განვიცდიდი, მაშინ როდესაც შილდენაპი, ღრმა სავარძელში გადასვენებული, shag-ით დატენილ ჩიბუხს აბოლებდა, ხოლო ადრიანი, როგორც სხვა დროსაც ხშირად, თავის კონტორულიან და შუაში ჩაღრმავებულადგილიან ძველგერმანულ სანერ მაგიდასთან იჯდა. ვინაიდან მას ხომ უცნაური ჩვეულება ჰქონდა, დახრილ სიბრტყეზე წერდა, დაახლოებით ისე, როგორც ჰოლბაინის მიერ გამოსახული ერაზმი იქმს. მაგიდაზე რამდენიმე ნიგნი იყო: კლასიკის ტომეული, რომელიც მარიონეტებისადმი მიძღვნილ თხზულებაზე იყო დანიშნული, შემდეგ – შექსპირის სონეტები, მისგან განუყრელნი, და კიდევ ერთი ტომი ამავე პოეტის პიესებისა: "როგორც გენებოთ" იყო შიგ მოთავსებული, "აურზაური არაფრის გამო" და, თუ არ ვცდები, "ორი ვერონელი აზნაურიც". კონტორულაზე კი მისი ამჟამინდელი სამუშაო იდო – ეს გახლდათ ცალკეული ფურცლები, მონახაზები, ჩანაფიქრები, შენიშვნები, მეტნაკლებად დასრულებული ესკიზები; ხშირად მარტო ზედა პნკარი იყო შევსებული ვიოლინოსთვის ანდა ხის სასულე საკრავთათვის, ხოლო სულ ქვემოთ კი ბანების პარტიისათვის, შუაში კი ჯერჯერობით თეთრი სიცარიელე სუფევდა; სხვებზე ჰარმონიული კავშირები და საკრავთა დაჯგუფებანი უფრო მკაფიოდ განირჩეოდა, რადგან უკვე ჩანერილი იყო დანარჩენი საორკესტრო პარტიებიც. პირში სიგარეტგაჩრილი ადრიანი კი ამ ფურცლების წინ დამდგარიყო და შიგ იხედებოდა, ზუსტად ისევე, როგორც მოჭადრაკე დასცქერის ხოლმე ჭადრაკის დაფას, როდესაც პარტიის მსვლელობას ამონებებს, რასაც ასე ძალიან ჰგავს მუსიკის თხზვა. ჩვენი ერთ-

ად ყოფნა იმდენად ძალდაუტანებელი იყო, რომ ზოგჯერ ის, თითქოს მარტო ყოფილიყო, ფანქარსაც კი მოიმარჯვებდა ხოლმე, რათა კლარნეტის ანდა ვალტორნის რომელიმე მუსიკალური ფიგურა ნოტებში შეეტანა.

ჩვენ ბევრი არა ვიცოდით რა, რითი იყო ამჟამად გართული, მას შემდეგ, რაც კოსმოსური მუსიკა უკვე გამოსცა შოტის ვაჟიშვილებთან მაინცში, იმავე პირობებით, როგორც მანამდე ბრენტანოს სიმღერები. აღმოჩნდა, რომ დრამატული გროტესკების სიუჟეტზე მუშაობდა, რომელთა სიუჟეტებს, როგორც მან გვითხრა, ნაირ-ნაირი ამბებისა და ნაკვეთების ძველ კრებულს – “Gesta Romanorum”-ს დასესხებოდა და ახლა მხოლოდ ცდებს ახდენდა, ჯერჯერობით არ იცოდა, რამე გამოვიდოდა თუ არა აქედან და საბოლოოდ ამ თემას აირჩევდა თუ არა. ასე იყო თუ ისე, სცენაზე ადამიანები კი არ უნდა ყოფილიყვნენ, არამედ თოჯინები (აქედან კლასიკტი!). რაც შეეხებოდა “სამყაროს სასწაულებს”, ეს ანცი ზარ-ზეიმით მჟღერი ნაწარმოები საზღვარგარეთ საჯაროდ უნდა შეესრულებინათ, მაგრამ ომის ატენის გამო ეს ღონისძიება ჩაიშალა. ვანშობისას უკვე ვილაპარაკეთ ამის შესახებ. “სიყვარულის ამაო გარჯის” ლიუბეკში დადგამამ, თუმცა წარუმატებელმა, ბრენტანოს სიმღერების მარტოოდენ გამოქვეყნებასთან ერთად, მაინც თავისი გაიტანა და ადრიანის სახელი ხელოვნების მესვეურთა ვინრო წრეში თანდათანობით ეზოტერიკულ ჟღერას იძენდა, ოღონდ ჯერჯერობით არცთუ ალიარებული კაცისა. თანაც ეს პროცესი გერმანიაში კი არ დაიწყო და მით უფრო მიუნჰენში კი არა, არამედ სულ სხვა, უფრო მგრძობიარე ადგილას, რამდენიმე კვირის წინათ წერილი მიეღო ბატონ მონტოსაგან, რუსული ბალეტის დირექტორისაგან პარიზში, კოლონის ორკესტრის ყოფილი წევრისაგან; ეს ექსპერიმენტების მოყვარული დირიჟორი იტყობინებოდა, რომ აპირებდა “სამყაროს სასწაულების” წმინდა საკონცერტო ვარიანტის შესრულებას, “Love’s Labour’s Lost” - ის რამდენიმე საორკესტრო პიესასთან ერთად. “Théâtre des Champs-Élysées”^{*} შეეგულებინა ამ მიზნისთვის და ადრიანს პარიზში ინვევდა კონცერტზე დასასწრებად, ხოლო თუ ინებებთ, თქვენი ნაწარმოებები თვითონვე დაასწავლეთ ორკესტრს და შეასრულეთ კიდეცო. ჩვენ არ შევკითხივართ მეგობარს, მიიღებდა თუ არა მონვევას უფრო ხელსაყრელ ვითარებაში, რადგან, ასე იყო

^{*} „ელისეს მინდვრების თეატრი“ (ფრანგ.)

თუ ისე, ამჟამად ხომ მაინც ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ პარიზში ნასვლაზე ლაპარაკიც არა ღირდა.

ახლაც ვხედავ საკუთარ თავს, როგორ დავაბიჯებდი ვეებაჭალიანი და პანელებით მოპირკეთებული ძველი ოთახის იატაკზე დაფენილ ხალიჩაზე, ლითონით მოჭედილი პატარა კარადის, ტყავის ბრტყელბალიშებიანი კუთხეში დასადგმელი დივნისა და ფანჯრის ღრმა ნიშის გასწრივ, თან გერმანიაზე ვქაქანებდი — უფრო ჩემთვის და უფრო ალბათ შილდკნაპისთვისაც, ვიდრე ადრიანისთვის, რომლის იმედი სულ არა მქონდა, რომ ყურადღებას მომაქცევდა. სწავლებასა და ლაპარაკს მიჩვეული, თუ ცოტა აღვეგზნე კიდეც, ურიგო ორატორი როდი ვარ; ასე გსინჯეთ, არცთუ სიამოვნების გარეშე ვუსმენ ხოლმე საკუთარ თავს და მიხარია, რომ ასე ვიმორჩილებ სიტყვებს. ახლაც გაფაციცებით ვიქნევდი ხელებს და ისე ვლაპარაკობდი. რიუდიგერს ვუთხარი, თუ გინდა სამხედრო ფელეტონიზმად ჩამითვალე, რაც შენ ასე გძულს, მაგრამ, ჩემი აზრით, მცირეოდენი ფსიქოლოგიური თანაგრძნობა გულის ამაჩუყებელ ნიშნებს არცთუ მოკლებული ეროვნული ხასიათისადმი, როგორადაც იქცა ისტორიული ჟამის დარეკვისას სხვა დროს პოლიმორფული გერმანული სული, სრულიად ბუნებრივი და დასაშვები რამ უნდა იყოს, ისე კი, საბოლოო ჯამში, აქ საქმე ეხება ნი ნ გ ა ჭ რ ი ს ფსიქოლოგიას-მეთქი.

— ისეთი ხალხისათვის, როგორიც ჩვენია, — ვჭევერმეტყველებდი მე, — თავიდათავი მუდამ სულიერი ამბებია და, კაცმა რომ თქვას, ყველაფრის მამოძრავებელი მოტივი მათში უნდა ვეძიოთ; პოლიტიკური აქტი კი მეორადია, რეფლექსიაა, მისი გამოხატულებაა, ხელსაწყო-იარაღია. მსოფლიო ბატონობისაკენ წინ გაჭრა, რისკენაც ბედისწერა მოგვიხმობს, არსებითად ქვეყნიერებაში გაჭრაა, — სიმარტოვიდან, რასაც მტანჯველად აღვიქვამთ და რაც ჩვენი იმპერიის დაარსებიდან მსოფლიო მეურნეობაში ვერავითარმა ტლანქმა ჩარევამ ვერ დაარღვია. ყველაზე მწარე ის არის, რომ სამხედრო ლაშქრობის იერსახეს იძენს ის, რაც სინამდვილეში ქვეყნიერებასთან შერწყმის კაემნიანი ლტოლვაა, წყურვილია...

— ღმერთმა აკურთხოს თქვენი studia!* — გავიგონე, როგორ ჩაილაპარაკა ადრიანმა ხმადაბლა და ჩაიციოა, თან ნოტებიდან ო ავი არ აუღია.

მე გავჩერდი და დავაცქერდი, მაგრამ აინუნშიაც არ ჩააგდო.

*შეცადინეობა (ლათ.).

– რასაც, როგორც ჩანს, – შევესიტყვე მე, – შენი აზრით, უნდა დამატოს: “თქვენგან არაფერი არ გამოვა, ალილია?”

– ალბათ აჯობებდა: – აქედან არაფერი არ გამოვაო, – ჩამომართვა სიტყვა. – მომიტყევე, სტუდენტურ კილოზე გადავედი, ვინაიდან შენი oratio* ძალიან მაგონებს ჩვენს უწინდელ დისკუსუტებს, ჩალაზე მწოლიარენი რომ ვმართავდით ძილის წინ. რა ერქვათ იმ ბიჭებს? ვამჩნევ, რომ ბოლო ხანებში ძველ ნაცნობთა გვარებს ველარ ვიხსენებ (მაწინ ოცდაცხრა წლისა იყო.) – დოიჩმაიერი? დუნგერსლებენი?

– შენ ჩაფსკვნილ დოიჩლინზე ამბობ, – ვუთხარი მე, – და კიდევ ერთზე, ის დუნგერსჰაიმი იყო, ერთი ჰუმბმაიერი და ერთიც ფონ ტოიტლებენიც გვერია მაშინ. გვარებს უწინაც ვერ იმახსოვრებდი რიგიანად. კარგი ბიჭები იყვნენ, მონადინებულები.

– მერედა, როგორ! გახსოვს, ვინმე შაპელერი ლაპარაკობდა ხოლმე კიდევ და აგრეთვე რომელიღაც “სოციალური მკურნალი”. აბა, ახლა რალას იტყვი? შენ, კაცმა რომ თქვას, იმათი ამქარი არც იყავი, სხვა ფაკულტეტს ეკუთვნოდი. მაგრამ დღეს თითქოს მათი ხმა ჩამესმის, შენ რომ გისმენ. ს ა ბ ძ ლ ი ს დ ი ს ა უ ტ ე ბ ი – ამითი მხოლოდ ეს მინდა ვთქვა: თუ ერთხელ იყავი სტუდენტი, მარად სტუდენტად დარჩები. აკადემიზმი მარად ნორჩი და ცინცხალი რჩება.

– შენ მათ ფაკულტეტზე სწავლობდი, – ვუთხარი მე, – მაგრამ არსებითად ჩემზე უფრო შენ იყავი თავისუფალი მსმენელი. რასაკვირველია, ადრი, მე მხოლოდ სტუდენტი ვიყავი და ალბათ მართალი ხარ, რომ სტუდენტადვე დავრჩი. მაგრამ მით უკეთესი, თუკი აკადემიზმი სინორჩეს ინარჩუნებს, ანუ გონების, თავისუფალი აზროვნების, ტლანქი სინამდვილის ამალღებული ინტერპრეტაციის ერთგული რჩება...

– განა აქ ერთგულებაზეა ლაპარაკი? – შემეკითხა ის, – მე ისე გავიგე, თითქოს კაიზერსაშერნს მსოფლიოს დედაქალაქად სურს გადაიქცეს. ეს ვერაფერი ერთგულებაა.

– კარგი, კარგი, – მივაძახე მე. – აგრე სულაც არ გაგიგია და მშვენივრად გესმის, რასაც ვგულისხმობ მსოფლიოში გერმანიის წინ გაჭრაში.

– მაგითი რა შეიცვლება, – მომიგო მან, – თუნდაც გესმოდეს, რადგან პირველ ხანებში მაინც ხომ ტლანქი სინამდვილე ჩვენს ჩაკეტილობასა

*სიტყვა (ლათ.).

და ჩამწყვედეულობას ბოლომდე სრულყოფილს გახდის, რა შორეულ ევროპულ სამანებსაც კი უნდა მიეღწეოდეს თქვენისთანა მეომარი ხალხი. აი, ხომ ხედავ: პარიზში ვერ მივდივარ. ჩემს მაგივრად თქვენ მიდისართ. ეგეც არ არის ურიგო ამბავი! ჩვენ შორის დარჩეს და მე ისედაც არ ნავიდოდი. თქვენ უხერხული მდგომარეობიდან გამოგყავართ...

— ომი ხანმოკლე იქნება, — ვუთხარი მე ხმადახშულმა, რადგან მისმა სიტყვებმა გული მატკინა, — არ შეიძლება დიდხანს გასტანოს. ჩვენ სწრაფად წინ გაჭრას დანაშაულით ვზღავთ, აღიარებული ბრალით, რომლის გამოსყიდვის პირობას ვიძლევი. უნდა ვიტვირთოთ იგი...

— და შეძლებთ კიდეც ღირსეულად ატაროთ, — გამანწყვეტინა მან, — გერმანიას განიერი მხრები აქვს. და ან ვინ დაიწყებს იმის მტკიცებას, რომ ერთი ნამდვილი ასეთი წინ გაჭრა იმად არა ღირს, რასაც თვინიერი მსოფლიო ბოროტმოქმედებას უწოდებს! იმედია, არა გგონია, რომ ჩირადაც არ ვაგდებ იმ იდეას, რომლითაც საბძელში მხარ-თედოზე ნამონოლილი ტკბები ხოლმე, კაცმა რომ თქვას, ერთად ერთი პრობლემა არსებობს ამქვეყნად, სახელდობრ, აი რა: როგორ გაიჭრა წინ? როგორ გახვიდე ფონს? როგორ გაარღვიო ქუპრი და პეპლად იქცე? მთელ სიტუაციას მოიცავს ეს კითხვა. აი, აქაც ა ს ე ვ ე, — თქვა მან და ხელით მოსწია წიგნის დასანიშნი წითელი ბაფთა, მაგიდაზე კლასიკის ტომში რომ იყო, — წინ გაჭრაზეა ლაპარაკი, კერძოდ, თოჯინებისადმი მიძღვნილ საუცხოო თხზულებაში, სადაც მას პირდაპირ “მსოფლიო ისტორიის უკანასკნელი თავიც” კი ეწოდება. თან მარტო ესთეტიკაზეა ლაპარაკი, მომზიბლაობაზე, თავისუფალ გრაციაზე, რაც არსებითად თოჯინასა და ღმერთს აქვს მომადლებული, ესე იგი ან სრულიად შეუგნებელს ანდა უსასრულოდ შეგნებულს, მაშინ როდესაც ყოველი ნულსა და უსასრულობას შორის მოქცეული რეფლექსია გრაციას კლავს. ამ მწერლის აზრით, შემეცნება უნდა უსასრულობას სწვდეს; რათა გრაცია აღდგეს და ადამმა ხელმეორედ უნდა ჭამოს ნაყოფი ხისაგან მისგან ცნობადისა.

— რარიგ მიხარია, — შევძახე მე, — რომ ეს ახლახან ნაგიკითხავს! დიდებული აზრია, და ძალიან სწორად იქცევი, წინ გაჭრის იდეას რომ უფარდებ. ოღონდ ნუ ამბობ: მარტო ესთეტიკაზეა ლაპარაკიო, ნუ ამბობ: მარტო! ძალიან ცდება ის, ვინც ესთეტიკურში ჰუმანურის მხოლოდ ვინრო და განცალკევებულ სფეროს ხედავს. იგი გაცილებით მეტია, არსებითად აქ შედის ყველაფერი, რაც კი მიმზიდველია ან მიმზიდველი არ არის, და ჩვენს პოეტსაც ზომ სიტყვა “გრაცია” უზოგად-

ესი მნიშვნელობითა აქვს ნახმარი. ესთეტიკური ცხოვნება ან წაწყმედა – ეს ბედისწერაა, ამაზე დამოკიდებულია ბედნიერება და უბედურება, ამ დედამინაზე შინაურულად და ლალად ყოფნა ან უსაშველო, თუმცა ამასთანავე ზვიადი მარტოობაც, და აუცილებელი არ არის ფილოლოგი იყო იმის მისახვედრად, რომ მახინჯი ხინჯიანს ნიშნავს, ხინჯი კი მუდამ საძულველია. სიმახინჯეში ჩამწყვედიულობა-ჩაკეტილობიდან თავის დაღწევის და წინ გაჭრის ნადილი – შენ რამდენიც გინდა, იმდენი იძახე: საბძელში ბზესა ლენავო, მაგრამ მე ვგრძნობ, ყოველთვის ვგრძნობდი და, მიუხედავად მისი გამოვლენის უხეში ფორმებისა, მზად ვარ მუდამ დავამტკიცო, რომ ეს გერმანული თვისებაა *katexochen**, ღრმად გერმანული, ცინცხალი მახასიათებელია გერმანელებისა, ისეთი ფსიქიკური ნყოფისა, რომელსაც მუდამ ერთი იდეის აკვიატება ემუქრება, მარტოობით არის მოშხამული, პროვინციული ზოზინი, ნერვული კონფლიქტები, ჩუმი სატანიზმი ახლავს...

აქ სიტყვა გამიწყდა, ადრიანმა შემომხედა და ისე მომეჩვენა, თითქოს სახეზე ფერი აღარ ედო. მზერა, რომელიც მომაპყრო, მისი მზერა იყო, ნაცნობი მზერა, მე რომ უბედურს მხდიდა, თითქმის განურჩევლად, ჩემკენ იყო მომართული თუ სხვისკენ: უტყვი, დაბინდული, ლამის სანყენად ცივი და განდგომილი, მერმე გაიღიმა, თითქმის ბაგე არ განუხვნია, ისე, მხოლოდ დამცინავად შეუთამაშდა ცხვირის ნესტოები, და პირი იბრუნა. მაგიდას მოსცილდა, მაგრამ შილდკნაპისკენ კი არ წასულა, არამედ ფანჯრის ნიშასთან მივიდა და მის უანელით მოპირკეთებულ კედელზე ჩამოკიდებული ხატი გაასწორა. რიუდიგერმა დაახლოებით ამდაგვარი რამ მითხრა: ისლა დამრჩენია, შენნაირი სულისკვეთების კაცს ფრონტიკსკენ გზა დავულოცო, დაუყოვნებლივ გაილაშქრე და ისიც უთუოდ ცხენითო. აუცილებლად ცხენზე შემჯდარმა უნდა გაილაშქრო ანდა სულაც არაო, – გამიმეორა მან და თან წარმოსახვით ბედაურს კისერზე ვითომ ხელიც მოუთათუნა. სამივეს გაგვეცინა და ჩვენ, როცა მე სადგურისკენ დავიძარი, ლალად და მხიარულად დავემშვიდობეთ ერთმანეთს. კარგია, რომ სანტიმენტალური ამბებისაგან თავი შევიკავეთ; ასეთი რამ არ შეგვფეროდა. მაგრამ ადრიანის მზერა კი თან გამყვა ომში – შეიძლება სწორედ მისი ბრალი იყო, ხოლო პარტახტიანი ტიფისა კი მხოლოდ მოჩვენებით, რომ ესოდენ მალე ისევ შინ დავბრუნდი, მეგობრის სიახლოვეს.

**უპირატესად (ბერძ.)*

— ჩემს მაგივრად თქვენ მიდიხართო, — მითხრა ადრიანმა, მაგრამ ჩვენ ვერ მივალნიეთ პარიზამდე! უნდა გამოვტყდე, რომ პირადად მე ამის გამო ფარულად და ისტორიული თვალსაზრისისგან სრულიად დამოუკიდებლად ღრმად ინტიმური სირცხვილი ვჭამე. რამდენიმე კვირა ზედიზედ შინ გამარჯვებათა სიტყვაძუნს, ხაზგასმით ლაპიდარულ ცნობებს ვგზავნიდით, ტრიუმფს ცივი გულდაჯერებულობით ვმოსავდით. ლიეჟი დიდი ხანია დაეცა; ლოთარინგიაში ბრძოლა მოვიგეთ; თანახმად დიდი ხნის წინათ ჩაფიქრებული გეგმისა, ხუთი არმია მაასის მიღმა გადავისროლეთ; ბრიუსელი და ნამიური ავიღეთ, გავიმარჯვეთ შარლერუასა და ლონგის ბრძოლებში; დავამარცხეთ მონინააღმდეგე ბრძოლების მეორე სერიამი სედანსა, რეტელსა, სენ-კანტენთან და რეიმსი დავიკავეთ. ჩვენი წინსვლა, როგორც ვოცნებობდით, ისე გამალებული იყო. ომის ღმერთი გვწყალობდა. თითქოს ფრთები გვქონდა გამოსხმული, თითქოს თავად ფრთამალი ბედისწერა მიგვაქროლებდა. ამგვარი სრბოლისაგან განუყრელი ხოცვა-ჟლეტისა და ნახანძრალების ცქერის ატანა ჩვენი მამაცობის საქმე იყო, ეს გახლდათ მთავარი, რაც ჩვენს ვაჟკაცობას მოეთხოვებოდა. საოცრად კანთიელად და ცოცხლად წარმომიდგება ხოლმე დღესაც მენსიერებაში გამხდარი გალი დიაცის ხატება, იმ მაღლობზე მდგარი, რომელსაც ჩვენი ბატარეა გარს უვლიდა და რომლის ძირას ყუმბარებით დანგრეული სოფლის ნაშთილა ხრჩოლავდა. — მე უკანასკნელი ვარ! — დაგვიყვირა მან, თან ხელი ისე ტრაგიკულად აიქნია, როგორც გერმანელი ქალი აღბათ ვერ შეძლებდა. — Je suis la dernière! — და მალლა ანეული მუშტების ქნევით ჩვენს თავზე წყევლა გადმოანთხია; სამჯერ გაიმეორა: — Méchants! Méchants! Méchants!*

ჩვენ სადღაც სხვაგან ვიყურებოდით; ჩვენ უნდა გაგვემარჯვა და ასეთი გახლდათ გამარჯვების მძიმე ხელობა. ის ამბავი, რომ ჩემს ქურანაზე ამხედრებული თავს ცუდად ვგრძნობდი, ავი ხველა მიღებდა ბოლოს და სახსრები მტებს და ნესტიან კარავში გატარებული ღამის შემდეგ, ასე თუ ისე, მანუგეშებდა.

კიდევ ბევრი სოფელი გავასწორეთ მიწასთან ფრთამალ ლაშქრობაში. შემდეგ კი გაუგებარი რამ მოვიდა, ერთი შეხედვით, უაზრო:

**ავაზაკებო! ავაზაკებო! ავაზაკებო! (ფრანგ.)*

უკან დახვევის ბრძანება. როგორ უნდა გაგვეგო? ჩვენ ჰაუზენის ჯარების დაჯგუფებას ვეკუთვნოდით, რომელიც ფართო ფრონტით შალონ-სიურ-მარნის სამხრეთით პარიზისკენ მიიწევდა, ისევე როგორც სხვა მხრიდან ფონ კლიუკის ჯარები. ჩვენ აბა რა ვიცოდით; რომ სადღაც, ხუთი დღის ბრძოლის შემდეგ, ფრანგებმა ფონ ბიულოს მარჯვენა ფრთა შეავიწროეს. ეს კი იმისათვის საკმაო საბაბი გახლდათ, რომ გაუბედავსა და კეთილსინდისიერ მთავარსარდალს, ამ მაღალ პოსტზე ბიძამისის პატივსაცემად დანიშნულს, ყველაფერზე ხელი აეღო. ჩვენ ისევ ის სოფლები გამოვიარეთ, რომლებიც ახრჩოლებულები ზურგში მოვიტოვეთ, გამოვიარეთ ის ბორცვიც, რომელზედაც მაშინ ის ტრაგიკული ფრანგი ქალი იდგა. ახლა ის უკვე აღარ იყო იქ.

ფრთებმა გვიღალატა. ოცნების ახდენა არ გვეწერა. ომის მოგება სწრაფი შეტევით არ შეიძლებოდა — შინ დარჩენილთა მსგავსად ჩვენც არ გვესმოდა, ეს რას ნიშნავდა. ჩვენ არ გვესმოდა, რატომ შეხვდა მსოფლიო მარნასთან ბრძოლის შედეგს სინარულის ყიჟინით, არ გვესმოდა, რომ ამის შედეგად ხანმოკლე ომი, რისი იმედიც გვასულდგმულვებდა, ხანგრძლივ ომად იქცა. მას კი ვერ გაუძლებდით. ჩვენი დამარცხება ახლა სხვებისთვის მხოლოდ დროისა და ხარჯის საკითხი იყო. ეს რომ მაშინვე შეგვეგნო, ალბათ შევძლებდით იარაღი დაგვეყარა და ჩვენი ბელადები გვეიძულებინა დაუყოვნებლივ ზავი დაედოთ, მაგრამ მათ შორისაც კი ალბათ ერთი-ორი კაცი თუ უღებდა ალღოს შექმნილ ვითარებას და ისიც ჩუმ-ჩუმად თუ. მათ ხომ შეგნებული არ ჰქონდათ ის ფაქტი, რომ ლოკალურმა ომებმა დრო მოსჭამა და ყოველი ლაშქრობა, რომელსაც, როგორც თავს მოხვეულის, წამოვიწყებდით, აუცილებლად მსოფლიო ხანძრად გადაიქცეოდა. თან ამ შემთხვევაშიც უპირატესობა მაინც ჩვენს მხარეზე რჩებოდა, რადგან შინაგანი პოზიცია, მეტი საბრძოლო მომზადება, პათეტიკური სულისკვეთება და მტკიცებლავრიანი ავტორიტარული სახელმწიფო გქონდა, რაც ელვისებური გამარჯვების შანსს იძლეოდა. საკმარისი იყო ეს შესაძლებლობა ხელიდან გაგვეშვა — ხოლო ჩვენ სწორედ ეს გვეწერა — და რასაც კი წლების მანძილზე ვიღონებდით ამის შემდეგ, ყველაფერი ფუჭად ჩაივლიდა, ჩვენი საქმე წინასწარ უკვე წასული იყო — ამჯერად, მეორეჯერაც და ყოველთვისაც ასე მოხდებოდა.

ეს ჩვენ არ ვიცოდით. ნელ-ნელა, ტანჯვით, ხდებოდა ჩვენთვის საცნაური და ომი, ლპობადი, ხრწნადი, დუხჭირი ომი, თუმცა ჟამი-

დან ჟამზე მაცდურად აკიაფდებოდა ხოლმე ნასევრული გამარჯვე-ბებით, თითქოს იმიტომ, რომ სასოება მთლად არ წაგვრთმეოდა, — ეს ომი, რომელზედაც მეცა ვთქვი, მხოლოდ ხანმოკლე შეიძლება იყოს-მეთქი, ოთხი წელი გაგრძელდა. საჭიროა აქ დანვრილებით გავიხსენო ჩვენი ძალებისა და მატერიალურ ღირებულებათა გამო-ფიტვა, შერყვნა და შეზღუდვა, ყოფის გაღარიბება, საკვების ნაკლებობა, გაჭირვების გამო ზნეობრივად დაცემა, ქურდობის გახშირება და ყოველივე ამის გვერდით გამდიდრებული ოტროველა ნაძირალების ფუფუნებაში ცხოვრება? მაშინ უფლება ექნებოდათ ესაყვედურებინათ ჩემთვის, რადგან ეს ყოვლად თავშეუკავებელი გადახვევა იქნებოდა ჩემი ინტიმურ-ბიოგრაფიული ამოცანებიდან. აქ გაკვრით დახატულ ვითარებას, დასაწყისიდან მწარე ბოლომდე, მე ზურგში მოვესწარი, ჯერ როგორც შვებულებში მყოფი და მერე კი — სულაც დაუნებულ-გათავისუფლებული, როდესაც კვლავ ფრაი-ზინგში განვაგრძე მასწავლებლობა. ვინაიდან არასთან, ამ ციხე-სი-მაგრისათვის ბრძოლის მეორე პერიოდში, რომელმაც 1915 წლის მაისის დასაწყისიდან ივლისამდე გასტანა, დეზინფექციის სამსახური ამჟამად სათანადო დონეზე არ იდგა: პარტახტიანი ტიფით გავხდი ავად და რამდენიმე კვირა იზოლატორში გავატარე, შემდეგ კიდევ ერთი თვე — დაჭრილ მეომართა ტაუნუსის დასასვენებელ სახლში და ბოლოს აღარ ვენიანალმდეგებოდი აზრს: ჩემი პატრიოტული ვალი მოვიხადე და სჯობს ისევ ძველ ადგილას განვაგრძო მუშაობა — განათლების საქმეში ჩემი წვლილი შევიტანო-მეთქი.

ასეც მოვიქეცი და კვლავ მეუღლე და მამა გავხდი სადა სახლში, რომლის კედლებიც, უღიმღამო და ნაცნობზე ნაცნობი ავეჯი, ან ყუმბარის ჩამოვარდნის შემთხვევაში მოსასპობად განწირული, დღესაც ჩემი განმარტოებული და გაპარტახებული არსებობის ჩარჩოს შეადგენს. ნება მიბოძეთ, ერთხელ კიდევ დავსძინო, რასაკვირველია, თავის ქებით კი არა, არამედ ფაქტი მინდა უბრალოდ აღვნიშნო, რომ ჩემი საკუთარი ცხოვრება, მართალია, მთლად დაუდევრადაც არ გამიტარებია, მაგრამ მაინც მას სასხვათაშორისოდ ვეკიდებოდი, გულისყურის მარტო ნაწილს ვუთმობდი, ასე ვთქვათ, მხოლოდ ცაცია ხელით წარვმართავდი და რომ არსებითად მთელი ჩემი ყურადღება, დარდი და ზრუნვა ჩემი სიყრმის მეგობრისაკენ იყო მიმართული, რომლის სიახლოვესაც დაბრუნება დიდად მახარებდა — თუკი სიტყვა "მახარებდა" შეეფერება იმ ჩუქსა და ცივი ოფლის მომგვრელ თრთოლასა და დათრგუნვილობას, ჩემი თანაგრძნობის.

გაუზიარებლობის გამო მტკივნეულ გულდანყვეტილობას, რასაც მისი მზარდი შემოქმედებითი მარტოობა აღმიძრავდა. მასზე "თვალის დაჭერა", მისი არაჩვეულებრივი და საიდუმლოებით მოცული ცხოვრებისათვის თვალყურის დევნება, მუდამ უმთავრეს და გადაუდებელ ამოცანად მიმაჩნდა; ეს იყო ჩემი ცხოვრების დედა-აზრი და ამიტომ ვახსენებ ზემოთ ჩემი ამჟამინდელი დღეების უღიმღამობა.

შინაური კერის მისეული არჩევანი — ადრიანი ხომ რალაც უცნაურ, არცთუ მთლად მოსაწონ განმეორებათა გამო მართლაც "შინ" იყო — შედარებით ილბლიანი გამოდგა, — მაღლობა ღმერთს! დაცემისა და მუდმივად მზარდი გაჭირვების წლებში ის თავის გლეს მასპინძლებთან, შვაიგეშტილებთან, დიახაც გასაძლისად იყო ყველაფრით უზრუნველყოფილი, თუმცა ამას თვითონ ვერ ხვდებოდა და არ აფასებდა, რომ თითქმის არ შეხებოდა ის გამომფიტავი ცვლილებები, რომლებიც აწამებდა ბლოკირებულსა და გარშემორტყმულ, თუმცა სამხედრო თვალსაზრისით ჯერაც მძლავრ ქვეყანას. ამას ის ხსენების ღირსადაც არ თვლიდა, როგორც თავისთავად გასაგებს, ისე იღებდა, როგორც ისეთ რამეს, რაც მისგან მომდინარეობდა, მის ბუნებაში იყო, წინააღმდეგობის განევის უნარისა და მდგრადობის ნყალობით, გარეგან ფაქტორებს ინდივიდუალურად რომ უმკლავდებოდა. მისი ელემენტარული დიეტური მოთხოვნები შვაიგეშტილების მეურნეობას ყოველთვის შეეძლო დაექმყოფილებინა. მაგრამ ამას ისიც ემატებოდა, რომ ფრონტიდან დაბრუნებულს ის ორი ასულის მეურვეობით გარემოცული დამხვდა, რომლებიც ამასობაში დაახლოებოდნენ და, ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებლად, მისი გულითადი მეგობრები გამხდარიყვნენ. ეს ქალბატონები გახლდნენ მეტა ნეკედი და კუნიგუნდე როზენშტილი — ერთი მუსიკის მასწავლებელი და მეორე — ქმედითი თანამფლობელი წელების სანარმოსი, ესე იგი ძეხვეულის გარსთა დამამზადებელი დაწესებულებისა. ღირსშესანიშნავი ამბავია: ფართო მასისთვის სრულიად უცნობი, ნაადრევი ეზოტერიკული სახელი, როგორის მოხვეჭაც ლევერკიუნმა დაიწყო, საქმეში ჩახედულთა წრეში ყალიბდება, უდიდეს მცოდნეთა შორის, რასაც, სხვათა შორის, პარიზიდან მიღებული მინვევაც მოწმობდა; მაგრამ ამავე დროს, ეტყობა, მას გამოძახილი აქვს უფრო უბრალო, უფრო დაბალ სფეროებშიც: საბრალო მწყურვალ სულებში, რომლებიც მასას გამოეყოფიან ხოლმე და "ამაღლებულ მისწრაფებათა" სამოსელში გამოწყობილი, მაგრამ

ნამდვილად კი მარტოობით გატანჯულობიდან მომდინარე ფაქიზი გრძნობების გამო ვისიმე თაყვანისცემაში პოვებენ ბედნიერებას. ასეთი გრძნობის იშვიათობა ყოველივე ამას აკეთილშობილებს; ხოლო ის, რომ ამას ქალები სჩადიან, სახელდობრ, ქალწულები, არ უნდა გაგვიკვირდეს, ვინაიდან ადამიანური დაუკმაყოფილებლობა უთუოდ წყაროა წინასწარმეტყველური ინტუიციისა, რაც ესოდენ უბადრუკი წარმომავლობის გამოისობით ღირებულებას როდი კარგავს. აშკარა იყო, რომ აქ უშუალოდ პირადული ძალზე არსებით, ასე გასინჯეთ, სულიერზე უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებდა. თანაც სულიერი ფაქტორისათვის ორივე შემთხვევაში მხოლოდ ბუნდოვან ხაზებში შეიძლებოდა მიგვეკვლია და შეგვეფასებინა, ისიც მარტო ალღოთი და გუმანით. მაგრამ უფლება მაქვს მე, მამაკაცს, რომელმაც არაერთხელ ვაღიარე, რომ სიყრმიდანვე ჩემი სული და გული მონუსხულია ადრიანის ცივი და საიდუმლოებრივად გულჩათხრობილი მყოფობით, — ერთი ციციქნა უფლება მაინცა მაქვს მასხარად ავიგდო ეს ქალები, რომელთაც ასე ხიბლავდათ მისი მარტოობა, ცხოვრების უჩვეულო წესი?

ნეკედიმ, ოცდაათიოდე წლის ფუსფუსა ასულმა, წამდაუნუმ განითლება იცოდა, მორცხვობისგან აღმური მოედებოდა ხოლმე სახეზე; თვითონ ლაპარაკობდა, თუ სხვას უსმენდა, პენსნეს მიღმა თვალებს ნაძალადევი თავაზით აფახულებდა, თან თავს იქნევდა და ცხვირს იჭმუხნიდა, — აი, ეს ნეკედი ერთ დღეს, ადრიანის ქალაქში ყოფნისას, ტრამეის წინა ბაქანზე მის გვერდით აღმოჩნდა და როცა ეს ამბავი შენიშნა, თავზარდაცემული ადგილიდან მოსწყდა, მგზავრებით სავსე ვაგონში გზა გაიკვლია და უკანა ბაქანზე გაჩნდა, მაგრამ რამდენიმე წამის შემდეგ გონს მოვიდა, უკან დაბრუნდა და გამოელაპარაკა, გვარით მიმართა, საკუთარიც გაანდო და ზოგი რამ უამბო კიდევ თავის შესახებ, თან წითლდებოდა და ფითრდებოდა, შემდეგ ისიც უთხრა, თქვენს მუსიკას ვეთაყვანებო და მადლიერმა ადრიანმაც ეს ყოველივე ცნობად მიიღო. ასე დაიწყო მათი ნაცნობობა, რომელიც მეტამ იმიტომ კი არ გააბა, რომ მერე ალაღბებზე მიეტოვებინა: რამდენიმე დღე გავიდა თუ არა, როგორც თაყვანისმცემელს შეეფერება, ყვავილებით გამოცხადდა პფაიფერინგში, განამტკიცა ურთიერთობა და შემდეგ სისტემატურად დაიარებოდა — ერთმანეთზე ეჭვიანობით გაფიცებულ შეჯიბრში დაუფარავად უწევდა მეტოქეობას როზენშტილს, რომელმაც საქმე სხვაგვარად წამოიწყო.

გაძვალტყავებული ებრაელი ქალი დაახლოებით იმავე ასაკისა იყო, რაც ნეკედი; მატყლივით ხუჭუჭა, ურჩი თმა ჰქონდა და თაფლისფერი თვალები, რომლებშიაც ძველთაძველი სევდა ირეკლებოდა იმის გამო, რომ სიონის ასული გაკოტრებული იყო, ხოლო მისი ხალხი უმწეო ფარას წააგავდა. ტლანქ სარბიელზე მყოფ მხნესა და საქმიან ქალს (ტლანქზე იმიტომ, რომ ძხვვეულისათვის ნელების გადამამ-უშავებელ ფაბრიკას სიტლანქისა უთუოდ რალაც სცხია) თან ელეგიური ჩვეულება ჰქონდა ლაპარაკისას ყოველი წინადადება "აჰ" — შორისდებულით დაეწყა. "აჰ, დიახ", "აჰ, არა", "აჰ, მერწმუნეთ", "აჰ, როგორ არა", "აჰ, ხვალ ნიურნბერგს მინდა გავემგზავრო", — იტყოდა ხოლმე დაბალი, საშინლად ჩახლექილი და მომჩივანი ხმით, და თვით მაშინაც კი, როცა შეეკითხებოდნენ: — როგორა ბრძანდებით? — უპასუხებდა ხოლმე: "აჰ, როგორც ყოველთვის!" სულ სხვა საქმე იყო, როდესაც წ ე რ და , — რასაც დიდი სიყვარულით ეკიდებოდა. ვინაიდან კუნიგუნდე არა მხოლოდ ძალიან მუსიკალური იყო, როგორც თითქმის ყველა ებრაელი, არამედ — თუმცა მაინცდამაინც ბევრს არ კითხულობდა — ბევრად უფრო სპეტაკსა და სათუთ დამოკიდებულებას იჩენდა გერმანული ენისადმი, ვიდრე საშუალო გერმანელობა და სწავლულთა უმეტესობაც კი, და ადრიანთან ნაცნობობა, რასაც ქალი თავისი ინიციატივით მუდამ "მეგობრობას" უწოდებდა (ან კი სხვა რა იყო ეს, ბოლოს და ბოლოს, თუ არა მეგობრობის მაგვარი რალაც?), მან საუცხოო წერილით გააბა, ვრცელი, კარგად ჩამოყალიბებული, შინაარსობრივად არცთუ მაინცდამაინც გასაოცარი, მაგრამ სტილისტურად ძველი, ჰუმანისტური გერმანიის საუკეთესო ნიმუშების მიხედვით გაფორმებული ბარათი, ერთგულების უსტარი, რომელიც ადრესატმა არცთუ გაკვირვების გარეშე წაიკითხა და რომლისთვისაც არ შეიძლებოდა დუმილით თავი აერიდებინა თუნდაც მისი ლიტერატურული ღირებულების გამო. მაგრამ ქალი შემდგომაც ხშირად სწერდა ჰფაიფერინგში, თან ეს ხელს არ უშლიდა თავადაც წამდაუნუმ სწვეოდა ხოლმე, სწერდა ყველაფერს დანვრილებით, ოდნავ უსაგნოდ, არცთუ ამაღლევებლად, მაგრამ ენობრივად კეთილსინდისიერად, გულმოდგინედ და იოლად აღსაქმელად — სხვათა შორის, ხელით კი არა, არამედ თავისი კანტორის საწერ მანქანაზე, რომელსაც "და"-ს ნაცვლად კომერციული ნიშანი ჰქონდა. წერილებში თავყვანისცემას გამოხატავდა, ოღონდ ამ გრძნობის კვალიფიცირებასა და დასაბუთებას ან მორცხვობის გამო ვერ ბედავდა, ანდა უნარი არ შესწევდა. ეს მართლაც თავყვანისცემა იყო, ინსტი-

ნქტით ნაკარნახევი, მრავალი წლის მანძილზე ერთგულად შენარჩუნებული თაყვანისცემა და თავდადება, რის გამოც ეს შესანიშნავი ქალი, სხვა სიქველეთა გაუთვალისწინებლადაც, სერიოზული პატივისცემის ღირსი იყო. მე ყოველ შემთხვევაში ასეც ვექცეოდი და თან ვცდილობდი იმდენივე გულითადობა ფუსფუსა ნეკედისთვისაც მიმეზლო, თუმცა ადრიანი მისთვის დამახასიათებელი უყურადღებობის გამო მხოლოდ ითმენდა ორივე თაყვანისმცემელი ქალის მამებლობასა და ძღვენებს. ან, ბოლოს და ბოლოს, ჩემი ხვედრი განა ბევრად განირჩეოდა მათი ხვედრისაგან? ის, რომ კეთილგანწყობილი ვიყავი მათ მიმართ (მაშინ როდესაც ისინი ყოვლად პრიმიტიულად ვერ იტანდნენ ურთიერთს და შეხვედრისას თვალებმოკიჟულები ახედ-დახედავდნენ ხოლმე ერთიმეორეს), უფლება მაქვს ჩემს თავს სიკეთედ ჩაკუთვალო, რადგან გარკვეული თვალსაზრისით მეც მათი ამფსონი გახლდით და შეიძლებოდა გული მომსვლოდა შინაბერებზე ჩემი ადრიანთან დამოკიდებულების გაშარებული დუბლირების გამო.

ჰოდა, ეს ქალები ხელცარიელები არასოდეს არ მოდიოდნენ, შიმშილობის წლებში მოჰქონდათ მასთან, ძირითადი საკვები პროდუქტების გარდა, ისეთი რამეებიც, რაც მხოლოდ შეძლებულთათვის იყო ხელმისაწვდომი და მარტო დახლქვეშ იშოვებოდა: შაქარი, ჩაი, ყავა, შოკოლადი, ნამცხვარი, მურაბა და დაჭრილი თამბაქო სიგარეტის გასახვევად, — ასე რომ, მათი ნობათიდან მეც, შილდკნაჰსაც და ადრიანის მიმართ მარად ნდობით გამსჭვალულ რუდი შვერტფეგერსაც რალაცას გვინილადებდა ხოლმე და ჩვენც ერთმანეთთან საუბარში ხშირად მადლიერებით ვიხსენიებდით ამ ერთგულ ქალებს. რაც შეეხება თამბაქოს, სიგარეტს, ადრიანი მარტო იძულებით ელეოდა მას, ესე იგი მაშინ, როდესაც შაკიკი აუტყდებოდა, ზღვის მძიმე ავადმყოფობასავით დარევდა ხელს და მთელი დღეები ჩაბნელებულ ოთახში იწვა, რაც თვეში ორ-სამჯერ ემართებოდა, სხვა დროს კი თავს ვერ ანებებდა ამ მასტიმულირებელ საშუალებას, რომელსაც უკვე საკმაოდ გვიან, მხოლოდ ლაიპციგში ყოფნისას მიეჩვია, და რომელიც, როგორც თვითონ ირწმუნებოდა, მუშაობაში განსაკუთრებით შველოდა: თუ სიგარეტი არ გავახვიე და არ გავაბოლე, ისე დიდხანს ვერ ვუზივარ სამუშაოსო. მუშაობით კი, იმხანად, როცა მე სამოქალაქო ცხოვრებას დავუბრუნდი, ძალიან გართული იყო. ჩემი აზრით, იმდენად იმჟამინდელი თემით კი არა, სახელდობრ, "Gesta Romanorum"-ის სცენებით, ან მარტო ამ თემით კი არა, არამედ იმითაც, რომ სურდა

უკან მოეტოვებინა იგი და თავისი გენიის ახლად განცხადებული მოთხოვნებისათვის მზად ყოფილიყო. ჰორიზონტზე, ამაში და-რწმუნებული ვარ, უკვე მაშინ, ხოლო შესაძლოა, ომის ატეხისთანავე, რაც ისეთი ნათელმხილველისათვის, როგორც ის იყო, დიადი მიჯნა გახლდათ, დასაწყისი ახალი, ბობოქარი, ბალავართა დამამხობელი, შლეგური ავანტიურებითა და ტანჯვა-ვაებით აღსავსე პერიოდისა, — მისი შემოქმედებითი ცხოვრების ჰორიზონტზე უკვე გამოკრთა "Apocalipsis cum figuris"* ნაწარმოები, რომელმაც ამ ცხოვრებას თავბრუდამხვევი აღმაფრენა მიანიჭა, მანამდე კი — ყოველ შემთხვევაში მე ასე მესახება ეს პროცესი — იცდიდა და დროს კლავდა თოჯინების გენიალური გროტესკებით.

ძველ წიგნს, რომელიც შუა საუკუნეთა რომანტიკული მითების უმთავრეს წყაროდ ითვლება, ლათინურიდან თარგმნილი ქრისტიანული ზღაპრებისა და ლეგენდების უძველეს კრებულს, ადრიანი შილდენაჰის წყალობით გაეცნო. — სიამოვნებით ვუთვლი დამსახურებად ამ ამბავს ადრიანის რჩეულსა და ჩემს მეტოქეს. მათ არაერთი საღამო ჰქონდათ ვატარებული "Gesta Romanorum"-ის კითხვაში, რაც უწინარეს ყოვლისა იმით იყო გამართლებული, რომ ადრიანმა კომიკურის ყადრი იცოდა, სიცოცხლის მოთხოვნილება ჰქონდა — ცრემლების გადმოცვენამდე სიცოცხლსაც კი, რაშიც მე. ცოტა არ იყოს, დინჯი ბუნების კაცი, ვერასოდეს რიგიანად მხარს ვერ ვუბამდი, და თან ისიც მიშლიდა ხელს, რომ ჩემი მფრთხალი სული გარკვეულ შეუსაბამობას ამჩნევდა მხიარულების ამგვარ აფეთქებასა და ადრიანის ზნეს შორის, მე რომ ძრწოლითა და კრთომით მიყვარდა. რიუდიგერ შილდენაჰს, ჩემს მეტოქეს, სულაც არ აფიქრებდა ის, რაც მე მადარდებდა და რასაც, სხვათა შორის, როდი ვამხედდი და ვცდილობდი ამას ხელი არ შეეშალა, მეც გულიანად შემხიარულა, როდესაც ჩემი მეგობრები გახალისდებოდნენ. სილუზიელი კი, თითქოს რაღაც მისია, რაღაც მნიშვნელოვანი დავალება შეესრულებინოს, დიდად ნასიამოვნები გახაზავდა ხოლმე ყოველ შემთხვევას, როცა ადრიანს ისე გააცინებდა, რომ მეგობარს ცრემლებიც კი გადმოსცვივდებოდა, და ეს ანეკდოტებისა და იგავების წიგნი უდავოდ მისი ილბლიანი მიგნება იყო, მაღლიერების ღირსი, ნაყოფიერი, შედეგიანი.

* „აპოკალიფსი სურათებით“ (ლათ.).

მე დიხაჯ მესმის, რომ "Gesta" შიგ ასახული ისტორიული გაუთ-
ვიცნობიერებულობით, სათნო, ქრისტიანული დიდაქტიკითა და
ზნეობრივი მიამიტობით, აგრეთვე მშობლის მკვლელობათა, ცოლ-
ქმრული ერთგულების გატეხისა, ლალატისა და სისხლის რთული
აღრევების ახირებული კაზუსტიკით, შიგ დასახელებული არა-
რსებული რომაელი იმპერატორებითა და მათი საშინლად დაცული,
მაგრამ ეშმაკური ფანდებით მაინც მოტაცებული ქალიშვილებით
მშვენიერი გასართობი რამ არის, — არ მინდა უარვყო-მეთქი, ვამბობ
მე, რომ ეს ზოგიერთი ლათინური ელემენტის შემნარჩუნებელი, დარ-
ბაისლური და ამასთანავე ენით აუნერლად გულუბრყვილო სტილით
ნათარგმნი იგავეები, რომლებიც ალექსულ ქვეყანაში მიმავალ რაინ-
დებსა, გარყვნილ ცოლებსა, ფეხებიდან მოცვეთილ მაჭანკლებსა და
შავ მაგიას გადაყოლილ სასულიერო პირთა შესახებ მოგვითხრობენ,
ძალზე თავშესაქცევენი არიან. ისინი თითქოს იმისთვის იყვნენ
შექმნილნი, რომ ადრიანის პაროდიული ყინი გაეხელებინათ, და
თოჯინების თეატრისათვის შემჭიდროებული ფორმით ამ მოთხრო-
ბათაგან ზოგიერთის მუსიკალური დრამატიზაციის აზრი იმ დღიდა-
წვე გაუჩნდა, რა დღიდანაც კი მათ გაეცნო. კრებულში არის, მაგალი-
თად, სრულიად ამორალური იგავი, "დეკამერონის" წინამორბედი,
"დედაბერთა უღვთო ცბიერების შესახებ", რომელშიც ვითომდა
სათნო, ნამდვილად კი აკრძალულ ვნებათა დიდი ავანჩავანი ქალი
აიძულებს ერთ კეთილშობილსა და, ასე გასინჯეთ, უაღრესად წესიერ
ქალს, ვისი ნდობით აღსავსე მეუღლე სადღაც არის წასული, მისდამი
ვნებათა ღელვით ატანილ ჭაბუკთან შესცოდოს. ის კუდიანი
დედაბერი ორი დღე ამიმშლებს თავის ფინიას, მერმე მდოგვიან
პურს შეაჭმევს, რისგანაც პირუტყვს ერთთავად თვალები ეცრემლ-
ება, და ასე აცრემლებული პირუტყვი მიჰყავს სათნობის განსახი-
რებასთან, სადაც დიდი მოკრძალებით იღებენ, რადგან ამ დედაბე-
რს, როგორც ყველგან, აქაც წმინდანად რაცხავენ. როდესაც ქალ-
ბატონი აცრემლებულ ფინიას შენიშნავს და, გაკვირვებული, ამის
მიზეზს იკითხავს, დედაბერი ჯერ თავს იკატუნებს, თითქოს კითხვ-
აზე პასუხის გაცემას გაურბოდეს, ხოლო შემდეგ, როდესაც მასპი-
ნძელი აღარ მოეშვება, ვითომდა იძულებით გამოუტყდება: ეს ფინია
ოდესლაც ჩემი წესიერზე წესიერი ქალიშვილი გახლდათ, რომელმაც
მასზე გაგიჟებით შეყვარებულ ყმანვილ კაცს თავისი მიუკარებლო-
ბით თავი მოაკვლევინაო, სასჯელად ძალღად იქცა და ახლა;
ბუნებრივია, ნანობს და ცრემლსა ღვრის თავისი ძალღური ხვედრის

გამო. მაქანკალი თან ჰყვება ამ განგებ მონაჩმასხს, თან თვითონაც ინირპლებს; ქალბატონს კი თავზარი ეცემა, ისე წააგავს დასჯილის ამბავი იმას, რაც მის თავზე ტრიალებს, და დედაბერს გაანდობს: ჩემზედაც აქვს ერთ ჭაბუკს გული შევარდნილიო. ის კი ძალზე სერიოზულად აუნერს, რა უბედურება დატრიალდება, ისიც რომ ძალღად გადაიქცეს და პასუხად დავალებას იღებს: მომიყვანე ის ჩემზე გულგადაღებული ბიჭი, რომ ღვთის სახელით ყინი მოიკლასო. ასე და ამგვარად, უღმერთო ხრიკი გასჭრის და ორივენი მრუშობის ბადაგს დაენაფებიან.

ახლაც კი მშურს რიუდიგერ შილდენაპისა, რომ მან პირველმა ნაუკითხა ეს მოთხრობა ჩვენს მეგობარს აბატის პალატში, თუმცა უნდა ვთქვა: ჩემს ნაკითხულს ისეთი ეფექტი არ ექნებოდა. საერთოდ კი მყობად ნაწარმოებში რიუდიგერის წვლილი ამ პირველი ბიძგით შემოიფარგლა. როდესაც ჯერი იგავების თოჯინური სცენისათვის გადაკეთებაზე, მათთვის დიალოგური ფორმის მიცემაზე მიდგა, მან უარი განაცხადა, არ ვიცი, დროის უქონლობისა თუ მისთვის დამახასიათებელი ახირებული თავისუფლებისმოყვარეობის გამო, და ადრიანი, რომელსაც მისგან უარი სულაც არ სწყენია, ჩემს იქ არყოფნაში, თავად შეუდგა სავარაუდო ლიბრეტოს ესკიზებისა და მიახლოებითი რეპლიკების შავად შედგენას. შემდეგ კი საბოლოო ფორმა, როგორც გალექსილ ნაწილს, ისევე პროზას, ხელდახელ მე მივეცი მოცალებობის ჟამს. ადრიანის სურვილისამებრ თოჯინების გამახმოვანებელი მომღერლები საკრავთა შორის უნდა განლაგებულიყვნენ, ძალზე მწირ, მხოლოდ ვიოლინოსა და კონტრაბასისაგან, კლარნეტისა, ფაგოტისა, საყვირისა და ტრომბონისაგან, აგრეთვე ერთი კაცისთვის გათვალისწინებულ დასარტყამ ინსტრუმენტთაგან და მეტალოფონისაგან შემდგარ ორკესტრში, თანაც მათ შორის იყო აგრეთვე დიქტორიც, რომელიც ორატორიის testis-ის მსგავსად რეჩიტატივებითა და თსრობით ადულაბებს მოქმედებს.

ყველაზე ილბლიანი ეს შერწყმული ფორმა მეხუთე სცენაში ჩანს, არსებითად სიუიტის გულის გულია, "ნეტარი პაპი გრეგორიუსის დაბადების ამბავში". ამ დაბადების მკრეხელური უჩვეულობა ჯერ კიდევ არაფერს არ ნიშნავს, რადგან საშინელი გარემოებანი არათუ ხელს არ უშლიან გმირს ბოლოს და ბოლოს ამქვეყნად ქრისტეს მონაცვლის წოდებამდე ამალდდეს, არამედ ღვთის სასწაულებრივი წყალობით ამისათვის საგანგებოდ მოწოდებულად და წინასწარ დანიშნულად წარმოაჩენენ. იმ ამბავთა ჯაჭვი, რაც მას თავს გადახდა,

გრძელი და დახლართულია, ამიტომ, ვგონებ, ჩემთვის აუცილებელი არ არის დაობლებული და-ძმა უფლისწულების მთელი ისტორია აღვადგინო, რომელთაგან ძმას ზომაზე მეტად უყვარს თავისი და, თან იმდენად თავშეუკავებელია, რომ გუნებნაცქევად გახდის და იშვიათი სილამაზის ბიჭს გააჩენინებს. სწორედ ამ შვილი-დისშვილის ირგვლივ ტრიალებს ყველაფერი. მაშინ როდესაც მამამისი ცოდვის მოსანანიებლად აღთქმულ ქვეყანაში გაილაშქრებს და იქ სიკვდილს შეეყრება, შვილს ბედი უცნობი ხვედრისაკენ მიაქანებს. ვინაიდან დედოფალი თვითონ ვერ ბედავს მონათლოს ასე უკულმართად ქვეყნად მოვლენილი, ცარიელ კასრში დებს მას მეფურ აკვნიანად და ზღვას ანდობს, ოღონდ არ ავიწყდება თან პატარა დაფა ჩაატანოს განმარტებითი წარწერით და აგრეთვე მის აღსაზრდელად საჭირო ოქრო-ვერცხლიც. ყრმას "მეექვსე კვირადღეს" ტალღები ერთი მონასტრის მახლობლად გამორიყავენ, რომელსაც სათნო წინამძღვარი უდგას სათავეში. იგი პოულობს ბაღს, ნათლავს, საკუთარ სახელს – გრეგორს – არქმევს, ზრდის და განანათლებს, რაც ნამდვილი მისწრებაა ფიზიკურად და გონებრივად არაჩვეულებრივად შემკობილი ყმანვილისათვის. ხოლო ამასობაში ცოდვილი დედამისი, თავისი ქვეყნის გულდასაწყვეტად, აღთქმას დებს, აღარასოდეს არ გავთხოვდებო, თანაც სრულიად აშკარაა: მხოლოდ იმიტომ კი არა, რომ საკუთარი თავი შერყვნილად, ქრისტიანული ქორწინებისთვის უღირსად მიაჩნია, არამედ იმიტომაც, რომ უკვალოდ დაკარგული ძმის მიმართ საეჭვო ერთგულებას იჩინეს... – მე არ დავიწყებ იმის დაწვრილებით მოყოლას, როგორ სთხოვს მას ხელს ერთი ძლიერი უცხოელი ჰერცოგი და უარით განრისხებული მის სახელმწიფოს შემოესევა, მთლიანად დაიპყრობს, გარდა ერთადერთი ციხე-სიმაგრისა, რომელსაც დედოფალი შეაფარებს თავს; შემდეგ როგორ იტყობს ჭაბუკი გრეგორი თავის წარმომავლობას და წმინდა საფლავისკენ გასწევს საყარბოდ, მაგრამ ამის ნაცვლად დედამისის ქალაქში მოხვდება, გაიგებს დედოფლის გასაჭირს, ეახლება და ქალს, ვინც, როგორც წიგნშია ნათქვამი, "ზედმინეწვით ათვალეირებს", მაგრამ ვერა სცნობს, თავის სამსახურს სთავაზობს; ან კიდევ: როგორ კლავს ის აჯამ ჰერცოგს, ქვეყანას ათავისუფლებს და კარისკაცთ დედოფალი სურთ ცოლად შერთონ; ჯერ ცოტათი როგორ იპრანწყება ქალი და ერთ დღეს – მხოლოდ ერთს – ითხოვს მოსაფიქრებლად, შემდეგ კი, წინააღმდეგ აღთქმისა, თანხმდება, ასე რომ, მთელი ქვეყნის მქუხარე ზარ-ზეიმისა და ყიჟინის თანხლებით ქორწილი იმართე-

ბა და ერთ საშინელებას უნებლიეთ მეორე ემატება: ცოდვის შვილი დედასთან საქორწინო სარეცელს იზიარებს, — დიას, ყოველივე ამის მოყოლას არ ვაპირებ. მარტო მოქმედების ყველაზე დაძაბული, აფექტიანი ეპიზოდები მინდა მოვიხსენიო, რომლებიც თოჯინურ ოპერაში ასე საოცრად და უცნაურად ამართლებენ თავიანთ თავს. ასე, მაგალითად, სულ დასაწყისში ძმა დას ეკითხება: — ასე ფერმკრთალი რატომა ხარ და შენი გიშრის თვალები შავად აღარ ელავენო, ხოლო ის კი მიუგებს: — რა გასაკვირია, ფეხმძიმედა ვარ და ეგ მიღებს ბოლოსო. ანდა როცა ღირსშესანიშნავ მოთქმას იწყებს, როცა იმის სიკვდილს იტყობს, ვისთანაც დანაშაულებრივი კავშირი ჰქონდა: “სასოება წამერთვა, ძალა წამერთვა, ვაი, ჩემო ერთადერთო ძმაო, ჩემო მეორე მეო!” — შემდეგ კი გვამს ისე გამაგებით კოცნის თავიდან ფეხებამდე, რომ მისი რაინდები, ცოტა არ იყოს, უსიამოდ შეცბუნებულები ესოდენ გადაჭარბებული მწუხარებით, იძულებულნი ხდებიან თავიანთი მბრძანებელი მკვდარს ძალით მოაცილონ. ან კიდევ, შეიტყობს რა, ვისაც უწევს უნაზეს ცოლობას, რომ ამბობს: — ო, ჩემო ტკბილო შვილო, ჩემო ერთადერთო, შენა ხარ ჩემი ქმარიცა და პატრონიც, შენა ხარ ჩემი და ჩემი ძმის ვაჟი; ო, ჩემო ტკბილო შვილო, და შენც, ჩემო ღმერთო, რად გამაჩინე ნეტავიო! ვინაიდან უცილობლად იცის, რომ ნამდვილად ასეა: ქმრის საიდუმლო ოთახში პოულობს ოდესღაც მის მიერვე პატარა დაფაზე დანერგლ განმარტებით ბარათს. მადლობა ღმერთს, რომ ქმრისთვის უკვე ძმა, ხოლო თავისი ძმისთვის შვილიშვილი არ გაუჩენია! თავად ქმარი კი კვლავ მოსანანიებლად მომლოცაობაზე ფიქრობს და დაუყოვნებლივ გაუდგება კიდევ გზას ფეხშიშველა. იგი ერთ მებადურს გადაეყრება, რომელიც “ასოთა სინატიფეზე” ხვდება, რომ უბრალო მოგზაურთან როდი აქვს საქმე და თანახმაა აბსოლუტური სიმარტოვე მოაპოვებინოს, მისთვის ერთადერთი შესაფერისი რამ. მებადურს ზღვაში გაჰყავს იგი, ნაპირიდან თექვსმეტი მილის დაშორებით, და იქ ზვირთებით შემოჯარულ კლდეზე გადასვამს. ვიდრე თვითონაც უკან გამობრუნდებოდეს, გრეგორიუსი სთხოვს: — ფეხებზე ბორკილები დამადეო, ხოლო მათ გასალეებს ზღვაში გადაისვრის და ასე შებორკილი ჩვიდმეტ წელიწადს ატარებს მონანიებაში, რასაც ბოლოს განსაცვიფრებელი, პირადად მისთვის კი, როგორც ჩანს, არცთუ მოულოდნელი შეწყალება და აღზევება მოსდევს: რომში პაპი კვდება და როგორც კი გარდაიცვლება, ზეციდან ხმა მოისმის: “მოიძევებდეთ ღვთის კაცსა გრეგორიუსსა და დასვამდეთ ჩემს ნაცვლად!”

უმალ შიკრიკებს გააქცევენ ოთხივე მხარეს, ისინი იმ მეზადურთანაც შეივლიან, რომელსაც ყოველივე ახსოვს, თან ერთ-ერთ დაჭერილ თევზს მუცელში ოდესღაც ზღვაში გადაგდებულ გასაღებს უპოვის. მერე გამოგზავნილი მალემსრბოლები მიჰყავს მომნანიებლის კლდესთან და ისინი ზევით ასძახებენ: "ო, გრეგორიუს, ღვთის კაცო, ჩამოდი კლდიდან, რამეთუ ესე არს ნებაი უფლისაი, შენ უნდა იყო მისი ნაცვალი ქვეყნად!" ჰოდა, ის რაღას უპასუხებს? "უკეთუ უფლის განჩინებაა, — დასძენს ის დინჯად, — დაე აღსრულდეს ნებაი მისი!" ხოლო როდესაც რომში ჩადიან და ზარების რეკვით უნდა შეეგებონ, ზარები როდი ელოდებიან მნათეებს, თვითონ იწყებენ რეკვას, — სულ ყველა ზარი რეკავს თავისით, რათა ქვეყანას ამცნონ: ესოდენ ღვთისნიერი და განსწავლული პაპი ჯერ არ გვყოლიაო. უფლის ღირსეული მონის სახელი და დიდება დედამისამდეც აღწევს და ისიც სამართლიანად გადაწყვეტს: ღვთის რჩეულზე უკეთესს ვის მივანდობ ჩემს სიცოცხლესო, მიდის რომში წმინდა მამასთან სააღსარებოდ, ის კი აღსარების მოსმენის შემდეგ იცნობს მომხდურს და ეუბნება: "ო, ჩემო ტკბილო დედავ, დაო და ცოლო. ო, ჩემო მეგობარო. ეშმაკს ენადა ჯოჯოხეთში მოვხვედრილიყავით, მაგრამ ყოვლისშემძლე ღერთმა არ დაანება". მერე მონასტერს უშენებს, სადაც ის დედათა წინამძღვარია, მაგრამ მხოლოდ ცოტა ხნით, ვინაიდან სულ მალე ორივეს უფლება ეძლევა ღმერთს უკან უბოძონ თავისი სული.

სწორედ ამ უსაშველოდ მკრეხელურ, მიამიტურ და ნუგეშისმცემელ ამბავში ჩააქსოვა ადრიანმა მუსიკალური ხელწერის მთელი გონება მახვილობა და მრუმე ფერები, ბალღური უშუალობა, ფანტასტიკურობა და სადღესასწაულობა. ამ პიესასაც ან, სახელდობრ, სწორედ ამ პიესას მიუდგება ლიუბეკელი ბებერი პროფესორის საოცარი ეპითეტი — "ღვთივ განბრძობილი". ეს იმანაც გამახსენა, რომ "Gesta" მართლაც "Love's Labour's Lost"-ის მუსიკალური სტილის განახლების მაგვარ რაღაცას წარმოადგენს. მაშინ როდესაც "სამყაროს სასწაულები" მუსიკალური ენით უკვე "აპოკალიფსთან" და თვით "ფაუსტუსთანაც" კი უფრო ახლოს დგას. ამგვარი წინ გადასწრება და ფენა-ფენად ერთიმეორეზე დახვავება შემოქმედებით ცხოვრებაში ხომ ხშირად გვხვდება; ხოლო ჩემი მეგობრის თვალში ამ სიუჟეტთა მხატვრულ მომხიბლაობას რაც შეადგენდა, დიახაც მესმის: ნიშნის მომგები, გამაბიაბრუებელი პაროდული თამაშისაკენ მიდრეკილი მისი გონება აქ უწინარეს ყოვლისა წიიზიდა ხელოვნების უკვე მომაკვდავი. ეპოქის გაზვიადებული პათეტიკის

კრიტიკულად გააზრების შესაძლებლობამ. მუსიკალური დრამა მასალას შუა საუკუნეების რომანტიკულ თქმულებას, მითოლოგიას დაესესხა და თან გაგვაგებინა, რომ მხოლოდ ამდაგვარი რამ არის მუსიკის ღირსი, მისი არსისათვის შესაფერისი. როგორც ჩანს, ეს იყო გადამწყვეტი, ოღონდ ეს ფაქტორი დამანგრეველად მოქმედებდა, რამდენადაც მასხარაობა, განსაკუთრებით კი ეროტიკული კურიოზები, სასულიერო მორალიზმის ადგილს იჭერდა, უკუაგდებდა რა გაუფასურებულ ზარზეიმა საშუალებებს და გადაჰქონდა რა მოქმედება თოჯინების ისედაც ოინბაზურ სცენაზე. "Gesta"-ზე მუშაობისას ლევერკიუნი დიდად დაინტერესებული იყო თოჯინების სპეციფიკურ შესაძლებლობათა შესწავლით და ზოგჯერ ამის საშუალებაც ეძლეოდა, რადგან იმ ხალხს, რომლის ნიაღშიც განდევილივით ცხოვრობდა, უყვარდა კათოლიკური ზარზეიმა თეატრულობა. იქვე, ვალდსჰუტში, ერთი მედიკამენტებითა და სამეურნეო საქონლით მოვაჭრე ცხოვრობდა, რომელიც ამასთანავე თოჯინებს თლიდა ხიდან და ტანსაცმელსაც უკერავდა. ადრიანი ზოგჯერ შეივლიდა ხოლმე მასთან. ჩადიოდა მიტენვალდშიც, ზემო იზარის ხეობაში, მევიოლინეთა სოფელში; იქაური აფთიაქარიც ამავე ხელობით იყო გატაცებული, ცოლისა და ხელმარჯვე ვაჟიშვილების დახმარებით თოჯინურ სპექტაკლებს მართავდა პოჩისა და კრისტიან ვინტერის მიხედვით. მათ უამრავი ხალხი ესწრებოდა, ადგილობრივებიც და ჩამოსულებიც. ლევერკიუნი ესწრებოდა ამ წარმოდგენებს და სწავლობდა აგრეთვე, როგორც მე შევნიშნე, ლიტერატურას იავის ხელის თოჯინებისა და ჩრდილების თეატრის მაღალმხატვრული დადგმების შესახებ.

რა მხიარული და ამაღელვებელი საღამოები იყო ღრმაფანჯრისნიშებიან ნიკეს დარბაზში, როდესაც ჩვენ, ესე იგი მე, შილდკნაპსა და, მგონი, რუდი შვერტფეგერსაც — ისიც ხომ ერთი-ორჯერ ჩამოვიდა ადრიანთან, ძველ როიალზე დაგვიკრავდა ხოლმე სულ ახალ-ახალ ფრაგმენტებს თავისი საოცარი პარტიტურებიდან, რომლებშიც ყველაზე მარტივი მასალის მიმართ ჰარმონიულად ყველაზე მძლავრი, რიტმულად ყველაზე დახლართული ხერხები იყო გამოყენებული, ხოლო ყველაზე გამორჩეული შინაარსი კი გადმოცემული გახლდათ საბავშვო საყვირის საკადრისი მუსიკალური სტილით. დედოფლის შეხვედრამ ან უკვე წმინდა მამასთან, ოდესღაც ძმისგან რომ შეეძინა და ვითარცა ცოლი ეხვეოდა ხოლმე, ჩვენ ცრემლი მოგვგვარა, თან სიცილისაგან ჩაბუჩირებულებსა და თან რაღაც წარმოუდგენლად

გულაჩუყებულებს, ხოლო შვერტფეგერმა კი, შინაურულად, როგორც სჩვეოდა ასეთ ნუთებში, ხელი მოხვია ადრიანს და სიტყვებით: — შესანიშნავად გაგიკეთებიაო! — თავი თავზე მიადო. მე დავინახე, რა უსიამოვნოდ დაებრიცა პირი ისედაც უკვე მწარედ მომლიმარ შილდენაჰს, და მეც უნებლიეთ წავიდუდუნე: — კმარამეთქი! — და ხელი აღვმართე, თითქოს თავშეუკავებელი, უცერემონიო ჭაბუკის შეჩერება მიწოდდა.

შემდეგ მას ალბათ ცოტათი უჭირდა თვალყური ედევნებინა ჩვენი საუბრისათვის, რომელიც შინაურულ კონცერტს მოჰყვა აბატის პალატში. ჩვენ ვლაპარაკობდით დახვეწილისა და ხალხურის შერწყმაზე, ოსტატობას და მისანვდომობას შორის, ამაღლებულსა და მდაბალს შორის არსებული უფსკრულის ლიკვიდაციაზე, როგორც ეს, გარკვეული თვალსაზრისით, ერთხელ უკვე შეძლო რომანტიზმმა, რის შემდეგაც ხელოვნების ხვედრად კვლავ კიდევ უფრო ღრმა გათიშვა და გაუცხოება იქცა კარგსა და იოლს შორის, ღირსეულსა და გასართობს შორის, მოწინავესა და პოპულარულს შორის. განა ის სანტიმენტალობაა, რომ მუსიკა — ხოლო მუსიკა ყველაფერზე, თავს სდებდა — სულ უფრო და უფრო საჭიროებდა დიდად პატივდებული განმხოლოებიდან თავის დაღწევას, საზოგადოებაში გასვლას, ოღონდ ისე, რომ მდარე არ გამხდარიყო, და ისეთი ენით მეტყველებას, რომელიც სათანადო მუსიკალური განათლების არმქონისთვისაც გასაგები იქნებოდა, როგორც გასაგები იყო "მგლის ხეობა", "საქორწინო გვირგვინი", ვაგნერი? ყოველ შემთხვევაში ამ მიზნის მისაღწევ საშუალებად სანტიმენტალობა არ გამოდგებოდა, არამედ ირონია, დაცინვა, ჰაერს რომ სწმენდს, მხედრდება რომანტიზმის წინააღმდეგ, პათოსისა და მისნობის წინააღმდეგ, მელომანიისა და ლიტერატურას გადაყოლილობის წინააღმდეგ, და ობიექტურსა და ელემენტარულთან კავშირში გამოდის ანუ თავად მუსიკის, როგორც დროის ორგანიზების, ხელმეორედ აღმოჩენასთან. ყოველად სადავიდარაბო წამოწყება გახლდათ! ვინაიდან ძალზე იოლი იყო არცთუ ყალბი პრიმიტიულობისაკენ, ესე იგი ისევ რომანტიზმისაკენ გადახრა. ხელოვნების მისწრაფება, მისი ამოცანა ასეთი ჩანდა: სულის უმაღლეს მწვერვალზე დარჩენა; ევროპული მუსიკის ყველაზე სანუკვარ მონაპოვართა თავისთავად გასაგებ ამბებთან შერწყმა, ისე რომ მათი სიახლე ყველასათვის საცნაური გამხდარიყო, მათ მეუფედ გახდომა, რათა ძალდაუტანებლად შესძლებოდა ნებისმიერ საშენ მასალად მათი გამოყენება და ტრადიციის წარმოჩენა, ოღონდ

ეპიგონურის პირუკუდ ნირშეცვლილი ტრადიციისა; მუსიკალური ტექნიკის მაღალ დონეზე აყვანა, მაგრამ ისე, რომ ეს თვალში საცემი სრულებით არ ყოფილიყო, კონტრაპუნქტისა და დაინსტრუმენტების ყველა ფანდი მიჩქმალულიყო, ერთ მთლიან უბრალოებაში გათქვეფილიყო, რომელსაც პრიმიტიულობისა არა სცხნია რა, ინტელექტუალურად ტევადი სისადავია.

უმეტესად ადრიანი ლაპარაკობდა, ჩვენ მხოლოდ თითო-ორი სიტყვას თუ ჩავურთავდით ხოლმე. აღელვებული იყო თავისი ქმნილების დემონსტრირების შემდეგ, ლოყებანთლებული და თვალბანთებული მსჯელობდა, ოდნავ ფიცხად, ოღონდ აბობოქრებულ ნაკადად კი არა, არამედ სიტყვას სიტყვაზე ახვავებდა. ასე გატაცებით მოლაპარაკე მანამდე არ მენახა; არც ჩემთან და არც რიუდიგერთან ამდენი მჭევრმეტყველება სხვა დროს არ გამოუჩენია. შილდენაჰმა განუცხადა: მუსიკის დერომატიზაციისა არა მნამს: იგი მთელი თავისი რაობით ისე ღრმად არის რომანტიზმთან დაკავშირებული, რომ ვერ გადაუდგება მას, თუ თავად მძიმე დანაკლისი არ განიცადაო. ამაზე ადრიანმა მიუგო:

— სიამოვნებით დაგაკრავდით კვერს, თუ რომანტიზმში გრძნობათა სითბოს გულისხმობთ, რასაც მუსიკა დღესდღეობით ტექნიკური დახვეწილობის გულისთვის უარყოფს. ეს დიახაც საკუთარი თავის უარყოფაა. მაგრამ ის, რასაც ჩვენ რთულის გამაკეთილშობილებელ განწმენდასა და მარტივად გარდაქმნას ვუნოდებთ, არსებითად იგივეა, რაც ცხოველმყოფელობისა და გრძნობის სიძლიერის კვლავ მოპოვება. აი, შესაძლებელი რომ იყოს... რა ჰქვია... შენ რას უძახი მას? -- მომიბრუნდა მე და თვითონვე გასცა პასუხი საკუთარ თავს: — ზ ე ნ ნ ი ნ გ ა ჭ რ ა ს რომ ეძახი. ამრიგად, ვინც ინტელექტუალური სიცივიდან ახალი გრძნობის ფათერაკებიან საუფლოში ნ ი ნ გ ა ჭ რ ა ს შეძლებს, მას შეიძლება ხელოვნების მხსნელი ეწოდოს. ხსნა, — განაგრძო მან და თან მხრები ნერვულად აიჩეჩა, — რომანტიკული სიტყვაა და ჰარმონიკოსთა სიტყვაც არის, ზმნური არსებითი სახელია ნეტარების აღსანიშნავად, რასაც ჰარმონიული მუსიკა კადენციაში პოვებს. განა სასაცილო არ არის, რომ მუსიკას თავისი თავი ერთხანს ხსნის საშუალებად მიაჩნდა, მაშინ როდესაც მას, ისევე როგორც მთელ ხელოვნებას, თვითონ სჭირდება ხსნა, სახელდობრ, საზეიმო განმხოლოებიდან, რაც კულტურის ემანსიპაციის, მისი რელიგიის შემცვლელის რანგში ამალღების შედეგი გახლდათ, — განათლებულ რჩეულთა პირისპირ მარტოდმარტო

მყოფობიდან, ვისაც “საზოგადოების ნაღებს” უწოდებენ, ვინც მალე აღარ იარსებებს, ვინც უკვე აღარ არსებობს და, მაშასადამე, ხელოვნება მალე სულ მარტოდმარტო აღმოჩნდება, გადასაშენებლად მარტოდ შთენილი აღმოჩნდება, თუ “ხალხისკენ” გზას ვერ იპოვის, ანდა, არარომანტიკულად რომა ვთქვათ, ადამიანებისკენ?

ეს ყოველივე სულის ერთი მოთქმით მოგვახსენა, ხმა არ აუმაღლებია, სჯა-ბაასის კილოზე მეტყველებდა, თუმცა ინტონაციაში იდუმალი თრთოლა მაინც იგრძნობოდა, რისი მიზეზიც ხეირიანად მხოლოდ მაშინ გახდა ჩვენთვის გასაგები, როცა დაამთავრა:

— ამგვარი ხელოვნების ცხოვრებასთან დამოკიდებულება, დამიჯვრეთ, სულ სხვანაირი იქნება, სახელდობრ, უფრო ხალისიანი და თავმდაბლური. ეს გარდუვალი რამ არის და ბედნიერება გახლავთ. მელანქოლიური პრეტენზიულობისაგან განიძარცვება და ახალი სისპეტაკე და უდრტინველობა დაამშვენებს. მომავალი თაობები ხელოვნებაში და თვითონაც საკუთარ თავში საზოგადოების მსახურს დაინახავენ, ისეთი საზოგადოების მსახურს, გაცილებით მეტს რომ მოიცავს, ვიდრე “განათლებულობით” შემოფარგლული ერთობლიობაა, და კულტურა არ გააჩნია, მაგრამ ერთ დროს, შესაძლოა, თავად წარმოგვიდგეს კულტურად. ჩვენ გვიჭირს ამის წარმოდგენა, მაგრამ ეს მაინც ასე იქნება და აღარც არავის არ გაუკვირდება: ხელოვნება ტანჯვის გარეშე, სულიერად ჯანმრთელი, ლალი, ხალისიანი და ნდობით აღსავსე, კაცობრიობასთან შენობით მოლაპარაკე ხელოვნება...

აქ გაჩერდა და ჩვენ, სამივენი, შეცბუნებულები ვდუმდით. მტკივნეულია და ამასთანავე აღმაფრთოვანებელიც იმის მოსმენა, როგორ ლაპარაკობს მარტოსული ერთობაზე, მიუტარებელი ურთიერთნდობაზე. თუმცა გული ამიჩუყდა, მაგრამ სულის სიღრმეში მაინც უკმაყოფილო ვიყავი მისი ნალაპარაკევითაც და პირადად ადრიანითაც. ის, რაც ილაპარაკა, მას არ უხდებოდა, მის სიამაყეს, მის ქედმაღლობას, თუ გნებავთ, ვერ ეგუებოდა, რაც მე მიყვარდა და რისი უფლებაც ხელოვნებას აქვს. ხელოვნება აზრია, ხოლო აზრი სრულებითაც არ საჭიროებს თავს დავალებულად გრძნობდეს საზოგადოებისაგან, ადამიანთა ერთობლიობისაგან — ჩემი აზრით, ამას უნდა გაურბოდეს თავისუფლების გულისათვის, თავისი კეთილშობილურობის გულისათვის. ხელოვნება, რომელიც “ხალხთან მიდის”, რომელიც ბრბოს, პატარა კაცის, უბირი კაცის მოთხოვნილებებს თავისად იხდის, ღარიბდება, და ამას თუ მოვალეობად გავხდით,

ვთქვათ, სახელმწიფოს ინტერესების გამო მხოლოდ ისეთ ხელოვნებას თუ დაუშვებთ, რომელიც პატარა კაცისთვის გასაგებია, ეს უსაშინელესი უვიცობის და ნ ე რ გ ვ ა და აზრის ჩაკვლა იქნება. ხელოვნებას, ასეთია ჩემი რწმენა, თვით ყველაზე თამამი, თავაშვებული, ბრბოსათვის ყოვლად მიუღებელი გამოხდომების, ძიებისა და ცდების დროსაც შეუძლია დარწმუნებული იყოს, რომ სამსახურს გაუწევს ადამიანს, ხოლო უამთა ვითარებაში ადამიანებსაც — რაღაც უაღრესად შუალობითი, არაპირდაპირი გზით.

უეჭველად ასე ფიქრობდა ჩვეულებრივ ადრიანიც, მაგრამ ამჯერად ამის უარყოფა მოინადინა და მე დიახაც ვცდებოდი, როდესაც ეს ამბავი ქედმაღლობაზე ხელის აღებად მივიჩნიე. როგორც ჩანს, ეს უფრო გულლიაობისა და თანაზიარობის გამოჩენის ცდა გახლდათ — ნამონყებული უკიდურესი ქედმაღლობის გამო. და მანაც, ხმა რომ უთრთოდა, როდესაც ამბობდა: ხსნას ეძიებს, მას სურს კაცობრიობას შენობით ელაპარაკებოდესო, — ასე აღელვებული რომ იყო, მე ერთი სული მქონდა ავმდგარიყავი და ფარულად ხელი ჩამომერთმია მისთვის. მაგრამ თავი შევიკავე და, პირიქით, შეფიქრიანებულმა თვალი გაავაპარე რუდი შვერტფეგერისაკენ, ამჯერადაც ხომ არ აპირებს გადაღზვიოს-მეთქი.

XXXII

ინეს როდე პროფესორ დოქტორ ჰელმუტ ინსტიტორისზე ომის დასაწყისში გათხოვდა, როდესაც ქვეყანა ჯერაც კარგსა და იმედების აღმძვრელ მდგომარეობაში იმყოფებოდა, ხოლო მე თვითონ ფრონტზე ვიყავი, 1915 წლის გაზაფხულზე. ქორწინება ბიურგერული წესების სრული დაცვით მოხდა, სამოქალაქო აქტივითა და საეკლესიო ჯვრისწერით, შემდეგ ამას ქორწილი სასტუმრო “ნელინადის ოთხ დროში” და ახალგაზრდა წყვილის საქორწინო მოგზაურობა მოჰყვა, ჯერ დრეზდენსა და მერე საქსონიის შვეიცარიამში. ასე დასრულდა ხანგრძლივი ურთიერთშემომება, რის შედეგადაც, ეტყობა, ის დაასკვნეს, რომ ერთმანეთს დიახაც შეეფერებოდნენ. მკითხველი იგრძნობს ირონიას, რომელსაც ამ “ეტყობაში” ვაქსოვ, ოლიონდ, ღმერთმანი, ავი განზრახვის გარეშე; ეს იმიტომ, რომ ნამდვილად ასეთი დასკვნა არ მიუღიათ, ან იმთავითვე ჰქონდათ მიღებული და მათ ურთიერთდამოკიდებულებაში რაიმე ძვრა არ მომხდარა მას შემდეგ, რაც ჰელმუტი

სენატორის ქალიშვილს პირველად დაუახლოვდა. ნიშნობისა და ქორწინების დროისათვის მათი შეუღლების სასარგებლოდ მეტყველი მოსაზრებანი ორივე მხარისათვის სრულებით არ შეცვლილა საწყის პერიოდთან შედარებით. მათ არც არაფერი მომატებია და არც არაფერი მოჰკლებია. მაგრამ კლასიკურ სიბრძნეს: კარგად ანონ-დანონე, თუ სამარადჟამო კავშირსა დებო, – ფორმალურად ხარკი მიუზღეს, და თანაც თავად შემონმების ხანგრძლივობაც თითქოს დადებითი გადანყვეტილების მიღებას უწყობდა ხელს. ამას ემატებოდა კიდევ ადამიანებთან სიახლოვის ნყურვილიც, რაც ომმა გაამძაფრა: განა მან არ განაპირობა მრავალი მანამდე გაურკვეველი ურთიერთობის ნადრევი მომნიფება? ინესის დასტურს, რა ზეც ის ხომ სულიერი – თუ უკეთესია ვთქვა, მატერიალური მიზეზების გამო-მეთქი, ესე იგი პრაქტიკული მოსაზრებების გამო თავადანვე მეტ-ნაკლებად მზად იყო, ძალიან შეუწყო ხელი აგრეთვე იმ გარემოებამ, რომ კლარისამ წინა წლის მიწურულს მიუწვინი დატოვა და ალერის ცელეში შეუდგა მსახიობობას, ხოლო მისი და კი მარტოდმარტო დარჩა დედასთან, რომლის ბოჰემურ მიდრეკილებებს, მათი უცოდველობის მიუხედავად, არ იწონებდა.

თვითონ სენატორის მეუღლე კი გულაჩუყებულ-გახარებული იყო ქალიშვილის ბედნიერად დაბინავებით, რასაც ასე თუ ისე თავად შეუწყო ხელი სალონური ცხოვრებით, წვეულებებითა და თავყრილობებით. თან თავის თავსაც არ იფიწყებდა, თავის "სამხრეთგერმანულ ყაიდაზე" ლაღად ცხოვრების ხალისს საზრდოს არ აკლებდა, გაცდენილის ანაზღაურება სურდა და, უკვე ხანდაზმული ლამაზმანი, მის მიერ დაჰატიჟებულ მამაკაცთა არმიყობას იფერებდა, კნოტერიჰისა, კრანიჰისა, ცინკისა და შპენგლერისა, აგრეთვე ახალგაზრდა მოსწავლე მსახიობებისა და ა. შ. დიახ, არ გადავაჭარბებ, მხოლოდ და მხოლოდ ზუსტი ვიქნები, თუ ვიტყვი, რომ რუდი შვერტფეგერსაც ძალზე ხუმრობით ეკიდებოდა, დედაშვილური დამოკიდებულების პაროდირებას ახდენდა ანცად, და რომ განსაკუთრებით ხშირად სწორედ რუდის თანდასწრებით გაისმოდა ხოლმე სენატორის მეუღლის კეკლუცი კისკისი. ჰოდა, ყოველივე იმის შემდეგ, რაც ზემოთ ინესის შინაგან ცხოვრებაში მიმდინარე პროცესებზე მივანიშნე და ზოგი რამ პირდაპირაც ვთქვი, ახლა მკითხველისთვის მიმინდვის ის უხერხულობის, სირცხვილისა და სიმწრის რთული გრძობა წარმოიდგინოს, რასაც ამ კოკეტობის შემყურე ქალიშვილი განიცდიდა. ერთხელ იმასაც კი შევესწარი, რომ ამგვარი ფლირტის შემყურე ინესმა განაწყენებულმა დატოვა დედამისის სალონი და თავის ოთახში ჩაიკეტა, რომლის კარზეც – შესაძლოა, ამას ქალიშვილი იმედოვნებდა და

მოელოდა კიდევ — თხუთმეტიოდე წუთის შემდეგ რუდოლფმა დააკაკუნა, რათა ინესისთვის, რატომ გაქრითო, მიზეზი ეკითხა, რაც თავადაც კარგად იცოდა, მაგრამ რაც, რასაკვირველია, არ ითქმოდა. ძალიან გვაკლიხართ თვალშიო, — დაუმატა შემდეგ და რა ხმაზე აღარ ევედრებოდა, ძმური სინაზით შესთხოვდა და მხოლოდ მაშინ დაეხსნა, როცა ინესმა აღუთქვა: — მართალია, ვაფთან ერთად არა, ეს არა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ თავისით შეუერთდებოდა წვეულებას.

მაპატიეთ, რომ ნაგვიანევად ჩავრთე ეს ეპიზოდი, რომელიც მეხსიერებაში მკაფიოდ აღმებეჭდა, მაგრამ სენატორის მეუღლე როდეს ხსოვნიდან კი ახლა, როდესაც ინესის დანიშვნა და გათხოვება ფაქტად იქცა, როგორც ჩანდა, სრულიად წარიხოცა. მან არა მხოლოდ საუცხოო ქორწილი გადაუხადა ქალიშვილს, არამედ მზითვად გასატანებელი რამდენადმე მნიშვნელოვანი თანხის უქონლობის გამო თეთრეული და ვერცხლეული უხვად გაატანა, შეელია აგრეთვე ძველებური ავეჯის ნაწილსაც, ზოგ ჩუქურთმებიან სკივრსა და მოოქრულ გისოსებიან მინიატურულ სკამს, რათა თავისი წვლილი შეეტანა მდიდრული ბინის მონყობაში, რომელიც ახალგაზრდა წყვილმა პრინცრგენტენშტრასეზე დაიქირავა მესამე სართულზე და რომლის წინა ოთახების ფანჯრებიც ინგლისურ ბაღს გადაჰყურებდა. დიახ, ეს კიდევ არაფერი. თითქოს იმიტომ, რომ საკუთარი თავისთვის და სხვებისთვის დაემტკიცებინა: ჩემი გულლია მასპინძლობა, მხიარული საღამოები ჩემს სალონში ნამდვილად მარტოოდენ ჩემი ქალიშვილების მომავალზე ზრუნვით იყო ნაკარნახევი, მათი იღბლიანად დაბინავების მიზანს ემსახურებოდაო, ყველას კატეგორიულად აგრძნობინა, რომ მოსვენება სურდა, საზოგადოებიდან განდგომა უნდოდა, აღარავის არ იღებდა და ინესის გათხოვებიდან დაახლოებით ერთი წლის შემდეგ რამბერგერშტრასედან გადავიდა, რათა თავისი ცხოვრება ახალ ყაიდაზე, სოფლურ ყაიდაზე მოეწყო. ქვრივი ქალი ჰ ფ ა ი ფ ე რ ი ნ გ შ ი გადავიდა, სადაც ადრიანისთვის თითქმის შეუმჩნევლად შვავიგემტილების ეზოს გადასწვრივ, ტრიალადგილას მდგარ და წინიდან ნაბლის ხეებით დაჩრდილულ იმ დაბალ შენობაში დასახლდა, რომელშიც უნინ მხატვარი ცხოვრობდა და ვალდსჰუტის ქანჭრობის კაეშნიან პეიზაჟებს ხატავდა.

ეს სადა წყნარი კუნჭული განსაცვიფრებლად იზიდავდა რაიმე საგანგებო მიზეზით განდგომილებს, გულგაცრუებულებსა თუ გულნატკენთ, რაც ალბათ სახლის პატრონთა ხასიათით აიხსნებოდა, განსაკუთრებით კი ქარმაგი დიასახლისის კეთილი ზნით. ელზე შვავიგემტილის გულისხმიერება ადრიანთან შემთხვევით გამართულ საუბა-

რში საოცრად მკაფიოდ გამოიკვეთა, როდესაც ქალმა თავის მდგმურს აუნყა, რომ სენატორის მეუღლე აქ გადმოსახლებას აპირებდა.

— უბრალო ამბავია, — უთხრა მან, თან ზემობავარიულად უქცევდა, — ძალზე უბრალო და გასაგები, ბატონო ლევერკიუნ. მე მაშინვე მივხვდი. ქალაქი და ხალხი მოეყირჭა, წვეულებებისა და დამა-კავალრების გაგონებაც არა სურს, რადგანაც თავისი ასაკისა რცხენია. ვის როგორ მოუვა ხოლმე: არიან ისეთებიც, რომლებიც ჩირადაც არ აგდებენ ამ ამბავს, ეგუებიან და ხანი უხდებათ კიდევ. ასე გასინჯეთ, უფრო მიმზიდველნი ხდებიან და თვალები ეშმაკურად უციმციმებთ, დალალ-კულულებში ვერცხლის სიმიც შეიძლება გაებათ, რაც დარბაისლურ შესახედაობას ანიჭებთ, მაგრამ ღირსებით აღსავსე ახლანდელ გარეგნობაში ახალგაზრდობაში ჩადენილი გიჟმაჟობანი პიკანტურად გამოსჭვივიან და ცნობის წადილს აღვივებენ. მამაკაცებს ხშირად ეს უფრო ხიბლავს, ვიდრე ვინმეს შეიძლება ეგონოს. მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებსაც უკუღმართად მისდით საქმე: ლოყები უცვივდებათ, ყელი უჭკნებათ და კბილებიც ისეთ დღეში აქვთ, რომ ვეღარ გაუცინიათ, სარკეში ჩახედვა მათთვის ტანჯვა და შერცხვენაა. ხალხში გამოჩენა უმძიმთ, დამალვა უნდათ, როგორც ამ საბრალოს. ხოლო თუ ყელი ან კბილები არა, თმა მოგაღორებს, თანაც ისე, რომ ლამის სირცხვილისაგან თავი მოიკლა. აი ქალბატონ სენატორის მეუღლესაც თმა აღონებს. უმალვე შევნიშნე. სხვაფრივ კარგად არის შენახული, მაგრამ თმა, იცით, შუბლთან უთხელდება და თმის დასახვევი მაშითაც ვეღარაფერს უხერხებს, ეს კი ქალისთვის დიდი უბედურებაა, შეიძლება სასონარკვეთილებამდე მივიდეს, თუ დამიჯერებთ! სალონურ ცხოვრებაზეც ხელს აიღებს და შვავიგემტილებთანაც შეაფარებს თავს, სრულიად უბრალო ამბავია.

ამ აზრისა გახლდათ დედილო შვავიგემტილი, რომელსაც თვითონ ოდნავ შევერცხლილი და უკან გადატკეცილი თმა შუაზე ჰქონდა გაყოფილი და განაყოფ ადგილას ვინრო ზოლად უჩანდა თეთრი კანი. ადრიანს, როგორც მოგახსენეთ, ნაკლებად აღელვებდა ახალი მდგმურის ჩამოსვლა. სენატორის მეუღლემ კი კარ-მიდამოში პირველად მოსვლისთანავე დიასახლისი წაიძლოლია და მცირეოდენი ხნით ადრიანსაც ეწვია: მერე კი, შიშობდა რა, მყუდროება არ დავურღვიო და არ მოვაცდინო, ლევერკიუნის თავდაჭერილობას თავდაჭერითვე პასუხობდა და მხოლოდ ერთხელ, როცა ახალი გადმოსული იყო, ჩაიზე დაპატიჟა თავისთან — ნაბლის ხეების მიღმა მდგარ ერთსართულიანი ნაგებობის სადად შეთეთრებულ დაბალჭერიან ოთახებში,

რომლებსაც ნაკლებად ეხამებოდა ძველი ბინიდან გამოყოლილი ბიურგერულ-ელეგანტური ყოფის ნაშთები: კანდელები, დალიან-დაგებული სავარძლები, მძიმე ჩარჩოში ჩასმული "ოქროს რქა", ფარჩაგადაფარებული როიალი. ამის შემდეგ, როცა სოფელში ანდა შერაგზაზე შეხვდებოდნენ ერთმანეთს, მხოლოდ თავაზიანად ესალმებოდნენ ურთიერთს ანდა ორიოდ წუთით შეჩერდებოდნენ, რათა ცოტაოდენი ემუსაიფათ ქვეყნის მძიმე მდგომარეობაზე, სურსათის მზარდ ნაკლებობაზე, რაც აქ ისე არ იგრძნობოდა, როგორც ქალაქში. ასე რომ, სენატორას მეუღლის აქ გადმობარგება ახლა პრაქტიკულ გამართლებასაც პოუვდა და მზრუნველობისა და წინდახედულების იერს იღებდა, რადგანაც საშუალებას აძლევდა ქალიშვილები და, ასე გასინჯეთ, ძველი მკვებობებიც, მაგალითად, კნოტერიჰები, პფაიფერინგიდან სურსათ-სანოვაგით – კვერცხით, კარაქით, ძეხვეულითა და ფქვილით მოემარაგებინა ხოლმე. ყველაზე დუხჭირ წლებში ამგვარი ნობათებისა და ამანათების გაგზავნა ლამის ხელობად ექცა...

ინეს როდემ, ამიერიდან ცხოვრების ფათერაკებისაგან დაცულმა მდიდარმა ბანოვანმა, დედამისის სალონის ყოფილ მცირერიცხოვან მუდმივ სტუმართაგან ახალ ოჯახში შემოიყვანა კნოტერიჰები, ისევე როგორც ნუმიზმატი დოქტორი კრანიჰი, შილდენაჰი, რუდი შვერტფეგერი და მე. შეელია რა ცინკსა და შპენგლერს, აგრეთვე დამწყებ მსახიობთა მთელ დასს, კლარისასთან რომ სწავლობდნენ, ხოლო დანაკლისი შეავსო უნივერსიტეტის მოღვაწეებით, ორივე უმაღლესი სასწავლებლის ხნიერი და ახალგაზრდა დოცენტებით, მათი მეუღლეებითა და საცოლეებით. ფრაუ კნოტერიჰთან, ნატალიასთან, ეგზოტიკურ-ესპანური შესახედაობის ქალთან, ინესი მეგობრობდა, მისი გულითადი მეგობარიც კი იყო, და ეს მაშინ, როდესაც ამ მართლაც ეშხინან ქალს ხმა ჰქონდა გავარდნილი: მორფიუმს ეტანებაო, რასაც, ჩემი დაკვირვებით, ყოველი წვეულების დასაწყისში მისი მომხიბლავი ენათგაკრეფილობა და ანთებული თვალები ადასტურებდა, აგრეთვე დროდადრო გაუჩინარებაც, ალბათ თანდათან განუღებელი სიხალისის ალსადგენად. ის ამბავი, რომ ინესს, რომელიც კონსერვატიულ სიღარბაისლესა და პატრიციულ ნესიერებას ასე აფასებდა და მხოლოდ იმიტომ გათხოვდა, რომ ოცნება ახდენოდა და ეს ყოველივე მოეპოვებინა, ნატალიასთან ურთიერთობა ერჩინა ქმრის კოლეგათა მეუღლეებთან, ესე იგი გერმანულ პროფესორთა ოჯახობებთან ურთიერთობას, მარტოდმარტო დაიარებოდა მასთან და თვითონაც მარტოკას იღებდა, ნათელყოფდა ჩემთვის მისი ბუნების წინააღმდეგობრიობას. ვგრძნობდი, რა

საჭოჭმანო იყო არსებითად მისი ბიურგერული ნოსტალგია; რა საეჭვო იყო ამ მონატრების ბუნებრივობა და კანონზომიერება.

ინესს რომ ქმარი, ეს ტანსუსტი და ამავე დროს ძალის ესთეტიკური კულტით გამსჭვალული მშვენიერებისმცოდნე სწავლული, არ უყვარდა, ამაში ეჭვი არასოდეს არ შემპარვია. ის, რასაც ქალი ქმრის მიმართ იჩენდა, წესიერების ხარკი, ნაძალადევი სიყვარული გახლდათ, და რაც მართალია, მართალია, ძალზე ღირსეულად კი განასახიერებდა ცოლის როლს, თან პირზე მუდამ ის ჩვენთვის ნაცნობი ნაზი, ოდნავ დაზაფრული, ოდნავ ეშმაკური ღიმილი ადგა. იმ გულმოდგინებისათვის, რითაც ოჯახს უძღვებოდა, მეუღლის სტუმართათვის მიღებებს აწყობდა, შეიძლებოდა კაცს ავადმყოფური პედანტობაც ენოდებინა, — და ეს ისეთ მატერიალურ ვითარებაში, რომელიც ბიურგერული კორექტულობის შენარჩუნებას წლიდან წლამდე სულ უფრო აძნელებდა. ძვირფასი და ლამაზი ბინის მოვლაში, სადაც გაკრიალებულ პარკეტზე სპარსული ხალიჩები ეფინა, ეხმარებოდა ორი კარგად აღზრდილი და პანია თავსაბურთითა და გახამებული წინსაფრით შემკული კოხტა მოახლე. ერთი მათგანი პირადად მის განკარგულებაში იყო, პირფარეშად ჰყავდა, და მისი ზარით გამოძახებით გული ვერა და ვერ ეჯერებინა. წამდაუნუმ ურეკავდა ზოფის, რათა ქალბატონის როლით დამტკბარიყო და ერთხელ კიდევ გაესინჯა ჭაშნიკი იმ უზრუნველყოფილებისა და კომფორტისათვის, რაც გათხოვების ფასად მოიპოვა. ზოფის მოვალეობას შეადგენდა აგრეთვე უამრავი დიდი და პატარა ჩემოდნის ჩალაგება, რომლებიც ქალბატონს მიჰქონდა ხოლმე, როდესაც ისა და ინსტიტორისი სოფლად მიემგზავრებოდნენ ტეგერნზეზე ანდა ბერჰტესგადენში, თუნდაც მხოლოდ რამდენიმე დღით. ბარგის ეს ზვინები, რასაც საგულდაგულოდ მოვლილი ბუდიდან თვით ყველაზე ხანმოკლე გამოფრენისასაც კი აიკიდებდა ხოლმე, ჩემთვის ასევე იმის სიმბოლოს წარმოადგენდა, რომ ამ ქალს ცხოვრებისა ეშინოდა და მფარველს საჭიროებდა.

მტვრის ნამცეცსაც რომ ვერ ნახავდით, ისეთი რვაოთახიანი ბინის შესახებ, პრინცრეგენტენშტრასეზე, ცოტა რამ კიდევ უნდა მოგახსენოთ: ორი სასტუმრო ოთახი ჰქონდა, რომელთაგან ერთი, უფრო შინაურულად მოწყობილი, ყოველდღიური მიზნებისათვის იყო განკუთვნილი, აგრეთვე მოზრდილი სასადილო ოთახი, ჩუქურთმებიანი მუხის პანელით მოპირკეთებული, თამბაქოს მოსაწევი სალონი მამაკაცთათვის, ტყავის კომფორტული დგამებით აღჭურვილი, ცოლ-ქმრის საერთო საძილე ოთახი, სადაც მსხლის ხის ერთ წყვილ გაპრიალებულ ყვითელ

სანოლს თავზე თალი გავალაკივით ადგა, ხოლო ტუალეტის მაგიდაზე მობრწყვიალე შუშები და ვერცხლის ხელსაწყოები ზუსტად სიმაღლეზე იყო ჩამსკრივებული, — ეს ბინა, გეუბნებით, ძნელბედობისა და ნგრევის კიდევ რამდენიმე წელიწადს იყო კულტურული გერმანელი ბიურგერობის სანიმუშო კერა. ამაში არცთუ მცირე წვლილი მიუძღოდა “კარგ წიგნებს”, ყველგან რომ მოგხვდებოდათ თვალში: სასტუმრო ოთახებში, თამბაქოს მოსაწევ სალონში... მათი შექმნისას, ცალკერძ წარმომადგენლობითი ინტერესების გამო, ცალკერძ სულიერი სიმშვიდის გულისთვის, ამაღლეველ და გამხრწნელ ლიტერატურას ერიდებოდნენ. ძირითადად საგანმანათლებლოს ეტანებოდნენ: ლეოპოლდ ფონ რანკეს ისტორიული ძიებანი ჰქონდათ, გრეგოროვიუსის ნაწერები, ნაშრომები ხელოვნების ისტორიიდან, გერმანელი და ფრანგი კლასიკოსები, მოკლედ, სულ დამკვიდრებული, აღიარებული ნაწარმოებები. წლების მანძილზე ბინა კიდევ უფრო ლამაზი გახდა, ანდა უფრო სრულყოფილი და ფერადოვანი, ვინაიდან დოქტორი ინსტიტორისი მიუნჰენელ მხატვრებს მეგობრობდა, გლასპალასტის მიმართულების შედარებით ზომიერ წარმომადგენლებს (თუმცა თეორიულად მყვირალასა და ძლიერს უჭერდა მხარს, პრაქტიკულად ძალიან თვინიერი მხატვრული გემოვნება ჰქონდა). განსაკუთრებით ახლო იყო ვინმე ნოტებომთან, რომელიც ჰამბურგში იყო დაბადებული, ჰყავდა ცოლი, ლოყებჩაცვენილისა და თხისწვერას სასაცილო შესახედაობა ჰქონდა. ძალზე თავშესაქცევად ჰბაძავდა მსახიობებს, ცხოველებს, მუსიკალურ საკრავებსა და პროფესორებს, სული და გული იყო ან უკვე გადავარდნის გზაზე დამდგარი საკარნავალო ზეიმებისა, ხელმარჯვე ოსტატი პორტრეტის მიმგავსების ტექნიკისა, რასაც საზოგადოებაში გასავალი ჰქონდა, ხოლო როგორც ხელოვანი — თავს ამის თქმის უფლებას ვაძლევ — მდარე, გაკრიკლებული მხატვრობის მიმდევარი. ოსტატურ ქმნილებებთან მეცნიერულ დამოკიდებულებას მიჩვეული ინსტიტორისი ან ვერ არჩევდა მათგან ხელმარჯვედ შესრულებულ საშუალო დონის ნაწარმოებთ, ანდა ფიქრობდა, რომ მოვალე იყო კეთილი მეგობრისთვის შეკვეთები მიეცა, თან თვითონაც თავისი ბინის კედლებისათვის მხოლოდ უწყინარსა და ნესიერს, კეთილშობილსა და დამაწყნარებელს მოითხოვდა, და მეუღლეს გადაჭრით უჭერდა მხარს, თუ მის გემოვნებას არა, სულისკვეთებას მაინც სავსებით იზიარებდა. ყოველივე ამის გამო ცოლ-ქმარმა კარგ ფასად თავი დაახატინა ნოტებომს ერთადაც და ცალ-ცალკეც. პორტრეტები ძალიან ჰგავდა ორიგინალებს, მაგრამ არაფრის მთქმელები კი იყო. მოგვიანებით, როცა

შვილებიც შეეძინათ, ოინბაზმა მხატვარმა ინსტიტორისის ოჯახის ნატურალური სიდიდის ნახატიც მოახოხმარიკა, თოჯინებით გამოსახა ვეება ტილოზე ყველანი ერთად, აუარებელი ზეთის საღებავი და ლაქი დასარჯა, მდიდრულ ჩარჩოში ჩასვა და ზევიდან და ქვევიდან საკუთარი ელექტროგანათებით აღჭურვილი ნახატი ახლა მისაღებ ოთახს ამშვენებდა.

როცა შვილები შეეძინათ-მეთქი. დიახ, შვილები შეეძინათ და მერე რა საგულდაგულოდ, რა დაყინებით უვლიდნენ მათ და ზრდიდნენ, ლამის ვთქვა, რა გმირულად უარყოფდნენ გარემოპირობებს, რომლებიც კეთილშობილ ბიურგერულ ყოფას სულ უფრო ნაკლებად სწყალობდნენ-მეთქი, – თითქოს გარდასულ სამყაროს უზრდიდნენ და არა მყობადს. ჯერ კიდევ 1915 წლის ბოლოს აჩუქა ინესმა მეუღლეს ქალიშვილი, ლუკრეცია, პრიალა ყვითელ სარეცელზე ჩასახული, გავალაკის მსგავსი თალის ქვეშ, ტუალეტის მაგიდის მინის სინზე სიმეტრიულად ჩამკრეივებული ვერცხლის ნივთების მახლობლად, და ინესმა მაშინვე განაცხადა, ამისაგან საუკეთესოდ აღზრდილ გოგონას გამოვიყვანო, *une jeune fille accomplie*, – როგორც მან თავის კარლსრუელ ფრანგულ ენაზე წარმოთქვა. ორი წლის შემდეგ ახლა ტყუპი შვა, ისევ გოგონები, რომლებიც ყვავილებით შემკულ ვერცხლის ემბაზში მონათლეს, ენჭენი. და რიკჭენი დაარქვეს. ნათლობას კორექტული შინაურული ცერემონიალი ახლდა, სუფრას შოკოლადი, პორტვეინი და კანფეტები ამშვენებდა. სამივენი ნაზი და თეთრი, საყვარლად მოტიტინე არსებები იყვნენ, ფუფუნებისა და სათბურის ატმოსფეროს პირმშონი, სევდიანად საკუთარი თავით გართულნი, ეტყობა, სისუფთავესა და წესრიგზე შეშლილი დედისაგან დაშინებულები, ისე უფროთხილდებოდნენ ბაფთებით უხვად განყობილ თავიანთ კაბებს. ვიდრე ჩვილები იყვნენ, აბრეშუმისფარდებიან ძვირფას კალათებში ინვნენ და ძიძას (ინესი თავად არ აწოვებდა ბალღებს ძუძუს, რადგან ოჯახის ექიმს აეკრძალა) – ხალხიდან გამოსულსა და მთლად ძველბიურგერულ ყაიდაზე გამობზაკუნებულ ქალს – ხელით გასაგორებელი და რეზინისსალტეებიანი თვლებით აღჭურვილი ელევანტური კონსტრუქციის დაბალი ეტლებით გამოჰყავდა პრინცრეგენტენშტრასეზე ცაცხვების ქვეშ სასეირნოდ. შემდეგ ერთი საგანგებოდ საამისოდ განსწავლული საბავშვობაღელი ქალიშვილი უვლიდათ. ნათელი ოთახი, რომელშიც გოგონები იზრდებოდნენ, სადაც მათი პანია სანოლები იდგა და ინესი აკითხავდა, როცა ოჯახის საქმეებისაგან და საკუთარ თავზე ზრუნვისაგან მოიცლიდა, ნამდვილი სამ-

ოთხის განსახიერება იყო ბავშვებისათვის: კედლებს ზღაპრული პერსონაჟების გამომსახველი ფრიზი გასდევდა, შიგაც ასევე საარაკო ჯუჯა ავეჯი იდგა, ქრელი ლინოლეუმი ეგო და სათამაშოების მთელი სამყაროთი იყო სავსე: თაროებზე ჩამორიგებული ხავერდის დათუნებით, საგორავებიანი ბეკეკებით, ოინბაზი კაცუნებით, თვალხუჭუნა თოჯინებითა და რკინიგზებით.

ღირს კია ვთქვა, ანუ ერთხელ კიდევ გავიმეორო, რომ ამ ყოველმხრივ გამართულ ბუდეს შინაგანი მართებულობა აკლდა, რომ თვალთმაქცობაზე იყო დამყარებული, თუ სიცრუეზე არა, და მხოლოდ გარეგანი ფაქტორები კი არ ხდიდნენ მას სულ უფრო და უფრო სათუოდ, არამედ გამჭრიახი, თანაგრძნობით გამახვილებული მზერისათვის შინაგანადაც ფუყე იყო, სინარულს არ ანიჭებდათ, სულის სიღრმეში მისი არა სწამდათ და ნამდვილად არცა სურდათ? ეს სვებედნიერი მონესრიგებულობა მე მუდამ საჭირბოროტო პრობლემებიდან შეგნებულ გაქცევად, მათი მიჩქმალვის ცდად მიმაჩნდა; იგი საოცრად ეწინააღმდეგებოდა ინესისთვის დამახასიათებელ ტანჯვის კულტს. ჩემი აზრით, ეს ქალი ერთბაშე ჭკვიანი იყო და არ შეიძლებოდა არსცოდნოდა: შვილებისათვის მის მიერ დიდი ამბით აგებული იდეალური ბიურგერული სათბური იმ ფაქტს გამოხატავდა, იმ ფაქტის გამოსწორება-შელამაზების ცდას წარმოადგენდა, რომ შვილები კი არ უყვარდა, არამედ მათში კავშირ-ურთიერთობის ნაყოფს ხედავდა, რაზეც არცთუ სუფთა ქალური სინდისით დათანხმდა და რასაც ფიზიკური ზიზლის დათრგუნვის ხარჯზე ინარჩუნებდა.

ღმერთო დიდებულო, რაღა თქმა უნდა, ჰელმუტ ინსტიტორისთან ძილი დიდად სანეტარო რამ არ გახლდათ ქალისთვის! რამდენადაც ქალის ოცნებები და მოთხოვნები მესმის. ამიტომ იყო: ჩემდა უნებლიეთ მუდამ ისე წარმომედგინა, რომ ინესს თავისი შვილები მხოლოდ და მხოლოდ მოვალეობის მოსახდელად, ასე ვთქვათ, სახეგანზენალებულს ჰყავდა ჩასახული. შვილები მამაილები იყვნენ, სამივენი ისე ჰგავდნენ მამას, რომ ამაში ეჭვი არავის შეეპარებოდა, ბევრად უფრო, ვიდრე დედას, შეიძლება იმიტომაც, რომ დედის სულიერი თანადგომა მათს ჩასახვაში ესოდენ მცირე იყო. საერთოდ მე სრულებითაც არ მინდა ამ პატარა კაცის ფიზიკურ ღირსებებს ჩრდილი ზივყენო. ის, რასაკვირველია, სრულიად ნორმალური მამაკაცი გახლდათ, თუმცა კაცუნას შესაბამისა კი, და მის ხელში გაცნო ინესი გულის ნადილს — ნადილს, რომლის მწირ ნიადაგზე შემდგომ ქალის ვნებათა ლელვა აღმოცენდა.

მე უკვე ვთქვი, რომ ინსტიტორისმა ინესის გული, ქალწულის გული ჯერ კიდევ მაშინ გააღვიძა, როცა ცოლად შერთვა დაუპირა, გააღვიძა, ოღონდ არსებითად მაშინაც სხვისთვის. ჰოდა, ახლაც უკვე როგორც ქმარი, მარტოოდენ ისეთ სურვილებს აღუძრავდა, თან რომ გეგრგინება, ნახევრულს, არსებითად ბედნიერებას კი არ ანიჭებდა, არამედ აგონებდა, როგორი შეიძლებოდა ყოფილიყო ბედნიერება და მით გულს სტკენდა. ინესის ოცნება ბედნიერებაზე ახდენას, ხორცკმეხსმას, დაკმაყოფილებას საჭიროებდა და რუდი შვერტფეგერის გამო მისი კირთება, რაც ინესთან საუბარში ჩემთვის ასე უცნაურად გაჰქლავდა, ვნებათა ღელვის მოგიზგიზე კოცონად ჩაღებოდა. ეს სრულიად ნათელია: ვიდრე ინსტიტორისი მხოლოდ ეარშიყებოდა საცოლეს, ქალიშვილს რუდი ახსენებოდა ხოლმე სევდიანად, ხოლო შემდეგ, უკვე გამოცდილ ქალს, რუდი შვერტფეგერი სრული შეგნებით, ვნებათა ღელვის მთელი სიმწვავით შეუყვარდა. და ისიც უეჭველია, რომ ყმანვილი კაცი არ შეიძლებოდა არ დამორჩილებოდა მისკენ გზნებითა და სულიერი აღმატებულობით მიმართულ გრძნობას, — კინალამ ვთქვი: ისლა აკლდა, არ დამორჩილებოდა-მეთქი; თან კლარისას სიტყვები ჩამესმის ყურში: “ჰოჰლა, კაცო, უნდა გასკდე და მაინც გააკეთო!” ერთხელ კიდევ გავზახავ, მე რომანს არა ვწერ და თავი ყოვლისმცოდნე ავტორად არ მომაქვს, რომლის მზერაც ქვეყნისათვის დაფარული ინტიმური ურთიერთობის ყოველ დრამატულ ფაზაში ატანს. მაგრამ, რამდენადაც ვიცი, ჩიხში მომწყვდეული რუდოლფი თავისდა უნებლიეთ მაშინვე ემორჩილებოდა ხოლმე ამ ამაც ბრძანებას: — აბა, რა უნდა გავაკეთო? — და თანაც კარგად წარმომიდგენია, როგორ შეიტყუებდა ავანტიურაში არშიყობის სიყვარული. თავდაპირველად უწყინარი თავშექცევა სიტუაციით, რომელიც სულ უფრო იძაბებოდა და მწვავებოდა, მაშინ როდესაც ცეცხლთან თამაშის ამ მიდრეკილების გარეშე შეიძლებოდა თავი აერიდებინა კიდევც.

სხვაგვარად რომ ვთქვა: ბიურგერული წესიერების საფარქვეშ, რისკენაც ინესი მუდამ ასე ნოსტალგიით დაავადებული მიიღტვოდა, იგი ქმარს ღალატობდა ქალების გულის ვარდთან, სულიერი წყობითა და თვით ყოფაქცევითაც კი ბიჭის მსგავს ყმანვილ კაცთან, რომელიც ეჭვიანობისა და წყენის საბაბს არ აკლებდა, როგორც ამას ზოგი ქარაფშუტა ქალი არ აკლებს ხოლმე სერიოზულად შეყვარებულ კაცს, და რომლის მკლავებშიც იკლავდა არცთუ სანუკვარი ქმრის მიერ გაღვიძებულ გულის წადილს. ასე ცხოვრობდა ქალი წლების მანძილზე. თუ სწორად ვსაზღვრავ, შეუღლებიდან სულ

რამდენიმე თვეც კი არ იყო გასული, ეს რომ დაიწყო და მიმდინარე ათწლეულის მიწურულამდე ვრძელდებოდა, ხოლო თუ შემდეგ ასე აღარ ცხოვრობდა, მხოლოდ იმის გამო, რომ ვაჟმა მიატოვა, თუმცა თავად ცდა არ დაუკლია მის შესანარჩუნებლად. ეს ინესი გახლდათ, ერთდროულად სანიშნუშო დიასახლისად რომ ასაღებდა თავს, და თან რუდის რომ ჰყვარობდა, მასთან ურთიერთობას წარმართავდა და ნიღბავდა, ყოველდღე ეშმაკობას იჩენდა და ორმაგ ცხოვრებას ეწეოდა, რაც, რასაკვირველია, ნერვებს უფიტავდა და ვაი, რომ მის არც-თუ საიმედო სანდომიან გარეგნობას საფრთხეს უქმნიდა: — მაგალითად, ცხვირის დასაწყისთან, ქერა წარბებს შორის, ორივე მხარეს ნოჭები რალაც მანიაკური ჩაციებით ჩაულრმავდა. მაგრამ, ამდენი სიფრთხილის, ცბიერებისა და ვირტუოზული გასაიდუმლოების მიუხედავად, რასაც ორივე მხარე მიმართავს ხოლმე, რათა საზოგადოებას თავისი უკუღმართი ურთიერთობა დაუმალოს, მათი მისწრაფება ბოლომდე უდრეკი და უტეხი არასოდეს არ არის: როგორც მამაკაცისა, რომელსაც ეამაყება, თუკი ხალხი ხვდება, რომ ბედი სწყალობს, ისევე ქალისაც კი. დიაცურ პატივმოყვარეობასაც ფარულად სწადია ყველამ იცოდეს, რომ მარტო მეუღლის ალერსს არ სჯერდება, რასაც დიდად არავინ აფასებს. ამიტომ, მე მგონი, არ შევცდები, თუ დავუშვებ, რომ ინეს ინსტიტორისის ამბავი საკმაოდ კარგად იყო ცნობილი მის მიუნჰენელ ნაცნობთა წრეში, თუმცა არც ერთ მათგანთან, გარდა ადრიან ლევერკიუნისა, მე არ მისაუბრია. უფრო მეტიც, ისიც კი მგონია, რომ თვითონ ჰელმუტმაც იცოდა სიმართლე: ამგვარი ვარაუდის სასარგებლოდ მეტყველებს განათლებული კაცის გულკეთილობა, თავის ქნევითა და სინანულით შემკული შემწყნარებლობა, რასაც ის იჩენდა. იშვიათად როდი ხდება, რომ საზოგადოება ქმარს ერთადერთ ბრმად მიიჩნევს, მაშინ როდესაც თვითონ ქმარს ჰგონია, რომ არავინ იცის, მის გარდა. ასეთია მოხუცი კაცის დაკვირვება, ვისაც ცხოვრებაში ბევრი რამ უნახავს.

მე ისეთი შთაბეჭდილება არ შემქმნია, თითქოს ინესი მაინცდამაინც საგანგებოდ ცდილობდა ვინმეს მისი საიდუმლოსთვის ალლო არ აელო. ქალი რაც შეეძლო ფარავდა, მაგრამ ეს უფრო წესიერების გარეგნულად შენარჩუნების ცდა იყო: ვინც მაინცდამაინც მოინადინებდა, შეეძლო ყველაფერი შეეტყო, ოღონდაც მისთვის ხელი არ შეეშალა. ვნებათა ღელვა ისე გართულია ხოლმე საკუთარი თავით, რომ ვერ წარმოუდგენია ვინმე სერიოზულად გადაეღობოს. ყოველ შემთხვევაში სიყვარულის ამბებში მაინც ასეა, რადგან გრძნობას აქ ყველაფ-

რის უფლების პრეტენზია აქვს და რაგინდ აკრძალული და საძრახი-
სიცი იყოს, თავისდა უნებურად იმედოვნებს: გამიგებნო. მაშ როგორ
შეეძლო ინესს, თუკი სჯეროდა ჩემი საიდუმლო კაციშვილმა არ იცი-
სო, ასე ხელალებით დაეშვა, რომ მე ყველაფერი ვიცოდი? მან კი
სწორედ ასეთი ვარაუდი გამოთქვა და თანაც სრულიად
უცერემონიოდ – ოღონდ პიროვნება არ დაუსახელებია – ერთ საღამო-
ს, როცა ჩვენ ორნი მარტონი ვსაუბრობდით – მე მგონი, 1916 წლის
შემოდგომა იდგა. ამჟამად ეტყობოდა, მისთვის ძალზე მნიშვნელოვ-
ანი იყო ეს ამბავი. იმხანად მე, ადრიანისაგან განსხვავებით, რომელიც
მიუნჰენში გატარებული ყოველი საღამოს შემდეგ მუდამ თერთმეტი
საათის მატარებლით ბრუნდებოდა შინ, პატარა ოთახი მეჭირა შვაბი-
ნგში, ტრიუმფის თალის უკან, ჰოენცოლერნშტრასეზე, რათა უბინაო-
ბას ხელი არ შეეშალა და თუ დამჭირდებოდა, დედაქალაქში ღამის
გასათევი ადგილი მქონოდა. ასე რომ, ინსტიტორისებთან ვახშმად
ყოფნისას სიამოვნებით დავთანხმდი, როდესაც ინესმა, როგორც
ოჯახის კეთილ მეგობარს, ვიდრე სუფრიდან ავდგებოდით, მთხოვა
და ქმარმაც მხარი დაუჭირა ამ წინადადებას, რომ ვახშმის შემდეგაც
დავრჩენილიყავი ერთხანს და საუბრით გამერთო, ვინაიდან ჰელმუტი
ამფსონებთან შეპირებისამებრ კლუბ “ალოტრიაში” მიდიოდა ქალა-
დის სათამაშოდ. მეათე საათი იყო, ქმარი რომ წავიდა, ხოლო მანამდე
კი ჩვენ სჯა-ბაასით თავშეკცევა გვისურვა. დიასახლისი და სტუმარი,
მარტონი ვისხედით ბალიშებიანი წნული ავეჯით მორთულ
საყოველღეო სასტუმრო ოთახში, სადაც ინესის ბიუსტი იდგა სვე-
ტისებურ კვარცხლბეკზე. ერთ ნაცნობ მოქანდაკეს გამოექანდაკები-
ნა თაბაშირისაგან – ძალიან ჰგავდა, ძალიან მიმზიდველი იყო, ნატუ-
რალურ სიდიდეზე საგრძნობლად მცირე, მაგრამ არაჩვეულებრივად
მეტყველი; ცოცხლად იყო გადმოცემული ხშირი თმა, დაბინდული
თვალები, ნაზი, ოდნავ გვერდზე გადახრილი და წინ წამოწეული ყელი,
ემმაკური ღიმილით ძლივს შეთამაშებული ბაგე.

და მე კვლავ ნდობით აღჭურვილი პირი ვიყავი, “კეთილი” კაცი,
ვინც ემოციებს არ აღძრავს, არაფერი არა სცხია რა ცდუნებათა სამყ-
აროსი, რომელთაც ინესის თვალში ალბათ ის ბიჭი განასახიერებდა,
ვის შესახებაც ასე სწყუროდა ჩემთან საუბარი. ქალს თვითონ ჰქონდა
ნათქვამი: ვერავითარი საქმე, მომხდარი ფაქტი, განცდილი ამბავი,
ბედნიერება, სიყვარული და ტანჯვა თავის თავს ვერ ამართლებს,
თუ უთქმელი რჩება და მხოლოდ განიცდება, გინდა ტკბობით და
გინდა ტანჯვით. ისინი წყვილადსა და ღუმელს ვერ სჯერდებიან. რაც

უფრო იდუმალებით არიან მოსილნი, მით უფრო საჭიროებენ მესამეს, ნდობით აღჭურვილს, კეთილ ვილაცას, ვისთანაც შესაძლებელი იქნებოდა ლაპარაკი, — ხოლო ასეთი მესამე მე ვიყავი, ეს გასაგები იყო ჩემთვის და მე ამ როლს ვკისრულობდი.

ჰელმუტის წასვლის შემდეგ ერთხანს, თითქოს გვეშინოდა, რომ ჯერ კიდევ ახლოს იყო და გაიგონებდა, უმნიშვნელო ამბებზე ვმუსაიფობდით. შემდეგ ანაზღუდად, ლამის შემაცბუნებლად მომახალა:

— ზერენუს, ალბათ მკიცხავთ, მგობთ, გძაგვართ?

აზრი არ ჰქონდა თავის მოკატუნებასა და გაოცების გამოხატვას.

— სრულებითაც არა, ინეს, — მივუგე მე. — ღმერთმა დამიფაროს! ჩემს თავს მუდამ ვეუბნები: ჩემი არს შურის-გებაი და მე მივაგო, — ამბობს უფალი-მეთქი. მე ვიცი, შემოქმედი დანაშაულშივე ატანს სასჯელს, დანაშაულს მთლიანად სასჯელით არწყულებს. ასე რომ, ერთი მეორისაგან განუყრელია, ბედნიერება და სასჯელი ერთი და იგივეა. ალბათ ძალიან იტანჯებით. განა აქ ვიჯდებოდი, ზნეობის მცველად რომ მომქონდეს თავი? თქვენი და რ დი რომ მაქვს, ამას კი არ უარყოფ, მაგრამ ამასაც გულში ჩავიმარხავდი, რომ არ გეკითხათ, ხომ არა მკიცხავთო.

— რა არის ტანჯვა, რა არის შიში და შერცხვენის საფრთხე, — მითხრა მან, — სულზე უტკბეს, სანადელ ტრიუმფთან შედარებით, ურომლისოდაც ადამიანს სიცოცხლეც არ გინდა, — იმის შეგნებასთან შედარებით, რომ არ დაანებე მის ქარაუშუტობას, არამდგრადობას, გულის მომწყვლელ, მქისე თავაზიანობასა და დარდიმანდობას წარებოცა მისივე საუკეთესო თვისებები, რომ უქმ მანჭიაობას აყოლილი აიძულე სერიოზულად დაეჭირა თავი, მოუხელებელი მოიხელე, და ბოლოს, ერთხელ კი არა, არამედ უამრავჯერ იხილე, იგრძნე, აღიქვი იმ მდგომარეობაში, რაც მის ჭეშმარიტ ღირსებას შეეფერება, თავდადების მდგომარეობაში და ვნებათა ლელვისაგან მგმინავი!

როდღე ვამბობ, ქალმა სწორედ ეს სიტყვები იხმარა-მეთქი, მაგრამ დაახლოებით კი ამდაგვარი რამ თქვა. ის ხომ ნაკითხი გახლდათ და მიჩვეული იყო, უსიტყვოდ კი არ განეცადა თავისი შინაგანი ცხოვრება, არამედ აზრებად ჩამოეყალიბებინა და ქალიშვილობისას ჰოეზიაშიც ჰქონდა კალამი ნაცადი. მის ლაპარაკში განათლებული ადამიანის სიზუსტე იგრძნობოდა და აგრეთვე იმ სითამამის ნატამალიც; რომელიც მუდამ წარმოიქმნება, როდესაც ენა ლამობს

ღრმად ჩასწვდეს გრძნობასა და ცხოვრებას, თავისი საშუალებებით შეასხას ხორცი, ჭეშმარიტი სიცოცხლე მიანიჭოს. ეს ყოველდღიური სურვილი არ გახლავთ, ეს აფექტის შედეგია, და ამდენად აფექტი და გონი ერთმანეთს უნათესავდებიან. ამდენადვე აქ გონის გამოვლენა ამაღლევებულია. ქალი შეუჩერებელივ ლაპარაკობდა და მხოლოდ ცალი ყურით თუ ისმენდა იმას, რასაც მე იშვიათად ჩავურთავდი ხოლმე. მისი სიტყვები, არ დაგიმალავთ, ხორციელი ნეტარებით იყო გაჟღენთილი, რაც მაიძულებს ისინი აქ აღარ გავიმეორო. თანაგრძნობა, რიდი, ნამუსის შენახვის სურვილი ხელს მიშლის და, შესაძლოა, ფილისტერული შიშიც, მკითხველზე უსიამო შთაბეჭდილება არ მოვახდინო. ინესი მრავალგზის იმეორებდა ერთსა და იმავეს – ცდილობდა უკვე ნათქვამი, რომელიც არასაკმარისად ექსპრესიულად მიაჩნდა, უფრო მკაფიოდ გამოეხატა. თან ყოვლად უცნაურად აიგივებდა ღირებულებასა და ხორციელ ვნებას, ვერა და ვერ აღწევდა თავს ახირებულსა და ბანგივით გამაბრუებელ იდეას, თითქოს შინაგანი ღირებულება შეიძლება მარტო გულის წადილში გამოვლინდეს და რეალობად იქცეს, თითქოს წადილი ღირებულების ტოლფასია და უზენაესი ბედნიერება, რომელსაც არ უნდა შეელიო, ამგვარი რეალიზაციის ხელშეწყობაა. შეუძლებელია გადმოცემა იმ მსურვალე და კაეშნიანი, ოღონდ არცთუ ბოლომდე გარანტირებული კმაყოფილების ჩქამისა, რაც მისი ბაგიდან მოისმოდა ღირებულებებისა და გულის წადილის ცნებათა შეხამებისას. გულის წადილი აქ უღრმესი სერიოზულობის ელემენტად გვევლინებოდა, მკვეთრად დაპირისპირებული საძულველი "დარდიმანდობის", "გალანტობის" ელემენტს, რომლითაც კეკლუცად მოთამაშე ღირებულება თავის თავს ლალატობდა, – რომელიც მისი ელფური, მაცდური გარსი იყო და რომლისთვისაც იგი უნდა წაგერთმია, ხელიდან გამოგვეგლიჯა ადამიანს, რათა მხოლოდ და მხოლოდ ის, ამ სიტყვის ჭეშმარიტი მნიშვნელობით, მარტოოდენ ის მოგეხებოდა. გალანტობის მოთვინიერება, თავაზის სიყვარულად გარდაქმნა – აი, რას დასტრიალებდა ინესის აზრები; მაგრამ ამასთანავე რალაც უფრო აბსტრაქტულსაც, ანც რალაც ისეთს, რაშიც ნააზრევი და განცდილი შემადრწუნებლად ერწყმოდა ერთმანეთს, სახელდობრ, იმ იდეას, რომ წვეულებაზე დარდიმანდულ დროსტარებასა და ცხოვრების სამწუხარო საეჭვობას შორის წინააღმდეგობა ვაყის ხვევნა-აღერსში იღვევოდა, რომ ეს ხვევნა-აღერსი უტკბესი შურისძიება იყო იმ ტანჯვის გამო, რასაც ეს წინააღმდეგობა განაპირობებდა.

ხოლო მე თუ რასმე ვურთავდი, დანვრილებით უკვე ველარ ვიგონებ, გარდა ერთი შეკითხვისა, რომლითაც, როგორც ჩანს, მინდოდა გაკვრით მიმეთითებინა, სიყვარულის საგანს ეროტიკული თვალსაზრისით გადაჭარბებულად აფასებთ-მეთქი, და დამედგინა, რითი იყო ეს ამბავი გამოწვეული. მახსოვს, მორიდებულად ვაგრძნობინე, აქ მგზნებარე სიყვარული არცთუ ყველაზე მშვენიერ, სრულყოფილ, სანადელ ობიექტზეა-მეთქი მიჯაჭვული; სამხედრო სამსახურისთვის უვარგისად რომ მიიჩნიეს, მაშინ ფიზიოლოგიური ფუნქციის დეფექტი აღმოაჩნდა, შინაგანი ორგანოს რეზექცია დაუდგინეს-მეთქი. პასუხი დაახლოებით ასეთი იყო: ამგვარი არასრულფასოვნება სიყვარულის ღირს ობიექტს. კიდევ უფრო აახლოებს ტანჯულ სულთან, უიმისოდ ამ უკანასკნელს იმედის ნატამალიც გადანურული ექნებოდა, ის არის სწორედ, ურომლისოდაც ქარაფშუტობას ტკივილის ძახილი საერთოდ ვერ მისწვდებოდაო, და უფრო მეტიც, უფრო დამახასიათებელიც: სიცოცხლის ხანმოკლეობა, რასაც ეს ხინჯი უქადის, მასთან შეყრის წყურვილისათვის უფრო მანუგეშებელი, დამანყნარებელი, ნამათამამებელი ფაქტორია, ვიდრე დამაბრკოლებელიო... და მერე ისევ განმეორდა იმ საოცრად მსახვრალი საუბრის ყველა წვრილმანი, როცა პირველად გამანდო, ვინც უყვარდა; ოღონდ ამჯერად რასაც ამბობდა, ყოველივე ლამის ანჩხლი კმაყოფილებით იყო გაჯერებული: — დაე ახლაც გასცეს თავისი თავი მობოდიშებით, ლანგვიშებსა და როლვაგენებთანაც უნდა ცოტა ხნით გამოვჩნდეო ხალხთან, რომლებსაც მე სრულებით არ ვიცნობ, და ჩემთვის ნათელი შეიქნეს, რომ იმათთანაც ასევე ამბობს, ინესთანაც უნდა გამოვჩნდეო, ამჯერად ამას ტრიუმფის გრძნობა აქარწყლებს. ამჯერად როლვაგენის ქალიშვილების „ჯიშიანობა“ უკვე არ მაკრთობს და არ მალონებს მასთან ჩაკონებულს. აღარც მისი გადაჭარბებული თავაზიანობა მიშხამავს გულს, მისთვის სრულიად უმინიშვნელო ადამიანებს რომ ეპატიჟება ხოლმე, ცოტა ხანს კიდევ დარჩითო... ინესმა მისთვის საძულველი გამოთქმაც გაიხსენა: — უბედურები ისედაც უკვე ბევრნი არიანო და მხოლოდ ამოიოხრა, მაგრამ ისე, რომ ამ სიტყვებს სამარცხვინო გესლი წაერთვა. ეს ქალი ამჟამად ატაცებული იყო იმ აზრით, რომ თუმცა ცოდნისა და ტანჯვის საუფლოს ეკუთვნოდა, მაგრამ ამასთანავე დ ი ა ც ი გახლდათ და ამ დიაცობის მეოხებით ხელენიფებოდა ცხოვრებასა და ბედნიერებას ზიარებოდა, სიანცე თავისი გულით დაემარცხებინა. უნინ შეხედვას, მკაცრ სიტყვას უნდა და-

სჯერებოდა, რათა სიმშაგე ერთი წამით მაინც მოეთოკა, ცოტა ხნით მაინც დაეპყრო ვაჟის გული; შეეძლო ეიძულებინა, უმაქნისი გამოთხოვება გამოესწორებინა ხელახალი დამშვიდობებით, ამჯერად უკვე სერიოზულითა და წყნარით. ახლა ეს ეფემერული გამარჯვებანი განმტკიცებულნი იყვნენ ვაჟის დაუფლებით, მასთან ერთობით, რამდენადაც დაუფლება და ერთობა შესაძლებელია, როცა საქმე ორს შეეხება, რამდენადაც ამის უზრუნველყოფა ძალუძს შელახულ ქალურობას. სწორედ ეს ეეჭვებოდა ინესს, რომელიც გამომიტყდა, რომ სატრფოს ერთგულებისა არა სჯეროდა.

— ზერენუს, — მითხრა მან, — ეს გარდუფალია. ვიცი, მიმატოვებს, და მე დავინახე, რარიგ ჩაულრმავდა ნაოჭები წარბებს შორის და ქალის სახემ ჯიუტის გამომეტყველება მიიღო, — მაგრამ მაშინ ვაი მას, ვაი მე — დაუმატა ყრუდ და მე მაშინვე ადრიანის ნათქვამი მომავონდა რუდიზე, როცა პირველად ვუამბე ინესის კამიჯნურების ამბავი: უნდა ფხიზლად იყოს, რომ საღ-საღამათი გადარჩესო.

ჩემთვის ეს საუბარი ნამდვილად მსხვერპლის გაღება იყო. ორი საათი გასტანა და ვინ იცის, რამდენი საკუთარი თავის უარყოფა, რამდენი გულისხმიერება, გულითადობა და კეთილი ნება დამჭირდა მის გასაძლებად. როგორც ჩანდა, ინესიც გრძნობდა ამას, მაგრამ იძულებული ვარ, ვთქვა, რომ საკვირველი ამბავი გახლდათ: ქალის მადლიერებას ჩემი მოთმინების, დროის დაკარგვის, ნერვების დაძაბვის გამო, ყოველივე იმის გამო, რასაც მისთვის ვიჩენდი — ეს უტყუარი იყო ჩემთვის — ერთვოდა რაღაც ანჩხლი კმაყოფილების გრძნობაც, ნიშნის მოგების მსგავსი რამ, რაც დროდადრო გამოკრთოდა ქალის ცბიერ ღიმილში და რასაც ისე ვერ გავინსენებ, რომ არ გავიოცო, იმდენი ხანი როგორ გავუძელი. მაროლაც დიდხანს ვიჯექით, ვიდრე ინსტიტორისი „ალოტრიიდან“ დაბრუნდებოდა, სადაც ტაროკს თამაშობდა ხოლმე ამფსონებთან. ქმარს სახეზე უხერხულობის ჩრდილმა გადაურბინა, თითქოს რაღაცას მიხვდაო, როცა ისევ ერთად მსხდომნი დაგვინახა. მერე მადლობა გადამიხადა: მეგობრული სამსახური გამიწიეთ და ასე დაყოვნდით, მე კი, ხელმეორედ მისასალმებლად რომ წამოვდექი, აღარ დავმჯდარვარ, დიასახლისს ხელზე ვემთხვიე და წამოვედი, გამოფიტული, ცალკე განაწყენებული, ცალკერძ თანაგრძნობით გამსჭვალული და შეძრწუნებული დავუყვიე უკაცრიელ ქუჩებს, ჩემს ნავსაყუდელს მივაშურე.

დრო, რომლის შესახებაც ვწერ, ჩვენთვის, გერმანელებისათვის, სახელმწიფოს დაქცევის, კაპიტულაციის სასომხბდილობისა და დაღლილობის, უმწეობისა და უცხოელთა ხელში ჩავარდნის ერა გახლდათ. დროს, რომეღშიაც ვწერ, რომელიც იმაში უნდა გამოვიყენო, რომ ჩემთვის წყნარად და მარტო ეს მოგონებები ქალაქზე აღვბეჭდო, საზიზღრად გამობერია მუცელი, მამულის კატასტროფას დაატარებს საშოთი, რასთანაც შედარებით მაშინდელი დამარცხება მცირე რამ ხელის მოცარვად, გაკოტრებული წამონყების გონივრულ ლიკვიდაციად ჩანს. სამარცხვინო მარცხი მაინც სულ სხვა რამეა, უფრო ნორმალური რამაა, ვიდრე განკითხვის დღე, რაც ახლა თავს დაგვტრიალებს, მას უამსა შინა კი სოდომსა და გომორას დაატყდა, ხოლო ჩვენ პირველად გადავურჩით.

ის რომ ახლოვდება, რომ დიდი ხანია მისი თავიდან არიდება უკვე შეუძლებელია — ამაში, მე მგონი, ეჭვი ოდნავაც აღარავის არ ეპარება. მონსინიორ ჰინტერჰორტენერი და მე, რასაკვირველია, უკვე მარტონი აღარა ვართ, ვინც ეს საშინელი და ამასთანავე — ღმერთო, გვიშველე! — იდუმალად აღმაფრთოვანებელი ამბავი უწყის! მოახლოებული აღსასრული რომ დუმილის საბურველშია გახვეული, თავისთავად კომმარული რამ არის. ვინაიდან, თუ შემზარავია უამრავ დაბრმავებულთა შორის თითო-ოროლა ნათელმხილველი, ოღონდ პირახვეული ადამიანის ყოფნა, ჩემი აზრით, კიდევ უფრო შემადრწუნებელია, როცა არსებითად უკვე ყველამ იცის, მაგრამ ერთმანეთში დუმილი აქვთ მისჯილი და სიმართლეს მხოლოდ ერთიმეორის შიშისაგან დამფრთხალ და შეფარვით მომზირალ თვალეში კითხულობენ.

ვიდრე მე ჩუმად, მაგრამ შინაგანად მუდამ აღელვებული, ყოველ ცისმარე დღე გულმოდგინედ ვიღვწოდი, რათა ბიოგრაფის ამოცანა ღირსეულად გადამეჭრა და ინტიმური თუ პიროვნული სათანადოდ გამომესახა, გარეთ ხდებოდა ის, რაც უნდა მომხდარიყო და რაც იმ დროს ეკუთვნის, რომელშიც ვწერ. საფრანგეთში შემოჭრა, როგორც შესაძლებელი რამ, უკვე დიდი ხანია აღიარებული, განხორციელდა: საგულდაგულად მომზადებული სამხედრო-ტექნიკური ოპერაცია უმაღლესი ანდა აქამდე საერთოდ გაუგონარი რანგისა, რაშიც მით უფრო გაგვიჭირდა მტრისთვის ხელი შეგვეშალა, რომ ვერ ვბედავდით ჩვენი თავდაცვითი ძალები გადმოსხდომის ერთ პუნქტში შე-

გვეკრიბა, არ ვიცოდით რა, ერთი იქნებოდა ასეთი პუნქტი თუ მრავალი და მოსალოდნელი იყო თუ არა იერიშები სხვა გაუთვალისწინებელ რეგიონებშიც. ამაო და დამლუპველი გახლდათ ჩვენი მერყეობა: აქ გადმოსხდნენ და სულ მალე ნაპირზე იმდენი ჯარი, ტანკები, ქვემეხები და ყოველნაირი აღჭურვილობა გაჩნდა, რომ მათი უკან ზღვაში გადაყრა ველარ შეეძელით. შერბურგმა, რომლის ნავსადგურიც, როგორც ჩვენ არცთუ უსაფუძვლოდ ვიმედოვნებთ, გერმანელ ინჟინერთა ოსტატობის წყალობით ძირის-ძირობამდე დანგრეულია და მტერი ველარ გამოიყენებს, სარდლისა და ადმირალის მიერ ფიურერის სახელზე გმირული რადიოდებუშების გამოგზავნის შემდეგ კაპიტულაცია მოახდინა, და უკვე რამდენიმე დღეა მძვინვარებს ბრძოლა ნორმანდიის ქალაქ კანისათვის – ბრძოლა, რომელიც, კაცმა რომ თქვას, თუ ჩვენი ეჭვები გამართლდა, საფრანგეთის დედაქალაქისაკენ მიმავალ გზას გაუხსნის მონინალმდეგეს: იმ პარიზისკენ, რომელსაც ახალი წესრიგის მიხედვით ევროპის ლუნაპარკისა და საროსკიპოს როლი უნდა დაკისრებოდა და სადაც ახლა ჩვენი მონინალმდეგენი თავს თამამად მალლა სწევდნენ და მათ ჩვენი სახელმწიფო პოლიციისა და მისი ფრანგი თანამშრომლების გაერთიანებული ძალები ძლივსლა უმკლავდებოდნენ.

დიახ, ბევრი რამ მოხდა, რაც ჩემს განმარტოებულ საქმიანობაში იჭრებოდა, მე კი არ ვიმჩნევდი! რამდენიმე დღეც არ იყო ნორმანდიაში გასაოცარი გადმოსხდომის შემდეგ გასული, რომ ომის თეატრის დასავლეთ სცენაზე გამოჩნდა ფიურერის მიერ გულის სიღრმიდან მომავალი სიხარულით წინასწარ უკვე მრავალგზის მოხსენიებული ჩვენი შურისგების იარაღი: ყუმბარა-რობოტი, მართლაც საკვირველი საბრძოლო საშუალება, როგორსაც მხოლოდ უმძიმესი გაჭირვება თუ ჩააგონებს გამომგონებელ გენიას, – ნგრევის ეს უპილოტო ფრთოსანი მაცნეები, საფრანგეთის ნაპირიდან უხვად გაშვებულები, სამხრეთ ინგლისში რომ ეცემიან და ფეთქდებიან. თუ ჩვენ არ ვცდებით, სულ მოკლე ხანში ეს იარაღი მონინალმდეგისათვის ნამდვილ უბედურებად იქცა, მაგრამ რაიმე არსებითი განსაცდელისაგან შეუძლია კი დაგვაზღვიოს? განგებამ არ ინება, რომ დროულად დაგვემთავრებინა საჭირო დანადგარების მშენებლობა, რათა მფრინავი ჭურვებით ხელი შეგვეშალა გადმოსხდომისთვის, შეუძლებელი გაგვეხადა იგი. ამასობაში კი პერუჯის დაცემაზეც წერენ, რაც ჩვენ შორის ითქვას და შუა გზაზეა რომსა და ფლორენციას შორის; უკვე ხმა დადის სტრატეგიული გეგმის არსებობაზე, რომელიც ჩვენი

ჯარის მიერ აპენინის ნახევარკუნძულის მთლიანად დაცლას გულისხმობს, — ალბათ იმ მიზნით, რომ ნაწილები გამოათავისუფლონ მომქანცველი თავდაცვითი ბრძოლებისათვის აღმოსავლეთში, სადაც ჩვენს ჯარისკაცებს არაფრის გულისთვის არ სურთ მოხვდნენ. იქ რუსების შეტევის ტალღა მოგორავს, უკვე გამოიარა ვიტებსკი და ახლა მინსკს ემუქრება, ბელორუსიის დედაქალაქს, რომლის დაცემის შემდეგ, როგორც ჩვენი „ჭორბიურო“ ამტკიცებს, აღმოსავლეთშიც ფეხს ველარსად ვერ მოვიკიდებთ.

ფეხს ველარ მოვიკიდებთ, ვაი, სულო, ბოლომდე ნუ გაიაზრებ ამ საშინელებას! არ გაბედო იმას თვალი გაუსწორო, რაც იქნება, თუ ჩვენს განუმეორებელ, გაუგონარ სავალალო მდგომარეობაში ჯებირები გვიღალატებენ — მათ კი სადაცაა გადმოლახავენ — და ვერაფერი ვერ შეაკავენ იმ უსაზღვრო სიძულვილს, რაც მეზობელ ხალხებში დავიმსახურეთ! თუმცა ჰაერიდან ჩვენი ქალაქების ნგრევის შედეგად გერმანია დიდი ხანია ომის ასპარეზად გადაიქცა, მაგრამ მაინც აზრი, რომ ჩვენი სამშობლო შეიძლება მართლაც ბრძოლის ველად იქცეს, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით, წარმოუდგენლად და დაუშვებლად გვეჩვენება; ხოლო ჩვენს პროპაგანდას უცნაური ჩვეულება დასჩემდა: მტერს ჩვენი მინა-წყლის, წმინდა გერმანული მინა-წყლის ხელყოფისაგან, როგორც რაღაც საშინელი ბოროტმოქმედებისაგან, ა ფ რ თ ხ ი ლ ე ბ ს ... წმინდა გერმანული მინა-წყალი, თითქოს მას კიდევ გააჩნდეს წმინდა რამ, თითქოს დიდი ხანია ნაბილწული არ იყოს აურაცხელი უკანონობით და მორალურადაც ისევე, როგორც ფაქტობრივად, ღირსი არ იყოს გასამართლებისა და დასჯისა. დაე მოხდეს, რაც მოსახდენია. სხვა რისი იმედი შეიძლება გვექონდეს, სხვა რაღა შეიძლება გვსურდეს, რას უნდა მიველტვოდეთ?! ანგლო-საქსებს დავუზავდეთო, რომ გაიძახიან, მარტო სარმატთა შემოსევას გავუმკლავდეთო, რომ გვთავაზობენ და ცდილობენ უსიტყვო კაპიტულაციის მოთხოვნა რითიმე შეასუსტონ, ესე იგი მოლაპარაკება გააბან — მაშინვე კითხვა დაისმის: სახელდობრ, ვისთან? ეს სხვა არაფერი არ გახლავთ, თუ არა აბსურდული მონაჩმახი, ფანდი რეჟიმისა, რომელსაც არ სურს გაიგოს, რომელსაც დღემდე თითქოს არ ესმის, რომ მისი წირვა გამოსულია, რომ უნდა გაქრეს წყეული, ვინაიდან, მთელი ქვეყნიერებისათვის აუტანელმა, ჩვენც, გერმანიაც, ჩვენი სახელმწიფოც — მე უფრო შორს ნავალ და ვიტყვი: ყველა გერმანელიცა და ყოველივე გერმანულიც აუტანელი გახადა მისთვის.

აი ჩემი, როგორც ბიოგრაფის, საქმიანობის ფონი ამჟამად. მე მგონი, მოვალე ვიყავ მისი სქემა მაინც დამეხატა მკითხველისათვის. რაც შეეხება თავად ჩემი მოთხრობის ფონს, იმ მომენტისთვის, სადამდეც უკვე მივალნიე, ამ თავის დასაწყისში შემდეგი გამოთქმით დავაზნაობთ: უცხოელთა ხელში ჩავარდნის ერა-მეთქი. „საშინელია უცხოელთა ხელში ჩავარდნა“, – ეს წინადადება და მისი მწარე სიმართლე თავიდან არ გამომდიოდა, განცდილი და გააზრებული მქონდა კაპიტულაციისა და კრახის დღეებში; ვინაიდან მე, როგორც გერმანელი, მიუხედავად უნივერსალიზმისა, რომლითაც ჩემი მსოფლალქმა კათოლიკური ტრადიციის მიერ არის შეფერილი, ფაქიზად შევიგრძნობ ნაციონალურ თავისებურებას, ჩემი ქვეყნის დამახასიათებელ თვითმყოფადობას, მის, ასე ვთქვათ, იდეას, რომელიც წარმოადგენს რა ზოგადკაცობრიულის ერთ-ერთ კონკრეტულ გამოვლენას, სხვა, უთუოდ ასევე თანასწორუფლებიან გამოვლენათა მიმართ თავისთავადობის შენარჩუნებას ლამობს და მხოლოდ გარედან მეტ-ნაკლებად აღიარების შემთხვევაში, მონესრიგებული სახელმწიფოს მფარველობის ქვეშ ძალუძს თავისი თავი დაიმკვიდროს. გადამწყვეტი სამხედრო მარცხის ახალმოვლენილი საშინელება ზემოხსენებული იდეის დათრგუნვაა, მისი ფიზიკური შევინროებაა უცხო იდეოლოგიის მიერ, რაც სხვა ამბებთან ერთად უწინარეს ყოვლისა ენასთანაც არის დაკავშირებული, რის განკარგულებაშიც მთლიანად ექცევა ერი და რისგანაც – სწორედ იმიტომ, რომ იგი უცხოა – საკუთარი თვითმყოფადობისათვის კარგს აღარას არ უნდა მოელოდეს. ეს საშინელება დამარცხებულმა ფრანგებმა წინა ომში იწვნიეს, როცა მათმა შუამავლებმა გამარჯვებულის მიერ წამოყენებული პირობების შესარბილებლად პარიზში ჩვენი ჯარის შესვლის დიდება, *la gloire*, ცამდე აიყვანეს, ხოლო გერმანელმა პოლიტიკურმა მოღვაწემ მიუგო: სიტყვა *gloire* ან მისი ეკვივალენტი ჩვენს ლექსიკონში არ მოიძებნებაო. 1870 წელს ამ ამბავზე შეშინებულები ხმადაბლა ლაპარაკობდნენ საფრანგეთის პალატაში, გაოგნებულები ცდილობდნენ გარკვეულიყვნენ, მაინც რას ნიშნავდა – დანებდე მოწინააღმდეგეს, რომელსაც *gloire*-ეს ცნება არ გააჩნია...

ხშირად მიფიქრია ამაზე, როცა იაკობინუა-პურიტანული ქველი ჟარგონი, მთელი ოთხი წლის განმავლობაში ჩვენი „თანამეგობრობის“ სამხედრო პროპაგანდის მიერ განქიქებული, გამარჯვების ძლევამოსილ ენად იქცა. აგრეთვე იმაშიც ვრწმუნდებოდი, რომ კაპიტ-

ულაციიდან შორს არ არის საკუთარ თავზე პირნმინდად ხელის აღება მდე და იმის შეთავაზებამდე, რომ დაე გამარჯვებულმა თავად ინებს დამარცხებული ქვეყნის მართვა, როგორც საჭიროდ დაინახავს, ვინაიდან თვითონ თავგზა აქვს აბნეული, საკუთარი პერსპექტივა აღარ გააჩნია. ამგვარი ტენდენციები საფრანგეთში ორმოცდარვა წლის წინაც იგრძნობოდა, ხოლო ამჟამად ჩვენთვისაც აღარ იყო უცხო. მაგრამ მათ უარყოფენ. ნაქცეული, ასე თუ ისე, თვითონ უნდა წამოდგეს, ხოლო გარედან მხოლოდ იმ მიზნით აშველებენ ხელს, რომ თავი დაიზღვიონ და რევოლუცია, რომელიც ძველი ავტორიტეტების მზის ჩასვენების შედეგად წარმოქმნილ ვაკუუმს ავსებს, ნაპირებიდან არ გადმოვიდეს და ბურჟუაზიულ წესწყობილებას გამარჯვებულ ქვეყნებშიაც არ დაემუქროს. ამიტომ იყო, რომ 1918 წელს, მას შემდეგ, რაც იარაღი დავყარეთ, დასავლეთის სახელმწიფოებს ბლოკადის განგრძობა დასჭირდათ, რათა გერმანიაში რევოლუციისათვის კონტროლი გაეწიათ, არ მიეცათ მისთვის ბურჟუაზიულდემოკრატიული ლიანდაგიდან გადახვევისა და გადაგვარების საშუალება. ძღვევამოსილი ბურჟუაზიული იმპერიალიზმი ერთთავად გაიძახოდა: „ანარქიას“ ერიდეთო, გადაჭრით უარყოფდა მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოებთან და სხვა მსგავს კორპორაციებთან ყოველგვარ მოლაპარაკებას, განუწყვეტლივ ჩაგვჩიჩინებდა: მხოლოდ და მხოლოდ სოლიდურ გერმანიასთან დადებენ ზავს, მხოლოდ და მხოლოდ ასეთ გერმანიას დაანაყრებენო. ჩვენი მაშინდელი ვაი-მთავრობაც ამ მამობრივ დარიგებას ასდევდა, ეროვნულ ერთობას უპირისპირებდა პროლეტარულ დიქტატურას და გამგონედ უარყოფდა საბჭოების წინადადებებს, თვით მაშინაც კი, როცა საქმე მარცვლეულის მიწოდებას ეხებოდა. არცთუ მაინცდამაინც ჩემდა გასახარად, გავბედავ და დავსძენ: როგორც ზომიერ კაცსა და განათლების პირმშოს, მე თუმცა ბუნებრივი ძრწოლა მიპყრობს რადიკალური რევოლუციისა და დაბალი კლასის დიქტატურის წინაშე, რაც ოდითგანვე სხვაფრივ ვერ წარმომიდგენია, თუ არა, როგორც ანარქია და ბრბოს ბატონობა, მოკლედ, როგორც კულტურის ნგრევა, მაგრამ როგორც კი ის გროტესკული ანეკდოტი მომაგონდება, როგორ დასეირნობდა მსხვილი კაპიტალის ორი მოჯამაგირე — ევროპული კულტურის ორი მსხნელი — გერმანელი და იტალიელი — ფლორენციის სამხატვრო გალერეაში, უფიცოში, სადაც მათ ჭეშმარიტად არა ესაქმებოდათ რა, და ერთმა მეორეს ასეთი რამ უთხრა: ხელოვნების მთელ ამ საუნჯეს ბოლშევიზმი იმსხვერპლებ-

და, განგებას რომ არ ენება და ჩვენ, ორივენი, არ ავემალლებინეთო, — ბრბოს ბატონობა ახლებურად წარმომიდგება, და დაბალი კლასის ბატონობა მე, გერმანელ ბიურგერს, ლამის იდეალურ მდგომარეობად მომეჩვენოს, ახლა, როცა ვიცი, რას შევადარო — ნ ა ძ ი რ ა ლ ე ბ ი ს ბატონობასთან შედარებით. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ბოლშევიზმს ხელოვნების ნაწარმოებები არასოდეს არ გაუხანდავურებია. ეს ამბავი უფრო იმათი ამოცანა გახლდათ, ვინც გვიმტკიცებდა, ბოლშევიზმისაგან გიცავთო. განა ბევრი რამ იყო საჭირო, რომ ამ ვაჟბატონთა ჟინს, ყოველივე განსულიერებული ფეხქვეშ გაეთელათ, ჟინს, რომელიც ეგრეთ წოდებული ბრბოს ბატონობისთვის სრულიად უცხოა, — ამ ჩანანერთა გმირის, ადრიან ლევერკიუნის, შემოქმედებაც მსხვერპლად შეენირა? განა მათი გამარჯვება და ისტორიული უფლებამოსილება, ეს მსოფლიო ისე მზაკვრულად მოეწყობოთ, როგორც მოეპრიანებოდათ, მის შემოქმედებას სიცოცხლეს არ მოუსწრაფებდა და უკვდავებას არ წაართმევდა?

თავის თავს რომ რიტორიკულად „რევოლუციის პირმშოს“ უწოდებდა, იმ ბურჟუის თვითკმაყოფილი და ქველი ლაქლაქის სიძულვილი გახლდათ, რომელიც ოცდაექვსი წლის წინ ჩემს გულში უფრო ძლიერი გამოდგა, ვიდრე უწესრიგობის შიში, და ის მასურვებინა, რაც ამ ბურჟუას არ სურდა: ჩემი დამარცხებული ქვეყანა მხარში ამოსდგომოდა რუსეთს — გაჭირვებაში მის თანამოძმეს, თან ყაბულსაც კი ვიყავი, რომ იმ სოციალურ გარდაქმნებსაც შევრიგებოდი, ასე გასინჯეთ, მივსალმებოდი კიდეც, რაც ასეთ დაამხანაგებას შედეგად მოჰყვებოდა. რუსეთის რევოლუციამ შემძრა და მისი პრინციპების უპირატესობაში იმ სახელმწიფოთა პრინციპებთან შედარებით, რომლებიც წიხლით შეგვდგნენ, ოდნავადაც არ მეპარებოდა ეჭვი.

მას შემდეგ ისტორიამ მასწავლა, რომ შეიძლება სხვა თვალითაც უყურო ჩვენს მაშინდელ დამმარცხებლებს, რომლებიც მალე კვლავ გაიმარჯვებენ, აღმოსავლეთის რევოლუციასთან შეკავშირებულნი. სწორია, რომ ბურჟუაზიული დემოკრატიის გარკვეული ფენები საიმისოდ მომნიჭებულნი ჩანდნენ მაშინ და ახლაც ჩანან, რასაც მე ნაძირალების ბატონობა ვუწოდებ — მზად არიან მასთან კავშირი დასდონ, რომ თავიანთი პრივილეგიები გაახანგრძლივონ. მაგრამ ბურჟუაზიულ დემოკრატიას ბელადები გაუჩნდა, რომელნიც ზუსტად ისევე, როგორც მე, ჰუმანიზმის პირმშო, ამგვარი ხელისუფლების ბატონობაში უსაშინელეს რამეს ხედავენ, რაც კი კაცობრიობას შეიძლება თავზე მოახვიონ და თავიანთი სამყარო მის წინააღმდეგ

სამკვდრო-სასიცოცხლოდ საბრძოლველად ამხედრეს. საქმე მარტო ის კი არ არის, რომ ეს ადამიანები მადლობის ღირსნი არიან, ეს კიდევ იმას ამტკიცებს, რომ დასავლეთის ქვეყნების დემოკრატია, მიუხედავად იმისა, რომ მისი დანესებულებები დროს ჩამორჩნენ, რომ თავისუფლების ცნება დამყაყებულად წარმოუდგენია, ახალსა და გარდუვალს გაურბის, არსებითად მაინც კაცობრიობის პროგრესის, საზოგადოების სრულქმნის სასიკეთო ხაზზე ძევს და თავისი ბუნებით განახლების, გაუმჯობესების, გაახალგაზრდავების, ცხოვრების მოთხოვნებისათვის უფრო შესაფერის მდგომარეობაში გადასვლის უნარი შესწევს...

ეს ყოველივე ნიგნის მინდორზე მისანერი ამბებია. ის, რასაც აქ, როგორც ბიოგრაფი, მოგაგონებთ, გახლავთ მონარქისტულ-მილიტარისტული სახელმწიფოს ავტორიტეტის დაცემა, რაც დამარცხების მოახლოებასთან ერთად სულ უფრო საცნაური ხდებოდა, ხოლო აპოგეას ამ დამარცხებასთან ერთად მიაღწია. მანამდე კი ამდენი ხანი ჩვენი ცხოვრების ფორმა იყო და მასთან შეჩვეულებისათვის მისი დაწხოება, მისი გადადგომა არცთუ საამური სანახაობა გახლდათ: ისედაც დუხჭირი ცხოვრება კიდევ უარესდებოდა, ვალუტა სულ უფრო და უფრო უფასურდებოდა, ერთგვარი თავისუფლება იგრძნობოდა მსჯელობაში, აზრის გამოთქმაში, მაგრამ მხოლოდ როგორც მოქალაქეობრივი დამოუკიდებლობის გამოხატვის უსუსური და უმნიშვარი ცდა. ამდენ ხანს დისციპლინით შეკავშირებული სახელმწიფო მექანიზმი უბატონოდ დარჩენილ ქვეშევრდომთა მოკამათე ჯგუფებად იშლებოდა, – და რა გაენყობა, სიტყვა „სავალალოს“ თავს ვერ ავარიდებ იმ შთაბეჭდილებათა განსაზღვრისას, რომლებიც მაშინ ახლად ჩასახულ „გონებრივ მუშაკთა საბჭოებისა“ და სხვა მისთანათა სხდომებზე მივიღე მიუნჰენის სასტუმროთა დარბაზებში, როგორც წმინდა ნყლის პასიურმა მონაწილემ და დამკვირვებელმა. მე რომ რომანისტი ვიყო, მკითხველს ერთ-ერთ ასეთ სხდომას ავუნერდი, რომელზედაც მავანი ბელეტრისტი მწერალი, არცთუ მიმზიდველობისა და, ასე გასინჯეთ, სიბარიტული და მოქილიკე კილოს გარეშე, ილაპარაკებდა თემაზე: „რევოლუცია და კაცთმოყვარეობა“ – და ამით თავისუფალ, ძალზე თავისუფალ, დიფუზურ და კონფუზურ დისკუსიას მისცემდა დასაბამს. მისი მონაწილენი უიშვიათესი ტიპები იქნებოდნენ, მხოლოდ ასეთ შემთხვევაში და ისიც ერთი წამით რომ გამოჩნდებიან ხოლმე დღის სინათლეზე, ოინბაზები, მანიაკები, საფრთხობელები, ბოროტი ინტრიგანები და

პროვინციელი ფილოსოფოსები... დიახ, რომანისტი რომ ვიყო, ერთ-ერთ ასეთ უმწეო და უსაშველო საბჭოს სხდომას ძალზე პლასტიკურად ავუნერდი-მეთქი მკითხველს მეხსიერებაში შემორჩენილ მტანჯველ მოგონებებზე დაყრდნობით: აქ სიტყვით გამოდიოდნენ კაცთმოყვარეობის მომხრენი და მოწინააღმდეგენი, ოფიცერთა მომხრენი და მოწინააღმდეგენი, ხალხის მომხრენი და მოწინააღმდეგენი. ვილაც გოგონამ ლექსი წარმოთქვა. ხაკისფერ ტანსაცმელში გამონყობილ ერთ ბატონს არა და არ დაანებეს დამსწრე საზოგადოებისათვის ხელნაწერი წაეკითხა, რომელიც ასეთი მიმართვით იწყებოდა: „ძვირფასო მოქალაქეო და მოქალაქე ქალებო!“ – და მის ბოლომდე ჩათავებას უეჭველად მთელი ღამე დასჭირდებოდა. რომელიღაც ანჩხლმა ზედაკურსელმა სტუდენტმა მის წინ გამოსულ ორატორებს სულ ბღღვირი ადინა, თან კრება იმის ღირსი როდი გახადა მისთვის საკუთარი დადებითი პროგრამა გაეცნო, – და ასე შემდეგ. მსმენელები ბობოქრობდნენ, ბავშვებივით ანცად და დაუდევრად იქცეოდნენ. დროდადრო კი ოტროველური შეძახილებით ამკობდნენ ორატორთა ნათქვამს. კრების თავმჯდომარე ვერაფერს აწყობდა, ჰაერი საშინლად შეხუთული იყო, ხოლო შედეგი ნულს უდრიდა, შეიძლება უფრო ნაკლებსაც. აქეთ-იქით ვიხედებოდი და ისევ და ისევ ვეკითხებოდი ჩემს თავს: ნეტავი, ჩემს გარდა, სხვაც თუ იტანჯება-მეთქი ამ დარბაზში, და ბოლოს გამიხარდა, როცა ქუჩაში გამოვედი, სადაც უკვე რამდენიმე საათი იყო ტრამვაი აღარ დადიოდა და ზამთრის ღამეში კანტიკუნტად ისმოდა, როგორც ჩანდა, უაზრო სროლის ხმები.

ლევერკიუნი, რომელსაც ეს შთაბეჭდილება გავუზიარე, იმხანად ძალზე უქეიფოდ იყო – დამამცირებელი წამების, გავარვარებული შანთებით დადაღვის, ძიძგნის მსგავსი რაღაც ახლდა მის ავადმყოფობას; თუმცა უშუალოდ არ ემუქრებოდა მის სიცოცხლეს, მაგრამ საკმაოდ მაგრად კი დარია ხელი; თითქმის აუტანელი შეტევების გამო ადრიანი ყოველ ცისმარე დღეს რის ვაი-ვაგლახით აღამებდა. თვით უმკაცრესი დიეტითაც კი ვერას აწყობდა კუჭის მოვლენებთან, რომელსაც საშინელი თავის ტკივილი ახლდა, კარგა ხნით მოეძალებოდა და მერე ორიოდ დღეში ისევ გაუმეორებდა, აღებინებდა, ზოგჯერ საათობით და მთელი დღეებიც კი, თანაც ცარიელ კუჭზე; ნამდვილი საცოდაობა იყო ეს სამარცხვინო, მიზეზიანი და დამამცირებელი საღმობა, რასაც სრული გამოფიტვა და სინათლის მიმართ გადაჭარბებული მგრძნობიარობა მოსდევდა, როცა შეტევა გა-

დაუვლიდა. რალა თქმა უნდა, სატკივარი სულიერი მიზეზებით არ იყო გამონვეული, მტანჯველი ამბებით, ქვეყნის დამარცხებით და მასთან დაკავშირებული არეულობით. სოფლურ-მონასტრულ გარემოში განმარტოებულს, ქალაქიდან შორს მყოფს, ეს მოვლენები თითქმის არ ეხებოდა, თუმცა მუდამ ინფორმირებული კი იყო, ოღონდ გაზეთების მეშვეობით კი არა, რომელთაც არ კითხულობდა, არამედ მასზე გულისხმიერად და დარბაისლურად მზრუნველი ფრაუ ელზე შვაიგეშტილის მეოხებით. მიმდინარე ამბებთან დაკავშირებით, რომლებიც ადრიანისთვის, ნათელი გონების პატრონისთვის, რალაც ელდა კი არ იყო, არამედ ახდენა იმისა, რაც დიდი ხანია მოსალოდნელი გახლდათ, მარტო მხრებს თუ აიჩქრდა ხოლმე, და ჩემს ცდას: ზოგი ჭირი მარგებელია-მეთქი, ასე დამესახა საქმე, ისევე ხვდებოდა, როგორც ჩემსავე ანალოგიურ მსჯელობებს ომის დასაწყისში – აქ მე მაგონდება მისი მაშინდელი გულცივი და სკეპტიკური პასუხი: – ღმერთმა აკურთხოს თქვენი studia-ო!

და მაინც! რა მცირეზე მცირეც უნდა ყოფილიყო ჯანმრთელობის გაუარესებასა და სამშობლოს უბედურებას შორის სულიერი კავშირის დადგენის შესაძლებლობა, მე მაინც განწყობილი ვიყავი მათში რალაც ობიექტური ურთიერთიმართება, რალაც სიმბოლური პარალელიზმი დამენახა; ამ განწყობილებას, რაც ალბათ ამ ორი ფაქტის ერთდროულობამ თუ შემიქმნა, და რასაც ქვეყნის საქმეთაგან ადრიანის განდგომილებაც ვერ აქარწყლებდა, საგულდაგულოდ ჩემთვის ვინახავდი და მეშინოდა ამის თაობაზე ადრიანისთვის თუნდაც გადაკვრით რამე მეთქვა.

ექიმისთვის არ მოუხმია, რადგან თავისი სატკივარი ქრონიკულ ამბად მიაჩნდა, მემკვიდრეობით მიღებული შაკიკის მხოლოდ და მხოლოდ მკვეთრ გამწვავებად. ეს ფრაუ შვაიგეშტილი გახლდათ, ბოლოს და ბოლოს თავისი რომ გაიტანა და რაიონის ექიმს დოქტორ კიურბისს გამოუძახა, სწორედ იმას, რომელმაც ოდესღაც ბაიროთელი ქალიშვილი მოალოგინა. ამ კეთილ კაცს შაკიკის გაგონებაც არ სურდა, რადგან თავის ტკივილი, ხშირად ერთობ ძლიერი, ცალ მხარეს როდი ჰქონდა, როგორც შაკიკის დროს იცის, არამედ თითქოს თვალებს უბურღავდა, მათ გარშემო კი ტეხდა. ამიტომ იგი ექიმმა თანმხლებ სიმპტომად მიიჩნია. მისი დიაგნოზის მიხედვით, კუჭის წყლულის მაგვარი რამ იყო სავარაუდებელი და შესაძლო სისხლის დენისათვის პაციენტის მოსამზადებლად ლაპისის ხსნარი გამოუნერა დასალევადა. სისხლის დენა არ დამართნია, მაგრამ არც მდგომარ-

ეობა გაუმჯობესებია. ამიტომ ავადმყოფი ახლა დღეში ორჯერ ქინაქინის დიდი დოზების მიღებაზე გადაიყვანა, რამაც ადრიანს ცოტა ხნით მართლა მოჰგვარა შვება, მაგრამ ორკვირიანი შუალედებით და ისიც მთელი ორი დღის განმავლობაში ზღვის მძიმე ავადმყოფობის მსგავსი შეტევები ისევ თავიდან ეწყებოდა ხოლმე, და კიურბისისეულმა დიაგნოზმა მალე რყევა დაიწყო, ან პირიქით, განმტკიცდა, ოღონდ სხვა გაგებით: ექიმი ახლა დაბეჯითებით ამტკიცებდა, რომ ჩემს მეგობარს კუჭის ქრონიკული კატარი ჰქონდა და მისი მარჯვენა მხარის საგრძნობი სიგანივრეც, ამას ერთვოდა ალაგ-ალაგ სისხლის შედედება და სისხლით თავის მომარაგების გაუარესება. ამჯერად კარლსბადის მინერალური მარილი გამოუწერა და დიეტა დაუნიშნა, რომელიც რაც შეიძლება ნაკლები მოცულობის საკვების მიღებას ითვალისწინებდა და მენიუში თითქმის მხოლოდ რბილ ხორცს ტოვებდა, ხოლო სითხეს, წვნიანს, აგრეთვე ბოსტნეულს, ნამცხვრებსა და პურს ძალზე ზღუდავდა. ეს მიმართული იყო საგანგაშოდ გაზრდილი სიმუცვიანობის წინააღმდეგაც, რაც ადრიანს აწუხებდა და რასაც ექიმი კიურბისი, ყოველ შემთხვევაში ნაწილობრივ მაინც, ნერვულ მოვლენებს მიაწერდა, მაშასადამე, ცენტრალური ნერვული სისტემის მოქმედებას, მაშასადამე, ტვინს, რომელიც პირველად მოიხსენია თავის დიაგნოსტიკურ მსჯელობებში. ვინაიდან კუჭის სიგანივრემ გაუარა, მაგრამ თავის ტკივილი და პირღებინება არ ეშვებოდა, ექიმი ამ ავადმყოფურ მოვლენებს სულ უფრო და უფრო ტვინს მიაწერდა — მით უფრო დაბეჯითებით, რომ პაციენტი სინათლეს დაუინებით გაურბოდა: თვით მაშინაც კი, როცა ლოგინში არ იწვა, ნახევარ დღეს მაინც ჩაბნელებულ ოთახში ატარებდა, რადგან მზიანი დილა უკვე იმდენად უშლიდა ნერვებს, რომ წყვიდადი ენატრებოდა და სალბუნივით შვებას ჰგვრიდა. მე თვითონ არა ერთი და ორი საათი გამიტარებია მასთან მოსაუბრეს აბატის პალატში, რომელიც ისე იყო ხოლმე ჩაბნელებული, რომ მხოლოდ კარგა ხნის შემდეგ თუ გაარჩევდა თვალი ავეჯის მოყვანილობასა და გარედან მომდინარე შუქის მკრთალ ანარეკლს კედლებზე. იმხანად ყინულის კომპრესები და დილაობით თავზე ცივი წყლის გადავლება ჰქონდა დანიშნული. ამან უფრო გაჭრა, ვიდრე ადრინდელმა სამკურნალო საშუალებებმა, თუმცა ესეც მხოლოდ პალიატივი გახლდათ და მისი შემამსუბუქებელი ზემოქმედება არა და არ იძლეოდა გამოჯანსაღებაზე ლაპარაკის უფლებას: მდგომარეობა ისევ შემამწოთებელი იყო, პერიოდულად ისევ ემართებოდა შეტევები და

ავადმყოფი ირწმუნებოდა: ამას კიდევ გავუძლებდი, თავი რომ გაუთავებლად არ მტკიოდეს და ასე დამძიმებული არ მქონდესო, თვალ-ებშიც დანოლასა ვგრძნობ და ვერ აგინერთ, თავიდან ფეხებამდე რა მოდამბლავებული ვარო. როგორც ჩანდა, ეს მოდამბლავება მეტყველების ორგანოებზეც ახდენდა ზეგავლენას, რადგან ჩემს საბრალო მეგობარს, – თავად გრძნობდა ამას, თუ არა გრძნობდა, – დროდადრო, თითქოს ენაზე ჭალი მოედოო, ტუჩებს ძლივს აცმაცუნებდა და სიტყვება მკაფიოდ ველარ წარმოთქვამდა. უფრო მგონია, ყურადღებას არ აქცევდა, რადგან ამის გამო ლაპარაკს როდი წყვეტდა; მაგრამ, მეორე მხრივ, ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება მექმნებოდა, რომ სწორედ ამ დაბრკოლებით სარგებლობდა, სიამოვნებით იყენებდა მას, რათა ბოლომდე მკაფიოდ კი არ ჩამოეყალიბებინა სათქმელი, არამედ მხოლოდ ნახევრად გასაგებად, თითქოს სიზმარში მყოფი წარმოთქვამდა სიტყვებს, – რომ თავისი სათქმელისათვის სწორედ ამგვარი მეტყველება მიაჩნდა შესაფერისად. ასე მელაპარაკებოდა ზღვის პატარა ქალწულზე ანდერსენის ზღაპრიდან, რომელიც გატაცებით უყვარდა. განსაკუთრებით აღტაცებული იყო ზღვის კუდიანი დედაბრის ამაზრზენი ბუნაგის მართლაც საუცხოო აღწერით – ბობოქარი მორევების მიღმა, პოლიპების ტყეში, სადაც შეღწევას ბედავს კაეშნიანი ლტოლვით მოცული ბალღი, რათა თევზის კუდის ნაცვლად ადამიანის ფეხები გამოეხას და შავთვალემა უფლისწულის სიყვარულით – თავად მას კი „უღრმეს ტბასავით ლურჯი თვალები“ ჰქონდა – იქნებ ადამიანებოვით უკვდავი სულიც მოიპოვოს. ადრიანი თავს იქცევდა იმით, რომ თავის გაუთავებელ ტანჯვა-ვაებას იმ დანასავით მჭრელ ტკივილებს ადარებდა, რის ატანაზეც მუნჯი ლამაზმანი დათანხმდა და თეთრი ფეხების ყოველ გადადგმაზე განიცდიდა კიდევ. ზღვის პანია ქალწული ჩემი დაიკოა სევდა-ნალველში, – ამბობდა და შინაურულიუმორისტულ-რეალისტურ ყაიდაზე აქილიკებდა მის საქციელს, სიჯიუტეს და სანტიმენტალურ გატაცებას ორფეხიანთა სამყაროთი.

– ეს ზღვის ფსკერზე მოხვედრილი მარმარილოს ქანდაკების კულტით იწყება, – ამბობდა ის, – ბიჭით, რომელიც აშკარად თორვა-ალსენისა უნდა იყოს და რომელზეც პანია ქალწულს მეტისმეტად შევარდება გული. ღიდედას წესით უნდა წაერთმია შვილიშვილისათვის ეს სათამაშო, ნაცვლად იმისა; რომ ახლა ლურჯ სილაში ვარდისფერი ძენის დარგვის ნებაც დაერთო მისთვის. ადრიდანვე ძალიან გაანებვირეს და მერე უკვე შეუძლებელი იყო ისტერიულად

იდელიზირებული ზედა სამყაროსა და „სულის უკვდავებისაკენ“ მისი მისწრაფების ალაგმვა. სულის უკვდავება, მერედა, რისთვის? შლეგური სურვილია! განა უფრო მანუგეშებელი არ არის იმის ცოდნა, რომ სიკვდილის შემდგომ ზღვის პერულად გადაიქცევი, როგორც პანია ქალწულს ბუნების ძალით ჰქონდა განჩინებული? რიგიანი ალი იმ თავცარიელ უფლისწულს, მისი ფასი რომ არ უწყის და მის თვალწინ სხვას ითხოვს ცოლად, სასახლის მარმარილოს კიბეებზე შეაცდენდა, წყალში შეიტყუებდა და ნაზად დაახრჩობდა, ნაცვლად იმისა, რომ თავისი სვე-ბედი გამოშტერებული პრინციის ანაბარა გაეხადა, როგორც პანია ქალწული იქმს. ვაჟს თანდაყოლილი თევზის კუდის ამარა უთუოდ უფრო შეუყვარდებოდა, ვიდრე მტკივნეულ ადამიანურ ფეხებზე შემდგარი...

და საქმიანი გამომეტყველებით, რაც მხოლოდ ხუმრობით შეიძლებოდა ყოფილიყო ნაკარნახევი, წარბებშეკრული და თანაც ძლივს გასაგებად, რის ვაი-ვაგლახით ტუჩების ცმაცუნით ლაპარაკობდა ის ზღვის ალის მოყვანილობის ესთეტიკურ უპირატესობაზე ადამიანის ორკაპა ხატებასთან შედარებით, იმ ხაზის მომხიბლაობაზე, რომლითაც ქალის ტანი თეძოებიდან გლუვსა და ქერცლიან, მძლავრსა და მოქნილ თევზის კუდში გადადის, მარდი და ზუსტად მოზომილი სრიალისთვის რომ არის შექმნილი. აქ სიმახინჯის ნატამალიც ვერ შეიმჩნევა, რაც ჩვეულებრივ ახლავს ხოლმე ადამიანურისა და ცხოველურის მითოლოგიურ კომბინაციებსო. საერთოდ, მითოლოგიური ფიქციის ცნება აქ სრულიად გაუმართლებელი ჩანსო: ზღვის ქალს სრულყოფილი და მომხიბლავი ორგანული რეალობა გააჩნია, მშვენიერება და აუცილებლობა, როგორც ეს საცნაური ხდება ზღვის პანია ქალწულის შესაბრალისი, გასაცოდავებული, დეკლასირებული მდგომარეობით, მას შემდეგ, რაც ფეხებს იყიდის და ამას კი არავინ უმადლის, — ეს უეჭველად ბუნების ნაწილია, ის ნაწილი, რომელიც ბუნებამ არ მოგვამადლა და ჩვენთან ვალში დარჩა, თუ კი მართლაც არ მოგვამადლა და ვალში დარჩა, რაც მე არ მჯერა, უფრო მეტიც, რაც მე უკეთ ვიციო, და ასე შემდეგ.

ახლაც ყურში ჩამესმის, როგორ ლაპარაკობდა ან უფრო ბუტბუტებდა, დაღვრემილი ხუმრობდა, და მეც ხუმრობადვე ვიღებდი, თუმცა გული ჩვეულებისამებრ დარდით მქონდა გასენილი, მაგრამ ამასთანავე აღტაცებული ვიყავ, რომ სწეული თავის საღმობას არ ეპუებოდა და ამდენ მხნეობას იჩენდა. ამის გამო იყო, რომ ამჯერად შეც მხარი დავუჭირე დოქტორ კიურბისის მა-

შინდელი წინადადების უარყოფაში. ექიმმა თავის მოვალეობად ჩათვალა ერჩია ან უფრო ზუსტად, შეჰკითხვოდა: ხომ არ ისურვებდა რომელიმე უფრო ავტორიტეტული მედიკოსი მოეწვიათ საკონსულტაციოდ. მაგრამ ადრიანმა იუარა. ამის გაგონებაც არ სურდა. ჯერ ერთი, — ამბობდა ის, — მე სავსებით ვენდობი კიურბისს და, გარდა ამისა, დარწმუნებული ვარ ავადმყოფობას საკუთარი ძალ-ღონითაც გაეუმკლავდებო. ჩემი გუმანითაც ასე გახლდათ. მე უფრო გარემოს გამოცვლისკენ ვიხრებოდი, სადმე კურორტზე გამგზავრებისაკენ, რასაც, სხვათა შორის, ექიმიც ურჩევდა, მაგრამ, როგორც მოსალოდნელი იყო, პაციენტი ვერ დაიყოლია. ვერ ელეოდა საგულდაგულოდ შერჩეულ და ახლა უკვე მისთვის ჩვეულ სამყოფელს, ამ კარ-მიდამოს, ეკლესიის სამრეკლოს, გუბურასა და ბორცვს, თავის ძველებურ კაბინეტს, ხავერდის სავარძელს; ვერც კი წარმოედგინა ყოველივე ეს თუნდაც მხოლოდ ოთხიოდე კვირით გაეცვალა აუტანელ ცხოვრებაზე რომელიმე მინერალური წყლის კურორტზე, სადაც საერთო სუფრას უნდა უჯდე, განსაზღვრულ ადგილას ისეირნო და საკურორტო მუსიკას უსმინო. უწინარეს ყოვლისა მოიმიზეზა: ფრაუ შვაიგეშტილისა მერიდება, არ მინდა ვაწყენინო და მის მზრუნველ ხელს რომელიმე სამკურნალო დანესებულების სტანდარტული მოვლა-პატრონობა ვამჯობინო, მით უფრო, რომ ამ დედასავით გულისხმიერი, დინჯი და მოსიყვარულე ქალის ხელში ბევრად უკეთესად ვგრძნობ თავს, ვიდრე სადმე სხვაგანო. მართლაც საკითხავი იყო, სხვაგან სად მოუვლიდნენ ამ ქალზე უკეთესად, რომელსაც ამჟამად ექიმის უახლესი მითითების შესაბამისად, ყოველ ოთხ საათში ერთხელ მოჰქონდა მისთვის საჭმელი: დილის რვა საათზე — კვერცხი, კაკაო და ორცხობილა, თორმეტ საათზე — პომცრო ბიფშტექსი ან კოტლეტი, ოთხზე — წვნიანი, ხორცი და ცოტაოდენი ბოსტნეული, საღამოს რვაზე კი — ცივი შემწვარი ხორცი და ჩაი. ამგვარი რეჟიმი ადრიანს რგებდა. იგი გამორიცხავდა ტემპერატურის აწევას, რასაც დიდი იჯრის მონელება იწვევს ხოლმე.

ნეკედი და კუნთგუნდე როზენშტილი რიგრიგობით ჩამოდიოდნენ. ჩამოჰქონდათ ყვავილები, მურაბა, პიტნის დრაჟე და სხვას კიდევ რასაც იშოვიდნენ მაშინდელ გაჭირვებაში. მათ ადრიანთან ყოველთვის როდი უშვებდნენ, არამედ მხოლოდ ძალზე იშვიათად, მაგრამ არც ერთი მათგანი იხტიბარს არ იტყხდა. კუნთგუნდე, როცა მიღებაზე უარს ეტყოდნენ, უნატიფვეს ბარათებს სწერდა, უწმინდესსა და უღარ-

ბაისლეს გერმანულ ენაზე ადრიანს და ამითი იოხებდა გულს. ნეკედი კი, მართალია, მოკლებული იყო ამგვარ ნუგეშს.

მიხაროდა, როცა ჩვენს მეგობართან რიუდიგერ შილდკნაპი, მსგავსთვალეზა, ჩამოდიოდა. მისი იქ ყოფნა ისე დამამშვიდებლად, ისე გამამხნეველად მოქმედებდა სწულზე, რომ ნეტავი უფრო ხშირად ჩამოსულიყო! მაგრამ ადრიანის ავადმყოფობა ერთი ისეთი სერიოზული შემთხვევა იყო, როდესაც რიუდიგერის მამამებლობა მთლიანად გამოითიშებოდა ხოლმე — ჩვენ ხომ ვიცით: როგორც კი იგრძნობდა, რომ მისი თავი სადღაც ძალიან სჭირდებოდათ, მაშინვე ჭირვეულობას იწყებდა და განზე გადაგებოდა ხოლმე. მოსაბოდიშებლად ანუ ხასიათის ამ ძალზე თავისებური ნიშან-თვისების გასამართლებლად მიზეზები არ აკლდა: ლიტერატურით ლუკმაპურის შოვნით გართული, თარგმნის სახმილზე წვასა და დავაში, თავისუფალ დროს მართლაც ძნელად თუ პოულობდა. თან, გარდა ამისა, მასაც ჯანმრთელობა შერყეული ჰქონდა ცუდი კვების გამო, ხშირად აწუხებდა ნაწლავების კატარი, და როცა პფაიფერინგში გამოჩნდებოდა, — ვინაიდან ხანდახან მაინც ჩამოდიოდა, — ფლანელის სამუცლე ეკეთა ხოლმე, ხოლო ზოგჯერ გუტაპერჩის საფარიანი სველი კომპრესიც — მწარე ანგლობისა და ანგლოსაქსურ jokes* წყარო მისთვის და თავშექცევისა — ადრიანისთვისაც, რომელიც სხვა არავისთან ისე ლაღად არ ხუმრობდა და არ იცინოდა სხეულის უძლურებაზე, როგორც რიუდიგერთან.

სენატორის მეუღლე როდეც, რასაკვირველია, მოდიოდა ჟამიდან ჟამზე თავისი ბიურგერული ავეჯით გადატვირთული თავშესაფრიდან, რათა ფრაუ შვაიგეშტილისაგან მაინც შეეტყო ადრიანის ჯანმრთელობის ამბავი, თუ თავად ვერ ეღირსებოდა მის ნახვას. ხოლო თუ ადრიანი მიიღებდა ან სადმე გარეთ შეხვდებოდნენ ერთმანეთს, მაშინ თავის ქალიშვილებზე მოუთხრობდა, თან გაცინებისას ცდილობდა ბაგით დაეფარა, რომ ერთ-ერთი წინა კბილი აკლდა. შუბლის ირგვლივ თმისა არ იყოს, ეს ხარვეზიც ალონებდა და აიძულებდა ხალხს მორიდებოდა.

— კლარისას, — უამბობდა ის, — ძალიან უყვარს მსახიობის პროფესია და მაინც ახარებს სცენაზე გამოსვლა, მიუხედავად იმისა, რომ დამსწრე საზოგადოება, ცოტა არ იყოს, ცივად ხვდება, კრიტიკა შარებსა სდებს და ზოგ-ზოგი რეჟისორი კიდევ კადნიერია და

*ოხუნჯობათა (ინგლ.).

იმდენად გულქვა, რომ ცდილობს საქციელი ნაუხდინოს და კულისებთან ეძახის: ტემპი, ტემპიო! — მაშინ როდესაც კლარისა რომელიმე სოლო სცენის გათამაშებას იწყებს. მის დებიუტს ცელეში ყავლი გაუვიდა, ხოლო ამის შემდეგ მან რამდენადმე წინ ვერ წაინია: ახლა კლარისა ახალგაზრდა შეყვარებულებს თამაშობს შორეულ ელბინგში (აღმოსავლეთი პრუსია), მაგრამ დასავლეთში გადასვლის პერსპექტივა აქვს, სახელდობრ, პფორცჰაიმში, საიდანაც ბოლოს არცთუ ისე ძნელი იქნება კარლსრუესა და შტუტგარტის სცენებზე გადაბარება. მსახიობის კარიერისთვის მთავარია პროვინციაში არ გაიხიროს, დროულად მოიკიდოს ფეხი სულიერი ცხოვრებისათვის რამდენადმე მნიშვნელოვან რომელიმე დიდ სამხარეო თეატრში ანდა დედაქალაქის ერთ-ერთ კერძო სცენაზე. კლარისა იმედოვნებს, გზას გავიკაფავო, მაგრამ მისი წერილებიდან, ყოველ შემთხვევაში დის სახელზე გამოგზავნილი ბარათებიდან, ირკვევა, რომ მისი წარმატებები უფრო პირადი, ესე იგი ეროტიკული ხასიათისანი არიან, ვიდრე აქტიორული ხასიათისა. ბევრი ეარშიყება კიდევ და ჩემს ქალიშვილს ენერჯის საგრძნობი ნაწილი მათი წინადადებების დამცინავი გულცივობით უარყოფაზე ეხარჯება. მართალია, უშუალოდ ჩემთვის არ შეუტყობინებია, მაგრამ ინესს კი მოსწერა, რომ ერთ მდიდარ სავაჭრო სახლის მფლობელს, სხვათა შორის, კარგად შენახულ ბერიკაცს სურდა საყვარლად გაეხადა და ძვირფას ბინას, ეტლსა და მორთულობებს ჰპირდებოდა, რაც ალბათ ხმას ჩააკმენდინებდა რეჟისორს, ურცხვად რომ ეძახის ხოლმე: ტემპი, ტემპიო! — და კრიტიკასაც ალბათ უფრო სხვაგვარად განაწყობდა. მაგრამ ჩემი ქალიშვილი ერთობ ამაყია საიმისოდ, რომ ასეთ საძირკველზე ააგოს თავისი ცხოვრება. იგი მსახიობის კარიერისათვის იღვწის და არა პირადი კეთილდღეობისათვის; დიდვაჭარი კუდამოძუებული გაისტუმრა, ხოლო თვითონ ელბინგს გაემგზავრა ბრძოლის ხელახლა გასაჩაღებლად.

მიუნჰენში მყოფ ქალიშვილზე, ინსტიტორისზე, სენატორის მეუღლე ისე დანვრილებით არ ლაპარაკობდა: მისი ცხოვრება ხომ ნაკლებად მღელვარე და საეგებიო, უფრო ნორმალური და უზრუნველყოფილი ჩანდა, თუ ზერელედ განვიხილავდით, ხოლო ფრაუ როდეს, აშკარა იყო, სწორედ ასე სურდა მისი განხილვა, ესე იგი ისე ეჭირა თავი, თითქოს ინესი ძალზე ილბლიანად გათხოვდა, რაც, რასაკვირველია, მნიშვნელოვანწილად ზერელე გულარხეინობა გახლდათ. იმხანად იყო სწორედ, რომ ინესს ტყუპი შეეძინა და

სენატორის მეუღლე ამ ამბავზე გულაჩუყებული ლაპარაკობდა — სამ თოვლივით თეთრ ცუგარუმელაზე, რომელთაც ჟამიდან ჟამზე ენვე-ოდა ხოლმე მათს იდეალურ საბავშვო ოთახში. ხაზგასმით და თავგამ-ოდებით აქებდა თავის უფროს ქალიშვილს უტეხი ნებისყოფისათ-ვის, რითაც ის, მიუხედავად არახელსაყრელი გარემოებებისა, უნაკლო წესრიგს იცავდა თავის ოჯახში. ვერ გაიგებდით, მართლაც არაფერი უწყობდა შვერტფეგერთან მისი ქალიშვილის ურთიერთო-ბის შესახებ, რაც უკვე ალიამაც და მუსიამაც იცოდა, თუ მხოლოდ თავს იკატუნებდა. ადრიანი, როგორც მკითხველს უკვე მოეხსენება, ჩემი მეოხებით საქმეს გაცნობილი გახლდათ. ხოლო ერთხელ — უც-ნაური ამბავია — თვითონ რუდოლფისაგანაც მოისმინა აღსარება.

ჩვენი მეგობრის ავადმყოფობის გამწვავებისას მევიოლინემ დიდი თანაგრძნობა, ერთგულება და გულისხმიერება გამოიჩინა. როგორც ჩანდა, სურდა შემთხვევით ესარგებლა და ადრიანისთვის დაემტკი-ცებინა, რაოდენ ძვირფასი იყო მისთვის ადრიანის კეთილდღეობა და კეთილგანწყობილება, — უფრო მეტიც: ისეთი შთაბეჭდილება შე-მექმნა, თითქოს ფიქრობდა, ადრიანის საღმობა, სისუსტე და, როგორც ალბათ მას მიაჩნდა, გარკვეული თვალსაზრისით უმწეო მდგომარეობა უნდა გამოვიყენო, რათა ჩემი მედგარი და თანაც ამ-ოდენა პირადი მომხიბლაობით განმტკიცებული თანადგომა გამოვ-ავლინო და მისი დაძაბულობა, სიცივე, ირონიული მიუკარებლობა გადავლახო. ადრიანის ამგვარი დამოკიდებულება მეტ-ნაკლებად სერიოზული მიზეზების გამო შეურაცხყოფდა მას, თუ პატივმოყვ-არეობას უღახავდა ან ჭეშმარიტად უწყლავდა გულს — ერთმა ღმერთმა იცის, ზუსტად როგორ იყო საქმე! როდესაც კაცი რუდოლფის პრანჭია ბუნებაზე ლაპარაკობ, ისე, როგორც უნდა ილაპარაკო, სულ იოლად შეიძლება იმაზე მეტი თქვა, რაც საჭიროა, მაგრამ ნაკლების თქმაც არ ეგების, და მე, ჩემი მხრივ, ამ ბუნების ყოველ გამოვლენას მუდამ აბსოლუტურად მიამიტი, ბავშვური, უფრო მეტიც, კობოლდისებური დემონიზმის შუქით შეფერილს ვხ-ედავდი, რომელიც დროდადრო მხიარული კისკასით გამოკრთოდა მისი ესოდენ ლამაზი ლურჯი თვალებიდან.

ერთი სიტყვით, როგორც გითხარით, შვერტფეგერი დიდ ყურად-ღებას იჩენდა ადრიანის ავადმყოფობის მიმართ. ხშირად კითხულო-ბდა მის ამბავს ტელეფონით და ფრავ შეაიგეშტილს სთავაზობდა, ჩამოვალ, თუკი ჩემი ვიზიტი რამდენადმე მინც დასაშვებია და ავად-მყოფს გაართობსო. მალე ჩამოსვლის საშუალებაც მიეცა — იმ

დღეებში ადრიანი თავს უკეთ გრძნობდა — და მეტი რომ არ შეიძლება, ისე საამურად გამოზატა სიხარული ადრიანის ნახვით. ვიზიტის დასაწყისში ორჯერ მიმართა შენობით და მხოლოდ მესამე შემთხვევაში ვინაიდან ავადმყოფი არ აჰყვა, გამოასწორა შეცდომა, სახელის დაძახილსა და თქვენობით მიმართვას დასჯერდა. ნაწილობრივ მის სანუგეშებლად და ნაწილობრივაც ცდის მოსახდენად ადრიანის ხანდახან სახელით მიმართავდა, თუმცა შინაურულ-კნინობითი ფორმით კი არა, როგორც შვერტფეგერს ჩვეულებრივ მიმართავდნენ ხოლმე, არამედ სრული სახელით, ესე იგი რუდოლფით და არა რუდით. მაგრამ მერე დაუყოვნებლივ ისევ გვარით მიმართვაზე გადადიოდა. სხვათა შორის, ადრიანმა მევიოლინეს ის დიდებული წარმატებები მიულოცა, რომლებიც ბოლო ხანებში ხვდა წილად. რუდოლფმა სოლო კონცერტი გამართა ნიურნბერგში და ბახის მხოლოდ ვიოლინოსათვის განკუთვნილი მი-მაჟორ სიუიტის ბრწყინვალე შესრულებით საზოგადოებისა და პრესის ყურადღება მიიპყრო. ამას შედეგად მისი სოლისტად გამოსვლა მოჰყვა ერთ-ერთ აკადემიურ კონცერტზე მიუნჰენის „ოდეონში“, სადაც ყველას ძალიან მოეწონა ტარტინის მისეული ხალასი, ტკბილი და ტექნიკურად სრულყოფილი ინტერპრეტაცია. სუსტი ხმოვანება შეუნდეს, ამას სხვა მუსიკალური (და აგრეთვე პირადი) ღირსებებით ანაზღაურებდა. მისი დაწინაურება კონცერტმამისტერის პოსტზე ცაპფენშტოსერ-ორკესტრში, — რუდის წინამორბედი გადადგა, რათა დრო მთლიანად პედაგოგიური მოღვაწეობისათვის დაეთმო, — მიუხედავად რუდის ახალგაზრდობისა — იგი საგრძნობლად უფრო ახალგაზრდა ჩანდა, ვიდრე ნამდვილად იყო და, ასე გასინჯეთ, უფრო ახალგაზრდაც კი, ვიდრე მაშინ, როცა პირველად გავიცანი, — ეს დაწინაურება უკვე გადანყვიტილი საქმე გახლდათ.

ყოველივე ამის მიუხედავად, რუდი დათრგუნვილი ჩანდა თავისი პირადი ცხოვრების ზოგიერთი გარემოებით — ინეს ინსტიტორისთან ურთიერთობით. მასთან რომ რომანი ჰქონდა, გულლიად გაანდო ადრიანს, როცა მასთან პირისპირ დარჩა. თუმცა „პირისპირ“ მთლად სწორი, ანდა მთლად ზუსტი გამოთქმა არ არის, ვინაიდან მათი საუბარი ჩაბნელებულ ოთახში მიმდინარეობდა და ორივენი ერთმანეთს ან სულ ვერ ხედავდნენ ანდა სილუეტებს თუ არჩევდნენ, რაც უეჭველად ამხნევებდა შვერტფეგერს და აღსარებას უადვილებდა. ეს გახლდათ 1919 წლის იანვრის თოვლით გადააპნტილი, არაჩვეულებრივად ნათელი, მზიანი და ლაყვარლოვანი დღე, და ადრიანს

რუდოლფის ჩამოსვლისა და მასთან გარეთ, ღია ცის ქვეშ, მისალმებისთანავე ისეთი თავის ტკივილი აუვარდა, რომ სტუმარს სთხოვა ცოტა ხანს მაინც სიბნელეში მსხდარიყვნენ, გამოცდილი მაქვს, ჩემზე ძალზე სასიკეთოდ მოქმედებს და მამშვიდებსო. ასე რომ, ნიკეს დარბაზიდან, სადაც თავდაპირველად შევიდნენ, აბატის პალატაში გადაინაცვლეს და ფარდების მეშვეობით ჩემთვის ნაცნობ მდგომარეობაში მოიყვანეს – შიგ ისეთი წყვილიადა გაამეფეს, რომ თვალები ჯერ უკუნ სიბნელეში ჩაიძირნენ, შემდეგ კი თანდათანობით ავეჯის განლაგებას თუ არჩევდნენ და მქრქალად მოციანგე შუქს თუ აღიქვამდნენ, რომელიც გარედან ოდნავ ატანდა და კედლებზე ირეკლებოდა. ადრიაანი ხავერდის სკამზე ჩამოჯდა და სიბნელეში განმეორებით მოუხადა ბოდიში დაურიდებლობის გამო, მაგრამ შევრტყევერმა, რომელიც სანერი მაგიდის წინ სავონაროლას სავარძელში მოთავსდა, სავსებით მოიწონა ეს ამბავი: – თუ თქვენზე კარგად მოქმედებს, მეც სანინალმდეგო არაფერი მაქვს. მე ძალიან კარგად წარმომიდგენია, რარიგ შეიძლება სიბნელემ თვალები დაგიაშოთო. ხმადაბლა საუბრობდნენ, თითქოს ჩურჩულით, ნაწილობრივ ადრიანის მდგომარეობის გამო, ნაწილობრივ კიდევ იმიტომ, რომ წყვილადში უნებლიეთ ხმას იდაბლებს ადამიანი, სიბნელე დუმილისთვისაც კი განგანყობთ, საუბრის შეწყვეტის ტენდენციას წარმოშობს, მაგრამ შევრტყევერის დრეზდენული აღზრდა და საზოგადოებაში გამოსულობა პაუზებს ვერ ითმენდა. გაბმით ემუსაიშვებოდა ავადმყოფს, მაშინვე ლახავდა დაბრკოლებებს და არ დაგიდევდათ, რომ ვერ იგებდა, როგორ რეაქციას იწვევდა მსმენელში, რაც გარდაუვალი ამბავია, როცა უკუნეთი სუფევს. შეეხნენ ავანტიურისტულ პოლიტიკურ მდგომარეობას, ბრძოლებს ბერლინში, მერმე უახლეს მუსიკაზე გადავიდნენ და რუდოლფმა ძალიან სუფთად დაუსტვინა ფრაგმენტები ფალიას პიესებიდან – „ღამეები ესპანურ ბალებში“ – და დებიუსის სონატიდან ფლეიტისა, ვიოლინოსა და არფისათვის. დაუსტვინა აგრეთვე ბურეც „Love’s Labour’s Lost“-იდან ზუსტად შესაბამის ტონალობაში. მერე ამას მტირალი გოშიას კომიკური თემა მოაყოლა თოჯინური სპექტაკლიდან – „უღვთო ცბიერება“, ისე რომ არ იცოდა, სიამოვნებდა ადრიანს თუ არა, ბოლოს ამოიხრწა და თქვა:

– სტვენის გუნებაზე სულაც არა ვარ, პირიქით, გული სიმძიმითა მაქვს სავსე, ანდა, თუ სიმძიმით არა, უხასიათოდ მაინც ვარ, განაწყენებული, მოთმინებადაკარგული, აგრეთვე დადარდიანებული-დაბნეული, მაშასადამე, საბოლოო ჯამში მაინც გულდამძიმებული.

რატომ? ამაზე პასუხის გაცემა დიხსაც ადვილი არ არის და არც მაინცდამაინც დასაშვებია, მეგობარს თუ გაანდობ, ვინაიდან მაშინ საინდუმლოს შენახვის საკითხი ისე მწვავედ არა დგას, რაინდის უპირველესი მცნება, რომელიც მოითხოვს ქალს ხვაშიადი შეუნახო და რასაც, რალა თქმა უნდა, ჩვეულებრივ მე ვასრულებ, ყბედი არ ვარ. მაგრამ არც მარტო კავალერი არა ვარ, ძალიან ცდება ის, ვისაც მარტოოდენ ასეთად წარმოვუდგენივარ — თავქერქეტა დარდიმანდად და ქალების მუსუსად. ეს ხომ საშინელებაა. მე ადამიანი და ხელოვანი ვარ, ხოლო რაინდული ნამუსის შენახვა რა შუაშია, როდესაც იმან, ვისაც ველაპარაკები, უთუოდ ისევე მშვენივრად იცის ყველაფერი, როგორც მთელმა ქვეყანამ. მოკლედ, საქმე ეხება ინეს როდეს, უფრო სწორად, ინსტიტორისს და ჩემს ურთიერთობას მასთან, რაშიც მე ბრალი არ მიმიძღვის. მე არაფერ შუაში არა ვარ, ადრიან, დამიჯერე... დამიჯერეთ! მე კი არ შემიცდენია, არამედ მან შემეცდინა და პატარა ინსტიტორისს რქები, თუ ამ ბრიყვულ გამოთქმას ვიხმართ, მხოლოდ და მხოლოდ მან დაადგა და არა მე. რა გინდათ გაანყოთ, როცა ქალი ისე გებლაუჭებათ, თითქოს წყალში იხრჩობოდეს და მაინცდამაინც თქვენ უნდა საყვარლად გაგიხადოთ? ხელში შეატოვებთ თქვენს ზედა ტანსაცმელს და მოკურცხლავთ? არა, ასე არ იქცევიან, ასეთი შემთხვევისთვისაც არსებობს რაინდული მცნებები, რომელთაც ვერ გაექცევი, მით უმეტეს, თუ ქალი ლამაზიც არის, თუნდაც ამ სილამაზეს რალაც ფატალურიცა და ავადმყოფურიც ახლდეს. მაგრამ ჩემშიც, გადაღლილსა და ხშირად გატანჯულ ხელოვანშიც არის რალაც ფატალური და ავადმყოფური; მე ქარაფშუტა სულაც არა ვარ, ან ჭრიჭინასავით უდარდელი, ან, რა ვიცი, კიდევ რად წარმოვუდგენივარ ხალხს. ინესს რალა არ ვგონივარ, და თანაც სულ არასწორად. ეს კი ორაზროვან დამოკიდებულებას წარმოშობს, თითქოს ასეთი ურთიერთობა ისედაც ორაზროვანი არ იყოს — ყოვლად სულელური თანმხლები სიტუაციებითა და ათანაირი სიფრთხილის დაცვის საჭიროებით. ყოველივე ამას ინესი უფრო იოლად ართმევს თავს იმ მარტივი მიზეზის გამო, რომ გაგიყებით შეყვარებულთა; ჩემთვის კი ამის თქმა მით უფრო ადვილია, რომ ამ ქალს ჩემზე არასწორ წარმოდგენათა საფუძველზე ვუყვარვარ. მე უფრო არახელსაყრელ მდგომარეობაში ვარ, მე შეყვარებული არა ვარ. მე ინესი არასოდეს არ მყვარებია, გულწრფელად ვაღიარებ; მუდამ ძმურად, ამხანაგურად ვიყავი მის მიმართ განწყობილი, და თუ ასე შორს შევტოპე და ჩვენი ბრიყვული ურთიე-

რობა, რომელსაც ინესი ასე ებლაუჭება, ისევ გრძელდება, ჩემგან ეს მარტოოდენ რაინდული მოვალეობის მოხდა გახლავთ. ოღონდ შინაურულად აი კიდევ რა უნდა მოგახსენოთ: როცა ვნებათა ღელვით, ნამდვილად თავზე ხელაღებული ვნებათა ღელვით ქალია ატანილი, ხოლო მამაკაცი მხოლოდ რაინდულ მოვალეობას იხდის, ამაში ყოველთვის არის რაღაც საჩოთირო, ასე გასინჯეთ, რაღაც დამამცირებელიც. ეს აუკუღმართებს დაუფლების აქტს და სიყვარულის სასწორის პინას უსიამოდ ქალისკენ გადახრის. ასე რომ, უნდა ვთქვა: ინესი ისე მექცევა, ჩემს სხეულს ისე ეპყრობა, როგორც არსებითად კაცი უნდა ეპყრობოდეს ქალს. ამას ემატება კიდევ მისი ავადმყოფური, გააფთრებული ეჭვიანობა, სრულიად გაუმართლებელი სურვილი – მხოლოდ და მხოლოდ მას ვეკუთვნოდე: გაუმართლებელი, როგორც გითხარით, რადგან ჩემგან კმარა, მეყოფა მისგან რაც გადამხდა, მეყოფა მის ჭანგებში ყოფნა. თქვენ, ჩემს პირდაპირ უჩინრად მჯდომარე, ვერ წარმოიდგენთ, რარიგ მესალბუნება სწორედ ასეთ ვითარებაში თქვენი სიახლოვე, ჩემზე უფრო მაღლა მდგომი კაცის სიახლოვე, ვისაც მეც, ჩემდა თავად, დიდად ვაფასებ, თქვენი გარემო, თქვენთან აზრთა გაცვლის შესაძლებლობა. მე მეტწილად არასწორად მაფასებენ ხოლმე: მე ბევრად უფრო მირჩევნია თქვენნაირ კაცთან სერიოზული, ამაღლებული და ჭკუის სასწავლი მასლაათი, ვიდრე დიაცებთან მიეთმოეთი; დიახ, საკუთარი თავის დახასიათება რომ მომიხდეს, მე მგონი, საგულდაგულოდ აწონ-დაწონის შემდეგ, სწორედ მოვიქცეოდი, თუ ჩემს თავს პლატონური ბუნების კაცად მოვნათლავდი.

და ანაზღეულად, თითქოს ეს-ეს არის ნათქვამის საილუსტრაციოდ, რუდიმ სავიოლინო კონცერტზე ჩამოაგდო ლაპარაკი, ძალიან რომ სურდა მისთვის დაენერა ადრიანს, საგანგებოდ მისთვის, თუ შეიძლებოდა, მხოლოდ და მხოლოდ მის მიერ შესრულების უფლებით. ეს გახლდათ მისი ოცნება!

– მე მჭირდებით, ადრიან, აღმავლობისათვის, სრულქმნისათვის, რათა უკეთესი გავხდე, რათა რამდენადმე მაინც განვიწმინდო სხვა ამბებისაგან. პატიოსან სიტყვას გაძღვეთ, ეს ასეა, არასოდეს ასე სერიოზულად არ ვყოფილვარ განწყობილი, ასე არ მინატრია რამე! და კონცერტი, რომელსაც თქვენგან მოვითხოვე, მხოლოდ კონცენტრირებული, მე მინდოდა მეთქვა, სიმბოლური გამოხატულება იმისა, რასაც ვსაჭიროებ, თქვენ საუცხოოდ გააკეთებდით, ბევრად უკეთ, ვიდრე დელიუსი და პროკოფიევი – არაჩვეულებრი-

ვად უბრალო და მღერადი პირველი თემით მთავარ ნაწილში, რაც კადენციის შემდეგ ისევ მეორდება — ეს საუკეთესო ადგილია ყოველ კლასიკურ სავიოლინო კონცერტში, როცა სოლო აკრობატიკის შემდეგ პირველი თემა კვლავ მეორდება. მაგრამ აუცილებელი სულაც არ არის, რომ თქვენც ასე გააკეთოთ. შეგიძლიათ კადენციაზე სულაც ხელი აიღოთ, წარსულის გადმონაშთია; შეგიძლიათ პირობითი ამბები უკუაგდოთ, ნაწილებად დაყოფაც კი, რა საჭიროა ნაწილები. მე რომ მკითხოთ, ალევრო მოლტო შეიძლება შუაშიც იყოს, ნამდვილი ეშმაკისეული კრიმანჭული, სადაც რიტმით ჟონგლიორობ, როგორც მხოლოდ თქვენ ძალგდით, ხოლო ადაჯო შეიძლება ბოლოში მოექცეს, ვითარცა აპოთეოზი, ანდა შეიძლება ყოველივე ტრადიციულიც იყოს, ყოველ შემთხვევაში მე ისე მივანვივდიდი, რომ ხალხი ცრემლად დაიღვრებოდა. ისე შევისისხლხორცებდი, რომ ძილშიც კი შევძლებდი დაკვრას, ყოველ ნოტს ისე მოვუვლიდი და ველოლიავებოდი, როგორც დედა, ვინაიდან მე დედა ვიქნებოდი ამ მუსიკისა, ხოლო თქვენ — მამა, ჩვენი პირმშო იქნებოდა, ჩვენი პლატონური შვილი, — დიახ, ჩვენი კონცერტი, იგი განსახიერებდა ყოველივე იმას, რაც პლატონურის ჩემეულ გაგებაში შედის...

ასე ლაპარაკობდა მაშინ შვერტფეგერი. მე ამ ფურცლებზე მრავალგზის გამოვთქვი აზრი მის სასარგებლოდ და დღესაც, როდესაც ყოველივეს თავიდან მიმოვიხილავ, გულთბილად ვარ განწყობილი, ერთგვარად ალბათ მისი ტრაგიკული აღსასრულით მოსყიდული. მაგრამ მკითხველი ახლა უკეთ გაიგებს ზოგიერთ გამოთქმას, რომლებიც მის მიმართ გამოვიყენე: — „კობოლდისებური მიამიტობა“ ანდა „ბალღური დემონიზმი“ — და მისი არსებისათვის ნიშანდობლივად მივიჩნე. ადრიანის ადგილას — თუმცა, რასაკვირველია, სისულელეა მის ადგილას ჩემი თავის დაყენება — ბევრ რამეს ვერ მოვითმენდი იქიდან, რაც რუდოლფმა უთხრა. ეს სიბნელის აშკარად ბოროტად გამოყენება გახლდათ. მხოლოდ იმის გამო კი არა, რომ არაერთხელ გამოიჩინა ზედმეტი გულახდილობა ინესთან ურთიერთობაზე მსჯელობისას, არამედ იმიტომაც, რომ მეორე მიმართულებითაც ერთობ შორს იჭრებოდა, დანაშაულებრივად და კობოლდისებურად შორს, სიბნელით ცდუნებული-მეტქი, ვიტყვოდი მე, ცდუნების ცნება აქ მთლად მართებული რომ ჩანდეს და ამას ნდობის მიერ მარტოობის კადნიერ ხელყოფაზე ლაპარაკი რომ არა სჯობდეს.

აი ეს კი მართლაც ზუსტად აღნიშნავს რუდი შვერტფეგერის დამოკიდებულებას ადრიან ლევერკიუნთან. ხელყოფამ წლობით გასტანა და ვერ წავართმევთ, გარკვეული სამწუხარო შედეგიც გამოიღო: ბოლოს და ბოლოს აღმოჩნდა, რომ მარტოობა შეუვალა არ არის ამგვარი მოძალების მიმართ, ოღონდ ამით თავად მომხდური კი ილუპება.

XXXIV

მარტო „ზღვის ჰანია ქალწულის“ დანასავით მჭრელ ტკივილებს კი არ ადარებდა ლევერკიუნი თავის ტანჯვას, როცა ავადმყოფობა ყველაზე უფრო გაუმწვავდა, არამედ კიდევ ერთ, საოცრად ზუსტ და თვალსაჩინო სახეს იყენებდა ხოლმე, რომელიც მოგვიანებით გამახსენდა, რამდენიმე თვის შემდეგ, 1910 წლის გაზაფხულზე, როცა საღმობამ, თითქოსდა რაღაც სასწაულმოქმედი ძალით, ერთბაშად გაუარა და მისი სული ფენიქსივით აღდგა, უზენაესად გალალებული, რათა განსაცვიფრებელი ძალით დასწაფებოდა გამალებულ შემოქმედებას, რომელმაც არ იცოდა, რა იყო დაბრკოლება, რომ არა ვთქვა: რომლის დაოკება შეუძლებელი იყო-მეთქი, ყოველ შემთხვევაში, ისე ნიაღვარივით მოედინებოდა, სულის მოთქმას არ აცლიდა შემოქმედს. თანაც სწორედ ამ სახემ საცნაურყო ჩემთვის, რომ ეს ორივე მდგომარეობა, დეპრესიულიცა და ამალლებულიც, შინაგანად ერთმანეთისაგან როდი იყო მონყვეტილი და ყოველგვარი კავშირის გარეშე მკვეთრად დაპირისპირებული, არამედ მეორე პირველში მზადდებოდა, რამდენადმე პირველი უკვე შეიცავდა მეორეს და, პირიქით, შემდეგ ჩამომდგარი ჯანმრთელობისა და შემოქმედების ხანა მთლად შვების პერიოდი კი არ იყო, არამედ აგრეთვე მოუსვენრად ყოფნის, მტკივნეული ატაცებულობისა და ციებ-ციხელების პერიოდი... ეჰ, ცუდადა ვწერ! ყველაფრის ერთად თქმის ნადილმა ლამის ნალექოს ჩემი წინადადებები, შორს მიაქანებს მათ იმ აზრისაგან, რომლის ფიქსირებასაც აპირებდნენ, და ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს მარტო წინ ისწრაფოდნენ და მხედველობიდან კარგავდნენ მას. კარგად ვიქცევი, რომ მკიოხველს კრიტიკას არ ვაცლი. მაგრამ ზედმეტად რომ ვჩქარობ და აზრებს მწყობრად ვერ ვალაგებ, მღელვარების ბრალია, რასაც იმ დროის გახსენება მგვრის, რომელსაც აღვწერ, გერმანული ავტორიტარული სახელმწიფოს დამხობის დროისა,

შორს მიმავალი თავისუფალი დისკუსიები რომ ახლდა და ჩემი აზროვნებაც ჩაითრია თავია მორევში, ხოლო ჩემს დარბაისლურ მსოფლმხედველობას ათასნაირი, არცთუ იოლად გადასამუშავებელი სი-ახლით შემოუტია. იმის შეგრძნება, რომ დამთავრდა ეპოქა, რომელიც არა მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნეს მოიცავდა, არამედ შუა საუკუნეების მინურულამდე სწვდებოდა, სქოლასტიკის ბურჯთა აფეთქებამდე, ინდივიდის ემანაიპაციაზე, თავისუფლების დაბადებამდე, ეპოქა, რომელიც მე, კაცმა რომ თქვას, ჩემს მეორე სულიერ სამშობლოდ უნდა ჩამეთვალა, მოკლედ, ბურჟუაზიული ჰუმანიზმის ეპოქა, – იმის შეგრძნება-მეთქი, რომ ამ ეპოქის აღსასრულის ყამმა დარეკა, რომ ცხოვრებას მუტაცია უნდა განეცადა, რომ ქვეყნიერებაზე ახალი, ჯერაც უსახელო ბედის ვარსკვლავი უნდა ამობრწყინებულიყო. ეს მართლაც რომ ყურადღების გასამახვილებელი გრძნობა ომის დასასრულის პროდუქტი კი არ გახლდათ, არამედ უკვე მის დასაწყისში იშვა, საუკუნეთა გასაყარიდან თოთხმეტი წლის შემდეგ, და საფუძვლად დაედო იმ შიშსა და ძრწოლას ბედისწერის წინაშე, რასაც ჩემნაირები მაშინ განიცდიდნენ. რა გასაკვირია, რომ ყოვლის შემმუსვრელმა დამარცხებამ ეს გრძნობა უკიდურესად გაამძაფრა, ისევე როგორც გასაკვირი არ არის, რომ დაჩოქებულ ქვეყანაში, გერმანიაში, იგი უფრო დაეუფლა ადამიანთა სულისკვეთებას, ვიდრე გამარჯვებულ ქვეყნებში. საშუალოდ აღებული, გამარჯვებულ ხალხთა სულიერი მდგომარეობა, სწორედ გამარჯვების მეოხებით, ბევრად უფრო კონსერვატიული იყო, ომს სულაც არ აღიქვამდნენ ისეთ ღრმა და გადამწყვეტ ისტორიულ მიჯნად, როგორც ჩვენ მიგვაჩნდა. ომი მათთვის ილბლიანად დამთავრებული არეულობა გახლდათ, რის შემდეგაც ცხოვრება კვლავ ძველ კალაპოტში ჩადგებოდა. ამის გამო მე მშურდა მათი, განსაკუთრებით მშურდა საფრანგეთისა, რომელმაც გამარჯვებით თავისი მდგრადი ბურჟუაზიული სულიერი კონსტიტუციის გამართლება და განმტკიცება შეძლო, ყოველ შემთხვევაში მოჩვენებითად მაინც, და გამარჯვებამ კლასიკურ-რაციონალურ სფეროში საიმედოდ დაცულობის გრძნობა შესძინა. რასაკვირველია, მაშინ რაინის მიღმა თავს უფრო კარგად და მყუდროდ ვიგრძნობდი, ვიდრე ჩვენთან, სადაც, როგორც მოგახსენეთ, ჩემს მსოფლმხედველობაში ბევრი რამ ახალი, გამოგნებული და შემაკრთობელი იჭრებოდა, ხოლო სინდისი ჩემგან ყოველივე ამაში გარკვევას მოითხოვდა, – ჰოდა, მაგონდება დიდი მიეთმრეთი და კამათი: საღამოობით შვაბინგში, ვინმე ზიქსტუს

კრიდვისის ბინაში, მე რომ შლაგინჰაუფენების სალონში გავიცანი. ამ პიროვნებას სულ მალე ისევ დავუბრუნდები, აქ კი ჯერჯერობით მარტო იმას დავსძენ, რომ მასთან გამართული თავყრილობებისა და სჯაბაასისაგან, რომლებშიც ხშირად მარტო ლიტონი კეთილსინდისიერების გამო ვმონანილებოდი, ძალზე გაბეზრებული ვიყავი, — თუმცა ამავე დროს დიდად მალეღვებდა და ხშირად მთელ სულსა და გულს მიფორიაქებდა ჩემი მეგობრის გვერდით ყოფნა, მონმედ ყოფნა მისი ახალი ნაწარმოების დაბადებისა, რაც გარკვეულ თამამსა და წინასწარმეტყველურ მიმართებაში იყო იმ პაექრობებთან, მათ პრობლემატიკას უფრო მაღალ, შემოქმედებით დონეზე განიხილავდა და ხორცს ასხამდა... ახლა თუ ამას დავუმატებ, რომ ყოველივე ამასთან ერთად პედაგოგიურ საქმიანობასაც განვაგრძობდი და არც ჩემს, როგორც ოჯახის მამის, მოვალეობას ვივინყებდი, მაშინ გასაგები იქნება, როგორ გადავიღლებოდი, რამაც ცუდ კვებასთან ერთად კაი გვარიანად დამაკლებინა წონაში.

ამასაც მხოლოდ და მხოლოდ იმ სწრაფმავალი, სახიფათო დროების დასახასიათებლად ვამბობ და, რასაკვირველია, არა იმიტომ, რომ მკითხველი ჩემი უმნიშვნელო პიროვნებით დავაინტერესო, რომელსაც ამ მოგონებებში მუდამ დაქვემდებარებული ადგილი ეთმობა. მე უკვე გამოვთქვი სინანული იმის თაობაზე, რომ ჩემმა, როგორც მთხრობელის, სიფიცხემ შეიძლება შიგადაშიგ ისეთი შთაბეჭდილება დაბადოს, თითქოს ერთი აზრიდან მეორეზე გადავხტოდე, მაგრამ ეს მცდარი შთაბეჭდილებაა, რადგან ძალიან მკაცრად ვადევნებ თვალყურს ჩემს აზრთა მსვლელობას და არ დამვიწყებია, რომ მეორე ძალზე მოსწრებული და მრავლისმეტყველი შედარება მინდოდა მომეტანა, რომელსაც „ზღვის პანია ქალწულის“ გარდა, ადრიანი ავადმყოფობის გამწვავებისას იცენებდა.

— როგორა ვარ? — მითხრა ერთხელ იმხანად. — დაახლოებით როგორც იოანე ნამებული კუპრით სავსე ქვაბში. ეს საკმაოდ ზუსტ ნარმოდგენას შეგიქმნის. მე, ვითარცა სათნო მარტივილი, ვეება ჭურჭელში ვყუნცივარ, რომლის ქვეშ კოცონი ანთია და მხიარულად გიზგიზებს. მას ვილაც ჩაუჭი ჯეელი დიდი მონდომებით აღვივებს ხელის საბერვლით. ეს ყოველივე მისი უდიდებულესობა იმპერატორის თვალწინ ხდება, იგი სულ ახლოდან ადევნებს თვალყურს საქმის მსვლელობას — ეს იმპერატორი ნერონია, მიიღე მხედველობაში, ხედავ დიდებულ ჯილასა და იტალიურ ფარჩას ზურგზე? — ჯალათის შეგირდი კი, მოკლე მოსასხამის ამარა და სასირცხვო ალაგას

ფალასაფარებული, გრძელტარიანი ციცხვით მდულარე კუპრს მასხამს კეფაზე, ისედაც მორჩილად კუპრში მჯდომს, დიდი ხელოვნებით მასხამენ კუპრს, თითქოს მწვადი ვიყო, ჯოჯოხეთის მწვადი, კაი სეირია, და შენც მოწვეული ხარ და შეგიძლია გაერთო ბარიერს მიღმა თავმოყრილ გაფაციცებულ მაყურებლებში, მაგისტრატის ხალხში, მოწვეულ საზოგადოებაში, რომელთაგან ზოგს დოლბანდი ახურავს, ზოგსაც — სანუკვარი ძველგერმანული ჩაჩი და ზემოდან კიდევ შლაპაც. ალალ-მართალნი მოქალაქენი ჭვრეტად გადაქცეულან, მათ აფთიანი სპანი იცავენ. ერთი მეორეს აჩვენებს: ნახე, ჯოჯოხეთის კერძი რა დღეშიაო! მათ ორი თითი ლოყაზე შემოუდვიათ, ორი კიდევ ცხვირის ქვეშ. ვილაც სქელუას ხელი აუწევია, თითქოს უნდოდეს თქვას: ღმერთმა ყველა დაიფაროსო! ქალებს სახეზე გულუბრყვილო მოკრძალება აწერიათ. ხედავ? ყველანი რა მჭიდროდა ვართ, სცენა საგულდაგულოდ გაჭედილია ხალხით. ბატონი ნერონის ცუგუაყ მოსულა, რათა ცარიელი ერთი კუნჭულიც არ დარჩენილიყო. პინჩერის ავი დრუნჩი აქვს. უკან კი კოშკები, წვეტიანი ერკერები და ფრონტონები ჩანს კაი ზერსაშერნისა...

რასაკვირველია, უნდა ეთქვა: ნიურნბერგისაო. ვინაიდან იმას, რასაც აღწერდა, აღწერდა ისევე თვალსაჩინოდ, როგორც ზღვის პანია ქალწულის სხეულის გადასვლას თევზის კუდში, ასე რომ, ბევრად ადრე, ვიდრე მორჩებოდა, მე უკვე მივხვდი, აპოკალიფსისადმი მიძღვნილი დიურერისეული გრავიურების პირველ ფურცელზე ლაპარაკობდა. თუმცა მაშინ ეს შედარება ცოტა უცნაური მეჩვენა, მაგრამ მაინც იმნამსვე რაღაც მენიშნა და ეჭვი აღმეძრა. შემდეგ კი უკვე არ შეიძლებოდა არ გამხსენებოდა, როცა მოგვიანებით ჩემთვის თანდათანობით გასაგები გახდა ადრიანის ჩანაფიქრი, ნანარმოები, რომლითაც იყო შეპყრობილი და რომლისთვისაც სურდა თავი გაერთმია, რისთვისაც იკრებდა ძალებს, ვიდრე სალმობისგან გატანჯული იწვა. განა მე მართალი არ ვიყავი, როცა ვთქვი, რომ ხელოვანის დეპრესიული და ამალღებულ-ნაყოფიერი მდგომარეობა, ავადმყოფობა და ჯანმრთელობა, არავითარ შემთხვევაში მკვეთრად გამიჯნულნი არ არიან ერთმანეთისაგან? რომ, პირიქით, ავადმყოფობისას, თითქოსდა მისი მფარველობის ქვეშ, ჯანმრთელობის ელემენტებიც მოქმედებენ, ხოლო ავადმყოფობის ელემენტები, ჯანმრთელობაში გადაყოლილნი, გენიოსს ბადებენ? დიახ, სწორედ ასეა, მე ამ თვალსაზრისს ვუშაადლი მეგობრობას, რომელმაც ბევრი საზრუნავი და დარდი მარგუჰნა, მაგრამ ამასთანავე მუდამ სიამაყესაც

მანიჭებდა: გენია გახლავთ ცხოველმყოფელი ძალის ავადმყოფობა-ში გამობრძმედილი, მისგან ამომავალი და მისივე მეოხებით შემოქმედი ფორმა.

ამრიგად, აპოკალიფსური ორატორიის გეგმა, ფარული მუშაობა მასზე უკვე ბევრად ადრე იწყება, ადრიანის სასიცოცხლო ძალების თითქოსდა სრული დაშრეტის პერიოდში და სიმძაფრე და სისწრაფე, რითაც იგი შემდეგ სულ რამდენიმე თვეში გადაიტანა ქალაქზე, ყოველთვის ისეთ წარმოდგენას მიქმნიდა, თითქოს მანამდელი დუხჭირი მდგომარეობა თავისებური თავშესაფარი და ნავსაყუდელი იყო, რომელშიც მისი არსება განმარტოვდა, რათა არავის ყური არ დაეგდო, არავის ეჭვი არ მიეტანა და ასე განმხოლოებულს, ჩვენი ჯანმრთელი ცხოვრებიდან მტკიცუნულად განდგომილს, რაღაც ჩაეფიქრა და ეს ჩანაფიქრი განვეითარებინა. ბანალური კეთილდღეობა კი გაბედულ წამონწყებათათვის შემართებას მოკლებულია, ისინი თითქოსდა სულის სიღრმიდან უნდა ამოიტაცო და დღის სინათლეზე ისე გამოიტანო. რასაც აპირებდა, ის რომ მხოლოდ ნაბიჯ-ნაბიჯ, მისი ნახვიდან ნახვამდე ზდებოდა ჩემთვის საცნაური, უკვე მოგახსენეთ. წერდა, ესკიზებს ამზადებდა, აგროვებდა, სწავლობდა და კომბინაციებს ახდენდა; ეს ამბავი არ შეიძლებოდა შეუმჩნეველი დამრჩენოდა და გულით მიხაროდა. ჩემს ფრთხილ შეკითხვებს ის კიდეც არა ერთი და ორი კვირის მანძილზე ნახევრად ზუმრობით ხვდებოდა, ნახევრად კიდეც შემკრთალი და განანწყენებული, თითქოს რაღაც უკუღმართ საიდუმლოს ფარავდა დუმილითა და უარყოფით, თან ეცინებოდა და თან წარბებს იკრავდა, თან რას მეტყოდა და თან რას: — ზედმეტ ცნობისმოყვარეობას ნუ იჩენ და სული სპეტაკად შეინახეო! — ან: — სულ ერთია, ჩემო კეთილო, ამას ისედაც საკმაოდ ადრე შეიტყობო, — ანდა უფრო გასაგებად და ცოტათი უფრო გულახდილად: — დიახ, დუღილს იწყებს მირონის შეჭამანდი. როგორც ჩანს, თეოლოგიურ ვირუსს აგრე-რიგად იოლად ვერ გამოდევნის სისხლიდან კაცი. სრულიად მოულოდნელად იცის მწვავე რეციდივიო.

ამ გადაკვრით ნათქვამმა დაადასტურა ჩემი ეჭვი, რომელიც მაშინ გამოჩნდა, როდესაც ვნახე, რას კითხულობდა. მის სანერ მაგიდაზე ერთ უცნაურ ძველებურ წიგნს ნავანყდი: მეცამეტე საუკუნეში ფრანგულ ენაზე ლექსად თარგმნილ პავლეს ხილვას, რომლის ბერძნული დედანი მეოთხე საუკუნით თარიღდება. ჩემს კითხვაზე, როგორ ჩაგივარდა-მეთქი ხელში ეს წიგნი, მიპასუხა:

– როზენშტილმა მიძოვა. ეს პირველი კუროზი როდი გამოუქე-
ქია ჩემთვის. მოუსვენარი ქალია! შემამჩნია, რომ გულგრილი არა ვარ
იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც „ქვესკნელში ჩაშვებულან“, მე
ჯოჯოხეთს ვგულისხმობ. ეს აახლოებს ერთმანეთისაგან ისე განს-
ხვავებულ პერსონაჟებს, როგორიცაა პავლე და ვერგილიუსის ენეა-
სი. გახსოვს, დანტი ძმებივით ერთად იხსენიებს ამ ორს, რომლებმაც
ქვესკნელი იხილეს?

მე მახსოვდა.

– აფსუს, – ვუთხარი მე, – შენი *filia hospitalis** ამას ვერ წაგიკით-
ხავს.

– ჰო, – გაეცინა მას, – ძველფრანგულისათვის ჩემი საკუთარი
თვალები დამჭირდება.

იმ დროს კი, როცა საკუთარ თვალებს ვერ იყენებდა, როდესაც
ტკივილი მათ ზემოთ და მათ სიღრმეში წაკითხვის საშუალებას არ
აძლევდა, ხშირად კლემენტინე შვაიგეშტილი უკითხავდა, თანაც
ისეთ რამეებს, რომლებიც თავაზიანი სოფლელი გოგონას პირში
საკმაოდ უცნაურად, მაგრამ მაინც არცთუ მთლად შეუფერებლად
ჟღერდნენ. მეც შევხვედრივარ ამ კეთილ გოგონას ადრიანთანაბატის
პალატში: თავად ავადმყოფი ბერნჰაიმის შეზღონგზე წამ-
ონოლილიყო, ხოლო მხრებში საგანგებოდ გამართული გოგონა კი
სანერი მაგიდის წინ იჯდა სავონაროლას სავარძელში და გულის
ამაჩუყებელი ენის ბორძიკით, სახალხო სკოლისათვის დამახასია-
თებელი ზემოგერმანული წარმოთქმით უკითხავდა ნესტისაგან შე-
ლახულ მუყაოსყდიან წიგნს, რომელიც ალბათ აგრეთვე
მოხერხებული როზენშტილის მეოხებით იყო აქ მოხვედრილი, –
მეჭტჰილდ მაგდებურგელის ექსტაზურ განცდებს. მეც ჩუმად
მივიყუთე კუთხეში დივანზე და გაოცებული ერთხანს ვუსმენდი ამ
სათნოსა და მიამიტ, მღელვარე და ექსცენტრულ აღსარებას.

სწორედ მაშინ შევიტყვე, რომ გოგონა ხშირად ასე უკითხავდა
ხოლმე. გლახურ, სადა ტანსაცმელში იყო გამოწყობილი, რაც
ეკლესიის ზედამხედველობაზე მეტყველებდა; მკვახე ზეთისხილის
ფერი შალის კოსტიუმის წელზედას დახურული და ლითონის
ჟიჟმატი ღილებით უხვად მოოჭვილი გულისპირი ახალაკორებულ
მკერდს უჩქმალავდა, ხოლო კუნუბიანი ქობა ზევიდან ჰქონდა გად-
მოშვებული განიერსა და კოჭებამდე გრძელ წელქვედაზე. ერთადე-

*აქ: მესასთუმლე ქალი (ლათ.).

რთი სამკაული გახლდათ ვერცხლის ძველებური მონეტების ასხმულა, რომელიც ქალიშვილს ყელზე, ფურჩალის ქვეშ, ეკიდა. ასე ჩაცმული უჯდა ხოლმე ეს თაფლისფერთვალეა ქალიშვილი ავადმყოფს და თითქოს ლოცულობსო, ისე მონოტონურად, მოსწავლისათვის დამახასიათებლად მახვილების დასმით უკითხავდა წიგნებს, რომელთა საწინააღმდეგო ბატონ მღვდელს უთუოდ არაფერი არ ექნებოდა: ადრექრისტიანულ და შუასაუკუნეობრივ ხილვების აღწერებსა და საიქიოზე მსჯელობებს. ხანდახან დედილო შვაიგეშტილი შემოყოფდა თავს ოთახში, რათა ენახა, იქ იყო თუ არა მისი ქალიშვილი, რომელიც რალაცაში სჭირდებოდა და უნდა დაესაქმა, მაგრამ ორივეს მეგობრულად დაუქნევდა თავს მონონების წიშნად და ისევე უკან გატრიალდებოდა. ანდა ათიოდე წუთით კართან ჩამოჯდებოდა, ყურს მიუგდებდა და მერე ჩუმად გაუჩინარდებოდა. ხან მეჭტვილდის ექსტაზებს უკითხავდა კლემენტინე, ხან ჰილდეგარდ ბინგენელს, ხანაც სწავლული ბერის ბედა ვენერაბილისის გადმოგერმანულებულ „*Historia Ecclesiastica gentis Anglorum*“-ს*, ნაწარმოებს, რომელმაც არა ერთი და ორი კელტური საიქიოს ფანტასტიკური ხილვები შემოგვინახა ირლანდიურ-ანგლოსაქსური ქრისტიანობის ადრეული ეპოქიდან. მთელი ეს პათეტიკური, განკითხვის დღის მანუყებელი და საუკუნო სასჯელის წინაშე შიშის დიდაქტიკურად გამღვივებელი ლიტერატურა ქრისტიანობამდელი და ადრეული ქრისტიანობის ესქატოლოგიებისა ქმნის უალრესად მჭიდრო, ხშირად განმეორებადი მოტივებით აღსავსე ტრადიციულ სფეროს, რომელშიც ადრიანი გადაიჭრა, რათა განწყობილიყო ნაწარმოების შესაქმნელად, ყველა ამ ელემენტს ერთ ფოკუსში რომ მოუყრიდა თავს, ავის მომასწავებლად გააერთიანებდა გვიანდელ მხატვრულ სინთეზში და თავისი უღმობელი მონოდების შესაბამისად კაცობრიობას თვალწინ დაუდგამდა აპოკალიფსურ სარკედ, რათა დაენახვებინა, რაც ახლოვდებოდა.

„აღსასრული მოინევის, მოინევის აღსასრული, აღდგომილ იქმნა შენზედა; აჰა, მოინევის აღსასრული, ზეალიმარაა და თავს უნდა დაგატყდეს შენ, მკვიდრო ქვეყნისასა“. ეს სიტყვები, რომელთაც ლევერკიუნი თავის *testis*-ს, ესე იგი მოწმეს, მთხრობელს ათქმევინებს ზმანებისათვის შესაფერისი მელოდიის ფონზე, შედგენილს წმინდა კვარტებისა და შემცირებული კვინტებისაგან, დავანებულს

**ინგლისის ეკლესიის ისტორიას.* (ლათ.).

განფენილ უცხო ჰარმონიებზე, შემდეგ იმ თამამად არქაული რესპონსორიუმის ტექსტად გვევლინება, შთამბეჭქდავად რომ იმეორებს მელოდიას ორ ოთხხმიან, ერთმანეთს დაპირისპირებულ საგუნდო პარტიაში. ეს სიტყვები იოანეს აპოკალიფსს კი არ ეკუთვნის, არამედ სულ სხვა ფენიდან არის აღებული, ბაბილონში განძევებულობის დროინდელ წინასწარმეტყველებათაგან, ეზეკიელის ხილვათა და მოთქმათაგან, რასთანაც, სხვათა შორის, ნერონის დროში პატმოსიდან წარმოგზავნილი საიდუმლოებრივი წერილი ყოვლად უცნაურ მიმართებაშია, მისგან ბევრი რამით დავალებულია. ასევე „წიგნის შთანთქმაც“, ალბრეჰტ დიურერმა გაბედულად რომ აირჩია ერთ-ერთი გრავიურის თემად, თითქმის სიტყვასიტყვით ნასესხებია ეზეკიელისაგან, თვით ის წვრილმანიც კი, რომ წიგნი (ანუ „წერილი“, რომელშიც მოთქმა-ვაება და ჩივილია) თაფლივით ტკბილად ადნება პირზე იმას, ვინც გამგონედ შეექცევა. აგრეთვე დიადი მეძავიც, მხეცზე გადაამჯდარი დედაკაცი, რომლის გამოსახვისას ნიურნბერგელმა მხატვარმა ვენეციიდან ჩამოტანილი იქაური კურტიზანი ქალის პორტრეტის ეტიუდი ხუმრობით მოიშველია, ეზეკიელთან ძალიან საფუძვლიანად და მართლაც რომ მონათესავე გამოთქმებით არის აღწერილი. აპოკალიფსური კულტურა ნამდვილად არსებობს, რაც ექსტატიკოსებს მეტ-ნაკლებად მდგრადი ტრადიციული ხილვებითა და განცდებით უზრუნველყოფს – რა უცნაურ ფსიქოლოგიურ მოვლენადაც კი უნდა ჩანდეს ის ამბავი, რომ ერთი ექსტაზში მყოფი მსგავსი ხილვების ციებ-ცხელებით არის ატანილი, როგორითაც მეორე – მისი წინამორბედი, და რომ ექსტაზით მოგვრილი ციებ-ცხელება დამოუკიდებელი არ არის, ნასესხებია, სტანდარტული, მაინც ფაქტი ფაქტად რჩება და ამას მხოლოდ იმიტომ გავხაზავ, რომ მივუთითო: ლევერკიუნი თავის სწორუპოვარ ორატორიაში ტექსტობრივად მარტო იოანეს აპოკალიფსს კი არ ეყრდნობოდა, არამედ, ასე ვთქვათ, შეისრუტა ნათელხილვის მთელი მემკვიდრეობა, მე რომ მოგახსენებდით, და შექმნა ახალი, საკუთარი აპოკალიფსი, რაც აღსასრულის მაუნყებელ ყველა განცხადებათა ერთგვარ რეზიუმესაც წარმოადგენს. სახელწოდებით „Apocalipsis cum figuris“ მან ხარკი მიუზლო დიურერს და თან ალბათ სურდა საცნაური გაეხად, რომ თემის ვიზუალურ გადანყვეტას ესწრაფოდა, გრაფიკულ დაქუცმაცებულობას, სივრცის მჭიდროდ მოოჭვას ფანტასტიკური და ზედმინეწით ზუსტი დეტალებით, რაც ამ ორივე ნაწარმოებისათვის საერთოა. მაგრამ არ გეგონოთ, რომ

ნიურნბერგელი მხატვრის თხუთმეტი ილუსტრაცია ადრიანის უშველებელი ფრესკისათვის საპროგრამო ქმნილება იყო. მართალია, მისი დახვეწილი და საშინელი მუსიკისათვის ამოსავალი იმ საიდუმლოებით მოცული პირველწყაროს სიტყვები გახლდათ, რომელმაც მხატვარიც შთააგონა, მაგრამ მან გააფართოვა მუსიკის ასპარეზი, გუნდის, რეჟიტატივის, არიის შესაძლებლობანი, ჩართო რა თავის თხზულებაში ფსალმუნის ზოგიერთი პირქუში პარტია, მაგალითად, გულში ჩამწვდომი „რამეთუ აღივსო სიავით სული ჩემი და ჩემი სიცოცხლე ჯოჯოხეთს უახლოვდება“, აგრეთვე აპოკრიფთა გამომსახველზე გამომსახველი საშინელი სურათები და მხილებანი, შემდეგ — დღეს ძალზე მწვავედ მოქმედი ზოგიერთი ფრაგმენტი იერემიას გოდებიდან და ამ ამბებისათვის კიდევ უფრო შორეული ტექსტებიც, რამაც, ერთად აღებულმა, უნდა ხელი შეუწყოს სხვა სამყაროს ბჭეთა გახსნის, ანგარიშსწორების დღის დადგომის, ჯოჯოხეთში მოხვედრის საერთო შთაბეჭდილების წარმოქმნას, და ნაწარმოები გადააქციოს საიქიოზე წარმოდგენათა ვიზიონერულ გადაშუშავებად, დაწყებული შამანთა შესაფერისი დონის ადრინდელი საფეხურებიდან და შემდეგ განვითარებული ანტიკური ხანისა და ქრისტიანობის მიერ, დანტეს ჩათვლით. დანტეს პოემამ ლევერკიუნის ხმოვან ტილოს ბევრი რამ არგუნა, კიდევ უფრო მეტი რამ შესძინა ადამიანთა სხეულებით მოფენილმა კედელმა, რომელზედაც ერთგან ანგელოზები საყვირებს ახმიანებენ და ქვეყნიერების აღსასრულს იუწყებიან, მეორეგან ქარონი ცლის თავის ნავს, მიცვალებულნი მკვდრეთით დგებიან, წმინდანნი ლოცულობენ, დემონთა ნიღბები მინოსის ნიშანს ელოდებიან, მას გველი ქამარივით შემოგრაგნია ნელზე, ვილაც შეჩვენებულისათვის, კარგა მაგრად ჩასუქებულისათვის, ჯოჯოხეთის გეენის უსტაბაშებს ჩაუვლიათ ხელი და ღრეჭით მიჰყავთ, მიათრევენ, ამაზრზენ გზას გასდგომია, ცალ თვალზე ხელი აუფარებია და, შეძრწუნებული, მეორეთი მარადიულ სატანჯიოს მისჩერებია, შორიახლოს კიდევ მონყალებამ სადაცაა ორი ცოდვილი სული უნდა გამოიხსნას საბოლოოდ წაწყდომამდე, — მოკლედ, განკითხვის დღის ამსახველი სცენებით მოხატულმა კედელმა.

შეუნდეთ ისეთ მნიგნობარ კაცს, როგორც მე გახლავართ, თუ მისთვის საშინლად ახლობელ ნაწარმოებზე მსჯელობას ლამობს და მას კულტურის ცნობილ ძეგლებს ადარებს. ამას თავის დასამშვიდებლად ვიქმ. დამშვიდება კი მე დღესაც ისევე მჭირდება, როდესაც მასზე ვლაპარაკობ, როგორც იმ დროს მჭირდებოდა, როცა

შეშინებული, გაკვირვებული, დათრგუნვილი, ამაყად ვადევნებდი თვალყურს მის წარმოქმნას. ეს ისეთი განცდა იყო, რომელიც თუმცა შეეფერებოდა ჩემს თავდადებასა და სიყვარულს, მაგრამ ჩემს სულიერ შესაძლებლობებს, კაცმა რომ თქვას, აღემატებოდა და ამიტომ იყო, რომ ლამის ვთრთოდი და ვკანკალებდი. ჯერ ხომ თითქოს მიმაღავდა და მიჩქმაღავდა, მაგრამ მერე, სულ მალე, სიყრმის მეგობარს გული გადამიშალა და თავის საქმიანობაში ჩამახედა. ამიტომ ამიერიდან პფაიფერინგში რამდენჯერაც კი ჩავიდოდი – მე კი, რალა თქმა უნდა, რაც შეიძლება ხშირად ჩავდიოდი ხოლმე, თითქმის ყოველ შაბათსა და კვირას – სულ ახალ-ახალ ნაწილებს მასმენინებდა: დანამატებსა და განაკვეთებს, ზოგჯერ წარმოუდგენელი მოცულობისა. ასე რომ, კაცს შეიძლება თავზარი დასცემოდა, განსაკუთრებით იმას, ვინც მიჩვეულია სამუშაოს დარბაისლურად ზომიერსა და დინჯ წინ წანევას და ვინც გაითვალისწინებდა ფაქტურის მკაცრ კანონებს დაქვემდებარებულ სულიერსა და ტექნიკურ სირთულეს. დიას, ვალიარებ, რომ უმთავრესი საბაბი ამ ნაწარმოების წინაშე ჩემი, შესაძლოა, გულუბრყვილო შიშისა, მე კი ვიტყვოდი: ქვეშეცნეული შიშისა-მეთქი, გახლდათ მართლაც რომ გამაოგნებელი სისწრაფე, რომლითაც შეიქმნა, არსებითად – ოთხნახევარ თვეში, ესე იგი იმ ვადაში, რაც ალბათ მხოლოდ მის წერილობით გამოსახვას, მხოლოდ მის გა დ ა ნ ე რ ა ს მოუნდებოდა.

გარეგნულადაც ასე ჩანდა და თვითონაც აღიარებდა, რომ მაშინ უაღრესად დაძაბული ცხოვრობდა, ზეშთაგონება მარტო ხალას ბედნიერებას კი არ ანიჭებდა, არამედ დამონებულიც ჰყავდა, თითქოს ქეჩოში ჩაეჭიდა მისთვის ხელი და წინ მიერეკებოდა; პრობლემის, კომპოზიციური ამოცანის პირველი გაელვება-გამოკრთომა – უწინდებური გაგებით – და მისი გადაჭრა ერთი იყო: თითქოს ნათელი მოეფინაო, ველარ ასწრებდა – კალმით იქნებოდა თუ ფანქრით – კვალდაკვალ მიჰყოლოდა იდეების ქარტეხილს, რომლებიც მოსვენებას არ აძლევდნენ და ყმად იხდიდნენ. ჯერაც შეუძლოდ მყოფი ათსაათს და მეტსაც მუშაობდა, მხოლოდ შუადღისას ისვენებდა მცირე ხნით, რათა ესადილა და ზოგჯერ გაესეირნა კიდეც გუბურის ირგვლივ ანდა სკონის ბორცვისკენ. ეს სახელდახელო ექსკურსიები უფრო გაქცევის ცდას წააგავდა, ვიდრე დასვენებას, და თუ მისი ხანაჩქარებული, ხანაც დინჯი ნაბიჯის მიხედვით ვიმსჯელებდით, ატაცებულობის სხვა ფორმა გახლდათ მხოლოდ. შაბათს საღამოობით მასთან ყოფნისაა არაერთხელ შემინიშნავს, რარიგ უჭირდა თავის

შემაგრება, რარიგ უჭირდა დაცხრომა, რასაც შეგნებულად ლამობდა ჩემთან ყოველდღიურ ამბებზე საუბრით. ვხედავ, დაუდევრად მჯდომი ანაზდეულად როგორ სწორდება, თვალები უშტერდება, თითქოს რალაცას აკვირდებოდეს გარინდებულნი, ბაგე ეხსნება და ლანვებზე, მე რომ არ მიყვარს, ისეთი ავადმყოფური სინითლე ენთება. რა იყო ეს? მელოდიური ნათელხილვის ერთ-ერთი იმ აქტთაგანი, რომლებითაც მაშინ, მე ვიტყვოდი ატაცებული იყო და რომლებშიც თავს იჩენდა ძალები, მე რომ არ ვიცნობ და არც მინდა ვიცნობდე, — ანუ მის სულში ერთ-ერთი იმ მძლეთა მძლე პლასტიკის მქონე თემათაგანის აღმოცენება, რომლებიც უხვად გვხვდება აპოკალიფსურ ნაწარმოებში და რომელთაც იმნამსვე წყალში ჩაციეებული ფოლადით აწრთობდა, ასე ვთქვათ, ლაგმავდა, აწესრიგებდა, მუსიკალური კონსტრუქციის საშენ მასალად გარდაქმნიდა? ვხედავ, როგორ დგება ბურტყუნით: — განაგრძე, განაგრძე, რასაც მეუბნებოდით! — საწერ მაგიდასთან მიდის, ნაჩქარევად ჩხაპნის საორკესტრო პარტიას, თან მართლაც ისე მაგრად აჭერს, რომ ქალაღლი იხევა, და სახედაძაგრული, — ამ გამომეტყველების აღწერას თავს ვარიდებ, მაგრამ ჩემს თვალში იგი ბლალავდა მისი ჭკვიანი და ამაყი სახის სილამაზეს, — იქით იხედება, სადაც შესაძლოა, საზარელი გუნდის ესკიზია აღბეჭდილი ოთხ მხედარს გამოქცეული, ნაბორძიკებული, ნაქცეული, გადაქელილი კაცობრიობისა, ჩაწერილია აღსასრულის მაუნყებელი ფრინველის ამაზრზენი ძახილი, დამცინავად მოკიკინე ფაგოტისთვის მინდობილი, ანდა ჩართულია ანტიფონის მაგვარი სიმღერა, რომელშიც ნახევარ-ნახევარი გუნდები მონაცვლეობენ და რაც პირველი მოსმენისთანავე ღრმად ჩამწვდა გულში, — მაგარი საგუნდო ფუგა იერემიას სიტყვებზე:

*რად დრტვინავს კაცი ცოცხალი?
ყოველმა იდრტვინოს ცოდვისათვის მისისა!
გამოვიძიოთ გზაი ჩვენი და
მოვიქცეთ უფლისა მიმართ!*
.....
*ჩვენ ვცოდეთ
და უსჯულო ვიქმნენით
და შენ არა ღხინება ჰყავ,
არამედ გულისწყრომითა წარგვდევენ ჩვენ,
დაგვხოცე და არა გვერიდე*

.....
**საგინებლად და საძრახისად გაგვხადე ჩვენ
ერთა შორის.**

მე ამ პიესას ფუგას ვუნოდებ და ის მართლაც ფუგას მოგაგონებთ, თუმცა თემა ზედმინვენით კი არ მეორდება, არამედ ვითარდება მთლიანის განვითარებასთან ერთად; ასე რომ, სტილი, რომელსაც კომპოზიტორი თითქოსდა ემორჩილება, ირღვევა და, გარკვეული თვალსაზრისით, აბსურდამდე მიდის, რაც ფუგის არქაული ფორმის ზოგიერთ ბახამდელ კანცონასა და რიჩერკარეში შეიმჩნევა, რომლებშიც ფუგის თემა ყოველთვის ზუსტად არ არის განსაზღვრული და მტკიცედ დაცული.

აი, ასეთ რამეებს აცივდებოდა მისი მზერა, დასწვდებოდა სანოტე კალამს, ისევ განზე გადაადებდა და ნაიდუღუნებდა: — კარგი, დანარჩენი ხვალ და ჯერ კიდევ სახეანთებული ბრუნდებოდა ჩემთან. მაგრამ მე ვიცოდი ანუ ვშიშობდი, რომ სიტყვას გატეხდა და როგორც კი წამოვიდოდი, მაშინვე სამუშაოს მიუჯდებოდა, ხორცს შეასხამდა იმას, რაც ჩემთან საუბრისას ასე მოულოდნელად მოუვიდა თავში, — შემდეგ კი ორი აბი ლუმინალის მეშვეობით შეეცდებოდა ღრმად ჩასძინებოდა და ამით მაინც აენაზღაურებინა ძილის ხანმოკლეობა, ხოლო გარიჟრაჟზე ყოველივე ხელახლა დაეწყო. ფსალმუნნის ციტირება იცოდა:

**განიღვიძე ფსალმუნნითა და ებნითა!
მე განვიღვიძო განთიად.**

ვინაიდან სულ იმისა ეშინოდა, რომ ზეშთაგონება, რომელიც მომადლებული ჰქონდა, თუ რომლითაც შეჩვენებული იყო, დროზე ადრე გაუვლიდა, და მართლაც, ცოტა უკლდა ნანარმოების დამთავრებას, ახლოს იყო საშინელ ფინალთან, რაშიც მთელი შემოქმედებითი სიმამაცის გამოჩენა მოუხდა და რაც, შვების მომნიჭებელი რომანტიკული მუსიკისაგან განსხვავებით, მთელის თეოლოგიურად ნეგატიურ და უღმობელ ხასიათს ესოდენ დაუნდობლად ადასტურებს, — მართლაც-მეთქი, მოგახსენებდიო, ამ უსაშველოდ მრავალბმიანი და უფართოეს რეგისტრში მქუხარე ლითონის საკრავთა პარტიების ფიქსირების წინ, რომლებიც ხახადაბჩენილი უფსკრულისა და შიგ შთანთქმის გარდუვალობის შთაბეჭდილებას აღვიძებენ,

ავადმყოფობის მთელი სამკვირიანი რეციდივი განიცადა, უნინდებური თავის ტკივილისა და ლებინების შემოტყევებით; ისეთ დღეში ჩავარდა, რომ მისივე სიტყვებით თუ ვიტყვი, მუსიკა რა იყო, ან როგორ თხზავდნენ მას, აღარც კი ახსოვდა. შემდეგ ამანაც გაუარა, 1919 წლის აგვისტოს დასაწყისში ისევ შეუდგა მუშაობას და ვიდრე ეს თვე მიიწურებოდა, იმ წელს რომ განსაკუთრებით მზიანი და მცხუნვარე გამოდგა, კიდევაც დაამთავრა. ადრე რომ მოგახსენეთ, ოთხნახევარ თვეში დაამთავრა-მეთქი ეს ნაწარმოები, მე ავადმყოფობის რეციდივამდელ პერიოდს ვგულისხმობდი, ხოლო თუ ამას დაეუმატებთ ამ იძულებით შესვენებასა და დამამთავრებელ სამუშაოებს, მაშინ გამოდის, რომ „აპოკალიფსის“ შავად მოსახზად ექვსი თვე დასჭირვებია, რაც ასევე საკმაოდ გასაკვირი ვადაა.

XXXIV

(გაგრძელება)

და ნუთუ სულ ეს არის, რაც შემიძლია ვთქვა ჩემი განსვენებული მეგობრის ბიოგრაფიაში მის ბარე ათასგზის ზიზლითა და სიძულვილით მოხსენიებული, მაგრამ, სამაგიეროდ, უკვე ასგზის სიყვარულითა და დიდებითაც მოქანდულ ქმნილებაზე? რასაკვირველია, არა. კიდევ ბევრი სათქმელი მაქვს გულში, მაგრამ ამჟამად მინდა იმ სპეციფიკურ ნიშან-თვისებებზე შევჩერდე, რომლებითაც ეს ნაწარმოები — რალა თქმა უნდა, ჩემი აღტაცების მიუხედავად — მთრგუნავდა და მაფრთხობდა, ან უკეთ რომ ვთქვა: შემაშფოთებლად მანტერესება, — შევჩერდე იმ აბსტრაქტულ მოთხოვნებთან დაკავშირებით, რაც ჩემს მიერ უკვე გაკვრით მოხსენიებული სჯაბაასის დროს წამომიყენეს ბატონ ზიქსტუს კრიდვისის ბინაში. სწორედ ამ საღამოებზე განცდილი სიახლეები გახლდათ, ადრიანის განმარტოებით მუშაობაში თანადგომასთან ერთად, რამაც სულიერად გადამალა და მართლაც კარგი თოთხმეტი გირვანქა დამაკლებინა წონაში.

კრიდვისი, გრაფიკოსი, წიგნების მხატვრულად გამფორმებელი და აღმოსავლეთ აზიის ფერადი გრაფიურებისა და კერამიკის კოლექციონერი, რომელიც ამ დარგში ძალზე ჭკვიანურ და საქმის ცოდნით აგებულ ლექციებს კითხულობდა და ამიტომ გერმანიის სხვადასხვა ქალაქში და საზღვარგარეთაც კი იწვევდა სხვადასხვა

კულტურული ორგანიზაცია, გახლდათ პატარა ტანისა და გაურკვეველი ასაკის ბატონი, აშკარად რაინურ-ჰესენურ კილოზე მოლაპარაკე და არაჩვეულებრივად მკვირცხლი გონების პატრონი. რაიმე გარკვეულ მსოფლმხედველობასთან დაუკავშირებლად, ხალასი ცნობისმოყვარეობის გამო აკვირდებოდა ეპოქის მიმდინარეობებს და რაც თვალში მოხვდებოდა, ეს იქნებოდა თუ ის, ყველაფერს უაღრესად მნიშვნელოვნად აცხადებდა. სურდა თავისი ბინა შვაბინგში, მარციუსშტრასეზე, წამყვანი, ანდა საქმეში ჩახედული სპეციალისტებისა და სულიერ ცხოვრებაში აქტიურად მონაწილე მოაზროვნეთა შეხვედრის ადგილად მაინც გადაექცია, ვინც კი ვინ იყო ასეთი კურთხეულ ქალაქ მიუნჰენის კედლებში. ამიტომ სასტუმრო ოთახში, რომელიც ტუმით ან ფერადებით შესრულებული საუცხოო ჩინური ნახატებით იყო მორთული (სუნის დინასტიის ხანისა), აწყობდა ხოლმე მამაკაცთა სჯა-ბაასის საღამოებს, ინტიმურ სხდომებს მრგვალი მაგიდის ირგვლივ, სულ რვა-ათი კაცის შემადგენლობით და ისიც ნავახშმევს, დაახლოებით საღამოს ცხრა საათზე, რის გამოც მასპინძელს მაინცდამაინც დიდი ხარჯის გაწევა არ უხდებოდა. ეს თავყრილობები მარტო ძალდაუტანებლად ერთად ყოფნისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლისათვის იყო გამიზნული. ოღონდ ეს უკანასკნელი ყოველთვის ვერ ინარჩუნებდა მაღალ ინტელექტუალურ სიმძაფრეს; ხშირად დადიოდა ყოველდღიური შინაურული მუსაიფის დონემდე, ჯერ მარტო იმის გამო, რომ კრიდვისი საზოგადოებაში ძალზე გამოსული კაცი გახლდათ, ყველას უბამდა მხარს და ამდენად მონაწილეთა გონებრივი დონე არცთუ თანაბარი იყო. ასე, მაგალითად, სხდომებს ესწრებოდა ჰესენ-ნასაუს დიდი ჰერცოგის ოჯახის ორი წევრი, მიუნჰენში მოსწავლე ორი თავაზიანი ყმანვილი კაცი, რომელთაც მასპინძელი, არცთუ აღფრთოვანების გარეშე, „მშვენიერ პრინცებს“ ეძახდა. საუბარი მეტ-ნაკლებად მათი იქ ყოფნისთვის უნდა შეგვეხამებინა, თუნდაც იმიტომ, რომ ბევრად ახალგაზრდები იყვნენ, ვიდრე ჩვენ ყველანი. იმის თქმა კი არ მინდა, რომ ხელს გვიშლიდნენ. ხშირად სერიოზული მასლაათი თითქოს მათი თავების ზეგარდმო მიმდინარეობდა, ისინი კი, მოკრძალებით მომღიმარნი ანდა გულწრფელად გაოცებულნი, მსმენელთა როლში გამოდიოდნენ. პირადად მე უფრო მალიზიანებდა მკითხველისათვის უკვე ნაცნობი დოქტორ ხაიმ ბრაიზახერის, პარადოქსების ოსტატის, იქ ყოფნა, რომელსაც, როგორც დიდი ხანია ვალიარე, ვერ ვიტანდი, მაგრამ მისი გონებამახვილბა და გამჭრიახობა ამგვარ შეკრებებზე

ყოვლად აუცილებელი ჩანდა. არანაკლებ მომდიოდა გული იმ ამბავზეც, რომ მრენველი ბუღინგერიც წვეულთა შორის გახლდათ, ვისაც კულტურის ურთულეს საკითხებზე ყურთასმენის წამლებად ქაქანის უფლება მხოლოდ და მხოლოდ მაღალი საგადასახდო ცენზით თუ გააჩნდა.

მე მინდა კიდევ უფრო შორს წავიდე და გამოგიტყდეთ, რომ კრიდვისის მუდმივ სტუმართაგან არსებითად არც ერთი გულში არ მეჯდა, არც ერთ მათგანს არ ვენდობოდი ბოლომდე, ალბათ ჰელმუტ ინსტიტორისის გამოკლებით თუ. ისიც ამ წრეს ეკუთვნოდა და ჩემთან მეუღლის ნყალობით მეგობრობდა, — ესაა მხოლოდ: მისი პიროვნება კიდევ სულ სხვა შემაშფოთებელ ასოციაციებს აღმიძრავდა. აი ის კი საკითხავია, რა უნდა მქონოდა დოქტორ უნრუეს, ეგონ უნრუეს სანინალმდეგო; იგი პალეონტოლოგი ფილოსოფოსი იყო და თავის ნაწერებში ძალიან მახვილგონივრულად უკავშირებდა პალეონტოლოგიურ მონაცემებს უძველეს თქმულებათა მასალის ახსნასა და მეცნიერულ შემონიშნებას. ასე რომ, მისი მოძღვრება, დახვეწილი დარვინიზმი უნოდეთ, თუ გნებავთ, ყოველივე იმას ადასტურებდა და ამართლებდა, რაც დიდი ხანია აღარ სჯეროდა წინ მიმავალ კაცობრიობას. დიახ, რატომ ვეკიდებოდი უნდობლად ამ განსწავლულსა და გულმოდგინედ მოაზროვნე კაცს? ანდა პროფესორ გეორგ ფოგლერს, ლიტერატურის ისტორიკოსს, რომელმაც გერმანული ლიტერატურის საყოველთაოდ აღიარებული ისტორია დაწერა ავტორთა ტომობრივი წარმომავლობის გათვალისწინებით? ამ წიგნში მწერალი უბრალოდ როგორც მწერალი და უნივერსალურად განვითარებული ინტელექტი კი არ განიხილება და არ ფასდება, არამედ როგორც სისხლით ნათესაობასა და სადაურობაზე დამოკიდებული ხალასი პროდუქტი თავისი რეალური, კონკრეტული, სპეციფიკური კუთხური წარმომავლობისა, რაც ნიშანდობლივია მისთვის და რაც ნიშანდობლივად ვლინდება მასში. ეს ყოველივე ხომ ჩამოყალიბებული იყო ძალზე პატიოსნად, ვაჟკაცურად, სამიედოდ და კრიტიკოსებიც მადლიერნი იყვნენ. ხელოვნებათმცოდნე და დიურერის მკვლევარი, პროფესორი გილგენ ჰოლცშუერიც, კრიდვისის კიდევ ერთი სტუმარიც, არ მეპიტნავებოდა, თუმცა ვერ აგისხნიდით, რატომ. ხოლო აქ ხშირად მოსიარულე პოეტს, დანიელ ცურ ჰოეს, ხომ სულ ვერ ვიტანდი: დახურულ შავ სერთუქში სასულიერო პირივით გამონყობილ, სულ რაღაც ოცდაათიოდე წლის გამხდარ კაცს, რომელსაც მტაცებელი ფრინველის პროფილი ჰქონდა და მჭახედ, თითქოს რაღაცას უჩაკუნებდსო, იცოდა ხოლმე თქმა: „დიახ,

დიახ, ურიგო არ გახლავთ; ამის თქმა, რასაკვირველია, შეიძლება!“ – თან ჩვეული დაჟინებით ფეხს აბაკუნებდა იატაკზე. გულზე ხელების დაკრეფა უყვარდა ანდა ნაპოლეონივით ცალი ხელის სერთუკის გულისპირში გაყრა. მის პოეტურ ზმანებათა საგანს სისხლიანი ლაშქრობებით შეძრული, წმინდა გონებას შიშითა და კანკალით დაქვემდებარებული სამყარო წარმოადგენდა, როგორც თავის, ვგონებ, ერთადერთ წიგნში – „ჰონოღებანი“ – ჰქონდა აღწერილი, რომელიც ჯერ კიდევ ომამდე დაიბეჭდა ხელით გამოყვანილ ქალაღღზე, ავზორცული ტერორიზმის ლირიკულ-რიტორიკული გადმონთხევა გახლდათ და, უნდა ვაღიარო, მოკლებული არ იყო პოეტურ ძალას. ამ მოწოდებებს ხელს აწერდა მავანი არსება, სახელად *Christus imperator maximus-ი**, ენერგიული მეთაურის განსახიერება, დედამინის სფეროს დასაპყრობად თავგანწირული ლაშქარი რომ დაურაზმავს და ოპერატიულ ბრძანებათა მსგავს მითითებებს იძლევა, სიამოვნებით აყენებს უღმობელ პირობებს, სილატაკესა და სათნობას ქადაგებს და დაუცხრომელი ქაქანითა და მუშტის ქნევით მოითხოვს უსიტყვო, უყოყმანო მორჩილებას. „ჯარისკაცებო, – ასე მთავრდებოდა პოემა, – მ ს ო ფ ლ ი ო მ ო მ ი ნ დ ვ ი ა თქვენთვის ასაკლებად!“

ეს ყოველივე „ლამაზი“ იყო და თავიც მოჰქონდა „სილამაზით“, „ლამაზი“ იყო სილამაზის იმ დაუნდობელი და აბსოლუტური, ურცხვი და თვითკმარი, უსაგნო და უჰასუსხისმგებლო გაგებით, რის უფლებასაც პოეტები აძლევენ ხოლმე საკუთარ თავს, – ყველაზე შეუსაბამო ესთეტიკური სისაძაგლე, რასაც კი შევხვედრივარ. ჰელმუტ ინსტიტორისს, აბა, რასაკვირველია, ძალიან მოსწონდა ეს ამბავი, მაგრამ ავტორსაც და მის ნაწარმოებსაც სხვებიც სერიოზულად ეკიდებოდნენ და მე რომ ორივეს მიმართ ანტიპათიურად ვიყავი განწყობილი, გული მაინც მაგრად ვერ მქონდა, რადგან ვიცოდი, რომ ეს კრიდვისის წრესა და კულტურის საკითხებთან მის. პრეტენზიულ კრიტიკულ მიმართებასთან ჩემი საერთო უარყოფითი დამოკიდებულებითაც იყო გამოწვეული, მათი თვალსაზრისის გაცნობას კი ცოდნისმოყვარე კაცის მოვალეობის გრძნობა მკარნახობდა.

შევეცდები რაც შეიძლება ძუნწად მოვხაზო იმ პაექრობათა არსი, რომელთაც ჩვენი მასპინძელი არცთუ უსაფუძვლოდ „უაღრესად მნიშვნელოვნად“ მიიჩნევდა, ხოლო დანიელ ცურ პოეტიკურიტიპულად კვერს უკრავდა: „ო, როგორ არა, ურიგო არ გახლავთ, დიახ, დიახ, ეს შეიძლ-

*ქრისტე, უდიდესი მხედართმთავარი (ლათ.).

ება ითქვას,“ – თუმცა მათი დასკვნები მაინცდამაინც ქვეყნიერების აკლემას არ შეეხებოდა, რასაც გააფთრებული სოლდატესკა *Christi imperatoris maximi* განახორციელებდა. ეს, რაღა თქმა უნდა, ლიტონი პოეტური სიმბოლიკა გახლდათ, მაშინ როდესაც ჩვენ სოციალურ სინამდვილეზე ვბჭობდით, ვცდილობდით განგვესაზღვრა მიმდინარე და მყოფადი ამბები. ოღონდ ამით გარკვეულ მიმართებაში მოვდიოდით დანიელის ფანტაზიის ნაყოფთანაც – მის ასკეტურსა და მშვენიერ საშინელებებთან. განა მე თვითონ არ შევნიშნე ოდნავ ზემოთ, რომ ომის მიერ გამოწვეული ცხოვრების თითქოსდა ურყევ ღირებულებათა რყევა და ნგრევა ძალზე ცოცხლად იქნა აღქმული, განსაკუთრებით – დამარცხებულ ქვეყნებში, რომელთაც სწორედ დამარცხების გამო გარკვეული სულიერი უპირატესობა მოიპოვეს სხვათა წინაშე? აქ ობიექტურად გამოსახა და ძალიან მწვავედ აღიქვეზოდა შემდეგი: გაუგონარი გაუფასურება, რაც ინდივიდუუმმა ომის ამბებით განიცადა; უყურადღებობა, რომლითაც დღესდღეობით ცხოვრება ცალკეულ პიროვნებას გვერდით ჩაუვლის ხოლმე და რაც ადამიანთა სულებში საყოველთაო გულგრილობად გარდაიქმნა ერთეულის ტანჯვისა და დაღუპვის მიმართ. ეს უყურადღებობა, ეს ინდიფერენტულობა ცალკეული პიროვნების მიმართ შეიძლებოდა მოგვჩვენებოდა ეს-ეს არის დამთავრებული ოთხნობიანი სისხლიანი ღრეობის მონაგრად; მაგრამ არავინ მოტყუებულა: როგორც სხვა მრავალ განასერში, ომმა აქაც მხოლოდ დაასრულა, ნათელყო და მლალადებელ ფაქტად აქცია ის, რაც დიდი ხნით ადრე ჩაისახა და საფუძვლად დაედო ცხოვრების ახლებურ შეგრძნებას. მაგრამ, ვინაიდან ამის არც ქება შეიძლებოდა და არც ძაგება, არამედ მხოლოდ როგორც ფაქტის ფიქსირება და მხედველობაში მიღება, და ვინაიდან სინამდვილის მიუდგომელ შემეცნებას, შემეცნებას შემეცნების სინარულისა გამო, მუდამ რაღაც სცხია მისი მიღებისა, როგორ შეიძლებოდა ამგვარ დაკვირვებებს არ გამოეწვია მრავალმხრივი, ასე გასინჯეთ, ყოვლისმომცველი კრიტიკაც კი ბიურგერული ტრადიციებისა, რაშიც მე ვგულისხმობ: სწავლა-განათლებისა და ჰუმანიზმის ღირებულებათა კრიტიკას, აგრეთვე ისეთი იდეალებისაც, როგორიცაა ხალხთა სრულყოფა მეცნიერული აღზრდით? ის, რომ სწორედ განათლებასთან, სწავლებასთან, მეცნიერებასთან დაკავშირებული ადამიანები ენეოდნენ ამ კრიტიკას, და თანაც მხიარულად, არცთუ იშვიათად – გულდაჯერებული, გულარხინი სიცილითაც კი, ამ ამბავს, რაღაც განსაკუთრებულ, გამახლებულსა და შემაჩქვიფებელ ან, თუ გნებავთ, ცოცხათი გამხრწნელ პიკანტურობასაც კი სძენდა; და ალბათ საჭიროც აღარ

არის იმის თქმა, რომ სახელმწიფო მმართველობის ფორმა, რაც ჩვენ, გერმანელებს, დამარცხების შედეგად გვხვდა წილად, თავისუფლება, რაც თვითონ ჩაგვივარდა კალთაში, ერთი სიტყვით, დემოკრატიული რესპუბლიკა, წამითაც არ მიგვიჩნევია სერიოზულად ანგარიშგასანევ ჩარჩოდ უკვე გზახსნილი საიახლისათვის; მას ყველა ერთხმად ეკიდებოდა როგორც რაღაც ეფემერულს, იმთავითვე ჩასაფუშავად განწირულს, საქმის ვითარებისათვის უმნიშვნელო, უდღეურ და ავ იონს.

ციტატები მოჰქონდათ ტოკვილიდან (ალექსის დე), რომელმაც თქვა: რევოლუციიდან, როგორც საერთო წყაროდან, ორი ნაკადი წარმოიშვა: ერთი ადამიანთა თავისუფლად მონყობისაკენ მიმდინარე, მეორე — კვლავ აბსოლუტური ძალაუფლების დამყარებისკენო. „თავისუფლად მონყობისა“, კრიდვისთან მოსაუბრე ბატონთაგან აღარავის აღარა სწამდა, თუნდაც იმიტომ, რომ თავისუფლება შინაგანად თავის თავს ეწინააღმდეგება, რამდენადაც საკუთარი თავის დამკვიდრებისათვის იძულებულია იმათი თავისუფლება შეზღუდოს, ვინც მას ეურჩება, ესე იგი საკუთარი თავი გააუქმოს. ასეთი ბედი ეწვევაო, — ამბობდნენ ისინი, — თუ თავისუფლებისა და ადამიანის უფლებების პათოსს წინასწარვე წირვას არ გამოუყვანენ, რისთვისაც ჩვენი ეპოქა უფრო განწყობილი ჩანს, ვიდრე ხანგრძლივი დიალექტიკური პროცესისათვის, თავისუფლებას მის მომხრეთა დიქტატურად რომ გადააქცევს ხოლმეო. ასეა თუ ისე, ყოველივე ძალმომრეობითა და დიქტატურით დამთავრდება, რადგან მას შემდეგაც, რაც საფრანგეთის რევოლუციამ ადრინდელი სახელმწიფო და საზოგადოებრივი ფორმები დაანგრია, დადგა ეპოქა, რომელიც, შეგნებულად თუ შეუგნებლად, აღიარებდა ამას თუ არ აღიარებდა, ნიველირებულ, ატომიზირებულ, დაქსაქსულ და ცალკეული ინდივიდუუმისამებრ უმწეო მასებზე დესპოტური მბრძანებლობის გზას დაადგაო.

— სწორია! სწორია! ო, ამის თქმა, რასაკვირველია, შეიძლება! — ირწმუნებოდა ცურ ჰოე და თან ფეხს ერთი ამბით აბაკუნებდა, რა თქმა უნდა, ამის თქმა შეიძლებოდა, ოღონდ, რაკილა საბოლოო ჯამში საქმე ეხებოდა მოახლოებულ ბარბაროსობას, ჩემი აზრით, ეს უფრო მეტი შიშითა და ძრწოლით უნდა აღქმულიყო და არა იმ მხიარული კმაყოფილებით, რომელზედაც ყოველ შემთხვევაში იმედი მაინც შეიძლებოდა არ გადაგენყვიტათ, რომ უფრო შექმნილი ვითარების შემცენებას შეეხებოდა, ვიდრე თვითონ ვითარებას. მინდა ამ ჩემი დამალონებელი მხიარული დამოკიდებულების სურათი დაგიხატოთ. აქლბათ არავის არ გაუკვირდება, რომ ამგვარი კულტურულ-

კრიტიკული ავანგარდის სჯა-ბაასში ომამდე შვიდი წლით ადრე გამ-
ოცემული წიგნი – სორელის „Réflexions sur la violence“* – მნიშვნე-
ლოვან როლს ასრულებდა. ომისა და ანარქიის უღმობელი წინასწ-
არმეტყველება, ევროპის გამოცხადება ბრძოლებისა და კატაკლიზ-
მების მასაზრდოებელ ნიადაგად, მტკიცება იმისა, რომ ამ
კონტინენტის ხალხები მუდამ მარტო ერთი იდეით შეიძლება გაე-
რთიანდნენ – ომის იდეით, – ეს ყოველივე უფლებას იძლეოდა ამ
წიგნისათვის ეპოქალური გვენოდებინა. მით უფრო იძლეოდა ამის
უფლებას წიგნში გამოთქმული ნათელმხილველური დებულება: მა-
სების საუკუნეში პარლამენტური პაქტობა პოლიტიკური ნების ჩამ-
ოყალიბების საშუალებად სრულიად შეუფერებელი აღმოჩნდება და
მომავალში მის ადგილს მითური ფიქციებით მასების უზრუნველყოფა
დაიჭერს, პრიმიტიული საბრძოლო შეძახილებივით
პოლიტიკური ენერჯის გაჩაღებისა და გააქტიურებისათვის რომ
არიან მოწოდებულნიო. წიგნის თამამი, ამაღლევებელი წინასწარმე-
ტყველება მართლაც ის გახლდათ, რომ ამიერიდან მამოძრავებელ
პოლიტიკურ ძალად გადაიქცეოდა პოპულარული, ან უფრო ზუს-
ტად, მასებისთვის მისაწვდომი მითები: იგავები, კოშმარები,
ქიმერები, რაც ჭეშმარიტებას, გონიერებას, მეცნიერებას საერთოდ
არც საჭიროებს, რათა შემოქმედებითი დვრიტის როლი შეასრულ-
ოს, ცხოვრება და ისტორია წარმართოს და ამით დინამიკურ რეალ-
ობად მოგვევლინოს. ალბათ ხედავთ, რომ წიგნს ამოდ როდი ჰქონდა
მუქარით აღსავსე სათაური: იგი ძალმომრეობას განიხილავდა
როგორც ჭეშმარიტების ძლევაშეიძლება ანტაგონისტს, გვაგებინებდა,
რომ ჭეშმარიტების ხვედრი ძალზე ახლოს დგას, ასე გასინჯეთ,
იდენტურიც კია ინდივიდუუმის სვე-ბედთან, მის გაუფასურებასთან.
– გვახედებდა ჭეშმარიტებასა და ძალას შორის, ჭეშმარიტებასა
და ადამიანთა კოლექტივს შორის აბუჩად ამგდებად ხახადაბჩენილ
უფსკრულში, და უსიტყვოდ გვაგრძნობინებდა, რომ კოლექტივს
არსებითად უპირატესობა უნდა მიეცეს ჭეშმარიტების წინაშე, რომ
ჭეშმარიტებას მიზნად კოლექტივი უნდა ჰყავდეს და რომ ვისაც
კოლექტივში მონაწილეობა სურს, კაი მაგრად უნდა შეელოს ხოლმე
ჭეშმარიტებასა და მეცნიერებას, sacrificium intellectus-ზე** თანახ-
მა იყოს.

*“ფიქრები ძალმომრეობაზე“ (ფრანგ.)

**ინტელექტუალურ მსხვერპლზე (ლათ.).

ჰოდა, ახლა წარმოიდგინეთ (მე მივუახლოვდი იმ „თვალსაჩინო სურათს“, რომლის დახატვასაც დაგპირდით), ეს ბატონები, თავად მეცნიერები, სწავლულები, უმაღლეს სასწავლებელთა ლექტორები, ფოგლერი, უნრუე, ჰოლცშუერი, ინსტიტორისი და მათთან ერთად ბრაიზახერიც, რარიგ იქცევდნენ თავს იმ ვითარებით, მე რომ მაშფოთებდა, ხოლო ისინი ან უკვე ჩამოყალიბებულ ანდა გარდაუვალ ფაქტად მიიჩნევდნენ. გასართობად მათ სასამართლო პროცესი გაითამაშეს, რომელზედაც ერთ-ერთი იმ მასობრივ მითოსთაგანი ირჩეოდა, პოლიტიკურ მამოძრავებელ ძალად, ბიურგერული საზოგადოებრივი წყობის ძირგამომთხრელად რომ გამოიყენებინან. მის პროტაგონისტებს იგი უნდა დაეცვათ „სიცრუესა“ და „გაყალბებაში“ ბრალდებისაგან. მონინალმდევე მხარეები, მომჩივანნი და მოპასუხენი, იმდენად ერთმანეთს კი არ ეკამათებოდნენ, რამდენადაც ძალიან სასაცილოდ ერთმანეთს ვერ უგებდნენ და თავ-თავისას გაიძახოდნენ. გროტესკული გახლდათ მეცნიერულ მონაცემთა ვეება აპარატი, რომელსაც იშველიებდნენ, რათა მონაჩმახი მონაჩმახად, ჭეშმარიტების სკანდალურ ხელყოფად დაესახათ, ვინაიდან ამ მხრიდან ხომ ისტორიის შემოქმედ დინამიკურ ფიქციას, ეგრეთ წოდებულ ფალსიფიკაციას, რაშიც კოლექტივის ჩამომყალიბებელი რწმენა იგულისხმებოდა, ვერა და ვერ მიუდგებოდა კაცი, და მისი ქომაგნი მით უფრო დამცინავსა და ქედმაღლურ სახეს იღებდნენ, რაც უფრო გულმოდგინედ ცდილობდა მონინალმდევე მხარე მის უარყოფას მისთვის სრულიად უცხო და უმნიშვნელო ნიადაგზე, მეცნიერულ ნიადაგზე, ალალი, ობიექტური ჭეშმარიტების ნიადაგზე. ღმერთო დიდებულო, მეცნიერება, ჭეშმარიტება! ამ შეძახილის სულისკვეთება და კილო მსჭვალავდა მობაასეთა დრამატულ მსჯელობას. გული ვერ ეჯერებინათ კრიტიკისა და გონიერების იმ უილაჯო თავდასხმათა გამასხარავებით, რომელნიც მიმართულნი იყვნენ მათთვის სრულიად მიუწვდომელი, სრულიად მოუწყვლელი რწმენის წინააღმდეგ, და გაერთიანებული ძალებით მეცნიერებას ისეთ კომიკური უძღურების შუქზე წარმოსახავდნენ, რომ თვით „მშვენიერი-პრინცებიც“ კი თავიანთ ყმანვილურ ყაიდაზე ბრწყინვალედ ერთობოდნენ. გამხიარულებულმა მოპაექრებმა არ დააყოვნეს და მართლმსაჯულებასაც, რომელსაც საბოლოო სიტყვის თქმა, განაჩენის გამოტანა ევალებოდა, ისეთივე თვითუარყოფა მიანერეს, როგორსაც თვითონ მიმართავდნენ. იურისპრუდენცია, თუკი სურს „ხალხის შეგრძნებას“ ეყრდნობოდეს და კოლექტივისაგან

იზოლირებული არ დარჩეს, თავის თავს უფლებას ვერ მისცემს თეორიული, ეგრეთ წოდებული კოლექტივის საწინააღმდეგო ჭეშმარიტების პოზიციიდან იმსჯელოს; მან უნდა დაამტკიცოს, რომ თანადროულია, პატრიოტულია უთანადროულესი გაგებით და ანგარიშს უწევს ნაყოფიერ სიყალბეს, ამართლებს სიცრუის მოციქულთ და მეცნიერებას პირში ჩალაგამოვლებულს ტოვებს.

ო, რასაკვირველია, რასაკვირველია, ეგ უეჭველია, მაგის თქმა შეიძლება, მიდი, დააბაკუნე, დააბაკუნე.

თუმცა შინაგანად ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს აზიდებდო, მაინც როგორ გავბედავდი თამაშის ჩაშლას; გარეგნულად არაფერს არ ვიმჩნევდი, ვცდილობდი მხარი ამება საყოველთაო მხიარულებისათვის, როგორც შემედლო, მით უმეტეს, რომ იგი ხომ სრულებით არ ნიშნავდა უყოყმანო მხარდაჭერას იმისა, რაც იმჟამად ხდებოდა, ანდა რაც ახლოვდებოდა, არამედ, ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით მაინც, ანმყოსა და მყობადის მხოლოდ და მხოლოდ გულმხიარულად შემეცნების ცდას წარმოადგენდა. ოღონდ ერთხელ კი შევთავაზე: მოდიო, ერთი წამით ხუმრობა იქით იყოს-მეთქი და ისე ვიფიქროთ: ის მოაზროვნე, ვისაც კოლექტივის საჭიროებებზე ასე შესტიკია გული, იქნებ უკეთ მოიქცეოდა, თუ სწორებას კოლექტივზე კი არა, არამედ ჭეშმარიტებაზე აიღებდა, ვინაიდან ჭეშმარიტება, თვით მწარე სიმართლეც კი, არაპირდაპირ და თანდათანობით, მეტ სამსახურს უწევს კოლექტივს, ვიდრე ნააზრევი, რომელსაც მიაჩნია, რომ ჭეშმარიტების ხარჯზე გაუწევს მას სამსახურს, ნამდვილად კი ამგვარი იგნორირებით შიგნიდან ძირის-ძირობამდე ხრწნის ხალას კოლექტივს. მაგრამ არასოდეს ჩემი ნათქვამი ისე უყურადღებოდ, მთლიანად გამოძახილის გარეშე არ დაუტოვებიათ, როგორც ამჯერად. მე ვაღიარებ იმასაც, რომ ჩემი შენიშვნა უტაქტო იყო, ვინაიდან საერთო სულისკვეთებას არ შეესაბამებოდა, და ღიახაც ნაცნობი, ერთობ ნაცნობი, მოყირჭებამდე ნაცნობი იდეალიზმის სუნი ასდიოდა, სიახლეს მხოლოდ ხელს რომ უშლიდა. ამას გაცილებით სჯობდა აღელვებულ მობაასეთა წრეში ამ სიახლის განჭვრეტა, კვლევა, და ნაცვლად იმისა, რომ უნაყოფო და საკმაოდ მოსაწყენი ოპოზიცია გამეწნია მისთვის, ჩემი წარმოდგენები: კამათის მსვლელობისათვის შემეხამებინა და მის ჩარჩოში მომავალი სამყაროს, ნელ-ნელა უკვე რომ ისახებოდა, იმ სამყაროს სურათი გამეჩრია – რა ძლიერადაც უნდა შევწინუხებინე ღებინების გრძნობას.

ეს გახლდათ ძველ-ახალი, რევოლუციურ-რეტროგრადული სამყარო, რომელშიც ინდივიდუუმის იდეასთან დაკავშირებული ღირებულებანი, ვთქვათ, ისეთები, როგორცაა: ჭეშმარიტება, თავისუფლება, უფლება, გონიერება, მთლიანად ძალადაკარგულნი და უკუგდებულნი იყვნენ ანდა ყოველ შემთხვევაში სულ სხვა აზრი ჰქონდათ მიღებული ბოლო საუკუნეებთან შედარებით; უფერულ თეორიას მოწყვეტილნი, რელატივიზირებულნი და სისხლით დატიკნულნი, ისინი ახლა ძალის, ავტორიტეტის, რწმენაზე დამყარებული დიქტატურის ბევრად უფრო მაღალ ინსტანციასთან იყვნენ დაკავშირებულნი – რეაქციულ გუშინდელ ან გუშინინდელ ყაიდაზე კი არა, არამედ ისე, რომ ეს გადაფასება უთანაბრდებოდა კაცობრიობის სიახლით აღსავსე უკან გადასხმას თეოკრატიულ შუასაუკუნეობრივ ვითარებაში. ეს იმდენადვე იყო რეაქციული, რამდენადაც შეიძლებოდა უკანსვლა გვენოდებინა სფეროს ირგვლივ სიარულისათვის. ასე მოარული, ბუნებრივია, გარს შემოუვლიდა სფეროს, ესე იგი უკან დაბრუნდებოდა. ასე რომ, რეგრესი და პროგრესი, ძველი და ახალი, წარსული და მომავალი ერთმანეთს ერწყმოდა და პოლიტიკური მემარჯვენეობა სულ უფრო და უფრო ემთხვეოდა მემარცხენეობას. ნანამძღვრებს მოკლებული კვლევა, თავისუფალი აზრი, რომელსაც პროგრესულობის პრეტენზია არ გააჩნდა, ჩამორჩენილობისა და მოწყენილობის კუთვნილებად იქცეოდა. აზრს ძალმომრეობის გამართლების უფლება ეძლეოდა, როგორც შვიდასიწლის წინათ გონებას თავისუფლებას ანიჭებდნენ სარწმუნოება განემართა, დოგმა დაემტკიცებინა: საამისოდ იყო მოწოდებული გუშინ, დღესაც და ალბათ ხვალაც საამისოდ იქნება მოწოდებული. კვლევა ყოველ შემთხვევაში ნანამძღვრებს იძენდა – და მერე ისიც რა ნანამძღვრებს! ძალმომრეობა, კოლექტივის ავტორიტეტი გახლდათ ისინი და თანაც თითქოს სხვანაირად არც შეიძლებოდა ყოფილიყო; ამიტომ მეცნიერებასაც აზრად არ მოსდიოდა, რომ თავისუფალი არ იყო. სუბიექტურად იგი სრულიად თავისუფლად გრძნობდა თავს – ობიექტური შებორკილობის წიაღში, რომელსაც ისე შესისხლხორცებოდა და შეჩვეოდა, რომ ბორკილებს სრულებით არ აღიქვამდა. მყობადის გასააზრებლად და მის წინაშე ბრწყინვალე შიშის დასაძლევად საკმარისი იყო მხოლოდ იმის გახსენება, რომ გარკვეულ ნანამძღვართა და წმიდათაწმიდა პირობების სავალდებულოობას არასოდეს ხელი არ შეუშლია ფანტაზიისათვის და აზრის ინდივიდუალური სითამამისათვის. პირიქით: სწორედ იმის გამო, რომ

სულიერი სტიერეოტიპულობა და საკუთარ თავში ჩაკეტილობა, როგორც აბსოლუტურად და თავისთავად გასაგები რამ, წინასწარვე დაპროგრამებული ჰქონდა ეკლესიას შუა საუკუნეების ადამიანისათვის, იგი ბევრად უფრო იყო ფანტაზიას აყოლილი, ვიდრე ინდივიდუალისტური ეპოქის მოქალაქე, და შეეძლო ყოველ ცალკეულ შემთხვევაში მით უფრო გულდაჯერებულად და გულარხეინად აპყროლოდა წარმოსახვის საკუთარ უნარს.

ო, დიახ, ძალმომრეობა მტკიცე ნიადაგზე იკიდებდა ფეხს, იგი ანტიაბსტრაქტული იყო, და კრიდვისის მეგობრებთან თანამშრომლობის წყალობით მე მშვენივრად შეემეძლო წარმომედგინა რა მეთოდოლოგიურ ცვლილებებს შემოიტანდა ეს ძველ-ახალი ცხოვრების ამა თუ იმ სფეროში. პედაგოგმა, მაგალითად, იცოდა, რომ დღეს დაწყებით სკოლაში უკვე არსებობდა ასოებისა და დამარცვლით კითხვის წინასწარ სწავლებაზე ხელის აღებისა და სიტყვების სწავლების მეთოდზე გადასვლის ტენდენცია, წერის საგანთა კონკრეტულ ხატებასთან დაკავშირების ტენდენცია. ეს კი რამდენადმე ნიშნავდა აბსტრაქტულ-უნივერსალური, ენობრივად შეუზღუდავი ასოებრივი დამწერლობიდან პირველყოფილი ხალხების იდეოგრაფიული დამწერლობისაკენ შემობრუნებას. მე კიდევ გუნებაში ვფიქრობდი: რა საჭიროა საერთოდ სიტყვები, რა საჭიროა დამწერლობა, რა საჭიროა წერა? რადიკალურ ობიექტურობას უნდა საგნებთან ჰქონდეს საქმე, მხოლოდ საგნებთან-მეთქი. და სვიფტის სატირა გამახსენდა, რეფორმის მოყვარული სწავლულები რომ გადაწყვეტენ ფილტვების გასაფრთხილებლად და გაფუყული ფრაზების თავიდან ასაცილებლად საერთოდ გააუქმონ სიტყვები, მეტყველება და მართოდენ საგნების ჩვენებით ისაუბრონ, ხოლო ეს საგნები, რაც შეიძლება უხვად, ზურგზე აკიდებულები თან დაჰქონდეთ ურთიერთგაგებინების გასაიოლებლად. ძალიან სასაცილო ეპიზოდია, და კიდევ უფრო სასაცილოს ხდის ის გარემოება, რომ ამ სიახლის წინააღმდეგ ქალები, მდაბიონი და უნიგნურები ილაშქრებენ და ჩვეულებრივ მუსაიფს ვერ ელევიან. რა თქმა უნდა, ჩემი თანამოსაუბრენი თავისთავად ისე შორს არ მიდიოდნენ, როგორც სვიფტის სწავლულები. ისინი უფრო სერიის მაყურებელთა სახეს იღებდნენ და „არაჩვეულებრივად მნიშვნელოვნად“ მიიჩნევდნენ ყველგან და ყველაფერში უკვე მკაფიოდ გამოხატულ მზადყოფნას, ჰაიპარად ხელი ჩაეჭნიათ ეგრეთ ნოდებულ კულტურულ მონაპოვრებზე, რადგან ეკონათ, რომ ასე თუ ისე გაუბრალოება აუცილებელი იყო, ეპოქით იყო ნაკარნახევი, რის-

თვისაც, თუ გნებავთ, ბარბაროსობისაკენ შეგნებული მიქცევა შეიძლებოდა გვენოდებინა. ჩემს ყურებს არ ვუჯერებდი. გამეცინებოდა ხოლმე, ხოლო ერთხელ საშინლად შევეკრთი: ამ ბატონებმა ზემოთ აღწერილ კონტექსტში ანაზდეულად დანტისტთა მედიკურ მეთოდებზე დაიწყეს ლაპარაკი და არცთუ უსაგნოდ ადრიანისა და ჩემს კრიტიკულ სამუსიკო სიმბოლოზე — „მკვდარ კბილზე“ — ჩამოაგდეს სიტყვა! გაგიხარიათ, მეც გულიანად ვიცინე მათთან ერთად, როცა მათ გულმხიარულად დაიწყეს მსჯელობა იმ მიდრეკილებაზე, რომელიც კბილის ექიმებში შეიმჩნეოდა ბოლო ხანებში: მკვდარწერვიან კბილს ჰაიჰარად აგლეჯდნენ პაციენტს, რადგან ინფექციურ უცხო სხეულად მიიჩნევდნენ — მეცბრამეტე საუკუნეში კი ფესვების თერაპიას ხანგრძლივად და გულმოდგინედ ხვეწდნენ. ჰოდა, სწორედ დოქტორი ბრაიზახერი გახლდათ, ვინც მახვილგონივრულად შენიშნა და ყველას მოეწონა კიდეც ეს შენიშვნა: ჰიგიენურმა თვალსაზრისმა აქ მეტ-ნაკლებად რაციონალიზატორის როლი შეასრულა ბალასტის მოშორების, თავის შემსუბუქების, გათავისუფლების, გაუბრალოების იმთავითვე არსებული ტენდენციის მიმართ. ჰიგიენური დასაბუთების შემთხვევაში ყოველგვარი იდეოლოგიური შარი გამოდგება. უეჭველია, თუ ერთ მშვენიერ დღეს ავადმყოფთა აღგვას ფართო მასშტაბით შეუდგებიან, სიცოცხლისუნაროთა და გონებასუსტთა ხოცვას, მაშინ ამასაც ხალხისა და რასის ჰიგიენური ინტერესებით დაასაბუთებენ, სინამდვილეში კი — ამას სულაც არ უარყოფდნენ, პირიქით, გახაზავდნენ კიდეც — გაცილებით ღრმა გარდაქმნები ექნებათ მხედველობაში: ჰუმანურ სილბოზე მთლიანად ხელის აღება, ბურჟუაზიული ეპოქის პროდუქტი რომ გახლდათ; კაცობრიობის ინსტინქტური თვითმომზადება ჰუმანიზმის აბუჩად ამგდები, მკაცრი და პირქუში დროებისათვის, ყოვლისმომცველი ომებისა და რევოლუციების ხანისათვის, რომელიც ალბათ კაცობრიობას ბევრად უკან დაახევინებს, შავნელ ეპოქაში გადაისვრის, რომელიც წინ უძღოდა შუა საუკუნეების ქრისტიანული ცივილიზაციის ჩამოყალიბებას და ანტიკური კულტურის დაღუპვას მოჰყვა...

ვინმე დამიჯერებს, რომ ამნაირი ახალი ამბების გადამუშავების შედეგად კაცმა შეიძლება თოთხმეტი გირვანქა დაიკლოს? მე უთუოდ არ დავიკლებდი, კრიდვისთან გამართულ პაექრობათა შედეგები რომ არ მერწმუნა და დამესკვნა: ეს ბატონები სისულელეს ლაყბობენ-მეთქი. მაგრამ ასეთი რამ არა და არ მიფიქრია. პირიქით, ერთი წამითაც არ მაინწყებოდა, რომ ისინი სანაქებო გამჭრიახობით აყურადებდნენ დროების მაჯისცემას და ამის მიხედვით მყობადს წინასწარმეტყველებდნენ. ოღონდ — განმეორებით უნდა მოგახსენოთ — უსაზღვროდ მადლიერი ვიქნებოდი მათი და ალბათ თოთხმეტი გირვანქას კი არა, მხოლოდ შვიდს დავიკლებდი, ცოტათი მაინც თვითონაც რომ შემკრთალიყვნენ მიღებული დასკვნებით და მათთვის რაიმე ზნეობრივი კრიტიკა დაეპირისპირებინათ, მათ შეეძლოთ ეთქვათ: საუბედუროდ, როგორც ჩანს, ასეთი და ასეთი ამბები მოგველის. მაშასადამე, უნდა ჩავერიოთ, ყველა გავაფრთხილოთ და ჩვენც, რაც ძალი და ღონე გვაქვს, ხელი შევუშალოთო. ისინი კი დაახლოებით ამდაგვარ რამეს ამბობდნენ: იწყება, მოდის და როცა უკვე აქ იქნება, ჩვენ თავს არ შევირცხვენთ. საინტერესო რამ ხდება, ასე გასინჯეთ, კარგიც კია — თუნდაც იმიტომ, რომ მყობადია, და მისი შეცნობა საკმაოდ დიდი მიღწევაც არის და სიამოვნებაც. მის წინააღმდეგ ამხედრება კი ჩვენი საქმე არ არისო. — ასე მსჯელობდნენ სწავლულები გუნებაში. მაგრამ შეცნობის სიხარულზე რა მოგახსენოთ: მატრებაზობა გახლდათ. ისინი სიმპათიით იყვნენ გამსჭვალულნი იმის მიმართ, რასაც შეიცნობდნენ და რასაც ამ სიმპათიის გარეშე ალბათ სულაც ვერ შეიცნობდნენ, აი ოინიც ეს იყო და ამის გამო ვიყავი სწორედ განანწყენებული და აღეღვებული, ამის გამო იყო, ამდენი რომ დავიკელი.

და მაინც ყოველივე, რასაც ვამბობ, სწორი არ არის. მარტო კრიდვისის წრეში ჩემი მოვალეობის მოხდის მაგვარი სიარულისა და იმ მოთხოვნების გამო, რომელთაც იქ ყოფნისას ნებაყოფლობით ვუყენებდი ჩემს თავს, არ გავხდებოდი, არც თოთხმეტი გირვანქას დავიკლებდი და არც ამის ნახევარს. ასე ახლოს არასოდეს არ მივიტანდი გულთან კრიდვისთან მრგვალი მაგიდის ირგვლივ მსაღმთა მიეთმოეთს, იგი ხელოვნებასა და მეგობრობასთან დაკავშირებული ერთი მხურვალე განცდის ცივ-ცივი ინტელექტუალური კომენტარი რომ არ გამომდგარიყო, — მე მინდა გითხრათ: ჩემთვის ახლობელი

ხელოვნების ნაწარმოების დაბადებასთან დაკავშირებულისა-მეთქი — ჩემთვის ახლობელი კი ეს ქმნილება მისი შემოქმედის გამო იყო და არა თავისთავად. არა, თავისთავად-მეთქი — ამას ვერ ვიტყვი, საამისოდ ბევრი რამ ისეთი ჰქონდა, რაც ჩემი სულისკვეთებისათვის უცხო იყო და მაკრთობდა, — ეს ნაწარმოები გამალებით იქმნებოდა, განმარტოებით, საოცრად მშობლიურ სოფლურ კუთხეში და კრიდვისთან განაგონი მას ძალზე თავისებურად შეესაბამებოდა სულიერად.

განა იქ, მრგვალ მაგიდასთან, არ დააყენეს დღის წესრიგში ტრადიციების კრიტიკა, როგორც ცხოვრების ფასეულობათა ნგრევის შედეგი, ამდენი ხანი რომ ურყევად ითვლებოდნენ. განა იქ არ დასძინეს ხაზგასმით — აღარ მახსოვს, სახელდობრ, ვინ, ბრაიზანერმა? უნრუემ? ჰოლცშუერმა? — რომ ეს კრიტიკა უცილობლად ხელოვნების უწინდელ ფორმებსაც და ჟანრებსაც გადასწვდებოდა, მაგალითად, ესთეტიკურ თეატრსაც, რომელიც ბიურგერული ყოფაცხოვრებისა და განათლების შემადგენელი ნაწილი გახლდათ? ჰოდა, აი, ჩემს თვალწინ ხდებოდა დრამატული ფორმების შეცვლა ეპიკური ფორმებით, მუსიკალური დრამა ორატორიად იქცეოდა, საოპერო დრამა — საოპერო კანტატად, თანაც ამ გარდაქმნის საფუძველს, მის მამოძრავებელ ნერვს წარმოადგენდა კონცეფცია, რომელიც ზედმიწევნით ემთხვეოდა მარციუსშტრასეზე ჩემს თანამოსაუბრეთა მიერ თანადროულ მსოფლიოში ინდივიდუუმისა და ყოველგვარი ინდივიდუალიზმის შესახებ გამოთქმულ უარყოფით დასკვნებს, ანუ კონცეფცია, რომელსაც უკვე აღარ აინტერესებდა ფსიქოლოგია, დაჟინებით მოითხოვდა ობიექტურობას და ისეთ ენას, აბსოლუტურს, დამაკავშირებელსა და დამავალდებულებელს რომ გამოხატავდა და, მაშასადამე, კლასიკურის წინადროინდელ მკაცრ ფორმათა სათნო ხუნდებს ამჯობინებდა. რაოდენ ხშირად გამხსენებია, როცა დაძაბული ვადევნებდი ხოლმე თვალყურს ადრიანის მუშაობას, ჩვენს მიერ ჯერ კიდევ სიყმანვილეში მისი მასწავლებლისაგან, სიტყვა-აუხვი ლიყიანისაგან განაგონი: „ჰარმონიულ სუბიექტურობასა“ და „პოლიფონიურ ობიექტურობას“ შორის წინააღმდეგობა არსებობსო. სფეროს ირგვლივ გზას, რომელზეც კრიდვისთან მიმდინარე მტანჯველად ჭკვიანურ პაექრობებში იყო ლაპარაკი, ამ გზას, სადაც რეგრესი და პროგრესი, ძველი და ახალი, წარსული და მომავალი ერთმანეთს ერწყმის, — აქ ვხედავდი განხორციელებულს სიახლით აღსავსე დაბრუნებით ხალასი მრავალხმიანობის უფრო შორეულ წარსულში, ვიდრე ბახის და ჰენდელის ჰარმონიული ხელოვნებაა.

მე შენახული მაქვს ერთი ბარათი, ადრიანმა იმხანად რომ მომწერა პფაიფერინგიდან ფრაიზინგში — მაშინ ქების საგალობელზე მუშაობით იყო გართული „დიდძალი ერისა, უშტისა და უშქარისა, ყოველთა წარმართთა და სხვადასხვა ენის ტომთა, მდგარისა წინაშე ამბიონისა და კრავისა“ (იხილე დიურერის მეშვიდე ფურცელი), — ბარათში ადრიანი მთხოვს წავიდე მასთან და ხელს ასე აწერს: „პეროტინუს მაგნუსი“, რაც მრავლისმეტყველი ხუმრობა გახლავთ, თვითგამასხარავეებითა და კვიმატობით აღსავსე გაიგივება, ვინაიდან ეს პეროტინუსი მეთორმეტე საუკუნეში საეკლესიო მუსიკის განმგებელი და მგალობელთა ლოტბარი იყო ნოტრ-დამში; კომპოზიციის დარგში მისმა მითითებებმა ხელი შეუწყვეს პოლიფონიის ნორჩი ხელოვნების განვითარებას. ამ გამარჯებულმა ხელმონერამ მაშინვე რიჰარდ ვაგნერის ანალოგიური ხუმრობა მომაგონა, „პარსიფალის“ პერიოდში ერთი წერილის ხელმონერას ტიტულიც რომ დაურთო: „ეკლესიის უფროსი მრჩეველი“. არახელოვანს მუდამ ცნობისმოყვარეობას უღვივებს საკითხი: რამდენად სერიოზულად ეკიდება ხელოვანი იმას, რაც მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და სერიოზული უნდა იყოს და რაც თითქოს ასეთი არის კიდევ; რამდენად სერიოზულია ეს ამბავი პირადად მისთვის და რა წილი უდევს ამაში თამაშს, თვალთმაქცობას, მაღალი რანგის კომედიანტობას. თუ ასეთი კითხვის დასმა გაუმართლებელია, მაშინ როგორ მოხდა, რომ მუსიკალური თეატრის კორიფემ უდღიადესი საზეიმო სულისკვეთებით ნაკურთხ ქმნილებაზე მუშაობისას თავის თავს ასეთი დამცინავი სახელი უწოდა? ადრიანის ხელმონერამაც ანალოგიური აზრები გამიჩინა; უფრო მეტიც, ჩემი კითხვები, ზრუნვა და დარდი კიდევ უფრო შორს მიდიოდა და გულის სიღრმეში ეჭვიც კი მეპარებოდა მეგობრის საქმიანობის კანონიერებაში; რამდენად ჰქონდა მას, როგორც თანამედროვე ადამიანს, უფლება ამ სფეროში ჩაყურყუმელავებულიყო და გაეცოცხლებინა იგი ყველაზე რადიკალური, ყველაზე დახვეწილი საშუალებებით; მოკლედ, ეს გახლდათ სიყვარულითა და შიშით აღსავსე დაეჭვება ესთეტიციზმში, მტანჯველზე მტანჯველი უნდობლობით რომ აანალიზებდა ჩემი მეგობრის სიტყვებს: ბურჟუაზიული კულტურის ანტაგონისტური შემცველი ბარბაროსობა კი არა, კოლექტივიზა.

აქ მე ვერ გამიგებენ ისინი, ვისაც ესთეტიციზმი და ბარბაროსობა ერთმანეთის მეზობლობაში არ აღუქვამს, ვისაც ესთეტიციზმი,

როგორც ბარბაროსობის გზის გამკვლევი, ჩემებრ საკუთარი სულითა და გულით არ განუცდია – ოღონდ მეც ჩემდა თავად როდი მიწვნივია ეს უბედურება, არამედ ჩემთვის ძვირფას და უდიდეს საფრთხეში მყოფ ზელოვანთან მეგობრობის მეშვეობით. საკულტო მუსიკის განახლებას საერო დროში თავისი საშიში მხარეები აქვს. იგი – ხომ მართალია? – ეკლესიის მიზნებს ემსახურებოდა, მაგრამ მანამდე ემსახურებოდა აგრეთვე ნაკლებად ცივილიზებულ, ექიმბაშურ, ჯადოქრულ მიზნებს, სახელდობრ, მე ვგულისხმობ იმ ეპოქას, როდესაც არამიწიერი სამსახურის განმგებელი, ქურუმი, ამასთანავე მკურნალიც იყო და მაგიკოსიც. განა შეიძლება იმის უარყოფა, რომ ეს კულტის კულტურამდელი, ბარბაროსული მდგომარეობა იყო? და გასაგებია თუ არა, რომ გვიანკულტურული განახლება კულტისეულისა, ატომიზირებულ საზოგადოებაში კოლექტივიზმს რომ ესწრაფვის, ისეთ საშუალებებს იყენებს, რომლებიც არა მხოლოდ ეკლესიის მიერ გაკეთილშობილებული კულტის სტადიას, არამედ მის პრიმიტიულ სტადიასაც განეკუთვნებიან? სწორედ უშუალოდ ამასთან არიან დაკავშირებულნი ის უსაშველო სიძნელენი, ლევერკუნის „აპოკალიფსის“ დასწავლისას და შესრულებისას რომ წარმოიქმნებიან ხოლმე. აქ არის ანსამბლები, რომლებიც დიქტორთა გუნდივით იწყება და მხოლოდ საფეხურების გავლით, საოცარ გადასვლათა გზით, უმდიდრეს ვოკალურ მუსიკად იქცევა, – გუნდივით-მეთქი, რომელიც ათასნაირად შეფერილი ჩურჩულის, ხმების მიხედვით განაწილებული მეტყველების, შემდეგ კი ნახევრად სიმღერის საფეხურთა გავლით ურთულეს პოლიფონიურ გალობაზე გადადიან. ამას თან ახლავს აკომპანემენტი, რომელიც უბრალო ჩქამებით, დაფდაფების მაგიურ-ფანატიკურ-ზანგური ყაიდაზე გრიალითა და გონგის მჭექარე ხმით იწყება და უნატიფეს მუსიკამდე მალღდება. ეს მრისხნანე ნაწარმოები მუსიკის საშუალებით ლამობს საბურველი ჩამოსხნას ყველაზე ფარულს, ადამიანში მხეციც აჩვენოს და ყველაზე ამაღლებული მისწრაფებანიც. ამიტომ მისთვის ხშირად დაუბრალებიათ სისხლიანი ბარბაროსობაცა და სისხლნაკლული ინტელექტუალურობაც! დაუბრალებიათ-მეთქი, ვამბობ, ვინაიდან მისი იდეა, რამდენადმე მაინც შეესრუტა მუსიკის ისტორია, დაწყებული მუსიკამდელი მაგიურ-რიტმული პირველყოფილი მდგომარეობით და დამთავრებული მუსიკის ურთულესი სრულყოფილებით, ასეთი ბრალდებისაგან დაუცველსა ხდის ნაწარმოებს არა მხოლოდ ცალკეულ ნაწილებში, არამედ მთლიანად აღებულსაც.

მინდა ერთი მაგალითი მოვიტანო, რომელიც ჩემს ჰუმანურ მფრთხალობაზე მუდამ განსაკუთრებულ შთაბეჭდილებას ახდენდა და მტრულად განწყობილ კრიტიკას დაცინვისა და გაკილვის საბაბს აძლევდა. მაგრამ ჯერ შემდეგი რამ უნდა მოგახსენოთ: ყველამ ვიცით, მუსიკის მიერ გადაჭრილი პირველი ამოცანა და ყველაზე ადრინდელი მონაპოვარი გახლდათ ის, რომ მან ბგერის დენატურალიზება მოახდინა, სიმღერა, რომელიც, როგორც ჩანს, თავდაპირველად პრეისტორიული ადამიანის ღმუილი გახლდათ და ხმოვანი სკალის მრავალ საფეხურზე დასრიალებდა, ერთ, ერთადერთ საფეხურს მიამაგრა და ქაოსიდან ბგერათა სისტემა გამოაცალკევა. რაღა თქმა უნდა, ბგერათა გარკვეული ეტალონებით უნიფიცირება-დალაგება გახლდათ წინა პირობაცა და პირველად სააშკარაოზე გამოვლაც იმისა, რასაც მუსიკას ვუნოდებთ. მის წიაღში, ასე ვთქვათ, ნატურალისტურ ატავიზმად, მუსიკამდელ დღეთა ბარბაროსულ ელემენტად შემორჩა სრიალა ბგერა, გლისანდო, – საშუალება, რასაც ღრმად ჩამარბული კულტურული მიზეზების გამო დიდი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ და რაშიც მე მუდამ ერთგვარ ანტიკულტურულ, ასე გასინჯეთ, ანტიჰუმანურ დემონიზმს აღვიქვამდი. ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ მხედველობაში მაქვს ლევერკიუნის მიერ გლისანდოს, რა თქმა უნდა, აკვიატებული არა, მაგრამ თვალში საცემად ხშირი გამოყენება, თუ სხვაგან არა, ყოველ შემთხვევაში ამ ნაწარმოებში მაინც, „აპოკალიფსში“ მაინც, რომლის საზარელი სურათები ამ ველური ხერხის გამოსაყენებლად დიახაც გაცდუნებენ კაცს და თანაც სრულიად კანონიერად. რა შემზარავად ჟღერს იმ ადგილას, სადაც საკურთხევლის ოთხი ხმა უბრძანებს სიკვდილის ოთხ ანგელოზს გამოცხადდნენ, რომლებიც ცელავენ ცხენსა და მხედარს, იმპერატორსა და პაპს და კაცობრიობის მესამედს, თემის წამყვან ტრომბონთა გლისანდოები – ეს დამანგრეველი სრიალი კულისებისა საკრავის შვიდ სხვადასხვა პოზიციას შორის! ღმუილი ვითარცა თემა – რა საშინელი რამაა! ახლა რა აკუსტიკურ პანიკას ქმნიან განმეორებითი გლისანდოები ლიტავრებისა – მუსიკალურსა თუ ხმაურის ეფექტს, რომელიც მიიღება გახურებულ დაკვრაში სამართავ ლიტავრათა ტონალობის სხვადასხვა საფეხურზე გადართვის გზით. მართლაც შეიძლება ადამიანი შეძრწუნდეს. მაგრამ ყველაზე თავზარდამცემი მაინც ადამიანის ხმისათვის „გლისანდოს“ მიყენებაა, – მუსიკალური მონესრიგების ამ პირველი ობიექტისათვის, რომელიც სხვადასხვა ტონალობის საფეხურებზე

გაბმული ღმუილის პირველყოფილი მდგომარეობიდან გამოთავისუფლებულ იქნა, ახლა კი უკან უბრუნდება ამ მდგომარეობას „აპოკალიფსის“ შემზარავ საგუნდო პასაჟებში მეშვიდე ბექედის მოხსნის, მზის გაშავების, სისხლმდინარე მთვარისა და მყვირალა ადამიანთა ხროვაში გადაბრუნებული ხომალდების შესახებ.

ნება მიბოძეთ, აქ ორიოდ სიტყვა დავსძინო ჩემი მეგობრის ნანარმოებში გუნდის გამოყენებაზე, ვოკალური ბირთვის აქამდე არნახულ გათქვეფაზე ჯგუფებად დანაწევრებული და ერთმანეთის გადამკვეთი პარტიების, ასე ვთქვათ, ხმაშენწყობილ გალობაში, დრამატულ დიალოგებსა და ცალკეულ შეძახილებში, რის კლასიკურად შორეულ პროტოტიპად ბრბოს საპასუხო შეძახილი „ბარაბა!“ გვევლინება ორატორიიდან „ქრისტეს ვნება მათეს მიხედვით“, „აპოკალიფსი“ უარს ამბობს საორკესტრო ინტერმედიებზე, სამაგიეროდ გუნდი არაერთხელ იქენს ორკესტრის მკვეთრად გამობატულ და გასაოცარ თვისებებს: მაგალითად, ქორალის ვარიაციებში, რომლებიც იმ 144 000 რჩეულის სიმღერას გადმოსცემენ, ცას რომ ავსებენ, — თან ქორალისა აქ მხროლოდ ის არის, რომ ოთხივე ხმა სულ ერთსა და იმავე რიტმს მისდევს, მაშინ როდესაც ორკესტრი უმდიდრეს კონტრასტულ რიტმებს ან ზედ ურთავს მას ან უპირისპირებს. ამ პიესის (და არა მხოლოდ ამ პიესის) უკიდურესი პოლიფონიური დაუხვეწაობა ხშირად გამხდარა დაცინვისა და გაკილვის საბაბი. მაგრამ, რას იზამ, ასეთია მისი ჩანაფიქრი და ასეთად უნდა მივიღოთ. მე, ყოველ შემთხვევაში, ასეთად ვიღებ, თუმცა დიდად კი ვკვირობ: მთელი ნანარმოები იმ პარადოქსით არის გამსჭვალული (თუკი ეს პარადოქსია), რომ აქ დისონანსი გამოიყენება ყოველივე ამაღლებულის, სერიოზულის, სათნოს, სულიერის გამოსახატავად, მაშინ როდესაც პარმონიული და ტონალური — ჯოჯოხეთის სამყაროსათვის, მაშასადამე, ამ კონტექსტში — ბანალობისა და სიმდაბლეთა სამყაროსათვის.

მაგრამ მე სხვა რამის თქმა მსურდა, მე მინდოდა მიმეთითებინა ფუნქციათა უცნაურ გაცვლაზე, რაც ხშირად ხდება „აპოკალიფსში“ ვოკალურ და ინსტრუმენტულ პარტიებს შორის. გუნდი და ორკესტრი ერთმანეთს გარკვევით კი არ არიან დაპირისპირებულნი, როგორც ადამიანური და ნივთიერი მონაცემები; ისინი ერთმანეთში არიან გათქვეფილნი: გუნდი იმდენად ინსტრუმენტირებულია, ხოლო ორკესტრი იმდენად ვოკალიზირებული, რომ ადამიანსა და ნივთს შორის არსებული საზღვარი მთლად ნაშლილი გგონიათ, რაც განგებ

არის გაკეთებული და ნანარმოების მხატვრულ მთლიანობას უთუოდ ხელს უწყობს, თუმცა თავისთავად – ჩემი გუნების კაცისათვის მაინც – რალაც შემაშფოთებელიც, სახიფათოც, ავბედითიც გააჩნია. გაგაცნობთ ორიოდე ცალკეულ წვრილმანს: ბაბილონელი მეძავის, მხეცზე ამხედრებული დიაცის ხმა, ვისთანაც ენეოდნენ სიძვას მიწიერნი მეფენი, სრულიად მოულოდნელად გრაციოზულზე გრაციოზული კოლორატურული სოპრანო აღმოჩნდება და მისი ვირტუოზული პასაჟები უამიდან უამზე ზედმიწევნით ნააგვანან ფლეიტისას და ორკესტრის ხმოვანებას ერწყმიან. მეორე მხრივ, ათასწიარად დახშული საყვირი vox humana-ს* როლში გამოდის, ამა-სავე იქმს ბევრ მცირე შედგენილობის „ნამცეცა“ ორკესტრში შემავალი საქსოფონიც ეშმაკთა სიმღერების, ჭაობის ბილნ ნაშიერთა როკვის თანხლებიას. ადრიანის კაეშნით აღსავსე სულში დამცინავი მიბაძვის უნარს ღრმად ჰქონდა ფესვები გადგმული და აქ ეს ხვავრიელად იჩენს თავს ნაირ-ნაირ მუსიკალურ სტილთა პაროდიაში, რითაც ჯოჯოხეთის უგვან ხორხოცს ასურათებს: ფრანგული იმპრესიონიზმის სასაცილომდე მიყვანილი ელემენტები, ბურჟუაზიული სალონური მუსიკა, ჩაიკოვსკი, მიუზიკ-ჰოლი, სინკოპები და ჯაზის რიტმული სალტო-მორტალეები – ეს ყოველივე ფერად-ფერადი სევადივით ციგლიგებს მთავარი ორკესტრის ფაქტურაზე, რომელიც სერიოზულად, პირქუშად, სოლიდურად, რადიკალური სიმკაცრით ამკვიდრებს ნანარმოების სულიერ რაობას.

მაგრამ განვავრობო! მე კიდევ იმდენი რამ მაქვს გულში უთქმელი ჩემი მეგობრის თითქმის უკვე გამხელილი ანდერძის შესახებ, და მგონი, ყველაფერს აჯობებს შემდგომაც ჩემი შენიშვნები საყვედურის პოზიციიდან ჩამოვაცალიბო, რომლის ახსნაც შეიძლება, ამაზე ყაბულსა ვარ, მაგრამ უმალ ენას მოვიკვნეტ, ვიდრე მის სამართლიანობას ვალიარებდე – ბარბაროსობაში დადანაშაულებას, რაც იმან გამოიწვია, რომ ამ ნანარმოებს უძველესის უახლესთან გაერთიანება ახასიათებს, ოღონდ ეს გაერთიანება თვითნებურად კი არ ხდება, არამედ ნივთთა ბუნებაშია მოქცეული. იგი ემყარება, მე ვიტყვოდი, სამყაროს ჩარხის ტრიალს, რაიც გვიანდელში ადრინდელს იმეორებს. ასე, მაგალითად, ძველმა მუსიკამ, რიტმი რა იყო, არ იცოდა, შემდგომი გაგებით. სიმღერის მეტრიკა მეტყველების

*ადამიანის ხმის (ლათ.).

კანონების მიხედვით იყო აგებული, იგი კი არ მიმდინარეობდა ტაქტიკურად და პერიოდებად დანაწევრებულ დროის მონაკვეთში, არამედ უფრო თავისუფალი დეკლამაციის სულისკვეთებას ემორჩილებოდა. ხოლო როგორ არის რიტმის საქმე ჩვენს უახლეს მუსიკაში? განა ისიც არ მიუახლოვდა სამეტყველო ინტონაციას? განა არ დაიშალა ცვალებადი ზემოძრობით? უკვე ბეთჰოვენთან მოიპოვება ფრაზები, რომლებიც რიტმული სილალით მყობადს გვაგრძნობინებენ. ლევერკიუნს აღარაფერი უკლია, რომ თვით ტაქტიკურად დაყოფაც კი გააუქმოს. ამას იგი არ იქმს, არ იქმს ირონიულ-კონსერვატიულ ყაიდაზე. მაგრამ სიმეტრიის დაუცველად, მარტოდენ სამეტყველო მახვილებს შეგუებული რიტმი ფაქტობრივად ტაქტიკური ტაქტიკა იცვლება. მე წარუშლელ შთაბეჭდილებებზე მოგახსენებდით. ზოგი ისეთია, რომ გონებისათვის თითქოს შეუმჩნევლად სულის სიღრმეში რჩება და არაცნობიერ, მაგრამ არსებით ზემოქმედებას ახდენს. ჰოდა, ზატეხაცა და გულარხეინ-თვითნებური მუსიკალური საქმიანობაც იმ ოკეანისგალმელი ობროდისა, რომელზეც მეორე ობროდმა, ადრიანის მასწავლებელმა, გვიამბო ყმანვილობისას, ხოლო შინ დაბრუნებისას კი ჩემმა ამხანაგმა ქედმაღლური მოწონებით მოიხსენია, — ამ იოჰან კონრად ბაისელის ისტორიაც ერთ-ერთი ასეთი შთაბეჭდილება გახლდათ. რა დასამალია, რომ მე უკვე დიდი ხანია და თანაც სისტემატურად მაგონდება ხოლმე პედანტი მასწავლებელი და ვოკალური ხელოვნების ნოვატორი ოკეანის მიღმა ევფრატიდან? მთელი სამყარო ძევს მის შიამიტურ-თამამ პედაგოგიკასა და ლევერკიუნის ნაწარმოებს შორის, რომელშიც მუსიკალური ერუდიცია, ტექნიკა და ინტელექტი უზენაეს საფეხურზეა, და მაინც ჩემთვის, საქმეში ჩახედული მეგობრისათვის, „მთავარი და დამხმარე ბგერებისა“ და მუსიკალურ-ჰიმნური დეკლამაციის აღმომჩენის სული ამ ქმნილებაში აჩრდილივით რიალებს.

ხელს ვუნყოფ კია ამ ინტიმური შენიშვნით ჩემთვის ესოდენ გულსატკეპნი საყვედურის ახსნას, რის ახსნასაც ისე ვცდილობ, რომ ერთი ბენვა დათმობაზეც არ მივდივარ, — საყვედურისა, რომელიც ბარბაროსობაში ადანაშაულებს ჩემს მეგობარს? იგი ხომ უფრო დაკავშირებულია იმ ყინულივით ცივი ყრუანტელის მომგვრელ მასობრივ მოდერნიზმთან, რისი გემოც ერთგვარად გაჰკრავს ამ რელიგიური ხილვის ამსახველ ნაწარმოებს, რომელშიც თეოლოგიური ელემენტი თითქმის მარტოდენ სასჯელითა და საშინელებანით შემოიფარგ-

ლება, — გემო გაჰკრავს stream-line-ისა*, თუ გავბედავთ და ამ შეუ-
 რაცხმყოფელ გამოთქმას ვიხმართ. ავიღოთ, მაგალითად, testis-ი,
 საშინელი ამბების მონმე და მთხრობელი, „მე, იოანეო“, რომ ამბობს,
 ქვესკნელის მხეცებს რომ აღწერს, ლომისა, ხბოსა, ადამიანისა და
 არწივისთავიანებს, — ეს პარტია ტრადიციულად ტენორს ეთმობა,
 მაგრამ ამჯერად კასტრაცივით წვრილი ხმის ტენორს, რომლის ცივი
 ყივილი და რეპორტიორის საქმიანი სტილი შემადრწუნებელ წინა-
 აღმდეგობაშია იმ კატასტროფათა შინაარსთან, თვითონ რომ იუნყ-
 ება. როცა 1926 წელს „ახალი მუსიკის საერთაშორისო საზოგადოე-
 ბის“ ზეიმზე მაინის ფრანკფურტში „აპოკალიფსი“ პირველად და
 ჯერჯერობით უკანასკნელადაც შესრულდა (კლემპერერის
 დირიჟორობით), ეს უაღრესად რთული პარტია ოსტატურად იმღერა
 საჭურისის ყაიდაზე ტენორმა ერბემ, ვისი გულში ჩამწვდომი
 მონოლოგები, მართლაც, როგორც „მსოფლიოს აღსასრულის უახ-
 ლესი რეპორტაჟი“ აღიქვებოდა. ეს ზედმინეწით შეესაბამებოდა
 ნანარმოების სულისკვეთებას, მომღერალმა დიდი ერუდიცია გამ-
 იჩინა. ანდა ავიღოთ მეორე მაგალითი — ტექნიკური სამარჯვის გამ-
 ოყენება თავზარის დასაცემად — რეპროდუქტორების ჩართვა (ისიც
 ორატორიაში), რაც კომპოზიტორს არაერთ ადგილას აქვს გათვალის-
 წინებული და, სხვა გზით რომ ვერ მიაღწევ, ისეთ სივრცობრივ-აკ-
 უსტიკურ საფეხურებს ქმნის: ხმის გამაძლიერებლებით ზოგი რამ
 წინ წამოიწევა, ზოგი რამ კიდევ უკან იხევს და ისე ისმის, როგორც
 შორეული გუნდი ან შორეული ორკესტრი. აქ უნდა ერთხელ კიდევ
 ვახსენო ჯაზის ძალზე ეპიზოდურად, მხოლოდ და მხოლოდ
 ჯოჯოხეთური ამბების გამოსახატავად გამოყენებული ბგერები და
 ალბათ მომიტყევენ, კაცს რომ ყურსა სჭრის, ისეთი ეპითეტის —
 streamlined-ის** ხმარება ნანარმოების მიმართ, რომელიც არსები-
 თად ინტელექტუალურ-ფსიქოლოგიური წყობით უფრო ახლოსა
 დგას „კაიზერსაშერნთან“, ვიდრე თანადროულ სულიერ ელეგანტო-
 ბასთან და რომლის არსსაც — გავბედავ და — სიძულვილის აფეთქე-
 ბას ვუნდებ.

უსულგულობა! მე დიახაც ვუნყი, რომ არსებითად ამას
 გულისხმობენ ისინი, ვისაც სიტყვა „ბარბარიზმი“ აკერია პირზე.
 ალუთქვამთ კია მათ ოდესმე, თუნდაც პარტიტურის კითხვის ფაშს

*რაციონალიზირებისა (ამერიკანიზმი).

**კარგად ანყობლის, რაციონალიზირებულის (ამერიკანიზმი).

ის ცალკეული ლირიკული პარტიები „აპოკალიფსისა“ – ან იქნებ მარტო მომენტები-მეთქი, უნდა ვთქვა? – საგალობლები კამერული ორკესტრის თანხლებით, რომელთაც ძალუძთ ჩემზე უფრო გულქვა ადამიანსაც ცრემლი მოჰგვარონ, ვინაიდან ეს სწორედ მხურვალე ვედრებანი გახლავთ სულისა გამო? დაე მომიტევონ ეს შესაძლოა, რამდენადმე უსაზმნო პოლემიკა, მაგრამ ბარბაროსობასა და უადამიანობას მე იმაში ვხედავ, სულის ამგვარ მონატრებას – ზღვის პანია ქალწულის ნატვრას – უსულგულობას რომ უწოდებენ!

ამას ქომაგობით გაცხარებული ვნერ და ახლა სხვა რამეც მახარებს: სიცილის პანდემონიუმის მოგონება, ჯოჯოხეთური სიცილისა, რაც „აპოკალიფსის“ პირველი ნაწილის მოკლე, მაგრამ ამაზრზენ ფინალს წარმოადგენს. მე მძულს, მიყვარს და მაშინებს იგი, ვინაიდან – მომიტევეთ ეს ერთობ პირადული „ვინაიდან“! – მუდამ მაშინებდა ხოლმე ადრიანისათვის დამახასიათებელი სიცილის მიდრეკილება, რითაც რიუდიგერ შილდენაპისაგან განსხვავებით სხვისთვის მხრის აბმა არა სჩვეოდა. ჰოდა, ანალოგიურ შიშს განვიცდი, ასევე მაკრთობს, მადარდიანებს და მთრგუნავს ეს ორმოცდაათ ტაქტზე გაჭიმული სიცილი, რომელიც ერთადერთი ხმის ხითხითით იწყება და ვრცელდება, გადაედება გუნდსა და ორკესტრს, რიტმული ჩავარდნებითა და დაპირისპირებებით საშინლად მძლავრდება, *tutti-fortissimo*-მდე აღწევს, დულს და გადმოდის, გეენის სარდონიკული ხორხოცი; ეს ჯოჯოხეთური ხარხარი, დამცინავი და მოხეიმე სიცილის ბათქი, შემადრწუნებლად შეზავებული ყვირილითა და წივილით, ნკმუტუნითა და კიკინით, ღრიალით, ღმუილით და ჭიხვინით.

მე ისე მეჯავრება, თუ განყენებულად ავიღებთ, ეს მთელ ნაწარმოებში თავისი ადგილით საგანგებოდ გამოყოფილი ეპიზოდი, ეს ქარბორბალასავით მოვარდნილი ხარხარი, ეს ჯოჯოხეთურად ჩაბჭირებული სიცილი, რომ ალბათ ჩემს თავს ვერ ვაიძულებდი აქ მის შესახებ ჩამომეგდო სიტყვა, სწორედ ამ ეპიზოდს რომ არ გაეცხადებინა ჩემთვის და ისიც მთლიანთან კავშირში და გულის წასვლამდე იჩქითად, მუსიკის შვიდბეჭდიანი საიდუმლო – იგივეობის საიდუმლო.

ვინაიდან ჯოჯოხეთურ სიცილს პირველი ნაწილის ფინალში აქვს თავისი საპირისპირო ელემენტიც – მართლაც რომ საუცხოო ბავშვთა გუნდი, რომელსაც არასრული ორკესტრი ახლავს და რომლითაც მაშინვე იწყება მეორე ნაწილი, – კოსმოსურ სფეროთა მუსიკა, ყინულივით ცივი, კამკამა და ბროლივით გამჭვირვალე,

თუმცა ოდნავ მჭახედ დისონანსური, მაგრამ ამასთანავე აღსავსე, მე ვიტყვოდი, მიუწვდომელ-არამინიერი და უცნაური ჟღერადობით, გულის უსასოო ლტოლვით მომწყლავი საამური ჰანგებით. და ამ პიესაში, თვით მტრულად განწყობილნიც რომ მოაჯადოვა, მოაღბო და განაცვიფრა, ის, ვისაც ყური გააჩნია, რომ გაიგონოს, და თვალი – რომ დაინახოს, კვლავ პოეზებს ეშმაკეული სიცილის მუსიკალურ სუბსტანციას! ადრიან ლევერკიუნი ყველგან დიადია ერთი და იმავის სხვადასხვანაირად წარმოსახვაში. ცნობილია, რარიგ ხელენიფებოდა მას პირველსავე გამოჰასხეებაში ფუგის თემის რიტორიკულად ისე მოდიფიცირება, რომ მიუხედავად თემატიკის ზედმინვენით შენარჩუნებისა, იგი გამეორებად აღარ აღიქვება. ასევე აქაც – ოლონდ ამასთან ეს ხელოვნება არსად ისეთი ღრმა, იდუმალებით მოცული და დიადი არ ყოფილა, როგორც აქ. ყოველი სიტყვა, რომელიც „გადასვლის“, გარდაქმნის იდეას გამოხატავს მისტიკური გაგებით, მაშასადამე, ფერისცვალებას, ტრანსფორმაციას, ტრანზიგურაციას, აქ დიახაც გამოდგება. თუმცა წინ გახშიანებული საშინელებანი ამ ენით აუნერელ ბავშვთა გუნდში მთლიანად ნირშეცვლილნი არიან, სახელდობრ, ხელახლა ინსტრუმენტირებულნი, და რიტმებიც სულ სხვაა, მაგრამ სფეროთა და ანგელოზთა მოკრიალე, მორაკრაკე მუსიკაში ერთი ნოტიც კი არ არის ისეთი, რომელიც ზუსტი შესაბამისობით ჯოჯოხეთურ სიცილში არ გვხვდებოდეს.

ეს არის ადრიან ლევერკიუნი, რაც არის. ეს გახლავთ მუსიკა, რომელსაც იგი წარმოადგენს! აქ შესაბამისობაში ღრმა აზრია ჩამარხული, ანგარიშია შვიდბეჭდიან საიდუმლოდ გადაქცეული! ასე მასწავლა მუსიკის გარჩევა ჩემმა ტანჯვით დალდასმულმა მეგობრობამ, თუმცა მე, ჩემი სადა ბუნების გამო, ჰანგთა სამყაროში ალბათ უფრო სხვა რამის დანახვას ვამჯობინებდი.

XXXV

ახალი ციფრი აწერია მონაკვეთს, რომელმაც ჩემი მეგობრის წრეში მომხდარი სამწუნხარო ამბავი, ნამდვილი ადამიანური კატასტროფა უნდა მოგვითხროს, – მაგრამ, ღმერთო ჩემო, ჩემს მიერ უკვე დაწერილიდან რომელი წინადადება, რომელი სიტყვა არ არის კატასტროფით ქარცემული? განა ამითვე არ არის გაჟღენთილი ჩვენი ცხოვრების ატმოსფეროც? რომელი სიტყვა არ ათრთოლებულა აქ

იდუმალად, მსგავსად ხელისა, რომელსაც იგი გამოჰყავდა, იმ კატასტროფის ვიბრაციათაგან, რისკენაც ჩემი თხრობა მიისწრაფვის და ამასთანავე, რაც ახლა მსოფლიოს ემუქრება, ყოველ შემთხვევაში ჰუმანურ, ბიურგერულ სამყაროს მაინც?

ამჯერად ვლავარაკობ გარე სამყაროსათვის თითქმის შეუმჩნეველ, ინტიმურ ადამიანურ კატასტროფაზე, რასაც ბევრმა რამ შეუნყო ხელი: მამაკაცის სიმდაბლემ, ქალურმა სისუსტემ, ქალურმა სიამაყემ და პროფესიულმა ხელმოცარულობამ. ოცდაორი წელი გავიდა, რაც თითქმის ჩემს თვალწინ დაიღუპა კლარისა როდე, მსახიობი, და ინესისა, ასევე იოლად მოწყვლადი სულაერი ნყოფის პატრონისა. 1921-22 წლის ზამთრის სეზონის დამთავრების შემდეგ პფაიფერინგში ჩამოვიდა დედამისთან და თავზეხელაღებული აჩქარებით, ისე რომ მშობელი დედისთვისაც არ გაუნევიან ანგარიში, სიცოცხლე მოისწრაფა შხამით, რომელიც კარგა ხანია მომარაგებული ჰქონდა იმ შემთხვევისთვის, თუ მისი სიამაყე მუხთალ ნუთისოფელს ვერ გაუძლებდა.

მე მინდა აქ ორიოდ სიტყვით გაამბოთ ის ამბები, რომელთაც ქალიშვილი აიძულეს ყველა ჩვენგანისათვის დიდად საწყენი და საშინელი, მაგრამ არსებითად არცთუ გასაკიცხი რამ ჩაედინა, და ამ აქტის თანმხლები გარემოებანიც. მე უკვე მოგასხენეთ: კლარისას მიუნჰენელი მასწავლებელი მართალზე მართალი გამოდგა, დედამისს რომ აფრთხილებდა და ეჭვებს გამოთქვამდა, წლების მანძილზე ქალიშვილმა მივარდნილ პროვინციულ სცენებს თავი ვერ დააღწია, უფრო თვალსაჩინო, უფრო ღირსეულ ასპარეზზე ვერა და ვერ მოხვდა. ელბინგიდან (აღმოსავლეთი პრუსია) მან ბადენის პფორცჰაიმში გადაინაცვლა — ესე იგი წინ არ წასულა, ან თითქმის არ წასულა; ქვეყნის დიდი თეატრები მას ვერ ამჩნევდნენ, რადგან წარმატებას ვერ აღწევდა, ყოველ შემთხვევაში რიგიან წარმატებას ვერა, სრულიად მარტივი, მაგრამ იმისთვის, ვისაც ეს შეეხება, ესოდენ ძნელად გასაგები მიზეზის გამო: ქალიშვილის თანდაყოლილი ნიჭი მის პატივმოყვარეობას არ შეესაბამებოდა, ძარღვებში ჭეშმარიტი მსახიობის სისხლი არ უჩქეფდა და ჭირვეული ბრბოს გრძნობასა და გონებას ვერ ატყვევებდა. პრიმიტიული უშუალობა აკლდა, რაც გადაამწყვეტია, კაცმა რომ თქვას, ყოველგვარ ხელოვნებაში, განსაკუთრებით კი მსახიობისაში, — გინდათ პატივისა სდებდეს ეს ხელოვნებას და კერძოდ კი თეატრალურ ხელოვნებას და გინდათ პატივისა ჰყრიდეს.

ამას კიდევ სხვა რამ დაერთო კლარისას ცხოვრების ასანენად. იგი, როგორც დიდი ხანია სინანულით შევნიშნე, სცენასა და ცხოვრებას რიგინად ერთმანეთისაგან ვერ მიჯნავდა, თავი მოჰქონდა მსახიობობით, თეატრის გარეთაც მუდამ გახაზავდა, რომ მსახიობი გახლდათ, ალბათ იმიტომ, რომ ნამდვილი მსახიობი არასოდეს არ ყოფილა; ამ ხელოვნების გარეგნულ-პირადული ხასიათი აიძულებდა მას ცხოვრებაშიც ექსტრავაგანტურად მორთულ-მოკაზმულს ევლო, ფერუმარილნასმულს, ნაირ-ნაირი ვარცხნილობითა და დეკორატიული შლაპებით დამშვენებულს. ეს არაფრის მაქნისი და ხშირად არასწორად გაგებული თვითინსცენირება კეთილად განწყობილებზე გამაოგნებლად, ბიურგერებზე — გამომწვევად მოქმედებდა, ხოლო მამაკაცთა ავზორცობას აქეზებდა; თანაც რაიმე წინასწარი განზრახვის გარეშე, და სრულიად მცდარ შთაბეჭდილებას ტოვებდა, ვინაიდან კლარისა, მეტი რომ არ შეიძლება, ისეთი დამცინავი და მიუკარებელი, ცივი, უმანკო და კეთილშობილი არსება იყო, — დაე თუნდაც ეს ირონიული ქედმაღლობის ჯავშანი საკუთარი დიაცური გულის ნადილისაგან თავის დასაცავი საშუალებაც ყოფილიყო. ქალური ტემპერამენტი მას ინეს ინსტიტორისის ჭეშმარიტ დად წარმოაჩენდა — რუდი შევერტფეგერის სატრფოს, ან უფრო სწორად, ყოფილი სატრფოს ჭეშმარიტ დად.

ასე იყო თუ ისე, იმ კარგად შენახული სამოცი წლის მოხუცის შემდეგ, საყვარლად რომ სურდა გაეხადა კლარისა, ქალიშვილმა კიდევ რამდენიმე თაყვანისმცემელი გაისტუმრა პირში ჩალაგამოვლებული, მათ შორის ერთი-ორი ისეთიც, ვისაც საზოგადოებრივ აზრზე ზეგავლენის მოხდენა ხელენიფებოდა და შეეძლო კლარისას ამ მხრივ ძალზე გამოსდგომოდა, ახლა კი, მარცხის შემდეგ, რალა თქმა უნდა, შურს იძიებდა და მის სასცენო მოღვაწეობას გესლიანი დაცივნით აბიპრუებდა. ბოლოს და ბოლოს ქალიშვილს ბედი გაეხსნა, მაგრამ ისე, რომ მის მანამდელ წუნიაობას თავს ლაფი დაასხა: თავს ლაფი დაასხა-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ მისი ქალიშვილობის მიმტაცებელი ოდნავადაც არ იმსახურებდა ამ გამარჯვებას და არც თვითონ კლარისას არ მიაჩნდა თავის ღირსად. ეს გახლდათ ქალების მუსუსი, ფსევდოდემონური წამახვილებული წვერით შემკული, მარად კულისებში დაყუდებული პროვინციული ლომი, რომელიც პფორცჰაიმში ვექილის პრაქტიკას ეწეოდა, სისხლის სამართლის საქმეებში გამოდიოდა დამცველად, და ქალების გულის დასაპყრობად სხვა ისეთით არაფრით არ იყო აღჭურვილი, თუ არა იაფ-

ფასიანი კაცთმოძულებით, საუცხოო თეთრეულითა და შავბალნიანი ხელებით. ერთ საღამოს, სპექტაკლის შემდეგ, შესაძლოა, შეზარხოშებულიც, ენამწარე და კერპი, მაგრამ არსებითად კი გამოუცდელი და უმწეო ქალიშვილი დანებდა გაქეჩილ არშიყს, რამაც საშინლად გააგულისა და საკუთარ თავზე აამხედრა, რადგანაც ვინც შეაცდინა, მართალია, წამით გრძნობები აუმღვრია, მაგრამ შემდეგ სხვას აღარას განიცდიდა, სიძულვილის გარდა, ამ კაცის ტრიუმფმა რომ გაუღვიძა და შიგ ცოტაოდენი გაკვირვებაც რომ ერია: მე, კლარისა როდე, როგორ განაბა მახეშიო. მას შემდეგ გესლიანი სიანჩხლით იგერიებდა ხოლმე მის მოძალებას, ოღონდ თან ერთთავად იმის შიშში იყო, ხალხში ხმა არ დამიყაროს, საყვარლად მყავდაო, რითაც ის ჯვეელი ჯერ კიდევ მაშინ დაემუქრა.

ამ ამბებში იყო, რომ გატანჯული, გულგაცრუებული, დამცირებული ქალის წინაშე ხსნისა და რიგიანი ბიურგერული ცხოვრების პერსპექტივაც გადაიშალა. ის, ვინც ასეთ ცხოვრებას სთავაზობდა, გახლდათ ახალგაზრდა ელზასელი მრენველი, რომელიც საქმეების გამო დროდადრო პფორცჰაიმში ჩამოდიოდა. მან ერთ ხალხმრავალ წვეულებაზე გაიცნო ტანკენარი და დამცინავი ქერათმიანი ასული და თავდაკინწყებით შეუყვარდა. იმხანად რომ კლარისა უადგილოდ არ დარჩა და განმეორებით მიიწვიეს პფორცჰაიმის თეატრში, ოღონდ, რა თქმა უნდა, ისევ ნაკლებად სახარბიელო ეპიზოდური როლების შესასრულებლად, ამას ქალი უმადლოდა ერთი ხანში შესული კრიტიკოსის სიმპათიასა და ქომაგობას. ეს კაცი თვითონაც წერდა პიესებს, და თუმცა ნაკლებად სწამდა კლარისას სცენური მონოდებისა, მაგრამ მის ზოგად სულიერ მონაცემებსა და ადამიანურ ღირსებებს აფასებდა, რითაც საგრძნობლად და, ცოტა არ იყოს, უცნაურადაც აღემატებოდა კომედიანტთა ოინბაზი მოდგმისათვის ჩვეულებრივ დონეს. ვინ იცის, იქნებ უყვარდა კიდევ კლარისა, მაგრამ, მანამდე ხშირად ხელმოცარულსა და გულგატიხილს, ვაჟკაცობა აღარ ყოფნიდა გულის იღუმალ ძახილს აპკარად აპყოლოდა.

მას ასე, ახალი სეზონის დასაწყისისათვის კლარისა შეხვდა ყმანვილ კაცს, რომელმაც აღუთქვა: მცდარად არჩეული პროფესიის მარწუხებიდან გამოვიხსნი და მის ნაცვლად მშვიდობიან, მყუდრო, უზრუნველყოფილ ცხოვრებას გაზიარებ, თუ ცოლად გამომყვებით, ისიც, მართალია, ამჟამად უცხო, მაგრამ წარმომავლობით მაინც შენს მონათესავე ბიურგერულ წრეშიო. დაუფარავი სიხარულით, იმედითა

და მადლიერებით, ასე გასინჯეთ, სინაზით აღსავსემაც კი (რაც მადლიერების ნაყოფი გახლდათ) შეატყობინა წერილობით დასა და დედასაც, რომ ანრი ცოლად თხოულობდა და ის წინააღმდეგობანიც გააცნო, რასაც ვაჟის განზრახვა ჯერჯერობით აწყდებოდა მისიანებში. დაახლოებით იმავე ასაკისა, რაც მისი რჩეული, ოჯახის იმედი, დედის საყვარელი ვაჟიშვილი, ან უფრო სწორად, დედიკოს შვილი, მამის თანაშემწე საქმეში, ოჯახის წევრთა წინაშე თავის გადაწყვეტილებას, რა თქმა უნდა, მზურვალედ და მედგრად იცავდა, მაგრამ, ეტყობა, ეს მაინც არ კმაროდა მსახიობის, „ვაგაბუნდი“ და ისიც გერმანელი ქალის მიმართ ვაჟის ბურჟუაზიული კლანის ცრურწმენის ერთბაშად გასაქარწყლებლად. ანრის კარგად ესმოდა, რომ ახლობლები მის სინატიფესა და სისპეტაკეზე ზრუნავდნენ და ეშინოდათ თავი არ წაეგო. იოლი საქმე როდი გახლდათ მათთვის ჩაეგონებინა, რომ კლარისას მოყვანით წინდაუხედავ ნაბიჯს როდი დგამდა. ყველაფერს აჯობებდა, თუ თვითონ დარწმუნდებოდნენ ამაში, როცა მოსიყვარულე მშობლებს პირადად აახლებდა ქალს გასასინჯად, ეჭვიან დაძმასა და წუნია დეიდებ-მამიდებს. ამიტომ რამდენიმე კვირა მოანდომა ამ დარბაზობის მომზადებას, წერილობითაც და პფორცტაიმში ჩასვლისას კიდევ პირადად სისტემატურად ატყობინებდა შეყვარებულს საქმის მსვლელობას.

კლარისა დარწმუნებული იყო გამარჯვებაში. სოციალური წარმოშობით საქმროს არაფრით არ ჩამოუვარდებოდა. მხოლოდ პროფესიის გამოისობით ადგებოდა ჩრდილი. მაგრამ მსახიობობაზე ხომ ხელს იღებდა! ეს ანრის მფრთხალი ნათესაობისათვის პირადად შეხვედრისთანავე ნათელი შეიქნებოდა. წერილებში და ზეპირადაც, მიუნჰენში ყოფნისას, კლარისა თავის ოფიციალურ ნიშნობასა და მომავალზე უკვე როგორც გადაწყვეტილ ამბავზე ლაპარაკობდა. შემდეგ ყოველივე სულ სხვაგვარად წარმართა, ვიდრე ამ დეკლასირებულ, ხელოვნებისა და ინტელექტის სფეროში გადაჭრილ სენატორის ასულს ოცნებაში ესახებოდა; ჯერჯერობით კი ანრიზე გათხოვება მყუდრო ნავსაყუდელად და ბედნიერებად ეჩვენებოდა – ბიურგერულ ბედნიერებად, რომელიც, ეტყობა, უფრო მისაღებად მიაჩნდა უცხოური ყოფის მომხიბლაობისა და ახალი ეროვნული გარემოს ნყალობით, სადაც უნდა მოხვედრილიყო: ყურში ლამის უკვე თავისი მომავალი შვილების ფრანგულად ტიტინიც კი ჩაესმოდა.

მაგრამ ამ იმედების წინააღმდეგ მისი წარსულის აჩრდილი ალიმართა; სულელური, არაფრის მაქნისი, ყოვლად უღირსი, მაგრამ

თავხედური და უმოწყალო აწრდილი, ცინიკურად წარუხოცა სასოე-
ბა და საბრალლო არსება ჩიხში მოაქცია, სიცოცხლეზე ხელი ააღები-
ნა. ის სამართლის საქმეებში გაქეჩილი ახალგაზრდა, რომელსაც
კლარისა სისუსტის წამში დანებდა, შანტაჟს უწყობდა თავის ერთ-
ადერთი გამარჯვებით: ანრის და მის ახლობლებს შევატყობინებ,
შენთან რომ ვიცხოვრე, თუ განმეორებით არ ამისრულე გულის
წადილიო. იმის მიხედვით, რაც შემდგომ შევიტყვეთ, მკვლელსა და
მის მსხვერპლს შორის სასონარკვეთილებით აღსავსე სცენები იმა-
რთებოდა. ამაოდ ემუდარებოდა ყმანვილი ქალი — ბოლოს
მუხლმოყრილიც კი — შეებრალეზინა, დახსნოდა, ნუ აიძულებდა მშ-
ვიდობიანი ცხოვრება იმ კაცის ღალატით აენაზღაურებინა, ვისაც
უყვარდა და ვის სიყვარულსაც თვითონ იზიარებდა. სწორედ ამ აღი-
არებამ კიდევ უფრო გააბოროტა მტარვალი. მიუკიბ-მოუკიბავად
მოახსენა თავის მსხვერპლს: მართალია, შენი ახალი დათმობით სი-
მშვიდე მოიპოვე, მაგრამ მხოლოდ უახლოესი დროისათვის, სტრა-
სბურგს გასამგზავრებლად და ნიშნობისთვის. დახსნიოთ კი, არასოდ-
ეს არ დაგეხსნები და ისევ და ისევ, როცა კი მოვისურვებ, უნდა პატი-
ვი დამდო დუმილისათვის, რასაც იმწამსვე დავარღვევ, როგორც კი
უარს მეტყვიო. ქმრის მოღალატედ მოუნევედა ცხოვრება. ეს კი სამა-
რთლიანი სასჯელი იქნებოდა მისი ფილისტერობისათვის,
ბიურგერულ ცხოვრებაში მხდლურად მუცელზე ხოხვით შეძვრომას
რომ ლამობდა, როგორც იმ ვაჟბატონმა უთხრა ერთხელ. სოლო თუ
ეს ვერ მოხერხდებოდა და ქმარი იმ ჯეელის დაუხმარებლადაც შეი-
ტყობდა, მაშინ ქალს ის ყოვლის მომწესრიგებელი სამსალაღა დარჩ-
ებოდა, რომელსაც აი უკვე რამდენი ხანია დეკორატიულ ნივთში —
თავის ქალით შემკობილ წიგნში — ინახავდა. ამაოდ როდი ამაყობდა
კლარისა ამ ჰიპოკრატესეული სამკურნალო საშუალების ფლობითა
და ქედმაღლურად, ავბედითი დაცივნით ეკიდებოდა ცხოვრებას, —
ეს დაცივნა უფრო უხდებოდა მის ხასიათს, ვიდრე ცხოვრებასთან
ბურჟუაზული ზავის შეკვრა.

ჩემი აზრით, ის ჯეელი მარტო აღერსის გამოძალვას კი არ ცდი-
ლობდა, არამედ კლარისას სიცოცხლის მოსწრაფებასაც. ბოროტ
მწვალებელს მანიაკური პატივმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად
თავის ცხოვრების ჯაზე ქალის ცხედარიც სურდა ენახა; ეამებოდა,
თუკი ვინმე მოკვდებოდა, დაილუპებოდა, უშუალოდ მისი სიყვარუ-
ლით თუ არა, მისი მიზეზით მაინც. და ვაი, რომ კლარისამ მას ეს
სინარული მიანიჭა! მაგრამ სხვა აღარა დარჩენოდა, ყველაფერი ისე

მოენყო, ამას ვაღიარებ, ჩვენ ყველამ ვაღიარეთ. ერთხელ კიდევ დაჰყვა მის ნებას, რომ დრო მოეგო, და კიდევ უფრო მაგრად კი გაება მახეში. ალბათ ფიქრობდა, როცა ოჯახში მიმიღებენ, ანრის მივთხოვდები, რალაც გზასა და საშუალებას გამოვინახავ (მით უმეტეს, რომ უცხო სახელმწიფოს ვიქნები შეფარებული), რომ მოძალადეს წინააღმდეგობა გავუწიოო. აქამდე საქმე არ მისულა. ეტყობა, მისმა მტანჯველმა გადაწყვიტა გათხოვებაც არ ეცლია ქალისათვის. კლარისას საყვარლის ანონიმურმა წერილმა, მესამე პირში დანერქლმა, სტრასბურგელ ოჯახზე გასჭრა და თვითონ ანრიზედაც, მან კლარისას გადმოუგზავნა ტექსტი — თავის გასამართლებლად, თუკი ასეთი რამ შესაძლებელი იყო. თან საკუთარი ბარათიც დაურთო, რომელზეც ვერ იტყოდით, რომ ურყევი რწმენით გამსჭვალული შეყვარებულის მიერ იყო დანერქლი.

კლარისამ ეს დაზღვეული პაკეტი ჰფაიფერინგში მიიღო, სადაც პფორცტაიმის თეატრის სეზონის დახურვის შემდეგ ჩავიდა და ორიოდე კვირის გატარებას აპირებდა დედამისთან, ნაბლის ხეების მიღმა მდგარ სახლში. იმ დღეს, როგორც კი ისაუბმა, არაფერი უთქვამს, ისე წავიდა სასეირნოდ და შუადღე ოდნავ გადასული თუ იქნებოდა, სენატორის მეუღლემ დაინახა: მისი ქალიშვილი სწრაფი ნაბიჯით ბრუნდებოდა გასეირნებიდან. მარდად ჩაუარა სახლის წინ მდგარ დედას, სახეარეული და უაზროდ მომღიმარი თავის ოთახში შევარდა და შიგ ჩაიკეტა. კარის გასაღებმა ერთბაშად და ენერგიულად გაიჩხაკუნა. მოხუცმა ქალმა, უკვე ქალიშვილის ოთახის გვერდით, საკუთარ საძილე ოთახში მყოფმა, გაიგონა, როგორ ივლებდა პირსაბანთან კლარისა ყელში წყალს, — დღეს ჩვენ ვიცით, რომ ამას ყელში ტკივილის დასაამებლად სწადიოდა, საშინელმა მყავამ რომ ჩასწვა. მერე სიჩუმე ჩამოვარდა, რაც შემადრწუნებლად გაგრძელდა და თვით მაშინაც არ დარღვეულა, როცა — დაახლოებით ოცი წუთის შემდეგ — სენატორის მეუღლემ კლარისას კარზე მიუკაკუნა და დაუძახა კიდევ, მაგრამ ამაოდ. დედამ ბარე ბევრჯერ გაიმეორა კაკუნიცა და ძახილიც, მაგრამ პასუხი არ მიუღია, შეშინებული ქალი, რომელიც უკვე აღარ დაგიდევდათ, რომ ურჩი თმა შუბლზე ჩამოშლოდა და კბილიც აკლდა, დიდ შენობაში მიიჭრა და გულამომჯდარმა შეატყობინა ეს ამბავი ფრაუ შვაგიეშტილს. მრავლის მომსწრე ფრაუც მაშინვე გაჰყვა და თან მოჯამაგირეც წაიყოლია, რომელმაც ქალების მრავალგზისი ძახილისა და კაკუნის შემდეგ კარი შეამტვრია. კლარისა თვალებლია ინვა სანოლის ბოლოში მდგარ

დივანზე, სამოცდაათიანი თუ ოთხმოციანი წლების დგამზე, რომელსაც საზურგეც ჰქონდა და აქეთ-იქით სახელურებიც და რომელსაც ჯერ კადევ რამბერგმტრასედან ვიცნობდი. აქეთ გამომურებულიყო საწყალი, როცა ყელში წყლის გამოვლებისას სიკვდილის მოახლოება ეგრძნო.

— აქ ალბათ უკვე ვეღარაფერს ვერ გავანყობთ, ძვირფასო ქალბატონო სენატორის მეუღლე, — დასძინა ფრაუ შვაიგეშტილმა თავის ქნევით და თან ლოყაზე თითი შემოიდო ნახევრად მწოლიარე გვამის დანახვაზე. ვაი, რომ ამ ერთობ დამარწმუნებელი სანახაობის ხილვა მეც მომიხდა: გვიან საღამოს დიასახლისმა ტელეფონით მამცნო, რა უბედურებაც დატრიალდა; სასწრაფოდ ჩავედი ფრაიზინგიდან, ვითარცა ოჯახის ძველი მეგობარი, აღელვებული გადავევხვიე აქვითინებულ დედას ნუგეშის საცემად და მასთან ერთად, ელზე შვაიგეშტილსა და ადრიანთან ერთად, რომელიც აგრეთვე გადმოვიდა მათთან, ცხედართან დავდექი. მუქი ლურჯი ტალეები კლარისას ლამაზ ხელებსა და სახეზე მოწმობდა, რომ სიკვდილი სწრაფად გაგუდვამ გამოიწვია, სუნთქვის ცენტრის ანაზღეულმა დამბლამ, ციანმუავას ისეთი დოზის მიღების გამო, რაც ალბათ ჯარისკაცთა მთელი ასეულის დასახოცადაც იკმარებდა. მაგიდაზე უკვე ხსენებული ბრინჯაოს ჭურჭელი იდო, ძირმოხრახნილი და დაცლილი, წიგნის ფორმისა, ზედ ბერძნული ასოებით ჰიპოკრატეს სახელი ეწერა და თავის ქალით იყო შემკული; გვერდით კი — პატარა ბარათი, საქმროსთვის ფანქრით სახელდახლოდ მიწერილი, შემდეგი შინაარსისა:

„Je t'aime, Une fois je t'ai trompé mais je t'aime“*.

ყმანვილი კაცი ჩამოვიდა დაკრძალვაზე, რისი სამზადისიც მე დამეკისრა. უნუგეშოდ მწუხარე იყო, ან უფრო სწორად, „désolé“**, ეს კი, რასაკვირველია, სრულიად გაუმართლებლად, ისე მწვავედ არა ყლერს და ოდნავ გალანტურად შეფერილიც გახლავთ. მაგრამ იმას როდი ნიშნავს, რომ მის გულის ტკივილში ეჭვი მინდა შევიტანო, როცა შესძახა:

— აჰ, monsieur, მე ისე მიყვარდა, რომ ვაპატიებდი! ყოველივე კეთილად შეიძლებოდა დაგვირგვინებულიყო. Et maintenant — comme ça!***

*“მიყვარხარ, მხოლოდ ერთხელ გიღალატე, მაგრამ მიყვარხარ” (ფრანგ.).

**განანყენებულ-დამწუხრებული (ფრანგ.).

***ჰოდა, ასე კი მოხდა! (ფრანგ.).

დიას, „comme ça!“ ყოველივე მართლაც შეიძლება და სხვანაირად მომხდარიყო, ის რომ ესოდენ უნდილი შვილი არ ყოფილიყო დედიკოსი და კლარისას საიმედო ბურჯად გამოსდგომოდა.

იმ ღამეს ადრიანი, ფრაუ შვაიგეშტილი და მე – გლოვით გულგასენილი სენატორის მეუღლე ამ დროს შვილის უსულო ნეშტთან იჯდა – კლარისას გარდაცვალების შესახებ განცხადებას ჩავეკირკიტებდით, რომელიც მისი ახლობლების სახელით გამოქვეყნდებოდა და რაც შეიძლება ფაქიზად უნდა შეგვედგინა. ბოლოს ამგვარ ფორმულირებაზე შევთანხმდით: გარდაცვლილმა გულის მძიმე, უკურნებელი დაავადებისაგან განისვენაო. ეს განცხადება მიუნჰენელმა დეკანოზმა წაიკითხა, რომელსაც იმიტომ ვეახლე, რომ სენატორის მეუღლის დაჟინებული სურვილისამებრ საეკლესიო წესით დაკრძალვის უფლება ამელო. მაინცდამაინც დიპლომატიურად ვერ დავიწყე საქმე, რადგან მაშინვე გულუბრყვილოდ და ნდობით აღსავსემ თვითმკვლელობის ფაქტი გაფუშხილე: კლარისამ ნაძრახ სიცოცხლეს სიკვდილი ამჯობინა-მეთქი. გაფთქვინებულ სასულიერო პირს, ჭეშმარიტად ლუთერის ტიპის მღვდელმსახურს კი სწორედ ამის გაგონება არ სურდა. ვალიარებ, კარგა ხანი გავიდა, ვიდრე მივხვდებოდი, რომ თუმცა ეკლესიას ერთი მხრივ არ სურდა გულხელდაკრეფილის როლში გამოსულიყო, მეორე მხრივ – არც თანახმა არ იყო წესი აეგო თუნდაც ესოდენ უსასოო გარემოებაში მოხვედრილ, მაგრამ აღიარებული თვითმკვლელისათვის, – ერთი სიტყვით, ამ საქელუას უნდოდა მომეტყუებინა. ამიტომ მეც ისე უცერემონიოდ დავიხიე უკან, გაგეცინებოდათ: მთლად ნათელი სურათი არ არის, შეიძლება უბედური შემთხვევაც იყო, შეიძლება ერთი შუშა მეორეში აერიო, ასე ვარაუდობენ-მეთქი, და მივალწიე იმას, რომ ეკლესიის ჯიუტი მსახური – ნასიამოვნები, ჩემს წმინდა ფირმას ამოდენა მნიშვნელობას ანიჭებენო – დავიყოლიე.

დავკრძალეთ მიუნჰენში, „ტყის სასაფლაოზე“, როდეს ოჯახის ყველა მეგობრის თანდასწრებით. მოვიდა რუდი შვერტფეგერიც, ცინკიცა და შპენგლერიც, თვით შილდკნაპიც არ დაჰკლებია ცერემონიალს. გულწრფელად გლოვობდნენ, რადგან ყველას უყვარდა საბრალო დამცინავი და ამაყი კლარისა. ინეს ინსტიტორისს, თავიდან ფეხებამდე შავებში გამოწყობილს, ნაზი კისერი ცერად წინ გაეშვირა და დედამისის ნაცვლად, რომელიც ხალხში არ ჩნდებოდა, სამძიმარს სათუთად და ღირსეულად იღებდა. მისი დის ტრაგიკულად დამთავრებულ ცდაში, ხელახლა მოეწყო თავისი ცხოვრება, მე

ძალაუნებურად ინესის სვე-ბედის მიმართაც რაღაც ავის მომასწავებელ ნიშანს ვხედავდი. ისე კი, მასთან საუბრიდან ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ დას უფრო შურდა კლარისასი, ვიდრე გლოვობდა. ინესის მეუღლეს საქმე სულ უფრო და უფრო გვერდზე მისდოდა, გარკვეული წრეებისათვის სასურველი და მათ მიერვე გამოწვეული ფულის გაუფასურების გამო. ფუფუნების ჯებირი, ცხოვრებისაგან თავდაცვის საშუალება, ხელიდან გამოგეცლებიო, ემუქრებოდა შეშინებულ ქალს. უკვე ისიც საკითხავი იყო, შეძლებდნენ თუ არა ინგლისურ ბალთან მდიდრული ბინის შენარჩუნებას. რაც შეეხება რუდი შვერტფეგერს, მან თუმცა უკანასკნელი პატივი დასდო კლარისასს, თავის კეთილ მეგობარს, მაგრამ სასწრაფოდ წავიდა სასაფლაოდან, როგორც კი მის დას, უახლოეს ჭირისუფალს, სამძიმარი უთხრა, თანაც ისე ფორმალურად და მოკლედ, რომ მე ადრიაანს ვუთხარი კიდეც.

ეს ალბათ პირველად ნახა ინესმა შეყვარებული მას შემდეგ, რაც ვაჟი განშორდა და თანაც, ვშიშობ, საკმაოდ უხეშადაც განშორდა, რადგან „საამურად“ ამის ჩადენა შეუძლებელი ჩანდა, ისე სასონარკვეთილი ებლაუჭებოდა ქალი მასთან კავშირს. ახლა დის სამარესთან და თავისი ტანმორჩილი მეუღლის გვერდით ისე შესაბრალისად იდგა, რომ ყველასაგან მიტოვებული და საშინლად უბედური ჩანდა. ოღონდ ისიც უნდა ითქვას, რომ მის ირგვლივ რამდენიმე ქალსაც მოეყარა თავი, შემწეობის აღმოსაჩენად და სანუგეშებლად. ეს ბანოვანნი დაკრძალვას უფრო მისი ხათრით ესწრებოდნენ, ვიდრე კლარისასს ხსოვნის პატივსაცემად. ამ მცირერიცხოვან, მაგრამ მტკიცედ შედუღებულ ჯგუფში, ამხანაგობაში, დასში, ამ მეგობრულ წრეში, თუ კიდეც რა ვუნოდო, შედიოდა ეგზოტიკური ნატალია კნოტერიჰიცი, ინესის გულითადი მეგობარი, და აგრეთვე ქმარს გაცილებული, რუმინელ-ტრანსილვანიელი მწერალი ქალი, კომედიების ავტორი და ბეთჰოვენის სალონის დიასახლისი შვაბინგში; შემდეგ — კარის თეატრის მსახიობი ქალი როზა ცვიჩერი, სცენაზე სიფიცხით რომ გამოირჩეოდა, და კიდევ ერთი-ორი ასული, რომელთა საგანგებოდ მოხსენიება აქ ზედმეტად მიმარჩნია, მით უფრო, რომ მთლად დარწმუნებულ არა ვარ, აქტიური მონაწილენი იყვნენ თუ არა ამ კავშირისა.

ჯგუფის დულაბი გააღდათ — მკითხველი უკვე მომზადებულია ამის შესატყობად — მორფიუმი: მტკიცეზე მტკიცე შემაკონინებელი საშუალება, ვინაიდან ეს ქალბატონები არა მხოლოდ ამარაგებდნენ

ერთიმეორეს, როგორც კარგი ამფსონები, ამ შვების მომგვრელი და დამლუპველი სამსალით, არამედ მათ ზნეობრივადაც აერთიანებდათ ნაღვლიანი, მაგრამ ამასთანავე ნაზი და ურთიერთთაყვანისცემით აღსავსე სოლიდარობა, რაც ყოველთვის არსებობს ერთი და იმავე ჟინისა და სისუსტის მხვევალთა შორის. ჩვენს შემთხვევაში კიდევ ამ ცოდვილთ დამატებით ამჭიდროებდათ გარკვეული ფილოსოფია, ან უფრო სწორად, მაქსიმა, რომელიც ინეს ინსტიტორისისაგან მომდინარეობდა და რომლის გამართლებაშიც ხუთი თუ ექვსი მეგობარი ქალი თავგამოდებით ეხმარებოდა. ინესს, სახელდობრ, მიაჩნდა, რომ ტკივილი ადამიანს არ შეჰფერის, რომ ტანჯვა სამარცხვინო რამ არის. უფრო მეტიც, ფიზიკური ტკივილით ან სულიერი ტანჯვით გამოწვეული ყოველგვარი კონკრეტული და განკერძოებული დამცირებისაგან სრულიად დამოუკიდებლად თვითონ ცხოვრებაც თავისთავად, მყოფობა, როგორც ასეთი, ცხოველური არსებობა, წარმოადგენს უღელსა და დამამდაბლებელ საპალნეს. ამიტომ სხვა არა იქნება რა, თუ არა კეთილშობილური და საამაყო საქციელი, ადამიანის უფლებამოსილებისა და სულიერი მოწოდების ხორცშესხმის აქტი, თუ ამ უღელს ქედიდან ჩამოვიგდებთ, განვიტვირთებით, თავისუფლებას, სიმსუბუქეს, თითქოსდა უსხეულონი ვიყოთ, ისეთ შვებას მოვიპოვებთ იმ კურთხეული სითხის შემსხაუნებით, რომელიც სულს ტანჯვისაგან ააზატებს.

ეს ფილოსოფია განმაცხრობელი ჩვეულებით გამოწვეულ ზნეობრივ და ფიზიკურ ნგრევას რომ ურიგდებოდა, ამას, ეტყობა, მის კეთილშობილურობას აწერდნენ და ალბათ სწორედ იმის შეგნება, რომ ნაადრევი დაღუპვა ელოდათ, აიძულებდა ამფსონებს ესოდენ ნაზად, ასე გასინჯეთ, თაყვანისცემითაც კი მოპყრობოდნენ ერთმანეთს. უსიამოდ ვუჭვრეტდი მათ მოელვარე თვალებსა და აღგზნებულ მზერას, გულაჩუყებულ ხვევნა-კოცნას, როცა საზოგადოებაში ხვდებოდნენ ერთმანეთს. დიახ, ვალიარებ, რომ ვერ ვიტანდი ამ ურთიერთშელავათებსა და შენდობას, ვალიარებ არცთუ გაკვირვების გარეშე, ვინაიდან სხვა დროს სათნოების მცველისა და მკაცრი მსაჯულის როლი სრულებით არ მიზიდავს ხოლმე. შეიძლება მე ამ დაუძლეველ ანტიპათიას მიწერგავდა ცრუ სიამტკბილობა, სადამდეც მანკიერებას მივყავართ, ანდა, უფრო სწორად, რაც მის განუყრელ შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. თანაც ინესს გულში შვილებისადმი აბსოლუტურ გულგრილობასაც დანაშაულად ვუთვლიდი. ეს კი თუნდაც იქიდან ჩანდა, რომ სამსალას თავს

არ ანებებდა; ხოლო ხალხში რომ ვითომ ზედ დაჰკანკალებდა საგანგებოდ გამოპრანჭულ თეთრ გოგონებს, ფარისველობა გახლდათ. მოკლედ, ამ ქალმა თავი შემაჯავრა ყოველივე იმით, რის უფლებასაც თავის თავს აძლევდა, და თვითონაც დიახაც შენიშნა, რომ ზურგი ვაქციე და ეს უცნაური, ეშმაკური და ავი ღიმილით მაგრძნობინა, რომელმაც უწინდელი ინესი მომაგონა, ერთხელ მთელი ორი საათი რომ გამომიჭედა ყური თავისი განცდებისა და ვნებების მოყოლით.

აჰ, ნეტავი რა აღიმებდა! საცოდაობა იყო იმის ყურება, რა დაბლა დაეცა. ალბათ დიდ დოზებს იღებდა, რაც ცხოველმყოფელ ზემოქმედებას კი აღარ ახდენდა, არამედ ქალს ისეთ დღეში ავდებდა, რომ ხალხში ველარ ჩნდებოდა. ის ცვიჩერი კიდევე უფრო მგზნებარედ თამაშობდა სცენაზე სამსალის ზეგავლენით, ხოლო ნატალია კნოტერიჰი მისი ნყალობით კიდევე უფრო მომხიბლავი ჩანდა საზოგადოებაში, საბრალე ინესი კი ხშირად სადილად ნახევრად გონებადაკარგული გამოდიოდა, თვალები თითქოს შუშისა ჰქონდა, თავი უცანცარებდა და ისე მიუჯდებოდა მოციგლიგე სუფრას უფროსი ქალიშვილისა და შეჩქვიფებული, საქციელნამხდარი მუულლის გვერდით. ამას მინდა კიდევე ერთი რამ დაეუმატო: ორიოდე წლის შემდეგ ინესმა მძიმე დანაშაული ჩაიდინა, რამაც ყველას თავზარი დასცა და მის ბიურგერულ ყოფა-ცხოვრებას ბოლო მოუღო. მიუხედავად იმისა, რომ მეც ერთობ შემაძრწუნა მისმა დანაშაულმა, მაინც, როგორც ქველი მეგობარი, თითქმის სიამაყით აღვივსე, არა, თითქმის კი არა, მთელი სულითა და გულით სიამაყით აღვივსე იმის გამო, რომ ასე დაცემულსაც საკმაო ძალა და ველური ენერგია აღმოაჩნდა სამოქმედოდ.

XXXVI

ო, გერმანიავე, იღუპები და მე კი შენი იმედები მახსენდება! მე იმ იმედებს ვგულისხმობ, რომელთაც შეიძლება შენდათავად არც იზიარებდი, მაგრამ მსოფლიოს კი უღვიძებდი შენი პირველი, შედარებით იოლი დაცემისა და იმპერიის კრახის შემდგომ, და რომელთაც ორიოდე წელს თითქოს რამდენადმე მაინც ამართლებდი, შენი აღვირახსნილი საქციელის, შენი სიდუხჭირის მართლაც შლეგური სასონარკვეთილებითა და დემონსტრაციული გაშმაგებით გაბერვის

მიუხედავად, ღირებულებათა ინფლაციის ზარხოშიანად ცამდე ავარდნილი სკალის მიუხედავად.

მართალია, მსოფლიოს აბუჩად ამგდები და მსოფლიოს საფრთხობელად ჩაფიქრებულ მაშინდელ ფანტასტიკურ სისაძაგლეს უკვე ბევრი რამ ეცხო იმ საშინელი შეუსაბამობისა, ექსცენტრულობისა, ყოველთვის შეუძლებლად მიჩნეულისა, ჩვენი მოქმედების გაავებული სანკიულოტიზმისა, რაც 1933 წლიდან დაიწყო და 1939 წლიდან კი მით უფრო გაჩაღდა, მაგრამ ერთ დღესაც მილიარდობით ქალაღდის ფულის – სიღატაკის ამ ფუფუნების – ტკიცინს ბოლო მოელო, ჩვენი სამეურნეო ცხოვრების საშინლად დამანჭულ სახეს გონივრული გამომეტყველება დაუბრუნდა და ჩვენს წინაშე, გერმანელების წინაშე, თითქოსდა სულიერი ვანცხრომისა, საზოგადოებრივი პროგრესის, მშვიდობიანსა და თავისუფალ გარემოში მომწინფებული და მყობადისთვის გამიზნული კულტურული საქმიანობის, მსოფლიო ნორმებთან ჩვენი გრძნობა-გონების შეგუების ეპოქამ ირიურაჟა. ეჭვს გარეშეა, ეს გახლდათ გერმანიის რესპუბლიკის დედააზრი და სასოება, თანდაყოლილი სისუსტისა და საკუთარი თავის მიმართ ანტიპათიის მიუხედავად, – მე ისევ იმ იმედს ვგულისხმობ, რომელსაც იგი უცხოელთ უღვიძებდა. გერმანიის რესპუბლიკა იყო ცდა, თანაც არცთუ მთლად უპერსპექტივო (ეს უკვე მეორე, გაერთიანების მიზნით ბისმარკის მიერ მოწყობილი და მარცხით დამთავრებული ფანდის შემდეგ) გერმანიის ნორმალიზირებისა, მისი ევროპიზაციისა ანდა „დემოკრატიზაციისა“ კი, სულიერად კაცობრიობის საზოგადოებრივ ცხოვრებაში მისი ჩართვისა. ვის შეუძლია ამტკიცოს, რომ სხვა ქვეყნებში არ სჯეროდათ ამ პროცესის განხორციელებადობისა, და ვინ გახდის სადავოდ, რომ ამ მიმართულებით ჩვენში, გერმანიაში, მართლაც ყველგან შეინიშნებოდა, – გლუხური დამყაყებულობის გამოკლებით, – დიახაც იმედის აღმძვრელი მოძრაობა?

მე ვლაპარაკობ ჩვენი საუკუნის ოციან წლებზე, განსაკუთრებით კი, რასაკვირველია, მათ მეორე ნახევარზე, რასაც კულტურის კერის საფრანგეთიდან გერმანიაში სერიოზული გადმონაცვლება მოჰყვა და რისთვისაც უალრესად დამახასიათებელი იყო ის ამბავი, რომ ამ დროს, როგორც ერთხელ უკვე ვთქვი, პირველად შესრულდა, ან უფრო ზუსტად, პირველად მთლიანად შესრულდა ადრიან ლევერკიუნის აპოკალიფსური ორატორია. და, რაღა თქმა უნდა, თუმცა ეს ფრანკფურტში მოხდა, იმპერიის ერთ-ერთ ყველაზე კეთილმოწყო-

ბილსა და თავისუფლად მოაზროვნე ქალაქში, მაინც პრემიერამ ისე ვერ ჩაიარა, რომ გაანჩხლებით არ დასხმოდნენ თავს, ავტორისთვის არ ესაყვედურებინათ ხელოვნების აბუჩად აგდება, ნიჰილიზმი, მუსიკალური ბოროტმოქმედება ანდა, თუ იმ დროს ყველაზე გავრცელებულ სალანძღავ სიტყვას ვინმართ, „კულტურობოლშევიზმი“. მაგრამ ნანარმოებმაც და მისმა თამამმა შესრულებამაც ჭკვიანი ქომაგებიც შესძინეს, რომელთაც სიტყვა უჭრიდათ, და ეს კეთილი ნება, 1927 წლისთვის კაცთმოყვარეობასა და თავისუფლებისმოყვარეობაში ზენიტს რომ მიაღწია, მიუნჰენში დამკვიდრებული ვაგნერული ნაციონალ-რომანტიკული რეაქციის ეს საპირისპირო ნაკადი უთუოდ ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების მნიშვნელოვან ელემენტს შეადგენდა ჯერ კიდევ ოციანი წლების პირველ ნახევარში. ამასთან დაკავშირებით მე მაგონდება ისეთი კულტურული ღონისძიებანი, როგორიცაა ვაიმარში ოც წელს გამართული „კომპოზიტორთა ზეიმი“, ხოლო მომდევნო წელს პირველი „მუსიკალური ზეიმი“ დონაუეშინგენში. ორივეჯერ – სამწუხაროდ, კომპოზიტორის დაუსწრებლად – არცთუ აქემის უნარს მოკლებულ და, მე ვიტყვოდი, ხელოვნებაში „რესპუბლიკურად“ განწყობილ დამსწრეთა წინაშე ახლებური განსულიერებული მუსიკალური სტილის სხვა ნიმუშებთან ერთად ლევერკიუნის ნანარმოებებიც შეასრულეს: ვაიმარში „კოსმოსური სიმფონია“, რიტმის თვალსაზრისით განსაკუთრებით სანდო ბრუნო ვალტერის დირიჟორობით, ხოლო ბადენის ზეიმზე ჰანს პლატნერის სახელგანთქმული თოჯინების თეატრის გამოსვლასთან დაკავშირებით – „Gesta Romanorum“-ის ხუთივე პიესა, მანამდე გაუგონარი სიმწვავეთ მსმენელთ რომ ხან სათნო მოკრძალებას უღვიძებდა და ხანაც მკრეხელურ სიცილსა ჰგვრიდა.

მინდა აგრეთვე გავიხსენო ის ღვაწლი, რომელიც გერმანელ ხელოვანთ და ხელოვნების მოყვარულთ მიუძღვით „ახალი მუსიკის ინტერნაციონალური საზოგადოების“ დაარსებაში ოცდაორ წელს, და ამ გაერთიანების მიერ ორი წლის შემდგომ გამართული კონცერტები პრალაში, სადაც მუსიკის მიმდევარი ყველა ქვეყნიდან ჩამოსული სახელოვანი სტუმრებისა და უამრავი ადგილობრივი მსმენელის თანდასწრებით უკვე აჟღერდა ადრიანის „Apocalipsis cum figuris“-ის საგუნდო და საინსტრუმენტო ფრაგმენტები. ეს ნანარმოები მაშინ ის-ის იყო გამოქვეყნდა, სახელდობრ, მაინცში კი არა, შოტთან, როგორც ლევერკიუნის მანამდელი კომპოზიციები, არამედ ვენის „უნივერსალურ გამომცემლობაში“, რომლის ჯერაც ახალგაზრდა,

ჯერ მხოლოდ ოცდაათ წელს მიტანებული დირექტორი, მაგრამ ცენტრალური ევროპის მუსიკალურ ცხოვრებაში უკვე მნიშვნელოვანი პიროვნება, დირექტორი ედელმანი, ერთ მშვენიერ დღეს, კერძოდ კი იმ პერიოდში, როცა „აპოკალიფსი“ ჯერ დამთავრებული არ იყო (როცა მისი ავტორი რამდენიმე კვირა ვერ მუშაობდა ავადმყოფობის ანაზღაურის რეციდივის გამო), მოულოდნელად პუბლიცისტი გახდა და ფრაუ შვაიგეშტილის მდგმურს თავისი გამომცემლობის სამსახური შესთავაზა. მისი ვიზიტი დიასაც გასაგებ კავშირში გახლდათ ადრიანის შემოქმედებისადმი მიძღვნილ სტატიასთან, რომელიც დიდი ხანი არ იყო, რაც ვენის რადიკალურ-პროგრამულ სამუსიკო ჟურნალ „გარიჟრაჟში“ დაიბეჭდა და უნგრელ მუსიკათმცოდნესა და კულტურფილოსოფოსს დეზიდერაუს ფეჰერს ეკუთვნოდა. ფეჰერი გულითადად ლაპარაკობდა ლევერკიუნზე და კულტურულ მსოფლიოს მიუთითებდა მისი მუსიკის ინტელექტუალურ სიმაღლესა და რელიგიურ შინაარსზე, სიამაყესა და უსასობაზე, მკრეხელურსა და ჭეშმარიტ ზეშთაგონებამდე აყვანილ რაციონალიზმზე. შთაბეჭდილებას ისიც აძლიერებდა, რომ სტატიის ავტორი დარცხვინილი აღიარებდა: მე კი არ აღმომიჩენია ლევერკიუნის შემოქმედების ყველაზე საინტერესო, ყველაზე წარმატებული მხარეები, ჩემი ალლოთი კი არ მიმიგნია მათთვის, არამედ გარედან, ან, როგორც თვითონ ამბობდა, ზევიდან, ისეთი სფეროდან, რომელიც ყოველგვარ განსწავლულობაზე მაღლა დგას, სიყვარულისა და რწმენის სფეროდან, მარად ქალურის სფეროდან ამეხილა თვალეზო. ერთი სიტყვით, ამ სტატიის მიღმა, სადაც ანალიტიკური მიდგომა თემისათვის ცოტათი შეუფერებელ ლირიკულ ინტერპრეტაციაში იყო აღრეული, ბუნდოვნად გამოკრთოდა მგრძობიარე, მცოდნე და, რაც იცოდა, იმის მხარდამჭერი ქალის ხატება. იგი არსებითად სტატიის ავტორის შთამაგონებელიც გახლდათ. ხოლო ვინაიდან დოქტორი ედელმანის ვიზიტი ვენაში გამოქვეყნებული რეცენზიით გამონვეული ჩანდა, შეიძლება გვეთქვას, რომ არაუშუალოდ ესეც იმ ნაზი, მოსიყვარულე და შეფარვით მოქმედი ენერჯის შედეგი იყო.

მართო არაუშუალოდ? მე მთლად დარწმუნებული არა ვარ. შესაძლებლად მიმაჩნია, რომ მუსიკის ახალგაზრდა საქმოსანმაც იმავე „სფეროდან“ მიიღო პირდაპირი იმპულსი, რეკომენდაცია, მითითებები. ჩემს ვარაუდს ის ფაქტი უმაგრებს ზურგს, რომ მან მეტი იცოდა, ვიდრე, ცოტა არ იყოს, საიდუმლოების არილში გახვეულ

სტატიაში იყო გამხელილი, — რომ მან იცოდა ქომაგის ს ა ხ ე ლ ი და ახსენა კიდეც. მაშინვე არა, წინასწარ არა, მაგრამ საუბრის მსვლელობაში კი, მის დასასრულს კი. მას შემდეგ, რაც გამომცემელმა მიღებაზე ლამის უარი მიიღო, მაგრამ მაინც იმდენი იძალავა, რომ თავისი გაიტანა, ლევერკიუნს სთხოვა: — იქნებ გამანდოთ, ამჟამად რაზე მუშაობთო, — ადრიანმაც ორატორია დაუსახელა. — პირველად? ეჭვი მეპარება! — დასძინა სტუმარმა და აღარ მოეშვა, ვიდრე ავადმყოფობისაგან ისე დასუსტებული ადრიანი, რომ ფეხზე ძლივს დგებოდა, ნიკეს დარბაზში წაუძღვებოდა და ხელნაწერიდან ვრცელ მონაკვეთებს დაუკრავდა. რის შემდეგაც ედელმანმა ნაწარმოები გამოსაცემად, რომ იტყვიან, ადგილიდან ფეხის მოუცვლელად შეიძინა. ხელშეკრულება მეორე დღესვე გამოუგზავნა მიუნჰენის სასტუმრო „ბავარიის კარიდან“, ნასვლის წინ კი ვენურად მოუქცია, ფრანგულიდან ნასესხები მიმართვა გამოიყენა და ისე შეეკითხა:

— მაესტრო, ქალბატონ ფონ ტოლნას ხომ არ იცნობთ? — კი არა, ვგონებ, მესამე პირით მიმართა: მაესტრო ხომ არ იცნობსო.

მე ვაპირებ ახალი პერსონაჟი შემოვიყვანო ჩემს თხრობაში, თანაც ისეთი, როგორსაც რომანისტი ვერასოდეს ვერ გაბედავდა და ვერ შესთავაზებდა მკითხველებს, ვინაიდან უჩინარობა აშკარად ეწინააღმდეგება ხელოვნების კანონებს და, მაშასადამე, რომანულ თხრობასაც. ფრაუ ფონ ტოლნა კი უჩინარი მოქმედი პირია. მე არ შემიძლია მკითხველებს წარვუდგინო, მის გარეგნობაზე კრინტიც კი არ ძალმიძს დავძრა, რადგან არასოდეს არ მინახავს და არც არავის აუწერია ჩემთვის, არც ჩემი ნაცნობებიდან უნახავს ვინმეს. დაბეჯითებით იმასაც ვერ ვიტყვი, დოქტორი ედელმანი, ან თუნდაც „გარიჟრაჟის“ თანამშრომელიც, ამ ქალის თანამემამულე, პირადად იცნობდნენ თუ არა. რაც შეეხება ადრიანს, მაშინ ვენელი გამომცემლის შეკითხვას უარყოფითად უპასუხა: ასეთ ქალბატონს არ ვიცნობო, მაგრამ თავის მხრივ აღარ შეჰკითხვია: ვინ გახლავთო, რის გამოც ედელმანმაც თავი შეიკავა ახსნა-განმარტებებისაგან და მხოლოდ დასძინა:

— ასეა თუ ისე, მაესტრო, თქვენ იმაზე მხურვალე თაყვანისმცემელი არ მოგეძევათ.

ეტყობა, ეს „არ ვიცნობო“ სტუმარმა ადრიანისა და ფრაუ ფონ ტოლნას ნაცნობობის ძალზე პირობით და საიდუმლოების საბურველში გახვეულ დადასტურებად მიიჩნია. ადრიანს კი შეეძლო ასე ეპასუხა, რადგან უნგრელ არისტოკრატი ქალთან მისი ურთიერთობა

პირად შეხვედრამდე არ მისულა და — ამას უკვე მე ვუმატებ — ორივე მხრის უტყვი შეთანხმებისამებრ არც არასოდეს არ უნდა მისულიყო. ის კი სხვა საქმე იყო, რომ უკვე რამდენიმე წელიწადი ამ ქალთან მიმოწერა ჰქონდა. ფრაუ ფონ ტოლნას ბარათებიდან ადრიანის შემოქმედების უჭკვიანესი, უნატიფესი მცოდნე და თაყვანისმცემელი გამოსჭვიოდა, ამასთანავე მზრუნველი მეგობარიც, მრჩეველიცა და უანგარო მსახურიც. ადრიანიც თავის წერილებში ნდობის და გულღიაობის იმ მიჯნამდე მივიდა, სადამდეც კი ქალუძს მარტოს ულს. მე უკვე მოგახსენეთ ორ ეულ ქალზე, რომელთაც უმნიკვლო თავდადებით მცირედი ადგილი მოიპოვეს ამ უთუოდ უკვდავი კაცის ცხოვრებაში. ეს მესამე გახლავთ, სულ სხვა ყადისა, უანგარობით იმ სადა ქალებს არა მხოლოდ უთანაბრდებოდა, არამედ აღემატებოდა კიდევ, სახელდობრ, პირდაპირ დაახლოებაზე ასკეტური უარის თქმით, კრძალვის, თავშეკავების, არ გამხელის, უჩინრად დარჩენის ურყევი ალთქმით, რაც არ შეიძლებოდა მისი მორცხვობისა და გაუბეაობის შედეგი ყოფილიყო, რადგან საქმე საზოგადოებაში გამოსულ ბანოვანს შეეხებოდა, რომელიც პფაიფერინგის განდეგილისათვის მართლაც საზოგადოებას განასახიერებდა, ისეთს, როგორც მას უყვარდა, სჭირდებოდა, იტანდა, საზოგადოებას გარკვეულ მანძილზე, შეგნებული მორიდებულობის გამო განზე მდგარ საზოგადოებას...

ამ უჩვეულო არსებაზე მე მარტო იმას ვიტყვი, რაც ვიცი. მადამდე ტოლნა მდიდარი ქვრივი გახლდათ; რაინდული სულისკვეთების, მაგრამ აღვირახსნილი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ, რომელიც, სხვათა შორის, თავის უზნეობას კი არ შეენირა, არამედ დოღში უბედური შემთხვევის მსხვერპლი გახდა, უშვილო ქალს დარჩა სასახლე ბუდაპეშტში, დედაქალაქიდან სამხრეთით კი, ორიოდ საათის სავალზე, სექემფხერვართან, ბალატონის ტბასა და დუნაის შუა — ვეებერთელა ადგილ-მამული და, გარდა ამისა, ციხე-კოშკისებური ვილა უკვე ხსენებული ტბის პირას. ადგილ-მამულში მეთვრამეტე საუკუნის, მაგრამ შემდგომ მოდერნიზებული ბრწყინვალე საბატონო სახლი იდგა, თვალუნვდენელი ყანები ბიბინებდა და შაქრის ქარხლის ვრცელი პლანტაციებიც იყო, რის მოსავალსაც იქვე ამუშავებდნენ საკუთარ ქარხანაში. მაგრამ ამ სამყოფელთაგან არც ერთში, არც ქალაქურ სასახლეში, არც საბატონო სახლში და არც საზაფხულო ვილაში, მათი მფლობელი დიდხანს არ ყოვდებოდა. უპირატესად, შეიძლება ითქვას, გამუდმებით, მოგზაურობდა, სამ-

ფლობელოებს კი, რომლებიც აშკარად არ ეჭაშნიკებოდა და რომლებიდანაც მოუსვენრობა თუ უსიამო მოგონებები ერეკებოდა, მოურავებსა და მწეებს ანდობდა. ცხოვრობდა პარიზში, ნუაპოლში, ეგვიპტეში, ენგადინში. მუდამ თან ახლდნენ: მოახლე, მოჯამაგირე, რომელიც ფუნქციებით კვარტირმაისტერსა და ფელდევერს მოგაგონებდათ, და პირადი ექიმი, რაც მის სუსტ ჯანმრთელობაზე მიუთითებდა.

ბოლო გარემოება ქალბატონის მოგზაურობის უნარზე არ მოქმედებდა და ეს სიცქვიტი, ენთუზიაზმით გაჯერებული, რომელიც ინსტინქტს, გუმანს, თუ გულის კარნახს, — ღმერთმა უწყის, საიდუმლოებით მოცულ წვდომის უნარსა და სულიერ ნათესაობას ემყარებოდა, აიძულებდა ხან სად ამოეყო თავი და ხანაც სად. გამოირკვა, რომ ეს ქალბატონი ყველგან ესწრებოდა კონცერტებსა და სპექტაკლებს, შეუმჩნევლად ხალხში გარეული, სადაც კი გაბედავდნენ ადრიანის მუსიკის აჟღერებას: ლიუბეკში (მისი ოპერის პრემიერა რომ მასხარად აიგდეს), ციურიჰში, ვაიმარში, პრალაში; იმას ხომ ვერ მოვთვლი, რამდენჯერ ყოფილა მიუნჰენში და, მაშასადამე, ადრიანის სამყოფელთან ძალიან ახლო და არ უცდია ვისიმე ყურადღება მიექცია. ისე კი პფაიფერინგსაც იცნობდა. შემთხვევით გამოირკვა, რომ ჩუმად იქაც ჩასულიყო, თვალი შეეველო ადრიანის გარემომცველი ლანდშაფტისა და შვაიგემუტილების კარ-მიდამოსთვის; თუ არ ვცდები, აბატის პალატის ფანჯრების ქვეშაც კი მდგარა, და კვლავ უჩუმრად განრიდებოდა იქაურობას. ეს საკმაოდ გასაკვირია, მაგრამ მე კიდევ უფრო ამაღელვა და წმინდა ადგილებში მომლოცვაობა-ყარიბობა გამახსენა იმ ამბავმა, რომ — როგორც კარგა ხნის შემდეგ შევიტყვე და ისიც მეტ-ნაკლებად შემთხვევით — კაიზერსაშერნშიაც ჩასულიყო, სოფელ ობერვაილერსა და ბუხელის კარ-მიდამოსაც სწევოდა. ასე რომ, გაცნობილი იყო იმ პარალელიზმს, ადრიანის სიყრმის გარემოსა და შემდგომი ცხოვრების ფონს შორის რომ არსებობდა და მე მუდამ მაკრთობდა.

დამავიწყდა მეთქვა, რომ არც ის დაბა პალესტრინა გამორჩენია საბინთა მთებში, რამდენიმე კვირა დაყო მანარდის სახლში და, როგორც ჩანს, სწრაფად და გულითადად დაუმეგობრდა სინიორა მანარდის. თავის ყოფილ დიასახლისს ცალკერძ გერმანულად, ცალკერძ ფრანგულად მიწერილ ბარათებში „დედა მანარდის“, „*mère Manardi*“-ის უწოდებს. ასევე იხსენიებდა ფრანუ შვაიგემუტილსაც, რომელიც — როგორც მისივე სიტყვებიდან ირკვეოდა — ნანახი ჰყავ-

და, ოღონდ ამ უკანასკნელისთვის შეუმჩნევლად. და თვითონაც? იქნებ თვითონაც სურდა ამ „დღეებს“ შეერთებოდა, მათთვის დები ეწოდებინა? რა უფრო შეეფერებოდა ადრიან ლევერკიუნთან შეფარდებით? რა სურდა მისთვის ეწოდებინა, რისი პრეტენზია გააჩნდა? მფარველი ქალღმერთი, ეგერია, სულიერი სატროფო? პირველ წერილს (ადრიანს ბრიუსელიდან რომ გამოუგზავნა) საპატიო ძღვენი ახლდა — ბ ეჭ ე დ ი , რომლის მსგავსი ჩემს დღეში არ მინახავს, თუმცა ეს მაინცდამაინც ბევრს არ ნიშნავს, ვინაიდან ამ სტრიქონების ავტორი ამქვეყნიურ საუნჯეთა ავ-კარგში მართლაც დიდად გათვითცნობიერებული არ არის. ეს სამკაული — ჩემთვის რომ გეკითხათ — უძვირფასესი და უმშვენიერესი რამ იყო. რგოლი აღორძინების ხანის ჭედური ნაკეთობა გახლდათ, ხოლო თვალი კი დიდებული ნიმუში ურალის ღია მწვანე და ფართონ-ახნაგებიანი ზურმუხტისა. ერთ რამედ ღირდა მისი ნახვა. შეიძლებოდა გეფიქრათ, ბეჭედი ოდესღაც ეკლესიის რომელიმე თავადის ხელს ამშვენებდაო, — და წარმართული წარწერა ზედ თითქოს არც ეწინააღმდეგებოდა ამგვარ წარმოდგენას. პატიოსანი თვლის ზედაპირზე, სახელდობრ, მის გაპრიალებულ ზედა ნახნაგზე უწვრილესი ბერძნული ასოებით ლექსის ორი სტრიქონი იყო გამოყვანილი:

***რარიგ შეირხა დაფნის ბუჩქი აპოლონისა!
იძვრის ტაძარი! უწმინდურებო,
გაიქეციო, განერიდეთ აქაურობას!***

არ გამჭირვებია ამ სტრიქონებში აპოლონისადმი მიძღვნილი ჰიმნის სანწყისი სიტყვები ამომეცნო, კალიმაქეს რომ ეკუთვნის და წმიდათაწმიდა თრთოლით აღწერს თავის საკუთრბეველთან ღმერთის გამოცხადების მომასწავებელ ნიშნებს. ჟიჟმატ ასოებს სიმკვეთრე სავსებით შეენარჩუნებინათ. ოდნავ უფრო გადაშლილი ჩანდა წარწერის ქვეშ ვინიეტივით ამოკვეთილი სიმბოლო — გამადიდებელი შუშით განსაკუთრებით კარგად ჩანდა, რომ ფრთოსანი გველის მსგავსი ურჩხული იყო გამოსახული, რომელსაც გარეთ გადმოგდებული ენა აშკარად ისრის მოყვანილობისა ჰქონდა. ამ მითოლოგიურმა ქიმერამ ქრიზელი ფილოქტეტე მომაგონა და მისთვის ისრითა თუ კბენის შედეგად მიყენებული ჭრილობა, აგრეთვე სახელწოდება, რომლითაც ესქილე ერთგან ისარს იხსენიებს: „მოსინე ფრთოსანი გველი“, და ის კავშირიც, რაც ფეპოსის ისრებსა და მზის სხივებს შორის არსებობს.

შემიძლია დავადასტურო, რომ ადრიანს ბავშვივით გაუხარდა უცხო მხრიდან, მაგრამ თანამგრძობი ხელით გამოგზავნილი საჩუქარი, უჭოჭმანოდ მიიღო და თუმცა სხვების დასანახავად არასოდეს არ წამოუცვამს თითზე, მაგრამ ჩვეულებად შემოიღო, ან იქნებ უნდა ვთქვა: რიტუალად-მეთქი, მისი გაკეთება მუშაობის უამს. „აპოკალიფსის“ შეთხზვის პერიოდში, როგორც ვიცი, ეს სამკაული მარცხენა ხელიდან არ მოუხსნია.

ნეტავი თუ ფიქრობდა, რომ ბექედი ტყვეობის, ბორკილების, უფრო მეტიც, მორჩილების სიმბოლოც კია? როგორც ჩანს, არ ფიქრობდა და უჩინარი ჯაჭვის ძვირფას რგოლში, რომელსაც მუსიკის თხზვის უამს თითზე იკეთებდა, სხვას არაფერს ხედავდა, თუ არა ქვეყნიერებასთან მისი მარტომყოფობის დამაკავშირებელს – მისთვის უსახო ქვეყნიერებასთან, პირადად მისთვის ლამის მხოლოდ ბუნდოვნად გამოკვეთილთან, რომლის ინდივიდუალურ ნაკვთებს, ეტყობა, გაცილებით ნაკლებად დაეძებდა, ვიდრე მე. იმ ქალის გარეგნობაში ხომ არ არის-მეთქი, – ვეკითხებოდი საკუთარ თავს, – რაღაც ისეთი, რამაც განსაზღვრა ადრიანთან მისი დამოკიდებულების ძირითადი პრინციპი: დამალვა, განრიდება, პირადად შეხვედრაზე უარის თქმა? შეიძლება მახინჯი იყო, კოჭლი, კუზიანი, კანის რაიმე ავადმყოფობით დასახინჩრებული? არა მგონია, ხოლო თუ რაიმე ხინჯი მაინც ჰქონდა, იგი სულიერ სფეროს განეკუთვნებოდა, რის გამოც სხვასაც კარგად უგებდა, როცა შემწყნარებლობა და დანდობა იყო საჭირო. არც მის პარტნიორს უცდია ოდესმე ამ კანონის წინააღმდეგ ამხედრება და უჩუმრად მიიღო ის, რამაც მათ ურთიერთობას ერთხელ და სამუდამოდ ხალასი სულიერი სამანები მიუჩინა.

მაინცდამაინც არ მსიამოვნებს, რომ ეს ბანალური გამოთქმა: „ხალასი სულიერი სამანები“ – გამოვიყენე. ცოტათი უფერულია, უნდელი, და თან ვერ ესამება იმ პრაქტიკულ აქტივობას, რაც ასე ახასიათებდა ამ შორეულსა და ფარულ თავდადებასა და მზრუნველობას. ადრიანის კორესპონდენტის ძალზე სერიოზული მუსიკალური და ზოგადეკროპული განათლება მათს მიმონერას, რომელიც „აპოკალიფსის“ შექმნის პერიოდში განსაკუთრებით გაცხოველებული იყო, უაღრესად საქმიან ხასიათს ანიჭებდა. ჩემს მეგობარს ხელს უწყობდა და აქეზებდა მუშაობაში, ძნელად საშოვარი მასალით ამარაგებდა, რაც შეიძლებოდა ძირითადი ტექსტის შესამუშავებლად გამოსდგომოდა. როგორც შემდგომ გამოირკვა, „პავლე მოციქულის ხილვის“ ძველფრანგული ლექსად თარგმანიც

„იქიდან“ მიიღო. მართალია, შემოვლითი გზებითა და შუამავლობით, მაგრამ ქალი მუდამ ენერგიულად ეხმარებოდა. მისი თაოსნობით იყო, რომ „გარიჟრაჟში“ ისე ჭკვიანური წერილი გამოქვეყნდა, — ერთადერთ ორგანოში, სადაც მაშინ ლევერკიუნის მუსიკაზე ალტაცებით შეიძლება ლაპარაკი. „უნივერსალურმა გამომცემლობამაც“ ორატორია რომ დაიბევა, მანვე ჩაანვეთა ხელმძღვანელობას ეს იდეა. 1921 წელს პლატნერის თოჯინების თეატრს ფარულად, ისე რომ ნათელი არ იყო, ფული ვინ ჩარიცხა, მნიშვნელოვანი თანხა შესწირა, დონაუეშინგენში „Gesta Romanorum“-ის საუცხოო, მუსიკალურად სრულყოფილი ინსცენირების განსახორციელებლად.

ამ გულუხვ შესტზე ადრიანის მისამართით და სიტყვა „შესწირაზე“ მინდა შევჩერდე. ჩემს მეგობარს შეეძლო ეჭვიც არ შეჰპარვოდა, რომ მისი თაყვანისმცემელი ბანოვანი მზად იყო ყველაფერი შეენირა მარტო მყოფისათვის, რაც კი რამ გააჩნდა, — მთელი სიმდიდრე, რომელიც — ეს აშკარად იგრძნობოდა — სინდისის ქენჯნის გამო მძიმე ტვირთად აწვა, თუმცა სიღარიბეში ცხოვრება არ ეწვია და ალბათ ვერც აიტანდა. გენიოსის საკურთხეველზე ზვარაკად სურდა მოეტანა ყველაფერი, რასაც კი შეებდავდა — ეს იყო მისი უნრფელესი გულის წადილი, და თუ ადრიანი მოისურვებდა, მთელი მისი ცხოვრების სტილი ერთ დღეში შეიცვლებოდა, იმ სამკაულის იერს შეიძენდა, რომლით შემკულსაც მას მარტოდენ აბატის პალატის კედლები ხედავდნენ. თავადაც ჩემზე ნაკლებად როდი იცოდა ეს ამბავი და იმასაც ვერ ვიტყვი, რომ ერთი წამითაც სერიოზულად არ მოჰკიდებია-მეთქი ამ შესაძლებლობას. ოღონდ ჩემგან განსხვავებით, რომელსაც ოდნავ თავბრუსც კი მეხვეოდა ხოლმე, როცა გავიფიქრებდი, რომ ამოდენა ქონება მის ფერხითი იყო, მარტო უნდა დასწვდომოდა, აელო და მეფური ცხოვრება განადღებული ჰქონდა, ადრიანს გულთან ახლოს არასოდეს არ მიუტანია ეს აზრი. და მაინც ერთხელ, როცა, როგორც გამონაკლისი, პფაიფერინგი დატოვა და იმოგზაურა, წამით იმ მეფური ცხოვრების ფილასაც დაენაფა, რასაც მე გუნებაში ჩემდა უნებურად სამარადქამოდ ვუსურვებდი.

ოცი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც ადრიან ლევერკიუნი დაჰყვა მადამ დე ტოლნასაგან მიღებულ უვადო მიპატიჟებას: როცა კი მოისურვებდა და რამდენი ხნითაც კი მოისურვებდა, ერთ-ერთ მის სამკვიდროს სწევოდა მასპინძლის იქარ ყოფნაში. მიწვევას ადრი-

ანი 1924 წლის გაზაფხულზე გამოეხმაურა, იმხანად ვენაში მყოფი, სადაც ერბოლაში „გარიჟრაჟის“ მიერ ორგანიზებულ ერთ-ერთ სალამოზე რუდი შვერტფეგერმა მისთვის ძლივძლივობით დაწერილი სავიოლინო კონცერტი პირველად შეასრულა, თანაც დიდი წარმატებით – წარმატებით საკუთარი თავისთვისვე არცთუ ბოლო რიგში. ვამბობ: „არცთუ ბოლო რიგში“ – და ვგულისხმობ „პირველ რიგში“-მეთქი. ვინაიდან ინტერპრეტატორის ხელოვნებაზე ინტერესის ერთგვარი კონცენტრაცია იგრძნობოდა თავად ნაწარმოების მიზანდასახულებაში, ნაწარმოებისა, რომელიც მიუხედავად ლევერკიუნის მუსიკალური ხელწერისათვის დამახასიათებელი უტყუარი ნიშნებისა, მის უზენაეს და უამაყეს ქმნილებებს კი არ განეკუთვნება, არამედ, ალაგ-ალაგ მაინც, მათმებლურ გულითადობას ავლენს, ან უკეთ რომ ვთქვა, დამთმენ სულგრძელობას, რამაც მაშინ უკვე განსვენებული კაცის ერთი ადრინდელი წინასწარმეტყველება გამახსენა... კონცერტის დამთავრების შემდეგ ადრიანი დამსწრე საზოგადოების ტაშის გრიალსა და ძახილზე არ გამოვიდა სცენაზე; დაუწყეს ძებნა, მაგრამ უკვე დაეტოვებინა დარბაზი. მოგვიანებით ჩვენ – კონცერტის ორგანიზატორმა, ბედნიერებისაგან სახეგაბრწყინებულმა რუდიმ და მე – ჰერენგასზე მდებარე პატარა სასტუმროს რესტორანში ვიპოვეთ, სადაც იყო ჩამომხტარი, მაშინ როდესაც შვერტფეგერმა თავი ვალდებულად ჩათვალა ერთ-ერთ ცენტრალურ ოტელში დაედო ბინა.

ჩვენი ქეიფი ხანმოკლე იყო, რადგან ადრიაანს თავი სტკიოდა. ის ამბავი, რომ მეორე დღეს მან გადაწყვიტა მაშინვე შინ, შვაგიგეშტილებთან, კი არ დაბრუნებულყო, არამედ თავისი მეგობარი ბანოვანი გაეხარებინა და მის ადგილ-მამულს სწვეოდა უნგრეთში, მხოლოდ მისი მყოფობის წამიერი გალაღებით შემიძლია ავხსნა. მასპინძელი ქალის იქ არყოფნის აუცილებელი პირობა დაცული გახლდათ, ვინაიდან ისიც ვენაში იმყოფებოდა, ოღონდ უჩინრად. მალე ჩამოვალთ, დეპეშა პირდაპირ ადგილ-მამულში გაგზავნა, რასაც, როგორც მე მგონია, დეპეშების სასწრაფო გაცვლა მოჰყვა ადგილ-მამულსა და ვენის ერთ-ერთ სასტუმროს შორის. ადრიაანი გაემგზავრა და მას, სამწუხაროდ, მე კი არ ვახლდი, ვინაიდან თვითონ კონცერტისთვისაც კი ძლივს დავიხსენი იაფი სამსახურის საქმეებიდან, და არც რიუდიგერ შილდკნაპი, მსგავსთვალეობა, რომელიც ვენაშიც არ ჩამოსულა, ალბათ ფულიც არ გააჩნდა საამისოდ, არამედ რუდი შვერტფეგერი, რაც სრულიად გასაგები იყო, ანაზღეული განავარ-

დებისთვის ეცალა, გვერდით ჰყავდა და ეს-ეს არის მათი თანამშრომლობა ესოდენ იღბლიანი გამოდგა. საერთოდ რუდის დაულალავმა მათამებლობამ იმხანად გასჭრა და საბედისწერო წარმატებით დაგვირგვინდა.

მამ ასე, რუდისთან ერთად ადრიანმა, რომელიც ისე მიიღეს, თითქოს ხანგრძლივი მოგზაურობიდან მათი მბრძანებელი დაბრუნებულყოფოს, თორმეტი დღე გაატარა დიდგვაროვნულ ფუფუნებაში. ისვენებდა ტოლნას მეთვრამეტე საუკუნის სტილზე ნაგები ციხე-კოშკის დარბაზებსა და სენაკებში, ეტლით სეირნობდა კარგი სამთავროს ოდენა ადგილ-მამულში და ბალატონის ტბის წარმტაცი ნაპირების გასწვრივ, მოკრძალებით თავს დასტრიალებდნენ ფარეშები, რომელთა შორის თურქებიც იყვნენ; მის განკარგულებაში იყო ხუთენოვანი ბიბლიოთეკა, ორი საუცხოო როიალი სამუსიკო დარბაზის სცენაზე, საშინაო ორგანი და ათასნაირი კომფორტი. ადრიანმა მიაგმო: საბატონო სოფელში გავლისას უსაშინელესი სილატაკე ვნახეთ, რაღაც სულ მთლად არქაული, რევოლუციამდელი ცხოვრების დონეო. თვით მოურავიც კი, რომელიც მეგზურობას გვინევდა, წამდაუნუმ თავს აქნევდა თანაგრძნობის ნიშნად და, თითქოს ადგილობრივ ღირსშესანიშნაობას გვაცნობდა, გვითხრა: ადგილობრივი მკვიდრნი ხორცს მარტო წელიწადში ერთხელ, შობა-ახალწელიწადს ჭამენ, ქონის სანთლებიც არ გააჩნიათ და — ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით — ქათმების დაბუდებასთან ერთად იძინებენო. ამ სამარცხვინო პირობების შეცვლა, რასაც გლეხები ჩვევისა და უმეცრობის გამო ველარ აღიქვამდნენ, თუნდაც სოფლის შარაგზაზე ენით აუნერელი სიბინძურისა და სახლებში ჰიგიენის სრულ ნაკლებობასთან რამის განყოფა აქ წამდვილი რევოლუციური აქტი იქნებოდა და მასთან ერთი პიროვნება, მით უმეტეს კი ქალი, სრულიად უძღური გახლდათ, ოღონდ ის კი საფიქრებელია, რომ სოფლის გაუხარელი შესახედაობა ერთ-ერთი იმ მიზეზთაგანი იყო, რის გამოც ადრიანის საიდუმლო მეგობარს გული ვერ უდგებოდა თავის სამფლობელოებში.

ისე კი, მე მხოლოდ ძალზე სქემატური სურათი შემიძლია დავხატო ჩემი მეგობრის მკაცრ ცხოვრებაში ამ, ცოტა არ იყოს, ექსცენტრული ეპიზოდისა. მის გვერდით არ ვყოფილვარ და ვერც ვიქნებოდი, კიდევაც რომ მივეპატიყებინე. შვერტფეგერი ახლდა, აი ვინ მოჰყვებოდა; მაგრამ ის უკვე ცოცხალი აღარ არის...

უკეთ მოვიქცეოდი, ეს მონაკვეთიც რომ საგანგებო ციფრით კი არ აღმენიშნა, არამედ წინა თავის გაგრძელებად, მის შემადგენელ ნაწილად მიმეჩნია. უფრო მართებული იქნებოდა მკვეთრი ცეზურის გარეშე განმეგრძო: ვინაიდან ისევ გრძელდება თავი „საზოგადოება“, თემა ჩემი განსვენებული მეგობრის ურთიერთობის ან ურთიერთობასმოკლებულობისა მასთან; ოღონდ ეს კია, რომ აქ უკვე გასაიდუმლოებასა და კრძალვაზე ხელს იღებს, პირბადაფარებულ მფარველ ღმერთქალად და ძვირფას სიმბოლოთა მბოძებლად კი არ გვევლინება, არამედ მიამიტი და აბეზარი, მარტოობის დაურიდებლად დამრღვევი, ტასნაკა და, ყოველივე ამის მიუხედავად, ჩემთვის მაინც რალაცით მიმზიდველი ტიპის სახით — ბატონ საულ ფიტელბერგის — მუსიკის დარგში საერთაშორისო საქმოსნისა და იმპრესარიოს სააით, გვიან ზაფხულის ერთ მშვენიერ დღეს რომ გამოცხადდა პფაიფერინგში. მეც იქ შევესწარი. კვირადალი იყო (კვირას შინ დაბრუნებას ვაპირებდი, რადგან ჩემი მეუღლის დაბადების დღე გახლდათ). ადრიანი და მე ბარე ერთი საათი გაგვართო ქალზე სასაცილო საუბრით და მერე, არ განანწყებულა, ისე აიკრიფა გუდანაბადი, თუმცა საქმე ვერ გაჩარხა.

1923 წელი იყო, ამიტომ ვერ ვიტყვოდი, რომ ამ კაცმა მაინცდამაინც ადრე მოაშურა ადრიანს. მართალია, პრალასა და ფრანკფურტში რომ სულ მალე გაიმართებოდა, იმ კონცერტებს არ დალოდებია, მაგრამ ვაიმარი უკვე მომხდარი ფაქტი გახლდათ და ღონაუეშინგენიც, ლევერკიუნის აღრინდელ ნაწარმოებთა შვეიცარიაში შესრულების შესახებ რომ აღარაფერი ვთქვათ, ამიტომ მაინცდამაინც გასაოცარი წინასწარმეტყველური ინტუიცია აღარ უნდა დასჭირვებოდა იმის მისახვედრად, რომ აქ იყო რალაც ისეთი, რისი დაფასება და პროზაგანდა ეგებოდა. „აპოკალიფსიც“ ხომ უკვე მანამდე დაიბეჭდა და მე დიხაბც შესაძლებლად მიმაჩნდა, რომ მოსწენიორი საული გაეცნობოდა ამ ნაწარმოებს. ასე იყო თუ ისე, კაცმა სუნი აილო და მარაქაში გარევა მოიწადინა, უნდოდა სახელის განთქმაში დახმარებოდა, გენიოსი დღის სინათლეზე გამოეყვანა და, ვითარცა მის მენეჯერს, იმ ცნობისმოყვარე მაღალი საზოგადოებისათვის წარედგინა, რომელშიც თავად ტრიალებდა. ეს გახლდათ მისი ვიზიტის, მისი დაურიდებელი შემოჭრის მიზანი შემოქმედებითი ტანჯვის სავანეში. აი როგორ მოხდა ყველაფერი:

შუადღე ოდნავ გადასული იყო, როცა პფაიფერინგში ჩავედი, მე და ადრიანმა ჩაის შემდეგ, ესე იგი დაახლოებით ხუთის წუთებზე მინდორში გავისეირნეთ და უკან დაბრუნებისას ჩვენდა გასაოცრად ეზოში თელის ქვეშ მდგარი ავტომობილი დავინახეთ, თანაც ჩვეულებრივი ტაქსი კი არა, არამედ რალაც უფრო მოხდენილი, უფრო კერძო მანქანის მსგავსი, ასეთ ეკიპაჟებს მძღოლთან ერთად რამდენიმე საათით ან მთელი დღით ქირაობდნენ სატრანსპორტო კომპანიისაგან. ავტომობილის მძღოლიც გამონკეპილი გახლდათ, დიდკაცობისა მასაც რალაცა ეცხო, მანქანის წინ იდგა და თამბაქოს აბოლებდა. წინ რომ ჩავფარეთ, ქუდი მოიშველია და ღრეჭით მოგვესალმა, იმ უცნაური სტუმრის რომელიმე ოხუნჯობა თუ გაახსენდა, აქ რომ ჩამოიყვანა. სახლის შესასვლელში ფრაუ შვაიგეშტილი შემოგვეგება, ხელში სადარბაზო ბარათი ეჭირა და, შეჩქვიფებული, ხმანასულილა ლაპარაკობდა:

— ვილაც ბატონი გეახლათ, მაღალი საზოგადოების კაციო, — გვამცნო და მისი სიტყვები, განსაკუთრებით ალბათ იმიტომ, რომ ჩურჩულით წარმოთქვა, როგორც სახელდახელო შეფასება ადამიანისა, რომელიც ეს-ეს არის გამოცხადდა, მე რალაც საკვირველად ირეალურად და წინასწარმეტყველურად ჩამესმა, თან მაშინვე, ალბათ პრეტენზიული დახასიათების შესარბილებლად, ფრაუ ელზემ „ჩმახია ბუკიოტი“ უწოდა. „Chère Madame“* — ასე მომმართა, მაგრამ მაშინვე „petite maman“** დააყოლაო, ხოლო კლემენტინეს ლოყაზე უჩქმიტა და მე კიდევ გოგონა, ვიდრე ეს ვაჟბატონი არ წავა, თავის ოთახში ჩავკეტე, გასტუმრებით კი, უკან ხომ ვერ გავისტუმრებდი მიუნჰენიდან ავტომობილით ჩამოსულ კაცსო. დიდ ოთახში გელოდებათო. შეფიქრიანებულები ერთმანეთს ხელიდან ვართმევდით სადარბაზო ბარათს, რომელიც მის მფლობელზე ყველა საჭირო ცნობა იძლეოდა: „Saul Fitelberg. Arrangements musicaux. Représentant de nombreux artistes prominents“*** „კიდევ კარგი, — გავიფიქრე გუნებაში, — აქა ვარ ადრიანის დასახმარებლად“. არ მინდოდა მარტოდმარტო ჩავარდნოდა ხელში ამ „წარმომადგენელს“. ორივენი ნიკეს დარბაზისკენ გავემართეთ.

* „ძვირფასო ქალბატონო“ (ფრანგ.).

** „დედიკო“ (ფრანგ.).

*** „საულ ფიტელბერგი. მუსიკალური არანჟემენტი. მრავალი სახელგანთქმული მსახიობის წარმომადგენელი“ (ფრანგ.).

ფიტელბერგი უკვე კარის მახლობლად იდგა და თუმცა ადრიანმა ჯერ მე გამატარა, მთელი ყურადღება უმაღლვე ჩემს მეგობარს დაუთმო: ერთი კი შემავლო თვალი რქის სათვალისა და მაშინვე სქელუა ტანით ცოტათი გადაიხარა, რომ ჩემს უკან უკეთ დაენახა ის კაცი, ვისი გულისთვის ავტომობილით ორსაათიანი მგზავრობის ხარჯი გასწავია. რასაკვირველია, ჯადოქრობა არ არის გენიის დამლით აღბეჭდილი ადამიანის გარჩევა გიმნაზიის უბრალო მასწავლებლისაგან, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მომხდურის სწრაფად ორიენტაციის უნარში, გულდაგულობაში, რითაც მეორეხარისხოვანი პიროვნება ამომიცნო, იუმცა პირველი მე შევედი, და დაუყოვნებლივ იმას მიმართა, ვინც სჭირდებოდა, იყო რალაც შთამბეჭქდავი.

– Cher Maître*, – დაიწყო პირმომლიმარმა და სიტყვებს მკვეთრად, მაგრამ სულ სხაპასხუპით წარმოთქვამდა, – comme je suis heureux, comme je suis ému de vous trouver! Même pour un homme gâté, endurci comme moi, c'est toujours une expérience touchante de rencontrer un grand homme, – Enchanté, Monsieur le professeur,** – დაუმატა მან სასხვათაშორისოდ და დაუდევრად გამომინოდა სელი, ვინაიდან ადრიანმა ჩემი თავი წარუდგინა, რის შემდეგაც დაუყოვნებლივ ისევ სწორი მისამართით განაგრძო:

– Vous maudirez l'intrus, cher Monsieur Leverkühn,***, – დასძინა მან და თან ადრიანის გვარს მესამე მარცვალზე დაუსვა მახვილი, ისე, თითქოს იგი Le Vercune იწერებოდა. – Mais pour moi étant une fois à Munich, c'était tout à fait impossible de manquer****.

ოჰ, მე გერმანული ვიცი, – გაანყვეტინა თავის თავს ისევ და ისევ იმ საამური მკვეთრი წარმოთქმით, – ძალიან კარგად არა, სანიმუშოდ არა, მაგრამ გაქცეულ კაცს მოვაბრუნებ. Du reste, je suis convaincu****, რომ ფრანგული შესანიშნავად გეცოდინებათ – თქვენი კომპოზიციები ვერლენის ლექსებზე ამას უტყუარად მოწმ-

*ძვირფასო მეტრ (ფრანგ.).

**რა ბედნიერი ვარ, რა შეძრული ვარ თქვენთან შეხვედრით! თვით ისეთი გაფუჭებული, გაოზრებული ადამიანისათვის, როგორც მე ვარ, ვენოსთან შეხვედრა ძალზე აშაღელვებელი ვანცდაა. – ბედნიერი ვარ თქვენი ვაცნობით, ბატონო პროფესორო (ფრანგ.).

***უფლება გაქვთ შეაჩვენოთ დაუპატიუებელი სტუმარი, ძვირფასო მონსენიორ ლევერკიუნ (ფრანგ.).

****მაგრამ მე უპრალოდ არ შემეძლო მიუნჰენში ვყოფილიყავი და არ გწვოდით... (ფრანგ.).

****ისე კი, დარწმუნებული ვარ (ფრანგ.).

ობს. Mais après tout* გერმანულ მიწა-წყალზე ვართ, და მერე რაოდენ გერმანულზე, რა შინაურულ გერმანულზე, რა დამახასიათებელზე! ალტაცებული ვარ ამ იდილით! რა ბრძნულად მოქცეულხართ, მეტრ, აქ რომ განმარტოებულხართ... Mais cui, certainement, დავსხედით, merci, mille fois merci!***

ფიტელბერგი ორმოციოდე წლის მსუქანი კაცი გახლდათ, ღიპიანი კი არა, მაგრამ მსუქანი და ფაფუკი სხეულის პატრონი; თეთრი ფუნჩულა ხელები ჰქონდა, სუფთად გაპარსული და სავსე პირისახე, ღაბაბითა და ფართოდ მორკალული წარბებით შემკული; რქისჩარჩოიანი სათვალის მიღმა ნუშის მოყვანილობის მხიარული თვალები უბრწყინავდა, რომელთაც ხმელთაშუა ზღვის აუზის მკვიდრთათვის დამახასიათებელი ეშხი არ აკლდათ; შეთხელებული თმის მიუხედავად, ჯანსაღი, თეთრი კბილები ჰქონდა და ვინაიდან ნამდაუნუმ იღიმებოდა, მათ ნამდაუნუმ ვხედავდით. ელეგანტურად იყო საზაფხულო ტანსაცმელში გამოწყობილი, ცისფერზოლებიანი ფლანელის კოსტიუმი, თეთრი ტილოსა და ყვითელი ტყავის კომბინირებული ფეხსაცმელი ეცვა. მეტსახელი, დედილო შვაიგ-ეშტილმა რომ დაარქვა, სასაცილოდ გამართლებული ჩანდა სტუმრის ყოფაქცევის საამური დაუდევრობით; ეს შვების მომგვრელი სიმსუბუქე, რაც მის სწრაფ, ოდნავ სადა, მუდამ საკმაოდ ხმამაღალ, დროდადრო დისკანტში გარდამავალ მეტყველებასაც რომ ახასიათებდა, მთელი მისი ყოფაქცევისთვისაც განუყრელი იყო და მის სიმსუქნეს თან ერთგვარად ეწინააღმდეგებოდა კიდევ და თან ჰარმონიულადაც ერწყმოდა. მე შვების მომგვრელს ვუნოდებ ამ ძვალსა და რბილში გამჯდარ სიმსუბუქეს, რადგან იგი ირგვლივ მყოფთ მართლაც სასაცილო, მაგრამ მანუგეშებელ გრძნობას უნერგავდა, რომ ცხოვრების ესოდენ მძიმედ განცდა სულაც არ იყო საჭირო. თითქოს ეს სიმსუბუქე ერთთავად ჩაგვჩიჩინებდა: — არა, რატომაც არა? მერედა, რა მოხდება? რა მნიშვნელობა აქვს? არხეინად იყავითო! — და დამსწრენიც უნებლიეთ თავს ძალას ატანდნენ, რომ ამგვარ გუნებ-განწყობილებაში აჰყოლოდნენ.

უჭკუო კაცი რომ სულაც არ იყო, ამაში უეჭველად დარწმუნდებით, როგორც კი მის ნალაპარაკევს გადმოგცემთ, რაც დღემდე ცოცხლადა მაქვს მეხსიერებაში აღბეჭდილი. ყველაფერს სჯობია, მართო მას დავუთმო სიტყვა, ვინაიდან იმას, რასაც ადრიანი ან მე

**მაგრამ ბოლოს და ბოლოს (ფრანგ.)*

***მაგრამ, მო, რასაკვირველია... გმადლობთ, ათასჯერ გმადლობთ! (ფრანგ.)*

ათასში ერთხელ ჩავურთავდით ხოლმე, არსებითი მნიშვნელობა არა აქვს. ჩვენ ერთ ბოლოში მივუსხედით ვეება გრძელ მაგიდას, გლახურად მოწყობილი დარბაზის მთავარ დეკორაციაში: ადრიატიკური და მე ერთიმეორის გვერდით, სტუმარი კი ჩვენს პირდაპირ. თავისი სურვილისა თუ განზრახვის მალვა და ჩქმალვა არ დაუნყია, მიუკიბ-მოუკიბავად პირდაპირ საქმეზე გადავიდა:

— მეტრ, — თქვა მან, — ჩემთვის სავსებით გასაგებია, რომ ასე გული შეგვარდნით თქვენს აქაურ სავანესა და მარტოდმყოფობაზე, — ო, მე ყველაფერი ვნახე, ბორცვები, გუბურა, სოფლის ეკლესია, et puis, cette maison pleine de dignité avec son htesse maternelle et vigoureuse Madame Schweige-still! Mais Ça veut dire Je sais me laire Silence, silence! Comme c'est charmant!*, რამდენი ხანია აქ ბრძანდებით? ათი წელი? განუწყვეტილვ? თითქმის განუწყვეტილვ? C'est étonnant!** ო, გასაგებია! და მიუხედავად ამისა, figurez-vous***, მე ჩამოვედი, რომ ნაგიყვანოთ, გაცდუნოთ, მინდა მოკლე ხნით ულალატოთ აქაურობას; ჩემი მოსასხამით მინდა ჰაერში გაგაქროლოთ და დედამინაზე რაც კი სამფლობელოა, ყველა გაჩვენოთ, მათს სიდიადეს გაზიაროთ, უფრო მეტიც, თქვენს ფერხთა წინაშე განვართხო ისინი... მომიტყვევთ მაღალფარდოვანი გამოთქმები! ისინი მართლაც ridiculement exagérée**** არიან, განსაკუთრებით „სიდიადეს“ რაც შეეხება. რის სიდიადე, რა სიდიადე, ამალეღვებელი აქ არაფერია! — და ამას მოგახსენებთ მე, რომელიც ერთი საწყალი კაცის შვილი ვარ, ძალზე სადა, რომ არა ვთქვა, დუხჭირი გარემოდან გამოსული-მეთქი. ლიუბლინიდან გახლავართ, შუა პოლონეთიდან, წვრილფეხა ებრაელების ოჯახიდან, მე ხომ ებრაელი ვარ: ფიტელბერგი ძალზე გაცვეთილი პოლონურ-გერმანულ-ებრაული გვარია — ოლონდ ესაა, რომ მე, მონინავე კულტურისათვის გამოჩენილი მებრძოლისა და — დიხაჯე შემძლია ეს ვთქვა — დიად ხელოვანთა მეგობრის გვარად ვაქციე. C'est la vérité pure, simple et irréfutable***** ეს კი იმიტომ მოხდა, რომ სიყრმიდანვე ამალეღვებისაკენ, განსულიერებულისაკენ და თავშესაქცევისაკენ მივიღტვოდი, ხოლო უწინარეს ყოვლისა კი — სიხალისაკენ, რომელიც ჯერჯერობით სკანდალურია,

*და ახლა ეს დარბაზის სიხალისი და მისი დიხაჯეობის, დედობრივი სინაზითა და სიდიდით. მაღალ შევიგეშტილი! ეს ხომ ნიშნავს: დუმილი ვიცით. დუმილი, დუმილი! რა წარმტაცია ეს ყოველივე! (ფრანგ.)

**ეს გასაოცარია! (ფრანგ.)

***წარმოიდგინეთ (ფრანგ.)

****სასაცილომდე გადაჭარბებულნი (ფრანგ.)

*****ეს ხალასი სიმართლეა, ცინცხალი და უტყუარი (ფრანგ.)

მაგრამ საპატიო და მომავლის მქონე, რომელიც ხვალ ყველაზე კარგად ანაზღაურდება, მოდად იქცევა, აღიარებული ხელოვნება გახდება. *A qui le dis-je Au commencement était le scandale**

მაღლობა ღმერთს, მივარდნილი ლიუბლინი დიდი ხანია უკან მოვიტოვე! უკვე ოც წელიწადზე მეტია პარიზში ვცხოვრობ... რა გგონიათ, ერთხელ იქ მთელი წელიწადი სორბონაში დავდიოდი, ფილოსოფიის განხრით ვისმენდი ლექციებს. მაგრამ *à la longue*** თავი მომაპეზრა. იმიტომ კი არა, რომ ფილოსოფიაშიც არ შეიძლება სკანდალური რამ იყოს. ო, როგორ არა, მაგრამ ჩემთვის იგი ერთობ აბსტრაქტულია. თანაც, ჩემი გუმანით, მეტაფიზიკა კაცმა სჯობია გერმანიაში ისწავლოს. ამაში ალბათ ჩემს პირისპირ მჯდომი პატივცემული ბატონი პროფესორიც დამეთანხმება... პირველი, რაც ჩემს ცხოვრებაში მნიშვნელოვანი რამ მოხდა, ის იყო, რომ ერთი პანანკინტელა, მაგრამ ძალზე ორიგინალური ბულვარული თეატრის ხელმძღვანელი გავხდი, *un creux, une petite caverne**** ას კაცზე, *nommé Théâtre des fourberies gracieuses***** განა მომხიბლავი სახელი არ არის? მაგრამ რას იზამ, რენტაბელური ვერ გამოდგა. ადგილები ისე ცოტა იყო, რომ ბილეთები ძალიან ძვირად უნდა გაგვეყიდა, ხოლო ბილეთების სიძვირის გამო იძულებულნი ვიყავით გავვეჩუქებინა ხოლმე ისინი. საკმაოდ უნმანურნი ვიყავით, *je vous assure******, მაგრამ თან ერთობ *high-brow******, როგორც ინგლისელები ამბობენ. ფონს როგორ გახვალ კაცი, თუ მარტო ჯეიმზ ჯოისი, პიკასო, ეზრა პაუნდი და ჰერცოგინია კლერმონ-დონერი გესწრებიან. *En un mot, ourberies gracieuses-მა ****** ძალიან ხანმოკლე სეზონის შემდეგ თქვენი ქირი წაიღო, მაგრამ ჩემთვის ამაოდ არ ჩაუვლია ამ ექსპერიმენტს, ვინაიდან მან პარიზის ხელოვანთა ნალებთან, მხატვრებთან, მუსიკოსებთან და პოეტებთან დამაკავშირა — პარიზში ხომ — ამის თქმის უფლება, მგონი, მაქვს — ამჟამად თანადროული ცხოვრების გული ძგერს. თანაც ჩემთვის, როგორც თეატრის დირექტორისთვის, მრავალი არისტოკრატიული სალონის კარიც ღია იყო, სადაც ეს ხელოვანნი დაიარებოდნენ...

**მაგრამ ამას ვის ვეუბნები? პირველ იყო სკანდალი (ფრანგ.).*

***დიდი დოზებით (ფრანგ.).*

****სორო, პატარა ბუნავი (ფრანგ.).*

*****„გრაფიკული ოინების თეატრად“ ნოდებულო (ფრანგ.).*

******გარნმუნებთ (ფრანგ.).*

******მედიდურნი (ინგლ.).*

******ერთი სიტყვით, „გრაფიკულმა ოინებმა“ (ფრანგ.).*

აღბათ გაგიკვირდებათ, აღბათ იტყვიით: როგორ მოახერხა პატარა ებრაელმა ბიჭმა პოლონეთის პროვინციიდან ამ რჩეულთა წრეში, ამ *crème de la crème*-ში* მოხვედრაო? აჰ, ჩემო ბატონებო, ამაზე იოლი არა არის რა! რა მარდად სწავლობ კაცი სმოკინგზე ჰალსტუხის გაკეთებას, რა მარდად – დარდიმანდული გამომეტყველებით სალონში შებიჯებას, თვით მაშინაც კი, როცა ორიოდ საფეხური უნდა დაბლა ჩაიარო, და აზრადაც არ მოგდიოდეს იმაზე ზრუნვა, სად წაიღო ხელები. თან გაუთავებლად *Madame*-ს უნდა გაიძახოდე: „*Ah Madame! Oh, Madame! Que pensez-vous, Madame? On me dit, Madame, que vous êtes fanatique de musique?*“** ეს არის და ეს. შორიდან კი საშინლად ძნელი გეჩვენებათ ეს ამბავი.

Enfin, კავშირ-ურთიერთობებში, რომელთაც ჩემს „*Fourberies*“*** ვუმადლოდი, გასჭრეს, თანაც იმრავლეს კიდევ, როცა თანადროული მუსიკის ჩემი საშემსრულებლო ბიურო გავხსენი. ყველაზე კარგი რამ კი ის გახლდათ, რომ ჩემი თავი ვიპოვე, ვინაიდან აი, როგორც ახლა მიყურებთ, მე იმპრესარიო გახლავართ, იმპრესარიო სისხლითა და ხორციით, მე აუცილებლად იმპრესარიო უნდა გამოვსულიყავი, ესაა ჩემი ვნება და სიამაყე, *j'y trouve ma satisfaction et mes délices*,**** ნიჭის, გენიის, საინტერესო პიროვნების აღფრთოვანება ან აღელვება მაინც, საზოგადოების აღფრთოვანება ან აღელვება მაინც, – ვინაიდან მხოლოდ ამას მოითხოვს იგი, *et nous nous rencontrons dans ce désir******, – საზოგადოებას სურს აღელვებდნენ, ახელებდნენ, მომხრეებად და მოწინააღმდეგეებად თიშავდნენ; არაფერი ისე არ სიამოვნებს, როგორც სეირის ყურება და აურზაური, *qui fournit le sujet****** საგაზეთო კარიკატურებისა და გაუთავებელი ლაყბობისათვის: გზა სახელისა და დიდებისაკენ პარიზში ყუბადალებულობაზე გადის. ნამდვილმა პრემიერამ ისე უნდა ჩაიაროს, რომ სპექტაკლის მსვლელობისას მაყურებლები წამდაუნუმ ხტებოდნენ ადგილიდან და უმრავლესობა ღრიალებდეს: „*Insulte! Impudence! Bouffonnerie*

*ნაღებთა ნაღებში (ფრანგ.).

**აჰ, მაღამ, ოჰ, მაღამ! თქვენ როგორ მივაჩნიათ, მაღამ? ამბობენ, ფანტიკურად თავდადებული ბრძანდებით მუსიკისთვის, მაღამ?“ (ფრანგ.).

***ბოლოს და ბოლოს... „ოინებს“ (ფრანგ.).

****ესაა მთელი ჩემი სიამე და სიხარული (ფრანგ.).

*****და ამ სურვილს მე მათთან ერთად ვიზიარებ (ფრანგ.).

*****რომელიც იძლევა მასალას (ფრანგ.).

ignominieuse!“ მაშინ როდესაც ექვსი თუ შვიდი initiés**, ერიკ სატი, რამდენიმე სიურრეალისტი, ვირჯილ ტომსონი, ლოჟებიდან ყვირიან: „Quelle précision! Quel esprit! C'est divin! C'est suprême! Bravo! Bravo!“***

ეშიშობ, შეგაკრთეთ, ბატონებო! თუ Maître Le Vercune არა, ალბათ ბატონი პროფესორი მაინც. მაგრამ, ჯერ ერთი, ვიჩქარი დაგუმატო, რომ ამის გამო ჯერჯერობით არც ერთი ასეთი საკონცერტო საღამო დროზე ადრე არ შეუნყვეტიათ – არსებითად ეს არც სურთ ყველაზე აღშფოთებულებსაც კი, პირიქით, მათ უნდათ, რომ კვლავ ჰქონდეთ აღშფოთების საშუალება, ამას ატანენ გემოს, ეს სიამოვნებით კონცერტზე მოსულებს, თან, საბოლოო ჯამში, რა უცნაურიც უნდა იყოს ეს, მცირეწიციან მცოდნეთა აზრი იმარჯვებს. მეორეც, მე არ ვამბობ, რომ პროგრესული მიმართულების ყოველ კონცერტზე ისეთი ამბები ტრიალდება, როგორც აგინერეთ. თუ ნიადაგს ჯეროდნად მოამზადებ პრესის საშუალებით, თუ ბრიყვს წინასწარ ფარ-ხმალს დააყრევინებ, კონცერტის რიგიანი მსვლელობა გარანტირებულია, ხოლო თუ დღესდღეობით დამსწრე საზოგადოებას იმ ერის ხელოვანს წარუდგენთ, რომელიც სულ ახლახან ჩვენი მოწინააღმდეგე გახლდათ, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ მაყურებელი თავაზიანად შეხვდება...

ამ საღ მოსაზრებას ემყარება ჩემი წინადადება, თქვენი მიწვევა. გერმანელი, un boche qui par son génie appartient au monde et qui marche à la tête du progrès musical!**** დღეს ეს ძალზე პიკანტური გამონკვევა გახლავთ საზოგადოებისათვის, მისი ცნობისმოყვარეობის გახელება; აქ უნდა გამოჩნდეს, მოკლებულია ის ცრურწმენებს, სნობიზმს თუ არა, კარგად არის აღზრდილი თუ არა? – და მით უფრო პიკანტურია, რაც უფრო ნაკლებად უარყოფს ხელოვანი თავის ეროვნულ იერ-სახეს, თავის გერმანელობას, რაც უფრო მეტ საბაბს იძლევა შეძახილისათვის: „Ah, xa c'est bien allemand, par exemple!“***** თქვენ კი ნამდვილად ასე იქცევით, cher Maître, pourquoi

*„თავხედობა! ურცხვობა! უღირსი ბუფონადა!“ (ფრანგ.)

**საქმეში ჩახედული (ფრანგ.)

***რა სიზუსტეა! რა გონებამახვილობა! ღვთაებრივია! უბადლოა ბრავო! ბრავო! (ფრანგ.)

****ბოში (გერმანელის დამცინავი მეტსახელი), რომელიც თავისი გენიის წყალობით მთელ კაცობრიობას ეკუთვნის და რომელიც მუსიკალური პროგრესის თავში მიაბიჯებს! (ფრანგ.)

*****აჰ, აი ეს ცინცხალი გერმანელია, მართლაც რომ სამაგალითოა! (ფრანგ.)

pas le dire?*) თქვენ საამისო საბაბს ყოველ ნაბიჯზე იძლევიტ – იმდენად დასაწყისში კი არა, „Phosphorescence de la mer“-ისა** და თქვენი კომიკური ოპერის პერიოდში, არამედ შემდგომ, სულ უფრო და უფრო, ნაწარმოებიდან ნაწარმოებამდე. თქვენ, რასაკვირველია, ფიქრობთ, რომ უწინარეს ყოვლისა თქვენი უმკაცრესი დისციპლინა მაქვს მხედველობაში, და ის, რომ vous enchaînez votre art dans un système de règles inexorables et néoclassiques,*** როცა აიძულებთ ძას, ამ რკინის ხუნდებში იმოძრაოს, თუ მოხდენილად არა, განსუ-ლიერებულად და თამამად მაინც. მაგრამ მე მარტო ამას არ ვგულის-სხმობ, არამედ უფრო მეტს; როდესაც თქვენი qualité d'Allemand-ი**** ვახსენე – ახლა იმას ვფიქრობ, როგორ გამოვთქვა-მეთქი – მე ვგუ-ლისხმობდი ერთგვარ მოუქნელობას, რიტმის სიმძიმეს, უძრობას, grossièreté – ოდინდელ გერმანულ თვისებებს – en effet, entre nous***** და ამას ბახთანაც ვხვდებით, ხომ არ მიწყენთ, რომ გაკრი-ტიკებთ? Non, j'en suis sûr!***** საამისოდ ერთობ დიადი ხართ. თქვენი თემები თითქმის სულ ერთიანად მთლიანი წილადებისაგან, ნახევრების, მეოთხედების, მერვედებისაგან შედგებიან; ისინი თუ-მცა სინკოპირებულნი და აკინძულნი არიან, მაგრამ ხშირად თითქ-ოსდა მექანიკურად მომუშავე, თითქოსდა ფეხის ან ჩაქუჩის თანა-ბარზომიერ ცემას აყოლილ, მოქნილობასა და ელევანტურობას მოკლებული მდგომარეობის ასოციაციას იწვევენ. C'est „boche“ dans un degré fascinant*****. იმედია, არ ფიქრობთ, რომ მე ამას ვაძაგებ! ეს უბრალოდ énormément caractéristique,***** და ინტერნაციო-ნალური მუსიკის კონცერტთა სერიაში, რომელსაც ვამზადებ, ამგვ-არი ჰანგები ყოველად აუცილებელია.

ხომ ხედავთ, უკვე ვშლი ჩემს ჯადოსნურ მოსასხამს. პარიზს გაგაქ-როლებთ, ბრიუსელსა, ანტვერპენსა, ვენეციასა და კოპენჰაგენში ჩაგიყ-ვანთ. გაფაციცებულნი შეგხვდებიან. თქვენს განკარგულებაში იქნებიან საუკეთესო ორკესტრები და სოლისტები: ეს ჩემზე იყოს. თქვენ

*ძვირფასო მეტრ, რა დასამალია? (ფრანგ.)
 ** „ზღვის ჩირაღდნებისა“ (ფრანგ.)
 *** თქვენ ბოჭავთ თქვენს ხელოვნებას უმოწყალო ნეოკლასიკური წესების ჯაჭვით (ფრანგ.).
 **** გერმანული არსი (ფრანგ.).
 ***** უხეშობას... მართლა, ჩვენს შორის დარჩეს (ფრანგ.).
 ***** დარწმუნებული ვარ, არა! (ფრანგ.)
 ***** ეს უაღრესად მომხიბლავად გერმანულია (ფრანგ.).
 ***** არაჩვეულებრივად დამახასიათებელია (ფრანგ.).

უღირიყოფრებთ „Phosphorescence“-ს, ნანყვეტებს „Love's Labour's Lost“-
 იდან, თქვენს „Symphonie Cosmologique“-ს, როიალზე აკომპანემენ-
 ტს გაუნვთ თქვენს მიერ ფრანგ და ინგლისელ პოეტთა ტექსტებზე
 დანერილ სიმღერებს და მთელი მსოფლიო ალტაცებაში მოვა, რომ
 გერმანელმა, გუშინდელმა მტერმა, ტექსტების არჩევისას სულის ასეთი
 სიფართოვე გამოიჩინა. — ce cosmopolitisme génèreux et versatile! ** ჩემი
 მეგობარი მადამ მაია დე სტროცი-პეჩიჩი — კროატი ქალი — დღესდღე-
 ობით ალბათ დედამინის ორივე ნახევარსფეროს უმშვენიერესი სოპ-
 რანო — ამ ნანარმოებთა შესრულებას პატივად მიიჩნევს. კიტსის
 ჰიმნების ინსტრუმენტული პარტიისათვის მე ჟენევიდან მოვიწვევ კვ-
 არტეტ ფლონზალის ანდა ბრიუსელიდან კვარტეტ „Pro Arte“-ს, *** საუ-
 კეთესოთა შორის საუკეთესოებს, — კმაყოფილი ხართ?

რას ბრძანებთ, არ ღირიყოფრებთ? და არც პიანისტობა არა გასურთ?
 უარზე ხართ საკუთარ სიმღერებს აკომპანემენტი გაუნით? გასაგებია.
 Cher Maître, je vous comprends à demi mot! **** თქვენ არ გჩვევიათ
 ერთხელ სრულქმნილის კირკიტი. თქვენთვის მუსიკალური ნანარმოე-
 ბის შექმნა და შესრულება ერთია; როგორც კი გადაათეურებთ, თქვენთ-
 ვის ის დასრულებულია. აღარ უკრავთ მას, აღარ ღირიყოფრებთ, ვინაი-
 დან მაშინვე სწორებას დაუწყებდით, ვარიანტებად და ვარიაციებად და-
 შლიდით, შემდგომ განვითარებას დაუწყებდით და, შესაძლოა, ნახდენ-
 დით კიდევ რა გასაგებია ჩემთვის! Mais c'est dommage, pourtant. *****
 პირადი მომხიბლაობის გარეშე კონცერტები ძალზე აგებენ. Ah, bah,
 რამეს ვიღონებთ! ვინმე საქვეყნოდ ცნობილ ღირიყოფრ-ინტერპრეტატ-
 ორს მოვძებნით! არხეინად იყავით, დიდხანს ძებნა არ მოგვიხდება! მა-
 დამ დე სტროცი-პეჩიჩის მუდმივი აკომპანიატორი სიმღერების თანხლ-
 ებას თავის თავზე აიღებს, და თუ თქვენ, მეტრ, საერთოდ მაინც ჩამოხვ-
 ალთ, საერთოდ მაინც თუ დაესწრებით და საზოგადოებას დაენახვებით,
 ყველაფერი კარგად ჩაივლის. ჩვენ გავიმარჯვებთ.

ოღონდ ერთი პირობით კი — ah, non! ***** In absentia ***** არ
 უნდა დამავალთ თქვენი ნანარმოების შესრულება! თქვენი პირადი

* „კოსმოლოგიურ სიმფონიას“ (ფრანგ.).

** ასეთი დიდსულოვანი და მოქნილი კოსმოპოლიტიზმისაგან! (ფრანგ.)

*** „ხელოვნებისათვის“ (ლათ.).

**** ძვირფასო მეტრ, ნახევარ სიტყვაზე მესმის თქვენი! (ფრანგ.)

***** მაგრამ მაინც დასანანი (ფრანგ.).

***** აჰ, არა! (ფრანგ.)

***** თქვენს დაუსწრებლად (ლათ.).

დასწრება აუცილებელია, particulièrement à Paris*, სადაც მუსიკაში სახელი და დიდება სამ-ოთხ სალონში იქმნება. აბა, რად გფიქროთ ერთი-ორჯერ თქვათ: „Tout le monde sait, Madame, que votre jugement musical est infaillible!“** არაფერიც არ გიღირთ, ხოლო შედეგად კი უამრავ სიამოვნებას მიიღებთ. ჩემი კონცერტები მაღალ საზოგადოებაში რეზონანსის მხრივ ბატონ დიაგილევის რუსული ბალეტის პრემიერებს თუ ჩამორჩებიან — ისიც საკითხავია, ჩამორჩებიან კი? ყოველ საღამოს სადმე მიგიწვევენ. საერთოდ პარიზის წარჩინებულ საზოგადოებაში შეღწევაზე ძნელი არაფერია. მაგრამ ხელოვნებისათვის კი ამაზე იოლი არა არის რა. თუნდაც სახელისა და დიდების, სკანდალური ყბადაღებულობის წინარე სტადიაში იმყოფებოდეს. ცნობისმოყვარეობა ლახავს ყოველგვარ დაბრკოლებას, მათ შორის რჩეულთა განკერძოებულობასაც...

მაგრამ ამდენს რას ვქაქანებ მაღალ საზოგადოებასა და მის ცნობისმოყვარეობაზე! ხომ ვხედავ, რომ ამით თქვენი ცნობისმოყვარეობის გაღვიძებას ვერ ვახერხებ, cher Maître, ან როგორ უნდა მომეხერხებინა? მე ხომ სერიოზულად არც მიცდია. აბა, რა გესაქმებათ მაღალ საზოგადოებასთან? Entre nous,** ან მე რა შესაქმება? საქმის გამო მეტ-ნაკლებად დაკავშირებული ვარ, მაგრამ შინაგანად? მაინცდამაინც არა. ეს გარემო კი, თქვენი პფაიფერინგი და თქვენთან ყოფნა, Maître, დიახაც ხელს მიწყობს ჩემი გულგრილობა, მქირდავი დამოკიდებულება შევიმეცნო, რასაც ზედაპირული და დარღვიმანდული სამყაროს მიმართ განვიცდი. Dites-moi donc,** tქვენ ზაალეს კაიზერსაშერნიდან არა ხართ? რა დარბაისლური და ღირსეული სამშობლო გაქვთ! ჰოდა, ახლა ჩემს დაბადების ადგილსაც ვახსენებ — ლიუბლინს — აგრეთვე ღირსეულსა და სიძველით მოქანდულ ადგილსამყოფელს, საიდანაც ცხოვრებაში გარკვეული მარაგი მიგყვება, sévérité, un état d'âme solenne! et un peu gauche...**** ეჰ, მე ყველაზე ნაკლებადა ვარ მონადინებული ეს ელევანტური საზოგადოება გიქოთ, მაგრამ პარიზი შესაძლებლობას მოგცემთ ყველაზე საინტერესო, ყველაზე მძლავრი სტიმულის მომნიჭებელი ნაცნობობა გააბათ ხელოვნების მსახურ თქვენს თანამ-

*განსაკუთრებით პარიზში (ფრანგ.).

**„საყოველთაოდ ცნობილია, მაღამ, რომ თქვენი მსჯელობა მუსიკაზე უტყუარია ხოლმე!“ (ფრანგ.)

***ჩვენს შორის იყოს და (ფრანგ.).

****მითხარით ერთი (ფრანგ.).

*****სულის გარკვეული სიმკაცრისა, სიღარბისლისა და მოუქნელობისა... (ფრანგ.)

ოდმეთა შორის, თქვენს თანამზრახველთა, თქვენს პერთა შორის. და-
უახლოვდებით მხატვრებს, მწერლებს, ბალეტის ვარსკვლავებს, უნი-
ნარეს ყოვლისა კი – მუსიკოსებს. ევროპული კულტურისა და არტი-
სტულ ექსპერიმენტთა მესვეურნი – ყველანი ჩენი მეგობრები არი-
ან და თანახმანი გახლავან თქვენც დაგიმეგობრდნენ. უან კოქტო –
პოეტი, მიასინი – ტანცმაისტერი, მანუელ დე ფალია –
კომპოზიტორი. „ექვსეული“ – ახალი მუსიკის ექვსი დიადი წარმო-
მადგენელი – გამბედაობისა და გამოწვევის მთელი ეს ამალღებული
და თავშესაქცევი სფერო თქვენ გელოდებათ, თქვენც მისი ნაწილი
იქნებით, თუკი მოისურვებთ...

ნუთუ ამჯერადაც წინააღმდეგობა ამოვიკითხე თქვენს თვალე-
ბში? კი, მაგრამ, *cher Maître*, აქ გაუბედაობა, მორიდება, ღმერთმანი,
სრულიად უადგილო რამ გახლავთ, რა მიზეზიც კი უნდა ედოს საფ-
უძვლად თქვენს განდეგილობას. მე სულაც არ ვიძიებ ამის საბაბს.
ჩემთვის სრულიად საკმარისია, პატივისცემითა და, მე ვიტყვოდი,
განათლებული ადამიანის პოზიციიდან შევხვდე იმას, რომ ასეთი
განწყობილება არსებობს. ეს პფაიფერინგი, *ce refuge étrange et
érémitique**, ეს ყოველივე უმიზეზოდ არ იქნება, საინტერესო
სულიერი მოტივები იქნება, მაგრამ მე არ ვკითხულობ, რა მიზეზიც
გინდათ იყოს, თუნდაც ყველაზე მოულოდნელიც. *Eh bien***, რა
მოხდა მერე? განა ამან უნდა შეგაცებუნოთ ყოველგვარ ცრურწმენას
მოკლებული სფეროს წინაშე, ცრურწმენათაგან განძარცულობის
წინაშე თუ აღმოჩნდებით, რომელსაც, თავის მხრივ, საამისოდ არსე-
ბითი მიზეზები აქვს? *Oh, la, la!* გემოვნების გენიალურ კანონმდებე-
ლთა და ხელოვნების მოდურ კორიფეთა ეს წრე ჩვეულებრივ *demi-
fous excentriques-ისა*,*** ქანცგამოლეული სულებისა და გავ-
არდნილი ცოდვიშვილებისაგან შედგება. იმპრესარიო, *c'est une
espèce d'infirmier, voilà!*****

ჰოდა, ხომ ხედავთ, რა ცუდად ვუძღვები საქმეს, *dans quelle
manière tout à fait maladroite!****** ჩემს სასარგებლოდ მარტო ის
მეტყველებს, რომ ამას ვამჩნევ მაინც. ვცდილობ გაგამხნეოთ და თან
აშკარად ჩემდა საზიანოდ თქვენს სიამაყეს ვლახავ. მე, რასაკვირვე-
ლია, ჩემს თავს ვეუბნები, რომ თქვენნაირები – თუმცა არა, თქვენ-

*განდეგილის ეს უცნაური სავანე (ფრანგ.).

**კეთილი და პატიოსანი (ფრანგ.).

***ნახევრად შეშლილი ექსცენტრიკებისა (ფრანგ.).

**** ეს სატიჟეთის ზედამხედველის მსგავსი ვიღაცაა! (ფრანგ.).

*****ძალზე უგერგილოდ! (ფრანგ.)

ნაირებზე კი არ უნდა ვილაპარაკო, არამედ მხოლოდ თქვენზე — რომ თქვენ თქვენს არსებობას, თქვენს destin-ს* განიხილავთ, როგორც ერთადერთს, განუმეორებელს, მიიჩნევთ ერთობ წმინდად იმისათვის, რომ სხვებში გარიოთ. არაფერი არა გსურთ იცოდეთ სხვათა destinées** შესახებ. მხოლოდ საკუთარი გაინტერესებთ, როგორც ერთადერთი — ვიცი, მესმის! გეჯავრებათ, დამამცირებლად მიგაჩნიათ ყოველგვარი განზოგადება, გაერთიანება, გათანაბრება. ცალკეული პიროვნება განუმეორებელ შემთხვევად მიგაჩნიათ და ინდივიდუალისტურ, ქედმაღლურ მარტოობას ქადაგებთ, როგორც ლამის გარდაუვალ რამეს. „შეიძლება იცხოვრო, როცა სხვები ცხოვრობენ?“ — სადაღაც წავიკითხე ეს კითხვა, მაგრამ არ მახსოვს სად. ძალიან ავტორიტეტულ წყაროში კი. ხმამაღლა იქნება, თუ გუნებაში, ყველანი სვამთ ამ კითხვას. მარტოდენ ზრდილობის გამო და უფრო კი თავის მოსაჩვენებლად აქცევთ ერთმანეთს ყურადღებას — თუ კი საერთოდ ყურადღებას აქცევთ. ვოლფი, ბრამსი და ბრუკნერი წლობით ცხოვრობდნენ ერთსა და იმავე ქალაქში, სახელდობრ, ვენაში, მაგრამ მთელი ამ ხნის განმავლობაში თავს არიდებდნენ ურთიერთს და არც ერთი მათგანი, რამდენადაც ვიცი, თავის დღეში არც შეხვედრია მეორეს. თუ იმის მიხედვით ვიმსჯელებთ, რა აზრისაც იყვნენ ერთმანეთზე, მათი შეხვედრა მართლაც უხერხული იქნებოდა. კრიტიკული კოლეგიურობა როდი იგრძნობოდა მათს მსჯელობაში, არამედ მხოლოდ და მხოლოდ უარყოფითი დამოკიდებულება, anéantissement-ი, კენტად ყოფნის მიზნით. ბრამსი ბრუკნერის სიმფონიებს ჩირადაც არ აგდებდა, მათ ვეება ამორფულ გველებს უწოდებდა, და პირიქით, ბრუკნერიც უაღრესად მქირდავად უყურებდა ბრამსს. რე-მინორ კონცერტის პირველი თემა საკმაოდ საინტერესოდ მიაჩნდა, მაგრამ იქვე დასძენდა: ბრამსს ამის ტოლფასოვანი რამ თავის სიცოცხლეში აღარ შეუქმნიაო. ერთმანეთის არაფერი არ გინდათ გაიგოთ. ვოლფასთვის ბრამსი ნიშნავდა le dernier ennui***, და წავიკითხავთ ვენის „სალონურ ფურცელში“ ბრუკნერის მეშვიდე სიმფონიის მისეული კრიტიკა? აქ მისი ზოგადი აზრია გამოთქმული ბრუკნერის მნიშვნელობაზე. ვოლფი უკიჟინებს მას „ინტელექტის ნაკლებობას“ — avec quelque raison****, რადგან ბრუკნერი მართლაც

*ბედისწერას (ფრანგ.).

**ბედისწერათა (ფრანგ.).

***უკიდურეს მონყენილობას (ფრანგ.).

****არცთუ უსაფუძვლოდ (ფრანგ.).

გულუბრყვილო, ბალღური სულის პატრონი იყო, მთლიანად ჩაძირული თავის დიდებული გენერალური ბანის ჰანგებში, და მტკნარი იდიოტი ევროპული კულტურის ყველა საკითხში. მაგრამ საკმარისია ხელში ჩაგვივარდეთ ვოლფის ნერილობითი გამონათქვამები დოსტოევსკიზე, *qui sont simplement stupéfiants**, რომ უნებლიეთ კითხვა გებადებათ: ნეტავი თვითონ როგორა აქვს ამ კაცს თავი მოწყობილიო. თავისი დაუმთავრებელი ოპერის — „მანუელ ვენეგასის“ — ტექსტი, რომელიც ვინმე დოქტორმა ჰორნესმა მოახოხმარიკა, შექსპირის დონის ნაწარმოებად, ხელოვნების სასწაულად, პოეზიის მწვერვალად გამოაცხადა და გაავებული ილრინებოდა, როცა მეგობრები ეჭვს გამოთქვამდნენ. იმას როდი დასჯერდა, რომ მამაკაცთა გუნდისთვის ჰომინი შეთხზა — „მამულს“, ახლა გერმანიის იმპერატორისთვის მისი მიძღვნაც მოისურვა. როგორ მოგწონთ? თხოვნაზე კი უარი მოახსენეს! *Tout cela est un peu embarrassant, n'est-ce pas? Une confusion tragique.***

— ტრაგიკული-მეთქი, ბატონებო, იმიტომ ვამბობ, რომ, ჩემი აზრით, მსოფლიოს უბედურება სულიერი გათიშულობის, სისულელის, ერთმანეთის არგაგებისა და ვერგაგების გამო სჭირს. ვაგნერი თხუპნიაობას ეძახდა იმპრესიონიზმს მის თანადროულ მხატვრობაში — ამ დარგში საშინელი კონსერვატორი იყო. თან მის საკუთარ ჰარმონიულ მონაპოვართ ხომ უამრავი რამა აქვთ საერთო იმპრესიონიზმთან, მასთან მივყავართ, უფრო მეტიც, დისონანსების მხრივ ხშირად აღემატებიან კიდევ. პარიზელ თხუპნიებს ვაგნერი ტიცციანს უპირისპირებდა: აი ქეშმარიტი მხატვარი ვინ არისო. *A la bonne heure!**** მაგრამ ნამდვილად კი მისი გემოვნება ფერწერაში უფრო პილოტისა და დეკორატიული თაიგულის გამომგონებელ მაკარტს შორის ქანაობდა, ხოლო ტიცციანი — ის უფრო ლენბახის საქმე იყო, რომელსაც, თავის მხრივ, ისე კარგად ესმოდა ვაგნერი, რომ „პარსიფალს“ ბრახაბრუხი უწოდა, თანაც მაესტროს თანდასწრებით. *Ah, ah, comme c'est mélancolique, tout ça!*****

ბატონებო, ერთობ განზე გადავუხვიე! მაგრამ ეს იმას ნიშნავს, რომ ჩემი განზრახვიდან გადავუხვიე. ჩემი ენაწყლიანობა იმ ფაქტის

**რომლებიც უბრალოდ ჩიხში აყენებენ ადამიანს (ფრანგ.).*

***ეს ყოველივე ისე მარტივი ამბავი არ გახლავთ, ასე არ არის? ტრაგიკული დომხალია (ფრანგ.).*

****შესანიშნავია! (ფრანგ.).*

*****აჰ, აჰ, რა სამწუხაროა ეს ყოველივე! (ფრანგ.)*

გამოსატულებად მიიჩნით, რომ გეგმაზე ხელი ავიღე, აქ რომ ჩამომიყვანა. დავრწმუნდი, ჩემი ჩანაფიქრი ვერ განსოცოცელდება. მეტრ, თქვენ არ ამოხვალთ ჩემს წამოსასხამზე. მე თქვენი მენეჯერი ვერ ვიქნები და მსოფლიოს ვერ შემოგატარებთ. უარზე ხართ, და ამას უფრო უნდა გაეცრუებინა ჩემთვის გული, ვიდრე ნამდვილად გამიცრუა. *Sincèrement**, ჩემს თავს ვეკითხები, საერთოდ გამიცრუვდა კია გული? პფაიფერინგში შეიძლება კაცი პრაქტიკული მიზნით ჩამოხვიდე, მაგრამ ის მიზანი ყოველთვის მეორეხარისხოვანი მნიშვნელობისაა. აქ ჩამოდიხარ, თუნდაც იმპრესარიო იყო, პირველ რიგში *pour saluer un grand homme.*** საქმეში არავითარ ხელის მოცარვას არ ძალუძს ეს სიამოვნება შებღალს, განსაკუთრებით, თუ ამ პოზიტიური კმაყოფილების საგრძნობი ნაწილი სწორედ ხელის მოცარვაზეა დამყარებული. დიას, ეს ასეა, ძვირფასო მეტრ! უნდა გითხრა, რომ თქვენმა მიუყარებლობამ მეც კმაყოფილება მოჰანიჭა, სახელდობრ, იმ თანაგრძნობისა და სიმპათიის წყალობით, რასაც ჩემდა უნებლიეთ თქვენი საქციელი აღმიძრავს. ეს ჩემს ინტერესებს ეწინააღმდეგება, მაგრამ რას იზამ, — მე ადამიანი ვარ-მეთქი, მინდა ვთქვა, ადამიანობა ერთობ ვრცელი კატეგორია რომ არ იყოს, აქ უფრო სპეციფიკური გამოთქმა აჯობებდა.

შეიძლება გუმანშიაც არა ხართ, მეტრ, რა გერმანულია თქვენი *répugnance****, რომელიც — თუ ფსიქოლოგიაში მცირეოდენი ექსკურსის ნებას მიბოძებთ — ქედმაღლობისა და ქედმოდრეკილობის, სიძულვილისა და შიშის ძალზე დამახასიათებელ ნარევს შეადგენს; მე ვიტყვოდი, რომ იგი სერიოზული კაცის *ressentiment-ია***** სალონური სულისკვეთების მიმართ. ძველი აღთქმა ძვალსა და რბილში მაქვს გამჯდარი და ესეც გერმანელობაზე ნაკლები ამბავი კი არ არის და არსებითად ესეც ნაკლებად განგანყოფს კაცს *valse brillante-ს****** სასარგებლოდ. თუმცა ეს გერმანული ცრურწმენაა, თითქოს გარეთ მარტო *valse brillante* მოიპოვებოდეს, სერიოზულობა კი მარტო გერმანიაში, მაგრამ ებრაელიც არსებითად სკეპტიკურად არის განწყობილი მსოფლიოს მიმართ და ეს გარემოება გერმანელობის მიმართ სიმპათიას უღვიძებს, თან, რალა თქმა უნდა, დაზღვეული არ

*სიმართლე ვითხრათ (ფრანგ.).

**ღიადი ადამიანის პატივსაცემად (ფრანგ.).

***ზიზღი (ფრანგ.).

****გულმიუვალობა (ფრანგ.).

*****გრწყინვალე ვალსის (ფრანგ.).

არის, რომ ამის გამო პანდურს არ ამოჰკრავენ. „გერმანული“ ხომ უწინარეს ყოვლისა „ხალხურს“ ნიშნავს და აბა ებრაელს ხალხურობას ვინ დაუჯერებს? არათუ არ დაუჯერებენ, ერთი-ორ კარგისასაც წასცხებენ, თუ ბევრს იმეტიჩრებს. ჩვენ, ებრაელები, ყველაფერს უნდა მოველოდეთ გერმანული ხასიათისაგან, *qui est essentiellement antisémite*.* — რაც ჩვენთვის, რასაკვირველია, მიზეზად კმარა, რომ დანარჩენი მსოფლიოსკენ გადავიხაროთ, რომელსაც გართობებსა და სენსაციებს ვუნყობთ, ოღონდ ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ ქარაფშუტები ანდა ჭკუნალრძობები ვართ. ძალიან მშვენივრად ვარჩევთ გუნოს „ფაუსტს“ გოეთეს „ფაუსტისაგან“, თუნდაც ფრანგულად ვლაპარაკობდეთ, თუნდაც...

ბატონებო, ყოველივე ამას იმიტომ მოგახსენებთ, რომ საქმიან საუბარზე ხელი ავიღე, საქმეზე ლაპარაკს ჩვენ მოვრჩით, მე ვითომ უკვე მივიღვარ, ვითომ უკვე კარის სახელურს ნავავლე ხელი, ფეხზე ვდგავართ და მხოლოდ *pour prendre congé*-ლა** გემუსაიფებით. გუნოს „ფაუსტი“, ბატონებო, აბა ვინ დაიღრჩება მის ხსენებისას? მე არა და არც თქვენ, როგორც ჩემდა სასიამოვნოდ ვხედავ. მარგალიტია — *une marguerite*,*** აღსავსე უამრავი წარმტაცი მუსიკალური გამონაგონით! *Laisse-moi, laisse-moi contempler***** — რა მომაჯადოებელია! მასნეც მომაჯადოებელია, *lui aussi*,***** მაგრამ განსაკუთრებით მომხიბლავი ის პედაგოგის როლში ყოფილა — კონსერვატორიის პროფესორის თანამდებობაზე. რაზეც ანეკდოტებს ჰყვებიან. კომპოზიციის განხრით ჰყავდა მონაფეები და მათ თავიდანვე აიძულებდა მუსიკა შეეთხზათ. მისთვის სულ ერთი იყო, ტექნიკურად იმდენად იყვნენ განაფულნი თუ არა, რომ ერთი ფრაზა მაინც დაენერათ უშეცდომოდ. *Humain*,***** ხომ მართალია? გერმანული ეს არ გახლავთ, მაგრამ *humain*. ერთი ყმანვილი ეახლა ახალგამომცხვარი სიმღერით — ის-ის იყო დაენერა და არცთუ უნიჭოდ. „*Tiens!*“*****, — უთხრა მასნემ, — ამას მართლაც არა უშავს რა. ყური დამიგდე, ერთი კუდრაჭა გოგონა არა გყავს? იმას დაუკარი და აუცილებლად მოეწონება, დანარჩენი კი მერე თავისთავად მოგ-

*რომელიც საფუძველშივე ანტისემიტურია (ფრანგ.).

**გამოთხოვებისასლა (ფრანგ.).

**ყავილი (ფრანგ.).

***მაცალე რა, მაცალე დავტკბე (ფრანგ.).

****ისიც (ფრანგ.).

*****ადამიანურია (ფრანგ.).

*****ერთი უყურეთ! (ფრანგ.).

არდება. გაურკვეველია, „დანარჩენში“ რას გულისხმობდა, როგორც ჩანს, ყველაფერს, რაც სიყვარულსა და ხელოვნებას შეეხება. თქვენ გყავთ მონაფეები, მეტრ? ისინი ასე ლაღად ვერ იგრძნობდნენ თავს. მაგრამ თქვენ შევირდები არა გყავთ, ბრუკნერს ჰყავდა. სიყრმიდანვე მუსიკასა და მასთან დაკავშირებულ წმიდათანმიდა სიძნელეებს ერკინებოდა, როგორც იაკობი ანგელოზს, და ამასვე მოითხოვდა სტუდენტებისაგან. წლობით უნდა ევარჯიშათ თავიანთ წმინდა ხელობაში, ჰარმონიისა და მკაცრი სტილის საფუძვლებში, ვიდრე სიმღერის შესრულების უფლებას მოიპოვებდნენ, ხოლო საყვარელ კუდრაჭა გოგონებთან ამ სამუსიკო პედაგოგიკას აბსოლუტურად არაფერი არ ესაქმებოდა. შეიძლება მიამიტად ბალღური სული გქონდეს, მაგრამ მუსიკა უზენაესი შემეცნების საიდუმლოებით მოცული განცხადებაა, ღვთისმსახურებაა, ხოლო მუსიკის მასწავლებლის პროფესია ქურუმის საქმიანობას წააგავს...

Comme c'est respectable! Pas précisément humain, mais extrêmement respectable!* ჰოდა, შეიძლება ჩვენ, ებრაელები, ღვთისმოსავი ხალხი, თუნდაც ისინი, ვინც ჰარიზის სალონებში ეტრიალებთ, ვერ ვგრძნობდეთ გერმანელობის მიმზიდველობას? და მისგან ჩვენც არ გადაგვედოს ირონიული დამოკიდებულება კუდრაჭა გოგონას სამყაროსა და ხელოვნების მიმართ? ხალხურობაზე თავის დადება ჩვენგან კადნიერება იქნებოდა და აკლება არ აგვცდებოდა. ჩვენ კოსმოპოლიტები ვართ — მაგრამ უფრო გერმანოფილურად განწყობილნი, ვიდრე ვინმე სხვა მსოფლიოში, თუნდაც იმიტომ, რომ არ ძალგვიძს ამქვეყნად გერმანელობისა და ებრაელობის როლის მსგავსება არ დავინახოთ. Une analogie frappante!** მაგრამ ისინი ერთნაირად სძულთ, ზიზლით ეკიდებიან, ეშინიათ და შურთ მათი; თანაბრად გარიყულნი არიან და ღირსნიც გარიყვისა. ახლა ხშირად ლაპარაკობენ ნაციონალიზმის ეპოქაზე. მაგრამ ნამდვილად მხოლოდ ორი ნაციონალიზმი არსებობს: გერმანული და ებრაული; მათთან შედარებით ყველა დანარჩენი ბალღური თამაშია, როგორც, მაგალითად, ანატოლ ფრანსის თავგამოდებული ფრანგობა წმინდა წყლის დარღვიმანდული მანჭიაობაა გერმანულ მარტოობას და ებრაულ გამორჩეულობასთან შედარებით... France — ნაციონალისტური nom de guerre-ია.** გერმანელი მწერალი „გერმანიას“

**პატივისცემის ღირსია! მაინცდამაინც ჰუმანური არ არის, მაგრამ უაღრესად პატივისცემის ღირსია! (ფრანგ.)*

***განსაცვიფრებელი ანალოგიაა! (ფრანგ.)*

***ფსევდონიმია (ფრანგ.).*

(“Deutschland”) ვერ დაირქმევდა. ასე, თუ მაინცდამაინც გინდათ, შეიძლება სამხედრო გემს უწოდოთ. გერმანელი მწერალი იძულებული იქნებოდა „Deutsch“-ს დასჯერებოდა, „დოიჩ“ კი უკვე ებრაული გვარი გახლავთ. – Oh, la, la!

ბატონებო, ახლა კი უკვე ნამდვილად დავწიე კარის სახელურს, უკვე გარეთა ვარ და მარტო ერთსლა გეტყვით. გერმანელებმა ებრაელებს უნდა დაანებონ გერმანოფილობა. თორემ თავიანთი ნაციონალიზმით, ქედმაღლობით, აკვიატებული იდეით, რომ შეუდარებელნი არიან, სხვებთან მწყობრში ჩადგომისა და გატოლების სიძულვილით, იმის არნდომით, რომ ქვეყნიერებას ნარუდგენ ვისიმე მეშვეობით და საზოგადოებაში გაერიონ, – ყოველივე ამით უბედურებას დაიტყვენ თავზე, ჭეშმარიტად ებრაულ უბედურებას, je vous jure*, გერმანელებმა ებრაელებს შუამავლობის ნება უნდა დართონ მათსა და საზოგადოებას შორის, ისინი გერმანული სულის მენეჯერებად, იმპრესარიოებად, რწმუნებულებად უნდა გაიხადონ. ებრაელი საამისოდ სწორედ შესაფერისი კაცია. აწიტომ არ უნდა დაითხოვოთ. იგი კოსმოპოლიტია და გერმანოფილივით განწყობილი... Mais c'est en vain. Et c'est très dommage!** ნეტავი რალას ვქაქანებ. დიდი ხანია უკვე ავიბარგე. Cher Maitre, j'étais enchanté. J'ai manqué ma mission,*** მაგრამ აღფრთოვანებული ვარ. Mes respects, Monsieur le professeur. Vous m'avez assisté trop peu, mais je ne vous en veux pas. Mille choses à Madame შვაი-გე-შტილს. Adieu, adieu...****

XXXVIII

ჩემმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ ადრიანმა რუდი შვერტფე-გერს აუსრულა წლობით გულში ნანატრი და ხშირად ხმამაღლა გამოთქმული სურვილი – სავიოლინო კონცერტი დაუნერა, მევიოლინესათვის ოსტატობის გამოსაჩინად ძალზე ხელსაყრელი, ბრწყინვალე

*გარწმუნებთ (ფრანგ.).

**ოლონდ ამაზე ლაპარაკი უკვე აღარა ღირს. ძალიან დასანანი კია! (ფრანგ.).

***ქვირფასო მეტრ, მოხიბლული მივდივარ! ჩემი მისია ჩაიშალა. (ფრანგ.)

****(შიილეთ) ჩემი პატივისცემა, ბატონო პროფესორო. თქვენ ძალიან ცოტას მეხმარებოდით, მაგრამ არ გემდურით. უამრავი მოკითხვა მაქვამ... მშვიდობით, მშვიდობით... (ფრანგ.)

ნაწარმოები, თანაც პირადად მას მიუძღვნა და ვენაშიც ახლდა ამ ნაწარმოების პირველად შესარულებისას. თავის ადგილზე იმასაც მოგიტხრობთ, რომ რამდენიმე თვის შემდეგ, ესე იგი დაასლოებით 1924 წლის მიწურულს, ამავე კონცერტის განმეორებებსაც დაესწრო ბერნსა და ციურიჰში. მანამდე კი მინდა ერთობ სერიოზული მიზეზის გამო დავუბრუნდე ამ კომპოზიციის ჩემეულ, შესაძლოა, მოურიდებელ, შესაძლოა, ჩემთვის შეუფერებელ დახასიათებას, რომელიც ზევით მოვახდინე: ვირტუოზობის გამოსავლენად, კონცერტზე ეფექტის მოსახდენად გათვალისწინებული, რამდენადმე გულითადი მუსიკალური მანერის გამო იგი, ცოტა არ იყოს, სცილდება ლევერკიუნის მთელი შემოქმედებისათვის ნიშანდობლივ ჩარჩოებს, რომელიც რადიკალური სიმკაცრით გამოირჩევა და დათმობაზე წასვლა რა არის, არ იცის-მეთქი. რატომღაც მჯერა, რომ შთამომავლობა მხარს დაუჭერს ამ ჩემს „განაჩენს“ – ღმერთო ჩემო, რარიგ არ მიყვარს ეს სიტყვა! ხოლო აქ კი მხოლოდ და მხოლოდ მინდა ფსიქოლოგიური კომენტარი დავუერთო მოვლენას, რომელსაც სხვა-ნაირად გასაღები ვერ მოექებნება.

ერთი თავისებურება ახლავს ამ ნაწარმოებს: სამ ნაწილად არის დაწერილი, მაგრამ ტონალობის აღუნიშნავად. ფაქტობრივად კი, თუ შეიძლება ასე ითქვას, ერთდროულად სამ ტონალობას მოიცავს: სი-ბემოლ-მაჟორს, დო-მაჟორს და რე-მაჟორს. მათგან – ეს მუსიკოსისათვის ცხადზე ცხადია – რე-მაჟორი ორმაგი დომინანტის როლს ასრულებს, სი-ბემოლ-მაჟორი – სუბდომინანტისას, ხოლო დო-მაჟორს ზუსტად შუა ადგილი უჭირავს. ამ ტონალობებს შორის ძალზე გონებამახვილურად ვითარდება მთელი ნაწარმოები. ასე რომ, თითქმის მთელი ხნის განმავლობაში არც ერთი მათგანი მკაფიოდ არ ისახება და მარტო უღერადობათა პროპორციებით არიან მინიშნებულნი. ნაწარმოების მოზრდილი მონაკვეთები სამივე ტონალობას ექვემდებარებიან, ვიდრე ბოლოს დო-მაჟორი აჟღერდებოდეს აშკარად, ცხადად, რაც მსმენელთ მუდამ აელექტროებს და ტრიუმფის განწყობას აღძრავს. პირველ ნაწილში, რომელსაც „Andante amoroso“* ეწოდება და სულ ერთიანად დაცივნის მიჯნამდე მიყვანილი სიტკბოებითა და სინაზით არის აღსავსე, გვხვდება წამყვანი აკორდი. მას ჩემი ყურისათვის რაღაც ფრანგული აქვს: c-g-e-b-d-fis-a. ეს თანხმოვანება, მის ზეგარდმო მონანავე ვიოლინოს მაღალ

*„სატრფიალო ანდანტე“ (იტალ.).

f-თან შეხამებული, შეიცავს სამივე ძირითადი ტონალობის ტონურ სამხმოვანებებს. ამ აკორდშია, ასე ვთქვათ, სული ნაწარმოებისა, ამაშივეა ამ ნაწილის მთავარი თემის სულიც, თემისა, რომელსაც მესამე ნაწილში კვლავ აიტაცებს ფერად-ფერადი ვარიაციების წყება. ეს გახლავთ ჯადოსნური, მელოდიური, ილბლიანი მიგნება, ვეება რკალივით ზემიმსწრაფი, სუნთქვის გამთანგავი, მჩქეფარე კანტილენა; მას აშკარად ვიტრინისათვის დამახასიათებელი რალაც სცხია, ბრწყინავს და ელავს, მაგრამ ამასთანავე მელანქოლიურიც არის, შემსრულებლის ყაიდაზე მამებლურად მელანქოლიური. ეს გამონაგონი იმით არის დამახასიათებელი და აღმაფრთოვანებელი, რომ მელოდიური ხაზი მოულოდნელად და ფაქიზად არის აქცენტირებული, აღწევს რა გარკვეულ კულმინაციურ წერტილს, ტონალობის შემდგომ საფეხურზე გადადის და მერმე იქიდან უდიდესი გემოვნებით, შესაძლოა, მეტისმეტი გემოვნებითაც უკუიქცევა და რაკრაკით ამოსწურავს თავის თავს. აქ მშვენების ერთერთ იმ გამოვლენასთან გვაქვს საქმე, როდესაც იგი უკვე ფიზიკურ ზემოქმედებას ახდენს ჩვენზე, მთელი სხეულით აგვიტაცებს ხოლმე; ამის უნარი მხოლოდ მუსიკას შესწევს და ხელოვნების არც ერთ სხვა დარგს. სწორედ ამ თემის განდიდებას ტუტი-ორკესტრის მიერ ვარიაციებიანი ნაწილის ბოლოში მოსდევს აფეთქებასავით მკვეთრი გადასვლა დაუფარავ დო-მაჟორში. ამ eclat-ს* წინ უძღვის დრამატულ-სასაუბრო ხასიათის თამამი შემამზადებელი ჰასაყის მსგავსი მონაკვეთი, — პირველი ვიოლინოს რეჩიტატივის მკაფიო რემინისცენცია, ბეთჰოვენის ლა-მინორ კვარტეტის ბოლო ნაწილში რომ გვხვდება, იმ განსხვავებით, რომ მაღალფარდოვან ფრაზას იქ სხვა რამ მოსდევს და არა სადღესასწაულო მელოდიურობა, რომელშიც თავდავინწყების პაროდია სრულიად სერიოზულად გააზრებულ და ამიტომ, ცოტა არ იყოს, დამარცხვენელ ვნებად იქცევა.

მე ვიცი, რომ ვიდრე ამ კონცერტს შეთხზავდა, ლევერკიუნი ყურადღებით სწავლობდა ბერიოს, ვიეტანისა და ვენიავსკის სავიოლინო ნაწარმოებებს და იყენებს მათ ერთსა და იმავე დროს პატივისცემითაც და გამარყებულადაც; თან, სხვათა შორის, შემსრულებლისაგან ისეთ მაღალ ტექნიკურ ოსტატობას მოითხოვს, განსაკუთრებით უკიდურესად ლაღსა და ვირტუოზულ შუა ნაწილში, სკერცოში, რომელშიც ციტატაა ჩართული ტარტინის სონატიდან: „ემ-

*ბრწყინვალეობა (ფრანგ.).

მაკის კრიმანჭული“, რომ საბრალო რუდის შავი დღე ადგებოდა ხოლმე: ოფლი უნამავდა შუბლს ხუჭუჭა ქერა თმის ძირებთან, ხოლო ლამაზი ლაყვარდოვანი თვალების თეთრი გარსი წითელი ძარღვებით ექსელეობდა. მაგრამ, სამაგიეროდ, რა მომგებიანი ეფექტები, „ფლირტის“ რა შესაძლებლობები წარმოიქმნებოდა, ამ სიტყვის ამალგებული მნიშვნელობით, ნაწარმოებში, რომელსაც მაცესტროს თანდასწრებით მე „სალონური მუსიკის აპოთეოზი“ ვუწოდე, თან, რასაკვირველია, წინასწარ ვიცოდი, რომ არ მიწყენდა და ღიმილით შეხვდებოდა ამგვარ კვალიფიკაციას.

არ შემიძლია ეს ჰიბრიდული ქმნილება ისე ვახსენო, რომ ერთი საუბარი არ მომაგონდეს, მიუნჰენში, ფაბრიკანტ ბულინგერის ბინაში ვიდენმაიერშტრასეზე. ბულინგერს მთელი ბელეტაჟი ეჭირა მის მიერვე აგებულ ფეშენებელურ სახლში, ფანჯრებით იზარის საგანგებოდ მოვლილ კალაპოტს და შიგ მოდგაფუნე მთის მდინარის შეურყვნელ ტალღებს რომ გადაჰყურებდა. საღამოს შვიდ საათზე ამ მდიდარ კაცს წვეულება ჰქონდა, თხუთმეტიოდე სტუმრისთვის გაეშალა სუფრა კარგად განვრთნილ მსახურთა შემწეობით, რომელთაც სათავეში მწე ქალი უდგა, დახვეწილი ყოფაქცევის მანდილოსანი, გულში ალბათ ბულინგერზე გათხოვებას რომ ოცნებობდა. ფაბრიკანტი სტუმართმოყვარე მასპინძლის როლს თამაშობდა, მისი სახლის კარი მუდამ ღია იყო სტუმრისთვის. მეტწილად მსხვილი ფინანსისტები და საქმოსნები იყრიდნენ მასთან თავს, მაგრამ, როგორც უკვე ვიცით, თავის გამოდება და ინტელექტუალური ცხოვრების ამქარში გარევაც უყვარდა. ამიტომ მის მდიდრულად მოწყობილ დარბაზში ისეთი საღამოებიც იმართებოდა, რომლებსაც ხელოვანნი და სწავლულებიც ესწრებოდნენ, — არავინ არ თვლიდა საჭიროდ და, უნდა გამოგიტყდეთ, არც მე, უარი ეთქვა მისი სუფრის ნუგბარ-ნუგბარ დელიკატესებზე და იმ ელეგანტურ ჩარჩოზე, რასაც მისი ბინაწარმოადგენდა გაცხოველებული სჯა-ბაასისათვის.

ამჯერად აქ იყვნენ ჟანეტი შოირლი, ბატონი და ქალბატონი კნოტერიჰები, შილდეკნაპი, რუდი შვერტფეგერი, ცინკი და შპენგლერი, ნუმიზმატი კრანიჰი, გამომცემელი რადბრუხი მეუღლითურთ, მსახიობი ქალი ცვიჩერი, ბუკოვინელი კომედიოგრაფი ქალბატონი ბინდერ-მაიორესკუ, ბოლოს მეცა და ჩემი საყვარელი მეუღლეც; მერე ადრიანიც მოვიდა, გაჭრა ჩვენმა ხვენამ და დაყოლიებამ: ჩემმა და აგრეთვე შილდეკნაპისა და შვერტფეგერისამ. ოღონდ, სახელდობრ, რომლის თხოვნამ გადასძლია,

ამას არ ვიძიებ და არც არავითარ შემთხვევაში არა მგონია, რომ მაინცდამაინც ჩემმა. ვინაიდან სუფრასთან ჟანეტის გვერდით იჯდა, ვისი სიახლოვეც მუდამ სასიკეთოდ მოქმედებდა ადრიანზე და ვინაიდან საერთოდაც ნაცნობი სახეებით იყო გარემოცული, ეტყობოდა, არათუ არ ნანობდა, რომ ჩვენს ნებას დაჰყვა, არამედ იქ ყოფნის მთელი სამი საათის განმავლობაში თავს საუცხოოდ გრძნობდა. მე გუნებაში მიხაროდა, როცა ვხედავდი, რა უნებლიე პატივისცემით, დამსწრეთა უმრავლესობისაგან რომ არც მოველოდი, ისეთი მოკრძალებითა და რიდით ეკიდებოდნენ საზოგადოებაში ჯერ მხოლოდ ოცდათვრამეტი წლისას. ეს ამბავი მახარებდა-მეთქი, ვთქვი, მაგრამ ამასთანავე გული მეკუმშებოდა დარდისაგან, რადგან ამგვარი დამოკიდებულების მიზეზი ხომ ის ენით აუწერელი გაუცხოებისა და განდევილობის ატმოსფერო გახლდათ, რომლითაც გარემოცული იყო ლევერკუნი, რაც ბოლო წლებში სულ უფრო მძაფრად იგრძნობოდა და უფრო ამორებდა მას საზოგადოებას; ასე რომ, ვინმეს შეიძლებოდა ეს კაცი სხვა ქვეყნიდან მოვლენილად მოსჩვენებოდა, სადაც, მის გარდა, არავინ ცხოვრობდა.

ამ საღამოს, როგორც ვთქვი, თავს კარგად გრძნობდა და საუბრითაც, ხალისით საუბრობდა, რაც მე ნაწილობრივ ზულინგერის ანგოსტურათი შეზავებული და შამპანურზე დაყენებული კოქტეილისათუ დიდებული ჰვალცური ღვინის დამსახურებდად მივიჩინე. უფრო შპენგლერს ებაასებოდა, რომელსაც ჯანმრთელობა კიდევ გაუარესებოდა (სატკივარს გულზეც ემოქმედა) და ჩვენთან ერთად იცინოდა ლეო ცინკის ოინბაზობაზე, როცა სკამის საზურგეზე გადასვენებულმა ვეება ტილოს ხელსახოცი ზენარივით წინ აიფარა, ზედ გროტესკულ ცხვირამდე, და ზევიდან არხეინად გულ-ხელი დაიკრიფა. კიდევ უფრო გაამხიარულა ჩემი მეგობარი ხუმარას ეშმაკობამ, როცა ბულინგერმა – იგი ზეთის საღებავებით ხატვაზე თავს სდებდა – თავის ნატურმორტის დემონსტრირება მოინადინა. ცინკმა ჩვენც გადაგვარჩინა და თვითონაც თავი დიზღვია მასპინძლის საგულდაგულო ნახელავზე რაიმე აზრის გამოთქმისაგან. ნახატის გამოჩენას ერთი ამბით შეხვდა, ათასნაირი არაფრის მთქნელი შეძახილებითა და ყიჟინით, ხან რომელი კუთხიდან უჭკვრეტდა და ხან რომელით, ერთხელ კი თავდაყირაც დააყენა და ისე შეხედა. გაკვირვება და გატრიზავება, გაურკვეველი შეძახილები საერთოდ ისედაც ჩვეულებად ჰქონდა ამ არცთუ მაინცდამაინც საამურ კაცს ისეთ საუბრებში, რომლებიც აღემატებოდა მის მხატვრულ-ოინბაზურ

თვალთახედვას. ამიტომ ერთხანს იგივე ნამოიწყო, როცა ჩვენი მუს-
აიფი იმ ესთეტიკურ-ზნეობრივ საკითხებს შეეხო, რაზედაც ამჟამად
ვიქვრობ.

სჯა-ბაასი გამოიწვია მუსიკალურ ნაწარმოებთა მექანიკურმა
შესრულებამ, რაც მასპინძელმა ყავის შემდეგ მოაწყო, ვიდრე
სტუმრები თამბაქოს ეწეოდნენ და ლიქიორს სვამდნენ. იმხანად გრამ-
ოფონის ფირფიტა საგრძნობლად გააუმჯობესეს და ბულინგერმა
კარადის მსგავს ბუდეში ჩასმული ძვირფასი აპარატით მრავალი სან-
უკვარი ნაწარმოები მოგვასმენინა: ჯერ, რამდენადაც მახსოვს,
საუცხოოდ შესრულებული ვალსი გუნოს „ფაუსტიდან“, რასთან და-
კავშირებით ბაპტისტმა შპენგლერმა ესლა აღნიშნა: მელოდია
მდელოზე გამართული ხალხური ცეკვისთვის ერთობ ელეგანტური
და სალონურიაო. ყველამ ერთხმად აღიარა, რომ ამგვარი სტილი
ბევრად უფრო შეეფერებოდა ბერლიოზის „ფანტასტიკური სიმფო-
ნიის“ წარმტაც საბალეტო მუსიკას და მისი მოსმენა მოისურვეს, მაგ-
რამ ბულინგერს ეს ფირფიტა არ აღმოაჩნდა. მაშინ შვერტფეგერმა
გულდაგულ, უნაკლოდ და უბადლოდ დაუსტვინა მელოდია ვიოლი-
ნოს ტემპრით, მერმე კი სიცილით შეეგება ტაშს, თან, როგორც სჩვე-
ოდა, მხრებს იჩჩრდა, სახე ებრიცებოდა და პირის ცალი კუნჭული
დაბლა ჩამოეწეოდა ხოლმე. ამის შემდეგ ფრანგულთან შედარების
მიზნით ზოგიერთმა ვენური მუსიკის მოსმენა მოინადინა, ლანერისა
და იოჰან შტრაუს-უმცროსისა, ჩვენი მასპინძელიც დიდი სიამოვნე-
ბით უკრავდა შესაბამის ფირფიტებს თავისი კოლექციიდან, ვიდრე
ქალბატონთაგან ერთ-ერთმა — ახლაც ზუსტად მახსოვს, ფრაუ
რადბრუხი გააღდათ, გამომცემლის მეუღლე, — დასძენდა: ამ ქარა-
ფშუტული რაქების დაკვრით აქ დამსწრე დიდ კომპოზიტორს ნეტა-
ვი თავს ხომ არ ვაბეზრებთო. ყველანი შეჩქვიფებულნი გამოე-
მაურნენ შენიშვნას. მხოლოდ ადრიანს გამოორჩა ფრაუ რადბრუხის
ნათქვამი და გაკვირვებული ყურს უგდებდა სტუმართა შეძახილე-
ბს. ხოლო როცა ქალბატონის სიტყვები გაუმეორეს, გაფაციცებით
იუარა: ღვთის გულისათვის, რას ამბობთ, ეს სრულიად მცდარი წარ-
მოდგენა გახლავთ. ჩემზე უფრო ვინ შეიძლება ტკებოდეს ამ გარ-
კვეული თვალსაზრისით ოსტატურად დაწერილი ნაწარმოებებითო.

— თქვენ ჯეროვნად კერ აფასებთ ჩემს მუსიკალურ აღზრდას, —
თქვა ადრიანმა. — ყმანვილობისას მასწავლებელი მყავდა (თან მე
გადმომხედა მისთვის ჩვეული მწყაზარი, ნატიფი და სულში ჩამნ-
ვდომი ლიმილით), ენთუზიასტი, რომელიც გატიკინილი იყო მთელარ

მსოფლიოს მუსიკალური ქმნილებებით და ლამის წალეკილიყო ჰანგების ნიაღვრით, — კაცი, რომელსაც ისე უყვარდა ყოველი მათგანი, საერთოდ ყოველი ორგანიზებული ხმაური, რომ მისგან მუსიკალურ ამბებში ამპარტავნობასა და თავის გამოდებას ვერა და ვერ ვისწავლიდი. მან დიახაც კარგად უწყოდა, რა იყო ამაღლებული და მკაცრი მუსიკაში, მაგრამ მისთვის მუსიკა მუდამ მუსიკად რჩებოდა, როგორც უნდა ყოფილიყო და გოეთეს სიტყვების მიმართ: ხელოვნება ძნელსა და სასიკეთო საქმეს ეწვეაო, შენიშნავდა ხოლმე: იოლიც ძნელია, როცა ის სასიკეთოა, ასეთი კი იგი ისევე შეიძლება იყოს, როგორც ძნელიო. ჰოდა, მეც ძვალსა და რბილში გამიჯდა ეს ამბავი. მისგანა მაქვს გამოყოლილი. ყოველ შემთხვევაში ის მაინც კარგად გავუგე, რომ ძნელისა და სასიკეთოს ბედაურზე ძალიან მტკიცედ უნდა იჯდე, რათა იოლი ასე აღიქვა.

დუმილი ჩამოვარდა ოთახში. არსებითად მან თქვა, რომ მარტოდმარტო მას ჰქონდა უფლება ახლახან მოსმენილი საამური ჰანგებით დამტკბარიყო. ყოველი ჩვენგანი შეეცადა ასე არ გაეგო მისი სიტყვები, მაგრამ ეჭვი, რომ სწორედ ეს იგულისხმა, ვერ მოიცილეს. შილდკნაჰმა და მე ერთმანეთს გადავხედეთ. დოქტორ კრანიჰს „ჰმ“ აღმოხდა. ჟანეტმა ჩუმად ჩაილაპარაკა: „Magnifique!“* ლეო ცინკსაც აღმოხდა თავისი თითქოსდა ბრიყვეული აღტყინების გამოხატველი, მაგრამ არსებითად კი გესლიანი შეძახილი: „ვიშ! ვიშ!“ „ნამდვილი ადრიან ლევერკიუნია!“ — შესძახა შვერტფეგერმა, უხვად შესმული Vieilles Cures-აგან სახენამონითლებულმა, მაგრამ მხოლოდ მისგან არა. მე ვიცოდი, რომ გულში ნაწყენი იყო.

— შემთხვევით თქვენს კოლექციაში დალილას რე-ბემოლ-მაჟორი არია ხომ არა გაქვთ, — განაგრძო ადრიანმა, — სენ-სანსის „სამსონიდან“? — კითხვა ბულინგერს შეეხებოდა, რომელსაც ეტყობოდა, დიდად ეპრიანა იგი, რადგან შეეძლო ეპასუხა:

— რაო? დალილას არია ხომ არა მაქვს? ჩემო ძვირფასო, ვინ იცის, ალბათ რას არ ფიქრობთ ჩემზე! აი იგი, და გარწმუნებთ, „შემთხვევით“ სულაც არა მაქვს!

ამაზე ადრიანმა:

— აჰ, დიდებულია! ეს არია იმიტომ გამახსენდა, რომ კრეჩმარს — ჩემს მასწავლებელს, ისე კი ორგანისტსა და ფუგის მოყვარულს, ძალიან სპეციფიკურად უყვარდა, ძალიან გული ჰქონდა შევარდნილი

*„დიდებულია!“ (ფრანგ.)

ამ ნაწარმოებზე. შიგადაშიგ შეიძლებოდა გაეცინა კიდეც, მაგრამ ამით მისი ალტაცება როდი იბლალეობდა, რაც, როგორც ჩანს, არიის მხოლოდ სანიმუშო ადგილებით იყო გამოწვეული. *Silentium!**

ნემსი დაეშვა ფირფიტაზე. ბულინგერმა ზემოდან მძიმე, თავსახური დააფარა და ბგერის გამოსასვლელი გისოსიდან ამაყი შეცო-სოპრანო გადმოიდგარა, რომელიც სიტყვების მკაფიოდ წარმოთქმაზე მაინცდამაინც თავს არ ინუხებდა: მარტო „*Mon coeur s'ouvre à ta voix*“**-ის გარჩევა შეიძლებოდა, მერე კი თითქმის ალარაფრისა. მაგრამ თავად სიმღერა, რომელსაც, სამწუხაროდ, ოდნავ ნიკვინა ორკესტრი ახლდა, აღსავსე იყო ჯადოსნური სითბოთი, სინაზით, ბედის ბუნდოვანი სამღურავით, ისევე როგორც მელოდია, რომელიც არიის ორ ერთნაირად ნაგებ სტროფში მხოლოდ შუიდან იწყებს აღმასვლას მშვენიერების გზაზე და მას შემაცბუნებლად ამთავრებს, განსაკუთრებით მეორეჯერ, როცა ვიოლინო ამჯერად უკვე სრული ხმოვანებით საამურად გასდევს სიმღერის დიდებულ ხაზს და მის ფინალურ პასაჟს ნახსა და ნალვლიან მოძახილში იმეორებს. ყველა გაიტაცა მუსიკამ. ერთ-ერთმა მანდილოსანმა თვალთაგან ცრემლი მოიწმინდა პანია მოქარგული საგარეო ცხვირსახოციტო. — გასასულელებლად მშვენიერია! — დასძინა ბულინგერმა, ესთეტიკოსთა შორის კარგა ხანია მოდაში შემოსული გამოთქმა გამოიყენა, რომელშიც სანტიმენტალურ „მშვენიერია“ მცოდნე კაცის დაუდევარი ქილიკობა ანეიტრალეობდა. ოღონდ ის კია, რომ აქ თავისი პირვანდელი მნიშვნელობით ზედგამოჭრილი იყო და ალბათ ამან თუ გამხიარულა ადრიანი.

— მაშ, ასე! — შესძახა მან სიცილით. — ახლა თქვენ დარწმუნდით, რომ სერიოზულ კაცს შეუძლია ამ მუსიკალურ ნომერს ეთაყვანებოდეს. თუმცა სულიერ მშვენიერებას კი არ განასახიერებს, არამედ მხოლოდ და მხოლოდ გრძნობადს, მაგრამ გრძნობადი მშვენიერებისა, კაცმა რომ თქვას, არც უნდა გვეშინოდეს და არც უნდა გვრცხვენოდეს!

— მე კი მგონია, უნდა გვეშინოდეს, — ხმა აღიმაღლა დოქტორმა კრანიჰიმმა, ნუმიზმატიკის კაბინეტის დირექტორმა. როგორც ყოველთვის, ახლაც არაჩვეულებრივად მკაფიოდ, მტკიცედ, დანაწევრებულად და გასაგებად ლაპარაკობდა, თუმცა ასთმის გამო თავისუფლად ვერ სუნთქავდა, თითქოს უსტვენდა ფილტვებით. — ხელოვნ-

*სიჩუმე! (ლათ.)

**„გული ჩემი განიხვნება შენს ხმაზე“ (ფრანგ.)

ებაში, მე მგონი, კი. ეს ის სფეროა, სადაც არაფრის ისე არ უნდა გეშინოდეს და გრცხვენოდეს, როგორც გრძნობადისა, ვინაიდან იგი მდაბალია, როგორც პოეტი განმარტავს: „სიმდაბლეა ყოველივე, რაც სულს არ ეპასუხება და მარტოოდენ გრძნობად ინტერესს ინვევს“.

— კეთილშობილური ნათქვამია, — შენიშნა ადრიანმა. — ძალიან კარგს იზამ ადამიანი, თუ ცოტა ხანს იყუჩებ, ვიდრე ამის სანინა-ალმდეგოდ თუნდაც ერთი ბენვა რამეს იტყოდე.

— კარგი, მაგრამ მერე მაინც რას იტყოდით ამის სანინაალმდეგოდ? — ჩაეკითხა სწავლული. ადრიანმა ისე აიჩეჩა მხრები და ბაგე ისე შეათამაშა, თითქოს უნდოდა ეთქვა: — რა ვქნა, ფაქტებთან მე რა შემიძლია გავანყო. მერე კი თქვა:

— იდეალიზმს უყურადღებოდ რჩება ის გარემოება, რომ სულს მხოლოდ და მხოლოდ სულიერი კი არ ეპრიანება, არამედ შეიძლება ძალიან ღრმად განიცადოს გრძნობადი მშვენიერებისაკენ კაეშნიანი ცხოველური ლტოლვა. თავისუფალი ქცევითაც შეიძლება მოიხიბლოს. ფილინე ხომ, ბოლოს და ბოლოს, პატარა კახპაა, მაგრამ ვილჰელმ მაისტერი, არცთუ უცხო პერსონაჟი ავტორისათვის, პატივსა სდებს, რითაც აშკარად უარყოფილია უმანკო გრძნობიერების სიმდაბლე.

— ორაზროვნების დამთმენობა და შეწყნარება, — მიუგო ნუმიზმატმა, — ჩვენი ოლიმპიელის ხასიათში არასოდეს სანიმუშო თვისებად არ მიუჩნევიან. საერთოდ კი, კულტურას შეიძლება საფრთხე დაემუქროს, თუ სული მდაბალი გრძნობადის წინაშე ცალთვალს ხუჭავს ანდა, რაც კიდევ უარესია, მას თვალს უკრავს.

— ჩვენ აშკარად სხვადასხვანაირად გვესმის ეს საფრთხე.

— მაშ, ბარემ მშიშარა ბაჭია მინოდეთ!

— ღმერთმა დამიფაროს! შიშისა და ძაგების რაინდი არ შეიძლება მხდალი იყოს, იგი ჭეშმარიტი რაინდია. თავი და თავი, რისთვისაც ხმალს ვიქნევ, დიდსულოვნება გახლავთ ხელოვნებასთან დაკავშირებულ ზნეობრივ საკითხებში. ამგვარ დიდსულოვნებას, როგორც მე მგონია, უფრო ხელოვნების სხვა დარგებში იჩენენ, ვიდრე მუსიკაში. შეიძლება ეს ამბავი პატივსაც სდებდეს მუსიკას, მაგრამ ამით საჭოჭმანოდ იზღუდება მისი ცხოვრების სარბიელი. აბა რაღა დარჩება მთელი ამ დელიავ-რანუნნიდან, თუ მას უმკაცრეს სულიერსა და ზნეობრივ მასშტაბს მივუყენებთ? ბახის ორიოდ თევანკარა სპექტრი თუ. საერთოდ მოსასმენი შეიძლება ალარაფერი აღარ დარჩეს.

შემოვიდა წსახური და ვეება სინით შემოიტანა ვისკი, ლუდი და სოდიანი წყალი.

— აბა, ვინ ისურვებდა მაგ სიამის მოშლას! — ესლა თქვა კრანიჰმა, რისთვისაც ბულინგერმა მხარზე ხელი დაუტყყაპუნა და — ბრავოო! — მჭექარედ მიაძახა. ჩემთვის და ალბათ სტუმართაგან კიდევ რამდენიმისთვის ეს აზრთა გაცვლა ანაზღეულად ატეხილი დუელი გახლდათ პირმოდენე საშუალოობასა და სულის საუფლოში ტანჯულ გამობრძმედილობას შორის. მე ეს სალონური სცენა აქ მარტო იმიტომ კი არ ჩავრთე, რომ დღესაც ესოდენ მძაფრად აღვიქვამ მის კავშირს იმ სავიოლინო კონცერტთან, რომელზეც ადრიანი მაშინ მუშაობდა, არამედ იმის გამოც, რომ ეს კავშირი ჩემთვის იმთავითვე განასახიერებდა ყმანვილი კაცის პიროვნებას, ვისი დაჟინებული თხოვნითაც ინერებოდა კონცერტი და ვისთვისაც იგი წარმატებას მოასწავებდა და ისიც მარტო ერთი მიმართულებით არა.

ალბათ ასე შეწერა განგებისაგან, მხოლოდ ზოგადად, სწორხაზოვნად და მშრალად ძალმიძს ვილაპარაკო ფენომენზე, რომელიც ადრიანმა ერთხელ მოიხსენია, როგორც გასაოცარი და მუდამ ცოტათი არაბუნებრივი გადახვევა „მესა“ და „არამეს“ შორის ნორმალური მიმართებიდან — სიყვარულის ფენომენზე. საერთოდ საიდუმლოს წინაშე ადამიანს მოკრძალება მართებს, ხოლო ამას აქ პიროვნების პატივისცემაც ერთვის და ყოველივე ამას ბაგე უნდა დაედუმებინა ჩემთვის ანდა სიტყვაძუნწი მაინც გავეხადე იმ დემონიზმით ქარცემული გარდაქმნის მიმართ, რომელიც ისედაც ლამის სასწაულმა, განდევილი, მარტოსული არსებისათვის ესოდენ უჩვეულო მოვლენამ აქ განიცადა. და მაინც მინდა გაგიმხილოთ, რომ ჩემმა, როგორც ანტიკური ფილოლოგიის მცოდნის, სპეციფიკურმა გათვითცნობიერებულობამ — მაშასადამე, სწორედ იმან, რაც სხვა დროს საყოფაცხოვრებო საკითხებში უფრო აშტერებს ხოლმე ადამიანს — ამ შემთხვევაში შემძლეებინა ზოგი რამ დამენახა და გამეგო.

უეჭველი გახლავთ, — და მე ამას დიდი გულისხმიერებით მოგახსენებთ, რომ დაულალავმა, არაფრის წინაშე რომ უკან არ იხევს, ისეთმა მაამებლობამ ბოლოს და ბოლოს გაიმარჯვა ყველაზე მიუკარებელ მარტოსულობაზე. ეს გამარჯვება, პარტნიორთა პოლარული — მე გავხაზავ ამ სიტყვას — პოლარული განსხვავებულობის გამო, მათ შორის სულიერი დისტანციის გამო, მხოლოდ გარკვეული ხასიათისა შეიძლებოდა ყოფილიყო და მას კობოლდისებური სიკერპით სწორედ ამ ვაგებით ესწრაფოდა ეს ადამიანი. ჩემთვის

სავსებით ნათელია, რომ ფლირტის მოყვარული შვერტფეგერისათვის მათგან დადებითი გზით ადრიანის მარტოობის დაძლევა შეგნებულად თუ შეუგნებლად იმთავითვე ეს განსაკუთრებული შეფერილობა ჰქონდა — ოღონდ ის კი არ მინდა ვთქვა, რომ ამას უფრო კეთილშობილური მოტივებიც არ ახლდა. პირიქით, დაახლოების მაძიებელი როდი თვალთმაქცობდა, როდესაც ამბობდა, რარიგ სასარგებლო იყო მისთვის ადრიანთან მეგობრობა, რარიგ აღამაღლებდა, აწინაურებდა, უკეთესს ხდიდა; მაგრამ საკმაოდ ულოგიკო იყო იმისათვის, რომ ამ მეგობრობის მოსაპოვებლად ფლირტის თანდაყოლილი ფანდები გამოეყენებინა და მერე განაწყენებულიყო, როდესაც მის მიერ აღძრული მელანქოლიური კეთილგანწყობილება ეროტიკული ირონიის ნიშნებს ამჟღავნებდა.

ჩემთვის ყველაზე საკვირველი და გამაოგნებელი იმის ყურება იყო, რომ მოჯადოებული გუმანშიც არ გახლდათ, ვერ ხვდებოდა, რომ მოაჯადოეს, და ინიციატივას თვითონ მიიწერდა, რომელიც იმთავითვე მეორე მხრიდან მოდიოდა, დიდად განცვიფრებული ჩანდა მეგობრის დაუდევარი გულღიაობითა და გულისხმიერებით, რისთვისაც უფრო სწორი იქნებოდა ცდუნება გვეწოდებინა. დიახ, იგი, როგორც სასწაულზე, ისე ლაპარაკობდა იმის შესახებ, რომ მისმა გუნებ-განწყობილებამ, მისმა მელანქოლიამ ვერ დააბნია, ვერ შეაკრთო რუდი შვერტფეგერი, და მე თითქმის არ მეპარება ეჭვი, რომ ეს „განცვიფრება“ იმ ახლა უკვე შორეულ საღამოს დაიწყო, როცა შვერტფეგერი ადრიანის ოთახში შევიდა და სთხოვა ისევ გამოსულიყო სტუმრებთან, თორემ უთქვენოდ ძალიან მოწყენილები ვართო. და მაინც ამ ეგრეთ წოდებულ სასწაულში მართლაც თავისი წვლილი შეჰქონდა საბრალო რუდის ხასიათის არაერთგზის ნაქებ, კეთილშობილ, ხელოვანს რომ არ ეგების, ისეთ ლაღსა და უმნიკვლო თვისებებს. შემონახულია წერილი, რომელიც ადრიანმა შვერტფეგერს დაახლოებით იმ დროს მისწერა, როცა ბუღინგენტან ზემოთ გადმოცემული საუბარი შედგა და რომელიც რუდის, რასაკვირველია, უნდა მოესპო, მაგრამ ცალკერძ მოკრძალების გამო, ცალკერძ კიდეც, რაღა თქმა უნდა, როგორც ნადავლი, შემოინახა. მე უარს ვამბობ ამ წერილის ციტირებაზე და მინდა მხოლოდ მოვიხსენიო, როგორც გაშიშვლებული ჭრილობის მსგავსი ადამიანური დოკუმენტი. გრძნობის ამ მტკივნეულ გამჟღავნე-

ბას ბარათის დამწერი ალბათ უდიდეს კადნიერებად სახავედა. მაგრამ ეს ასე არ გახლდათ და იმან, ვისაც სწერდა, ძალიან ლამაზად გამოხატა, რომ ასე არ გახლდათ. მაშინვე, სწრაფად, ყოველგვარი მტანჯველი დაყოვნების გარეშე, მოჰყვა ამას ადრესატის ჩამოსვლა პფაიფერინგში, პირველი გასაუბრება, რუდის მიერ მადლობის გამოცხადება... მას თავი უბრალოდ და თამამად ეჭირა, ერთგულ მეგობარს რომ შეჰყვების, ისე ფაქიზად, გაფაციცებით ცდილობდა უხერხულობის თავიდან აცილებას... მე უნდა შევაქო მისი საქციელი, მოვალე ვარ, და არცთუ მოწონების გარეშე ვვარაუდობ: ალბათ სწორედ მაშინ გადაწყვიტა ადრიანმა სავიოლინო კონცერტის შექმნა და მისი მიძღვნაც.

ამან შემდეგ ჩემი მეგობარი ვენაში ჩაიყვანა, ხოლო მოგვიანებით კი, რუდი შვერტფეგერთან ერთად, უნგრულ საბატონო სასახლეშიც. როცა იქიდან დაბრუნდნენ, რუდოლფი უკვე იმ პრეროგატივით სარგებლობდა, რაც მანამდე მხოლოდ მე მეკუთვნოდა, როგორც სიყრმის მეგობარს: ისა და ადრიანი ერთმანეთს შენობით მიმართავდნენ.

XXXIX

საბრალო რუდა! ხანმოკლე გამოდგა შენი ბალღური დემონიზმის ტრიუმფი, ვინაიდან უფრო ღრმა, უფრო საბედისწერო დემონიზმის მოქმედების არეში მოხვდი, რომელიც მარდად გაგისწორდა, შეგმუსრა, არარაობად გაქცია. ავბედითო გაშინაურებავ! ეს არც უწყინარ ცისფერთვალეებს ეგებოდა, დიდი ამბით რომ მოიპოვა, და არც იმ მეორეს, რომელიც მისი გულისთვის დამდაბლდა და არ შეეძლო ამ იღბლიანი – ვინ იცის, იქნებ მართლაც იღბლიანი! – დამცირებისათვის შური არ ეძია. შურისძიება უნებლიე იყო, იჩქითი, გულცივი და საიდუმლოებით მოცული. მე გიამბობთ. ახლავე გიამბობთ.

1924 წლის ბოლო დღეებში ბერნსა და ციურიჰში განმეორებით შესრულდა სავიოლინო კონცერტი, რომელსაც მანამდე უკვე წარმატება ხვდა წილად. ეს შვეიცარიის „კამერული ორკესტრის“ თაოსნობა გახლდათ, მისმა დირიჟორმა, ბატონმა პაულ ზახერმა, შვერტფეგერი დიდი პატივით მიიწვია, თან სურვილი გამოთქვა: იქნებ კომპოზიტორიც დაესწროს კონცერტებს, საზოგადოებას ამით ინტერესს გაუუცხოველებთო. ადრიანმა იუარა, მაგრამ რუდოლფმა იცოდა დაყოლიება, და თან მაშინ ჯერ კიდევ ახალი გაშინაურებულნი.

იყვნენ და ამან გადასძლია, გადასძლია და გზა გაუკაფა იმას, რაც უნდა მომხდარიყო.

სავიოლინო კონცერტი გულის გული იყო პროგრამისა, რომელიც ძირითადად გერმანული კლასიკური და თანადროული რუსული მუსიკისაგან შედგებოდა. სოლისტი ისეთი გზებითა და გატაცებით ასრულებდა, რომ ორივე ქალაქში, ბერნის კონსერვატორიის დარბაზშიც და ციურიჰის ფილარმონიის დარბაზშიც, კვლავ საცნაური შეიქმნა ნაწარმოების ყველა თავისებურება, როგორც სულიერი, ისევე ვირტუოზულ-შემამკობელი ხასიათისა. კრიტიკამ აღნიშნა, რომ სტილის ერთგვაროვნება არ იყო დაცული და რომ არც დონე იყო ყველგან ერთნაირი. დამსწრე საზოგადოებასაც თავი ოდნავ უფრო ცივად ეჭირა, ვიდრე ვენაში, მაგრამ, მიუხედავად ამისა, კონცერტების შემდეგ მარტო შემსრულებელს კი არ უმართავდნენ ოვაციას, არამედ ორივე სალამოს ავტორსაც გამოუხმეს და ისიც, ინტერპრეტატორის ხათრით, გამოდიოდა სცენაზე და მასთან ხელიხელჩაკიდებული თავს უკრავდა ტაშისათვის მაყურებელს. ამ ორგზის განმეორებულ ამბავს — მარტოსულის მიერ განდევნილობაზე ხელის აღებას და ბრბოს წინაშე წარდგომას — მე არ შევსწრებივარ. მე გამოთიშული ვიყავი. ვინც მას დაესწრო, მეორედ როცა მოხდა, ციურიჰში, გახლდათ ჟანეტ შოირლი, რომელიც იმხანად ხსენებულ ქალაქში იმყოფებოდა და თანაც სწორედ იმ კერძო სახლში ცხოვრობდა, სადაც ადრიანი და შვერტფეგერიც ჩამოხტნენ.

სახლი მიუთენშტრასეზე იდგა, ტბის მახლობლად, და ბატონსა და ქალბატონ რაიფებს ეკუთვნოდათ, უკვე ხანში შესულ, მდიდარ, უშვილო და ხელოვნების მოყვარულ ცოლ-ქმარს. ერთსაც და მეორესაც იმთავითვე დიდ სიამოვნებას ანიჭებდა ჩამოსულ სახელოვან ხელოვანთა კეთილმოწყობილი თავშესაფრით უზრუნველყოფა და მათი მეურვეობა. ქმარს, ოდესღაც აბრეშუმის მრეწველს, ამჟამად კი საქმეს ჩამოშორებულს, ძველი, დემოკრატიული ყაიდის შვეიცარიელს, ცალი თვალი შუშისა ჰქონდა, რაც წვერთან ერთად მის პირისახეს გარინდებულსა და ცივ გამომეტყველებას ანიჭებდა, — მცდარი შთაბეჭდილება გახლდათ, ვინაიდან კეთილი იყო, გულმხიარული, და არაფერი ისე არ უყვარდა, როგორც თავის სასტუმრო ოთახში მსახიობ ქალებთან, გინდათ პრიმადონებთან, გინდათ სუბრეტებთან, ღლაბუცი. აგრეთვე იცოდა ხოლმე ვიოლონჩელის არცთუ ურიგო დაკვრით სტუმრების გართობა, ფორტეპიანოზე აკომპანემენტს მეუღლე უწევდა, რომელიც გერმანიიდან იყო და უნინ თურმე

მღეროდა კიდევ. ცოლი ქმარივით კვიმატი არ გახლდათ, მაგრამ ბიურგერულ ყაიდაზე ენერგიული და სარისტიანი დიასახლისი კი იყო. მეუღლესავით მასაც ახარებდა გამოჩენილ ადამიანთა შეფარება და სახლში ვირტუოზ ხელოვანთა უღარდელი სულისკვეთების დამკვიდრება. მის ბუდუარში მთელი ერთი მაგიდა ევროპის პოპულარულ მსახიობთა ფოტოებს ეჭირა, სამახსოვრო წარწერებით შემკულთ, მაღლობას რომ უხდიდნენ ცოლ-ქმარს მასპინძლობისათვის.

რაიფებმა შვერტფეგერი მანამდე მიიპატიჟეს, ვიდრე მისი გვარი გაზეთებში დაიბეჭდებოდა, ვინაიდან ძველი მრენველი და ამჟამად ხელგაშლილი მეცენატი მუსიკის სამყაროს ახალ ამბებს სხვებზე ადრე იტყობდა; ხოლო როგორც კი ცნობილი შეიქნა, რომ ადრიანიც უნდა ჩამოსულიყო, ისიც დაუყოვნებლივ მიიწვიეს. მათ სახლში საცხოვრებელი ფართობის მეტი რა იყო, სტუმრებიც უხვად იყვნენ და ბერნიდან ჩამოსულებს ჟანეტ შოირლიც მათ შორის დახვდათ, რომელიც ყოველწლიურად ორ-სამ კვირას ატარებდა თავის მეგობრებთან – ცოლ-ქმარ რაიფებთან. მაგრამ ჟანეტი არ გახლდათ ის, ვინც ადრიანს გვერდით უჯდა ვახშამზე, რომელიც კონცერტის შემდეგ ვიწრო წრისთვის გაიმართა რაიფების სასადილო დარბაზში.

სუფრის თავში სახლის პატრონი იჯდა რომელიღაც უაღკოპოლო სასმელს წრუპავდა საუცხოოდ გათლილი ჭიქიდან და, მზერაგაშტერებული, გვერდით მჯდომ დრამატულ სოპრანოს ეხუმრებოდა, – ზორბა ქალს, რომელიც მთელი საღამო წამდაუნუმ მკერდში იცემდა მუშტს. კიდევ ერთი წარმომადგენელი გახლდათ აქ ოპერისა, გმირული ბარიტონი, დაბადებით ბალტიელი, მჭექაურე ხმის პატრონი, მაგრამ ინტელიგენტურად მოლაპარაკე ალანოდა კაცი. შემდეგ, აბა რალა თქმა უნდა, კონცერტის მომწყობი, კაპელმანისტერი ზახერი, აგრეთვე დოქტორი ანდრე, ფილარმონიის მუდმივი დირიჟორი, და მუსიკის საუცხოო კრიტიკოსი „ციურიჰის ახალი გაზეთიდან“, დოქტორი შუ, – ყველას თავისი მანდილოსანი ახლდა. სუფრის ბოლოში ადრიანსა და შვერტფეგერს შუა დიდი ამბით დაბრძანებულიყო ფრაუ რაიფი, ხოლო მათგან მარცხნივ და მარჯვნივ – სრულიად ახალგაზრდა ან ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა ქალიშვილი, მადმუაზელ გოდო, ფრანგი შვეიცარიელი, პროფესიით მხატვარი, და მისი დეიდა, არაჩვეულებრივად გულკეთილი, ლამის რუსის ქალი გეგონებოდათ, ისეთი ქალბატონი, ხანდაზმული და უღვაშებიანი. მარი (ასე ერქვა მადმუაზელ გოდოს) მას „ma tante“-ს

ანდა „დეიდა იზაბოს“ ეძახდა. როგორც ჩანდა, იგი მხლებლის, მოახლისა და მწე ქალის მაგივრობას უწევდა დისშვილს.

უთუოდ ვალდებული ვარ აქ მარი გოდოს პორტრეტი დავხატო, ვინაიდან დიდი ხანი არ გასულა და უკვე თვალს ველარ ვწყვეტდი მის სახეს, რა თქმა უნდა, ავი განზრახვით არა, და გამომცდელად ვაკვირდებოდი. თუ ოდესმე რომელიმე ადამიანის დასახასიათებლად აუცილებელი ყოფილა სიტყვა „სიმჰათიურის“ ხმარება, ეს ამ ქალიშვილის აღწერისას, ვინც ყოველი ნაკვთით, ყოველი სიტყვით, ყოველი გაღიმებით, თავისი არსების ყოველი გამოვლენით ამართლებდა ამ სიტყვის ხალას, გადაუჭარბებელ ესთეტიკურსა და ზნეობრივ აზრს. უპირველეს ყოვლისა ვიტყვი, რომ მთელ დედამიწის ზურგზე ულამაზესი შავი თვალები ჰქონდა – კუნაპეტივით, კუპრივით, მწიფე მაყვალვით შავი, არცთუ ძალიან დიდრონი, მაგრამ ფართოდ გახელილი თვალები, მრუშე წიაღიდან კამკამა და ნათელი გამოხედვით რომ იმზირებოდნენ – წარბებს ქვემოდან, რომელთა ფაქიზ, თანაბარზომიერ მოყვანილობას კოსმეტიკისა არა ეცხო რა, ისევე როგორც ნაზი ბაგის ოდნავ მქრქალ, ბუნებრივ სინითლეს. ამ ქალიშვილის ხატებაში არაფერი არ იყო ხელოვნური, საგანგებოდ გახაზული, შეფერილი, შეღებილი. საამური სისადავე და სინატიფე, რაც მისი მუქი ნაბლისფერი თმის ვარცხნილობაში გამოსჭვივოდა, სათუთი საფეთქლებიდან და შუბლიდან უკან ისე რომ გადაენია, ყურებს არ უფარავდა და კეფაზე მძიმედ დაეგრავნა, იგრძნობოდა მის არცთუ პატარა, მაგრამ მოქნილსა და თლილი თითებით შემკულ ლამაზ ხელებშიაც. მათ მაჯებამდე მჭიდროდ მომდგარი თეთრი აბრეშუმის სადა წელზედის სახელოები უფარავდა. ასეთსავე სადა საყელოდან კენარი ყელი კოპნიად მოედერებინა, რომელიც მრგვალ სვეტს მოგაგონებდათ, მართლაც რომ ჩამოსხმული გეგონებოდათ, და სპილოს ძვლის ფერი სახის ოდნავ წანვეტებულ სანუკვარ ოვალს ლამაზად უერთდებოდა, დამშვენებულს მთრთოლარე ნესტოებით გამორჩეული პანია და კონტა ცხვირით. ქალიშვილი იშვიათად იღიმებოდა, კიდევ უფრო იშვიათად იცოდა გაცინება, მაგრამ გამჭვირვალე საფეთქლებზე ამ დროს ყოველთვის გულის ამარწყებლად ეძაბებოდა ძარღვები და თეთრად ჩაკინებებული კბილები უჩანდა.

აღბათ გასაგებია, რომ ასეთი სიყვარულითა და მონდომებით ვცდილობ იმ ქალის გარეგნობის გადმოცემას, რომლის ცოლად შერთვას ერთხანს აპირებდა ადრიანი. პირველად მარი მეცემ თეთრი

აბრეშუმის საგარეო წელზედამი ვნახე, ასე ხელსაყრელად რომ გა-
 ხაზავდა, ოღონდ ალბათ შემთხვევით არა, მუქ ფერებს მის გარეგნ-
 ობაში, მაგრამ შემდეგ მეტწილად საყოველღეო თუ სამგზავრო
 სადა კაბაში გამოწყობილს ვხედავდი, რაც, მგონი, კიდევ უფრო
 უხდებოდა, — მუქი შოტლანდიური ქსოვილისა იყო, გალაქული
 სარტყელი და სადაფის ლილები ამკობდა. ზოგჯერ, თუ სახაზავ და-
 ფას უჯდა და შავი ან ფერადი ფანქრებით ხატავდა, მარი ზემოდან
 სამუშაო ხალათსაც გადაიცვამდა ხოლმე, რომელიც მუხლებამდე
 სწვდებოდა. მარი გოდო თეატრის მხატვარი იყო — ადრიანისთვის ეს
 წინასწარ გაენდო ფრაუ რაიფს — ესკიზებს ქმნიდა პარიზის მცირე
 საოპერო და საოპერეტო თეატრებისათვის, „Gaité Lyrique“-ისათვის,
 ძველი „Théâtre du Trianon“-ისათვის*, კოსტიუმებსა და დეკორაციე-
 ბს იგონებდა, როქელთაც შემდეგ თერძები და დეკორატორები ამ-
 ზადებდნენ. ასე ცხოვრობდა და იღვწოდა ნიონში, ჟენევის ტბის
 პირას, დაბადებული ქალიშვილი დეიდა იზაბოსთან ერთად ილ-დე-
 პარის მოცუტქნულ ბინაში, და თანდათან სახელს ითქვამდა შრომი-
 სმოყვარეობის, გამომგონებლობის, კოსტიუმის ისტორიის კარგი
 ცოდნისა და საუცხოო გემოვნების წყალობით, და მარტო ციურიჰში
 კი არ იყო საქმეებზე ჩამოსული, არამედ როგორც ვახშამზე გაანდო
 მისგან მხარმარჯვნივ მჯდომ სტუმარს, რამდენიმე კვირაში
 მიუნჰენსაც ეწვეოდა, რადგან იქაური თეატრი აპირებდა მისთვის
 დაევალებინა ერთი თანადროული სტილიზებული კომედიის გაფორ-
 მება.

ადრიანი თანაბრად უნაწილებდა ყურადღებას მარი გოდოსა და
 დიასახლისს, მაშინ როდესაც მის პირდაპირ დაღლილი, მაგრამ
 ბედნიერი რუდი „ma tante“-ს ეოხუნჯებოდა, რომელსაც გულიანად
 სიცილისაგან წამდაუნუმ ცრემლები სცვიოდა და სველი სახით ხში-
 რად წინ იხრებოდა დისშვილისკენ, რათა სიცილისაგან ჩაბჭირებუ-
 ლს მეზობლის ნათქვამიდან ზოგი რამ მანაც გაემეორებინა, რაც, მისი
 აზრით, უთუოდ ღირდა მოსასმენად. მარიც პასუხად მეგობრულად
 უქნევდა თავს, ეტყობა, უხაროდა, რომ დეიდა ასე კარგად ერთობო-
 და, და მადლიერი დროდადრო მზერას აყოვნებდა ამ მხიარულების
 შემოქმედზე, რომელიც ძალ-ღონეს არ იშურებდა, რათა ხანდაზმული
 ქალბატონისათვის კიდევ უფრო გაეღვივებინა სურვილი მარისთვის
 გადაეცა ხოლმე მისი ოხუნჯობანი. ადრიანს კი გოდო, მისი გამოკით-

* „ლირიკული დროსტარებისათვის“... „ტრიანონის თეატრისათვის“ (ფრანგ.).

ხვის პასუხად, უამბობდა, რასაც პარიზში საქმიანობდა, ფრანგული ბალეტისა და ოპერის უახლეს დადგმებზე, რომლებსაც ადრიანი ნაკლებად იცნობდა, პულენკის, ორიკის, რიეტის ქმნილებებზე. გაცხოველებით საუბრობდნენ რაველის „დაფნისი და ქლოეზე“, დებიუსის „სათამაშოებზე“, სკარლატის მიერ გოლდონის „მხიარული ქალებისათვის“ დანერილ მუსიკაზე, ჩიმაროზას „საიდუმლო ქორწინებაზე“ და შაბრიეს „ცუდ აღზრდაზე“. ამ დადგმათაგან ერთი თუ ორი მარის გაეფორმებინა და თუ როგორ ჰქონდა გადამწყვეტილი ცალკეული სცენები; ამის საილუსტრაციოდ მენიუზე ფანქრით უხაზავდა ესკიზებს. საულ ფიტელბერგს კარგად იცნობდა — დიახ, როგორ არა! და ამ სახელისა და გვარის გაგონებაზე გულიანად გაეცინა, თან კრიალა კბილები გამოუჩნდა და საფეთქლებზე წვრილი ძარღვები საყვარლად დაეძაბა. გერმანულად ძალდაუტანებლად ლაპარაკობდა, ოდნავ შესამჩნევად მომხიბლავი უცხოური აქცენტით. საამური ტემბრის ტკბილი ხმა ჰქონდა, მგალობლის ხმა, უეჭველად მშვენიერი „მასალა“ გახლდათ დასამუშავებლად, — ხოლო თუ კიდევ უფრო ზუსტად ვიტყვი, — იგი ტონალობითა და შეფერილობით არა მხოლოდ ჰგავდა ელსბეთ ლევერკიუნის ხმას, არამედ ზოგჯერ მართლაც მეჩვენებოდა, რომ ადრიანის დედას ვუსმენდი და არა მარის.

თხუთმეტკაციანი წვეულება, — ამჯერადაც დაახლოებით ამდენნი იყვნენ, — სუფრიდან რომ აიშლება, როგორც წესი, ახალ ჯგუფებს ქმნის ხოლმე, მენინახეები თანამოსაუბრეებს იცვლიან ხოლმე. ადრიანი ვახშმის შემდეგ ხეირიანად აღარც გამოლაპარაკებია მარი გოდოს. ბატონები ზახერი, ანდრე და შუ, აგრეთვე ჟანეტ შოირლიც დიდხანს ემუსაიფებოდნენ ციურიჰისა და მიუნჰენის მუსიკალურ ამბებზე, მაშინ როდესაც პარიზელი ქალბატონები ოპერის მომღერლებსა, მასპინძლებსა და შვერტფეგერთან ერთად სევრის ძვირფასი სერვიზით განწყობილ სუფრას უსხდნენ და განცვიფრებულნი უჭვრეტდნენ მოხუც ბატონ რაიფს, მაგარ ყავას ფინჯანს ფინჯანზე რომ ცლიდა და თან ამას ექიმის რჩევით ხსნიდა, შვეიცარიულ კილოზე, მძიმე-მძიმე გამონათქვამებით ირწმუნებოდა: გულს ამაგრებს და დაძინებთაც, უფრო იოლად ვიძინებო. როგორც კი სტუმრები წავიდ-წამოვიდნენ, მდგმურებიც, სამივენი, თავ-თავიანთ ოთახებში უკუიქცნენ. მადმუაზელ გოდომ დეიდამისთან ერთად კიდევ რამდენიმე დღე დაყო სასტუმრო „Eden au Lac“*-ში, როცა

*„ედემი ტბაზე“ (ფრანგ.).

შვერტფეგერმა, რომელიც მეორე დილით ადრიანთან ერთად მიუნჰენს ბრუნდებოდა, ქალებთან გამოთხოვებისას დიდი გატაცებით გამოთქვა იმედი, რომ იქ მათ კვლავ შეხვდებოდა, მარიმ ერთხანს დააყოვნა, ვიდრე ადრიანიც გამოთქვამდა ამავე სურვილს და მხოლოდ ამის შემდეგ დათანხმდა თავაზიანად.

1925 წლის პირველი რამდენიმე კვირა უკვე ვასული იყო, როცა გაზეთში ნავიკითხე, რომ მომხიბლავი ქალიშვილი, რომელიც ციურნიჰში, წვეულებაზე, ჩემი მეგობრის გვერდით იჯდა, ჩვენს დედაქალაქში ჩამოსულიყო, და – არცთუ შემთხვევით, რადგან ადრიანს ნათქვამი ჰქონდა ჩემთვის, ეს ადგილი ვურჩიე და მისამართიც მივეციო – დეიდასთან ერთად შვაბინგის იმავე პანსიონში ჩამომხტარიყო, სადაც ადრიანიც ცხოვრობდა რამდენიმე დღე იტალიიდან დაბრუნების შემდეგ, პანსიონ „გიზელაში“. თეატრმა, მომავალი პრემიერის მიმართ საზოგადოების ინტერესის აღძვრის მიზნით, პრესის საშუალებით მარი გოდოს ჩამოსვლის ამბავი გაავრცელა, რაც შლაგინჰაუფენთაგან მიღებული მინვევითაც დაუყოვნებლივ დადასტურდა: მომავალი შაბათი საღამო სცენის ცნობილ გამფორმებელ მხატვარ ქალთან ერთად ჩვენთან გაატარეთო.

ვერ აგინერთ, რა დაძაბული ველოდი ამ შეხვედრას. მოლოდინი, ცნობისმოყვარეობა, სიხარული, ურვა ერთ დიდ მღელვარებად ირწყმებოდა ჩემს სულში. რატომ? იმიტომ კი არა, ან მარტო იმიტომ კი არა, რომ შვეიცარიაში საგასტროლო მოგზაურობიდან დაბრუნებულმა ადრიანმა, სხვა ამბებთან ერთად მარისთან შეხვედრაც აშინწერა, მისი პიროვნებაც დაახასიათა და გაკვირვებით შენიშნა: ხმა დედაჩემის ხმას მიუგავსო, რამაც მაშინვე მიიქცია ჩემი ყურადღება. თუმცა დიდი ენთუზიაზმით არ დაუხატავს მისი პორტრეტი, პირიქით, დინჯად და სასხვათაშორისოდ ლაპარაკობდა, სახეზე არაფერი არ ეტყობოდა და სადღაც განზე იყურებოდა სივრცეში, მაგრამ ამ ქალის გაცნობას რომ შთაბეჭდილება მოეხდინა, თუნდაც იქიდან ჩანდა, რომ ქალიშვილის სახელიც ახსოვდა და გვარიც. მე მითქვამს, რომ არცთუ დიდ წვეულებაზეც კი ადრიანმა იშვიათად იცოდა იმის სახელი, ვისთანაც საუბრობდა. და ისედაც მისი მონაყოლი ბევრად აღემატებოდა გასტროლებზე გაამული ნაცნობობის უბრალო მოხსენიებას.

მაგრამ ამას სხვა რამეც დაემატა, რამაც გული უცნაური წინათგრძნობით ამივსო, სიხარულისა და ეჭვებისაგან ამიძგერა. პუაი-

ფერინგში ჩემი მომდევნო ჩასვლისთანავე ადრიანს დაახლოებით ასეთი სიტყვები დასცდა: მეტისმეტად დიდი ხანია აქ ვცხოვრობ, ალბათ დროა რაღაც ცვლილება შევიტანო ჩემს ყოფა-ცხოვრებაში; ყოველ შემთხვევაში ამ ჩემს კენტად ყოფნას მაინც ბოლო უნდა მოელოსო, ამას მაინც უნდა როგორმე წერტილი დაესვასო და ა. შ. მოკლედ, ისე ლაპარაკობდა, რომ სხვას ვერაფერა ვერ იფიქრებდი: ალბათ ცოლის მოყვანას თუ აპირებსო. იმდენი ვაყვაცობა გამოვიჩინე, რომ შევეკითხე: შენი ქარაგმებით ლაპარაკი, ციურიჰში რომ ხალხი გაიცანი, იმათთან ხომ არ არის დაკავშირებული-მეთქი, — და მანაც მიპასუხა:

— ვის რა უფლება აქვს ვარაუდის გამოთქმა აგვიკრძალოს? საერთოდ კი ეს მცირე რამ სენაკი ამგვარ საკითხებზე საბაასოდ არ გამოდგება. თუ არ ვცდები, ჩვენ სიონის მთაზე ვიყავით, როცა შენ ოდესღაც ანალოგიური ამბავი გამანდე. წესით რომის ბორცვზე უნდა ავსულიყავით და იქ გვემუსაიფა.

აბა, წარმოიდგინეთ ჩემი გაოცება!

— ჩემო ძვირფასო, — დავსძინე მე, — ეს დიდად განსაცვიფრებელი და ამაღელვებელი ამბავია!

მან მიჩნია, მეტისმეტად ნუ ავპილპილდებოდა. მერმე დაუმატა: მალე ორმოცისა გავხდები, რაც უკვე საგანგაშოა და შემთხვევა ხელიდან არ უნდა გავუშვაო. მე აღარ ჩავციებივარ გამოკითხვით, მალე ისედაც გაირკვევა ყველაფერი-მეთქი. გულში კი მიხაროდა, რომ ეს ჩანაფიქრი შვერტფეგერთან ელფურ კავშირს გაანყვეტინებდა და, ასე გასინჯეთ, ამ მიმართულებით შეგნებულად გადადგმულ ნაბიჯადაც კი მინდოდა დამესახა. თავად მევიოლინე და სტვენია ამას როგორ შეხვდებოდა, მეორეხარისხოვან საკითხად მიმაჩნდა, მისგან საჭოჭმანო რამ ნაკლებად იყო მოსალოდნელი, ვინაიდან ბავშვური პატივმოყვარეობის ჭია გაახარა: სავიოლინო კონცერტი უკვე ხელთ ჰქონდა. ასეთი ტრიუმფის შემდეგ, როგორც მეგონა, მზად იქნებოდა ადრიან ლევერკიუნის ცხოვრებაში კვლავ უფრო მცირე, უფრო გონივრული ადგილი დაეჭირა, ხოლო რაც განუწყვეტლივ თავში მიტრიალებდა, გახლდათ ადრიანის უცნაური ახირება. თავის განზრახვაზე ისე ლაპარაკობდა, თითქოს განხორციელება მხოლოდ მის ნება-სურვილზე ყოფილიყო დამოკიდებული და ქალიშვილის თანხმობაზე ზრუნვა არა სჭირდებოდა. ძალიან მონადინებული ვიყავი კვერი დამეკრა თავის თავში დარწმუნებული მეგობრისათვის, რომელსაც ეგონა, რომ შეეძლო მარტო აერჩია, მარტო თავისი არჩ-

ევანი გამოეცხადებინა! მაგრამ ამასთანავე გულში შიში შეჰარებოდა: ამ რწმენის მიამიტობა ადრიანის მარტოობისა და გაუცხოების გამოვლენად მეჩვენებოდა — თვისებისა, რაც მის „აურას“ შეადგენდა, და ჩემდა უნებლიეთ ვფიქრობდი: ეს კაცი იმისათვის არ არის შექმნილი, ქალებს თავი შეაყვაროს-მეთქი. როცა ყოველივე ამას გონებაში ავწონ-დავწონიდი, მაშინ ისიც კი მეექვსებოდა, თვითონ ადრიანს სჯეროდა კია არსებობდა ამ შესაძლებლობისა, და ახლა იმის გუმანი მანვალებდა, რომ განგებ ხომ არ ეჭირა თავი ისე, თითქოს წარმატება განაღებულ იქონდა. მის მიერ არჩეულმა ქალიშვილმა კი ჯერჯერობით თუ რამე იცოდა ადრიანის გულისხმადებასა და განზრახვაზე, ბნელით იყო მოცული.

ბნელით მოცული დარჩა ჩემთვის ეს ამბავი ბრინერშტრასეზე გატარებული საღამოს შემდეგაც, როცა მარი გოდო გავიცანი. თუ რარიგ მომეწონა, შეგიძლიათ ზემოთ დახატული პორტრეტის მიხედვით იმსჯელოთ. არა მხოლოდ სათუთად დანისლულმა გამოხედვამ, რომლის მიმართ — როგორც თვითონაც ჰქონდა ნათქვამი — ასე მგრძნობიარე იყო ადრიანი, არა მხოლოდ მომხიბლავმა ღიმილმა და მუსიკალურმა ხმამ მომაჯადოვა, არამედ ქალიშვილის თავაზიანმა და გონივრულმა თავშეკავებულობამაც, ღვანლმოსილი, დამოუკიდებელი ქალის საქმიანმა, არაორჭოფულმა, დიაცურ ტიტინსა და ლაციცზე მაღლა მდგომმა უშუალოდამ. მას რომ ადრიანის ცხოვრების თანამგზავრად წარმოვიდგენდი, შვებთ მევსებოდა სული, და ჩემთვის უკვე გასაგები იყო ის გრძნობა, რომელსაც მარი უღვიძებდა ჩემს მეგობარს. განა ამ ქალის სახით მას „ქვეყანა“ არ ეცხადებოდა, — ის, რისთვისაც ხელოვნებისა და მუსიკის თვალსაზრისითაც შეიძლებოდა „ქვეყანა“, ესე იგი ყოველივე არაგერმანული გვენოდებინა, მაგრამ ეცხადებოდა, როგორც უალრესად სერიოზული და სანუკვარი ხატება, ნდობას რომ აღუძრავდა, ნახევრულობის დაძლევისა რომ ჰპირდებოდა და გაერთიანებისაკენ მოუხმობდა. განა ვაჟს ქალი თავისი ორატორიების, მუსიკალური თეოლოგიისა და რიცხვთა მათემატიკური მაგიის საუფლოდან არ უყვარდა? სასოებით აღსავსე მღელვარებამ შემიპყრო, ორივეს რომ ერთ ჭერქვეშ ვხედავდი, თუმცა ხეირიანად არც კი გამოლაპარაკებოდნენ ერთმანეთს. ხოლო როცა შემდეგ სტუმრების ტალღამ ჩვენ ცალკე ჯგუფად მიგვამწყვდია — მარი, ადრიანი, მე და კიდევ მეოთხე ვილაც, მე თითქმის უმაღვე განვშორდი მათ იმ იმედით, რომ ის მეოთხეც მოისაზრებდა და გაეცლებოდათ.

შლაგინჰაუფენებს იმ დღეს სადილი ან ვახშამი კი არ გაუმა-
რთავთ, არამედ საღამოს ცხრა საათისათვის დაჰატიყეს ხალხი და
სტუმრებს მხოლოდ ბუფეტი ემსახურებოდათ, რომელიც სვეტები-
ან სასტუმროს მომიჯნავე სასადილო ოთახში მოეწყობოდა. ომის
შემდგომ საზოგადოების სურათი არსებითად შეიცვალა. აქ უკვე
ვეღარ ნახავდით ბარონ რიდეზელს, „გრაციოზულის“ ქომაცს –
დიდი ხანია როიალზე დამკვერელი კავალერისტი წარსულს ჩაბარ-
და; აღარც შილერის შვილის შვილის შვილი, ბატონი ფონ გლაიჰენ-
რუსჟურმი დაიარებოდა აქ, ვინაიდან ბრიყვეული გენიალურობით
ჩაფიქრებული, მაგრამ მარცხით დამთავრებული მოტყუების ცდის
შემდეგ, რაშიც მხილებულ იქნა, საზოგადოებაში აღარ ჩნდებოდა,
საკუთარ თავს კვაზი-ნებაყოფლობითი პატიმრობა მიუსაჯა და
თავის ადგილ-მამულში ჩაიკეტა ქვემო ბავარიაში. თითქმის
დაუჯერებელი ამბავი დაემართა. როგორც ამბობდნენ, ბარონმა
კარგად შეფუთული და ძალიან ძვირად, ნამდვილ ღირებულებაზე
გაცილებით ძვირად დაზღვეული სამკაული გადასამუშავებლად
გაუგზავნა ერთ უცხოელ ოქრომჭედელს. ადრესატმა პაკეტი კი
მიიღო, მაგრამ შიგ არაფერი არ აღმოჩნდა, მკვდარი თავის გარ-
და. თავგი უგერგილო გამოდგა და ვერ შეასრულა ამოცანა,
რომელიც პაკეტის გამგზავნა დააკისრა. როგორც ჩანს, იგი ვარაუ-
დობდა, რომ მღრღნელი გახვრეტდა პაკეტს და გაიქცეოდა. შეიქმ-
ნებოდა ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს ღმერთმა უწყის, საიდან
გაჩენილი ხვრელიდან სამკაული გარეთ გამოვარდა და დაიკარგა.
პატრონისათვის კი დაზღვეული თანხა უნდა გადაეხადათ. ნაცვ-
ლად ამისა, ცხოველი დამხრჩვალყო და გამოსაძრომი კი ვერ გამ-
ოეღრღნა, რითაც შეიძლებოდა ყელსაბამის გაქრობა ახსნილიყო,
რომელიც შიგ არც დებულა. თითლიბაზური ფანდის მომგონი ამ-
ხილეს და თავს ლაფი დაასხეს. ალბათ რომელიმე კულტურულ-
ისტორიულ წიგნში თუ წააწყდა მსგავს რამეს და ნაკითხობის მს-
ხვერპლი შეიქმნა. მაგრამ შეიძლება ამ შლეგურ ოინს საერთო
ზნეობრივმა დაცემამაც შეუწყო ხელი.

ასე იყო თუ ისე, ჩვენი მასპინძლის მეუღლე, დაბადებით ფონ
პლაუზიგი იძულებული იყო უარი ეთქვა თავის ოცნებაზე, მისი
იდეალი – ჩამომავლობითი არისტოკრატიისა და ხელოვნების არი-
სტოკრატიის ერთმანეთთან დაკავშირება – ვერა და ვერ განხორცი-
ელდებოდა. ძველ დროებს აქ ალბათ რამდენიმე ყოფილი ვექილის
ყოფნა თუ მოგაგონებდათ, რომლებიც ჟანეტ შოირლს ფრანგულად

ესაუბრებოდნენ. თორემ ისე აქ თეატრის ვარსკვლავების გვერდით იყვნენ: სახალხო-კათოლიკური პარტიის ორიოდ ნარმომადგენელი, ერთი ცნობილი სოციალ-დემოკრატი პარლამენტარი და ახალი სახელმწიფოს რამდენიმე მაღალი და ერთი-ორი ძალზე მაღალი რანგის მოღვაწე, რომლებშიაც აქა-იქ ჯერ კიდევ გამოერეოდნენ ხოლმე დიდგვაროვანი ოჯახის შვილებიც, როგორც გახლდათ, მაგალითად, ძალზე კეთილად განწყობილი და ყველაფერზე მზად მყოფი ბატონი ფონ შტენგელი, მაგრამ აგრეთვე უკვე ისეთებიც, ვინც „ლიბერალურ“ რესპუბლიკას დიახაც ვერ იტანდა და ვისაც უკვე კადნიერად შუბლზე ეწერა გერმანიის შერცხვენისათვის შურისძიების განზრახვა და იმის შეგნება, რომ მყობად სამყაროს წარმოადგენდნენ.

ჰოდა, ასე იყო: ვინმეს რომ თვალყური ედევნებინა, შენიშნავდა: მე უფრო მეტხანს ვიყავი მარი გოდოსა და მისი გულკეთილი დეიდის გვერდით, ვიდრე ადრიანი, რომელიც აქ შეეჭველად მისი გულისთვის მოვიდა და თავდაპირველად სიხარულით მიესალმა კიდევ, მაგრამ მერე უმთავრესად თავის ძვირფას ყანეტსა და სოციალ-დემოკრატ დეპუტატს ემასლაათებოდა, რომელიც ბახის ერუდირებული თაყვანისმცემელი გახლდათ. ყურადღებად რომ ვიყავი გადაქცეული, ვფიქრობ, აღარავის აღარ გაუკვირდება ყოველივე იმის შემდეგ, რაც ადრიანმა გამანდო. რუდი შვერტფეგერიც ჩვენთან იყო. დეიდა იზაბო აღტაცებული დარჩა მასთან შეხვედრით. რუდი, როგორც ციურიჰში, აქაც ხშირად აცინებდა და მარისაც აიძულებდა გაეღიმა, მაგრამ არც სერიოზულ სჯა-ბაასს არ უშლიდა ხელს, რაც პარიზისა და მიუნჰენის ხელოვნებაში მიმდინარე პროცესებს დასტრიალებდა; შეეხო აგრეთვე სრულიად ევროპის პოლიტიკურსა და კერძოდ კი გერმანია-საფრანგეთის ურთიერთობის საკითხებს. მხოლოდ სულ ბოლოს, გამოთხოვებისას, უკვე ფეხზე მდგომი ადრიანიც ჩაერია საუბარში რამდენიმე წამით: ჩქარობდა, რადგან ვალდსჰუტისკენ მიმავალ 11 საათის მატარებლისთვის უნდა მიესწრო, და სულ რაღაც საათნახევარი გამოუვიდა სალამოს წვეულებაზე ყოფნა. დანარჩენები კი ერთხანს კიდევ დავრჩით.

ეს ამბავი, როგორც მოგახსენეთ, შაბათ სალამოს იყო. რამდენიმე დღის შემდეგ კი, სახელდობრ, ხუთშაბათს, ტელეფონით მელაპარაკა.

ფრანიზინგში დამირეკა, რათა, როგორც თვითონ თქვა, ერთი რალაც ეთხოვა (ხმა დახშული ჰქონდა და ცოტათი მონოტონურად ლაპარაკობდა, რის გამოც დავასკვენი, რომ თავი სტკიოდა). ჩემი აზრით, — დასძინა მან, — პანსიონ „გიზელაში“ მყოფი ქალებისათვის მიუნჰენის ლირსშესანიშნაობანი ცოტაოდენი მაინც უნდა გაგვეცნო. გეგმაში მაქვს ქალაქის მიდამოებში მარხილით გასეირნება შევთავაზოთ, ზამთრის საუცხოო ტაროსი ხომ ხელს გვინწყობს და გვინწყობსო. პრეტენზია არა მაქვს, თითქოს ჩემი თაოსნობა იყოს ამ ექსკურსიის მოწყობა, იდეა შვერტფეგერს ეკუთვნის, მაგრამ მე ავითაცე და ავწონ-დავწონე კიდეც, შეიძლებოდა ფიუსენს ვწვეოდით და ნოიშვანშტაინს. მაგრამ ამას ალბათ აჯობებდა ობერამერგაუში წასვლა და იქიდან კი მარხილით მონასტერ ეტალამდე მიღწევა, რომელიც მე პირადად ძალიან მიყვარს. გზად ლინდერჰოფის ციხე-კოშკშიც შევივლიდით. უცნაური ნაგებობაა. ნახვად ღირს. შენ რა აზრისა ხარო?

მე იდეა მოვიწონე და ექსკურსიის მიზნად ეტალის არჩევაც მართებულად ჩავთვალე.

— რალა თქმა უნდა, თქვენც უნდა წამოხვიდეთ, — დასძინა მან, — შენც და შენი მეუღლეც, ერთ-ერთ შაბათს გავემგზავროთ. მე როგორც ვიცი, შაბათობით გაკვეთილები არა გაქვს ამ სემესტრში. ვთქვათ, იქით შაბათს, ზეგის სწორს, თუ თოვლმა დნობა არ დაიწყო. შილდკნაპსაც უკვე შევატყობინე. ასეთი რამეების გიჟია და სურს თხილამურებით გამოჰყვეს მარხილს.

ყოველივე ამაზეც კვერი დაფუკარი.

ჰოდა, ახლა გთხოვ ერთი რამ გამიგოო. — განაგრძო მან, — როგორც გითხარი, ეს აზრი თავდაპირველად შვერტფეგერს მოუვიდა თავში, მაგრამ, იმედია, გამიგებ, მე არ მინდა ეს ამბავი პანსიონ „გიზელაში“ იცოდნენ. არ მინდა რუდოლფმა დაპატიჟოს ისინი, მირჩვენია მე ვითავო, თუ მაინცდამაინც პირადად არა, შუაკაცის მეშვეობით მაინც. ამიტომ ქენი სიკეთე და შენ იკისრე ამ საქმის გაჩარხვაო. იქნებ აფაიფერინგში მორიგ ჩამოსვლამდე, ესე იგი ზეგ, ქალებს ეწვიო ქალაქში და ჩემი სურვილი გადასცე, ოღონდ პირდაპირ მაინც ნუ ეტყვი, რომ ჩემი დავალებით მიხვედიო.

— ამ მეგობრული სამსახურით ერთობ დამავალე, — საკვირველად მშრალად დამამთავრა მან.

მინდოდა კითხვები დამეყარა, მაგრამ მერე თავი შევიკავე და მხოლოდ აღვუთქვი, რომ ყველაფერს ისე გავაკეთებდი, როგორც მას სურდა. ბოლოს კი ვუთხარი: გჯეროდეს, შენი წამოწყება წინასწარ მახარებს შენს მაგივრადაც და ყველა ჩვენგანის მაგივრადაც-მეთქი. დიახ, ეს მართლაც ასე იყო. მე მანამდეც სერიოზულად ვფიქრობდი, როგორ დავხმარებოდი, მე რომ გამანდო, იმ სანადელის ასრულებაში, საქმის ადგილიდან დაძვრაში. უგუნურებად მეჩვენებოდა. მის მიერ არჩეულ ქალიშვილთან შემდგომი შეხვედრების მინდობა ილბლიანი შემთხვევითობისათვის. გარემოებანი ამას მაინცდამაინც ხელს არ უწყობდნენ, საჭირო იყო ქმედითი დახმარება, ინიციატივა, და აი მანაც თავი იჩინა. ნეტავი მართლა შვერტფეგერმა გამოიჩინა იგი, თუ ადრიანმა მიაწერა, რადგან შეყვარებულის როლში ყოფნა რცხვენოდა, რაც წინააღმდეგ მისი ბუნებისა და ცხოვრების წესისა, ანაზღეულად აიძულებდა დროსტარებასა და მარხილით სეირნობაზე ეფიქრა? მეც მისთვის იმდენად შეუფერებელ ამბად მეჩვენებოდა, რომ მინდოდა ადრიანის ნათქვამი მართალი გამომდგარიყო: თავდაპირველად მევიოლინეს მოუვიდა აზრადო, თუმცა ძალიან ვეჭვობდი, რომ ეს ელფური პლატონიკოსი ამ წამოწყებაში რამით დაინტერესებული შეიძლებოდა ყოფილიყო.

კითხვები დამეყარა-მეთქი. კაცმა რომ თქვას, მე მხოლოდ ერთი კითხვა მქონდა: სახელდობრ, თუ ადრიანს სურდა გაეგებინებინა მარისათვის, რომ მისი ნახვა სწყუროდა, რატომ უშუალოდ მას არ მიმართავდა, არ დაურეკავდა, ანდა მიუნჰენში არ ჩავიდოდა და ქალებს ეწვეოდა, რათა გასეირნების გეგმა გაენდო? მაშინ არ ვიცოდი, რომ აქ საქმე მქონდა გარკვეულ ტენდენციასთან, იდეასთან, რომ ეს ყოველივე შესავალი იყო იმისა, რაც შემდგომ მოხდებოდა, რომ საქმე მქონდა ადრიანის მიდრეკილებასთან — შეყვარებულთან (რა ვქნა, ასე უნდა ვუნოდო ქალიშვილს) ვინმე ნ ა რ ე გ ზ ა ვ ნ ა , მისთვის გულის გადაშლის მისია სხვისთვის დაეკისრებინა.

პირველი ვიყავი, ვისაც ამდაგვარი რამ ანდო, და დიდი ხალისით შევასრულე დავალება. მაშინ იყო, რომ მარი უსაყულო შოტლანდიურ ნელზედაზე გადაცმულ თეთრ ხალათში ვნახე, რომელიც ასე უხდებოდა. სახაზავ დაფას უჯდა — დამრეცად დაყენებულ ხის სქელსა და ფარსო ფიცარს, რაზეც ელექტრონათურა მიესრახნა. ფეხზე წამოდგა მოსასალმებლად. ალბათ ოციოდე წუთი ვისხედით პანსიონ „გიზელას“ პატარა ნომერში. ქალები ნასიამოვნები დარჩნენ ყურადღებით და ენთუზიაზმით შეხვდნენ ექსკურსიის იდეას, რომლის შეს-

ახეზავს მხოლოდ ვთქვი: მე არ მომსვლია-მეთქი თავში და მერე ქალებს ფრთხილად ჩავანვეთე ყურში: თქვენგან პირდაპირ ჩემს მეგობარ ლევერკიუნთან მივდივარ-მეთქი. მათ კიდევ დასძინეს: ამგვარი რაინდული მხლებლების გარეშე ალბათ ვერასოდეს ვერ შევძლებდით მიუნჰენის სახელგანთქმული სანახების დათვალიერებას, ბავარიის ალპების გაცნობასო, — და გამგზავრების დღე და საათიც მაშინვე დავთქვით.

ამრიგად, ადრიანს სასიამოვნო ამბავი ჩავუტანე და ზუსტად ვუპატაკე ყველაფერი, თან ისიც არ გამომჩინია რარიგ უხდებოდა მარის სამუშაო ხალათი. ადრიანმა მადლობა გადამიხადა და — მე მგონი, ჩემს ყურს არ გამოჰპარვია — ირონიის გარეშე დაასკვნა:

— აი, ხედავ, ზოგჯერ მაინც კარგია საიმედო მეგობრების ყოლა.

პასიონსდროფისკენ მიმავალი რკინიგზის ხაზი, რომელიც თითქმის ემთხვევა გარმიშ-პარტენკირჰენისკენ მიმავალს და მხოლოდ გზის ბოლოს მიტანებული გამოეყოფა ცალკე შტოდ, ვალდსჰუტსა და პფაიფერინგზე გადაიოდა. ადრიანი შუა გზაზე ცხოვრობდა ჩვენი გასეირნების მიზნიდან და ამიტომ დათქმულ დღეს დილის ათი საათისათვის მიუნჰენის მთავარ რკინიგზის სადგურზე მატარებელთან თავი მხოლოდ დანარჩენებმა მოვიყარეთ: შვერტფეგერმა, შილდენაჰმა, პარიზელმა სტუმრებმა, ჩემმა ცოლმა და მე. პირველი საათი ჩვენი საერთო მეგობრის გარეშე ვიმგზავრეთ. ჯერჯერობით სუსხიან დაბლობზე მიქროდა მატარებელი. გზა საუზმემ შეგვიმოკლა — ბუტერბროდებმა და ტიროლურმა წითელმა ღვინომ, რაც ჩემს ჰელენეს წამოეღო ჩვენთვის. ვიდრე საქმელს შევექცეოდით, შილდენაჰმა ხუმრობით აგვიკლო, თითქოს ეშინოდა, მე აღარაფერი მერგებო, და ბევრიც გვაცინა: „კნაპის მიეცით, — გაიძახოდა ის (ასე უწოდებდა თავის თავს, ინგლისურად უქცევდა, და სხვებიც უკვე ასევე მიმართავდნენ), — კნაპი პირში ჩალაგამოვლებული არ დატოვოთ!“ ისე თავშესაქცევად გახზავდა თავის თანდაყოლილ სუსნიობას, რომ კომიკური ეფექტი გარდაუვალი იყო. „ვიშ, რა ნუგბარი რამეა!“ — ოხრავდა თვალებგაბრწყინებული და თან ენისძეხვიან ბუტერბროდს სანსლავდა. თვალში მოგხვდებოდათ, რომ მისი ოხუნჯობა პირველ რიგში მადმუაზელ გოდოსთვის იყო გამიზნული, რომელიც, ბუნებრივია, მასაც ისევე მოსწონდა, როგორც ჩვენ ყველას. ქალიშვილს კოხტად ადგა ტანზე ყავისფერი ბენვის ვინრო არშიებით განყობილი წუნგოსფერი საზამთრო კოსტიუმი და მეც, გრძნობას აყოლილი, ან უფრო სწორად, იმას, რაც აქ მზადდებოდა, ვერა

ვძლებოდი მისი შავი თვალების ჭვრეტით — მუქი ნამნამების ტვერით შემოჯარული ნახშირით შავი და ამასთანავე მხიარულად მოელვარე თვალებისა.

როცა ვალდსჰუტში ადრიანი შემოგვიერთდა და ჩვენი თავყრილობაც ზარ-ზეიმით მიესალმა, მე უცნაურმა შიშმა გამთანგა, თუ ეს სიტყვა სწორად გამოხატავს იმას, რაც განვიცადე. ყოველ შემთხვევაში შიშის ნატამალი მაინც უთუოდ ერია შიგ. სახელდობრ, მხოლოდ მაშინ შეიქმნა ჩემთვის საცნაური, რომ განყოფილებაში, რომელიც გვეჭირა, ესე იგი მცირე ფართობზე (თუმცა კუბეში კი არ ვიყავით, არამედ მეორე კლასის ვაგონის ღია სექციასში) ადრიანის თვალები შეხვდა შავ, ცისფერ და ზუსტად ისეთივე თვალებს, როგორც თავად ჰქონდა, მიმზიდველობა და ინდიფერენტულობა, მღელვარება და სიმშვიდე ერთმანეთს შეეყარნენ და რომ ერთად იქნებოდნენ მთელი ამ საექსკურსიო დღის განმავლობაში, რომელიც ამ თვალთა თანავარსკვლავედის ნიშნით ჩაივლიდა, რომელსაც ალბათ ამ ნიშნით უნდა ჩაევლო. ასე რომ, საქმის არსს ზიარებულს ამ დღის აზრი და დანიშნულება ამგვარად უნდა განეჭვრიტა.

ისე მოხდა და, ბუნებრივია, ასეც უნდა მომხდარიყო, რომ მას შემდეგ, რაც ადრიანი შემოგვიერთდა, ლანდშაფტმა ამალღება დაიწყო, სულ უფრო დიადი ხდებოდა და, მართალია, ჯერჯერობით მხოლოდ შორიდან, მაგრამ უკვე გამოკრთა დათოვლილი მთაგორიანი სამყარო, შილდკნაპი ისევ მოექცა ყურადღების ცენტრში, რადგან მხოლოდ მან იცოდა იმ მაღლობების სახელწოდებები, რომელთა გარჩევა უკვე შეიძლებოდა. ბავარიის ალპებში გიგანტურ მწვერვალებს ვერ ნახავთ, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც დიდებული სანახავი იყო თოვლის სპეტაკ სამოსელში გამონყობილი გარემო, რომელშიც ვმგზავრობდით და სადაც თამამად აზიდულსა და მკაცრ მაღლობებს ტყიანი ხეობები სერავდა და ხანაც ტრიალი ადგილებიც იშლებოდა. თან მოღრუბლული დღე იყო, ყინავდა, თითქოს სადაცაა უნდა გათოვდესო, და მხოლოდ მოგვიანებით, საღამო ხანს მოიწმინდა ცა, ჩვენ მაინც მეტწილად გარეთ ვიყურებოდით, ყურადღებას უმთავრესად ბუნების სურათებზე ვამახვილებდით, თვით საუბრით გართულებიც კი, რომელიც მარიმ ციურიჰის ამბებზე გადაიტანა, ფილარმონიის დარბაზში გატარებული საღამო და სავიოლინო კონცერტი გაიხსენა. მე ადრიანს ვადევნებდი თვალყურს, იგი ქალიშვილს ემუსაიფებოდა. მარი შილდკნაპისა და შვერტფეგერის შუაში იჯდა, ადრიანი — მის პირდაპირ, დეიდა კი ჰელენესა და ჩემთან გულითადი მასლაათით იყო დასაქმებული. ამკარად ვხედა-

ვდი, რარიც ცდილობდა ჩემი მეგობარი ჩაცვიებით არ შეეხედა მადმ-უაზელ გოდოსათვის სახეში, თვალი თვალში არ გაეყარა. რუდოლფი კიდევ მისი ცისფერი თვალებისათვის დამახასიათებელი მზერით უჭვრეტდა ადრიანის თავდავინწყებას, თვითალაგმვასა და თვითგანკიცხვას. განა რალაც არ ეცხო ნუგეშისცემისა და მონანიებისა ადრიანის საქციელს, როდესაც მევიოლინეს ასე გულმოდგინედ აქებდა ქალიშვილის წინაშე? ვინაიდან მარი თავმდაბლობის გამო მუსიკის განსჯაზე თავს იკავებდა, სულ შესრულებაზე იყო ლაპარაკი და ადრიანმა ხაზგასმით განაცხადა: მართალია, სოლისტი აქ გვესწრება, მაგრამ ეს ხელს ვერ შემიშლის, მის დაკვრას ოსტატური, სრულყოფილი და, ასე გასინჯეთ, უბაღლოც კი ვუნოდოო. შემდეგ ამას კიდევ რამდენიმე ძალიან თბილი სიტყვა დაურთო, ხოტბა შეასხა რუდის, როგორც ხელოვანის, განვითარებას საზოგადოდ და უეჭველად დიდ მომავალს.

თავად ქების ობიექტს კი თითქოს გაგონება არ სურდა ამდენი ხოტბისა და უჯავრდებოდა ადრიანს: — უჰ, უჰ, კარგი ერთიო! — ჩვენ კი გვარწმუნებდა: — მაესტრო საშინლად აჭარბებსო. მაგრამ თან სიამოვნებისაგან სახე ებადრებოდა, ეჭვი არ იყო, მოსწონდა, რომ მარის წინაშე ასე გამოარჩიეს; მაგრამ ისიც უტყუარი გახლდათ, რომ ადრიანის პირიდან მოსმენილი ქება განსაკუთრებით ახარებდა და თავის მაღლიერებას კომპოზიტორის ლაპარაკის მანერით აღტაცებაშიღა გამოხატავდა. მადმუაზელ გოდოს გაგონილი ჰქონდა და წაკითხულიც პრალაში „აპოკალიფსის“ ნაწყვეტთა შესრულების შესახებ და ადრიანს რალაც შეეკითხა ამ ნაწარმოების თაობაზე. ადრიანმა კი პასუხს თავი აარიდა:

— მოდით ნუ ვილაპარაკებთ, — დასძინა მან, — ამ სათნო ცოდვებზე! რუდი აღტაცებაში მოიყვანა ამ სიტყვებმა.

— სათნო ცოდვებო! — შესძახა მან ზარ-ზეიმით. — თუ გსმენიათ ასეთი რამ! რა ლაპარაკი იცის! როგორ მოიქნევს ხოლმე სიტყვას! მართლაც რა დიდებულია ჩვენი მაესტრო!

თან ჩვეულებისამებრ მუხლზე ხელი შეახო ადრიანს. ადამიანთა იმ კატეგორიას ეკუთვნოდა, რომლებიც აუცილებლად ხელს ჰკიდებენ, ეჭიდებიან, ეხებიან მკლავზე, იდაყვზე. ასე მექცეოდა მეც და, ასე გასინჯეთ, ქალებსაც კი, რომლებიც მეტწილად არც უწყრებოდნენ.

ობერამერგაუში ჩვენმა მცირერიცხოვანმა საეცკურსიო ჯგუფმა გაისიერნა კოპნია სოფელში გლეხური სახლების გასწვრივ, რომელთა სხვენები უხვად იყო შემკული ჩუქურთმებიანი კეხებითა და პატარა აივნებით — მოციქულთა, მაცხოვრისა და ღვთისმშობლის სავანეებით.

ვიდრე დანარჩენები მახლობელ კალვარიენბერგზეც ავიდოდნენ, მე გამოვცალკევედი, რათა ნაცნობ სატრანსპორტო ცენტრში მივსულიყავი და მარხილი შემეკვეთა. მეგობრებს მხოლოდ სადილობისას შევუერთდი პატარა რესტორანში. დარბაზის შუაგულში მინის საცეკვაო მოედანი იყო, ქვემოდან განათებული, მის ირგვლივ კი მაგიდები იდგა. სეზონის დროს, ესე იგი როდესაც აქ მისტერიები თამაშდებოდა, აქაურობა ალბათ უცხოელი ტურისტებით იყო გაჭედილი. ამჟამად კი, ჩვენდა სასიხარულოდ, ლამის სიცარიელე სუფევდა. მარტო საცეკვაო მოედნიდან მოშორებით მდგარ ორ მაგიდას უსხდნენ სტუმრები: ერთს – ავადმყოფური შესახედაობის ბატონი და მოლოზნის ტანსაცმელში გამოწყობილი მისი მომვლელი ქალი, მეორეს კიდეე ზამთრის სპორტის მოყვარულთა ჯგუფი. დაბალ ფიცარნაგზე ხუთკაციანი ორკესტრი განლაგებულიყო და სტუმრებს სალონური პიესებით ატკობდა მუსიკალური ნომრიდან ნომრამდე დამკვრელები ხანგრძლივ პაუზებს აწყობდნენ და არცთუ მაინცდამაინც ვინმეს საზარალოდ საფუძვლიანად ისვენებდნენ. ყოვლად ბრიყვულ რალაცებს ასრულებდნენ, თანაც ასრულებდნენ უნიათოდ და უნიჭოდ. ასე რომ, შემწვარი წინილების შემდეგ რუდი შვერტფეგერმა მეტი ველარ მოითმინა და გადაწყვიტა, ზუსტად ისე, როგორც საშობაო მოთხრობებშია, გაებედნიერებინა დამსწრენი. მევიოლინეს გამოართვა საკრავი, ჯერ ხელში შეატრიალ-შემოატრიალა, მისი სადაურობა დაადგინა, და მერე იმპროვიზაციას შეუდგა, დიდებულად, გონებამახვილურად, და ჩვენები რომ გაეცინებინა, შიგ „თავისი“ სავიოლინო კონცერტის კადენციის ორიოდე სვლაც გამოურია. მუსიკოსებმა პირილა დააღეს. შემდეგ პიანისტს შეეკითხა, თვალეზიმბნედილ ყმანვილს, რომელიც, რალა თქმა უნდა, უკეთეს ხვედრზე ოცნებობდა, ვიდრე მისი ამჟამინდელი ხელობა გახლდათ: ხომ არ შეგიძლია დვორჟაკის „იუმორესკის“ თანხლებათ, და მდარე ვიოლინოზე ეს ყველასათვის საყვარელი ნაწარმოები დაუკრა. ისე თამამად და ბრწყინვალედ გამოჰყავდა ყოველი პასაჟი, მომხიბლავი გადასვლები და ორმაგი თანახმოვანებანი, რომ ყველამ, ვინც კი დარბაზში იყო: ჩვენ, დანარჩენმა სტუმრებმა, გაცელებულმა მუსიკოსებმა და ორივე ოფიცინტმაც მქუხარე ტაშით დააჯილდოვა.

კაცმა რომ თქვას, გაცვეთილი გამოსხდომა გახლდათ, როგორც შილდკნაპმა წამჩურჩულა შურიანად, მაგრამ მაინც გაართო და მოხიბლა დამსწრენი. მოკლედ, „საამური“ რამ იყო, სავსებით შეეფერებოდა რუდი შვერტფეგერის სტილს. ჩვენ უფრო დიდხანს დავყავით, ვიდრე ვაპირებდით, ბოლოს სულ მარტონი დავრჩით, ყავასა და ნა-

ღველას არაყს ვუსხედით, და მინის იატაკზე ცოტაოდენი ვიცეკვეთ კიდეც: შილდენაპმა და შვერტფეგერმა რიგრიგობით მადმუაზელ გოდოსა და ჩემს კეთილ ჰელენესთან, ოღონდ ღმერთმა უწყის, რა ცეკვა იყო, დანარჩენი სამნი კი, ვინც თავი შევკავეთ, კეთილგანწყობილნი ვუჭვრეტდით. გარეთ უკვე გველოდებოდა ხალვათი მარხილი. შიგ ორი ცხენი ება და ბენვის ფეხთსაბურებით კარგად იყო დათბუნებული. ვინაიდან მე კოფოზე დავჯექი, ხოლო შილდენაპი, როგორც დაიქადნა, მემარხილის მიერ თანწამოღებულ თხილამურებზე დადგა და უკან გამოგვება, დანარჩენები თავისუფლად მოთავსდნენ მარხილში. ეს საუკეთესო ნაწილი იყო პროგრამისა, თუ იმას არ ჩავთვლით, რომ რიუდიგერ შილდენაპს თავისი ვაჟკაცური ახირება შემდეგ ძვირად დაუჯდა. სუსხიან ქარში მოქროდა ჩვენს უკან, ოღოროლორო გზაზე მოაქანებდა მარხილი თოვლის კორიანტელში გახვეულს, და მუცლის ღრუ გაუცივდა, ნაწლავების ანთება დაემართა, ძალზე გამომფიტავი დაავადება, რამაც კარგა ხნით საწოლს მიაჯაჭვა. მაგრამ ამ უბედურებამ მერე იჩინა თავი. ჯერჯერობით კი, როგორც ჩანდა, ყველა ტკებებოდა იმით, რაც პირადად მეც ასე მიყვარს: თბილად შეფუთნილები მივსრიალებდით, ყრუდ ჩაგვესმოდა ზანზალაკების ხმა და სახეში გვცემდა კამკამა, მჭახე, ცივი ჰაერი. ზურგს უკან რომ ადრიანი და მარი მეგულებოდნენ, ერთმანეთის პირისპირ მსხდომნი, ამით ცნობისმოყვარეობა, სიხარული, საზრუნავი, კეთილი სურვილები მეძალბებოდა და გულს მხურვალედ მიძგერებდა.

ლინდერჰოფი, ლუდვიგ II-ის როკოკოს სტილზე ნაგები პატარა ციხე-კოშკი, მდებარეობს განმარტოებით, ულამაზესი მთაგორიანი და ტყიანი სანახებით გარემოცული. მეფის მიზანთროპია ამაზე უფრო ზღაპრულ თავშესაფარს ვერა ჰპოვებდა. ოღონდ, თუ ჯადოსნური ადგილმდებარეობა ამაღლებულ განწყობილებას ბადებდა, ამას ვერ ვიტყვით გემოვნებაზე, თავად ნაგებობაში რომ გამოსჭვიოდა — აქ მეფის სურვილი იგრძნობოდა მხოლოდ, თავისი მეფობა რაც შეიძლება უფრო განედიდებინა. ჩვენ გადმოვედით მარხილიდან და ციხე-კოშკის მეთვალყურის წინამძღოლობით დავიარეთ ამ ფანტასტიკური სახლის ეგრეთ წოდებული „საცხოვრებელი ნაწილი“ — ფუფუნების საგნებით გადატვირთული ოთახები, სადაც სულით ავადმყოფმა მეფემ თავისი დღენი გალია, მარტო მის უდიდებულესობაზე — საკუთარ თავზე ფიქრით გართულმა, ბიულოს დაკვრას ისმენდა და კანცის მომხიბლავი ხმით ტკებებოდა. სამეფო სასახლეებსა და ციხე-კოშკებში, როგორც წესი, ყველაზე დიდი სატახტო დარბაზია. აქ კი ამდაგვარ რამეს სულაც ვერ

ნახავდით. სამაგიეროდ ვეება საძილე ოთახი იყო, რომელიც მკვეთრად გამოირჩეოდა სხვა შედარებით მცირე ზომის ოთახებისაგან. შიგ საპარადო საწოლი იდგა შემალლებულ ადგილას, მეტისმეტი სიგანივრისაგან მოკლე ჩანდა და ბალდახინს მოგაგონებდათ, რადგან ოთხივე კუთხით მოოქრული კანდელაბრებით იყო შემკული.

ყოველივე კრძალვითა და ინტერესით დავათვალიერეთ, მაგრამ ჩუმ-ჩუმად თავის კანტურითაც, და მერე – ცა ამასობაში მონმენდილიყო – ეტალისკენ გავწიეთ, რომელიც ბენედიქტელთა სააბატოსა და ბაროკოს სტილის ეკლესიის წყალობით – იგი სააბატოსზე ეკუთვნოდა – არქიტექტურულ ღირსშესანიშნაობად არის ცნობილი. მახსოვს, გზაში და შემდეგაც, სააბატოს გადასწვრივ მდებარე გაკრიალებულ სასტუმროში სადილობისასაც, საუბარი ერთთავად იმ, როგორც ჩვეულებრივ იხსენიებენ ხოლმე, „უბედური“ მეფის პიროვნებას დასტრიალებდა (კაცმა რომ თქვას, რატომ იყო უბედური?), რომლის ცხოვრების ექსცენტრულ ატმოსფეროს ეს-ეს არის რამდენადმე გავეცანით. სჯა-ბაასი მარტო ეკლესიის დათვალიერებამ შეგვანყვეტინა და მერე არსებითად რუდი შვერტფეგერისა და ჩემს კამათში გადაიზარდა მეფის ეგრეთ წოდებული შემლილობის თაობაზე, ლუდვიგ ბავარიელის მმართველობის უნარს მოკლებულად გამოცხადებასა, ტახტიდან ჩამოგდებასა და შეურაცხადად მიჩნევაზე. რუდის გასაოცრად, ეს ყოველივე მე უსამართლობად შევრაცხე, უხამს ფილისტერობად, მზაკვრულ პოლიტიკურ აქტად და ტახტის პრეტენდენტთა მაქინაციების შედეგად დავსახე.

¹ რუდი კი, სახელდობრ, იმდენად ხალხურ თვალსაზრისს კი არ ადგა, რამდენადაც ბურჟუაზიულს, ოფიციალურს, და მიაჩნდა, რომ მეფე, როგორც თავად თქვა, „მაგრად აფრენდა“. ამიტომ ფსიქიატრთა და ნევროპათოლოგთა ხელში რომ გადასცეს და სულიერად ჯანმრთელი რეგენტობა დაანესეს, ქვეყნისათვის ყოვლად აუცილებელი რამ იყოო. საერთოდ, არ მესამის აქ სადავო რა შეიძლება იყოსო. როგორც ამგვარ შემთხვევებში სჩვეოდა, ესე იგი როდესაც მისთვის სრულიად ახალ თვალსაზრისს შეეჯახებოდა, აღშფოთებისაგან ტურნებგადმობრეცილი, თავის ცისფერ თვალებს ხან ერთ თვალში გამიყრიდა, ხან მეორეში, ვიდრე მე ვლაპარაკობდი. უნდა ითქვას, ჩემდა თავადაც მიკვირდა, რომ ამ საგანზე ამდენი მჭევრმეტყველება გამოვიჩინე, თუმცა მანამდე ამით თითქმის არც დავინტერესებულვარ. ახლა კი აღმოჩნდა, რომ ქვეშეცენეულად გარკვეული აზრი მქონდა შემუშავებული.

ღმემლილობა-მეთქი, — ვუსხნიდი რუდის, — ძალზე მერყევი ცნებაა, რომელსაც ფილისტერული მოაზროვნენი ძალზე საეჭვო კრიტერიუმით საზღვრავენ და, როგორც მოეპრიანებათ, ისე იყენებენ. გონივრული ყოფაქცევის სამანები მათ წინამასწარად თავიანთი თავისა და თავიანთი სიმდაბლის მიჯრით გაჰყავთ, ხოლო რაც ამას სცილდება, იმას სიგიჟედ მიიჩნევენ. ქმეფის ცხოვრების თვითმპყრობელური ყაიდა კი, მონური მორჩილებით გარემოცული, კრიტიკისა და პასუხისმგებლობისაგან საიმედოდ დაზღვეული, რაც უფრო იფურჩქნება, მით უფრო გარკვეულ სტილად ყალიბდება, სიდიადის გამოძნატველ კანონის ძალას იძენს. ისეთი რამ კი, რაზეც თვით უმდიდრეს კერძო პირსაც კი ხელი არ მიუწვდება, ფართო გასაქანს აძლევს ფანტასტიკურ მიდრეკილებებს, ისტერიულ სიყვარულსა და სიძულვილს, შემადრწუნებელ ვნებებსა და მანკიერებებს, ხოლო ის, ვინც ამ სარბიელზე ამაყად და დაურიდებლად იმოქმედებს, სულ იოლად შეიძლება შემლილს დაემსგავსოს. აბა, მეფურ სიდიადეზე დაბლა მდგომი რომელი მოკვდავი შეძლებდა ქვეყნის ულამაზეს კუთხეებში აეგო განმარტოებით მდგარი ციხე-კოშკები, როგორც ლუდვიგ ბავარიელმა მოიმოქმედა?! რალა თქმა უნდა, ეს სრა-სასახლეები მეფის მიზანთროპიის ძეგლებია. მაგრამ თუ ჩვეულებრივ შემთხვევებში დაშვებული არ არის, კაცთაგან განდგომა სიგიჟის სიმპტომად მივიჩნიოთ, მაშინ რატომღა უნდა დავუშვათ იგივე, როცა საქმე მეფის პიროვნებას ეხება?

და მაინც ექვსმა ღრმად განსწავლულმა და საგანგებოდ მონვეულმა ფსიქიატრმა ოფიციალურად დაადგინა მეფის სრული ფსიქიური მოშლილობა და საჭიროდ მიიჩნია მისი ინტერნირება!

გამგონე ექიმებმა ეს იმიტომ მოიმოქმედეს, რომ მათ სწორედ საამისოდ მოუხმეს, თანაც მოიმოქმედეს ისე, რომ თვალთაც არ უნახავთ ლუდვიგი, არ „გაუსინჯიათ“, არ დალაპარაკებიათ. ოღონდ ეს კია: მეფესთან, ვთქვათ, მუსიკასა და პოეზიაზე საუბარი ამ ფილისტერებს მართლაც დაარწმუნებდა მის შემლილობაში. ექიმების დიაგნოზზე დაყრდნობით კაცს, რომლის ქცევაც, უეჭველია, ჩვეულებრივ ნორმებს სცილდებოდა, მაგრამ სულაც არ იყო შემლილი, ჩამოართვეს უფლება თავისი თავი თვითონ განეგო, ფსიქიატრიული სამკურნალოს პაციენტობამდე დააკნინეს და ტბით გარემოცულ ციხე-კოშკში ჩაამწყვდიეს, სადაც ფანჯრებს გისოსები ეკეთა, კარებს კი სახელურები მოხრახნილი ჰქონდა. ხოლო თუ მან ტყვეობა ვერ აიტანა, ამას თავისუფლება ან სიკვდილი არჩია და საკუთარ თავთან ერთად მეციხოვნე-ფსიქიატრიც დაღუპა, ეს მის თავმ-

ოყვარებაზე მეტყველებს და არა შეშლილობაზე, შეშლილობაზე არ მიუთითებს აგრეთვე არც მსახურთა დამოკიდებულება, რომლებიც მზად იყვნენ მისთვის თავი გაენიართ, და არც მხურვალე სიყვარული მოსახლეობისა, რომელიც „მეფუკას“ უწოდებდა მოფერებით. ეს გლეხები, როცა ის ღამით, ქურქში გახვეული, მარტოდმარტო ჩაუქროლებდათ მოოქრული მარხილით, მხოლოდ მცირე ამალის თანხლებით, მაშხალების შუქზე, თავის საბრძანებელში მომთაბარე, მას გიჟად კი არ რაცხდნენ, არამედ მათი მედგარი, მაგრამ მეოცნებე გულის ძვირფას ხელმწიფედ, და ტბის გადაცურვა რომ მოესერხებინა, როგორც ალბათ აპირებდა, ისინი გაღმა შეეგებებოდნენ ფინილებითა და საცეხვებით შეიარაღებულები და მედიცინისა და პოლიტიკისაგან დაიფარავდნენ.

— კი, მაგრამ მისი მფლანგველობა ხომ ამკარად ავადმყოფური რალაც იყო და მეტხანს მისი ატანა აღარ შეიძლებოდა, ხოლო ქვეყნის მართვანმგებლობა თუნდაც იმიტომ არ ძალუძდა, რომ არ სურდა: დიად ხელმწიფობაზე ოცნებობდა, მაგრამ გონივრულ ჩარჩოებში მეფის მოვალეობის შესრულებაზე უარს ამბობდა. ასე კი სახელმწიფო ვერ იარსებებს.

— ეჰ, ეგ ყველაფერი სისულელეა, რუდოლფ. ჭკვიან პრემიერ-მინისტრს შეუძლია მშვენივრად გაუძღვეს თანადროულ ფედერაციულ სახელმწიფოს, თუნდაც მეფე ერთობ მგრძნობიარე იყოს და ვერც მის სახესა და ვერც მის კოლეგების სახეს ვერ იტანდეს. ბავარია არ დაიქცეოდა, ლუდვიგს რომ თავისი მიზანთროპიული ახირებანი კვლავაც განეგრძო. ხოლო მეფის მფლანგველობა ხომ სულაც არ არის სალაპარაკო, არაფერს არ ნიშნავს, შარი მოსდეს, მიზეზ-მიზეზ დოს მარილი აკლიაო. ფული ხომ მაინც ისევ მის ქვეყანაში რჩებოდა, და საარაკო მშენებლობით ქვის მთლებებმა და ოქროთი მოვარაყების ოსტატებმა გაისქელეს კისერი. თანაც ამ ციხე-კოშკებმა მათზე განეული ხარჯები დიდი ხანია აანაზღაურეს, რადგან დედამინის ორივე ნახევარი სფეროდან ჩამოსული რომანტიკის მოყვარულნი ფულს დიხაც უხვად იხდიან მათ დათვალიერებაში, ჩვენ თვითონაც დღეს ჩვენი ნვლილი შევიტანეთ შეშლილობის კომერციული მიზნებისათვის გამოყენების საქმეში...

— ვერ გამიგია თქვენი, რუდოლფ, — გავიძახოდი მე. — განცვიფრებისაგან ლოყები გებერებათ, ჩენს აპოლოგიას რომ ისმენთ, მაგრამ სწორედ მე კი უნდა მიკვირდეს თქვენი ამბავი... ვერ გამიგია, რომ სწორედ თქვენ... როგორც ხელოვანი და... მოკლედ, სწორედ თქვენ... — აქ სიტყვებს დავუნყე ძებნა, რატომ მაინცდამაინც მისგან უნდა გამკვირვებოდა, მაგრამ

ვერ მოვძებნე. ცოტა არ იყოს, გაჭიანურებული მონოლოგი კიდევ იმიტომაც გამიწყდა, რომ მთელი ამ ხნის განმავლობაში ვგრძნობდი: ადრიანის თანდასწრებით ასე არ უნდა ვლაპარაკობდე-მეთქი. წესით მას უნდა ვლაპარაკა. მიუხედავად ამისა, მაინც კარგი იყო, რომ ოპონენტობა მე ვიკისრე, თორემ ისე ვაითუ ადრიანს რუდისთვის დაეკრა კვერი. პროფილაქტიკის მიზნით მე უნდა მელაპარაკა, მის მაგივრად გამოვსულიყავი, მე მეთქვა მისი სათქმელი და მარი გოდოც, როგორც ჩანდა, ჩემს ჩარევას ასევე აღიქვამდა და მე, რომელიც ადრიანმა დღევანდელი დღის მოსაწყობად მასთან მიმგზავნა, ადრიანის რუპორად მთვლიდა, რადგან ვიდრე მე ენავწყლიანობდი, ქალიშვილი უფრო მას უცქეროდა, თითქოს მას უსმენდა და არა მე. მიუხედავად იმისა, რომ თვითონ ადრიანს მხოლოდ ართობდა ჩემი სიფიცხე და ჩემს ენამჭევრობას ცბიერი ღიმილით ხვდებოდა, რაც სრულებით არ მიუთითებდა იმას, რომ ჩემს შუამავლობას მთლიანად იწონებდა.

— რა არის ჭეშმარიტება? — თქვა ბოლოს ჩემმა მეგობარმა და რიუდიგერ შილდკნაპიც სასწრაფოდ წამოეშეელა, განაცხადა რა, რომ ჭეშმარიტებას სხვადასხვა ასპექტი აქვს და ისეთ შემთხვევაში, როგორზეც ჩვენ ვმსჯელობთ, ალბათ სამედიცინო თვალსაზრისისათვის თუმცა გადამწყვეტი მნიშვნელობა არ უნდა მიენიჭებინათ, მაგრამ მისი მთლიანად უგულვებელყოფაც არ შეიძლებოდაო. ჭეშმარიტების ნატურალისტურად განჭვრეტისას, — დაუმატა მან, — უხამსობა ყოველად უცნაურად ერწყმის მელანქოლიას — ეს ჩვენს რუდოლფზე თავდასხმად არ უნდა მივიღოთ, რომელიც მელანქოლიური სულაც არ გახლავთ, მაგრამ ამგვარი შერწყმა მთელი ეპოქის სიმბოლოდ კი გამოდგება, სახელდობრ, მეცხრამეტე საუკუნისა, რომელსაც ამჟამად ემჩნეოდა პირქუში უხამსობისაკენ მიდრეკილებაო. ადრიანს გაეცინა — რასაკვირველია, გაკვირვებისაგან არა. ადრიანის გვერდით მუდამ ისეთი გრძნობა უჩნდებოდა ადამიანს, თითქოს ყოველი იდეა, ყოველი თვალსაზრისი, რომელიც მისი თანდასწრებით გამოითქმებოდა, ამ კაცში იყო თავმოყრილი, და რომ ის, ყურს უგდებდა რა ირონიულად, სხვებს ანებებდა, ყოველ მათგანს საკუთარი სულიერი ნყობის მიხედვით, ეს აზრები გამოეთქვა და დაეცვა. ვილაცამ იმედი გამოთქვა, ახალგაზრდა მეოცე საუკუნე ალბათ უფრო ამბლლებულსა და ცხოველმყოფელ სულისკვეთებას გამოავლენსო. იმის თაობაზე კანტიკუნტად მსჯელობაში, უკვე ჩანდა თუ არა საამისო ნიშნები, საუბარი თანდათან განელდა და მიწყდა. საერთოდ ისედაც ყველამ იგრძნო დაღლილობა მთის სუსხიან ჰაერზე გატარებული და შთაბ-

ეჭიდლებებით აღსავსე საათების შემდეგ. თანაც მატარებელთა მიმოსვლის განრიგიც მეტი დახანების საშუალებას არ იძლეოდა. მემარხილეს მოვუხმეთ და კაშკაშა ვარსკვლავებით მოჭედული ცის ქვეშ მარხილმა პატარა სადგურისკენ გაგვაქროლა, რომლის ბაქანზეც მიუნჰენის მატარებელს უნდა დავლოდებოდით.

შინ გაცილებით წყნარად ვბრუნდებოდით, უკვე რულმოკიდებული დედის პატივისცემის გამოც. მის დისშვილს შილდკნაპი ემასლაათებოდა ხმადაბლა და კანტიკუნტად. მე შვერტფეგერთან საუბრიდან დავრწმუნდი, რომ ნანყენი არ დარჩენილიყო ჩემზე, ხოლო ადრიანი კი დევ ჰელენეს ეკითხებოდა, საყოველღეო ამბებს. სულ არ მოველოდი, გუნებაში დიდად გავიხარე და ლამის გული ამიჩუყდა, როცა ადრიანი ვალდსჰუტში კი არ ჩავიდა, არამედ მოისურვა მიუნჰენამდე გამოგვეყოლოდა და ჩვენი სტუმრები, პარიზელი ქალბატონები, პანსიონამდე მიეცილებინა. მთავარ სადგურზე დანარჩენები ადრიანსა და ქალებს დავემშვიდობეთ და ჩვენ ჩვენ გზას გავუდექით, ისინი კი დროშკაში ჩასხდნენ და შვაბინგის პანსიონისკენ გასწიეს. ამგვარი რაინდობა ალბათ იმიტომ გამოიჩინა, — ვფიქრობდი გულში, — რომ დღის მიწურული სურდა შავ თვალებთან მარტოდ მარტოს გაეტარებინა-მეთქი.

მხოლოდ თერთმეტი საათის მატარებლით ჩავიდა ადრიანი თავის სადა სავანეში და საგანგებო სასტვენით უკვე შორიდანვე ამცნო ფხიზლად მოსუწსულე კაშპერლ-ზუზოს: ჩამოვედიო.

XLI

ჩემო გულისხმიერო მკითხველებო და მეგობრებო, მე განვაგრძობ. გერმანიას დაღუპვა ემუქრება. ჩვენი ქალაქების ნაცარტუტაში ვირთხები ბინადრობენ, გვამებისაგან გასუქებულნი. რუსების ქვემებთა გრიალი ბერლინამდე აღწევს. ანგლო-საქსების მიერ რაინის გადმოლახვა ბალღური თამაში გახლდათ. როგორც ჩანს, ჩვენმა საკუთარმა ნებათ, მტრის ნებისყოფასთან გაერთიანებულმა, აქცია ამაღ. აღსასრული ახლოვდება, ახლოვდება აღსასრული. სადაცაა მოვარდება და თავს დაგატყდება შენ, ამ ქვეყნის მკვიდრო! მაგრამ მაინც განვაგრძობ. ის, რაც ჩემს მიერ აღწერილი და ჩემთვის ღირსსახსოვარი ექსკურსიიდან მხოლოდ ორი დღის შემდეგ ადრიანსა და რუდოლფ შვერტფეგერს შორის მოხდა და როგორც მოხდა, მე ვ ი ც ი, და დაე რამდენიც უნდათ მარწმუნონ: არ შეიძლება იცოდეთ, რადგან იქ არ ყოფილხარო.

დიახ, იქ არ ვყოფილვარ. მაგრამ დღეს უკვე უტყუარი სულიერი ფაქტია, რომ ამის მომსწრე ვარ, ვინაიდან ვინც ჩემსავით რალაც ამბებს წვესწრო და ვინც იგი სულიერად განმეორებით განიცადა, მას ამ ამ-საკთან მსახვრალი გაძინაურება თვითმხილველად და თვითგამგონედ აქცევს, თვით მისთვის დაფარული ფაზების მიმართაც კი.

ადრიანმა შვერტფეგერი ტელეფონით მიიწვია პფაიფერინგში. რაც შეიძლება მალე ჩამოდიო, — სთხოვა, — სასწრაფო საქმე მაქვსო. რუდოლფიც დაუყოვნებლივ ეახლა. დილის ათ საათზე დაურეკა ადრიანმა — თავის სამუშაო საათებში, რაც ისედაც უკვე ღირსშესანიშნავი ფაქტი გახლდათ! — და მევიოლინე ნაშუადღევის ოთხ საათზე უკვე მასთან გაჩნდა. თანაც სალამოს ცაპვენშტოსურ-ორკესტრის სააბონემენტო კონცერტზე უნდა დაეკრა, რაც ადრიანს არც გახსენებია.

— რატონდ დამიბარე, — შეეკითხა რუდოლფი, — რა მოხდა?

— ჰო, ახლავე გეტყვი, — მიუგო ადრიანმა. — შენ აქა ხარ და ჯერჯერობით ეს არის მთავარი. მოხარული ვარ შენი ნახვისა. ჩვეულებრივზე უფროც კი. დაიმახსოვრე!

— რახან ასეა, — შეესიტყვა რუდოლფი უჩვეულოდ ლამაზი გამოთქმით, — რაც გინდა მითხარი, მეც ფიანდაზად გაგეგები.

ადრიანმა შესთავაზა: გავისეირნოთ, სიარულში უკეთ ამბობ კაცი სათქმელსო. შვერტფეგერიც სიამოვნებით დათანხმდა, ოღონდ სინანულით შენიშნა, რომ ცოტა დრო ჰქონდა და ექვსი საათის მატარებლისთვის უნდა მიესწრო, თორემ კონცერტზე დაავიანდებოდა. ადრიანმა შუბლზე ხელი შემოირტყა და პატიება სთხოვა. როცა ყოველივეს გაამბობ, ალბათ უფრო გასაგები იქნება ჩემი გულმავინყობაო.

გარეთ თოვლი დნებოდა. სადაც განზე გადაეხვეცათ და გვერდულებზე დაეხვავებინათ, იქ იწრიტებოდა და ჯდებოდა. გზებს ატალახება დაეწყით. მეგობრებმა კალოშები ჩაიცვეს. რუდოლფს ბენვის მოკლე ქურთუკი ისევ ზედ ეცვა, გახდა ვერც კი მოასწრო, ხოლო ადრიანმა ქაშრით განყობილი დრაფის პალტო ჩაიცვა. მათ გუბურის კენ გასწიეს და ნაპირს დაუყვნენ. დღეს რა პროგრამით გამოდიხარო, — შეეკითხა ადრიანი. — ისევ ბრამსის პირველი სიმფონია, ვითარცა *pièce de résistance**? ისევ მეთაე სიმფონია? ჰოდა, გიხაროდეს ადაჯოში საამური რალაცები გექნება სათქმელადო. შემდეგ უამბო, რომ სულ მთლად ახალგაზრდამ, ბევრად ადრე, ვიდრე ბრამსზე რამეს შეიტყობდა, ფორტეპიანოზე შეთხზა მოტივი, რომელიც თითქმის ემთხვევა ბოლო

*მთავარი კერძი (ფრანგ.).

ნანილში ვალტორნის უალრესად რომანტიკულ თემას, ოღონდ მეთექვსმეტედის შემდეგ პუნქტირებული მერვედით იმ რიტმული ფანდის გარეშე, მელოდირად კი იმავე ყაიდისა.

— საინტერესოა, — თქვა შვერტფეგერმა.

ჰოდა, შაბათის ექსკურსია? როგორი იყო, გაერთო თუ არა რუდი? დანარჩენებიც ნასიამოვნები დარჩნენ თუ არა?

— უკეთესი რომ არ შეიძლება, ისეთი იყო, — განუცხადა რუდოლფმა.

— დარწმუნებული ვარ, ყველას საამურ მოგონებად დარჩება, ალბათ გარდა შილდკნაპისა, რომელმაც თავი გამოიღო და ახლა ავადმყოფი წევს. ქალთა საზოგადოებაში ძალიან პატივმოყვარეა ხოლმე. ისე კი, კაცმა რომ თქვას, მე არ უნდა მეცოდებოდეს. კადნიერად მექცეოდა.

— იცის, რომ ხუნრობა არა გწყინს.

— ეგ მართალია, მაგრამ მაინც ისე არ უნდა დამძგერებოჯა, ზერენუსმა უიმისოდაც ძალა ნაილო მეფის გამოსარჩლებით.

— ის მასწავლებელია. ამიტომ ხელს ნუ შეუშლი სწავლებასა და შეცდომების გასწორებაში.

— ჰო, ნითელი მელნით სწორებაში. თუმცა რა მესაქმება ახლა იმ ორივესთან, როცა აქა ვარ და შენ რაღაცა გაქვს სათქმელი.

— სწორია. და ვინაიდან ექსკურსიას შეეგებეთ, ჩვენ, კაცმა რომ თქვას, უკვე ახლოსა ვართ საქმესთან, რომელშიც შენ შეგეძლო ძალიან დაგევალებინე...

— დამევალებინე? მე?..

— აბა, მითხარი, მარი გოდოზე რა აზრისა ხარ?

— გოდოზე? ის, მგონი, ყველას მოსწონს. მათ შორის უთუოდ შენც.

— მოწონება მთლად შესაფერისი სიტყვა არ არის. უნდა გამოგიტყდე, რომ ამ ქალიშვილზე ციურიჰის შემდეგ ისე სერიოზულად ვფიქრობ, რომ მიჭირს მასთან შეხვედრა, როგორც უბრალო ეპიზოდი გავიაზრო, მიჭირს იმის წარმოდგენა, რომ სულ მალე უნდა გაემგზავროს და ალბათ ველარასოდეს ველარ ვნახავ. ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს მინდა, თითქოს უნდა გამუდმებით ვუყურებდე, გამუდმებით გვერდითა მყავდეს.

შვერტფეგერი გაჩერდა და მას, ვინც ეს სიტყვები წარმოთქვა, ჯერ ერთ თვალში გაუყარა მზერა, მერე მეორეში.

— არა, მართლა? — წარმოთქვა მან და შემდეგ ისევ გზა განაგრძო თავჩაეინდრულმა.

— დიას, მართალია, — დაუდასტურა ადრიანმა, — იმედია, არ განწყრები, რომ გული გადაგიშაღე. სწორედ ამაში ჩანს, რომ გენდობი, რომ მწამს შენი.

– დარწმუნებული იყავი! – წაიდუღუნა რუდოლფმა.

და აღრიანმა ისევ განაგრძო:

– ყველაფერს ადამიანური თვალთ შეხედე! უკვე ხანში შევდივარ. მალე ორმოცისა გავხდები. შენ, როგორც ჩემს მეგობარს, არ შეიძლება გინდოდეს, რომ დანარჩენი დღენი ამ ჯურღმულში გავატარო. გეუბნები, მომეკიდე როგორც ა დ ა მ ი ა ნ ს , რომელსაც შეიძლება ანაზღეულად შეეშინდეს, რალაც არ გამოძრჩეს, რალაც არ დავაგვიანოო, რომელსაც შეიძლება მოენატროს უფრო მყუდრო კერა და მისთვის შესაფერისი ცხოვრების თანამგზავრი, მოკლედ, ცხოვრების უფრო სათუთი ატმოსფერო – მხოლოდ განსაცხრომელად კი არა, რომ უფრო ფაფუკლოგინში გეძინოს ადამიანს, არამედ უწინარეს ყოვლისა იმიტომ, რომ იმედოვნებ ეს შრომის ხალისსა და უნარს გამიცხოველებს და ჩემს შემოქმედებას მომავალში ბევრ ა დ ა მ ი ა ნ უ რ სიკეთეს შესძენსო.

შვერტფეგერმა რამდენიმე ნაბიჯი ჩუმად გაიარა, შემდეგ ხმავეცვლილმა წარმოთქვა:

– ახლა შენ ოთხჯერ ახსენე „ადამიანი“ და „ადამიანური“. მე დავთვალე, რახან გულახდილობაა, გულახდილობა იყოს: გული მეკუმშება, როცა ამ სიტყვას წარმოთქვამ, როცა მას საკუთარი თავის მიმართ იყენებ. შენი პირიდან იგი დაუჯერებლად და შეუსაბამოდ ყლერს. ასე გასინჯე, კუროზულადაც კი. მომიტყევე, რომ ამას გეუბნები! რა, აქამდე შენი მუსიკა არაადამიანური იყო? მაშინ იგი თავის სიდიადეს არაადამიანურობას უმადლის. ბოდიშს ვიხდი ასეთი სულელური შენიშვნისათვის! მე სულაც არ მინდა შენგან ადამიანურობით ინსპირირებული ნაწარმოები მოვისმინო.

– არ გინდა? მაშ, არა და არ განდა? შენ არ იყავი, რომ უკვე სამჯერ შეასრულე ერთ-ერთი მათგანი? განა შენ არ მოისურვე ეს სავიოლინო კონცერტი შენთვის მომეძღვნა? ვიცი, მიზნად არა გაქვს დაუნდობლად მომეპყრა. მაგრამ უღმობლობა არ არის, როცა მარწმუნებ, რომ მხოლოდ არაადამიანურობითა ვარ, რაცა ვარ, და რომ ადამიანურობა არ მიხდება? ეს უღმობლობაა და დაუფიქრებლობა, – უღმობლობა ხომ მუდამ დაუფიქრებლობიდან გამომდინარეობს! ადამიანურობასთან არაფერი არ გესაქმებაო, არ შეიძლება გესაქმებოდესო, – ამას მეუბნება ის, ვინც გასაოცარი მოთმინებით ადამიანობისაკენ მომაქცია და გამიშინაურდა, ვის მიმართაც პირველად ჩემს სიცოცხლეში ადამიანური სითბო ვიგრძენი.

– ეტყობა, ეს მხოლოდ პალიატივი ყოფილა.

– დაე თუნდაც ასე იყოს, მერე? დაე თუნდაც საქმე ეხებოდეს ადამიანურობის თანდათანობით შექენას, მის პირველ საფეხურს,

განა იგი ამის გამო თავის ღირებულებას დაკარგავს? ცხოვრებაში შემხვდა ადამიანი ვისმა მამაცურმა მოთმინებამ – თითქმის შეიძლება ასე ითქვას – სიკვდილს აჯობა, ვინც ადამიანობა გამიღვიძა, მასწავლა, რა არი ბედნიერება. ეს ალბათ არავის ეცოდინება, ამას ბიოგრაფიაში არ ჩანერენ. მაგრამ განა ამით მისი დამსახურება წარიხოცება, განა ის პატივი შეილახება, რასაც ის იღუმალ იმსახურებს?

– ძალიან კი გეხერხება, მე რომ მეამება, ისე დასახო ხოლმე ყველაფერი.

– მე არაფერს არ ვსახავ. მე ყველაფერს ისე ვამბობ, როგორც არის.

– კაცმა რომ თქვას, ჩემზე ხომ არ ვსაუბრობთ, ჩვენ მარი გოდოზე ვლაპარაკობთ. იმისათვის, რომ, როგორც შენ ამბობ, მუდამ ხედავდე, მუდამ გვერდით გყავდე, ცოლად უნდა შეირთო.

– ჩემი სურვილიც ეს გახლავს, ჩემი იმედი.

– ოჰო! იცის მერე ქალიშვილმა შენი გულისნადები?

– ვშიშობ, რომ არა. ვშიშობ, რომ არ მომეძვეება ჩემი გრძნობებისა და სურვილების გამოხატვის უნარი, განსაკუთრებით საზოგადოებაში, სხვათა თანდასწრებით. რა ვქნა, მრცხვენია არშიყისა და სელადონის როლის თამაში.

– რატომ არ დაიარები მასთან?

– იმიტომ, რომ მეუხერხულება აღიარებებითა და წინადადებებით დავატყდე თავს. ჩემი მოუქნელობის გამოისობით ალბათ ვერც წარმოუდგენია მათი არსებობა. მის თვალში ალბათ ისე უცნაური განდევილი ვარ. ვშიშობ, მოულოდნელობის გამო თავგზა არ აებნას და ამის შედეგად ნაჩქარევად უარი არ მომახალოს.

– რატომ არ მისწერ?

– იმიტომ, რომ ამით შეიძლება კიდევ უფრო დავაბნო. პასუხის გამოგ ზავნა მოუხდება, და არ ვიცი, წერილების წერა უყვარს თუ არა. რამდენი უნდა ეწვალოს, რომ დამინდოს და თავაზიანი იყოს, თუ უარის თქმა მოუხდება! და რა ტკივილს მომაყენებს ეს ნაძალადევი დანდობა! მე მაკრთობს აგრეთვე ასეთი მიმონერის აბსტრაქტულობაც – რატომღაც მეჩვენება, რომ ჩემი ბედნიერებისათვის ისიც შეიძლება საშიში აღმოჩნდეს. მიჭირს წარმოვიდგინო, რომ მარი მხოლოდ საკუთარი ინიციატივით მწერს პასუხს და არა რაიმე პირადი შთაბეჭდილების ზეგავლენით – ლამის ვთქვა, არა ვისიმე ან რისიმე

ზემოქმედების შედეგად-მეთქი. შენ ხედავ, რომ მე გავუზრბივარ უშუალო თავდასხმასაც და გავუზრბივარ მიმოწერის შუალობით გზასაც.

- მაშ, რომელ გზასლა ირჩევ?

- მე ხომ უკვე გითხარი, შენ შეგიძლია ძალიან დამეხმარო-მეთქი. მინდა მასთან შენ გაგვზავნო.

- მე?

- შენ, რუდი. ნუთუ ასეთ უაზრობად გეჩვენება, თუ შენს ამაგს ჩემზე ან, როგორც გულით მინდა ვთქვა, ჩემი სულიერად განკურების საქმეში შენს დამსახურებას, რაც შთანთმავლობამ შეიძლება შეიტყოს და შეიძლება არც შეიტყოს, იმით დააგვირგვინებ, რომ შუამავლის, თარჯიმნის როლს იკისრებ ჩემსა და ცხოვრებას შორის, ჩემი ბედნიერების მეურვე იქნები? ასეთი აზრი მომივიდა, იდეა გამიჩნდა, როგორც მუსიკის თხზვისას ზეშთაგონება გენწვევა ხოლმე კაცს. ოღონდ ყოველთვის უნდა გახსოვდეს, რომ იდეა სავსებით ახალი არ შეიძლება იყოს, რა შეიძლება სრულიად ახალი იყოს ნოტების მიხედვით? მაგრამ ისე, როგორც აქ გამოდის, მოცემულ ადგილას, ამ კონტექსტში და ამ ასპექტში შეიძლება უკვე არსებული ახლად გამოჩნდეს, ასე ვთქვათ, ცხოველმყოფლად ახალი, ორიგინალური და ერთადერთი იყოს.

- სიახლე მე სულაც არ მენალვლება. რასაც ამბობ, ისედაც საკმაოდ ახალია, რომ გამოგნო. თუ სწორად გავიგე, მე უნდა გიმაჭანკლო მარისთან, შენი სახელით ცოლობა ვთხოვო?

- სწორად გამიგე და ალბათ სხვანაირად არც შეიძლებოდა. ასე ადვილად რახან გამიგე, მაშინ ამაში არაბუნებრივი არაფერი არ ყოფილა.

- ასე გგონია? რატომ შენს ზერენუსს არ გაგზავნი?

- შენ რა, მასხრად იგდებ ჩემს ზერენუსს? ეტყობა, სასაცილოდ არ გყოფნის, როცა ჩემს ზერენუსს სიყვარულის მაცნედ წარმოიდგენ. ეს-ეს არის ჩვენ პირად შთაბეჭდილებებზე ვლასპარაკობდით, ურომლისოდაც ქალიშვილს ალბათ გაუჭირდება გადანყვტილების მიღება. ამიტომ ნუ გაგიკვირდება, თუ ჩემი წარმოდგენით, შენ უფრო კეთილგანწყობილი მოგისმენს, ვიდრე ისეთ მკაცრ მაშვალს.

- მე ახლა, ადრი, არ მეხუმრება, თუნდაც იმიტომ, რომ იმ როლმა, რომელსაც შენს ცხოვრებაში მომანერ და, ასე გასინჯე, შთანთმავლობის თვალშიც კი, თავისთავად გასაგებია, ამაღელვა და

საზეიმოდ განმანყო. ცაიტბლომზე იმიტომ შეგეკითხე, რომ ის უფრო ძველი მეგობარია.

— დიახ, უფრო ძველია.

— კეთილი, დაე მხოლოდ ძველი იყოს. მაგრამ მაშინ რატომ არ ფიქრობ, რომ ეს „მხოლოდ“ ამოცანას გაუადვილებდა, მას უფრო გამოსადეგად გახდიდა?

— მომისმინე, არა სჯობია, ზერენუსს სულაც დავეხსნათ? ჩემს თვალში მას სატრფიალო ამბებთან არაფერი ესაქმება. მე შენ გაგენდე და არა მას. შენ უნცი ახლა ყველაფერი. შენ გადაგიშალე, როგორც უნინ იტყოდნენ ხოლმე, ჩემი გულის უიდუმალესი წიგნის ფურცლები. ჰოდა, როცა მასთან მიხვალ, მარისაც წააკითხე ისინი, უამბე ჩემი ამბავი, მარტო კარგი რამ უამბე, ფაქიზად გაანდე, რა გრძობითაცა ვარ გამსჭვალული მისდამი, სურვილები, რაც ცხოვრების მიმართ გამაჩნია, და ისიც უთხარი, რომ ეს გრძობები და სურვილები ერთმანეთისაგან განუყრელია! ძალდაუტანებლად და ფრთხილად გამოჰკითხე, შენ რომ გჩვევია, ისე სათუთად და საამურად, შეუძლია თუ არა — დიახ, დიახ, შეუძლია თუ არა შემიყვაროს? თანახმა ხარ? აუცილებელი არ არის, რომ სრული თანხმობა მომიტანო, ღმერთმანი, არა. მცირეოდენი იმედი და შენს მისიას წარმატებით განხორციელებულად ჩავთვლი. თუ იმ ამბავს მომიტან, რომ ჩემი ცხოვრების გაზიარების აზრი ზიზღს არა ჰგვრის, თავზარს არა სცემს, — მაშინ ჩემი ჟამიც დარეკავს, მაშინ მე თვითონ გავესაუბრები ქალიშვილსაც და მის დეიდასაც.

რომის ბორცვი მზარმარცხნივ მოიტოვეს და ფიჭვნარს შეერივნენ, რომელიც მის უკან არის. ხეთა რტოებიდან წვეთავდა. მერე სოფლის ბოლოში გამოვიდნენ გზაზე და შინისკენ გამოსწიეს. კანტიკუნტად მეიჯარეებსა და გლეხებს ხვდებოდნენ. შემხვდურნი თავს უკრავდნენ შვავიგეშტილების მრავალწლოვან მდგმურს. რუდოლფმა ერთხანს დუმილის შემდგომ ისევ წამოიწყო:

— მე რომ არ გამიჭირდება იქ შენზე კარგის თქმა, ამაში ეჭვი არ შეგეპაროს. ეს მით უფრო გამიადვილდება, ადრი, რომ შენ ამდენი მაქე მასთან. ოღონდ მიწდა ბოლომდე გულახდილი ვიყო შენთან, ისევე როგორც შენ — ჩემთან. როცა შემეკითხე, მარი გოდოზე რა აზრისა ხარო, პასუხი იმწამსვე მზად მქონდა, ის ყველას მოსწონს-მეთქი. უნდა ვაღიარო, რომ ამ პასუხში უფრო მეტი რამ იყო ჩაქსოვილი, ვიდრე კაცს შეიძლებოდა ეფიქრა. ალბათ არასოდეს არ გამოვტყუებოდი

ამაში, შენ რომ, შენივე ძველებური ხატოვანებით ნათქვამისა არ იყოს, შენი გულის გადაშლილი წიგნი არ წაგეკითხვინებინოს.

— ერთი სული მაქვს, ვიდრე შენს აღიარებას მოვისმენდე.

— კაცმა რომ თქვას, ეს-ეს არის უკვე მოისმინე. იმ გოგოს მიმართ — თუმცა შენ არ გიყვარს ეს სიტყვა — იმ ქალიშვილის მიმართ, მარის მიმართ, არც მე ვარ გულგრილი. გულგრილი არა ვარ-მეთქი, რომ ვამბობ, ამით ჯერ კიდევ ყველაფერი არ არის ნათქვამი. ჩემი აზრით, ეს ქალიშვილი ყველაზე საამური და სანუკვარიცაა, ვინც კი ოდესმე ქალი შემხვედრია. ჯერ კიდევ ციურიპში, როცა შენს კონცერტს ვუკრავდი, გულაჩუყებული და აღელვებული ვიყავი, გახდა ჩემთვის საცნაური. ხოლო აქ, შენ იცი: ექსკურსია ჩემი იდეა იყო; მანამდე კი, ეს უკვე შენ არ იცი, პანსიონ „გიზელაშიც“ ვინახულე, მასთან და დეიდა იზაბოლთან ჩაის შევექეცი და საამურად ვიმუს. იფე... ვიმეორებ, ადრი, ყოველივე ამას მხოლოდ ჩვენი დღევანდელი საუბრიდან გამომდინარე გეუბნები. მეც უნდა გულახდილი ვიყო...

ლევერკიუნმა ცოტა დაახანა, შემდეგ კი უცნაურად მთრთოლარე ხმით მრავალმნიშვნელოვნად დასძინა:

— არა, ეს არ ვიცოდი. არც შენი გრძნობებისა და არც მასთან ჩაიზე ყოფნის ამბავი. სასაცილოა, მაგრამ, ეტყობა, დამავინწყდა, რომ შენც სისხლისა და ხორცისაგან შედგები და აზვესტის გარსაცმით როდი ხარ დაცული სილამაზისა და სინატიფის ხიბლისაგან. მაშ, შენ გიყვარს მარი, ანდა, ასე ვთქვათ, შეყვარებული ხარ მასზე. ჰოდა, ახლა ნება მიბოძე ერთი რამ შეგეკითხო: ჩვენი განზრახვაც ემთხვევა ერთმანეთს, შენც გინდოდა ცოლობა გეთხოვა მისთვის?

შვერტფეგერი ჯერ ჩაფიქრდა და მერე თქვა:

— არა, მაგაზე ჯერ არ მიფიქრია.

— მაშ, არ გიფიქრია? მაშ, ალბათ უბრალოდ შეცდენას უპირებდი?

— რას ამბობ, ადრი! ეგრე ნუ ლაპარაკობ! არა, არც ასეთი რამ არ მიფიქრია.

— აბა, მაშინ ნება მიბოძე გითხრა, რომ შენმა აღიარებამ, შენმა გულლია და კეთილშობილურმა აღიარებამ ჩემს განზრახვაზე არათუ ხელი ამალებინა, არამედ ახლა უფრო დაბეჯითებითა გთხოვ.

— რა გინდა ამით თქვა?

— ბევრი რამ. სიყვარულის ამბავში სამსახური გამინიე-მეთქი, იმიტომ აგირჩიე, რომ შენ უფრო შენს სტიქიონში აღმოჩნდები, ვიდრე, ვთქვათ, ზერენუს ცაიტბლომი. რალაც ისეთი გაგაჩნია, რაც მას აკლია და რაც ჩემი სურვილებისა და იმედების ახდენას, მგონი; ხელს შეუწყ-

ობს. ეს ერთი. მაგრამ შენ თურმე მეტ-ნაკლებად ჩემს გრძნობასაც იზიარებ. ოღონდ, როგორც თავად ირწმუნები, ჩემს განზრახვას არა. შენი გუნება-განწყობილებით ილაპარაკებ ჩემს მაგივრად და ჩემს გულს გადაუშლი. შენზე სასურველ, შენზე უკეთეს შუამავალს კაცი ვერ ინატრებს!

— თუ ყოველივეს ამ ასპექტში ხედავ...

— არ იფიქრო, რომ მხოლოდ ამ ასპექტში! მე აქ მსხვერპლსაც ვხედავ და შენ ჭეშმარიტად უფლება გაქვს მოითხოვო, რომ ამას ვხედავდე. კეთილი, მოითხოვე! თანაც ხაზგასმით მოითხოვე! ვინაიდან ეს იმას ნიშნავს, რომ აღიარებ რა მსხვერპლს მსხვერპლად, მაინც მზადა ხარ მის მოსატანად. მსხვერპლზე მიდიხარ იმ როლის განსამტკიცებლად, რასაც ჩემს ცხოვრებაში ასრულებ, შენი დამსახურების განსამტკიცებლად, რაც ჩემი ადამიანობის გაღვიძებაში მიგიძღვის და რაც ალბათ საიდუმლოდ დარჩება კაცობრიობისათვის და შეიძლება არც დარჩეს. თანახმა ხარ?

რუდოლფმა მიუგო:

— დიახ, ნავალ და ძალ-ლონეს არ დავიშურებ, რომ შენი საქმე მოვაგვარო.

— აი მაგისათვის, — უთხრა ადრიანმა, — გამოთხოვებისას მაგრად ჩამოგართმევ ხელს.

უკან დაბრუნდნენ და შვერტფეგერს კიდევ იმდენი დრო დარჩა, რომ მეგობართან ერთად წაიხემსა ნიკეს დარბაზში. გერეონ შვაიგემტილს სუფრა გაეწყო მათთვის. შემდეგ, მიუხედავად რუდოლფის თხოვნისა, ნუ შენუხდებიო, ადრიანიც მის გვერდით მოთავსდა პატარა ეტლის მაგარ მერხზე და სადგურამდე გაჰყვა.

— არა, უნდა გაგაცილო, აჰჯერად მაინც უნდა გაგაცილო, — განუცხადა მეგობარს.

მატარებელი, რომელიც სწრაფი არ იყო და ამიტომ პფაიფერინგშიც ჩერდებოდა, ბაქანზე ჩამოდგა. რუდოლფმა დაბლა ჩამოწეული სარკმლიდან ხელი გაუწოდა მეგობარს და ადრიანმაც მაგრად ჩამოართვა, თან უთხრა:

— მეტს ნულარაფერს ვიტყვით, ახლა შენ იცი, კარგად, ფაქიზად მოაგვარე ყველაფერი!

შემდეგ ხელი დაუქნია, ვიდრე წამოსასვლელად გამობრუნდებოდა. ის, ვინც მატარებელმა თან წარიტაცა, აღარასოდეს აღარ უნახავს. მხოლოდ ერთხელ მიიღო მისგან წერილი, მაგრამ პასუხის გაცემა არ მოისურვა.

ჩემი მორიგი ვიზიტის დროს, ათი თუ თერთმეტი დღის შემდეგ, ადრიაანს უკვე მიეღო ეს წერილი და მამცნო, რომ მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი პასუხი არ გაეგზავნა. ფერწასული იჯდა და იმ კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა, რომელმაც ეს-ეს არის მძიმე დარტყმა გადაიტანა, — განსაკუთრებით იმიტომ ახდენდა ასეთ შთაბეჭდილებას, რომ სიარულში თავისა და ზედა ტანის გვერდზე გადახრა, რაც ბოლო ხანებში დასჩემდა, ახლა კიდევ უფრო თვალშისაცემი იყო. და მაინც სრულიად მშვიდად, ასე გასინჯეთ, გულცივადაც კი გამოიყურებოდა, ან ცდილობდა ასეთი შესახედაობა ჰქონოდა. თან თითქოს უნდოდა ჩემთან ბოდიში მოეხადა, რომ ესოდენ ქედმაღლურ სიღინჯეს იჩენდა და მხოლოდ მხრების აჩეჩვით ზვდებოდა მეგობრის ღალატს.

— მე ვფიქრობ, — მითხრა მან, — ჩემგან ზნეობრივი აღშფოთებისა და მრისხანების შემოტყვევებს არ მოელოდი? ორგული მეგობარი! მორჩა და გათავდა! განწყობილი არა ვარ წუთისოფელს ჩარხის უკულმა ტრიალი ვუკიჟინო! მწარეა, თქმა არ უნდა, და საკუთარ თავს ეკითხები კაცი: მაშ ვიღას შეიძლება ენდო, თუკი შენივე მარჯვენა ხელი მკერდში გიბრაგუნებს? მაგრამ რას იზამ? ასეთი არიან ახლა მეგობრები. მრჩება მხოლოდ სირცხვილი და იმის შეგნება, რომ განკეპვლის ღირსი ვარ.

შევეკითხე: რისი გრცხვენია-მეთქი.

— ჩემი საქციელისა, — მომიგო მან, — იმდენად სულელურისა, რომ ჩემი თავი იმ მოსწავლე ბიჭუნას მაგონებს, რომელმაც ჩიტის ბუდეს მიაგნო და გახარებულმა ამხანაგს აჩვენა, ამ ამხანაგმა კი აიღო და ის ბუდე მოიპარა.

აბა, რალა უნდა მეთქვა, თუ არა ეს:

— ნდობა ვერც სირცხვილს გაჭმევს და არც ცოდვად ჩაგეთვლება. ეგ ყოველივე ხომ ქურდს მოეკითხება.

ნეტავი უფრო დაბეჯითებით შემძლებოდა გამექარწყლებინა ის, რასაც თავის თავს საყვედურობდა! მაგრამ ვაი, რომ გულში მეც ვეთანხმებოდი, რადგან მისი საქციელი, მთელი ეს წამოწყება, მაინცდამაინც რუდოლოფისათვის შუამავლობისა და მაჭანკლობის დაკისრება, ნაძალადევად, ხელოვნურად, უღირსად მეჩვენებოდა, და საკმარისი იყო წარმომედგინა, რომ თავის დროზე მეც, ნაცვლად იმისა, რომ პირადად გადაიმეალა გული ჩემი ჰელენესათვის, რომელიმე ეშხიან

მეგობარს ვგზავნიდი მასთან, და მაშინვე ნათელი ხდებოდა ადრიანის მოქმედების მთელი საიდუმლოებრივი აბსურდულობა მაგრამ რა საჭირო იყო მისი სინანულის გაღვივება, თუკი იგი ისედაც იგრძნობოდა მის სიტყვებსა და გამომეტყველებაში? წესით უნდა მეთქვა: შენ თავს დააბრალე, რომ ერთბაშად მეგობარიც დაკარგე და სატროფოც-მეთქი. მაგრამ სავსებით დარწმუნებული რომ არ ვიყავი, თუ აქ მართლა ბრალი მიუძღოდა უნებლიეთ გადადგმულ მცდარ ნაბიჯს, საბედისწერო წინდაუხედაობას, — ჩემს ფიქრებში ეჭვი შემოიპარებოდა ხოლმე: მეტ-ნაკლებად წინასწარ განჭვრეტითი ჰქონდა, რაც უნდა მომხდარიყო და ყოველივე მისი ნება-სურვილით მოხდა-მეთქი! ნუთუ მართლა გულწრფელად ფიქრობდა, თავისი მიზნისთვის გამოეყენებინა ის, რასაც რუდოლფი „გამოასხივებდა“ — უტყუარი ეროტიკული მიმზიდველობა? შეიძლებოდა გვერწმუნა, რომ ამის იმედი ჰქონდა? ზოგჯერ მეჩვენებოდა, რომ ადრიანმა, თავი მოჰქონდა რა ისე, თითქოს სხვისგან მოითხოვდა მსხვერპლს, თავად გაიღო უდიდესი მსხვერპლი, რომ მან განგებ შეჰყარა ერთად გამიჯნურების ღირსნი, თვითონ კი უკუიქცა მარტოობაში. მაგრამ ეს აზრი ჩემს შეთხზულს უფრო ჰგავდა, ვიდრე მისას. ამგვარი თვალსაზრისი, უკეთესად რომ არ შეიძლება, ისე შემეფერებოდა მე, როგორც ადრიანის თავყვანისმცემელს. ამიტომ იყო, რომ გულით მინდოდა მისი მოჩვენებითი შეცდომისათვის, მისი ეგრეთ წოდებული სისულელისათვის ესოდენ ფაქიზი, გულდასაწყვეტად კეთილშობილური მოტივი დამედო საფუძვლად! მაგრამ ამბების შემდგომმა მსვლელობამ იმდენად ულმობელი, ცივი და მრისხანე ქეშმარიტების პირისპირ დამაყენა, რომ ჩემმა გულკეთილობამ ვერ გაუძლო და მის წინაშე თავზარდაცემული გაირინდ-გაითოშა, — დაუდგენელი, უტყვი, მხოლოდ მისი გაქვავებული მზერით აღსაქმელი ქეშმარიტების წინაშე, რომელიც ასეც უთქმელი დარჩება, რადგანაც მე იმის კაცი არა ვარ, იგი სიტყვიერად გამოვხატო...

დარწმუნებული ვარ, შვერტფეგერი, რამდენადაც გაცნობიერებული ჰქონდა, მარი გოდოსთან ყველაზე სპეტაკი, ყველაზე ალალი განზრახვით წავიდა. მაგრამ ასევე ცხადია, რომ ამ განზრახვას თავიდანვე მყარი ნიადაგი არ გააჩნდა, შინაგანად ფუყე იყო, იოლად შესაფერხებელი, დასარღვევი, გადასაფიქრებელი. ადრიანმა რომ ჩააგონა, რაოდენ მნიშვნელოვან როლს აკუთვნებდა მის პიროვნებას თავის ცხოვრებასა და ადამიანურ მრწამსში, მას დიდად სიამოვნებდა და პატივმოყვარეობას უღვივებდა. ამიტომ ახლა თვი-

თონაც გააზვიადა ეს აზრი და დაიჯერა, რომ მისი ამჟამინდელი მისია თავისთავად გამომდინარეობდა ამ მნიშვნელობიდან. მაგრამ ამგვარ ემოციათა სანინაალმდეგოდ მოქმედებდა ეჭვი და განაწყენება იმის გამო, რომ მეგობარს, ვისი გულიც საბოლოოდ მონადირებულ იქონა, გუნება შეეცვალა და ახლა ის მხოლოდ შუამავალი იყო, სამარჯვი გახლდათ ადრიანის ხელში. აქედან გამომდინარე ვფიქრობ: რუდოლფს სულის ცხრაკლიტულში გააზრტებულად მიაჩნდა თავი, ესე იგი: თავს მოვალედ არ თვლიდა პრეტენზიული ორგულობისათვის ერთგულებით ეპასუხა. ეს ჩემთვის მეტ-ნაკლებად ნათელია. და ნათელია აგრეთვე ისიც, რომ სხვის მაგივრად მიჯნურობის გზაზე შედგომა ძალზე მაცდური რამ არის — მით უმეტეს ფლირტის ფანატიკურად მოყვარულისათვის, რომელსაც მარტო იმის შეგნება, რომ ფლირტს, ანდა ფლირტის მონათესავე დავალებას ეხება საქმე, ზნეობრივად გაალაღებდა, სადავეს ააწყვეტინებდა.

ნეტავი ვინმეს ეჭვი ეპარება, რომ რუდოლფისა და მარი გოდოს შეხვედრის ამბავსაც ისევე ზედმინევენით ვერ აღვადგენ, როგორც საუბარს პფაიფერინგში? ეჭვი ეპარება ვინმეს, რომ „იქაც ვიყავი“? მე მგონი, არა. მაგრამ ამასთანავე ვფიქრობ, რომ ამის დანვრილებით აღწერა უკვე აღარ არის საჭირო ან თუნდაც მხოლოდ სასურველი. მისი საბედისწერო შედეგი, რომელიც თავდაპირველად ზოგს — მე არა, რასაკვირველია, — სასეიროდ მიაჩნდა, ერთი შეხვედრის ნაყოფი არ გახლდათ. ამ ვარაუდს შემდეგ ალბათ მკითხველიც გაიზიარებს. მეორეც იყო საჭირო და რუდოლფმაც გაბედა იგი, ისეთ-ნაირად გამოეთხოვა მარი პირველი ვიზიტის შემდეგ...

შევიდა თუ არა პანსიონის პატარა წინკარში, მაშინვე დეიდა იზაბოს გადააწყდა და დისშვილი მოიკითხა: შინ თუ არის, მინდა მარტოდმარტოს ორიოდე სიტყვა ვუთხრა, მესამე პირია დაინტერესებულიო. ხანდაზმულმა ქალბატონმა სასტუმრო ოთახამდე მიაცილა, რომელიც მარის სამუშაო ოთახიც იყო, თან ისე ეშმაკურად ილიმებოდა, რომ ეტყობოდა „მესამე პირისა“ არა სჯეროდა. მარის გაუკვირდა რუდოლფის დანახვა, თავაზიანად მიესალმა და მაშინვე დააპირა დეიდის მოხმობაც, მაგრამ მომხდურმა არ გაუშვა: საჭირო არ არისო, — და ქალიშვილი ამით კიდევ უფრო გააკვირვა, რაც სახით მხიარულად და კეკლუცად გამოხატა კიდევ. — დეიდამ უკვე იცის, — განაგრძო სტუმარმა, — რომ აქა ვარ და მხოლოდ მაშინ შემოვა, როცა მე ერთ ძალიან მნიშვნელოვან, ძალიან სერიოზულსა და სასიამოვნო

საქმეზე მოგელაპარაკებითო. ჰოდა, ქალიშვილმა რაღა უპასუხა? უთუოდ რაღაც ყოველდღიური რამ და ისიც ხუმრობის კილოთი: სმენა ვარ და გაგონებაო, ან რაიმე ამდაგვარი. შემდეგ სთხოვა სტუმარს: დაბრძანდით და თქვით სათქმელიო.

რუდოლფმა მარის სახაზავ დაფასთან ახლოს მიაჩოჩა სავარძელი და შიგ მოიკალათა. ძე-ხორციელი ვერ იტყვის, რომ მან სიტყვა გატეხა, პირიქით, პატიოსნად შეასრულა, რაც მეგობარს დაჰპირდა. ლაპარაკობდა ადრიანზე, მის მნიშვნელობაზე, სიდიადეზე, რაც საზოგადოებისათვის მხოლოდ ნელ-ნელა ხდება საცნაური, და ირწმუნებოდა, რომ ალტაცებულ იყო, თავს დასდებდა ამ არაჩვეულებრივი ადამიანისათვის. ციურიჰი ახსენა, შლაგინჰაუფენებთან შეხვედრა, მთაში გატარებული დღეც, ბოლოს გამოტყდა: ჩემს მეგობარს უყვარხართო. მაგრამ როგორ სჩადიან ამას? როგორ უნდა აუხსნა ქალს სიყვარული სხვის მაგივრად? უნდა დაიხარო მის კენ? თვალი თვალში უნდა გაუყარო? ხელი მოჰკიდო ხელზე და განუცხადო, რომ სიამონებებით მიჰგვრიდით სხვას? არ ვიცი.

მე მხოლოდ ქალაქგარეთ გასეირნებაზე მიწვევა უნდა გადამეცა და არა ცოლად გაყოლის თხოვნა. სულ ბევრი, რაც მე ვიცი, გახლავთ ის, რომ ქალიშვილმა ხელი გამოჰგლიჯა ხელიდან ანდა კალთიდან აიტაცა, სამხრეთულად ფერმკრთალ ღანვებზე სინითლის ალმური ნაეკიდა და ჩამოუქებული თვალებიდან სიცილის ნატამალიც წარეხოცა. ვერ გაეგო, რა უთხრეს, ეჭვი ეპარებოდა, მართლა სწორად გაიგო თუ არა და ვაჟს შეეკითხა: თუ არ ვცდები, თქვენ ბატონ დოქტორ ლევერკიუნის სახელით მთხოვთ ცოლად გავყვეო. დიახო, — იყო პასუხი, — მე ჩემს მოვალეობას ვიხდი, როგორც მეგობარი. ადრიანს ძალიან ვუყვარვარ, ეს დამავალა და მე კიდევ ვიფიქრე, უარი როგორ ვუთხრაო. ქალიშვილის აშკარად ცივმა, აშკარად დამცინავმა პასუხმა: რა მშვენივრად მოქცეულხართო, კიდევ უფრო დააბნია შვერტფეგერი. რიგიანად ახლალა გახდა საცნაური მისი მდგომარეობის, მისი როლის უცნაურობა, ამას დაემატა შიშიც, რომ მისთვის შეურაცხმყოფელი რაღაცაც იყო ამაში. ქალიშვილის საქციელმა, თავის შორს დაჭერამ და სიცივემ ერთსა და იმავე დროს შეაკრთო კიდევ და გულის სიღრმეში გაახარა კიდევ. თავის გასამართლებლად ერთხანს კიდევ ბურტყუნებდა რაღაცას: თქვენ არ უნყით, რა ძნელია ასეთ ადამიანს რამეზე უარი უთხრათ. თანაც ერთგვარ პასუხისმგებლობას ვგრძნობდი იმ შემობრუნების კეთილად დაგვირგვინებაზე, რაც ამ გრძნობამ განაპირობა: ადრიანის ცხოვრებაში,

ვინაიდან ეს სწორედ მე გახლდით, შვეიცარიაში გამგზავრებაზე რომ დავიყოლიე და ამდენად თქვენთან შეხვედრაც გამოვიწვიეო. საკვირველია, რომ სავილინო კონცერტი მე მომიძღვნა, მაგრამ საბოლოო ჯამში ეს ხომ იმის საბაბად იქცა, რომ კომპოზიტორს თქვენ ენახეთ. გთხოვთ გამიგოთ, რომ არსებითად ამ პასუხისმგებლობის შეგნებამ მაიძულა ადრიანს თხოვნის ასრულებას დავპირებოდით.

აქ ერთხელ კიდევ მარდად გამოსტაცა ხელი ქალიშვილმა, როდესაც ვაჟმა თხოვნის ნიშნად ისევ დააპირა ხელი ხელზე მოეკიდა, და შემდეგი უპასუხა: თავს ნულარ იწუხებთ, არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, მე როგორ მესმის თქვენი როლი. სინანულს გამოვთქვამ, რომ თქვენ, როგორც მის მეგობარს, უნდა იმედი გაგიცრუოთ, მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ თქვენი წარმომგზავნელის პიროვნებამ უთუოდ შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე, მაინც ამ მოკრძალებას არაფერი აქვს საერთო იმ გრძნობასთან, რომელიც შეიძლება და საფუძვლად დასდებოდა თქვენს მიერ ესოდენ ენამჭევრად შემოთავაზებულ კავშირსო. დოქტორ ლევერკიუნის გაცნობამ პატივი და სიხარული მომაგო, მაგრამ სამწუხაროდ, ამიერიდან მასთან შეხვედრა უხერხულად მიმაჩნია. გული მწყდება აგრეთვე იმის გამოც, რომ მომხდარი ამბით გამოწვეული ეს ცვლილება განუხორციელებელი სურვილის გადმომცემსა და მხარდამჭერსაც შეეხება. ეჭვი არ არის, რომ მას შემდეგ, რაც მოხდა; უკეთესი იქნება, თუ ერთმანეთს აღარ შევხვდებით. ასე უფრო იოლიაო. ჰოდა, ნება მომეცით დაგემშვიდობოთ: **Adieu, Monsieur!**-ო.

ვაჟი შევედრა: „მარი!“ მაგრამ ქალიშვილმა მხოლოდ გაიოცა: ჩემს სახელთან რა გესაქმებათ, რატომ გვართ არ წომმართავთო, და ერთხელ კიდევ ხაზგასმით დაემშვიდობა. კანთიელად ჩამესმის ყურში მისი ხმა: „**Adieu, Monsieur!**“

რუდოლფი წამოვიდა, გარეგნულად ნაცემი ძალღვივით კუდამოძუებული, ხოლო შინაგანად ლამის გაბედნიერებული. ადრიანის განზრახვა, მარი ცოლად შეერთო, უაზრობა გამოდგა, დადასტურდა, რომ უაზრობა გახლდათ, თვითონ კი რომ შუამავლობა იკისრა, ამან ქალიშვილი ძალიან გააჯავრა, — რარიგ სასისარულო იყო, რომ ასე გაგულისდა! ჩქარობდა ადრიანისთვის ვიზიტის შედეგი ეცნობებინა, — უხაროდა, რომ პატიოსნად გამოუტყდა მეგობარს: მეც გულგრილი როდი ვარ ამ მშვენიერი ქალიშვილის მიმართო! ხოლო გაკეთებით კი, აი რა გააკეთა: დაჯდა და მადმუაზელ გოდოს წერილი მისწერა, რომელშიც ატყობინებდა, რომ მისი „**Adieu, Monsieur!**“-ის

შემდეგ აღარც მკვდრებში იყო და აღარც ცოცხლებში, მისი ყოფნა-არყოფნის საკითხის გადასაწყვეტად ერთხელ კიდევ უნდა ენახა ქალიშვილი და რალაც ეკითხა, თუმცა ამასვე მთელი სულითა და გულით წერილობითაც ეკითხებოდა: ნუთუ ქალიშვილს არ ესმის, რომ კაცმა მეგობრის პატივისცემის გამო საკუთარი გრძნობა შეიძლება მსხვერპლად მოიტანოს, ჩაიხშოს იგი და სხვის სურვილს უანგაროდ ქომაგად დაუდგეს? და შემდეგ, ნუთუ არ ესმის, რომ ამ ჩახშობილმა, ალაგმულმა გრძნობამ ხელახლა ლალად იფეთქა, ზარ-ზეიმით გაიფურჩქნა, როგორც კი დადგინდა, რომ მეორის გულის წადილი უპერსპექტივო აღმოჩნდა? პატიებას ითხოვს ქალიშვილისაგან ღალატის გამო, რაც არავის მიმართ არ ჩაუდენია, გარდა საკუთარი თავისა, და თუმცა არ ფიქრობს, რომ სინანულის უფლება აქვს, მაგრამ უსაზღვროდ ბედნიერი კია, რომ ამიერიდან არავის მიმართ: არ ჩაეთვლება ღალატად, თუკი მას, მარის, მიყვარხარო, ეტყვის.

დაახლოებით ამას სწერდა. არცთუ ჩიქორთულად და, არშიყობის ეშხში შესული, მე მგონი, გუმანშიაც არ იყო, რომ ადრიანისთვის შუამავლობის შემდეგ მის მიერ სიყვარულის ახსნა ისევე ცოლად გაყოლის თხოვნასთან იყო დაკავშირებული; ეს კი ფლირტის მოყვარულს აზრადაც არ მოსდიოდა. წერილი დეიდა იზაბომ წაუკითხა მარის, რომელსაც ბარათის მიღებაც არ სურდა და არც პასუხი არ გაუგზავნია რუდოლფისათვის. მაგრამ როცა ვაჟი ორი დღის შემდეგ მაინც მივიდა პანსიონში და მოახლის პირით დეიდას შეატყობინა: გენვიეთ და, თუ შეიძლება, მიმიღეთო, — დეიდას არ დაუთხოვია. მარი შინ არ იყო. ხანდაზმულმა ქალბატონმა ეშმაკური გამომეტყველებით უსაყვედურა: იცით, იმ დღეს თქვენი ვიზიტის შემდეგ მკერდზე მომადო თავი და იტირაო. ჩემი აზრით, ეს დეიდამ მოიგონა. თვითონ დეიდა გახაზავდა ხოლმე დისშვილის სიამაყეს: ძალიან მგრძნობიარე, მაგრამ ამასთანავე ამაყი ქალიშვილიაო. ვერ დაგპირდებით, რომ შევძლებ მარისთან ერთხელ კიდევ შეგახვედროთ, მაგრამ დაწმუნებული ბრძანდებოდეთ, უთუოდ გავამახვილებ მის ყურადღებას თქვენს კეთილშობილურ საქციელზეო.

კიდევ ორი დღე გავიდა და რუდოლფი ისევ გამოცხადდა მათთან. მაღამ ფერბლანტიე — გვარი გახლავთ ქვრივი დეიდასი — დისშვილთან შევიდა და კარგა ხანს დარჩა მასთან. ბოლოს, როგორც იქნა, ისევე გამოჩნდა, გამამხნეველად თვალი ჩაუკრა, თავით ანიშნა: შებრძანდითო, და გზა დაუთმო. რალა თქმა უნდა, ვაჟს ყვავილები ეჭირა.

კიდევ რა უნდა ვთქვა? ერთობ ხნიერი ვარ და მგლოვიარე იმ სცენის დასახატავად, რომლის წვრილმანი, კაცმა რომ თქვას, არავის აინტერესებს. რუდოლფმა ცოლობა შესთავაზა, ამჯერად თავისი სახელით, თუმცა ეს ქარაფშუტა ქმრად ისევე არ გამოდგებოდა, როგორც მე დონ ჟუანად. მაგრამ ამაოა ისეთი ცოლქმრული კავშირის მომავალსა და ბედნიერების პერსპექტივაზე მსჯელობა, მომავალი საერთოდ რომ არ ენერა და უღმობელ ბედს უმალვე უნდა გაენადგურებინა. მარიმ გაბედა და შეიყვარა ქალების „ხმანვრილი“ გულის ვარდი, რომლის როგორც ხელოვანის ნიჭიერებასა და განაღდებულ კარიერაზე ესოდენ გულთბილი შეფასება ჰქონდა მოსმენილი და თანაც უაღრესად სერიოზული პიროვნებისაგან. დაიჯერა, დავაკავებო, მოვთოკავო, გარე-გარე მავალს მოვაშინაურებო. ხელი არ წაუერთმევი, კოცნაზე უარი არ უთქვამს და არ გასულა ოცდაოთხი საათი, რომ მთელ ჩვენს ნაცნობთა წრეს სასაირო ამბავი მოედო: რუდი მახეში გაება, კონცერტმაისტერი შვერტფეგერი და მარი გოდო ნეფე-პატარძალი არიანო. შემდეგ ამას ახალი ამბავიც დაემატა: რუდოლფი ცაპფენშტოსერ-ორკესტრთან ხელშეკრულების გაუქმებას აპირებს, პარიზში სურს იქორწინოს და იქვე თავისი სამსახური შესთავაზოს ახლად ჩამოყალიბებულ მუსიკალურ დასს – „Orchestre symphonique“-სო*.

უეჭველია, პარიზში იგი სასურველი სოლისტი გახლდათ, და ასევე უეჭველია, რომ მიუნჰენში ხელშეკრულების გაუქმებასთან დაკავშირებით მიმდინარე მოლაპარაკება ძალიან ნელა მიიწვედა წინ, რადგან რუდოლფის გაშვება არ სურდათ, და მაინც, მისი მონაწილეობით გამართულ ცაპფენშტოსერ-ორკესტრის მორიგ კონცერტზე – ეს პირველი გახლდათ იმ კონცერტის შემდგომ, რომელსაც რუდოლფმა პფაიფერინგიდან ძლივს მიუსწრო – გამოსათხოვარი ბუნფეისის მსგავსი რამ მოუნწყევს. ხოლო ვინაიდან დირიჟორმა, დოქტორმა ედშმიტმა სწორედ იმ სალამოსთვოს განსაკუთრებით შემოსავლიანი პროგრამა აირჩია ბერლიოზისა და ვაგნერის ნაწარმოებებიდან, როგორც იტყვიან, მთელი მიუნჰენი იქ იყო. რიგებში უამრავი ნაცნობი სახე გამოკრთოდა და როცა ფეხზე წამოვდგებოდი ხოლმე, აღარ ვიცოდი, ვის მივსალმებოდი: შლაგინჰაუფენები და მათი მუდმივი მეინახეები, რადბრუხები შილდკნაპთან ერთად, ჟანეტ შოირლი, ცვიჩერები, ბინდერ-მაიორესკუები და სხვანი მრავალნი,

*სიმფონიურ ორკესტრსო (ფრანგ.).

რომელთაც მუსიკის მოსმენის გარდა, ახლად გამომცხვარი ნეფის – რუდი შვერტფეგერის ნახვაც სურდათ, სცენაზე წინ, დიორიჟორის მხარმარცხნივ რომ იდგა. ოღონდ მისი დანიშნული კი არ ესწრებოდა კონცერტს – როგორც ამბობდნენ, პარიზში დაბრუნებულიყო უკვე. მე თავი დავუკარი ინეს ინსტიტორისს. მარტო იყო, უფრო სწორად კი, კნოტერიჰებთან ერთად, უქმროდ, რომელსაც მუსიკა არ უყვარდა და სალამოს ალბათ „ალოტრიაში“ ატარებდა. ინესი კარგა უკან იჯდა დარბაზში, მეტისმეტად სადა კაბა ეცვა და უღიმღამოდ გამოიყურებოდა, კისერი ცერად წინ გაეშვირა, წარბები მალლა აენკი-ჰა და პატარა პირი აგბედიტად და ეშმაკურად დაბრეცოდა; როცა სალამზე მიპასუხა, ჩემდა უნებურად უსიამოვნო გრძნობა დამეუფლა, თითქოს კვლავ ბოროტად ელიმებოდა, ნიშნს მიგებდა, რომ მის სასტუმრო ოთახში იმ ხანგრძლივი ღამეული საუბრის დროს ასე შესანიშნავად გაუნია ექსპლოატაცია ჩემს მოთმინებასა და გულისხმიერებას.

რაც შეეხება შვერტფეგერს, ალბათ იცოდა რა, რამდენ ცნობისმოყვარე თვალს წაანყდებოდა, მთელი სალამოს განმავლობაში დარბაზში თითქმის არ გადმოუხედაია. შიგადაშიგ, როცა ამის შესაძლებლობა ეძლეოდა, ან საკრავს მიიტანდა ხოლმე ყურთან ანდა ნოტებს ფურცლავდა. კონცერტის ბოლოს „მოისტერზინგერების“ უფერტიურა შეასრულეს, შეასრულეს ლაღად და მხიარულად; ისედაც მქუხარე ტაშმა კიდევ უფრო იმძლავრა, როცა ფერდინანდ ედშმიტმა ორკესტრანტები წამოაყენა და თავის კონცერტმასტერს მაღლობის ნიშნად ხელი ჩამოართვა. ამ დროს მე უკვე ზემოთ, მთავარ გასასვლელთან, ვიყავი, მინდოდა დროზე ამელო ჩემი პალტო, ვიდრე გარდერობს ხალხი მოაწყდებოდა. განზრახული მქონდა გზის ნაწილი მაინც შინისაკენ, ესე იგი იმ ბინამდე, რომელშიც მიუნჰენში ყოფნისას ვჩერდებოდი ხოლმე, ფეხით გამეგლო. გამოვედი თუ არა, ერთ ბატონს გადავანყდი კრიდვისის წრიდან, პროფესორ ვილგენჰოლცმუერს, „დიურერის აჩრდილს“. ისიც კონცერტზე ყოფილიყო და ხანგრძლივი საუბარი განიბა, რაც იმდღევანდელი პროგრამის კრიტიკით დაიწყო: ბერლიოზისა და ვაგნერის, ფრანგული ვირტუოზობისა და გერმანული ოსტატობის ასე დაკავშირება უგემოვნობას მონშობს და შიგ ცუდად დაფარული პოლიტიკური ტენდენციურობა ჩამარხული; ყოველივე ამას გერმანია-საფრანგეთის შერიგებისა და პაციფიზმის სუნი ასდის და არც გასაკვირია, რადგან ეს ედშმიტი ხომ რესპუბლიკელად და ეროვნულ საკითხში არასაიმედო პიროვნ-

ებად არის ცნობილი. ეს აზრი მთელი საღამო მოსვენებას არ მძღვედაო. სამწუხაროდ, დღესდღეობით პოლიტიკა ყველაფერია, სულიერი სინმინდე აღარ არსებობს. მის ხელახლა ასალორძინებლად დიდ ორკესტრებს უნდა მეთაურობდნენ ჭეშმარიტად გერმანული სულისკვეთების ადამიანებიო.

მე არ ვუთხარი, რომ სწორედ თქვენა ხართ ის, ვინც ყველაფერში პოლიტიკას ურევს, და რომ სიტყვა „გერმანული“ დღეს სულიერი სინმინდის სინონიმი კი არ გახლავთ, არამედ პარტიული პაროლია-მეთქი. მხოლოდ იმას დავჯერდი, რომ დავსძინე: ვირტუოზობა, ფრანგული იქნება თუ ზოგადევროპული, ვაგნერის საერთაშორისოდ აღიარებულ ხელოვნებაშიც უხვად არის წარმოდგენილი-მეთქი და მერე ოსტატურად სიტყვა ბანზე ავუგდე, წერილი ვუხსენე, რომელიც ახალი გამოქვეყნებული ჰქონდა ჟურნალ „ხელოვნება და ხელოვანის“ ფურცლებზე და გოტიკური არქიტექტურის პროპორციათა საკითხებს ეხებოდა. ქათინაურებმა, ამ წერილთან დაკავშირებით რომ ვუთხარი, დიდად გააბედნიერა, დაწყნარდა, პოლიტიკა გადაავიწყდა, გამხიარულდა, მეც ვისარგებლე მისი სულიერი მდგომარეობის გაუმჯობესებით და გავეყარე, მე მარჯვნივ გავუდექი გზას, ის კი მარცხნივ გაემართა.

მალე განვვლე ზედა თიურკენშტრასე და ლუდვიგშტრასეს მივალნიე, შემდეგ მონუმენტთა წყნარ შოსეს გავუყევი (იგი მრავალი წელია უკვე მთლიანად მოასფალტებულია), მის მარცხენა მხარეს მივდიოდი გამარჯვების ბჭისაკენ. მოღრუბლული საღამო იყო, ძალიან თბილოდა და ზამთრის პალტო, ცოტა არ იყოს, მაძიმებდა. ამიტომ ტერეზიენშტრასეს კუთხეში გაჩერებასთან დავდექი და შვაბინგში მიმავალ ტრამვაის დაველოდე. არ ვიცი, რატომ, მაგრამ უჩვეულოდ დიდხანს მომიხდა ლოდინი, ვიდრე მოვიდოდა. შეფერხება და დაგვიანება ხომ ტრანსპორტისათვის იშვიათი ამბავი არ არის. ბოლოს ათი ნომერი ტრამვაი გამოჩნდა, რომელიც მე ხელს მძღვედა. ახლაც ყურში ჩამესმის და ვხედავ, როგორ ახლოვდებოდა მხედართმთავართა გალერეის მხრიდან. ეს ბავარიული ცისფერი ვაგონები ხომ ძალიან მძიმეებია და მათი სიმძიმის გამო, თუ იქაური ლიანდაგის განსაკუთრებული თვისებების გამო კარგა მაგრად ხმაურობენ. ბორბლების ქვემოდან ელექტრონაპერსკლები ცვიოდა, ელექტრომუხტისგან წარმოქმნილი ნათება კიდეე უფრო ძლიერი იყო მავთულთან ბიგელის შეხების წერტილთან, საიდანაც ცივი ცეცხლოვანი ალები შიშინით სარსარებდნენ და ტკრციალ-ტკრციალით ჰაერში ნაპერსკლებად იფანტებოდნენ.

ტრამევი ჩამოდგა და მე წინა ბაქნიდან ავედი. ჩემგან მარცხნივ, გასანევ კართანვე, ერთი ადგილი თავისუფალი დამხვდა, ეტყობოდა, ვილაც ჩამსვლელმა დატოვა სულ ახლახან, რადგან დანარჩენი ადგილები დაკავებული იყო და უკანა კართან ორი მგზავრი ფეხზე იდგა გასასვლელში, თან ხელი ღვედებისათვის წაევლოთ, მგზავრთა უმრავლესობა კონცერტზე ნამყოფი ხალხი ჩანდა. მათ შორის მოპირდაპირე მერხის ცენტრში, შვერტფეგერი იჯდა და ვიოლინოს ბუდე მუხლებშუა ჩაედგა. რასაკვირველია, დამინახა, რომ ამოვედი, მაგრამ თვალი ამარიდა. პალტოს ქვეშ თეთრი კაშნი ეკეთა და ფრაკის ჰალსტუხს უფარავდა, თავზე კი ჩვეულებისამებრ შლაპა არ ეხურა. ახალგაზრდა და ლამაზი ჩანდა, სუჭუჭა ქერა თმა ფაფარივით ეყარა თავზე, განუული მუშაობის შედეგად სახე ისე განურებოდა, რომ ცისფერი თვალები თითქოს ოდნავ შეშუპებოდა კიდეც, მაგრამ ესეც უხდებოდა, ისევე როგორც ოდნავ გადაპობილი ბაგეც, რითაც ასე ოსტატურად სტვენდა ხოლმე. მარდად როდი მეხერხება თვალის მოვლება და მხოლოდ თანდათან აღვიქვი, რომ ვაგონში სხვა ნაცნობებიც იყვნენ. დოქტორ კრანიჰს მივესალმე, რომელიც შვერტფეგერის მხარეს, მაგრამ მისგან მოშორებით, უკანა ბაქნის კართან იჯდა. ვილაც ქალმა თავი დამიკრა და ჩემდა გასაოცრად ინეს ინსტიტორისი შევიცანი; ჩემსავე მხარეს იჯდა, ოლონდ რამდენიმე ადგილის გამოშვებით, შვერტფეგერისგან ცერად. ჩემდა გასაოცრად-მეთქი, რადგან მისი ბინა აქეთკენ არ იყო. მაგრამ, ვინაიდან მისგან ორიოდ ადგილის მოშორებით ახლა მისი მეგობარი ქალი ფრაუ ბინდერ-მაიორესკუ შევნიშნე, რომელიც შვაბინგში ცხოვრობდა, „დიდი მასპინძლის“ იქითაც კი, დავასკვინი, რომ ინესი ალბათ მასთან მიდიოდა ჩაიზე.

ახლა გასაგები შეიქნა ჩემთვის აგრეთვე, რატომ ჰქონდა შვერტფეგერს თავისი ლამაზი თავი ნიადაგ მარჯვნივ მიბრუნებული, ასე რომ მე მხოლოდ მის ოდნავ ჩლუნგ პროფილსლა ვხედავდი. მარტო იმიტომ კი არა, რომ პირი აერიდებინა კაცისთვის, ვისაც აღრიანის მეორე მედ მიიჩნევდა, და გუნებაში უკვე ვუსაყვედურებდი კიდეც: რალა მაინცდამაინც ამ ვაგონში ჩამჯდარა-მეთქი, — როგორც ჩანს, უსამართლოდ, ვინაიდან ხომ შეიძლებოდა ინესთან ერთად არ ამოსულიყო ტრამევაში. ქალი შეიძლებოდა ჩემსავით შემდეგ ჩამჯდარიყო, ანდა სულაც პირიქით მომხდარიყო ყოველივე, ვაჟი ამოსულიყო მოგვიანებით, ინესის დანახვაზე მაშინვე უკან ხომ არ მოკურცხლავდა?

უნივერსიტეტი გავიარეთ და ის იყო თექვისჩექმებიანი კონდუქტორი უჩუმრად გაჩერდა ჩემს წინ, რათა ათჰფენიგიანი გამოერთმია და ბილეთი ჩაეჩარა ჩემთვის ხელში, რომ დაუჯერებელი ამბავი მოხდა; იმდენად მოულოდნელი, რომ თავდაპირველად ვერც გავიგე, რა ხდებოდა. ვაგონში სროლა ატყდა: აფეთქებათა მკვეთრი, მკაფიო, მოკაკანე ბგერები დაირხა ერთიმეორის მიყოლებით, სამი, ოთხი, ხუთი, გაშმაგებული, გამაოგნებელი სისწრაფით, და მოპირდაპირე მერხზე შვერტფეგერი გვერდზე გადაქანდა, ორივე ხელით ვიოლინოს ბუდეს ჩაჭიდებული, ჯერ მხარზე მიეყრდნო, მერე კი კალთაში ჩაურგო თავი მარჯვნივ მჯდომ ქალს, რომელიც ისევე, როგორც მარცხნივ მჯდომი, შეძრწუნებული განზე იწევდა. ერთი ალიაქოთი ატყდა, პანიკით მოცული მგზავრები უფრო თავის გადარჩენ. ზე ფიქრობდნენ, ვიდრე გონივრული დახმარების აღმოჩენაზე. წინა ბაქანზე კი ვატმანი, ღმერთმა უწყის, რატომ, რაც ძალი და ღონე შესწევდა, ზარს აწკრილებდა, — შეიძლება პოლიციელის მოსახმობად. მაგრამ, აბა, რალა თქმა უნდა, ახლომახლო მათი ჭაჭანება არ იყო. თითქმის სახიფათო ჩოჩქოლი ატყდა უკვე გაჩერებულ ვაგონში, რადგანაც ზოგი მგზავრი გარეთ გადასვლას ლამობდა, ზოგოკი, ბაქანზე მდგომთაგან, ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად თუ სეირში მონაწილეობის მისაღებად შიგ მოინევდნენ. გასასვლელში მდგარი ორივე ბატონი ჩემთან ერთად იწეს ეცა — ვაი, რომ ერთობ გვიან! აღარ დაგვჭირდა მისი „განიარალება“; ქალმა თვითონ დააგდო რევოლვერი, ან უფრო სწორად, თავის მსხვერპლისკენ გადაისროლა. სახე ქალაღივით თეთრი ჰქონდა, ღანვებზე მკვეთრად შემოფარგლული მჭახე-წითელი ტალეები აჩნდა, თვალები დაეხუჭა და, ტუჩებდაბრეცილი, შლეგურად ილიმებოდა.

ინესს მკლავებში სწვდნენ და გააკავეს, მე კი რუდოლფთან მივვარდი, რომელიც მთლად დაცარიელებულ მერხზე დაეწვინათ. მეორე მერხზე ის გულწასული და გასისხლიანებული ქალი იწვა, საბრალო რუდი რომ ზედ დაეცა. თურმე ერთ-ერთ ტყვიას მისთვის მხარი გაეკენწლა, მაგრამ ჭრილობა უწყინარი გახლდათ. რუდოლფთან რამდენიმე კაცს მოეყარა თავი, მათ შორის დოქტორი კრანიჰიც იყო, მას რუდოლფის ხელი ეჭირა.

— რა შემზარავი, უაზრო, უგუნური საქციელია! — მითხრა მან, სახეგაფითრებულმა, მისთვის ჩვეული მკაფიო, აკადემიურად გამართული, მაგრამ ასთმით დაავადებულის არტიკულაციით, თან სიტყვა „შემზარავი“ აქტიორული დიქციით საგანგებოდ დაანანევრა.

შემდეგ დაუმატა: — არასოდეს ასე არ მინანია, რომ მედიკოსი კი არა ვარ, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ნუმიზმატი. მართლაც, იმ ნუთში მეც ყოვლად ამაო მეცნიერებად მეჩვენებოდა ნუმიზმატიკა, კიდევ უფრო უმაქნის მეცნიერებად, ვიდრე ფილოლოგია, რაც, რაღა თქმა უნდა, სერიოზულად არ უნდა მივიღოთ. ფაქტი კი ის იყო, რომ მგზავრთაგან ექიმი არავინ აღმოჩნდა, მიუხედავად იმისა, რომ მგზავრთა უმრავლესობა კონცერტიდან მოდიოდა, ხოლო ექიმები მეტწილად მუსიკალური ხალხია, თუნდაც იმიტომ, რომ მათ შორის ბევრნი ებრაელები არიან. რუდოლფისკენ დავიხარე. სიცოცხლის ნიშანწყალი კიდევ ეტყობოდა, თუმცა საშინლად დაშავებული იყო. თვალის ქვეშ სისხლიანი ნატყვიარი აჩნდა. დანარჩენი ტყვიები, როგორც გამოირკვა, მოხვდა ყელში, ფილტვსა და გულის გვირგვინის სისხლძარღვებში. თავი წამოსწია, რალაცის თქმას ცდილობდა, მაგრამ მაშინვე სისხლიანი დუჟი მოადგა ტუჩებზე, რომელთა სათუთი სისავსე, ანაზღეულად გულის ამარწყებლად ლამაზი მეჩვენა, თვალები გადაუტრიალდა და თავი რაკუნით გადაუვარდა ხის მერხზე.

ვერ ავინერთ, რა სიბრალულით გავიმსჭვალე ერთბაშად ამ ადამიანის მიმართ. კინალამ ცუდად გავხდი. ვიგრძენი, რომ თავისებურად მუდამ მიყვარდა, და უნდა ვალიარო: მას უფრო ბევრად თანავუგრძნობდი, ვიდრე უბედურ ქალს, ვინც ასე სავალალოდ დაეცა და, რასაკვირველია, შეცოდების ღირსიც იყო, ვინც ტანჯვამ და ტანჯვის ვითომდა გამაყურებელმა, საშინელმა მანკიერებამ დანაშაულებრივ ქმედებამდე მიიყვანა. მე განვაცხადე: ორივეს კარგად ვიცნობ; გირჩევთ მძიმედ დაჭრილი უნივერსიტეტში წავიყვანოთ და იქიდან მეკარის ტელეფონით სანიტარულ კარეტასაც და პოლიციასაც გამოვიძახებთ. როგორც ვიცი, იქ პირველი დახმარების პუნქტიც უნდა იყოს და, ჩემი აზრით, ბოროტმოქმედიც თან უნდა წავიყვანოთ-მეთქი.

ასეც მოვიქეცი. ერთმა სათვალთან დაუზარელმა ყმანვილმა კაცმა და მე გამოვიყვანეთ საბრალო რუდოლფი ვაგონიდან, რომლის უკან უკვე ორსა თუ სამ ტრამვაის მოეყარა თავი. ერთ-ერთი მათგანიდან ბოლოს ექიმიც ჩამოხტა, სამედიცინო ხელსაწყოების პატარა ჩემოდანი ეჭირა ხელში, მოვარდა ჩვენთან, სრულიად ზედმეტ მითითებებს გვაქლევდა, დაჭრილი როგორ წაგვეყვანა. ვიღაც რეპორტიორიც გამოჩნდა და ცნობების შეგროვებას შეუდგა. ახლაც მტანჯავს იმის მოგონება, რა დიდხანს ვურეკავდით ზარს უნივერსიტეტის მეკარეს, ვიდრე გამოიხედავდა. ექიმი, ჯერაც ახალგაზრდა

კაცი, ყველას რომ აცნობდა თავს: ექიმი ვარო, შეეცადა უკვე გრძნობადაკარგულისთვის, რომელიც დივანზე დავასვენეთ, პირველი დახმარება აღმოეჩინა. სანიტარული ავტომობილი, სრულიად მოულოდნელად, მაშინვე ადგილზე გაჩნდა. რუდოლფი გზაშივე გარდაიცვალა, ვიდრე ქალაქის საავადმყოფოში მიიყვანდნენ. ახდა ექიმის ვარაუდი, რაც მან დაჭრილის გასინჯვის შემდეგ სინანულით გამანდო.

მე მოგვიანებით მოსულ პოლიციის მოხელეებს და ამიერიდან მათს ცხარე ცრემლით მტირალ პატიმარს შევუერთდი, რათა პოლიციის კომისრისათვის საქმის ვითარება გამეცნო და მეშუამდგომლა ინესის ფსიქიატრიულ კლინიკაში მოთავსებაზე. მაგრამ უარი მითხრა: ამაღამ ვერ მოხერხდებაო.

ეკლესიის ზარებმა შუალამე დარეკეს, როცა პოლიციის უბნიდან გამოვედი და მანქანას დაეუნყე ძებნა, რადგან კიდეც ერთი მწარე გზა მქონდა გასავლელი: პრინცრეგენტენშტრასეზე უნდა მივსულიყავი. ჩემს მოვალეობად მიმაჩნდა ინესის პატარა ქმრისათვის რაც შეიძლებოდა ფრთხილად შემეტყობინებინა მომხდარი ამბავი. მანქანა მხოლოდ მაშინ გამოჩნდა, როცა უკვე აზრი აღარა ჰქონდა შიგ ჩაჯდომას. სადარბაზო კარი დაკეტილი დამხვდა, მაგრამ ზარის დარეკვისთანავე კიბე განათდა და თვითონ ინსტიტორისი ჩამოვიდა დაბლა, რათა კართან ცოლის ნაცვლად მე დავენახე. პირის დაფჩენა იცოდა, თითქოს პაერი არ ჰყოფნისო, და ამ დროს ქვედა ტურს მაგრად უჭერდა ხოლმე კბილებს.

— ეს როგორ? — წაიდუღუნა მან. — თქვენა ხართ? რამ მოგიყვანათ? თქვენ უნდა...

კიბეზე თითქმის არაფერი მითქვამს. ზევით, სასტუმრო ოთახში, იქ, სადაც ინესისგან შემამოფოთებელი აღიარებანი მქონდა მოსმენილი, ორიოდე შემამზადებელი სიტყვის შემდეგ ყველაფერი ვუამბე, რასაც შევესწარი. ფეხზე იდგა და ისე მისმენდა, მაგრამ მოვრჩი თუ არა, ჩალის სავარძელში ჩაეშვა, ოღონდ იმწამსვე თავს დაეუფლა, როგორც ადამიანი, რომელიც დიდი ხანია სულის შემხუთველ, სახიფათო ატმოსფეროში ცხოვრობდა.

— მაშ, ასე, — თქვა მან, — მაშ, ასე დამთავრდა, — და ჩემთვის ნათელი შეიქმნა, რომ შიშით მოცული დიდი ხანია იმის მოლოდინში იყო, რითი დამთავრდებოდა ყოველივე.

— ნავალ, მივაკითხავ, — დასძინა მან და ისევ ადგა, — იმედია, იქ (ინსტიტორისი პოლიციის უბანს გულისხმობდა) შემისვებენ მასთან.

ამალამ არა მგონია-მეთქი, მაგრამ ხმანართმეულმა ძლივს გას-
აგონად მომიგო: ჩემი ვალია, მაინც ვეცადო, პალტო გადაიცვა და
საჩქაროდ გავარდა ბინიდან.

ოთახში მარტო დარჩენილს, სადაც ინესის ბიუსტი, დახვეწილი
და ავბედითი, კვარცხლბეკიდან გადმომცქეროდა, ფიქრები იქით
გამიქანდა, საითაც, ალბათ დამიჯერებთ, უკანასკნელი საათების
განმავლობაში მანამდეც ხშირად, მანამდეც დაყინებით გამირბოდა.
კიდევ ერთგან მქონდა სავალალო ამბავი შესატყობინებელი,
როგორც მიმანჩნდა, მაგრამ უცნაურად მოვეუწვი, ხელ-ფეხი დამიდა-
ბლავდა და, ასე გასინჯეთ, სახის კუნთებიც კი მომიდუნდა,
ყურმილის ალებისა და პფაიფერინგის შეკვეთის თავიც აღარა
მქონდა. თუმცა მართალს არ ვამბობ. ყურმილი ავიღე, დაბლა დაშ-
ვებულ ხელში მიჭირა და ყრუდ, თითქოს მინისქვეშეთიდან მესმოდა
ტელეფონისტი ქალის ხმა. მაგრამ — ალბათ ჩემი გადაღლისა და
ავადმყოფური განწყობილების გამოისობით თუ — წარმოვიდგინე,
რომ სრულებით საჭირო არ იყო შუალამისას შვავიგშტილების სახ-
ლში განგამის ატეხა, რომ არ ღირდა ადრიანისათვის ჩემი თავგა-
დასავალი დაუყოვნებლივ მომეთხრო, უფრო მეტიც, რომ სასაცილო
მდგომარეობაში აღმოვჩნდებოდი, ამიტომ ხელი ავიღე განზრახვაზე
და ყურმილი უკან დავდე.

XLIII

ჩემი თხრობა დასასრულს უახლოვდება, როგორც ყოველივე
ირგვლივ. ყველაფერი ზარითა და ზათქით დასასრულისკენ მიექანე-
ბა, აღსასრულის ნიშნის ქვეშა დგას მთელი მსოფლიო — ყოველ შემთ-
ხვევაში ჩვენთვის, გერმანელებისათვის; ათასწლოვანი ისტორია გაბი-
აბრუვდა, აბსურდამდე მიიყვანეს; მცდარ გზად გამოჩნდა იგი ჩვენი
ამგვარი დასასრულის გამო — არარაობისაკენ, უსასოებისაკენ, უმა-
გალითო გაკოტრებისაკენ მიმავალ გზად, რომელიც გეენის მოსარს-
არე ენებით შემოჯარულ ჯოჯოხეთის გზას ერთვის. თუკი მართალია,
რასაც გერმანული ანდაზა ამტკიცებს, რომ სამართლიანი მიზნისაკენ
მიმავალი ყოველგვარი გზაც სამართლიანია მის ყოველ მონაკვეთში,
მაშინ ისიც უნდა ვალიაროთ, რომ გზა, რომელმაც ამ უბედურებამდე
მიგვიყვანა, ყველგან შეჩვენებული იყო — მე ამ სიტყვას მისი ყველაზე
მკაცრი, ყველაზე რელიგიური მნიშვნელობით ვხმარობ, — მის ყოველ

ჰუნქტისა და მოსახვევში, რა მწარეც უნდა იყოს ასეთი ლოგიკური დასკვნის გამოტანა იმისათვის, ვისაც თან უყვარს. შეჩვენებულობის ექვილბრები აღიარება სიყვარულზე ხელის აღების ტოლფასოვანი რამ როდი გახლავთ. მე, როგორც გერმანელსა და სწავლულს, ბევრი რამ მიყვარდა გერმანული; უფრო მეტიც, ჩემი უმნიშვნელო, მაგრამ აღტაცებითა და ერთგულებითა აღსავსე ცხოვრება მიფუძღვენი სიყვარულს, ხშირად მფრთხალს, ყოველთვის გაუბედავს, მაგრამ მარად ერთგულ სიყვარულს ქეშმარიტად გერმანელი ადამიანისა და ხელოვნისა, ვისმა საიდუმლოებით მოცულნა ცოდვიანობამ და საშინელმა აღსასრულმა ვერ შეარყია ჩემი სიყვარული, რაიც შესაძლოა — ეს არავინ უწყის! — მარტოდენ ანარეკლია ღვთიური მადლისა.

საბედისწერო წამის მოლოდინით გათანგული, რის იქითაც გადახედვას ადამიანის გონება ვერც კი ბედავს, ვზივარ ფრაიზინგში, ჩემს სენაკში, და ვერიდები ჩვენი უმონყალოდ დანგრეული მიუნჰენის ცქერას, წაქცეული ძეგლებისა და თვალებდათხრილი ფასადების ჭვრეტას, რომლებიც თითქოს სადაცაა უნდა ნაიქცენენ, სააშკარაოზე გამოიტანონ მათ უკან ხახადაბჩენილი სიცარიელე, რასაც ჯერჯერობით ფარავენ, და ასფალტზე დაზვინული ნანგრევები კიდევ და კიდევ ამრავლონ. გული მეკუმშება სიბრალულისაგან, როდესაც ჩემს შლეგ ვაჟებზე ვფიქრობ, რომელთაც სჯეროდათ, როგორც სჯეროდა ხალხის მასას, სწამდათ, ზეიმობდნენ, მსხვერპლს იღებდნენ და იბრძოდნენ, ხოლო ახლა, კარგა ხანია უკვე, მილიონობით თავიანთ მსგავსებთან ერთად, თვალები დააჭყიტეს და სიფხიზლე იწვნიეს, რაც სრულ უმწეობასა და ყოვლისმომცველ უსასობაში უნდა გადაიზარდოს. მე, რომელსაც მათი სჯულისა არა მწამდა რა და მათს ბედნიერებას ვერ ვიზიარებდი, ვერც მათი სულის კირთება ვერ დამაახლოვებს მათთან. ვინაიდან ახლა ამ უბედურებასაც მე დამაბრალებენ — თითქოს ყოველივე სხვაგვარად შეიძლებოდა წარმართულიყო, მეც რომ მათს ჩაფუშულ ოცნებებს ავყოლოდი. ღმერთი იყოს მათი შემწე! მე მარტოდმარტო ვარ ჩემს მოხუც ჰელენესთან, რომელიც ჩემს ფიზიკურ კეთილდღეობაზე ზრუნავს და რომელსაც მისი გულუბრყვილო ბუნებისათვის უფრო შესაფერის ადგილებს ვუკითხავ დროდადრო ამ წიგნიდან, რის დასამთავრებლად იღვწის მთელი ჩემი გრძნობა და გონება, როცა ირგვლივ ყველაფერი ემხოება და იქცევა...

აღსასრულის წინასწარმეტყველება, რომელსაც ავტორმა „Apokalipsis cum figuris“ უწოდა, გახმიანდა ღიადი, ყურთასმენის

შემძრავი ხმოვანებით 1926 წლის თებერვალში, მაინის ფრანკფურტში, დაახლოებით. ერთი წლის შემდეგ იმ საშინელი ამბიდან, მე რომ უკვე მოგიყევით და ნაწილობრივ ალბათ დათრგუნვილობის ბრალიც იყო, რაც ამ ტრაგიკულმა შემთხვევამ ადრიანში კვლად დატოვა, რომ მან ვერ დასძლია მისთვის ჩვეული კარჩაკეტილობა და არ დასწრებია უალრესად სენსაციურ კონცერტს, ბევრი რომ აწჩხლი შეძახილებითა და ბრიყვული ღრეჭით შეხვდა. მას ეს ნაწარმოები, ერთ-ერთი მისი მკაცრი და ამაყი ცხოვრების ორი მთავარი ნიშანსვეტიდან, არასოდეს არ მოუსმენია, რაც მაინცდამაინც სადარდებელი რამ არ გახლავთ, თუ გავიხსენებთ, „მოსმენაზე“ რისი თქმაც უყვარდა ხოლმე. ჩემს გარდა, კონცერტს – ფრანკფურტს გასამგზავრებლად სამსახურიდან თავის დახსნა როგორღაც მოვახერხე – ჩვენი ნაცნობებიდან მხოლოდ საყვარელი ჟანეტ შოირლი ესწრებოდა, რომელიც, ხელმოკლეობის წიუხედავად, ფრანკფურტშიც ჩამოვიდა და მერე პფაიფერინგშიც ეწვია მეგობარს, რომ ყოველივე მოეთხრო მხოლოდ მისთვის დამახასიათებელ ფრანგულისა და ბავარიულისაგან ნარევ დიალექტზე. ადრიანს იმხანად დიდად ახარებდა ხოლმე ამ ელეგანტური „გლეხი ქალის“ მასთან გამოჩენა: მისი იქ ყოფნა ამშვიდებდა, იცავდა, თითქოს რაღაც ძალას გადასცემდა, და მართლაც ერთხელ აბატის პალატის კუნჭულში ვნახე ორივენი, ხ ე ლ ი ხ ე ლ ჩ ა ჭ ი დ ე ბ უ ლ ნ ი ისხდნენ, მდუმარენი, თითქოს ვიღაცას ემალებოდნენ. ასე „ხელის ჩაჭიდება“ ადრე არა სჩვეოდა, ეს ადრიანში მომხდარ ცვლილებას მოწმობდა, რამაც გული ამიწყა, გამახარა, მაგრამ ცოტათი შემაკრთო კიდეც.

უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, სიამოვნებდა ადრიანს მაშინ რიუდიგერ შილდენაჰის, „მსგავსთვალეობას“ გვერდით ყოლაც. თუმცა ის კვლავინდებურად ძუნნად უთმობდა დროს მეგობრებს, მაგრამ როცა ჩამოვიდოდა, ეს დაკონკილი ჯენტლმენი, შორეულ გასეირნებებზე მზად იყო, რაც ადრიანს ასე უყვარდა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ვერ მუშაობდა, ხოლო რიუდიგერი მათ ენამწარე და გროტესკული ოხუნჯობით უკმაზავდა. ეკლესიის თავვივით ღარიბი მაშინ მანამდე უყურადღებოდ მიტოვებულ და მოფამფალეებულ კბილებზე ზრუნვით იყო გართული და ერთთავად კბილის ექიმების ვერაგობაზე ლაპარაკობდა, რომლებიც ჯერ ვითომდა როგორც მეგობარს უპირებდნენ მკურნალობას, მერე კი წარმოუდგენელ თანხას შეანერდნენ ხოლმე, მსჯელობდა ანაზღაურების სისტემაზე, გაცდენილ დროზე, ვადებზე, რის შემდეგ

იძულებული ხდებოდა ახალი დანტისტი მოეძებნა, და თან კარგად იცოდა, რომ მასაც ვერ დააკმაყოფილებდა, და სხვა ამდაგვარ ამბებზე. ერთი ტანჯვითა და წვალებით კარგა მოზრდილი ხიდი დაუყენეს შემორჩენილ კბილებზე, რომლებიც უკვე ადრეც სტკიოდა და მოკვლე ხანში ხიდის სიმძიმისაგან სულ მოფამფალდნენ. ასე რომ, მთელი ნაგებობა სადაც იყო უნდა მოსძრობოდა და პატრონი ვალსა და ვახშში ჩაეგდო. ვაიმე, უკვე მტყდებო, — განაცხადებდა შილდკნაპი ძრწოლით, მაგრამ არათუ არ სწყინდა, რომ ადრიანი გულიანად იცინოდა მის გასაჭირზე, არამედ, თითქოს სწორედ ამას მოელოდაო, თვითონაც სიცილისაგან ჩაბყირდებოდა ხოლმე.

რიუდიგერის პირქუში იუმორი მარტოსულს მაშინ საღებუნად ედებოდა და ვინაიდან, სამწუხაროდ, მე იმის ნიჭი არ გამაჩნდა, რომ მეც რაიმე ოხუნჯობით გავმასპინძლებოდი, ყოველ ღონეს ვხმარობდი, რომ მუდამ ხელიდან დასხლტომის მოსურნე შილდკნაპი პფაიფერინგში ხშირად ჩამოსასვლელად განმეწყო ხოლმე. ის წელიწადი ადრიანისთვის უნაყოფო გამოდგა: ვერ მუშაობდა, სულიერ აღმაფრენას მოკლებული ძალზე იტანჯებოდა, ხელმოცარული იყო და შიში ეძალებოდა, — ამას მწერდა მე იმხანად და როგორც ირწმუნებოდა, ეს გახლდათ სწორედ მთავარი მიზეზი, რომ ფრანკფურტს არ გაემგზავრა. არ შეიძლება ერთხელ უკვე შექმნილით ყელყელობა იმ დროს, როდესაც უკეთესის შექმნის უნარს მოკლებული ხარო. წარსული მხოლოდ მაშინ არის გასაძღისი, როცა მასზე ამაღლებულად გრძნობ თავს, ნაცვლად იმისა, რომ — ამჟამინდელი უძლურობის შეგნებით გამსჭვალული — გაცეებისაგან პირდაღებული უჭვრეტედ მასო. „შინაგან სიცარიელეს, ლამის სიჩლუნგეს“ უწოდებდა ჩემთვის ფრაიზინგში გამოგზავნილ ბარათებში თავის სულიერ განწყობას, „ძალღურ ცხოვრებას“, „უგუნურ მცენარეულ არსებობას, აუტანელს თავისი იდილიურობით“, რისი განქიქებაც ერთადერთი უბადრუკი გამოსავალილა, რომ კაცს პატივი სულ არ აგეყაროს, ღირსება შეინარჩუნო, და რამაც ლამის არის ახალი ომი, რევოლუცია ანდა-სხვა რამ ამდაგვარი გარეგანი აურზაური მანატრებინოს, ოღონდაც ამ ჩლუნგ მყოფობას გამოვეთიშოო. კომპოზიტორობისა ახლა ინჩიბინჩიც არ გამეგება, წარმოდგენაც კი აღარ გამაჩნია, როგორ თხზავენ მუსიკას და ღრმადა ვარ დარწმუნებული, ჩემს სიცოცხლეში ე რ თ ნოტსაც ვეღარ დავწერო. „შემინდოს ჯოჯოხეთმა“, „ილოცე ჩემი საბრალო სულისათვის“, — ამგვარი გამოთქმები მეორდებოდა მის წერილებში, რაც თუმცა გულს მწუხარებით მივ-

სებდა, მაგრამ ამასთანავე ამამალლებდა კიდევ, ვინაიდან ჩემს თავს ვეუბნებოდი: მხოლოდ მე, სიყრმის მეგობარს, და სხვას არავის მთელ ქვეყანაზე არ ანდობს თავის ხვაშიადს-მეთქი.

ჩემს საპასუხო წერილებში ვცდილობდი მენუგეშებინა, მივუთითებდი, რარიგ უჭირს ადამიანს თავის ამჟამინდელი სულიერი მდგომარეობის მიღმა გახედვა, მას ემოციების გამოისობით და განსჯის მიუხედავადაც კი მუდამ როგორც ამიერიდან მისთვის საბოლოოდ მისჯილ ხვედრად აღიქვამს და უნარი არ შესწევს, ასე ვთქვათ, უახლოეს მოსახვევეში რა სიახლე ელის, ის დაინახოს, – თანაც ეს ყოველივე ალბათ ავბედით მდგომარეობას უფრო შეეხება, ვიდრე სვებედნიერს-მეთქი. შენი დეპრესია სრულიად გასაგებია იმ ყოვლად უმოწყალო გულგაცრუების შემდეგ, რაც სულ ახლახანს განიცადე-მეთქი. და იმდენი სისუსტე და „პოეტურობა“ გამოვიჩინე, რომ მისი გაჩანაგებული სული იმ ყანობირს შევადარე, რომელიც „ზამთრის სუდარის ქვეშ განისვენებს“ და მის წიაღში კი სიცოცხლე იდუმალ ისევ ჩუჩუნებს და ახალი ყლორტების ამოსაყრელად ემზადება, – მიუტყვებლად იდილიური სურათი დაეხატე, თავადვე ვგრძნობდი, რომ იგი ვერა და ვერ ეხამებოდა მისი მყოფობის ექსტრემულობას, შემოქმედებითი აღმაფრენისა და უძღურების მონაცვლეობას, თითქოს პირველს მეორით ინანიებსო. თან ჯანმრთელობაც მკვეთრად გაუუარესდა, რაც უფრო შემოქმედებით ძალთა დაშრეტის თანმხლებ მოვლენასავით მოქმედებდა, ვიდრე მის მიზეზად: შაკიკის მძიმე შეტევები აიძულებდა სიბნელეში მჯდარიყო, ხან კუჭის, ხან ბრონქებისა და ყელის კატარი აწამებდა მთელი 1926 წლის ზამთრის განმავლობაში და ალბათ მარტო ესეც იკმარებდა, რომ ადრიანს ფრანკფურტს გამგზავრებაზე ხელი აეღო, როგორც აალებინა ხელი ავადმყოფობამ მეორე, უფრო აუცილებელ მოგზაურობაზეც, ადამიანური თვალსაზრისით თუ განვიხილავთ, რადგან სხვა გამოსავალი არ იყო, საამისოდ აშკარად ძალა არ შესწევდა და ექიმიც კატეგორიულად ამასვე ურჩევდა.

სახელდობრ, წლის მინურულს, თითქმის ერთსა და იმავე დროს, – უცნაურია, მაგრამ ლამის დღეც კი დაემთხვა, – გამოუსალმნენ ამ ნუთისოფელს მაქს შვაიგეშტილი და იონათან ლევერკიუნი, ორივენი სამოცდათხუთმეტი წლის ასაკში, – ოჯახის მამა და განმგებელი იმ ზემობავარიულ სავანეში, რომელიც მრავალი წლის მანძილზე ადრიანის თავშესაფარი გახლდათ, და ადრიანის საკუთარი მამაც ბუხელის კარმიდაპოში. დედის დეპეშამ, რომელიც „მოაზროვნის“

საუკუნო განსვენებას იუნყებოდა, ვაჟს მეორე ცხედართან მოუსწრო, ვისაც სიცოცხლეში ასევე უყვარდა წყნარად ჩიბუხის წევა, ფიქრი და განსჯა, ოღონდ სხვა დიალექტზე. მეურნეობის მოვლა კი უკვე დიდი ხანია შვილისა და მემკვიდრისათვის, გერეონისათვის გადაეღო, როგორც იონათანს — გეორგისათვის. ჩემს მეგობარს შეეძლო დარწმუნებული ყოფილიყო, რომ ელსბეთ ლევერკიუნცი ისევე უმწიფოდ ქედმოხრილი და ადამიანის ხვედრთან შერიგებული შეხვდებოდა მეუღლის აღსრულებას, როგორც დედოფალი შვაიგ-ჟმტილი. მამის დაკრძალვაზე დასასწრებად საქსონიის თიურინგიაში გამგზავრებაზე ჯანმრთელობის მაშინდელი მდგომარეობის გამო ფიქრიც არ შეიძლებოდა. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ იმ კვირადღეს სიცხე მისცა, ძალზე სუსტად გრძნობდა თავს და ექიმი წინააღმდეგი იყო, მაინც დაესწრო სახლის პატრონის დაკრძალვასა და სოფლის ეკლესიაში მიცვალებულის სულის მოსახსენიებელ წირვას. მეც დავდე ეს უკანასკნელი პატივი განსვენებულს, თან ისეთი გრძნობა მქონდა, თითქოს ერთდროულად ამასვე მივაგებდი მეორესაც. მერე ფეხით დავბრუნდით ერთად შვაიგეშტილების სახლში და ორივე უცნაურად აგვადლევა, კაცმა რომ თქვას, არცთუ დიდად გასაოცარმა ამბავმა, რომ თუმცა მოხუცი აღარ იყო, მაინც მისი ჩიბუხისა და წეკოს არომატი გვცემდა არა მხოლოდ ღია ოთახიდან, რომელშიც დროის მეტ ნაწილს ატარებდა, არამედ, როგორც ჩანდა, დერეფნის კედლებიც კი გაჟღენთილი იყო ამ სუნით და ახლაც უწინდებურად ამძიმებდა მთელი სახლის ატმოსფეროს.

— ასე იქნება კარგა ხანს, — მითხრა ადრიანმა, — ალბათ ვიდრე სახლი იდგება. ბუხელშიც ასევე იქნება. ჩვენი არსებობით აღძრულ ტალღას, ხანმოკლესა თუ ხანგრძლივს, უკვდავებას უწოდებენ.

ეს შობის შემდეგ მოხდა — ამ დღესასწაულს ორივე მამა კიდევ მოესწრო, ნახევრად უკვე ზურგშექცეულნი, ნახევრად უკვე განდგომილნი ამ ქვეყნისაგან, ჯერაც თავისიანებში იყვნენ — ხოლო ნახალწლევს კი, როცა დღემ იმატა, საგრძნობლად გაუმჯობესდა ადრიანის ჯანმრთელობაც, ავადმყოფობის შემოტევათა მტანჯველი სერია შეწყდა, სულიერადაც, როგორც ჩანდა, დასძლია ცხოვრებაში დასახული გეგმის დამსხვრევა და ამასთან დაკავშირებული საშინელი დანაკარგი გამოიგლოვა, აღმაფრენა დაუბრუნდა, ახლა იმაზე ზრუნვა უხდებოდა, მოზღვავებულ იდეათა წინაშე როგორმე განსჯის სიფხიზლე შეენარჩუნებინა, და ეს 1927 წელი ჯადოსნურ კამერულ ქმნილებათა უხვმოსავლიან წელიწადად იქცა: ჯერ საანს-

ამბლო მუსიკა დაწერა სამი სიმებიანი, სამი ხის სასულე საკრავისა და ფორტეპიანოსათვის, მორაკრაკე პიესა, როგორც მე ვიტყვოდი, აღსავსე ძალიან ვრცელი და ფანტაზიით მდიდარი თემებით, რომლებსაც ათასნაირად ამუშავენ და შლის, რათა სააშკარაოზე აღარასოდეს არ გამოიტანოს, რაღაც მიყვარს ეს კაეშნიანი ლტოლვა, ქარტეხილივით სულ წინ და წინ რომ მიისწრაფვის და ამ ქმნილების არსს შეადგენს, რომანტიზმს მისი ჟღერადობისა, — თუმცა იგი უმკაცრესი თანადროული საშუალებებით არის დამუშავებული, სახელდობრ, თემატურად, მაგრამ ისეთი ძლიერი გადახვევებით, რომ ნამდვილი „რეპრიზები“ არც გააჩნია. პირველ ნაწილს ხაზგასმით „ფანტაზია“ ეწოდება, მეორე ნაწილი მძლავრად აღმავალი ადაჯოა, მესამე — ფინალი, რომელსაც მსუბუქი დასაწყისი აქვს, ლამის ანცად იწყება, შემდეგ კონტრაპუნქტულად იქუფრება და სულ უფრო ტრაგიკულსა და სერიოზულ ხასიათს იძენს, ვიდრე სამგლოვიარო მარშივით პირქუში ეპილოგით დაგვირგვინდებოდეს. ფორტეპიანო არსად არ იქცევა ჰარმონიული მთლიანობის რიგით კომპონენტად, სოლო-პარტია აქვს მინდობილი, როგორც საფორტეპიანო კონცერტებშია ხოლმე: აქ ჯერ კიდევ იგრძნობა სავიოლინო კონცერტის სტილი. მაგრამ ამ ნაწარმოებში ყველაზე უფრო მსიბლავს ბგერათშეხამების პრობლემის ოსტატური გადაჭრა. სასულე საკრავები არსად არ ახშობენ სიმებიან საკრავებს, მათ მუდამ უტოვებენ ხმოვანების არეალს, მონაცვლეობენ მათთან და მხოლოდ სულ ორიოდე ადგილას ერთიანდებიან მძლავრ tutti-დ. საერთო შთაბეჭდილება ისეთია, თითქოს მტკიცე და ნაცნობი ნიადაგიდან სულ უფრო და უფრო შორეული რეგიონებისაკენ გიტაცებდნენ — ყველაფერი ისე ხდება, როგორც არ მოეღი. „მე მსურდა, — მითხრა ადრიანმა, — სონატა კი არ დამენერა, არამედ რომანი“.

მუსიკალური პროზისკენ გადახრის ეს ტენდენცია აპოგეას აღწევს სიმებიან კვარტეტში, ალბათ ლევერკიუნის ყველაზე ეზოტერიკულ ნაწარმოებში, რომელიც საანსამბლო პიესას კვალდაკვალ მოჰყვა. თუ ჩვეულებრივ კამერული მუსიკა თემატურ მოტივთა სამოქმედო ასპარეზს წარმოადგენს, აქ სწორედ ამას გაურბის ავტორი და ძალზე გამომწვევადაც. აქ საერთოდ არ შეინიშნება მოტივთა ურთიერთკავშირი, ვარიაციები და განმეორებანი; განუწყვეტლია და გარეგნულად თითქოს სრულიად ძალდაუტანებლად მოედინება ახალი, — გაერთიანებული ტონალობის ანუ ჟღერადობის მსგავსებით, ან კიდევ უფრო მეტად — კონტრასტულობით, აქ ტრადი-

ციულ ფორმათა ნიშანწყალსაც ვერ ნახავთ. კომპოზიტორმა ამ მოჩვენებითად ანარქიულ ნაწარმოებში თითქოს სული მოითქვა, ვიდრე კანტატა „ფაუსტს“ შეუდგებოდა, თავის ყველაზე მსყობრ ქმნილებას. კვარტეტში ის მხოლოდ თავის სმენას ეყრდნობა, ზემთ-აგონების შინაგან ლოგიკას. ამასთან პოლიფონია უკიდურესობამდე გაძლიერებულია და ყოველი ხმა ყოველ წამს სრულიად დამოუკიდებელია. მთელი ნაწევრდება ძალიან მკაფიოდ ერთმანეთს დაპირისპირებული ტემპებით, თუმცა ნაწარმოების ყველა ნაწილი შესვენების გარეშე სრულდება. პირველი, *moderato*-თი დასათაურებული, წააგავს ოთხი საკრავის ძალზე დაკვირვებულ, გონებადაძაბულ საუბარსა და ბჭობას, აზრთა სერიოზულსა და დინჯ გაცვლა-გამოცვლას, და თითქმის დინამიკური ცვლილებების გარეშე მიმდინარეობს. ამას მოსდევს ციებ-ცხელება ატანილის ბუტბუტის დარი *presto*, რომელშიც ოთხივე საკრავი ხმის სახშობს იყენებს, შემდეგ მოდის ნელი, შედარებით ხანმოკლე ნაწილი, სადაც პირველი ხმა ერთთავად ალტს მიჰყავს და მას თან ახლავს დანარჩენ საკრავთა მოძახილი. ასე რომ, უნებლიეთ ჩვენი ბავშვური გალობის სცენა მაგონდება. „*Allegro con fuoco*“-ში პოლიფონია ბოლოს ხმაგაბმით წყვეტს არსებობას. მე ამ ნაწარმოების ფინალზე უფრო ამაღლევებული რამ არ მეგულება: ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ოთხივე მხრიდან ცეცხლის ენები სარსალებდნენ: პასაჟებისა და მორაკრაკე ბგერების ურთიერთშეხამება მთელი ორკესტრის ეფექტსა ქმნის. ყოველი საკრავის დიაპაზონებისა და საუკეთესო ბგერითი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენების შედეგად მართლაც ისეთი ხმოვანებაა მიღწეული, რომ კამერული მუსიკის ჩვეულებრივი სამანები ირღვევა და ეჭვიც არ მეპარება, რომ კრიტიკა ამ კვარტეტის მიმართ ზოგადად საყვედურს გამოთქვამს: შენიღბული საორკესტრო ნაწარმოებიაო. მაგრამ მართალი არ იქნება. პარტიტურის შესწავლიდან ირკვევა, რომ აქ გათვალისწინებულ-გამოყენებულია სიმებიან კვარტეტთა ტექნიკის უფაქიზესი მონაპოვარნი. ოღონდ ისიც მართალია, რომ ადრიანს არაერთხელ უთქვამს ჩემთვის: კამერულ მუსიკასა და საორკესტრო სტილს შორის ძველი საზღვრის დაცვა აღარ შეიძლება, ფერის ემანსიპაციის შემდეგ ერთი მეორეში გადადისო. სულ უფრო და უფრო ქმედითად იჩენდა თავს ადრიანის მიდრეკილება ორსახოვნებისაკენ, შერევისა და შენაცვლებისაკენ, რაც საცნაურია ჯერ კიდევ „აპოკალიფსის“ ვოკალურ და ინსტრუმენტულ მხარეთა დამუშავებაში. ფილოსოფიის ლექციები-

დანო, — იტყოდა ხოლმე ადრიანი, — ის ვისწავლე, რომ საზღვრების გაგვლება უკვე მათ გადალახვას ნიშნავს. მეც მუდამ ამ წესს მივდევი. ის ჰეგელის მიერ კანტის კრიტიკას გულისხმობდა, ხოლო თავად ეს გამონათქვამი კი ნათლად გვიჩვენებს, რაოდენ ღრმად გამსჭვალული იყო მისი შემოქმედება სულიერი საწყისითა და ადრინდელი შთაბეჭდილებებით.

და ბოლოს ტრიო ვიოლინოსა, ალტისა და ვიოლონჩელისათვის. მისი შესრულება თითქმის შეუძლებელი იყო, ტექნიკურად ალბათ მხოლოდ სამი ვირტუოზი თუ დასძლევდა და კონსტრუქციული სიტამამითაც, ლოგიკური გაანგარიშებითაც ისევე აოცებდა ადამიანს, როგორც ბგერათა უჩვეულო შეხამებანი, რომლებიც ჩემი მეგობრის გაუგონარის მონყურებულმა ყურმა, მისმა დაუდევარმა ფანტაზიამ ამ სამ საკრავს გამოალებინა. «გაუსაძლისი, მაგრამ მადლიანი რამე», — ასე დაახასიათა ერთხელ კარგ გუნებაზე მყოფმა ადრიანმა ეს ნაწარმოები, რომელიც ჯერ კიდევ საანსამბლო მუსიკის შექმნისას ჩაიფიქრა, მერე სულ გულში ჰქონდა, ფორმას უძებნიდა, აყალიბებდა კვარტეტზე მუშაობის პარალელურად, ესე იგი იმ დროს, როდესაც, უნდა ვიფიქროთ, მარტო კვარტეტის კირკიტიც კმაროდა ადამიანი შემოქმედებით ძალთა კარგა ხნითა და კარგა მაგრად გამოსაფიტავად. ეს გახლდათ ახალი ამოცანის დასაძლევად მონოდებული იდეების, მოთხოვნების, განხორციელებულ ან უკუგდებულ ჩანაფიქრთა ჭარბი ქაოსი, პრობლემათა კორიანტელი, ერთის გადაჭრისას მეორე რომ ჩნდებოდა, — „ლამე წყვილადის გარეშე, — როგორც ადრიანმა თქვა, — ხშირად ელავს და იმიტომ“.

— ცოტა არ იყოს, მჭახხე და მთრთოლარე განათება კია, — დაუმატა მან, — მერედა რა, თუკი მე თვითონაც ვთრთი და ვკანკალებ! რა ვქნა, ეს შეჩვენებული ისე ჩამაფრინდა ქეჩოში და ისე მიმაჭენებს, რომ ლამის სული გავაფრთხო! ზეშთაგონების სახმილს, ძვირფასო მეგობარო, მსახვრალი ღველფი და ლადარი აქვს, არცთუ საამურად იცის ღანვების ალენვა. ისე კი, ვითარცა ჰუმანისტის გულითად მეგობარს, მუდამ უნდა ძალმიძდეს ბედნიერებასა და წამებას შორის ზუსტად საზღვრის გავლება... — და მერე გამომიტყდა: ხანდახან არც კი ვიცი, რა სჯობია, უდრტივინველი უნაყოფობა, რაც ახლახან მჭირდა, თუ ამჟამინდელი წამებაო.

მე ვუსაყვედურე, უმადური ნუ იქნები-მეთქი. გაოცებული, თვალეზე სიხარულის ცრემლებმომდგარი და გაუმხელელი შიშით აღსავსე ვკითხულობდი და ვისმენდი კვირიდან კვირამდე იმას, რაც

სუფთად და ზუსტად ჰქონდა სანოტე ნიშნებით ქალაღზე გადატანილი, კოხტად ჩაწიკნიკებული, შინაგანი კირთების ნატამალიც რომ არ ეტყობოდა, — ყოველივე იმას, რაც — როგორც თვითონ ამბობდა — მისმა სულმა, მისმა დემონმა ჩაავონა (მისმა დაიმონმა, როგორც თავად წარმოთქვამდა ამ სიტყვას) და მერე ამოათქმევინა. სულის ერთი მოთქმით, ან უკეთ რომ ვთქვა, სულმოუთქმელად დაწერა სამივე ნაწარმოები, რომელთაგან ერთიც იკმარებდა, რომ მისი შექმნის წელიწადი ღირსსახსოვარი გამხდარიყო, და მართლაც, როგორც კი კვარტეტის ბოლოსათვის მოტოვებული ნაწილი „Lento“ მოათავა, იმ დღესვე შეუდგა ტრიოს ჩაწერას. „ისეთი გრძნობა მაქვს, — მომწერა ერთხელ, როცა მთელი ორი კვირა ვერ მოვახერხე პფაიფერინგში ჩასვლა, — თითქოს კრაკოვში მიმეღოს უმაღლესი განათლება“. ეს გამოთქმა ერთბაშად ვერც კი გავიგე, მაგრამ მერე მომაგონდა, რომ სწორედ კრაკოვის უნივერსიტეტი გახლდათ, სადაც მეთექვსმეტე საუკუნეში მაგია ოფიციალურად ისწავლებოდა.

უნდა მოგახსენოთ, რომ მე დიდი გულისყურით ვეკიდებოდი ამგვარ სტილიზებულ გამოთქმებს, რომლებიც ადრიანს ყოველთვის უყვარდა, მაგრამ ახლა სულ უფრო და უფრო ხშირად იყენებდა მათ, როგორც წერილებში, ისევე ზეპირმეტყველებაშიც. მალე ისიც გამოიჩინა, თუ რატომ. ჯერ ის მენიშნა, რომ ერთ დღესაც მის საწერ მაგიდაზე სანოტე ქალაღი მომხვდა თვალში, რომელზეც გაკრული ხელით შემდეგი სიტყვები ეწერა:

„ამ მწუხარებამ აიძულა დოქტორი ფაუსტუსი თავისი გოდება ქალაღზე გადაეტანა“.

ადრიანმა დაინახა, რომ იმ ფურცელს დავყურებდი, დამალა და თან ჩაილაპარაკა: — ნეტავი რა თვალებს აცეცებს ბატონი ჩემი და ძმაი ჩემიო! რაც გეგმაში ჰქონდა და ჩუმად უნდოდა განეხორციელებინა, ძე-ხორციელის ჩაურევლად, იმას ჩემგან კიდევ კარგა ხანს ინახავდა საიდუმლოდ. მაგრამ ამიერიდან მე ის ვიცოდი, რაც ვიცოდი. ეჭვი არ არის, კამერული მუსიკის წელი, 1927 წელი, „დოქტორ ფაუსტუსის გოდების“ კონცეფციის ჩასახვის წელიც იყო. რა დაუჯერებლადაც უნდა ყლერდეს: მისი ინტელექტი, ისეთ რთულ ამოცანებთან შერკინებული, რომ მათი დაძლევა მხოლოდ და მხოლოდ უზენაესი, ყოველივე დანარჩენის გამომრიცხავი კონცენტრაციის შედეგად შეიძლებოდა კაცს წარმოედგინა, ამავე დროს უკვე მეორე ორატორიის წინასწარი განჭვრეტით, ცდებითა და ძალის მოსინჯვით იყო გართული — ამ დამთრგუნველი მოთქმა-ვაების ქმნილებსა,

რომელზედაც უშუალოდ მუშაობის დანწყება ერთხანს კიდევ გადა-
ადებინა მის ცხოვრებაში მომხდარმა, როგორც სანაუკვარმა, ისევე
გულის მომწყვლელმა ამბავმა.

XLIV

ურზულა შნაიდვეიანი, ადრიანის და, ლანგენზალცაში, მას
შემდეგ, რაც 1911, 12 და 13 წლებში ერთიმეორის მიყოლებით, პირველი
სამი შვილი გააჩინა, ფილტვებით დაავადმყოფდა და იძულებული
გახდა რამდენიმე თვე ჰარცზე გაეტარებინა, სანატორიუმში. ამის
შედეგად ფილტვის მწვერვალთა კატარმა, როგორც ჩანდა, გაუარა
და მთელი ათეული წელი, ვიდრე უმცროსი ვაჟიშვილი, ჰანია
ნეპომუკი, შეეძინებოდა, ურზულა შეუფერხებლად ეწეოდა
მეუღლისა და დედის ჭაპანს, მიუხედავად იმისა, რომ ომიანობასა
და შემდგომ პერიოდში ჩამოვარდნილი შიმშილობის გამო ჯანმრთე-
ლობის მხრივ საბოლოოდ ვერ მომაგრდა. ხშირად ცივდებოდა, ჯერ
უბრალო სურდო შეეყრებოდა და მერე, როგორც წესი, ბრონქებზე
გადაუვიდოდა ხოლმე. ასე რომ, თუმცა მის მუდამ გაფაციცებულ,
მხნე და მხიარულ გამომეტყველებას შეიძლებოდა მოეტყუებინეთ,
არსებითად, სწეული თუ არა, სუსტი და ფერმკრთალი ჩანდა.

1923 წლის ფეხმძიმობამ სასიცოცხლო ძალები უფრო გადაუ-
ხალისა, ვიდრე შეულახა. ოღონდ მოლოგინების შემდეგ კი კარგა ხანი
დასჭირდა მის გამომჯობინებას და დროდადრო ისევ სიცხის მიცემა
დაუწყო, რამაც ათი წლის წინათ სანატორიუმში ამოაყოფინა თავი.
ჯერ კიდევ მაშინ იყო ლაპარაკი, რომ დროებით ხელი აეღო დიასახ-
ლისობაზე და თავისი თავისთვის მიეხედა, მაგრამ – მე ამაში თითქ-
მის დარწმუნებული ვარ – სასიკეთო ფსიქოლოგიური ფაქტორის
ზეგავლენით, რასაც ბედნიერი დედისთვის ახლად შეძენილი შვი-
ლით, მთელ დედამინის ზურგზე ყველაზე წყნარი და სათუთი, ყვე-
ლაზე საამური და სანუკვარი ბიჭუნით მოგვრილი სიხარული წარმ-
ოადგენდა, ავადმყოფობის სიმპტომები ისევ გაუქრა და გამრჯე ქალი
წლების მანძილზე ყოჩაღად იყო, – 1928 წლის მაისამდე, როცა ხუთი
წლის ნეპომუკს წითელა შეეყარა, თანაც მწვავედ, და უსაყვარლესი
შვილის გამო დარდი, დღე და ღამ მისი ლოლიაობა მძიმე ტვირთად
დაანვა, ილაჯი გაუწყვიტა და ავადმყოფობამაც ხელახლა დარია
ხელი. ამის შემდეგ ხშირი სიცხიანობა და ხველა ვერა და ვერ მოიშო-

რა. ამიტომ მკურნალმა ექიმმა, ყოველგვარი ცრუ ოპტიმიზმის გარეშე, კატეგორიულად მოითხოვა ნახევარი წლის მანძილზე სანატორიუმში მკურნალობა.

სწორედ ამის გამო მოხვდა ნეპომუკ შნაიდევანი ჰვაიფერინგში. მისი და, ჩვიდმეტი წლის როზა, ისევე როგორც მასზე ერთი წლით უმცროსი ძმა ეცეხილი, უკვე მუშაობდა ოპტიკის მაღაზიაში (მაშინ როდესაც თხუთმეტი წლის რაიმუნდი ჯერაც სკოლაში დადიოდა). იგი დედამისის არყოფნაში ოჯახსაც უნდა გასძლოდა, ამიტომ წინასწარვე აშკარა იყო, თავის ძმას ველარ მიხედავდა. ყოველივე ეს ურზულამ წერილობით შეატყობინა ადრიანს და აგრეთვე ისიც გაანდო, რომ, ექიმის აზრით, ბალღს ძალზე არგებდა ერთხანს ზემო ბავარიის ჰაერზე ყოფნა, და სთხოვა: იქნება შენი დიასახლისი როგორმე დაიყოლიო, გარკვეული ხნით მაინც ჩემს პატარას დედისა თუ დიდედის მაგივრობა გაუწიოსო. ელზე შვაიგეშტილი სიამოვნებით დათანხმდა, მით უფრო, რომ კლემენტინეც ჩააცვივდა, და იმ დროს, როდესაც 1928 წლის ივნისის შუა რიცხვებში იოჰანეს შნაიდევანიმა ცოლი ჰარცში წაიყვანა, იმავე სამკურნალო დაწესებულებაში, ზუდეროდეს მახლობლად, სადაც ყოფნამაც ურზულას ერთხელ უკვე არგო, როზა თავის პანია ძამიკოსთან ერთად სამხრეთისკენ გაემგზავრა და ბიძას მიჰგვარა ნეპომუკი სახლში, რომელიც ადრიანისთვის დიდი ხანია მეორე მშობლიურ კერად იქცა.

მე არ შევესწრებივარ და-ძმის ჩამოსვლას შვაიგეშტილებთან, მაგრამ ადრიანმა ამიწერა ეს სცენა, – როგორ გამოცვივდა გარეთ და როგორ შემოეხვია სახლის მთელი ჯალაბი, დედა, ქალიშვილი, ვაჟი-შვილი, მოახლეები და მოჯამაგირეები – ყველანი სახეგაბრწყინებულები და სიხარულისგან მოცინარნი – პატარა ბიჭუნას და ვერ ძლებოდნენ მისი სიტურფის ჭვრეტი. განსაკუთრებით ქალები, რაღა თქმა უნდა, და მათ შორის კი მდაბიონი ყველაზე დაურიდებლად, ხელების სავსავით იხრებოდნენ პანანინა კაცუნისაკენ, ცუცქდებოდნენ, რომ უკეთ შეეხედათ, მოუხმობდნენ იესოს, მარია-მსა და იოსებს, უფროსი და კი ამ დროს სულგრძელად იღიმებოდა და თითქოს სახეზე ეწერა: სხვა რამეს არც ველოდი, მიჩვეული ვარ, რომ ყველა აღტაცებაში მოდის ჩემი ძამიკოს ხილვითო.

ნეპომუკს, ანუ „ნეპოს“, როგორც შინაურები ეძახდნენ, ან კიდევ „ექოს“, როგორც თავად ეძახდა საკუთარ თავს, მას შემდეგ, რაც ტიტინი შეიძლო, მაგრამ ჯერაც უცნაურად ურევდა თანხმობებს, ძალზე სადად, საზაფხულოდ და არცთუ ქალაქურად ეცვა: ბამბის

მოკლესახელოებიანი თეთრი ქურთუკი, ძალზე მოკლე ტილოს შარვალი და შიშველ ფეხებზე – გაცვეთილი ტყავის ფეხსაცმელი. მიუხედავად ამისა, ყველას ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს უფლისწულს უჭვრეტდნენ. პატარა და სათუთი ტანის სინატიფე, კენარი ფეხების სილამაზე, უმანკოდ განწილი ქერა კულულებით დაფარული ოდნავ მოგრძო თავის ენით აუნერელი მომხიბლობა, სახის ნაკვთების არაჩვეულებრივი სრულყოფილება და ღრმააზროვნება, მიუხედავად მათი ბალღურობისა, თვით ენით გამოუთქმელად უბინო და კამკამა, ერთსა და იმავე ღროს ღრმაცა და ყუყუნა გამოხედვაც კი გრძელი წამნამებით შემორაგვული გამჭვირვალე ცისფერი თვალებისა – მარტო ეს ყოველივე როდი აგონებდათ ზღაპარს, ელფების პანია და ფაქიზი სამყაროდან მოსულ სტუმარს. ამას ემატებოდა ისიც, როგორ იდგა, როგორ ეჭირა თავი ამ ბავშვს, უფროსებით გარშემორტყმულს, რომლებიც იცინოდნენ, გულაჩუყებულნი ოხრავდნენ და აღტაცების გამომხატველი შეძახილებისაგან თავს ვერ იკავებდნენ; როგორ ილიმებოდა, არცთუ კოკეტობის გარეშე, რასაკვირველია, რადგან უკვე იცოდა, რომ ყველას ხიბლავდა, ან როგორ უპასუხებდა მათ, რა საამურად მსჯელობდა, ცოტათი დამრიგებლური და დარბაისლური კილოთიც კი; აგრეთვე მისი პანია ყელის ვერცხლივით წკრიალა ხმა და ამ ხმით ნალაპარაკევი, შიგადაშიგ ბავშვური წუნით წარმოთქმული სიტყვებით, როგორიცაა, მაგალითად, „სენტვის“ „შენთვის“ ნაცვლად, ან „ალა“ „არას“ ნაცვლად, ისევე როგორც მამისაგან მემკვიდრეობით მიღებული, დედასაც რომ ადრევე ჰქონდა ქმრისგან გადაღებული, ოდნავ დინჯი, ოდნავ საზეიმოდ გაჭიანურებულ-გაბრტყელებული შვეიცარიული ინტონაცია, წინაენისმიერი „რ“-თი და სასაცილო შეფერხება მარცვალთგასაყარზე: „ქუს-ლი“. თან ეს კაცუნა თავის ნათქვამს – ბავშვებში მანამდე არ შემენიშნა – პანანინა ხელების ძალზე ექსპრესიული და გრაციოზული ფესტიებით განმარტავდა, მაგრამ ვინაიდან ეს განმარტებანი ხშირად უადგილო იყო, ნათქვამის მნიშვნელობა იკარგებოდა, ბუნდოვანი ხდებოდა.

ესეც ნეპო შნაიდევანის სახელდახელო აღწერა, – „ექოსი“, როგორც სულ მალე ყველა ეძახდა მისივე მიბაძვით, – თუკი სიტყვას ძალუძს თუნდაც მიახლოებითი წარმოდგენა მაინც შეუქმნას იმას, ვისაც ის ბავშვი არ უნახავს. უკვე რამდენ მწერალს დაუჩივლია ჩემამდე, რომ ენა უძღურია ჭეშმარიტად ზუსტი, ინდივიდუალური სახე ხილულად გადმოსცეს! სიტყვა ქება-დიდებისათვის არის

შექმნილი, მას ხელენიფება განცვიფრება, ალტაცება, კურთხევა და მოვლენის იმ გრძობით აღნიშვნა, რომელსაც ეს მოვლენა იწვევს, მაგრამ მისი მაგიურად მოხმობა და გაცოცხლება კი არა. ამიტომ შეიძლება პორტრეტის დახატვის ცდაზე უფრო ჩემს საყვარელ პანანინა გმირს იმით დავდებ პატივს, რომ ვალიარებ: დღესაც კი, მთელი ჩვიდმეტი წელიწადის გასვლის შემდეგ, თვალები ცრემლით მეცვება მის გახსენებაზე, თუმცა ამავე დროს ყოვლად უცნაური, ეთერი-სებური, არცთუ მთლად მიწიერი სიხარული მეუფლებს.

დამხვდურთა შეკითხვებზე: როგორ იყო დედამისი, როგორ იმგზავრა მან, ნეპომუკი, მოენონა თუ არა დიდი ქალაქი მიუნჰენი, იგი მომხიბლავი შესტ-მიმიკის თანხლებით იძლეოდა პასუხს და, როგორც უკვე გითხარით, სიტყვებს ვერცხლივით ნკრიალა ხმითა და შვეიცარიული აქცენტით ნარმოთქვამდა, თან დიალექტიზმებს უხვად ურევდა: „სახლის“ ნაცვლად „სახლუკას“ ამბობდა; „რაღაც კარგის“ მაგივრად — „რაღაც კაი, კაის“ და „ერთი ბენვას“ მაგივრად — „ერთი ბენოს“. თვალში საცემი გახლდათ აგრეთვე „მაშ, მაშ“-ის ხშირად ხმარება, გამოთქმებში, როგორიცაა: „მაშ, მაშ, ძალიან კაი იყო“ და ა. შ. ენაში ღირსეულად შემორჩენილი ზოგი არქაული ელემენტიც გამოერეოდა ხოლმე ბალღის მეტყველებაში, მაგალითად, როდესაც რაღაც ვერ გაიხსენა, თქვა: — გულისყური არ მივარგაო, ბოლოს კი დასძინა: — მეტი არა ვუნცი რაო. ოღონდ ეს უფრო ალბათ იმიტომ, რომ ლაპარაკით გაბეზრდა, რადგან მის დათაფლულ ბაგეს უმაღვე შემდეგი სიტყვები მოსწყდა:

— ექოს ჰგონია, აღარა ღირს ღია ცის ქვეშ კიდევ დიდხანს დგომა. კაი იქნება შიგნით შევიდეთ სახლუკაში და ბიძაჩემს მივესალმოთ.

შემდეგ დას ხელი გაუნოდა, ხელი ჩამკიდე და წინ გამიძხიო. მაგრამ ამ დროს ადრიანი თვითონ გამოვიდა ეზოში. ის ისვენებდა, როცა დისწულის მოსვლა შეატყობინეს, სასწრაფოდ მოწესრიგდა და მის შესახვედრად გარეთ გამოეშურა.

— და ეს კი, — თქვა მან, — მას შემდეგ, რაც ნორჩ ქალიშვილს მიესალმა და გაკვირვებულმა შენიშნა, რა ძალიან ჰგავხარ დედაშენსაო, — და ეს კი ჩვენი ახალი მდგმურია?

თან ნეპომუკს ხელი წაავლო ხელში და ერთბაშად ჩაიძირა ღიმილით მისკენ აპყრობილ ყუყუნა თვალთა უტკბეს სილურჯეში.

— მაშ ასე, მაშ ასე, — ჩაილაპარაკა მხოლოდ, ძან ნელა დაუქნია თავი ქალიშვილს და ისევ ბიჭუნას მიუბრუნდა, არავის არ გამოჰპარვია მისი მოძრაობა, არც ბავშვსაც, და არათუ კადნიერად გაისმა,

არამედ ტაქტიკიდან და ალერსიანიდან, დამაშოშმინებლად და ყურადღებებიანად; ასე რომ, ყოველივემ ბუნებრივი, სადა და მეგობრული იერი შეიძინა, როდესაც ექიმ — ეს პირველი სიტყვები იყო, რითაც ძიას მიმართა — უბრალოდ დაასკვნა: — ვხედავ, გიხარია, რომ ჩამოვედი.

ყველას გაეცინა, ადრიანსაც.

— მეც ასე მგონია! — მიუგო მან. — იმედი მაქვს, შენც გიხარია, რომ ჩვენ ყველანი გაგვიცანი.

— დიდად საამური შეხვედრას, — უთხრა ჯადოსნურმა ბიჭუნამ.

ირგვლივ მდგომთ ისევ დააპირეს გაცინება, მაგრამ ადრიანმა თავით ანიშნა მათ და თითი პირზე მიიდო.

— სიცილით თავგზას ნუ ავუბნევთ ბავშვს, — ჩაილაპარაკა მან ხმადაბლა, — თან აქ სასაცილოც არაფერია. თქვენ რა აზრისა ხართ, დედილო? — მიუბრუნდა ის ჟრალუ შვაიგეშტილს.

— სრულებით არაფერი! — მიუგო მანაც გადაჭარბებით მტკიცე ხმით და წინსაფრის ბოლო თვალებთან მიიტანა.

— მაშინ შინ შევიდეთ, — გადანყვიტა ადრიანმა და ისევ ხელი ჩაჰკიდა ნეპომუკს, — თქვენ უთუოდ რამეს მოუშაადებდით საუზმედ სტუმრებს.

ასეც გახლდათ. ნიკეს დარბაზში როზა შნაიდევანს ყავა მიართვეს, ხოლო პატარას რძითა და ნამცხვრით გაუმასპინძლდნენ. ბიძამისიც სუფრას უჯდა და თვალყურს ადევნებდა ბიჭს, რომელიც ძალზე მოხდენილად და სუფთად შეექცეოდა საჭმელს. ადრიანი თან უფროს დისშვილს ესაუბრებოდა კანტიკუნტად, მაგრამ გონებაგაფანტულად ისმენდა, რასაც ქალიშვილი ეუბნებოდა, ელფის თვალთერებით იყო გართული და აგრეთვე იმითაც, რომ მღელვარება დაეფარა და თავი არ მოებზრებინა ბავშვისთვის. სულ ამოდ კი ირჯებოდა, რადგან ექო უკვე დიდი ხანი იყო არაფრად აგდებდა ჩუმი ალტაცების გამომხატველ მზერას და ჩაცვიბით თვალთერებას. ისე კი, მართლაც ცოდვა იყო ბიჭუნას მწყაზარ თვალთა მადლიერი გამოხედვის არ დანახვა, როცა ნამცხვარს ან მურაბას გაუნვდიდნენ ხოლმე.

ბოლოს პატარამ განაცხადა: — ნამეტანო, რაც — როგორც დამ განმარტა — ამ ბავშვის ენაზე იმთავითვე ნიშნავდა: გავძეხი, კმარა, მეტი აღარ შემიძლიაო, „ნამეტანი მომივიდას“ ბავშვური შემოკლება გახლავთ, ასე აქვს აჩემებულო. „ნამეტანი“, — გაიმეორა მან და

როდესაც დედილო შვაიგეშტილმა მასპინძლის ადათისამებრ დააპირა კიდევ რაღაც დაეძალებინა, ჭკვიანურად, ერთგვარი უპირატესობის გრძნობით განუცხადა:

— ექოს ახლა ნანა ურჩევნია!

თან მუშტებით თვალები მოიფშვნიტა ძილმორეულმა. ლოგინში ჩაანვინეს და ვიდრე ეძინა, ადრიანი როზას ესაუბრებოდა თავის სამუშაო ოთახში. ქალიშვილი მესამე დღეს გაემგზავრა, დიასახლისის მოვალეობა მოუხმოდა ლანგენზალცაში. დის წასკლისას ნეპომუკმა ცოტათი წამოიტირა, მაგრამ მერე დაჰპირდა: ვიდრე ჩემს წასაყვანად ჩამოხვალ, სულ წესიერად მოვიქცევი ხოლმეო. ღმერთო ჩემო, განა ვინმეს შეუძლია თქვას, რომ სიტყვა გატეხა?! განა საერთოდ შეეძლო სიტყვა გატეხა?! მას თან სვებედნიერების მსგავსი რაღაც მოჰყვა, გაუთავებელი სიხარული და სინაზე სითბოთი აღვსილი გულებისა, არა მხოლოდ შვაიგეშტილების კარმიდამოში, არამედ მთელ სოფელში, თვით ვალდსჰუტშიაც კი, სადაც დედა-შვილ შვაიგეშტილებს სისტემატურად მიჰყავდათ ხოლმე, ეხალისებოდათ მასთან ერთად გამოჩენა. ისეთ აღტაცებას იწვევდა ყველგან, აფთიაქართან იქნებოდა ეს, მენვრილმანესთან თუ ხარაზთან; ათქმევიანებდნენ ლექსებს, და ბავშვიც მომჯადოებელი ყესტ-მიმიკითა და ძალზე გამომსახველი, ოდნავ გაჭიანურებული ინტონაციით დეკლამატორობდა, ჰყვებოდა ცეცხლნაკიდებელი პაულინჰენის ამბავს „თმაგაბურძგვნილი პეტერიდან“, ანდა იოჰენის თავგადასავალს, თამაშობის შემდეგ შინ ძალიან მოთხუპნილი რომ დაბრუნდა, ქალბატონ იხვსა და ბატონ იხვს დიდად გაუკვირდათ და თვით ღორმაც კი განცვიფრებისგან პირი დაალო. უფაიფერინგის მოძღვარს, რომლის წინაშეც პატარა ნეპომ, თავისი პანია სახის დონემდე ხელებაპყრობილმა, ლოცვა წარმოთქვა, სახელდობრ, ერთი უცნაური ძველებური ლოცვა, რაც შემდეგი სიტყვებით იწყებოდა: „ყველანი სიკვდილის შვილები ვართ“, — ისე აურჩყდა გული, რომ მარტო ესლა უთხრა: — ჰოი, ღვთის შვილო, ჰოი, მირონცხებულოო! — მერე კულულებზე გადაუსვა თავისი სპეტაკი სამღვდელო ხელი და კრავის ფერადი გამოსახულება აჩუქა. მასწავლებელი ექოსთან საუბრის შემდეგ, როგორც თვითონ აღიარა, „სულ სხვა ხასიათზე დადგა“. ბაზარსა და ქუჩაბანდებში თითქმის ყოველი მესამე გამვლელი, ფროილიანი კლემენტინე ახლდებოდა ბავშვს თუ დედილო შვაიგეშტილი, ერთთავად აღელვებული ეკითხებოდა: — ეს ცით მოვლენილი ანგელოზი საიდანა გყავთო. ადამიანები ერთმანეთს მიუთითებდნენ: — ერთი

უყურე, ერთი შეხედო! — ანდა, მოძღვრისა არ იყოს, გაიძახოდნენ: — რა საყვარელი ბაღლია, ღვთის მადლით მოსილიაო! ხოლო ქალები მზად იყვნენ მუხლიც კი მოეყარათ მის წინაშე.

როცა მორიგ ვიზიტად შევიგეშტილებს კარ-მიდამოში გამოგვცხადდი, მისი ჩამოსვლიდან უკვე ორი კვირა იყო გასული; უკვე მიჩვეული იყო იქაურობას და მასაც იცნობდნენ მთელ იმ მხარეში. ჯერ შორიდან ვნახე: აღრიანმა დამანახვა სახლის კუთხიდან, მთლად მარტო იჯდა მინაზე, სახლის უკან გადაშლილ ბაღჩაში, მარწყვისა და ბოსტნის კვლებს შუა, ცალი ფეხი გაეშალა, მეორე კი ნახევრად მოხრილი ჰქონდა, შუაზე გაყოფილი თმა კულულებად შუბლზე ჩამოშლოდა, კრძალვითა და მოწონებით ათვალიერებდა ბიძამისის მიერ ნაჩუქარ ნასატებიან წიგნს, რომელიც მუხლებზე ედო და მარჯვენა ხელს აშველებდა, მარცხენა მკლავი და ხელის მტევანი კი, რითაც ის-ის იყო წიგნი გადაეფურცლა, უნებლიეთ ისეთ პოზაში დარჩენოდა, რომ ამ მოძრაობას გამოხატავდა, გაშლილი თითები წიგნის გვერდით ჰაერში გარინდებოდა, — დაუჯერებლად გრაციოზული ყესტი იყო, ამიტომ ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს ასე მომხიბლავად მჯდომი ბაღლი არც არასოდეს არ მენახა (ჩემს საკუთარ შვილებს ამგვარი ხიბლისა არა ეცხოთ რა!) და გუნებაში გავიფიქრე: ალბათ ასეთნაირად ფურცლავენ ანგელოზები ზეცაში ღმერთის სადიდებელ საგალობელთა წიგნებს-მეთქი.

მისკენ გავეშურეთ, რათა აღრიანს ეს ჯადოსნური კაცუნა გაეცნო ჩემთვის. მე, როგორც პედაგოგს შეეფერება, წინასწარ მოვემზადე, მინდოდა მეჩვენებინა, რომ აქ განსაკუთრებულს არაფერს ვხედავდი, გადანყვეტილი მქონდა არავითარ შემთხვევაში თავი არ გამეცა, რომ გული ამიჩუყდა, და ბავშვისთვის არ მიმელუკლუკებინა. ამიტომ მოვილუშე, ხმა გავიბოხე და ისე მივმართე, ბავშვებთან ლაპარაკი რომ სჩვევიათ, ტლანქსა და მფარველურ კილოზე: „აბა, ჩემო ბიჭიკო, ხომ ყოჩაღადა ხარ? აბა, მაჩვენე, რასა იქმ?“ — მაგრამ როგორც კი წამოვიწყე, მაშინვე უსაზღვროდ სასაცილო მეჩვენა თავი და რაც კიდევ უარესი იყო, მანაც შენიშნა ეს ამბავი, აგრეთვე ის გრძნობაც, რასაც საკუთარი თავის მიმართ განვიცდიდი, და ამკარად თვითონაც იზიარებდა მას, ამიტომ ჩემს მაგივრად დაირცხვინა, პატარა თავი ჩაქინდრა, თან პირი ქვემოთკენ დაებრცხვინა, სიცილს იკავებსო. ანან საქციელი ისე წამიხდინა, რომ კარგა ხანი საერთოდ კრინტი აღარ დამიძრავს.

ის ჯერ კიდევ იმ ხნისა არ იყო, როდესაც ყმანვილს ევალემა უფროსების წინაშე წამოდგეს და ფეხი ფეხს შემოჰკრას, და თუ ვინმეს უხდებოდა

ეს ფაქტი პრივილეგია, ეს უპრეტენზიო პატივისცენა, როგორც დედამიწაზე ჯერაც ახალმოსულს, ნახევრად უცხოსა და საქმეში ჩაუხედავს, — მას უხდებოდა. „ჩავიმუხლოთ“, — შეგვეპატიყა (მევიცარიელები „ჩამუხლებას“ იტყვიან „დაჯდომის“ ნაცვლად) და ჩვენც ასე მოვიქცეთ, ელფი შუაში ჩავისვით და მასთან ერთად ნახატებიანი წიგნის თვალიერებას შევუდექით, რომელიც იმ საბავშვო ლიტერატურას შორის, რაც ჩვენს წიგნის ბაზარზე მოიპოვებოდა, ყველაზე გასაძლისი გახლდათ: ილუსტრაციები ინგლისური გემოვნებით იყო შესრულებული, კეიტ გრინვეის სტილზე და ქვეშ მიწერილ ლექსებსაც არა უშავდათ რა. ნეპომუკმა (მე სულ ასე ვეძახდი ბიჭუნას და არა „ექოს“, ეს სახელი რაღაც იდიოტურ მოსაზრებათა გამო პოეტურ აზიზმაზიზობად მეჩვენებოდა) თითქმის სულ ყველა ზეპირად იცოდა და ჩვენ „გვიკითხავდა“, თან პანია თითს სულ ახვად ადგილას აყოლებდა სტრიქონებს.

საკვირველი ის არის, რომ დღემდე დამამახსოვრდა ეს „ლექსები“, მხოლოდ იმიტომ, რომ ერთხელ — თუ შეიძლება რამდენჯერმეც იყო? — ამ ბავშვის სათუთი ხმითა და საარაკო ინტონაციით წარმოთქმული მოვისმინე. ახლაც კარგად მახსოვს, ერთ-ერთი სამ მეარღნეზე იყო, ქუჩის კუთხეში რომ შეხვდნენ ერთმანეთს და ერთიმეორის ჯიბრით არც ერთს არ სურდა ადგილიდან დაძვრა. ახლაც შემძლო ყოველი ბავშვისთვის მომეთხრო, მაგრამ ისე კარგად ვერა, როგორც ექოს გამოუდიოდა, რა შავ დღეში ჩაცვივდნენ ახლომახლო მცხოვრებნი მათი ყურთასმენის წამლები მუსიკობისაგან. თავგები მარხულობდნენ, ვერთხებმა გუდა-ნაბადი აიკრიფეს! ბოლოს ასე მთავრდებოდა:

*ძაღლმა შეძლო ერთადერთმა
ეს კონცერტი მოესმინა,
მაგრამ ისიც ავად გახდა,
დიდხანს ველარ მოისვენა.*

უნდა გენახათ, რა დაღონებული აკანტურებდა თავს პატარა ბიჭი, რა დამნუხრებული დაუნევედა ხოლმე ხმას; როცა ცუგრიას უქეიფობის ამბავს მიადგებოდა. ანდა რა მოხდენილსა და დიდკაცურ კილოზე ესალმებოდა მასთან ურთიერთს ზღვის ორი მშვენიერი პატარა ვაჟბატონი:

*დილა მშვიდობისა, თქვენო მონყალეპავ,
დღეს ნუ მისცემთ თქვენს თავს ბანაობის ნებას!*

თანაც რამდენიმე მიზეზის გამო: ჯერ ერთი, წყალი დღეს ძალზე სველია, მეორეც — სიცხე მარტო ხუთი გრადუსი აქვს რეომიურით და მესამეც — „შიგ შვედეთიდან მოსული სამი სტუმარია“ —

*შიმშერი, ხერხთევზა და ზვიგენი —
აქვე დაცურავენ სამივენი,*

ისე სასაცილოდ გაგვანდო საფრთხის არსებობის ამბავი, ისე თვალებგაფართოებულმა ჩამოთვალა სამი არასასურველი სტუმარი და შეშინებულმა გვამცნო: აქვე მახლობლად დაცურავენო, რომ ორივეს ხმამალა გაგვეცინა. ის კი სახეში გვიყურებდა და ეშმაკური ცნობისმოყვარეობით ამონებდა — მაგალითად, მე მამონებდა, როგორც მეჩვენა, თითქოს სურდა გაეგო, გამხიარულებულს შემომრჩა თუ არა კიდევ ჩემი უმაქნისი, ტლანქი და მშრალი პედაგოგკია.

ღმერთო დიდებულო, შემომრჩა კი არა და უკვალოდ გამიქრა იმ პირველივე ბრიყვული ცდის შემდეგ, თუ იმას არ მივიღებთ მხედველობაში, რომ ელფების საუფლოს ამ პანია ელჩს მუდამ მტკიცე ხმით „ნეპომუკს“ ვეძახდი და „ექოთი“ მხოლოდ მაშინ ვიხსენიებდი, როდესაც მის შესახებ ბიძამისთან ვსაუბრობდი, რომელმაც ისევე, როგორც იქაურმა ქალებმა, მაშინვე აიტაცა ეს სახელი. მე მგონი, გამიგებთ, რომ როგორც აღმზრდელი და მასწავლებელი, მე, ცოტა არ იყოს, შეფიქრიანებული, შერქვიფებული და დაბნეულიც კი ვიყავი ამ ჭეშმარიტად სალოცავი ხატების წინაშე, რომელიც, ასე იყო თუ ისე, ჟამთა სიკვამლე უნდა ემსხვერპლა, მას მომწიფება და, როგორც ყოველივე მინიერს, დაჩაჩანაკება-დაბერება ეწერა. მოკლე ხანში იმ თვალთა მომცინარი სილაჟვარდე თავის პირვანდელ სინმინდეს დაკარგავდა; ეს ანგელოზის სახე, ბალღური სინორჩის სიმბოლო — ოდნავ გაყოფილი ნიკაპი და წარმტაცი ბაგე, რომელიც გაღიმებისას თეთრად მოელვარე სარძევე კბილებს აჩენდა და ოდნავ უფრო ფუნჩულა გეგონებოდათ, ვიდრე როცა უძრავად იყო; ღამაზად მოყვანილი პატარა ცხვირი, რისგანაც ორი ოდნავ მომრგვალებული ხაზი ეშვებოდა და პირისა და ნიკაპის ნაწილს ლოყებისაგან აცალკევებდა, დიახ, ეს სახე მეტ-ნაკლებად ჩვეულებრივი ბიჭის სახედ იქცეოდა, ვისაც ფხიზლად და პროზაულად უნდა მოექცე და ვისაც უკვე უფლება არ ექნება, ამგვარ მოპყრობას ისეთი ირონიით შეხვდეს, როგორითაც ნეპო ჩემს პედაგოგიურ გამოხდომას აკვირდებოდა. და მაინც აქ იყო რალაც

ისეთი, რაც შეუძლებელს ხდიდა დაგეჯერა, რომ დროსა და მის დამანგრეველ მოქმედებას ამ მშვენიერი მოვლენის ხელყოფა ძალუძდა, — და ელფის დამცინავი გამოხედვაც, როგორც ჩანს, ამის ცოდნას გამოხატავდა. ეს რაღაც გახლდათ მისი საოცარი სრულყოფილება, მისი იგივეობა დედამინაზე მოვლენილ ყრმასთან, და იმის შეგრძნება, რომ ცით მოვლენილი და, ვიმეორებ, სიკეთის მაცნე და მახარობელი იყო, გონებას ლოგიკურის მიჯნას გადაცდენილ და ჩვენი ქრისტიანობით შეფერილ ზმანებათა ბურანში ხვევდა. გონებას ზრდის გარდაუვალობის უარყოფა, რასაკვირველია, არ შეეძლო, მაგრამ იგი ხსნას ეძიებდა მისტიკურ, დროისაგან დამოუკიდებელ წარმოდგენათა სფეროში, ერთდროულად, ერთიმეორის გვერდით არსებულის, თანაარსებულის სფეროში, სადაც მამაკაცური ხატი უფლისა წინააღმდეგობაში არ მოდის დედის მკერდს მიხუტებული ყრმის ხატთან, რომ ესეც არსებობს, მარად არსებობს და მარად ხელი აქვს აღმართული მის წინაშე ლოცვად დაყუდებულ წმინდანთა ზეგარდმო ჯვრის გამოსასახავად.

რა ფანტაზიებიო! — იტყვიან. მაგრამ მე რა ვქნა, მე შემოძლია მხოლოდ ის გადმოგცეთ, რაც განვიცადე, და თქვენს წინაშე ის სრული უმნეობა ვალიარო, რომელშიც მუდამ მაგდებდა ჰატარა ელფის ჰაეროვანი არსებობა. მე უნდა ადრიაანისთვის მიმებაძა — ვცდილობდი კიდეც, მინდოდა მისებრ დამეჭირა თავი. ის პედაგოგი არ იყო, არამედ ხელოვანი, და საგნებს ისეთად იღებდა, როგორებიც იყვნენ, ეტყობოდა, მათი ცვალებადობის ამბავი არ აფიქრებდა. სხვა სიტყვებით რომ ვთქვა, განუწყვეტელ ცვალებადობას მარადიული მყოფობის ხასიათს ანიჭებდა; მას სწამდა ხატებისა, და ეს იყო შედარებით მშვიდი რწმენა, სულის კირთების გარეშე (ყოველ შემთხვევაში მე ასე მეჩვენებოდა), რწმენა ადამიანისა, რომელიც იმდენად მიჩვეულია სახეებით აზროვნებას, რომ თვით ყველაზე არამიწიერ სახესაც კი წონასწორობიდან ვერ გამოჰყავდა. ექო, ელფების პრინცი მოეფლენა მის სავანეს — კეთილი და ჰატოსანი, მოსულს მისი ბუნების შესაბამისად უნდა მოჰყრობოდნენ და ერთი ამბავი კი არ აეტხათ. ასეთი ჩანდა ადრიაანის თვალსაზრისი. რაღა თქმა უნდა, ძალზე უცხო იყო მისთვის შუბლის შეჭმუხვნა და ბანალური გამოთქმები, როგორიცაა: „აბა, ჩემო შვილიკო, ხომ ყოჩაღადა ხარ?“ — ოღონდ, მეორე მხრივ, ექსტაზში შესვლასა და ამგვარ შეძახილებსაც: „რა საყვარელი ბაღლია, ღვთის მადლით მოსილია!“ — ირგვლივ მყოფ უბრალო

ხალხს ანებებდა. თავად კი, პირზე ღიმომდგარი და ჩაფიქრებული, ზოგჯერ კი სერიოზულიც პატარას ფაქიზად ეკიდებოდა, მაგრამ არ ეფლორცებოდა, არ ულუკლუებდა, არ ეფერებოდა. მართლაც მე არ მინახავს, რომ ბავშვს ოდესმე მიაღერებოდა, თუნდაც თმაზე ხელი გადაესვას. ესაა მხოლოდ: მასთან ხელიხელჩაკიდებულს მინდორში გასეირნება უყვარდა, რაც მართალია, მართალია.

ადრიანის თავდაჭერილობის მიუხედავად, მე მაინც არ გამოშპარვია, რომ დისშვილი პირველი დღიდანვე გულითადად შეუყვარდა, რომ ბავშვის გამოჩენით მის ცხოვრებაში ყველაზე ნათელი პერიოდი დაიწყო. ერთობ აშკარა გახლდათ, რა ღრმად, რა სულში ჩამწვდომად და გამაბედნიერებლად მოქმედებდა ბიჭუნას ელფისებური, ტკბილი, ისეთი მსუბუქი, რომ თითქოს კვალს არ ტოვებდა და ამავე დროს ძველი, დარბაისლური სიტყვებით მოსილი მომხიბლობა; რა ცხოველმყოფლად უვსებდა ხელოვანს დღეებს, თუმცა მარტოოდენ ერთ-ორ საათს თუ ხედავდა დისშვილს, რადგან მისი მოვლა-პატრონობა, თავისთავად გასაგებია, ქალებს ჰქონდათ დაკისრებული, ოღონდ ვინაიდან დედასაც და ქალიშვილსაც კიდევ სხვა უამრავი საქმეც ჰქონდათ, ხშირად ბავშვს სადმე მყუდრო ადგილას მარტოდმარტოს ტოვებდნენ ხოლმე. წითელას მოხდის შემდეგ ისეთი ძილიანობა დასჩემდა, როგორიც სულ მთლად ჩვილ ბავშვებსა აქვთ, და დღისით, გარდა ნასადილევის მოსასვენებლად განკუთვნილი საათებისა, კიდევ ბევრი ეძინა, ხან სად და ხან სად. „ღამე!“ — იცოდა ხოლმე თქმა, როცა ძილის რული მოეკიდებოდა, როგორც საღამოს დასაძინებლად დანოლისას და საერთოდაც, ეს მისთვის დამშვიდობების აღმნიშვნელი სიტყვა იყო, დღის ყოველ მონაკეთში ამბობდა ნასვლისას ანდა როცა სხვა მიდიოდა, — „ნახვამდის“ ან „მშვიდობით“ — ის ნაცვლად „ღამეს“ ამბობდა. ეს „ნამეტანის“ ჯუფთი სიტყვა იყო, რითაც მუდამ აღნიშნავდა: გავძეხიო. „ღამეს“ რომ იტყოდა, თან თავის პანია ხელს გამოგინვდიდათ და მაშინვე იძინებდა, ბალახზე იქნებოდა თუ სკამზე. ადრიანს ერთხელ სახლის უკან მდებარე ბაღში წავიყვანი, მხოლოდ სამი ფიცრისაგან შეკონინებულ მერხზე იჯდა და უჭკრეტდა, როგორ ეძინა მის ფერხთით ექოს.

— ჯერ თავისი პანია ხელი გამომიწოდა, — შემეხმიანა ის, როცა თავი ასწია და შემიცნო, რადგან ჩემი მისვლა არ გაუგია.

ელზე და კლემენტინე შვაიგემტილები მარნმუნებდნენ, ნეპომუკი ყველაზე წესიერი, გამგონე და წყნარი ბავშვია, რომელსაც კი ოდესმე შეეხვედრივართო, რაც სავსებით ემთხვეოდა იმას, რაც მისი უფრო ადრინდელი დღეების შესახებ მქონდა გაგონილი. მართალია, მტირალიც მინახავს, როცა რამეს იტკენდა, მაგრამ არასოდეს არ შევსწრებივარ მონუნუნეს, აზლუქუნებულს, აღრიალებულს, როგორც ჭინჭყლ ბავშვებს სჩვევიათ უხასიათობის უამს. ასეთი რამ მისთვის უცხო იყო. შენიშვნებსა და რამის აღკვეთას, – ვთქვათ, უდროო დროს საჯინიბეში ცხენების დათვალიერების ანდა ბოსელში ვალტპურგისთან ერთად შესვლის აკრძალვას, ის ხაზგასმული კეთილგანწყობილებით ხვდებოდა და ნუგეშად მხოლოდ ჩაილაპარაკებდა: „მერე შევალ, ხვალ ალბათ შემიშვებენ“, რითაც იმდენად საკუთარ თავს კი არ იმშვიდებდა, რამდენადაც იმ სხვას ანუგეშებდა, ვინც, რასაკვირველია, უხალისოდ, სურვილზე უარს ეუბნებოდა. უფრო მეტიც, თან ხელზე ხელს გადაუსვამდა ხოლმე უარის მთქმელს, თითქოს სურდა ეთქვა: – არა უშავს, გულთან ნუ მიიტან, სხვა დროს იძულებული არ იქნები ძალა დამატანო და ნებას დამრთავო.

იგივე ხდებოდა, როცა აბატის პალატში არ უშვებდნენ, ბიძამისთან. პატარას ერთთავად მისკენ ეწეოდა გული; ჯერ კიდევ მაშინ, როცა პირველად გავიცანი, ექოს ჩამოსვლიდან ორი კვირის შემდეგ, უკვე აშკარა იყო, რომ ადრიანი საგანგებოდ ჰყავდა გამორჩეული და მასთან ყოფნას ესწრაფოდა. ალბათ იმის გამოც, რომ ეს უფრო საინტერესოდ, განსაკუთრებულ რაღაცად მიაჩნდა, მაშინ როდესაც მომვლელ ქალებთან ურთიერთობა – მისთვის ჩვეულებრივი ამბავი იყო. თანაც ვით შეიძლებოდა გამოჰპარვოდა, რომ ამ კაცს, დედამისის ძმას, პფაიფერინგის გლეხებს შორის საგანგებო ადგილი ეჭირა, რომ მას პატივის სცემდნენ და მოკრძალებით ეკიდებოდნენ. შეიძლება სწორედ ის რიდი, რასაც გარეშეები ადრიანის მიმართ იჩენდნენ, უღვივებდა ბავშვურ პატივმოყვარეობას, ბიძის გვერდით ყოფილიყო. მაგრამ ვერ ვიტყვი, რომ ადრიანი მაინცდამაინც ასდევდა პატარის გულის წადილს, მთელი დღეობით არ ხედავდა, თავისთან არ უშვებდა, თითქოს განგებ არიდებდა პირს და საკუთარ თავს უკრძალავდა მისთვის უეჭველად საყვარელი ბაღლის ხილვას. ოღონდ მერე ისევ საათობით იყო ხოლმე მასთან, ჩაჰკიდებდა ხელს, როგორც გითხარით, და სასეირნოდ მიჰყავდა. იმდენ ხანს

დაეხეტებოდნენ, რამდენიც კი შეიძლებოდა ნაზი აგებულების ბიჭუნისათვის, ხან მდუმარენი, ხანაც კანტიკუნტად მოსაუბრენი, წელიწადის იმ დროის სინოტივით გარემოცულნი, ექოს ჩამოსვლას რომ დაემთხვა: ხეჭრელისა და იასამნის სურნელი, ხოლო მოგვიანებით ჟასმინის არომატი იდგა მათ გზაზე. ვინრო ბილიკებზე წინ გაუშვებდა ხოლმე, აქეთ-იქიდან კედელივით მომდგარ, უკვე შეყვითლებულ ჭვავის ყანებში, რომლის მძიმედ მოქანავე თავთაკები ნეპომუკის სიმალლისანი იყვნენ და ურჩხად ამოზრდილიყვნენ პოხიერი ნიადაგიდან.

„პოხიერი დედამინიდან“—მეთქი, ასე მაინც უნდა მეთქვა, რადგან ეს სიტყვა „დედიკო მინად“ გადაკეთებული იხმარა პატარამ, როცა კმაყოფილმა აუნყა ადრიანს: წუხელის „ჟუჟუნა“ მოვიდა ციდან და „დედიკო მინას“ წყალი „ანოვაო“.

— შენ გინდა თქვა: ჟუჟუნა წვიმაო, არა, ექო? — შეეკითხა ძია. თან გუნებაში „წყალი ანოვა“ მოიწონა, როგორც ბავშვის ხატოვანი აზროვნების ნიმუში.

— ჰო, ჟუჟუნა წვიმა, — დაუდასტურა თანამგზავრმა და შემდგომი სჯა-ბაასი ამ თენაზე აღარ ისურვა.

— წარმოგიდგენია, წყალი ანოვაო, ასე მითხრა, — მიაძობოდა ადრიანი, თვალეზაფართოებული, როცა ამის შემდეგ მასთან ჩავედი. — განა გასაოცარი არ არის?

მე დავეთანხმე და დავსძინე: — ჟუჟუნა წვიმაც ლამაზი და ძველი ხალხური გამოთქმაა წყნარი და თბილი წვიმის აღსანიშნავად-მეთქი.

— დიახ, ეგ გამოთქმა შორიდან მოდის, — ფიცხლავ თავი დამიქნია დასტურის ნიშნად.

ქალაქიდან, როცა იქ ჩასვლა მოუხდებოდა, ბიჭუნისათვის საჩუქრები ჩამოჰქონდა: ნაირ-ნაირი სათამაშო ცხოველები; ჯუჯა, რომელიც ზარდახშიდან გამოხტებოდა ხოლმე; რკინიგზა, ოვალური ლიანდაგი რომ ჰქონდა, და მატარებლის მოძრაობისას შუქნიშანი უკიაფებდა; ჯადოსნური ყუთი, რისი მთავარი ექსპონატი წითელი ღვინით სავსე ჭიქა გახლდათ (ღვინო არ იღვრებოდა, თუნდაც ჭიქა თავდაყირა დაგეჭირათ). ექოს დიახაც უხაროდა საჩუქრები, მაგრამ ცოტას წაითამაშებდა თუ არა, ნამეტანიო, — იტყოდა და მერე ისევ ამჯობინებდა ბიძის ნივთების თვალყურებას, მისი ახსნა-განმარტების მოსმენას, მარად ერთსა და იმავე შეკითხვებზე, და მათს ახლებურად აღქმას, ვინაიდან ბავშვებში ერთობ ძლიერია აჩემებისა და გამეორების ყინი. ეს განსაკუთრებით ართობთ. სპილოს ძვლისაგან

ვამოჩარხული დანა, ქალღმრთის გასაქრელად; დახრილი ღერძის არგველი მბრუნავი გლობუსი, რომელზეც გამოსახული იყო დაფლავილი ხმელეთის მასები, მათში შეჭრილი ზღვის ყურეები, ყოვლად ხშირებული მოყვანილობის შიდა წყლები და ოკეანეთა ლურჯი სივრცეები; დასადგმელი საათი, რეკავდა კიდევ და სპეციალური სახელურით ზევით ასანევი საწონებით მუშაობდა, — აი ზოგიერთი იმ საკანთაგან, რომელთა გაცნობა-გასინჯვა სწყუროდა, როცა — ტანკენარი და ნატიფი — მათ მფლობელთან მორიდებულად შეაბიჯებდა და ზეეკიანებოდა:

— ხომ არ მინყრები, რომ მოვედი?

— არა, ექო, მაინცდამაინც არ გინყრები. მაგრამ საათის საწონები ჯერ შუა გზაზე არიან.

ამ შემთხვევაში ექო მუსიკალურ კოლოფს მოითხოვდა ხოლმე, ჩემს ნაწყალობევს, ჩემს ჩამოტანილს. ყავისფერ კოლოფს მოსამართი მექანიზმი ქვევიდან ჰქონდა. რომ მომართავდით, ლითონის ჰანანკინტელა შვერილებით დაფარული ლილვაკი ბრუნვას იწყებდა სავარცხლის მუსიკალურად აწყობილ კბილებს შორის და უკრავდა, ჯერ სწრაფად და გრაციოზულად, შემდეგ თანდათანობით ნელა, თითქოს დაიღალაო, სამ კარგად ჰარმონიზებულ მარტივ მელოდიას. მათ ექო მუდამ თანაბარი გატაცებით ისმენდა, თან მის თვალებში ისე უცნაურად იყო აღრეული სიამოვნება და განცვიფრება, განჭვრეტა და ოცნება, რომ არასოდეს არ დამავინწყებდა.

ბიძის ხელნაწერების თვალღერებაც უყვარდა — ამ ცარიელი და შავი რუნების ჭვრეტა, რომლებიც სანოტე ქალღმრთის ხაზებზე იყო გაბნეული, ჰანია დროშებითა და ჩიტებით შემკული, რკალებითა და ხაზებით ერთმანეთთან დაკავშირებული, თან კითხვებით აცივდებოდა მათ ავტორს: რას მოასწავებდა ამდენი ნაირ-ნაირი ნიშანი, ვისზე ან რაზე იყო აქ ლაპარაკი? — ჩვენს შორის დარჩეს და მასზე, ექოზე, იყო იქ ლაპარაკი და ძალიან მინდა ვიცოდე, ხვდებოდა თუ არა გუმანით ბავშვი ამას, ან თუ შეიძლებოდა იმის ამოკითხვა მის თვალეებში, რომ მაესტროს ახსნა-განმარტებებმა მიახვედრა. ნეპომუკს წილად ხვდა ყველა ჩვენგანზე ადრე ჩაეხედა არიელის სიმღერათა პარტიტურის ესკიზებში „ქარიშხლიდან“, რაზეც იმხანად ლევერკიუნი ფარულად მუშაობდა: ინერდა მათ და მაშინ როდესაც პირველი ბუნების განსულიერებულ-გაფანტული ხმებით აღავსო — „Come unto these yellow sands“*, — იგი გააერთიანა ნაზსა და კეთილზმოდან მეორე

* „მოდო ამ ყვითელ ქვიშებში“ (ინგლ.).

სიმღერასთან – „Where the bee sucks, there suck I“*, სოპრანოსა, ჩელესტასა, სურდინიანი ვიოლინოსა, ჰობოისა, დახშული საყვირისა და არფის ფლაჟელოტური ბგერებისათვის. ჰოდა, ჭეშმარიტად, ვისაც ეს მოჩვენების მსგავსი, გრძნობით და ხიბლით აღსავსე ჰანგები ალუქვამს, თუნდაც ნხოლოდ შინაგანი სმენით, ნოტების კითხვისას, შეუძლია შექსპირის ამ ხსენებული პიესის პერსონაჟივით, ფერდინანდივით, იკითხოს: „მუსიკა სადღაა? ჰაერში? დედამიწაზე?“ ვინაიდან იმან, ვინც ეს ჰანგები ერთად დაწნა, თავის აბლაბუდასავით სიფრიფანა, ძლივს გასაგონად მოჟღერტულე ქსოვილში მხოლოდ არიელის – of my dainty Ariel** – ბავშვურად გულმისაველი, ჰაეროვანი და იგავმიუწვდომელი სიმსუბუქე კი არ ჩაატანა, არამედ ბორცვების, ნაკადულების, ჭალების მკვიდრ ელფთა – თოჯინების მსგავს ტანსუსტ კაცუნათა მთელი სამყარო, რომლებიც – პროსპეროს თქმით – მთვარის შუქზე თავს წვრილმანი ოინებით იქცევენ, ცხვარს საკვებს პირში სჩრიან, ის კი უარობს, და შუალამის სოკოებს კრეფენ.

ექო ისევ და ისევ სთხოვდა ხოლმე ნოტებში ის ადგილები ეჩვენებინა, სადაც ძალიან „აუ, აუს“ გაიძახის, ხოლო მამალი – „ყიყლიყოს“. გარდა ამისა, ადრინაი უამბობდა ბოროტი კუდიანი დედაბრის – სიკორაკისა და მისი პატარა მსახურის ამბავს. პატარა ერთობ ნაზი სული იყო და კუდიანის ბილწ მითითებებს არ ემორჩილებოდა. ამიტომ ბოროტმა დედაბერმა ის ფიჭვის ბზარში ჩასჭედა. პატარამ მთელი თორმეტი წელიწადი გაატარა ხეში ასე საცოდავად გაჭედილმა, ვიდრე კეთილი ჯადოქარი მოვიდოდა და გაათავისუფლებდა. ნეპომუკს ძალიან აინტერესებდა, რამდენი წლისა იყო პატარა სული, როცა კუდიანმა ხეში ჩასჭედა, და შესაბამისად რამდენი წლისა იქნებოდა, როცა კვლავ თავისუფლებას ეღირსა, მაგრამ ძიამ უთხრა: პატარას ხანი არ ჰქონდა, ამიტომ ტყვეობამდე და ტყვეობის შემდეგაც ისევ ის მომხიბლავი პირმშო იყო ჰაერისაო. ასეთმა პასუხმა ექო, როგორც ჩანდა, დააკმაყოფილა.

სხვა ზღაპრებსაც უამბობდა აბატის პალატის მკვიდრი, რაც ახსოვდა და როგორც ახსოვდა: რუმპულ შტილცჰენისას, ფალადასას და რაპუნცელისას, ჰგალობელი და მოხტუნავე შაშვისას. ამ დროს ბიჭუნას ბიძის მუხლებზე მოკალათება უყვარდა, გვერდულად, თან ზოგჯერ მკლავსაც მოხვევდა ხოლმე კისერზე. „ელასა-მელასა, მთქმელსა და გამგონებელსა, ძილი გაამოთ ყველასა“, – იცოდა ბავშვმა

*„სადაც ფუტკარი იწოვს ნექტარს, იქ ვინოვ მეცა“ (ინგლ.).

**ჩემი მშვენიერი არიელის (ინგლ.).

თქმა, როცა ზღაპარი დამთავრდებოდა, მაგრამ უფრო ხშირად მანამდე ჩაეძინებოდა ხოლმე, მთხრობელის მკერდზე თავმისვენებულს, მაშინ ბიძამისი დიდხანს გაუნძრევლად იჯდა, მთვლემარე ბიჭუნას კულულებიან თავზე ნიკაპით ოდნავ დაყრდნობილი, ვიდრე ქალთაგან ერთ-ერთი გამოჩნდებოდა და ექოს დასაწვენად წაიყვანდა.

როგორც გითხარი, ადრიაინი ზოგჯერ მთელი დღეობით არიდებდა თავს ბიჭუნას: ხან არ ეცალა, ხანაც შაკიკი აიძულებდა განმარტოებულიყო და სიბნელეშიც კი ყოფილიყო, ხან კიდევ რაიმე სხვა მიზეზის გამო, მაგრამ თუ მთელი დღე სულ ვერ ნახავდა ექოს, მაშინ სალამოს მაინც, როცა ბავშვი უკვე ლოგინში იწვა, ფეხაკრეფით შეიპარებოდა მასთან, რათა მოესმინა, როგორ წარმოთქვამდა ლოცვას ერთ-ერთ მომვლელ ქალთან, ფრთუ შეაიგებტილთან ან მის ქალიშვილთან ერთად, ხოლო ზოგჯერ კიდევ ორივესთან ერთად, ექო, რომელიც გულადმა იწვა ხოლმე და ერთად შენებებული თხელი ხელისგულები მკერდთან ეჭირა, ძალზე უჩვეულო ლოცვებს წარმოთქვამდა, ცისფერი თვალებით ჭერს მიმტერებული, წარმოთქვამდა განცდით და არჩევანიც საკმაო ჰქონდა. ასე რომ, მისგან ზედიზედ ორ სალამოს ერთსა და იმავეს თითქმის ვერ გაიგონებდით:

*„ვინც თავის რწმენად მცნება ღვთისა ამოირჩია,
ღმერთშია იგი და მასშიაც თავად ღმერთია.
ეს წმინდა მცნება, თუ ვინამე სულით და გულით,
დამეხმარება, რათა ვპოვო სიმშვიდე სრული. ამინ.
ან:*

*რაოდენ დიდიც უნდა იყოს ცოდვა კაცისა,
შეუწოდოს ღმერთი მწყალობელი, თუკი ინება,
ჩემი პატარა, უმნიშვნელო შეცოდება კი,
ისე მცირეა, რომ ღმერთსაც კი გაეცინება. ამინ.*

ან კიდევ მართლაც ძალზე უცნაური რამ, უეჭველად პრედესტინაციის მოძღვრებით შეფერილი ლოცვა:

*კაცს არ ეგების ცოდვის გამო სასოწარკვეთა,
სჯობს მოეკიდოს ამა ქვეყნად კეთილ საქმეთა,
რადგან სიკეთე არასოდეს არ იკარგება,
თუნდაც ჯოჯოხეთს გიქადიდეს თავად ვანგება.
ნეტავი მეც, და ვინც კი მიყვარს ამქვეყნად გულით,
სამოთხისათვის ვიყრთ ყველა დაბადებული! ამინ.*

ხოლო ზოგჯერ:

*მზე თვით ეშმაკსაც შეავლებს მზერას
და მაინც წმინდა დარჩება ცაზე;
ღმერთო, მეც, ვიდრე სიკვდილი მოვა,
წმინდა დამტოვე ამ ქვეყანაზე. ამინ.*

ან ბოლოს:

*ვინც მოყვასისთვის ღმერთისაგან შენდობას ითხოვს,
ის სხვებზე ლოცვით გადაირჩენს საკუთარ თავსაც.
მთელი ქვეყნისთვის გულმხურვალედ ლოცულობს ექო,
რათა უფალმა არ მოაკლოს წყალობა მასაც. ამინ.*

ეს ლოცვა მე თვითონაც მოვისმინე, მისგან წარმოთქმული, დიდად გულაჩუყებულმა, ისე, რომ თავად, ვფიქრობ, არ შეუნიშნავს ჩემი იქ ყოფნა.

— რას იტყვი ამ თეოლოგიურ სპეკულაციაზე? — შემეკითხა ადრიანი, როცა გარეთ გამოვედი. — ერთბაშად მთელი შესაქმის შენდობას ითხოვს, ოღონდ ხაზგასმით თავის თავსაც გულისხმობს შიგ. ღვთისმოსავი, კაცმა რომ თქვას, უნდა დარწმუნებული იყოს, რომ თავის საქმესაც იკეთებს, როცა სხვებისთვის ლოცულობს? უანგარობა ხომ უანგარობა აღარ არის, როგორც კი შეიტყობ, რომ შენთვის ხელსაყრელია?

— რამდენადმე მართალი ხარ, — მივუგე მე, — მაგრამ ის ხომ უანგარობისკენ მიილტვის, როდესაც მარტო საკუთარ თავზე კი არ ლოცულობს, არამედ ყველა ჩვენგანზე.

— ჰო, ყველა ჩვენგანზე, — თქვა ადრიანიმა ხმადაბლა.

— თანაც ჩვენ ისე ვლაპარაკობთ ამ ბავშვზე, — განვაგრძე მე, — თითქოს თვითონ შეეთხზას ლოცვანი. ხომ არ შეჰკითხვიან, ვინ ასწავლა? მამამ თუ ვინ?

პასუხი კი ასეთი იყო:

— ო, არა. მე მირჩევნია ეს საკითხი ღიად დავტოვო. თანაც ალბათ რიგიანად არც ეცოდინება.

როგორც ჩანდა, მისი მომვლელი ქალებიც ანალოგიური აზრისანი იყვნენ. ისინიც, როგორც ვიცი, არასოდეს არ შეჰკითხვიან ბავშვს ამ მწუხრის ლოცვათა ასავალ-დასავალს. შვაიგეშტილებისაგან ვიცი

ზოგი მათგანი, რომლებიც პირადად არ მომისმენია ექოსაგან. ისინი უკვე იმ დროს ვათქმევინე ქალებს, როდესაც ნეპომუკ შნაიდევანი ჩვენს შორის უკვე აღარ იყო.

XLV

ხელიდან გამოგვეცალა ეს საოცრად მწყაზარი არსება, უმანკო ბაღლი ნაადრევად გაეცალა ამ დედამიწას! აჰ, ღმერთო ჩემო, რა ფაქიზ სიტყვებს ვეძებ სრულიად გაუგებარი უღმობელობისათვის, რისი მოწმეც კი ოდესმე ვყოფილვარ, – რაც დღემდე აღშფოთებით მივსებს გულს და მწარეზე მწარე ბრალდების აღსავლენად განმანყოფნის! საზარლად გააფთრებულ-გამძვინვარებული დააცხრა და რამდენიმე დღეში იმსხვერპლა სნეულებამ, რომლით დაავადების შემთხვევა დიდი ხანია აღარ აღენიშნათ მთელ იმ მხარეში, თუმცა კეთილმა დოქტორმა კიურბისმა, სნეულების ესოდენ მწვავე ფორმით საშინლად შეძრწუნებულმა, გვითხრა: წითელას ან ყივანახველას მოხდის შემდეგ, გამოჯანმრთელების პერიოდში, ბავშვები განსაკუთრებით მგრძობიარენი არიან ამ დაავადების მიმართო.

უქეიფობის პირველ ნიშნებსაც თუ მივათვლით, ყველაფერი სულ რაღაც ორ კვირაში მოხდა. თანაც პირველი კვირის განმავლობაში არავის – მე მგონი, არავის – აზრადაც არ მოსდიოდა, რა საშინელეობა უნდა დატრიალებულიყო. შუა აგვისტო იდგა და მინდვრად მოსავალს იღებდნენ დაქირავებული მუშახელის დახმარებით, გამალებით მუშაობდნენ. ორი თვის მანძილზე ნეპომუკი მთელი სახლის სული და გული იყო. სურდომ აუმიღვრია საყვარელ ბიჭუნას კამკამა თვალები და უთუოდ ამ აბეზარი სატკივრის გამო იყო, – აბა, სხვა რა შეიძლებოდა! – რომ მადა წაერთვა, უგუნებობა დასჩემდა და ძილიანობაც გაუმძაფრდა, რისკენაც ისედაც მიდრეკილი ჩანდა ჩვენი ნაცნობობის პერიოდში. ყველაფერზე „ნამეტანს“ გაიძახოდა, რაც უნდა შეეთავაზებინათ, საქმელი იქნებოდა, თამაშობა, ნახატების თვალიერება თუ ზღაპრების მოსმენა. ნამეტანიო! – იტყოდა, სახე მტკივნეულად დაემანჭებოდა და პირს იბრუნებდა ხოლმე. მალე სინათლესა და ხმაურსაც ვეღარ იტანდა, რამაც კიდევ უფრო შეგვაფიქრინა, ვიდრე მანამდელმა უხასიათობამ. ეზოში შემომავალი ფორნებისა და ხალხის ხმაური უზომოდ აწუხებდა. ნელა ილაპარაკეთო! – გვეკედრებოდა და თავადაც ჩურჩულით ლაპარაკობდა, თითქოს მა-

გალითს გვაძლევდა. მუსიკალური ზარდახშის ნაზი ჰანგების მოსმენაც კი არ ისურვა, გატანჯული სახით მაშინვე — ნამეტანი, ნამეტანიო! — თქვა, თვითონვე გააჩერა მისი მექანიზმი და მწარედ ატირდა. ასევე გაურბოდა გაგანია ზაფხულის დღეთა კაშკაშა მზეს ეზოსა და ბაღში. თავის ოთახს აფარებდა თავს, მოკუნტული იჯდა შინ და თვალებს იფშენებდა. მძიმე სანახავი იყო, ხსნის ძებნაში როგორ გადადიოდა იმ ადამიანების ხელიდან ხელში, რომლებიც უყვარდა, როგორ შემოეჭდებოდა ყელზე ხან ერთს, ხან მეორეს, რათა უნუგეშოს სულ მალე ახლა სხვისთვის მიემართა. ასე ეხუტებოდა დედილო შვავიგეშტილს, კლემენტინეს, მოახლე ვალტაპურგის და იმავე გრძნობით ატანილი ბიძამისსაც არაერთხელ აკითხავდა, მკერდზე ეკვროდა, ისმენდა მის მისალმებასა და ალერსიან სიტყვებს, ახედავდა ხოლმე სახეში, გაუღიმებდა კიდეც სუსტად, მაგრამ მერე ისევ ჩაქინდრავდა თავს, სულ უფრო და უფრო დაბლა, ბოლოს იტყოდა: — ღამეო! — ადგებოდა და ლასლასით გადიოდა ოთახიდან.

მოვიდა ექიმი. გასინჯა. ცხვირში რაღაც ჩაანვეთა და მატონიზირებელი წამალი გამოუწერა, თან არ დაუფარავს: ვაითუ ეს ყოველივე რომელიღაც უფრო სერიოზული ავადმყოფობის დასაწყისი გახლდეთო. იგივე გაუმეორა აბათის პალატში თავის ძველ პაციენტს.

— ასე გგონიათ? — ჩაეკითხა ადრიანი და მკვდრის ფერი დაედო.

— ჩემთვის მთლად ნათელი არ არის, — დასძინა ექიმმა.

— ნათელი არ არის?

ეს გამოთქმა ისე შეშინებულმა გაიმეორა, რომ მისმა კილომ ახლა დოქტორი შეაკრთო და გულში თავის თავს ეკითხებოდა: განა ისეთი რა ვთქვიო.

— დიახ, მხოლოდ იმ გაგებით, როგორც მოგახსენეთ, არც მეტი, არც ნაკლები, — მიუგო მან. — თქვენი შესახედაობაც არ მომწონს, პატივცემულო. ძალიან შეგტკივანათ გული ბიჭუნაზე?

— ო, რასაკვირველია, — იყო პასუხი, — თანაც პასუხისმგებლობაც მაკისრია, ექიმო. ბავშვი აქ მოსაკეთებლად ჩამოიყვანეს და ჩვენ მოგვანდეს...

— ავადმყოფობის სურათი, თუ ამდაგვარ რამეზე საერთოდ შეიძლება ლაპარაკი, — დასძინა ექიმმა, — ამჟამად საბაბს არ იძლევა არასახარბიელო დიაგნოზისათვის. ხვალ კი ისევ შემოვივლი.

ასეც მოიქცა და ამჯერად უკვე სავსებით ცხადი იყო მისთვის დაავადების ხასიათი. ნეპომუკს ერთბაშად საშინელი ლებინება აუ-

ტყდა, სიცხეშაც აუწნია, თუმცა ძალიან არა, და პარალელურად თავის ტკივილი დაეწყო, რამაც რამდენიმე საათში გაუსაძლისად შეაწუხა. ბავშვი, როცა ექიმი მოვიდა, უკვე ლოგინში იწვა, პანია თავზე ხელები წაეწლო და გაჰკიოდა, რაც ძალი და ღონე ჰქონდა. საშინელი წამება იყო ყველასათვის, ვისაც კი მისი ყვირილი ესმოდა, ესმოდა კი — მთელ სახლს. შიგადაშიგ პანია ხელებს ინვდიდა იმათკენ, ვინც თავზე ადგა, და გაიძახოდა: — ვაიმე, მიშველეთ, თავი მტკივა, ვაიმე თავიო! შემდეგ ისევე საშინელი ღებინება აუტყდა, რაც კრუნჩხვებში გადაიზარდა.

კიურბისმა ბავშვს თვალები გაუხსინჯა, გუგები ძალზე დავინროვებული ჰქონდა და უელამდებოდა. მაჯა გამალებით უცემდა. აშკარად შეიმჩნეოდა კუნთების შეკუმშვა და კისრის გაშეშების დაწყებითი სტადია. ეს იყო ცერებროსპინური მენინგიტი, ტვინის ქერქის ანთება. კეოილმა ექიმმა ამ სიტყვების წარმოთქმისას თან რაღაც უცნაურად გაიქნია თავი, ალბათ იმის იმედიღა ჰქონდა, რომ ირგვლივ მყოფთათვის ნათელი არ იყო მისი მეცნიერების თითქმის სრული უძღურება ამ საბედისწერო დაავადების წინაშე. ამ გარემოებაზე გადაკვრით მიუთითებდა მისი წინადადება: იქნება ბავშვის მშობლებს დეპეშით შეატყობინოთ. დედის ჩამოსვლა მაინც, უნდა ვიფიქროთ, დამამშვიდებლად იმოქმედებს პატარა პაციენტზე. შემდეგ დედაქალაქიდან სპეციალისტის გამოძახებაც მოითხოვა, რომელიც მასთან ერთად გაიზიარებდა პასუხიმგებლობას ამ, სამწუხაროდ, არცთუ იოლ შემთხვევაში.

— მე უბრალო კაცი გახლავართ, — დასძინა მან, — აქ კი უფრო ავტორიტეტული პიროვნებაა საჭირო.

მე მგონი, ნაღვლიანი ირონია იყო ამ სიტყვებში. ყოველ შემთხვევაში, ხერხემლის ტვინის პუნქციის ჩატარება თვითონ ითავა და გაბედულადაც. ეს აუცილებელი იყო, როგორც ერთადერთი საშუალება, დიაგნოზის დასადასტურებლადაც და ავადმყოფის მდგომარეობის შესამსუბუქებლადაც. ფრაუ შვაიგემტილს, ფერნასულს, მაგრამ, როგორც ყოველთვის, მხნესა და გულისხმიერს, აკივლებული ბალდი ლოგინში ისე მოკუნტული ეჭირა, რომ საბრალო ექო ნიკაპით ლამის თავისივე მუხლებს შეხებოდა, ხოლო კიურბისმა ერთმანეთს დაცილებულ მალეებს შორის ზურგის ტვინის არხში ნემსი შეუყვანა და იქიდან სითხემ წვეთ-წვეთად დაიწყო დეწა. საშინელი თავის ტკივილი თითქმის იმწამსვე მოეშვა. თუ ისევე აუტყდებაო, — თქვა ექიმმა, რადგან იცოდა: ერთი-ორი საათის შემდეგ ტკივილები ისევე განუახლდებოდა, — მხოლოდ მცირე ხანს გასტანდა პუნქციით გამ-

ონვეული ეფექტი, — გარდა თავზე ყინულის დადებისა, რაც აუცილებელია, ქლორის ჰიდრატიც უნდა დააღვინოთო, რაც გამოუწერა და მაშინვე ჩამოიტანეს კიდეც ქალაქიდან.

პუნქციის შემდეგ ღონემიხდილი და ძილის ბურანში გახვეული ნეპომუკი ხელახლა ლებინებამ, კრუნჩხვებმა, მთელ პანია სხეულში რომ უვლიდა, და ლამის თავის ქალის ამხდელმა ტკივილებმა გამოაფხიზლა, ისევ დაიწყო გულის გამგმირავი მოთქმა და ჟამიდან ჟამზე კი — გამყინავი ყვირილი. ეს გახლდათ ტიპური „ჰიდროციფალური ყვირილი“, რისგანაც მხოლოდ ექიმის გული თუა რამდენადმე დაცული, სწორედ იმის გამო, რომ მას ტიპურად აღიქვამს. ტიპურის მიმართ გულცივი რჩება ადამიანი, მხოლოდ ინდივიდუალურად განცდილს გამოვყავართ წონასწორობიდან. ამითი აიხსნება მეცნიერების სიდიდე. მაგრამ ამანაც ხელი ვერ შეუშალა მის სოფელს შეგირდს ბრომისა და ქლორის ჰიდრატის პრეპარატებიდან, რაც პირველად დაუნიშნა, სულ მალე მორფიუმზე გადასულიყო, რომელიც უკეთ მოქმედებდა. შეიძლება ეს ნაბიჯი მან იმდენადვე სახლის მკვიდრთა გამოც გადადგა — მე განსაკუთრებით ერთ-ერთი მათგანი მყავს მხედველობაში — რამდენადაც პატარა მარტვილის საცოდაობით. მხოლოდ ყოველ ოცდაოთხ საათში ერთხელ შეიძლება ზურგის ტვინის სითხის გამოღება და ეს პროცედურა მხოლოდ ორი საათი იძლეოდა შეღავათს. ოცდაორი საათის განმავლობაში მყვირალი და მბორგავი ბაღლის ტანჯვა-წამების ყურება, თანაც ასეთი ბავშვისა, პანია მთრთოლორე ხელებს რომ გულზე იკრეფს და დუდუნებს: — ექოს უნდა წესიერი იყოს, ექოს უნდა წესიერი იყოსო! ამას კიდეც ის მინდა დაუფმატო, რომ იმათთვის, ვინც ნეპომუკს ხედავდა, ალბათ ყველაზე საშინელი ერთი მეორეხარისხოვანი სიმპტომი იყო: ზეციური თვალეები სულ უფრო და უფრო უელამდებოდა, თვალის კუნთების მოღუნების გამო, რაც კისრის გაშეშებას ახლავს. ეს კი ისე საზარლად უმახინჯებდა მწყაზარ სახეს, რომ ვეღარც კი იცნობდით, და კბილების ღრქენასთან ერთად, საბრალო ბაღლს რომ მალევე დასჩემდა, ეშმაკეულს ამსგავსებდა.

მეორე დღეს, ნაშუადღევს, გერეონ შვაიგეშტილი ვალდსჰუტის სადგურზე დახვდა და პფაიფერინგში ჩამოიყვანა კონსულტანტი მიუნჰენიდან, პროფესორი ფონ როთენბუხი. კიურბისის მიერ შემოთავაზებული მედიკოსებიდან ადრიანმა ის არჩია, როგორც უფრო სახელმოხვეჭილი. პროფესორი წარმოსადეგი კაცი გახლდათ, საზოგადოებაში გამოსული, მეფობის ჟამს პირადი აზნაურობა ებოძე-

ბინათ, პაციენტებში ტაციიაობა იყო მასზე გაჩაღებული და ძალიან ძვირად ღირებულ ექიმად ითვლებოდა. ცალი თვალი ოდნავ მოკიეული ჰქონდა, თითქოს ერთთავად გამომცდელად იყურებოდა. მორფიუმი მან აღკვეთა: თორემ შეიძლება გვეგონოს, ავადმყოფი კომაში ჩავარდა, მაშინ როდესაც კომას დრო ჯერ არ დამდგარო, — და მხოლოდ კოდეინილა დაუტოვა. როგორც ჩანდა, მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ავადმყოფობის სწორი მიმდინარეობა, მკვეთრად გამოსახული სტადიების მიხედვით განვითარება. პაციენტის გასინჯვის შემდეგ სხვა კორექტივები სოფლელი კოლეგის განკარგულებებში, რომელიც თავგადაკლული ელაქუცებოდა, არ შეუტანია: ოთახის ჩაბნელება, თავზე ყინულის დადება და მაღალი სასათუმალი, ფრთხილად მოპყრობა, ტანის სპირტით დაზელვა და კონცენტრირებული საკვები, რისი შეტანაც ორგანიზმში ალბათ ცხვირიდან ზონდის მეშვეობით მოგვიხდებოდა. ნუგეშისცემას ექიმი როთენბუხი მაინცდამაინც არ დაგიდევდათ. ალბათ იმიტომ, რომ ბავშვის მშობლების სახლში არ იყო, და დაუდევრად არცთუ ორაზროვან გამოთქმებს მიმართავდა: მალე გონებას დაკარგავს, ეს კანონზომიერი იქნება და არა მორფიუმის ზემოქმედებით ნაადრევად გამოწვეული მოვლენა, თანაც მერე და მერე უფრო წაერთმევა ცნობიერება. ასე რომ, ბავშვი თანდათანობით ალარაფერს აღარ იგრძნობს და აღარ იწვალებს. ამიტომ თვით ყველაზე მწვავე სიმპტომებიც კი გულთან მეტისმეტად ახლო არ უნდა მიიტანოთო. შემდეგ იმდენი სიკეთე გამოიჩინა, რომ მეორე პუნქცია თვითონ ჩაუტარა პაციენტს, ღირსეულად დაემშვიდობა იქ მყოფთ და აღარც ჩამოსულა.

რაც შემეხება მე, თუმცა ფრაუ შვაიგეშტილისაგან ტელეფონით ყოველდღე ვიტყობდი სავალალო ამბებს, პფაიფერინგში ჩასვლა მხოლოდ მეოთხე დღეს მოვახერხე ნეპომუკის მძიმედ ავად გახდომიდან, შაბათს, როდესაც გააფთრებულ კრუნჩხვებში, რომლისგანაც ბიჭუნას პატარა სხეული ისე იგრძნობოდა, თითქოს ძელზე აკრავნო, ხოლო თვალის გუგები ლამის გადმობრუნებოდა, ავადმყოფს კომა დამართა, აღარ ყვიროდა და მხოლოდ კბილებსლა აკრაჭუნებდა. ფრაუ შვაიგეშტილი ღამეების თევისაგან გაფითრებული და ტირილისაგან თვალეზდასიებული ალაყაფის კართან დამხვდა და დაბეჯითებით მიჩნია, დაუყოვნებლივ ადრიანთან შევსულიყავი. საბრალო ბავშვს ნუხელის აქეთ უკვე მშობლები ადგანან თავზე და მის ნახვას მერეც მოასწრებთო. ბატონ დოქტორს კი ნამდვილად

სჭირდება თქვენი ყურადღება, მთლად კარგად ვერ უნდა იყოს, გულახდილად რომ გითხრათ, ზოგჯერ ასე მგონია, შეშლილივით ლაპარაკობს-მეთქი.

შეშინებული შევედი ადრიანთან. სანერ მაგიდასთან იჯდა და იჩქითად შემავლო თვალი, ლამის აგდებითაც კი, თავზარდამცემად გაცრეცილს თვალები ისე დასწითლებოდა, როგორც ამ სახლის ყოველ მკვიდრს; პირმოკუმული, უნებლიეთ აქეთ-იქით ამოძრავებდა ენას, სადღაც ქვედა ტუჩის შიგა მხრის გაყოლებით.

— შენ, კეთილო კაცო? — მითხრა მან, როცა მასთან მივედი და მხარზე ხელი დავადე. — აქ რა გინდა? ეს საშენო ადგილი არ არის. პირჯვარი მაინც გადაიწერე, აი ასე: შუბლიდან მხრებისაკენ, როგორც ბავშვობაში გაქვს ნასწავლი, საფრთხისაგან თავდასაცავად!

და ვინაიდან მე რამდენიმე მანუგეშებელი და დამაიმედებელი სიტყვა წავიდუდუნე, მკვახედ გამანყვეტინა:

— თავი შეიკავე ჰუმანისტურად მიკიბულ-მოკიბული ლაყბობისაგან! მიჰყავს! ნეტავი არ აჭიანურებდეს მაინც! მაგრამ ალბათ არ შეუძლია თავისი უზადრუკი საშუალებებით!

ზეზე წამოვარდა, კედელს აეკრა და თავი ხის ჰანელს მიაბჯინა.

— ნაიყვა, მტარვალო! — დაიყვირა ისეთი ხმით, რომ ძვალსა და რბილში ურუანტელმა დამიარა. — ნაიყვანე-მეთქი, არამზადავ, ოლონდ აჩქარდი შეძლებისდაგვარად, თუკი შენ, მავნე, ამის დაშვებაც არა გასურს! მე კი მეგონა, — მომმართა უეცრად ხმადაბლა, თითქოს საიდუმლოს ანდობსო, თან წინ გამოვიდა და ისეთი დაკარგული მზერით დამაცქერდა, არასოდეს არ დამავინყდება, — მე კი მეგონა, ამას დაუშვებს, ამას მაინც დაუშვებს-მეთქი, მაგრამ არა, უმოწყალოს წყალობა საიდან უნდა გააჩნდეს?! სწორედ მოწყალება გათელა მხეცური გააფთრებით! ნაიყვა, გარენარო! — დაიყვირა ისევ და ჩემგან კვლავ კედლისკენ უკან დაიხია, როგორც ჯვრისაკენ. — მოიტაცე მისი სხეული, ამისი ძალა შეგწვეს! მაგრამ მის უტკეპს სულს, ნურას უკაცრავად, ხელს ვერ ახლებ, ამაშია შენი უძლურება, ეს არის შენი აბსურდული და სასაცილო მხარე! აი რას დაგვინებ ხოლმე უკუნითი უკუნისამდე! დაე თუნდაც მარადისობანი დახვავდნენ ჩემსა და მის სავანეს შორის, მე მაინც მეცოდინება, რომ ის იქ იმყოფება, საიდანაც შენ გამოგაგდეს, უწმინდურო, და ეს ცხოველმყოფელი პირწყალი იქნება ჩემთვის, ოსანა შენდა შესაჩვენებლად სიბილწის ქვეყანაში!

სახეზე ხელები აიფარა, შეტრიალდა და შუბლით კედლის ჰანელს მიეყრდნო.

რა უნდა მექნა? რა მელონა? რა მეპასუხა ამგვარ სიტყვებზე? „ღვთის გულისათვის, დამშვიდდი, საყვარელო, გონს მოდი, მწუხარებისაგან უაზრო რაღაცები გეჩვენება“, -- დაახლოებით ამას ეუბნებიან ამ დროს სულიერი ტანჯვის წინაშე მოკრძალების გამო, განსაკუთრებით, როცა საქმე ისეთ ადამიანს ეხება, როგორც ეს იყო, და არ ფიქრობენ რაიმე ფიზიკური დამაშოშმინებელ-დამანყნარებელი საშუალების გამოყენებაზე, ვთქვათ, ბრომურალზე, რომელიც შინა აქვთ.

როცა კვლავ მუდართით მიემართე, მან მხოლოდ მომიგო:

— გეყოფა, გეყოფა, და პირჯვარი გამოისახე! იქ, მალა, ამას გასავალი აქვს. მარტო შენთვის კი არა, ჩემთვისაც და ჩემი დანაშაულისთვისაც!.. რა დანაშაულია, რა ცოდვა, რა ბრალი, — ამ დროს უკვე ისევ საწერ მაგიდასთან იჯდა და ხელები საფეთქლებზე ჰქონდა მიჭერილი, — რომ აქ ჩამოვიყვანეთ, რომ ახლოს მოვუშვი ჩემთან, რომ თვალს ესაღბუნებოდა მისი ხილვა! უნდა იცოდე, რომ ბავშვები სათუთი მასალისანი არიან და შხამიანი ზეგავლენის მიმართ მგრძობიარენი...

ახლა უკვე მე დავუტიე და აღშოთებულმა სიტყვა გავანწყვეტინე.

— არა, ადრიან! — შევძახე მე. — რას უხირდები საკუთარ თავს და იტანჯები აბსურდული თვითბრალდებით ბრმა ბედისწერის გამო, რომელიც საყვარელ, შესაძლოა, საამქვეყნოდ ერთობ საყვარელ ბაღს ალბათ ყველგან მოენეოდა! დაე ამან გული გაგვისენოს, მაგრამ გონება არ უნდა წაგვართვას. სიკეთისა და სიყვარულის მეტი რა მიგიძღვის...

მაგრამ მან მხოლოდ ხელით მანიშნა: გაჩუმდიო. ბარე ერთი საათი ვიჯექი მასთან, დროდადრო ხმადაბლა გამოველაპარაკებოდი ხოლმე და ისიც პასუხად რაღაცას ბუტბუტებდა, მაგრამ მე ხეირიანად ვერ ვარჩევდი, თუ რას. მერე ვუთხარი: — პატარა ავადმყოფი მინდა ვინახულო-მეთქი.

— შენ იცი, — მომიგო მან და გულქვად დაუმატა: — ოღონდ მაშინდელივით არ დაუნყო: „აბა, ჩემო ბიჭიკო, ხომ ყოჩაღადა ხარ?“ და ასე შემდეგ. ჯერ ერთი, ვერ გაიგონებს, და მეორეც, ჰუმანისტს ასეთი რამ არ უნდა ეჭაშნიკებოდეს.

წასვლა დავაპირე, მაგრამ შემაჩერა, გვართით ზომმართა: — ცაიტბლომო! — რაც ასევე ძალიან მკვახედ გაისმა და როცა მივუბრუნდი, მითხრა:

— მე მივხვდი, ი გ ი ა რ უ ნ დ ა ი ყ ო ს.

— რა, ადრიან, რა არ უნდა იყოს?

— სიკეთე და კეთილშობილება, — მომიგო მან. — ის, რასაც ადამიანობას უწოდებენ, თუმცა იგი სიკეთეა და კეთილშობილება. ის, რისთვისაც იბრძოდნენ ადამიანები, რისთვისაც იერიში მიჰქონდათ ციხე-სიმაგრეებზე და რასაც რჩეულნი ყოყინით იუნწყებოდნენ, არ უნდა იყოს. აღკვეთილ იქნება. მე აღკვეთავ.

— კარგად ვერ გავიგე, საყვარელო, რა გინდა აღკვეთო?

— მეცხრე სიმფონია, — მომიგო მან და მეტი აღარაფერი დაუმატებია, თუმცა კარგა ხანს ველოდე.

თავგზაბნეული და დანაღვლიანებული გავემართე ზევით, საბედისწერო ოთახისაკენ. ავადმყოფის სენაკში სისუფთავე იგრძნობოდა, მაგრამ ჰაერი წამლების სუნით გაჟღენთილი, მტკნარი და შეხუთული იყო. ფანჯრები კი გაეღოთ, მაგრამ დარაბები მიჯრით იყო მიხურული. ნეპომუკის სანოლის ირგვლივ მრავალ ადამიანს მოეყარა თავი. მე ხელს ვართმევდი მათ, თან მომაკვდავ ბავშვს თვალს არ ვაცილებდი. გვერდზე იწვა; ისე მოკრუნჩხული, რომ იდაყვებით მუხლებს ეხებოდა. სიცხისაგან ლოყებანთებულმა ერთი ჩაისუნთქა ღრმად და მერე დიდხანს მოგვიხდა ლოდინი სუნთქვის ნიშანწყლის აღსაქმელად. თვალები მთლად დახუჭული არ ჰქონდა, მაგრამ წამწამებს შორის ირისის სილაყვარდე კი არ გამოკრთოდა, არამედ სიშავე: ეს გუგები იყო, რომლებიც გაფართოების შედეგად იმდენად გადიდებოდა, — ერთი უფრო საგრძნობლად, ვიდრე მეორე, — რომ ფერადი გარსი ლამის სულ შთაენთქათ. და მაინც ამას კიდევ რა უშავდა, როცა მათ მოციგლიგე სიშავეს ვხედავდით. ხანდახან თვალის ქრილში მხოლოდ სითეთრე გამოჩნდებოდა, მაშინ ბავშვის პატარა ხელები უფრო მჭიდროდ ებჯინებოდნენ ფერდებს, კბილებს აღრჭიალებდა და კრუნჩხვა ისე უგრესდა სხეულს, რომ გულქვაობა იყო ამისი ცქერა, თუმცა თავად შეიძლება უკვე ველარაფერს ველარა გრძნობდა.

დედა ქვითინებდა. ხელი ჩამოვართვი და შემდეგ კიდევ ერთხელ მოვუჭირე ხელი ხელზე. დიას, აქ იდგა ის, ურზულა, ბუხელის კარმიდამოში გაზრდილი თაფლისფერთვალეა ქალი, ადრიანის და, ამჟამად უკვე ოცდათვრამეტი წლისა, მისი მწუხარე. სახის ნაკვეთებში უფრო მძაფრად, ვიდრე ოდესმე, მამამისის, იონათან ლევერკიუნის ძველგერმანული ხაზები შევიცანი, რამაც დიდად ამიჩუყა გული. მასთან ერთად იყო ქმარიც, რომელსაც დეპეშა მიეღო თუ არა, ზუღეროდეში გაველო ურზულასთან, — იოჰანეს შნაიდევანი, ახოვ-

ანი, ლამაზი, ჩასხეპილი კაცი, ქერანვერულვაშიაჲ და ნეპომუკივით ცისფერთვალემა, უწყინარსა და დარბაისლურ კილოზე მოლაპარაკე, რაც ურზულას მისგან ადრევე გადაელო და რომლის რიტმსაც ჩვენ უკვე ვიცნობდით პატარა ელფის, პატარა ექოს ხმანკრიალა მეტყველებიდან.

ნეპომუკის მშობლებისა და ფრაუ შვაიგეშტილის გარდა, რომელიც ხშირად გადიოდა ოთახიდან და ისევ შემოდოდა, აქ იყო კიდევ გრუზათმიანი კუნიგუნდე როზენშტილი. ერთხელ, როდესაც მას ნება დართეს პფაიფერინგს სწვეოდა, ბიჭუნაც გაიცნო და, გულით მგლოვიარემ, გატაცებით შეიყვარა. მაშინ მან ვრცელი წერილი გამოუგზავნა ადრიანს, მანქანაზე და ისიც თავის მედგარი ფირმის სპეციალურ ბლანკებზე გადაბეჭდილი, კომერციულ მიმონერაში მიღებული ქარაგმებით შემკული: სანიმუშო გერმანულ ენაზე გაუზიარა ექოს ბიძას თავისი შთაბეჭდილებები. ამჟამად კი, გზიდან ჩამოიცილა რა ქალბატონი ნეკედი, თავისი გაიტანა და უფლება მოიპოვა ბავშვის მოვლაში შენაცვლებოდა ხოლმე დედა-შვილ შვაიგეშტილებს და ბოლოს კი – ურზულა შნაიდევანისაც: ყინულს უცვლიდა თავზე, სპირტით ზელდა. ცდილობდა როგორმე ჩაენვეთებინა პირში წამალი და საკვები წვენები და ღამეც უხალისოდ, ისიც იშვიათად თუ უთმობდა ადგილს ვინმეს ავადმყოფის სასთუმალთან...

ჩვენ ყველამ – შვაიგეშტილებმა, ადრიანმა, მისმა ნათესავებმა, კუნიგუნდემ და მე – ნიკეს დარბაზში ვივახშმეთ თითქმის უსიტყვოდ. ქალთაგან წამდაუნუმ ხან ერთი დგებოდა, ხანაც მეორე ავადმყოფის დასახედად. კვირადილით, ძალიან მიმძიმდა, მაგრამ აუცილებლად უნდა წამოვსულიყავი პფაიფერინგიდან. ორშაბათისთვის ლათინური ექსტემპორალების მთელი დასტა უნდა გამესწორებინა. ადრიანს გამოვეთხოვე, ორიოდ ტკბილი სიტყვა ვუთხარი და ისიც უკეთ დამემშვიდობა, ვიდრე წინა დღით შემხვდა. ოდნავ ჩაიცინა და ინგლისურად მითხრა:

– Then to the elements. Be free, and fare thou well!

მერე სწრაფად მაქცია ზურგი.

ნეპომუკ შნაიდევანმა, ექომ, ყრმამ, ადრიანის უკანასკნელმა სიყვარულმა, ჩემი წამოსვლიდან თორმეტი საათის შემდეგ განუტევა სული. მშობლებმა პატარა კუბო თან წაიღეს თავიანთ სამშობლოში.

თითქმის ერთი თვეა ამ ჩანაწერებისთვის აღარაფერი არ მიმიმატებია. ჯერ ერთი, ხელს მიშლიდა ზემოთ აღწერილი ამბების მოგონებით გამოწვეული სულიერი გამოფიტვა, და მეორეც — დღევანდელი ამბები, ამჟამად რომ ერთმანეთს თავბრუდამხვევი სისწრაფით სცვლიან. მათი ამგვარი ლოგიკური განვითარება წინასწარ იყო მოსალოდნელი და, ასე გასინჯეთ, გარკვეული თვალსაზრისით, სასურველიც კი, და მაინც ახლა საარაკო ძრწოლასა გვგვრის! ჩვენს უბედურ ხალხს, ტანჯვითა და შიშით გულგამოჭმულს, ველარაფერი გაუგია და ჩლუნგი ფატალიზმით იტანს ყოველივე ამას და მეც, ძველი იარებისაგან, ძველი საზარელი ამბებისაგან ძალ-ღონე გამოცდილი, გარემოების უილაჯო კერძი გახლავართ.

მარტის ბოლოდან — დღეს უკვე საბედისწერო 1945 წლის 25 აპრილია — ჩვენი ქალაქის დასავლეთით მტერს, როგორც ჩანს, თითქმის სულ ველარ ვუნვეთ წინააღმდეგობას. გაზეთებმა ასე თუ ისე უკვე აიშვეს თავი და აფიქსირებენ, როგორც უტყუარ სინამდვილეს, ისევე ხმებსაც, რომელთა მასაზრდოებელი წყარო მონინააღმდეგის რადიოს ცნობები და ლტოლვილთა მონათხრობია; ცენზურისა აღარ ეშინიათ და ცნობებს ელვის სისწრაფით მზარდი კატასტროფის ცალკეული ეპიზოდების შესახებ იმპერიის ჯერაც ხელუხლებელ, ჯერაც გაუთავისუფლებელ რაიონებშიც ავრცელებენ, თვით ჩემს სენაკამდეც მოაქვთ. ველარავის და ველარაფერს ვერ შეაჩერებ: ყველანი ტყვედ ბარდებიან ან გამორბიან, ჩვენი დანგრეული და გაჩანაგებული ქალაქები მწიფე ვაშლივით უცვივიან მონინააღმდეგეს ხელში: დარმშტატი, ვიურცბურგი, ფრანკფურტი და ვკარგეთ, მანჰაიმსა და კასელს, მიუნსტერსა და ლაიპციგსაც უცხოელნი დაეპატრონენ. ერთ მშვენიერ დღეს ინგლისელები ბრემენში გაჩნდნენ, ამერიკელები — ფრანკონიაში, ნიურნბერგი დანებდა, უგუნურთა გულის გამხარებელ სახელმწიფო ზეიმთა ქალაქი; მთავრობის ბობოლვებს შორის, რომლებიც აქამდე ძალაუფლებით ნებივრობდნენ, სიმდიდრესა და უსამართლობაში იხრჩობოდნენ, თვითმკვლევლობა სახადივით მძვინვარებს.

რუსების ჯარს კონიკსბერგისა და ვენის ალებით ხელ-ფეხი გაეხსნა ოდერის ფორსირებისათვის, მათი მილიონიანი არმიები ნანგრევებად ქცეული და უმაღლეს სახელმწიფო დანესებულებათაგან უკვე დაცლილი დედაქალაქისაკენ დაიძრნენ და, მძიმე არტილერიის

მეშვეობით ამთავრებენ რა იმას, რაც ჰაერიდან დარტყმებით დააკლეს, ამჟამად ქალაქის ცენტრისკენ მიიწევენ. საზარელმა კაცმა, რომელიც შარშან გადაურჩა სასონარკვეთილ ჰატრიოტთა თავდასხმას, უკანასკნელი სიკეთის – მომავლის პერსპექტივის ხსნა მიიწეოდა რომ ენადათ, და შეინარჩუნა ისედაც უკვე ჩაბუთებული და უნიათოდ მოკიაფე სიცოცხლე, თავის ჯარისკაცებს უბრძანა ბერლინზე შემოტევა სისხლის მორევში ჩაეხრჩოთ და დაეხვრიტათ ყოველი ოფიცერი, ვინც კაპიტულაციაზე კრინტს დასძრავდა. ამ ბრძანებას ხშირად ასრულებდნენ კიდევ. ეთერი აკლებულია უცნაური, უკვე არცთუ მთლად სალი გონების რადიოგადაცემებით გერმანულ ენაზე: არის ისეთებიც, რომლებიც გამარჯვებულებს ურჩევენ კეთილგანწყობილება გამოიჩინონ მოსახლეობისა და თვით გესტაპოს მოხელეების მიმართაც კი. ვითომ იმიტომ, რომ მათ უფრო სწამებენ ცილს, და არის ისეთებიც, რომლებიც „ვერვოლფის“ სახელით მონათლული განმათავისუფლებელი მოძრაობის გაშლას იუნყებიან – მძვინვარე ბიჭების კავშირის შექმნას, რომლებიც ტყეებში იმალებიან, ღამლამობით გამოხდომებს აწყობენ და მომხდურთა ხოცვა-ყლეტით „სამშობლოს სამსახურს უწევენ“. ვაი, სავალალო გროტესკო! ბოლომდე ცდილობენ ხალხის სულში გააცოცხლონ ავი ზღაპარი, კუშტი ლეგენდა, და ეს ცდა ნაცნობ გამოძახილსაც პოვებს.

ამასობაში ატლანტის ოკეანის გაღმელი გენერალი უბრძანებს ვაიმარის მკვიდრთ იქაური საკონცენტრაციო ბანაკის კრემატორიუმების წინ მარშით ჩაიარონ და საკუთარი თვალით ნახონ ამჟამად უკვე უტყუარად მხილებული ბოროტმოქმედებები, თან – განა მთლად უსამართლოდ კი? – უცხადებს ამ ბიურგერებს, რომლებიც თითქოსდა ალაღმართლად ეწეოდნენ თავიანთ საქმიანობას და არაფერი არ იცოდნენ, მაშინ როდესაც ქარი შიგ ცხვირში აფრქვევდათ დამწვარი ადამიანის ხორცის მყრალ სუნს: პასუხისმგებლობა თქვენც გეკისრებათო. მართლაცდა, დაე ნახონ, გონების თვალით მეც მათთან ერთად ვათვალიერებ, მეც ვურევივარ მათს ხმაჩავარდნილსა და შეძრწუნებულ რიგებში. სქელკედლებიან სატანჯიოს, რადაც გერმანია აქცია უკუღმართმა, იმთავითვე უკუღმართობას შეფიცულმა ძალაუფლებამ, ბჭენი მოერღვა და ჩვენს სამარცხვინო საქმეებს ქვეყანა ხედავს. უცხოელთა კომისიები, რომელთაც ახლა ყველგან აჩვენებენ ამ დაუჯერებელ სანახაობებს, თავ-თავიანთ ქვეყნებში იტყობინებიან: ჩვენს მიერ ნახული სისასტიკითა და სიბი-

ლწით ყოველივეს აღემატება, რისი წარმოდგენაც კი ადამიანს ძალ-
უძსო. მე ვამბობ: ჩვენს სამარცხვინო საქმეებს-მეთქი, ვინაიდან განა
ლიტონი იპოქონდრიაა, საკუთარ თავს უთხრა, რომ ყოველივე
გერმანული — გერმანული სულიც, გერმანული აზრიც, გერმანული
სიტყვაც — ჩათრეულია ამ პატივის ამყრელ მხილებაში და კითხვის
ქვეშ დგება? განა ავადმყოფური თვითდაკნინებაა, საკუთარ თავს
კითხვა დაუსვა: შეეძლება თუ მომავალში გერმანელებს ამა თუ იმ
სარბიელზე თავის გამოყოფა და ზოგად საკაცობრიო საკითხებზე
კრინტის დაძვრა?

დაე იმას, რაც ახლა გამომზეურდა, საერთოდ ადამიანის ბუნების
შავბნელ მხარეს უწოდებდნენ, — გერმანელმა ადამიანებმა, ათიათა-
სობით, ასიათასობით გერმანელმა ჩაიდინა ის, რაც მთელ კაცობრი-
ობას აძრწუნებს, და ყოველივე, რაც გერმანულ მინა-წყალზე ხარო-
ბდა, ამიერიდან ზიზღს იწვევს და ბოროტების განსახიერებად
მიიჩნევა. როგორი საქმე იქნება, ეკუთვნოდე ხალხს, რომლის ისტო-
რიაც ამ სამარცხვინო მარცხის დვრიტას ატარებდა, თავის თავზე
შეშლილ, სულიერად გადაბუგულ ხალხს, რომელმაც აშკარად იმის
რწმენა დაკარგა, რომ თავისი თავის მართვა-გამგეობა ძალუძს, და
საუკეთესო გამოსავლად ის მიაჩნია, რომ სხვა სახელმწიფოთა
კოლონიად იქცეს, — ხალხს, რომელიც იძულებული იქნება დანარჩენ
ხალხთაგან ისე გარიყულმა იცხოვროს, როგორც ებრაელებმა
გეტოში, ვინაიდან ირგვლივ დაგროვილი საშინელი სიძულვილი
საშუალებას არ მისცემს მიჩენილ მიჯნებს გადააბიჯოს, — ხალხს,
რომელიც ველარსად ველარ გამოჩნდება?

წყეული იყვნენ, წყეული იყვნენ დამღუპველები, რომელთაც
ბოროტების სკოლაში მიაბარეს ადამიანთა ოდითგან ალალ-მართ-
ალი, წესიერებისა და კანონიერების მოყვარული, ცოტათი ჭკუისკ-
ოლოფა და გადამეტებულად თეორიებს აყოლილი მოდგმა! რარიგ
მესალბუნება ეს შერჩენება, ან უკეთ, რარიგ მესალბუნებოდა ეს შერ-
ვენება, თავისუფალი, რაიმე წანამძღვრით შეუზღუდავი მკერდიდან
რომ აღმომხდენოდა! მაგრამ პატრიოტიზმს, რომელიც გაბედავდა
იმის მტკიცებას, რომ ჩვენი ხალხის ბუნებისათვის სრულიად უცხ-
ოა, თავსმონვეულია და მის წიაღში ფესვები არა აქვს გადგმული ამ-
ყამად აგონიაში მყოფ სისხლიან იმპერიას, რამაც — ლუთერიის ენით
თუ ვიტყვი — აურაცხელი ბოროტმოქმედებანი „იდო კისრად“ და
რისი ერთი ამბით დაარაქებამ და ადამიანის უფლებათა ფეხქვეშ გა-
მთელავამა ლოზუნგებმა გაბედნიერებული ბრბოს ზარ-ზეიმი გამოი-

წვია, ხოლო ჩვენი ახალგაზრდობა, თვალებგაბრწყინებული, სიამაყით აღვსილი და მტკიცე რწმენით გამსჭვალული, მისი ჭყეტელა დროშების ქვეშ დაირაზმა, — ამგვარ პატრიოტიზმს მე უფრო დიდსულოვნების გამოვლენად მივიჩნევდი, ვიდრე კეთილსინდისიერ განსჯად. ეს ხელისუფლება, სიტყვითაცა და საქმითაც, მხოლოდ დამახინჯებული, გავულგარულებული, შერყვნილი განხორციელება ხომ არ იყო გარკვეული სულისკვეთებისა და მსოფლალქმისა, რომელსაც დამახასიათებელ თვითმყოფადობას ვერ წავართმევთ და რომელსაც ქრისტიანი და ჰუმანური ადამიანი, არცთუ შიშის გარეშე, ჩვენი დიადი ადამიანების ნაკვთებში ამჩნევს, გერმანელობას ყველაზე მძლავრად რომ განასახიერებენ? მე ვკითხულობ — და ვკითხულობ ალბათ ერთობ ბევრს? აჰ, ეს ალბათ უფრო მეტია, ვიდრე შეკითხვა! ჩვენი დამარცხებული ხალხი სწორედ იმიტომ იყურება ახლა შეშლილი თვალებით არარაობაში, რომ მისი უკანასკნელი და თავგანწირული ცდა, პოლიტიკური ცხოვრების საკუთარი ფორმა მოეძებნა, ასე სავალალოდ მთავრდება.

რა უცნაურად შეუპირაპირდება ხოლმე ერთი დრო მეორეს — ამ შემთხვევაში კი ის დრო, რომელშიც მე ვწერ და დროის ის მონაკვეთი, რომელსაც ეს ბიოგრაფია მოიცავს! მართლაცდა, ჩემი გმირის სულიერი ცხოვრების ბოლო წლები, 1929 და 1930 წელი, ცოლის შერთვაში ხელის მოცარვის, მეგობრის დაკარგვის, საარაკო ბაღლის გარდაცვალების შემდეგ, უკვე დაემთხვა იმის აღმოცენებისა და გავრცელების პერიოდს, რაც მერე მთელ ჩვენს ქვეყანას დაეპატრონა და ახლა სისხლსა და ქარ-ცეცხლში ინთქმება.

ადრიან ლევერკიუნისათვის ეს გახლდათ წარმოუდგენლად დამაბული და მღელვარე, ლამის ვთქვა, უსაშველო შემოქმედებითი აქტივობის წლები-მეთქი, რაშიც, როგორც მორევში, თვით სახლის ჯალაბიც კი იყო ჩათრეული, და ძალაუნებურად კაცი იფიქრებდი: ამითი ანაზღაურდება, ამითი ბათილდება ის, რომ ცხოვრებაში ბედნიერებასა და სიყვარულზე უარი ეთქვაო. მე წლები ვახსენე, მაგრამ მთლად ზუსტი არ ვიყავი: მხოლოდ მათი ნაწილი — პირველის მეორე ნახევარი და რამდენიმე თვე მეორისა — დასჭირდა თავისი უახლესი, ხოლო ისტორიულად კი უკანასკნელი და ყველაზე რადიკალური ნაწარმოების — სიმფონიური კანტატის — „დოქტორ ფაუსტ-

უსის გოდების“ შესაქმნელად, რომელიც, როგორც მე ერთხელ უკვე წინამასწარად გაგანდეთ, ნეპომუკ შნაიდფეაინის პუბლიცისტიკაში ჩამოსვლამდე ჩაიფიქრა. სწორედ ამ კანტატას მინდა ახლა ჩემი მწირი სიტყვით შევეხო.

უწინარეს ყოვლისა არ შეიძლება ცოტათი მაინც არ გავაშუქო თვითონ შემოქმედის – იმხანად უკვე ორმოცდაათხუთი წლის ვაჟაკის – პირადი მდგომარეობა, მისი მაშინდელი გარეგნობა და ცხოვრების ყაიდა, რომელსაც მარად გაფაციცებული ვადევნებდი თვალს. თან პირველი, რისთვისაც კალამი მერჩის, ის ფაქტი გახლავთ, რომელიც ამ ფურცლებზე ნაწილობრივ უკვე ადრეც მოვიხსენიე: სახით, ვიდრე წვერს სუფთად იპარსავდა, ძალიან ჰგავდა დედამისს-მეთქი, ახლა კი საგრძნობლად შეიცვალა: დიდი ხანი არ იყო, რაც ზედა ტურზე გადმოფენილი ვინრო ულვაშები დაიყენა და ქაღალა-შერეული მრუმე ფერის წვერი მოუშვა, რომელიც ლოყებს მხოლოდ თხლად უფარავდა, ნიკაპზე კი უხვად გაბურქოდა, თანაც უფრო გვერდებზე, ვიდრე შუაში. ასე რომ, თხისწვერას ვერ უწოდებდი კაცი. იერ-სახის ეს გაუცხოება იმითი იყო გამონვეული, რომ სახეს ახლა ნაწილობრივ წვერი უფარავდა, ხოლო იგი, თავის გვერდზე დაჭერის მზარდ ჩვეულებასთან ერთად, მარტვილისა და სულიერად ამაღლებულის შესახედაობას ანიჭებდა, ასე გასინჯეთ, ქრისტეს ამსგავსებდა. არ შემეძლო ეს გამომეტყველება არ მყვარებოდა, მით უმეტეს, რომ – როგორც ჩანდა – მის სისუსტეს კი არ მონმობდა, არამედ შემოქმედებით ძალთა უკიდურეს გაღვივებასა და ფიზიკურ კეთილდღეობასთან ერთად ჩამოუყალიბდა და ჩემი მეგობარი იმხანად ხშირად მეტრახეობდა კიდევ თავისი ჯანმრთელობის მდგომარეობით. არაერთხელ აღუნიშნავს ეს ამბავი იმ ახლებურ კილოზე, რომელიც საბოლოო ხანებში დავიჭირე მის მეტყველებაში; – ახლა თითქოს ცოტათი შენელებულად, ზოგჯერ თითქოს ტკეპნით, ზოგჯერაც თითქოს ოდნავ მონოტონურად წარმოთქვამდა სიტყვებს და მე მონადინებული ვიყავ ამაში შემოქმედებითი წინდახედულობის, ანაზღეული იდეების ქარტეხილში თავშეკავების უნარის ნიშანწყალი დამენახა. ნაირ-ნაირი საღმობანი, ამდენი ხანი რომ აწამებდნენ, კუჭის კატარი, ყელის წამდაუნუმ გაღვივება და შაკიკის მტანჯველი შემოტევები – ერთბაშად მოეხსნა. აისიდან მთელი დღე განაღდებული ჰქონდა, ლალად და გულდაჯერებით შრომობდა. თვითონ თავი საღ-სალამათად მიაჩნდა, ზღაპრულად ჯანმრთელად და აღმაფრენისაგან, რითაც ყოველდღე იღვწოდა და რაც სია-

მაყით მავსებდა, მაგრამ ამასთანავე შიშითაც – ავადმყოფობის შესაძლო რეციდივის გამო, თვალებს აკვესებდა, იმ თვალებს, უნინ რომ ზედა ქუთუთოები ნახევრად უფარავდნენ ხოლმე, ახლა კი ფართოდ გახელილი ჰქონდა, მეტისმეტად ფართოდ. ასე რომ, ფერად გარსზე ზოგჯერ თეთრი გარსის ზოლი აჩნდა ხოლმე. ამაში რალაც საშიში გამოსჭვიადა, მით უფრო, რომ ესოდენ გაფართოებულ თვალთა მზერაში ერთგვარი გარინდებულობაც შეინიშნებოდა, ან იქნებ უძრაობის თქმა სჯობდა? ამ მოვლენის გამომწვევ მიზეზზე დიდხანს ვიმტკვრევდი თავს, ვიდრე მივხვდებოდი, რომ ეს თვალის არცთუ სავსებით მრგვალი, ოდნავ წაგრძელებული გუგების ბრალი იყო, რომელთა სიდიდე არ იცვლება, თითქოს განათების ცვლილება მათზე არავითარ ზეგავლენას არ ახდენდეს.

მე აქ ვლახარკობ საიდუმლოებრივ შინაგან უძრაობაზე, რომელსაც გულდასმით დამკვირვებელი თუ აღიქვამდა. ამასთან წინააღმდეგობაში მოდიოდა მეორე, ბევრად უფრო თვალში საცემი და გარეგანი მოვლენა, რასაც ჩვენმა საყვარელმა ჟანეტ შოირლმაც მიაქცია ყურადღება და ერთხელ, ადრიათან სტუმრობის შემდეგ, სრულიად უმიზეზოდ თავისი შთაბეჭდილება გამიზიარა. ბოლო ხანებში ადრიანს დასჩემდა განსაკუთრებულ ნუთებში, ფიქრის დროს, მაგალითად, თვალის კაკლების ცეცება, ერთი უპიდან სწრაფად მეორისკენ გადატან-გადმოტანა, თვალების „ტრიალი“, როგორც იტყვიან, რასაც, საფიქრებელი იყო, შეიძლებოდა ვინმე შეეშინებინა კიდევ. ამიტომ, თუმცა მე თვითონ გულარხეინად – ანდა შეიძლება ახლა მეჩვენება, რომ გულარხეინად ვეკიდებოდი ამ, ჩემი აზრით, ექსცენტრიკულ ნიშნებს და მათ ნაწარმოებს ვაბრალებდი, რომელზედაც მაშინ სულიერ ძალთა უკიდურესი დაძაბვით მუშაობდა, მაინც გუნებაში მიხაროდა, რომ ადრიანს თითქმის ველარავინ ვერ ხედავდა – თორემ შეიძლებოდა ჩემს მეგობარს ხალხი დაეფრთხო კიდევ. მართლაც ქალაქში თითქმის აღარ ჩადიოდა და საზოგადოებაში აღარ ჩნდებოდა. მიპატიუებებზე ტელეფონით, ერთგული დიასახლისის პირით, უარს უთვლიდა ანდა მათ სულაც უპასუხოდ ტოვებდა. კარგა ხანი იყო მიუნჰენს საყიდლებზეც აღარ სწევოდა და ან გარდაცვლილი ბავშვისთვის სათამაშოების შესაძენად რომ იცოდა ხოლმე ჩასვლა, ამ ვიზიტებისათვის შეიძლებოდა უკანასკნელი გვეწოდებინა. საგარეო ტანსაცმელი ხელუხლებლად ეკიდა კარადაში მას შემდეგ, რაც ხალხში აღარ ერეოდა, წვეულებებსა და საზოგადოებრივ ღონისძიებებს აღარ ესწრებოდა. სულ სადად და

საშინაოდ ეცვა – ოღონდ შლავროკი არ უყვარდა, დილაობითაც არ იცვამდა, მხოლოდ ღამით თუ, როცა სანოლიდან წამოდგებოდა და სავარძელში იჯდა ერთ-ორ საათს. შალის ხალვათი გულდახურული ქურთუკი – ასე რომ, ჰალსტუხი აღარ სჭირდებოდა – და ასევე განიერი, დაუთოვებელი, კუბოკრული შარვალი ეცვა ხოლმე იმხანად შინაც და გარეთაც, როცა ჩვეულებისამებრ სეირნობდა, რაც მისი ჯანმრთელობისათვის ყოველად აუცილებელი რამ გახლდათ. შეიძლებოდა ვინმეს ბელეშობაც დაებრალეზინა, მაგრამ ამგვარ შთაბეჭდილებას მაშინვე აქარწყლებდა ადრიანის თანდაყოლილი დახვეწილობა და განსულიერებული გარეგნობა.

ან ვისთვის უნდა შეენუხებინა თავი? უანეტ შოირლს თუ ხედებოდა, რომელთანაც მის მიერვე ჩამოტანილ მეჩვიდმეტე საუკუნის მუსიკალურ ჰიესებს გადიოდა (აქ მაგონდება იაკოპო მელანის ჩაკონა, რომელიც წინ უსწრებს ერთ ადგილს „ტრისტანიდან“); დროდადრო – აგრეთვე რიუდიგერ შილდკნაჰსაც, მსგავსთვალეზასაც, რომელთანაც ის იცინოდა, მე კი ამ დროს ძალაუნებურად კაეშანი მომეძალეზოდა ხოლმე და სინანულით ვფიქრობდი, რომ მხოლოდ მათი მსგავსი თვალეზილა დარჩენ, შავი და ცისფერი კი აღარ იყვნენ... და ბოლოს, მნახულობდა მე, შაბათობითა და კვირაობით, როცა მასთან ჩავდიოდი, – ეს იყო და ეს. თანაც მხოლოდ ძალზე მცირე ხანი თუ შეეძლო ვინმესთვის დაეთმო, რადგან დღეში (კვირადღის ჩათვლით, რომელსაც არასოდეს არ „უქმობდა“) რვა საათს მუშაობდა, ხოლო ვინაიდან ამ დროში კიდევ ჩართული იყო ჩაბნელებულ ოთახში დასვენება სადილობის შემდეგ, ჰფაიფერინგში ყოფნისას მე, მაგალითად, მეტწილად საკუთარი თავის ანაბრად ვყავდი მიტოვებული. და მეც რას ვინაღვლიდი! მის გვერდით ვიყავი, ვესწრებოდი ნანარმოების შექმნას, სულის კირთებითა და კანკალით რომ მიყვარდა, რომელიც აგერ უკვე თხუთმეტი წელია ცხედარივით ძევს, აკრძალული და მიჩქმალული განძივით არის და გამანადგურებელი განთავისუფლება, რასაც ახლა განვიცდით, თუ შეუნყოფს ხელს მის ხელმეორედ დაბადებას. იყო დრო, როდესაც ჩვენ, საჰატიმროს შვილები, „ფიდელიოს“ მოზეიმე სიმღერაში ანდა „მეცხრე სიმფონიაში“ გერმანიის განთავისუფლების, მისი თვითგააზატების დაფიონს ვისმენდით. ახლა კი მხოლოდ ეს თუ გვესალბუნება, მხოლოდ ამის გალობა თუ მოგვიოხებს გულს – ცოდვებისათვის შეჩვენებულის გოდება, კაცისა და ღმერთის ღალადისი, რომელიც თუმცა სუბიექტმა წამოიწყო, სულ უფრო და უფრო ფა-

როვდება, ლამის მთელ სამყაროს გადასწვდეს, და ამაზე უფრო საშინელი მოთქმა-ვაება ჯერ არ გახშიანებულა დედამიწაზე.

გოდება, გოდება! *De profundis**, რომელსაც მე, ადრიანის მოყვარული და თაყვანისმცემელი, უმაგალითოს ვუწოდებ. მაგრამ განა შემოქმედებითი და მუსიკალურ-ისტორიული თვალსაზრისით, აგრეთვე პირადი სრულყოფილების მიხედვითაც აქ მოზეიმე, ძლევამოსილი კავშირი არ გამოსჭევივის სამაგიეროს ზღვისა და მონანიების ყრუანტილის მომგვრელ უნართან? ხომ არ ნიშნავს ეს იმ „წინ გაჭრას“, რომელზეც ხშირად ვმსჯელობდით ხოლმე ჩვენ, როგორც პრობლემაზე, როგორც პარადოქსულ შესაძლებლობაზე, როდესაც ხელოვნების ბედზე, მის ამყამინდელ მდგომარეობაზე ვლაპარაკობდით, – დაკარგულის ხელახლა მოპოვება, – არ წინდა ვთქვა და სიზუსტისთვის მაინც ცამობო: გამოხატვის რეკონსტრუქცია, გრძნობის უმაღლესი და უღრმესი ამოძახილი განსულიერებულობისა და ფორმის სიმკაცრის ისეთ საფეხურზე, რომელიც უნდა მიღწეულიყო, რათა ცივი ანგარიშიანობა სულის ექსპრესიულ ძახილად, ხოლო ჩვეულებრივი ადამიანური გულის გადაშლა დიად ქმედებად გადაქცეულიყო?

მე კითხვების ფორმით ვაყალიბებ იმას, რაც სხვა არა არის რა, თუ არა ფაქტის აღწერა, რომელიც აიხსნება ნაწარმოების როგორც შინაარსით, ისევე მხატვრული ფორმით. ეს გოდება – სახელდობრ, აქ ადამიანის მარადიულ, ამოურწყავი სიმწრით დაჟუხტულ გოდებას, *ecce homo*-ზე მტკივნეულზე მტკივნეულ მითითებას ეხება საქმე – ეს გოდება გამოხატულებაა თავად, თამამად შეიძლება ითქვას, რომ ყოველგვარი გამოხატვა არსებითად გოდებაა, ისევე, როგორც მუსიკაც, რამდენადაც თავს გამოხატვად შეიმეცნებს, თავისი უახლესი ისტორიის დასაწყისში გოდებად იქცევა და „*Lasciatemi morire*“^{**}-დ, არიადნეს მოთქმად და ნიმფების ჩივილით აღსავსე ხმადაბალ მოძახილად. ამაოდ როდია ფაუსტუსის კანტატა სტილით ესოდენ მჭიდროდ და უტყუარად დაკავშირებული მონტევერდისა და მეჩვიდმეტე საუკუნესთან, როდესაც მუსიკა – ასევე ამაოდ როდი – ზოგჯერ ლამის მანერულობამდე ეტანებოდა გამოძახილის ეფექტს: ექო, ბუნების ხმა, რომელიც ადამიანის ხმას ეპასუხება, და ამხელს მას როგორც ბუნებრივ ბგერას, არსებითად ჩივილია, კაემნიანი „აჰ, ჰო!“-ბ ბუნებისა ადამიანზე და ადამიანის მარტოობის

^{*}ძახილი ქვესკნელიდან (ლათ.).

^{**}„გამიშვიტ მოვკვდე“ (იტალ.).

მაცდური დემონსტრირება, — ისევე როგორც, თავის მხრივ, ნიშნების სანყალობელი გალობა, პირიქით, ექოს ენათესავენა. ლევერკიუნის უკანასკნელსა და უდიადეს ქმნილებაში ექო — ბაროკოს ეს საყვარელი ხერხი — ხშირად ენით უთქმელი კაეშნით გამოიყენება.

ისეთი ტიტანური გოდება, როგორც ეს გახლავთ, ვამბობ მე, შინაგანი აუცილებლობის გამო ექსპრესიული ქმნილებაა, გამომხატველი ნაწარმოებია და ამიტომაც გამათავისუფლებელ ნაწარმოებადაც გვევლინება, მსგავსად უწინდელი მუსიკისა, რომელსაც საუკუნეების მიღმა ეხმიანება „დოქტორი ფაუსტუსის გოდება“ და რომელიც ასევე ლამობდა გამოსახვის თავისუფლება მოეპოვებინა. ოღონდ ეს დიალექტიკური პროცესი, რის შედეგადაც განვითარების იმ საფეხურზე, რაზეც ეს ნაწარმოები დგას, უმკაცრესი შებოჭილობა აფექტის ლად ენად იქცევა, შებოჭილობიდან თავისუფლება იშვება, აქ თავისი ლოგიკით უსაზღვროდ რთულია, უსაზღვროდ გამოგნებელ-განსაცვიფრებელია, ვიდრე მადრიგალისტების ეპოქაში. აქ მე მინდა მკითხველს ჩემი საუბარი შევახსენო ადრიანთან იმ ახლა უკვე შორეულ დღეს, მისი დის ქორნილის დღეს, ბუხელში „ძროხის ვარცლის“ გაყოლებით რომ ვსეირნობდით და ის, თავის ტკივილისაგან შეწუნებული, „მკაცრი სტილის“ მისეულ იდეას მისაბუთებდა იმის მაგალითზე, რომ სიმღერაში — „ო, საყვარელო, რა ავი ხარ“ — მელოდია და ჰარმონია მთლიანად განისაზღვრება ხუთბგერიანი ძირითადი მოტივის სახეცვლილებით, *hee es* — ბგერათა სიმბოლური შეხამებით. მაშინ მუსიკალური სტილის ან ტექნიკის „მაგიურ კვადრატზე“ მიმითითა, რომელიც ერთსა და იმავე მასალიდან ბგერათა მაქსიმალურად მრავალფეროვან კომბინაციებს ქმნის. ასე რომ, არათემატური აღარა რჩება რა — არაფერი ისეთი, რაც ისევ და ისევ ერთისა და იმავეს ვარიაცია არ იქნებოდა. ეს სტილი, ეს ტექნიკა, როგორც ადრიანი მიმტკიცებდა, ვერც ერთ ისეთ ბგერას ვერ ითმენს, რომელსაც მთლიან კონსტრუქციაში თავისი სამოტივო ფუნქცია არ ექნება დაკისრებული — აქ არც ერთი თავისუფალი ნოტი აღარ მოიძეება.

ჰოდა, განა მე არ აღვნიშნე, როდესაც ლევერკიუნის აპოკალიფსურ ორატორიას აღვწერდი, სუბსტანციური იგივეობა უსათნოესსა და უსაზიზღრესს შორის, შინაგანი ერთგვარობა ბავშვთა გუნდის მიერ შესრულებულ ანგელოზთა გალობისა და ჯოჯოხეთური ხარხარისა? აქ — იმისდა თავზარდასაცემად, ვინც ამას შეამჩნევს — განხორციელებულია შემადრწუნებლად რაციონალისტური ფორმის

უტოპია, რაც ფაუსტუსის კანტატაში უნივერსალობას იძენს, მთელ ნაწარმოებს მოიცავს და, თუ შეიძლება ასე ითქვას, პირწმინდად თემის კერძი ხდება. ეს ბუმბერაზული „Lamento“* (იგი საათსა და თხუთმეტ წუთს გრძელდება), კაცმა რომ თქვას, სრულიად არა დინამიურია, მოკლებულია კულმინაციას, დრამატიზმს, – წყალში ჩაგდებული ქვის მიერ აღძრული კონცენტრირებული წრეების მსგავსად, რომლებიც სულ უფრო და უფრო განზე იშლებიან ერთიმეორის მიყოლებით და რაიმე შეხლა-შემოხლის გარეშე კვლავ წრეებად რჩებიან. გოდების გრანდიოზულ ვარიაციათა ნაწარმოები – როგორც ასეთი, „მეცხრე სიმფონიის“ ფინალთან ნეგატიურად მონათესავე, სადაც ზეიმის ვარიაციებია – რგოლებად იშლება, ერთი რგოლი დაუოკებლად ეწევა მეორეს და ნაწილები – დიდრონი ვარიაციები წარმოიქმნება, რომლებიც წიგნის ტექსტის დამთავრებულ მონაკვეთებს შეესატყვისებიან და თავადაც სხვას არაფერს არ შეიცავენ, თუ არა ვარიაციათა წყებას. მაგრამ ყველანი ერთად ამოდიან, როგორც თემიდან ბგერათა ძირითადი შეხამებიდან, ტექსტის ერთი გარკვეული ადგილით რომ არის შთაგონებული.

ყველას ახსოვს, რასაკვირველია, ძველ ხალხურ წიგნში, დიადი მაგიკოსის ცხოვრებასა და სიკვდილს რომ მოგვითხრობს და მისი ნაწყვეტები ლევერკიუნმა ოსტატურად რომ მოარგო კანტატის ცალკეულ ნაწილებს, დოქტორი ფაუსტუსი, როდესაც მისი სიკვდილის ჟამი მოატანს, მოუხმობს თავის მეგობრებსა და ადეპტებს, „მაგისტრებს“, ბაკალავრებსა და მავან-მავან სტუდენტებს, სოფელ რიმლიჰში, ვიტენბერგის მახლობლად, მთელი დღე გულუხვად უმასპინძლდება, შელამებულზე კი კიდევ ერთ გამოსათხოვარ სადღეგრძელოს სვამს მათთან ერთად და მერე, დათრგუნვილი, მაგრამ ღირსებით აღსავსე, ამცნობს დამსწრეთ თავის ხვედრს, სახელდობრ იმას, რომ სადაც არის მისი აღსასრულის ჟამი უნდა დადგეს. ამ „Oratio Fausti ad studiosos“**-ში სთხოვს მათ, როდესაც მკვდარსა და გაგუდულს მიპოვით, მაღლი ქენით და ჩემი გვამი მიწას მიაბარეთ, ვინაიდან ვკვდები ცუდი და კეთილი ქრისტიანიო. კეთილი იმიტომ, რომ ვინაიებ და კიდევ იმიტომ, რომ გულში კვლავ შეწყალებასა და სულის ხსნას ვიმედოვნებ, ცუდი კი იმიტომ, რომ ვიცი, საშინელი ბოლო მომელის, ეშმაკს სურს ჩემს გვამს დაეუფლოს და ალბათ დაეუფლება კიდევო. ეს სიტყვები: „ვკვდები ცუდი და კეთილი

*ჩივილი, მოთქმა, გოდება (იტალი).

**„ფაუსტუსის სიტყვა სტუდენტთა წინაშე“ (ლათ).

ქრისტიანი“ — შეადგენენ მთავარ თემას ვარიაციების კანტატისა. თუ ამ ფრაზის მარცვლებს დავითვლით, თორმეტი აღმოჩნდება და მათ ქრომატული სკალის თორმეტივე ბგერა შეესაბამება და გამოყენებულია ყველა შესაძლებელი ინტერვალი. ეს ყოველივე მუსიკალურად უკვე არსებობს და მოქმედებს, ვიდრე გუნდი ტექსტობრივად შეასრულებდეს სოლოს ადგილას (“ფაუსტუსში” სოლო პარტიები არ მოიპოვება), შუამდე როგორც მოქცევა, ხოლო შემდეგ კი — როგორც მიქცევა, მონტევერდის „Lamento“-ს ყაიდასა და კილოზე. იგი საფუძვლად უდევს ყოველივეს, რაც აქ ჟღერს — ან უკეთ: თითქმის ტონალობასავით იგრძნობა ყოველივეს მიღმა და ფორმათა უშქარ სიმრავლეში იდენტურობა შეაქვს, ის იდენტურობა, რაც „აპოკალიფსის“ ანგელოზთა ბროლივით წკრიალა გუნდსა და ჯოჯოხეთურ ღრიალში მეუფებს, ხოლო აქ კი ყოველისმომცველი ხდება — უკიდურესად მკაცრი ფორმის ჩამომყალიბებელ სანყისად იქცევა, რასაც არათემატურის ნატამალიც აღარა სცხია რა, რამიც მასალის მონესრიგება ტოტალურია და მის წიაღში ფუფის იდეას აზრი აღარა აქვს, ვინაიდან ისედაც აღარც ერთი თავისუფალი ნოტი აღარ მოიპოვება, მაგრამ ეს განრიგი ახლა უფრო ამაღლებულ მიზანს ემსახურება, ვინაიდან — ჰოი, სასწაულო და ეშმაკის ანგლობავ! — სწორედ ფორმის აბსოლუტურობის წყალობით მუსიკა, როგორც ენა, თავისუფლდება. უხეშად რომ ვთქვათ, აქ, გარკვეული ბგერით-მატერი-ალური თვალსაზრისით, მუშაობა უკვე მოთავეებულია, ვიდრე კომპოზიცია დაინწყებოდეს, და ახლა მუსიკის თხზვა სრულიად შეუზღუდავად შეიძლება, ანუ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, გამოსახვის საქმეა. ამის შესაძლებლობა კვლავ ჩნდება კონსტრუქციული სანყისის მიღმა ანდა მისი სრული სიმკაცრის წიაღში. „დოქტორ ფაუსტუსის გოდების“ შემოქმედს შეუძლია წინასწარ ორგანიზებული მასალის ფარგლებში დაუბრკოლებლად, უკვე მოცემულ კონსტრუქცი-აზე ზრუნვის გარეშე, იმოქმედოს, სუბიექტურობა გამოავლინოს და ამიტომაც ეს მისი უმკაცრესი ქმნილება უაღრესად გაანგარი-შებული, მაგრამ ამასთანავე ხალასი ექსპრესიული ნაწარმოებია. მონტევერდისა და მისი ეპოქის სტილთან მიბრუნება გახლავთ სწორედ ის, რასაც მე „გამოხატვის რეკონსტრუქცია“ ვუნოდე — გამ-რხატვისა, მისი პირვანდელი, ოდინდელი მნიშვნელობით, გამოხატვისა, როგორც ჩივილისა.

აქ იმ ემანსიპაციური ეპოქის ყველა გამომხატველობითი საშუალებ-ება გამოყენებული, რომელთაგან მე ექვს ეფექტი უკვე დავასახელე,

როგორც განსაკუთრებით შესაფერისი ამ ვარიაციებიანი, გარკვეული თვალსაზრისით უძრავი ქმნილებისათვის, სადაც ყოველი სახეცვლილება არსებითად წინამავალის გამოძახილს წარმოადგენს. აქ უხვად გვხვდება მოძახილის მსგავსი გაგრძელებანი, მოცემული თემის დამამთავრებელი ფრაზის უფრო მაღალ რეგისტრში გამეორებანი. ორფევის მოთქმის ინტონაცია აქა-იქ ოდნავ არის მინიშნებული და ეს ფაუსტსა და ორფევსს ამმოხილბს. ვინაიდან ორივენი აჩრდილთა საუფლოს უკავშირდებიან: იმ ეპიზოდში, როდესაც ფაუსტი ელენეს ეძახის, მას რომ ვაჟიშვილი უნდა გაუჩინოს. ასობით დეტალი მიუთითებს ამ ნაწარმოებში მადრიგალის ჰანგსა და არსს, ხოლო მთელი ერთი ნაწილი კი, ინახად მსხდომ მეგობრებს რომ მიმართავს ფაუსტი უკანასკნელ ლამეს, მადრიგალის ხალასი ფორმით არის დაწერილი.

საერთოდ კი „დოქტორ ფაუსტუსის გოდებაში“ შემაჯამებლად მუსიკის ყველა გამომსახველი საშუალებაა გამოყენებული, თუკი რამ არსებობს, თანაც როგორც მექანიკური მიბაძვა კი არა, ანდა ძველისაკენ ყასიდად უკან დახევა, არამედ შეგნებული დაუფლება-ათვისება გამოსახვის ხერხების მთელი ერთობლიობისა, რაც კი მუსიკას თავისი ისტორიის მანძილზე გამოუმუშავებია. აქ ისინი თითქოსდა დესტილაციის რომელიღაც ალქიმიური პროცესის შედეგად გრძნობის მუსიკალურად გამოხატვის ძირითად ტიპებად იხვეწებიან და კრისტალდებიან. ისეთ სიტყვებთან, როგორიცაა: „აჰ, ფაუსტე, შე თავხედო და უმაქნისო გულის პატრონო, აჰ, აჰ, ჭკუის კოლოფო, დაუდებარო, კადნიერო და თავქეიფავ“..., ღრმა ამოოხვრა ისმის, მრავალგზის გამოიყენება დაყოვნებანი, ოღონდ მხოლოდ და მხოლოდ როგორც რიტმული საშუალებანი, მელოდიური ქრომატიკა, კრთომით აღსავსე საყოველთაო დუმილი ფრაზის დასაწყისში, გამეორებანი, მარცვალთა განელვა, დაღმავალი ინტერვალები, სულ უფრო და უფრო შენელებული დეკლამაცია... კონტრასტებზე აგებულ გრანდიოზულ ეფექტთა შორის, როგორიცაა, ვთქვათ, გუნდის ტრაგიკული შემოსვლა, a cappella და მაქსიმალური ძალით, საორკესტრო პარტიის შემდეგ, რიტმიკის მხრივ ფანტასტიკურად ნაირფერადი დიდებული საბალეტო მუსიკისა და გალოპის შემდეგ, რაც ფაუსტუსის ჯოჯოხეთში ჩასვლას ასახავს, – ჯოჯოხეთურად მხიარულ ორგიას კვლავ გულის გამგმირავი გოდება რომ მოსდევს.

ჯოჯოხეთში წარტყვევნის გააფთრებული ცეკვა-თამაშით გამოხატვის ეს გაუგონარი იდეა სულისკვეთებით ყველაზე უფრო მოგვ-

აგონებს „Apocalipsis cum figuris“-ს, – მასთან ერთად აგრეთვე საზარელი, მე არ ვუფრთხი ამ სიტყვას – ცინიკური საგუნდო სკე-რცო, რომელშიც „ბოროტი სული დაღონებულ ფაუსტს უცნაური ხუმრობითა და მქირდავი სიტყვა-თქმებით აცვივება“ და ამ საშინელ ლექსსაც ეუბნება:

*ამიტომ უხმოდ გაუძელი შენ შენს ტკივილებს
და ნურავისთან ნურასოდეს ნუ დაიჩვილებ.
ან გვიან არის! მორჩა, ღმერთზე აიღე ხელი!
უბედურება შენი წილი დღე-დღეზე გელის!*

სხვა დანარჩენას მხრივ კი ლევერკიუნის გვიანდელ ნაწარმოებს ძალზე ცოტა რამ თუ აქვს საერთო იმასთან, რაც ცოცხალი ნლისამ დაწერა. სტილის მხრივ იგი უფრო დახვეწილია, კილო, მთლიანად აღებული, უფრო მრუმე და პაროდის მოკლებულია, წარსულთან მიმართებაში უფრო კონსერვატიული არ არის, მაგრამ უფრო ფაქი-ზია, მელოდიურია, უფრო კონტრაპუნქტია, ვიდრე პოლიფონია, რითაც იმისი თქმა მინდა, რომ მეორე ხმები, მათი დამოუკიდებლო-ბის მიუხედავად, სწორებას უფრო პირველ ხმაზე იღებენ, რომელიც ხშირად ვრცელ მელოდიურ წრეებს ხაზავს და რომლის მარცვალიც, რისგანაც ყველაფერი ვითარდება, სწორედ თორმეტხმოვანი „ეკვდები ცუდი და კეთილი ქრისტიანი“ გახლავთ. მე წინამასწარად უკვე ნათქვამი მაქვს, რომ „ფაუსტუსში“ მელოდიკასა და ჰარმონიას ძალიან ხშირად განაგებს პირველად ჩემს მიერ აღმოჩენილი ასოთა სიმბოლო – heae es, Hetaera esmeralda, სახელდობრ, თითქმის ყვე-ლგან, სადაც კი ლაპარაკი ხელწერილსა და შეთანხმებაზე, სისხლით განმტკიცებულ ხელშეკრულებაზე ჩამოვარდება ხოლმე.

„აპოკალიფსისაგან“ ფაუსტუსის კანტატა უწინარეს ყოვლისა გამოირჩევა დიდი საორკესტრო ინტერმედიებით, რომლებიც ზოგჯერ მხოლოდ ზოგადად მიუთითებენ, რა მიმართებაშია ნა-წარმოები თავის საგანთან, თითქოს ამბობდნენ: – ასეა, ასეაო. ხოლო ზოგჯერ კი, როგორც, მაგალითად, ჟრუანტელის მომგვრელი საბალეტო მუსიკა, – მოქმედების შემადგენელ ნაწი-ლად გვევლინებიან. ეს შემზარავი როკვა დაინსტრუმენტებულია მხოლოდ სასულე საკრავებით და მუდმივად თანმხლები ჯგუფით, რომელიც შედგება ორი არფისა, კლავესინისა, როიალისა, ჩელეს-ტასა, გლოკენშპილისა და სხვა დასარტყამი საკრავებისაგან, – ეს

თანმსლები სისტემა ხან ქრება, ხან ისევ ჩნდება და მთელ ნაწარმოებს მსჭვალავს, როგორც თავისუბური continuo*. ცალკეულ საგუნდო ეპიზოდებს მარტოოდენ ეს ჯგუფი ახლავს, სხვებთან მას სასულე ან სიმებიანი საკრავები ერთვის, ზოგიერთთან კი მთელი ორკესტრია მსლებლად. ფინალი წმინდა წყლის საორკესტრო ნაწილია, სიმფონიური ადაჯო, რომელშიც ჯოჯოხეთური გალოპის შემდეგ დაწყებული გუნდის ღაღადისი თანდათანობით გადადის – ეს თითქოსდა „სიხარულის სიმღერის“ შებრუნებული გზაა, კონგენიალური ნეგატივია სიმფონიის გადაზრდისა ვოკალურ ზეიმში, ეს აღკვეთაა...

ჩემი საბრალო დიადი მეგობარი! რაოდენ ხშირად ვიგონებ მისი მემკვიდრეობის შესწავლისას, მისი უკანასკნელი ნაწარმოების კითხვისას, შიგ წინასწარმეტყველურად რომ განჭვრეტს ამდენი რამის დალუბვას, მის მიერ მომაკვდავი ბავშვის გამო ჩემთვის ნათქვამ მტკივნეულ სიტყვებს: სიკეთე არ უნდა იყოს, სიხარული და სასოება არ უნდა იყოს, აღკვეთილ იქნება, მე აღვკვეთავო!

„აჰ, ეს არ უნდა იყოს“ – თითქმის როგორც მუსიკალური მითითება თუ ინსტრუქცია განაგებს ეს სიტყვები „დოქტორ ფაუსტუსის გოდებს“ საგუნდო და საინსტრუმენტო პარტიებს, რარიგ იგრძნობა იგი „ამ გლოვის სიმღერის“ ყოველ ტაქტსა და ჰანგში! უეჭველია, კანტატა ავტორმა დაწერა ბეთჰოვენის „მეცხრე სიმფონიის“ ანტიპოდად, ამ სიტყვის ყველაზე სავალალო მნიშვნელობით. მაგრამ აქ საქმე მარტო ის კი არ არის, რომ ფორმალურად იგი ნეგატიური ხდება, უარყოფაში გადადის, არამედ აქ რელიგიის ნეგატიურობასთანაც გვაქვს საქმე. ამითი მე იმის თქმა კი არა მსურს: მის უარყოფასთან-მეთქი. ნაწარმოები, რომელიც ეხება მაცდურ სულს, განდგომასა და შეჩვენებას, სხვა რა შეიძლება იყოს თუ არა რელიგიური ნაწარმოები! ის, რასაც მე ვგულისხმობ, გახლავთ რელიგიური აზრის ნაღმა-უკულმა შებრუნება, მკვახედ და ამაყად შეტრიალება, რასაც მე, მაგალითად, დოქტორ ფაუსტუსის „მეგობრულ თხოვნაში“ მაინც ვხედავ, რითაც თავის ამფსონებს მიმართავს აღსასრულის ჟამს: დაწეით, არ ხეიწად და იძინეთ და ნურას ინალვლითო. ძნელია კაცმა ვერ შენიშნო კანტატის ფარგლებში, რომ ეს თხოვნა წარმოადგენს შეგნებულ, წინასწარ განზრახულ ანტითეზისს გეთსიმანიის ბალში ნათქვამთან: „იფხიზლეთ ჩემთან ერთად!“ მომაკვდავის ვახშმობასაც მეგობრებთან აშკარად რიტუალის ხასიათი აქვს და აქ მოცემულია მეორე საიდუმლო სერობასავით. მაგრამ ამასთან

**შეუჩერებლივ, შეუნყვეტლად; აქ: განუწყვეტელი მოძრაობა (იტალ.).*

დაკავშირებულია ცდუნების იდეის ისეთნაირად შებრუნება, რომ ფაუსტი ხსნის, გადარჩენის აზრს უკუაგდება, როგორც ცდუნებას, არა მხოლოდ იმიტომ, რომ ფორმალურად ერთგული რჩება ხელშეკრულებისა, და არა იმიტომ, რომ „ერთობ გვიან არის“, არამედ იმის გამო, რომ მთელი არსებით სძულს პოზიტივიზმი და ცრუ ღვთისმოსაობა იმ მსოფლიოსი, რომლისთვისაც სურთ გადაარჩინონ. ეს ყოველივე კიდევ უფრო ნათელი ხდება, კიდევ უფრო მკაფიოდ არის გამოკვეთილი ფაუსტის მეზობელთან, მოხუც ექიმთან, გათამაშებულ სცენაში, როდესაც ეს კეთილი კაცი თავისთან მიიწვევს ფაუსტს და სურს მაღლი მოისხას, კვლავ საწმენოებისაკენ მოაქციოს. კანტატაში მოხუცი ექიმი სრულიად გასაგები ჩანაფიქრის გამო მაცდურ სულად არის გამოყვანილი. აუცილებლად გაგონდებათ იესოს ცდუნება სატანის მიერ, მისი „განვედ!“ – ცრუ და პირმოთენ ღვთისმოსაობის მიმართ ნათქვამი ამაყი და სასომიხდილი „არას!“ გვერდით.

მაგრამ აზრის კიდევ ერთი სხვა, უკანასკნელი, ჭეშმარიტად უკანასკნელი შეტრიალება უნდა გავიხსენო, თანაც მთელი სულითა და გულით, რასაც ამ უსასრულო გოდების, რასაც ამ ნაწარმოების ბოლოში ვხვდებით; იგი გრძნობებს გვიფორიაქებს ჩუმი მეტყველებით, რომელიც გონებაზე მაღლა დგას, მეტყველი უთქმელობით, რაიც მარტოოდენ მუსიკას ხელენიფების. მე ვგულისხმობ კანტატის საორკესტრო ფინალს, შიგ გუნდი რომ უჩინარდება და ღმერთის ღალადისივით რომ ჟღერს, გულგასენილი შემოქმედის მოთქმასავით მის მიერ შექმნილი სამყაროს დაღუპვის გამო: – ეს როდი მსურდაო! მე მიმანია, რომ აქ, ფინალში, გლოვის უკიდურესი აქცენტებია მიგნებული, ყოველგვარ სამანს გადაცილებული სასონარკვეთილება თავის გამოხატულებას პოვებს და... არ მინდა ამის თქმა, რათა არ შევლახო ადრიანის ქმნილების უკომპრომისობა, არ შეურაცხვეყო მისი უსაშველო გულის ტკივილი, თორემ ვიტყოდი, რომ მის ყოველ ნოტს სულ სხვა ნუგეში მოაქვს, ვიდრე ის არის, რაც თავად გამოხატვასა და გახმიანებაშია მოცემული, ესე იგი იმაში, რომ ცოცხალ არსებას ხმა თავისი ტკივილის გამოსახატავად აქვს მომადლებული. არა, ეს პირქუში მუსიკალური პოემა ბოლომდე გამორიცხავს რაიმე ნუგეშს, შერიგებას, გაცისკროვნებას. მაგრამ განა ამავე დროს ხელოვნების პარადოქსს, იმას, რომ ტოტალური კონსტრუქციულობიდან გამოხატულება – გამოხატულება, როგორც ჩივილი – იბადება, რელიგიური პარადოქსი არ შეესატყ-

ვისება — ესე იგი უნუგეშობაში რომ იმედის, თუნდაც როგორც ყველაზე გაუბედავი შეკითხვის, დვრიტა ჩნდება? ეს უკვე იმედია უიმედობის მიღმა, სასონარკვეთილების ტრანსცენდენციაა, მისი ღალატი კი არ არის, არამედ სასწაულია, რომელიც რწმენაზე მაღლა დგას. თქვენ მარტო ფინალი მოისმინეთ, ჩემთან ერთად მოისმინეთ: საკრავთა ჯგუფები ერთიმეორის მიყოლებით ყუჩდებიან და ის, რაც რჩება, გახლავთ ვიოლონჩელის მაღალი „სოლი“, ამითი სრულდება კანტატა, ესაა უკანასკნელი სიტყვა, უკანასკნელი მიმქრალი ბგერა, რომელიც ნელ-ნელა ქრება პიანისიმო-ფერმატაში. მერმე აღარაფერია — მდუმარება და ღამეა. მაგრამ წკრიალა ნოტი ამ დუმილში რომ გამოკიდულა, უკვე გახშიანებული და აღარ არსებული, რომელსაც მხოლოდ სულიდა აყურადებს და რომელიც გლოვის ეპილოგი გახლდათ, უკვე ის აღარ არის, აზრს იცვლის და ღამპარივით ანთია ღამეში.

XLVII

„იფხიზლეთ ჩემთან ერთად!“ — ადრიანს დიახაც სურდა თავის ნაწარმოებში ეს ღმერთკაცის შეჭირვების გამოშხატველი სიტყვები მარტოხელა, უფრო მამაცი და ამაყი სულის სიტყვებად ექცია და თავის ფაუსტუსს ათქმევინა: — არხეინად დაიძინეთ და ნურას ინაღვლითო! — მაგრამ ღრმად ადამიანური ეს ფრაზაც დარჩა, აქაც გამოსჭვივის ინსტინქტური მოთხოვნილება თანამდგომთა შორის ყოფნისა თუ არა, თანამსგავსთა შორის ყოფნისა მაინც, — თხოვნა: — ნუ მიმატოვებთ! ჩემთან იყავით ჩემი აღსასრულის ჟამსაო!

ამიტომაც, როდესაც 1930 წლის პირველი ნახევარი თითქმის გასული გახლდათ, მაისის თვეში, ლევერკიუნმა წვეულება გამართა პუბლიცისტიკაში, ყველა მეგობარი და ნაცნობი დაპატიჟა, აგრეთვე ზოგიერთი მისთვის ნაკლებად ნაცნობიც ანდა პირადად სულაც უცნობი პიროვნებაც, დაახლოებით ოცდაათი კაცი, ნაწილობრივ ღია საფოსტო ბარათებით, ნაწილობრივ ჩემი მეშვეობით, ცალკეულ შემთხვევებში კი ადრიანი მოწვეულთ სთხოვდა სხვისთვისაც გადაეცათ მიპატიჟება. იყვნენ ისეთებიც, რომლებიც პროფესიული ცნობისმოყვარეობის გამო თავად იხვეწებოდნენ, ესე იგი მე ან ადრიანის ნაცნობ-მეგობართა ვინრო წრის სხვა რომელიმე წევრს სთხოვდნენ, მისთვისაც უზრუნველყოთ მიწვევა. ვინაიდან ღია ბარათებში ადრიანი

იუნჯებოდა, რომ კეთილგანწყობილ მეგობართა წრეში სურდა თავისი ახალი, ეს-ეს არის დამთავრებული საგუნდო და სიმფონიური ნაწარმოებიდან ყველაზე დამახასიათებელი ადგილები შეესრულებინა როიალზე, რათა დამსწრეთათვის ამით გარკვეული წარმოდგენა შეექმნა. ახალი ნაწარმოების მოსმენა კი ბევრ ისეთ პიროვნებას აინტერესებდა, ვისი მოწვევაც ადრიანს აზრადაც არ მოსვლია, როგორც, მაგალითად, მსახიობ ტანია ორლანდასა და ტენორ ბატონ ჩუიელუნდისა, რომელთაც შლაგინჰაუფენთა მეშვეობით დააპატიჟებინეს თავი, და ალბათ გამომცემელი რადბრუხისა და მისი ცოლისაც, რომელთაც შილდენაპი გამოიყენეს შუამავლად. სხვათა შორის ადრიანმა პირადად მისწერა და თავისთან მიიწვია ბაპტისტი შპენგლერიც, თუმცა იგი უკვე თვენახევრის მკვდარი იყო და ჩემს მეგობარს, კაცმა რომ თქვას, უნდა სცოდნოდა. ეს გონებამახვილი კაცი, სულ ბევრი, ორმოცდახუთი წლისა თუ იქნებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ავადმყოფმა გულმა უმტყუნა.

გამოგიტყდებით, ეს ნამოწყება მაინცდამაინც არ მეპრიანებოდა. თუ რატომ, ამის თქმა მიჭირს. ამდენი მისგან მეტწილად შინაგანადაც და გარეგნულადაც შორს მდგომი ადამიანის თავმოყრა თავის განმარტოებულ სამყოფელში, თანაც იმ საბაბით, რომ უნდა ზიარებოდნენ მის ქმნილებათა შორის ყველაზე განყენებულ ნაწარმოებს, არსებითად ადრიანისთვის საჩოთიროდ მიმაჩნდა. მე იმდენად საკუთრივ ფაქტი კი არ მაშფოთებდა, რამდენადაც ის, რომ ჩემი მეგობრისაგან ასეთი რამ სრულიად მოულოდნელი რამ გახლდათ. ისე კი, თავად ფაქტიც არ მეპიტნავებოდა, სახელდობრ, რა მიზეზის გამო, მე ვფიქრობ, ეს ადრეც მივანიშნე მკითხველს. მე მუდამ მისი მარტოდ ყოფნა მერჩია, გული მშვიდად მქონდა, როცა ვიცოდი, რომ მარტო იყო თავის სავანეში, რომ მხოლოდ მის მიმართ კეთილად განწყობილ, კრძალვითა და პატივისცემით გამსჭვალულ შვაიგეშტილებსა და მათ ჯალაბს ხვდებოდა, ხოლო ჩვენგან — სულ რამდენიმეს: შილდენაპს, ჩვენს საყვარელ ჟანეტს, მე და ადრიანის თაყვანისმცემელ ქალებს — როზენშტილსა და ნეკედის, ახლა კი ქრელი და მასთან შეუჩვეველი ბრბოს თვალთა წინაშე უნდა წარმდგარიყო, ხალხმრავალ საზოგადოებას გადაჩვეული. მაგრამ სხვა რაღა დამრჩენოდა, თუ არა მეც ხელი შემეწყო მის მიერ ნამოწყებულ და უკვე საკმაოდ წინ წანულ საქმეში, შემესრულებინა მისი მითითებანი და ტელეფონით შემეტყობინებინა პფაიფე-

რინგში მიჰატიყებულთათვის? უარს არავინ ამბობდა, პირიქით, როგორც მოგასხენეთ, დამატებით სხვებიც ითხოვდნენ: ჩამოსვლის ნება მათთვისაც დაერთოთ.

მე არათუ უხალისოდ შევეყურებდი ამ ღონისძიებას, არამედ მეტსაც გეტყვით: ერთხანს ცდუნებამაც ამიტანა პირადად მე განზე დამეჭირა თავი, მაგრამ ამას წინ გადაეღობა ზრუნვა და დარდი მეგობრის გამო, მოვალეობის გრძნობა იმ გაგებით, რომ მსიამოვნებდა თუ არ მსიამოვნებდა, აუცილებლად იქ უნდა ვყოფილიყავი და ყველაფრისთვის თვალყური მედევენებინა. ჰოდა, იმ შაბათს, ნაშუადღევს, ჰელენესთან ერთად ჩავედი მიუნჰენში, სადაც ვალდს-ჰუტ-გარმიშის სამგზავრო მატარებელში ჩავსხედით. ჩვენთან ერთად კუბეში იყვნენ შილდკნაპი, ჟანეტ შოირლი და კუნიგუნდე როზენშტილ. დანარჩენი სტუმრები სხვა ვაგონებში ისხდნენ, გარდა მოხუცი შლაგინჰაუფენისა, შვაბურად რომ უქტევედა ხოლმე და უკვე პენსიაზე იყო გადასული, და მისი მეუღლისა, დაბადებით ფონ პლაუზიგისა, რომლებიც მეგობარ მომღერლებთან ერთად საკუთარი ავტომობილით გამოემგზავრნენ. ავტომობილი უფრო ადრე ჩავიდა და პვაიფერინგში კარგი სამსახურიც გაგვინია: რკინიგზის პატარა სადგურსა და შვაიგეშტილების კარ-მიდამოს შორის მიმოდოდა და ადრიანის სავანეში ჯგუფ-ჯგუფად ის სტუმრები მოჰყავდა, რომელთაც ამ მანძილის ფეხით დაფარვა არ ისურვეს (ისევ კარგი ამინდი იდგა, თუმცა ჰორიზონტზე ელჭექის ნიშნები ჩანდა და ყრუ ქუხილიც მოისმოდა). სადგურიდან სტუმრების მოყვანაზე არავის არ ეზრუნა. ფრაუ შვაიგეშტილმა, რომელიც ჰელენემ და მე სამზარეულოში მოვინახულეთ, — აქ ის კლემენტინეს დახმარებით სახელდახელო საუზმეს ამზადებდა ამდენი ხალხისთვის: ყავას, ბუტერბროდებს და ცივ ვაშლის ნვენს, — დაბნეულმა განგვიმარტა: ადრიანს სიტყვაც არ უთქვამს, ასეთი შემოსევა თუ გველოდაო.

ამასობაში გარეთ გააფთრებით იყეფებოდა ბებერი ზუზო ანუ კაშპერლი, თან გამძვინვარებული დახტოდა საძაღლის წინ და ჯაჭვს აჩხარუნებდა. მხოლოდ მაშინლა დაწყნარდა, როცა სტუმართა მიმოსვლა შეწყდა და ყველამ ნიკეს დარბაზში მოიყარა თავი, სადაც მოახლემ და მოჯამაგირემ, რაც კი რამ სკამი ეგულებოდათ ოჯახში, მოზიდეს, ზედა საძილე ოთახებიდანაც კი ჩამოიტანეს. უკვე დასახელებულთა გარდა, დამსწრეთაგან ზოგიერთს ალაღბედზე მოვიხსენიებ, ვინც გამახსენდება: მდიდარ ბულინგერს, მხატვარ ლეო

ცინკს, რომელიც, კაცმა რომ თქვას, არც ადრიანს და არც მე გულზე არ გვეხატა, მაგრამ იგი ჩემს მეგობარს განსვენებულ შპენგლერთან ერთად მოენვია, ჰელმუტ ინსტიტორის, რომელიც დაქვრივებულივით იყო, მკაფიო არტიკულაციის მქონე დოქტორ კრანიჰს, ფრაუ ბინდერ-მაიორეს კუს, ცოლ-ქმარ კნოტერიჰებს, უკბილოდ მოქილიკე პორტრეტისტ ნოტებომს ცოლითურთ, რომლებიც ინსტიტორისმა ჩამოიყვანა. ამათ უნდა დავუმატოთ სიქსტუს კრიდვისი და, მასთან რომ იმართებოდა ხოლმე, იმ სჯა-ბაასის მუდმივი მონაწილეები, სახელდობრ, დედამინის ქანების მკვლევარი დოქტორი უნრუე, პროფესორები ფოგლერი და ჰოლცშუერი, პოეტი ცურ ჰოე, დახურულ შავ სერთუკში გამოწყობილი, და ჩემდა გასაგულსებლად – აყვია ხაიმ ბრაიზახერიც კი. საკუთრივ მუსიკოსები, ოპერის მომღერლებთან ერთად, წარმოდგენილი იყვნენ ფერდინანდ ედშმიტით, ცააფენშტოაერ-ორკესტრის დირიჟორით. დიდად გამოოცა, და თანაც მარტო მე კი არა, რომ აქ გამოცხადდა ბარონი გლაიჰენ-რუს-ვურმიც, რომელიც – როგორც მე ვიცი – თავის ამბის შემდეგ პირველად გამოჩნდა საზოგადოებაში თავის ხორცსავსე, მაგრამ მოხდენილ ავსტრიელ მეუღლესთან ერთად. აღმოჩნდა, რომ ადრიანს ჯერ კიდევ ერთი კვირის წინ გაეგზავნა მონვევა მისთვის ციხე-კოშკში და, როგორც ჩანს, შილერის ესოდენ უცნაურად შერცხვენილ შვილოშვილს გაუხარდა, რომ შემთხვევა მიეცა კვლავ გარეუღიყო მარაქაში.

ჰოდა, სტუმრები, როგორც გითხარით, დაახლოებით ოცდაათი კაცი, დგანან გლეხურ დარბაზში, იცდიან, ერთმანეთს ეცნობიან, ცნობისმოყვარე რეპლიკებს ესვრიან ერთიმეორეს. მე ვხედავ რიუდიგერ შილდენაჰს, თავის განუყრელ სპორტულ კოსტუმში გამონწყობილს, ქალებით გარშემორტყმულს, რომლებიც აქ ბევრნი იყვნენ; მესმის მომღერალთა კეთილხმოვანი, დანარჩენთაგან გამორჩეული ხმები, ასთმიანი დოქტორ კრანიჰის გონივრულად დანანვერებული მეტყველება, ბულინგერის ბაქიბუქი, აგრეთვე როგორ ირწმუნება კრიდვისი, რომ ეს შეხვედრა, და რასაც ის გვპირდება, „არაჩვეულებრივად მნიშვნელოვანია“, და ფანატიკური გატაცებითა და ფეხის ბაკუნით როგორ უკრავს მას კვერს ცურ ჰოე: – დიახაც, დიახაც, შეიძლება ეს ითქვასო! გლაიჰენის მეუღლე ხან ვისთან ჩერდებოდა და ხან ვისთან, თანაგრძნობას ეძიებდა აბსურდული მარცხის გამო, რომელიც მისმა ქმარმა და მან განიცადეს. „თქვენ ალბათ უწყით, რა einu!*-ც შეგვემთხვა“, – კვლავ და კვლავ იმეორებდა

*აქ: უსიამო ინციდენტი (ფრანგ.).

ის. მე თავიდანვე ერთი რამ შევნიშნე: ძალიან ბევრმა ვერც კი აღიქვა, რომ ადრიანი დიდი ხანია უკვე ოთახში იყო და ისე მასლათობდნენ, თითქოს მის მოლოდინში იყვნენ, მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ ველარ სცნობდნენ, ფანჯრებთან ზურგშექცევით იჯდა შუა დარბაზში, ჩვეულებრივ ჩაცმული, როგორც ყოველთვის ბოლო ხანებში, იმ მძიმე ოვალურ მაგიდასთან, რომელსაც ოდესღაც ჩვენ საულ ფიტელბერგთან ერთად ვუსხედით. სტუმართაგან ზოგი შეკითხვობდა კიდევ: — აი ის ბატონი, მაგიდას რომ უზის, ვინ გახლავთო და ჩემს თავდაპირველად გაკვირვებულ პასუხზე ერთბაშად გონს მოსულები ჩაილაპარაკებდნენ ხოლმე: — აჰ, დიას, დიასო! — და ჩქარობდნენ მასპინძელს მისალმებოდნენ. რარივ უნდა გამოცვლილიყო ადრიანი ჩემს თვალსა და ხელს შუა, რომ ასეთი რამ შესაძლებელი გამხდარიყო! რასაკვირველია, დიდი წვლილი მიუძღოდა ამაში წვერ-ულვაშს, და მეც ამას ვეუბნებოდი იმათ, ვისაც ვერა და ვერ დაეჯერებინა, რომ ეს ადრიანი იყო. ჩემი მეგობრის სკამის გვერდით კარგა ხანი გუშაგივით გაჭიმული იდგა ბალნიანი როზენშტილი და სწორედ ამ მიზეზის გამო მეტა ნეკედი რაც შეიძლებოდა შორს, დარბაზის ერთ-ერთ კუთხეში მიყუჟულიყო. ოღონდ ეს კია: კუნიგუნდემ ბოლოს მანინც იმდენი ლოიალობა გამოიჩინა, რომ საპატიო ადგილი დაცალა, რომელიც დაუყოვნებლივ ადრიანის მეორე თავყვანისმცემელმა დაიკავა. თავახდილი როიალის პიუპიტრზე „დოქტორი ფაუსტუსის გოდების“ გადაშლილი პარტიტურა იდო.

ვინაიდან ჩემს მეგობარს თვალს არ ვაცილებდი, თვით ამა თუ იმ სტუმართან საუბრისასაც კი, არ გამომჟარვია, როგორ მანიშნა წარბებისა და თავის ოდნავ შესამჩნევი მოძრაობით: დროა შეკრებილთ მოუხმო ადგილი დაიკავონო. მეც დაუყოვნებლივ შევასრულე თხოვნა: ახლოს მდგომთ ხმადაბლა ვთხოვე დამსხდარიყვნენ, მოშორებით მყოფებს ვანიშნე და, ასე გასინჯეთ, ტაშიც შემოვკარი, რათა სიჩუმე ჩამომდგარიყო და სტუმართათვის მეუწყებინა: დოქტორ ლევერკიუნს სურს დაიწყოს-მეთქი. ადამიანი გრძნობს, როდესაც სახე უფითრდება; რაღაც უსიცოცხლო სიცივე ედება სახის ნაკვთებზე და ჭირია ოფლის წვეთებიც, შუბლს რომ უნამავს, ხომ ასეთსავე სიცივეს გამოსცემენ. ხელები, რომლებითაც სუსტად, მორიდებით, ტაში შემოვკარი, ისევე მიკანკალებდა, როგორც ამჟამად, როდესაც იმ საშინელი ეპიზოდის მოსათხრობად ვემზადები.

საზოგადოება საკმაოდ სწრაფად განლაგდა, დარბაზში წესრიგი და სიჩუმე გამეფდა. მოხდა ისე, რომ მაგიდას ადრიანთან ერთად მოხუცი შლაგინჰაუფენები, ჟანეტ შოირლი, შილდკნაპი, ჩემი ცოლი და მე ვუსხედით. დანარჩენი სტუმრები კედლების გასწვრივ ჩამწკრივებულიყვნენ ოკრობოკროდ სხვადასხვა ზომისა და ჯურის ავეჯზე: ხის მოხატულ სკამებზე, ცხენის ძუით განწყობილ სავარძლებზე, დივანზე, ხოლო რამდენიმე ბატონი ფეხზე იდგა და კედელს აკვროდა. ყველა ელოდა და მათ შორის მეც, როდის ადგებოდა ადრიანი და როიალს მიუჯდებოდა, მაგრამ ის ადგილიდან არ იძროდა, გულხელდაკრეფილი იჯდა, თავი გვერდზე გადაეხარა, წინ იყურებოდა, ოდნავ ზემოთ, და სამარისებურ სიჩუმეში ცოტათი მონოტონურად და ცოტათი ენის ბორძიკითაც, რაც ბოლო ხანებში დასჩემდა, შეკრებილთ სიტყვით მიმართა — მისასალმებელი სიტყვის მსგავსი რაღაც წამოიწყო, როგორც დასაწყისში მომეჩვენა, და თავდაპირველად ასეთიც იყო. მემძიმება ამისი თქმა, მაგრამ ხშირად უშლებოდა და მეც სიმწრისაგან ხელები მტკივნეულად მეკუმშებოდა. მერე ახლა ცდილობდა დაშვებული შეცდომა გაესწორებინა და ახალი შეცდომა კი მოსდიოდა, რის გამოც მერე და მერე მათ უკვე ყურადღებას აღარ აქცევდა და თავისას განაგრძობდა. ისე კი, მე აგრერიგად მწვავედ არ უნდა განმეცადა ათასნაირი უწესივრობანი მის მეტყველებაში, ვინაიდან ის, როგორც წერილობით უწინაც უყვარდა ხოლმე, ნაწილობრივ ახლაც იყენებდა ძველებურ გერმანულ გამოთქმებს, მათ კი ხშირად ახასიათებთ უწესო ფორმები და დაუხვეწავი სიტყვათწყობა, ვინაიდან არცთუ ისე დიდი ხანია, რაც ჩვენმა ენამ გადალახა ბარბაროსული მდგომარეობა და გრამატიკისა და მართლწერის მეშვეობით სიმწყობრე შეიძინა.

ძალიან ხმადაბლა დაიწყო, დუდუნით. ასე რომ, ძალიან ცოტამ თუ გაიგო მისი მიმართვა, ხოლო თუ გაიგო, ალბათ ახირებულ ხუმრობად თუ მიიჩნია, ვინაიდან დაახლოებით ესა თქვა:

— ღირსნო, განსაკუთრებით კი, ძვირფასნო დანო და ძმანო!

ამის თქმა იყო და ცოტა ხანს ისევ გაჩუმდა, ხელის მტევანი ლოყაზე შემოიჭდო და იდაყვით მაგიდას დაეყრდნო, თითქოს ფიქრობდა, რა ეთქვა. რაც ამას მოჰყვა, ისიც ასევე ხუმტურად და სამხიარულო გამონვევად იქნა აღქმული და თუმცა ამას ეწინააღმდეგებოდა მისი სახის გაქვავებული ნაკვეთები, დაღლილი მზერა და სიფერმკრთაღე, მაინც დარბაზში მაამებლური ქირქილი გაისმა, ზოგმა ჩაიფრუტუნა. ქალებმა გადიკისკისეს.

— პირველ ყოვლისა, — თქვა მან, — მნადს მადლობა გადაგიხადოთ, რომ მადლი მოისხით და მეგობრობა გამოიჩინეთ, ჩემგან დაუმსახურებელი, მუნით აქ მოსვლით, ქვეითად თუ ზეითად, მიწყობ, როგორც კი ჩემი მარტყოფიდან, განდევლის ამ სავანიდან, მოგწერეთ და ჩემთან მოგიხმეთ, ჩემი ერთგული და გულისხმიერი ფამულუსისა და ძმადნაფიცის პირითაც, ვინც ახლაც კი ცხადლივ მაგონებს ჩვენი ყრმობისა და შეგირდობის წლებს, ვისთანაც ერთად პალეშიც ვსწავლობდი, მაგრამ ამის შესახებ და აგრეთვე იმის თაობაზეც, რომ უკვე უმაღლეს სასწავლებელში იჩინა თავი ქედმაღლობამ და საშინელმა ამბებმა, შემდგომ მოგიხსრობთ ჩემს აღსარებაში.

აქ ბევრმა დაცინვით მე გადმომხედა, მე კი, გულაჩუყებულმა, გაღიმებაც ვერ მოვახერხე, რადგან არ მოველოდი, რომ ჩემი ძვირფასი მეგობარი ასე სათუთად მომიხსენიებდა. მაგრამ დამსწრეთა უმრავლესობა სწორედ იმან გაამხიარულა, რომ ჩემს თვალეზში ცრემლი შენიშნეს. უსიამოდ მაგონდება, როგორ მიიტანა ლეოცინკმა თავის ვეება, მუდამ მასხარად რომ იგდებდნენ, იმ ცხვირთან ცხვირსახოცი და ხმამაღლა იხვინა, რათა ჩემი სრულიად აშკარა შეცბუნება ჩემთვისვე გამოეჯავრებინა, და ამანაც ცოტაოდენი სიცილ-კისკისი გამოიწვია. ადრიანი კი ვერაფერს ამჩნევდა.

— ჯერ უნდა, — განაგრძობდა ის, — შებოდიშა თქვენს წინაშე (თან იქვე გამოასწორა და თქვა: „ბოდიში მომეზადა“, მაგრამ მერე ისევ „მეობლიშა“ გაიმეორა) და მეთხოვა სიაუგეში არ ჩამოგვართვათ, რომ ჩვენი ძალღიპი პრესტიჟიარი, — მას, მართალია, ზუზოს ეძახიან, მაგრამ ნამდვილად კი პრესტიჟიარი ჰქვია, — ასე ავია და გამაყრუებელი ყუფითა და ღრიანცელით ზგიკლოთ, თქვენ კი ამდენი ჯაფა დაგადგათ და წინააღმდეგობათა გადალახვა დაგჭირდათ, რომ მე მხლებოდი. უნდა ყოველი თქვენგანი ზემაღალი სიხშირის სასტვენით აღგვეჭურვა, რომელიც მარტო ძალეებს ესმით, რათა შორიდანვე შეეტყო, რომ მხოლოდ კეთილი მეგობრები მოდიოდნენ და არა დაუპატიჟებელი სტუმრები, იმის მოსმენის სურვილით ატანილნი, რაც შეეკმენი, ვადრე ის მდარაჯობდა, — რასაც ვმუშაობდი მოელი ამ წლების განმავლობაში.

სასტვენის გაგონებაზე აქა-იქ ისევ გაისმა თავაზიანი, მაგრამ ამასთანავე გაგონების გამომხატველი სიცილი. ადრიანი კი განაგრძობდა:

— ხოლო ახლა კი მეგობრულად, ქრისტიანულად გეაჯვებით და ნუ მინწყნთ, ნუ გამკიცხავთ, არამედ კარგად გამიგეთ, ვინაიდან დაუძლეველი მოთხოვნილება მაქვს ადამიანურად გამოგიტყდეთ ადამიანებს, კეთილთა და უწყინართ, დაე თუნდაც მთლად უცოდველთ არა, მაგრამ მაინც მხოლოდ ჩვეულებრივად, მხოლოდ გასაძლისად ცოდვილთ, რომელნიც მე ამის გამო გულითა და სულით მძულხართ, მაგრამ ამასთანავე მხურვალედ მშურს თქვენი, რამეთუ ქვიშის საათი მიდგას და მზად უნდა ვიყო, როგორც კი ქვიშის უკანასკნელი მარცვალი გაივლის მის ყელში, ის წამიყვანს, ვისთანაც საკუთარი სისხლით, ეგ ზომ ძვირად, მოვანერე ხელი ხელშეკრულებას, რომ თანახმა ვარ სულითა და ხორციით მარად მისი საკუთრება ვიყო, ამიტომ მისი კერძი გავხდები, როგორც კი შუშის ზედა ჭურჭელი დაიცლება და დრო, მისი საქონელი, ამოიწურება.

ამაზედაც აქა-იქ ერთხელ კიდევ ჩაიფრუტუნჯს, გაისმა უკმაყოფილო ენის წლაპუნიც, ზოგი კიდევ თავს აქნევდა, როგორც უტაქტობის შემსწრე, ზოგსაც სახე მოელუშა და გამომცდელად მისჩერებოდა მოუბარს.

— ასე რომ, უწყოდეთ, — განაგრძობდა მაგიდასთან მჯდომი, — გულკეთილებო და სათნონო, რომელნიც თქვენი ზომიერი ცოდვილიანობით ღმრთის (ისეუ გაასწორა და თქვა „ღმერთის“), მაგრამ მერე კვლავ პირველ ფორმას დაუბრუნდა) — ღმრთის მადლითა და წყალობის იმედითა ხართ, უწყოდეთ, რაც დიდი ხანია გულში მაქვს დამარხული და ახლა კი აღარ მინდა დაგიმალოთ, სახელდობრ, ის, რომ ოცდაერთი წლისა სატანას შევეუფლდი და, რაც მომელოდა, იმის ცოდნით, სრულიად შეგნებული სიმამაცით, სიამაყითა და კადნიერებით, რადგან ამქვეყნად სახელის მოხვეჭას მიველტვოდი, მასთან კავშირი დავამყარე და ხელშეკრულება დავდე. ამრიგად, ყოველივე, რაც ამ ოცდაათხი წლის მანძილზე შევქმენი და რასაც ადამიანები სამართლიანი უნდობლობით შეხვდნენ, მხოლოდ მისი შემწეობით შევთხზე, ეშმაკის მანქანებაა. სამსალის ანგელოზის ხელით არის ჩამოსხმული, რამეთუ ასე ვფიქრობდი: ვისაც თევზაობა უნდა, იმან ბადე უნდა იქონიოს-მეთქი. კაცმა დღეს ეშმაკი უნდა ადიდო, რადგან დიად წამოწყებასა და რამის შექმნაში, მის გარდა, სხვა არავინ გარგია.

ახლა უკვე უხერხული და დაძაბული მდუმარება სუფევდა დარბაზში. ცოტანილა თუ უსმენდნენ მშვიდად, უმრავლესობა კი წარბებანეული და გაოცებული შესცქეროდა, სახეზე კითხვა ეწერათ: ნეტავრ საით უშიზნებს ან საერთოდ რა ხდებაო? ერთხელ მაინც რომ გაე-

ლიმა ან თვალი ჩაეკრა ადრიანს, რათა ნათქვამისათვის ხელოვანის მისტიფიკაციის იერი მიეცა, მაინც ასე თუ ისე გასაძლისად ჩაივლიდა მისი გამობდომა. მაგრამ ნურას უკაცრავად, ამას სულაც არ აპირებდა, გაფითრებული და სერიოზული იჯდა. ზოგი ჩემკენ აპარებდა მზერას, თითქოს მეკითხებოდა: ეს რა ხდება, თქვენ როგორღა ახსნითო? და იქნებ მართლაც უნდა ჩავრეულიყავი და დამეშალა თავყრილობა, მაგრამ რა საბაბით? რაც უნდა მომემიზეზებინა, მაინც პატივის აყრა და შეურაცხყოფა იქნებოდა ადრიანისა. მე ვგრძნობდი, რომ ხელის შეშლაც არ ეგებოდა და იმის იმედითლა ვიყავი, რომ იქნებ ნანარმოების დაკვრა დაენყო, ჰანგები მოესმენინებინა ჩვენთვის სიტყვების ნაცვლად. არასოდეს ამაზე მძაფრად არ მიგრძენია მუსიკის უპირატესობა, რომელიც თან არაფერს და თანაც ყველაფერს ემობს, ერთაზროვანი სიტყვის წინაშე, უფრო მეტიც, საერთოდ ხელოვნების დამცავი ნართაულობისა – აღიარების მამხილებელ პირდაპირობასა და უცილობლობასთან შედარებით. მეგობრისთვის რომ აღსარება შემენწყვეტინებინა, საამისო ძალა არ შემნევდა არა მხოლოდ მოკრძალების გამო, არამედ იმიტომაც რომ სულით და გულით მინდოდა დავრწმუნებულიყავი: იმათ შორის, ვინც ჩემთან ერთად უსმენდა, ერთი-ორი მაინც თუ იყო ამისი ღირსი. «თავი შეიკავეთ და უსმინეთ, – ვუუბნებოდი გუნებაში სტუმრებს, – თქვენ ხომ ყველანი, როგორც ადამიანმა ადამიანები, ისე მოგიწვიათ!»

ერთხანს დუმილისა და ფიქრის შემდგომ ჩემმა მეგობარმა ისევ დაიწყო:

– არ გეგონოთ, ძმანო და დანო, რომ გარიგებისა და ხელშეკრულების დადებისათვის ტყეში გზის გასაყარი, მაგიური წრეები და ტლანქი შელოცვები დამჭირდა. განა ჯერ კიდევ წმინდა თომა არ გვასწავლის, რომ განდგომისთვის სიტყვები არ არის საჭირო, რაც მოქცევისთვის აუცილებელია, რომ საამისოდ რაიმე ქმედებაც კმარა, პათეტიკური გუნდრუკის კმევის გარეშე, ჰოდა, მხოლოდ და მხოლოდ პეპელა იყო, ჭრელი ფარვანა, *Hetaera esmeralda*, ეს მან მომაგო შეხებით, გრძნეულმა, და მეც შევეყევი ბინდით მოცული ტევრის ჩეროში, რაიც მის გამჭვირვალე სიშიშვლეს უყვარს, იქ მოვახელე ნიავ-ქარის მიერ ატაცებული ყვავილის ფურცლის დარი, მოვახელე და მოვეალერსე, მიუხედავად იმისა, რომ გამაფრთხილა, მოხდა მოსახდენი. რამეთუ ის, რაც მომაგო, ტრფობის აღში მომაგო, სიყვარულში გადმომცა და ამიერიდან ზიარებული ვიყავ, ხელშეკრულება ძალაში შევიდა.

მე შევეკრთი, რადგან აქ მსმენელთაგანაც გაისმა ხმა — ეს პოეტი დანიელ ცურ ჰოე გახლდათ, მღვდელმსახურის სერთუკში გამონწყობილი. მან ფეხი დაჰკრა იატაკს და მქუხარედ განაცხადა:

— მშვენიერია, მართლაც რომ მშვენიერია! ყოჩაღ, კაცი ნუნს ვერ შეიტან!

— სუ, სუო! — დაუძახეს აქეთ-იქიდან და მეც უკმაყოფილოდ მივანჩრდი ამის მთქმელს, თუნცა იდუმალ მაღლიერი ვიყავი, რადგან მისი სიტყვები, მართალია, საკმაოდ ბრიყვულად, მაგრამ მაინც ყოველივე იმას, რაც ადრიანისაგან მოვისმინეთ, შვების მომგვრელ და მისაღებ ასპექტში გვანახვებდა, სახელდობრ, ესთეტიკურ ასპექტში; რაც მიუხედავად იმისა, რომ აქ სრულიად უადგილო რამ იყო და მე დიახაც მაგულისებდა, მაინც მეც კი რალაცით მანუგეშებდა. ასე გასინჯეთ, მომეჩვენა კიდევ, რომ სტუმრებმა სული მოითქვეს: — აი, თურმე რაო! ხოლო ქალბატონ რადბრუნს, გამომცემლის მეუღლეს, ცურ ჰოეს ნათქვამმა ასეთი შეძახილიც კი გააბედინა:

— ასე მგონია, თითქოს ხალას პოეზიას ვისმენდე!

ეჰ, ასე დიდხანს როდი ეგონათ: გულარხეინი ინტერპრეტაცია, როდენ მანუგეშებელიც უნდა ყოფილიყო, მყარი არ გახლდათ; ადრიანის ნალაპარაკევეს საერთო არა ჰქონდა რა პოეტ ცურ ჰოეს დაურიდებელ კაფიებთან მორჩილების, ძალადობის, სისხლისა და მსოფლიოს აკლების შესახებ, ეს გახლდათ ჭეშმარიტების სერიოზული, ნყნარი და ულმობელი აღიარება, რომლის მოსასმენად სასონარკვეთილებითა და სულის კირთებით შეჰყრობილმა ადამიანმა თანამოძმეებს მოუყარა თავი, რაც არსებითად უაზრო ნდობის აქტი იყო, ვინაიდან ადამიანები ისე არიან შექმნილნი, რომ ამგვარი ჭეშმარიტება მხოლოდ აძრწუნებთ და ძარღვებში სისხლი ეყინებათ, ამიტომ როგორც კი ჭეშმარიტება აუტანელი ხდება, მას ერთხმად პოეტურ მონაჩმხად აცხადებენ.

• არ შეიმჩნეოდა, რომ ამ შეძახილებმა ჩვენს მასპინძელზე ზემოქმედება მოახდინეს. პაუზებში ისე ჩაფიქრდებოდა ხოლმე, რომ აშკარად შეუვალი ჩანდა ასეთი რამისთვის.

— ყურად იღეთ, — კვლავ წამოიწყო მან, — ნამეტნავად ღირსნო და საყვარელნო მეგობარნო, რომ თქვენ საქმე გაქვთ ღვთის მიერ მიტოვებულ და სასონარკვეთილ ადამიანთან, ვისი ნეშტიც ნაკურთხ ადგილას კი არ იქნება, სათნო ქრისტიან მიცვალებულთა შორის კი არ დაკრძალავენ, არამედ სანაგვეზე, ლეშისა და მძორის

გვერდით. სარეცელზე, – გეუბნებით მე, – პირქვე დაგდებულს ნახავთ და თუნდაც ხუთგზის გადმოაბრუნოთ, ის მაინც უკუღმა დაგდებული აღმოჩნდება. რამეთუ უკვე ბევრად იმაზე ადრე, ვიდრე შხამიან ფარვანას შევეყრებოდი, ჩემი სული ქედმაღლობისა და სიამაყის გამო უკვე სატანის გზას ადგა. მისი ნერა ვიყავი და ამიტომ ახალგაზრდობიდანვე მისკენ მეჭირა თვალი. თქვენ, რასაკვირველია, უწყით, რომ ადამიანი შექმნილია და განკუთვნილია ნეტარებისათვის ან ჯოჯოხეთისათვის. ჰოდა, მე ჯოჯოხეთისთვის დავიბადე. ამიტომ ჩემი ამპარტავნობის ჭია გავახარე, როცა theologiam* შესწავლა დავინწყე ჰალეს უნივერსიტეტში, მაგრამ ღვთის გამო კი არა, არამედ იმ მეორის გამო, და ჩემი მეცადინეობა ღვათისმეტყველებაში ფარულად მასთან შეკერის დასაწყისი გახლდათ, ღვთისკენ კი არა, არამედ მისკენ, დიდი religiosus-ისაკენ შენიღბული სვლა. ხოლო ვინც ეშმაკისკენ იზამს პირს, იმას რალა შეაჩერებს, რა აალებინებს ხელს, და ღვთისმეტყველების ფაკულტეტიდან მუსიკამდე მხოლოდ ერთი პატარა ნაბიჯი იყო: მხოლოდ და მხოლოდ მას შეიძლებოდა დავნაფებოდი figuris, characteribus, formis conjurationum-ებით და რა ვიცი, კიდევ რა სახელები ჰქვია შელოცვასა და ჯადოქრობას.

Item, ჩემმა სასოებას მოკლებულმა გულმა მიყო ეს ოინი. გამჭრიახი, მარდი გონება მქონდა და მრავალი ნიჭი ზეცის მიერ მომადლებული, რითაც პატიოსნად და თავმდაბლურად უნდა მესარგებლა, მაგრამ ცხადზე ცხადად ვგრძნობდი: ახლა ისეთი დროა, როდესაც სათნოებითა და სიფხიზლით, წესიერი გზით უკვე ვერაფერს ვერ შექმნი და ხელოვნება შეუძლებელი გახდა, თუ ეშმაკს არ დაიხმარებ და შენი სამზარეულო ქვაბი ჯოჯოხეთის გენაზე არ შედგი... დიახ, დიახ, ძვირფასნო ამქარნო, დროის ბრალია, რომ ხელოვნება ერთ ადგილზე იტკეპნება, ძალზე უჭირს და საკუთარ თავს იზიარებებს, რომ ყოველივე გაძნელდა და ადამიანს – ღვთის საბრალე გლახას – თავი და ბოლო ველარ გაუგია, აღარ იცის, სიდუხჭირეს თავი როგორ დააღწიოს. მაგრამ თუ ვინმე ეშმაკს სტუმრად მოუხმობს, რათა მისი მეოხებით წინ გაიჭრას, სულს ცოდვით იმძიმებს, ეპოქის დანაშაულს თავად კისრულობს და შეჩვენების ღირსია. რამეთუ ნათქვამია: იფხიზლეთ და თვალი არ მოხუჭოთო! მაგრამ ეს ზოგს როდი ეპრიანება. ნაცვლად იმისა, რომ ჭკვიანურად ზრუნავდეს ქვეყნის სასიკეთოდ, რათა ამ დედამინაზე ადამიანმა უკეთ იცხოვროს, რათა ადამიანთა შორის ისეთი წესრიგი დამყარდეს,

*ღვთისმეტყველების (ლათ).

რომელიც მათ მშვენიერ ქმნილებებს კვლავ მყარ საფუძველზე და-
აყენებს და პატიოსნად დამკვიდრების საშუალებას მისცემს, ზოგი
სწორი გზიდან უხვევს და ჯოჯოხეთურ ზარბოშს ეძლევა, სულს იწყ-
მედს და სანაგვეზე ხვდება, ვითარცა მძორი და ლეში.

ამრიგად, ძვირფასნო დანო და ძმანო, ასე მოვიქვეცი მეც და დაე-
უშვი, რომ nigromantia, carmina, incantatio, veneficium*, და კიდევ რაც
რამ სიტყვებითა და სახელებით შეიძლება ეს მოვიხსენიოთ, მთელ
ჩემ საქმიანობად და მისწრაფებად იქცა. მალე იმასაც შევხვდი სალა-
პარაკოდ, ბოროტ სულსა და გარენარს, უცხო დარბაზში, ბევრი ვეს-
აუბრე და ბევრი რამეც დავტყუე ჯოჯოხეთის თავისებურებებისა,
არსისა და სუბსტანციის თაობაზე. ჰოდა, მან დროც მომყიდა, ოც-
დაოთხი თვალუნვდენელი წელიწადი. ამ ვადით შემეკრა და თავდე-
ბად დამიდგა, აღმითქვა ძალთა დიადი მოზღვავება და ქვაბის ქვეშ
კოცონის უკეთ გაჩაღება, რათა შემოქმედებითი შრომის ჭაპანის
განევა კვლავაც შემძლებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ეს სულ უფრო
და უფრო ჭირდა, რადგან საამისოდ ერთობ ჭკვიანი და დამცინავი
გახლდით. ოღონდ ეს კია, რომ სამაგიეროდ დანასავით მჭრელი
ტკივილები უნდა განმეცადა ხოლმე უკვე ამ დროის განმავლობაშიც,
ზუსტად ისევე, როგორც ზღვის პატარა ქალწული გრძნობდა
ფეხებში. ის ჩემი დაიკო იყო და უტკბესი სასძლო, სახელად ჰიფიალ-
ტა. რამეთუ ეშმამ მომგვარა სარეცელზე ხარჭად, რათა მასთან
სიძვას მივცემოდი სულ უფრო და უფრო მეტის გატაცებით, სულ
ერთია, თევზის კუდით მოვიდოდა თუ ფეხებით. ისე კი, უფრო ხში-
რად კუდით მოდიოდა, რადგანაც ფეხებში დანასავით მჭრელი
ტკივილი გულის წადილის მოკვლას უშლიდა, და მე ძალზე მსიამ-
ოვნებდა იმის ცქერა, თუ რა წარმტაცად გადადიოდა მისი ნაზი
სხეული ქერცლიან კუდში. მაგრამ კიდევ უფრო აღმაფრთოვანებდა
მისი ხალასი ადამიანური ხატება და ამიტომ, ჩემ მხრივ, უფრო მაშინ
ვინთებოდი ჟინით, როცა ფეხებით მეკვროდა.

ამ სიტყვების შემდეგ მსმენელთ მოუსვენრობა დაეტყვოთ და ზოგმა
წასვლაც გადანწყვიტა, კერძოდ, მოხუცი შლაგინჰაუფენები ჩვენი მაგი-
დიდან ადგნენ და გვერდზე გაუხედავად, ფეხაკრეფით გაიძურნნენ,
თან ქმარი ცოლს ხელს აშველებდა იდაყვზე და ისე მიიკვლევდნენ
გზას სკამებსა და სავარძლებს შორის. ორი წუთიც არ გასულა, რომ
ეზოდან მათი ავტომობილის მომართვის ხმა, ძრავის თუხთუხი და
რახრახი მოისმა, რამაც ყველას ამცნო მათი გამგზავრების ამბავი.

*ჯადოქრობა, მისნობა, შელოცვა, კუდიანობა (ლათ).

ამან კი ზოგი მართლაც დაალონა, ვინაიდან იმედი ჰქონდათ, რომ რკინიგზის სადგურამდე ისევ ავტომობილი ჩაიყვანდათ. ეტყობოდა, სტუმართაგან ჯერჯერობით სხვა აღარავინ აპირებდა მათთვის მიებაძა. მონუსხულებივით ისხდნენ და როდესაც ვარეთ ავტომობილის წასვლის შემდეგ ისევ სიჩუმე ჩამოვარდა, ცურ ჰოემ ისევ ამოთქვა თავისი კატეგორიული ფრაზა:

— მშვენიერია! ო, მართლაც რომ მშვენიერია!

მეც ის იყო პირი დავაღე და მეგობრისთვის მინდოდა მეთხოვა: შესავალი კმარა, ახლა შენი ნაწარმოებიდან დაგვიკარი რამე-მეთქი, რომ მან ისევ განაგრძო და არც შეუნიშნავს, თუ რამე მოხდა:

— შემდგომ ამისა ჰიფიალტამ მუცლად იღო და პატარა ვაჟიშვილი მარუქა, რომელმაც ჩემი გული მოინადირა, წმინდა ყრმამ, გაუგონარი სილამაზისამ, თითქოსდა შორეული და უძველესი ქვეყნების მაცნემ, მაგრამ, ვინაიდან ბალლი იყო და მე კი აღკვეთილი მქონდა ადამიანური არსების სიყვარული, მან, ეშმამ, უმოწყალოდ დაღუპა იგი და თან საამისოდ ჩემი საკუთარი თვალები გამოიყენა, რამეთუ უნდა უწყოდეთ, რომ როდესაც სული სიავეს მიელტვის, მისი მზერა შხამიანია და მომაკვდინებელი, განსაკუთრებით ბალებებისათვის. ასე გამომეცალა ხელიდან აგვისტოს თვეში ჩემი შვილიყო, უტკბეს სიტყვა-თქმათა ამოდ მოუბარი, მიუხედავად იმისა, რომ მეგონა, ამგვარი სინაზე ჩემთვის ნებადართული იყო. უფრო ადრეც ვფიქრობდი! ვითარცა ეშმაკისათვის ბერად აღკვეცილს, უფლება მქონდა ხორციელი არსება მყვარებოდა, თუ დიაცი არ გახლდათ, მაგრამ უსაზღვრო ნდობით გამსჭვალული ჭაბუკი ჩემთან შენობით დამოკიდებულებისათვის იღვწოდა, ვიდრე მეც დამიყოლია. ამიტომ იძულებული ვიყავ მომეკლა და სასიკვდილოდ გავისტუმრე ბოროტი სულის მითითებითა და ძალდატანებით, ვინაიდან მან, magisterulus-მა*, შენიშნა, რომ დაქორწინებას ვაპირებდი და სულ ცოფებსა ყრიდა, ქორწინება მისგან განდგომად მიაჩნდა და განწმენდისაკენ გადადგმულ ნაბიჯად. ამიტომ მაიძულა სწორედ ეს განზრახვა გამომეყენებინა ნდობით აღსავსის გულცივად მოსაკლავად და დღეს თქვენს წინაშე მინდა აღსარება ვთქვა: ყველაფერთან ერთად მკვლელიცა ვარ.

ამის თქმა იყო და დარბაზი სტუმართა კიდევ ერთმა ჯგუფმა დატოვა, სახელდობრ, წრიპა ჰელმუტ ინსტიტორისმა, რომელიც გულში ჩაკლული პროტესტის გამო ქვედა ტუჩს იკვნეტდა ფერწასული, და მისმა მეგობრებმა, მხატვარმა ნოტებომმა, თავის ბიურგერულ ყაი-

*მასწავლებელმა, უფროსმა (ეშმაკის ერთ-ერთი ლათინური ეფემიზმი).

დაზე ნაპატივებ, მკერდსავსე მეუღლითურთ, „დედის ძუძუს“ რომ ვეძახდით. კრინტი არ დაუძრავთ, ისე გავიდნენ, მაგრამ გარეთ, ეტყობა, ენა ამოიდგეს, რადგან მათი წასვლიდან რამდენიმე წამის შემდეგ ჩუმად შემოვიდა ფრაუ შვაიგეშტილი, — წინსაფარი ეკეთა, ჭალარა თმა გულმოდგინედ ჰქონდა შუაზე გაყოფილ-გადავარცხნილი, გულხელდაკრეფილი კართანვე გაჩერდა და ყურით მიაპყრო, რას ლაპარაკობდა აღრიანი:

— მაგრამ რა ცოდვილიც კი უნდა ვიყო, ჩემო მეგობრებო, მკვლელი, ადამიანთა მტერი, ეშმაკისეულ მრუშობას აყოლილი, ამისდა მიუხედავად, დღენიადაგ ვბეჯითობდი, მუყაითად ვმუშაობდი და არასოდეს არ განმისვენია (აქ, ეტყობა, ისევ გონს მოვიდა და გაასწორა, დამისვენიაო, — თქვა, მაგრამ მერე ისევ „განმისვენია“ აიკვიტა), ძილითაც კი არ მეძინა ხოლმე, თავს არ ვინდობდი და სიძნელეებს არ გაფურბობდი, ისე ვიყავი, როგორც მოციქული რომ ამბობს: ძნელია მისთვის, ვინც სიძნელეებს ეძებსო. რამეთუ როგორც ღმერთი ჩვენგნით ვერ შეიქმს რაიმე დიადს, თუ ოფლს არ დაგვადვრევიანებს, ისევე ის მეორეც. მხოლოდ სირცხვილი და სულის კირთება და აგრეთვე ისიც, რაც კი რამ ეპოქისა ხელს მიშლიდა შრომაში, ამარიდა მან, დანარჩენი კი მე თვითონ უნდა გამეკეთებინა, ოღონდ უცნაური შემხაპუნების შემდეგ. მაშინ ხშირად ხმიანდებოდა ჩემს სულში რომელიმე სანუკვარი საკრავი: ორგანი და არფა, ბარბითები, ვიოლინოები, ტრომბონები, სალამურები, საყვირები და ჯუჯა-სტირები, ყოველი მათგანი ოთხ ხმაზე. ასე რომ, შეიძლებოდა ზეცაში მგონებოდა თავი, სხვა რამე რომ არ მცოდნოდა. გაგონილიდან ბევრ რამეს ვიწერდი, ხშირად ვილაც ბალღებიც მეახლებოდნენ ხოლმე ოთახში, ბიჭუნები და გოგონები, რომლებიც ნოტების ფურცლებიდან რომელიმე მოტეტს მიგალობდნენ. თან ეშმაკურად იღიმებოდნენ და ერთმანეთს გადახედავდნენ ხოლმე. მოხდენილი ბავშვები იყვნენ. ხანდახან თმა აეშლებოდათ, თითქოს ცხელი ჰაერი შეეხოთო, და მერე ისევ ისწორებდნენ ლამაზი ხელებით. ხელებზე პანია ფოსოები ჰქონდათ და შიგ პანანინა ლალის თვლები გამოუკრთოდათ. ცხვირის ნესტოებიდან კი ზოგჯერ ყვითელი მატლები მოუტოცავდათ დაბლა, მკერდამდე ჩამოურბოდნენ და იქ უჩინარდებოდნენ...

ამ სიტყვებმა კიდევ რამდენიმე მსმენელი გააქცია დარბაზიდან. ესენი გახლდნენ სწავლულები: უნრუე, ფოგლერი და ჰოლცშუერი, რომელთაგან ერთ-ერთს გასვლისას თვალი შევასწარი,

ხელისგულები როგორ იტაცა საფეთქლებზე. მაგრამ სიქსტუს კრიდვისი, ძალზე აღელვებული, ისევ თავის ადგილას იჯდა. საერთოდ, დარბაზში ოცამდე კაცი კიდევ იქნებოდა, თუმცა ბევრი მათგანი უკვე ფეხზე იდგა და, როგორც ჩანდა, გასაქცევად მზად იყო. ლეო ცინკმა, ნიშნის მოგებითა და მოლოდინით აღსავსემ, წარბები ანკიპა და თქვა: — აჰ, ღმერთო! — როგორც სჩვეოდა ხოლმე, როცა სხვა მხატვრის ნახატი უნდა შეეფასებინა. ლევერკიუნის ირგვლივ, თითქოს უნდათ დაიცვანო, რამდენიმე ქალმა მოიყარა თავი: კუნიგუნდე როზენშტილმა, მეტა ნეკედიმ და ჟანეტ შოირლმა — ამ სამმა, ელზე შვაიგეშტილი განზე დარჩა.

და ჩვენ გავიგონეთ:

— ბოროტ სულს, როგორც დამპირდა, სიტყვა არც გაუტეხია მთელი ოცდაოთხი წელიწადი და ახლა ყველაფერი მზად არის, სულ ყველაფერი, მკვლელმა და მრუშმა დავასრულე ჩემი შემოქმედება და შეიძლება წყალობად ჩემდა სიავეში შექმნილი კეთილიც გამოდგეს, არ ვიცი. შეიძლება ღმერთმა ჩამითვალოს, რომ სიძნელეს დავეძებდი და თავს არ ვზოგავდი, შეიძლება, შეიძლება ის დამიფასდეს და სასიკეთოდ წამადგეს, რომ ეგზომ მუყაითად ვმუშაობდი და მედგრად ბოლომდე მივიყვანე ყოველივე, — ვერაფერს ვერ ვიტყვი, გამბედაობა არ მყოფნის, ამის იმედი ვიქონიო, ჩემი ცოდვა ერთობ დიდია, რომ მისი შენდობა შეიძლებოდეს, თანაც იგი უკიდურესად გავამწვავე იმის ჩიჩინითა და კირკიტით, რომ ურწმუნოება, რომელსაც შეგნებული აქვს თავისი ბრალი, შესანდობლად და მისატევებლად ყველაზე საამური შესაძლო ობიექტი უნდა იყოს-მეთქი მარადიული სიკეთისათვის, მაშინ როდესაც ვიცოდი, რომ ჩემი ესოდენ თავხედური ვარაუდი შეწყალებას სრულიად შეუძლებელს ხდიდა. მაგრამ აქედან გამომდინარე კიდევ უფრო შორს წავედი ჩემს ფიქრებსა თუ ვარაუდში და დავასკვენი, რომ ეს მდაბალი გამოწვევა საუცხოო საბაბი უნდა ყოფილიყო უფლისათვის თავისი უსასრულო სიკეთის დასამტკიცებლად. ასე და ამგვარად, მე უწმინდური შეჯიბრი გავუმართე მამაზეციერის სიკეთეს: რა უფრო დაუშრეტელი იყო, მისი მადლი თუ ჩემი განსჯა. ჰოდა, ახლა თქვენ უწყით, რომ შეჩვენებული ვარ და შეწყალება არ მეგების, რადგან ყოველგვარ შენდობას წინასწარვე გამოვრიცხავ ჩემი მსჯელობით.

ხოლო, ვინაიდან ახლა ის დრო გავიდა, რაც ოდესღაც ჩემი სულის ფასად ვიყიდე, აღსასრულის წინ თქვენ მოგიხმეთ, კეთილგა-

ნწყობილნო ძმანო და დანო, რათა ჩემი სულიერი სიკვდილი არ დამემალა თქვენთვის. ამასთანავე გეაჯებით, ავად ნუ მომიხსენიებთ, აგრეთვე გთხოვთ, ჩემგან ძმური სალამი გადასცეთ იმათაც, ვისი მოწვევაც, შესაძლოა, გამომჩნა. დაე, ნუ შემომწყნებებიან აწის გამო. მას შემდეგ, რაც ყოველივე გამცნეთ და გაუწყეთ, მიიდა გამოსათხოვრად ცოტაოდენი დაგიკრათ იქიდან, რასაც ეშმაკი ასრულებდა ხოლმე თავის საყვარელ საკრავზე და ნაწილობრივ ისიც, რასაც კვიმატი ბავშვები მიგალობდნენ.

ადრიანი წამოდგა. სახეზე მკვდრისფერი ეღო.

— ეს კაცი, — გაისმა ჩამოვარდნილ სიჩუმეში ასთმიანი დოქტორ კრანიჰის მკაფიოდ არტიკულირებული ხმა, — ეს კაცი შეშლილია, რაც კარგა ხანია სრულიად აშკარაა და ძალზე სანყენი გახლავთ, რომ ჩვენს შორის ფსიქიატრი არ მოიძევა. მე, როგორც ნუმიზმატს, აქ თავი სრულიად არაკომპეტენტურად მიმაჩნია.

თქვა და ისიც დარბაზიდან გავიდა.

ლევერკიუნი, ზემოთ დასახელებული ქალებით გაშემორტყმული და, ჩვენს მიერაც — ამასობაში შილდენაპი, ჰელენე და მეც მივედით მასთან — ძველებურ ყავისფერ როიალს მიუჯდა და მარჯვენა ხელით პარტიტურის ფურცლებს დაუწყო სწორება. ჩვენ დავინახეთ, როგორ ჩამოუგორდა ცრემლები ღანკვებზე და კურცხლები კლავიშებს დაეცა და ერთბაშად მან ამ სველ კლავიშებზე მკვეთრად დისონანსური აკორდი აიღო, თან პირი ისე დააბჩინა, თითქოს სიმღერას აპირებდა, მაგრამ ბაგიდან შესაბრალისი ბგერა აღმოხდა, რომელიც სამუდამოდ ჩამრჩა ყურში. მერმე, საკრავზე წინ წახრილმა, ხელები გაშალა, იტყოდით, საკრავს მკლავები სურს მოხვიოსო, და ანაზღეულად, თითქოს რალაცამ უბიძგა, გვერდზე გადმოვარდა სკამიდან და იატაკზე დაენარცხა.

ფრუუ შვაიგეშტილი, რომელიც ისევ მოშორებით იდგა, ჩვენზე ადრე გაჩნდა მასთან, რადგან ჩვენ, არ ვიცოც რატომ, ერთ წამს დავახანეთ და მასთან მისვლა ვერ გავებედეთ. დიასახლისმა თავი აუწია გრძნობადაკარგულს, დედობრივად მკლავი მოხვია მხრებზე, მერე თვალბდაჭყეტილ სტუმრებს მიუბრუნდა და დაუყვირა:

— წადით. რაღას უყურებთ, სულ ყველანი წადით! თქვენ, ქალაქელებს, მაინც არაფერი არ გაგეგებათ რა, აქ კი გაგებაა საჭირო! სანყალი კაცი ბევრს ლაპარაკობდა ღვთის მოწყალებაზე, მაგრამ კი არ ვიცოც, ეღირსება მას თუ არა! წამდვილი ადამიანური გაგება კი, დამიჯერეთ, ყველას და ყველაზევრს გასწვდება!

მოვრჩი, დავამთავრე. მოხუცი კაცი, მხრებში მოხრილი, ლამის გატეხილი იმ დროის საშინელებანიტ, რომელშიც ვწერდი, და აგრეთვე იმ ამბებითაც, რომელთაც ეხებოდა ჩემი ნაწერი, კრძალვითა და კმაყოფილებით დავეცქერი განსულიერებული ქალაქის სქელ დასტას, ჩემი გარჯის შედეგს, მოგონებებითა და ანმყოს პრობლემებით აღსავსე წლების ნაყოფს. დავძლიე ამოცანა, რომელსაც ბუნებით სულაც არ შევეფერებოდი, რისთვისაც დაბადებული არ გახლდით, მაგრამ სიყვარული და ერთგულება, აგრეთვე ის გარემოებაც, რომ უტყუარი მონმე ვიყავი, საამისოდ მომიწოდებდა. რაც ამ თვისებებს ძალუძს, რაც თავდადებას ხელენიფება, ის მოვიმოქმედე. ამას ვიკმარებ.

როცა ადრიან ლევერკიუნის ბიოგრაფიის შესაქმნელად ამ მოგონებათა წერას შევუდექი, იოტის ოდენა იმედიც არ ჭიატებდა იმისა, რომ ჩემს ნაღვანს ოდესმე გამოვაქვეყნებდი, არა მხოლოდ იმიტომ, რომ ავტორი მე ვიყავი, არამედ იმიტომაც, რომ მისი გმირი ხელოვანი იყო. ახლა კი, როს ურჩხულის მსგავსმა სახელმწიფომ, ერთ დროს რომ მთელი კონტინენტი, და უფრო მეტიც, კლანჭებში ჰყავდა მოქცეული, ამოსწურა თავისი ორგიები, როს მისი მატადორები ექიმებს თავს ანამვლინებენ და ბრძანებას სცემენ, სიკვდილის შემდგომ მათ გვამებს ბენზინი გადაასხან და ცეცხლი წაუკიდონ, რათა მათგან სულ აღარაფერი აღარ დარჩეს, — ახლა კი, გეუბნებით, შეიძლება კაცმა მართლაც იფიქროს ჩემი ნაშრომის დასტამბვასა და ამით მეგობრის ხსოვნისათვის სამსახურის განწევაზე. მაგრამ გერმანია იმ არამზადების გამოისობით ისე ძარის-ძირობამდეა დანგრეული, რომ საეჭვოა, ახლო მომავალში კვლავ რაიმე კულტურული აქტივობის, თუნდაც მხოლოდ და მხოლოდ წიგნის გამოცემის თავი ჰქონდეს. ამიტომაც მე ხანდასან იმ გზებისა და საშუალებების გამოძებნაზეც კი მიფიქრია, რომლებითაც ამ ფურცლების ამერიკაში გადაგზავნა მოხერხდებოდა, რათა ჯერ იქაურები გასცნობოდნენ ინგლისურ ენაზე თარგმნილს. მე ვფიქრობ, რომ ამის წინააღმდეგი მაინცდამაინც არც ჩემი განსვენებული მეგობარი იქნებოდა. ოღონდ იმ აზრს, რომ ჩემი წიგნის მარტო თემაც ეუცხოებოდათ იქაურად აღზრდილ ადამიანებს, ერთვოდა კიდევ იმის დარღიც, რომ ინგლისურად თარგმნა, ყოველ შემთხვევაში

ზოგიერთი, ერთობ ცინცხალი გერმანული ნაწილები მაინც. შეუძლებელი რამ აღმოჩნდებოდა.

წინასწარ განვჭვრეტ აგრეთვე იმ სიცარიელის გრძნობას, რაც დამეუფლება დიადი კომპოზიტორის სიცოცხლის დასასრულის ორიოდ სიტყვით აღწერისა და ჩემი ხელნაწერისათვის საბოლოოდ ნერტილის დასმის შემდეგ. მასზე მუშაობას, მართალია, ამაღლევებელსა და გამომფიტავს, მაინც მოვისაკლისებ. დღენიადავ ამ ვალის მოხდით ვიყავი გართული და ამან შემინახა წლების მანძილზე, მოცალეობის შემთხვევაში კი ჟამთა სიავის გაძლება ალბათ უფრო გამიჭირდებოდა, და ახლა წინასწარ ამოდ ვიჭყლეტ ტვინს, მომავალში რა საქმიანობამ შეიძლება მაგივრობა გამინიოს. მართლაცადა, იმ მიზეზებს, რომელთა გამო თერთმეტი წლის წინათ მასწავლებლობაზე წელი ავიდე, ისტორია ქვეა-ქუხილით ღვეის პირისაგან მინისა. გერმანია თავისუფალია, რამდენადაც შეიძლება თავისუფალი ეწოდოს განადგურებულ და უფლებებაყრილ ქვეყანას, და ალბათ ძალე ჩემს გიმნაზიაში დაბრუნებას წინ აღარაფერი არ გადაეღობება. მონსიორ ჰინტერფორტნერმა ერთხელ უკვე როგორღაც ვადამიკრა სიტყვა. ნუთუ ისევ მომინევს ზედაკლასელებს გულში ჩავუნერგო ხოლმე ის კულტურა, რომელშიც სიღრმეთა ღვთაებების წინაშე მოკრძალება ერთიან სათნობად ერწყმის ოლიმპიური გონიერებისა და სინათლის ზნობრივ კულტს? მაგრამ ვაი, რომ ვშიშობ: ამ მძვინვარე ათწლეულის განმავლობაში ისეთი თაობა წამოიზარდა, რომელსაც ჩემი ენა ისევე არ ესმის, როგორც მე მისი; ვშიშობ, ჩემი ქვეყნის ახალგაზრდობა ახლა იმდენად უცხოა ჩემთვის, რომ მისი მასწავლებელი ვერ ვიქნები, — და უფრო მეტიც: თავად გერმანიაც, ივარქმნილი, უცხო, საშინლად უცხო გახდა ჩემთვის. სწორედ იმიტომ, რომ დარწმუნებულმა, რა საზარლადაც დაბოლოვდებოდა ყოველივე, განზე დავიჭირე თავი მისი ცოდვებისაგან, განვერიდე მათ და განვმარტოვდი. ამიტომ ძალაუნებურად ვეკითხები ჩემს თავს: სწორად მოვიქეცი თუ არა? ან განა რა ჩავიდინე ისეთი? მე მტკივნეულად მნიშვნელოვანი ადამიანის ერთგული ვიყავ, ვიდრე ცოცხალი იყო, და მერე კი მისი ცხოვრება აღწერე, რაც შიშნარევი სიყვარულით მსჭვალავდა. მე მგონი, ამ ერთგულებამაც მაძულა ჩემი ქვეყნის დანაშაულს ძრწოლით გავქცეოდი.

პატივისცემა უფლებას არ მაძლევს დანვრილებით აღვწერო ადრიანის მაშინდელი მდგომარეობა, თორმეტი საათის განმავლობაში გრძნობდა კარგული გონს რომ მოვიდა პარალიზური შოკის შემდეგ, რამაც ერთბაშად ძირს დასცა როიალთან მჯდომი. გონს მოვიდა კი არა, უფრო სწორი იქნებოდა მეთქვა: კვლავ, როგორც უცხო „მე“, გრძნობაზე მოვიდა-მეთქი, რაც მისი პიროვნების მარტოოდენ გამომწვარ გარსლა შეადგენდა და იმასთან, ვისაც ადრიან ლევერკიუნი ეწოდებოდა, არსებითად საერთო აღარა ჰქონდა რა. კაცმა რომ თქვას, სიტყვა „dementia“² ხომ თავდაპირველად სხვას არაფერს არ ნიშნავდა, თუ არა საკუთარი მეობიდან გადახვევას, საკუთარ თავთან გაუცხოებას.

მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ პფაიფერინგში დიდხანს აღარ დარჩენილა. რიუდ უერ შილდენაპმა და მე ვიტვირთეთ მძიმე მოვალეობა — ექიმ კიურბისის მიერ დამანყნარებელი აბებით საგზაოდ მომზადებული ავადმყოფის მიუნჰენში გადაყვანა და ვინმე დოქტორ ფონ ჰოსლინის ნერვულ დაავადებათა დახურულ სამკურნალო დაწესებულებაში მოთავსება, ნიმფენბურგში, სადაც ადრიანმა სამი თვე გაატარა. გამოცდილმა სპეციალისტმა დაუყოვნებლივ დააუბრებლად ასეთი დიაგნოზი დაუსვა: საქმე გვაქვს ფსიქიურ დაავადებასთან, რომლისგანაც მხოლოდ და მხოლოდ პროგრესს უნდა მოველოდეთ. მაგრამ სწორედ წინსვლის პროცესში ყველაზე თვალში საცემი სიმპტომები მალე გაუქრება და კვალიფიციური მკურნალობის შემთხვევაში შედარებით უფრო წყნარ ფაზაში შეიძლება გადაყვანილ იქნას, თუმცა უფრო იმედის მომცემში კი არაო. სწორედ ამ დასკვნის საფუძველზე იყო, რომ მცირე ხნის ბჭობის შემდეგ შილდენაპმა და მე გადავწყვიტეთ: დედისთვის, ელსბეთ ლევერკიუნისთვის, ბუნელის კარ-მიდამოში ჯერჯერობით არაფერი არ შეგვეტყობინებინა. ეჭვი არ იყო, გაიგებდა თუ არა ვაჟიშვილის ცხოვრებაში მომხდარი კატატროფის ამბავს, მაშინვე მას მოაშურებდა, და თუკი ავადმყოფის დამშვიდება იყო მოსალოდნელი, მაშინ ჩვენ ჰუმანურ აქტად გვეჩვენებოდა, დედას მისი ბაბლი იმ შემადრწუნებელ, თითქმის აუტანელ მდგომარეობაში არ ენახა, რომელშიც ის მკურნალობის დაწყებამდე იმყოფებოდა.

მისი ბაბლი-მეთქი! დიახ, ვინაიდან კვლავ სწორედ ეს იყო ადრიან ლევერკიუნი და სხვა არაფერი, როცა მოხუცი ქალი შემოდგომის კვირაძალს პფაიფერინგში ჩამოვიდა, რათა შვილი მწობლიურ თიურინგიაში, ბავშვობა რომ გაატარა, იმ ადგილებში უკან ნაეყვანა, რომელთაც

²შეშლილობა (ლათ.).

ესოდენ უცნაურად შეესაბამებოდა უკვე მონიფული ადრიანის ცხოვრების ფონი შვაიგეშტილების კარ-მიდამოში, — უმნეო, უმნიფარი ბავშვი, ვისაც აღარაფერი აღარ ახსოვდა, დაფაჟკაცებული რა ამაყად აღმაფრენდა, ანდა ახსოვდა ერთობ ბუნდოვნად, ფარულად, სულის სიღრმეში დამარხულ-გადანახულად, — ბავშვი, რომელიც, როგორც ოდესლაც, ახლაც დედის კალთას ებლაუჭებოდა და რომელიც, როგორც ყრმობისას, ახლაც მოვლა-პატრონობას, ლოლიაობას, ხანდახან კი განყრომასაც საჭიროებდა, მოითხოვდა. იმაზე უფრო შემადრწუნებელი, გულის ამაჩუყებელი და შესაბრაღისი განა მოიძევება რამე, ვიდრე ოღითგანვე გაღალღებული, თამამი და ქედუხრელი სულია, რომელიც მას შემდეგ, რაც ქვეყნიერების თავზე თავბრულდამხვევ კამარას შეკრავს, დედის კალთას ფრთებღალენილი უბრუნდება? ოღონდ მე დარწმუნებული ვარ და თანაც გამოცდილების საფუძველზე, რომ დედა ამგვარ ტრაგიკულ შინ დაბრუნებას, მიუხედავად ღრმა მწუხარებისა, მაინც არცთუ კმაყოფილების გარეშე ხვდება. დედისთვის გმირი ვაჟის იკაროსივით გაფრენა, დედის მეურვეობას თავდაღწეულის ვაჟკაცური თავგადასავალი, არსებითად ისეთი ცოდვაა, ისეთი გაუგებარი შეცდომაა, რომლიდანაც დედის გულმოსაკლავად მარად მოისმის უცხო და ცივად მჟღერი: „დედაკაცო, შენთან განა რა მესაქმება?“ — და მაინც მიუტევენს დამხობიღს, შემუსვრიღს, „საბრაღო, საყვარელ შვიღს“, მკერდში იხუტებს და გუნებაში ფიქრობს, რომ აჯობებდა დედის კალთა არც არასოდეს არ მიეტოვებინა მის პირმშოს.

მე მაქვს საფუძველი ვიფიქრო, რომ ადრიანს უკუნეთით მოცული სულის სიღრმეში ძრწუნვის მაგვარი რაღაც უღვიოდა ამ დამამციკრებელი სინაზის მიმართ, ინსტინქტური პროტესტის მსგავსი რამ, როგორც უწინდელი სიამაყის გაღმონაშთი, ვიდრე ტკბილი მოჰყრობა, რაც დაუძღურებულ ადამიანს ბუნდოვნად მაშინაც ესაღბუნება, როცა გონის ლამპარი ჩამქრალი აქვს, თავისას გაიტანდა. ამ ინსტინქტურ აღმფოთებასა და მისწრაფებას, დედას როგორმე გაქცეოდა, მონმობს, ყოველ შემთხვევაში ნანიღობრივ მაინც, თავის მოკვლის ცდა, რაც უშუაღოდ იმას მოჰყვა, რომ ჩვენ სასხვათაშორისოდ ვუთხარით, ეღსბეთ ლევერკიუნს შენი უქეიფობა შეუტყვი და სანახავად წამოსუღაო. ეს კი შემდეგნაირად მოხდა:

ჰოსღინის დახურულ ფსიქიატრიულ დაწესებულებაში სამი თვის მკურნაღობის შემდგომ, სადაც მეგობრის ნახვის უფლებას მხოღოდ იშვიათად და ისიც სულ ორიოდე წუთით თუ მაძღვედნენ ხოღმე, სუღით ავადმყოფი რამდენამდე დაშოშინდა — მე როღი ვამბობ,

გამოკეთდა-შეთქი, მაგრამ დაწყნარება კი შეეცყო. ამან გააბედვინა ექიმს პფაიფერინგში მის გადაყვანასა და შინ მოვლაზე დაგვთანხმებოდა. უინანსური თვალსაზრისითაც ასე სჯობდა და ავადმყოფი კვლავ ნაცნობ გარემოში აღმოჩნდა. თავდაპირველად სანიტრის მეურვეობის გაძლება უხდებოდა, რომელმაც პფაიფერინგში ჩამოიყვანა, მაგრამ ადრიანის მდგომარეობა ისეთი იყო, რომ ამ ზედამხედველის დათხოვნაც გამართლებული ჩანდა. ამრიგად, ავადმყოფის მოვლა-პატრონობა მთლიანად ისევ სახლის ჯალაბის ხელში გადავიდა, უპირატესად კი ფრაუ შვაიგემტილის ხელში. მას შემდეგ, რაც გერეონმა ჯანიანი რძალი მოიყვანა სახლში (ხოლო კლემენტინე კი ვალდსჰუტის სადგურის უფროსს მისთხოვდა ცოლად), დედილო ოჯახის ჭაპანს აგრერიგად აღარ ენეოდა, ბევრი თავისუფალი დრო ჰქონდა და მრავალი წლის მდგმურს, რომელიც მისთვის დიდი ხანია შვილობილივით ახლობელი გახდა, ადამიანურ ყურადღებასა და სითბოს არ აკლებდა. ადრიანი ყველაზე უფრო მას ენდობოდა. მასთან ხელიხელჩაკიდებული ჯდომა აბატის პალატში, ან ბაღში, სახლუკან, ყველაფერზე უფრო დამაშოშმინებლად მოქმედებდა. მეც ამ პოზაში დამხვდა, როცა კვლავ ვენვიე პფაიფერინგში. მზერა, რომელიც მომხდურს შემომამგება, მხურვალე და გაფაციცებული იყო, მაგრამ ჩემდა გულდასაწყვეტად სახე იმნამსვე მოედრუბლა, პირქუში და მიუკარებელი გაუხდა. შეიძლება შემიცნო ჭკუაზე ყოფნისას მისი თანამგზავრი და ამ მოგონებას ეურჩებოდა, რადგან მოხუცი ქალის აღერსიან თხოვნასაც არ დაჰყვა, ჩემთვის პასუხად ერთი კეთილი სიტყვა მაინც ეთქვა, და კიდევ უფრო მოიღუშა, ასე გასინჯეთ, სახიფათოდაც კი, სხვა აღარაფერი არ დამრჩენოდა, უნდა გავცლოდი დაღონებულნი.

მაგრამ, ასე იყო თუ ისე, დრო აღარ ითმენდა, წერილის გაგზავნა იყო საჭირო, რომელიც დედამისს ფრთხილად შეატყობინებდა, რაც მოხდა. ამის კიდევ გადადება დედის უფლებთა შელახვას მოასწავებდა, და საპასუხო დეპეშასაც, რაც ელსბეთ ლევერკიუნის შვილთან გამომგზავრებას იუნყებოდა, წერილის მიღებიდან ერთ დღესაც არ დაუხანებია. ადრიანს, როგორც გითხარით, შეატყობინეს, რომ დედამისის ჩამოსვლას ელოდნენ, ოღონდ დარწმუნებულნი არ იყვნენ, გაიგო თუ არა ნათქვამი. ერთი საათის შემდეგ კი, როცა ეგონათ ჩასთვლიმაო, შეუმჩნევლად გაშოვიდა სახლიდან, და გერეონმა და ერთ-ერთმა მოჯამაგირემ მხოლოდ მაშინლა იპოვეს გუბურასთან, როცა ზედა ტანსაცმელი უკვე გაეხადა და ყელამდე

შესულიყო წყალში, რომელიც ნაპირიდანვე სწრაფად ღრმავდებოდა. ის იყო შიგ გაუჩინარდებოდა კიდევ, რომ მოჯამაგირე წყალში გადაეშვა და ნაპირზე გამოიყვანა. შინისაკენ რომ მოჰყავდათ, გზაში არაერთხელ დაუჩივლია, გუბურაში ცივი წყალი იყო და ბოლოს დაუმატებია: ძალიან ძნელია ისეთ წყალში თავი დაიხრჩო, რომელშიც კაცს ხშირად გიბანავია და გიცურავიაო. თუმცა „ფრჩხილა გუბურაში“ მას არასოდეს არ ებანავნა, არამედ მხოლოდ და მხოლოდ ყრმობისას — „ფრჩხილა გუბურას“ ჯუფთ გუბურაში — მშობლიურ „ძროხის ვარცლში“.

ჩემი გუმანით, რაც თითქმის რწმენად გადამექცა, ამ ქვეყნიდან გაქცევის მარცხით დამთავრებულ ცდაში ხსნის მისტიკური იდეა გამოსჭვივოდა, რომელიც შედარებით ძველი ღვთისმეტყველებისათვის იყო დამახასიათებელი, განსაკუთრებით კი ადრეული პროტესტანტიზმისათვის, სახელდობრ, იმის დაშვება, რომ ეშმასთან შეკრულთ კიდევ ძალუძთ სული გადაირჩინონ, თუ „სხეულს ზვარაკად მოიტანენ“. ადრიანი, როგორც ჩანს, ამ აზრითაც ხელმძღვანელობდა, და მხოლოდ ღმერთმა უწყის, სწორად მოიქცნენ თუ არა, როდესაც ხელი შეუშალეს ბოლომდე მიეყვანა ჩანაფიქრი. ამიტომ მაინცდამაინც ყველაფრის აღკვეთა კი არ არის აუცილებელი. სიცოცხლის შენარჩუნების ვალის მოხდით აქ უფრო დედის ინტერესები იქნა დაცული, ვიდრე სხვა რომელიმე ადამიანისა — დედას ხომ, ეჭვს გარეშეა, მკვდარ შვილს ისევ შეშლილი შვილი ურჩევნია.

და აი ჩამოვიდა იონათან ლევერკიუნის შავთვალეზა ქერივი, — თმაგაჭაღარაგებოდა, მაგრამ კვლავ შუაზე გაყოფილი და გულმოდგინედ ვადავარცხნილი ჰქონდა, — ჩამოვიდა იმ გადაწყვეტილებით, რომ თავისი ცდომილი ძე კვლავ ბავშვობაში დაებრუნებინა. პირველად ნახვისას მთრთოლარე ადრიანი დიდხანს იყო მიხუტებული იმ ქალის მკერდზე, ვისაც დედას უწოდებდა და შენობით მიმართავდა, მაშინ როდესაც მეორეს აქ, ახლა რომ მოშორებით იდგა, აგრეთვე დედას ეძახდა, მაგრამ თქვენობით მიმართავდა, ელსბეთი კი დიდხანს დამამოშმინებლად და მანუგეშებლად ელაპარაკებოდა შვილს უწინდებურად მელოდიური ხმით, რომლითაც სიმღერა ასეც არ ღირსებია მთელი სიცოცხლე, მაგრამ, როდესაც ჩრდილოეთისაკენ გაემგზავრნენ, თიურინგიისაკენ, კიდევ კარგი, რომ ადრიანისთვის ნაცნობი მიუნჰენელი სანიტარი ახლდათ; რადგან ვაჟი, რაიმე ხელმოსაკიდი მიზეზის გარეშე, დედას გაურისხდა ერთბაშად, არაეინ რომ არ მოელოდა, ისე გამძვინვარდა, და ფრაუ

ლევერკიუნი იძულებული გახდა გზის დარჩენილი ნაწილი, უფრო კი თითქმის გზის ნახევარი, სხვა კუპესთვის შეეფარებინა თავი და სანიტრის ამარა დაეტოვებინა ავადმყოფი.

ეს მხოლოდ ერთხელ მოხდა. მსგავსი რამ აღარ გამეორებულა. უკვე ვაისენფელში, როცა დედა ისევ შევიდა შვილთან კუპეში, ადრიანი მას სიყვარულითა და სიხარულით შეეგება, ხოლო შემდეგ, შინ, სულ კუდში დასდევდა გამგონე ბალღივით და ფრაუ ელსბეთიც ისე თავდადებით და რუღუნებით უვლიდა, როგორც მარტოოდენ დედას თუ შეუძლია. ბუხელის სახლში – აქაც მრავალი წელი უკვე რძალი განაგებდა ოჯახს და ორი შვილიშვილიც იზრდებოდა – ადრიანი ზედა სართულის იმავე ოთახში მოათავსეს, რომელშიც ყრმობისას თავის უფროს ძმასთან ერთად მკვიდრობდა; ფანჯრის ქვეშ კვლავ ხის რტოები ირხეოდნენ, ოღონდ ახლა თელისა კი არა, არამედ ბებერი ცაცხვისა, და ავადმყოფმა სიამოვნებაც კი გამოხატა, როდესაც მისი ყვავილობის ჟამს, ადრიანის დაბადების თვეში, ხის ყვავილის დიდებული სურნელი ეცა. დიდხანს იჯდა ზოლმე აგრეთვე ამ ხის ჩრდილში, მრგვალ მერხზე, სახლის ჯალაბის მიერ გულარხეინად მიტოვებული, და თვლემდა იქ, სადაც ჩვენ, ბავშვებს, წიკვინახშიანი მეძროხე ჰანე ოდესღაც კანონთა გალობაში გვავარჯიშებდა. სეირნობით კი, დედა ასეირნებდა. ხელს გაუყრიდა და გაუყვებოდნენ წყნარ ველ-მინდვრებს. შემხვდურთ, როგორც წესი, ადრიანი ხელს ართმევდა და ფრაუ ლევერკიუნიც არ უშლიდა, თან თვითონაც სულგრძელად დაუკრავდა ხოლმე თავს ვაჟიშვილის მიერ ამგვარად მისალმებულს და პასუხად მასაც თანაგრძნობით უკრავდნენ თავს.

რაც შემეხება მე, ჩემი ძვირფასი მეგობარი კვლავ ვიხილე 1935 წელს, როცა მე, უკვე გადამდგარი მასწავლებელი; ბუხელის კარმიდამოში ჩავედი, მისთვის დაბადების ორმოცდაათი წლისთავის მისალოცად, მაგრამ არცთუ სამხიარულოდ, რასაკვირველია. ცაცხვი ჰყვოდა, ადრიანი მის ქვეშ იჯდა. ვაღიარებ, რომ მუხლები მიკანკალებდა, როცა დედამისთან ერთად ყვავილების თაიგულით ხელში მას მივუახლოვდი. დაჩიავებული მეჩვენა, შეიძლება იმიტომ, რომ მხრებში მოხრილიყო და თან ცალი მხარი დაბლა ჰქონდა ჩამოვარდნილი. ქანცგამოლეული კაცის სახემ ამომხედა, *Ecce homo*-ს ხატებამ, მიუხედავად სოფლურად მზენასვაში კანის ფერისა, და შესაბრალისად პირდაბჩენილმა არაფრისმხედველი თვალები მომაპყრო. თუ ბოლო შეხვედრისას, პფაიფერინგში, არ ისურვა, რომ ვეცნე, ამჟამად უეჭველი იყო: ჩემი პიროვნება, მიუხედავად იმისა,

რომ მოხუცებული ქალი შეეცადა როგორმე გავეხსენებინე, რაიმე მოგონების ნასასხაც კი აღარ აღუძრავდა. იქიდან, რაც ამ დღის მნიშვნელობასა და ჩემი ჩასვლის საბაბზე ვუთხარი, აშკარად ვერაფერი ვერ გაიგო. მარტო ყვავილებმა მიიპყრო ერთი წამით მისი ყურადღება, მაგრამ მერე მერხზე დაყარა და დაივიწყა.

ერთხელ კიდეც ვნახე 1939 წელს, პოლონეთის დამარცხების შემდეგ, ერთი წლის წინ მის სიკვდილამდე, რასაც ოთხმოცი წლის დედამისი მოესწრო. მოხუცი ქალი მაშინ კიბეზე ამოძღვა და ადრიანის ოთახში ჩემზე წინ შევიდა, თან მამხნევებდა: მობრძანდით, ის მაინც ვერ შეგნიშნავთო! — რადგან მე კრძალვით გავჩერდი კართან. ოთახის სიღრმეში, შეზღონგზე, ფეხებით ჩემკენ — ასე რომ, მისი სახის დანახვა შემძლო — ინვა და შალის თხელი საბანი ეფარა იმას, ვინც ოდესღაც ადრიან ლევერკიუნი იყო და ვის უკვდავ შემოქმედებასაც ახლა ასე ეწოდება. ფერმკრთალი ხელები, რომელთა შთამბეჭდავი მოყვანილობა მუდამ მიყვარდა, მკერდზე ჰქონდა გადაჯვარედინებული, როგორც შუა საუკუნეების სამარის ქანდაკებას, ისედაც თხელ პირისახეს ძალზე გაჭაღარავებული წვერი კიდეც უფრო უგრძელებდა და ელ გრეკოს ერთ-ერთ აზნაურს მართლაც თვალშისაცემად ამსგავსებდა. რა გამაბიაბრუებელი თამაშია ბუნებისა — ძალაუნებურად იტყოდი კაცი — უზენაესად განსულიერებული ხატების შექმნა იქ, სადაც გონი უკვე გამქრალიაო. ფანტომს თვალები ღრმად ჩასცვენოდა, წარბები კიდეც უფრო გაბურქოდა და მათ ქვემოდან ისეთი ენით უთქმელად სერიოზული, ლამის მუქარის მომასწავლებელი, გამომცდელი მზერა მომაჩერდა, რომ ყრუანტელმა დამიარა, მაგრამ ერთი წამის შემდეგ მზერა თითქოს ანაზღეულად გამოირთო, თვალის კაკლები ზევით წაუვიდნენ, ნახევრად ქუთუთოების ქვეშ მიიმალნენ და დაუდევრად აქეთ-იქით რიალი დაინყეს. დედამისის განმეორებით მიპატიჟებას, შიგნით შევსულიყავი, ყური აღარ ვათხოვე და აცრემლებული გამოვტრიალდი...

1940 წლის აგვისტოს 28-ს აქ, ფრაიზინგში, მივიღე ცნობა, რომ უკანასკნელი ნაშთიც განელდა იმ ცხოვრებისა, რომელმაც ჩემს საკუთარ ცხოვრებას უმთავრესი შინაარსი მოაგო — სიყვარულით, მღელვარებით, შიშითა და სიამაყით აღავსო. ობერვაილერის პატარა სასაფლაოზე გათხრილ სამარესთან ჩემთან ერთად, გარდა ნათესავებისა, იდგნენ: ყანეტ შოირლი, რიუდიგერ შილდკნაპი; კუნიგუნდე როზენშტილი და მეტა ნეკედი, აგრეთვე ვიღაც უცნობი ქალი, რომელსაც პირბადის გამო სახე არ უჩანდა და როგორც კი

კუბო სამარეში ჩაუშვეს და ზედ მიწის გორახების გრიალი გაისმა, მაშინვე გაუჩინარდა.

გერმანია, ციებცხელებიანივით ლოყებანთებული და თავბრუდამხვევ გამარჯვებათა მოზიმი, უკვე ემზადებოდა მსოფლიოს დასაპყრობად იმ ერთადერთი ხელშეკრულების თანახმად, რომლის ერთგულიც სურდა დარჩენილიყო და რომელსაც საკუთარი სისხლით მონერა ხელი. დღეს კი იგი, დემონებით გარემოცული, ცალ თვალზე ხელაფარებული და მეორეთი კი ქვესკნელში ძრწოლით მაცქერალი, სულ უფრო და უფრო დაბლა ეცემა სასონარკვეთილებიდან სასონარკვეთილებაში. როდის მიაღწევს ნეტავი ფსკერს? როდის იშვება უკიდევანო უსასოობიდან სასნაული, რწმენას რომ აღემატება, და იმედის სხივს ააჭიატებს? მარტოდ შთენილი კაცი გულზე ხელებს იკრეფს და ამბობს: ღმერთი იყოს თქვენი სულის შემწე, ჩემო მეგობარო, ჩემო სამშობლოვ!

დასასრული

როგორც ჩანს, ზედმეტი არ იქნება, თუ მკითხველს ვაუწყებ, რომ XXII თავში წარმოდგენილი მუსიკალური კომპოზიციის ყაიდა, ეგრეთ ნოდებული თორმეტბგერიანი ანუ სერიული ტექნიკა, სინამდვილეში ერთი თანამედროვე კომპოზიტორისა და თეორეტიკოსის — არნოლდ შონბერგის სულიერ საკუთრებას შეადგენს და მე გარკვეულ იდეურ კონტექსტში ჩემს მიერ შეთხზულ პიროვნებას, ჩემი რომანის ტრაგიკულ გმირს დავუკავშირე. საერთოდ წიგნის ზოგიერთი ნაწილი, სადაც მუსიკის თეორიის საკითხებზეა მსჯელობა, ბევრ რამეს შონბერგისეულ ჰარმონიის მოძღვრებას უმაღლის.

თომას მანი

კომენტარები

I

გვ. 4. 1943 წლის 23 მაისი – „დოქტორი ფაუსტუსის“ დაწყების რეალური თარიღია, როგორც თვითონ თ. მანი აღნიშნავს „ფაუსტუსის“ შექმნის ისტორიაში („რომანი რომანის შესახებ“, III თავი).

იზარი – მდინარე (დუნაის შენაკადი), რომლის პირას ფრაიზინგი მდებარეობს.

viola d'amore (იტალ.) – სიყვარულის ვიოლა; ნაზი, ფაქიზი ხმოვანების ვიოლა – ვიოლინოს შინამორბედი სიმებიანი საკრავი, ზოგჯერ დღესაც გამოიყენება.

„ბნელ კაცთა წერილები“ – რეფორმაციის ეპოქის სახელგანთქმული ანონიმური წიგნი – რომის პაპისა და კათოლიკური ეკლესიის წინააღმდეგ მიმართული პამფლეტი; მისი ლათინურ ენაზე გამომცემელი და მე-2 ნაწილის ავტორია ულრიხ ფონ პუტენი (1488 – 1523) – გერმანელი პუბლიცისტი და პოეტი, რეფორმაციის ერთ-ერთი წინამძღოლი გერმანიაში.

როიპლინის კროტუს დორნჰაიმელისა, მუციაანუსისა და ეობან ჰესეს შთამომავლად – როიპლინი, იოჰან (1455 – 1522), კროტუსი, რუბიანუს (1480 – 1539), მუციაანუსი, რუფ (1471 – 1540), ჰესე, ეობან (1488 – 1540) – რეფორმაციის ეპოქის ცნობილი გერმანელი ჰუმანისტები.

გვ. 6. „Gesta Romanorum“ (ლათ.) – „რომაელთა საქმენი“ – ისტორიულ ქრონიკათა, იგავთა და ლეგენდათა შუასაუკუნეობრივი ანონიმური ლათინური კრებული, პოპულარობით სარგებლობდა, მრავალჯერ გამოიცა.

II

გვ. 8. კაიზერსაშერნი – გამოგონილი ტოპონიმი, გერმანულად *Asche* ფერფლს, ნაცარს, ნაცარტუტას ნიშნავს.

გვ. 9. სქიზმა – განხეთქილების შედეგად ერთიანი ეკლესიისაგან ცალკეული ნაწილის (ან ნაწილების) გამოყოფა.

გვ. 10. შინაურულად ვგრძნობ თავს... სფეროში – იგულისხმება XVI საუკუნის ჰუმანისტების შეხედულებათა სფერო, კერძოდ, მათი მისწრაფება ქრისტიანობა და ანტიკური მითოლოგია ერთმანეთისათვის შეეხამებინათ.

გვ. 11. წმინდა გზა – ათენიდან ელევსინს მიმავალი გზა. ელევსინში წელიწადში ორჯერ, გაზაფხულობითა და შემოდგომობით, მიწათმოქმედებისა და ნაყოფიერების ღმერთქალ დემეტრესა და მისი ქალიშვილის პერსეფონეს პატივსაცემად ე.წ. „ელევსინის მისტერიები“ იმართებოდა.

იაქხოსი – ელევსინური ღვთაება (სახელთა მსგავსების გამო გაიგივეს ბახუსთან (ბაკხოსთან); ხან დემეტრესა და ხან პერსეფონეს ვაჟიშვილად მიიჩნევდნენ; მას შემდეგ, რაც ტიტანებმა დაგლიჯეს, ღმერთებმა მკვდრეთით აღადგინეს და ხელახლა დაიბადა დიონისეს სახით.

ეგზოლოგის... პლუტონის ხევის პირას – ჰადესმა (პლუტონი) – მიწისქვეშეთისა და მიცვალებულთა სულების მბრძანებელმა – მოიტაცა პერსეფონე და ცოლად შეირთო. სიდედრთან შეთანხმების საფუძველზე ჰადესს პლუტონის ხევით ყოველ შემოდგომაზე მიწისქვეშეთში მიჰყავდა პერსეფონე, გაზაფხულზე კი კვლავ დედამიწაზე აბრუნებდა. ეგზოლოგი (კეთილი მრჩეველი) – ჰადესისა და სხვა მრავალი ღმერთისა და გმირის ეპითეტი.

III

- გვ. 13. მორგენი – გერმანული მიწის საზომი ერთეული, უდრის 0,25 ჰექტარს.
- გვ. 15. პეტრე დიდის ვაჟს რომ მისთხოვდა – პრინცესა (შემდგომ პეტრე II დედა) უფლისწულ ალექსეის 1711 წ. მისთხოვდა, გარდაიცვალა 1715 წ.
- გვ. 16. „სოლომონ ბრძენის მიერ ქვეყნის მესვეურთა დარიგება“ – ბიბლიის ერთ-ერთი წიგნი – „სიბრძნე სოლომონისა“ (სათაური მთარგმნელს თვითნებურად განუვრცია, წიგნის პირველი მუხლიდან გ: მომდინარეს, რომელიც ქვეყნის განმგებელთ მიმართავს).
- სტიქიონთა განსჯა – სამყაროს პირველანაყის ელემენტთა განსჯა (სტიქიონი ბერძნულად ელემენტს ნიშნავს). ანტიკურ ფილოსოფიაში ყველა მოვლენის საფუძველად ოთხი ელემენტი მიაჩნდათ: ჰაერი, მიწა, წყალი და ცეცხლი.
- გვ. 17. Hetaera esmeralda – ტროპიკული ჰეპლის ლათინური სახელწოდება, სიტყვასიტყვით: „ზურმუხტოვანი მრუში“.
- გვ. 22. ვიტენბერგელი კაცი – ერნსტ კლადნი (1756–1827) – აკუსტიკის საკითხებზე მომუშავე გერმანელი ფიზიკოსი; რომანში აღწერილ „ხილული მუსიკის“ ცდის შედეგს „კლადნისეულ ფიგურებს“ უწოდებენ.

IV

- გვ. 34. თვითონ ტერციაში გადადიოდა, მერე კი ქვედა კვინტასა და ქვედა სექსტაში – ტერცია (იტალ.) – ინტერვალი რომელიმე ბგერასა და ამ ბგერიდან ზემოთ ან ქვემოთ მესამე საფეხურს შორის; კვინტა (იტალ.) – ინტერვალი რომელიმე ბგერასა და ამ ბგერიდან ზემოთ ან ქვემოთ მეხუთე საფეხურს შორის; სექსტა (ლათ.) – ინტერვალი რომელიმე ბგერასა და ამ ბგერიდან ზემოთ ან ქვემოთ მეექვსე საფეხურს შორის.
- გვ. 35. კანონი – მრავალხმიანი მუსიკალური ნაწარმოები, რომელიც ბოლომდე ზუსტად დაცულ იმიტაციის პრინციპს ემყარება – ერთსა და იმავე მელოდის ყველა ხმაში გატარებას. მელოდის ყოველი მომდევნო ხმა უფრო ადრე იწყებს, ვიდრე წინამავალი ხმა დაამთავრებდეს. გავრცელებულია 2-3-ხმიანი კანონები, გვხვდება 4–5 ხმიანებიც.
- გვ. 36. სეკვენცია (იტალ.) – მელოდიური მოძრაობის სახეობა, სადაც მოტივი ან მოტივები მეორდება ბგერათა რიგის საფეხურებზე თანმიმდევრულად გადანაცვლებით.

V

გვ. 42. მეოთხე კლასში დასაჯდომად თუ არა, მეხუთისთვის მაინც — გერმანიაში უნინ (და ნაწილობრივ ახლაც) კლასიკური გიმნაზიის კლასები შებრუნებული თანმიმდევრობით იყო დანომრილი, ზედა კლასს, მაგალითად, „პრიმა“ — პირველი კლასი ეწოდებოდა.

VI

გვ. 42. ჰენდელის ქალაქი — კომპოზიტორი გეორგ ფრიდრიჰ ჰენდელი (1685—1759) ჰალეში დაიბადა.

წმინდა თომას კანტორი — იოჰან ზებასტიან ბახი (1685—1750) ლაიპციგში წმ. თომას საყდრის კანტორი და ორგანისტი იყო წლების მანძილზე.

გვ. 43. იმპერატორ ოტო III საფლავს უჩვენებენ — ოტო III (980—1002) აახენშია დაკრძალული და არა ავტორის მიერ გამოგონილ კაიზერსაშერნში. მის შესახებ წიგნში მოტიანილი დანარჩენი ცნობები კი ისტორიულ სინამდვილეს შეესაბამება.

სციპიონი, პუბლიუს კორნელიუს აფრიკელი უფროსი (ძვ. წ. 235 — 183) — რომელი მხედართმთავარი და პოლიტიკოსი, სახელი გაითქვა ჩრდილოეთ აფრიკაში ლაშქრობებითა და კართაგენთან ბრძოლაში გამარჯვებებით, „აფრიკელიც“ ამიტომ შეარქვეს.

გვ. 44. ერკერი — ფანჯრებიანი მრგვალი ანდა მრავალწახნაგა გამოწარმებული შენობის კედელში, ამკობს ფასადს, ქმნის დამატებით ინტერიერს.

VII

გვ. 48. მადონების მხატვრის მოგვარე გახლდათ — ჩიმაბუე (ნამდვილი სახელია ჩენი დი პენო; დაახლ. 1240—1302) — ფლორენციელი ფერმწერი, გამოირჩეოდა ნახატის მონუმენტურობით, კომპოზიციის სიმეტრიულობით და ფერის დეკორატიულობით; ბიზანტიური სტილის ზეგავლენის ქვეშ მყოფ იტალიურ მხატვრობას ახალი სული ჩაჰბერა; იტალიაში მიღებული ათვლით, იმდენად ტრეჩენტოს არა, რამდენადაც დუოჩენტოს ეპოქას განეკუთვნება.

გვ. 49. oboe d'amore (იტალ.) — სიყვარულის ჰობოი — ძველებური იტალიური ხის სასულე საკრავი, თანადროულ ორკესტრებშიც გამოიყენება.

სტრადივარი (ან სტრადივარიუსი), ანტონიო (1643—1737) — ხემიან საკრავთა სახელგანთქმული იტალიელი ოსტატი, თავის მშობლიურ ქალაქ კრემონაში ჰქონდა სახელოსნო.

გვ. 50. viola da gamba (იტალ.) — „ფეხის“, „მუხლის“ ე.ი. ბანის ვიოლა (ვიოლონჩელის წინამორბედი).

კონფირმაცია — მირონცხება — კათოლიკეთა, მართლმადიდებელთა და პროტესტანტთა განსხვავებული საეკლესიო რიტუალები, რომელთა შესრუ-

ლების შემდეგ მოზარდები უკვე შესაბამისი ეკლესიის მრევლში მიღებულად ითვლებიან.

პიჩუკატო — წყვეტილი ბგერა, რომელსაც სიმებიანი საკრავები გამოსცემენ უხეზოდ, თითის ამოკვერით.

ფლაუოლეტურ ბგერებს გამოსცემს სიმებიანი საკრავი თითის ოდნავი მიკარებით, სიმების ნაწილობრივი რხევით.

გვ. 51 პიკოლო-ფლეიტა — პატარა ფლეიტა, სიმფონიური ორკესტრის ერთ-ერთი საკრავი, ჩვეულებრივ ფლეიტაზე ერთი ოქტავით მაღლა ხმოვანებს.

ტუტი-ორკესტრი — მთელი ორკესტრი (tutti იტალ. — ყველა (ნი); ყველა ხმა ან ყველა საკრავი; ყველა მონაწილის მიერ ერთდროული შესრულება).

მორიალე სინათლეების ფერხულში ან ცეცხლის დამწყალობებისას — მორიალე სინათლეების ფერხული ბერლიოზის ორატორიაშია — „ფაუსტის შეჩვენება“; ცეცხლის დამწყალობება კი ვაგნერის მუსიკალური დრამის — „ვალკიურეს“ დასკვნით სცენაში, გვხვდება აგრეთვე „ნიბელუნგის ბექდის“ სხვა ნაწილებშიც.

კანტილენა (იტალ.) — სიმღერა; ვინრო მნიშვნელობით: ძველებური ხალხური სიმღერა, ფართო მნიშვნელობით: ნარნარი, „მღერადი“ მელოდია.

ლური — უკან გადაზნექილმუნდშტუკიანი უძველესი სკანდინავური სასულე საკრავი.

გვ. 52. სასაფლაოზე ჩონჩხების როკვა — იგულისხმება კამილ სენ-სანსის „სიკვდილის როკვა“ — ფანტაზია ორკესტრისათვის.

ქრომატული შესაძლებლობის — საფეხურებრივი ცვლილების გარეშე კილოს ნახევარტონით ამალღების ან დადაბლების უნარის მქონე; შდრ.: ქრომატიზმი — კილოს დიატონური საფეხურის ნახევარტონით ამალღება ან დადაბლება, რაც მეზობელ საფეხურთან მის მიზიდულებას აძლიერებს. დიატონურ საფეხურსა და მის ამალღებულ ან დადაბლებულ ვარიანტს შორის წარმოიქმნება ქრომატული ნახევარტონი, რომლის ბგერები დიატონური ნახევარტონისაგან განსხვავებით ერთ საფეხურს განეკუთვნება.

გლისანდო — შესრულების ხერხი — ნოტიდან ნოტზე სრიალი სიმებსა თუ კლავისებზე, ან ტრომბონის კულისებზე

ერარისეული პედალანი არფა — თანადროულ არფას აქვს ორმაგი მოქმედების მექანიზმით აღჭურვილი პედალები, რაც ყოველი სიმის დამოკლებისა და ბგერის ნახევარი ან მთელი ტონით ამალღების საშუალებას იძლევა, გამოიგონა ზებასტიან ერარმა (1752—1831), დაახლოებით 1820 წ.

გვ. 53. კვანცი, იოჰან იოახიმ (1697—1773) — ფლეიტასა და ჰობოიზე დაკვრის სახელმძღვანელოს ავტორი.

გვ. 57. ტონალობათა თაიგულს — ტონალობათა სქემას.

კვინტური წრე — ტონალობათა მონაწესაობის მაჩვენებელი გრაფიკული სქემა, დიდი მნიშვნელობა აქვს ტონალობათა შორის მოდულაციური კავშირის დასადგენად. — გამების ურთიერთშეფარდება, რომელთაცან თითოეული მეზობლისაგან დაშორებულია კვინტათი ზემოთ ან ქვემოთ და მასთან დომინანტურ მიმართებაშია.

გვ. 58. ქრომატული გამა – გამა, რომელშიც ნახევარტონებიანი მანძილია საფეხურებს შორის, ოქტავის ფარგლებში 12 ბერას მოიცავს.

ტერციული ნათესაობა – ნათესაობა იმ სამხმოვანათა შორის, რომელთა ტონიკები ტერციით არიან ერთმანეთისაგან დაშორებულნი, რის გამოც ერთის ტერცია მეორის ტონიკას წარმოადგენს.

ნეაპოლური სექსტა – დადაბლებული სექსტა, წარმოიქმნება მეოთხე და მეორე ქვედა საფეხურებს შორის, ხშირად იყენებდნენ ნეაპოლური საოპერო სკოლის წარმომადგენლები. ტერციული ნათესაობა ნეაპოლურ სექსტასთან ერთად დაშორებულ ტონალობებში მოდულაციების შესაძლებლობას ქმნის.

გვ. 59. ენჰარმონიზმი – ერთი სიმაღლის ბგერათა სხვადასხვანაირად დასახელება ანუ სხვადასხვა სახელწოდების ბგერათა თანაბარი სიმაღლე. ტემპერირებულ ბგერათა თორმეტივე საფეხურის ყოველი ბგერა შეიძლება ამაღლებულ იქნეს კიდევ ნახევარტონით (დეიზის ნიშანი) დაბლა მდგომი ბგერით და დადაბლდეს კიდევ ნახევარტონით ზემდგომი ბგერით (ბემოლის ნიშანი). ეს კი ზრდის სხვა ტონალობებში მოდულირების შესაძლებლობას.

VIII

გვ. 60. „მარმარილოს ქანდაკება„ – არსებობს ამავე სახელწოდების ნოველა, რომელიც გერმანული რომანტიზმის გამოჩენილი წარმომადგენლის – ლირიკოსის, დრამატურგის, ნოველისტისა და რომანისტის – იოზეფ ფონ აიჰენდორფის (1788–1857) კალამს ეკუთვნის, გამოქვეყნდა 1819 წ.

გვ. 61. პრეტორიუსი, მიხაელ (1571–1621) – გერმანელი კომპოზიტორი, დირიჟორი და მუსიკის თეორეტიკოსი. ძირითადად წერდა საეკლესიო მუსიკას, უმთავრესი თხზულებებია „სიონის მუზები“.

ფრობერგერი, იოჰან იაკობ (დაახლ. 1616–1667) – კომპოზიტორი და კარის ორგანისტი ვენაში, მოგზაურობდა ევროპაში როგორც ფორტეპიანოზე დაკვრისა და იმპროვიზაციის ვირტუოზი.

ბუქსტეჰუდე, დიტრიჰ (1637–1707) – კომპოზიტორი, ორგანისტი, წერდა კანტატებს ბაროკოს სტილში; ერთხანს ბახის მასწავლებელი.

გვ. 63. ოპუსი 111 – ბეთჰოვენის უკანასკნელი, 32-ე საფორტეპიანო სონატა, დო-მინორი.

... ორ სხვა სონატასთან ერთად – იგულისხმება საფორტეპიანო სონატა №30, მი-მაჟორი, ოპუსი 109 და საფორტეპიანო სონატა № 31, ლა-ბემოლ-მაჟორი, ოპუსი 110.

ფამულუსი (ლათ. მსახური, თანაშემწე) – აქ აღბათ ბეთჰოვენის პირველი ბიოგრაფი – ანტონ წინდლერი (1798–1864) იგულისხმება – დირიჟორი და მწერალი, წერდა მუსიკალურ თემებზე. ბოლო წლებში დაუახლოვდა ბეთჰოვენს, მდივნობას უწევდა.

გვ. 64. გრაფი ბრუნსვიკი – ბეთჰოვენის მოწაფის – ტერეზია ბრუნსვიკის (1775–1861) ძმა.

არიეტა — მცირე არია.

გვ. 66. ფორტე (იტალ.) — ძლიერ ხმამაღლა.

გვ. 67. ალაჯო (იტალ. ნელა, დინჯად) — მუსიკაში აღნიშნავს ნელ, დინჯ ტემპს და ნაწარმოებს (ან მის ნაწილს), რომელიც ასეთი ტემპით სრულდება; როგორც წესი, სიმფონიის, სონატის, კვარტეტის და ა. შ. შუა ნაწილი.

„მდელობი“ — დედანში ამ სიტყვის ბადალია Wiesengrund — ღრმად, დაბლობში, ხევეში მდებარე მდელო; ნაკადულის ან მდინარის პირას, მაგრამ ასეთი გერმანული გვარიც არსებობს და სწორედ ამ გვარის კაცის პატივსაცემად მოაქვს ავტორს ეს მაგალითი, სახელდობრ, ავსტრიელი მუსიკათმცოდნის თეოდორ ადორნო-ვიზენგრუნდის (დაიბ. 1909 წ.) პატივსაცემად, რომელიც თომას მანივით ამერიკაში იყო გადახვენილი და, მანისავე ცნობით, კონსულტანტობას უწევდა მუსიკის საკითხებში.

კონტრაპუნქტულ გარდაქმნებში — კონტრაპუნქტულად ხმების შესამებაში. კონტრაპუნქტი (ლათ. გამოთქმიდან — „punctum contra punctum“ — წერტილი წერტილის წინააღმდეგ; ერთდროულად მჟღერ ბგერათა ძველებური აღნიშვნა) მრავალხმიანობის სახეობა — ორი ან მეტი დამოუკიდებლად მჟღერი მელიოდის შეერთება; თემასთან ერთდროულად მჟღერი მელიოდა.

ფიორიტურები — შემამკობელი ნოტები.

კადენცია — 1. ჰარმონიული თუ მელიოდური საქცევი, ბრუნვა, მუსიკალურ ფრაზას ასრულებს, მთლიანობას ანიჭებს; 2. ვირტუოზული ეპიზოდი, რომელსაც ასრულებს სოლისტი, ორკესტრის თანხლების გარეშე.

გვ. 69. ტრიოლი (იტალ.) — განსაკუთრებული მეტრულ-რიტმული ფიგურა, ჩვეულებრივ შედგება სამი მეთექვსმეტედი, მერვედი, მეოთხედი ან სხვა გრძივობის ნოტებისაგან და გრძივობით უთანაბრდება ორ ან იშვიათად ოთხ მეთექვსმეტედ, მერვედ, მეოთხედ ან სხვა ნოტს.

გვ. 70. თავადი ესტერჰაზი, შიკლოშ (1765—1833) — უნგრელი მაგნატი და პოლიტიკოსი, ავსტრიის ფელდმარშალი, მუსიკის მოყვარული, მფარველობდა ჰაიდნსა და ბეთჰოვენს.

ალეგრეტო (იტალ.) — საკმაოდ ცოცხლად; ალეგროზე ნელი, ანდანტეზე ჩქარი ტემპი; ამგვარი ტემპის მუსიკალური პიესის ზოგადი სახელწოდება.

გვ. 72. „Gloria“ და „Credo“ „Missa solemnis“-იდან — „Gloria“ (სახელი და დიდება), „Credo“ (მწამს) — მრავალი ლათინური კათოლიკური საგალობლის საწყისი სიტყვები; „Missa solemnis“ (ლათ. „საზეიმო მესა“), რე-მაჟორი (დანერილია 1923 წ.).

ამ ანგელოზთან ჭიდილშიაც — კრემარი ბეთჰოვენს ღმერთთან მორკინალ იაკობს ადარებს. ბიბლიაში (შესაქმე, თავი 32) მოთხრობილია იაკობის ბრძოლის ამბავი ღმერთთან, რომელმაც ანგელოზის სახე მიიღო. ღმერთმა იაკობი დააკოჭლა.

გვ. 73. სეკულარიზაცია — რისიმე საეკლესიო, სასულიერო განმგებლობიდან ამოღება და საერო, სამოქალაქო განმგებლობისათვის გადაცემა.

გვ. 75. ნევშები — მუსიკალურ ბგერათა აღმნიშვნელი ძველებური სისტემა (IX—XII საუკუნეებში).

გვ. 76. პოლიფონიური სტილის ნიდერლანდელი ოსტატები XV–XVI საუკუნეებში მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ დას. ევროპის მუსიკალურ ცხოვრებაში.

ლასო, ორლანდო (დაახლ. 1532-1594) – თავისი დროის უმნიშვნელოვანესი და უნაყოფიერესი ფლანდრიელი კომპოზიტორი, 1560 წლიდან სიკვდილამდე კარის კაპელას ხელმძღვანელობდა მიუნჰენში, საეკლესიო მუსიკაში ალორძინების სულისკვეთებას წერავდა, 2000–ზე მეტი ნაწარმოები შექმნა.

იოახიმ ფონ ბურკი (1546-1610) – გერმანელი კომპოზიტორი, წერდა საეკლესიო მუსიკას, ორატორია „იოანეს ვნება“ 1568 წ. დაწერა.

გვ. 77. პითაგორა სამოსელს (ძვ. წ. 570 – დაახლ. 800) დამსახურება მიუძღვის მუსიკის თეორიასა და ფილოსოფიაშიც, კერძოდ, მას მიეწერება სიმის სიგრძესთან ბგერის სიმაღლის დამოკიდებულების აღმოჩენა. პითაგორა რიცხვს განიხილავდა როგორც სამყაროს არსს, აფუძველი ჩაუყარა რა მისტიკურ წარმოდგენას მუსიკის კოსმიურ ბუნებაზე (ციურ სფეროთა მუსიკა). ადრიან ლევერკიუნის შეხედულებებისა და მუსიკალური შემოქმედების განვითარებისათვის პითაგორეიზმის მნიშვნელობაზე შემდგომ უფრო დაწვრილებით არის რომანში ლაპარაკი.

კუნდრი – ვაგნერის ოპერის – „პარსიფალის“ – პერსონაჟი, ჯადოქარ კლინგზორის მწე. ამოდ აცდუნებს პარსიფალს.

გვ. 79. მი-ბემოლ-მაჟორული სამხმოვანება რაინის...ნაკადისა – ვაგნერის ტეტრალოგიის – „ნიბელუნგის ბეჭდის“ პირველ ნაწილში – „რაინის ოქრო“ – პირველი სცენა რაინის ფსკერზე თამაშდება.

სიმულტანობა – ერთობლიობა, ერთდროულობა.

ბრუკნერი, ანტონ (1824-1896) – ავსტრიელი კომპოზიტორი, ორგანისტი და იმპროვიზატორი. „გვიანი“ რომანტიზმის წარმომადგენელი, ვაგნერის გავლენა განიცადა.

გვ. 80. ვინმე ბაისელს – ასეთი პიროვნება რეალურად არსებობდა, ცნობებს მის შესახებ თ. მანი ამერიკულ პერიოდიკაში გაცენო, ხოლო მოგვიანებით – უკვე დაინტერესებულმა – მისი ლიტერატურული მემკვიდრეობაც შეისწავლა ვაშინგტონის ბიბლიოთეკაში.

IX

გვ. 89. მანცონი, ალესანდრო (1785–1873) – იტალიელი პოეტი და რომანიტი, იტალიური რომანტიზმის თეორეტიკოსი, მისი გამოჩენილი წარმომადგენელი.

მაისტერ ეკჰარტი – ასე ისენიებდნენ ხოლმე იოჰანეს ეკჰარტს (1260–1328) – ევროპული მანსშტაბის გერმანელ თეოლოგს და მისტიკოს ფილოსოფოსს.

გვ. 90. პალესტრინა, ჯოვანი პიერლუიჯი (დაახლ. 1525–1594) – იტალიელი კომპოზიტორი, ორგანისტი და კაპელმაისტერი, მკაცრი სტილის სასულიერო საგუნდო მუსიკის უბადლო ოსტატი.

ფუგეტა – პატარა ფუგა.

ინვენცია – განსაკუთრებული გამომგონებლობით დაწერილი მცირე ზომის მუსიკალური პიესა, ცნობილია ბახის ორ – ან სამხმიანი ინვენციები.

Sonata facile – „მსუბუქი“, „იოლი“ საფორტეპიანო სონატა, დო-მაჟორი.

გვ. 94. კლემენტი, მუციო (1752-1832) – იტალიელი კომპოზიტორი, ვირტუოზი პიანისტი და პედაგოგი.

გვ. 96. ...ვიდრე ჰენდელის აკორდულ ალფრესკოს — სხვანაირად რომ ვთქვათ: ვიდრე ჰენდელის აკორდთა ფრესკულ მონუმენტურობას.

ჰომოფონური მუსიკა იმითი განსხვავდება პოლიფონიურისაგან, რომ აქ ხმები დანაწილებულია ერთ მთავარ და თანმხლებ ხმებად (ჰომოფონიის უმარტივესი მაგალითია სიმღერა აკომპანემენტით), მაშინ როდესაც პოლიფონია ხმათა თანასწორუფლებიანობას ემყარება.

გვ. 97. სეკუნდა — 1. მეორე საფეხური (ან ინტერვალი ორ მეზობელ ბგერას შორის) დიატონურ გამაში; 2. მეორე საკრავი ორკესტრში (სეკუნდა ვიოლინო — მეორე ვიოლინო).

გვ. 98. ჰანს ჰაილინგი — გერმანელ რომანტიკოს კომპოზიტორ ჰაინრიხ მარშნერის (1795—1861) ამავე სახელწოდების ოპერის პერსონაჟი.

მფრინავი პოლანდიელი — ვაგნერის ამავე სახელწოდების ოპერის მთავარი პერსონაჟი.

„ფიდელიო“ — ბეთჰოვენის ერთადერთი ოპერა. მისი უვერტიურის ოთხი ვარიანტია შემონახული, სამს ოპერის პერსონაჟის სახელი — „ლეონორე“ ეწოდება და დანომრილია, ყველაზე სრულყოფილად ითვლება უვერტიურა „ლეონორე №3“, მეოთხე ვარიანტს „ფიდელიო“ ეწოდება.

X

გვ. 100. კონსისტორიის მრჩეველი... გენერალზუპერინტენდენტი — ლუთერანული ეკლესიის უმაღლესი თანამდებობები: კონსისტორიუმის წევრი... პროტესტანტული ეკლესიის უმაღლესი ხელმძღვანელი სასულიერო პირი გერმანიის ერთ-ერთი მიწის ფარგლებში.

გვ. 103. პოლიმინია (ან პოლიმნია) — ბერძნ. მითოლოგიაში მუსიკის მფარველი მუზა.

გვ. 106. იმ ორს ვერ წარმოქმნიდნენ — გოეთესა და შილერს.

გვ. 107. ქამი... მამა ზოროასტრისა — ბიბლიაში, იქ, სადაც პატრიარქ ნოესა და მის ვაჟიშვილებზეა ლაპარაკი, ზოროასტრი ნახსენები არ არის (შესაქმე, თავი 10). ეს შემდგომ შეთხზული თქმულებაა.

XI

გვ. 108. ფრანკე, ავგუსტ პერმან (1663—1727) — პროტესტანტი ღვთისმეტყველი და ქველმოქმედი პედაგოგი; პიეტიზმის თვალსაჩინო წარმომადგენელი. კანშტაინის ბიბლიური საზოგადოება დააარსა ჰალეში 1710 წ. გამოჩენილმა პიეტისტმა და ბიბლიური ლიტერატურის გამავრცელებელმა ბარონმა კარლ პილდებრანდ ფონ კანშტაინმა (1667—1719).

გვ. 110. ზიარების ორიგენაირად მიღების ნება დართო ანუ პურიტაც და ღვინითაც, მაშინ როდესაც კათოლიკენი ერისკაცთათვის მხოლოდ პურიტო ზიარებას აღიარებდნენ.

ალბრეხტი — მაგდებურგის არქიეპისკოპოსი და მაინცის კურფიურსტი (1496—1545), რეზიდენცია ჰალეში ჰქონდა, ჰუმანისტებთან შემრიგებლური პოზიცია ეჭირა, მაგრამ ბოლოს მაინც ისევ ორთოდოქსულ კათოლიციზმს მიემხრო.

იუსტუს იონასი (1493–1555) – პროტესტანტი თეოლოგი; ლუთერის მეგობარი და თანამშრომელი.

ერაზმ როტერდამელი (1466–1536) – ნიდერლანდელი ჰუმანისტი მწერალი და მეცნიერი, მთელ ევროპაში ჰქონდა სახელი განთქმული, წერდა ლათინურ ენაზე „სისულელის ქების“ ავტორი (1509), ზომიერი შეხედულებების კაცი.

მელანხთონი (ბერძნ. თარგმანი გვარისა – შვარცერდ), ფილიპ (1497–1550) – გერმანელი ჰუმანისტი, რეფორმატორი, პედაგოგი, მწერალი.

გვ. 112. ვოლფი, იოჰან კრისტიან (1679–1759) – გერმანელი ფილოსოფოსი. ლაიბნიცის მიმდევარი, ჰალეს უნივერსიტეტის პროფესორი.

გვ. 113. ეგზეგეტიკა – საღმრთო წერილის ახსნა-განმარტება (ქრისტიანული მწერლობის დარგი).

გვ. 114. ...ნეოთომიზმისა და ნეოსქოლასტიკის მოშველებას – თომიზმი – თომა აკვინელის (1225–1274) – შუა საუკუნეების ღვთისმეტყველის – მოძღვრება – მის მიერ შექმნილი სარწმუნოების მწყობრი, ფილოსოფიურად დასაბუთებული სისტემა. ნეოთომიზმი და ნეოსქოლასტიკა შეიმჩნევა თანადროულ დასავლეთევროპულ და ამერიკულ ფილოსოფიურ მიმდინარეობებში.

XII

გვ. 116. „ამოოხვრათა ხიდი“ – კუზიან ხიდზე იტყვიან ირონიულად; ვენეციის „ამოოხვრათა ხიდის“ ანალოგიით (ზედ სიკვდილმისჯილინი გადაჰყავდათ ქონდაქრისათვის მისაგვრელად).

როლანდის ქანდაკება – როლანდი – ძველფრანგული ეპოსის „როლანდის სიმღერის“ გმირი. მისი ქანდაკება შუა საუკუნეებში ბევრი ქალაქის მოედანზე იდგა.

დიურერის „მელანქოლიაზე“ – ალბრეხტ დიურერის გრაფიურა „მელანქოლია“ (1514 წ.) გამოსახავს ფრთოსან ქალს, ასტროლოგიური აქსესუარით გარემოცულს.

გვ. 117. სტაგირიტი – არისტოტელეს მეტსახელი, რადგან მაკედონიის ქ. სტაგირაში დაიბადა.

გვ. 120. პერიპატეტიკული გადახვევების დროს – პერიპატეტიკოსთა („მოსიერნეთა“) სკოლა – არისტოტელეს მიერ დაარსებული სკოლა. გადმოცემის თანახმად, არისტოტელეს ლექციის ნაკითხვისას სეირნობა უყვარდა. ზოგადად პერიპატეტიკოსები – ამ სკოლის წარმომადგენლები, არისტოტელეს მიმდევრები.

გვ. 121. დამასკოს გზაზე... ფერისცვალება – დამასკოში მიმავალ საელეს – ქრისტიანთა მტერსა და მღვწელს – გზაში ქრისტე გამოეცხადა, რის შემდეგაც იგი მგზნებარე ქრისტიანად გადაიქცა, იგივე მოციქულ პავლე.

გვ. 123. „ლიუცომ რომ მტერი მაგრად იფრინა“ – კარლ მარია ფონ ვებერის მიერ (1786–1826) პოეტ თეოდორ კორნერის (1791–1813) ბალადაზე დაწერილი პოპულარული სიმღერა, რომელიც ნაპოლეონის წინააღმდეგ ბრძოლაში მოხალისეთა კორპუსის მიერ გამოჩენილ გმირობას ასხამს ხოტბას. ბარონი ფონ ლიუცო – კორპუსის ა მეთაური. კორნერი თავადაც მოხალისედ იბრძოდა და ბრძოლის ველზე დაეცა.

„ლორელაი“ – გერმანული ხალხური სიმღერა (ლექსი ჰაინეს ეკუთვნის). „Gaudemus igitur“ (ლათ. „მაშ, გვიხაროდეს“) – ძველი სტუდენტური სიმღერა.

გვ. 124. ...წყვდიადით მოცულ კუთხეში ისროლა – ჰაროდიული ანალოგია გადმოცემისა, რომლის თანახმად ლუთერმა სამელნე ესროლა მასთან გამოცხადებულ ეშმაკს.

XIII

გვ. 125. ემპიროსი (ბერძნ. ცეცხლოვანი) – არქაულ კოსმოგონიაში – ზეცის ზედა ნაწილი, აღსავსე ცეცხლითა და ბრწყინვალეობით, ლმერთების ადგილსამყოფელი.

გვ. 128. ინკუბუსი (ლათ. ზემდებარე, ზემწოლი; ღამისა მავლაჯუნა) – მამრობითი სქესის დემონი.

გვ. 132. ამოოდ როდი უთხრა ანგელოზმა ტობიას: ვინც მრუშობას მისდევს, ეშმაკის კერძი ხდებაო – ბიბლიის ერთ-ერთ არაკანონიკურ ნაწილში – „წიგნი ტობისი“ – მოთხრობილია ებრაელი ქალწულის – სარას ამბავი. იგი დემონს შეუყვარდა, რომელიც მხოლოდ მის ქმრებს ერჩოდა – ხოცავდა მათ, ვიდრე სარასთან შეუღლებას მოასწრებდნენ. ასე განმეორდა შვიდჯერ. ტობიაკი – მისი მერვე საქმრო ანგელოზ რაფაელის დარიგებისამებრ მოიქცა, ავი სული განდევნა და სარა მას დარჩა.

კორინთელთათვის გაგზავნილ ეპისტოლეში – მეორე ეპისტოლეში კორინთელთა მიმართ, 12,7 – მოგვაქვს იგივე ფრაზა ახალ ქართულად თარგმნილი: „ეკალი მომცა სხეულში, სატანის ანგელოზი, რომ დამქენჯნოს“...

გვ. 133. სუკუბა (ლათ. ქვემდებარე, ქვემწოლი; ხასა) – მდედრობითი სქესის დემონი.

გვ. 139. ბასილისკო – ზღაპრული ურჩხული, ერთი შეხედვით კლავდა ყოველ სულდგმულს.

XIV

გვ. 142. ტოკატა – გამორჩეული, სწრაფი რიტმული მოძრაობის, ეფექტური პასაჟებისა და რთული ტექნიკის მუსიკალური პიესა კლავიშებიან საკრავთათვის.

გვ. 150. რინასჩიმენტო – რენესანსის იტალიური სახელწოდება.

კიერკეგორი, სერენ (1813–1855) – დანიელი თეოლოგი, იდეალისტი ფილოსოფოსი და მწერალი, ზეგავლენა მოახდინა დასავლეთის თანადროულ ირაციონალისტურ ფილოსოფიურ ჰიმდინარეობებზე.

დიურერისეული ჭენება სიკვდილსა და ეშმაკს შორის – დიურერის გრაფიურაზე – „მხედარი, სიკვდილი და ეშმაკი“ – გამოსახულია ცხენოსანი რაინდი, მის გვერდით სიკვდილი, ხოლო უკან კი ეშმაკი.

გვ. 165. „ანაბაზისი“ – ძველბერძნული ისტორიკოსის, მწერლისა და სარდლის – სოკრატეს მოწაფის – ქსენოფონტის (დაახლ. 435-1-355-4) წიგნი, რომელშიც მოთხრობილია მისი მეთაურობით ბერძენთა ათი ათასიანი ლაშქრის უკან დახვევის ისტორია.

გვ. 168. ალბერტუს მაგნუსი (ლათ. ალბერტ დიდი) – გრაფი ბოლშეტი (1193–1280) – გამოჩენილი ფილოსოფოსი, თეოლოგი და მეცნიერი-ენციკლოპედიისტი. ადრიანი ხუმრობით მიმართავს ასე თავის მასწავლებელს.

გვ. 169. ვილონჩელეზი განცალკევებით ასრულებენ – ავტორის ცნობით, აქ აღწერილია ვაგნერის „ნიუნბერგელი მასტერზინგერების“ მესამე აქტის შესავალი: ადრიანის წერილი „მასტერზინგერების“ მესამე აქტის შესავლის ფარული მიბაძვალა („რომანი რომანის შესახებ“, თ. VII).

გვ. 170. ბომბარდონი – ვენტილებიანი და ფართომენზურიათი ლითონის ძველებური სასულე საკრავი.

გვ. 172. „ქერუბიმისნაირი მოხეტილე“ – ჰანს იაკობ ქრისტოფელ გრიმელს-ჰაუზენის (1622–1676) – პირველი გერმანული ეროვნული რომანის – „ზიმპლიციმუსის თავგადასავლის“ ავტორის მიერ გამოცემული გალექსილი სენტენციების კრებული.

XVI

გვ. 177. პლაისე, პართე და ელსტერი – მდინარეები, რომელთა პირას მდებარეობს ლაიპციგი.

ნიინეია – ძველი ასურეთის დედაქალაქი.

გვ. 178. ფუქსი, იოჰან იოზეფ (1660–1741) – ავსტრიელი კომპოზიტორი, წერდა ოპერებს, ორატორიებს, საეკლესიო მუსიკას, 1725 წ. გამოაქვეყნა კონტრაპუნქტის სახელმძღვანელო – „Gradus ad Parnassum“ (ლათ. „პარნასის კიბე“).

ჰამბურგელი ბახი – ბახი, კარლ ფილიპ ემანუელ (1714–1788) – კომპოზიტორი და კლავესინისტი, იოჰან ზებასტიან ბახის ვაჟიშვილი, ჯერ ბერლინში და შემდეგ კი – გარდაცვალებამდე – ჰამბურგში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა.

გვ. 180. ლუთერი ეპაექრებოდა იქ ეკს – იოჰან ეკს (1486–1543) – კათოლიკე თეოლოგს, რეფორმაციის მოწინააღმდეგეს, ლუთერი 1519 წ. ეპაექრებოდა ლაიპციგში, ხოლო 1520 წ. ეკმა პაპისაგან საგანგებო ბულა გამოითხოვა, რომელიც ლუთერს ეკლესიიდან განკვეთით ემუქრებოდა.

გვ. 181. მორფები – სამხრეთ ამერიკის ტროპიკულ ზონაში გავრცელებული დიდირონი პეპლების სახეობა, გაუვალ ტყეებში ხის კენწეროებზე ბუდობენ.

...საროსკიპოში მიმიყვანა! – ეს ეპიზოდი ერთგვარი ანალოგიაა ფათერაკისა, რაც ნიცშეს შეემთხვა კოლნის საროსკიპოში. საერთოდ, რომანში თუმცა ნიცშე არც ერთხელ მოხსენიებული არ არის, მაინც იმდენი რამ მიგვანიშნებს მასზე, რომ ამ წიგნს ნიცშეზე დანერილადაც მიიჩნევდნენ.

„თავისუფალი მსროლელი“ — პოპულარული გერმანული რომანტიკული ოპერა (1821 წ.), ავტორი — კარლ მარია ვებერი (1786—1826) — მუსიკაში რომანტიკული მიმდინარეობის ერთ-ერთი ფუძემდებელი.

კვარტსექსტაკორდი — აკორდი, შემდგარი აკორდის ქვედა ბგერის მიმართ კვარტისა და სექსტის ინტერვალებისაგან, წარმოადგენს სამხმოვანების მეორე შებრუნებას.

გვ. 183. დელაკრუა, ეჟენ (1798—1863) — ფრანგი ფერმწერი და გრაფიკოსი, რომანტიკული სკოლის თვალსაჩინო წარმომადგენელი, შოპენის მეგობარი.

ტრისტანის... ორგივს — ლაჰარაკია ვაგნერის ოპერის — „ტრისტანი და იზოლდეს“ მდიდარ მუსიკალურ გამომსახველობით სამუალებათა ერთობლიობაზე.

XVIII

გვ. 191. გვიანდელ გერმანულ-ავსტრიულ რომანტიკოსებს განეკუთვნებიან რიჰარდ შტრაუსი, მაქს რეგერი, ანტონ ბრუკნერი, გუსტავ მალერი და სხვ.

გრეტერი, ანდრე ერნესტ მოდესტი (1741—1813) — ბელგიური წარმოშობის ფრანგი კომპოზიტორი და მუსიკის თეორეტიკოსი, ფრანგ. ეროვნული ოპერის ერთ-ერთი ფუძემდებელი, „კომიკური ოპერის“ ოსტატი, პარიზის კონსერვატორიის დირექტორი, საფრ. რევ-ის ეპოქაში ჰეროიკულ-პათეტიკური სტილის სიმღერებსა და ჰიმნებსაც წერდა.

ქერუბინი, ლუიჯი (1760—1842) — იტალიელი კომპოზიტორი და მუსიკის თეორეტიკოსი, საეკლესიო და საოპერო მუსიკის ავტორი.

გვ. 193. დებიუსი — რაველის ხაზი — კლოდ დებიუსი (1862—1918) და მორის რაველი (1875—1937) მუსიკაში ე. წ. „ფრანგული იმპრესიონიზმის“ გამოჩენილი წარმომადგენლები არიან, რაველი ბევრ რამეში ენათესავება, განაგრძობს დებიუსის „ხაზს“.

ბრენტანო, კლემენს (1778—1842) — გერმანელი რომანტიკოსი პოეტი.

XIX

გვ. 196. „სალომე“ — რიჰარდ შტრაუსის (1864—1949) ოპერა (1905), დაწერილი ოსკარ უაილდის ამავე სახელწოდების დრამის სიუჟეტზე.

გვ. 200. მსოფლიო-ისტორიული ნიღბის ატრიბუტად — ჰიტლერის ატრიბუტად.

XX

გვ. 203. ლიდური კილო — ერთ-ერთი ნატურალური (შვიდსაფეხურიანი, მკაცრად დიატონური) კილო, ახასიათებს გაძლიერებული მაჟორულობა (სახელწოდება ძველბერძნული მუსიკის თეორიიდან მოდის).

ამ თასიდან ვსვამ ... და ა. შ. — აღრიანს პირველ პირში მოაქვს გოეთეს ბალადის — „თულეს მეფის“ II სტროფის მესამე-მეოთხე სტრიქონები. თულე — ანტიკური გადმოცემით — ქვეყნიერების უკიდურეს ჩრდილოეთში (კუნძულზე თუ არქიპელაგზე) არსებული სახელმწიფო.

პტოლომესეული მუსიკალური სისტემა წარმოდგენილია კლავდიოს პტოლომეს (II ს. ჩვ. წ.) – ბერძენი გეოგრაფის, მათემატიკოსისა და ასტრონომის ტრაქტატში – „ჰარმონიკა“.

გვ. 208. ევფუიზმი – კეთილშობილი, დახვეწილი მეტყველება; მალალფარდოვანი სიტყვა-თქმებისა და ფორმების ხმარება, მიღებული XVI–XVII საუკუნეების გასაყარზე ინგლისის სამეფო კარზე, აგრეთვე იმდროინდელ ინგლისურ ლიტერატურაში (ტიერმინი წარმოიშვა ჯონ ლილის რომანების ციკლის საერთო სათაურიდან – „ევფუეს“ (ბერძნ. კეთილშობილი).

გვ. 209. „ფვიცავ ზენას, თვით არგუსიც ვერ დააკავებს... და ა. შ. – ბირონის სიტყვები („ამაო გარჯა სიყვარულისა“, მე–3 მოქმედების ფინალი); არგუსი – ბერძნულ მითოლოგიაში – მრავალთვალიანი გოლიათი.

გვ. 210. ვერლენი, პოლ (1844–1896) – ფრანგი პოეტი, სიმბოლისტი ლირიკოსი. „გალანტური დღესასწაულები“ პოეტის მეორე კრებულია (1869); ვერლენის პოეზიის მწვერვალია „უსიტყვო რომანსები“ (1874), მის: ლექსი „პოეტური ხელოვნება“ სიმბოლიზმის მანიფესტად ითვლება.

უილიამ ზლეიკი (1757 - 1827) – ინგლისელი პოეტი და მხატვარი, მისი ლექსები მუსიკალობით გამოირჩევა.

გვ. 214. სკელტონი, ჯონ (1460 - 1529) – ინგლისელი პოეტი და ფილოლოგი. ფლეტჩერი, ჯონ (1579 - 1625) და უებსტერი, ჯონ (დაახლ. 1580-1625) – შექსპირის თანამედროვე ინგლისელი დრამატურგები.

პოპი, ალექსანდრ (1688 - 1744) – ინგლისელი პოეტი, განმანათლებლური კლასიციზმის თეორეტიკოსი.

რიჩარდსონი, სემიუელ (1689–1761) – პოპულარული ინგლისელი სანტიმენტალური რომანისტი.

გვ. 216. თავისი გვარიდან დაეკენა... – შილდენაპი (Schildknapp(e)) გერმანულად საჭურველმჭვირთველს, მეაბჯრეს ნიშნავს.

XXI

გვ. 221. მეფე კლავდიუსი – შექსპირის „ჰამლეტის“ პერსონაჟი.

ვილიბალდ პირკჰაიმერის ქალაქი – ქ. ნიურნბერგი, სადაც დაიბადა და სიკვდილამდე ცხოვრობდა ალბრეჰტ დიურერი და სადაც მოღვაწეობდა მისი მეგობარი, გერმანელი ჰუმანისტი პირკჰაიმერი (1470–1530).

გვ. 227. მონტევერდის „მაგნიფიკატი“ – მონტევერდი, კლაუდიო (1567–1643) – იტალიელი კომპოზიტორი, პოლიფონიური საგუნდო მუსიკის ოსტატი, მუსიკაში ე. წ. „მღელვარე სტილი“ შემოიტანა, მნიშვნელოვანი ღვაწლი მიუძღვის აგრეთვე საოპერო ფანრის ჩამოყალიბებაში. „მაგნიფიკატი“ (ლათ. ადიდეტს) – ღვთისმშობლის საჯიდებელი კათოლიკური ჰიმნი,

ფრესკობაღდი, ჯიოროლამო (1583–1643) – იტალიელი კომპოზიტორი, 1608 წლიდან წმ. პეტრეს ტაძრის ორგანისტი რომში, უმთავრესად საორგანო მუსიკას წერდა, თავისუფალი სტილის ერთ-ერთი ფუძემდებელი.

კარისიმი, ჯაკომო (1605–1674) – იტალიელი კომპოზიტორი, უმთავრესად კანტატებსა და ორატორიებს თხზავდა.

Musica riservata (იტალ., განსაკუთრებული მუსიკა) – მე-16 საუკუნის შუა წლებიდან ევროპული მრავალხმიანი მუსიკის თეორიაში აღნიშნავს ახალ, უფრო თავისუფალ და გამომსახველ სტილს, რამაც ნიდერლანდული სკოლის კონტრაპუნქტიზმი შეცვალა.

„იეფთაე“ – კარისიმის ორატორია ბიბლიურ თემაზე (იხ. წიგნი მსაჯულთა, 11, 1–34).

შიუცისეული „დავითის ფსალმუნნიდან“ – შიუცი, ჰაინრიჰ (1585–1672) – გერმანელი კომპოზიტორი, ბახის წინამორბედი, წერდა ოპერებსა და საეკლესიო მუსიკას; მეგობრობდა მონტევერდის, ვისა გავლენაც განიცადა – „გერმანული მაგნიფიკატი“ 1671 წ. დაწერა, ხოლო „დავითის ფსალმუნნი“ – 1679 წ.

ნიდერლანდული ლინეარიზმი – XV–XVI საუკუნეებში ნიდერლანდელ კომპოზიტორებს (მკაცრი სტილის წარმომადგენლებს) ახასიათებდათ ე. წ. ლინეარიზმი (ლათ. ხაზობრიობა) – მელიოდური ხაზის ბატონობა ჰარმონიაზე მრავალხმიან მუსიკაში, ცალკეული ხმების ჰორიზონტალური წაკითხვისთვის უპირატესობის მიჩნევა – თანხმოვანებათა ვერტიკალურ წაკითხვა-სთან შედარებით.

გვ. 228. ზილტი – კუნძული ჩრდილოეთის ზღვაში, საბანაო და დასასვენებელი ადგილი.

გვ. 236. კლავირაუსცუგი (მუსიკოსები ხშირად მოკლედ „კლავირს“ ამბობენ) – დიდი საანსამბლო მუსიკალური ნაწარმოების „კონსპექტი“, „ნაყენი“, განკუთვნილი ფორტეპიანოსათვის.

XXII

გვ. 238. ტიკსა და ჰერცბერგს ვეყრდნობოდი – შექსპირის „ამაო გარჯა სიყვარულისას“ მთარგმნელებს, უფრო ზუსტად კი – მათ თარგმანს.

გვ. 241. ...ციტატით იმავე სცენიდან – შექსპირის პიესის – „ამაო გარჯა სიყვარულისას“ – სცენიდან (იხ. ქვემოთ რომანის ტექსტი).

გვ. 242. როზალინა და ბოიე – ამავე კომედიის პერსონაჟები.

გვ. 244. თემის დამუშავება სონატურ ალეგროში – სონატური ფორმის სამი ძირითადი ნაწილიდან მეორეში, რომელიც ექსპოზიციას მოსდევს და წინ უსწრებს ე. წ. რეპრიზას.

გვ. 247. კონსტელაცია – გარკვეულ გარემოებათა (მონაცემთა) თანხვედრა; ციურ მნათობთა განლაგება.

XXIII

გვ. 250. ჯაკოპო მაიერბერი – კომპოზიტორ იაკობ ლიბმან მაიერ-ბერის (1791–1864) – პარიზის „დიდი ოპერის“ თვალსაჩინო წარმომადგენლის – ფსევდონიმი. პიანისტობით დაიწყო, მოღვაწეობდა ჯერ გერმანიაში, შემდეგ საფრანგეთში. წერდა ოპერებს, ჯერ იტალიურ, შემდეგ ფრანგულ ყაიდაზე.

ოქროს რქა და გალატას ხედი — ოქროს რქა — ყურე ბოსფორის სრუტის დასაწყისში, მის პირაა მდებარეობს ქ. კონსტანტინოპოლი, გალატა — კონსტანტინოპოლის გარეუბანი, გენუელების მიერ დაარსებული, ახლა ამ ქალაქის ძირითადი სავაჭრო რაიონი.

გვ. 254. სუგამბრი ... უბი — ძველგერმანული ტომების წარმომადგენლები. „სეცესიონი“ — კრებითი სახელწოდება ოპოზიციურად განწყობილ მხატვართა გაერთიანებებისა. მიუნჰენის „სეცესიონი“ 1892 წ. დაარსდა და ერთ-ერთი წამყვანი იყო მათ შორის.

გვ. 256. ვივალდი, ანტონიო (1667—1743) — იტალიელი კომპოზიტორი; ვიენტიანი, ანრი (1820- 1881) — ფრანგი კომპოზიტორი; შპორი, ლუდვიგ (1784—1859) — გერმანელი კომპოზიტორი — სამივენი სავოლინო ნაწარმოებებს წერდნენ.

გრიგის დო-მინორული სონატა ვიოლინოსა და ფორტეპიანოსათვის არის დაწერილი.

გვ. 258. ფელიქს მოტლი (1856—1911) — ცნობილი ვენელი დირიჟორი.

გვ. 259. კაპუა — კამპანიის მთავარი ქალაქი.

გვ. 260. რეგენტობის ხანა — პრინც ლუიპოლდის რეგენტობის (მონარქის მაგივრად დროებითი მმართველობის) ხანგრძლივი პერიოდი. მას შემდეგ, რაც ლუდვიგ II შეურაცხადად იქნა მიჩნეული (1888 წ.), ბავარიის სამეფოს ლუიპოლდი ჩაუდგა სათავეში და მერეც, ლუდვიგის შუშლილი ძმის, ოტო I, მეფობის დროსაც; უფრო მოგვიანებით კი (1912 წ.) ღრმად მოხუცებულმა პრინცმა მემკვიდრეობით მიიღო ბავარიის ტახტი (გარდაიცვალა 1917 წ.).

სატურნალიები — შვიდდღიანი დღესასწაული (კარნავალითურთ), რომელიც ძველ რომში ყოველწლიურად იმართებოდა მოსავლის აღების შემდეგ (17 დეკემბრიდან) სატურნის — ნათესებისა და მოსავლის ღვთაების — პატივსაცემად.

ეზოტერიკული — დაფარული, იდუმალი, გასაგები მხოლოდ იმისათვის, ვინც ეზიარა საიდუმლოს (ან ვისაც გააჩნდეს საიდუმლო), ანტიონიმური ცნებაა — ეგზოტერიკული.

ბოტიჩელი, სანდრო (1445—1510) — ალორძინების ხანის იტალიელი ფერმწერი.

გვ. 261. გალიანი, ფერდინანდო (1728—1787) — იტალიელი მწერალი, ფილოსოფოსი და ეკონომისტი.

გვ. 262. ხალხის სათაყვანო შუშლილი — ბავარიის მეფე ლუდვიგ II (1845-1886), ქომაგობდა ვაგნერს, დაეხმარა ბაიროითის ფესტივალის დაარსებაში.

გვ. 264. ნიკე სამოთრაკიელი — გამარჯვების ძველბერძნული ქანდაკება, ლუერშია დაცული, თარიღდება ძვ. წ. III—II სს., აღმოაჩინეს კუნძულ სამოთრაკიაზე (ნიკე — ძველბერძნულ ჰითოლოგიაში გამარჯვების ქალღმერთი, გამოსახავდნენ ფრთოსანი ასულის სახით, პალმის რტოთი და გვირგვინით ხელში).

გვ. 275. პოლენტა — სიმინდის ფაფა.

მარსალა — ღვინოა ასეთი.

პადრონა — დიასახლისი.

გვ. 277. მელიზმები — მცირე მელოდური საქცევეები, მელოდური „ჩუქურთმები“ ძირითადი მელოდის შესამკობად.

გვ. 279. ოლოფერნი — შექსპირის კომედიის — „ამაო გარჯა სიყვარულისა“ — პერსონაჟი.

აკადემოსის ჭალა — აკადემოსი — ძველბერძნული მითური გმირი, რომელიც თითქოსდა დაკრძალული იყო ათენის გალაგნის მიღმა, ე. წ. აკადემოსის ჭალაში, სადაც ძვ. წ. IV საუკუნეში პლატონი ლექციებს უქითხავდა თავის მოწაფეებს.

გვ. 282. მალვაზიური — სამხრეთ ევროპაში გავრცელებული ვაზის ჯიში (მალვაზია ქალაქია საბერძნეთში) და მისგან დაყენებული ღვინო.

ტივოლი — პატარა ქალაქი რომის აღმოსავლეთით, ტურისტებს იზიდავს ანტიკური ნანგრევებით, შადრევნებიანი პარკით და ა. შ., განსაკუთრებით კი მდ. ანიენის ჩანჩქერთა კასკადით.

კვატრო ფონტანეს ტრაპისტებთან — კვატრო ფონტანე — რომის ერთ-ერთი მოედნის სახელწოდება („ოთხი შადრევანი“), ტრაპისტები — კათოლიკე ბერების ორდენის წევრები (პირველად დაარსდა საფრანგეთში 1664 წ. სააბატო ლა ტრაპში).

გვ. 284. „noli me tangere“ (ლათ.) — „არ შემეხო“ („ნუ შემომეხები მე“. — ასე უთხრა იოანეს სახარების მიხედვით ქრისტემ მარიამ მაჯდალელს, როდესაც სიკვდილის შემდგომ გამოეცხადა (20, 17).

გვ. 289. ტრამონტანა (იტალ.) — ჩრდილოეთის ქარი.

გვ. 291. ვიტენბერგში ანდა ვარტბურგში — ლუთერას მოღვაწეობასთან დაკავშირებული ადგილები. ვიტენბერგში მან თავისი სახელგანთქმული თეზისები გამოაკრა და პაპის ბულა დანვა, ხოლო ვარტბურგში ბიბლია თარგმნა.

გვ. 292. დიურერისა არ იყოს... — იტალიაში ყოფნის შემდეგ დიურერს დღიურში აღუნიშნავს: ვიყინები და მზე მენატრებაო. მის გრავიურაზე — „მელანქოლია“ — ქვიშის საათი და ციფრთა კვადრატიც არის გამოსახული.

გვ. 293. კესპერლინი კასპარის კნინობითი ფორმაა, გერმანულში ორივე ზოგჯერ ეშმაკის ირონიულ-ეფემისტურ სუბსტიტუტად გვხვდება, კასპერლე — ხალხური თოჯინური თეატრის პოპულარული (სულელი, რინბაზი) პერსონაჟი.

სად არის შენი სიმებიანი ტრემოლოს... და ა. შ. — ადრიანს მხედველობაში აქვს ვებერის ოპერის — „თავისუფალი მსროლელის“ მუსიკალური პასაჟები მეორე აქტის მეორე სცენაში, რომელსაც „მგლის ხეობა“ ეწოდება.

ბალჰორნი, იოჰან (1528–1603) – ლიუბეკელი გამომცემელი. რომელსაც ხმა დაუყარეს, თითქოს მის მიერ გამოცემულ წიგნებში შეცდომები მომრავლებული იყო მათი გასწორების ნაცვლად, რაც მიზნად ჰქონდა დასახული.

გვ. 298. მე ხომ შვიაგეშტილების ოჯახიდან არა ვარ – შვიაგეშტილი ორი სიტყვისაგან შედგება: *schweigen* – დუმილი(დუმს) და *still* – ჩუმი, წყნარი. დოქტორი მარტინუსი – მარტინ ლუთერი.

ოცდაათწლიან სეირობამდე – ოცდაათწლიან ომამდე.

„ფეხსაცმლის კავშირი“ – 1492 წლიდან მოკიდებული გლეხის ფეხსაცმელი ემბლემად ჰქონიათ მემამბოხე გლეხებს და მათ პირველ რევოლუციურ ორგანიზაციებს ასევე ეწოდებოდათ სამხრეთ-დასავლეთ გერმანიაში.

სტიგმატიზირებული მოლოზნები (სტიგმა – ბერძნ. ნიშანი, დაღი; სტიგმატა – ჯვარცმული ქრისტეს ჭრილობები) – განსაკუთრებული ფსიქიკური წყობის მორწმუნენი, რომელთაც რელიგიურ ექსტაზში სისხლის დენა შეიძლება აუვარდეთ ქრისტეს ჭრილობათა შესაბამის ადგილებში.

გვ. 299. სამედციწიო პროკლამაციაში – გრავიურა „მელანქოლიაში“.

ფლაგელანტი – ის, ვინც თავს მათრახებს (ფლაგელუმ – ლათინურად მათრახი), ფლაგელატისაგან (მათრახოსნისაგან) განსხვავებით.

გამაფრთხილებელი ზანზალაკი – შუა საუკუნეებში კეთროვანთ ზანზალაკები ეკიდათ, წკარუნი ამცნობდა ხალხს მათ მოახლოებას.

faunus ficarius – ფაენუსის – ჭალებისა და ტყის რომაული ღვთაების, ჯოგების მფარველის – ერთ-ერთი გავრცელებული ეპითეტი – ლედვის მკრეფავი ფაენუსი.

პითონი – ბერძნულ მითოლოგიაში საშინელი გველი, რომელიც აპოლონმა მოკლა, რადგან სწორედ იქ ბუდობდა, სადაც აპოლონმა ტაძრის აგება განიზრახა (შემდგომ დელფოს სამისნო).

გვ. 301. ფილოსოფოსის თეზისი „*De anima*“-ში – ლაპარაკია არისტოტელესა და მის ტრაქტატზე – „სულის შესახებ“.

გვ. 302. „ურო“ – „კუდიანების ურო“ – სახელმძღვანელო სასამართლოზე კუდიანთა დაკითხვის ჩასატარებლად (1489 წ.), ავტორები – გერმანელი ინკვიზიტორები ჰაინრიჰ ინსტიტორისი და იაკობ შპრენგერი.

გვ. 305. კლასიკოსი პოეტი – იოჰან ვოლფგანგ გოეთე.

გვ. 315. წმინდა ველტენი – ეშპაკის ერთ-ერთი ევფემიზმი.

გვ. 316. პრივატისიმუმი (ლათ.) – ვიწრო წრისათვის განკუთვნილი ლექცია

გვ. 317. ...მხოლოდ და მხოლოდ სიმბოლოებით დავკმაყოფილდეთ – ჯოჯოხეთის აღწერას, რაც ამ სიტყვებს მოსდევს, ავტორი „დოქტორი ფაუსტუსის“ ისტორიაში“ (თავი IX) მაღალ შეფასებას აძლევს და დასძენს: ალბათ მისი დაწერა წარმოუდგენელი იქნებოდა, მე რომ გესტაპოს ჯურღმულთა საშინელებანი შინაგანად განცდილი არ მქონოდაო.

გვ. 321. შპესერვალდი, ხალხური გადმოცემით, კუდიანების თავშეყრის ადგილად ითვლებოდა.

XXVI

გვ. 333. სავონაროლას სავარძელი — სავონაროლას ეპოქის სტილისა. ჯიროლამო სავონაროლა (1452—1498) — ფლორენციელი ბერი, რელიგიურ-პოლიტიკური რეფორმატორი; ერტიკოსად გამოაცხადეს, ჩამოახრჩეს და გვამი კოცონზე დაწვეს.

გვ. 335. აბრუცი — მთაგორიანი ოლქი ცენტრალურ იტალიაში, ალპინიზმისა და ტურიზმის კერა; აბრუცის მთები უნინ ყაჩაღებით იყო განთქმული.

XXVII

გვ. 338. ბურე — ძველებური სწრაფი ფრანგული ხალხური ცეკვა — ფერხული, მე-17 ს. დასაწყისში სამეფო კარზეც შემოიღეს, ხოლო ცოტა მოგვიანებით, საუკუნის შუა წლებიდან, საინსტრუმენტო სიუიტის ტრადიციულ ნაწილად დამკვიდრდა.

გვ. 339. „პელეასი და მელისანდი“ — დებიუსის ოპერა, რომელიც მან მეტრლინკის ამავე სახელწოდების პიესაზე დაწერა.

გვ. 340. ჰანზის ქალაქი — ლიუბეკი, ჰანზის ეკონომიკური და პოლიტიკური ცენტრი (ჰანზა — ჩრდილოეთ გერმანიის ქალაქების საკავშირო კავშირი XIV—XVI სს.).

გვ. 353. ბოროტების ყვავილი — ადრიანი აქ გადაკვრით მიუთითებს შარლ ბოდლერის კრებულზე — „ბოროტების ყვავილები“.

XXVIII

გვ. 357. ჩაკონით ან სარაბანდით — ჩაკონა — თავდაპირველად ნელი ცეკვა, შემდეგ საინსტრუმენტო პიესა პოლიფონიური ვარიაციების ფორმით; სარაბანდა — ძველებური ესპანური ცეკვა, დინჯი, სამწილადი ზომისა, ძველებური საცეკვაო სიუიტის ლირიკული ნაწილი.

„Plaisir d'amour“ (ფრანგ.) — „ტრფობის სიამე“, XVIII ს. საინსტრუმენტო პიესათა პოპულარული სახელწოდება.

არიოსტი, ატილო (1666—1740) — იტალიელი კომპოზიტორი, წერდა ოპერებს, სონატებსა და ორატორიებს.

გვ. 358. *viola di bordone* — ვიოლა დი ბორდონე — ეიოლონჩელის მსგავსი ძველებური ხემიანი საკრავი.

გვ. 359. მახვილის მჭედავი ზიგფრიდის ...სიმღერებს — ვაგნერის ტეტრალოგიის — „ნიბელუნგის ბეჭდის“ — მესამე ნაწილიდან — „ზიგფრიდიდან“ (პირველი აქტი).

გვ. 362. მონოღია — ერთხმიანობა; ცალფა ან უნისონიანი ერთხმიანი გალობა.

გვ. 363. ორივე გაბრიელი — გაბრიელი, ანდრეა (1511—1586) და მისი ნათესავი და მოწაფე — გაბრიელი, ჯოვანი (1557—1612) — გამოჩენილი იტალიელი კომპოზიტორები და ორგანისტები, ვენეციური სკოლის წარმომადგენლები, უმთავრესად საეკლესიო მუსიკას წერდნენ.

გვ. 364. ელოპიმი (მხ. რიცხვი: ელოპ) – ძველებრაულად – (ტომის) ღმერთი; ძველი ალექსის წიგნებში – ისრაელის ღმერთი. განდიდების ნიშნად მრავლობით რიცხვში იხმარებოდა, მაგრამ მრავლობითშივე უცხო ტომის ღმერთებსაც აღნიშნავდა.

გვ. 365. „...ვსვამ სისხლსა ვაცებისა?“ – გაგებინებისათვის თარგმანში ოდნავ მოდიფიცირებულია „ფსალმუნის“ ქართული ტექსტი (შდრ.: „ფსალმუნნი“, 49, 13).

XXX

გვ. 389. Habeas corpus (ლათ.) – პიროვნებისა და ბინის ხელშეუხებლობის კანონი, რომელიც ინგლისის პარლამენტმა 1679 წ. მიიღო.

იმპერატორის ტახტზე მჯდომი ... ოინბაზი – იმპერატორი ვილჰელმ II, გერმანიას განაგებდა 1888–1918 წწ.

გვ. 393. რაინის კავშირი – რიგი გერმანული სახელმწიფოების გაერთიანება საფრანგეთის პროტექტორატით 1806–13 წწ. კავშირი შეიქმნა საფრანგეთსა და ამ სახელმწიფოთა შორის პარიზში ხელმოწერილი ხელშეკრულების საფუძველზე, რაც მათ ფაქტიურად ნაპოლეონის ვასალებად ხდიდა.

გვ. 395. ფრიდრიჰ დიდის ძალადობას ... საქსონიის წინააღმდეგ ჩადენილს – ფრიდრიჰ II (1712–1786) – პრუსიის მეფემ–შეიღწლიანი ომი საქსონიის დაპყრობით დაიწყო.

ფილოსოფოსი რაიჰსკანცლერი ... ალანოდა მოაზროვნე – იმპერიის რაიჰსკანცლერი და პრუსიის პრემიერ-მინისტრი 1909–1917 წწ. თეობალდ ფონ ბათმან-ჰოლვეგი (1856–1921), კონსერვატიული პოლიტიკოსი და სახელმწიფო მოღვაწე.

გვ. 396. shag (ინგლ.) – ჩიბუხისთვის განკუთვნილი მაგარი თამბაქო.

ჰოლბაინის მიერ გამოსახული ერაზმი – ჰანს ჰოლბაინ - უმცროსს ერაზმ როტერდამელის რამდენიმე პორტრეტი ეკუთვნის, ცაიტბლომს აქ მათგან ყველაზე ცნობილი აქვს მხედველობაში, რომელიც ლუერში ინახება.

გვ. 397. მონტო, პიერ (დაიბ. 1875) – ფრანგი დირიჟორი. დიაგნოზის საბალეტო ორკესტრს ხელმძღვანელობდა 1914 წლამდე.

კოლონი, ედუარდ (1838–1910) – ფრანგი დირიჟორი და მევიოლინე, დააარსა ორკესტრი, რომელსაც მისი სახელი ეწოდა.

XXXI

გვ. 403. ბიძამისის პატივსაცემად დანიშნულს... – ჰელმუტ მოლტკე-უმცროსი (1847–1917) – ჰელმუტ მოლტკე-უფროსის (1800–1891) პატივსაცემად დანიშნეს, რომელიც საფრანგეთ-პრუსიის ომში (1870 წ.) გერმანიის ფელდმარშალი იყო.

გვ. 411. testis (ლათ. მოწმე) – მგალობელი ორატორიაში, რომელიც ავტორისა თუ მთხრობელის როლში გამოდის.

გვ. 415. პოჩი, ფრანც (1807–1876) – გერმანელი პოეტი, მხატვარი, დრამატურგი და მუსიკოსი, ავტორი პიესებისა თოჯინების თეატრისათვის.
ვიტერ, რასმუს კრისტიან ფერდინანდ (1796–1876) – დანიელი პოეტი, პროზაიკოსი, ეპიკური პოემის „ირმის გაქცევის“ ავტორი.
გა. 416. „საქორწინო გვირგვინი“ – ქალთა გუნდის სიტყვები ვებერის იპერაში – „თავისუფალი მსროლელი“.

XXXII

გვ. 425. რანკე, ლეოპოლდ (1795–1886) – გამოჩენილი გერმანელი ისტორიკოსი, წყაროთა კრიტიკული შეფასების მეთოდის შემომღები. მისი უმთავრესი ნაშრომებია: „გერმანიის ისტორია რეფორმაციის ეპოქაში“ (6 ტომად, 1839–47), „მსოფლიო ისტორია“ (9 ტომად, 1880–88).
გრეგოროვიუს, ფერდინანდ (1821–1891) – გერმანელი ისტორიკოსი, დიდხანს ცხოვრობდა იტალიაში, კულტურის ისტორიის თვალსაზრისით აღწერდა იტალიის ქალაქებს, ავტორი კაპიტალური შრომებისა: „იტალიაში მოგზაურობის წლები“ (15 ტომად) და „ქალაქ რომის ისტორია შუა საუკუნეებში“ (9 ტომად).

გვ. 431. ჩემი არს შურის-გებაი... და ა. შ. – ციტატი ჰავლეს ეპისტოლედან რომაელთა მიმართ (12, 19).

XXXIII

გვ. 445. თორვალსენი, ბერტელ (1768–1844) – დანიელი მოქანდაკე, გვიანდელი კლასიციზმის წარმომადგენელი, მარმარილოს დამუშავების ოსტატი, ანდერსენის მეგობარი.

გვ. 451. ტარტინი, ჯუზეპე (1692–1770) – იტალიელი კომპოზიტორი და ვირტუოზი მევიოლინე, ავტორი მრავალი სავიოლინო ნაწარმოებისა, მათ შორის სონატისა – „ეშმაკის კრიმანჭული“.

გვ. 452. ფალია, მანუელ დე (1876–1946) – ესპანელი კომპოზიტორი და პიანისტი. მისი „ლამები ესპანურ ბალებში“ სამი პიესისაგან შედგება, რომლებიც ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის არიან დაწერილი.

გვ. 454. დელიუსი, ფრედერიკ (1862–1934) – გერმანული წარმომავლობის ინგლისელი კომპოზიტორი, იმპრესიონისტული სკოლის წარმომადგენელი, განათლება მიიღო ლაიპციგში, ცხოვრობდა საფრანგეთში.

გვ. 455. ალევრო მოლტო (იტალ.) – ძალიან სწრაფად. სონატის ან სიმფონიის ნაწილი, რომელსაც საგანგებო სახელწოდება არ გააჩნია და ასე სრულდება.

გვ. 460. პავლეს ხილვა — ე. წ. „პავლეს აპოკალიფსი“, სულ ადრე, IV საუკუნეში უნდა იყოს შექმნილი.

გვ. 461. მეჭტჳილდ მაგდებურგელი (დაახლ. 1210—1282) — მონასტერ ჰელფიას მოლოზანი, თავის მისტიკურ ხილვებს პოეტურ-რიტმული პროზით აღწერდა. სახელი გაითქვა წიგნით: „უფლისგან მომდინარე ნათელი“.

გვ. 462. პილდევარდ ბინგენელი (1098—1178) — ქ. ბინგენის მონასტრის წინამძღვარი, წინასწარმეტყველის სახელი ჰქონდა გავარდნილი.

ბედა ვენერაბილისი (დაახლ. 673—735) — ინგლისელი კათოლიკე ბერი, თეოლოგი და ფილოსოფოსი, მრავალ სასულიერო და ფილოსოფიურ ნაწარმოებთა ავტორი, რნგლისის ეკლესიის პირველი მემბატინე.

გვ. 463. რესპონსორიუმი — საეკლესიო საგალობელი, რომელშიც სოლისტი და გუნდი ერთმანეთს ენაცვლებიან; იგვევ ეწოდება აგრეთვე კათოლიკურ ეკლესიაში მღვდლის გალობაზე გუნდის მოძახილს.

თვით ის წვრილმანიც კი... — იხ. ბიბლია, ეზეკიელი, მცხეთ. ხელნაწერი, 3,3. ექსტატიკოსი — ის, ვინც ექსტაზში იმყოფება ხოლმე და რაღაც ეზმანება, „ქადაგად დავარდნილი“.

გვ. 464. „რამეთუ აღივსო სიავით“... და ა. შ. — იხ. ფსალმუნი 87,4, განახლებული თარგმანი, 1982 წ.

აპოკრიფი — ბიბლიური შინაარსის თხზულება, რომელიც წმინდა წერილის კანონიკურ წიგნებში არ შედის.

ადამიანთა სხეულებით მოფენილმა კედელმა — ლაპარაკია მიქელანჯელოს ფრესკაზე სიქსტეს კაპელის საკურთხეველზე; შეჩვენებული, რომელსაც ცალ თვალზე ხელი აუფარებია, კიდევ ერთხელ არის ნახსენები რომანის ბოლოში.

მინოსი — ძველბერძნული მითოლოგიური პერსონაჟი, ზევსისა და ევროპის ვაჟი, ჰადესში აჩრდილთა ბედს განსაზღვრავს, სასჯელს ადებს ბოროტმოქმედთა სულებს.

გვ. 466. ანტიფონი — კათოლიკური საკულტო გალობა, რომელშიც ერთი გუნდი მეორეს ენაცვლება.

ფუგა იერემიას სიტყვებზე — იერემიას სიტყვები თარგმანში მოტანილია თანადროული ქართულის ელემენტებით (მდრ.: ბიბლია, გოდებანი იერემია წინასწარმეტყველისანი, 3,39—45).

გვ. 467. კანცონა (იტალ. სიმღერა) — XV—XVI საუკუნეების იტალიური მრავალხმიანი ვოკალური ან საორგანო პიესა, შემდგომ იხმარება ვოკალური კანცონის მსგავსი საინსტრუმენტო ნაწარმოების აღსანიშნავადაც.

რიჩერკარე — ფუგის წინამორბედი კონტრაპუნქტული საინსტრუმენტო პიესა.

ფსალმუნის ციტირება იცოდა — მომდევნო ციტატი 107,3 ფსალმუნს ეკუთვნის.

გვ. 467. სუნის დინასტია — 960—1279 წწ.

გვ. 473. ტოკვილი, ალექსის დე (1805—1859) — ფრანგი ისტორიკოსი, სოციოლოგი და პოლიტიკური მოღვაწე, ავტორი წიგნისა—“ძველი რეჟიმი და რევოლუცია”.

გვ. 474. სორელი, ჟორჟ (1847—1922) — ფრანგი სოციოლოგი, ანარქო-სინ-დიკალიზმის თეორეტიკოსი.

XXXIV (დასასრული)

გვ. 482. „პეროტინუს მაგნუსი“ ანუ პეროტენ ლო გრან — დიადი პეროტენი (დაახლ. 1160—1122) — ფრანგი კომპოზიტორი, კონტრაპუნქტის ერთ-ერთი მამამთავარი.

„ეკლესიის უფროსი მრჩეველი“ — ვაგნერი ამით პარსიფალის რელიგიურ ხასიათს გახაზავდა.

გვ. 485. „ქრისტეს ვნება მათეს მიხედვით“ — ბახის ორატორია, რომელშიც პილატეს შეკითხვაზე ებრაელთა გუნდი ქრისტეს ჯვარცმას და ყაჩაღ ბარაბას გათავისუფლებას მოითხოვს.

გვ. 486. სინკოპა — მახვილის გადატანა ტაქტის ძლიერი ნაწილიდან სუსტ ნაწილზე.

გვ. 488. კლემპერერი, ოტო (დაიბ. 1885) — სახელგანთქმული გერმანელი დირიჟორი, მალერის ცნობილი ინტერპრეტატორი.

XXXVI

გვ. 503. ვალტერი, ბრუნო (1876—1962) — გამოჩენილი გერმანელი დირიჟორი, მოცარტისა და მალერის შესანიშნავი ინტერპრეტატორი, თ. მანის მეგობარი. პლატენერი, ჰანს — მიუნჰენის თოჯინების თეატრის დირექტორი.

გვ. 505. ქალბატონ ფონ ტონლასა და ადრიანის ურთიერთობის აღწერისას, როგორც თვითონ თ. მანი აღნიშნავს („რომანი რომანის შესახებ“, IV თავი), ავტორისათვის ამოსავალი იყო ნ. ფ. ფონ მეკისა და პ. ი. ჩაიკოვსკის შორის არსებული დამოკიდებულება.

გვ. 508. ეგერია — ძველრომაული წყაროს ნიმუა, მშობიარობის ხელშემწყობად მიიჩნევენ; გადატანითი მნიშვნელობით ეგერიას უწოდებენ შემოქმედის მრჩეველ, ხელმძღვანელ, შთამაგონებელ ქალს.

კალიმაქე (დაახლ. ძვ. წ. 315—240) — ელინისტური ეპოქის ბერძენი პოეტი და მეცნიერი, ალექსანდრიის პოეტთა წრის მეთაური და ბიბლიოთეკის განმგებელი.

ფილოქეტე — ძველბერძნული მითოლოგიური პერსონაჟი, ტროის ომის ერთ-ერთი მონაწილე. ტროის წინააღმდეგ გალაშქრებულს გველმა უკბინა

კუნძულ ქრიზეზე, საშინლად მყრალი ქრილობა არ უხორცდებოდა და ამიტომ თანამგზავრებმა იქვე დატოვეს. ბოლოს იგი ექიმმა მაქაონმა განკურნა, ფილოქტეტე ომში ჩაება და პარისი მოკლა.

„მოსისინე ფრთოსანი გველი“ — ტრაგედიაში „ევმენიდები“ (181-ე სტრ.).

XXXVII

გვ. 518. ჯეიმზ ჯოისი, პიკასო, ეზრა პაუნდი — ინგლისელი პოეტი — აქ ნახსენები არიან, როგორც XX საუკუნის 20-იანი წლების ავანგარდისტულ მიმდინარეობათა ყველაზე გამოჩენილი წარმომადგენლები.

გვ. 520. სატი, ერიკ (1866—1925) — თავისებური სტილის თვითნასწავლი ფრანგი კომპოზიტორი, ატონალიზმის მიმდევარი, პაროდიალ ჩაფიქრებულ საფორტეპიანო პიესების ავტორი, პიკასოს, კოქტოსა და დიაგილევის მეგობარი, ზეგავლენა მოახდინა „ექვსეულზე“ (იხ. ქვემოთ), აგრეთვე სტრავინსკიზე.

გვ. 523. დიაგილევი, სერგეი (1827—1929) — რუსი თეატრალური მოღვაწე, გაერთიანება „ხელოვნების სამყაროს“ ერთ-ერთი დამაარსებელი და ამავე სახელწოდების ჟურნალის თანარედაქტორი, რუსული ხელოვნების პროპაგანდისტი უცხოეთში. რუსული ბალეტის დასი მან 1911 წ. ჩამოაყალიბა. იგი 1929 წლამდე არსებობდა.

გვ. 524. კოქტო, ჟან (1889—1963) — ფრანგი მწერალი, ასპარეზზე როგორც პოეტი-სიმბოლისტი და „ახალი“ ხელოვნების მქადაგებელი გამოვიდა, მისი შემოქმედება თითქოს ყველა ავანგარდისტული მიმდინარეობის ელემენტს შეიცავს.

მიასინი (დაიბადა 1896) — დიაგილევის საბალეტო დასის მოცეკვავე და ქორეოგრაფი.

„ექვსეული“ — ნოვატორ ფრანგ კომპოზიტორთა ჯგუფი, რომელიც I მსოფლიო ომის შემდეგ ფრანგული ეროვნული მუსიკის სკოლის შექმნას ლამობდა და ჰარმონიის უახლეს მონაპოვართ იყენებდა, სახელდობრ: ლ. დიურეი, ა. ონგერი, დ. მიო, ფ. ტაიფერი, ფ. ორიკი და ფ. პულენკი. „ექვსეული“ მათ 1920 წ. შეარქვეს, განსხვავებული ინდივიდუალობის მიუხედავად, ექვსივენი „ახალ უბრალოებას“, კონსტრუქციულ სიმარტივეს მიეღობოდნენ.

გვ. 526. გენერალური ბანი ანუ მთავარი ბანი; ასე ეწოდებოდა XVIII—XIX საუკუნეებში ქვედა ხმას მელოდის აკორდული თანხლებით.

პილოტი, კარლ ფონ (1826—1886) — პომპეური ისტორიული სცენების მხატვარი, მიუნჰენის სამხატვრო აკადემიაში მასწავლებლობდა.

მაკარტი, ჰანს (1840—1884) — ავსტრიელი მხატვარი, პათეტიკური, ახლებური ბაროკოს სტილის მთავარი წარმომადგენელი. „მაკარტის თაიგული“ იმხანად პოპულარული სამკაული იყო ასევე მისი გემოვნებით მოწყობილი ბინებისა.

ლენვახი, ფრანც ფონ (1836–1904) – თავისი დროის პოპულარული გერმანელი პორტრეტისტი.

XXXVIII

გვ. 532. ბერიო, შარლ ოგიუსტ (1802–1870), ვიეტანი, ანრი (1820–1881) და ვენიავსკი, ჰენრიკ (1835–1880) – ბელგიელი, ფრანგი და პოლონელი კომპოზიტორები და ვირტუოზი მევიოლინეები.

გვ. 534. ანგოსტურა – სამხრეთ ამერიკული ხე, აგრეთვე მისი ქერქისაგან დამზადებული ნაყენი.

გვ. 535. ლანერი, იოზეფი (1801–1843) – ავსტრიელი მევიოლინე, დირიჟორი და კომპოზიტორი, ვენური ვალსის ოსტატი.

იოჰან შტრაუს-უმცროსი (1825–1899) – ყველაზე ცნობილი ვენელ მუსიკოს შტრაუსთა ოჯახიდან. ვენურ ვალსს საქვეყნოდ გაუთქვა სახელი, შექმნა ვენური კლასიკური ოპერეტის შედეგები.

გვ. 536. Vieilles Gures – ფრანგული ღვინო.

XXXIX

გვ. 546. რიეტი, ვიტორიო (დაიბ. 1898) – იტალიელი კომპოზიტორი, დიაგილევის დასისტვის ბალეტებს წერდა.

„დაფნისი და ქლოე“ – ფრანგ კომპოზიტორ მორის ჟოზეფ რაველის (1875–1937) ბალეტი (დაიდგა 1912 წ. პარიზში).

„სათამაშოები“ – ბალეტი, 1913 წ. დებიუსიმ დაწერა დიაგილევის დასისტვის.

სკარლატი, ალესანდრო (1660–1725) ...ჩიმაროზა, დომენიკო (1749–1801) – იტალიელი საოპერო კომპოზიტორები, ნეაპოლური სკოლის წარმომადგენლები.

გვ. 549. „აურა“ (ლათ. სიოს მონაზერი, ჰაერი, ათინათი) – ოკულტიზტა შორის გავრცელებული ტერმინი, აქ: თავისებურება (ან თავისებურებათა ერთობლიობა), რასაც ადამიანი „გამოასხივებს“.

XL

გვ. 552. ობერამერგაუ – საერთაშორისო ტურიზმის ობიექტი – სოფელი ბავარიაში. აქ ყოველწლიურად, ვნების კვირას, „ქრისტეს ვნებანის“ ეპიზოდთა ინსცენირება ეწყობა.

გვ. 557. ნალველას არაგუ – სამხრეთ გერმანიაში გავრცელებული მჭახე და არომატული მკვარი სასმელი (ნალველას ფესვებიდან ამზადებენ).

გვ. 558. ბიულტო, ჰანს გვიდო ფონ (1830–1894) – გერმანელი პიანისტი და დირიჟორი, ლისტის მოწაფე, ვაგნერის შემოქმედების პროპაგანდისტი.

კაინცი, იოზეფ (.358–1910) – სახელგანთქმული ავსტრიელი მსახიობი. მხატვრული კითხვის დიდოსტატი.

XLI

გვ. 564. ისევ მეთათე სიმფონია? – ლაპარაკია მალერის მეთათე სიმფონიაზე.

გვ. 565. შეგეძლო ძალიან დაგვევალე ბინე... – ამ დიალოგსა და მომდევნო თავში ადრიანისა და ზერენუსის საუბარზე თ. მანი შენიშნავს, რომ სამკუთხედი – ადრიანი, მარი გოდო და რუდი შვერტფეგერი – თვითონ ლევერკიუნის ცნობიერებაში ასოცირებულია შექსპირის სონეტებში გამოყვანილ სამკუთხედთან – ჰოეტი, სატრფო და მეგობარი, და რომ მაჭანკლის ლალატიც არაერთხელ გვხვდება შექსპირთან. ანალოგიის საცნაურსაყოფად ამ ორ დიალოგში აქა-იქ შექსპირის დრამებიდან თავისუფალ ციტირებას მიმართავს („რომანი რომანის შესახებ“, თ. IV).

XLIII

გვ. 592. *moderato* (იტალ.) – ზომიერად; საშუალო ტემპი.
presto (იტალ.) – სწრაფად; მუსიკალური პიესის ან სხვა ნაწარმოების ნაწილის სახელწოდება, რომელიც ასე სრულდება.

„*Allegro con fuoco*“ (იტალ.) – „სწრაფად და მხურვალედ“.

გვ. 593. „გაუსადლისი, მაგრამ მაღლიანი რამეა“ – რასაკვირველია, შესრულების სიძნელის თვალსაზრისით. ეგევე უთქვამს ა. შონბერგს თავის ტრიოზე თ. მანთან საუბარში.

გვ. 594. *Lento* (იტალ.) – ნელა (ან მუსიკალური ნაწარმოების ნელი ნაწილი).

XLIV

გვ. 599. – ხედავ. გიხარია, რომ ჩამოვედი – ამ ფრაზასა და რამდენიმე სხვა გამონათქვამსაც ავტორი თავის საყვარელ შვილიშვილს დასესხებია, რომლის ხმაც თურმე ყურში ედგა ამ ეპიზოდის შეთხზვისას. საერთოდ, არ შეიძლება არ დავეთანხმოთ თ. მანს, რომ კერძოდ ეს ადგილი და საზოგადოდ კი პატარა ექოს მთელი ამბავი ყველაზე პოეტური ნაწილია რომანისა.

გვ. 602. გრინვეი, კეიტ (1846–1900) – ინგლისელი მხატვარი და მწერალი ქალი, თვითონ ასურათებდა და ტექსტსაც ურთავდა საკუთარ საბავშვო ნიგნებს.

გვ. 608. არიელი – „ქარიშხლის“ პერსონაჟი – ბიჭის გამოსახულების მქონე სტიქიური სული, რომელიც ჯადოქარ პროსპეროს ემსახურება.

გვ. 610. ძალზე უჩვეულო ლოცვებს წარმოთქვამდა — ამ ლოცვების მასალად თ. მანს, მისივე ცნობით, მე-13 საუკუნის ერთი გაღვიძილი იგავების კრებული გამოუყენებია — იქიდან ამოკრეფილი ლექსებისათვის ლოცვანის ფორმა მიუცია.

პრედესტინაციის მოძღვრება — საზოგადოდ: მოძღვრება ყოველივეს (რაც სამყაროში ხდება) წინასწარგანსაზღვრულობის შესახებ; კერძოდ: კალვინის მოძღვრება ადამიანის (ღვთის ნება-სურვილით) შეწყალებისა თუ შეჩვენების წინასწარგანსაზღვრულობის შესახებ.

XLV

გვ. 620. ექსტემპორალები (ლათ.) — წერიტი საკლასო სამუშაოები (შესრულებული დამხმარე საშუალებათა გამოყენებლად).

"Then to the elements" ... და ა. შ. — „მაშ მოაშურე სტიქიონებს, გათავისუფლებ, მშვიდობით იყავ!“ ამ სიტყვებით ეთხოვება პროსპერო არი ელს შექსპირის „ქარიშხალში“, როდესაც თავის მსახურს ათავისუფლებს.

XLVI

გვ. 622. „ვერვოლფი“ — ნაცისტური ტერორისტული ჯგუფის ან ჯგუფის წევრის სახელწოდება; ვერვოლფი — ზღაპრული პერსონაჟი — მგელკაცა — ადამიანი, რომელიც ზოგჯერ მგლად იქცევა და სხვა ადამიანებს საფრთხეს უქმნის.

გვ. 627. მელანი, იაკოპო (1623–1676) — იტალიელი კომპოზიტორი, უპირატესად ოპერებს წერდა.

გვ. 628. ecce homo (ლათ.) — ეს ადამიანი, კაცი ესე (პილატეს სიტყვები, როდესაც ბრბოს მიუთითა ქრისტეზე (ქართულად: აჰა, კაცი იგი! — იოანე, 19,5). „Ecce homo“ ეწოდება აგრეთვე ფრიდრიჰ ნიცშეს (1844–1900) ავტობიოგრაფიულ ნაწარმოებს და აქ ეს სიტყვები ამ თხზულებაზე მინიშნებადაც უნდა მივიღოთ. ნიცშეს სწეულებიდან და სულიერი ტრაგედიიდან ამოდიოდა თ. მანი ადრიან ლევერკიუნის მხატვრული სახის ძეგლისას.

არიადნე — ბერძნ. მითოლოგიაში კრეტის მეფის — მინოსის — ასული, დაეხმარა ათენელ გმირს — თეზევსს — მინოტავრის მოკვლასა და ლაბირინთიდან გამოსვლაში. თეზევსმა იგი ცოლად შეირთო, მაგრამ მერე მძინარე მიატოვა კუნძულ ნაქსოსზე. მიტოვებული არიადნეს მოთქმის თემა არაერთ კომპოზიტორს აქვს დამუშავებული, კერძოდ, მონტევერდისაც. ცნობილია აგრეთვე რიჰარდ შტრაუსის ოპერა — „არიადნე ნაქსოსზე“.

გვ. 629. მადრიგალისტების ეპოქაში — XVI საუკუნეში — მადრიგალის ხელმეორედ გაფურჩქვნისა და სიმწიფის პერიოდში. მადრიგალი — პოლიფონიური საერო ლირიკული (სატრფიალო) სიმღერა, რომელიც ლათინურ საგალობელთაგან განსხვავებით მშობლიურ ენაზე სრულდებოდა. ჯერ იტალიაში ჩაისახა XIV საუკუნეში როგორც იდილიური ლირიკული სიმღერა და შემდეგ ევროპის სხვა ქვეყნებშიც გავრცელდა.

გვ. 632. ორფევესი — ბერძნულ მითოლოგიაში ლეგენდარული მუსიკოსი და მომღერალი. როდესაც მის ცოლს ევრიკიდეს გველმა უკბინა და გარდაიცვალა, ორფევესი მიწისქვეშეთში, ჰადესში, ჩაეშვა მეუღლის გამოსახსნელად და იქ ჯადოსნური მუსიკით ყველა მოხიბლა.

a cappella (ლათ.) — გუნდის გალობა საკრავთა თანხლების გარეშე.

გვ. 634. „იფხიზლეთ ჩემთან ერთად!“ — ქრისტეს სიტყვები (მათე, 26,38, ახალი თარგმანი).

გვ. 636. პიანისიმო-ფერმატა _ პიანისიმო (იტალ.) — ძალიან ჩუმად; ფერმატა (იტალ.) — შეჩერება, მუსიკაში მოძრაობის შეჩერების ნიშანი, რომელიც შემსრულებელს უფლებას ანიჭებს საკუთარი შეხედულებისამებრ გაადიდოს ნოტის ან პაუზის ხანგრძლივობა.

...და ლამპარივით ანთია ღამეში — ამ ფრაზამ მაშინვე მიიქცია „დოქტორი ფაუსტუსის“ რეცენზენტთა ყურადღება. რომანის შავბნელ დასასრულში იგი სასოების ნატამალად, იმედის ნაპერწკლად, ოპტიმისტურ ჩქამად გამოსჭვავის.

XLVII

გვ. 642. პრესტიჟიარი (ლათ.) — ჯადოქარი, თვალთმაქცი, მეფოკუსე; ასე ჰქვია მეფისტოფელის წაგაზს ფაუსტის ხალხურ წიგნში.

გვ. 644. წმინდა იომა — თომა აკვინელი (1225 ან 1226—1274) — შუა საუკუნეების ღვთისმეტყველი-ფილოსოფოსი, თომიზმის დამაარსებელი, (1323 წ. წმინდანად შერაცხეს, ხოლო 1567 წ. ეკლესიის მეხუთე მამად აღიარეს).

გვ. 647. პიფიალტა — თქმულების მიხედვით, ფაუსტთან მიგზავნილი კახ-პა.

გვ. 649. მოტეტი — XIII—XV საუკუნეებში (და შემდგომაც) გავრცელებული მრავალხმიანი ვოკალური მუსიკის ჟანრი, უფრო განვითარებული და საზეიმო, ვიდრე სიმღერა,

ე პ ი ლ ო გ ი

გვ. 654. ნიმფენბურგი — უბანი მიუნჰენის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში.

გვ. 659. ელ გრეკოს ერთ-ერთ აზნაურს — დომენიკო ელ გრეკო (1541—1614, ნამდვილი გვარი — თეოტოკოპული) — ესპანელი ფერმწერი, წარმოშობით ბერძენი, თავის თანამედროვე ესპანელ აზნაურთა პორტრეტების ხატვითაც იყო გატაცებული. ეს პორტრეტები ინდივიდის ფსიქოლოგიის წვდომით, ასკეტური განსულერებულობითა და ზოგჯერ ასიმეტრიულობითაც გამორჩევიან.

კარლო ჯორჯანელი

ეპოქალური რომანი

თომას მანის “დოქტორი ფაუსტუსი” მსოფლიო რომანისა და, კერძოდ, დასავლეთევროპული რომანის, ისტორიაში ისეთივე ეპოქალური, საეტაპო ნაწარმოებია, როგორც ჯეიმზ ჯოისის — “ულისე”, მარსელ პრუსტის რომანთა სერია — “დაკარგული დროის ძიებაში”, კაფკას სამი რომანი — “ამერიკა”, “პროცესი” და “კოში”, რობერტ მუზილის “უთვისებო მაჩაყაცი”, ჰერმან ბროხის “ვერგილიუსის სიყვადილი”, ელიზაბეტ ლანგკესერის “წარუხოცელი ბეჭედი”, ელიას კანეტის “დაბრმავება”, ანდრე ჟიდის “ყალბი ფულის მჭრელები” და სხვ.

ეპოქალურ-საეტაპოა ეს რომანი როგორც რომანპოეტიკური, მორფოლოგიურ-სტრუქტურული, ასევე შინაარსობლივ-თემატურ-იდეური თვალსაზრისითაც. იგი წარმოადგენს თომას მანის შემოქმედების მწვერვალს, მის დაგვირგვინებას, ყოველმხრივ შეჯამებას, მის კონცენტრირებულ, შენივთულ, მაგრამ მაინც ვრცელ “რეზიუმეს”.

“დოქტორი ფაუსტუსი” 1947 წელს გამოქვეყნდა. მსოფლიოს ჯერ კიდევ მთლად არ ჰქონდა მოშუშებული ომიანობით მიყენებული ჭრილობები. მაგრამ ასეთი სოციალური, ისტორიული, “დროებითი” “ზედაპირული” მოვლენები არ ყოფილა თომას მანის ამ რომანის გამოსახვის უპირატესი საგანი. ავტორს აინტერესებს არა ემპირიული ფენომენები, არამედ მეტაფიზიკური არსი. “დოქტორი ფაუსტუსი”, საერთოდ, მსოფლიოს და, კერძოდ, ევროპისა და გერმანიის სულიერი, მსოფლმხედველობრივი, ზნეობრივი კრიზისის დიაგნოზი და ამავე დროს გამოსატყაა. ეს რომანი მრავალპლანოვანი და ნაირსპექტროვანია. ამ მოკლე ბოლოსიტყვაობაში შეუძლებელია რომანის ყველა თემისა და მოტივის, ყველა თემატური და პრობლემური ასპექტის მთელი სპექტრის სრული წარმოჩენა. შეიძლება ითქვას, რომანის სიღრმისეული პრობლემატიკა მეტაფიზიკურია და არა სოციალურ-პოლიტიკური, თუმც “პერიფერიულად” არც ასეთი ასპექტებია უკულებელყოფილი. თ. მანის რომანი სიმბოლური, სიმბოლიკის შემცველი და — ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით — პარაბოლური, იგავური რომანია.

“დოქტორი ფაუსტუსი” სიუჟეტურ, აგრეთვე გარკვეულ იდეურ-თემატურ ნათესაობას თუ არა, მსგავსებას მაინც ამჟღავნებს როგორც გოეთეს “ფაუსტსა”, ასევე ხალხურ წიგნთან დოქტორ ფაუსტუსის შესახებ. ავტორის მიერ რომანი მოაზრებულია, როგორც თავისებური პარალელი, თანამედროვე ადაპტაცია გოეთეს ტრაგედიისა: ორივეგან ცხოვრების გზისა და აზრის ძიებაა, ორივე ნაწარმოებში თითქოს ნაჩვენებია პიროვნების “სტატეიური” განვითარება, ცხოვრების გზა, მისი მაძიებლობა. თომას მანის რომანის ცენტრალური პერსონაჟი, კომპოზიტორი ადრიან ლევერკიუნი XX საუკუნის ფაუსტია, რომელსაც ახალი ეპოქის გავლენით დაუკარგავს ფაუსტური ადამიანის მრავალი თვისება და, მეორე მხრით, შეუძენია ჩვენი საუკუნის დეკადენტის თვისებები და, ბოლოს და ბოლოს თითქმის გოეთეს ფაუსტის ანტიპოდად ქცეულა. ადრიან ლევერკიუნი მრავალი ახალი პრობლემის წინაშე დგას, რომელთაგან ზოგიერთი გოეთეს ფაუსტის დროს მხოლოდ ჩანასახოვანი ფორმით იჩენდა თავს. გოეთეს ფაუსტს კაცობრიობის უკეთესი მომავლისათვის ბრძოლის ილუზია მაინც ჰქონდა, სუბიექტურად ბედნიერებას სხვა ადამიანებისათვის სამსახურში ხედავდა. ხოლო ადრიან ლევერკიუნი; რომელსაც ცივილიზაციისა და კულტურის კრიზისულ პერიოდში უხდება ცხოვრება, როცა სრულდება ცივილიზაციის გარკვეული ეტაპი და ახალი ეტაპის კონტურები არ ჩანს, ინდივიდუალისტია, ეგოცენტრიკოსი და ასოციალური ბუნებისაა. გოეთეს ფაუსტი ცდილობდა იმედის თვალთ შეეხედა მომავლისათვის, უნდოდა დაეჯერებინა ადამიანთა საყოველთაო ბედნიერების. ადრე თუ გვიან დადგომა (თუმც სიცოცხლის ბოლოში და ნაწარმოების ფინალურ სცენებში გოეთეს ფაუსტიც სუბიექტურად გულგატეხილი და ობიექტურად “ცინიკურად” გაწბილებულია, მაგრამ საბოლოოდ მაინც არ არის ღმერთის მიერ განწირული: ანგელოზებს ის ზეცაში აჰყავთ), ადრიან ლევერკიუნი უკიდურესი პესიმისტი და სექტაციოსია, ნიჰილისტი და ცინიკოსიც კი, საბოლოოდ ის ეშმაკს ჯოჯოხეთში ჩაჰყავს. მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ ლევერკიუნს გაცილებით მძიმე, კრიზისულ ეპოქაში უხდება ცხოვრება, ვიდრე გოეთეს ფაუსტს.

თუ გოეთეს ფაუსტის წინაშე იდგა შრომის განთავისუფლების, ახალი მიწების ათვისების, ახალი ცხოვრების, ახალი ქვეყნის შექმნის საკითხი, სადაც ადამიანი ადამიანურად იცხოვრებს, ლევერკიუნის წინაშე კი კულტურისა და ცივილიზაციის წინააღმდეგობის, ადამიანთა შემოქმედებითი აქტიობის ქროზის, ადამიანის ცხოვრების სტანდარტიზაციისა და

ნიველირების, სამყაროში ადამიანური სიყვარულის მზის ჩასვლის საკითხი დადგა.

“დოქტორ ფაუსტუსში” კვლავ მთელი სიმწვავეთ დგება ზელოვნება — ცხოვრების ურთიერთმიმართების პრობლემა, როგორც გადაუწყვეტელი წინააღმდეგობა. ადრიან ლევერკიუნი, რომელიც თომას მანის მიერ გააზრებულია როგორც თანამედროვე ზელოვნის სიმბოლო-პერსონაჟი, ცხოვრებისაგან მოწყვეტილი, თავის თავში ჩაკეტილი, საზოგადოებისაგან იზოლირებული არტისტია — ამ სიტყვის თავდაპირველი მნიშვნელობით. მისი სიყრმის მეგობარი ზერენუს ცაიტბლომი, ადრიანის ამბავს რომ მოგვითხრობს, საგანგებოდ შენიშნავს, ლევერკიუნს საერთოდ სიყვარული არ შეექმლო, თავის სიცოცხლეში ალბათ ერთი ქალი (იგულისხმება ფრანგულენოვანი შვეიცარიელი ქალი — მარი გოდო) და ერთი ბავშვი (აჲ ადრიანის დისწული, პატარა ნეპომუკი იგულისხმება) უყვარდაო... ეს იყო და ეს... ადრიან ლევერკიუნის ინდიფერენტობაში გარშემო მყოფთადმი იმდენად ძლიერი იყო, რომ, მისი მეგობრის გადმოცემით, ის საკუთარ თავში ჩადრმავებული, ვერც კი ამჩნევდა, რა ზღებოდა ირგვლივ. ადრიანი არავის უშვებდა ახლოს, ყველასთან გარკვეულ მანძილს იტოვებდა ურთიერთობაში — მას ძლიერად ჰქონდა განვითარებული ის, რასაც ნიცშე “დისტანციის პათოსს” უწოდებდა. დამახასიათებელია, რომ ლევერკიუნი თითქმის არავის ელაპარაკებოდა “შენობით” და არავის მიმართავდა სახელით. ცაიტბლომს ეს აფიქრებინებს, იქნებ მას არც კი ახსოვდა ნაცნობ-მეგობრების სახელებიო. ცაიტბლომი ერთგან შენიშნავს: მე მის განმარტობას უფსურულს შევადარებდი, რომელშიაც გრძნობები, მას რომ უნაწილებდნენ, უხმაუროდ და უკვალოდ იყარებოდა. მის გარშემო სიცივე იგრძნობოდაო...

ადრიანს ჯერ კიდევ სიყრმეში დაეკარგა ინტერესი ბევრი რამისადმი: მას არ აინტერესებდა ახლის გაგება, ახალი რაიმეს ნახვა, ახლის განცდა. არც მდგომარეობის გამოცვლა იზიდავდა, არც ახალი შთაბეჭდილებები... დასვენებაც კი ეზარებოდა. ადრიანი დასცინოდა იმათ, რომლებიც განუწყვეტლივ ისვენებენ, ჯანმრთელდებიან, მზით ირუჯებიან, თითქოს ამას რაიმე აზრი ჰქონდესო. დასვენება, იტყოდა ზოლმე ლევერკიუნი, მხოლოდ იმათთვისაა, რომელთაც ის სრულებით არ ესაჭიროებათ. მას არც მოგზაურობა აინტერესებდა. ერთხელ მან მისწერა ცაიტბლომს, რომ ეძებს ისეთ კუთხეს, სადაც არ იქნებიან ადამიანები და მას შეეძლება დამშვიდებით ესაუბროს საკუთარ თავს. საოცრად

ლევერკიუნისეულ გადაწყვეტილებას გამოხატავს ჩვენი გალაკტიონი: —
თითქოს ადრიან ლევერკიუნის მონოლოგს წერდეს —

სადმე ყრუ ადგილს დავესახლები
სხვა საუკუნის მგზავრი გვიანი,
სადაც იქნება ცოფი ნაკლები
და უფრო ნაკლებ ადამიანი.

(აქ ურთიერთგაველენა გამორიცხულია — ეს არის, ასე ვთქვათ, “კონგენიალური” გადაძახილა).

ადრიან ლევერკიუნი ანაქორეტივით ცხოვრობს, მუსიკაა მისთვის ყველაფერი, მუსიკით სუნთქავენ, მუსიკით სულდგმულობს, მაგრამ მისი მუსიკა არ არის სახალხო, ხალხისათვის განუთვნილი. ნისი მუსიკა ძრწოლის და შემფოთებულობის, უიმედობისა და განწირულების გამოხატულებაა.

ამის გარდა, ადრიანის მუსიკა წარმოადგენს ჰაროდისა, თავისებურ დაცინვას კლასიკური მუსიკისას. ამას თვითონ კომპოზიტორიც გრძნობს. ის იყენებს გროტესკს, დისონანსებს, მუსიკალურ ჰარადოქსებს. მისი მუსიკა ატონალურია.

თვითონ ლევერკიუნი ერთგან აღნიშნავს, რომ ირგვლივ ყველაფერში კომიურს, სასაცილოს, უპატივცემულობის აღმძვრელს ვამჩნევო. მის მუსიკალურ ნაწარმოებთა შინაარსი ძრწოლისა და საშინელების განცდაა, ცინიზმი და სეკსტიციზმი.

თომას მანი, მართალია, სიმბოლურად და იგავურად, გვიჩვენებს, რომ აპოლიტიკურობა, ესთეტიზმი, უკიდურესი დეკადენტობა ობიექტურად საბოლოოდ ბარბაროსობის ზელისშემწყოები და მოძამზადებელია, რომ პოლიტიკისაგან, საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან სრული განდგომა, აბსოლუტური ობიექტივიზმი და ნეიტრალობა ეროვნულ უბედურებას აპირობებს, რომ გულზგლდაკრეფილი მჭვრეტელობა, უნაყოფო სეკსტიციზმი და ნიჰილიზმი ფარული ბოროტებაა. თომას მანს ამ რომანში აბსურდამდე დაჰყავს თანმიმდევრული, აბსოლუტური დეკადენტობა და ბერწი ესთეტიზმი. მკითხველი მიჰყავს იმ დასკვნამდე, რომ სიკვდილის კულტს, არისტოკრატიულ ინდივიდუალიზმს ობიექტურად ფაშინამდე მივყავართ.

“დოქტორ ფაუსტუსში” უფრო ღრმადაა დანახული და ნაჩვენები “ბიურგერული” ეპოქის დასასრული, დასავლეთის კულტურისა და ცი-

ვილიზაციის ერთი სტადიის “მზის ჩასვენება” და ამოწურვა, ვიდრე თ. მანის ადრინდელ რომანებში. ალბათ თ. მანის არც ერთ სხვა რომანს არ შეუჯამებია ასე ტოტალურად და ასეთი ინტენსიობით “ბიურგერული” ხანა, მთელი ეპოქის, მთელი კულტურულ-სულიერი ფორმაციის აგონია, როგორც “დოქტორ ფაუსტუსს”. ამავე რომანში საოცარი ექსპრესიულობით (მართალია, ისევ სიმბოლურად და იგავურად) გამოხატულია ერთი ეპოქის მხატვრული ტრადიციის, მხატვრული კულტურის, ლიტერატურის, კერძოდ, თხრობითი ჟანრის ამოწურვა და აღსასრული და ახალი ეპიკური ფორმის შექმნის აუცილებლობა. ადრიან ლევერკიუნმა ისიც იცის, რომ აუცილებელია, თუკი კაცობრიობას სრული და საბოლოო გადაშენება არ უწერია, ახალი ცხოვრების, ახალი ქვეყნის, ახალი საზოგადოების შექმნა, სადაც ადამიანი ადამიანურად იცხოვრებს — მაგრამ როგორ, რა გზით, ეს არც მან და არც მისმა ავტორმა არ იციან. ადრიანი ერთგან პირდაპირ მიმართავს ადამიანებს, იზრუნეთ იმაზე, რომ ადამიანთა შორის ისეთი სისტემა დამყარდეს, კვლავ შესაძლებელი გახდეს ხელოვნების მშვენიერი ნაწარმოებიო. ადრიანს თითქოს სჯერა, თუმც დასძენს, ამის წარმოდგენა ახლა ძალიან მიჭირსო, რომ ახალი ხელოვნება ალბათ შეიქმნება მომავალში, ხელოვნება ტანჯვის გარეშე, სადი, კაცობრიობასთან, ადამიანებთან “შენობით” მოსაუბრე ხელოვნება. ლევერკიუნს თითქოს სჯერა, რომ საკაცობრიო ცივილიზაციას, კულტურასა და ხელოვნებას არ შეიძლება წერტილი დაესვას. მისი აზრით, მომავლის ხელოვნებამ გეზი ხალხზე, ადამიანებზე უნდა აიღოს, მან უნდა იპოვოს “გზა ხალხისაკენ, ე.ი. ადამიანებისაკენ”.

...თუ თვითონ მთელი რომანი “დოქტორი ფაუსტუსი” გოეთეს “ფაუსტის” თავისებური პარალელი, ადაპტაცია და ამავე დროს გაბათილება-უარყოფაა, კომპოზიტორის უკანასკნელი ნაწარმოები — სიმფონიური კანტატა “დოქტორ ფაუსტუსის გოდება” ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონიის ასეთივე ადაპტაცია და კიდევ უფრო მეტად პაროდია და “უკანწალებაა”. მეცხრე სიმფონიის პეროიკა და ამალღებულობა შეცვლილია, ჩანაცვლებულია “შავი ჰუმორით”, სასოწარკვეთილებითა და დეფექტიზმით. (აღსანიშნავია, რომ თვითონ ლევერკიუნიც შეგნებულად უპირისპირებს თავის კანტატას ბეთჰოვენის მეცხრე სიმფონიას).

ერთი მხრივ, ადრიან ლევერკიუნის ცხოვრება რამდენადმე იმეორებს გოეთეს ფაუსტის ამბავს. ფაუსტივით ესეც ემშაყთან დებს ხელშეკრულებას, რათა მისი შემწეობით ჩასწვდეს მუსიკის სიღრმეს (ემშაკი ამ შემთხვევაში სიმბოლოა დეკადანსის, ავადმყოფობის, პათოლოგიის, დეგრა-

დაციის, ირაციონალიზმის, გულზვიადობის, ეგოცენტრიზმის. ეშმაკთან ადრიანის საუბარი ჰალუცინაციის ფორმითაა გადმოცემული)

ადრიან ლევერკიუნის საუბარი ეშმაკთან, ერთი მხრივ, მოგვაგონებს ივან კარამაზოვის ბაასს სატანასთან, მეორე მხრივ, გოეთეს ფაუსტის პირველ შეხვედრას მეფისტოფელთან. გოეთეს “ფაუსტის” ევფორიონი, როგორც მკვლევარები აღნიშნავენ, უდრის თ. მანის პატარა ნეპომუკს (ექოს), ადრიანის დისწულს, რომელიც ევფორიონივით ნაადრევად იღუპება. ბოლო ხანებში, როგორც წინამდებარე რომანის მკითხველებმა იციან, ადრიანი შეეთვისა და შეეჩვია თავის პატარა დისწულს ნეპომუკს, ექოს, რომლის რეალური პროტოტიპი თ, მანის შვილიშვილი პაწია ფრიდოლინი (ფრიდო) იყო.

საოცარი ძალითაა დაწერილი ნეპომუკის დაღუპვა, აგრეთვე ადრიანის გაგიჟების სცენა.

გოეთეს ფაუსტი თავისდაუნებურად ღუპავს გრეტჰენს, ნაწილობრივ და არაპირდაპირ ადრიან ლევერკიუნის ბრალია შვერტფეგერის მკვლელობა და ა.შ. “დოქტორი ფაუსტუსი” ეხმაურება არა მარტო გოეთეს “ფაუსტს”, არამედ ზოგ შემთხვევაში სიუჟეტური და თემატური თვალსაზრისით მეტ სიახლოვეს ამჟღავნებს ხალხურ წიგნთან. განსაკუთრებით ეს ითქმის რომანის ფინალზე — აქ ხალხური წიგნის გავლენა აშკარაა.

ხალხური თქმულების ფაუსტივით თ. მანის ადრიან ლევერკიუნიც მიჰყავს (უკეთ, ჩაჰყავს) ეშმაკს ხელშეკრულების მიხედვით (სიმბოლურად ეშმაკის მიერ ადამიანის სულის “წაყვანა” ნიშნავს დაცემულობის, სნეულების, დეკადანსის მიერ კომპოზიტორის ფიზიკურ, აგრეთვე სულიერ განადგურებას); გოეთეს ფაუსტს კი საბოლოოდ ანგელოზები ააცლიან ეშმაკს და ზეცისკენ გააქანებენ.

მეორე მხრივ, ადრიან ლევერკიუნის ცხოვრება ზოგიერთი მომენტით წაავსებს ნიცშეს ცხოვრებას. ნიცშესავით ადრიანს ახალგაზრდობაში ლუესი შეეყარა, რომელიც მოწიფულობაში პროგრესულ დამბლას იწვევს, საბოლოოდ კი შეშლილობას. ადრიანის დაავადება ვენერიული სნეულებით, ამ ავადმყოფობის ისტორია, ათამანგის გავლენა მის სულიერ ცხოვრებაზე და სხვ. დეტალებში იმეორებს ნიცშეს ცხოვრების ანალოგიურ მონაკვეთს. ადრიანის სიმარტოვე, მისი უკაცურობა, ქალთუკარებლობა, მისი ცხოვრების ნირი და. ბოლოს მისი გონების დაბნელება აშკარად იწვევს ნიცშეს რემინისცენციებს.

რომანში მეორდება ნიცშეს ბიოგრაფიის ცნობილი “სამკუთხედი” (ნიცშე, ჰაულ რეე და ლუ ფონ ზალომე) — ადრიანი, რუდი შვერტფეგერი

და მარი გოდო. ნიცშემ წინათიგრძნო ბიურგერული ეპოქის აღსასრული და რადაცნაირად შეეცადა მის “გადავადებას”. ნიცშე იყო დასავლეთის ერთ-ერთი ყველაზე ღრმა დეკადენტი, მისი ვითომცდა დეკადანსის წინააღმდეგ გალაშქრების მიუხედავად. ამდენად გამაროლებულია მისი და ადრიან ლევერკიუნის თავისებური იდენტიფიცირება. საინტერესოა, რომ “დოქტორ ფაუსტუსს” ფაუსტის რომანთან ერთად ნიცშეს რომანსაც უწოდებენ.

და ბოლოს, ადრიან ლევერკიუნი გერმანიის სიმბოლოდაც გვევლინება. 1945 წ. თავისი დაბადების 70 წლისთავთან დაკავშირებით ვაშინგტონში თ. მანმა წარმოთქვა სიტყვა — “გერმანია და გერმანელები”. მან განაცხადა: “თქმულებისა და ნაწარმოების (ე.ი. გოეთეს “ფაუსტის”, ნ.კ.) უდიდესი შეცდომაა ის, რომ ისინი ფაუსტს მუსიკასთან არ აკავშირებენ. ის მუსიკალური უნდა ყოფილიყო, ფაუსტი მუსიკოსი უნდა ყოფილიყო... მუსიკა... სინამდვილისაგან ყველაზე დაშორებული და ამავე დროს ყველაზე ვნებიანი ხელოვნებაა, აბსტრაქტული და მისტიკური. თუ ფაუსტი გერმანელი სულის წარმომადგენელია, მაშინ ის აუცილებლად მუსიკალური უნდა იყოს, რადგან აბსტრაქტული და მისტიკურია, ე.ი. მუსიკალურია გერმანელის დამოკიდებულება საწყაროსადმი”.

ჩვენთვის აქ საინტერესო ისაა, რომ თ. მანს ადრიან ლევერკიუნი გერმანიის სიმბოლოდაც ჰყავს მოაზრებული. და, მართლაც, ადრიანის პაქტი ეშმაკთან უდრის გერმანიის პაქტს ნაცისტთან. ადრიანის თანდათანობითი დაცემა, მისი ფსიქიკური შეშლილობის გაღრმავება — ეს გერმანიის თანდათანობით დაშვებაა ნაცისტის მოლიპულ გზაზე, გერმანელების თანდათანობითი გადაგვარება და გაგიჟება კაცთმოძულე და ბარბაროსული იდეებით.

ადრიანი ცდილობს თავისი ხელოვნება მთლიანად დაუქვემდებაროს ირრაციონალურ, მისტიკურ, ზებუნებრივ ძალებს. ადრიანი გონებას კარგავს და სწორედ მაშინ ქმნის თავის ყველაზე საფვარელ და მნიშვნელოვან მუსიკალურ ნაწარმოებს — “დოქტორ ფაუსტუსის გოდებას”. სიმბოლურად ეს უნდა გავიგოთ, როგორც გერმანიის დაქანება ირრაციონალიზმის, უგონობის, ობსკურანტიზმის უფსკრულისაკენ ნაცისტური რეჟიმის ბატონობისას.

მაშასადამე, რომანში რამდენიმე პლანია. ერთ სიბრტყეზე ვითარდება ფაუსტ-მეფისტოფელ-ელენე-ევფორიონის ხაზი, მეორეზე — ფრიდრიხ ნიცშეს მოტივი, მესამეზე — საკუთრივ გერმანიის სიმბოლური ისტორია, რომელმაც პაქტი დაღო ეშმაკთან — ნაცისტთან.

“დოქტორ ფაუსტუსის” ენა უაღრესად მრავალფეროვანი და ნაირფეროვანია. იგი ვზადავზა ათასგვარად იცვლება იმისდა მიხედვით, თუ რაზე და რის გამოა თხრობა ნაწარმოებში. ალღა-ალღა თანამედროვე გერმანულს ერთვის არქაული, შუა საუკუნეების გერმანული მეტყველებების ელემენტები. როგორც სპეციალისტები აღნიშნავენ, ამას აქვს არა მარტო თავისი ფილოლოგიური, არამედ ფსიქოლოგიური აზრიც. ერთი მხრივ, ეს არის ხალხური წიგნის ენა, რათა ამით აღდგენილ იქნეს ძველი მაგიოსის და ალქიმეოსის ეპოქის კოლორიტი. ადრიანთან ემპაის საუბარი ხალხური წიგნის (“დოქტორ იოჰან ფაუსტის ისტორია” დაიბეჭდა 1587 წ.) ენითაა დაწერილი (აღსანიშნავია ემპათან საუბრისას ერთი ორგან გამოორებული გამოთქმა — “ვაისტუ ვას, ზო შვაიგ” — ე.ი. თუ რამე უწყვი, იყუჩე; მეორე მხრივ, ვთქვათ, შუა საუკუნეების სტილის პაროდირება ადრიანის მიერ მეგობრისადმი მიწერილ ბრათში ნართაულად მიუთითებს ადრიანის არსებობისათვის დამახასიათებელ, მისთვის ორგანულ ელემენტებს. ის ამ ფსიქოპათის გამოპყოფს, გამოთიშავს თანადროულობიდან. ლევერკიუნი ამ თავისი არქაული ენითაც ემიჯნება თანადროულ ადამიანებს, სინამდვილეცა და ცხოვრებას.

და ბოლოს, ოდნავ არქაიზებული ენა ქმნის შუა საუკუნეების ატმოსფეროსა და კოლორიტს, რაც შეესაბამება ნაციისტური ვერმანიის გადაჩეხვას შუასაუკუნეობრავ-ინკვიზიტორულ ბარბაროსობაში. საერთოდ, მთელი რომანი, ყოველივე ამის გარდა, ავტობიოგრაფიულიცაა და თვითონ ადრიან ლევერკიუნიც ძალიან მოგვაგონებს თომას მანს, თუნდაც “დისტანციის პათოსითა” და მიუკარებლობით, და იმითაც, რომ თომას მანიცა და ადრიან ლევერკიუნიც ერთი დიდი მხატვრული ეპოქის უკანასკნელი მო-ჰიკანები და ახალი კულტურული ხანის დამწყებნი არიან, ისევე როგორც ჯეიმზ ჯოასი, არნოლდ შონბერგი, ფრანც კაფკა, ალბან ბერგი, ანტონ ფონ ვებერნი და სხვანი.

ეს “გერმანული ტრაგედია” თვალს მიაღვენებს ევროპული ცივილიზაციის ერთი დიდი ეტაპის დასრულება-აღსასრულს, “ავადმყოფი ევროპის” დიდ ფერისცვალებას, ახალი ეტაპისათვის შემზადებას, მსოფლიოს კრიზისულ კონვულსიებს დიდი გარდატეხა — კატალიზმის კვირამალში — ეს არის რომანი იმის თაობაზე, თუ რა საბედისწეროდ ასცდა მსოფლიო, კაცობრიობა. ასევე ევროპული “გონი” და “ცხოვრება” ჰუმანი-სტურ და ღვთიურ ძარითად გზას.